<u>მწერლობის მოთვინიერება</u>

ნაწილი პირველი

საბჭოური ლიტერატურის თეორია, სკკპ დაჟინებული მოთხოვნით, ამტკიცებს, რომ სიტყვაკაზმული მწერლობა და ხელოვნება არის პარტიული და კლასობრივი. ამას ლიტერატურისა და ხელოვნების ლენინურ პრინციპს ეძახიან, რადგან ეს საკითხი დასმულია ლენინის სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“.

ლიტერატურის და ხელოვნების პარტიულობის პრინციპის გაზიარება შეუძლებელია. ვეცდები დავასაბუთო – რატომ.

I

ეროვნული ტრადიცია
და პარტიულობის პრინციპი

ქართველმა ხალხმა სიტყვაკაზმულ მწერლობას განსაკუთრებული მისია დააკისრა. იგი ერის წინამძღოლად აღიარა. ეს განაპირობა ქართველი ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ. ჩვენს ერს ხშირად და დიდხანს უხდებოდა ცხოვრება ნაციონალური ხელისუფლების თვინიერ, დამპყრობლის უღელქვეშ. ასეთ პირობებში ორად ორი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას – ქრისტიანული რელიგია და მწერლობა. როცა რუსეთმა ქართული ეკლესია გააუქმა, ჩვენი ერის ქომაგის როლი მარტო მწერლობას დაევალა.

ეს ტრადიცია „აბოს წამებით“ იწყება. იოანე საბანის ძემ დაწერა თხზულება, რომელმაც, ძნელბედობის ჟამს, ქართველ ხალხს რწმენა, ძალა, იმედი, ენერგია ჩაუნერგა და მტკიცედ თავდაცვა ასწავლა. ასე მოდის და მოდის საუკუნეების მანძილზე. სულხან-საბა ორბელიანი მწერალიც არის და სახელმწიფო მოღვაწეც. დავით გურამიშვილი პოეტიც არის და „ქართლის ჭირის“ მოზარეც. ილია ჭავჭავაძემ კი პირდაპირ გამოაცხადა მწერალი ერის წინამძღოლად:

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ
რომ წარვუძღვე წინა ერსა.[1]
დიდი ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოწმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით

დამედაგოს მტკიცე გული...

მწერლობის ამოცანის ამგვარად დასმამ განსაზღვრა ქართველი ხალხის სიტყვაკაზმული ლიტერატურისადმი დამოკიდებულება, თორემ არცერთ ფრანგს არ უფიქრია, რომ ბალზაკი საფრანგეთის ეროვნული წინამძღოლი უნდა იყოსო. არც რომელიმე ინგლისელს მიუჩნევია დიკენსი ინგლისის ნაციონალურ თავკაცად. ერის წინამძღოლის ფუნქციას თავისუფალ ქვეყანაში ისინი ასრულებენ, ვისაც ეს უშუალოდ ევალება და არა მწერლები. გაჭირვებას რა ვუთხრათ, თორემ პოლიტიკოსის ფუნქცია მწერალმა რატომ უნდა იკისროს? გვიჭირს და სხვა გზა, სხვა ხსნა არა გვაქვს.

საქართველოში მწერლის ეროვნულ წინამძღოლად წარმოდგენას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩვენს მეფეთა შორის ბევრი პოეტობდა.

დავით აღმაშენებელი ავტორია ჰიმნისა „გალობანი სინანულისანი“. დემეტრე პირველი – „შენ ხარ ვენახისა“. თამარს იამბიკოები დაუწერია. პოეტები იყვნენ თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე. ასე გადაეჯაჭვა ჩვენში მწერალი და პოლიტიკოსი ერთმანეთს. მწარედ, მაგრამ სამართლიანად იხუმრა აკაკი წერეთელმა – „მეფე რომ „პიიპუუ-პიიპუს“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვაი-ვაის“ იმღერებსო“. საქართველოსაც ასე დაემართა. თუმცა აკაკიმ ისიც დააყოლა – „დავით აღმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ სამეფოსათვის არა დაუკლია-რაო“ („ბაში-აჩუკი“). ალბათ მართალია ძველი სიბრძნე – რაიც იუპიტერს ხელეწიფება, იგი ხარს არ შეუძლიაო.

ეს ისტორიული ტრადიცია შეიცვალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ერის ხელმძღვანელის როლი კომუნისტურმა პარტიამ იკისრა და ეს ფუნქცია მწერლობას ჩამოართვა. თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა და დალაგდა, მაგრამ ნამდვილად ასე არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ, რომ საქართველოს კპ არ არის დამოუკიდებელი, თავისთავადი პარტია. იგი სკკპ-ს ერთი პაწია ორგანიზაციაა და ასრულებს მხოლოდ იმ მითითებებს, რასაც მოსკოვი აძლევს.

სკკპ გამოხატავს მხოლოდ რუსეთის ეროვნულ ინტერესს. იბრძვის რუსეთის იმპერიის განმტკიცებისათვის. სკკპ იმდენად ითვალისწინებს სსრკ-ში შემავალი არარუსი ხალხების სურვილსა და მისწრაფებას, რამდენადაც ეს დაემთხვევა რუსეთის გეგმებს. უბრალოდ რომ ვთქვათ, რაც კარგი და მისაღებია რუსეთისათვის, კარგი და მისაღებია საქართველოსთვისაც (ყველა არარუსისათვის). რაც უარსაყოფი და ცუდია რუსეთისათვის, უარსაყოფი და ცუდია საქართველოსათვისაც. საქართველო გახდა რუსეთის ისეთივე პროვინცია, როგორიც არის, მაგალითად, ტამბოვის ან კალუგის ოლქი.

იმ წითელ პარტიულ ბილეთში, რომელიც ყველა ქართველ კომუნისტს ჯიბეში უდევს, რუსულად და ქართულად მთავრულით მკაფიოდ და გარკვეულად წერია – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ეს კი რეალურად იმას ნიშნავს, რომ არავითარი საქართველოს კპ არ არსებობს. თუ ჩვენ ცნებას – საქართველოს კპ – მაინც ვხმარობთ, ამას აქვს მნიშვნელობა ერთ-ერთი, რიგითი პარტიული ორგანიზაციის სახელისა და არა უფრო მეტი. ეს რომ ასეა, ამას ცხადად მოწმობს ეს გარემოებაც. არის სომხეთის კპ, უკრაინის კპ, ტაჯიკეთის კპ და ა.შ. მაგრამ არ არსებობს რუსეთის კპ. როგორ – ყველა მოკავშირე რესპუბლიკას საკუთარი კომუნისტური პარტია ჰყავს და რუსეთს არა? არ ჰყავს იმიტომ, რომ რუსეთის კპ-ს სახელად ეწოდება სკკპ. ხოლო ყველა დანარჩენი კპ რუსეთის კპ, ანუ სკკპ, ცალკეული ორგანიზაციაა. ამიტომ არის სკკპ რუსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესის გამომხატველი, ამ ინტერესის განხორციელებისათვის მებრძოლი. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ბუნებრივია ისიც, რომ საქართველოს კპ-ს მხოლოდ იმ დირექტივების განხორციელების უფლება აქვს, რასაც მოსკოვი მისცემს. ნაწილი მოვალეა

ემორჩილებოდეს მთელს. ამდენად, ცხადია და მკაფიო ისიც, რომ საქართველოს კპ ვერ გამოხატავს ქართველი ხალხის ეროვნულ ოცნებას, მისწრაფებას და სურვილს. ის კი შეუძლებელია, რომ საქართველოს ეროვნული და ისტორიული მისია ემთხვეოდეს რუსეთის ეროვნულ და ისტორიულ მისიას, იმდენად უზარმაზარია მათ შორის განსხვავება.

რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოა.

საქართველო კი პაწია ქვეყანაა, რომლის არსებობა თითო-ოროლა კაცმა თუ იცის ამქვეყნად.

რუსეთმა თვალუწვდენელი მსოფლიო იმპერია შექმნა, რომლის წინაშე კაცობრიობა შიშით ცახცახებს.

საქართველომ კი თავისთავსაც ვერ მოუარა და სამოწყალოდ სხვას შეეხიზნა.

რუსული ენა ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო კულტურული ენაა, რომლის ცოდნა არარუს ადამიანს ღირსებად მიაჩნია და ეამაყება.

ქართული ენის ცოდნას ბევრი ქართველიც კი არ თვლის სავალდებულოდ და, მით უმეტეს, არაქართველს რა პატივისცემა უნდა ჰქონდეს მის მიმართ.

მართალია, მეორეული მოვლენაა, მაგრამ მაინც რუსული კულტურა საკაცობრიო კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი და მიღწევაა.

საკაცობრიო თვალსაზრისით, ქართულ კულტურას კი ჯერჯერობით არსებითი როლი არ შეუსრულებია. ეს მომავლის ამოცანაა.

რაც ზემოთ ვთქვი, იმის გამო ნურვინ იფიქრებს, რომ საქართველოს ეროვნულ ენერგიას ნიჰილისტურად ვუყურებდე. არა, ასე არ არის. უბრალოდ მინდა ძალთა განლაგებას ფხიზელი თვალით შევხედოთ და ცხადად დავინახოთ, რანი ვართ და რანი შეიძლება ვიყოთ. იმასაც კარგად უნდა მივხვდეთ, რუსეთი რა არის, თორემ საქართველოს მომავლის განჭვრეტა გაგვიჭირდება.

როცა ყველაფერს ნათლად გავითვალისწინებთ, მკაფიოდ დავინახავთ, რომ რუსეთის ისტორიულ-ეროვნული მისია სხვაა და საქართველოსი – სრულიად სხვა.

რუსეთი მიისწრაფვის გახდეს მსოფლიოს იდეოლოგიური, კულტურული, პოლიტიკური და სამხედრო მეთაური, საქართველო კი ეროვნულ გადარჩენასა და არსებობის შენარჩუნებაზე ოცნებობს.

მიზნისა და ამოცანის ეს ძირეული განსხვავება, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ბედს უმზადებს რუსეთსა და საქართველოს. სხვადასხვა დავალებას აძლევს მოაზროვნე რუსს და მოაზროვნე ქართველს.

საქართველო ამჟამად ერთ ეკონომიკურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ-კულტურულ სისტემაში შედის, რომელსაც ოფიციალურად სსრკ ეწოდება. სსრკ ყველგან, მთელ მსოფლიოში, აღიქმება რუსეთად. ეს მართალიც არის. სსრკ-ს ძირითადი მდინარე არის რუსეთი, ხოლო დანარჩენი ქვეყნები, ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკები, მისი შენაკადებია. როცა დიდ მდინარეს პაწია რუები უერთდება, სახელიც და სახრავიც იმ დიდ მდინარეს ეკუთვნის და ნაკადულები აღარავის ახსოვს. ლიახვი თუ არაგვი მანამდეა ლიახვი და არაგვი, სანამ მტკვარს შეუერთდება, თორემ შეერთების მერე ორივე მტკვარია. ისიც კი აღარავის ახსოვს, რომ მტკვარს ლიახვის და არაგვის წყალი ურევია. ეს ყოველი შეერთების ბუნებრივი კანონზომიერებაა: დიდი ყლაპავს პატარას.

ისიც კარგად და მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მკაფიოდ გვითხრეს – უკვე ჩამოყალიბდაო ერთიანი საბჭოთა ხალხი.

ცნებაში – „ერთიანი საბჭოთა ხალხი“ – სიტყვა „საბჭოთა“ განსაზღვრავს ამ ერთიანი ხალხის ცხოვრების სოციალ-პოლიტიკურ ხასიათს. ამიტომ ბუნებრივად ისმის კითხვა: ეროვნულად ეს ერთიანი ხალხი ვინ არის?

როგორც წესი, ხალხის ერთიანობა გულისხმობს ტერიტორიულ, იდეოლოგიურ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ენობრივ ერთიანობას. ტერიტორიუ-

ლად, იდეოლოგიურად, კულტურულად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად დღეს სსრკ მოსახლეობა მართლაც ერთიანია. მაგრამ ამ ერთიანი ხალხის ერთიანი ენა რომელია? არა მგონია, გონიერ კაცს ამ კითხვის პასუხი გაუჭირდეს – რუსული ენა.

მაშასადამე, თუ მართლაც ჩამოყალიბდა ერთიანი საბჭოთა ხალხი, მაშინ იგი ეროვნულად რუსია.

რამდენიმე ერის შერწყმით რაღაც ახალი ეროვნული ერთეული არ მიიღება. ასეთი მაგალითი ისტორიამ არ იცის. შერწყმა-შეერთების დროს დიდი და ძლიერი ერი ნთქავს სუსტსა და პატარა ერებს. სსრკ-ის პირობებში ეს დიდი და ძლიერი ერი რუსი ხალხია და იგი ყლაპავს სხვა სუსტსა და პატარა ერებს. ეს უტყუარი კანონზომიერებაა და თუ კაცი თავს ძალად არ იბრმავებს და იყრუებს, ამას ნათლად ხედავს და ესმის.

ამგვარ ვითარებაში ქართულ ენას რჩება პატუა-ენის (შინ სახმარი ენის) ფუნქცია. როგორც ყველა პატუა-ენა, ქართულიც თანდათანობით გადაგვარდება და დაკარგავს კულტურულ-მწიგნობრული ენის მნიშვნელობას. დღეს ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. როგორც კი ეს პროცესი დასრულდება, ქართველი ხალხის გარუსების პრობლემაც გადაწყვეტილი იქნება. მაგრამ ჯერჯერობით პრობლემა პრობლემად რჩება და სანამ ასეა, გადარჩენის იმედი კიდევ შეიძლება ვიქონიოთ.

დღეს ქართველი ხალხის წინაშე სრულიად ნათელი ალტერნატივა დგას – ან გარუსდეს, ან დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის იბრძოლოს. მესამე გზა არ არსებობს. თუ ვინმე საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილია, იმას უნდა ვუთხრა: ისტორია ერთ ადგილას არ დგას. იგი მუდმივად მოძრაობს და წინ მიდის. ამიტომ ვერც საქართველო გაჩერდება ერთ მდგომარეობაში. ისტორიის მსვლელობა მასაც აიძულებს, უნდა თუ არა, იმოძრაოს. ამ მოძრაობას კი, როგორც ითქვა, ორი მიმართულება აქვს – გარუსებისაკენ და ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ. ან ერთი უნდა აირჩიო, ან მეორე. ამიტომ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილებს, სურთ თუ არა ეს, მოუწევთ გარუსება. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ მათი კმაყოფილება გარუსების მოლოდინითაც იყოს გამოწვეული. ბრიყვი ყველა ერში უთვალავი რაოდენობით არის.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა საჭირო. ბრძოლას კი წინამძღოლი და მეთაური სჭირდება. ვინ იქნება იგი?

ქართველი კომუნისტები ამ ფუნქციას ვერ შეასრულებენ, რამეთუ, როგორც სკკპ წევრები, მოვალენი არიან მოსკოვს ბრმად ემორჩილებოდნენ და მის განკარგულებებს უყოყმანოდ ასრულებდნენ. თუ ვინმე გაბედავს სხვაგვარად მოიქცეს, მას მაშინვე კატორღაში უკრავენ თავს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ სკკპ-ში მონური მორჩილება არსებობს და არავის აქვს უფლება საკუთარი აზრი ჰქონდეს. ამიტომ ქართველი კომუნისტები არ გამოხატავენ ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესს, თუმცა წამდაუწუმ ჩაგვჩიჩინებენ – სხვა მიზანი, საფიქრალი და დანიშნულება არ გაგვაჩნია, თუ არა საქართველოს მოვლა-პატრონობაო. რა თქმა უნდა, მათ ევალებათ საქართველოს, როგორც რუსეთის პროვინციის, მოვლა-პატრონობა და ამას შეძლებისდაგვარად აკეთებენ კიდეც. მაგრამ მე ვლაპარაკობ საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობაზე და, ცხადია, რომ ამ ფუნქციის შემსრულებლად ქართველი კომუნისტები არ გამოდგებიან. ეს ისტორიამაც დაამტკიცა და დღევანდელობამაც.

დღეს ყოველი ხალხი იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის და ქართველი ხალხიც ვერ გამოეთიშება ამ საერთაშორისო მოძრაობას, თუ მას საბოლოოდ არ დაუკარგავს ნაციონალური ღირსება.

უნდა ითქვას ისიც, რომ სკკპ არც სოციალური თვალსაზრისით გამოხატავს მშრომელი ხალხის გულისნადებს, მის სურვილსა და მისწრაფებას. საბუთად მოვუხმოთ ნარკვევს – „მთას დაუბრუნდა მთიელი“ (ავტორია კ. ლორთქიფანიძე).

მე-20 საუკუნის 40-50-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა მთიდან ბარში ჩამოერეკა მოსახლეობა. მაშინ მთის დაცარიელება და ბარის ჭარბად დასახლება ფრიად აქტუალურ, პროგრესულ და საჭირო საქმედ მიაჩნდათ. საქართველოს მთიანეთის ერთი ნაწილი ძალითა და ცემა-ტყეპით ჩამოათრიეს ბარში. პრესა და მწერლობა ხმაშეწყობილი გამაყრუებლად კიოდა – ხალხის ბედნიერებისათვის კეთდებაო ეს.

არ გასულა 20-30 წელიც, რომ გამოირკვა – მთის დაცარიელება უდიდესი უბედურება ყოფილა ქვეყნისათვის და ამიტომ ბარში დასახლებული ოჯახები, 70-იან წლებში, ისევ აჰყარეს და უკან მთაში აასხეს.

ეს ამბავია აღწერილი კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევში და ვნახოთ – როგორ.

აყრილ, უხალხო, უპატრონო სოფელ ჭერემში ერთადერთი ოჯახია დარჩენილი – ნიკა ჯაჭვაძისა.

„ერთხელ, შუაღამისას, ჯავრისაგან გულგამოხრულმა ნიკამ ყური მიუგდო ნადირის ყმუილს. მერე უეცრად თვითონაც აყმუვლდა, ბანი მისცა ტყიურს...

– რა დაგემართა, ნიკავ, გაგიჟდი, კაცო! – გამოსძახა ოთახიდან ქალმა.

– მგლებში ვცხოვრობ, ანეტა, და მგელივით უნდა ვიყმუვლო! – მიუგო ნიკამ“.1

მე-19 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ ბევრნაირი უსამართლობა და უკანონობა დახატა – გლეხის უღელში შებმით დაწყებული და ეგზეკუციური ძარცვა-გლეჯით დამთავრებული, მაგრამ ადამიანის მგლადქცევის ნატვრა არ აუწერია. გასულ ასწლეულში არ მომხდარა შემთხვევა, რომ გლეხს ეთქვას – მგლებში ვცხოვრობ და მგელივით უნდა ვიყმუვლოო.

ხალხის ასაყრელად ძალდატანების გაუგონარ და არნახულ ფორმებს მიმართავდნენ. როცა სოფელმა ჭერემმა უარი თქვა გადასახლებაზე, მაშინ „გაჯიქება ეგრე არ უნდაო, – გაჯავრდნენ ხელისუფალნი და ჭერემს ჯერ ელექტროსადგური მოუშალეს, სოფელი ბნელში დატოვეს. მერე წისქვილებს წყალი გადაუგდეს და, როცა ძალმომრეობამ სოფელი მაინც ვერ გატეხა, მაშინ უებრო წამალი მოიგონეს: სახლის სახურავზე მილიციელები ავიდნენ და კრამიტი გადმოყარეს, აღარც ახლა წახვალთო? წავიდნენ“.2

ჩვენს ლიტერატურაში გლეხის აწიოკების ყველაზე შემზარავი სურათი ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილშია“ აღწერილი. მაგრამ იქ უბედურება მხოლოდ ერთ ოჯახს ატყდება თავს და არა მთელ სოფელს. ჭერემში კი მთელი სოფელი (ვინ უწყის, საერთოდ რამდენი სოფელი!) გახდა ძალმომრეობის მსხვერპლი. ვერც ერთი ქვეყნისა და ხალხის ლიტერატურაში ვერ წაიკითხავთ, რომ მთელი სოფლისათვის ელსადგური მოეშალოთ, წისქვილებისათვის წყალი გადაეგდოთ და პოლიციას სახლებისათვის სახურავები აეხადოს. ამის მსგავსი სურათი წარსული საუკუნის არც ქართულ ლიტერატურაში დახატულა და, თუ არ ვცდები, არც რუსულში. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ეს ჩაიდინა და თან ურცხვად ამტკიცებდა, ხალხის კეთილდღეობისათვის ვაკეთებო ამას.

ისიც ფრიად საგულისხმოა, მშრომელი გლეხობის ამ არსმენილ უბედურებას აღწერს მწერალი, რომელმაც სულითა და გულით უმღერა სოფლად სოციალიზმის დამკვიდრებას (იხილეთ რომანი „კოლხეთის ცისკარი“).

მივყვეთ ისევ ჭერემელთა თავგადასავალს.

ჭერემიდან გადასახლებულ ნიკა ჯაჭვაძეს გულმა ვერ გაუძლო და ერთ გაზაფხულს ისევ სოფელში დაბრუნდა.

„... საღამოხანს იგი უკვე სოფელ გადრეკილში იყო. მეგობარ კაცს ხარი და კავი გამოართვა და იმავე ღამეს ჭერემში ავიდა.

ბევრი არა, – ერთი ჩარექა მიწა მოხნა და სიმინდი დათესა.

...

დათესა და ისევ გამარჯვებაში დაბრუნდა.

ჭერემში ხშირად ამოდიოდნენ მეთვალყურეები. ფხიზლობდნენ, თვალს ადევნებდნენ, რომ ჭერემში არავინ დაბრუნებულიყო. ერთხელ დაინახეს ახლად მოხნულ-დაფარცხული მინდორი და ქვეყანა შეჰყარეს, ვისია ყანა, ვინ დათესაო.

იცოდნენ, მაგრამ სდუმდნენ.

მეთვალყურეებმა გული არ გაიტეხეს, ვინც ამ მიწაში თესლი ჩააგდო, იგი ყანას უთოხოდ არ დატოვებსო.

მართლაც, სიმინდი დაორყურდა თუ არა, ნიკაც ყანაში გამოჩნდა.

გამოჩნდნენ ისინიც, გახურებულ თოხნის დროს თავზე წაადგნენ და... – ახლა კი გაგაბითო! – უთხრეს და იქვე დააპატიმრეს, მისი „საქმე“ კი სახალხო სასამართლოს გადასცეს.

გამოძიებამ ძველი „ცოდვები“ გაუხსენა ნიკა ჯაჭვაძეს: მოსკოვი, გორკინის სახელზე დაწერილი საჩივარი, ხალხის წაქეზება, ჭერემიდან ფეხი არ მოიცვალოთო. გაუხსენეს ერთი კაცის სოფელი, რამაც ქვეყანა აალაპარაკა.

მერე ბრალი დასდეს...

რა დანაშაულში?

სასამართლომ იმსჯელა და სახელმწიფო მიწის დატაცებისათვის ნიკა ჯაჭვაძეს სამი წლის ციხე მიუსაჯა.

გაგეცინება, მკითხველო, – არა, გული გეტკინება, თმა ყალყზე დაგიდგება, როდესაც ამგვარ წრეგადასულ უსამართლობას წააწყდები.

კაცი დავბერდი, მთელი ჩემი დღე და მოსწრება ქართული სოფლის ცხოვრების შუაგულში ვტრიალებდი, და ჯერ ასეთი საარაკო ამბავი არ გამიგონია. პატიოსანი მშრომელი კაცი ციხეში გამოამწყვდიეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან სადღაც ნაპარტახალ სოფელში ერთი ჩარექა მიწა მოხნა და სიმინდი დათესა“.1

ამ გრძელ ამონაწერს განმარტება არ სჭირდება. დღესავით ნათლად არის დახატული – რა დღეში ჩააგდო გლეხი საბჭოთა ხელისუფლებამ.

დემაგოგები აყვირდებიან: კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება რა შუაშია, ეს ცალკეული პირების შეცდომაო.

ამის პასუხად უნდა ვთქვა –

ჯერ ერთი, თვალუწვდენელ ქვეყანაში ადამიანი სამართალს რომ ვერ იპოვნის, ეს მხოლოდ ცალკეული პირების შეცდომაა?

მეორეც, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ამ ცალკეული პირების შეცდომას საშველი არ დაადგა, რის გამოც უდანაშაულოდ დასჯილთა რიცხვმა ათეულ მილიონებს გადააჭარბა. მადლობა ღმერთს, ეს თვით სკკპ აღიარა მე-20, 21-ე და 22-ე ყრილობებზე. მომავალში კიდევ რამდენს აღიარებენ, ეს ალაჰმა უწყის.

მესამეც, როგორ ხდება, რომ ცალკეულ პირთა შეცდომებს მთელი პარტია ათეული წლების მანძილზე ვერ ასწორებს?

მეოთხეც, 60-იანი წლების დასაწყისში სკკპ საზეიმო ფიცით დაჰპირდა საბჭოთა ხალხს – „პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს“.2 მაშინ მთელ სსრკ-ში ბუკი და ნაღარა ქუხდა, დაფდაფებს ბაგაბუგი გაჰქონდა. პრესა გადაჭრელებული იყო – კომუნიზმის კარიბჭესთან ვდგავართო. ახლა ყველა და ყველაფერი დუმს, კრინტს აღარავინ ძრავს, გატრუნული არიან, თითქოს ეს დაპირება სკკპ პროგრამაში არ ეწეროს. მეტი რა გზა დარჩათ. უნდა გაჩუმდნენ, რადგან ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ქვეყანა თავზე ექცევათ. დაპირების შესრულება კი არა, ლუკმა-პური უჭირთ და 80-იან წლებში 26-ე ყრილობა მოიწვიეს სურსათ-სანოვაგის პრობლემის მოსაგვარებლად. იმას, რაც 60 წელიწადში ვერ მოაგვარეს, ხუთ წელიწადში უნდათ უშველონ.

მეხუთეც, ამდენი ტყუილის შემდეგ, სად არის გარანტია, რომ სკკპ ისევ არ შეცდება? მილიონობით მსხვერპლის მერე ისევ და ისევ არ დაიწყება თავისმართლება – შეცდომა მავანი და მავანი „ბელადის“ ბრალიაო?

ამის გარანტია, ცხადია, არსად არის და არც იქნება. არ იქნება სსრკ-ში გაბატონებული ერთი ჩვეულების გამო: ანდაზა ამბობს: ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. სსრკ-ში ის კაცი, ვინც ურმის გადაბრუნებამდე მიხვდება, ამ გზაზე ხიფათია მოსალოდნელი და არ უნდა წავიდეთო, მტრად არის გამოცხადებული და პირში ბურთი აქვს ჩაჩრილი (რა თქმა უნდა, თუ თავის წაწყვეტას გადარჩა), ხოლო იგი, ვინც ურმის გადაბრუნების მერე თვალთმაქცურად აყვირდება, გზა უვარგისი იყოო, გმირად და ქვეყნის მხსნელად არის აღიარებული. საქმიანობისა და პატიოსნების კრიტერიუმის ასე თავდაყირა დაყენებამ სსრკ-ში მოსპო ყოველგვარი იმედი მდგომარეობის მოწესრიგებისა.

კომუნისტებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ამა თუ იმ დაუსაბუთებელი იდეის ამოჩემება-აკვიატება. ერთ მშვენიერ დღეს ნათელი გახდება, რომ აკვიატებული იდეის განხორციელება შეუძლებელია ან ხელსაყრელი არ არის. იმის მაგიერ, რომ უარჰყონ ამგვარი იდეა, იწყებენ მის „განხორციელებას“ ძალით, დაჭერა-გადასახლებით, ტოტალური შიშის დანერგვით. არ აკრთობთ არც ტანჯვა, არც სისხლი, არც მსხვერპლი, ოღონდ აკვიატებული იდეა „საქმედ აქციონ“. მიუხედავად ამისა, ბოლოს და ბოლოს, მაინც არაფერი გამოდის, რამეთუ ყოველივე ანტიბუნებრივი უდღეური და მკვდრადშობილია. როცა სისხლიანი და მსხვერპლიანი აკვიატებული იდეა ჩაფლავდება, იძულებული არიან უარი თქვან მასზე და, თავისმართლების მიზნით, ყველაფერს ამა თუ იმ პარტიულ „ბელადს“ აბრალებენ. ნამუსის გასაწმენდად „დამნაშავე ბელადს“ მსხვერპლად სწირავენ ჩაშლილ აკვიატებულ იდეას. მერე ახალი „ბელადის“ წინამძღოლობით იწყებენ ახალი აკვიატებული იდეის ძველი ძალადური მეთოდით განხორციელებას. არც ამ ახალი აკვიატებული იდეიდან გამოდის რამე. ისიც ფლავდება. ისევ მსხვერპლად ეწირება „ბელადი“. ისევ ახალი „ბელადი“ დაჯდება. ისევ ახალი აკვიატებული იდეა გაჩნდება... და ასე დაუსრულებლად.

ასე ჩამოყალიბდა სსრკ-ში პოლიტიკური მოღვაწის ახალი სახეობა – ბელადი-ზვარაკი. ეს პოლიტიკოსი, სანამ პარტიული ლიდერის სკამზე ზის, ბელადია. როცა მოკვდება ან მოხსნიან – ზვარაკი. სანამ სკამზე ზის, უცდომელი ბელადია. როცა მოკვდება ან მოხსნიან, ყველა ბოროტმოქმედება მას ბრალდება და მსხვერპლად შესაწირი განტევების ვაცი ხდება.

სანიმუშოდ გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი.

20-იან წლებში საქართველოში ბრძოლა გამოუცხადეს სიმინდს, როგორც ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო კულტურას. დაიწყეს ვითომ უფრო პროგრესულის – რამისა და ჩაის პროპაგანდა. იწერებოდა ლექსები და რომანები, რომლებშიც დასცინოდნენ სიმინდს. მოიგონეთ კ. ლორთქიფანიძის რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, ანდა კ. ბობოხიძის ლექსი – „შემოდგომა“.1

თითქო დაიწყო გაზაფხული – ყვავის გერანი,
მხოლოდ სიმინდი ყვითლდება და ვატყობ დარდი აქვს,
სიმინდის ყანავ, შემოდგომით ხდები ვერანი,
უკანასკნელად ფერმიხდილი უმზერ განთიადს.
...
პლანტაციებო, ჩაი გიმზერს მაღალ ვაკიდან;
კულტურა რამის და გერანის რადგან მშვენდება,
ალბათ სიმინდმა დღეს სიცოცხლე ბეწვზე დაჰკიდა –
გაზაფხულივით შემოდგომა ჩაის ამწვანებს,
როცა გამხმარ ჩალის ღეროს ქარი აწვალებს...

გავიდა დრო. მიხვდნენ, რომ სიმინდი გადასაგდები არ ყოფილა. აკვიატებული იდეა დაგმეს და მსხვერპლად შესწირეს საქართველოს კპ ცკ მაშინდელი მდივნები.

50-იან წლებში ხრუშჩოვმა აშშ-ში იმოგზაურა. ნახა, რომ მარცვლეულის პრობლემას ამერიკელები სიმინდის საშუალებით აგვარებენ. გადაირია სიხარულით – თუ გვიშველის, სიმინდი გვიშველისო. იმდროინდელ საბჭოთა პრესას თუ გადაათვალიერებთ, ყველგან ხრუშჩოვის სურათს ნახავთ: „ბელადს“ სიმინდის ტარო აქვს პირში გაჩრილი. აქაო და ხრუშჩოვს სიმინდი მოეწონაო და დაიწყო ყველგან განუკითხავად სიმინდის თესვა. ბალტიისპირელებს ავალებდნენ, კარტოფილის მაგიერ, სიმინდი ეთესათ, ხოლო ქართველებს ურჩევდნენ, კახეთში ვენახი აჩეხეთ და სიმინდი მოაშენეთო. სიხარულით გაოგნებული ქართული პრესა შეხმატკბილებული გალობდა – კაცობრიობას ამგვარი სიბრძნე ჯერ არ სმენიაო.

ჩაფლავდა ხრუშჩოვის აკვიატებული იდეა და მას „ბელადი“ მსხვერპლად შესწირეს.

თუ 30-იან წლებში დაწერილ ლექსებს გადაიკითხავთ, ამგვარ სტრიქონებს წააწყდებით:

მოვიდა მასსა. კოღო გასრისა
და დაიძახა
ბამბა.
ბამბა.
ბამბა.
ბამბავენ ველს...
ბიჭებო, დასცხეთ
გ ზა პირდაპირი –
მინდორზე ბამბა იმედებს ლამბავს,
უძახის ბანით დობირს დობირი:
ბამბა.
ბამბა.
ბამბა.1

რატომ დაიწერა ეს ლექსი? იყო დრო, როცა კომპარტია საქართველოს ბამბის რესპუბლიკად გადაქცევას უპირებდა. იყო გაჩაღებული ბამბიადა პრესაში, მწერლობაში. იწერებოდა რაგინდარა ჟანრის ნაწარმოებნი ბამბის სადიდებლად. მერე აღმოჩნდა, რომ საქართველოში არ არის კლიმატური პირობები, რომელიც მებამბეობის განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპარტიის აკვიატებული იდეა ჩაფლავდა. განუხორციელებელ ოცნებას გადაყვნენ „ფანტაზიორი“ პარტმუშაკებიც და ბამბიადას პოეზიაც.

30-იანი წლების ბოლოს და 40-იან წლებში ახალი აკვიატებული იდეა აწამებდა კომუნისტებს – საქართველომ თავად უნდა უზრუნველყოსო თავისთავი საკუთარი პურით. „საქართველოს მტკიცედ აქვს აღებული კურსი იმისაკენ, რომ 1940 წლისათვის ძირითადად დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი საკუთარი პურით“.1 რისი 1940 წელი! „საკუთარი პურისათვის“ ბრძოლა ბერიას დახვრეტამდე გრძელდებოდა. საშინელი ამბავი დაატრიალეს. პურეულის დასათესად ყველაფერი გადახნეს – საძოვრები, სათიბები, ბაღ-ბოსტნები, ვენახები, ხორბლეული ვერ მოიყვანეს. სამაგიეროდ გაწყდა უსაძოვროდ დარჩენილი ცხვარი, დაიხოცა უთივოდ საქონელი, გაჩანაგდა ბაღ-ვენახი. როცა ქვეყანა ეკონომიკურად დაიქცა და ლავრენტი ბერიაც გაანადგურეს, მერე გადაიღეს შეცდომების „მამხილებელი“ ფილმი – „ჩრდილი გზაზე“.

მე-19 პარტყრილობაზე,1952 წლის ოქტომბერში, სკკპ-მ მალენკოვის პირით, გამოაცხადა, რომ „მარცვლეულის პრობლემა, რომელიც წინათ ყველაზე უფრო მწვავე და სერიოზულ პრობლემად ითვლებოდა, გადაჭრილია წარმატებით, გადაჭრილია საბოლოოდ და სამუდამოდ“.2

თუ მარცვლეულის პრობლემა 1952 წლისათვის იყო „გადაჭრილი საბოლოოდ და სამუდამოდ“, რატომღა ყიდულობს სსრკ დღეს მილიონობით ტონა ხორბლეულს უცხოეთში? რატომღა იმტვრევენ ცხვირ-პირს დღეს ამ საკითხის მოსაგვარებლად? არაფერი არ იყო გადაჭრილი 1952 წელს და არც ახლა – 80-იან წლებშია – მოგვარებული ეს პრობლემა. მალენკოვის განცხადება იყო მორიგი, ჩვეული ტყუილი, რითაც სკკპ უმასპინძლდება საბჭოთა მოქალაქეებს.

გამოხდა ხანი და „ბელადი“ მალენკოვიც სანაგვე ყუთში გადაისროლეს. შეცდომები მას დაბრალდა.

დღეს 26-ე ყრილობის იმედით სულდგმულობენ. იგი გადაწყვეტსო სასურსათო პრობლემებს. ანდაზაში ნათქვამია – აღდგომა და ხვალეო. ვნახოთ.

დასკვნის სახით გულახდილად უნდა ვთქვა ორი რამ:

პირველი ის, რომ სისხლიანი და მსხვერპლიანი აკვიატებული იდეა არასოდეს გამოხატავს ხალხის სურვილსა და მისწრაფებას. პირიქით, ყველა იდეა-ფიქსი ხალხის მტერია.

მეორე ის, რომ კომპარტიის ყრილობების თვინიერ არის მოწესრიგებული სურსათ-სანოვაგის პრობლემა ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ასე იყო ჩვენშიც: ყოველმა გლეხმა ჩინებულად იცოდა, როდის, სად და როგორ დაეთესა ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ჩაეყარა ვენახი, მოეშენებია ბაღჩა-ბაღი. არც ცხვარ-ძროხის გამრავლებას სჭირდებოდა კომპარტიის ცკ დადგენილებანი.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს, 1904 წელს, ქართველმა გლეხმა ძიკი კვარაცხელიამ რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ მეორეს აჩუქა ასი დარჩეული ხარი, ერთი ასაკის, ერთნაირი წონის, ერთი ფერის (ოქროსფერი), ერთნაირად თეთრრქიანი.1 ახლა მთელი სსრკ რომ დაიარო კიდით კიდე, ას ამნაირ ხარს ვერაფრით ვერ მოაგროვებ, თუმცა დადგენილებებს ტომობით ნახავ. მაშინ კი ამის გაკეთება ერთ მშრომელ გლეხკაცს შეეძლო (ოღონდ სოციალისტური შრომის გმირს – არა).

ასე გაჩნდა უფსკრული ხალხის ინტერესსა და კომპარტიის საქმიანობას შორის, როგორც სოციალური, ისე ეროვნული თვალსაზრისით.

ამგვარ სიტუაციაში ქართველი ხალხის პატრონად და ქომაგად ისევ მწერლობა უნდა დარჩეს. სხვა გამოსავალი არ არის. მაგრამ, თუ ქართული მწერლობა გაიზიარებს ლიტერატურის კომუნისტური პარტიულობის პრინციპს, იქნება მისი ერთგული, მაშინ იგი ჩვენი ხალხის მეთაურად არ გამოდგება. როგორც ცნობილია, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის ძირითადი ამოცანაა, მწერლობისა და ხელოვნების საშუალებით, პროპაგანდა გაეწიოს მოსკოვში შემუშავებულ დირექტივებს. მაშასადამე, დანერგოს კრემლიზმი, ანუ რუსული სოციალიზმი. კრემლიზმი კი, როგორც უკვე ითქვა, გამორიცხავს სხვა ხალხთა სურვილსა და მისწრაფებას და მხოლოდ რუსეთისას ემსახურება.

ავიღოთ უბრალო მაგალითი: დღეს შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარეობს БАМ-ის მშენებლობა. ბავშვმაც კი იცის, რომ ეს ხდება არა შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური ათვისების მიზნით, არამედ სამხედრო თავდაცვის ამოცანით. იქ, ჩინეთის სახით, რუსეთს დაუძინებელი მტერი ჰყავს. ჭარბად დასახლებულ ჩინეთს სულის მოსათქმელად ტერიტორია სჭირდება. ეს ტერიტორია არის ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ჩინეთიც ემზადება წაართვას იგი რუსეთს. რუსეთმა ამ ტერიტორიის დასაპყრობად სისხლი დაღვარა. ცხადია, მისი დათმობა აღარ უნდა. არც დათმობს, სანამ ძალ-ღონე ეყოფა. ამიტომ მომავალი, გარდაუვალი რუსეთ-ჩინეთის ომისათვის აუცილებელია ამ ტერიტორიის სამხედრო გამაგრება-ათვისება.

БАМ -ის რკინიგზის მშენებლობაც ამ ამოცანას ემსახურება, მაშასადამე БАМ -ი რუსეთის ეროვნული თავდაცვის კედელია შორეულ აღმოსავლეთში.

თუ ქართველი თავს რუსად არ თვლის, მაშინ მას БАМ -ის მშენებლობაზე არაფერი ესაქმება. ტყუილად ღვრის იქ სისხლსა და ოფლს. ჩინეთი საქართველოს არ ემუქრება. ერთი ციცქნა ქართული ტერიტორია მას არაფრად სჭირდება.

ეს ერთი. მეორეც: თუ ქართველი ეროვნულად თავისუფალი არ იქნება, განა სულერთი არ არის, ვინ იქნება მისი ბატონი – რუსი თუ ჩინელი? ანდაზა ამბობს: გინდ მგელს შევუჭამივარ, გინდ – მგლისფერ ძაღლსო. თუ იმდენად დაგვიჩლუნგდა გონება, რომ რუსის სტომაქზე უკეთესი ვერაფერი წარმოგვიდგენია?

მესამეც: ისტორიული პერსპექტივაც ხომ უნდა დავინახოთ. რუსეთი კაცობრიობის ისტორიაში უკანასკნელი იმპერიაა. როგორც სხვა იმპერიებს, მასაც უეჭველი დაშლა მოელის. ეს შორეული ამბავი არ არის. ეს მე-20 საუკუნის ბოლომდე მოხდება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ შორს არ არის ის დღე, როცა ჩინური ოკეანე ჯებირს გაარღვევს და სსრკ-ს მოედება. ტყუილად ჰგონია ვისმეს, რომ დღევანდელი რუსეთის სამხედრო სიძლიერე რაიმე უპირატესობის ნიშანია. ატომისა თუ წყალბადის ბომბების დამზადება ახლა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. უახლოეს წლებში ჩინეთი თანამედროვე იარაღით ისევე იქნება თავით ფეხამდე შეიარაღებული, როგორც რუსეთია. ასეც რომ არ მოხდეს, თითქმის მილიარდი მოსახლეობა ისეთი ძალაა, რომელსაც ვერავითარი იარაღი ვერ დაუდგება წინ. ბოლოს და ბოლოს ანეკდოტური შემთხვევა შეიძლება მოხდეს. სამასი მილიონი ჩინელი რუსეთს ტყვედ დანებდეს. 260-მილიონიან სსრკ ეს ტყვეები ისე შეჭამენ, რომ ჩინეთში ვერც გაიგებენ, დააკლდათ თუ არა მოსახლეობა. ასეთი ფანტასტიკური საშიშროების წინაშე დგას რუსეთი. ამიტომ რუსი პოლიტიკოსები, თუ მთლად არ გამოყეყეჩებულან, იმ ხალხების ეროვნულ თავისუფლებაზე უნდა ფიქრობდნენ, რომელნიც იმპერიის ფარგლებში ცხოვრობენ. რა ურჩევნია რუსეთს – ჩინეთი მოვიდეს სსრკ-ში, როგორც დაპყრობილი ერების გამანთავისუფლებელი თუ პირიქით, ახალი დამპყრობელი იმ ხალხებისა, რომელთაც რუსეთმა ნებაყოფლობით მისცა ეროვნული თავისუფლება. გონიერი კაცისათვის ამ კითხვის პასუხი ნათელია.

ეს სიტუაცია, რუს პოლიტიკოსებთან ერთად, БАМ -იადის მგალობელმა ქართველმა მწერლებმაც უნდა გაითვალისწინონ. БАМ -იადა ანტიქართული საქმიანობაა. ეს თვალნათლივ დაადასტურა ვინმე რიბაკოვსკის წერილმა „პრავდაში“.1 ამ წერილით „პრავდამ“ მკაფიოდ გვითხრა: ამიერკავკასიელები და შუაზიელები ძალას ნუ გამოგვაყენებინებთ. თქვენი სურვილით აიკარით გუდა-ნაბადი და ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გადასახლდითო. დრო აღარ ითმენს და ეს საქმე 80-იან წლებში უნდა მოვათაოთო.

როგორც ჩანს, ამ საშინელი მუქარის არსი ვერ ამოვიცანით, რაკი ასე თავგამეტებული შრომობს БАМ -ზე ქართველი და ქართული პრესა, რადიო-ტელევიზია ასეთ საგულდაგულო პროპაგანდას უწევს მას.

ამის წაკითხვისას შეიძლება ზოგიერთი გაცხარდეს: ჩვენი რა ბრალია, რუსები გვაძალებენ და იძულებული ვართო БАМ -ზე სამუშაოდაც წავიდეთ, ვუმღეროთ კიდეც და პროპაგანდაც გავუწიოთო. ვინც ამას იტყვის, იგი ხომ დაადასტურებს ამით, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესი სხვაა და რუსეთისა – სხვა.

მე-19 საუკუნეშიაც აშენებდნენ რუსები შორეულ აღმოსავლეთს, იბრძოდნენ მის ასათვისებლად, მაგრამ ქართველი მწერლისათვის არავის დაუვალებია იმ მშენებლობაზე წერე და პროპაგანდა გაუწიეო. რატომ? იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცარიზმი ვერ ბედავდა აშკარად ეთქვა – რუსისა და ქართველის მისია ერთნაირია და ქართული მწერლობა რუსეთის იმპერიის ყურმოჭრილი მსახური უნდა გახდესო. ცარიზმი ჩუმად, მიპარვით ცდილობდა რუსიფიკაციის აქტის ჩატარებას. რუს კო-

მუნისტებს კი არაფრის ეშინიათ. მათ რუსულ შოვინიზმს ინტერნაციონალიზმის ნიღაბი ააფარეს და ლიტერატურის, პარტიულობის პრინციპის მომარჯვებით, ყველა არარუსი ხალხის მწერლობა რუსეთის სამსახურში ჩააყენეს. იმდენად არის ყველა დამფრთხალი და თავზარდაცემული, რომ საწინააღმდეგოდ კრინტის დაძვრას ვერავინ ბედავს.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა არა მარტო თანამედროვე პრობლემებზე მსჯელობისას შეუკრა კრიჭა ქართულ მწერლობას, არამედ – წარსულისაც. მაგალითად, იგი ხმას ვერ იღებს იმ ქართველი მოღვაწეების საქმიანობაზე, რომელთაც არ უნდოდათ საქართველოს რუსეთთან შეერთება ან შემდგომ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ემსახურებოდნენ.

მე-18 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის სოლომონ ლიონიძის სახელი და საქმიანობა მიჩქმალულია, რაკი იგი, სოლომონ მეორესთან ერთად, რუსეთს ებრძოდა და არ შეეგუა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას. თუ გაიხსენებენ მხოლოდ იმიტომ, რომ დიდებული სიტყვა წარმოთქვა ერეკლე მეორის დასაფლავებაზე. სოლომონ ლიონიძის რეაბილიტაციისათვის აუცილებელი გახდა იმის მტკიცება, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი მისი ხელით არისო დაწერილი.1 შეიძლება სოლომონ ლიონიძე ტრაქტატის დაწერაში მართლაც მონაწილეობდა2, მაგრამ იმ ფაქტს რა ვუყოთ, რომ რუსეთმა ეს ხელშეკრულება ფეხქვეშ გათელა, მისი არც ერთი მუხლი არ შეასრულა და რუსეთის მფარველობაზე მეოცნებე ბაგრატიონთა დინასტია ურცხვად მოატყუა და გააცუცურაკა?

ალექსანდრე ბატონიშვილი ხომ პირდაპირ ჩაქოლვას იმსახურებს, რაკი საქართველოში რუსეთის გაბატონების წინააღმდეგი იყო.

არც სოლომონ მეორე სარგებლობს ჩვენი სიყვარულით. ესეც იმიტომ, რომ არც იგი შეგებებია ხელგაშლილი და აღტაცებული რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას. სანამ შეეძლო თავგამოდებული ებრძოდა მტერს.

სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული ალექსანდრე ამილახვარი, ავტორი ტრაქტატისა „ბრძენი აღმოსავლეთისა“. ეს მოაზროვნე განდევნილი გვყავს ქართული აზროვნების ისტორიიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ერეკლე მეორე არ უყვარდა და ებრძოდა მას. დღევანდელ საქართველოში ერეკლე მეორისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ისევეა აკრძალული, როგორც მარქსისა და ლენინისადმი. რაკი ერეკლე რუსეთის ტრფიალად არის ჩათვლილი, ქართველ კომუნისტებს მონარქი იდეალად ჰყავთ მიჩნეული. რუსეთის ხათრით იდეოლოგიური ნიღაბიც კი ჩამოიხსნეს.

ამ მდგომარეობაში არ არიან მარტო მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეები. მე-19 თუ მე-20 ასწლეულების მოღვაწეებსაც იგივე დღე ადგათ.

არჩილ ჯორჯაძის წიგნების გამოცემა არ შეიძლება. ისინი ქართველს ეროვნულ ღირსებას ახსენებენ. ამიტომ მე-19 საუკუნის დასასრულისა და მეოცის დასაწყისის ყველაზე გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეს არც ახალგაზრდობა იცნობს და არც ფართო საზოგადოება. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ რუსული მოდელის მიხედვით არ აზროვნებდა. ამიტომ ეშინიათ მისი ხსენება ისტორიკოსებსა და ლიტერატურისმცოდნეებს. თუ ახსენეს, აუცილებლად უნდა დაგმონ.

მენშევიკი გიორგი პლეხანოვი მოკრძალებით და პატივისცემით სარგებლობს (თბილისში მისი სახელობის პროსპექტიც არის), მენშევიკი ნოე ჟორდანია კი ლანძღვა-გინების წუმპეშია ამოსვრილი. საქართველოში მარქსიზმის ერთ-ერთმა პირველმა პროპაგანდისტმა და, რუსეთის იმპერიის მასშტაბით, უგანათლებულესმა სოციალ-დემოკრატმა ეს რისხვა დღევანდელ საქართველოში იმით კი არ დაიმსახურა, რომ მენშევიკური მიმართულების პოლიტიკური მოღვაწე იყო (ასე რომ ყოფილიყო, მაშინ პლეხანოვიც უნდა დაეგმოთ, მაგრამ მისი წიგნები დიდი ტირაჟით იცემა სსრკ-ში), არამედ იმით, რომ მისი სახელი ქართველს პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკას ახსენებს, პირველ ქართველ პრეზიდენტს და 26 მაისის იდეალებს. ეს

კი ქართველს აკრძალული აქვს. თუ ვინიცობაა, ახსენა, უთუოდ ლაფი უნდა დაასხას. ასე სურთ მოსკოვში და იმიტომ.

პავლიკ მოროზოვს, რომელმაც მამა გაყიდა, ქართული პოეზია უმღერის.1 მაგრამ არავის ახსოვს 1921 წლის 23 თებერვალს ყოფილი სამხედრო ტაძრის (ამ ადგილას ახლა მთავრობის სახლი დგას) გალავანში საძმო საფლავში ჩასვენებული ახალგაზრდა ქართველი ოფიცრები და სტუდენტები არჯევან ანანიაშვილი, ალექსანდრე ახვლედიანი, ირაკლი თოიძე, პავლე იაკობაშვილი, ნიკოლოზ სტურუა, ნიკოლოზ ზანდუკელი, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკოლოზ კალანდარიშვილი და სხვანი.

ემიგრანტი პოეტი ვანო ბაქრაძე გოდებს:

დღეს 24 თებერვალია,
ტაბახმელისა ვიგონებ გმირებს.
ვფიქრობ, რომ იქაც საქართველოში
მათ საფლავებზე მოფენენ ვარდებს
და ჩუმად ვინმე ააწკარუნებს
სიონის ტაძრის დამტვრეულ ზარებს.1

ვაი, რომ ცრუ იმედია!

არავინ იცნობს და არც არვის ახსოვს მათთან ერთად დაკრძალული მარიამ კოტეს ასული მაყაშვილი, ჩვიდმეტი წლის მოწყალების დაი. ისინი დაიღუპნენ კოჯორთან, საქართველოს დასაპყრობად მოსულ რუსთა მეთერთმეტე არმიასთან ბრძოლაში. ისინი ხომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ღირსების დაცვას შეეწირნენ! მაგრამ ქართულ მწერლობას აკრძალული აქვს მათზე წერა, რამეთუ ტყუილი უნდა დაინერგოს, თითქოს ქართველმა ხალხმა ნებაყოფლობით თქვა უარი თავისუფლებაზე და ხელგაშლილი შეეგება ბოლშევიკურ რუსეთს.

აწინდელმა ქართველმა მკითხველმა არ იცის, თორემ ქართულმა პოეზიამ უმღერა მარო მაყაშვილის გმირობას. მაგალითად, რაჟდენ გვეტაძემ ლექსით – „ტირილი პროსპექტზე მთვარიან ღამეში (მარო მაყაშვილს)“.2

მე არ გიცნობდი ამორძალო, სწორო თამარის,
მაქვს სანანებლად თქვენი სახის უნახველობა.
მაგრამ ამბობენ: რაფაელის უნდა ხელობა
თქვენს ნამდვილ პორტრეტს, დღეს რომ ვარდი
ფარავს სამარის.

მამამ, კოტე მაყაშვილმაც მიუძღვნა შვილს ლექსი – „ჩემს მაროს“:1

არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!
გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით:
საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით...
დავიღალე... დავიჩაგრე... და შენი ვარ მხმობელი,
ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელი!
სამშობლო თუ შენ – რომელი, ახ, ვიტირო რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის სხვათა ცრემლის მშრობელი!..

როცა ხალხი ეროვნული თავისუფლებისათვის წამებულთ არ ახსენებს, ეს ეროვნული სინდისის დაკნინება-დაქვეითებას ნიშნავს. მწერლობა კი უპირველესად ეროვნული სინდის-ნამუსის გამოვლენა-გამომჟღავნებაა. ამის უფლება ჩამოართვა სწორედ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ქართულ მწერლობას. ამით ნათ-

ლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა დღეში ჩავარდა ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურა.

ქართული საბჭოური ლიტერატურისმცოდნეობა იძულებულია ბევრი ქართველი მწერალი, რომელთაც ცხოვრება 26 მაისისა და 25 თებერვლის მიჯნაზე მოუწიათ, ცალმხრივად განიხილოს და წარმოადგინოს.

აღარ იბეჭდება და აღარ ლაპარაკობენ გერონტი ქიქოძის წიგნზე – „ეროვნული ენერგია“, ანდა სხვა წერილებზე, რომლებიც დასტამბულია 1921 წლამდე. დამოუკიდებლობისა და თავისუფლების თვალსაზრისით, ქართველი ხალხის ეროვნული ენერგიის განხილვა დღეს არასასურველია. ხომ შეიძლება საკუთარი ძალის რწმენა აღდგეს ჩვენს ერში!

ახლანდელმა მკითხველმა არ იცის, რომ იოსებ გრიშაშვილი ასეთ ლექსებსაც წერდა:

დღეს კი ქართველი გულში მუდამ წყევლას აჩაღებს,
და სწყევლის იმას, ვინც ჩრდილოეთის ველურ ყაჩაღებს
გაუღო კარი თერგდალეულ დარიალისა.2

ცდილობენ ი. გრიშაშვილი წარმოადგინონ მხოლოდ როგორც საბჭოთა ხელისუფლების მომღერალი. მისი ასე ცალპირად დახატვა აიოლებს ლიტერატურათმცოდნეობის საქმიანობას. აადვილებს იმიტომ, რომ, თუ ვაჩვენებთ როგორი მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა გადალახა პოეტმა, მაშინ ისიც უნდა აიხსნას – როგორ გახდა ი. გრიშაშვილი ეროვნული თავისუფლების ქადაგიდან საბჭოთა ხელისუფლების მეხოტბე. ეს არ მომხდარა ნებაყოფლობით, მსოფლმხედველობის ბუნებრივი განვითარებით. იგი მოხდა შიშით, ძალდატანებით, მათრახით. თუ ყველაფერი აშკარად ითქმის, მაშინ საზოგადოება მკაფიოდ დაინახავს, როგორი ჯოჯოხეთური წამების დარჯაკში გაიარა ყოველმა ქართველმა მწერალმა, რომ ცოცხალი გადარჩენილიყო.

დღეს არავინ იცის, როგორ მოუწოდებდა აკაკი შანიძე – „აბა, ფრთხილად, ქართველებო!.. ნუ, ნუ ვაღებთ დარიალსა!..“1

არც ალექსანდრე აბაშელის ამგვარ ლექსებს იცნობს ქართველი საზოგადოება:

დაჰკრავს საათი კერპთა დასეტყვის,
მიწას მოივლის ცეცხლის მოდება
და ძველ ქვეყანას რეკვიემს ეტყვის
ჩემი ნაღვლიან სულის გოდება,
ოხ, ჩემთვის ძნელი მისაღებია
შურისძიება ახალ მეტოქის
ცეცხლის ეკრანზე ისახებიან
ძვირფასი ჩრდილნი წარსულ ეპოქის.
ცეცხლში უეცრად გადასხვაფერდა
ძველი ფიქრები და იმედები
და ილეწება ბორკილთან ერთად
წარსულ დიდების თეთრი სვეტები.
და ერის ტანჯვის გამომსახველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი,
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი.
და ჩემს ფიქრებში ცრემლი გროვდება,
ვიღაც ჩურჩულებს არ არის მკვდარი!..
დროთა მიჯნაზე საღამოვდება,

*სადღაც ჰქვითინებს მწუხარე თარი...*1

მიფუჩეჩებულია და ნაცარწაყრილი ეროვნული ტკივილი, რაც არსებითი პრობლემა იყო ქართული მწერლობისა. გაცემულია დირექტივა: ეროვნული საკითხი სამუდამოდ მოგვარებულია და მასზე ლაპარაკი საჭირო აღარ არის. ამიტომ ისიც უნდა დაივიწყო, რასაც წარსულში ამბობენ. მართალია, ჭრილობა ისევ გტკივა და გეწვის, მაგრამ ენას კბილი უნდა დააჭირო და კვნესა გულში ჩაიხშო.

სხვანაირად უყურებს რუსი თავის წარსულს. რუსეთში არა თუ ივანე ბუნინია დაფასებული და პატივცემული, არამედ მონარქისტი, საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი, პირწავარდნილი რეაქციონერი შულგინიც. ფილმიც კი გადაიღეს მასზე და მისი მონაწილეობით. ბუნებრივიც არის ეს. იგი რუსეთის ისტორიაა და ისტორიას პატივისცემა უნდა. საქართველოში კი არც ვიქტორ ნოზაძის ხსენება შეიძლება, არც მიხეილ წერეთლის, არც ზურაბ ავალიშვილის, არც გრიგოლ რობაქიძის და არც სხვა ქართველი მოღვაწეებისა, რომელნიც ბედის უკუღმართობამ უცხოეთში გააძევა.

ანეკდოტური მდგომარეობაც კი შეიქმნა: გრიგოლ რობაქიძის „ლამარას“ თეატრთმცოდნეები ვაჟა-ფშაველას მიაწერენ. ამავე დროს ეს პიესა ვაჟას თხზულებათა არც ერთ გამოცემაში არ შეაქვთ. არც თეატრებში დგამენ. თუ ვაჟასია, რატომ არ ბეჭდავენ და არ დგამენ? თუ ვაჟასი არ არის, მაშინ რა ნამუსით ვაკუთვნებთ „ლამარას“ დიდ ქართველ პოეტს? რატომ გვინდა, ვაჟაც დღევანდელი უსინდისობის მონაწილე გავხადოთ? მაგრამ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი ყოველგვარ სისაძაგლეს დასაშვებად მიიჩნევს.

რუსი უფრთხილდება, სათუთად ექცევა თავის კულტურას, თავის ლიტერატურას. არა მარტო ყოფილი ემიგრანტების რეაბილიტაცია მოხდა, არამედ იმათაც ლმობიერად მოექცნენ, ვინც დღეს დგას ანტისაბჭოურ პოზიციაზე. ყველაზე შეუპოვარი ანტისაბჭოელი ალექსანდრე სოლჟენიცინი უცხოეთში გააძევეს და იქ მისცეს შემოქმედების საშუალება. ასევე მოექცნენ სხვებსაც. რატომ? იმიტომ, რომ რუსმა კარგად იცის, რუსული ლიტერატურა, რუსული კულტურა სოლჟენიცინია, რასტრაპოვიჩია, მაქსიმოვია და სხვანი, ვინც ამჟამად ემიგრაციაშია. გავა მცირე დრო და ისინი ისეთივე ტრიუმფით დაბრუნდებიან რუსეთში, როგორც ბუნინი, რახმანინოვი, შალიაპინი და სხვები. კულტურა არასდროს ყოფილა ერთგანზომილებიანი, ერთსახოვანი. იგი ყოველთვის მრავალგანზომილებიანი, მრავალსახოვანი და მრავალფეროვანი იყო და იქნება. ამიტომ არ სურს რუსს მოსპოს რუსული კულტურის მრავალფეროვნება, ცდილობს დაუნდობელი იდეოლოგიური ბრძოლის პირობებშიც კი მისი შენარჩუნების შესაძლებლობა გამოძებნოს.

აბა, ქართველ მწერალს გაებედა ის, რაც სოლჟენიცინმა გააკეთა. მას კაზემატში ამოხდიდნენ წამებით სულს. გაანადგურებდნენ მის საგვარეულოს, ყველაფერს მის შექმნილს. რუსი კომუნისტების მიზანია ქართული კულტურა (ყველა არარუსი ხალხის კულტურა) იყოს პრიმიტიული, უსახო, უფერო, ერთგანზომილებიანი, მოსაწყენი და არამიმზიდველი. ქართულ კულტურაში არ უნდა არსებობდეს არავითარი აზრთა ჭიდილი, შეხედულებათა სხვადასხვაობა, მრავალფეროვანება. თუ ქართული ლიტერატურა (ყველა არარუსი ხალხის ლიტერატურა) იქნება საინტერესო, მიმზიდველი, საყურადღებო, აზრითა და ფორმით მდიდარი, მაშინ შეუძლებელი იქნება ამგვარი განკარგულების გაცემა: „გეზის აღება მსოფლიოში ყველაზე მოწინავე რუსული ლიტერატურისაკენ – ეს იყო და იგივე უნდა დარჩეს ქართული საბჭოური ლიტერატურის ტრადიციად“.1 მართალია, ეს 1947 წელს ითქვა, მაგრამ მის განხორციელებას დღეს გაცილებით უფრო მკაცრად მოითხოვენ, ვიდრე მაშინ.

ამ დირექტივის ამოცანაა, ქართული ლიტერატურა გადააქციოს რუსული ლიტერატურის ჩრდილად, ლანდად. ეს რომ ასეა, ამის საბუთად გამოდგება ერთი ფაქტი.

1934 წლის მარტში მწერალთა კავშირში მოუწყვიათ კ. ლორთქიფანიძის რომანის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ (ახლანდელი „კოლხეთის ცისკარი“) განხილვა. 1934 წლის 11 მარტის „სალიტერატურო გაზეთში“ ამ განხილვის შესახებ დაიბეჭდა ინ-ფორმაცია, რომელშიაც ნათქვამია:

„დისკუსიის დროს ერთ-ერთი ორატორის მიერ ამხ. რ. კალაძის მიერ დაშვებული იქნა უხეში პოლიტიკური შეცდომა (თითქოს ჩვენებური კულაკის სოციალური ბუ-ნება განსხვავდებოდეს რუსეთის კულაკის სოციალური ბუნებისაგან), რაც სასტი-კად გაკრიტიკებული იქნა მთელი რიგი ორატორების მიერ (კ. მელაძე, გ. ლისაშვი-ლი, ნ. მათიაშვილი). ეს შეცდომა აღიარებული იქნა თვით მისი ავტორის – ამხ. რ. კა-ლაძის მიერაც“.

ლევ ტოლსტოი კი მოთხრობის „Небег “ სქოლიოში შენიშნავდა — лягушки на Кавказе производят звук, не имеющий ничего общего с кваканьем русских лягушек. საკითხავია, ქართველი კულაკის სოციალური ბუნება რატომ არ უნდა განსხვავდე-ბოდეს რუსი კულაკის სოციალური ბუნებისაგან? იმიტომ, რომ ქართულ მწერლო-ბას, ქართულ კულტურას უნდა წაერთვას დამოუკიდებელი ღირებულება, დამოუკი-დებელი ფუნქცია.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს მწერლობის ისტორიას, კარგად იცის, რომ ყოველი ერის სიტყვაკაზმულ ლიტერატურას არა მარტო ეროვნული ფორმა აქვს, არამედ ეროვნული შინაარსიც. თუ რომელიმე ხალხის ლიტერატურას არ ძალუძს ეროვნუ-ლი შინაარსი და ფორმა აიყვანოს ზოგადკაცობრიული ფორმისა და შინაარსის დო-ნემდე, იგი ვერაფერს შესძენს მსოფლიო კულტურას. თუ ჩვენს მწერლობას ჩამო-ერთმევა ეროვნული შინაარსი, მაშინ ქართული ლიტერატურა გადაიქცევა ორღო-ბის მწერლობად, რომელიც აღარავის დაინტერესებს. ყოველგვარი ნიაზი გაქრება მის მიმართ, რამეთუ ვერაფერს ეტყვის ახალსა და თავისებურს საკაცობრიო კულ-ტურას. ეს მარტივი ჭეშმარიტება ყველამ იცის. ამიტომ რუსული შოვინიზმი მიზნად ისახავს წაართვას დამოუკიდებელი ღირებულება ქართულ (ყველა არარუსი ხალ-ხის) ლიტერატურას. გადააქციოს ისინი რუსული ლიტერატურის პაწია ნაკადებად. ამ პოლიტიკის თანახმად არა მარტო საბჭოური პერიოდის ლიტერატურა ცხადდება რუსული მწერლობის ლანდად, არამედ მე-19 საუკუნისაც. საბჭოურ პერიოდში და-წერილ ვერც ერთ ნარკვევს ვერ ნახავთ, სადაც ილია, აკაკი, ვაჟა და სხვანი მიჩნეუ-ლი არ იყვნენ რუსი მწერლების შეგირდებად. რუსის მოწაფეობაა ჩათვლილი მათ ყველაზე დიდ დამსახურებად. რუსი ლიტერატურისმცოდნეები კი პირიქით იქცევი-ან. ამტკიცებენ: რუსული ლიტერატურა არავის გავლენას არ განიცდიდაო. იგი სრულიად დამოუკიდებელიაო. სანიმუშოდ შეგიძლიათ წაიკითხოთ 1981 წლის „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ პირველ წიგნში დასტამბული მასალა „ფ.მ. დოსტო-ევსკი და მსოფლიო ლიტერატურა“, რომელშიც რუსი მწერალი საკაცობრიო მწერ-ლობის მასწავლებლად არის გამოყვანილი. ანდა რუსი ლიტერატურისმცოდნეების თავგადადებული ცდა, გაასაღონ პუშკინი დანტესა და გოეთეს ბადალ პოეტად. ზო-გიერთი იმასაც ამტკიცებს, რუსი პოეტი იტალიელსაც და გერმანელსაც სჯობსო.

ისმის კითხვა: თუ რუსი მწერლისათვის სამარცხვინოა განიცდიდეს ვისიმე გავ-ლენას, იყოს ვისმეს მიმდევარი, ქართველი მწერლისათვის რატომ არის სასახელო რუსის მოწაფეობა? პასუხი უბრალოა: რუსული მწერლობა დამოუკიდებელი ღირე-ბულების ლიტერატურაა, ქართველს კი არ გააჩნია. ქართული ლიტერატურა რუსუ-ლის პროვინციული ნაწილია. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ქართული ლიტერა-ტურა ქართულ ენაზე იქმნება. ქართული ენა აქ მხოლოდ საშუალებაა რუსული იდე-ოლოგიის საქადაგებლად, კრემლიზმის გასავრცელებლად.

რუსული შოვინიზმის დანერგვის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის (საერთოდ კულტურის) პოლიტიკის სამსახურში ჩაყენებას. ლიტე-რატურის პარტიულობის პრინციპი კი ამის საუკეთესო იარაღია. სკკპ არაფრად აგ-

დებს იმას, რომ პარტიულობის პრინციპმა დანიშნულება და შინაარსი წაართვა კულტურას, როგორც დამოუკიდებელ ფენომენს.

სკკპ დიდი ხანია დაივიწყა მარქსისა და ენგელსის ცნობილი დებულება – „თუ არ იქნა აღდგენილი ყოველი ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებაა შესაძლებელი და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად“.1 ამ დებულების განხორციელებას სკკპ ამჯობინა რუსული ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის ერთგული გამგრძელებელი გამხდარიყო. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. ამ ერთგულებას ითხოვდა რუსული კულტურა, რომელზეც აღზრდილია რუსი კომუნისტები. თითქმის სამასი წელიწადია, რაც რუსს ჩასჩიჩინებს რუსული კულტურა, კაცობრიობის მესია ხარო. ჯერ რუსული მართლმადიდებლობით ქადაგებდნენ კაცობრიობის გადარჩენას, ახლა – რუსული სოციალიზმით. ამან ისე დააჩლუნგა უბრალო რუსი მოქალაქის გონება, რომ, როცა ვისმეს დასამონებლად და დასაჩაგრავად გზავნიან, ჰგონია, მის გადასარჩენად და დასახმარებლად მივდივარო. რუსეთმა კავკასიის, ბალტიისპირეთის, შუააზიის ხალხები ისე დაიპყრო, რომ რუსეთის კულტურის მოღვაწეთა შორის ერთი კაციც კი არ აღმოჩენილა ისეთი, ვინც პირუთვნელად ამხელდა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას. პირიქით, ხოტბა-დიდებას უმღერდნენ. ამით გაბრუებულ რუსს, სადაც მივა, ყველაფერი მისი ჰგონია. გენერალ პავლე ციციანოვს ზუსტად გაუგია რუსის ბუნება-თვისება და ქართველებისათვის უთქვამს – ნუ ოცნებობთ ტყუილად, ვითომ რუსები საქართველოში დროებით არიან და მალე წავლენო. რუსები, რაკი რომელსამე ქვეყანას თავის გუბერნიად დასახავენ, ფეხს თავის დღეში აღარ მოიცვლიან იქიდანო.1 ამ თვისების აღზრდა რუსში დანაშაულია რუსული კულტურისა. დანაშაულია არა მარტო დაპყრობილი და დაჩაგრული ხალხების მიმართ, არამედ თვითონ რუსეთისა და რუსი ხალხის მიმართ. ამგვარმა უგუნურებამ რუსი ბოროტების იარაღი გახადა, ხოლო რუსული კულტურა ბოროტების მქადაგებელი. ამას ნათლად დავინახავთ, ერთმანეთს თუ შევადარებთ ევროპული და რუსული კულტურის შედეგებს.

ევროპულმა კულტურამ აღზარდა პიროვნული და ეროვნული თავისუფლების იდეალი აფრიკისა და აზიის დაპყრობილ ხალხებში. გააღვიძა ისინი. ეს გამოფხიზლება მათი განთავისუფლებით დამთავრდა. ევროპული კულტურა ყოველთვის ემიჯნებოდა ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა პოლიტიკას. მთავრობას არ აძლევდა კოლონიური ქვეყნების მოტყუების საშუალებას. ამის წყალობაა, რომ აფრიკისა და აზიის დაპყრობილი ხალხების უმრავლესობამ დამოუკიდებლობა და თავისუფლება მშვიდობიანი გზით, უსისხლოდ მიიღო. ისინი დღეს მსოფლიოს სრულუფლებიან და თავისუფალ ნაწილს წარმოადგენენ. ეს არის ევროპული კულტურის შექმნილი იდეალის გამარჯვება.

რუსულმა კულტურამ კი თავისუფლების იდეალის მაგიერ გამოიმუშავა პიროვნებისა და ერის დამონების ახალი ფორმა და გარუსების ახალ გზას მიაგნო, რუსული სოციალიზმის სახით. ეს მოხდა იმიტომ, რომ რუსული კულტურა ყოველთვის ხელისუფლებას მორჩილებდა და დღესაც ასეა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ რუსეთის უკეთესი შვილები მიხვდნენ რუსული კულტურის საბედისწერო შეცდომას და ყოველ ღონეს ხმარობენ მის გამოსასწორებლად. ამის მაგალითია, ალექსანდრე სოლჟენიცინის, ლიდია ჩუკოვსკაიას, ანდრეი სახაროვის და სხვათა თავგანწირული მოღვაწეობა. მათი საქმიანობა უკვალოდ არ ჩაივლის. რუსული კულტურის ავტორიტეტიც აღდგება და რუსული კომუნისტური იმპერიის დამონებული ხალხებიც განთავისუფლდებიან.

უშედეგო და უნაყოფო დარჩება ქართველი კომუნისტების ღაღადისი:

„რუსი ხალხისათვის ორგანულად დამახასიათებელი სოციალური და ეროვნული სამართლიანობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონა-

ლიზმის გრძნობა დღეს ის წარუვალი ღირებულებაა, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხალხთა ლენინური მეგობრობა ემყარება.

მსოფლიოში არ არის სხვა ხალხი, რომელსაც ესოდენ ბევრი რამ გაეკეთებინოს სხვა ხალხების ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, ასე გულწრფელად და ასე უანგაროდ, ხშირად დიდი მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად, როგორც ამას რუსი ხალხი აკეთებდა და აკეთებს“.1

განა ეს რუსის განსაკუთრებულობის, არაჩვეულებრივობის, ყველაზე უკეთესობის პროპაგანდა არ არის? და შოვინიზმიც სხვა არაფერია, თუ არა რომელიმე ერის განსაკუთრებულობისა და გამორჩეულობის ქადაგება. ზემორეციტირებული სტრიქონებიც პირწავარდნილი რუსული შოვინიზმია. მაგრამ ეს ახალი ამბავი არ არის. ძველთა ძველია. საბჭოთა ხელსუფლების დროს ამ აზრს გამუდმებით ჩაგვჩიჩინებენ და ჩაქუჩით გვიჭედავენ თავში, ხან „პოეზიის“ საშუალებით და ხან პოლიტიკური სადღეგრძელოებით. განსაკუთრებული აქტიურობით რუსული შოვინიზმის ქადაგებას მას მერე მოეკიდნენ, რაც სტალინმა 1945 წლის 24 მაისს საგანგებოდ დალია რუსების სადღეგრძელო.1 რუსი ყველა სხვა ხალხზე მაღლა დააყენა და საფუძველი ჩაუყარა ნეოსლავიანოფილობას. ამით წაქეზებული საბჭოთა პოეტები და პოლიტიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებიან რუსის ხოტბა-დიდებაში.

დიდება რუსის უებრო ძმობას,
არ დამარცხდება, ვინც იმას ენდო...2

მართალია, აკაკი წერეთელი სხვა აზრის იყო და ქართველ ხალხს აფრთხილებდა:

მერე სკვითებსაც შეხედა:
„ამას ხომ ხედავთ თქვენაო?
არ მიჰყვეთ მაგის გ ზას და კვალს,
არ გაირისხოთ ზენაო!“3

მაგრამ აკაკის ვინღა უგდებს ყურს.

„... ჩვენი ჭეშმარიტი მზე აღმოსავლეთიდან კი არა, ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან ამობრწყინდა“.4 მაგრამ პარტიულ მუშაკს აქაც დააგვიანდა. პოეტმა დაასწრო. „მზე ამოდის, მზე, მოსკოვის მხრიდან!“5 1949 წელს ითქვა ეს.

რუსული შოვინიზმის ქადაგებაში თავშეუკავებლობა იქამდე მიდის, რომ რუსული ენა მეორე დედაენად გამოაცხადეს.

საერთოდ, ენების ცოდნას რა სჯობს. რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო, ნათქვამია. იცოდეს ქართველმა კაცმა რუსულიც, ფრანგულიც, ინგლისურიც, გერმანულიც, სომხურიც და აზერბაიჯანულიც, თუკი ამის ნიჭი და უნარი შესწევს. მაგრამ ნურავინ შეეცდება თვალში ნაცარი შეგვაყაროს, მოგვატყუოს და რუსული მეორე მშობლიურ ენად შემოგვაპაროს. როგორც ორი დედა არ შეიძლება ჰყავდეს ადამიანს, ასევე არ შეიძლება ორი დედაენა ჰქონდეს.

„... არის ენა – ოქტომბრის ენა. ლენინის ენა, დიადი რუსული ენა, ხალხთა ძმობის და მეგობრობის ენა, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი სიყვარულით უწოდებს მეორე დედაენას“.1 ეს პარტიული მუშაკის ამონაკვნესია.

ქართველი პოეტი კი მშვენიერ ბულგარელ ქალიშვილს შეხვედრია. დიდ გასაჭირში ჩავარდნილა. მან ბულგარული არ იცის, ქალიშვილმა კი – ქართული. ამ სასოწარკვეთილებაში მყოფთ მშველელად რუსული ენა მოვლენიათ, რაკი ორივეს სცოდნია იგი.

მაშინ ორივემ შევხედეთ პუშკინს

და მისი ენა დავლოცეთ გულში!2

ქართველი პარტმუშაკი და პოეტი თანაბრად არიან დარწმუნებული, რომ ვერც გოეთეს ენა, ვერც შექსპირის ენა, ვერც ბალზაკის ენა იმ ფუნქციის შესრულებას ვერ შეძლებს, რასაც ლენინისა და პუშკინის ენა. ინგლისური, ფრანგული ან გერმანული თუ იცი, თურმე ვერავის დაელაპარაკები. ეს უნარი, თქვენ წარმოიდგინეთ, მარტო რუსულს ჰქონია.

თუ ამგვარი გონებრივი სიდუხჭირის წინააღმდეგ გაილაშქრე, მაშინვე ნაციონალისტს დაგიძახებენ და ჰგონიათ, დიდი შეურაცხყოფა მოგაყენეს ამით. უცნაურია, მაგრამ რატომღაც სწორედ კომუნისტებმა დაივიწყეს ენგელსის სიტყვები – „ნამდვილი ეროვნული იდეები ამავე დროს ყოველთვის წარმოადგენს ნამდვილ ინტერნაციონალურ იდეებსაც“. ასეა იმიტომ, რომ დამონებული ერის ინტერნაციონალიზმი მტკნარი სიცრუეა. ყოველი ერი მაშინ გახდება ინტერნაციონალისტი, როცა მას არავინ დაჩაგრავს არც უფროსი ძმის და არც უმცროსი დის სახელით. ცრუ ინტერნაციონალიზმის ქადაგებით არავინ მოტყუვდება. ამის ნათელი ნიმუშია სსრკ-ში გავრცელებული ანეკდოტი:

როცა ებრაელი ლაპარაკობს ეროვნულ ინტერესზე, ეს სიონიზმია, როცა ჩინელი – ეს ჰეგემონიზმი, როცა ქართველი – ეს ნაციონალიზმი, ხოლო, როცა რუსი – ეს ინტერნაციონალიზმი.

ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ყოველ ქვეყანაში, სადაც აზროვნება აკრძალულია, ხალხის აზრსა და განწყობილებას გამოხატავს ანეკდოტი. ასეა სსრკ-შიც. ჩვენში ანეკდოტს დიდი და სერიოზული მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა მოქალაქის ყოფის ნამდვილ სურათს მხოლოდ ანეკდოტი იძლევა.

ახლა კი ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, დასკვნის სახით, უნდა გითხრათ – ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ქართულ მწერლობას ჩამოართვა უფლება ემსახუროს ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესს. იგი რუსული შოვინიზმის სამსახურში ჩააყენა. ეროვნული ტრადიცია დაკარგა და სხვისი იარაღი გახდა.

II

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი და შემოქმედებითი თავისუფლება

შემოქმედებითი თავისუფლება უპირველესად ორ აუცილებელ კომპონენტს გულისხმობს – პირველი, მწერალს (საერთოდ ხელოვანს) უნდა ჰქონდეს საკუთარი კონცეფცია და მეორე – ზნეობრივი პასუხისმგებლობა. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი უარყოფს ორივე კომპონენტს და, ამდენად, შემოქმედებით თავისუფლებასაც.

ამ აზრის საილუსტრაციოდ მივმართოთ ნიმუშებს.

ვინც საბჭოური ლიტერატურის განვითარებას თვალს გააყოლებს, დაინახავს, როგორ იყო ჩვენში გაჩაღებული ლენინიადა, სტალინიადა და ბერიადა. იწერებოდა უანგარიშო და ულევი ლექსი, მოთხრობა, პიესა, რომანი. მწერალთა პლენუმებსა და ყრილობებზე იკითხებოდა საგანგებო მოხსენებებიც – „ამხანაგ სტალინის სახე ქართულ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში“. ეს გახლავთ სათაური იმ მოხსენებისა, რომელიც წაიკითხეს საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე 1939 წლის 25 სექტემბერს. იგი ასე იწყება:

„პოეზიაზე მინდა გესაუბროთ და მერე როგორ პოეზიაზე?

რუსთაველის დიდებული ქართულით რომ ასახავს ჩვენი ეპოქის აზროვნებისა და ქმედების უდიდეს გენიოსს, მშობლიურსა და საყვარელ ბელადს სტალინს“.1

ციტირების გაგრძელება საჭირო აღარ არის. მკითხველი ისედაც კარგად მიხვდება, რა იქნება ნათქვამი ამგვარად დაწყებულ მოხსენებაში.

არც ეს მოხსენება და არც მხატვრული ნაწარმოებნი, მიძღვნილი სტალინისადმი, არ ყოფილა ნებაყოფლობით, გულწრფელად და მწერლის სურვილით დაწერილი. ეს კომპარტიის მკაცრი მოთხოვნა იყო, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის შესაბამისად.

1937 წლის 15 მაისს საქართველოს კპ მე-10 ყრილობაზე ბერიამ მოიწონა სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები.

„უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ქართული საბჭოთა პოეზია. ქართული პოეზია გამდიდრდა ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.

პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი. ჩვენი პოეტები უმღერიან ბელადის სახეს, როგორც ყველა ჩვენი გამარჯვების სიმბოლოს“.2

ეს შექება მკაფიოდ აუწყებდა მწერლობას, რომ კომპარტია მოიწონებდა მხოლოდ შეკვეთით დაწერილ თხზულებებს.

გავიდა დრო. გარდაიცვალა სტალინი. მალე იგი სასტიკად გააკრიტიკეს მისმა ერთგულმა თანამებრძოლებმა და მოწაფეებმა. აიკრძალა მასზე წერაც და ადრე დაწერილის გამოქვეყნებაც.

იგივე დაემართა ბერიასაც.

ირაკლი აბაშიძეს აქვს ლექსი „ვლადიკავკავში“:

სულ ახლო იდგა ხმლების კაშკაში
ახლოს იწვოდა ცეცხლის კერია,
მაშინ უეცრად ვლადიკავკავში
მე დავინახე გზაზე ბერია.
უცებ ქალაქში ვნახე ბერია,
ქუჩა ნაბიჯით დინჯად გადასჭრა...
მე შემოვხედე ჩვენსკენ დარიალს,
ვთქვი – საქართველო უკვე გადარჩა.

თავის დროზე ეს ლექსი დიდად იყო მოწონებული ქართული ლიტერატურული კრიტიკის მიერ.

„დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლავრენტი ბერია ხსნის იმედად, გამარჯვების მაუწყებლად, კავკასიონთან მტრის ბნელი ურდოების განადგურების ორგანიზატორად მოევლინა იმ დღეებში საქართველოს და მთელ კავკასიას. ამ ისტორიული დღეების ლირიკული განცდით არის აღბეჭდილი ზემოდმოყვანილი სტრიქონები“.1

ბერიას დახვრეტის მერე ირ. აბაშიძემ ლექსი მიუძღვნა სტალინის ბატონობის დროს დაღუპულ პოეტს პაოლო იაშვილს. აქ ნათქვამია:

შენ,
შენ დაეცი იმ წელს,
როცა საქართველოზე
კაენის სულის აღზევებამ
გადისრიალა.2

ერთ ლექსში ბერია გამოცხადებულია „საქართველოს გადამრჩენელად“, მეორეში – „კაენის სულის აღზევებად“. რომელია ირ. აბაშიძის აზრი – პირველი თუ მეორე? რომელ აზრზე აგებს ზნეობრივად პასუხს პოეტი? გაუგებარია, რამეთუ ლექსებში გამოვლენილია არა ირ. აბაშიძის კონცეფცია, არამედ — კომპარტიის მითი-

თებანი. სკკპ ამბობდა, ბერია ქვეყნის მხსნელიაო, პოეტიც ამგვარად უმღეროდა მას. სკკპ თქვა, ბერია ხალხის მტერიაო, პოეტმაც ძმის მკვლელი კაენის სახელი უწოდა მას.

გრიგოლ აბაშიძის „ძლევის ქედშიც“ იყო ბერიასადმი მიძღვნილი სტრიქონები:

შუქმა შორით მომქროლავმა
ისნის კარი გადიარა –
და მანქანა ნავთლუღის გზით,
შემოვიდა ფრთაკრიალა.
მოჰქრის მგზავრი. გამჭრიახი
მისი თვალი ფოლადს გახევს,
მხედრულ ქუდის ჩრდილი ფარავს
გასაოცრად ცოცხალ სახეს.
შემართება ვეფხვის ჰქონდა
გამოხედვა შევარდნული...
განგაშებდა კვლავ თბილისი,
იდგა ცერზე შემართული.
და მანქანა მტკვრის ნაპირას
გასრიალდა ცეცხლის თვალა,
წუთით თითქო ცა განათდა,
ყველაფერი შეიცვალა.
თბილისს ძალა შეემატა,
ფეხზე დადგა და ხმამაღლა
დაიძახა: „ჩამოვიდა
ვინც ნამდვილად განმაახლა!“
გუგუნებდა მთები შუქით
მოხატული ათასფერად:
„ჩამოვიდა, ჩამოვიდა
*მტერს არ მიგვცემს გასათქერად.*1

ამ სტრიქონებმაც კომპარტიისა და ლიტერატურული კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

საქართველოს კპ ცკ მაშინდელი პირველი მდივანი ჩარკვიანი საქართველოს კპ XIV ყრილობაზე ამბობდა:

„განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძლევის ქედი“, რომელშიც მკაფიოდ არის წარმოდგენილი კავკასიის დაცვის ამბები. პოემაში ყველაზე კარგია ადგილები, რომლებიც მიძღვნილია ამხანაგ ლ.პ. ბერიასადმი, რომელმაც უზრუნველყო კავკასიის მისადგომებზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების სტალინური გეგმის განხორციელება“.1

სერგი ჭილაია კი წერდა:

„პოემის საუკეთესო ადგილია შესანიშნავი სიმღერა ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას განუზომელ ღვაწლსა და დამსახურებაზე კავკასიის მისადგომებთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების საქმეში“.2

დააკვირდით, როგორი ერთნაირი დაშტამპული ენით მეტყველებნ პარტმუშაკი და ლიტერატორი!

ახლა ეს ნაქები სტრიქონები ამოღებულია პოემიდან. „ძლევის ქედის“ 1953 წლის შემდგომ გამოცემებში მათი ჭაჭანებაც არ არის.

ახლა ისევ ვიკითხოთ — „ძლევის ქედის“ რომელ ვარიანტშია გამომჟღავნებული პოეტის გულწრფელი კონცეფცია – იმ ვარიანტში, სადაც იგი ბერიას უმღერის თუ იმ ვარიანტში, სადაც ბერიასადმი მიძღვნილი სტრიქონები აღარ არის?

არც ერთ ვარიანტში არ არის გრ. აბაშიძის კონცეფცია. ორივეში გამოვლენილია ის დავალება, რომელიც კომპარტიამ მისცა.

რაკი ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი პანეგირიკულ-პროპაგანდისტულ მწერლობას ითხოვს, მარტო ლენინი, სტალინი და ბერია არ გამხდარა ხოტბის საგანი. ყველა ბელადისათვის უნდა ემღერათ დახვრეტამდე და ხალხის მტრად გამოცხადებამდე.

გაგახსენებთ რამდენიმე ნიმუშს.

პეტრე სამსონიძე:

დიდი მოსკოვის თუ პეტროგრადის
განწირულები – ლანდათ ქცეულნი;
აქარიშხალდნენ გმირ ვოლოდარსკის
და ლენინ-ტროცკით გამოწვეულნი...
გადაიქეცით ცეცხლის ისრებათ...
ხედავთ, ყურს გვიგდებს ზინოვიევი!!
ჩვენი სიმღერა მას მოესმება,
როგორც ყიჟინა ბრძოლის ძიების.1

კონსტანტინე ლორთქიფანიძე:

კამენევი ხის ტრიბუნიდან
როგორც რუპორი
კაპიტანის მღელვარე ზღვაში,
მქუხარებდა და ადგენდა
მორიგ საკითხებს...2

ფრიდონ ნაროუშვილი:

სინამდვილეში მხოლოდ კულაკი
გამდიდრებული სისხლიან პურით
ღმუოდა მგლურად... ისმენდა ღმუილს
თვით ბუხარინის ფაქიზი ყური...3

ხშირად ლექსში „ბელადის“ ნათქვამი ციტატად იყო ჩასმული.

კარლო კალაძე:

ეს კაცი ეხლა, – ყოველ უბრალო ნივთში თუ არა,
რომელიც ჩვენგან
ოქტომბრის შემდეგ გაკეთებულა!
„– სხვა მომაკვდავი ასე უეცრივ და დიდებულათ
მთელი სხეულით არ გადასულა ხალხში“ *(ბუხარინ).*4

ამგვარი უთვალავი მაგალითის დასახელება შეიძლება. ცხადია ისიც, რომ მათ პოეზიასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. მაგრამ ისინი იმ ფუნქციასაც ვერ ასრულებდნენ, რისთვისაც მათ წერდნენ. პროპაგანდისთვისაც უსარგებლო აღმოჩნდნენ. ხოტბაშესხმულ „ბელადებს“ მალიმალ იჭერდნენ, ხვრეტდნენ და ხალხის მტრებად აცხადებდნენ. ლექსებიც თან მიჰქონდათ.

შეიძლება მკითხველმა იკითხოს, რატომ მომყავს საილუსტრაციოდ ერზაცლექსები?

როცა აზროვნება აკრძალულია, დროის, ეპოქის სულის ამოსაცნობად უნიჭო მწერალი უფრო მეტ მასალას იძლევა, ვიდრე ნიჭიერი. ხომ გახსოვთ ანდაზა – „ჭურს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო“. უნიჭო მწერალი ქვევრია, რომელსაც მხოლოდ ჩაძახებულის ამოძახება შეუძლია. იგი ეპოქის კონიუნქტურას, გაბატონებულ დოგმას და გემოვნებას ფოტოგრაფიულად ასახავს. რაკი საკუთარი აზრი არ გააჩნია, თუთიყუშივით იმას იმეორებს, რაც ყოველდღე ესმის. ნიჭიერი მწერალი კი საკუთარი აზროვნების, გემოვნების კუთხით უყურებს ყველაფერს და ამგვარადვე წარმოგვიდგენს. ამიტომ აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს დრო და პიროვნება, როცა გალაკტიონ ტაბიძე წერს –

ნათქვამია – ხელი ხელს
ორივე კი პირსა ჰბანსო,
გეგმა უნდა შევასრულოთ
საწარმოო-საფინანსო.
დაკვრით ვნახოთ, რასაც იქმს
დღე ღამით და ღამე დღისით
რიგი რიგებს, რიგი რიგს,
რომ შეივსოს დანაკლისი.
ჩამორჩენილობა – ძირს!
ყოველ მანქანა ზე მდეგმა
უნდა სძლიოს ყველა ჭირს,
უნდა შეასრულოს გეგმა!1

ძნელია ამოიცნო – სერიოზულად არის ეს დაწერილი თუ ირონიულად. როგორც ყოველი ნიჭიერი ადამიანი, გალაკტიონიც დიდი ირონისტი იყო. ამიტომ მის შემოქმედებაში ცრუპანეგირიკულისა და ირონიულის გამორჩევა ადვილი საქმე არ არის.

მაგრამ, როცა კალე ბობოხიძის ქვემორეციტირებულ სტრიქონებს წაიკითხავთ –

ბრიგადირებო, გეგმა ზე მეტი მოგვეცით ნავთი,
ბამბას თუ კენაფს არტელი გვითმობს,
ხორცს და ბეწვეულს, რძის პროდუქტებს მწყემსების ნადი.
სახელოსნოდან კვლავ გუგუნებს ლოკომოტივი,
ისევ გრიალი ცის სივრცეში გააქვს პროპელერს,
ისევ მანქანებს ბენზინი და ზეთი მოტორის
და გამზირიდან ეჯიბრება სივრცე შოფერებს – 1

საეჭვო არაფერია: ზუსტად შეგიძლიათ შეიცნოთ ეპოქა, მისი იდეალი, სულიერი ავლადიდება, ზნეობრივი სიღრმე.

ამით არის გამართლებული ერზაცლიტერატურის დამოწმება.

მარტო „ბელადებისადმი“ მწერლის დამოკიდებულება არ განისაზღვრება ლიტერატურის პარტიულობის პრინციპით. გაპირობებულია საერთოდ ყოველი მოვლენისადმი დამოკიდებულება. ამის საბუთად შეიძლება კიდევ ერთ ნათელ მაგალითს მოვუხმოთ.

1925 წლის 28 დეკემბერს თავი ჩამოიხრჩო სერგეი ესენინმა. ეს თვითმკვლელობა ტიციან ტაბიძემ ლექსით გამოიგლოვა. ამ ლექსში მან ინინასწარმეტყველა საკუთარი და მისი ამხანაგების ბედი.

ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს – სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!

მართლაც, ამ ლექსის დაწერიდან არც ისე დიდი ხანი გავა, რომ კომპარტიის ტერორის მსხვერპლი გახდებიან ტ. ტაბიძე და სხვა ქართველი მწერლები.

მაშინ ესენინის თვითმკვლელობას და ტ. ტაბიძის ლექსს გამოეხმაურა პროლეტ-პოეტი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ამ ლექსს სათაურად ჰქონდა – „რამდენიმე სიტყვა ესენინს და სხვებს“,1 ხოლო ეპიგრაფად უძღოდა ტ. ტაბიძის სიტყვები – „შევსვამთ საწამლავს ჩვენ როგორც მირონს“.

აჰა ლექსიც დავიწყე, მამძიმებდა ფიქრები:
ღამე იყო და გული მოგონებით მიძგერდა,
შორს ქუჩიდან ფარანი ფერმიხდილი, მიმქრალი,
როგორც თავი დამხრჩვალი ესენინის მიცქერდა.
მწუხარებამ შემიპყრო, მსურს გავძახო: მავნეა
შენი უკანასკნელი ხულიგნობა, ესენინ!
განა ჩვენი ცხოვრება ისე ჩლუნგი რამეა
სასიკვდილოდ თოკზე რომ გადმოჰკიდო კისერი?
თვითმკვლელობა რათ გვინდა, მოვა დრო და მოვკვდებით.
პოეტებო, უმღერეთ ახალ ქვეყნის ალიონს,
სჯობს კისერზე გრიგალი მოვიხვიოთ თოკივით,
საწამლავის მაგიერ ეს ცხოვრება დავლიოთ.2

1978 წლის 6 ოქტომბერს „ლიტერატურულ საქართველოში“ კ. ლორთქიფანიძის ამ ლექსის ახალი ვარიანტი დაიბეჭდა სათაურით – „სერგეი ესენინს“. ეპიგრაფად, ტ. ტაბიძის სიტყვების მაგიერ, წინ უძღვის – „1925 წელს, 28 დეკემბერს, ღამით, ლენინგრადის სასტუმრო „ანგლეტერში“ თავი ჩამოიხრჩო პოეტმა სერგეი ესენინმა“. ეს ვარიანტი ასეთია:

გამაღვიძა სიჩუმემ. ხმის გამცემი – არავინ,
დაილია სანთელი და ბუხარი გაცივდა...
ჩემი ფანჯრის პირდაპირ ეს ჩამქრალი ფარანი
ასე რამ დაამგვანა ჩამოხრჩობილ კაცის თავს.
ასე მწარედ არასდროს მე გული არ მტკენია,
ის მარყუჟი თითქოსდა მეც კისერზე მიჭერდეს...
ნუთუ ჩვენი ცხოვრება ისე მოსაწყენია,
შენისთანა ბულბული ბაღში არ გაგვიჩერდეს.
მაშ რა მოხდა იმ ღამეს, გული რად მოგვიკალი,
შენ არასდროს არ იყავ ლაჩარი და გამქცევი...
თოკი არა, – კისერზე მოვიხვიოთ გრიგალი,
რომ მგოსნებიც კვდებოდნენ, როგორც ჯარისკაცები.

ამ ლექსის ქვეშ დაწერის თარიღად 1926 წელი ზის. მაგრამ ეს ხომ ტყუილია. 1926 წელს კ. ლორთქიფანიძემ დაწერა პირველი ვარიანტი, რომელიც ძირეულად და არსებითად განსხვავდება ახალი ვარიანტისგან განწყობილებით, დამოკიდებულებით, პათოსით, მიზანდასახულობით. რატომ გახდა მწერალი იძულებული სიცრუე ეთქვა? ლექსის დაწერის ძველი თარიღის დატოვება და სრულიად ახალი ვარიანტის

შექმნა ხომ იმას მოწმობს, რომ კ. ლორთქიფანიძე სინდისის ქენჯნას განიცდიდა იმ პირველი ვარიანტის გამო? არ შეიძლება არ განეცადა, რამეთუ ლექსის პირველ ვარიანტში გადმოცემული დამოკიდებულება ესენინისადმი ნაკარნახევია არა ქართველი პოეტის უშუალო განცდით, არამედ კომპარტიის იმდროინდელი ლიტერატურული პოლიტიკით. ესენინის შემოქმედებისადმი კომპარტიის მაშინდელი დამოკიდებულება, ბუხარინის პირით, ამგვარად გამოითქვა:

... „ესენინშჩინა“ მთლიანად – ეს არის საზიზღრად შეპუდრული, ურცხვად შეფერუმარილებული რუსული დედისგინება, ლოთური ცრემლებით მაგრად დასველებული და ამიტომ უფრო მეტად საზარელი, უცნაური ნაზავი „ხვადი ძაღლისა“, „ხატებისა“, „ჯიქნიანი დედაკაცებისა“, „წმინდა სანთლისა“, მთვარისა, ძუკნებისა, უფალ-ღმერთისა, ნეკროფილებისა და ლოთური ცრემლების სიუხვისა, ეს არის ნაზავი „ტრაღიკული“ ლოთური სლოკინისა, რელიგიის, ხულიგნობის, ცხოველებისადმი „სიყვარულის“ და ადამიანისადმი, განსაკუთრებით ქალისადმი ბარბაროსული დამოკიდებულებისა; ესაა ნაზავი უმწეო ცდებისა „ფართო გაქანებისადმი“ – უბრალო დუქნის ოთხ ფრიად ვიწრო კედლებს შორის, ნაზავი თავაშვებულობისა, რომელიც პრინციპის სიმაღლეზეა აყვანილი. და ყველაფერი ეს იფარება მოსალოსე კვაზინაციონალიზმის საფარველ ქვეშ. აი, რა არის „ესენინშჩინა“.1

როგორც ხედავთ, კ. ლორთქიფანიძემ მექანიკურად გადაიტანა ლექსში ესენინისადმი კომპარტიის დამოკიდებულება. მაგრამ დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ კომპარტიის ლიტერატურულ პოლიტიკას შეუძლია აიძულოს ესენინი თავი მოიკლას, ფიზიკურად გაანადგუროს იგი, მაგრამ უძლურია დაამარცხოს ესენინი, როგორც პოეტი. პოეტმა ესენინმა გაიმარჯვა. კომპარტია იძულებული გახდა შეეცვალა მისდამი დამოკიდებულება. იგი რუსული პოეზიის დიდოსტატად აღიარეს. ნაცადი ხერხი გამოიყენეს: ესენინის ადრინდელი ლანძღვა-გინება ცალკეულ პირებს გადააბრალეს, მათ შეცდომად მონათლეს. ახლა გამარჯვებული ესენინისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამორიცხულია. კ. ლორთქიფანიძეც ქმნის ლექსის ახალ ვარიანტს, სადაც ესენინი აღარ არის შეურაცხყოფილი.

ასე ჩააყენა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა კ. ლორთქიფანიძე უხერხულ მდგომარეობაში. მკითხველმა აღარ იცის, ლექსის რომელ ვარიანტზეა კ. ლორთქიფანიძე ზნეობრივად პასუხისმგებელი – პირველსა თუ უკანასკნელზე? როდის გამოთქვა პირადი აზრი – 1926 წელს თუ 1978 წელს? ძნელი სათქმელია. უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ორივე ვარიანტი მისადაგებულია კომპარტიის ლიტერატურული პოლიტიკისადმი.

ეს არ არის ცალკეული შემთხვევა. ყოველი საბჭოთა მწერალი (ხელოვანი საერთოდ) ასე იქცევა.

ლადო გუდიაშვილს ერთხელ გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი დაუხატავს. ტიციან ტაბიძის სიტყვით „ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს. გრიგოლ რობაქიძე არწივის თავით, რომელსაც გადმოსდის ტვინი ბალღამივით და შუბლი შედრეკია ისე თითქო მაცხოვარს ჩასცეს ლახვარი“.1 მერე გრ. რობაქიძე ემიგრაციაში წავიდა. მის წინააღმდეგ პამფლეტი – „გველის პერანგოსანი“2 – დაწერა კომუნისტმა პუბლიცისტმა გრიგოლ მუშიშვილმა. ეს წიგნი მხატვრულად ლ. გუდიაშვილმა გააფორმა. მხატვარმა გრ. რობაქიძის თავს ქვეწარმავლის ტანი გამოაბა და მწერალი გველად გამოიყვანა.

როდის იყო გულწრფელი ლ. გუდიაშვილი? მაშინ, როცა არწივისთავიანი გრ. რობაქიძე დახატა, თუ მაშინ, როცა გველისტანიანი გრ. რობაქიძე გამოსახა?

რა თქმა უნდა, ლ. გუდიაშვილმა თავის გულისნადები მაშინ გამოთქვა, როცა არწივისთავიანი გრ. რობაქიძე დახატა, ხოლო როცა გველისტანიანი გრ. რობაქიძე გამოსახა, მაშინ მხატვარი კომპარტიის განკარგულებას ასრულებდა. სხვა გამოსავა-

ლი იმ დროს ლ. გუდიაშვილს არ ჰქონდა. მისი სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა. როგორმე თავი უნდა გადაერჩინა.

თვითონ გრ. მუშიშვილის ბედიც ნათლად გვეუბნება, რა მძიმე იყო ყოველი ადამიანის ცხოვრება.

გრიგოლ მუშიშვილი ადრე სოციალ-ფედერალისტი იყო. მერე ბოლშევიკების ბანაკში გადაბარგდა. პროლეტარიატისათვის ერთგულების დამტკიცება გვარის შეცვლითაც გადაწყვიტა. ნამდვილი გვარი – ხოფერია – მუშიშვილად შეიცვალა, მუშათა კლასის პატივისცემის ნიშნად. სხვებსაც მოუწოდებდა აქეთკენ. „ეული! – საყვედურობდა გრ. მუშიშვილი სანდრო ეულს – როგორ შეიძლება პროლეტარული პოეტი ეული, ე.ი. განმარტოებული, განცალკევებული, გარიყული იყოს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ნ. ზომლეთელსაც და ეულსაც აქვთ საუცხოვო ნამდვილი გვარი „პროლეტარული ბუნების“: ქურიძე. ქურა ქარხნის ელემენტია და დიდი ფიქრია საჭირო, ნამდვილი გვარი კი არა, ანალოგიური ფსევდონიმი გამოიგონო მწერალმა“.1

მაინც არაფერმა უშველა. 1937 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მწერალთა კავშირის კრებაზე ითქვა: „გრ. მუშიშვილი გამჟღავნებული იქნა, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუშურ და დივერსანტულ ბანდის მონაწილე“.2 იგი გაანადგურეს.

ამ განადგურების შიშმა დააწერინა კ. გამსახურდიას „ბელადი“, გ. ლეონიძეს — „სტალინი, ბავშვობა და ყრმობა“, დ. შენგელიას — „ფიცი“ და „მერხეული“... რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს. ზღვაა მათი რაოდენობა. დარჩა კი ვინმე კომპარტიისადმი ერთგულების ფიცი არ დაედოს!

არის დრო, როცა მთელი ერი მიეცემა სასოწარკვეთილებას, აღარავის სჯერა სამართლიანობის, პატიოსნების, კეთილსინდისიერების და მხოლოდ საკუთარ ტყავს უფრთხილდება ადამიანი. ასეთია კომუნისტების დიქტატურის ეპოქა. ამ ეპოქაში გაბატონებულმა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ჩამოაყალიბა მწერლის ახალი ტიპი – მწერალი-ფლუგერი, რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით – აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

გმირობა დიდი, იშვიათი და განსაკუთრებული ნიჭია. უზენაესი იშვიათად იძლევა მას. სრულიად არ არის აუცილებელი ყოველი კაცი, მით უმეტეს მწერალი, გმირი იყოს. საერთოდ მწერალი ემოციური, სუსტი არსებაა. იგი იოლად ემორჩილება განკარგულებას. ძალადობის წინაშე ისეთმა ადამიანებმაც კი მოიდრიკეს ქედი, როგორიც იყვნენ გალილეი, რადიშჩევი, რილეევი და სხვანი. სამოქალაქო გმირობა უაღრესად იშვიათი მოვლენაა. თუ იგი ვინმემ გამოავლინა, ეს ბუნების სასწაულად უნდა ჩათვალო. ღმერთს მადლობა შესწირო და გაჩუმდე. ჩვეულებრივ კი მწერალს ლმობიერად უნდა მოექცე. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, სიმართლე დამალო, ტყუილი ილაპარაკო და ამა თუ იმ პიროვნებას ის მიაწერო, რაც იგი არ არის. გალ. ტაბიძის დაწერილმა თორმეტ ტომში მოიყარა თავი (როცა ყველაფერი გამოიცემა, მეტიც გამოვა). მაგრამ ამ თორმეტიდან ნამდვილი პოეზია ორ ტომში დაეტევა. დანარჩენი მაკულატურაა, რომელიც გალაკტიონის ბადალ პოეტურ ნიჭიერებას კი არა, უბრალო უნიჭობას არ ეკადრება. ეს იმიტომ მოხდა, რომ გალაკტიონი გმირი არ იყო. სრულიად საკმარისია, რომ იყო გენიალური პოეტი. ამ გენიალურმა ნიჭმაც ვერ გაუძლო სკკპ ძალდატანებას და საკუთარი შემოქმედება ერზაცლექსებით გაავსო. ეს ტრაგიკული მაგალითი ნათლად მეტყველებს ერთ ჭეშმარიტებას – საზოგადოება ისე უნდა მოეწყოს, რომ ადამიანი არ იყოს იძულებული სინდისს უღალატოს. კომუნისტებმა კი საზოგადოება ისე მოაწყვეს, რომ, არსებობა თუ გინდა შეინარჩუნო, აუცილებლად ნამუსი უნდა გაყიდო. ამან გამოიწვია ქართული მწერლობის ზნეობრივი დაქვეითება, რისი უშუალო საფუძველიც ლიტერატურის პარტიულობის პრინციპია.

III

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი და მწერლის აქტიური საზოგადოებრივი როლი

დღევანდელმა მკითხველმა ალბათ არ იცის, რომ იყო დრო, როცა არსებობდა ე.წ. მუშათა გაწვევა მწერლობაში.

ამაზე ოთარ ჩხეიძის მოთხრობა — „ავანსი“ — გამოქვეყნდა 1987 წლის 1 მაისის „ლიტერატურულ საქართველოში“.

რას ნიშნავს ეს?

„პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაცია და რიგების გამუშურება ჩვენი გენერალური ლოზუნგია, დამკვრელ მუშათა ბირთვის ზრდა – ამოცანათა ამოცანაა, ამ მიზნითაა წამოწყებული დამკვრელი მუშების გაწვევა პროლეტარულ ლიტერატურაში“ – იძლევა პასუხს კრიტიკოსი ვალერიან ლუარსამიძე.1

კონსტანტინე ლორთქიფანიძე დასძენს: გაწვევის მიზანი იყო „გვყოლოდა მრავალრიცხოვანი ლაშქარი უპარტიო მწერლებთან საბრძოლველად“.2

დღევანდელმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მაშინდელი პოლემიკის ენაზე „უპარტიო მწერალი“ ნიშნავს ნამდვილ მწერალს. დასკვნა მკაფიოა: მწერალთა რიგებში მუშების გამრავლებით უნდა მოეკლათ ნამდვილი მწერლობა. ნათლად არის გამოხატული მრწამსი. მწერლობა არ არის ნიჭიერება. არ არის აზროვნება. იგი არის პროპაგანდა. პროპაგანდა კი შეუძლია ყველას, ვინც იცის წერა-კითხვა და ესმის მოცემული დირექტივის აზრი და მიზანი. სიტყვაკაზმულ მწერლობას ენიჭებოდა სკკპ აგიტპუნქტის ფუნქცია.

პირველი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი (ეს კომპარტიის სამეტყველო ენაა) წარმატებით რომ დაემთავრებინათ, ქ. ტულის №1 ქარხნის მუშებს მოწოდებით მიუმართავთ მშრომელებისათვის. ამ მოწოდებას დიდი ამბით გამოხმაურებია ქართველი მწერლების კრებაც.

ამ კრებაზე „ორატორებმა აღნიშნეს, რომ ტულის მუშების მიმართვა წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტს. ტულის მოწინავე პროლეტარების ძახილი განსაკუთრებით იმიტომაც უფროა საყურადღებო, რომ ის უშუალოდ მოდის მუშათა წიაღიდან და გამოხატავს ყველა პატიოსანი მშრომელის გულისთქმას“.

ტულელი მუშების პასუხად კრებას დაუდგენია:

„მწერალთა კლუბთან გაიმართოს სოციალისტური მშენებლობის ყოველი დარგის მიღწევათა გამოფენა დიაგრამების სახით; მოეწყოს სოცშეჯიბრის კაბინეტი; დაარსებული იქნეს „518“ ქარხნის და „1040“ სატრაქტორო სადგურის სახელობის მწერალთა ბრიგადები, რომლებიც იმუშავებენ საწარმოებში და კოლექტივებში. ამ ბრიგადებს ევალებათ დღემდე არსებულ სუსტად მომუშავე მწერალთა ბრიგადების ბუქსირზე აყვანა; მწერლებს შორის გამოცხადდეს სოცშეჯიბრება სოციალისტური მშენებლობის პროცესების და მუშათა ახალი ყოფა-ცხოვრების საუკეთესოდ ასასახავად; გამოიცეს სქელტანიანი კრებული, რომელშიც მხატვრულად გაშუქებული იქნება სოციალისტური მშენებლობის მიღწევები; კრება ვალათ იღებს აწარმოოს პრაქტიკული მუშაობა ამხ. სტალინის ლოზუნგის“ „დავეუფლოთ ტექნიკას“ განსახორციელებლად“.1

შემოქმედება გაიგივებულია აგურის დამზადების პროცესთან. მწერალი მიჩნეულია მეხამლედ, რასაც შეუკვეთავ, იმას რომ დაგიმზადებს. ამ დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ხშირად იწვევდნენ კრებებს და მწერლებს ტყავს აძრობდნენ, რატომ არ წერთ, გეგმებს რატომ არ ასრულებთო. ერთ-ერთი ასეთი კრება მოუწვევიათ 1937 წლის 28 ივლისს, რომელზეც თორმეტი მწერალი გაატარეს კრიტიკის ქარცეცხლში, პროდუქციას რატომ არ იძლევითო.2

როგორც ცნობილია, „ოთარაანთ ქვრივის“ შემდეგ, თუმცა კიდევ ოცი წელიწადი იცოცხლა, ილიას მხატვრული ნაწარმოები არ დაუწერია. ახლა წარმოიდგინეთ, ხელისუფლების განკარგულებით კრება მოეწვიათ და ილია გაელანძღათ, რატომ არაფერს წერ, გეგმას რატომ არ ასრულებო... ეს ხომ გაუგონარი სისულელეა. ჰოდა, ეს გაუგონარი სიბრიყვე საბჭოელი მწერლის ყოველდღიური ცხოვრებაა.

იმის გამო, რომ დღეს აშკარად არ იწვევენ მუშებს მწერლობაში, ნურავინ იფიქრებს – სიტყვაკაზმული ლიტერატურისადმი დამოკიდებულება შეიცვალაო. დამოკიდებულება იგივე დარჩა, შეიცვალა მისი გამოვლენის ფორმა. ფორმის გამოცვლა ორი მიზეზით მოხდა. პირველია ის, რომ მუშათა გაწვევამ არ გაამართლა. მაგალითად, 30-იანი წლების ბოლოს მწერლობაში გაწვეული 280 მუშიდან მწერალთა კავშირის წევრად მხოლოდ ორი დარჩენილა.1 დანარჩენი ისევ ქარხანაში დაბრუნებულა. მწერლობას საკუთარი ხელობა ამჯობინა. მეორეა ის, რომ გაწვევამ ფუნქცია დაკარგა, რაკი მწერლობა დაითრგუნა და დათანხმდა აგიტპუნქტში თანამშრომლობას.

1980 წლის 23 სექტემბერს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია – „მევენახე და პოეტი – ერთ მწყობრში“. იგი გვაუწყებდა, რომ იქ, „სადაც ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმების შესრულების ბედი წყდება“ გაემგზავრნენო მწერლები. ამ მგზავრობას „დიდი შთაბეჭდილება“ მოუხდენია და მის შედეგსაც დაუყოვნებლივ გავეცანით 25 სექტემბრის „კომუნისტში“.

რთველშია მთელი კახეთი,
იმხელა მოსავალია,
– გადამრევ, შინჯიაშვილო,
ნუთუ სტუმრისთვის გცალია?
– მცალიან კარგი სტუმრისთვის,
მგოსნები მიყვარს ძალიან.
რაკი ამაგი დაფასდა,
ჰაი-ჰაი, რომ მცალიან...

„კადრებთან მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და დატაცებებისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის სუსტი ორგანიზაციისათვის პარტიის რაიკომის ყოფილ პირველ მდივანს ბ.ი. შინჯიაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური“ („კომუნისტი“, 1985 წ. 31 იანვარი. „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში“).

გურჯაანის ღვინის საწარმოო გაერთიანების მუკუზნის №1 ღვინის ქარხანაში გაჩაღებულია დიდი ქურდობა-პარვა. ცხადია, შინჯიაშვილიც უხვად იჯიბავდა.

ახლა ნიშნიანიძეც გააპანღურეს.

ამას ეწოდება, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის თანახმად, მწერლობის აქტიური საზოგადოებრივი როლი.

მწერლობა-აგიტპუნქტის შექმნას უწყობდა ხელს მოწოდებაც კოლექტიური შემოქმედებისაკენ.

1936 წლის 24 მაისის „ლიტერატურული საქართველო“ გახარებული იუწყებოდა – ნ. მიწიშვილი, ტ. ტაბიძე და ს. ჩიქოვანი ერთად წერენო პოემას „სამშობლო“. გაზეთი დასძენს: „პროლეტარიატის უდიდესი დღესასწაულისათვის მწერლების ასეთი კოლექტიური მუშაობა საუკეთესო საშუალებაა დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელად“.

მწერალთა ერთ-ერთ კრებაზე კ. ლორთქიფანიძეს უთქვამს:

„პ. იაშვილმა და ა. მაშაშვილმა ერთად დაწერეს ლექსი ამხ. სტალინისადმი მიძღვნილი და ეს ლექსი ისე ორგანიულად არის დაწერილი, რომ ვერ გაარჩევ, სად თავდება ერთი ავტორი და სად იწყება მეორე“.1

დღეს ეს სიტყვები შეიძლება გონებაგახსნილ მკითხველს მწარე ირონიად მოეჩვენოს. როგორ უნდა გათქვეფილიყო ერთმანეთში ორი ძირეულად განსხვავებული პოეტი – ცისფერყანწელი პაოლო იაშვილი და პროლეტმწერალი ალიო მაშაშვილი? ეს გათქვეფა ხომ მათი პოეტური ინდივიდუალობის, თავისთავადობის სიკვდილს მოასწავებდა! ცხადია, ამას ნიშნავდა, მაგრამ კომპარტიის ამოცანაც ეს იყო: წაეშალათ მწერლის ყოველგვარი ინდივიდუალობა, თავისთავადობა და მიეცათ უსახო, უფერული კოლექტიური გამომეტყველება. ამიტომ კ. ლორთქიფანიძის სიტყვებში ირონია კი არ არის, არამედ შეშინებული კაცის თანხმობა, ვისაც ვერ გაუბედავს ხმა ამოიღოს უაზრო მოთხოვნის წინააღმდეგ. კ. ლორთქიფანიძე თავად რომ ყოფილიყო კოლექტიური შემოქმედების მომხრე, მაშინ არ ეცდებოდა, რაც შეიძლება მკაფიოდ, გამოეკვეთა საკუთარი მწერლური პროფილი.

კოლექტიური შემოქმედება ყველაზე ნათლად ვლინდებოდა გალექსილ მიმართვებში.

როგორც იცით, სკკპ საქმიანობაში დამკვიდრებულია წესი, რომლის თანახმად, კომპარტიის ყოველი ადგილობრივი პლენუმი, კონფერენცია, ყრილობა უგზავნის წერილს სკკპ ცკ-ს, მის გენერალურ მდივანს. წინათ ეს მიმართვა-წერილები ილექსებოდა.

სანიმუშოდ ასეთი გალექსილი მიმართვები შეგიძლიათ წაიკითხოთ 1938 წლის 10 იანვრის „ლიტერატურულ საქართველოში“, 1947 წლის 11 ნოემბრის გაზეთ „ლიტერატურასა და ხელოვნებაში“, 1939 წლის „მნათობის“ მე-12 წიგნში და სხვაგან. იმდროინდელი პრესა გადაჭრელებულია ამ გალექსილი მიმართვებით. მათი პოეტური ღირებულების საჩვენებლად გაგაცნობთ რამდენიმე სტრიქონს.

ინდუსტრიის მხარედ იქცა ჩვენი კუთხე მოსაწონი,
ტყვარჩელი და ჭიათურა, ტყიბული და ზესტაფონი,
აბრეშუმის ქარხანა და ქუთაისის ლიტოპონი,
ელექტრონით მოქარგული საქართველოს მიდამონი.
...
ოცდაათს ათასს აჭარბებს მასწავლებელი სოფლისა,
არის რვაასი ათასი მოწაფე, თვალი მშობლისა,
მეცნიერი და სტუდენტი, საბჭოთა დიდი სკოლისა,
რა არმიაა დიადი! სიხალისეა შრომისა.1

ლიტერატურული კრიტიკა აღტაცებული იყო ამგვარი პოეზიით.

„ქართული პოეზიის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს პოეტების მიერ საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავზე ლექსად გადმოცემა „საბჭოთა საქართველოს მწერალთა წერილისა ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მიმართ“. ეს წერილი, რომელიც ქართული საბჭოთა პოეზიის ოქროს ფონდში შევა, მოწმობს ქართული საბჭოთა ლიტერატურის უდიდეს ზრდას და ამავე დროს წარმოადგენს სოციალისტური სამშობლოს და ახალი ცხოვრების შემოქმედის ამხანაგ სტალინის ერთგულ მწერალთა კოლექტიური შემოქმედების შესანიშნავ ნიმუშს“.1

არც ეს გალექსილი მიმართვები შევიდა საბჭოთა პოეზიის ოქროს ფონდში და ვერც კრიტიკოსმა დაუმტკიცა ერთგულება კომპარტიას. 1937 წლის 17 ოქტომბერს დ. დემეტრაძე, როგორც „გამომჟღავნებული ხალხის მტერი“ გარიცხეს მწერალთა კავშირიდან და გაანადგურეს.2

სამწუხაროდ, ათეული წლები დასჭირდა იმ ელემენტური ჭეშმარიტების აღიარებას, რაც ყველა დროში, ყველა ქვეყანაში იცოდა ყველა მწერალმა.

Коллективнонельзя создать ни «Войну и мир», ни «братьев Карамазовых», ни рассказов «Архиерей» Чехова, ни «худой травы» Бунина. 3

მართალია, კოლექტიური შემოქმედებისაკენ მოწოდებას სკკპ თავი დაანება, მაგრამ მწერლისაგან ერთგულებისა და მორჩილების ფიცს კი ურყევად ითხოვს. მწერლობაც დებს ამ ფიცს.

„... სიტყვა, რომელიც წარმოთქვა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ ყრილობათა დიდ დარბაზში, პატრიოტიზმის ბრწყინვალე ნიმუშად მიმაჩნია!

. . .

მაგრამ მე ახლა კი არ ვაქებ მას, ქართველი მწერლების სახელითა და დავალებით. უბრალოდ ვულოცავ სოციალისტური შრომის გმირის მაღალ წოდების მინიჭებას, მანაც ხომ მომილოცა ლენინური პრემია! ესეც რომ არ იყოს, მის გმირობას ქალიან-კაციანად მთელი საქართველო ჩემულობს და ჩვენ, მწერლებმა, რაღა დავაშავეთ!

... საერთოდ, იმ ბედნიერ დედას გაუმარჯოს, რომელიც სამშობლოს ასეთ შვილს გაუზრდის“.4

ჟამთაღმწერელმა ხამს უკვდავყოს ოცდამეექვსე!
ჟამთაღმწერელი ხომ შენა ხარ, ძმაო მელექსევ,
მაშ, დაჯექ წერად ამ ფიქრთაგან განუშორებლად,
რაიც ელვარებს, შექმნილია გამრჯე ხელებით,
და გაამდიდრე, გაამდიდრე „ქართლის ცხოვრება“
ამ ლამაზ დღეთა ჯადოსნური ამეტყველებით.1

განა ეს სტრიქონები რითიმე განსხვავდება ადრე გავრცელებული გალექსილი მიმართვებისაგან?

„... მომავალშიაც მჭიდრო კავშირში ვიქნებით ჩვენს ხალხთან და ჩვენს პარტიასთან. პარტიისა და მწერლების საქმე განუყოფელია“.2

გადაშლილი დევს „მცირე მიწა“ ჩემს მაგიდაზე,
ეს ცეცხლოვანი სტრიქონები კვლავ გამიტაცებს.
„აღორძინებას“ ვკითხულობდი გუშინწინ ღამით
და აი ახლა შთაგონებით ჩავცქერი „ყამირს“,
ბრძოლის,
შენების,
გამარჯვების,
ცხოვრების
წიგნებს
კითხულობს ხალხი – მებრძოლი და აღმშენებელი...3

ლენინიადა-სტალინიადა-ბრეჟნევიადა ერთი მთლიანი ციკლია ერზაცლიტერატურისა.

აგიტპუნქტისადმი ეს ერთგულება გამოწვეულია იმით, რომ ყოველმა საბჭოელმა მწერალმა უკვე ზედმიწევნით იცის – როგორც უნდა შეიცვალოს სკკპ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი დამოკიდებულება, იგი არასოდეს დაუშვებს აზროვნების თავისუფლებას და არც აზროვნების კონტროლს შეწყვეტს. გინდა თუ არა, თუთიყუშივით ის უნდა გაიმეორო, რასაც გიბრძანებენ.

ნადეჟდა მანდელშტამი წიგნში – „Воспоминания“ – წერს:

„უკანასკნელი წვეთი, რომელმაც მას (ანდრეი ბელის – ა.ბ.) ცნობიერება მოუწამლა, იყო კამენევის წინასიტყვაობა. იგი დაურთეს მის წიგნს გოგოლის შესახებ. ეს წინასიტყვაობა გვიჩვენებს, როგორც უნდა შეტრიალდეს შინაპარტიული ურთიერთობა, სულერთია, აზრის ნორმალურ განვითარებას მაინც არ დაუშვებენ. მოვლენათა ნებისმიერი შემობრუნების დროს, აზრის აღზრდისა და მასზე მეურვეობის იდეა მაინც დარჩება საფუძველთა საფუძვლად. აი, გზატკეცილი, გვითხრეს ჩვენ და, თუ იგი გავიყვანეთ, რატომ უნდა იმგზავროთ შუკებით?..“ (გვ. 163).

გზატკეცილად სკკპ ცკ დადგენილებანია მიჩნეული. მწერალიც ვალდებულია მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით იაროს. მაშინ იქნება იგი საზოგადოებრივად აქტიური. არ უნდა დაინახო განსხვავება აგიტპუნქტის თანამშრომელსა და საზოგადო მოღვაწეს შორის. მთელი ლენინიადა, სტალინიადა, კოლხოზიადა, სამგორიადა, ზაჰესიადა, ბერიადა, ბამიადა, ენგურჰესიადა, ყურძნისა და ჩაის მოკრეფიადა ეკუთვნის აგიტპუნქტს და არაფრით არ უკავშირდება არც სიტყვაკაზმულ ლიტერატურას და არც მწერლის საზოგადოებრივ აქტიურობას. მწერლობის აქტიური საზოგადოებრივი როლი მაშინ მჟღავნდება, როცა ლიტერატურა დაჩაგრულის დასაცავად ებრძვის ხელისუფლების თვითნებობას.

როცა 1924 წლის აგვისტოში ქართველი ხალხი სისხლით იცლებოდა, ჩვენს მწერლობას არ ჰქონდა საშუალება პროტესტი გამოეთქვა. ხოლო პროლეტლიტერატურა ფარისევლობდა – „რა დრო გვინახავს! ეხლა ყვავილიც საქართველოში „არ ითელება“.1

როცა 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანის დასაწყისში მშრომელ, გამრჯე გლეხობას კულაკებს ეძახდნენ და ციმბირში მიერეკებოდნენ, მაშინაც ხელფეხშეკრული იყო მწერლობა. კომპარტია ავალებდა ხოტბა მუქთახორებისათვის შეესხათ. ამის საბუთია რომანები „ძახილი მთაში“, „ლელო“, „ჩაი“, „მამამ გამომგზავნა“ და სხვანი. რა დღეში იყო მშრომელი, მუყაითი გლეხი, ნათლად არის დახატული მიხეილ ჯავახიშვილის „დამპატიჟეში“.

მშრომელი გლეხის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად ეს მდგომარეობა მივიღეთ.

„ჩემი ბავშვობა და სიჭაბუკე არასოდეს არ დაშორებია იმერეთის სოფელს. ახლაც თვალწინ მიდგას იმერელი გლეხის ძველი კარმიდამო, რაგინდ გაჭირვებული უნდა ყოფილიყო ჩვენებური კაცი, ორი თუ არა ერთი მეწველი ძროხა მაინც დაუდიოდა ოჯახში, ჰყავდა თხა და ღორი, მრავლად – შინაური ფრინველი.

ახლა რომ ჩავუარე სოფლის ეზოებს, მართალი გითხრათ, ცოტა გული დამწყდა. ის ეზოები ნახევრად დაცარიელებული მეჩვენა. ძროხა ძალიან იშვიათად სჩანდა, შინაური ფრინველიც შეთხელებულიყო, თხის წვეტიანი რქებიც აღარსად დამინახავს, არც კარმიდამოში და აღარც ეკალ-ბარდში“.1

როცა 35-38 წლებში უდანაშაულო ადამიანთა სასაკლაო მოაწყვეს, მწერლობას ევალებოდა ამ ტერორის ორგანიზატორებისათვის ემღერათ.

– აქ ვის ანდობთ გულის ნადებს
და ქართველი ხალხის საჭეს!
– ბერიას ჩვენს მოამაგეს, –
სტალინური რკინით ნაჭედს!2

ანდა:

იყავ დღეგრძელი და როცა ქვეყნად
მოვა ოქტომბრის წელი სამოცი,
გვემღეროს შენთვის კვლავ ასე ერთხმად
შაირი, ხოტბა და მისალოცი.3

ასე იყო მომდევნო წლებშიც, ასეა დღესაც.

როცა 1956 წლის მარტში, სტალინური პროპაგანდით გონდაბინდულმა ახალგაზრდობამ პაწია ჯანყი მოაწყო, ისინი ისე გაჟუჟეს, ხელიც არავის აკანკალებია. არც ის გაუთვალისწინებიათ, რომ ისინი „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ბრძენი მამისა და მასწავლებლის“ ღირსების დასაცავად იბრძოდნენ. ბავშვებს არ შეეძლოთ მიმხვდარიყვნენ, რომ 30 წლის მანძილზე ნამღერ-ნაწერი ქება-დიდება თვალთმაქცობა და მტკნარი სიცრუე იყო. ეს დახოცილი ბავშვები ისე ჩაყარეს მიწაში, რომ მშობლების გარდა, არავინ უწყის, სად არის მათი განსასვენებელი. იმ მწერლობას, რომელიც სტალინიადის ღაღადისით სამი ათეული წელიწადი ატყუებდა საზოგადოებას, ერთი არალეგარული ლექსიც არ დაუწერია 1956 წლის მარტის უდანაშაულო მსხვერპლის გამოსაგლოვად.

სამაგიეროდ აიძულებდნენ უხვად ეფრქვიათ ცრემლები აზიაში, ლათინურ ამერიკაში თუ აფრიკაში მომხდარი უსამართლობის გამო. ეს ძალადობა იმისათვის იყო საჭირო, რომ სოციალიზმის არსებობა მხოლოდ ტერორის გზით არის შესაძლებელი. საკმარისია, ოდნავ შემსუბუქდეს ტერორი, რომ სოციალიზმი მაშინვე დაემხოს. ნუთუ არაფერს ეუბნება მას უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის ამბები? თუ დღეს ყველას დასანახად არ არის გაჩაღებული ლიანგური1 ხოცვა-ჟლეტა, როგორც ეს 30-იან წლებში იყო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დაბეჩავებული საბჭოთა ხალხი მუშა-საქონლის მოთმინებით ეწევა უღელს. ხმას აღარ იღებს და რატომ უნდა გაჟუჟონ? აბა, კრინტი დაძრას, ისეთ დღეს დააყრიან, რომ 1937 წელი ღვთის წყალობად მოეჩვენებათ.

დაფიქრდით, მთელი მსოფლიო ირყევა მანიფესტაციებით, დემონსტრაციებით, მიტინგებით, გაფიცვებით, ერთადერთი ქვეყანა, სადაც სამარისებური სიწყნარე და დუმილია, სსრკ-ია. ნუთუ 265 მილიონი კაცი ისეა კმაყოფილი კომუნისტების მმართველობით, რომ სხვა აღარაფერი უნდა, გარდა თავჩაქინდრული, უხმო მუშაობისა? ცხადია, არა, მაგრამ ტოტალურმა სახელმწიფო ტერორმა პირუტყვად აქცია. ძველ რომში მონას „ინსტრუმენტუმ ვოკალეს“ – მოლაპარაკე ინსტრუმენტს – ეძახდნენ. სსრკ-ში ვოკალეც აღარ არის. უბრალოდ ინსტრუმენტია. იმდენად დაჩლუნგდა ჩვენი შეგნება, რომ როცა 7 ნოემბერს ან პირველ მაისს, ჯოხის ცემით გამორეკავენ ხალხს ქუჩაში და ააჭყლოპინებენ, ზეიმი და დღესასწაული გვგონია!

საბჭოთა მოქალაქის მდგომარეობას დიდებულად გამოხატავს ერთი ანეკდოტი:

ამერიკელ ჟურნალისტს უკითხავს საბჭოთა ჟურნალისტისთვის – რატომ არასოდეს არ გამოთქვამსო საბჭოთა მოქალაქე პროტესტს? საბჭოთა ჟურნალისტს მიუგია – ყველაფრით კმაყოფილია და არც საპროტესტო აქვს რაიმე. არ დაუჯერებია ეს ამერიკელს. დაუჟინია – ხელისუფლება არ აძლევსო პროტესტის უფლებას. მაშინ საბჭოთა ჟურნალისტს წაუყვანია მუშებთან ამერიკელი და მიუმართავს – აი, თვითონ გასინჯეთ, გამოთქვამენო თუ არა პროტესტს.

ამერიკელს გადაუწყვეტია მუშების გაღიზიანება და უთქვამს – ყველას ხელფასი უნდა დაგიკლონო. საშინელი ტაშისცემა და „ვაშას“ ყვირილი ატეხილა. გაოცებულ ამერიკელს დაუმატებია – საერთოდ ყველას ხელფასი უნდა წაგართვანო. ისევ ტაშისცემა და „ვაშას“ ყვირილი. მთლად დაბნეულა უცხოელი – სამსახურიდანაც და ბინიდანაც უნდა გაგყარონო. ამაზეც ტაშისცემითა და „ვაშას“ ძახილით გაყრუებულა იქაურობა. უკანასკნელი ღონე მოუკრებია ამერიკელს და დაუყვირია – ხვალ ყველანი უნდა ჩამოგახრჩონო. ისევ „ვაშას“ შეძახილი და ტაში. მაგრამ მუშებს შორის ვიღაცას ხელი აუწევია და სიტყვა უთხოვნია. გადარეულა სიხარულით ამერიკელი – ეს მაინც განაცხადებსო პროტესტს. წამომდგარა ის მუშა და უკითხავს – სახრჩობელას თოკი ჩვენ მოვიტანოთ თუ პროფკავშირი მოგვცემსო.

სკკპ მიერ ჩატარებულ ტერორს ერთი მიზანი და ამოცანა ჰქონდა – დაენერგა საყოველთაო შიში, საბოლოოდ დაეთრგუნა ყოველგვარი პროტესტის სურვილი, შეექმნა ტოტალური მორჩილების ატმოსფერო. ეს სრულად არის განხორციელებული დღეს. ახლა სკკპ მიზანი და ამოცანაა შეინარჩუნოს მიღწეული და კიდევ უფრო გააღრმაოს იგი. ეს არის პარტიის საქმე. ამით კომპარტია ხალხს გადააქცევს მუშა-საქონლად, რომელიც მორჩილად იშრომებს. ამ მიზანს მე-19 საუკუნეში ყოველი გონიერი ადამიანი მიხვდა. მაგალითად, დოსტოევსკი. „ქეყძ"-ში ეს ცხადად ჩანს. მაგრამ, სამწუხაროდ, არის ეპოქები, როცა ადამიანი უგუნურებას უგდებს ყურს და ჩირად არ აგდებს გონიერებას. ასე დაემართა პროლეტარიატსაც.

IV

პარტიულობა და ლიტერატურის ჰუმანისტური პრინციპი

კაცობრიობის ისტორიამ გვიჩვენა, რომ არის მარადიული კონფლიქტი და არის წარმავალი, დროებითი კონფლიქტი.

მარადიული კონფლიქტია უნიჭობისა და ნიჭიერების, სილამაზისა და სიმახინჯის, ავადმყოფობისა და სიჯანსაღის, გონიერებისა და უგუნურების, ჭკუისა და უჭკუობის, ძლიერებისა და უძლურების, უნარიანობისა და უუნარობის და ა.შ.

დროებით, წარმავალ კონფლიქტს წარმოშობს ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური, იურიდიული და ამგვარი მოვლენები.

დროებით კონფლიქტს შეუძლია გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს მარადიულ კონფლიქტზე, ელფერი შეუცვალოს, ნიუანსი, შტრიხი მიუმატოს. დააჩქაროს ან შეანელოს, გააძლიეროს ან დაასუსტოს, მაგრამ არ ძალუძს არსებითად შეცვალოს იგი.

რუსი მწერალი ალექსანდრე სოლჟენიცინი მიმართავდა სკკპ-ს – თუ ერთ უბედურ დღეს ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ყინულის ლოდები დნობას დაიწყებს და კაცობრიობას მსოფლიო წარღვნა დაემუქრება, მაშინ ვისღა შეჩრით ცხვირში თქვენს ყბადაღებულ კლასობრივ ბრძოლას?

მართლაც, ვისღა ეცლება მაშინ გაარჩიოს, ვინ არის ღარიბი და ვინ – მდიდარი, ვინ არის მუშა და ვინ – კაპიტალისტი, ვინ არის იდეალისტი და ვინ – მატერიალისტი?

ტექნიკურ-მეცნიერული პროგრესის წყალობით კაცობრიობა თერმობირთვული იარაღის პატრონი გახდა. იგი აქვს როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ სამყაროს. ისიც გასახსენებელია, რომ კაპიტალიზმს უფრო ადრე ჰქონდა, ვიდრე სოციალიზმს. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია სოციალ-პოლიტიკურ სისტემას. მეცნიერება და ტექნიკა განვითარების თავის გზით მიდის და სოციალ-პოლიტიკური სისტემა – თავის გზით. დღეს კაცობრიობის ბედი მეცნიერებასა და ტექნიკაზეა დამოკიდებული და არა ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემაზე. თავი რომ გადაირჩინოს და არსებობა შეინარჩუნოს, თერმობირთვულ იარაღს კაპიტალიზმიც გამოიყენებს და სოციალიზმიც. ერთიც განირავს კაცობრიობას და მეორეც. ისევ მეცნიერება თუ იხსნის კაცობრიობას კატასტროფისაგან.

ამგვარ სიტუაციაში განა სასაცილო არ არის კლასობრივი, რელიგიური, პარტიული, ფილოსოფიური და ამგვარი წინააღმდეგობანი?

ეს საშინელი იარაღი ერთიანად ემუქრება ყველას და ყველაფერს.

როცა ტურ ჰეიერდალმა პაპირუსის გემით ატლანტის ოკეანე გადაცურა, მასთან თანამშრომლობდნენ სხვადასხვა ერის, სხვადასხვა რწმენის, სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და პარტიულობის ადამიანები. მაგრამ ამ სხვადასხვაობას სრულიად არ შეუშლია მათთვის ხელი, ერთი, საერთოადამიანური საქმე ეკეთებინათ.

როცა ადამიანს უკურნებელი სენი შეეყრება და გარდაუვალი სიკვდილი დაემუქრება, რაღა მნიშვნელობა აქვს მის სოციალურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ თუ იურიდიულ მდგომარეობას?

არარსებობის წინაშე შიშვლდება ადამიანი და ხელოვნურად გამოგონილი ყოველგვარი სამოსელი მნიშვნელობასა და ღირებულებას კარგავს.

ადამიანს ერთადერთი მტერი ჰყავს – უგუნურება.

კანის ფერით განსხვავებული რასები ბუნებამ გააჩინა. უგუნურებამ კი ნაირ-ნაირი რასობრივი თეორიები მოიგონა და რასები ერთმანეთს დაუპირისპირა. იმის მაგიერ, რომ ბუნების კანონზომიერების შესაბამისად დაბადებული რასების თანაბარუფლებიანობა აღიაროს, უგუნურება ყველა ღონეს ხმარობს, მათ ერთმანეთი დააჩაგვრინოს.

სხვადასხვა ერი ბუნებამ გააჩინა, თავისუფლება და თავისთავადობა მიანიჭა, უგუნურებამ კი ერთი ერის მიერ მეორის დაპყრობა, დაჩაგვრა, ასიმილაცია მოიგონა. იმის მაგიერ, რომ ყოველი ერის ბუნებით თანდაყოლილი თავისუფლება აღიაროს, უგუნურება ნაირ-ნაირ საშუალებას იგონებს ერთა წასაკიდებლად და გადასამტერებლად.

ნაირ-ნაირი ენაც ბუნებამ გააჩინა. უგუნურებამ ენების დისკრიმინაცია მოიგონა. იმის მაგიერ, რომ ყველა ენის აუცილებლობა და პატივისცემა აღიაროს, უგუნურება ცდილობს გააბატონოს რომელიმე ერთი ენა, დანარჩენი კი ჩაწიხლოს და მოსპოს.

ყოველი პიროვნება თავისუფალ ადამიანად ბუნებამ გააჩინა, უგუნურებამ კი სხვადასხვაგვარი ჩაგვრა მოიგონა – ეროვნული, სოციალური, პოლიტიკური, რასობრივი, იდეოლოგიური, რელიგიური და ა.შ.

ეს უგუნურებას სურს იყოს ბუნების კანონზომიერებაზე ძლიერი და შეცვალოს იგი. დაუქვემდებაროს მის მიერ გამოგონილ უჭკუო სისტემებს.

რასაც ადამიანი მიწვდა და შეიცნო სამყაროში, მან გაგვაოცა ჰარმონიულობით, კანონზომიერებით, აუცილებლობით, მშვენიერებით და სამართლიანობით, მაგრამ რასაც ვერ მიწვდა და ვერ შეიცნო, მან შეაშინა და თავზარი დასცა. მოეჩვენა ქაოტურად, უსამართლოდ, ბოროტად. თუმცა ელემენტური ლოგიკა ითხოვდა, კითხვა დაგვესვა ასე: თუ ის, რაც შევიცანით ჰარმონიული და სამართლიანია, რატომ უნდა იყოს ქაოტური და უსამართლო ის, რაც ვერ შევიცანით? ლოგიკა ითხოვს ვიფიქროთ – ისიც, რაც ვერ შევიცანით. ისევე სამართლიანი, კანონზომიერი, აუცილებელი, ჰარმონიული და მშვენიერია, როგორც ის, რაც შევიცანით. ოღონდ სამართლიანი, მშვენიერი და ჰარმონიულია იმ შემოქმედის თვალთახედვით, ვინც ეს უთვალავფერიანი სამყარო შექმნა, რომელიც ყველგან არის, მაგრამ რომელსაც ადამიანი ყოველთვის ვერ ხედავს და ვერ წვდება. ამიტომ უნიჭობაც და ნიჭიერებაც, სილამაზეც და სიმახინჯეც, ავადმყოფობაც და ჯანმრთელობაც, ჭკუაცა და უჭკუობაც, პატიოსნებაც და უნამუსობაც, ძლიერებაც და უძლურებაც, უნარიანობაც და უუნარობაც სამყაროს აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია. ეს ჰარმონიული ერთიანობა კარგად შეიცნო დავით გურამიშვილმა. მან ჯერ გაკვირვებულმა კითხვა დასვა:

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი.

მერე დამშვიდებულმა თავად უპასუხა:

სიკვდილ-სიცოცხლე ორივე
არიან ღვთისა განგება.

უგუნურებას ღვთის განგება, ანუ ბუნების კანონზომიერება შეცდომად მიაჩნია და მის „გასწორებას“ ცდილობს. ამით უგუნურება კაცობრიობას თიშავს, ადამიანებს ერთმანეთს უპირისპირებს რასობრივ, ეროვნულ, რელიგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ, პარტიულ და სხვათა საფუძველზე. მწერლობა ადამიანს არ უნდა უყურებდეს სექტური თვალსაზრისით, რომელიმე დოქტრინის კუთხით. მას ადამიანისადმი დამოკიდებულების ერთი თვალსაზრისი უნდა ჰქონდეს – საერთოკაცებრივი.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი კი აიძულებს მწერლობას, ადამიანს უყუროს აკვიატებული სოციალ-პოლიტიკური დოქტრინის შესაბამისად.

მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე
არც მიმაჩნია ადამიანად.1

მკითხველისათვის ნათელია ამ სტრიქონების აბსურდულობა. პოეტმა ადამიანთა სიიდან ამორიცხა არა მარტო მილიონობით რიგითი მოქალაქე, არამედ წარსულისა და აწმყოს უდიდესი მოღვაწენი – რუსთაველი, დანტე, გოეთე, ნიუტონი, აინშტაინი და სხვანი და სხვანი. ისინი არ ყოფილან ბოლშევიკები და, მაშასადამე, პოეტის ლოგიკით, არც ადამიანები. მაგრამ, რაც მთავარია, ამ ლექსს თუ დავუჯერებთ, არც კომკავშირლები არიან ადამიანები, რამეთუ კომპარტიაში შესვლამდე ვერც ისინი იქნებოდნენ ბოლშევიკები.

კ. ლორთქიფანიძის ციტირებული სტრიქონების შემდეგ უნდა გაგახსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის სიტყვები:

„გამხდარ თხას, დაკოჭლებულ ცხენს, ჩახმახდამტვრეულ თოფს ფასი ეკარგება, ადამიანს კი ერთი და იგივე ფასი აქვს ყოველთვის და ყველგან, იმერეთის მეფობას არგუნებს თუ დანელიას მეღორეთ გააჩენს უფალი. დადიანის სასახლე ათას ფაცხაში არ გაიცვლება; ადამიანი კი იმდენივე ღირს, რაც მთელი კაცობრიობა, ადამიანის არც გაცვლა შეიძლება, არც დაფასება, არც გამრავლება, არც გამოკლება. იგი უფასოა. იგი ერთია, მუდამ ერთი.

ადამიანი მუდამ ადამიანია – არც მეტი და არც ნაკლები“ (მოთხრობა – „დადიანის ასული და მათხოვარი“).

ორი ლორთქიფანიძის ციტატების შედარებით ნათლად ჩანს განსხვავება ლიტერატურის პარტიულ და ჰუმანისტურ პრინციპებს შორის. ისიც გასაგებია, რომელ პრინციპს უნდა აღიარებდეს მწერლობა და ხელოვნება.

თითქოს კ. ლორთქიფანიძის ლექსის დაგვიანებული პასუხია შოთა ნიშნიანიძის „კომუნისტები“, რომელიც 70-იან წლებში დაიწერა.1 ამ ლექსში ცნება „კომუნისტი“ უსაზღვროდ არის გაფართოებული. თუ ერთი პოეტისათვის ბოლშევიკის გარდა სხვა არავინ არის ადამიანი, მეორე პოეტისათვის ყოველი გამოჩენილი კაცი, იქნება იგი რეალური, ისტორიული პიროვნება თუ მხატვრული ნაწარმოების გამოგონილი პერსონაჟი, კომუნისტია. ამიტომ ერთადაა თავმოყრილი – პრომეთე, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული, ჯორდანო ბრუნო, მღვდელი თევდორე, ტარას ბულბა, სპარტაკი, გავროში... ლენინი და სტალინი.

შ. ნიშნიანიძის ლექსში კაცობრიობის, პარტიულობის ყველა ნიშანი წაშლილია. ცნება „კომუნისტი“ სრულიად აბსტრაქტულია. რაღაც კარგს გულისხმობს, მაგრამ რას — გაუგებარია.

როგორ შეიძლებოდა კომუნისტი ყოფილიყო მეფე დემეტრე თავდადებული და მონარქიზმის დაუნდობელი მტერი ლენინი?

როგორ შეიძლებოდა ერთნაირად კომუნისტი ყოფილიყო საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ცოტნე დადიანი და, ინტერნაციონალიზმის ნიღბით, რუსული შოვინიზმის ბურჯი სტალინი?

როგორ შეიძლება ერთნაირად კომუნისტი ყოფილიყო ტიტანი პრომეთე და მარბიელი ლაშქრის ფანატიკოსი მეომარი ტარას ბულბა?

ეს კითხვები შ. ნიშნიანიძეს არ აინტერესებს. მისთვის მთავარია პათეტიკურ-ემოციური შეძახილი, რომელიც გააოგნებს კრიტერიუმდაკარგულ ადამიანებს. ნასროლი მიზანს ზუსტად მოხვდა: საქართველოს კომპარტიის მუშაკებს ლექსი დიდად მოეწონათ.

რამ გამოიწვია პოეტის და საზოგადოების ამგვარი დაბნეულობა? რატომ დაკარგა ცნება „კომუნისტმა“ კონკრეტული შინაარსი და აბსტრაქტული გახდა?

რევოლუციის იდეალების სამსახურმა პროლეტარულ მწერლობას ბევრი უაზრობა და უზნეობა დააწერინა.

მე გადავწყვიტე მთლიანი გულით,
ახალი ქვეყნის დავრჩე ერთგული!
არ გაგიკვირდეს დღეს ეს ცვლილება,
არ გაგიკვირდეს, ნუ მეტყვი ჯალათს,
მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას,
რევოლუციამ თუ კი მიბრძანა!1

არც რევოლუციას, არც ლიტერატურას არ დასჭირდა ასეთი პოეტი. კალე ფეოდოსიშვილი, როგორც ხალხის მტერი, გაანადგურა იმ რევოლუციამ და პარტიამ, რომლისთვისაც დედას ახრჩობდა და მამას ჰკლავდა.

ვაშა – გ.პ.უ. – შენი განაჩენი
ბოლშევიკურად არის დაწერილი!
როგორც პოეტმა – პოლიტიკურმა
უნდა შეასრულო შენი გაკვეთილი
სოციალიზმის ყველა მავნებელი
დიქტატურის ტყვიით იყოს დახვრეტილი!
ვაშა, გ.პ.უ. შენი განაჩენი
ბოლშევიკურად არის დაწერილი!2

ამ სტრიქონების ავტორიც – ფრიდონ ნაროუშვილიც – მოსპეს.

ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. საბჭოური მწერლობა მთლიანად იხდიდა ნიღაბს და საბოლოოდ ემიჯნებოდა ლიტერატურის ჰუმანისტურ პრინციპს. აუცილებელი გახდა, თუნდაც ფორმალურად, ჰუმანიზმისაკენ შემობრუნება. მაშინ ისტორიისაკენ მიიხედეს და იქ დაიწყეს ძებნა იმ ადამიანების, რომელთაც შეეძლოთ იდეალის როლის შესრულება. იტალიელმა კომუნისტმა მწერალმა და კინორეჟისორმა პიერ პაოლო პაზოლინიმ გადაიღო ფილმი „მათეს სახარება“. როცა ჰკითხეს – კომუნისტმა კაცმა ქრისტეზე ფილმი რატომ გადაიღეთო – უპასუხა: პირველი კომუნისტი ქრისტე იყო და ამიტომო.

ასე დაიკარგა კრიტერიუმი – ვინ არის კომუნისტი. თუკი კაცობრიობის ისტორიაში ყოველ დიდებულ პიროვნებას კომუნისტს დავარქმევთ, ამას რაღა სჯობსო, მოეწონათ სკკპ-ს მუშაკებს და ტაში დასცხეს აბსტრაქტული კომუნისტის სადიდებლად. გამოჩნდა ის, რაც უძველესი დროიდან ცნობილია. ამაღლებული, მშვენიერი

და გმირული საერთოადამიანური თვისებაა. იგი ადამიანის სულიერ სამყაროში დევს და არაფერი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რასობრივად, ეროვნულად, სოციალურად, პარტიულად, რელიგიურად ეს ადამიანი ვინ არის. თურმე უბრალო ჭეშმარიტება გამორჩენიათ: ყოველ მოძღვრებას შეიძლება მიეტმასნოს ავაზაკი და ყოველი მოძღვრება აღიაროს პატიოსანმა ადამიანმა. ბუნებრივი ამბავი ყოფილა, რომ კაპიტალისტიც შეიძლება იყოს კარგი და ცუდი, და კომუნისტიც, ქრისტიანიც და მაჰმადიანიც. მდიდარიც შეიძლება იყოს ნაძირალა და ღარიბიც. კომუნისტობა არ ყოფილა კაიკაცობის საბუთი. დაინახეს ეს, მაგრამ ამის აღიარება არ უნდათ. უნდათ მხოლოდ ის, რომ კაცობრიობის გრძელი ისტორიის მანძილზე ყოველ კეთილშობილ კაცს კომუნისტის ქუდი ეხუროს. არ უნდათ აღიარონ, რომ ამაღლებული, მშვენიერი, კეთილშობილური, გმირული ადამიანის სულიერი თვისებაა და არა პარტიული ან კლასობრივი. ამ მხრივ იდეოლოგიური მარცხის დამალვას აბსტრაქტული კომუნისტით აპირებენ. მაგრამ არავის დავიწყებია, ადამიანში რა თვისების აღზრდას ქადაგებდა და ქადაგებს საბჭოური ლიტერატურა.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი ითხოვდა და ითხოვს, მწერლობამ გამოავლინოს კლასობრივი თვითშეგნება. ეს კი გულისხმობს ადამიანთა შორის კლასობრივი და პარტიული დაპირისპირების ასახვას, წინასწარ დადგენილი ტენდენციით. ეს ტენდენცია ბრძანებს: მართალია მხოლოდ კომუნისტი. სხვა ყველა მტყუანია. ზნეობრივად ის იქცევა სწორად, ვინც კომუნისტს ემხრობა. სხვა ყველა დამნაშავეა. ამ მოდელის მიხედვით იქმნება ყველა მხატვრული ნაწარმოები. მართალია, ამგვარმა მოდელმა მოკლა ინტერესი მხატვრული აზროვნების მიმართ, რამეთუ მკითხველმა წინასწარ იცის, როგორ და რანაირად დამთავრდება ყველა კონფლიქტი, ბრძოლა, ურთიერთობა, მაგრამ პროპაგანდისთვის ასე მიიჩნიეს საჭიროდ და არასდიდებით არ ფიქრობენ მის შეცვლას.

მარშალი ვასილევსკი მემუარებში გვიამბობს: ერთხელ სტალინმა მკითხაო, მამათქვენს ოთხი შვილი ჰყავს. ოთხივე კარგი მდგომარეობის მქონე. რატომ არ ეხმარებით მოხუც მამას, რატომ გაქვთ მასთან კავშირი გაწყვეტილი? ამის პასუხად ვასილევსკის უთქვამს: – „... 1926 წლიდან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტეთ მშობლებთან. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, მაშინ, როგორც ჩანს, არა მარტო ჩვენი პარტიის რიგებში ვერ მოვხვდებოდით, არამედ მუშურ-გლეხური არმიის რიგებშიც კი საეჭვოა რომ მემსახურა“.1 ვასილევსკის მამა მღვდელი იყო. ხუცესის შვილს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სამუშაო რომ ეშოვნა, აუცილებელი იყო სასულიერო წოდების მშობელზე უარი ეთქვა. მშობლების გაყიდვით და მიტოვებით გაეკეთებინა კარიერა. მარშალი თურმე ყველა ანკეტაში გულმოდგინედ აღნიშნავდა – მამასთან კავშირი აღარ მაქვსო.

ეს არ არის ცალკეული შემთხვევა. ეს იყო კომპარტიის მიერ შექმნილი მოდელი, რომლის მიხედვითაც უნდა ეცხოვრა ყოველ საბჭოთა მოქალაქეს. „მამა და მასწავლებელი“ თვალთმაქცობს, როცა ვასილევსკის ეკითხება, მამასთან კავშირი რატომ გაგიწყვეტიათო. სტალინმა ჩინებულად იცოდა, რატომაც ჰყავდა ვასილევსკის მამა მიტოვებული. ოღონდ მას ადამიანის გამასხარავება უყვარდა და უხაროდა, როცა კომუნისტური უზნეობის მონას ხედავდა.

ვინმე ა. კოლოდუბს, „ხალხის მტრის“ შვილს, თორმეტი წლის ბიჭს, მოუთხოვია მამის დახვრეტა და გვარის გამოცვლა. ამას სიხარულით აჭყლოპინებული „პრავდა“ იუწყებოდა.2

დანიელ გრანინის მოთხრობის – „უკანსამგზავრო ბილეთი“3 – პერსონაჟი პეტრე სერგეის ძე უნდა გადაესახლებინათ, რაკი მამა ჰყავდა კულაკი. მამამ ურჩია შვილს – წადი, მთავრობასთან დამასმინე, უარი თქვი ჩემზე, როგორც კულაკზე. კომუნისტებს ეს გამცემლობა მოეწონებათ, შეგიყვარებენ და ცხოვრებაში გზა გაგეხსნებაო. შვილიც ამ რჩევის შესაბამისად მოიქცა და გამყიდველობით იხსნა თავი.

ასე აყალიბებდნენ „ახალი ადამიანის“ შეგნებას და მორალს.

სევასტი თალაკვაძის რომანში – „გადასასვლელი“ – აღწერილია, როგორ მიმდინარეობს ოჯახში „კლასობრივი ბრძოლა“.

საშუალო გლეხი გლახუნ ზვიადაძე კოლექტივიზაციის წინააღმდეგია. მას ორი ქალიშვილი ჰყავს – თინა და ოლღა. ისინი კოლექტივიზაციის მომხრე არიან. მათ შორის ბრძოლაა. როცა გლახუნ ზვიადაძემ კულაკურ შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღო, იგი კომკავშირელმა შვილმა გასცა. ახალგაზრდა ბოლშევიკი პორფილე ეუბნება ანდრო კირსანიას, კოლექტივიზაციის ერთ-ერთ ორგანიზატორს:

„... თინა საუცხოვო ტიპია ბოლშევიკის. იცი რა მითხრა: ბაიაშვილი მამაჩემს მეგობრობს ძალიანო. მამაჩემი კი ფარული მენშევიკია და ჩვენი მტერიო. ეს მე აქამდის მინდოდა განმეცხადებინა, მაგრამ ამ უბედურებამ მომისწრო (თინა კულაკებმა დასჭრეს – ა.ბ.) და ვეღარ შევძელი. ახლა კი როგორც კი გამოვეწერები, ცეკას მინდა უთხრა ყველაფერი. ამიტომ ჩქარობს გამოწერას საავადმყოფოდან“.

თინა აღშფოთებულია იმით, რომ მამამისი ბაიაშვილმა არ დააჭერინა. კრებაზე თინა ბაიაშვილს ამხელს, როგორც ინტრიგანს:

„– იგი, ამხანაგებო, ჩემ მენშევიკ მამას, რომელთანაც მე მუდამ დავაში და ჩხუბში ვარ, მეგობრობს და ამას წინად მას გეპეუმ ხელი სტაცა დასაჭერად, ბაიაშვილმა კი დაიფარა და იხსნა“.

მერე ავტორი თავის მხრივ ამატებს:

„მან, გლახუნმა ისიც კი არ იცის, რომ თავისმა ქალიშვილმა – თინამ ცენტრს უთხრა, გაუმხილა მამამისის პოლიტიკური ვინაობა“.

როცა თინას გამცემლობა ანდრო კირსანიას მოხუცმა დედამ გაიგო, არ მოეწონა ეს და შვილს უთხრა:

„– მაგრამ ის ვიღაც თინა ყოფილა, მამის წინააღმდეგ წასვლას და მტრად გამოცხადებას მე თქვენსავით ვერ მოვუწონებ, როგორც შვილს. ესაა მისი კაი ქალიშვილობა?“

ბოლშევიკი ანდრო სირცხვილით იწვის დედის ასეთი ჩამორჩენილობის გამო და დედას კომუნისტურად არიგებს:

„– შენთვის ძნელია ახლა გაიგო ჩვენი კლასობრივი ბრძოლის საიდუმლოება, მისი პრინციპი, პოლიტიკური ბრძოლის ლოგიკა და დაუნდობლობა...“1

ამგვარად, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის მიხედვით შექმნილი ნაწარმოებნი საუცხოო ბოლშევიკად მამის გამყიდველებს თვლიან, ხოლო მშობლის სიყვარულისა და პატივისცემის მოთხოვნილება მხოლოდ იმას შეიძლება გაუჩნდეს, ვინც ჩამორჩენილია და კლასობრივი ბრძოლის ლოგიკა არ ესმის.

ამგვარი შეგნების გამო გასცა მამა პავლიკ მოროზოვმა. ამის გამო გამოაცხადეს იგი საბჭოთა ბავშვის ეტალონად. ამიტომ უმღერიან და ლიტერატურაში მთელი პავლიკიადა შექმნეს. ამიტომ დაუდგეს ძეგლი.

ამიტომ ჰკლავდა „მთვარის მოტაცების“ პირველ ვარიანტში კომკავშირელი არზაყან ზვამბაია მამას – კაც ზვამბაიას.

მაგრამ მშობლების გაცემა-გაყიდვა მაშინ არის სიქველე, თუ იგი კომუნისტების სასარგებლოდ ხდება. თუ კომუნისტების საწინააღმდეგოდ ჩადიან, მაშინ კი გაუგონარი ზნედაცემულობაა.

როცა კომპოზიტორ დ. შოსტაკოვიჩის შვილმა მ. შოსტაკოვიჩმა ვეღარ აიტანა სსრკ-ში ცხოვრება და თავი აშშ-ს შეაფარა, „ლიტერატურნაია გაზეტა“ (1981 წ. 6 მაისი) აღშფოთდა: „ყველა დროში და ყველა ხალხისათვის ყველაზე უმდაბლესი გამცემლობა იყო დედ-მამის საქმისა და ხსოვნის ღალატი“.

მართლა? მაშინ რატომღა უმღერის და ხოტბას ასხამს საბჭოთა ლიტერატურა მოროზოვებს, კოლოდუბებს და მათ მსგავს ნაძირალებს?

სიძულვილისა და მტრობის ასე აშკარა ქადაგება დღეს უკვე აღარ გამოდგება. იგი უნდა შეინიღბოს. ეძებენ კიდეც ნიღაბს.

„თუ შეიძლება ტენდენცია, არსი გმირთან, პერსონაჟთან გავაიგივოთ, მაშინ საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირია ადამიანის სიყვარული, კეთილშობილება, ნდობა და მოვალეობა, სილამაზისა და მშვენიერების გრძნობა, სიკეთისა და სიყვარულის ნიჭი“.2

კი მაგრამ, რომელი ლიტერატურის გმირი არ არის სიყვარული, კეთილშობილება, ნდობა, მოვალეობა, სილამაზე, მშვენიერება, სიკეთე? დედამიწის ზურგზე არ არსებობს და არც არსებობდა მწერლობა, რომელიც ზემორემოხსენიებულ გრძნობებსა და თვისებებს არ უმღერის და არ უმღეროდა. თუ ასეა, მაშინ საბჭოთა ლიტერატურა რით განსხვავდება ადრინდელი მწერლობისაგან? რაღად სჭირდება ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი? ან სოციალისტური რეალიზმი რაღაა? უკვე აღარ იციან, რა თქვან. ამიტომ სიტყვით არც ერთი ქვეყნის ლიტერატურაში არ ებრძვიან ფორმალიზმს და აბსტრაქციონიზმს ისე, როგორც საბჭოურ ლიტერატურაში, ხოლო საქმით არც ერთი ქვეყნის ლიტერატურა არ არის ისე ფორმალისტური და აბსტრაქციული, როგორც საბჭოური.

ეს ბუნებრივიც არის. დღეს თეორიულად საბჭოური ლიტერატურა აღიარებს მწერლობის პარტიულობის პრინციპს, პრაქტიკულად კი ცდილობს თავი აარიდოს, გაექცეს მას.

თეორიისა და პრაქტიკის შეუსაბამობა-შეურიგებლობამ დაბადა საბჭოური აბსტრაქციონიზმი.

V

პარტიული კონიუნქტურა და მისი შედეგი

პარტიული მწერლობა იოლი „შემოქმედებით“ გადის ფონს. საკმარისია კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ან ინფორმაციის გარითმვა და ლექსი მზად არის:

ზვრების ბოლოს, მთების მწვანე უბეს
რაკეტების რაზმი შეუხიზნავს...
რა ქნან... ზოგჯერ ააცდინეს ღრუბელს,
ახლა მაინც იდარაჯონ ფხიზლად.
ზვრები ისევ ბიბინებენ ლურჯად,
ვაზი მერქანს ისევ შემოერტყა,
წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს,
*ოღონდ ცოტაც დაგვაცალოს სეტყვამ...*1

პრესამ შეგვატყობინა, რომ მდინარე ყვირილა გაიწმინდება. დაიდგა სათანადო მანქანები და მარგანეცით მდინარის წყალი აღარ გაჭუჭყიანდებაო. მაშინვე გაჩნდა ლექსიც:

დრომ შენთვისაც მოიცალა დიდ საქმეთა სამკელად,
კოხტა ბიჭო, თეთრო ბიჭო, გუშინდელო ზანგელა.
ბიჭო, თუ ყვირილია, ახლა უნდა ყვიროდე,
*ახლა უნდა გრგვინავდე ფოთის სანაპირომდე.*1

ასევეა პროზაშიც. ვთქვათ, კომპარტიის ცკ-მა დაადგინა: უნდა ვებრძოლოთ ნეგატიურ მოვლენებს, ე.ი. უნდა ვებრძოლოთ სახელმწიფო ქურდებს, გამფლანგველებს, მექრთამეებს, კომბინატორებს და ამგვარი ჯურის ნაირ-ნაირ ავაზაკებს. რაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, იმ დღიდან სულ ნეგატიურ მოვლენებს ებრძვიან კომუნისტები, მაგრამ პოზიტიური მოვლენები სულ უფრო და უფრო უძლურდება და ნეგატიური სულ უფრო და უფრო ძლიერდება. არავინ უწყის, ბოლოს რა მასშტაბს მიაღწევს. იზრდება იმიტომ, რომ ნეგატიური მოვლენები სოციალიზმთან ერთად დაიბადა. მიხეილ ზოშჩენკოს მოთხრობა აქვს ერთი, „ძაღლის ყნოსვა“ ჰქვია სახელად.

ერემია ბაბკინს ქურქი მოპარეს. იჩივლა. მილიციელმა ძაღლი მოიყვანა. საერთო საცხოვრებლის ბინადარნი ეზოში გამოიყვანეს და გაამწკრივეს. ძაღლმა ქურქის ძებნა დაიწყო. ძაღლი ჯერ თეკლე ბებიას ეცა. თეკლემ აღიარა, მართალია, ქურქი არ მომიპარავს, მაგრამ ხუთი ვედრო საფუარი და აპარატი ჩემი აწაპნულიაო. მერე სახლმმართველს მივარდა ნაგაზი. სახლმმართველიც გამოტყდა: ქურქი არც მე მომიპარავს, მაგრამ წყლის ფული რომ ავკრიფე, ის კი მივითვისეო. მეშვიდე ოთახში მცხოვრებ მოქალაქესაც ეცა ძაღლი. ისიც იძულებული გახდა გამოტეხილიყო: ქურქი არ მომიპარავს, მაგრამ შრომის წიგნაკში თარიღი გადავასწორე და ერთი წლის სტაჟი მოვიმატეო. მერე ძაღლი თავად ერემია ბაბკინს მივარდა. ბაბკინმა გაამხილა საიდუმლო: ქურქი თვითონ მოვპარეო ძმას. ამის დამნახველი შეშინებული ხალხი გაიქცა. მაგრამ ძაღლი მისდევდა და სათითაოდ იჭერდა. თურმე ყველა დამნაშავე იყო. მილიციელის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ერთად ამდენი ბოროტმოქმედი დავიჭირეო. მაგრამ მისი მხიარულება დიდხანს არ გაგრძელებულა. ბოლოს ძაღლი მასაც ეცა. მილიციელმა ძაღლს მოუბოდიშა: მოქალაქე ძაღლო, შენს შესანახად სამ თუმანს მაძლევენ, მაგრამ ორს მე ვითვისებ და მხოლოდ ერთს ვხარჯავო შენზე. მ. ზოშჩენკო ასე ამთავრებს მოთხრობას: – „მერე რა მოხდა, ვერ გეტყვით, რადგან მეც ფაცხაფუცხით მოვუსვიო იქიდან“.

ეს მოთხრობა 1923 წელს დაიწერა. ოქტომბრის რევოლუციიდან ექვსი წელიც არ იქნებოდა გასული, მაგრამ ის მანკიერებანი, რასაც ვითომ ახლა ებრძვიან კომუნისტები, უკვე ტოტალურად ყოფილა გავრცელებული.

„– მე ჩემი თვალით შევნიშნე, ამხანაგებო, – განაგრძობდა ისევ კარპოვი, – როცა ერთმა ყაბალახით თავშეხვეულმა მუშამ, მორჩა სამუშაოს თუ არა, გვერდზე მიიხედ-მოიხედა, ფრთხილად სახაზინო სატეხი ჯიბეში ჩაიდო და შინისაკენ გზას გაუდგა... მეორემ სალაშინი გააპარა...

– ნუთუ? – ჩაილაპარაკეს ზოგიერთებმა და ისევ ერთმანეთს გადახედეს...

– სამწუხაროდ, ეს ასე არის ამხანაგებო და მოგეხსენებათ, რომ ყოვლად დაუშვებელია სახელმწიფო ავლადიდების ასე უთავბოლოდ განიავება...“

ეს ნაწყვეტი პანტელეიმონ ჩხიკვაძის რომანიდან „სართულები“ გახლავთ ამოწერილი (გვ. 83), რომანი კი ცალკე წიგნად 1934 წელს გამოიცა.

ამ რომანიდან კიდევ ერთ ამონაწერს გაგაცნობთ:

„რამდენი ქარხანა შენდება, რამდენი ახალი წარმოება-დაწესებულება იხსნება, რამდენი რა... მაგრამ უ ბ ი ნ ა ო ბ ა მაინც ვერ იქნა და ვერ აღმოვფხარით...“ (გვ. 13).

დღესაც ზუსტად ასე არ ლაპარაკობენ?

იციან, რომ ვერც ერთ მანკიერ მოვლენას ვერ აღმოფხვრიან, რამეთუ ისინი სოციალიზმ-კომუნიზმის თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ ნაირ-ნაირ დადგენილებებს მაინც იღებენ. ხალხი უნდა მოატყუონ: მანკიერ, ნეგატიურ მოვლენებს ვებ-

რძვითო. და აი, ამ დადგენილებების შესაბამისი რომანებიც ცხვება. მაგალითად, გიორგი ციციშვილის „სძლიე სიხარბესა შენსა“, სადაც სათაურშივეა ლოზუნგი გადმოსროლილი. ანდა სულხან ქეთელაურის „ზაფხულის ცხელი დღეები“ და სხვა მრავალი.

პარტიულ ლიტერატურას ერთი ურყევი თვისება აქვს: უსაშველოდ ერთფეროვანია და არ ვითარდება. ვისი დაწერილიც უნდა იყოს, როდის დაწერილიც უნდა იყოს, ტყუპის ცალებივით ჰგვანან ერთმანეთს.

1926 წელს ნოე ზომლეთელი წერდა:

მემანქანევ! ჩამოასხი
მე ლოთი ვარ, ზეთის ლოთი,
გეშინოდეს ჩემი რისხვის
და გიყვარდეს ეგ ხმის ქოთი...
ზ ზიი... წკრრიინტ! მემანქანე,
გაფრთხილება გაგპარია:
შენ ზეთი დამიგვიანე
და ქაღალდი გადიბზარა...

1937 წელს ალექსანდრე გომიაშვილი განაგრძობდა:

არის შეტევა. მანქანა
მთებში გუგუნებს ნიადაგ.
მოდის ხევი და... ბარაქა
ველად მოჰყვება ლიანდაგს.
...
ისევე ჰგლეჯენ დგრიალით
გვირაბებს ამონალები...

1940 წელს ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) მღეროდა:

ის ქარხანაა, შავი, მტვრიანი,
კვამლის კრიალით მთებს რომ ედება,
ჰქმნის მანქანათა ჩქარის ტრიალით
ინდუსტრიალურ შემოქმედებას!
...
მაშ, იგრაგანეთ კვლავ, მანქანებო,
გრიგალივით რომ დაზგებს დაჰხარით,
დასცხეთ, დაჰკარით, ამხანაგებო,
დასცხეთ-დაჰკარით, დასცხეთ, დაჰკარით.

1955 წელს მუხრან მაჭავარიანი მოუწოდებდა:

აღმართულია ვოლგის პირას ძლევამოსილად,
ბედნიერია კომუნიზმის მოახლოვებით...
ხე-ტყე,
ცემენტი,
ქვანახშირი
აგური,
სილა...

ვოლგით,
ყოველდღე
ყოველ მხრიდან
მოაქვთ
ყოველი, –
ვით კომუნიზმის ნაწილები...

1976 წელს ლადო სულაბერიძე იყო მშენებლობით შთაგონებული:

ჰაერში გაკიდულ ფოლადის ბაგირებს
ჩამავალი მზე ელაციცება.
აქ დაღვრილ ოფლს თუ ეჭაშნაგირე,
გაგიტაცებენ გ ზნების კვიცები.
მოხეთქილია ლავა შენების
რკინით,
ფოლადით,
ღორღით,
ცემენტით,
ჟინით,
შეტევით,
სწრაფვით,
ჭენებით,
გაჯიუტებით, ამოჩემებით.

ამგვარი ლექსები, სამწუხაროდ, ყველას აქვს დაწერილი – ყველაზე ნიჭიერსაც და ყველაზე უნიჭოსაც. ზემორე ციტირებული ლექსები მოხმობილია მხოლოდ პარტიული პოეზიის თვალნათელი ილუსტრირებისათვის.

სხვადასხვა ნიჭის, სხვადასხვა ტემპერამენტის, სხვადასხვა დამოკიდებულების პოეტები, სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები და სრულიად ერთნაირი, ერთფეროვანი, ერსახოვანი განწყობილება, პათოსი და შინაარსი! რატომ? იმიტომ, რომ პარტიულ მწერლობას ერთადერთი დანიშნულება აქვს: შექმნას ამა თუ იმ მშენებლობის (ან ღონისძიების) გარშემო ცრუ ენთუზიაზმისა და ცრუ აღტაცების ცრუ პათოსი. ამის გაკეთებას არ სჭირდება არავითარი აზრი. მისთვის საკმარისია პათეთიკური შეძახილების კორიანტელი – ფოლადი, კვამლი, ღორღი, ჟინი, მტვერი, შეტევა, გუგუნი, ამონალი, გრაგანი, ჯახანი, დასცხეთ, დაჰკარით, ზზიი.., წკრრიინტ.., დინამიტი, დაძგერება, ხე-ტყე, სილა, აგური, დენთი, ბურღი... და ცრუ შრომისა და ენთუზიაზმის ატმოსფეროც დახატულია.

ამგვარი ერზაცლიტერატურა მწერლობის მკვდარი ნაწილია. შეიძლება თქვან – რა მოხდა მერე, ლიტერატურას ყოველთვის ახლავს მაკულატურა. უამისოდ მწერლობა არ არსებულაო. ეს მართალია, მაგრამ საბჭოური ლიტერატურის საქმიანობის დროს საშიში სხვა გარემოებაა: თავისუფალი ლიტერატურული შემოქმედების დროს მაკულატურა უნებლიეთ იქმნება. მართლაც, მწერალი ყოველთვის ხომ ვერ შექმნის შედევრს! მარცხი გულდასაწყვეტია, მაგრამ იგი გამოცდილებით აჯილდოებს მწერალს და ისიც ცდილობს ფეხი აღარ წაიკრას. საბჭოურ მწერლობაში კი ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი საგანგებოდ გეგმავს და ნერგავს მაკულატურას. მწერლობის პარტიულობის პრინციპს სურს შექმნას ერთგვარი ლიტერატურული ნარკოტიკი, რომელიც საზოგადოებას თუ პიროვნებას დროებით აღაგზნებს და აღატკინებს. როგორც ყოველგვარი ნარკოტიკი, ისე ლიტერატურულიც, აავადებს ადამიანს. ლიტერატურული ნარკოტიკი ყველაზე მძიმე ფორმის სენს იწვევს – გო-

ნებრივ გადაგვარებას, როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთელი საზოგადოების.

პარტიული მწერლობა დანაშაულს ჩადის არა მარტო საზოგადოების წინაშე, არამედ თავისთავის მიმართაც.

პარტიული მწერლობა მსწრაფლწარმავალია. იგი მალე იკარგება. უცბად ეძლევა დავიწყებას. დღეს ხალხს აღარ ახსოვს, აღარ აინტერესებს არა მარტო ზაჰესიადა ან სამგორიადა, არამედ საბჭოური ლიტერატურის ისეთი მძლავრი ნაკადიც, როგორიც არის ლენინიადა. პარტიული მწერლობის სიმძლავრე და შეტევა მოჩვენებითია. თუმცა გარკვეული მცირე დროის მანძილზე შეიძლება შთაბეჭდილება მოახდინოს, ბრბო გააოგნოს. მაგრამ, როგორც ითქვა, მალე ქრება. ამ თვისების გამო პარტიულ ლიტერატურაში მწერალი ამაოდ თანამშრომლობს. საკუთარ შრომას უნაყოფობისათვის წირავს. ეს ხომ პიროვნების უმოწყალო ძარცვაც არის და მთელი კულტურისაც. პარტიულ მწერლობას ხომ არავითარი ღირებულება არა აქვს მომავალი თაობების სულიერი ცხოვრებისათვის. ყოველი თაობის სულიერი ცხოვრება მარტო იმით არ იკვებება, რასაც თანამედროვენი ქმნიან. საზრდოობს იმითაც, რაც წინამორბედებს დაუტოვებიათ. რა იქნებოდა დღეს ქართველი კაცის სულიერი ცხოვრება, რომ იგი არ კითხულობდეს რუსთაველს, სულხან-საბას, გურამიშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვებს – ჩვენებურს, თუ უცხოელს! ისინი ამდიდრებენ და აკეთილშობილებენ ჩვენს სულიერ სამყაროს, რადგან გველაპარაკებიან ადამიანზე, მის მარადიულ სიხარულსა და ტკივილზე, ზნეობრივ ამაღლებასა და დაცემაზე, მშვენიერებასა და სიმახინჯეზე.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა გააღატაკა მწერლობა საერთოდ და მწერალი კონკრეტულად. უნაყოფო გახადა მისი შრომა. ამ გაუგონარ ექსპლუატაციას მწერლობა მშვიდად ითმენს და პროტესტის ნიშნად დაკნავლებისაც კი ეშინია.

ექსპლუატაცია ორგვარია – სოციალური და ინტელექტუალური. კომპარტია თითქოს თავგადადებული ებრძვის სოციალურ ექსპლუატაციას, ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის შრომის ნაყოფის მითვისებას. მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რამეთუ ჭიანჭველებივით მომრავლებული სახელმწიფო ქურდები, კომბინატორები, მექრთამეები, გამომძალველები და ხალტურისტები ითვისებენ პატიოსანი ადამიანების ნაშრომს. ეწევიან მათ ჯერ გაუგონარ ყვლეფას. მართალია, კომპარტიამ სოციალური ექსპლუატაციის პრობლემას ვერ მოუარა, მაგრამ, სანაცვლოდ, ბეჯითად და მტკიცედ დაამკვიდრა ინტელექტუალური ექსპლუატაცია. როცა ადამიანს აიძულებენ ის ილაპარაკოს და წეროს, რაც მას არ სწამს და არც სჯერა, ეს არის შემზარავი ინტელექტუალური ექსპლუატაცია. საბჭოთა მოქალაქეების ოთხმოცდაათი პროცენტი მაინც, თუ მეტი არა, იმას ლაპარაკობს და წერს, რაც არ სწამს და არ სჯერა. თუ ანტიკურ ეპოქაში არსებობდა სოციალური მონობის ინსტიტუტი, სოციალიზმის დროს შეიქმნა ინტელექტუალური მონობის ინსტიტუტი. ეს ძალიან საშიში მოვლენაა თვითონ სოციალიზმისათვის. მარქსისტ-ლენინისტი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომის იმპერია სოციალური მონობის არსებობამ დაანგრიაო. მონას აღარ აინტერესებდა შრომა. იგი აღარ ქმნიდა მატერიალურ დოვლათს. ამან შიგნიდან გამოღრღნა რომის იმპერია და საკმარისი აღმოჩნდა გარედან ოდნავ ხელის კვრა, რომ იმპერია ხუხულასავით დაემხო. თუ სოციალურმა მონობამ ამგვარი რეზულტატი გამოიღო, წარმოიდგინეთ რა შედეგს მოიტანს ინტელექტუალური მონობა, დღეს სსრკ-ში აღარავის სურს შრომა. ყველა ცდილობს ნაირ-ნაირი კომბინაციამაქინაციით დაუძვრეს საქმეს და თავი მუქთახორობით შეინახოს. ჯერჯერობით გამოსდით კიდეც ეს: ყველა მუქთახორა ბევრათ უკეთ ცხოვრობს, ვიდრე გამრჯე, მშრომელი კაცი. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა კომუნისტებს ცარიელი პროპაგანდით უნდათ და მწერლობას აიძულებენ, შრომას უმღერონ. მაგრამ ასე უბრალოდ და იოლად ამ პრობლემის გადაწყვეტა არ შეიძლება.

მართალია, ადამიანი გვალვასაც უნდა ებრძოდეს, კარგი მოსავალიც უნდა მოჰ-ყავდეს, რკინიგზასაც უნდა აშენებდეს, ქარხანა-ფაბრიკებსაც უნდა აგებდეს და ბაღ-ვენახსაც უნდა უვლიდეს, მაგრამ ჯერ მკაფიოდ და ნათლად უნდა ჰქონდეს ჩა-მოყალიბებული თავისთვისაც და სხვისთვისაც, ვინ არის იგი, როგორი ადამიანი, რა იდეალს ემსახურება. ამ საქმეში მას ხელოვნება და მწერლობა უნდა ეხმარებოდეს.

თუ მწერლობა ადამიანის ზნეობრივ ღირებულებას მხოლოდ იმით შემოფარ-გლავს, რომ მავანმა და მავანმა კაცმა გვალვას აჯობა, დიდი ჭირნახული მიიღო, გი-განტური ქარხანა ააშენა ან ჭაობი ამოაშრო, მაშინ ლიტერატურა ადამიანის სული-ერ გამშვენიერებას, ამაღლებას ხელს ვერ შეუწყობს. პირიქით, დააკნინებს მას. ბო-რის ჩხეიძის რომანის „ფეროს“ პერსონაჟი მელაშა ქარხანას აშენებს. დიდი აქტი-ვისტიც არის. მაგრამ არც ეს რომანი და არც მისი პროპაგანდისტი დღეს აღარავის ახსოვს. დღევანდელი ჩვენი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე არავითარ გავ-ლენას არ ახდენს. ილიას ოთარაანთ ქვრივი არც საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშა-ობს, არც ქარხანას აშენებს, მაგრამ ყოველი ადამიანის სულიერ სამყაროზეც მოქ-მედებს, შრომასაც გვასწავლის და ქალობის ეტალონიც არის. ალბათ, მეტყვით, აქ მნიშვნელობა ილია ჭავჭავაძისა და ბორის ჩხეიძის მწერლური ნიჭიერების სხვაო-ბას აქვსო. მაგრამ, ჩემი აზრით, გადამწყვეტი ეს არ არის. გადამწყვეტია მწერლის ადამიანისადმი დამოკიდებულების პრინციპი. ბ. ჩხეიძეს, როგორც ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის მიმდევარს, არ აინტერესებს მელაშა-ადამიანი. იგი ცდი-ლობს დახატოს მელაშა-მშენებელი. ბ. ჩხეიძის და მსგავსი მწერლებისათვის უმთავ-რესია ქარხანა აშენდეს. ამიტომ მელაშას ზნეობრივი ფუნქცია შემოიზღუდა და მკითხველს ხელთ საქმე შერჩა, რომელსაც ზემოქმედების ძალა არა აქვს. ილიასათ-ვის კი მთავარია ადამიანი, მისი ტკივილითა და სიხარულით. ეს ტკივილი და სიხა-რული მკითხველზეც მოქმედებს და ოთარაანთ ქვრივის ემოციურ სამყაროში შევ-ყავართ. ეს ემოციური სამყარო მკითხველის სულს ამდიდრებს, აფიქრებს, აკეთილ-შობილებს, ასწავლის სიყვარულსა და თანაგრძნობას. შეიძლება ვერც შევამჩნიოთ, მაგრამ „ოთარაანთ ქვრივის“ წაკითხვის შემდეგ, ცოტად თუ ბევრად, ჩვენს სულში რაღაც იცვლება, სხვანაირი ვხდებით. ამ თითქოსდა შეუმჩნეველი კვალის დატოვე-ბაა მწერლობის ფუნქცია. ეს კი მაშინ მოხდება, როცა მკითხველისა და პერსონაჟის სახით, ორი ადამიანი შეხვდება ერთმანეთს და მუდმივი კონტაქტი დამყარდება მათ შორის. პროპაგანდისტული მოდელის მიხედვით შექმნილ სქემასთან კი ამგვარი კონტაქტი არ მყარდება.

პროლეტპოეტი პეტრე სამსონაძე გახარებული წერდა:

> ***„ხედავთ ჰამლეტებს? სამარეში როგორ მიდიან?!!***
> ***ულმობელია დღევანდელი რევოლუცია,***
> ***ბევრ მათგანისთვის გლოვის კაბა გადაუცვია“.***1

იმას კი ვერ მიხვდა, რომ, თუ ჰამლეტები წავლენ სამარეში, მაშინ, მის მაგიერ, ქურდები, კომბინატორები, ხალტურისტები, მექრთამეები, და საერთოდ ყოველგვა-რი ჯურის ავაზაკები, მოვლენ. ასეთია ულმობელი ლოგიკა. როცა ადამიანის ზნეობ-რივი ღირებულება ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით (ისიც საეჭვო და არა-სანდო საქმიანობით) ფასდება და სხვა, უფრო მაღალი კრიტერიუმი დაკარგული გვაქვს, როცა ადამიანი არ ფიქრობს სიცოცხლის, სიკვდილის, გონიერების, უგუნუ-რების, პატიოსნების, უსინდისობის, სილამაზის, სიგონჯის და სხვა ამგვარ პრობ-ლემაზე და მისი რუასი1 დაკავებულია მხოლოდ დროებითი და წარმავალი საკითხე-ბით, იგი უზნეობის ჭაობში ეფლობა. უზნეობა კი ბადებს ყოველგვარ ბოროტებას.

როცა საბჭოთა საზოგადოება უზნეობის ჭაობში ჩაიძირა, მწერლობა გაუბედავად ალაპარაკდა სულიერ ფასეულობაზე. ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონის“ პერსონაჟმა, სასიკვდილო სარეცელზე მწოლარემ, სიზმარში ქრისტე იხილა.

„... მაშინ დაეშვა მუხლებზე ბაჩანა, თაყვანი სცა ახალგაზრდას და უთხრა:

– გიხილე და გიწამე“.

სასიკვდილოდ გადადებულ ბაჩანა რამიშვილს ლენინი არ ზმანებია. ქრისტე დაესიზმრა. ბუნებრივია, ადამიანის არსებობის უკანასკნელ წუთს ლენინს არ ძალუძს ნუგეშის ცემა. პირიქით, როცა ლენინი კვდებოდა, თვითონაც უთუოდ ღმერთს ევედრებოდა შველას. არც სოციალიზმისა და კომუნიზმის თეორია უშველის და შეეხიდება ადამიანს სულის ხორცთან განშორების ჟამს. კაცის სულს მარქსიზმ-ლენინიზმმა ვერაფერი მისცა და ადამიანის დამშეული სამშვინველი ისევ უკან, ქრისტიანობისაკენ მიბრუნდა. მწერლობაც იძულებულია, იქ ეძებოს ზნეობრივი იდეალი.

ეს მარქსიზმ-ლენინიზმის საბოლოო იდეოლოგიური მარცხია.

დღეს გულწრფელად მარქსიზმ-ლენინიზმის არც ერთ მოაზროვნე ადამიანს აღარ სჯერა. ამიტომ არის, რომ მას თეორეტიკოსი, რომელიც გააღრმავებს, წინ წასწევს, არც ერთ ქვეყანაში აღარ ჰყავს. კომუნისტური პარტიების ყრილობანი ყველგან, მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით სსრკ-ში, საწარმოო თათბირის ხასიათს ატარებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული განვითარება უკვე შეუძლებელია. მას არასოდეს ჰქონია ზნეობრივი ნაწილი. იგი ეყრდნობოდა პრიმიტიულ შეხედულებას: თუ მოგვარდება ეკონომიკური საკითხები, მოგვარდება სხვა დანარჩენი პრობლემებიც. ისტორიამ დაადასტურა, რომ ასე იოლად არ ყოფილა საქმე. ეკონომიკური პრობლემების მოგვარებით სხვა პრობლემებს თურმე არ ეშველება. მაგრამ რაღა დროს სხვა პრობლემებზეა ლაპარაკი, როცა ეკონომიკაც ვერ მოაწესრიგეს. ახლა განვითარებულ ქვეყნებს შორის ყველაზე ჩამორჩენილი სსრკ-ია. რა მდგომარეობაშია სსრკ-ში ეკონომიკა, ეს ნათლად მაღაზიებში ჩანს, საკითხის ღრმად შესწავლის გარეშეც. ეს ცარიელი მაღაზიები ხმამაღლამეტყველი საბუთებია, რომელთაც დემაგოგიური სიტყვით ვერ გააბათილებთ, თუმცა კი ცდილობენ.

„დაბალი ხელფასიო, ხორცის პრობლემაო?! ქირქილებენ სკეპტიკოსები, ცინიკოსები, ურწმუნო თომანი.

აქაც „დიახ“ გვეთქმის. არსებობს ერთიც და მეორეც, არის კიდევ სხვა სიძნელეებიც. მაგრამ, ჯერ ერთი, ვინ თქვა, რომ სოციალიზმი მარტო ფუფუნებაა, რძის მდინარეები და კისელის ნაპირებია. ვინც ასე ფიქრობს, მარქსის ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომებს (მაგალითად, „18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“), ჩახედოს, ლენინს დაეკითხოს, ამხანაგ ბრეჟნევის მოსაზრებანი გაიხსენოს“.1

ახლა აღარ არის სოციალიზმი ფუფუნება, მატერიალური კეთილდღეობა? გაძღომის გარდა, სხვას არაფერს დაჰპირებია დამშეულ პროლეტარიატს სოციალიზმი და აქაც ჩაფლავდა. ამას ყველაზე მკაფიოდ თვითონ პროლეტარიატი ხედავს, თორემ სკკპ-ს „ვერხუშკა“ თავის დახურულ მაღაზიებში ნადიმობს. ზემორე ციტირებული სტრიქონებიც იმ დახურულ მაღაზიაში გამძღარის დარიგებაა. დამშეულებმა გავიგეთ ეს დარიგება: როცა ხორცი არ არის, მარქსის „18 ბრიუმერი“ უნდა წავიკითხოთ, როცა ყველი არ არის – ლენინის თხზულებანი, მაგრამ ერთი კითხვა მაინც დაგვრჩა: როცა ტუალეტის ქაღალდი არ არის, მაშინ მარქსიზმ-ლენინიზმის რომელი კლასიკოსი წავიკითხოთ?

მკითხველს უნდა გავახსენო, რომ, რასაც ჟურნალისტი წერს, ახალი არ არის. კომუნისტური საზოგადოების ნივთიერ ხელმოკლეობასა და გასაჭირს 30-იანი წლების დასაწყისში პოეტი ასე ამართლებდა:

გადაუდებელ კომუნიზმის მშენებლობისთვის

გამოვიყენებთ წიგნაკების ციფრს და კანონებს.
და ნურვინ იტყვის:
– რად ამყლავნებს ტემპი სიმკაცრეს?
ნურც მას:
– ხორაგი წიგნაკებზე რად დაყოფილა?
მილიონები ჩვენს შრომასთან ჯერ დავაჟკაცდენ,
*შემდეგ გავიგებთ, ეს ტემპები თუ რა ყოფილა.*1

ვერ გავიგეთ. ამ ლექსის გამოქვეყნებიდან ნახევარი საუკუნე გავიდა და ტემპებმა ვერ გვიშველეს. ხორაგი დღესაც წიგნაკებით (ტალონებით) რიგდება. ნახევარი საუკუნის მანძილზე კომუნისტური შრომის „გაუგონარმა გამარჯვებებმა და წარმატებებმა“ ის შედეგი მოგვცეს, რომ შაქარი, კარაქი, ხორცი ტალონებით უნაწილდებათ რიგით მოქალაქეებს, ხოლო ყველი არც წიგნაკებით იშოვება. ხორცის ჭამა კი წელიწადში მხოლოდ სამჯერ არის ნებადართული – პირველ მაისს, შვიდ ნოემბერს და ახალ წელიწადს. ეს ყველაფერი საბჭოელი მოქალაქის ჯანმრთელობისათვის კეთდება. კომუნისტური ელიტა კი იმდენად არ უფრთხილდება თავისთავს და ისეა ხალხისთვის თავგანწირული, რომ ყოველდღე ჭამს დახურული მაღაზიებიდან გამოტანილ ყველსა და ხორცს.

მალე საბჭოელი მოქალაქე პურსაც წიგნაკით მიიღებს. ეს იქნება ვაჭრობის ყველაზე პროგრესული ფორმა. უნივერსიტეტის ერთმა დოცენტმა უკვე გვასწავლა: „უწინ ხომ ასე იყო, რომ სოფლად ოჯახი პურს კვირაში ერთხელ აცხობდა და ჩვენი ხალხი ძველი პურით იკვებებოდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად ადამიანის კუჭის და მისი ჯანმრთელობის მოთხოვნილება არ შეესატყვისება ჩვენი პირის გემოს – პირს ეგემრიელება, კუჭს კი ემძიმება ახალგამომცხვარი, ცხელი, ქართული პური“.2

მართლაც არნახული აყვავება განუცდია ქართულ მეცნიერებას კომუნისტების მზრუნველობით.

ქვეყანაში, სადაც აზროვნება აკრძალულია, სადაც ბრმა მორჩილებაა თაყვანისცემის საგანი, არაფერი მოგვარდება, არაფერი მოწესრიგდება. ცხადია, არც ეკონომიკის საკითხები. ეკონომიკას ყველაზე მეტად სჭირდება ჭკვიანი ადამიანი, თავისუფალი პიროვნება, თავისუფალი და შეუბღალავი საქმიანობა. სსრკ-ში კი სწორედ ამ ელემენტებს ებრძვიან.

ქრისტიანობის ზნეობრივი იდეალისაკენ მიბრუნების კიდევ ერთი ნიმუშის გახსენება შეიძლება.

1976 წლის 25 ივნისს „ლიტერატურულ საქართველოში“ კ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა „კოლხეთის ცისკრის“ ახალი თავი. ამ თავში კულაკის ბარნაბა საგანელიძის ქალიშვილი თალიკო სოფლის კომკავშირის უჯრედის მდივანს ბაჭუა ვარდოსანიძეს თხოვს – კომკავშირში მიმიღეთო. ბაჭუა თალიკოს შეჰპირდა ამ თხოვნის განხილვას, ოღონდ ულტიმატუმი წაუყენა – „თუ ჩვენთან ყოფნა გინდა, მაშინ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოშორდე იმ პირსისხლიან კაპიტალიზმს!“ თალიკო დაიბნა. ვერ მიხვდა, რა კავშირი ჰქონდა კაპიტალიზმთან და როგორ უნდა ჩამოშორებოდა მას. ამიტომ გაუბედავად ჰკითხა ბაჭუას: – „მითხარი რაფერ და...“, რაზეც კომკავშირის უჯრედის მდივანმა მტკიცედ უპასუხა: – „მამაშენს უნდა გაეყარო!“ თალიკომ თვალები დააჭყიტა და დაბნეულმა იკითხა – „მამაჩემი რა შუაშია?!“ გაბრაზებულმა ბაჭუა ვარდოსანიძემ განუმარტა:

„– შუაშიც არის, თავშიც და ბოლოშიც! შენ თუ ფიქრობ, კაპიტალიზმი მარტო ინგლისში არისო, ძალიან შემცდარხარ! აბა, ვინ არის, გოგო, მამაშენი, ბარნაბა საგანელიძე! ჩაგრულთა კლასის მყვლეფელი და სისხლის მწოველი ბობოლა! გაეყარე, გამოდი ჩვენს ბარიკადებზე და ბაჭუა ვარდოსანიძე მოგიკვდეს, თუ შენი განცხადება ხელახლა არ განიხილოს ჩვენმა უჯრედმა“.

დააკვირდით, როგორ აქვს მწერალს აღწერილი თალიკოს რეაქცია ბაჭუას სიტყვებზე:

„მექიმ თვალი მოატანა, რა საშინელი სინანულის ღიმილმა დაუგრიხა ტუჩ-პირი საგანელიძის ქალს. ეს რა უთხრა ამ ბიჭმა, ვისთანაც ერთად სკოლაში სწავლობდა, გაკვეთილებსაც ერთად ამზადებდნენ, თამაშითაც ერთად თამაშობდნენ... ეს კი რას მეუბნება! ნუთუ შეიძლება ასეთი რამ გააგონო ადამიანის ყურს!“

ახლა თალიკოს პასუხიც მოისმინეთ:

„– ენა რაფერ მოგიბრუნდა, ბაჭუა, ამის სათქმელად! შენ რომ იცოდე, მამაჩემს როგორ ვუყვარვარ, გავეყრები კი არა, ქალამნის ძირად დავედები! არა ბაჭუა, ასოასოდ რომ ამკუწონ, მე მაგას ვერ ვიზამ! ესეც არ იყოს, ისეთი ადამიანი რად გინდათ, ბიჭო, მშრომელ მამას რომ გადაუდგება! დღეს მამას გადაუდგა, ხვალ თქვენ გიღალატებთ, მამაზეციერს არ დაინდობს! კარგად ბრძანდებოდეთ“.

ასე აჯობა და დაამარცხა ზნეობრივად კულაკის ასულმა კომკავშირელი. მერედა, ვის რომანში მოხდა ეს? იმ მწერლის, რომელიც გვიმტკიცებდა – „მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე არც მიმაჩნია ადამიანად“-ო.

როგორ მოხდა ეს? რის შედეგია იგი? კომუნისტური იდეალის მარცხისა და ქრისტიანული იდეალისაკენ მობრუნების. თალიკოს პასუხში იგივეა ნათქვამი, რასაც იოანე მოციქული ამბობს: „უკეთუ ვინმემ თქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და ძმაი თუისი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არ უყვარდეს ძმაი თუისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყვარებად?“ (იოანეს ეპისტოლე პირველი, 4; 20). ამ მცნებას, თუ მეტი არა, ორი ათასი წელიწადი მაინც არის, რაც იცნობს კაცობრიობა და რატომ გაჩნდა იგი „კოლხეთის ცისკარში“ მხოლოდ 70-იან წლებში? იმიტომ, რომ ყველამ დაინახა, სად მიიყვანა სოციალიზმი უზნეობის პროპაგანდამ და მის გადასარჩენად ისევ ჩაებღაუჭნენ კომუნისტების მიერ დაგმობილ ქრისტიანულ იდეალს.

შეადარეთ:

30-იანი წლების მოთხოვნა: „თინა საუცხოვო ტიპია ბოლშევიკის, იცი რა მითხრა: ბაიაშვილი მამაჩემს მეგობრობს ძალიანო. მამაჩემი კი ფარული მენშევიკია და ჩვენი მტერიო“ (ს. თალაკვაძე – „გადასასვლელი“).

70-იანი წლების მოთხოვნა: „... ისეთი ადამიანი რად გინდათ, ბიჭო, მშობელ მამას რომ გადაუდგება! დღეს მამას გადაუდგა, ხვალ თქვენ გიღალატებთ! მამაზეციერს არ დაინდობს!“ (კ. ლორთქიფანიძე – „კოლხეთის ცისკარი“)

ასე შემობრუნდა მწერლობა კომუნისტური ზნეობიდან ქრისტიანული ზნეობისაკენ. ეს კი საერთოადამიანურის, ჰუმანისტურის გამარჯვებას მოწმობს და უარყოფს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს.

ქრისტიანული იდეალის გახსენება და მისკენ მიბრუნება ლიტერატურის პარიტულობის პრინციპისაგან თავის დაღწევის ერთ-ერთი გზაა. მიმართავენ სხვა გზასაც. მაგალითად, ცრუ მედიტაციურ ლირიკას. გავეცნოთ ნიმუშს.

„რა არის იგი —
სიკვდილზე შიში?
რადგან ცხოვრება ლუწის და კენტის
კრისტალია და... მზეს მონათიში.
ხომ აქვს თვისება ჰიპოპოტამის —
როს გე ზიდება მაგნიტის არედ, —
ცას,
მიწას,
მთვარეს, —
ჩემთვის მოტანილს,

ერთხელ მოტანილს —
დავუმსხვრევთ ზარებს.
პრეისტორიულ გ ზებ ზე მარები
ვართ სალომეა, და ასე მერე,
ჩვენი ზარები, გ ზა და კარები
მიემატება უთვალავ ფერებს.
მანამდე? როგორც ადამს და ევას,
გვქონდეს წუთები ვნებებით მთვრალი, —
ჭირდება ვინმეს დღეს სალომეა,
*იოქანაანის მოჭრილი თავი?!"*1

სრული აბდაუბდაა. არა მგონია რომელიმე მკითხველი მიხვდეს, რას ნიშნავს — „ცხოვრება ლუწის და კენტის კრისტალია და... მზეს მონათიში",
ვის აქვს ჰიპოპოტამის თვისება — ცას, მიწას, მთვარეს? ან რატომ აქვს?
ვის ან რას დავუმსხვრევთ ზარებს — ცას, მიწას, მთვარეს?
რატომ არიან ბიბლიური სალომე და საბჭოელი მოქალაქე პრეისტორიულ გზაზე მარები?
რა შუაშია იოქანაანის მოჭრილი თავი ან რატომ უნდა სჭირდებოდეს იგი ვინმეს დღეს?
რაკი ლექსში აზრის ნასახიც არ არის, ცხადია, იგი მოკლებულია თხრობის მდინარების ელემენტურ ლოგიკურობასაც. ამიტომ ლექსის დასაწყისში დასმული კითხვა — „რა არის იგი — სიკვდილზე შიში?" (თუ სიკვდილის შიში — ა.ბ.) — უპასუხოდ რჩება.
ამ ლექსის ავტორი აგიტპუნქტური პოეზიის ტიპიური წარმომადგენელია. ეტყობა აგიტპუნქტში სამსახურს ვეღარ გაუძლო და სცადა მედიტაციური ლირიკისათვის შეეფარებინა თავი. მაგრამ აზროვნებას გადაჩჩვეულმა ვეღარ მოახერხა სათქმელის ლოგიკურად დალაგება. სხვა შედეგს აგიტპუნქტური მწერლობისაგან ვერც მივიღებდით, რამეთუ იგი ამტკიცებს, რომ ერთადერთი უცდომელი, ჭეშმარიტი, ყველასათვის ბედნიერების მომტანი მოძღვრება არის მარქსიზმ-ლენინიზმი. სხვა ამგვარი მოძღვრება არც ყოფილა და არც იქნება. თუ ასეა, სხვათა აზროვნება გამორიცხულია. რაღა საჭიროა აზროვნება, თუკი მარქსიზმ-ლენინიზმმა ყველაფერს პასუხი გასცა და საეჭვო არაფერია, თუ არ არსებობს სხვა სიმართლეც, სხვა ჭეშმარიტებაც, სხვა გზაც ბედნიერებისაკენ? საკმარისი ყოფილა მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებათა გაზეპირება და ამით ამოწურულია აზროვნების პრობლემაც. ადამიანი მარქსიზმ-ლენინიზმით ერთხელ და სამუდამოდ ისე შეიარაღებულა, რომ ტვინის განძრევაც აღარ ყოფილა საჭირო.
ამიტომ არის, რომ, როცა აგიტპუნქტური მწერლობის წარმომადგენელი მედიტაციურ ლირიკას მიმართავს, ყოველთვის აბდაუბდა გამოსდის. მედიტაცია აზროვნებას გულისხმობს. ითხოვს ახალ, საკუთარ შეხედულებას სამყაროზე. ეს კი აგიტპუნქტური მწერლობის მიმდევარს არ გააჩნია. იგი მარქსიზმ-ლენინიზმის მონაა.
როცა ნიჭიერი მწერალი გაურბის ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს, იგი ან ალეგორიას მიმართავს ან მოქმედება წარსულში გადააქვს. სანიმუშოდ შეიძლება „დათა თუთაშხია" გავიხსენოთ.
ყველა დამეთანხმება, რომ „დათა თუთაშხიაში" ისტორიული ფონის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს. რომანში არ მოქმედებს არც ერთი ისტორიული პირი, არც მისი პრობლემატიკაა ისტორიით განპირობებული. მაშინ რატომღა ამჯობინა ავტორმა რომანის მოქმედება წარსულში გადაეტანა?
დათა თუთაშხია შემთხვევით გახდა აბრაგი. მან მომაკვდინებლად დაჭრა ახლობელი კაცი ანდრიევსკი. ანდრიევსკი არაფერში სდებდა ბრალს დათას და მის წინა-

აღმდეგ რაიმე საქმის აღძვრის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მაგრამ პოლიცია მაინც დაეძებდა თუთაშხიას. იგი იძულებული გახდა ყაჩაღად გავარდნილიყო. რამდენიმე წელიწადი იაბრაგა დათამ, მაგრამ მაინც შეინარჩუნა მაღალი ზნეობა და კეთილკაცობა.

საბჭოელი მოქალაქისათვის ამგვარი ბედი წინასწარ გამორიცხულია. საბჭოელი მოქალაქე არ შეიძლება ყაჩაღად გავარდეს. ქართულ საბჭოურ პროზაში მხოლოდ ნ. დუმბაძის მოთხრობებშია ყაჩაღი დახატული, ისიც მეორე მსოფლიო ომის დროს. ისინი, როგორც წესი, დამნაშავენი და ბოროტმოქმედნი არიან, რაკი საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ არ სურთ ბრძოლა. სხვა შემთხვევა ყაჩაღის პროტაგონისტად გამოყვანისა ქართულმა საბჭოურმა პროზამ არ იცის. არც შეიძლება იცოდეს, რამეთუ გააბრაგებული საბჭოელი მოქალაქე უთუოდ დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს. საბჭოელი მოქალაქე – ყაჩაღი და ამავე დროს კეთილშობილი, ჩვენი არსენას მსგავსი, მაღალი ზნეობით აღჭურვილი, კეთილისმოქმედი და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი – შეუძლებელია არსებობდეს. ყაჩაღობა, როგორი სახითაც უნდა გამოვლინდეს იგი, სოციალური, პოლიტიკური, ეროვნული პროტესტია. საბჭოელ ადამიანს კი რა აქვს საპროტესტო? საბჭოთა ხელისუფლება მისი ხელისუფლებაა. საბჭოთა ხელისუფლება დაგჩაგრავს, ჩაგწიხლავს სოციალურად, პოლიტიკურად თუ ეროვნულად, მაინც საბჭოელი ხალხის ხელისუფლებაა. ჩაგვრა, ჩაწიხვლა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა, ფასების ზრდა, სურსათ-სანოვაგის უკმარობა მხოლოდ საბჭოელი ხალხის კეთილდღეობისათვის არის. ამ კეთილდღეობისათვის ზრუნვის შედეგია. როგორღა შეიძლება პროტესტი გამოითქვას ხალხის ბედით ასე შეწუხებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ლოზუნგები ყოველ ნაბიჯზე გვარწმუნებენ – პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია, პარტიას ერთადერთი მიზანი აქვს – საბჭოელ ხალხზე ზრუნვა, პარტია და ხალხი განუყოფელია. ცხადია, ვინც ასეთი პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრდება, ის ბოროტმოქმედი და დამნაშავეა. ამიტომ საბჭოელი დათა თუთაშხია არ შეიძლება არსებობდეს.

რომანის პერსონაჟები ელიზბარ კარიჭაშვილი, სანდრო კარიძე, დათა თუთაშხია, ნანო თავყელიშვილი და სხვანი ეროვნულ საკითხებზე საუბრობენ. მსჯელობენ საქართველოს აწმყოს, წარსულსა და მომავალზე. საბჭოელი ქართველი ამ პრობლემებზე ვერ იმსჯელებს. კომუნისტურმა პარტიამ გვიბრძანა – ეროვნული საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტეთო და აღარაფერია საფიქრალი, სალაპარაკო და თავსატეხი.

სხვათა შორის, დამპყრობელი ერის შესახებ რომანში ნათქვამია: „პყრობას, დაოკებას, წინააღმდეგობის ჩახშობას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ასი ხალხის პყრობას – ასჯერ მეტი ძალისხმევა. უსაზღვრო და ამოუწურავი მზისა ქვეშ არაფერია. მპყრობელი ერის ენერგიასაც აქვს თავის საზღვარი. იღლება, იფიტება, ცხოველმოსილება უდუნდება. ჯერ პყრობის უნარს კარგავს, შემდეგ თავდაცვისას, მერე სხვა ერებში ითქვიფება და ბოლოს არსებობასაც წყვეტს“. აქ ზუსტად და ლოგიკურად არის აზრი ჩამოყალიბებული: რუსეთის ძლევამოსილებაც დაკნინდება, დაიღლება და გამოიფიტება. მისი იმპერიაც დაიშლება და იძულებული გახდება დაპყრობილი ხალხები გაათავისუფლოს. ქართველობაც იქნება თავისუფალი ერი. მაგრამ საბჭოელი ქართველი ამ სიტყვებს ვერ იტყვის. ოფიციალური ინსტრუქციის თანახმად, რუსეთის იმპერია აღარ არსებობს. არის სსრკ. სსრკ-ში რუსეთს უფროსი ძმის ფუნქცია აქვს მინიჭებული და იგი ეროვნულად არავის ჩაგრავს. თუ ხანდახან თავში ჩაგიჩაჩქუნებს და ჭიტლაყსაც გითავაზებს, ეს უფროსი ძმისგან არც უნდა გეწყინოს. მთავარია ძმობა და მეგობრობა, რომელიც საბჭოელ ხალხებს შორის არსებობს და მწერალიც მოვალეა „მეგობრობიადის“ ცრუ, მოსაწყენ და ერთფეროვან სიმღერას ღნაოდეს.

სხვა ბევრი საჭირბოროტო პრობლემაც არის დასმული რომანში, მაგრამ ჩემი აზრის ნათელსაყოფად მოხმობილიც კმარა.

„დათა თუთაშხიას“ პრობლემატიკა რომ დღესაც ცოცხალია და საზოგადოების მწვავე ინტერესს იწვევს, ამას რომანის პოპულარობაც ადასტურებს. მკვდარი და მხოლოდ წარსულში არსებული პრობლემატიკით დღევანდელ მკითხველს ვერ დააინტერესებ, რარიგ ოსტატურადაც უნდა აღიწეროს იგი. მკითხველს დღევანდელი ტკივილი იტაცებს. „დათა თუთაშხიაშიც“ ეს დღევანდელი ტკივილია და ასეც წაიკითხა რომანი მკითხველმა საზოგადოებამ. თუ რომანის მოქმედება წარსულში განვითარდა, ეს მოხდა იმიტომ, რომ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი არ იძლევა გულახდილი ლაპარაკის საშუალება-უფლებას.

მნიშვნელობა არა აქვს იმას, ავტორმა რომანის მოქმედება წარსულში ცნობიერად გადაიტანა თუ ქვეცნობიერად. თუ ეს ქვეცნობიერად მოხდა, კიდევ უფრო უარესი: ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს ისე ჩაუჭედია ყველა მწერლის თავში ავტოცენზორი, რომ ისინი უკვე მექანიკურად მოქმედებენ.

ასე ნაირ-ნაირი გზებით ცდილობს საბჭოელი მწერალი დააღწიოს თავი ლიტერატურის პარიტულობის პრინციპის მონობას.

„აზრი და სიტყვა – ერთიცა და მეორეც – ღვთიური ელემენტია ადამიანში და როგორც ასეთი, თავისუფალია თავისთავად. თითქოს შეეძლოს ვისმე მიიჩნიოს აზრისა და სიტყვის თავისუფლება დანაშაულად“ – ამბობს გრიგოლ რობაქიძე.

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც უნდა, იბრძოლოს ადამიანის სულის გადარჩენისათვის და უჩიჩინებენ – სული არ არსებობს, ყველაფერი მატერიალურია?..

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც უნდა, იბრძოლოს ეროვნული თავისუფლებისათვის და უჩიჩინებენ – ყველა ეროვნული პრობლემა სამუდამოდ მოგვარებულიაო?

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც უნდა, იბრძოლოს სოციალური სამართლიანობისათვის და უჩიჩინებენ – ყველა სოციალური პრობლემა სამუდამოდ მოწესრიგებულიაო?

რა უნდა ქნას მწერლობამ, რომელსაც უნდა, იმსჯელოს ფილოსოფიურ საკითხებზე და უჩიჩინებენ – ყველა ფილოსოფიური საკითხი მარქსიზმ-ლენინიზმმა გადაწყვიტაო?

უნდა იბრძოლოს, არ დამორჩილდეს, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. სხვა გზა არ არსებობს. ყველა სხვა გზა იმ მდგომარეობამდე მიიყვანს მწერალს, სანამდისაც ერთი პოეტი მივიდა, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე სიტყვებს ლექსად ამბობდა.

შიშით ამიტომ შესცქერის რუკას
და გვიღრენს მხეცი უოლ-სტრიტელი,
რომ ორი ფერი შერჩა ამ რუკას: –
მისი – შავი და ჩვენი – წითელი!
ეს ორი ფერი, ორი სამყარო,
ამ ქვეყანაზე ორი გზით მიდის, –
ჩვენი – ხალხისთვის კომუნიზმს აგებს,
მისი – თავის ხალხს ოქროზე ჰყიდის...1

ეს კი ცოცხლად სიკვდილს ნიშნავს.

VI

საერთოადამიანური თუ კლასობრივ-პარტიული?

ადამიანი, რომელიც მწერლობის დაკვირვების, ყურადღების, შესწავლის, ასახვის ძირითადი საგანია, რა თქმა უნდა, ეკუთვნის ამა თუ იმ რასას, ერს, კლასს, პარტიას. აღიარებს ამა თუ იმ რელიგიას, ფილოსოფიურ მოძღვრებას, სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებას, ეწევა ამა თუ იმ საქმიანობას. ყველაფერი ეს გავლენას ახდენს პიროვნების ბუნებაზე, თვისებასა და ხასიათზე. მაგრამ, რაც მთავარია, არსებობს რაღაც საერთოადამიანური,რომელიც უცვლელია, ზედროულია, ზერასობრივია, ზეროვნულია, ზეკლასობრივია, ზეპარტიულია. როცა დგება საკითხი ადამიანისა და კაცობრიობის, პიროვნების და საზოგადოების ურთიერთობისა, ძალიან ხშირად ადამიანში საერთოადამიანური ეჯახება რასობრივს, რელიგიურს, ეროვნულს, პარტიულს, კლასობრივს. ადამიანს უჭირს მოქმედების სწორი კრიტერიუმის გამოძებნა. არ იცის, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში. ეს მარადიული წინააღმდეგობაა და ერთ-ერთი ძირითადი საგანია სიტყვაკაზმული მწერლობისა.

ადამიანის სამშვინველში მომხდარ ბრძოლასა თუ პიროვნებასა და საზოგადოებას შორის არსებულ ყოველგვარ კონფლიქტს ყოველი დროისა და ყოველი ერის მწერლობა უყურებს საერთოადამიანურისა და ყველა სხვა დანარჩენი მოვლენის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით. ამ ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისას ლიტერატურის ჰუმანისტური პრინციპი უპირატესობას საერთოადამიანურს ანიჭებს.

დავაკვირდეთ ზოგიერთ ნიმუშს.

ილია ჭავჭავაძე მოთხრობაში – „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ – შემდეგს გვიამბობს:

ქართველები ყიზილბაშებს ებრძვიან. ერთმა მამაცმა ყიზილბაშმა რამდენიმე ქართველი ვაჟკაცი მოკლა. შეძრწუნდა ქართველობა: ნუთუ ამ ყიზილბაშის მომრევი ვერ უნდა ვიპოვოთო? გადაწყვიტეს ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი მოეძებნათ. იგი ცხარე ბრძოლიდან გამოიხმეს და თავიანთი უბედურება შესჩივლეს. აჩვენეს მამაცი ყიზილბაში, რომელიც ბრძოლის ველზე არხეინად დანავარდობდა და ქართველებს მუსრს ავლებდა. მეტი რა გზა იყო, ნიკოლოზი უნდა შებრძოლებოდა მტერს. დაიწყო ორთარკენა.

„გოსტაშაბიშვილი ცხენ-და-ცხენ ეცა, წასწვდა, ერთი-ორი ღონივრად შეჰბერტყა და ცხენიდან ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენიდან გოსტაშაბიშვილი, ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

– ნუ გეშინია, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.

– მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანო, – უპასუხა ყიზილბაშმა, სალამი მისცა და წავიდა“.1

როგორც ხედავთ, აქ ეროვნულს საერთოადამიანურმა სძლია. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილმა ყიზილბაშის მამაცობაში დაინახა საერთოადამიანურის ის ხიბლი, რომელიც ყველა ერის კაცს აერთიანებს. ნიკოლოზი ვერ დააბრმავა ეროვნულმა შუღლმა. მას ბრძოლის დროსაც არ დაუჩლუნგდა კაცობრიობის ერთიანობის გრძნობა. ამით გოსტაშაბიშვილმა საკუთარი ადამიანური ბუნების სიდიადეც გამოავლინა და ჭეშმარიტი ვაჟკაცობაც აჩვენა. ამას ყიზილბაშიც მიხვდა. ისიც ისეთივე დიდბუნებოვანი ადამიანი აღმოჩნდა, როგორი ვაჟკაციც იყო. იგი მადლიერების ნიშნად ბრძოლის ველს გაეცალა. ასე დაჯაბნა კეთილმა ბოროტი, პატიების დიდმა გრძნობამ – შურისგების მათხოვრული გრძნობა, საერთოადამიანურმა – ეროვნული მტრობა.

ვიქტორ ჰიუგოს რომანში – „ოთხმოცდაცამეტი წელი“ – ასეთი ამბის მოწმე ვხდებით:

რესპუბლიკისა და მეფის მომხრეთა ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლაა. მეფის ერთგული მარკიზი დე ლანტენაკი დამარცხდა. რესპუბლიკის ჯარმა ალყა შემოარტყა მარკიზის ციხე-სიმაგრეს. მაგრამ რესპუბლიკელებმა დე ლანტენაკი მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში. იგი ერთგულმა ადამიანებმა საიდუმლო ხვრელით გააპარეს ციხე-სიმაგრიდან. ციხე-დარბაზში დარჩა მხოლოდ იმანუსი. იგი უკანასკნელ წინააღმდეგობას გაუწევდა მტერს, რომ ამით მარკიზს დრო მოეგო და უვნებელი გასულიყო სამშვიდობოს.

იმანუსი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რესპუბლიკელებს, სანამ იგი მტერმა სასიკვდილოდ არ გაფატრა. სიკვდილის წინ მან მოასწრო ჩირაღდნით ცეცხლი წაეკიდებინა ზონარისათვის. ცეცხლი ზონარს გაჰყვა და მალე მთელ ციხე-დარბაზს მოედო.

მარკიზი დე ლანტენაკი უკვე გავიდა გვირაბიდან. იგი ტყეში იდგა და მას აღარაფერი ემუქრებოდა. რესპუბლიკელები ველარ დაეწეოდნენ. ამ დროს მარკიზს ქალის შემზარავი კივილი მოესმა. ჰკიოდა მიშელ ფლეშარი, მარკიზის მოახლე. მიშელ ფლეშარმა, რომელიც ციხე-დარბაზში ბრუნდებოდა, დაინახა ცეცხლმოკიდებული სასახლე. ციხე-დარბაზის ფანჯრები ღია იყო და გორაკზე მდგარმა დედამ თვალნათლივ გაარჩია: სასახლის ბიბლიოთეკის ოთახში უდრტვინველად ეძინა მის სამ შვილს. თავზარდაცემული ქალი მშველელს მოუხმობდა, მაგრამ არავის ძალუძდა დახმარება. რესპუბლიკელი ჯარისკაცები გაოგნებული იდგნენ. ციხე-დარბაზის რკინის კარები მტკიცედ იყო დაგმანული. ვერარა ძალა მას ვერ შეანგრევდა. ცეცხლი თანდათანობით ძლიერდებოდა. ბავშვებს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრებოდა. ირგვლივ კი მხოლოდ უძლურების გმინვა ისმოდა. მთელი არმია გულხელდაკრეფილი მისჩერებოდა ბავშვების საზარელ სიკვდილს.

ქალის კივილზე შემობრუნებულმა მარკიზმაც დაინახა, რაც ხდებოდა. იგი ცოტა ხანს თავჩაქინდრული იდგა. მერე მოტრიალდა და საიდუმლო გვირაბში შებრუნდა. მარკიზმა დე ლანტენაკმა მშვიდად გაიარა ენაჩავარდნილი რესპუბლიკელი ჯარისკაცების წინ, ჯიბიდან კლიტე ამოიღო, რკინის კარები გააღო და აბობოქრებულ ცეცხლში შეაბიჯა. რამდენიმე წუთის შემდეგ მარკიზი ბიბლიოთეკის ფანჯარაში გამოჩნდა. ცეცხლის ენები უკვე ბიბლიოთეკის კედლებს ლოკავდნენ. დე ლანტენაკმა სარკმლიდან თოკის კიბე დაუშვა. ჯარისკაცები კიბეზე აცვივდნენ. მარკიზი სათითაოდ აძლევდა მათ მიშელ ფლეშარის შვილებს. როცა გადარჩენილი პაწიები გულწასულ დედას შემოეხვივნენ, მარკიზი ერთხანს კიდევ იდგა ზევით ჩაფიქრებული, მერე ისიც დაეშვა კიბით ძირს.

მარკიზი დე ლანტენაკი რესპუბლიკელებმა დააპატიმრეს.1

არისტოკრატი, როიალისტი უკან მობრუნდა და თავი გასწირა გლეხის ქალის შვილების გადასარჩენად. ეს იმიტომ, რომ საერთოადამიანური გაცილებით მაღლა დგას და ძლიერია ყოველგვარ კლასობრივ განსხვავებაზე. აქ საერთოადამიანური ამარცხებს კლასობრივ განსხვავებას, წინააღმდეგობას, შუღლს.

მეტად საგულისხმოა, რომ რომანის იმ თავს, სადაც ეს ამბავია აღწერილი, ეწოდება In deamone Deus (დემონში ღმერთია). კაცში საერთოადამიანურის გაღვიძება და გამოვლენა ნიშნავს ღვთაებრივი სულის აღორძინებას. რასობრივი, ეროვნული, რელიგიური, კლასობრივი, პარტიული მტრობა-შუღლი კი ეშმაურია ადამიანში. ამიტომ უნდა დაიძლიოს ისინი საერთოადამიანური სიყვარულით.

ალექსეი ტოლსტოის რომანში – „გზათა უკან წანწალი“2 – ორი კაცი შეხვდება ერთმანეთს – ვადიმ როშჩინი და ივანე ტელეგინი. მართალია, ისინი ქვისლები არიან, მაგრამ იმ დროს, როცა როსტოვის ვაგზალში მოულოდნელად შეიყარნენ, მტრე-

ბი იყვნენ: როშჩინი თეთრი გვარდიის რიგებში იბრძოდა ბოლშევიკური რევოლუციის წინააღმდეგ, ტელეგინი კი წითელ არმიაში მსახურობდა.

როსტოვი თეთრგვარდიელებს ეკავათ. ტელეგინსაც თეთრგვარდიელი პოდპოლკოვნიკის ფორმა ეცვა. ცხადი იყო, იგი ქალაქში შემოეგზავნათ, როგორც მზვერავი. ასე რომ ვაგზალში, როშჩინის გვერდით, სკამლოგინზე იჯდა მტერი, დაუნდობელი და დაუძინებელი დუშმანი. თუ როშჩინი შეასრულებდა თეთრგვარდიელი ოფიცრის მოვალეობას, კლასობრივი მტრობის პრინციპს, მაშინვე უნდა ემხილებინა ტელეგინი, გაეცა იგი და დაეპატიმრებინა. მართლაც, პირველი, რაც როშჩინს თავში მოუვიდა, იყო აზრი ტელეგინის დაჭერისა, მაგრამ მაშინვე გაუჩნდა საპირისპირო ფიქრიც. ტელეგინი მისი მოყვარეა, ქვისლია. თუ გაამხელს ტელეგინს, მას დახვრეტა არ ასცდება. მაშასადამე, უნდა ჩაიდინოს ღალატი მოყვასის მიმართ, ადამიანის მიმართ. საერთოადამიანურმა გაიმარჯვა და როშჩინმა არ დაასმინა ტელეგინი. ივანე ტელეგინი მშვიდობიანად გავიდა ვაგზლის შენობიდან და მიიმალა.1

შეგვიძლია ეს ეპიზოდი შებრუნებით წარმოვიდგინოთ – საბჭოთა ხელისუფლების ოფიცერი ტელეგინი არ დაასმენს, არ გასცემს თეთრგვარდიელ ოფიცერს როშჩინს, რომელიც მზვერავად არის შემოგზავნილი წითელ არმიაში? არ შეგვიძლია. როშჩინის საქციელს ვერ ჩაიდენს ტელეგინი. ტელეგინისათვის კლასობრივი მტრობის პრინციპი გაცილებით მაღლა დგას ადამიანურ სიყვარულსა და ღირსებაზე.

კომუნისტს უფლება არა აქვს, კლასობრივი თუ პარტიული მტრის არათუ შებრალებისა, არამედ ყოყმანისაც კი. კლასობრივ-პარტიული მტერი კომუნისტმა მაშინვე, დაუყოვნებლივ უნდა გაანადგუროს. ამას დაფიქრებაც არ სჭირდება.

ლევან მეტრეველის მოთხრობაში „ბოლშევიკი“2 ერთმანეთს უპირისპირდება ბოლშევიკი სვიმონი და მენშევიკი ჩაჩანო.

ისინი ბავშვობის მეგობრები არიან. რევოლუციურ საქმიანობაშიც ერთად ჩაებნენ. ერთად გადაუტანიათ ბევრი გასაჭირი. ერთად დაუღწევიათ თავი ბევრი საფრთხისათვის. ერთად უბრძოლიათ ცარიზმის წინაღმდეგ. მაგრამ მერე მათი გზები გაიყარა. სვიმონი ბოლშევიკი გახდა, ჩაჩანო – მენშევიკი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მენშევიკები დამარცდნენ. ჩაჩანო ჯერ გაიქცა საქართველოდან. მერე დაბრუნდა და ბოლშევიკების წინააღმდეგ არალეგალური მუშაობა დაიწყო. ჩაჩანოს დასაჭერად ეძებენ **ЧК**-ისტები.

ერთხელ, შემთხვევით, მენახშირედ გადაცმული ჩაჩანო იმ ეზოში აღმოჩნდა, სადაც სვიმონი ცხოვრობს. სვიმონი მასთან ნახშირის საყიდლად მივიდა და უცბად მენახშირეში ძველი მეგობარი და ახლანდელი მტერი იცნო. ცხადია, ჩაჩანომაც იცნო სვიმონი. გაქცევა უკვე შეუძლებელია. ჩაჩანო იძულებულია სვიმონს შინ შეჰყვეს.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა სვიმონი. არ იცის, რა ჰქნას – დაიჭიროს თუ არა ჩაჩანო, შეატყობინოს თუ არა **ЧК** -ს. რევოლუცია თუ მეგობარი? ასე იდგაო, – წერს ლ. მეტრეველი, – დილემა სვიმონის წინაშე. სვიმონს ახსენდება:

„... – ქუჩაში რომ დაატყვევეს იგი, ვინ იხსნა? ამ საბედისწერო ჟამს განა ჩაჩანო არ იყო, თვითვე განსაცდელში მყოფი ჩაჩანო – რომ გადმოეშვა მეხივით, ორივე პოლიციელი სასიკვდილოდ დასჭრა და იხსნა იგი უმძიმესი ხიფათისაგან? ან საზღვარგარეთ ვინ გააპარა? ვინ შეაგროვა გროშობით ფული? და თვით უცხოეთში სასოწარმკვეთ სიმშილის დროს განა ისევ ჩაჩანო არ ევლინებოდა გაჭირვების ტალკვესად?..“

„როცა ჩაჩანო მინისტრის მოადგილე იყო მენშევიკობისას, განა მასთან არ იმალებოდა სვიმონი?..“

ყოყმანობს ბოლშევიკი სვიმონი. ეს შეამჩნია ჩაჩანომ. გავიდა სვიმონის ბინიდან, ეზოში ჩავიდა და ის-ის იყო ქუჩაში უნდა გასულიყო, რომ **ЧК** -ისტები გადაუდგნენ წინ და დააპატიმრეს. სვიმონს არ გაუცია ჩაჩანო. თურმე **ЧК** -ისტები მას გამუდმებით ადევნებდნენ თვალს, მისი ასავალ-დასავალი იცოდნენ და მიუსწრეს კიდეც.

მაგრამ ჩაჩანოს სჯერა, რომ სვიმონმა გაყიდა იგი. როცა სვიმონი მეორე ოთახში გავიდა, ალბათ მაშინ დარეკაო ტელეფონით **ЧК** -ში. დაპატიმრებული ჩაჩანო გეგმებს აწყობს, როგორ გადაუხადოს სამაგიერო გაცემისათვის სვიმონს. ჩაჩანო მოახერხებს და ციხიდან შეატყობინებს თავის პარტიულ ამხანაგებს, რაც მოხდა და მათ სვიმონის დასჯას სთხოვს.

არალეგალური მენშევიკები ჩუმად, ღამით სვიმონს გზაში დახვდებიან, დაიჭერენ და სარდაფში დამალავენ. მენშევიკები სვიმონს ემუქრებიან: თუ გინდა ცოცხალი დარჩე, „ჩამოთვალე ყველა ის მენშევიკი, ვინც თქვენთან თანამშრომლობენ ჩუმად. აგრეთვე ვისგან ვინ არის გაცემული და ან რა საქმე“. სვიმონი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს. ბოლშევიკ სვიმონს მენშევიკები მოკლავენ. სიკვდილის წინ სვიმონი დასწერს: „ბოლშევიკებს გამცემლობა არ ეხერხებათ. სიკვდილისა კი არ ეშინიათ“.

როგორც ხედავთ, ბოლშევიკ სვიმონს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. პირიქით, მამაცურად მოკვდა. ოღონდ ოდნავ შეყოყმანდა, როცა მეგობრის დაპატიმრების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. მართალია, ყოყმანობდა, მაგრამ დასკვნა მაინც მეგობრის დაჭერის სასარგებლოდ გააკეთა:

„თუ იმან ვერ მოასწრო ჩაჩანოს დაპატიმრება, განა ეს კარგია? ის ხომ მოვალე იყო გაეცა გამცემი და მოღალატე ამდენი მსხვერპლით მოპოვებულ მშრომელთა ხელისუფლებისა? რომ გაეშვა თავისუფლად, პირიქით, ეს იქნებოდა გამოუსყიდავი დანაშაული მშრომელი ხალხისა და ქვეყნის უწმინდეს მოვალეობისადმი“.

ლ. მეტრეველს ეგონა უდრეკი ბოლშევიკი დავხატეო, მაგრამ მოტყუვდა. კომუნისტურ ლიტერატურულ კრიტიკას სვიმონი არ მოეწონა.

პუბლიცისტი გრიგოლ მუშიშვილი წერდა:1

„მკითხველისათვის აშკარაა ავტორის მთელი უსუსურობა. მეგობრობა თუ რევოლუცია? რასაკვირველია, რევოლუცია. განა შეიძლება აქ ყოყმანი და ორჭოფობა; ბოლშევიკისათვის ეს საკითხი არ სდგას, ბოლშევიკმა საკითხის ასე დაყენება არ იცის. მეტრეველი ამ თემას ანვითარებს, აგრძელებს, აჭიანურებს. კითხულობ სვიმონის სენტიმენტალურ, არაბოლშევიკურ მონოლოგებს და ბრაზი მოგდის, რა საჭიროა ამდენი „უაზრო ხეტიალი?“ მეგობრობის გრძნობა არყევს ბოლშევიკურ სიმტკიცეს... ბოლშევიკი სვიმონი ჰკარგავს ბოლშევიკურ გამბედაობას. „სიყრმის მეგობარი“ მას უმზადებს აჯანყებას. სვიმონმა ყველაფერი იცის ეს, მაგრამ ბოლშევიკი იკლაკნება ღვედივით, მას არ გააჩნია ბოლშევიკური ხერხემალი, არ აღმოაჩნდა აზრის სიმტკიცე, გაბედული მოქმედება. მეგობრობის მეშჩანური გრძნობა სამარცხვინოდ იმარჯვებს რევოლუციონურ გრძნობაზე! ჩვენც ვამბობთ პირდაპირ: სვიმონი ბოლშევიკის ტიპი არ არის (ხაზი გრ. მუშიშვილს ეკუთვნის – ა.ბ.). სვიმონი თვითონ მეტრეველია და მას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ბოლშევიკთან“.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის მოთხოვნას ნათლად და მკაფიოდ გამოთქვამს გრ. მუშიშვილი: მწერლობა უნდა ხატავდეს მექანიკურ ადამიანებს, ვინც უსიტყვოდ და დაუფიქრებლად შეასრულებს სკკპ მოთხოვნებს და დადგენილებებს.

კიდევ რამდენიმე ნიმუში გავიხსენოთ, მაგალითად, ფილმი „მიჩმანი პანინი“. პანინი ბოლშევიკებთან არის დაკავშირებული და მონაწილეობს სიკვდილმისჯილი 13 რევოლუციონერის გადარჩენაში. იგი მოახერხებს, რევოლუციონერები ჩუმად სამხედრო გემზე აიყვანოს და უცხოეთში გააპაროს. რევოლუციონერების დამალვის დროს პანინი ჰკლავს გემის ბოცმანს. გემი მეგობრული ვიზიტით საფრანგეთში, ჰავრში ჩავა და რევოლუციონერები გაიპარებიან.

გემის კაპიტანი ყველაფერს შეიტყობს. მან უნდა დააპატიმროს პანინი, მაგრამ ისიც იცის, რომ მიჩმანი კატორღას ვერ გადაურჩება. კაპიტანი პანინს ბოცმანის მკვლელობასაც აპატიებს და გაქცევის საშუალებასაც აძლევს. იგი ეუბნება პანინს – „მე მეზღვაური ვარ და არა ჟანდარმი“.

აქაც ადამიანური ღირსება და სოლიდარობა დაყენებულია კანონსა და მოვალეობაზე მაღლა.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საბჭოური გემის კაპიტანი, რომელიც ამბობს – მე მეზღვაური ვარ და არა **КГБ**-ისტი და გაქცევის, უცხოეთში დამალვის საშუალებას აძლევს მიჩმანს, რომელიც კომუნისტურ იდეოლოგიას არ იზიარებს? არა, არ შეგვიძლია. საბჭოური მწერლობა უფრო მაღლა აყენებს ფუნქციონერის მოვალეობას, ვიდრე ადამიანურ ღირსებას.

ქართულ ფილმში „წუთისოფელი“ ასეთი ეპიზოდია: ბოლშევიკი რევოლუციონერის დასაპატიმრებლად მენშევიკი გვარდიელები მოდიან. რევოლუციონერის დედამ არ იცის, როგორ იხსნას შვილი დაჭერისაგან და ბოლოს ამას მოიფიქრებს: ტანთ გაიხდის და ოთახში შიშველი გაჩერდება. იმედი აქვს: გვარდიელთა შორის არ აღმოჩნდება კაცი, რომელიც თავს დაიმცირებს, საკუთარ მამაკაცურ ღირსებას შეურაცხჰყოფს და ოთახში შევა, სადაც ტიტველი ქალი დგას. დედის ვარაუდი გამართლდა. არ იკადრეს გვარდიელებმა უკადრისი და უკან გაბრუნდნენ. ბოლშევიკი რევოლუციონერი გადარჩა.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ საბჭოთა მილიციელები ან **КГБ** -ისტები ვისმეს დასაპატიმრებლად იმ ოთახში არ შევიდნენ, სადაც ტიტველი დედა იდგა? არა, არ შეგვიძლია. ისევ და ისევ იმავე მიზეზით: ფუნქციონერის მოვალეობა ადამიანურ ღირსებაზე მნიშვნელოვნად არის მიჩნეული.

საბჭოური ლიტერატურა კი ხატავს და უმღერის უღირსებო ფუნქციონერს, რომელსაც დადებით გმირს ეძახის. ამით გამოუსწორებელ შეცდომას სჩადის, მაგრამ ეს არ ადარდებს.

სკკპ წამდაუწუმ და დაჟინებით ითხოვს, საბჭოურმა მწერლობამ მისაბაძი გმირი დახატოსო, მაგრამ შეიძლება, დასაშვებია, უღირსებო ადამიანი მისაბაძი იყოს? ცხადია, არა. ღირსებას კი ადამიანი მაშინ ინარჩუნებს, როცა მონა არ არის რასობრივის, ეროვნულის, რელიგიურის, კლასობრივის თუ პარტიულის. როცა საერთოადამიანურს სცემს პატივს და მისით ხელმძღვანელობს. საბჭოთა ადამიანმა კი ყველაფერზე მაღლა (საკუთარ ღირსებაზეც) უნდა დააყენოს კლასობრივ-პარტიული.

მისაბაძი შეიძლება იყოს ღირსებიანი ადამიანი. ღირსებიანი ადამიანი კი მაშინ იხატება, როცა მწერლობა კაცს, მის მდგომარეობას, საქციელს, მოქმედებას, თვისებას უყურებს და განიხილავს საერთოადამიანური თვალსაზრისით.

ადამიანი მრავალგვარი ხასიათის ლიტერატურას ჰქმნის – რელიგიურს, სოციალ-პოლიტიკურს, ფილოსოფიურს, იურიდიულს და ა.შ. მაგრამ არსად, ლიტერატურის არც ერთ სახეობაში არ ვლინდება საერთოდ ადამიანური ისე სრულად, როგორც სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

რელიგიაც ქადაგებს ადამიანის სიყვარულს, მაგრამ იმ ადამიანისას, რომელიც მოცემულ რწმენას აღიარებს. ქრისტიანობისათვის მაჰმადიანია ურჯულო და მაჰმადიანისათვის – ქრისტიანი. ამ ნიადაგზე მათ შორის მძაფრი შუღლია, თუმცა ერთიცა და მეორეც თეორიულად ადამიანის სიყვარულისაკენ მოგვიწოდებს.

ქრისტიანობის ერთ-ერთი უპირველესი მცნებაა – არა კაც ჰკლა, – მაგრამ ამ სარწმუნოების გასავრცელებლად ზღვა სისხლი დაიღვარა. ასე იქცევა ყველა რელიგია.

ესა თუ ის სოციალ-პოლიტიკური მოძღვრება ადამიანისა და მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას ქადაგებს, მაგრამ ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებს მას.

რუსული სოციალიზმი კაცობრიობას ჰპირდებოდა – „... შრომის სამეფო შეიძლება დამყარებულ იქნას თვით მშრომელთა ძალღონით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს მიწაზე და არა ზეცაში“.1 მაგრამ ამ „შრომის სამეფოს“ დასამყარებლად მილიონობით უდანაშაულო მშრომელი აწამეს ციხეებში და ჩაალპეს ციმბირის მიწაში“.2 სანიმუშო ციტატი საბუთად: „გამოააშკარავეს და დაგვანახეს

ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის ხელი ურევია ბევრი ყოვლად უდანაშაულო ადამიანის, მათ შორის აგრეთვე პარტიის და სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეების გაჟლეტაში...“3 ხოლო რაც გააკეთეს იაგოდამ, ეჟოვმა, ბერიამ და სხვებმა, ყოველი საბჭოელი მოქალაქისათვის ცნობილია. ანტონ ანტონოვ-ოვსეენკოს სიტყვით, 1935-40 წლებში მხოლოდ ერთი ციხე ლუბიანკა გაიარა 18.840.000 კაცმა. აქედან დახვრეტილია შვიდი მილიონი, დანარჩენი ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში გაწყდა.4

სხვათა შორის, რევოლუციური ფანატიზმის არსი სრულად არის მხილებული ანატოლ ფრანსის რომანში „ღმერთებს სწყურიათ“.

ტიულრის ბაღში საუბრობენ ევარისტ გამლენი და მისი საყვარელი ელოდი. ევარისტ გამლენი პროფესიით მხატვარია და პოლიტიკური რწმენით იაკობინელი. იგი რევოლუციური ტრიბუნალის მსაჯულია და ბევრი ადამიანი გაუგზავნია გილიოტინაზე თავწარსაკვეთად. რევოლუციის გადასარჩენად აუცილებლად მიაჩნდა ამგვარი სისასტიკე.

ქალ-ვაჟის საუბრის დროს, რვა-ცხრა წლის ბავშვი, რომელიც ბაღში სალტეს აგორებდა, თავს ვერ შეიკავებს და გამლენს ფეხებზე მიეხუტება. ევარისტი ბავშვს აიყვანს, მიუალერსებს, აკოცებს. დედა, რომელმაც ეს დაინახა, შეშინებული მივარდება და ბავშვს წაიყვანს. გამლენი ელოდის მიუბრუნდება და აღგზნებული ეტყვის – მე ვაკოცე იმ ბავშვს, მაგრამ შესაძლებელია დედამისი ეშაფოტზე გავგზავნო, მანამდე კი, ალერსის დროს, ევარისტი ბავშვს ეუბნებოდა – მე მძვინვარე ვარ იმისათვის, რომ შენ იყო ბედნიერი, მე სასტიკი ვარ იმიტომ, რომ შენ იყო კეთილი.1

ასეა, ფანატიზმს ჰგონია, რომ, თუ ადამიანს რაღაც აბსტრაქტული რევოლუციური დოქტრინის გამო ამოუწყვიტავ დედ-მამას, ცოლ-შვილს, და-ძმას, მას ბედნიერს გახდი.

რას იზამთ, ადამიანურ სიბრიყვეს საზღვარი არა აქვს.

ესა თუ ის ფილოსოფიური მოძღვრებაც ადამიანის და კაცობრიობის სიკეთისათვის იქმნება. მაგრამ აქაც დაუნდობელი წინააღმდეგობაა. იდეალისტს მატერიალისტი ჰგონია ქვეყნის დამაქცევარი და მატერიალისტს – იდეალისტი. ამიტომ მათი თვალსაზრისიც ცალმხრივია და ერთფეროვანი. მათ სურთ ეს უთვალავფერიანი სამყარო ერთფეროვნების, ერთსახოვნების ჩარჩოში ჩაჭედონ და მერე ის გამოაცხადონ ჭეშმარიტებად.

ყოველგვარი სახის მოძღვრება, იქნება იგი რელიგიური, ფილოსოფიური, სოციალ-პოლიტიკური თუ რომელიმე სხვა გვარეობისა, ადამიანს, ცხოვრებას, სამყაროს რომელიმე აკვიატებული დოქტრინის, დოგმატის თვალსაზრისით უყურებს. მხოლოდ ეს ამოჩემებული აზრი მიაჩნია ჭეშმარიტებად და ყველაფერს საწინააღმდეგოს უარყოფს, მიიჩნევს სიცრუედ და სიყალბედ. ივიწყებს ჰერმან ჰესეს შეგონებას – „ყოველი ჭეშმარიტების საწინააღმდეგო მოსაზრებაც ჭეშმარიტია“ („ზიდჰართა“), ამის დავიწყება არ გვმართებს.

კაცობრიობამ მისი გრძელი ისტორიის მანძილზე ნაირ-ნაირი „იზმების“ კორიანტელი დააყენა, მაგრამ არსებითად საზოგადოების მოწყობის ორ მოდელს თავი ვერ დააღწია. თუ ამ ორ მოდელს სუფთა სახით წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ საზოგადოება რელიგიურად – ან თეისტურია, ან ათეისტური. პოლიტიკურად – ან დემოკრატიული, ან დიქტატორული, სოციალ-ეკონომიურად – ან კერძო საკუთრებას აღიარებს, ან კოლექტიურს, ან კლასობრივია, ან უკლასო, ფილოსოფიურად – ან მატერიალიზმის მიმდევარია, ან იდეალიზმის... ერთი სიტყვით, ორ მოდელს უტრიალებს გარშემო და ხან ერთს ამჯობინებს და ხან – მეორეს. ამ ორი მოდელის ბრძოლამ ზღვა სისხლი დაღვარა, მაგრამ უმთავრესს ვერ მიაღწია: ადამიანი ვერ გაათავისუფლა ვერც ხორციელი და ვერც მშვინვიერი ტკივილისაგან. ვერც ზნეობრივად გააუკეთესა იგი. ადამიანს ისევ აწამებს ნაირ-ნაირი სენი, ისევ ეშინია სიკვდილის,

ისევ მორჩილებს ამორალიზმს – სძულს, ქურდობს, მრუშობს, ძარცვავს, ჰკლავს, ფლანგავს, ახალტურებს, მექრთამეობს...

ადამიანური საქმიანობის ერთადერთი დარგი მწერლობაა, ხელოვნებაა, რომელიც ცდილობს კაცი, ცხოვრება, სამყარო წარმოიდგინოს, დახატოს ისე მრავალფეროვნად და მრავალმხრივად, როგორიც სინამდვილეშია.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერლობა არ ცდება და ყოველთვის უტყუარად ასრულებს თავის მისიას. სამწუხაროდ, ხშირად ცდება, ბრმად ემორჩილება ამა თუ იმ დოქტრინას. ხდება ამა თუ იმ გაბატონებული მოძღვრების ნების ამსრულებელი. ამით იგი თავისთავს ღალატობს და ფუნქციას კარგავს. თუ მწერლობას სურს დამოუკიდებელი ფუნქცია შეინარჩუნოს, ყველა მოვლენას საერთოადამიანური თვალსაზრისià óíæï øåõåæëì.

VII

იდეალი
და
ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი

იდეალის თვინიერ სიტყვაკაზმული მწერლობა არ არსებობს. ზოგჯერ აშკარად არის ეს იდეალი გამოსახული და ზოგჯერ – ფარულად, მაგრამ იგი ყოველ ნაწარმოებში არსებობს.

თეისტურ საზოგადოებაში იდეალის პოვნა იოლია. იგი ღმერთია და ადამიანი, როგორც არასრულყოფილი არსი, მოვალეა, ისწრაფვოდეს იმ ზნესრულობისაკენ, რასაც უფალი განასახიერებს. იდეალის პოვნა ძნელია და რთული ათეისტურ საზოგადოებაში, რამეთუ აქ ღმერთი უარყოფილია და მწერლობამ არ უწყის ნათლად და მკაფიოდ – ვინ უნდა აღიაროს იდეალად.

„კაცია-ადამიანი?!“-ში ილია მიმართავს ლუარსაბ თათქარიძეს კითხვით – „წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისათვის სცდილხარ?..“

თუ ათეისტური საზოგადოების ლუარსაბ თათქარიძეს მივმართავდით ამგვარივე კითხვით, მაშინ ვინ უნდა დაგვესვა ზეციერი მამის ანუ ღმერთის ადგილას? ვისებრ სრულყოფილებისაკენ შეიძლებოდა მოგვეწოდებინა? ამ კითხვას ვერ ვუპასუხებთ. რაკი ღმერთი უარყოფილია, რჩება მხოლოდ ადამიანი. ადამიანი კი, როგორიც უნდა იყოს იგი, მაინც ადამიანია, ე.ი. არასრულყოფილი არსია. მწერლობის წინაშე დგას გადაულახავი დაბრკოლება. ჯერ ერთი, როგორ აქციოს არასრულყოფილი არსი სრულყოფილად და მეორეც, რა აზრი აქვს, ერთ არასრულყოფილს მოუწოდო მიბაძოს მეორე არასრულყოფილს? ეს გარემოება ქმნის აბსურდულ მდგომარეობას, რაც ცხადად გამოვლინდა საქართველოს ალკკ XXXII ყრილობაზე, 1982 წლის სამ აპრილს შევარდნაძის სიტყვაში.

საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა კომკავშირელ ახალგაზრდებს მისაბაძი პირები ჩამოუთვალა. მოიხსენია ჩვეულებრივი ჩინოვნიკები, რომელნიც, შევარდნაძის აზრით, პირნათლად ასრულებენ პარტიული ფუნქციონერის მოვალეობას. ისინი გამოაცხადა იდეალად. მათ შორის იყო ნინო ჟვანიაც.

„ანდა ნინო აქვსენტის ასული ჟვანია. გირჩევთ ახლა ისევ მიიღოთ იგი კომკავშირში.

აი. ვის უნდა მიბაძოთ“.1

ვინ არის ამჟამად ნინო ჟვანია? რიგითი პარტიული მოხელე. თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. საქალაქო საბჭოში მისი ძირითადი ფუნქციაა საფლავების ადგილთა განაწილება. ყველა თბილისელმა იცის, რომ მიცვალებულისათვის დასამარხი ადგილის შოვნა უფრო ძნელია, ვიდრე ცოცხლისათვის — ბინისა. ამიტომ ჭირისუფალი ყოველთვის ნ. ჟვანიას კართან არის ატუზული. ამბობენ, მიცვალებული დაუსაფლავებელი რომ არ დარჩეს, ნ. ჟვანია ყოველთვის აკმაყოფილებსო მთხოვნელებს.

მერწმუნეთ, სრულიად არ მსურს რაიმე შეურაცხყოფა მივაყენო ნ. ჟვანიას, როგორც ადამიანს, მაგრამ მისებრი ჩინოვნიკების ხომ ურიცხვი და უთვალავი არმიაა სსრკ-ში? ნუთუ ამას იქით კომუნისტთა იდეალი ვეღარ მიდის?

ახლა უცბათ წარმოვიდგინოთ საბჭოელმა მწერალმა დაწერა დღევანდელი „კაცია-ადამიანი?!“ მაშინ ილია ჭავჭავაძის ზემორეციტირებული სტრიქონები, შევარდნაძის რჩევის თანახმად, მიიღებს ასეთ სახეს:

„კომკავშირის ან პარტიის კრებებს არ ვაკლდებიო. რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენი ცკ მდივნის სიტყვა: „ვითა ნინო ჟვანია იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ?..“

ასე იქცევა ანეგდოტად იდეალის ურთულესი და უსერიოზულესი პრობლემა. ეს კი იმის შედეგია, რომ ათეისტური საზოგადოება უარყოფს ღმერთს და ცდილობს გააღმერთოს ადამიანი. ამით კი ყველაფერი თავდაყირა დააყენოს.

აქ მახსენდება ერთი შემთხვევა, მომხდარი ჩემს ბავშვობაში, როცა პირველად მომიყვანეს სკოლაში.

ყველაფერი პირველი იყო: პირველი სექტემბერი, პირველი გაკვეთილი, პირველი მასწავლებელი, კლასის პირველი ამხანაგები.

მზით გაჩახჩახებულ ოთახში მაგიდასთან იდგა ძაძებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი. ეჭირა საკლასო ჟურნალი და მონოტონური ხმით კითხულობდა მოწაფეთა გვარებს. კთხვა დაამთავრა, ჟურნალი დადო და აგვათვალ-ჩაგვათვალიერა. იგი დუმდა... კლასიც სულგანაბული მისჩერებოდა, რას იტყოდა მასწავლებელი პირველად.

როგორც იქნა, მასწავლებელმა პირველი კითხვა დაგვისვა:

– ბავშვებო, ვინ გიყვართ ყველაზე უფრო?

თითქოს ბომბი გასკდაო, ისე ამოვარდა ჩვენი გულებიდან სიხარულის ყიჟინა. კითხვა ადვილი იყო. პასუხის გაცემა ყველას შეგვეძლო. ყველას გვწვავდა თავგამოჩენის სურვილი.

როგორც იქნა, მასწავლებელმა მიუშვირა თითი ერთ-ერთ ჩვენთაგანს. იგი წამოხტა და რიხიანად უპასუხა:

– დედა!

– არ არის სწორი! – მკაცრად თქვა მასწავლებელმა, – დაჯექი!

გაკვირვების ტალღამ გადაუარა კლასს, მაგრამ ენთუზიაზმი მაინც არ გამქრალა: თუ დედა არა, მაშასადამე, მამა უნდა გვიყვარდესო... და კლასი კვლავ ბობოქრობდა. მასწავლებელმა მეორე წამოაყენა. პასუხი ისევ რიხიანი იყო:

– მამა!

მასწავლებელს უკვე ნერვიულად უთრთოდა სახე.

– არ არის სწორი, არა! დაჯექი!

კლასში ენთუზიაზმი გაქრა. აშკარა დაბნეულობამ დაისადგურა. მხოლოდ გაბედულები არ ცხრებოდნენ და ისმოდა პასუხი:

– ბებია!

– ბაბუა!

– და!

– ძმა!

ძარღვებაშლილი მასწავლებელი ოთახში დარბოდა და ცივი ხმით ჰკიოდა: – არ არის სწორი! არ არის სწორი!

კლასი დადუმდა, გაჩუმდა და გაიტრუნა. იოლი კითხვის პასუხი ურთულესი აღმოჩნდა. თავზარდაცემული ვცახცახებდით. მასწავლებელი კარგა ხანს ჩუმად მოგვჩერებოდა. მერე დაცინვით შემოგვხედა და ღვარძლიანი ხმით იკითხა:

– როგორ, ბავშვებო, თქვენ ლენინი არ გიყვართ?

ამის გაგონება იყო და მთელმა კლასმა დაუფიქრებლად ერთხმად ვიბღავლეთ:

– გვიყვარს, გვიყვარს, გვიყვარს!

მიდიოდა დრო და თანდათან გასაგები ხდებოდა, რომ თეისტური საზოგადოების იდეალი ღმერთი სსრკ-ის ათეისტურ საზოგადოებაში იცვლებოდა პარტიული ადამიანით, უფრო ზუსტად, კომუნისტით. რაკი კომუნისტის იდეალურ განსახიერებად ლენინი ითვლებოდა, იგი იკავებდა ღმერთის ადგილს. მუშავდებოდა და ინერგებოდა ფორმულა – არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა... ამის გაცნობიერება მკაფიოს ხდიდა, რომ სსრკ-ში ბატონდებოდა ახალი რელიგია – მარქსიზმ-ლენინიზმი.

თუ არ ვცდები, ქართულ მწერლობაში მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიად პირველად გერონტი ქიქოძემ მოიხსენია. „მართალია ჩვენი პლანეტა დიდია, ახალი რელიგიის (ე.ი. მარქსიზმ-ლენინიზმის – ა.ბ.) მიმდევარნი კი ჯერ მცირე რიცხოვანნი არიან, მაგრამ განა განახლება ყოველთვის რჩეულ უმცირესობას არ დაუწყია?“1 მერე ნ. დუმბაძემაც რელიგიად მონათლა მარქსიზმ-ლენინიზმი. „– ჩემი რელიგია (ე.ი. მარქსიზმ-ლენინიზმი – ა.ბ.), ბატონო იორამ, ჯერ ასი წლისაც არ არის და იმდენი მორწმუნე ჰყავს, რომ თქვენს რელიგიას (ე.ი. ქრისტიანობას – ა.ბ.) არც კი დასიზმრებია“.1

სხვათა შორის, კომუნისტები რომ არც ისე თავგამოდებული ათეისტები არიან, როგორც თავს გვაჩვენებენ, კარგად ჩანს ჰო ში მინის ანდერძშიც. ციტატა საგანგებოდ მომაქვს რუსული თარგმანით:

Поэтому я оставляю эти несколько строк, чтобы для всего нашего народа... не было полной неожиданностью если я уйду к Марксу, Ленину и другим революционерам старшего поколения (Из завещания Хо Ши Мина, Ханой, 1969 г.).

როგორც ხედავთ, ჰო ში მინი კი არ კვდება, არამედ მარქსთან და ლენინთან მიდის. ეს არ არის მხატვრული თქმა. აქ იმ ქვეყნად გადასახლების რწმენაა გამომჟღავნებული.

კომუნისტების დამოკიდებულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი რომ რელიგიურია და არა მეცნიერული, ამას ბევრი ნიშანი ადასტურებს.

პირველი: მარქსიზმ-ლენინიზმი სსრკ-ში გამოცხადებულია ზემეცნიერებად. იგი მიჩნეულია ერთადერთ და უცდომელ მოძღვრებად. მისი ცოდნა სავალდებულოა ყოველი მოქალაქისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკა სასტიკად აკრძალულია. ნებადართულია მხოლოდ მისი ხოტბა-დიდება.

თუ მარქსიზმ-ლენინიზმი მეცნიერებაა, მაშინ მისი კრიტიკა, მისი დებულებების გადაფასებაც უნდა იყოს შესაძლებელი. მოგეხსენებათ, არ არსებობს მეცნიერება, რომელიც არ ცდება და რომლის დებულებებიც არ ძველდება. ასე რომ არ იყოს, მაშინ მეცნიერება ერთ ადგილას გაქვავდებოდა და შეუძლებელი იქნებოდა წინსვლა. კომუნისტების სიტყვით კი, მარქსიზმ-ლენინიზმში არაფერი ძველდება, ყველა დებულება უცვლელი და მარადიული ჭეშმარიტებაა.

რაკი განსჯა, მსჯელობა, გადაფასება გამორიცხულია, რჩება ერთადერთი გზა – რწმენა. მარქსიზმ-ლენინიზმი განუსჯელად და ბრმად უნდა იწამო. განუსჯელი და ბრმა რწმენა რელიგიის თვისებაა და არა მეცნიერების.

მეორე: ზემოთ მოვიხსენიე ფორმულა – არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა, – მაგრამ ბოლომდე არ მითქვამს, რა სახე აქვს მას. სრული სახე ამ ფორმულისა ასეთია: არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა და სკკპ ცკ გენერალური მდივანია მისი მო-

ციქული. ამ ფორმულაში ლენინის ადგილი მუდმივი და შეუცვლელია. ვაკანტურია მხოლოდ მოციქულის ადგილი და მას შესაბამისად იკავებს ის, ვინც სკკპ გენერალური მდივნის ტახტზე ზის.

სტალინის დროს არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა და სტალინია მისი მოციქული.

ხრუშჩოვის დროს არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა და ხრუშჩოვია მისი მოციქული.

ბრეჟნევის დროს არ არის ღმერთი, გარდა ლენინისა და ბრეჟნევია მისი მოციქული.

სანამ მოციქული ანუ სკკპ ცკ გენერალური მდივანი ცოცხალია და პოსტი უჭირავს, ისიც ისეთივე უცდომელი და უცოდველია, როგორც ლენინი. თუ კომუნისტი მოციქული ანუ სკკპ ცკ გენერალური მდივანი მოკვდა ან მოხსნეს, მაშინ იგი უთუოდ ცოდვებით არის სავსე. ყველა დანაშაული და ბოროტება მას უნდა დაბრალდეს. თურმე ლენინის მოძღვრება ვერ გაუგია, ვერ აუთვისებია და ამიტომ მომაკვდინებელი შეცდომები დაუშვია. ახალ მდივანს კი ზუსტად და შეუმცდარად ესმის მარქსიზმ-ლენინიზმის არსი და, ლენინის დროშით, პირდაპირ კომუნიზმისაკენ მიუძღვება საბჭოთა ხალხს.

ასე მარტო სსრკ-ში არ არის. ასეა სხვა კომუნისტურ ქვეყნებშიც.

ერთხელ ხელში ჩამივარდა რუსულად გამოცემული კორეული ჟურნალი „კორეა სეგოდნია“ (1978 წ., №3). გადავათვალიერე იგი და რას ვხედავ – თურმე კორეელები ისევე აღმერთებენ კიმ ირ სენს, როგორც საბჭოელი მოქალაქეები ლენინს. რა ეპითეტებით არ ამკობენ ამ ჟურნალში კიმ ირ სენს!

მშობლიური ბელადი – მამა,
მარშალი – მამა,
ერის მზე,
დიდი ბელადი,
ლეგენდური გმირი,
დიდი ამხანაგი,
ფოლადის მხედართმთავარი,
უპრეცედენტო მხედართმთავარი ზეცით მოვლენილი,
დედამიწაზე ყველაზე გამოჩენილი ადამიანი,
კაცობრიობის გადამრჩენელი...

ეს უკანასკნელი ეპითეტი პირდაპირ გამაოგნებელია სსრკ-ის მოქალაქისათვის. თუ კიმ ირ სენი კაცობრიობის გადამრჩენელია, მაშინ ლენინი ვინღაა? თურმე, ნუ იტყვით და, ყველა შოვინისტურ კომუნიზმს თავის საკუთარი „ღმერთი“ ჰყოლია და სხვა კომუნისტური ერების „ღმერთებს“ არ სცნობს.

საბჭოელი მოქალაქეებისათვის ეს ღმერთი ლენინია, ჩინელებისათვის – მაო ძედუნი, კორეელებისათვის – კიმ ირ სენი, ვიეტნამელებისათვის – ჰო ში მინი, ალბანელებისათვის – ენვერ ხოჯა, იუგოსლავიელებისათვის – ტიტო, რუმინელებისათვის – ჩაუშესკუ და ასე შემდეგ.

ამის მერე კომუნისტები გვარწმუნებენ, ათეისტები ვართო. როცა ჩვეულებრივი მოკვდავის ამგვარი კულტი და ფეტიშიზმი გაბატონდება, ცხადი და გასაგებია, როგორი სულიერი მონობის მსხვერპლი გახადა კომუნისტურმა მოძღვრებამ კაცობრიობის დიდი ნაწილი. რა აქვს საერთო დიქტატორის ამგვარ ფეტიშიზმს ათეიზმთან? ეს თეიზმის ყველაზე მახინჯი ფორმაა. იგი არღვევს ერთ-ერთ უპირველეს ზნეობრივ მცნებას – არა ქმნნე თავისა შენისა კერპნი.

მესამე: ქრისტიანულ ფილოსოფიაში არსებობს ცნება – თეოდიცეი. როგორც ცნობილია, ამგვარი ცნების შემოღება აუცილებელი გახდა შემდეგი გარემოების გამო.

ყოველივე არსებული ღმერთის შექმნილია. ღმერთი აბსოლუტური სამართლიანობაა. ამ ორმა დებულებამ დაბადა კითხვა: თუ ყველაფერი ღმერთის შექმნილია, მაშინ ბოროტებაც ღმერთს გაუჩენია. თუ ღმერთი აბსოლუტური სამართლიანობაა, მაშინ რატომღა შექმნა ბოროტება? ამ კითხვას პასუხი სჭირდებოდა და შემუშავდა თეოდიცეი, ანუ ღმერთის გამართლება. თეოდიცეი გვეუბნება: მართალია, ბოროტება არსებობს, მაგრამ ღმერთი არაფერშუაშია. ღმერთმა ადამიანს მიანიჭა გონება, ანუ კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი. ადამიანმა მათ შორის არჩევანი თავად უნდა მოახდინოს. ღმერთი არ ზღუდავს ადამიანის ნებას. ადამიანის ნება თავისუფალია და უფლებამოსილია შეხედულებისამებრ მოიქცეს. თუ ღმერთი განსაზღვრავს ადამიანის ნებას, მივიღებთ მექანიკურ, დაპროგრამებულ კაცს. ეს დაპროგრამებული კაცი, მართალია, ბოროტებას აღარ ჩაიდენს, მაგრამ აღარ იქნება თავისუფალი, გახდება სხვისი ნების ამსრულებელი. სხვისი ნების ამსრულებელი ადამიანი კი აღარ არის ადამიანი. ამდენად, ქრისტიანულ ფილოსოფიაში არსებული ცნება – თეოდიცეი – უფრო ადამიანის ნების თავისუფლების დაცვაა, ვიდრე ღმერთის გამართლება.

კომუნისტებმა კი შექმნეს პარტიადიცეის თეორია, თუმცა ისინი ამ ტერმინს არ იყენებენ. ყველა ბოროტება, რომელიც კი სსრკ-ში ხდება, მიეწერება ცალკეულ პირებს, ხოლო კომპარტია ყოველთვის მართალი, უცდომელი და სწორია.

თუ ქრისტიანული თეოდიცეი ადამიანის ნების თავისუფლების დამცველია, კომუნისტური პარტიადიცეი თრგუნავს, იმონებს ადამიანის ნებას, რამეთუ სსრკ-ში ადამიანს ერთადერთი უფლება აქვს – კომპარტიის ზედაფენის განკარგულებათა უსიტყვო მორჩილებით ასრულების უფლება. სხვა აზრი ან არჩევანი პირწმინდად გამორიცხულია. ეს ხდება იმიტომ, რომ კომპარტია ყოველთვის მართალია და თუ ასეა, საპრეტენზიო ან საპროტესტო საბჭოელ მოქალაქეს რა უნდა ჰქონდეს?

მეოთხე: თუ ქრისტიანისათვის წმინდა ქალაქი იერუსალიმია, მაჰმადიანისათვის – მექა, კომუნისტისათვის ამ ფუნქციას ასრულებს მოსკოვი. თუ რომელიმე კომუნისტი არ ცნობს მოსკოვს კომუნისტური სამყაროს მექად, იგი განდგომილია და უნდა მოიკვეთოს.

მეხუთე: რელიგია ყოველი მორწმუნისაგან ითხოვს აღსარებას. მორწმუნემ გულღიად უნდა გაანდოს კულტის მსახურს ფიქრი, განცდა, ჩადენილი საქციელი. ამ გულწრფელობით იგი დაიმსახურებს ღმერთის კეთილგანწყობილებას, ცოდვების მიტევებას.

აღსარების ნაცვლად კომუნისტებს აქვთ თვითკრიტიკა. თვითკრიტიკის დროს ყოველმა მოქალაქემ კომპარტიის წინაშე გულახდილად უნდა აღიაროს ყველა შეცდომა, დანაშაული, ცოდვა. ამით იგი დაიმსახურებს კომპარტიის კეთილგანწყობილებას და მონანიეს პარტია დიდსულოვნად შეუნდობს.

მეექვსე: რელიგია იცნობს სამოთხის ცნებას. მარქსიზმ-ლენინიზმი სამოთხეს კომუნიზმით ცვლის. როგორც სამოთხეში, ისე კომუნიზმში სუფევს სრული ჰარმონია, აღკვეთილია ბოროტი და მხოლოდ კეთილი დღესასწაულობს. თუ სამოთხის კარი მართლმორწმუნეთათვის არის ღია, კომუნიზმშიც შევა ის, ვისაც უყოყმანოდ სჯერა მარქსის, ლენინის და სკკპ ცკ ცოცხალი გენერალური მდივნის (თუ გენერალური მდივანი მკვდარია ან მოხსნილია, მისი აღარც უნდა გჯეროდეს და აღარც უნდა გახსოვდეს).

სამოთხესა და კომუნიზმს შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სამოთხეში მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ შეიძლება მოხვდეს მართლმორწმუნე, კომუნიზმში კი ცოცხალი ადამიანები შევლენ, ოღონდ როდის, ეს ჯერ დაზუსტებული არ არის.

მეშვიდე: გავრცელების თვალსაზრისითაც მარქსიზმ-ლენინიზმიც იმგვარ საშუალებებს მიმართავს, როგორსაც რელიგია – პროპაგანდასა და ძალადობას, სადაც

მარქსიზმ-ლენინიზმის დასამკვიდრებლად სიტყვა არ სჭრის, იქ ცეცხლითა და მახვილით ბატონდება კომუნიზმი.

მერვე: რელიგია ინახავს წმინდანთა ნეშტებს. მერე მათ მორწმუნენი თაყვანს სცემენ. ასევე აქვთ შენახული კომუნისტებს მავზოლეუმებში ლენინის, მაო ძედუნის, ხო ში მინის, დიმიტროვის ნეშტები (თუ გაბრაზდნენ კომუნისტები, შეუძლიათ კომუნისტი წმინდანის ნეშტი მავზოლეუმიდან გამოაგდონ, მაგალითად სტალინის). ამ მავზოლეუმების წინ ადამიანთა უსასრულო რიგები დგას. ისინი მოდიან, რომ კომუნისტ წმინდანს თაყვანი სცენ.

მერწმუნეთ, თუ კომუნისტებმა კიდევ დიდხანს შეინარჩუნეს რუსეთში ხელისუფლება, ერთ მშვენიერ დღეს მავზოლეუმიდან ლენინის ნეშტი გაქრება და კრემლი გამოაცხადებს – ლენინი ცად ამაღლდა და ღმერთის მარჯვნივ ადგილი დაიკავაო. ვინ უწყის, ტერორიზირებულმა საბჭოელმა მოქალაქეებმა შეიძლება დაიჯერონ კიდეც ეს.

რუსულ ფილმში — „დედის გული“, — რომელიც ლენინის დედისადმია მიძღვნილი“, ტიტრები დაწერილია რაფაელის „მადონას“ და სხვა მხატვრების სურათების, სადაც ღვთისმშობელი და ქრისტეა დახატული, ფონზე.

მეცხრე: ისევე, როგორც ქრისტიანულ მწერლობას ჰქონდა, კომუნისტურ ლიტერატურასაც აქვს აგიოგრაფიული ჟანრი. კომუნისტურ აგიოგრაფიას ეკუთვნის ლენინიადა, სტალინიადა, ძერჟინსკიადა (განსაკუთრებით კინოში), ხრუშჩოვიადა, ბრეჟნევიადა. „წმინდანისადმი“ დამოკიდებულებით და მხატვრული საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, ქრისტიანული და კომუნისტური აგიოგრაფიული მწერლობა ჰგავს ერთმანეთს. კომუნისტი „წმინდანიც“ ისევეა უდრეკელი, უშიშარი, უცდომელი, რწმენისათვის თავდადებული და გაუტეხელი, ერთგული, ყოველგვარი ტანჯვა-წამების გადამტანი, როგორც ქრისტიანი წმინდანი. როგორც ქრისტესათვის სიკვდილი იყო უდიდესი ბედნიერება და ნეტარება, ასევეა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სიკვდილი უდიდესი ბედნიერება და ნეტარება.

არის განსხვავებაც. ქრისტიანულ აგიოგრაფიას ტრაგიკული პათოსი აქვს, კომუნისტურ აგიოგრაფიას კი – პაროდიული. ქრისტიანული აგიოგრაფოსი რწმენით წერდა, კომუნისტი აგიოგრაფოსი – დაფარული ირონიით. ქრისტიანული აგიოგრაფიული თხზულების კითხვის დროს მკითხველი ღრმა მოკრძალებით იმსჭვალება, ხოლო კომუნისტური აგიოგრაფია ღიმილს ჰგვრის პუბლიკუმს, უნდობლობით მსჭვალავს.

მეათე: ჩვეულებრივი წესია: მორწმუნე მადლობას სწირავს ღმერთს მზრუნველობისა, მფარველობისა და მოწყალებისათვის. სსრკ-ში კი ამგვარი მადლობა კომპარტიას უნდა უთხრა. გაზეთები აჭრელებულია კომპარტიისადმი მიძღვნილი მადლობებით. ყველაფრისათვის (შიმშილისათვისაც კი, ციხეში ჩასმისათვისაც კი) კომპარტიას უნდა გადაუხადო მადლობა. კომპარტიაა მზრუნველი, მფარველი, მოწყალე. ეს კი საბჭოელი მოქალაქისაგან უსაზღვრო მადლობას და ქედმოდრეკას ითხოვს.

მეთერთმეტე: როცა საბჭოურ გაზეთებში ნეკროლოგებს კითხულობთ, აუცილებლად წააწყდებით ფრაზას – სკკპ წევრი ამა და ამ წლიდან. ეს იგივეა, რაც ეკლესიის დოკუმენტებში აღნიშნული – მართლმადიდებელი ქრისტიანი, კათოლიკე ქრისტიანი და ა.შ.

მეთორმეტე: საბჭოურ სასწავლებლებში მარქსიზმ-ლენინიზმი ისევე ისწავლება (და ეს აუცილებელია), როგორც 1917 წლის ოქტომბრამდე საღმრთო რჯული ისწავლებოდა.

მაგონდება ჩემი სტუდენტობის დროს გავრცელებული ხუმრობა.

აკად. ივანე ბერიტაშვილისათვის სტუდენტს საგანი ვერ ჩაუბარებია. გაკვირვებულ მეცნიერს მისთვის უკითხავს – რატომ არ იმეცადინეთო? სტუდენტს მიუგია – პარტიის ისტორიას ვსწავლობდი და თქვენი საგნის სწავლა ვეღარ მოვასწარიო. –

როგორ, პარტიის ისტორიასაც სწავლობთო, – მთლად გაოგნებულა ივ. ბერიტაშვილი. როცა სტუდენტისაგან დასტური მიუღია, გაუღიმია და უთქვამს – საფრანგეთში უამრავი პარტიაა და ყველას ისტორია რომ ასწავლონ სტუდენტებს, წარმოგიდგენიათ, როგორ გამოყეყეჩდებიანო!..

საქმე ის გახლავთ, რომ ყველა ამ ისტორიული თუ დიალექტიკური მატერიალიზმის, მეცნიერული კომუნიზმისა თუ კომპარტიის ისტორიის სწავლების მიზანი ერთია: ჩაუნერგონ საბჭოელ მოქალაქეებს მარქსიზმ-ლენინიზმისადმი რელიგიური მოკრძალება.

ყველა ზემორეჩამოთვლილი ნიმუში საბუთია იმისა, რომ სსრკ-ში ათეისტური პროპაგანდის მიზანი იყო და არის ძველი რელიგიების (ქრისტიანობა იქნება, მაჰმადიანობა თუ რომელიმე სხვა) შეცვლა ახლით – მარქსიზმ-ლენინიზმით. დღეს უკვე აშკარაა, რომ კომუნისტების ეს ბრძოლა მარცხით დამთავრდა. ხალხმა დაკარგა მარქსიზმ-ლენინიზმის რწმენა, ზურგი აქცია მას და ისევ ძველი რელიგიისაკენ მიბრუნდა. ამის უტყუარი საბუთია ახალგაზრდობის ლიანგური დაინტერესება რელიგიით. მართალია, ოფიციალური პრესა, რადიო-ტელევიზია, სკოლა-სასწავლებელი, ყრილობა-კონფერენციები მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველ, უკვდავ და მარადიულ მოძღვრებაზე გაჰკივიან, მაგრამ ინერციით. ნამდვილი მამოძრავებელი მოტორი უკვე დასუსტდა და, სადაც არის, გაჩუმდება, დადგება და გაჩერდება.

რამ გამოიწვია ეს ასე მალე?

მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალ-ეკონომიკური მოძღვრებაა. მას ეთიკურ-ზნეობრივი ნაწილი არ გააჩნია. თუ ამ კუთხით მარქსიზმ-ლენინიზმი რაიმეს ამბობს, ის უფრო ამორალურია, ვიდრე მორალური. ამას ნათლად დავინახავთ, თუ ქრისტიანული ზნეობრიობის პრინციპების თვალთახედვით განვიხილავთ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის შედეგებს.

ქრისტიანობა ამბობს – არა კაც ჰკლა.

მკაფიო და ნათელი ზნეობრივი პრინციპია. მართალია, მისი განხორციელება პრაქტიკულად არ ხერხდება, მაგრამ ეს სწორედ იმის საბუთია, რომ ზნეობრიობის დაცვისათვის აუცილებელია მაქსიმალიზმი. ქრისტიანობას თეორიულად არ დაუშვია კომპრომისი, მაგრამ პრაქტიკულად იძულებული იყო ზღვა სისხლი დაეღვარა იმ ცნების დასამკვიდრებლად, რომელიც ღაღადებდა – არა კაც ჰკლაო. ახლა ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მოხდება იქ, სადაც ზნეობრივი კომპრომისის დაშვება შესაძლებლად მიაჩნიათ. სწორედ კომუნისტური მოძღვრება თვლის შესაძლებლად ზნეობრივი კომპრომისის დაშვებას. ასეა, რაკი მარქსიზმ-ლენინიზმის თანახმად, ჯერ ერთი, „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია“1 და, მეორეც, ზნეობა კლასობრივია.

თუ კაცობრიობის ისტორიას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ მას პროგრესის, წინსვლისა და აღმავლობის გზით უვლია. ეს ფაქტია და მისი უარყოფა შეუძლებელია. ამის გათვალისწინება და მისი შეფარდება დებულებებთან – „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია“ და ისტორიის მამოძრავებელი ძალა კლასობრივი ბრძოლაა – მოგვცემს გამაოგნებელ აბსურდულ დასკვნას: პროგრესის, წინსვლის, აღმავლობის საფუძველი ხოცვა-ჟლეტა ყოფილა, რამეთუ კლასთა ბრძოლა სხვა არაფერია, თუ არა დაუნდობელი განადგურება ერთმანეთისა. ამას ნათლად ადასტურებს მთელი ისტორია კაცობრიობისა და კერძოდ ის, რაც რუსეთში, ჩინეთში და კამპუჩიაში მოხდა მე-20 საუკუნეში. მე არ ვიცი, გამოანგარიშებული აქვს თუ არა ვისმეს – რამდენი კაცი დაიღუპა სსრკ-ში სამოქალაქო ომის, კაპიტალისტების, მემამულეების, კულაკობის ლიკვიდაციისა და პარტიული ბრძოლის დროს, ჩინეთში კულტურული რევოლუციის მიმდინარეობისას, კამპუჩიაში პოლ პოტის რეჟიმის ბატონობისას, მაგრამ დარწმუნებული ვარ მსხვერპლთა რიცხვი თავზარდამცემია. ამასთან შედარებით ორი მსოფლიო

ომის დროს დახოცილთა რაოდენობა ზღვაში წვეთად მოგვეჩვენება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფსიქოლოგიურად მკვლელობამ მიჩვევა იცის, სისხლმა – მოწყურება, ხელმა – გაწაფვა. ასეც მოხდა. სსრკ-შიაც, ჩინეთშიაც, კამპუჩიაშიაც, როცა კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები შემოელიათ, ერთმანეთს დაერივენ და, ყველას კარგად მოეხსენება, რა ცოდვის კალოც დაატრიალეს. ამორალიზმის ჯინი, რომელიც კომუნისტებმა ბოთლიდან ამოუშვეს, მათვე მიუტრიალდა და მუსრი გაავლო. მერედა, შესაძლებელია ეს უსაზღვრო სისხლისღვრა რითიმე პროგრესთან, წინსვლასა და აღმავლობასთან დავაკავშიროთ? ამ კითხვის უარყოფით პასუხს დიდი ჭკუა არ სჭირდება.

კაცობრიობის პროგრესი, წინსვლა და აღმავლობა დაკავშირებულია არა მტრობასთან, სიძულვილსა და ხოცვა-ჟლეტასთან, არამედ – სიყვარულთან, ნდობასა და პატიებასთან. ეს კანონზომიერება კლასიკური უბრალოებითა და სიცხადით გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ – „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“.

ზნეობის კლასობრივად გამოცხადებამ ბოროტმოქმედებამდე მიგვიყვანა. ჩამოყალიბდა დამნაშავე ადამიანი, რომლის პრიმიტიული „მორალი“ ამბობს: თუ მოვკლავ კაპიტალისტს, ბურჟუას, მემამულეს, კულაკს, ეს სიქველეა, თუ მოვკლავ მუშას ან გლეხს – ეს კი ბოროტება. ამ ზნეობის ადამიანები ინყებენ ბოროტმოქმედებით, კერძოდ მკვლელობით, კვეხნას.

„მონაწილეობას ვღებულობდი ტერორისტულ აქტებში – სადგ. გრაკალში მოვკალი ცნობილი ჯაშუში კოშაძე და გორის ხიდზე ციციშვილი, რომელიც დავალებული მქონდა გორის ორგანიზაციის ერთი ჯგუფისაგან“,1 – თავს იწონებს ერთი რევოლუციონერი.

„ჩემ მიერ გავლილ რევოლუციურ მუშაობაში მოვახდინე სამჯერ ტერორისტული აქტი: ტფილისში 1899 წ., ბაქოში 1908 წ. და ფინლიანდიაში 1907 წელს“2 – ტრაბახობს მეორე.

რევოლუციონერთა გადაწყვეტილებით, უნდა მოეკლათ გენერალი გრიაზნოვი. „აქტის სისრულეში მოყვანა ამხ. ჯორჯიაშვილს დააგვიანდა. დამიძახა კობამ (დღეს სტალინმა) და მითხრა: მოამზადე რამდენიმე ყოჩაღი ბიჭები და ერთ კვირაში თუ ჯორჯიაშვილმა ვერ შეასრულა, შემდეგ შენ მოგანდობთო. მე ძალიან გამეხარდა. დავამზადე კიდევ ორი ამხანაგი და ველოდებით ერთ კვირას. ამხანაგმა ჯორჯიაშვილმა ჩინებულად შეასრულა თავისი მინდობილობა და მე კი დამტოვა პირღია“3 – გულდაწყვეტილია მესამე.

ბევრი ამგვარი ციტატის მოტანა შეიძლება. ცხადია, ამ კვეხნაში გაკვირვებთ არა ის, რომ ბრძოლის, რევოლუციის დროს მკვლელობა ხდება. ეს ჩვეულებრივი ამბავია. გაოცებთ, დამოკიდებულება მკვლელობისადმი, ის სიხარული, შინაგანი კმაყოფილება, გამოწვეული კაცის მოკვლით, რასაც ზემორეციტირებული სტრიქონების ავტორები ამჟღავნებენ. ისინი სრულიად არ სწუხან იმის გამო, რომ მიზნის მისაღწევად იძულებული იყვნენ კაცი მოეკლათ და სისხლიანი გზა გაევლოთ.

ყველა რევოლუციის ისტორიისა და გამოცდილების გათვალისწინება ერთ დასკვნამდე მიგვიყვანს:

რევოლუცია და რევოლუციონერები უზნეობის ღრმა პატივისმცემელი არიან. უზნეობა მათ ძლიერებად მიაჩნიათ და ამიტომ ეთაყვანებიან. ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ ახლა გაგახსენებთ ერთს. რუსული „ნაროდნაია ვოლიას“ ქართველ მიმდევართა შორის იყო ერთი შიო დავითაშვილი (თუმცა თავად „დავიდოვ“ ფორმას ამჯობინებდა და მოგონებანიც ასეთი ხელმოწერით აქვს გამოქვეყნებული), რომელსაც იუდა ქრისტეზე დიდ პიროვნებად მიაჩნდა. იგი საზოგადოებას უმტკიცებდა:

„ვკითხულობდი რა სახარებას, ჩემი ყურადღება მიიპყრო იუდა ისკარიოტელის ფიგურამ. რატომ გასცა მან თავისი მასწავლებელი, ნუთუ 30 ვერცხლისათვის, რაგინდ თვალსაჩინოც უნდა ყოფილიყო ეს თანხა იმ დროს? იუდა ხომ ქრისტეს კასის ხაზინადარი იყო და ნუთუ მას, გამცემსა და ბოროტი ბუნების კაცს არ შეეძლო ხელთ ეგდო ასეთი თანხა? შევადარე რა ერთმანეთს სახარებაში გადმოცემული ფაქტები ქრისტესა და იუდას ურთიერთობის შესახებ, მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ იუდა არა თუ არ იყო გამცემი, არამედ, როგორც იდეური მოღვაწე, იგი ზოგიერთი მხრით ქრისტეზე მაღლაც იდგა. და მართლაც, თუ უკუვაგდებთ ქრისტეს სასწაულმოქმედ ძალას, მაშინ ცხადია, რომ ყველა ისეთი სასწაული, როგორც მაგ. წყლის ღვინოდ გადაქცევა ან ხუთი პურით 5 000 კაცის დანაყრება, – არის არა ქრისტეს მიერ მოხდენილი სასწაული, არამედ სხვა შეთქმულთა და, უმთავრესად, იუდასი, როგორც ხაზინადარისა, რომელიც განაგებდა სამეურნეო ნაწილს. იყო შეთქმულთა მთელი ჯგუფი, რომელიც სარგებლობდა ქრისტეს ეკზალტიური ბუნებით და შეპყრობილი ჰყავდა იგი ჰიპნოზით. ჯგუფი უკარნახებდა ქრისტეს: სთქვი ასე და ასე და მოხდება სასწაულიო. იესო ხანგამოშვებით ურჩობდა: „არ დამდგარა ჯერ ჩემი დროო“, მაგრამ მას არ ეხსნებოდნენ, როგორც ამას ქონდა ადგილი წყლის გადაქცევის დროს ღვინოდ და მისი ვედრება ქმნიდა სასწაულს. მას უთხრეს, რომ იგი უნდა მოკვდეს და კვლავ აღსდგეს სამი დღის შემდეგ და იგი ემორჩილება ამ წინასწარმეტყველებას სიტყვით და საქმით. ბოლოს უკანასკნელ „წმინდა სერობას“ ქრისტემ უთხრა თავის მოწაფეთ: „რომელმან შთამოყოს ჩემთან ხელი პინაკსა ამას ამან მიმცეს მე“. იუდამ აიღო პურის ნაჭერი და ჩაუწო სამარილეში. იესომ უთხრა იუდას: „წადი და ქმენ რაცა გსურს“. იგი ადგა და მიატოვა მასწავლებელი. ქრისტემ იცოდა სად მიდიოდა იგი და იუდამაც იცოდა სად წაიყვანდა ქრისტე თავის მოწაფეთ, იმის ნაცვლად, რომ მიეცა მათ დასვენების საშვალება „სერობის შემდეგ“ და იუდას მიჰყავს მცველნი ბაღში, სადაც შეიარაღებული მოწაფენი პირველად იცავენ იესოს. კოცნა და სხვ. ყველაფერი ეს მოხდა წინასწარი შეთანხმებით, რათა მოწაფეებში გაძლიერებულიყო რწმენა ქრისტეს ღვთაებრივობისა. ხოლო, როგორ დაასრულა იუდამ თავისი მისია? მან სახეში მიაყარა მღვდელმთავრებს ყველა 30 ვერცხლი და თავი დაიხრჩო... ამგვარად, ქრისტე მიდიოდა რა საწამებლად, დარწმუნებული იყო, რომ ან არ მოკვდებოდა (უკანასკნელ წუთამდე აღვიძებდა მის გულში იმედს ეს – „ან, ან“), ან და კიდევ მეტი დიდებით აღსდგებოდა მესამე დღეს მკვდრეთით, ხოლო იუდამ დაისაჯა რა თავი, შეგნებულად მისცა თავისი სახელი წყევლა-კრულვას. ასეთი მსხვერპლი ისტორიაში არ მოიპოვება. და ამ მხრით იუდა, როგორც იდეური მუშა და მოწამე უსათუოდ მაღლა სდგას ქრისტეზე“.1

რაკი რევოლუციას მიზნის მისაღწევად სხვა ძალა არ გააჩნია, გარდა ძალადობისა და მკვლელობისა, იგი ბუნებრივად იწყებს უზნეობის ხოტბას. ყოველნაირი ავკაცობის გამართლებას. აღარ ფიქრობს იმაზე, რა შედეგი მოჰყვება ამას. როგორ შეგნებას ჩამოაყალიბებს. მეტი თუ არა ორი ათასი წელი მაინც იქნება, რაც კაცობრიობას მუდამდღე ესმის – ნურავის მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ. წინასწარ განიზრახეთ კეთილი ყოველი კაცისათვის რამდენადაც შესაძლებელია, ყოველ კაცთან მშვიდობიანად იცხოვრეთ. თუ შიოდეს შენს მტერს, პური მიეც, თუ სწყუროდეს – წყალი ასვი. კეთილით სძლიე ბოროტს... (პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ, თავი XII, მუხლები – 17, 18, 19, 20, 21). და მაინც ადამიანი ყოველგვარ ბოროტებას სჩადის. ახლა წარმოიდგინეთ, რას გააკეთებს ადამიანი საზოგადოებაში, სადაც ღმერთი უარყოფილია. იგი გადაიქცევა მხეცად, რადგან ღმერთის უარყოფა იმას ნიშნავს, რომ გაუქმებულია ზნეობა. ხოლო იქ, სადაც ღმერთი, ანუ ზნეობა უარყოფილია, უარყოფილია ადამიანიც. მხოლოდ ამგვარ პირობებშია შესაძლებელი წამოცდეს პოეტს, თუნდაც უნებლიეთ – „მე დავლევ სისხლს, რომ ჭიქაში სისხლი დამისხათ“.1 უარესსაც მოისმენთ – „ბობოლებივით მავნე მგოსნებს გაანადგუ-

რებს სოციალისტურ მშენებლობის ცხელი ღადარი“.2 ეს არ ყოფილა შემთხვევით წამოსროლილი ფრაზა. ეს გეგმაზომიერი ზნეობრივი პოლიტიკის ლოგიკური დასკვნა იყო. როცა ეს აღსრულდა და მართლაც გაიმართა სახელმწიფო მოღვაწეებისა და მწერლების განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა, გაზეთები გადაჭრელებული იყო ამ ველური აქტის მოწონებითა და ქებით.3

ასეთ ვითარებაში მწერლობის სრული დეჰუმანიზაცია ხდება. იგი კარგავს იდეალს. იქცევა მთარობის ხელში სათამაშო ტიკინად. კისრულობს როგორც თავისთავის, ისე სხვისი ჯალათის როლს და ერთგულად ასრულებს ამ მოვალეობას. ავიწყდება უმთავრესი (ურომლისოდაც არ არსებობს სიტყვაკაზმული მწერლობა და ხელვონება), რომ ყოველ ადამიანში არის ერთიანი სულიერი საწყისი, რაც სიყვარულის საფუძველია. რასაც ქადაგებდნენ კონფუციუსი, ლაო-ძი, სოკრატე, ბუდა, რამა-კრიშნა, მარკუს ავრელიუსი, ქრისტე. თუ ნაძალადევად და ხელოვნურად ამ ერთიან საწყისს კლასობრივად დავშლით, მაშინ სიყვარულის ადგილს სიძულვილი დაიჭერს, კეთილისას – ბოროტი. ძნელად ზნეობრიობა ვრცელდება, თორემ ამორალიზმი თვალისდახამხამებაში იპყრობს ყველას. მათ შორის მწერლობასაც. მხატვრული ლიტერატურის კლასობრიობის პროპაგანდა ამორალიზმია, რაც არსებითად მწერლობისა და ხელოვნების დაღუპვის საწინდარია.

დავაკვირდეთ სხვა ზნეობრივ მცნებასაც. არა იპარო – ქადაგებს რელიგია. აქაც მოთხოვნა მაქსიმალისტურია. მიუხედავად ამისა, ადამიანი მაინც ქურდობს. უფრო მეტიც: ეკლესიის მსახურთა შორისაც არიან მპარავნი. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ამ მცნების დასაცავად შეუძლებელია დავუშვათ კომპრომისი, შევხედოთ მას კლასობრივი თვალსაზრისით. ყველა ჯურის რევოლუციას და რევოლუციონერებს (ცხადია, კომუნისტებსაც) დასაშვებად მიაჩნდათ ექსპროპრიაცია. თვლიან მას სამართლიანობის გამოვლენად. სამართლიანობის ეს იდეალი, მოგეხსენებათ, „არსენას ლექსში“ ასეა ჩამოყალიბებული: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“. მაგრამ წართმევით თანასწორობისა და სამართლიანობის განხორციელების ცდა ყაჩაღური პრინციპია (ლექსშიც ყაჩაღი ახორციელებს მას). განა საზოგადოებას შეუძლია ყაჩაღის პრინციპით იცხოვროს? რა თქმა უნდა, არ შეუძლია, რადგან საზოგადოების იდეალი შრომით ცხოვრების პრინციპია. საზოგადოება, რომელიც შრომას უარყოფს, იშლება და იღუპება. სხვათა შორის, ყოველი ყაჩაღის უბედურებაც ის არის, რომ იგი შრომას წყდება და არსებობს წართმევის საშუალებით. ამიტომ იღუპება ყოველი ყაჩაღი, მათ შორის არსენაც.

წართმევის პრინციპი ანუ ექსპროპრიაცია შრომის პრინციპს უპირისპირდება. ამიტომ არის იგი ანტისაზოგადოებრივი პრინციპი. რევოლუციონერთა შორის გონიერთ ესმით ეს და ისინი ეწინააღმდეგებიან ექსპროპრიაციას, როგორც ზნეობრივად უაღრესად საშიშ მოვლენას. კომუნისტებს შორისაც ყოფილა ექსპროპრიაციისადმი დამოკიდებულების სხვადასხვაობა.

„იმ დროს (1905-1907 წლების რევოლუციის – ა.ბ.) ორი მიმართულება არსებობდა პარტიაში ამ კითხვების შესახებ. მენშევიკები გმობენ ექსებს1 (თუმცა ტფილისში კი აკეთებენ) იმ მოსაზრებით, რომ ექსები პარტიულ ამხანაგებს რყვნისო, ეჩვევა მუქთახორობას, პირდაპირი პარტიული მუშაობიდგან ხრის ცარცვა-გლეჯისაკენ, ფსიხოლოგია უფუჭდება და ბოლო ხანებში „ექსებსაც“ პარტიული ელფერი ეკარგება.

ბოლშევიკები სულ წინაღამდეგი აზრისანი იყვნენ: სახელმწიფო „ექსები“ და ხანდახან ტერორისტული აქტებიც პარტიზანული ომის ნაწილია, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს მთავრობის მეხანიზმში“.2

როგორც ვხედავთ, ზოგიერთ რევოლუციონერს ზუსტად შეუმჩნევია ექსპროპრიაციის, ანუ წართმევის პრინციპის ზნეობრივი შედეგი – გარყვნა, მუქთახორობა, ცარცვა-გლეჯა, უშრომელი ცხოვრება. სოციალისტურმა სინამდვილემ პრაქტიკულად დაადასტურა ამ დასკვნის სიმართლე. სსრკ-ში ტოტალურად გავრცელებული

ქურდობა, ფლანგვა და ამგვარი სხვა დანაშაული მორალურად პირდაპირი რეზულტატია წართმევის, ანუ ექსპროპრიაციის პრინციპისა, რასაც ადრე სხვის წინააღმდეგ იყენებდნენ იარაღად.

რევოლუციამდე არსებობდა მქონებელთა კლასი. უქონელთა კლასი ძარცვავდა მას. რევოლუციის შემდეგ მქონებელთა კლასი მოსპეს. დარჩა მარტო უქონელთა კლასი. მისი ცნობიერება კი მოწამლულია წართმევის პრინციპით. ექსპროპრიაცია მიაჩნია სამართლიან საქმედ. მაგრამ გასაჭირშია: ძარცვა-გლეჯისათვის მქონებელთა კლასი აღარ ჰყავს, გაანადგურა. იგი, ნებით თუ უნებლიეთ, იწყებს კლასობრივი თანამოძმის გაქურდვას. უფრო მეტიც, თავისთავის გაძარცვას. ამორალური პრინციპი ბუმერანგივით შემოტრიალდა ექსპროპრიაციის მოტრფიალეთა წინააღმდეგ.

როცა სსრკ-ში არაოფიციალურად ქურდობა გამოცხადდა არსებობის ერთადერთ წყაროდ და საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელმა პარვა დაიწყო, პროფესიონალი ქურდი ზნეობრიობის შარავანდედით შეიმოსა.

რატომ მოხდა ეს? პროფესიონალ ქურდს არ დაუწყია ნიღბის ტარება, თვალთმაქცობა, სხვისი მოტყუება, თავი არ გაუსაღებია პატიოსან კაცად. ქურდობისათვის რაიმე საპატიო სახელი არ დაურქმევია. არაპროფესიონალი ქურდები კი ტყუიან, თვალთმაქცობენ, ნიღაბს ატარებენ, გაუთავებლად ლაყბობენ სინდის-ნამუსზე, ყველას ჭკუას ასწავლიან. საზოგადოების ბურჯად მოაქვთ თავი. ხელთ უპყრიათ ნაირ-ნაირი თანამდებობანი, ატარებენ ნაირ-ნაირ საპატიო წოდებებს, არაჩხუნებენ ნაირ-ნაირ ჩინ-მედლებს... როცა რიგითმა მოქალაქემ, უბრალო მშრომელმა ერთმანეთს შეადარა ორი ქურდი – პროფესიონალი და არაპროფესიონალი, – აღმოჩნდა, რომ პირველი გაცილებით ალალი, გულწრფელი და სუფთაა, ვიდრე მეორე. მას ბუნებრივად გაუჩნდა პროფესიონალი ქურდის პატივისცემის გრძნობა.

დაპატიმრებულ ახალგაზრდა მპარავს ეკითხებიან:

„– ვინ მიგაჩნიათ ყველაზე მისაბაძ ადამიანად ქუთაისში?

– კუკურია თვალება... ჯონი ჭინჭველაძე და...

ვინ არიან ისინი? – ქურდული „ელიტის“ წარმომადგენლები...“1

ეს განწყობილება ლიტერატურაშიც აისახა.

ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონში“ სნეული ბაჩანა რამიშვილის სანახავად მრავალნაირი ადამიანი მოდის. მაგრამ არც ერთ მათგანს გულწრფელად არ აინტერესებს ავადმყოფის მდგომარეობა. ყველას ერთი მიზანი აქვს: ისარგებლონ ბაჩანას ავტორიტეტით და თავისი ავკაცური საქმე მოაჭახრაკონ. ერთადერთი კაცი, ვინც ალალად არის შეწუხებული რამიშვილის ავადმყოფობით და გულით სურს რითიმე დაეხმაროს, ვახტანგ ამბოკაძეა. და თუ, გაოცებული იორამივით, ჩვენც ვიკითხავთ – ვინ არის ეს ღვთისნიერი კაცი, – პასუხად მივიღებთ – ქურდი, პროფესიონალი ქურდი.

ცხოვრებაშიაც და მწერლობაშიაც ნათლად ჩანს, ცხოვრების სოციალისტურმა წესმა რა ზნეობრივ სიღატაკემდე მიიყვანა ადამიანი. სოციალიზმს აქ თავის მართლება არ შეუძლია, რადგან სწორედ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი ბრძანებს: „ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას“.1 ამ დებულების თანახმად, უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოელი ადამიანის მიერ ქურდის იდეალად გამოცხადება განსაზღვრულია და გაპირობებული სოციალისტური სინამდვილის ყოფიერებით. ამიტომ არის, რომ ე.წ. „ნეგატიური მოვლენების“ წინააღმდეგ პრესაში გაჩაღებულ ყაყანს არავითარი შედეგი არ მოაქვს. საბჭოელი ადამიანი მშვიდად აგრძელებს ქურდობას, ფლანგვას, ქრთამის აღებას, ხალტურას, კომბინაციას, გამოძალვას... კარგად იცის, რომ სხვაგვარად ვერ იარსებებს.

ამ მდგომარეობის წყალობით, საბჭოურ ლიტერატურაში გაუგონარი მოვლენა მოხდა: რეციდივისტი, სისხლის სამართლის დამნაშავე გამოყვანილია, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველი ძალა.

ეს პროცესი აქტიურად ქართულ მწერლობაში 60-იან წლებში დაიწყო და თანდათან ძლიერდება. ამის საბუთად შეგიძლიათ წაიკითხოთ გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, ვანო ურჯუმელაშვილის „ფერისცვალება“, გიორგი ციციშვილის „სძლიე სიხარბესა შენსა“, რამაზ კობიძის „გვიმრის ფოთლები“, სულხან ქეთელაურის „ზაფხულის ცხელი დღეები“ და სხვათა მოთხრობანი თუ რომანები. რა თქმა უნდა, მათი მხატვრული ღირებულება სხვადასხვაა, მაგრამ ლიტერატურაში შემოსულ მოვლენას ნათლად გვიჩვენებენ. განსაკუთრებით მკაფიოდ იგი დრამატურგიაში ჩანს. იშვიათად წაიკითხავთ პიესას, რომლის კონფლიქტი ქურდისა და არაქურდის დაპირისპირება არ იყოს.

მწერლობის მოყვარულმა ყოველმა მკითხველმა იცის, რომ ყველა დროის და ყველა ხალხის მწერლობაში (ასე იყო ქართულ ლიტერატურაში 50-იან წლებამდე) რეციდივისტი ჩვეულებრივ დახატულია, როგორც საზოგადოების ცხოვრებიდან მოკვეთილი პირი, როგორც პარია. სხვანაირად არც შეიძლება. რეციდივისტად ხდება ადამიანი, რომელიც სხვადასხვაგვარი უსამართლობის შედეგად აცდა ცხოვრების პატიოსან გზას და ბოროტმოქმედების შარას დაადგა. რეციდივისტი, უბედური ყისმათის გამო, შეიძლება იწვევდეს სიბრალულს, დასაშვებია გაჩნდეს მისი გადარჩენის სურვილი, მაგრამ არსად, არასოდეს, იგი სოციალურ ძალას არ წარმოადგენდა. რეციდივისტი გამოთიშულია თავისი საზოგადოების, თავის კლასის სოციალურ ცხოვრებას. ამიტომ არის უძლური და განწირული დასაღუპავად. მას, როგორც დეკლასირებულ ელემენტს, არა აქვს არავითარი ძალა, რომელიც საზოგადოების ცხოვრებაზე რაიმე გავლენას მოახდენს. ადრე მწერლობა რეციდივისტს უყურებდა, როგორც მსხვერპლს და, თუ იგი მხატვრულ ნაწარმოებში შემოჰყავდა, სურდა ამით ეჩვენებინა სოციალური ცხოვრების მანკიერებანი, რომელთაც შეეძლოთ ადამიანის მოკვეთა, მისი განწირვა, მისი დაღუპვა.

ამგვარი დამოკიდებულება დღევანდელმა საბჭოურმა ლიტერატურამ ძირფესვიანად შეცვალა და, როგორც უკვე ითქვა, რეციდივისტი წარმოგვიდგინა ძალად, რომელსაც საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვა შეუძლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმის დროს რეციდივისტი მსხვერპლი კი აღარ არის, არამედ – ჯალათი, პარია კი აღარ არის, არამედ – ბატონი.

რამ გამოიწვია ეს?

ამის მკაფიო პასუხს საბჭოური პრესა იძლევა. წაიკითხეთ გაზეთები, მოუსმინეთ და უყურეთ რადიოსა და ტელევიზიას და ნახავთ, რომ საბჭოურ სამოხელეო იერარქიაში არ არსებობს თანამდებობა (სულერთია მინისტრი იქნება, დირექტორი, მმართველი, თავმჯდომარე, მდივანი თუ უმაღლესი სასწავლებლის რექტორი), რომლის მფლობელი ბოროტმოქმედებას არ ჩადიოდეს. თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოური პრესა მომხდარ დანაშაულებათა მხოლოდ ერთ პროცენტს აშუქებს, ხოლო დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტს გულმოდგინედ მალავს, შეგიძლიათ სრულად წარმოიდგინოთ საბჭოელი მოხელეების ბოროტმოქმედების მასშტაბი.

ბოროტმოქმედებას მარტო არ ეწევიან. ყოველთვის იკრიბება ხალხმრავალი გუნდები. ამ გუნდებში პროფესიონალი რეციდივისტებიც არიან. არაპროფესიონალებს პროფესიონალთა გამოცდილება სჭირდებათ. მათ შორის ჰარმონიული კავშირი მყარდება. დამნაშავეთა გუნდებს კი ამა თუ იმ თანამდებობის პირი თავკაცობს.

ბოროტმოქმედი სახელმწიფო მოხელე დიდხანს არის ხელუხლებელი. შეიძლება (და ძირითადად ასეც არის) იგი ისე მოკვდეს, რომ არც კი მოხდეს მისი მხილება. ამას ორი საფუძველი აქვს. პირველი ის, რომ სსრკ-ში თანამდებობის პირის კრიტიკა აკრძალულია. იგი მხოლოდ ლიქნის, ლაქუცის, ხოტბის საგანია. მისი გაკრიტიკე-

ბა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მოხსნეს და ისიც კომპარტიის ცკ-ის დავალებით. ამიტომ ბოროტმოქმედ თანამდებობის პირს საზოგადოებრივი აზრის არ ეშინია. მეორე კი ის გახლავთ, რომ ბოროტმოქმედ მოხელეს მხოლოდ მაშინ ხსნიან ან იჭერენ, როცა იგი თანამდებობით მასზე მაღლა მდგომ ჩინოვნიკს აწყენინებს. ასე რომ, მავან და მავან ბოროტმოქმედ მოხელეს, თუ იგი თავშეკავებული კაცია, იცის, სად როგორ მოიქცეს, შეუძლია შავი საქმე სიკვდილამდე აკეთოს, ყურზე ხახვს ვერავინ დააჭრის. იმ ფაქტმა, რომ ხანდახან ამა თუ იმ თანამდებობის პირს დანაშაულისათვის იჭერენ, არ უნდა შეგვაცდინოს. მტკიცედ უნდა ვიცოდეთ: მოხსნა ან დაჭერა ხდება არა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, არამედ – შურისძიებისა. შურისგება მორჩილების იარაღია. ყველა თანამდებობის (დიდი იქნება თუ პატარა, სულერთია) პირს ურყევად უნდა ახსოვდეს: ყველა მოხელეს, რომელიც თუნდაც ერთი საფეხურით მაღლა დგას, უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდე და თაყვანს სცემდე. თუ გაკადნიერდება და ატროკდება ვინმე, მას მაშინვე გაახსენებენ ჩადენილ დანაშაულს და ვირის აბანოში უკრავენ თავს.

ყრუ მორჩილების ატმოსფეროში სახელმწიფოც იოლად იმართება და ბოროტი საქმეც ადვილად კეთდება.

ცხოვრების ამგვარმა წესმა ყველა ჯურის რეციდივისტი, პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი, ერთმანეთთან დააკავშირა, ერთ მუშტად შეკრა და სოციალურ ძალად აქცია.

მწერლობამ დაინახა ეს სურათი, შეამჩნია ეს პროცესი და ასახა კიდეც. ცხადია, რომ მას სოციალისტური სინამდვილის მხილება არ ჰქონია მიზნად. იგი ცალკეული ხარვეზების დაგმობას ცდილობდა, მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალა. უნდოდა თუ არა ლიტერატურას, ეს ობიექტური სურათი მაინც გამომჟღავნდა. ამ სურათმა კი ყველას გასაგონად მთელი ხმით იყვირა: დაიგმო და უარყოფილი იქნა ძველი მცნება – არა იპარო. გაბატონდა სხვა ლოზუნგი, მართალია დაუწერელი, მაგრამ საზოგადოების ცნობიერებაში მტკიცედ ფესვგადგმული – იქურდე, თორემ სხვანაირად ვერ იცხოვრებ.

ამრიგად, ჩვენ თვალწინ მოხდა ზნეობრივი კატასტროფა, რაც უთუოდ გამოიწვევს ეკონომიკურ და სოციალურ კატასტროფასაც, შესაძლებელია ეროვნულსაც.

ასევე გაუფასურდა სხვა მცნებაც – არა ცილისწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.

ახლა ვნახოთ, როგორ ვასრულებდით ამ მცნებას.

როცა პროზაიკოსი დააპატიმრეს, კრიტიკოსი წერდა:

„ის გარემოება, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენი სამშობლოს და საბჭოთა ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების გარეწარი ხროვის მონაწილე აღმოჩნდა, უსაზღვრო ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს ყოველი საბჭოთა მწერლისა და მოქალაქის შეგნებაში. მაგრამ ეს ფაქტი არავის არ გააკვირვებს, რადგან მიხეილ ჯავახიშვილის მთელი მოქალაქეობრივი და სამწერლო ბიოგრაფია მკაფიოდ ახასიათებს მას, როგორც მუხანათურად შენიღბულ და უაღრესი თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასობრივ მტერს, უსაზღვროდ გაცოფებულს პროლეტარული რევოლუციის მიღწევებისადმი მტრობით და სიძულვილით.

ცნობილია, რომ მიხეილ ჯავახიშვილს საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს მოღალატური და კონტრრევოლუციური „მოღვაწეობისა“. ქართველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის წიაღში აღზრდილი, იგი მტრულად დაუხვდა საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას და საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო კონტრრევოლუციური კლასების ბატონობის რესტავრაციისათვის წარმოებულ ბრძოლაში. მაგრამ როდესაც ბრძოლის ამ გზაზე იგი პირისპირ შეხვდა საბჭოთა ხალხის ურყეველ ძლევამოსილებას, მან განიზრახა შეეცვალა გამარჯვებული მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძო-

ლის ფორმები და საშუალებანი. მან გაიხსენა თავისი დიდი ხნით მივიწყებული და უკუგდებული სამწერლო საშუალებანი და მოინდომა ლიტერატურულ ფრონტზე გაეშალა მუშათა კლასი. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული „მუშაობა“.1

როცა ბ. ჟღენტი ამას წერდა, განა არ იცოდა, რომ ტყუილს ამბობდა და ცილს წამებდა მიხ. ჯავახიშვილს? რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ თავი უნდა გადაერჩინა. ამისათვის აუცილებელი იყო მოყვასისათვის ცილი დაეწამებინა. 1937 წლის 27 ნოემბრის „ლიტერატურული საქართველო“ იუწყება, რომ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა განიხილა ბ. ჟღენტის საკითხი. „ბ. ჟღენტმა, – გვამცნობს გაზეთი, – დაუშვა მთელი რიგი უხეში პოლიტიკურ-ლიტერატურული ხასიათის შეცდომები. იგი ხალხის მტრებთან ახლო ურთიერთობაში იყო; მიუხედავად გაფრთხილებისა, მან დღემდე არ აღიარა თავისი შეცდომები და არაფერი სთქვა თავის ურთიერთობაზე ხალხის მტრებთან. პრეზიდიუმის ამ სხდომაზე მისი გამოსვლა არ იყო დამაკმაყოფილებელი.

პრეზიდიუმმა დაუშვებლად ჩათვალა ბ. ჟღენტის ხელმძღვანელ სამუშაოზე დატოვება მწერალთა კავშირში და გამოიყვანა იგი მწერალთა კავშირის სამდივნოდან და პრეზიდიუმის შემადგენლობიდან“.

1937 წელს ეს სასიკვდილო განაჩენს უდრიდა. რომ გადარჩენილიყო, სხვა უნდა გაეწირა, თავზე ნაცარი დაეყარა და ყველაფერი ეკისრა.

1937 წლის 10 ივნისს „ლიტერატურული საქართველო“ განწირული პოეტის სიტყვის შინაარსს ასე გადმოგვცემს:

„... ელიავა ტიპიური ლაზღანდარა, ორჭოფი და შურის ჩამომგდები კაცი იყოო. მისადმი არავითარი სიმპატია არა მქონია, მაგრამ მაინც ვერ შევსძელი მისგან სრულიად ჩამოცილებაო.

... ასევე დაახასიათა მან პ. აღნიაშვილი, როგორც სულიერად სნეული, მერყევი ადამიანი, რომელიც პარტიულ ამხანაგებთან ერთს ლაპარაკობდა, ხოლო უპარტიოებთან – მეორეს.

როგორც პ. იაშვილმა აღიარა, იგი ხშირად ყოფილა ლომინაძის, აღნიაშვილის, მათიკაშვილის და სხვა თვალთმაქცების ერთად შეკრების მოწმე. ღოღობერიძის ბინაზე მოსკოვში თავს იყრიდნენ თვალთმაქცნი, ხალხის მტრები – მ. ტოროშელიძე, გ. ყურულაშვილი, ფირუმოვი, ივანიანი, ლომინაძე, პ. აღნიაშვილი.

... მეც ვიცოდი პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ თქმული მათი აზრები, მაგრამ მაკლდა მოქალაქეობრივი გამბედავობა მემხილა მათი მტრული განწყობილება, მეშინოდა მათის მხრივ შურისძიებისა“.

განა პოეტმა, როცა ამას ამბობდა, არ იცოდა, რომ თავის ამხანაგებს და მეგობრებს ცილს სწამებდა და ტყუოდა? რა თქმა უნდა იცოდა, მაგრამ მასაც თავის გადარჩენა უნდოდა. მასაც ემუქრებოდნენ: პავლე იაშვილმა, რომელიც უკვე 40-ზე მეტი წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს. სიკეთე არ მოჰყვება მის ნავარდს ლომინაძიდან ჯიქიასკენ, ჯიქიადან აღნიაშვილისაკენ, ღოღობერიძიდან ლომინაძისაკენ და, ბოლოს, ელიავას კლანჭებში“.1 ესეც სიკვდილის განაჩენის მომასწავებელი იყო. პ. იაშვილიც ფართხალებდა, რომ როგორმე თავი ეხსნა. მაგრამ მიხვდა, რომ ხორცი მეტისმეტად ძვირი უჯდებოდა და სულის ხსნისათვის თავი მოიკლა.

როცა პოეტი დააპატიმრეს, გიორგი ნატროშვილი წერდა:

ნიკოლო მიწიშვილი „... ყოველთვის ცდილობდა დაემალა მკითხველისათვის თავისი ნამდვილი განზრახვანი, რომელიც არ სწერს იმას, რასაც ფიქრობს, რომელიც დაუსრულებლად თვალთმაქცობს მშრომელი ხალხის წინაშე და თავის „ლოიალური“ დეკლარაციების იქით ხალხის მტერთა ბინძურ ზრახვებს ლაქიურად ემსახურება. თავისი სიბინძურის და შემაძრწუნებელი გათახსირების გამოაშკარავებისა, ნიღბის ჩამოგლეჯისა, რა თქმა უნდა, მას ეშინოდა“.2

როცა მეორე პოეტი დააპატიმრეს, კრიტიკოსმა ისევ დაწერა:

„... მან (ტ. ტაბიძემ – ა.ბ.) შეაფურთხა კაცობრიობასაც, სამშობლოსაც, პოეზიასაც და საერთოდ ყოველგვარ ჭეშმარიტ გრძნობას; თურმე ქართველი ხალხის მთავარი თვისება – სიზარმაცე და ლოთობა ყოფილა. ამაზე მეტი უპასუხისმგებლობა და, თუ გნებავთ, დადაიზმიც მართლაც ძნელი მოსაძებნია.

... რეტროგრადული სიბნელით, საშუალო საუკუნეობრივი თილისმებით და მისტიკური ბნედიანობის შხამით მოწამლულია უდიდესი ნაწილი მისი ლექსებისა“.1

როცა ამას წერდა, განა კრიტიკოსმა არ იცოდა, რომ ტყუოდა და ცილს წამებდა ნიკოლო მიწიშვილსა და ტიციან ტაბიძეს? რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ თავის გადარჩენის ინსტინქტი აიძულებდა.

1935 წლის „მნათობის“ მეოთხე წიგნში მიმართვა გამოქვეყნდა. ქართველ მკითხველს აუწყებდნენ:

„... ქართველი მწერლების რიგებს მოღალატურად სტოვებს და როზენბერგის ბანდებს ეკედლება ერთი ქართველი მწერალი, რომლის სახელი ამიერიდან ხდება სამარცხვინოდ ყოველი საბჭოთა მწერლისა და მოქალაქისათვის.

ეს მწერალი არის გრიგოლ რობაქიძე.

ეს თვალთმაქცი ადამიანი, დღიდან საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისა, ატყვილებდა რა ხელისულებას, მწერლობას და საბჭოთა საზოგადოებას, გულში ატარებდა მშრომელთა ქვეყნის და საბჭოთა საქართველოს ღალატის მუხანათურ აზრებს.

და ეს ზრახვები დღეს გრიგოლ რობაქიძემ განახორციელა საბჭოთა საქართველოდან ქურდულად უცხოეთში წასვლით, ფაშიზმის ბანაკში აშკარად გადასვლით და იქ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ მოღალატური, გამცემლური მუშაობით.

მისი ღალატის გამომჟღავნების შემდეგ ჩვენთვის აშკარაა, რომ ქართული საბჭოთა მწერლობისათვის ამ უჩვეულო საქციელს სარჩული წარსულში ჰქონდა. და ვინც გაიხსენებს რობაქიძის მუშაობას რუსულ შავრაზმულ პრესაში, მის ბულვარულ რომან „ფალესტრას“ და იდეალისტურ რასისტულ წიგნს „გველის პერანგს“ და მთელ მის მხატვრულ პროდუქციას, გამსჭვალულს გადაგვარებულ კლასთა იდეურ სიღატაკით და დაკნინებულს მხატვრული ფორმით, – მისთვის რობაქიძის ეს უმსგავსო და ბოროტი საქციელი გასაგები ხდება, როგორც ლოღიკური დასკვნა ამ განდიდების სენით შეპყრობილ, გადაგვარებულ პიროვნების მუშაობისა“.

განა ამ სტრიქონების ავტორებმა არ იცოდნენ, რომ ტყუოდნენ და ცილს წამებდნენ გრიგოლ რობაქიძეს. რა თქმა უნდა, იცოდნენ, მაგრამ ბადეში მოხვედრილი თევზებივით იყვნენ განწირულნი. მოყვასს, მეგობარს, მასწავლებელს წირავდნენ თავისთავის გადარჩენის მიზნით, მაგრამ ამაო იყო ეს ცდა. კომუნისტური სიკვდილის ცელი დაუნდობლად თიბავდა ყველას. ამ ოთხი პოეტიდან მხოლოდ ერთს ერგო ბუნებრივი სიკვდილი. დანარჩენი სამი კომუნისტური ტერორის მსხვერპლი შეიქნა.

ყველასათვის ცხადია, რომ ეს მიმართვა ძალდატანებით არის დაწერილი. და დააწერინეს სწორედ გრ. რობაქიძის მეგობრებს. ამით კომპარტია ზნეობრივად ანადგურებდა, სახელს უტეხდა მათ. ლაფში სვრიდა და ამ გზით მუდმივ მორჩილებასა და მონობაში აგდებდა. ზნეობრივად გატეხილ ადამიანს უჭირს როგორც თავისთავის, ისე სხვისი დაცვა და ანკესზე გამობმული თევზივით, საითაც უნდა, იქით წაათრევს მბრძანებელი. ეს გამიზნული პოლიტიკა იყო და კომპარტია განუხრელად ატარებდა მას. ცილისწამება სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი ნაწილი იყო და არის.

ასეთ სიტუაციაში ცალკეული ადამიანი თუ მთელი საზოგადოება თანდათან უარს ამბობდა მცნებაზე – არა ცილისწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა. სამუდამოდ ივიწყებდა მას. სანაცვლოდ გულმოდგინედ იმახსოვრებდა უზნეობის ლოზუნგს – ცილი დასწამე მოყვასს. გაყიდე იგი, თუ გინდა თავად გადარჩე – იხდიდა მას ცხოვრებაში სამოქმედო წესად.

ძველი მცნება – „არა იმრუშო“ – მხოლოდ ხორციელ სიძვას არ ითვალისწინებდა, უფრო მეტად და ძირითადად გულისხმობდა სულიერ გარყვნილებას. საერთოდ ადამიანის და კერძოდ შემოქმედის სრული დამონებისათვის აუცილებელი იყო სულიერი მრუშობის გაბატონება. მისი განხორციელება სახელმწიფო ტერორით დამფრთხალ და დაშინებულ საზოგადოებაში უკვე ადვილი იყო.

ჯერ ბრალად დაგდებენ – „კ. გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი-შოვინისტი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის, თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად. ხსენებული გაუსწორებელი რეაქციონერი მწერალი დღევანდელობისათვის პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაწარმოებებს აქვეყნებს“1 – და მერე, როცა თავზე ჯალათის ნაჯახი აღიმართება, გათქმევინებენ: „ლავრენტი ბერიამ გაუზარდა საქართველოს გულმოდგინე პატრიოტები, ქვეყნისათვის, საქმისათვის თავდადებული პარტიული მუშაკები. მისი პირადი გამოცდილების, მისი მითითებების ნიადაგზეა გაზრდილი მრავალი თვალსაჩინო პარტიული მოღვაწე, რომელნიც დიდი წარმატებით განაგებენ დღეს ჩვენს რაიონებს: ჩვენი რაიკომის მდივნები, თავდადებული და თავმდაბალი მოღვაწეები“.2

საერთოდ, კ. გამსახურდია ჰგავდა იმ ადამიანს, რომელსაც სახლში პური მიაქვს და უკან კბილდაღრჭენილი ქოფაკი მისდევს. პური რომ შინ მიიტანოს და თავად ძაღლის დაკბენას გადაურჩეს, იძულებულია დროდადრო ნაგაზს პურის ნატეხი გადაუგდოს. დროებით შეაჩეროს და სახლში შეასწროს. მთელი ცხოვრების მანძილზე ასე გაურბოდა მწერალი უკანდადევნებულ საბჭოთა ხელისუფლებას. ხანდახან უყრიდა მწერლური პურის ნატეხებს – „ბელადს“, „ვაზის ყვავილობას“, ნარკვევებს, რომ ბუნებრივ სიკვდილამდე მიეღწია და ქართველი ხალხისათვის დაეტოვებინა „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“.

ჯერ დაგაწერინებენ ბერიას სადიდებელ ლექსებს, მის მეხოტბედ გაგხდიან და მერე გათქმევინებენ – „უდიდესი კმაყოფილების გრძნობით მიიღო საბჭოთა ხალხმა, ყველა პატიოსანმა ადამიანმა ცნობა ბერიასა და მისი დამქაშების მიმართ სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ“ (ირაკლი აბაშიძე, იოსებ გრიშაშვილი, კარლო კალაძე, ალიო მირცხულავა და სხვანი).3

ჯერ დაგაწერინებენ – „მარქსისტულად დამუშავებული თუ მოგვეპოვება რაიმე მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის შესახებ ეს მხოლოდ ამხ. მახარაძის შრომებშია მოცემული“ – და მერე გათქმევინებენ – „ამხ. ფილიპე მახარაძე არაა კლასიკოსებთან დამოკიდებულების საკითხში შეცდომისაგან დაზღვეული“.1

და ასე გაუთავებლად, თუმცა არც ამით დაკმაყოფილდებიან. საკუთარი თავის წინააღმდეგ აგამხედრებენ, წამდაუწუმ ბოდიშს მოგახდევინებენ, ვირზე უკუღმა შეგსვამენ და თავლაფდასხმულს ქუჩა-ქუჩა ჩამოგატარებენ.2

ასე თანამიმდევრულად თრგუნავდა კომპარტია მწერლის სულიერ სიამაყეს, პატიოსნებას, სიმტკიცეს და აყალიბებდა სულიერად მრუშს, სულით ვაჭარს. ძველი მცნების – არა იმრუშო – ადგილს მყარად იჭერდა ახალი – სულით იმრუშე, სამაგიეროდ არ მოგაკლდება კომპარტიის მოწყალე თვალი.

ასე იქნა უარყოფილი ყველა ძველი ზნეობრივი მცნება.

ძველ ზნეობრივ მცნებათა გაუქმებამ, მათ მაგიერ ამორალიზმის დამკვიდრებამ გამოძერწა ადამიანი, რომელიც წინასწარმეტყველურად დაინახა ვაჟა-ფშაველამ და დაახასიათა კიდეც.

... და თქვენ, სადიაცენო,
რო ძროხებივით სძღებითა;
ღამე მაძღრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა;
თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ
არც როს არ გამოსდგებითა.
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ,
ლეში ალაღოთ, ჰკვებდითა;
გაიგებთ კარგის გარჯასა,
გწყინსთ და შურითა ხდებითა;
უქმად ჩაჰმალევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა.
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა.

ამ ადამიანებმა შეჰქმნეს განჯგონებულთა1 საზოგადოება, რომელშიც ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული: ბოროტი კეთილად იწოდება, უზნეობა – ზნეობად, ღალატი და გამცემლობა – მოქალაქეობრივ მოვალეობად, სულით მრუშობა – შეგნებულობად, სილაჩრე – კეთილგონიერებად, მონური მორჩილება – წესრიგად, ქურდობა, ხალტურა, მექრთამეობა, კომბინაცია – შრომად, სიცრუე და მოტყუება – კეთილსინდისიერებად, ლაქიობა და კუდის ქიცინი – პირდაპირობად, უპრინციპობა – პრინციპულობად, მტრობა და სიძულვილი – სიყვარულად.

განჯგონებულთა საზოგადოებას არ სჭირდება იდეალად ღმერთი, როგორც ზნეობრივი სრულყოფილების სიმბოლო. მოწოდება – „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს“ (მათე, V, 48) – რომლითაც საზრდოობდა ქრისტიანული კაცობრიობის მწერლობა კომუნისტური ხელისუფლების გაჩენამდე, საბჭოური ლიტერატურის მიერ უარყოფილია. იგი შეცვლილია პრაქტიკული განკარგულებით – მოიქეცით ისე, როგორც კომპარტია გიბრძანებთ. თუ საზოგადოება იწამებს ღმერთს, მაშინ აუცილებელია ბრძოლა ზნეობრივ მცნებათა დასაცავად, მათ განსახორციელებლად. ამ რწმენით აღჭურვილ ადამიანს, საერთოდ და კერძოდ მწერალს, ვერ ათამაშებ ტიკინასავით. იგი არ გახდება თოჯინა არავის ხელში. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის უპირველესი ამოცანა კი ის არის, რომ მწერალი (და საერთოდ ადამიანი) იყოს კომპარტიის სათამაშო თოჯინა. მწერალი (და საერთოდ ადამიანი) უნდა ყოველთვის კომპარტიის დუდუკზე ცეკვავდეს. ამიტომ ებრძვის იგი, ერთი მხრივ, ღმერთს და, მეორე მხრივ, სიტყვას, ანუ უარყოფს რწმენას და მისი გამოხატვის და გადაცემის საშუალებას. უღმერთო, ანუ ურწმუნო კაცი უძლურია. უსიტყვო კაცი მარტოხელა და იზოლირებულია. ცრუ სიტყვას ადამიანთა შეკვრა-შედუღაბება არ შეუძლია. ეს ხელეწიფება მხოლოდ მართალ სიტყვას. ურწმუნო და მარტოხელა კაცი იოლი დასამონებელია და შესაძლებელია ისე იმსახურო, როგორც გსურს. ამიტომ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი აბატონებს ურწმუნოებას ანუ უღმერთობას და ცრუსიტყვას. ამით საფუძველს უქმნის კომპარტიის განუყოფელ ძალაუფლებას.

ძალაუფლების სიმტკიცისათვის სრულებით არ არის საჭირო ზნესრულობის იდეალი, სავსებით საკმარისია მისაბაძი პერსონა. ამან წარმოშვა პარტიული ლიდერის

(იქნება იგი ლენინი, სტალინი, ბრეჟნევი თუ სხვა ვინმე, ეს სულერთია) კულტი. ამიტომაც ითხოვს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი მისაბაძ გმირს. მაგრამ მისაბაძ გმირს შეუძლია ადამიანში აღზარდოს მხოლოდ კომპარტიის დავალების მორჩილად შემსრულებელი. ამგვარი შემსრულებლის იდეალი გახლავთ საფუძველი ისეთი ლიტერატურული პერსონაჟების დახატვისა, როგორიც არიან პავლე კორჩაგინი („როგორ იწრთობოდა ფოლადი“), დავიდოვი და ნაგულნოვი („გატეხილი ყამირი“), ტარასი ხაზარაძე („კოლხეთის ცისკარი“) და სხვანი.

ზნესრულობის იდეალი ზრდის თავისუფალ ადამიანს, ხოლო ლიტერატურაში ქმნის ისეთ პროტაგონისტებს, როგორიც არიან ავთანდილი, ფაუსტი, დონ კიხოტი, ჰამლეტი.

დიდი ჭკუა არ სჭირდება იმის მიხვედრას – რომელი გზა უნდა აირჩიოს მწერლობამ, თუ არ სურს დაკარგოს ფუნქცია. რომელ გზას უნდა მიჰყვებოდეს – ავთანდილის, ფაუსტის, დონ კიხოტისა თუ კორჩაგინების, დავიდოვების, ნაგულნოვების, ხაზარაძეების? რა აკეთოს – დახატოს თავისუფალი ადამიანი, რომლის მოქმედება და საქციელი ბადებს სხვადასხვაგვარ იდეას, თუ აღწეროს აკვიატებული აზრის შესაბამისად კონსტრუირებული მანეკენი? ამ არჩევანის გაკეთება იმას შეუძლია, ვინც მიხვდა, რა იდეალს ემსახუროს.

თუ დასკვნის გაკეთებას მოვინდომებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ რელიგიის („ქრისტიანული იქნება თუ რომელიმე სხვა) მარქსიზმ-ლენინიზმით შეცვლა არ მოხერხდა, მაგრამ ამ ცდამ დაარღვია და დაშალა ზნეობრივი მცნებანი, რითაც კაცობრიობა ცხოვრობდა, და ადამიანი ამორალიზმის მონა გახდა. უზნეო ადამიანმა უარყო ღმერთი, როგორც ზნესრულობის იდეალი, რითაც მორალური კატასტროფისათვის გასწირა პიროვნებაც და საზოგადოებაც.

ხსნა შესაძლებელია მხოლოდ ღვთაებრივი იდეალის აღდგენით, მაგრამ არა ძველის განმეორებით, არამედ ახალი გაგებით. თუ ცოდნის დაგროვების პირველ პერიოდში მეცნიერებამ შეარყია რელიგიური რწმენა და ადამიანს ათეიზმის უფსკრულში უბიძგა, ცოდნის დაგროვების მეორე პერიოდში (სხვანაირად რომ ვთქვათ, დღეს) იგივე მეცნიერება საფუძველი ხდება უზენაესის რწმენისა და თეიზმის აღორძინებისა: თანდათანობით ვრწმუნდებით, რომ ცოდნა კი არ გვაშორებს ღმერთს, არამედ გვაახლოებს მას. ეს პროცესი სულ უფრო და უფრო გაიზრდება და ყოვლისმომცველი გახდება. რამდენად ღრმად ჩაიხედავს ადამიანი კოსმოსის საიდუმლოებაში, იმდენად მეტად ირწმუნებს ღმერთს. და რამდენადაც მეტად ირწმუნებს ღმერთს, იმდენად მეტი მოკრძალებით დახრის თავს ზნეობრივი სრულყოფილების წინაშე. ყველასათვის ნათელი გახდება კანტის დიდებული გამონათქვამის აზრი: „ორი რამ აღავსებს სულსა და გულს სულ ახალი და მზარდი საოცრებით... ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზევით და მორალური კანონი ჩემში“.

ნაწილი მეორე

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპით მწერლობის დამონების თეორიული საფუძველი შეიქმნა. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. თეორია, თუ პრაქტიკულად არ განხორციელდა, მხოლოდ ლაყბობად დარჩება. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი კი ის თეორია არ იყო, რომელიც თავისთავად მოხიბლავს ცალკეულ პიროვნებას თუ მთელ საზოგადოებას, დაეუფლება მათ. ნებაყოფლობით ამ პრინციპს არვინ მიიღებს, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის მზაკვრული მიზანი იმდენად ცხადია და აშკარა, რომ შეუძლებელია ჭკუათმყოფელმა კაცმა იგი გაიზიაროს. ამიტომ მისი განხორციელება მხოლოდ ძალდატანებით, ტერორით და მუქარით შეიძლებოდა. ასეც მოხდა.

ახლა გაგაცნობთ ზოგიერთ იმ საშუალებას, რომლის მოშველიებითაც პრაქტიკულად ნერგავდნენ კომუნისტები ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს.

I

მუქარა და სასჯელი

1926 წელს ალექსანდრე აბაშელმა გამოაქვეყნა ლექსი – „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“. იგი ასე მთავრდება:

მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, –
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება: ლექსს რათ არ ჰშველის, –
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად, –
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა.
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა,
*ამონაწერმა გაზეთებიდან.*1

როგორც ხედავთ, ამ ლექსში ზუსტად არის დახატული შექმნილი მდგომარეობა: პოეზიის ნაცვლად ბატონდება გალექსილი საგაზეთო სტატიები. თან ალ. აბაშელის ლექსი მხილებაა, დაგმობაა ამ ტენდენციისა. მის გაბატონებას კი ითხოვს კომპარტია. მაშასადამე, პოეტი დაუპირისპირდა, წინ აღუდგა კომპარტიის დირექტივას. ამიტომ ალექსანდრე აბაშელს ჭკუა უნდა ასწავლონ, ყური აუწიონ, რომ მეორედ აღარ გაბედოს მსგავსი რამ. იწყება მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა.

1927 წლის 11 იანვარს თბილისის პარტკონფერენციაზე საქართველოს კპ ცკ-ის მაშინდელი მდივანი მიხეილ კახიანი ალ. აბაშელს ემუქრება:

„აბაშელი ლექსით სწერს ბარათს ნოე ჩხიკვაძეს. რა თქმა უნდა, შეიძლება ბარათის მიწერა ნოე ჩხიკვაძისათვის, თუმცა ის უკვე მკვდარია, მაგრამ ვნახოთ, რა ლექსს უძღვნის ნოე ჩხიკვაძეს ეს აბაშელი. ამ ლექსის უკანასკნელ აბზაცში ნათქვამია, მაგალითად, შემდეგი (აქ კახიანს მოჰყავს ლექსის ის სტრიქონები, რომელნიც ზემოთ უკვე წაიკითხეთ, – ა.ბ.).

როგორც სჩანს, ავტორი უკმაყოფილოა, რომ ჩვენ ამჟამად არ ვბეჭდავთ ყოველგვარ ანტისაბჭოთა აბდა-უბდას და აბაშელის ლექსების ნაცვლად ვათავსებთ სხვა მასალას, რომელიც გაცილებით უკეთ ასახავს საბჭოთა ყოფაცხოვრებას. უნდა ითქვას, რომ ეს აბაშელი უკანასკნელ დრომდე მუშაობდა სახელგამში, იმყოფებოდა საბჭოთა ჯამაგირზე და ამავე დროს მოახერხა 1927 წელს შეედგინა ისეთი საბჭოთა კალენდარი, სადაც, რაც უფრო ვუახლოვდებით 26 მაისს, დაბეჭდილია ისეთი სხვადასხვა ლექსები, რომლებშიაც გაკვრით არის ლაპარაკი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ასეთი მიკიბ-მოკიბული ენით ლაპარაკობენ იმ იმედით, რომ ჩვენ მას ვერ გავიგებთ. არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომლებიც ფიქრობენ, რომ კომუნისტები სათანადოთ ვერ ერკვევიან ლიტერატურის საკითხებში. აშკარად უნდა ითქვას, რომ ჩვენ არავის უფლებას არ მივცემთ კონტრაბანდით გააპაროს ყოველგვარი ანტი-

საბჭოთა საქონელი. ჩვენ ვსცდილობთ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ ინტელიგენცია. საამისოდ ჩვენც ვმუშაობდით და ვმუშაობთ, მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვიბრძოლებთ ანტისაბჭოთა სულისკვეთების ასეთი გამომჟღავნების წინააღმდეგ ინტელიგენციაში“.1

მიხ. კახიანი ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს კომპარტიის ლიტერატურული პოლიტიკის არსს.

კვალიფიცირებულია ალ. აბაშელის ლექსი – „ანტისაბჭოთა აბდაუბდა“.

პოეტს აფრთხილებს: იგი საბჭოთა ჯამაგირს იღებს და ამიტომ უნდა წეროს ის, რასაც ხელისუფლება უბრძანებს (სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი პირველი აშკარა აღიარებაა, რომ კომპარტიას მწერლობა დაქირავებული ჰყავს. ცხადია, დაქირავებულმა დამქირავებლის მოთხოვნა უნდა შეასრულოს).

ყველას მკაცრად მიუთითებს, რომ კომპარტიას ვერავინ მოატყუებს და ნურც ნურავინ ეცდება „კონტრაბანდით გააპაროს ყოველგვარი ანტისაბჭოთა საქონელი“.

კომპარტიის მიზანსაც აშკარად აცხადებს კახიანი: გვინდა გადმოვიბიროთ ინტელიგენცია, მაგრამ, თუ ამას არ დათანხმდება, მაშინ „ვიბრძოლებთ ანტისაბჭოთა სულისკვეთების გამომჟღავნების წინააღმდეგ“.

ყველაფერი ნათელია: ან მორჩილება ან განადგურება. ვინც ურჩობას გაბედავს, მათრახებით აუწვავენ ზურგს. ვინც დამორჩილდება, თაფლის კვერით დააჯილდოვებენ.

თაფლის კვერის მოყვარულნი ყოველ საზოგადოებაში უხვად არიან, მაგრამ მას დამსახურება უნდა, მუქთად არავინ მოგვცემს.

კახიანის მიერ ალ. აბაშელის ლექსის გაკრიტიკება სიგნალიც იყო. კომპარტიის ერთგული მწერლები უნდა დასეოდნენ პოეტს და ქვა და გუნდა დაეშინათ. არც დაუყოვნებიათ, მაშინვე ამოუდგნენ მხარში ხელისუფლებას:

ვის რათ უნდოდა იმ დღეებში ფშაველას ხარის
მთიდან ბღავილი ან ქუხილი ბარათაშვილის;
როცა გულიდან ხმა – საომრათ ამონათხარი,
ქვეყნის დამამხობ წარღვნასავით იყო გაშლილი.
როცა მიწაა გახვეული სისხლში და ქარში,
ვილამ იფიქროს მოშაირის რითმების ნავ ზე,
ათასს აბაშელს, ათას მერანს გავცვლიდით მაშინ
თითო მეომრის ხმალის მარჯვე შემოქნევა ზე.1

ალ. აბაშელთან ერთად, იოლად და დაუფიქრებლად არის გამეტებული ვაჟა-ფშაველაც და ნიკოლოზ ბარათაშვილიც. ბუნებრივიც არის: ვერც ვაჟას და ვერც ბარათაშვილს შებოჭავთ დაქირავებული პოეზიის ბორკილებით. ვერც ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს მოახვევთ თავზე. რაკი ასეა, არც ისინი სჭირდება პროლეტარიატს და მის პარტიას.

მეორე პროლეტარული მწერალი ნოე ზომლეთელი ეკამათებოდა ალ. აბაშელს და ნოე ჩხიკვაძეს „ანუგეშებდა“:

ვინ სთქვა, თუ ლექსებს ეხლა არ სტამბავენ,
ცეცხლ მომდებს, როგორც შენი ქუხილი?!
რა მერე, თუ ვსწერთ გა ზეთის ამბებს.
მათ ხომ თან მოსდევს შორი წუხილი?
და შენ ეხლა რომ იყვე ცოცხალი,
პოეტო, ძმაო და მეამბოხევ,

ინგლისით ხმა რომ მოვა ოხვრილი,
მას გაზეთიდან თვითონ ამოხევ.2

ნოე ზომლეთელი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოეტი იყო და გულს უკაწრავდა ინგლისელი მუშის ოხვრა. თუმცა ეს გული ოდნავ არ ასტოკებია, როცა ქართველ გლეხებს, კოლექტივიზაციის პერიოდში, სახლ-კარს უნგრევდნენ, საქონელსა და საყოლელს ართმევდნენ, ციმბირში მიერეკებოდნენ. მაშინ ქართველი ხალხის ბედნიერ მომავალზე „გალობდა“. ასე იცის კომუნისტურმა ინტერნაციონალიზმმა: სახლში რომ მიცვალებული გისვენია, საქვეყნოდ გაჰკივი — დღეს ქორწილი მაქვსო და სხვისას გარბიხარ სხვისი მკვდრის სატირლად.

ლიტერატურული კრიტიკის მძვინვარებას ალ. აბაშელის მიმართ საზღვარი არ ჰქონდა. ბენიტო ბუაჩიძე პოეტს ტუქსავდა:

„მოქალაქე აბაშელო! თქვენი აზრები წვრილ ბურჟუაზიის აზრებია. თქვენი იდეოლოგია მათი იდეოლოგიაა.

...

რამდენი ხანია მას შემდეგ, რაც ნოე ჩხიკვაძეს იმ ქვეყნათ შესჩიოდით ამ ქვეყნიური უსამართლობის, ქუხილისა და ჩვენი დროის „წვრილი ამბების“ შესახებ. საიდან მოიტანეთ, ვინ გითხრათ, რომ ასეთი წარსულისათვის თქვენ მადლობა გითხრათ? არც გვიფიქრია და არც შეიძლება გვეფიქრა.

...

ქრისტიანული სათნოება ჩვენთვის უცხოა. სამკვდრო-სასიცოცხლო კლასობრივი ბრძოლის დროს არავითარ სასიყვარულო დათმობებს არ შეიძლება ექნეს ადგილი. ჩვენი კლასობრივი ალღო ისე არ დაჩლუნგდება, რომ ბრძოლაში სიყვარულს დაუთმოს ადგილი, „მცირედი“ იქნება ის, თუ „დიდი“.1

ასე უთხრეს ალ. აბაშელს უარი თანაგრძნობას, სიყვარულსა და სათნოებაზე ხელისუფლებამაც და კოლეგებმაც. იგი მარტო დარჩა. არც ერთ კაცს მაშინ პოეტის დასაცავად ხმა არ ამოუღია. არავინ გამოქომაგებია მას. თითქმის ათი წელიწადი ცდილობდა ალ. აბაშელი დაეცვა და შეენარჩუნებინა პოეტისა და პიროვნების თავისუფლება. მაგრამ ბოლოს ვეღარ გაუძლო კომპარტიის მიერ მოწყობილ სულიერ ტერორს. გატყდა და მორჩილად თავი დახარა. 1929 წელს თავისთავი გამოიგლოვა და პირი საბჭოთა ხელისუფლებისაკენ იბრუნა.

ცაში მზე დადის, შენს თვალებში რათა დგას ჩრდილი?
ჰაუ, ლაჩარო! საუკუნის არა ხარ შვილი! –
როგორ ვერ ზიდე დროს სიმძიმე და სიმძაფრენი?!
მოხსენი თვალებს სარკე ცივი და გაბზარული,
რომ დაინახო კლდე და ველი გადასაფრენი,
და თქვა სიმღერა, ეპოქისთვის თანამგზავრული!1

ამის მერე ალ. აბაშელი შეუერთდა კომუნიზმიადის მღაღადებელთ. დაადგა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის გზას და გაითქვიფა საბჭოური პოეზიის მღვრიე ნაკადში. სამაგიეროდ მოიპოვა ხელისუფლების ცრუ სიყვარული, სუტ-თანაგრძნობა და ფუჭი ქება-დიდება.

ალექსანდრე აბაშელი გამონაკლისი არ ყოფილა. მისი თავგადასავალი უბრალოდ სანიმუშოდ გავიხსენე. თორემ ასე გაწკეპლილა ყოველი საბჭოელი მწერალი. ისეთიც კი, ვინც არ ურჩობდა და, ლაბა ხარივით, მორჩილად იყო შებმული სკკპ-ის ერთგულების უღელში.

კახიანს არ მოსწონდა არც „არიფიონის“ სახელით გაერთიანებული მწერალთა ჯგუფი.

„გატაცებული არიან რა „არიფობით“, მათ არ სურთ ახალი ცხოვრების გაგება და შესწავლა. ასეთი ლიტერატურა ჩვენ არ გვჭირდება. ჩვენ არ გვჭირდება ის ხალხი,

რომელიც ხოტბას ასხამს ძველ დროს, ყოველივე დახავსებულს და იყურება წარსულისაკენ, საშუალო საუკუნეებისაკენ. ყოველივე ეს აღმოვფხვრათ საქართველოს სინამდვილიდან“,2 – ბრძანებდა ქართველი კომუნისტების მაშინდელი თავკაცი. ხოლო გერონტი ქიქოძესა და მიხეილ ჯავახიშვილს პირდაპირ ემუქრებოდა: „ჩვენ ნებას არ მივცემთ არც გერონტი ქიქოძეს და არც ჯავახიშვილს დასცინონ ჩვენს აღმშენებლობას“.

ირონიული ინტერმეძძო:3 თავგამეტებული ქართველი კომუნისტის მიხ. კახიანის ცხოვრება უბედურად დამთავრდა. სხვებს ემუქრებოდა, თავებს დაგაყრევინებთო და თავად გახდა მსხვერპლი. ჯერ საკავშირო კპ (ბ) შუა აზიის ბიუროს მეორე მდივნად გაგზავნეს, მერე კი ხალხის მტრად გამოაცხადეს და არავინ უწყის, სად და როგორ ამოხდა სული. თურმე ტყუილად იცავდა სოციალიზმს ქართველი მწერლებისაგან.

სხვათა შორის, ნიშანდობლივია შიში, რომელსაც ამ სიტყვაშიც ამჟღავნებს კახიანი. მისი აზრით, გ. ქიქოძე თურმე გამოხატავს „მხეცური შოვინიზმის ფსიქოლოგიას“, მაგრამ ამას მალავს „მხატვრული პროდუქციის ფორმაში“. ამ თვალთმაქცობას გ. ქიქოძე მიმართავს თურმე იმის იმედით, რომ „ბოლშევიკები ვერაფერს მიხვდებიან წაკითხულში. მაგრამ ეს არ მოხდება. ახლა თვითეული მუშა დაინტერესებულია იმით, თუ რა იდგმება თეატრში, იმით თუ რა არის დაბეჭდილი წიგნში და ვერავითარი გერონტი ქიქოძე, – რამდენი უნივერსიტეტიც არ უნდა ჰქონდეს დამთავრებული მას, – ვერცერთ მუშას ვერ მოატყუებს“.1

გახსოვთ ალბათ, კახიანი ალექსანდრე აბაშელსაც უმტკიცებდა – ვერ მოგვატყუებო.

რამ გამოიწვია კომუნისტების შიში – ინტელიგენტმა არ მოატყუოს მუშა? ნებით თუ უნებლიეთ, აქ კომუნისტებმა გამოავლინეს პროლეტარული არასრულყოფილების კომპლექსი. ეს კომპლექსი აღიარებს, რომ გონებრივად ინტელიგენტი უფრო მაღლა დგას, ვიდრე მუშა. ამიტომ გული უსკდებათ – არ გავბითურდეთო – და წამდაუწუმ აფრთხილებენ ინტელიგენციას: მოტყუება არ სცადოთ, მაინც არაფერი გამოგივათო. ორი რამ არის ამ შიშში სასაცილო: ჯერ ერთი, სრულიად უსაფუძვლოა ინტელიგენტისა და მუშის დაპირისპირება. ვინ უწყის, რამდენი ტუტუცი ინტელიგენტია ამქვეყნად, რომელსაც ჭკუის ნასახი არ გააჩნია და რამდენი – მუშა, რომელიც გონიერებით არის სავსე. მეორეც, მუშათა კლასი ისე არავის გაუცუცურაკებია, როგორ კომუნისტებს და სხვას რაღას უქნევენ თითს – ღმერთი არ გაგიწყრეთ და მუშების მოტყუება არ დააპიროთო.

კომუნისტებში პროლეტარული არასრულყოფილების კომპლექსი იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ დღესაც ვერ გათავისუფლებულან მისგან. მართალია, ინტელიგენცია სრულად დაიმორჩილეს და როგორც უნდათ, ისე ათამაშებენ, კომუნისტური მმართველი ელიტაც გაჩნდა, რომელსაც ნაირ-ნაირ უმაღლეს სასწავლებელში აქვს განათლება მიღებული და მუშათა კლასთან უკვე აღარაფერი აქვს საერთო, მაგრამ ინტელიგენტისადმი შიშს მაინც ვერა და ვერ დააღწიეს თავი. ამას ადასტურებს პრესაში ხშირ-ხშირად გამეორებული მოწოდება და ფიცი – მუდამ პარტიასთან ერთად, ხალხთან ერთად. უკვე ეს ლოზუნგი მკაფიოდ მეტყველებს, რომ, კომუნისტების აზრით, პარტია და ხალხი ერთად არის, ხოლო ინტელიგენცია (განსაკუთრებით შემოქმედებითი) – ცალკე. ამიტომ მწერლობა (საერთოდ ხელოვნება) მოვალეა ფიცით დაადასტუროს, რომ პარტიასთან ერთად იქნება, ხალხთან ერთად იქნება. თუ გაბედავს და მათ მოწყდება, მაშინ ხელოვანს განადგურება

ელის. მწერლობაც იძულებულია, გულში ხელის ბაგუნით დადოს პირობა – არ გიღალატებთო.

მაგრამ მხოლოდ ფიცი, მხოლოდ პირობა საკმარისი არ არის. მწერლობას რომ შიშის გრძნობა არ გაუქრეს, აუცილებელია კომპარტიამ მას დროდადრო ყური აუწიოს, დატუქსოს და, თუ მიზანშეწონილად მიიჩნია, კატორღაში განაწესოს ან სსრკ-დან გააძევოს.

ამიტომ მიმართავდა კომპარტია მწერლების დასჯის სუფთა ადმინისტრაციულ საშუალებებს. სანიმუშოდ ერთ ვრცელ ამონაწერს მოვიტან (იხილეთ 1931 წლის 9 ივნისის გაზეთი „კომუნისტი“).

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის მიერ „გამოყოფილი იყო წმენდის ჩამტარებელი კომისია, რომელმაც დაამუშავა მასალები გამოსარიცხი მწერლების შესახებ და გამოსარიცხი მწერლების სია პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომას წარუდგინა დასამტკიცებლად.

გამორიცხვას საფუძვლად დაედო შემდეგი დებულება:

ა) გამოირიცხოს აშკარა რეაქციონური და შოვინისტი მწერალი, რომელმაც თავისი იდეოლოგია ამ ათი წლის განმავლობაში გამოხატა აშკარა მხატვრულ, მეცნიერულ და კრიტიკულ ნაწარმოებებში, ბეჭდვითი და ზეპირი გამოსვლებით.

ბ) გამოირიცხოს აგრეთვე ორგანიზაციის პასიური წევრები, რომლებიც ათი წლის განმავლობაში ლიტერატურაში არ მუშაობენ, არც მწერალთა ფედერაციის საზოგადოებრივ საქმიანობაში ღებულობენ მონაწილეობას, მწერალთა ფედერაციის წევრებად კი ითვლებიან.

გ) გამოირიცხოს მწერალთა ფედერაციის შემადგენლობიდან მექანიკურად ჩარიცხული წევრები, რომლებიც არასოდეს მწერ...აში (ასეა გაზეთში, ეტყობა სტრიქონია გაფრენილი – ა.ბ.) ირიცხებიან და მწერალთა ფედერაციის რიგებში არ მოღვაწეობენ.

ამ სამი დებულების მიხედვით მოხდა მწერალთა წმენდა. პირველი კატეგორიით გამორიცხული არიან შემდეგი მწერლები: პავლე ინგოროყვა, კონსტ. გამსახურდია, შარაშიძე შალვა (თაგუნა), იოსებ იმედაშვილი.

პავლე ინგოროყვა გამორიცხულ იქნა, როგორც აშკარა რეაქციონერი და შოვინისტი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის „კავკასიონის“ რედაქტორობის დროს ნათლად გამოამჟღავნა თავისი რეაქციონული და ნაციონალისტური სახე. ამავე რეაქციონური ხაზით ის საქმიანობდა აკადემიურ მწერალთა კავშირში და ეს საქმიანობა მან გამოაშკარავა მწერალთა ყრილობებსა და კრებებზე გამოსვლებშიც, თავისი ანტისაბჭოთა დეკლარაციებით. პავლე ინგოროყვა იყო ქართული მწერლების რეაქციონური და შოვინისტური ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა რეაქციონურ „ქარ. წიგნის“ გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს.

კ. გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი-შოვინისტი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალიზმის, თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად. ხსენებული გამოუსწორებელი რეაქციონერი მწერალი დღევანდელობისათვის პოლიტიკურად მავნე მხატვრულ ნაწარმოებებს აქვეყნებს.

შალვა შარაშიძე (თაგუნა), „ეშმაკის მათრახის“ ერთ-ერთი რედაქტორთაგანი, მენშევიზმის რომანტიზმით გაჟღენთილი მწერალი, მენშევიკების აზრების აგიტატორი. თავის ბოლონდელ ნაწარმოებებში ილაშქრებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

იოსებ იმედაშვილი – რეაქციონერი მწერალი, რომელიც გამუდმებით ებრძვის მწერალთა ფედერაციას, უკიდურესი შოვინისტი.

მეორე კატეგორიაში მოჰყვნენ მწერალთა ფედერაციის პასიური წევრები, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში არაფერს წერენ და ითვლებიან ორგანიზაციაში მკვდარ სულებად. ასეთებია: ხარიტონ ვარდოშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ბიძინა აბულაძე, ცვარ-ნამი, ეროდიონ სონღული, სიო ჭანტურიშვილი, არჩილ ჯაჯანაშვილი, სიკო დოლიძე, ლელი ჯაფარიძე, ირაკლი ტატიშვილი, დავით ნახუცრიშვილი, სიმონ ქვარიანი, თედორე კიკვაძე, ივანე ელიაშვილი, კოკი აბაშიძე, ნიკო კეცხოველი.

მესამე კატეგორიით გამორიცხულია მწერ. ფედერაციაში მექანიკურად მოყოლილი ელემენტები, რომლებსაც მწერლობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ: მიხეილ საყვარელიძე, სიმონ ჯანაშია, მიხეილ აბრამიშვილი“.

წუთით არ აცილებს თვალს მწერლის ცხოვრებას გაკომუნისტებული უნტერი პრიშიბეევი. არ სჯერა შემოქმედის კეთილსინდისიერება და გამუდმებით ამუნათებს. გიორგი ლეონიძეს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა პოემის – „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“ – ვრცელი ნაწყვეტები (იხ. 1937 წლის 10 თებერვლის „ლიტერატურული გაზეთი“ და იმავე წლის 6 მარტის „კომუნისტი“), მაგრამ მაინც სასტიკად აკრიტიკებენ და ემუქრებიან. „ცნობილია, რომ პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე – და არა მარტო ესენი – ხალხის მტრების აღნიაშვილის, ჯიქიას, ბუდუ მდივნის გავლენის ქვეშ იყვნენ, რომ ეს ხალხის მტრები მათ ამუშავებდნენ“.1 მართალია, ერთგულების ფიცი დადებული ჰქონდა გ. ლეონიძეს, მაგრამ თურმე ეს არ კმაროდა. მიწა უნდა შეჭამო, თავზე ნაცარი დაიყარო, მუცლით იხოხო, სანამ ტყავი არ გაგძვრება და მერე შეიძლება გადმოგხედოს კომპარტიამ წყალობის თვალით. „ჩვენს რიგებში კიდევ არიან მწერლები, რომელთა კავშირი და ურთიერთობა ხალხის დაუძინებელ მტრებთან ყოველგვარ ეჭვგარეშეა: ტიციან ტაბიძე, გ. ლეონიძე და სხვები უნდა გამოვიდნენ აქ, ჩვენი კოლექტივის წინაშე და გულწრფელად აღიარონ ყველა ის დანაშაული, რომელიც მათ ჩაადენინა ხალხის მტრებთან აშკარა მეგობრულმა ურთიერთობამ“.2

და ივსებოდა გაზეთები, ჟურნალები მონანიების სიტყვებით, თვითგვემით. იხდიდნენ ბოდიშს, ევედრებოდნენ შეწყალებას, ფეხქვეშ თელავდნენ ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას. მაგრამ ბევრს ამანაც ვერ უშველა. მაინც გაანადგურეს.

გრძელია მოსპობილთა სია: გ. ბაზოვი, ბ. ბუაჩიძე, დ. დემეტრაძე, ნ. ზომლეთელი, ს. თალაკვაძე, პ. იაშვილი, რ. კალაძე, ვ. კოტეტიშვილი, ვ. ლუარსამიძე, ნ. მიწიშვილი, გ. მუშიშვილი, ფ. ნაროუშვილი, პ. საყვარელიძე, ტ. ტაბიძე, კ. ფეოდოსიშვილი, პ. ქიქოძე, დ. ჩიანელი, გ. ძიგვაშვილი, კ. ხიმშიაშვილი, მ. ჯავახიშვილი... (მომიტევოს იმათმა ხსოვნამ, ვინც გამომრჩა!).

მოსპეს არა მარტო იმთავითვე მტრებად ჩარიცხულნი – მიხ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, – არამედ ძველი კომუნისტებიც – ს. თალაკვაძე, რ. კალაძე, პ. საყვარელიძე. მათ მიაყოლეს პროლეტმწერლობის მოქადაგენი და „ძველის“ უარმყოფელნი – გ. მუშიშვილი, ვ. ლუარსამიძე, ბ. ბუაჩიძე და კომპანია.

რატომ? არავინ უნდა იყოს დაზღვეული, არც მტერი, არც მოყვარე. ყველა უნდა ცახცახებდეს შიშით. არავინ უნდა უწყოდეს, როდის აღიმართება მის თავზე კომუნისტური თემიდას მახვილი. მაშინ ყველა მორჩილი და დამუნჯებული იქნება.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი მალაქია ტოროშელიძე ჯერ სხვებს ასწავლის ჭკუას, როგორ უნდა ებრძოლონ მტერს.

„ჩვენ ბუნებრივად გვიტაცებს მშენებლობის ენთუზიაზმი. ვიმსჭვალებით სრულიად უჩვეულო სულიერი განწყობილებით და გვავიწყდება ხოლმე, რომ მტერი მუდამ გვითვალთვალებს, დროს გვირჩევს, ცდილობს თავს დაგვესხას და ჩვენი მიღწევები და ბედნიერი განცდები მოგვიწამლოს, მოგვიშხამოს. რაც უნდა მცირე იყოს

მტრის ძალა, ამ საქმის შესრულება მას მაინც შეუძლია; მას სხვა საქმე არ აწუხებს და არ ადარდებს – ამაშია ის სავსებით დახელოვნებული და არც მისი ძალების სიმცირეზე შეიძლება ლაპარაკი, სანამ არსებობს (თუნდაც ჩვენს გარეშე) კაპიტალისტური სამყარო, რომელიც მუდამ მისცემს მატერიალურ და სულიერ საზრდოს ჩვენს კლასობრივ მტერს; მუდამ „აღაფრთოვანებს" მას ყოვლად უმსგავსი მოქმედებისაკენ. ამიტომ ჩვენ ნება არა გვაქვს ერთი წუთით მაინც დავივიწყოთ ჩვენი სამღვთო მოვალეობა: კლასობრივი მტრის წინააღმდეგ შეუწყვეტელი, ულმობელი ბრძოლა".1

გაივლის ცოტა ხანი და თვითონ მ. ტოროშელიძე გამოცხადდება ხალხის მტრად და კაპიტალიზმის ჯაშუშად. მწერალთა კავშირის ახალი თავმჯდომარე იტყვის მასზე – „ხალხის დაუძინებელი მტრების თავხედობა იქამდე მიდიოდა, რომ სცადეს კიდეც ხელში ჩაეგდოთ მთელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ამის მაგალითს ჩვენს ორგანიზაციაში წარმოადგენდა მ. ტოროშელიძე, რომელიც ორი წლის განმავლობაში სათავეში ედგა მწერალთა კავშირს. კონტრრევოლუციური თვალთმაქცობის და მავნებლობის ეს გაკოტრებული „ოსტატი" დიდხანს სწამლავდა ქართული საბჭოთა მწერლობის ატმოსფეროს.1

არსებითად აკ. თათარაშვილს დამთავრებული არ ექნება ეს სიტყვა, რომ თავად მას დაარქმევენ კაპიტალიზმის დივერსანტს, გარეწარსა და მავნებელს. საქართველოს მწერალთა კავშირის კიდევ ერთი ახალი თავკაცი ასე დაახასიათებს მას:

„თათარაშვილი გამომჟღავნებული იქნა, როგორც ხალხის მტერი, დივერსანტი, რომელიც მთელი წლების განმავლობაში ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა უბანში ეწეოდა შენიღბულად ჯაშუშურ-მავნებლურ მუშაობას. მან ჩვენ კავშირშიდაც „ისახელა" თავი, როგორც გაუსწორებელმა ბიუროკრატმა. თვეში ერთხელ თუ შემოივლიდა იმ ორგანიზაციაში, რომლის ხელმძღვანელობა მას ჰქონდა დავალებული. მუდამ დაპირებას იძლეოდა, მაგრამ არასოდეს მას არ ასრულებდა. იგი იყო „მნათობის", „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი, მაგრამ იგი არა თუ რაიმეს აკეთებდა როგორც რედაქტორი, არამედ ხელს უშლიდა და დეზორგანიზაცია შეჰქონდა მუშაობაში. თათარაშვილის ბიუროკრატობა, უქნარობა და ცარიელი ლაყბობა იყო მტრის მავნებლურ-თვალთმაქცური ბრძოლის ფორმა".2

ტრიბუნიდან არ იქნება ჩამოსული დ. დემეტრაძე, რომ მის თავზეც გაიელვებს ყოვლისმმუსვრელი კომუნისტური მახვილი, მწერალთა საერთო კრება მას, „როგორც გამომჟღავნებულ ხალხის მტერს", კავშირიდან გარიცხავს,1 მერე კი ფიზიკურადაც მოსპობენ.

და ასე დაუსრულებლად ატრიალებენ კომუნისტები წუთისოფლის დოლაბს და ფქვავენ განუკითხავად მტყუანსა და მართალს.

ეს არ არის დროებითი კამპანია, რომელიც ოდესმე შეწყდება. არა. იგი დროდადრო აუცილებლად უნდა განმეორდეს. და მეორდება კიდეც. განსხვავება მხოლოდ მასშტაბშია: ზოგჯერ მწერლების რბევა-აწიოკება ლიანგურია, ზოგჯერ კი ცალკეულ პირებს როზგავენ.

საქართველოს კპ ცკ ყოველი ახალი მდივანი თავიდან იღებს მათრახს ხელში და იწყებს მწერლების წვრთნა-მოთვინიერებას.

საქართველოს კპ ცკ მდივანი კანდიდ ჩარკვიანი მეტად აქტიურად ერეოდა მწერლობის საქმეებში და ყველას „კომუნისტური პრინციპულობით" ტუქსავდა. 30-იანი წლების ბოლოს იგი დასცინოდა კოლაუ ნადირაძეს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს, კონსტანტინე გამსახურდიას.

სხვა პოეტებთან ერთად, კ. ნადირაძე კოლხეთში წასულა შემოქმედებითი მივლინებით. მაგრამ იქ, „ახალ მატერიკზე, რომელიც აღმოჩენილია ბოლშევიკების მიერ" (ჩარკვიანის სიტყვებია), კ. ნადირაძეს მხოლოდ ტყემლის აყვავება შეუმჩნევია, მე-

ტი არაფერი. ხოლო კ. ჭიჭინაძეს პოემით „რიონის აპოლოგია“ უქია ბუნების ბრმა სტიქია. გაბრაზებული ჩარკვიანი ემუქრება ორივე პოეტს – „ჭიჭინაძეც და ნადირაძეც სერიოზულად უნდა დაუფიქრდნენ თავიანთ შემდგომ შემოქმედებითს გზას, მარტო უიდეო ტყემლის რომანტიკითა და სიმბოლისტური ბურუსით სოციალიზმის ეპოქაში შორს ვერ წახვალ“.2

არც კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ მოსწონებია ჩარკვიანს.

„ასეთი ნაწარმოებით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გქონდეს მოწინავე საბჭოთა მწერლის სახელწოდების პრეტენზია. კონსტანტინე გამსახურდიამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ საბოლოოდ განთავისუფლდეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის ტყვეობიდან...“3

1951 წლის 10 იანვარს თბილისის XX საქალაქო პარტკონფერენციაზე კ. ჩარკვიანმა ვაჟა-ფშაველაც გააკრიტიკა.

ვაჟამ თურმე „... ვერ შეძლო ამაღლებულიყო თავისი დროის ამოცანების გაგებამდე. ვაჟა-ფშაველა ფშავის ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეზღუდა თავისი თემატიკა მთიელ ქართველთა და მათ მეზობელ მთიელ ტომთა სისხლისმღვრელი შინაომებითა და მითოლოგიური სიუჟეტებით. იგი სიყვარულით აგვიწერს მთიელებში გვაროვნული წყობის ნაშთებს. არა მარტო იმ დიდი სოციალური ბრძოლის ამოცანები, რომელიც საქართველოში მის დროს ბობოქრობდა, არამედ ქართველი ხალხის საერთოეროვნული ამოცანებიც ჯეროვანად არ ყოფილა ასახული ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებაში“.1

> **ირონიული ინტერმეძძო:** ჩარკვიანი 1952 წლის ორ აპრილს მოხსნეს. რა თქმა უნდა, დაიგმო მთელი მისი მოღვაწეობა. „ქართველი ხალხის ნაცადი ხელმძღვანელი“ (ასეთი ტიტულით იხსენიებდა პრესა მას) ერთხანს საქართველოდანაც გააძევეს. მაგრამ სხვებთან შედარებით მაინც ბედნიერი აღმოჩნდა: არ მოუკლავთ. როგორც ჩანს, გამონაკლისი ყველგან არსებობს, კომუნისტების სადამსჯელო საქმიანობაშიც კი.

დღევანდელ მოქალაქეს, ცხადია, გაუკვირდება და იკითხავს – რატომ მოაწყო ჩარკვიანმა ლაშქრობა ვაჟას წინააღმდეგ? ძნელია პასუხის გაცემა. სანამ თავად ჩარკვიანი არ გაამჟღავნებს, ვინ უბრძანა ვაჟას განქიქება, მანამ ვერავინ დააზუსტებს, რამ გამოიწვია ეს კურიოზული და სავალალო საქციელი. ერთი კი ნათელია, თავისი ინიციატივით ამას ჩარკვიანი ვერ გაბედავდა. ყველამ ჩინებულად იცის, რომ მოსკოვის ნებართვის თვინიერ, საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი საპირფარეშოშიც ვერ შევა და ჩარკვიანი ვით გარისკავდა ვაჟას გაკრიტიკებას? აშკარაა „ვაჟას პრობლემა“ ვიღაც სხვამ გამოიგონა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მოსკოვის მითითებით მოხდა, რამეთუ იგი ძალიან ჰგავს ცრუ პრობლემების გამოგონების მოსკოვურ მეთოდს. მოუცლელ დედებს სჩვევიათ ასე: როცა ჩვილი ტირის, გასაჩუმებლად პირში საწოვარას უდებენ. მოსკოვიც ასე იქცეოდა. საბჭოელი ხალხი გაოგნებული და მუდამ დაკავებული რომ ჰყოლოდა, ჟამიდან ჟამზე სუტ-საკითხების საწოვარას სჩრიდა პირში. იგონებდა ნაირ-ნაირ პრობლემებს (კოსმოპოლიტიზმის, რუსეთის პრიორიტეტის, ენათმეცნიერების, ეკონომიკის და ა.შ.). ატეხავდა მათ გარშემო გაშმაგებულ დავა-კამათს. იწერებოდა სტატიები, წიგნები... ნადგურდებოდნენ ერთნი, აღზევდებოდნენ მეორენი. ამ გაუთავებელ და უაზრო გაწამაწიაში მოსკოვი არხეინად აკეთებდა თავის საქმეს. ალბათ, ქართველი საზოგადოების რეტდასასხმელად მოიგონა ვაჟას საკითხი და ასპარეზზე ჩარკვიანი გამოუშვა. საბჭოური ცხოვრების წესის თანახმად, ჩარკვიანისათვის მხარი უნდა აებათ სხვებსაც. უნდა გაემეტები-

ნათ ვაჟა. უარის თქმას თავგანწირული თუ გაბედავდა. ასეთნი კი მაშინ, სამწუხაროდ, არ ჩანდნენ. მორჩილებას ამჯობინებდნენ.

ს. ჩიქოვანი: „... ვაჟა-ფშაველას ამ მცდარ ენობრივ პოზიციას პირდაპირი კავშირი აქვს მისი საერთო მსოფლმხედველობის მთელ რიგ შეზღუდულობასა და ჩამორჩენილობასთან“.1

შ. ძიძიგური: „ვაჟა-ფშაველას ენობრივი პარტიკულარიზმი შინაგან კავშირშია მისსავე მსოფლმხედველობრივ პარტიკულარიზმთან: მწერლის პოეტური სამყაროს, ლიტერატურული თემატიკის მასშტაბი თავის შესატყვისს პოულობს კუთხური მეტყველების სამოსელში. ეს დაკავშირება ლოგიკურია და ბუნებრივი ვაჟასათვის, ხოლო მიუღებელი და საზიანოა საერთო ეროვნული ენის ინტერესების თვალსაზრისით“.2

შ. რადიანი: „ჩვენი მკვლევრები, კერძოთ მე, ერთგვარ შემწყნარებლობას ვიჩენდი ვაჟა-ფშაველას ამ მცდარი პოზიციისადმი“.3

ერთმა კრიტიკოსმა ვაჟა-ფშაველას ვასილ ბარნოვიც მიაყოლა და მასაც დაუწუნა ენა. „ბარნოვის რიტმიული პროზა, აგებული არქაული ლექსიკის საფუძველზე უთუოდ იყო ქართული ენის ბუნებრივი განვითარების გზიდან გადახვევა“.1

გულსაკლავი სურათია არა მარტო იმისთვის, რომ ვაჟას უსამართლოდ და უსაფუძვლოდ ამუნათებენ, არამედ უფრო იმიტომ, რომ ადამიანები საკუთარ სინდისს ღალატობენ. ამბობენ იმას, რაც არ სჯერათ. რა თქმა უნდა, ყოველ კაცს აქვს უფლება გამოთქვას თავისი შეხედულება, თუნდაც ბატონის ნაკარნახევი, არ მოსწონდეს ისეთი დიდი პოეტიც კი, როგორიც ვაჟა-ფშაველაა. ეს ყოველი პიროვნების სინდის-ნამუსის საქმეა და დამოკიდებულია მისი აზროვნების შესაძლებლობაზე. დანაშაული იყო ის, რომ ჩარკვიანმა იცოდა, რაც მოჰყვებოდა მის საქციელს. მან უბრალოდ აზრი კი არ გამოთქვა, არამედ განკარგულება გასცა ვაჟას დამცირებისა და შეურაცხყოფისა. ჩარკვიანმა უწყოდა ისიც, რომ მისი აზრი არ გახდებოდა მსჯელობის საგანი, როგორც ეს მიღებულია თავისუფალ საზოგადოებაში. აიწონებოდა, გაისინჯებოდა – სამართლიანია თუ უსამართლო, საბუთიანია თუ უსაბუთო ის, რაც ითქვა და ამის შესაბამისად გამოვლინდებოდა საზოგადოების დამოკიდებულება. ჩარკვიანი ელაპარაკებოდა საბჭოთა ხალხს, რომელსაც აკრძალული აქვს განსჯა და მსჯელობა და მხოლოდ უსიტყვო დათანხმების უფლება აქვს. ამით იგი წინასწარ ნერგავდა ცრუ აზრს და სხვებსაც აიძულებდა გაეზიარებიათ იგი. ძალდატანებით ხდიდა სხვებს დანაშაულის მონაწილედ.

საერთოდ, ყოველი კომუნისტის გამოუსყიდავი დანაშაულია ლიტერატურული საზოგადოების ბრბოდ გადაქცევა.

ბრბოა ყოველი საზოგადოება, თუ იგი ცხოვრობს სხვისი განკარგულების თანახმად და არა საკუთარი პატიოსნების შესაბამისად. თუ იგი ბრმად ემორჩილება სხვის განკარგულებას და არ ძალუძს თავად განსაჯოს – რა არის სწორი და მართალი და რა – არა. თუ მოქმედებს შიშით და გონებასიჩლუნგით დათრგუნვილი და არა საღი აზრით.

როგორც წესი, მწერლების რბევა-აწიოკების გეგმა მოსკოვში შემუშავდება და მერე გავრცელდება ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში. თბილისმა, ერევანმა, ბაქომ და სხვა პროვინციულმა ცენტრებმა თუთიყუშივით უნდა გაიმეორონ ის, რაც რუსთა სატახტოში დაადგინეს. 1946 წელს მოაწყვეს ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ ეგზეკუცია. მიწასთან გაასწორეს ანა ახმატოვა, მიხეილ ზოშჩენკო და სხვანი.1 ცხადია, თბილისშიაც მაშინვე ატყდა ერთი ალიაქოთი. მართალია, ქართული მწერლობა გახარებული ამტკიცებდა – „ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ადგილი არ ჰქონია ზოშჩენკოსებურ პასკვილებს და ახმატოვასებურ დაცემულობისა და უიმედობის გამოხატულებას“,2 – მაგრამ ეს არ კმაროდა. კომპარტიის ერთგულების საბუთად უთუოდ უნდა გამოეძებნათ ქართველ მწერალთა შორის ისინი, ვი-

საც კაკალს დაამტვრევდნენ თავზე. ასეთები აღმოჩნდნენ კოლაუ ნადირაძე და კონსტანტინე გამსახურდია. კბილი გაჰკრეს გ. შატბერაშვილს, აკ. ბელიაშვილს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ალ. მაშაშვილს (მირცხულავას) და ი. ლისაშვილსაც კი.

ეს არ იყო უბრალო მოვლენა. 1946 წლის 14 აგვისტოს ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ საკავშირო კპ (ბ) ცკ-მა საგანგებო დადგენილება მიიღო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თითქმის ყოველ წელს უნდა მოეწყოთ მწერალთა წარტყვევნა.

უკვე მომდევნო წელს პარტიული თუ ლიტერატურული პრესა აჭრელდება ნაირნაირი სტატიებით. კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებენ ჟურნალ „მნათობს“,3 პოეტებს კ. ნადირაძეს, ალ. მაშაშვილს და სხვებს. განსაკუთრებით შავ დღეს დააყენებენ კ. გამსახურდიას. 1947 წლის 5-7 სექტემბერს ჩატარებულ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე დამსწრე საზოგადოებას აუწყებენ:

„საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რა ამ წიგნის (ლაპარაკია კ. გამსახურდიას „ნოველებზე“ – ა.ბ.) გამოცემის საკითხი, სასტიკად დაჰგმო იგი და შეაჩერა მისი გავრცელება“. ხსენებულ დადგენილებაში ეს წიგნი „კაცთმოძულეობის გრძნობის გამჩაღებელ წიგნად იქნა გამოცხადებული“.4

ხოლო საქართველოს კპ ცკ-ის ერთ-ერთი მაშინდელი მდივანი პეტრე შარია პირდაპირ დაემუქრება მწერალს:

„... კ. გამსახურდია ცდილობს წარმოგვიდგინოს თავი ნაციონალური კულტურის მედროშედ. მაგრამ ამისათვის ძლიერ სუსტია მისი ხელები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ დამძიმებული იყო ნაციონალიზმის ტვირთით. დაე იცოდეს კ. გამსახურდიამ, რომ მას ნებას არ მისცემენ, „თავდაცვის“ რომელიც უნდა იყოს დროშით, ცილი დასწამოს ჩვენს სოციალისტურ კულტურას. დაე გაითვალისწინოს მან, რომ საბჭოთა ლიტერატურაში შეიძლება იყვნენ მხოლოდ საბჭოთა შეხედულების ადამიანები, რომელთაც ორგანულად აქვთ შეთვისებული საბჭოთა კულტურა და რომელთაც უნარი შესწევთ ასახონ საბჭოთა ადამიანის საქმიანობა, სული და მორალური სახე“.1

ირონიული ინტერმეძძო: 70-იან წლებში ჭავჭავაძის გამზირზე ხშირად შეხვდებოდით ერთ ჩია ტანის ბერიკაცს. თავზე დაჭმუჭნული შლაპა ეხურა. ტანთ გახუნებული, გაქონილი კოსტიუმი ემოსა, ფეხთ კი ქუსლებმოქცეული ხამლი ეცვა. ხელში ბადურა ეჭირა. შიგ გამხმარი პურის ყუა ეგდო და გაურეცხავი მაწვნის ქილა. იგი მაღაზია-მაღაზია დაცუხცუხებდა და დამფრთხალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ეს გახლდათ ერთ დროს მრისხანე პეტრე შარია. ბერიას დამხობის შემდეგ, ისიც დიდხანს აყურყუტეს ციხეში. გათავისუფლების მერე პროფესორის სახელი დაუბრუნეს, მაგრამ, როცა გარდაიცვალა, უბრალო ნეკროლოგის ღირსი არ გახადეს. იმ ნეკროლოგის, რომელსაც არ ამადლიან ნებისმიერ შარახვეტიას.

ამით არ დამთავრდება ერთხელ და სამუდამოდ მიზანში ამოღებული კ. გამსახურდიას გვემა. სულ ხუთიოდე წლის მერე მას ისევ გაკიცხავს საქართველოს კპ ცკ-ის ახალი პირველი მდივანი აკაკი მგელაძე. საქართველოს კპ (ბ) XV ყრილობაზე იგი იტყვის:

„წარსულში კ. გამსახურდიას მსოფლმხედველობას განსაზღვრავდა, – როგორც ამხანაგმა ლ.პ. ბერიამ საქართველოს კპ (ბ) X ყრილობაზე თქვა, – მებრძოლი ნაციონალიზმი აშკარად გამოხატული ფაშისტური ელფერით. გამსახურდია ამისათვის მკაცრად, მაგრამ სავსებით სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული. მაგრამ ამ კრი-

ტიკიდან მას დღემდე არ გაუკეთებია საჭირო დასკვნები. მწერალ გამსახურდიას მიერ საქართველოს წარსულის იდეალიზაცია გამოხატულებაა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა...

გამსახურდიამ ძირეულად უნდა გარდაქმნას თავის ლიტერატურული მოღვაწეობა. მან უნდა წეროს ხალხისათვის, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურა საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეა. თუ არა და, ხალხი მას არ იცნობს".1

ირონიული ინტერმეძძო: აკ. მგელაძემ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის პოსტზე ერთი წელიწადი და 12 დღე ძლივს გასძლო. ერთ წელიწადში იმდენი დანაშაულის ჩადენა მოასწრო, რომ მოხსნისთანავე გამოქვეყნდა მისი მამხილებელი წერილები (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1953 წ., 28. IV და 23. V). მერე სადღაც საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დანიშნეს და პროვინციაში დაკარგეს. 70-იან წლებში შევარდნაძემ სცადა მისი „გაცოცხლება" და მინისტრის მოადგილედ დანიშნა. არაფერმა უშველა. როცა გარდაიცვალა, საქართველოს კპ ცკ-ის წარმომადგენლებმა არ იკადრეს მის ნეკროლოგზე ხელის მოწერა, გაურკვეველი „ამხანაგების ჯგუფი" იგლოვდა მის სიკვდილს.

კომპარტიის თანამიმდევრულმა, მუდმივმა და უშეღავათო ბრძოლამ მწერლობის წინააღმდეგ თავისი ნაყოფი გამოიღო. ჩამოყალიბდა მწერალი-ლაქიას ტიპი.

ერთხელ მწერალთა დელეგაცია მიუღია აზერბაიჯანის კპ ცკ-ის პირველ მდივანს ბაგიროვს. პოეტ პავლე ანტოკოლსკის მიღებაზე დაუგვიანია. კაბინეტში იგი ფრთხილად, ფეხის წვერებზე შესულა, მაგრამ ბაგიროვს მაინც შეუმჩნევია და მკაცრად უკითხავს:

– ვინ ხარ?

– პოეტი ანტოკოლსკი, – მიუღია პასუხი.

– დაჯექი! – უბრძანებია მდივანს. ანტოკოლსკი დამჯდარა.

– ადექი! – მოულოდნელად დაიქუხა თურმე განკარგულებამ. ანტოკოლსკი მყისვე წამომხტარა ფეხზე.

– დაჯექი! – ისევ უბრძანებია ბაგიროვს. ანტოკოლსკი ისევ დამჯდარა.

– ადექი! – დაჯექი! – ადექი! – დაჯექი! – შეუწყვეტლივ ისმოდა თურმე განკარგულებანი და ანტოკოლსკიც ჯდებოდა და დგებოდა. ასე ხტოდა თურმე იგი მანამ, სანამ აზერბაიჯანის კპ ცკ-ის მდივანს არ მოსწყინდა პოეტის აბუჩად აგდება.

ანტოკოლსკი არ დარჩენილა ამ დაცინვით შეურაცხყოფილი. მას უთქვამს – როგორ შემეძლო ურჩობა გამეწია. მე რიგითი კომუნისტი ვარ, ის კი ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყოო.1

მწერლის ამგვარი ტიპი აღარ მოითხოვს წკეპელს. იგი ერთგული და სანდო კაცია. მასთან შეიძლება ლიბერალობანაც ითამაშო, დემოკრატობანაც. სინაზისა და სათნოების ცრემლებიც დაღვარო. თუ ვინმე ამით ისარგებლებს და გაბედავს ავი თვალით შეხედოს საბჭოურ სინამდვილეს, იმის ზურგზე ისევ აზუზუნდება მათრახი. როცა ვლადიმერ დუდინცევმა გამოაქვეყნა რომანი „არა პურითა ხოლო" „ლმობიერმა" ხრუშჩოვმა მაშინვე დაუღრინა და ეშვები გამოაჩინა.

„... არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდა, კერძოდ, მწერალი ვ. დუდინცევი. მის უბადრუკ წიგნში „არა პურითა ერთითა" (რომანის სათაური არაზუსტად არის თარგმნილი – ა.ბ.), რომლის გამოყენებას ჩვენს წინააღმდეგ ახლა ცდილობენ რეაქციული ძალები საზღვარგარეთ, განზრახ ყურით მოთრეულია უარყოფითი ფაქტები და ტენდენციურად გაშუქებულია ჩვენდამი არამეგობრული პოზიციებიდან.

. . .

ლენინი შეურიგებელი იყო იმათდამი, ვინც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხში პრინციპულ ხაზს უხვევდა, ვინც იდეური შეცდომებისადმი დამოკიდებულებაში ლიბერალურ პოზიციებზე ეშვებოდა“.1

საქართველოში კი ოთარ ჩხეიძე იჯდა დამნაშავის სკამზე და საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე მას ჯოხავდა.

„ზოგიერთი ჩვენი მწერალი კი, რომლებმაც სწორად ვერ გაიგეს პარტიის მოთხოვნა, ნაცვლად იმისა, რომ გაბედულად გამოააშკარავოს ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მეორე უკიდურესობაში მოექცა. ისინი აზვიადებენ ჩვენი ცხოვრების უარყოფითს, არატიპიურ მხარეებს. სწორედ ამგვარი ნაკლოვანებები ახასიათებს ო. ჩხეიძის ნაწარმოებს „ბურუსს“.2

რა თქმა უნდა, საქართველოს კპ ცკ-ის მდივნის კრიტიკას წინუსწრებდა კრიტიკოსი და გამოქვეყნდა წერილი – „იდეურად მანკიერი და მხატვრულად მდარე ნაწარმოები“.3 ციტატს აღარ მოვიტან, რადგან სათაურიც აშკარად მეტყველებს, რაც წერია სტატიაში.

> **ირონიული ინტერმეძძო:** მერე იმ პერიოდს, როცა მჟავანაძე მდივნობდა, „ნეგატიური მოვლენების პერიოდად“ გამოაცხადებენ და, რაც საქართველოში უბედურება მოხდა, ყველას მას დააკისრებენ. თურმე ო. ჩხეიძის „ბურუსში“ აღწერილი მანკიერებანი ზღვაში წვეთი ყოფილა იმასთან შედარებით, რაც სინამდვილეში ხდებოდა.

1979 წელს საქართველოს ალკკ ცკ-მა ჟურნალი „დილა“ დაარბია. პოეტებს იორამ ქემერტელიძესა და ანზორ აბულაშვილს ბრალად დასდეს, რომ „თავი ვერ გაართვეს მათზე დაკისრებულ მოვალეობას“.1 კომკავშირის ცკ-ის აგრესიულობა ძალიან მოეწონა საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს ედვარდ შევარდნაძეს და მზრუნველად შეაქო იგი: „სწორად მოიქცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, როცა პრინციპული შეფასება მისცა ჟურნალ „დილის“ მუშაობას“.2

ასევე მოურიდებლად ჩაჰყო ცხვირი შევარდნაძემ ჟურნალ „ცისკრის“ საქმიანობაშიც. „აქვე მინდა ვთქვა ჩვენს ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალებზე, მათ შორის, ჟურნალ „ცისკარზე“ სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი ყოველთვის ვერ მიჰყვება ფეხდაფეხ დროს, ყოველთვის ვერ აღძრავს პრობლემებს, რომლებიც ყოველ მოცემულ მომენტში რესპუბლიკის პარტორგანიზაციის, მთელი ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრშია“.3

> **ირონიული ინტერმეძძო:** როგორ შეფასდება და რა სალანძღავ სახელს დაარქმევენ შევარდნაძის მდივნობის პერიოდს, ამას მომავალი გვიჩვენებს. დაგმობილი და ლაფდასხმული რომ იქნება, ეს ცხადია. ასეთია კომუნისტური მმართველობის კანონზომიერება.

1985 წლის ივნის-ივლისში შევარდნაძე გადაიყვანეს მოსკოვში და საქართველოში პატიაშვილი დანიშნეს. მას მერე პატიაშვილი სულ იმ ნაკლოვანებებზე ლაპარაკობს, რაც შევარდნაძემ დატოვა. ორი ჩინოვნიკი — ხაბეიშვილი და ბადურაშვილი — დააპატიმრეს როგორც „ქურდები“. სხვა უფრო წვრილფეხანიც მიაყოლეს.

ცნობილია, რომ არც რუსთაველს, არც შექსპირს, არც სერვანტესს, არც გოეთეს, არც პუშკინს, უფრო პატარებს და ჩვეულებრივ მწერლებსაც ჭკუას არ ასწავლიდნენ არც მეფეები, არც პარტიული ლიდერები. მაინც წერდნენ და თან როგორ! საუკუნეებს, თაობებს უძლებს მათი ნაფიქრი, ნააზრევი და ნაწერი. საინტერესოა, კომუნისტებმა სიბრძნის რა სალაროს მიაგნეს, რომ ყველას ჭკუას არიგებენ — რა

აკეთონ, როგორ მოიქცნენ, რა წერონ და რანაირად. მწერლებსაც აიძულებენ, ოთხზე დავარდნენ და კომპარტიას უღაღადონ — თქვენ რომ არა, თქვენი ბრძნული მითითებანი რომ არა, კალმის მოსმასაც ვერ შევძლებდითო.

მაინც ვინ არიან ან ვინ იყვნენ ისინი, ვინც ასე განუკითხავად განაგებენ და განაგებდნენ არა მარტო ცალკეულ შემოქმედთა, არამედ მთელი მწერლობის ბედს? თამამად შეგვიძლია ვთქვათ — რიგითი, უბრალო, გონებაშეზღუდული ჩინოვნიკები, რომელთაც ინჩი-ბინჩი არ ეყურებათ ლიტერატურისა და ხელოვნების, მაგრამ ისტორიის ცინიზმმა დროებით მმართველის სკამზე ჩამოასკუპა. მათ სიტყვას მანამ ადევს ფასი, სანამ მაღალ სკამებზე სხედან. როგორც კი იქიდან ჩამოყრიან, ანეგდოტის პერსონაჟებად ხდებიან. დიდი თუ პატარა, გონიერი თუ უგუნური, ნამუსიანი თუ უნამუსო მათ საქმიანობაზე სიცილით იჭაჭება. ოფიციალური პარტიული პრესა კი, როგორც წესი, გუშინდელ ბელადებს მტერს, ჯაშუშს, ნაძირალას და გარეწარს ეძახის. გამოდის, რომ მწერლობის ბედს განაგებენ არა ადამიანები, არამედ სკამები. მით უფრო საშინელია და სისხლის გამყინავი წარმოდგენა იმისა, რომ შემოქმედის, სულიერი თუ ხორციელი, ყოფნა-არყოფნის საკითხი დამოკიდებულია სკამზე. ამან შექმნა კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო მდგომარეობა.

უნიჭოსა და უჭკუოს უფლება მიეცა ნიჭიერისა და ჭკვიანის ჩაგვრა-ექსპლუატაციის.

არავინ ისე დაწიხლული, დაკნინებული და დამონებული არ არის სსრკ-ში, როგორც ნიჭიერი, ჭკვიანი და მოაზროვნე ადამიანი. მას უფლება არა აქვს თავის ჭკუის, ნიჭისა და შეხედულებისამებრ იცხოვროს და იშრომოს. უთუოდ კომუნისტების დუდუკზე უნდა იცეკვოს. ამის მოხერხებაც კი შეუძლებელია, რამეთუ კვირაში შვიდი პარასკევი აქვთ.

40-იან წლებში, როცა კოსმოპოლიტობანას თამაში დაიწყეს, უცხოურისადმი პატივისცემა აკრძალეს და ისევ დაარბიეს და ააწიოკეს კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, გაზეთი „კომუნისტი“ (1949 წ., 11 მაისი) ფარისევლურად წერდა: „რატომ უნდა მივიჩნიოთ ირანის კულტურა მზედ, იმ ბრწყინვალე მნათობად, რომლის სხივებმა ქართული კულტურა აღმოაცენეს, რაში გვჭირდება ეს მონური ქედის მოხრა, ეს თავის დამცირება ჩვენ, შვილებს იმ ხალხისას, რომელმაც წარმოშვა შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე“.

ამას ისე უტიფრად წერდნენ, თითქოს კომუნისტები არ იყვნენ ისინი, ვინც, სულ ცოტა ხნის წინათ, ასე თავგადადებული გმობდნენ რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას. ეძახდნენ ქართული ფეოდალიზმისა და ნაციონალიზმის მომღერლებს, რომელნიც უცხო და უვარგისი არიან მუშებისა და გლეხებისათვის.

კ. მელაძე: „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე ფეოდალური არისტოკრატიის საგალობელს წარმოადგენს“.1

„ბარათაშვილი რომანტიკოსია, რომატიკოსი წარმავალ, მომაკვდავ კლასის და არა აღმავალის. მისი „მერანი“, რომელიც ცხოვრებიდან გაქცევის საუკეთესო ნიმუშია, არც იმდენად დიდი სოციალური ღირებულებისაა. „მერანი“ ცხოვრების წინააღმდეგ ამბოხება კი არაა, იგი რევოლუციონური ფაქტი კი არაა, არამედ ცხოვრებიდან გაქცევის საუკეთესო დოკუმენტია... ბარათაშვილი არ შეიძლება იყოს რევოლუციონერი და მასზე ლაპარაკიც კი უაზრობაა, თუ გინდათ იმიტომ, რომ მისი სიმღერა, მისი ლექსები – არის სიმღერა და ლექსები წარმავალი კლასისა, რომელიც ნადგურდება და კვდება“.2

ფ. მახარაძე: „ი. ჭავჭავაძე კი იყო წარჩინებული თავადის შვილი, მემამულე და გლეხების მებატონე. იგი იყო მუშებისა და გლეხების ექსპლოატატორი. როგორც

მწერალი, ი. ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი“.3

კ. მელაძე: აკაკი წერეთლის „პატრიოტულ ლირიზმში თავიდან ბოლომდე ფეოდალურ საქართველოს დაცვის ტენდენციაა გატარებული. აკაკის არსად არ ამოუღია ხმა ბატონყმობის საწინააღმდეგოდ, მას არსად არ მოუცია ყმები ბატონყმობის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლები, პირიქით, ისინი თავისი ბედით კმაყოფილნიც არიან...“1

პ. ქიქოძე: ვაჟა-ფშაველა არის „ყველაზე უფრო უკულტურო, რეტროგრადიული, მისტიური, ანტისაზოგადოებრივი და ჩვენი კლასიური ბრძოლის გაცხარებული პერიოდისათვის სრულიად მიუღებელი და დღევანდელი ინდუსტრიალური ეპოქისათვის ყველაზე უფრო შეუფერებელი მწერალი, რომელიც, არ ვიცით რა მოსაზრებით, ატარებს კლასიკოსის სახელს“.2

და დადის საბჭოურ კულტურაში ელეაზარი, პერსონაჟი ლეონიდ ანდრეევისა და ცივი და უაზრო შემოხედვით ყინავს და აქვავებს ყველაფერს.

კომუნისტების საქმიანობის შედეგი არავისთვის, ვისაც აზროვნება შეუძლია და დაკვირვების უნარი აქვს, არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი. საკმარისი იყო გაეთვალისწინებინათ ფილიპე მახარაძისა და მისი ჟურნალის „მოგზაურის“ ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რომ მიმხვდარიყვნენ – რა დღეში ჩააგდებდნენ კომუნისტები მწერლობას, საერთოდ კულტურას, როცა გაიმარჯვებდნენ და გაბატონდებოდნენ. თუკი ისინი, მეფის ხელისუფლების დროს, ბედავდნენ მწერლების წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობას, ნუთუ გასაგები არ იყო, რას იზამდნენ, როცა ძალაუფლებას ჩაიგდებდნენ ხელში? თუკი ისინი ისე იყვნენ გათავხედებულნი, რომ არავითარ უპატიოსნო საქციელს არ ერიდებოდნენ, ნეთუ ძნელი იყო იმის წარმოდგენა-გათვალისწინება – რას გააკეთებდნენ ისინი, როცა ხელისუფლებას დაეპატრონებოდნენ?

ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე უწოდებდა ფ. მახარაძე „ცისფერ ყანწებს“, „დუხჭირ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში და უდიდეს ლიტერატურულ დანაშაულს“. ხოლო ახალი თაობის ქართველ მწერლებს ასე ახასიათებდა: „ამნაირად გრიშაშვილ-იაშვილების და რობაქიძეების მოვლინება ქართულ ლიტერატურაში მჭიდროდ დაკავშირებულია რეაქციის გამარჯვებასთან; ისინი ბნელი ძალების ღვიძლი შვილებია და ამავე ძალებს ემსახურებიან და გუნდრუკს უკმევენ, მაგრამ იმათი დღესასწაული და ვაკხანალია დიდხანს არ გაგრძელდება. მზე კვლავ ამოვა და ნათელი გაიმარჯვებს; მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან თავისი ბნელი სოროები მოსძებნონ და იქ ჩაძვრენ“.1

ნათლად არის ნათქვამი, რას უპირებდნენ ისინი მწერლობას – ბნელ სოროებში შეგაძვრენთო. აასრულეს კიდეც დაპირება. ასე რომ, კომუნისტების საქმიანობაში არაფერი ყოფილა მოულოდნელი და გასაოცარი. მათ ის განახორციელეს, რაც დაგეგმილი ჰქონდათ და რითაც წინასწარ იმუქრებოდნენ. ალბათ კომუნისტებს ყველაზე მეტად შეეფერებათ ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვები – „არ ვსდევთ ჟამთა სვლას, ჩვენ იგივე ვართ მარად და მარად“.

II

კრიტიკა-ჟანდარმი

ჩვეულებრივი ამბავია: მჩაგვრელს დაჩაგრულის მუდმივი მორჩილებისათვის სჭირდება ძალა – არმია, პოლიცია (მილიცია), ჟანდარმერია (კგბ). ასე იყო, ასეა, ასე იქნება. რაკი კომუნისტებმა ექსპლუატაცია-ჩაგვრის ახალი სახეობა – ინტე-

ლექტუალური ექსპლუატაცია – შემოიღეს, ბუნებრივია, მისი შენარჩუნება-განმტკიცებისათვის სჭირდებოდათ ახლებური იარაღი. შექმნეს კიდეც – კრიტიკა-ჟანდარმი. კრიტიკას დაევალა არა სხვადასხვა დარგის ლიტერატურულ ნაწარმოებთა განხილვა-ანალიზი, არამედ კომპარტიის ცკ-ის დადგენილებათა ძალდატანებით (კეტით) დანერგვა და ურჩი მწერლების დასჯა.

ახლა კონკრეტული ნიმუშებით ვნახოთ, როგორ ახორციელებდა კომპარტიის დავალებას კრიტიკა.

გიორგი შატბერაშვილი ეკუთვნოდა მწერალთა იმ თაობას, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო მოღვაწეობა. მაშასადამე, იყო საბჭოური ცხოვრების, საქმიანობის და კომკავშირის მომღერალი. სხვანაირად ვერც მოახერხებდა ლექსების დასტამბვას. ეს აუცილებელი პირობა იყო, თუ ახალგაზრდა კაცს საჯაროდ უნდოდა საზოგადოების წინაშე წარდგომა. ამიტომ აქებს იგი ლექსში – „აგიტატორი“ – გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“:

შენს სტრიქონებში ქარიშხალივით
გადმოდიოდა სუნთქვა ძნელაძის, –
მოღალატეთა ფიქრები მყრალი
არ დარჩენილა გაუცელავი...
– შეაჩოჩქოლე შხამით მფეთქავი
შოვინისტების ურდო დაშლილი, –
– დახვალ ჭიდილში რკინის ბექთარით,
დახვალ ბრძოლებში შიშველ დაშნებით.

ამიტომ ასხამს ხოტბას კომკავშირს:

მოვდივართ!
– თვალები მზიანი –
სიხარულს ღვარივით დაღვრიან, –
აქუხდა სურვილის ზიარი,
გულებზე მოლხენა გვაყრია!..
აქ ყველას თვალები უღიმის
ნაბიჯი და სუნთქვა ხშირია, –
მოდიან მხედრული ქუხილით:
– ეს კომკავშირია![1]

ნუ მიაქცევთ ყურადღებას ლექსების მხატვრულ დონეს. ამჟამად მთავარია მათი საერთო ხასიათი, ტონი, განწყობილება, შინაარსი. როგორც ხედავთ, იგი პარტიულია და საბჭოური. და აი, პოეტმა, რომელიც (როგორც საბჭოური ლიტერატურული კრიტიკა იტყოდა) უმღეროდა კომუნისტურ აღმშენებლობას, 1934 წლის 24 ივლისის „სალიტერატურო გაზეთში“ გამოაქვეყნა ლექსი – „წერილი ახალგაზრდებს“. იგი მეტად გრძელია, მაგრამ მაინც მთლიანად მოვიტან, რომ სრული წარმოდგენა გქონდეთ, რა წერია შიგ:

ჩვენ ვართ შტოები გაზაფხულისა,
ჩვენ ვართ ლაჟვარდის პირველი ქება,
ჩვენ ვართ რიჟრაჟი სიჭაბუკისა,
წინ რომ მიუძღვის დაჭარმაგებას!

ჩვენ ვართ ქუხილის შემდეგ მოსული

ვარდ-მაისობის შხაპუნა წვიმა,
ჩვენ თავგანწირვის უდიდეს სურვილს
და აღტაცებას გაუტაცივართ!

დავდივართ ქვეყნად, შევცქერით ზეცას,
გზა გაშლილია არა ვარდების,
არა დაფნების, როგორც ოდესღაც
ხატავდა სიყრმის შარავანდედი!

ის, მოგონებით ვერ შეგვაშფოთებს,
რა არის ჩვენთვის ბავშვობის დღენი?
შემოდგომაზე დაკარგულ ფოთლებს,
ვარდობის თვეში გაშლიან ხენი!

მხოლოდ ლაჩარნი არ დამხობილან,
არ განუცდიათ პირქვე დაცემა,
ჩვენ ჭაბუკები ერთად ვყოფილვართ,
ერთად შევესწროთ დავაჟკაცებას!..

აიყრებიან შემდეგ შტოები,
ნამში, წვიმაში, რტოგაუხრელად,
გაშლიან ჩრდილებს განმარტოებით
და დადგებიან განზე მუხებად!
და თუკი სხედან ბუდეში სადმე,
ნორჩი ბარტყები ქარიშხლებისა,
ეტყვიან ქებას ამ წელიწადებს
და არწივებად აიშლებიან.

დავდივართ ქვეყნად... ასე შევხარით,
ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს,
და ახალგაზრდებს, სულით ჩვენგვარებს
შევხვდებით სადმე დიდ მომავალში!

ჩვენ ვართ ფერები გაზაფხულის ჟამს
ცაზე გაჩენილ ცისარტყელების,
ჩვენ ავედევნეთ მათ გმირულ ნიშანს,
ვინც მიგვიძღოდნენ გზებზე ხველებით...

ვინც სახრჩობელას არ დაერიდა,
და ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს;
ვინც დამხობილის შეცვალა ოხვრა,
გაშლილ დროშებზე დაწერა ჯანყი;

ვინც მოუხმობდა ყოველი მხრიდან
რჩეულ ვაჟკაცებს დროშების ირგვლივ,
ვინც გადალახა ბნელი კატორღა
და გაიტანა ხალხში ნაჯახი!

ციმბირის გზებზე, კატორღის გზებზე,

შემხმარი სისხლი მდუმარე ლოდ ზე...
ყოველი წვეთი ჩვენს ძარღვს დაეძებს,
გამოდის ჩვენში და მოგვიწოდებს:

ახ, მეგობარო!
ცხელ უდაბნოში
ჩამარხულ ჩონჩხის ჩამქრალი სწრაფვა,
მოგვაგონებდეს სულს შეშფოთებულს,
სულს – ამბოხებულს და მიუსაფარს!
კატორღის გ ზებ ზე, ციმბირის გ ზებ ზე...
სადღაც ნაპოვნი, გამხმარი ქალა –
ჩვენ შემოგვცქერის...
ვჩერდებით დიდხანს,
მისი თვალები ჯერ არ ჩამქრალან...

იქნებ იმედის ახარებს შუქი,
შემორჩენილი ვით ბედისწერა,
რომ არა ერთი მგ ზავრი ჭაბუკი,
მისი თვალებით დაიწყებს ცქერას!

და ვით ფარვანა სინათლის ირგვლივ –
შემოვკრებთ თვალებს მი ზნის გარშემო,
რომ გამოვიხმოთ თქვენი აჩრდილი,
დიდი მომავლის გარიჟრაჟებო!

და წამოშლილნი ფეხის ხმაურ ზე
მოგვაგებებენ გმირულ სიმღერებს,
გ ზაში შევხვდებით სხვა მ ზეჭაბუკებს,
მოგვაშველებენ ჭიხვინა მერნებს!

იყვავილებენ, როგორც აპრილში,
საგა ზაფხულო ოქროს შინდები.
შემოესმებათ ჩვენი ნაბიჯის
ხმა შორეული და გუშინდელი!

და იქნებიან ჩვენი შემყურე
ღრმა სიხარულით და მწუხარებით,
დაემხობიან ჩვენს ნაფეხურებს...
როგორც ნასისხლარ მიწას ხარები!

არ გახუნდება, არ მიაქვს დრო-ჟამს,
სამარადისო ოცნების ეშხი,
სიბერეშიაც ვატარებთ დროშას
რომელიც დაგვაქვს სიჭაბუკეში!
დაბადებულნი,
მოსულნი ადრე –
ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს,
გვწამს:
– ახალგა ზრდებს, სულით ჩვენგვარებს,

შევხვდებით სადმე დიდ მომავალში!

დღეს რამდენჯერაც უნდა წაიკითხოთ ეს ლექსი, მაინც ვერ მიხვდებით, რატომ არის იგი ანტისაბჭოური და რატომ დაიმსახურა მძაფრი პარტიული კრიტიკა.

თითქოს ეს ლექსი კომუნისტებს ადიდებს. განა კომუნისტები არ არიან ისინი, ვინც სახრჩობელას არ დაერიდა, ვინც ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს, ვინც გაშლილ დროშაზე წერდა ჯანყს, ვინც გადალახა კატორღა და გაიტანა ხალხში ნაჯახი თვითმპყრობელობის დასამხობად და დაჩაგრულის გასათავისუფლებლად? განა კომუნისტებმა არ შეცვალეს დამხობილის ოხვრა? რა ვიცი, დღედაღამ, წამდაუწუმ, გამუდმებით ამას ჩაგვჩიჩინებენ – ჩვენ, კომუნისტებმა, გავაკეთეთო ეს. და უცბათ, როცა ლექსში ითქვა ის, რასაც თავად იკვეხნიდნენ, მოეჩვენათ, რომ პოეტი მათ წინააღმდეგ ამხედრდა. გავეცნოთ იმ კრიტიკულ წერილებს, რომლებიც მაშინ გიორგი შატბერაშვილის განსაქიქებლად დაისტამბა და გასაგები გახდება – როგორი ეჭვის თვალით უყურებს კომუნისტური ელიტა ყოველ მწერალს და ყოველ პოეტურ ფრაზას.

მაგრამ ჯერ ერთ გარემოებას დავაკვირდეთ: როცა გ. შატბერაშვილმა ეს ლექსი გამოაქვეყნა, მაშინ „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქტორი იყო დავით დემეტრაძე. ჩვეულებრივ ასეა, როცა რედაქტორი რაიმეს ბეჭდავს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი, ამა თუ იმ დოზით, იზიარებს მისივე ნებართვით დასტამბული ნაწარმოების აზრს. მაშასადამე, რაკი დ. დემეტრაძემ გ. შატბერაშვილს დაუბეჭდა ლექსი, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად რედაქტორს არ მიუჩნევია „წერილი ახალგაზრდებს“ ანტისაბჭოურად. არ დაუნახავს ამ ლექსში „კულაკური იდეოლოგია“, როგორც შემდეგ დააბრალეს პოეტს. მაგრამ მაინც, ვინც პირველი დაესხა თავს ამ ლექსს იყო სწორედ „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქტორი დ. დემეტრაძე.1 ლექსი დაიბეჭდა 24 ივლისს. ცხრა დღის შემდეგ, ორ აგვისტოს გამოქვეყნდა დ. დემეტრაძის სტატია — „დაკარგული იმედები“. რა თქმა უნდა, იმისათვის, ვინც არ იცნობს საბჭოურ რედაქტურის საქმიანობას, გაუგებარია, რა მოხდა. რა ბზიკმა უკბინა დ. დემეტრაძეს და რატომ „გაუნათდა“ გონება ცხრა დღის შემდეგ. მაგრამ იმისათვის, ვისთვისაც ცნობილია საბჭოური რედაქტურის პრაქტიკა, დ. დემეტრაძის საქციელში არაფერია მოულოდნელი და უცნაური.

საბჭოურ ლიტერატურულ პრესაში ჩვეულებრივ ასე ხდება: მწერალი მიიტანს ნაწარმოებს გაზეთისა და ჟურნალის რედაქციაში. რედაქტორი გაეცნობა მას. არაფერია სახიფათო. გადაწყვეტენ დაბეჭდვას და დაისტამბება კიდეც. მერე სალიტერატურო გაზეთსა თუ ჟურნალს წაიკითხავენ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. და აი აქ, ცკ-ის რომელიღაც ვირთხას მოეჩვენება, რომ მავანი და მავანი მწერლის ნაწარმოებში გაპარულია ანტიკომუნისტური, ანტისაბჭოური აზრი. სასწრაფოდ დაიბარებენ რედაქტორს ცკ-ში. გააძრობენ ტყავს კუდის რიკამდე. რედაქტორს არ აქვს უფლება კრინტი დასძრას, განმარტოს ნაწარმოების დედააზრი, აუხსნას, რომ იგი ცუდად წაიკითხეს, ვერ გაიგეს. გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა მხოლოდ ცკ-ის პარტმუშაკის შეხედულება. რედაქტორი მოვალეა ჩუმად, ხმის ამოუღებლად ემორჩილებოდეს მას. უყოყმანოდ უნდა იზიარებდეს პარტიული მოხელის გალიმათიას. და თუ უნდა პოსტი შეინარჩუნოს და არ მოხსნან, დაუყონებლივ უნდა გაყიდოს მოყვასი (ამ შემთხვევაში მწერალი). საჯაროდ გაემიჯნოს მას, ამხილოს ნაწარმოების „შეცდომები“ და დაგმოს იგი.

ეს მარადიულად მოქმედების წესია. ცხადია, ასე მოხდა მაშინაც, როცა გ. შატბერაშვილის „წერილი ახალგაზრდებს“ დაიბეჭდა. თავი რომ გადაერჩინა, დ. დემეტრაძემაც პირველმა იშიშვლა კრიტიკის ხმალი.

რაკი კომპარტიის ცკ-დან გაისმა ბრძანება — ჰკა მაგასაო! — ლიტერატურულმა კრიტიკამაც იერიში მიიტანა პოეტზე.

ახლა რამდენიმე ნიმუშით გავეცნოთ იმას, რაც მაშინ იწერებოდა გ. შატბერაშვილის ლექსის გამო.

დავით დემეტრაძე: „ეს ლექსი საინტერესოა იმ მხრივ, რომ გამოხატავს კლასობრივად უცხო განწყობილებას, ანვითარებს ჩვენს ახალგაზრდობაზე მავნე შეხედულებებს და საერთოდ არ შეიძლება კომკავშირელი მწერლისათვის იყოს დამახასიათებელი“.

„უდაოა, რომ ამ ლექსში შატბერაშვილი ძალიან „მაგრად“ გამოხატავს კლასობრივი მტრის უკანასკნელი ნაშთების სევდას „სხვა მომავალზე“.

„გ. შატბერაშვილი უხმობს განადგურებულ მტრულ ძალათა აჩრდილებს და მათ მომავლის აჩრდილებად სახავს. განა შეიძლება კომკავშირელმა პოეტმა ასეთი ენით წეროს?“

„გ. შატბერაშვილის დაფარული სევდა, ტრაგიკული მოტივები, ეს არის უსათუოდ კულაკობის აგონიის გამოხატულება“.

„უსათუოდ შეცდომა იყო ამ ლექსის გამოქვეყნება“.1

ვანო წულუკიძე: „ — ჩვენი ბავშვობის დღეები, – ამბობს პოეტი, – შემოდგომაზე დაცვენილი ფოთლებია, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, გაზაფხული ისევ დადგება და ჩვენც კვლავ შევიმოსებით ფოთლებითო. არ საჭროებს განმარტებას, თუ რას უწოდებს პოეტი შემოდგომას. ეს არის ჩვენი თანამედროვეობა, რომლის სუსხმა დააჭკნო მათი ახალგაზრდობის ფოთლები, რომლის სიმძიმემ პირქვე დასცა პოეტი და მისი ტოლ-ამხანაგები“.

„... საერთოდ მთელ ლექსში გამოთქმულია არსებულით დაუკმაყოფილებლობა, თანამედროვეობის უარყოფა, ჩვენი სინამდვილისაგან გაქცევა, იმედდაკარგულის სკეპტიციზმი. პოეტი ფიქრობს, თითქოს ჩვენი ეპოქა ვერ ანაღდებს იმ იდეალებს, რისთვისაც იბრძოდნენ ძველად“.

„მხოლოდ განაბულ კლასებს მიაჩნიათ (მათთვის არის კიდეც) უკლასო საზოგადოების მშენებლობის ეპოქა ქარიშხლიან შემოდგომად და სუსხიან ზამთრად; მხოლოდ მათი პირიდან თუ ამოვა ასეთი ნაღვლიანი, სასომიხდილი სიმღერა. გ. შატბერაშვილი ნებსით თუ უნებლიეთ გახდა მათი განუკურნავი ტკივილების გამომხატველი, მათი ოდნავ მბჟუტავი იმედის საყვირი“...

„ჩვენ გაბედულად უნდა ვამხილოთ ყოველგვარი მტრული გამოვლინებები ჩვენს ლიტერატურაში“.2

კარლო ორაგველიძე: „როგორია ის დიდი გზები, რომლის მიმდევარია შატბერაშვილი? არა ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიერ ნაჩვენები დიდი გზები, არამედ ჩვენი კლასიური მტრების მიერ ნაჩვენები გზები“.

„... ლექსის მისამართი აშკარაა. ეს არის კულაკური, ანტისაბჭოთა ახალგაზრდობა. ავტორმა კარგად იცის, რომ კულაკურ ახალგაზრდობას არავითარი გავლენა არა აქვს მშრომელ ახალგაზრდობაში, რომელიც ჩვენი სახელოვანი გმირული კომკავშირის ირგვლივ არის დარაზმული. შატბერაშვილმა იცის, რომ ჩვენი კლასიური მტრები დამხობილია. მაგრამ ის მაინც არ კარგავს იმედს“.

„... განზე გადგომა მუხებათ“, ტროცკისტულ-ფაშისტური ოცნებობა მომავალ „ქარიშხლებზე“, რომელიც თურმე ამ კულაკურ ნორჩმა ბარტყებმა უნდა გამოიწვიოს (ავტორის ქართული დაცულია – ა.ბ.) – ასეთია შატბერაშვილის იმედები“.

„ძნელი არ არის გაგება, თუ რა აზრი აქვს ამ „აჩრდილის გამოხმობას“ ანდა „ნაჯახის ხალხში გატანის“ ხსენებას ჩვენს პირობებში. ეს პირდაპირი კონტრრევოლუციური-ფაშისტური ლოზუნგია. აქ საბოლოოდ ფარდა ეხდება შატბერაშვილის რეაქციონურ სულისკვეთებას და ის გაშიშვლებული სახით გვევლინება ჩვენ“.

„შატბერაშვილის კონტრრევოლუციური ლექსებიდან ჩვენმა საბჭოთა მწერლებმა სათანადო პოლიტიკური დასკვნები უნდა გააკეთონ. საჭიროა მეტი სიფხიზლე, მეტი გამახვილება ბრძოლისა რეაქციური ლიტერატურის წინააღმდეგ“.1

მალაქია ტოროშელიძე: „აშკარაა, ავტორს შეგნებულად თუ შეუგნებლად (უფრო შეგნებულად, ვიდრე შეუგნებლად) თავისი თავი ჩაუბამს (ქართულად ითქმის – ჩაბმულა, მაგრამ ქართველ კომუნისტებს ტვინი რუსულად აქვთ მომართული – ა.ბ.) კლასობრივი მტრის სამსახურში და თავისი კალმით იმავე მიზანს ემსახურება, რასაც ყოველი თეთრგვარდიელი და საერთოდ საბჭოთა სისტემის მოძულე და მოსისხლე მტერი“.

„უეჭველია მტრის ნამსხვრევები კიდევ ახერხებენ ერთგვარ ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას, რაღაც იმედებით საზრდოობენ და თავის გარშემო ახალგაზრდებსაც იკრებენ. დაუნდობელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ გამოაცლის ყოველივე ნიადაგს შატბერაშვილისებურ პოეზიას“.1

დრომ გაამართლა ხალხური სიბრძნე – „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“. გ. შატბერაშვილის შემოქმედებამ დაიჭირა თავისი ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში.

ახლა მოდით მაინც გავარკვიოთ – რატომ მოეჩვენათ გ. შატბერაშვილის ლექსში „კულაკური ახალგაზრდობის იდეოლოგია?“

საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ მთავრდებოდა ე.წ. კოლექტივიზაცია. ამ პერიოდში მილიონობით მშრომელი გლეხობა გადაასახლეს ციმბირში. მათ კატორღაში ამოხადეს სული. კომუნისტები ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებდნენ „ბედნიერ საკოლმეურნეო ცხოვრებას“ და, ვინც კი გაბედავდა ოდნავ წინააღმდეგობას, არ აცდებოდა კატორღაში წამებით სიკვდილი. სხვათა შორის, უაღრესად საყურადღებო ცნობას გვაწვდის ან. ანტონოვ-ოვსეენკო „ტირანის პორტრეტში“ (გვ. 254). ყაზახეთში ძაღლებიც შეაყვანინეს თურმე კოლმეურნეობაში. როცა ყაზახებს დაუნახავთ, ცხვრებს გვართმევენო, დაუწყიათ საქონლის ლიანგური ხოცვა და ველური ჭამა. უამრავი ხალხი დახოცილა ზედმეტი, უზომო ჭამით. მერე საშინელი შიმშილი დაიწყო თურმე და ახლა უჭმელობამ გაჟუჟა ხალხი. კოლექტივიზაციის დაწყების წინ ყაზახეთში ათ მილიონამდე ყოფილა მოსახლეობა. კოლექტივიზაცია რომ დამთავრებულა, რვა მილიონი დარჩენილა. ორი მილიონი ადამიანი გამხდარა კოლექტივიზაციის მსხვერპლი. ეს მარტო ყაზახეთში. ახლა თავად განსაჯეთ – რა ცოდვის კევრი ტრიალებდა რუსეთში, უკრაინაში, საქართველოში და საერთოდ მთელ სსრკ-ში. ამ ტანჯულ-წამებულ ადამიანებს უწოდეს კომუნისტებმა კულაკები და, აკვიატებული კლასობრივი ბრძოლის სახელით, მუსრი გაავლეს. ამის გამო მიიღეს პოეტის სიტყვები მწარე ყვედრებად. მოგეხსენებათ, ქურდს ქუდი ეწვის და შეშინებულს ყველგან მამხილებლის ხმა ესმის და თვალი ეჩვენება.

ამიტომ უსაყვედურებდა პოეტს კრიტიკოსი – „გ. შატბერაშვილი მთელი ლექსის მანძილზე ცდილობს დამალოს და არ გახსნას მისამართი იმათი, ვინც მიუძღოდა „სულით მისგვარ ახალგაზრდებს“ გზაზე ხველებით...“ ხოლო მეორე ასწავლიდა, რომ „კატორღის გზებზე, ციმბირის გზებზე“ ბოლშევიკების გარდა ისეთ „მებრძოლებსაც“ უვლიათ, რომლებიც დიდი აღტაცებით მიიღებდნენ კაპიტალიზმის მძლავრად განვითარებას“...

საჭიროა კონკრეტულობა. ეს კატეგორიული მოთხოვნაა. პროლეტარული მწერლობის ადეპტი პლატონ ქიქოძე მოითხოვდა – „მთავარია კონკრეტიზაცია“.1 ქარაგმულად, ორჭოფულად ნათქვამი მისაღები არ არის. თუ მკითხველს შეუძლია სხვადასხვაგვარადაც გაიგოს, სხვაც იგულისხმოს, ამგვარი ნაწარმოები არ შეიძლება იყოს საბჭოური. ვის უძღვნი ლექსს, მისამართი ზუსტად უნდა დაასახელო.

ვინ ვინ და კომუნისტებმა ჩინებულად უწყიან – რამოდენა განსხვავებაა ცარისტულ კატორღასა და საბჭოურ კატორღას შორის. ორიოდე ამონაწერს მოვიტან საბუთად. ერთი ეკუთვნის ძველ რევოლუციონერ ბოლშევიკს გ. ჩხეიძეს, მეორე – მწერალ ს. მგალობლიშვილს.

„... უნდა გითხრათ, რომ მაშინ (მეფის რეჟიმის დროს – ა.ბ.) ციმბირში ბატონივით ვცხოვრობდით. თვეში გვაძლევდნენ ცხრა მანეთს და ათ შაურს, რომლითაც შესანიშნავად შეიძლებოდა ცხოვრება. გირვანქა პური ღირდა 2 კაპეიკი, ოთხი კაპეიკი გირვანქა ხორცი, 5-ფუთიანი ტომარა კარტოფილი 50 კაპეიკი...“2

ახლა ისიც ვნახოთ, ციხეში როგორ გრძნობდნენ თავს საძულველი ცარიზმის დროს. როცა ქართველი ხალხოსნები დაუპატიმრებიათ და გორის ციხეში ჩაუსვამთ, სოფრომ მგალობლიშვილი, კოტე ყიფიანი და გიგო ავალიშვილი ერთ კამერაში დაუმწყვდევიათ. ახლა ყური დაუგდეთ ს. მგალობლიშვილს:

„ჩვენი ოთახი იყო მყრალი, ნოტიო. კოტეს ერთი ფლაკონი ოდეკალონი ჰქონდა. ღამით ვაღვივებდით, რომ სუნი მოეკლა. ჩვენ დაუკეტელ ოთახში ვისხედით, ზედამხედველი მოვისყიდეთ და ფურცელაძე დღე (იგი სხვა კამერაში ჩაუსვამთ – ა.ბ.) სულ ჩვენთან იყო. ერთად ვსადილ-ვახშმობდით. ჩვენ მთელი დღე წიგნების კითხვაში ვატარებდით დროსა. უნდა მოგახსენოთ, რომ ციხეში ძალიან შინაურულად მოვეწყენით; მნახველი არ გვაკლდა, ამხანაგები ხშირად გვნახულობდნენ, შემოქონდათ ჯიბე-უბით არალეგალური წიგნაკები. ციხის უფროსი ზაზა ყიფიანი არ გვაწუხებდა. რაც კი რამ ხდებოდა გარეთ, ჩვენს წრეში ყოველივე ვიცოდით“.1

ეს კიდევ არაფერი. უფრო ანეგდოტური ამბავი მოისმინეთ.

„გორის სატუსაღო ეზო ფართო იყო, მუდამ მატიტელა ბალახით დაფარული, რადგან ეზოს ოთხივ მხრიდან მდინარეები ჩაუდიოდა. ეზო სავსე იყო ციხის უფროსის ყიფიანის2 ქათმებით, ინდოურებით, ბატებით და გოჭებით. ერთხელ კოტე ჩამაცივდა, ინდოური დავიჭიროთ და ტიმოთეს შევაწვევინოთო, ბიძაჩემ ზაზას მე მოვურიგდებიო. გამოვუდექით ინდოურს. იგი შუაში გამოგვისხლტა და მე და კოტე თავებით ერთმანეთს დავეტაკენით ისე მაგრათ, რომ კოტეს პენსნე ცხვირში ჩაერჭო...“3

შეადარეთ ამას ალ. სოლჟენიცინის (ან სხვა საბჭოელი კატორღელების) მოგონებანი და ყველაფერი ნათელი გახდება.

არავინ არის იმდენად გულუბრყვილო, რომ ცარისტული ციხე და კატორღა შვების ადგილად წარმოიდგინოს. ციხე ყოველთვის ციხეა და კატორღა ყოველთვის კატორღაა, მაგრამ არსებითი განსხვავებაც ყოფილა, როგორც ვხედავთ. მართალია, საბჭოურ კატორღას გადარჩენილი ქართველები ჯერჯერობით სდუმან და მოგონებებს არ აქვეყნებენ, თუნდაც საიდუმლოდ, მაგრამ ისედაც ცხადზე ცხადია, რომ არც მიხ. ჯავახიშვილი, არც ტ. ტაბიძე, არც კ. ხიმშიაშვილი, არც გ. ძიგვაშვილი და სხვანი და სხვანი ციხეში არალეგალურ ლიტერატურას არ კითხულობდნენ, არც ეზოში ინდოურებს დასდევდნენ, არც შემწვარ-მოხრაკულებს მიირთმევდნენ.

არც იმის დავიწყება ეგების, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაჟუჟული რევოლუციონერებიდან ბევრი ცარიზმის დროსაც იყო დაპატიმრებული და კატორღაშიც ნამყოფიც. ზოგიერთი ციხიდანაც გაქცეულა და კატორღიდანაც. მაგრამ როცა საბჭოურ ციხეში თუ კატორღაში აღმოჩნდნენ, არა თუ გაქცევა ვერ მოახერხეს, პროტესტის კნავილიც კი არ აღმოხდომიათ. ცხვარიც კი ბღავის, როცა კლავენ. „უდრეკი“ რევოლუციონერები კი კლასობრივმა და პარტიულმა ძმებმა ისე გაწყვიტეს, რომ კრინტიც არ დააძვრევინეს. ცარიზმის დროს „უშიშარი ვაჟკაცები“ ასე რამ დააჩაჩანაკა და დააგლახა კომუნიზმის დროს? როცა ხელისუფლება კანონს იცავს, მაშინ იოლია მამაცობა. როცა ხელისუფლებას კანონი ფეხებზე ჰკიდია და საკუთარი ჭკუის ქეიფზე ნავარდობს, მაშინ ძნელია (უფრო მეტიც, შეუძლებელი) გმირობა. ამიტომ წახდნენ და ჩაისვარეს ოდესღაც „უდრეკმა“ რევოლუციონერებმა. დაჭერის შიშით პიატაკოვი თურმე გალოთებულა. თეთრი ციებ-ცხელება ემართებოდა და სიკვდილს ნატრულობდა.1 თავი რომ გადაერჩინა, რადეკი ყოფილ მეგობრებს ზინოვიევსა და კამენევს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა და აგინებდა.2 ეს ორიოდე ნიმუში საჭაშნიკოდ მოვიტანე, რამეთუ დასკვნა მკაფიოა: სხვის კეთილშობილებას საკუთარ გმირობად ნურავინ გაასაღებს. კომუნისტები ვაჟკაცები კი არ

იყვნენ, არამედ ურცხვად სარგებლობდნენ მეფის ხელისუფლების მიერ გამოჩენილი ჰუმანურობითა და კანონის პატივისცემით. როცა კომუნისტებმა საკუთარ ზურგზე იწვნიეს, რას ნიშნავს მხეცობა, უკანონობა, თვითნებობა, მაშინვე გადედლდნენ და გალაჩრდნენ.

ვინ იცოდა ეს მდგომარეობა კომუნისტებზე უკეთ? რა თქმა უნდა, არავინ. ამიტომ, როგორც კი გ. შატბერაშვილის ლექსში წაიკითხეს – ვინც სახრჩობელას არ დაერიდა, ვინც ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს, ვინც გადალახა ბნელი კატორღა, მაშინვე შეეპარათ ეჭვი – პოეტი კომუნისტებს არ უნდა უმღეროდესო და იგი კრიტიკის დარჯაკში გაატარეს. ასეთ ეჭვს კომუნისტები თვალთმაქცურად „იდეურ სიფხიზლეს“ ეძახიან.

რაკი კრიტიკას საიდუმლო პოლიციის ფუნქცია მიენიჭა, კრიტიკოსიც ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ფისკალი. მოგეხსენებათ, ყოველ საიდუმლო პოლიციაში, მით უმეტეს, ცხადია, ᲙᲒᲫ-ში, ამა თუ იმ მოქალაქეზე ადგენენ დოსიეს. დოსიეში შეგროვებულია მასალა მიზანში ამოღებულ პიროვნებაზე. მოკლედ და სხარტად დახასიათებულია იგი. აღნიშნულია სანდოა თუ არა. ამის შესაბამისად ხელისუფლება გადაწყვეტს, დაიჭიროს თუ არა ეს პიროვნება. ამგვარ დოსიეს ადგენდა კრიტიკა-ჟანდარმი მწერლის შემოქმედებაზე. ამას არც მალავდნენ. „... პროლეტარულ-მარქსისტული კრიტიკის ამოცანა განსაკუთრებით დიდი და საპასუხისმგებლოა. მან შეუდრეკლად და პირდაპირ უნდა გამოამჟღავნოს კლასიური მტრის ნამდვილი სახე და ბუნება“.1

„არქეოლოგიის სამყაროდან ებრძვის შ. დადიანი თანამედროვეობას“.2

„კონსტანტინე გამსახურდია რეაქციონურ მწერალთა რიგების აქტიური წევრია. თავის შემოქმედებაში კ. გამსახურდია, „მებრძოლი“ განწყობილებით უპირისპირდება თანამედროვეობას“.3

„ნ. ლორთქიფანიძე არ არის თანამედროვეობის მწერალი. ის მთლიანად წარსულის პირმშო შვილია. ის ფეოდალური საქართველოს „რაინდია“. მისი შემოქმედება ფეოდალური კულტურის ნატეხია“.4

მიხ. ჯავახიშვილს „სურს ნაკაცარი, ზედმეტი ადამიანების, საწყალი პიროვნებების საფარველს ქვეშ შემოგვაპაროს გარკვეული რეაქციონური შეხედულებები“.5

„აბაშელი ახალი ცხოვრების აღმშენებლობასაც დეზერტირის, უკეთ რომ ვსთქვათ, მტრის თვალებით შეჰყურებს“.6

დ. შენგელაიას „შემოქმედებაში ჯერ კიდევ უფრო მეტად ძველი ქვეყანა ხმაურობს. მისი შემოქმედების სოციალური საფუძველი და ხასიათი წვრილბურჟუაზიულია.7

გაეცანით კიდევ ერთი კრიტიკოსის შედგენილ დოსიეს:8

„1914-21 წლებში გალაკტიონ ტაბიძე მისტიკოსი იყო, დაცემულობის, მებრძოლი პესიმიზმის პროპაგანდისტი, რელიგიური ექსტაზის მწარმოებელი, ლანდებისა და მოჩვენებების რომანტიკოსი, ეროტიული და პატრიოტული „თრთოლვის“ ვირტუოზი და ბოჰემა-ანარქისტი. სოციალური მის პოეტურ პრაქტიკაში განდევნილი იყო. გ. ტაბიძე გაურბოდა სოციალური საკითხების რგოლს და თუ შემთხვევით შეეხებოდა სოციალური საკითხების ჯაჭვს, გულგრილად გაეწყობოდა მას; ობივატელი იყო“.

„კ. მაყაშვილი არისტოკრატიული ეროტიკული ღელვისა და ქართული პატრიოტიზმის პოეტი იყო, რომელმაც საბჭოთა პირობებში პატრიოტიზმი მებრძოლ ნაციონალიზმში გადაზარდა“.1

ამგვარი იარლიყების მიკერებას მიმართავდა კრიტიკა და მზადდებოდა ნიადაგი უფრო დიდი დანაშაულისათვის — მწერლების ხოცვა-ჟლეტისათვის. ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ. დაიჭერდნენ მწერალს, დახვრეტდნენ, თან ლანძღვა-გინების კორიანტელით აიკლებდნენ ყველაფერს.

დაიჭერენ პროზაიკოს მიხ. ჯავახიშვილს და მყისვე პრესაში კრიტიკოსი ბ. ჟღენტი გამოაქვეყნებს წერილს — „მოღალატური სიტყვა და საქმე“.2

დაიჭერენ პოეტ ნ. მიწიშვილს და მყისვე პრესაში კრიტიკოსი გ. ნატროშვილი გამოაქვეყნებს წერილს — „ხალხის მტერი მწერლის ნიღაბში“.3

დაიჭერენ პოეტ ტ. ტაბიძეს და მყისვე პრესაში კრიტიკოსი გ. ნატროშვილი გამოაქვეყნებს წერილს — „პოლიტიკური გახრწნის ჭაობში“.4

აიძულებენ პოეტ პ. იაშვილს თავი მოიკლას და მყისვე პრესაში კრიტიკოსი ვ. წულუკიძე გამოაქვეყნებს წერილს — „ოქროპირების ნამოღვაწარი“.5

და ასე დაუსრულებლივ.

რა საჭიროა ეს? ნუთუ უკმარია მწერლის ხორციელი მოსპობა? ნუთუ გონდაბნელებული შურისგება არაფრით ძღება? დაპატიმრებაც საკმარისია. მოკვლა მით უმეტეს. სისხლითაც გამძღარნი არიან. მაგრამ ვინც ცოცხალი დარჩა, იმას რა უყონ? ისიც ხომ უნდა განადგურდეს ზნეობრივად! და აიძულებენ „გადარჩენილ“ მწერალს ინსინუაციები შეთხზას განწირულ მწერალზე, ლაფში ამოსვაროს იგი. „გადარჩენილი“ მწერლის ეს სულმოკლე საქციელი იწვევს საზოგადოების სიძულვილს. მართალია, ამ სიძულვილს საზოგადოება აშკარად და ღიად ვერ გამოხატავს, მაგრამ ყველამ იცის, მათ შორის „გადარჩენილმა“ მწერალმაც, რა ბოღმა და ცეცხლი ტრიალებს ხალხის გულში. ეშინია ამ ბოღმის, სიძულვილის, ცეცხლის. კიდევ უფრო მეტად ემონება ხელისუფლებას. უფრო ღრმად და ღრმად ეფლობა უზნეობის ჭაობში. მთავრობის მიზანი მიღწეულია: მწერალთა ერთი ნაწილი განადგურებულია ტყვიით, მეორე კი — საზოგადოების სიძულვილით. ამგვარად „გადარჩენილ“ მწერალს როცა მოსთხოვ, მაშინვე იკისრებს კალმით ჯალათის მოვალეობას. შექმნილია ინტელექტუალური ექსპლუატაციის დამცველი რაზმი. ჩამოყალიბებულია ინტელექტუალური ეგზეკუტორი.

საქმე აწყობილია საათივით. იტყვის საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი: „სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იყო ქართულ და რუსულ ენებზე ხელახლა გამოცემა შალვა დადიანის მანკიერი რომანისა „გიორგი რუსი“, რომელიც დამახინჯებულად, მრუდე სარკეში ასახავს რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას...“1 კრიტიკა კი დაუყოვნებლივ „დაასაბუთებს“, რატომ არის „გიორგი რუსი“ დასაგმობი და ასაკრძალავი წიგნი.2

„გიორგი რუსს“, ანუ როგორც თავდაპირველად ერქვა, „უბედურ რუსს“ კომუნისტები ყოველთვის ავი თვალით უყურებდნენ. ოციან წლებში კრიტიკას იგი არ მოსწონდა, როგორც წარსულის იდეალიზაცია და ქართული ნაციონალიზმის პროპაგანდა.

„მიუხედავად რომანის ძლიერ სერიოზული ტონისა, მისი იდეები მაინც კომიკურია... უკეთ: ეს იდეები დღევანდელი თვალსაზრისით სასაცილოა! სასაცილოა ის ადამიანი და მკითხველი ამ რომანისა, რომელიც მეოცე საუკუნეში, როდესაც „კომუნიზმის აჩრდილი დაჰქრის“ საქართველოში, სერიოზულად არ ანებებს თავს ფიქრს იმის შესახებ, რომ საქართველოს დიდ იმპერიად, ბიზანტიად გადაქცევის ბედი მოელის წინ. სასაცილოა ფიქრი იმისა, რომ საქართველო ოდესმე დაიბრუნებს იმ ათეული საუკუნის წინანდელ მდგომარეობას, როდესაც, გოდერძის („გიორგი რუსის“ პერსონაჟია – ა.ბ.) ენით რომ ვთქვათ, „საქართველო ზრდიდა მისრეთ, ელადას და რომს“. მართალი უნდა ვთქვათ, ეს სასაცილო ხალხი ჯერ კიდევ მოიპოვება! ამიტომ საქართველოში საჭიროა ახალი სერვანტესი, რომელიც „უბედური რუსის“ პაროდიის სახით დასწერს ამ ხალხზე ახალ „დონ კიხოტს“, სადაც გმირი გულუბრყვილო და ქარის წისქვილებზე მონადირე დონ კიხოტი კი არ იქნება, არამედ „თვით“ თამარ მეფე პლიუს თანამედროვე მეოცნებე პატრიოტი რომანტიკოსი, რომელიც საბჭოთა საქართველოში თამარ მეფის სასახლის ილუზიებით ცხოვრობს“.1

50-იან წლებში კი კრიტიკა იწუნებდა „გიორგი რუსს“ იმიტომ, რომ იგი ამახინჯებს თურმე ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას.

და ამას ამტკიცებენ მონარქიისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი კომუნისტები. თურმე ნუ იტყვით, და ორი მონარქის დაქორწინება ხალხთა მეგობრობას გამოხატავს. მაშინ რუსები და გერმანელები განუყრელი ძმები ყოფილან, რადგან რუსეთის დედოფლების უმრავლესობა გერმანელები იყვნენ. მაშინ ორი მსოფლიო ომის მანძილზე რატომ უნაყავდნენ ცხვირ-პირს ერთმანეთს გერმანელები და რუსები?

და ამას ამტკიცებენ მარქსისტები, რომელნიც ჩაგვჩიჩინებენ - ისტორიას ხალხი წარმართავსო და არა – პიროვნება. თუ ასეა, ქართული და რუსი ხალხების მეგობრობისათვის რა მნიშვნელობა აქვს როგორი ურთიერთობა იყო ორ პიროვნებას – თამარსა და იური ბოგოლუბსკის – შორის?

თავდაყირაა დაყენებული ყოველგვარი მარქსიზმი და იცით რატომ? მბრძანებელ რუსს არ მოსწონს წინაპრის ავად ხსენება და ყმას აიძულებს გუნდრუკი უკმიოს აწმყოშიც და წარსულშიც. ყმაც იძულებულია ზურგი შეაქციოს მარქსიზმსაც, კომუნიზმსაც, ეროვნულ ღირსებასაც და, ხალხთა მეგობრობის ნიღბით, ხოტბა აღუვლინოს რუსულ შოვინიზმს. ამის ბრალია, რომ დღეს საერთოდ აკრძალულია „გიორგი რუსის“ დასტამბვა.

მართლაც, რა შეიძლება იყოს უფრო სასაცილოც და სატირალიც?

გამოქვეყნდება საკავშირო კპ (ბ) ცკ-ის დადგენილება ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ და მეყსეულად შეესევა მწერლობას კრიტიკოსთა დამსჯელი ექსპედიცია.

კრიტიკა აქეთ კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებს აძაგებს, იქით – გიორგი ლეონიძისა და სიმონ ჩიქოვანის ლექსებს.

„ვინ არიან ამ წიგნში მოთავსებული ნოველების გმირები? ისინი არიან ის ბნელი წარსულის მქონე, საეჭვო ყოფაქცევის, ცხოვრების ფსკერიდან წამოთრეული, რევოლუციით მიწასთან გასწორებული არამზადები, ავანტიურისტები, მოქეიფენი, დეგენერატები. საოცარი და სამწუხარო ის არის, რომ ყოველ მათგანს ავტორი სიმპატიით ეკიდება და თავის მეგობრადაც აცხადებს“.

„კაცთმოძულეობა გასდევს გამსახურდიას ყველა ამ ნოველას“.

„... მთელს წიგნში უხვად არის გაბნეული გულარძნილი თქმები და უხამსი პორნოგრაფიული სურათები. წმინდა ადამიანური გრძნობები შერყვნილი და შელახულია“.

„... დაუსრულებლად გრძელდება გამსახურდიას ნოველების წიგნში ყოველგვარ საზღვარს გადაცილებული პორნოგრაფია, ზნეობრივი დაცემულობისა და ამორალიზმის პათეტიური აღწერა“.

დაბოლოს, დასკვნა: „რას ფიქრობდა რედაქტორი დ. ბენაშვილი, როცა ვიზა მისცა ამ პოლიტიკურად მავნე და ლიტერატურულად მიუღებელ წიგნს?“1

კ. გამსახურდიას ნოველების გამოქვეყნება სასტიკად დაჰგმო მეორე კრიტიკოსმაც და მავნე წიგნი უწოდა მას.2

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ჩამოყალიბებულია ტრაფარეტი. კრიტიკოსებმა ერთნაირი კუთხით, ერთნაირი სიტყვებით, ერთნაირი დამოკიდებულებით უნდა გამოხატონ, გამოთქვან თავიანთი შეხედულებანი. მათი მსჯელობანი ტყუპის ცალებივით ჰგვანან ერთმანეთს.

„საბჭოთა მკითხველისათვის სრულიად უცხო და მიუღებელია ის იდეები, რომლებსაც მწერალი ქადაგებს პირველ ტომში შეტანილ სიმბოლისტურ ნოველებში. ამ ნოველების ფილოსოფიური საფუძველია იდეალიზმი, მისტიციზმი, სოლიპსიზმი. ნოველების მთავარი პერსონაჟები არანორმალური ადამიანები არიან – სულით

ავადმყოფნი, ზნით შეპყრობილნი, მუნჯები, დეგენერატები, განთქმული მწყევრები“.1

ასე კრიტიკა ახასიათებს ლეო ქიაჩელის მოთხრობებს. მართალია ლეო ქიაჩელი არ წერდა სიმბოლისტურ თხზულებებს, მაგრამ მაშინ სიმბოლიზმი საგინებელი სიტყვა იყო და „ტარიელ გოლუას“ ავტორსაც მიაკერეს. თუ გინდოდა მწერლისათვის თავი მოგეჭრა, უნდა გეთქვა – სიმბოლისტიაო – და გათავებული იყო მისი საქმე.

ახლა სხვასაც მივაპყროთ სმენა.

„... პოეტი გიორგი ლეონიძე თავის ნაწარმოებში დასდგომია ყალბ შემოქმედებით გზას და გამოუყენებია ძველი ლიტერატურული ნორმები, კერძოდ სიმბოლისტური ესთეტიკის ნამსხვრევები“.

„სამგორის“ (გ. ლეონიძის პოემა – ა.ბ.) ერთ-ერთი უდიდესი ნაკლი იმაშიც მდგომარეობს, რომ ლეონიძე მეხუთე საუკუნის ქართველ ხალხს წარმოგვიდგენს როგორც ერთ მთლიან მასას, არავითარი შინაგანი ბრძოლა აქ არა სჩანს, არც კლასებია, არც წოდებანი, არის მხოლოდ სარწმუნოებრივი ბრძოლა – ქრისტიანობა ებრძვის მაზდეანობას. ისტორიაზე ასეთი ზეკლასობრივი წარმოდგენა ყალბია და ჩვენ სრული რწმენით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ „სამგორში“ წარსულის იდეალიზაციასთან გვაქვს საქმე“.2

კომენტარები საჭიროდ არ მიმაჩნია. ისედაც გასაგებია, რომ ლიტერატურული მსჯელობის ნაცვლად მიმდინარეობს პრიმიტიული სოციოლოგიის კუთხით პოეზიის წინააღმდეგ ბრძოლა.

როცა ამგვარ „კრიტიკულ“ სტატიებს კითხულობთ, შეიძლება თვალწინ წარმოგიდგეთ სხვის ბინაში შესული ორი კაცი – ერთია არქიტექტორი, მეორე –КГБ-ისტი. ხუროთმოძღვარიც შეიძლება ზომავდეს, ათვალიერებდეს, ჩხრეკდეს ბინას, მაგრამ მისი მიზანია დაადგინოს – როგორ შეიძლება ამ ბინის უფრო უკეთ, უფრო ლამაზად, უფრო კოხტად შეკეთება, მოწყობა. КГБ-ისტიც ჩხრეკს სხვის ბინას და კუთხეკუნჭულში დაძვრება. მაგრამ მას სხვა ჭია ღრღნის. იგი დაეძებს სამხილს, რომ ბინის პატრონი ციხეში ჩასვას.

კრიტიკას წაართვეს არქიქეტორის ფუნქცია და КГБ-ისტის მიანიჭეს.

სიმონ ჩიქოვანი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო. 1951 წლის იანვარში იგი გააკრიტიკა საქართველოს კპ ცკ-ის მაშინდელმა მდივანმა ჩარკვიანმა. ერთი თვის შემდეგ, თებერვალში, ს. ჩიქოვანი მოხსნეს.

ჩარკვიანმა ბუნდოვანება დასწამა პოეტს.

„გამოგონილი სიტყვები, გამოთქმები და გაუგებარი სახეები გვხვდება ნიჭიერი პოეტის, პარტიის წევრის ამხ. ს. ჩიქოვანის ლექსებსა და პოემებშიც. მაგალითად, ვერ გაიგებთ, რისი თქმა სურს ამხ. ჩიქოვანს ასეთი სიტყვებით:

ეხლა ოცნება ბაღში იცოხნის,
და-ძმათ შეიცნოს ფერი და სუნი,
რომ ბუნებაში ერთად იცხოვრონ
კვირტით აბოლდეს წინაპრის სული“.1

ამის თქმა იყო და კრიტიკამ მაშინვე შეუწყო ხმა კომპარტიის ცკ-ს.

„დავაყენოთ კითხვა: როგორ უნდა გაეგო პოეტ ს. ჩიქოვანს ქართველი ხალხის ნაცადი ხელმძღვანელის ეს მითითება? ისე, რომ თითქოს ამხანაგი ჩარკვიანი ეხებოდა ჩიქოვანის მხოლოდ ერთ ლექსს თუ საერთოდ მისი შემოქმედების ნაკლს?

ცხადია, ოდნავ დაკვირვებული ადამიანი მიხვდება, რომ საკითხი ეხება იმ ნაკლს, რაც ახასიათებს ს. ჩიქოვანის შემოქმედებას და არა იმას, რომ თითქოს აქ ლაპარაკი იყოს მის ერთ-ერთ რომელიმე გაუმართავ ლექსზე. მართლაც ასე რომ იყოს, ნაკლი

სიმონ ჩიქოვანის მარტო ერთ ლექსს რომ ახასიათებდეს, მაშინ სულ ავიღებდით ხელს ამ ლექსზე და აღარც თბილისის პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე იქნებოდა ლაპარაკი ჩიქოვანის შესახებ, მით უმეტეს, რომ მოგეხსენებათ, კონფერენციას ძალიან დიდი მნიშვნელობის სხვა საკითხებიც ბევრი ჰქონდა გადასაწყვეტი და სპეციალურად არ შეაჩერებდა ყურადღებას ჩიქოვანის მხოლოდ ერთი ლექსის გაუმართავ ადგილზე. მაგრამ საქმე ასე როდია. საკითხი ეხება ჩიქოვანის პოეზიის სერიოზულ ნაკლს, რომლის გასწორებისაკენაც მას მოუწოდეს".1

კრიტიკა-ჟანდარმი მარტო მწერლობით არ იზღუდავს თავს. იგი ენერგიულად იჭრება მეცნიერების სხვადასხვა დარგში. თუ ერთი მხრით საძრახისად და დასაგმობად მიაჩნია კორნელი კეკელიძისა და სხვა მეცნიერი-ფილოლოგების საქმიანობა, მეორე მხრივ, იწუნებს და აბუჩად იგდებს გიორგი ჩუბინაშვილისა და მისი სკოლის მოღვაწეობას.2

ყველაზე სავალალო და თავმოსაჭრელი ის არის, რომ, როცა მწერლებისა თუ მეცნიერების რბევა მიმდინარეობს, არავის აქვს უფლება გამოსარჩლების მიზნით ხმა ამოიღოს, კრინტი დასძრას. თუ კომპარტიას არ ამოუდგები გვერდით, მაშინ ჩუმად უნდა იყო და დუმილით დაადასტურო ერთგულება. თუ სინდისმა არ მოგასვენა და კომპარტიის მიერ გაკრიტიკებულის დაცვა სცადე, მაშინ უთუოდ დაგატყდება რისხვა თავზე. ასე მოუვიდა, მაგალითად, ტრიფონ რუხაძეს. როცა კ. კეკელიძე, მიხ. ზანდუკელი, კ. კაპანელი, ს. დანელია, გ. ქიქოძე, აკ. გაწერელია, გ. ნადირაძე და სხვანი გაროზგეს, ტრ. რუხაძემ ზოგიერთი მათგანის გამოქომაგება სცადა. მაშინ ისიც წამოაქციეს და წკეპლები დაუშინეს.3

არც უნდა ყოფილიყო ეს მოულოდნელი. საზოგადოება იზრდებოდა ღალატის, დასმენის, გაყიდვის „ზნეობით". სიქველედ ამგვარი საქციელი ითვლებოდა.

საქართველოს კპ მერვე ყრილობაზე ბერიამ ოთხში ამოიღო გაიოზ დევდარიანი და ჯავაირა ხუტულაშვილი.4

და იცით რატომ?

როგორც ტროცკისტი, დაიჭირეს გაიოზის ძმა გოგი დევდარიანი. გაიოზ დევდარიანი არ დახმარებია თურმე ხელისუფლებას ძმის დაჭერაში და ეს როგორ გაბედაო, განრისხებულან კომუნისტები. გაიოზი თვითონაც ბრმადმორწმუნე კომუნისტი იყო, მაგრამ, ალბათ, მაშინ ადამიანურმა თვისებამ სძლია და ვერ იკისრა ძმის ჯალათობა.

ჯავაირა ხუტულაშვილს კი ის დანაშაული მიუძღოდა, რომ ციხეში ქმარს (რომელსაც ტროცკისტობა ბრალდებოდა) კვერცხები, მაკარონი და სხვა საზრდელი წაუღო. ცოლმა ელემენტური მოვალეობა შეასრულა გაუბედურებული ქმრის წინაშე და კომპარტიამ არ აპატია. არც ის გაითვალისწინა, რომ ჯავაირა კამოს დაი იყო და არც ის, რომ ამ ქალს, როგორც რევოლუციონერს, თავადაც ჰქონდა გაწეული ღვაწლი.

ზნეობრივი გაველურება იქამდეც მივიდა, რომ, როცა კონსტანტინე კაპანელი გარდაიცვალა, გაზეთში – „ლიტერატურა და ხელოვნება" (1953 წ., 21 დეკემბერი) – გამოქვეყნებულ ნეკროლოგს ხელს არავინ აწერდა. მაგრამ გაზეთი „კომუნისტი" (წაიკითხეთ: საქართველოს კპ ცკ) მაინც გაბრაზდა და „ლიტერატურა და ხელოვნებას" ყურები აუწია – როგორ გაბედე და ნეკროლოგი გამოაქვეყნეო. შიშით გულწასულმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ" ამ „დანაშაულისათვის" ბოდიში მოიხადა და პატიება ითხოვა.1

უსასრულოდ შეიძლება სანიმუშოდ მასალის მოხმობა, მაგრამ არ არის აუცილებელი. სურათი ისედაც მკაფიოა. ისიც ვიცით, რომ დრომ კრიტიკა-ჟანდარმს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. დღეს, მეტად იშვიათ გამონაკლისს თუ არ გავიხსენებთ, აღარავინ იკადრებს იმას, რასაც ბოლშევიზმის ბატონობის დროს სჩადიოდნენ. უფრო მეტიც. ზოგს რცხვენია კიდეც წარსული საქმიანობისა და ან სულ გაჩუ-

მებულია, ან ცდილობს ცოდვა გამოისყიდოს. მონანიების გრძნობით სავსე წერილებს ბეჭდავს.

ამრიგად, სკკპ-ის მისწრაფება – ერთხელ და საბოლოოდ გაეხადა ლიტერატურული კრიტიკა მწერლობის დამსჯელ რაზმად, კალმით ჯალათად – დამარცხდა და ჩაფლავდა. ლიტერატურული კრიტიკა თანდათანობით უბრუნდება ნამდვილ დანიშნულებას.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სკკპ-მ ხელი აიღო მიზანზე და შეურიგდა დამარცხებას. იგი ბრძოლას აგრძელებს. ამის უტყუარი საბუთია გაუთავებელი წუწუნი კრიტიკის ჩამორჩენაზე, წამდაუწუმ წამოჭრილი კითხვები – სად არის ლიტერატურული კრიტიკა? არსებობს თუ არა კრიტიკა? შებრუნებული პოლიტიკაა: მწერლობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ამხედრება კრიტიკის წინააღმდეგ. ნაირ-ნაირ ანკეტებში თუ ინტერვიუებში პროზაიკოსთა, დრამატურგთა და პოეტთა მიერ კრიტიკის ფუნქციის უარყოფა. სკკპ ცკ-ის დადგენილებანი, მიღებული ვითომდა ლიტერატურული კრიტიკის გასაუმჯობესებლად. საინტერესოა, რომელ დადგენილებას შეუძლია დაბადოს ბესარიონ ბელინსკი, გეორგ ბრანდესი, კიტა აბაშიძე, მაშ რა საჭიროა წყლის ნაყვა? ყოველი დადგენილება ღაღადისია, მუდარაა – იყოს კრიტიკა კომპარტიის იარაღი, მისი ჟარდარმი, მისი დამსჯელი რაზმი. ნუ დაივიწყებს მას, რასაც ბოლშევიზმის ეპოქაში აკეთებდა და ნუ დატოვებს კომპარტიას ობლად თავისუფალი აზრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კრიტიკა აღარ გახდება არც შიშის მსხვერპლი და არც ცდუნების ზვარაკი. აღარასოდეს გაიმეორებს ერთხელ ჩადენილ სამარცხვინო საქციელს. მიუხედავად გვემისა, დამცირებისა და დაცინვისა, პირნათლად გაუწევს სამსახურს საზოგადოებასაც და მწერლობასაც.

* * *

მოვა დრო და ქართული საბჭოური მწერლობის ავგიოსის თავლა გაიწმინდება. არ შევუდგები წინასწარმეტყველებას — რა გადაურჩება ისტორიის სამართალს და რა — არა. ერთი კანონზომიერება კი ნათლად ჩანს: ვერც აკრძალვამ, ვერც დევნამ, ვერც ტერორმა ვერ მოსპო სიტყვაკაზმული ლიტერატურა.

თავად კომუნისტები დგანან მოკრძალებითა და მორიდებით აცახცახებულნი მათგან მოკლული ილიასა და მათგან ნაძაგები ვაჟას შემოქმედების წინაშე.

თავად კომუნისტები გახდნენ იძულებულნი ისევ აღედგინათ და ზეიმით დაებრუნებინათ ქართულ მწერლობაში მიხ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და სხვანი.

თავად კომუნისტები უხრიან თავს მოწიწებით იმ თხზულებებს, რომელთაც თათხავდნენ და განადგურებით ემუქრებოდნენ. იქნება ეს ნ. ლორთქიფანიძის მინიატურები თუ ჭ. ლომთათიძის მოთხრობები, გალაკტიონის ადრინდელი პოეზია თუ „დიონისოს“ ღიმილი“, „სანავარდო“ თუ ტ. გრანელის ლექსები.

თავად კომუნისტებს აღარ მოსწონთ ფ. ნაროუშვილის, ს. თოდრიას, ს. ეულის, პ. ჩხიკვაძის, პ. სამსონიძის, კ. ბობოხიძის, ალ. მირცხულავას, ალ. გომიაშვილის, ბ. ჩხეიძის და სხვათა და სხვათა შემოქმედება. აღარ იკვეხნიან მათი თხზულებებით.

თავად კომუნისტები აღარ ბეჭდავენ და აქვეყნებენ — „ბელადს“, „სტალინი, ბავშვობა და ყრმობა“, „მერხეულს“...

თავად კომუნისტები იცავენ დისერტაციებს და გულმოდგინედ სწავლობენ სიმბოლიზმს, იმპრესიონიზმს თუ ექსპრესიონიზმს, რასაც ასე დაუნდობლად ებრძოდნენ ადრე.

ეს კი იმას მეტყველებს, რომ ვერავითარი ტერორი, ვერავითარი ძალადობა, ვერავითარი მუქარა ვერ შეაფერხებს, ვერ დააბრკოლებს ადამიანის აზრის მსვლე-

ლობას წინ, ვერ მოსპობს ნამდვილს და ვერ გააბატონებს ყალბს, ვერ განდევნის სიმართლეს და ვერ დაამკვიდრებს სიცრუეს.

ეს არის იმედი იმისა, რომ ქართულ კულტურას არ დაეკარგება არც გრიგოლ რობაქიძე და არც მიხეილ წერეთელი, არც ვიქტორ ნოზაძე და არც ზურაბ ავალიშვილი და სხვანი, დიდნი თუ მცირენი, ვინც ალალად და პატიოსნად ემსახურებოდა კალამს.

მართალია, ქართული საბჭოური მწერლობა სისხლით არის შეღებილი, მაგრამ სწორედ ამის გამოა განსაკუთრებით ძვირფასი ის, რაც კარგია და ჭეშმარიტი ჩვენს ლიტერატურაში. იგია დოკუმენტი ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალმოსილებისა, სულიერი მხნეობის და გაუტეხლობისა.

ნაწილი მესამე

I

უღირსებო კაცი, ანუ „ახალი ადამიანი“

საბჭოურ პრესაში ხშირად შეხვდებით ცნებას – „ახალი ადამიანი“. 20-30-იან წლებში ხომ სულ გაგიჟებული იყვნენ ამ ცნებით და წამდაუწუმ ახსენებდნენ მას. მიუხედავად ამისა, მაინც გაუგებარია და უცნობი – ვინ არის ეს „ახალი ადამიანი“? რა ბუნება და თვისებები აქვს? ამის განმარტებას ვერსად ნახავთ.

თავად ცნებას კომუნისტები ქრისტიანობას დაესესხნენ. პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (თავი VI, მუხლი 6) ამბობს – „ესე უწყით, რამეთუ ძველი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუარს ეცვა, რაითა განქარდეს ხორცი იგი ცოდვისაი, რაითა არღარა ვჰმონებდეთ ჩუენ ცოდვასა“. ქრისტიანობის თვალსაზრისით, ქრისტეს ჯვარცმასთან ერთად მომკვდარა ძველი, ცოდვილი ადამიანი და დაბადებულა ახალი, უცოდველი, აღმსარებელი იესოს მოძღვრებისა.

ყველაფერი ნათელია და გასაგები. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ კომუნისტების „ახალი ადამიანი“ არის ის, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმს აღიარებს და მისი მიმდევარია. მაგრამ ამგვარი განმარტება მეტისმეტად აბსტრაქტულია. არ ვიცით კომუნისტური „ახალი ადამიანის“ კონკრეტული ბუნება, თვისება, ზნეობა. ასევე აბსტრაქტული დარჩებოდა ქრისტიანული ახალი ადამიანიც, რომ, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის საშუალებით, არ დახატულიყო მისი ბუნება, თვისებანი, ზნეობა ამიტომ ჩვენც საბჭოურ მწერლობას უნდა მივმართოთ, რომ კომუნისტური „ახალი ადამიანი“ ცოცხლად და ხელშესახებად დავინახოთ.

მაგრამ, ვიდრე უშუალოდ საბჭოური ლიტერატურის მიერ დახატულ ადამიანზე ვიმსჯელებდეთ, საკითხი ასე დავსვათ – შეიძლება თუ არა საბჭოელი ადამიანი იყოს ჰამლეტი, დონ კიხოტი ან ფაუსტი?

გახსოვთ, ალბათ, პრინცი ჰამლეტის მამა მეფე ჰამლეტი მოკლა ძმამ კლავდიუსმა. მერე რძალი, ძმის თანამეცხედრე, გერტრუდა ცოლად შეირთო და გახელმწიფდა. პრინც ჰამლეტს ეჭვი აწამებს. სურს ჭეშმარიტების დადგენა და დამნაშავეთა მხილება. ბოლოს ბოროტმოქმედებას ფარდა აეხდება, მაგრამ იღუპება დანიის ყმაწვილი უფლისწულიც.

ასეთია ტრაგედიის სქემა.

ერთი შეხედვით, შექსპირის მოქმედ პირთა სოციალური მდგომარეობა უკვე გამორიცხავს საბჭოელი ჰამლეტის არსებობას. პიესაში მოქმედებენ მეფე, დედოფალი, პრინცი, დიდებულები, სსრკ-ში ისინი აღარ არიან, მაშასადამე, გამოცლილია სოციალური საფუძველი, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მარტო ამის გამო არ არის შეუძლებელი საბჭოელი ჰამლეტის არსებობა, თუ სამეფო კარი არ არის, სამაგიეროდ ჰგიეს კომპარტიის ცკ-ის სამდივნო, პოლიტბიურო, სადაც ბევრად უფრო მძაფრი და დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული ხელისუფლებისათვის, ვიდრე ელსინორის სასახლეში, გაიხსენეთ ხელისუფლების ბრძოლაში დაღუპულნი და დამხობილნი – ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, ბერია, მოლოტოვი, მალენკოვი, ბულგანინი, ხრუშჩოვი და სხვანი და სხვანი.

ვგონებ, ეს ცნობილია ყველასათვის, ვინც ოდნავ მაინც იცნობს სსრკ-ის პოლიტიკურ ცხოვრებას.

საბჭოელი ჰამლეტი შეუძლებელია არსებობდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მწერლობას აკრძალული აქვს ამხილოს ის უნამუსობა, ინტრიგა, შური, მტრობა, ღვარძლი, დაუნდობლობა, სიძულვილი, რაც კომპარტიის ცკ-ის სამდივნოსა თუ პოლიტბიუროში სუფევს. ეს მწერლობის სალაპარაკო არ არის. კომუნისტებმა თავიანთი საქმე თავად იციან და სხვას იქ ხელი არ მიუწვდება. კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს ცხოვრება და საქმიანობა შეუღწეველი საიდუმლოებით არის მოცული. ერთადერთი, რაც შეიძლება მასზე საბჭოელმა მოქალაქემ იცოდეს, გახლავთ ის, რომ პოლიტბიურო სათნოების, კაცთმოყვარეობის, სიყვარულის სადგურია, სადაც დღედაღამ, ძილში თუ ღვიძილში სსრკ-ის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნავენ. არ ჭამენ და არ სვამენ კომუნისტები, ოღონდ საბჭოელ ადამიანს არა გაუჭირდეს რა. აბა, რომელ ჰამლეტს, უფლისწულს თუ გლეხს, მისცემენ იმის უფლებას, რომ ეს საეჭვოდ მოეჩვენოს, არ დაიჯეროს და ჭეშმარიტების დადგენა მოიწადინოს? ტყუილის ზღვაში სიმართლის მარცვლის პოვნა გადაწყვიტოს? ცხადია, არავის. ამიტომ საბჭოელი ჰამლეტი ზღაპარშიც კი გამორიცხულია არსებობდეს.

იქნებ დონ კიხოტის საქმეა უკეთ და მის ორეულს აქვს უფლება სსრკ-ში იცხოვროს? ვნახოთ.

იცით ეს – დონ კიხოტს რაინდული რომანების კითხვამ აურია გონება. გადაწყვიტა, უსინდისობითა და უსამართლობით სავსე წუთისოფელში კეთილის დასამკვიდრებლად ებრძოლა, უმწეოსა და დაჩაგრულის ქომაგი გამხდარიყო. ეს არის დონ კიხოტის ქმედების მამოძრავებელი ზამბარა.

ცნობილია, სსრკ-ში მოქალაქეები თუ კითხულობენ რაიმეს, კითხულობენ მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურას. ვის შეუძლია გაბედოს და თქვას – მარქსისტულ-ლენინურმა ლიტერატურამ მავანი და მავანი პიროვნება შეშალა და ისიც ცხენზე ამხედრდა, საჭურთმტვირთველი იახლა და სსრკ-ში კეთილის დასამკვიდრებლად მოგზაურობსო?

ოფიციალური დადგენილების თანახმად, მარქსიზმ-ლენინიზმი ერთადერთი მართალი, ჭეშმარიტი და ადამიანის გამაბედნიერებელი მოძღვრებაა. ყოვლად მიუღებელი და დაუჯერებელია, მან ვისმეს გონება შეურყიოს. პირიქით, საკმარისია კლინიკურ გიჟს ლენინის ერთი ტომი წააკითხოთ, რომ მაშინვე დაუბრუნდეს საღი ჭკუა.

არც ინდუსტრიული, საკოლმეურნეო და **КГБ**-ისტური რომანები ემუქრება საბჭოელ მოქალაქეს შეშლილობით. ესენიც მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით არის დაწერილი და, რა თქმა უნდა, მხოლოდ გონებრივი სიჯანსაღის წყაროა.

ხოლო, რაც შეეხება სსრკ-ში კეთილის დასამკვიდრებლად ბრძოლას, ეს ხომ მთლად უაზრობა და სისულელეა. 1917 წლის ოქტომბრიდან რუსეთში და მის კოლონიებში სამუდამოდ გამეფებულია კეთილი და ვის სჭირდება მისთვის ბრძოლა! ხოცვა-ჟლეტა, ძარცვა-გლეჯა, მექრთამეობა, ფლანგვა, ხალტურა, კომბინატორობა, ციხე, კატორღა – ეს კომპარტიის მიერ საბჭოელ ხალხზე ზრუნვის გამოვლენაა

და არა ბოროტება. ერთი მითხარით, იმ ქვეყანაში, სადაც ასე ტოტალურად ბატონობს კეთილი, დონ კიხოტს რა ესაქმება? ვის წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს იგი?

როგორც ხედავთ, არც დონ კიხოტი შეიძლება იყოს საბჭოელი მოქალაქე.

ფაუსტის საქმე ხომ სულ წამხდარია. იგი ისე გამოყეყეჩდა, რომ მეფისტოფელთან შეკრა პირობა. სსრკ-ში რომელმა ბალღმა არ იცის, რომ არც ღმერთი არსებობს და არც ეშმაკი, არც ჭინკა და არც ქაჯი. როგორ შეიძლება არარსებულთან კავშირი? თან ამ ფაუსტს თავისთავი ბრძენი ეგონა, სამყაროს საიდუმლოს წვდომა უნდოდა და თან ეშმაკის არსებობა სჯეროდა და მასთან ურთიერთობაც გააბა. ასე გულუბრყვილო და მიამიტი სსრკ-ში არავინ არის. არავინ მოტყუვდება ასე სულელურად. თუ სამყაროს საიდუმლოებათა წვდომა გინდა, აიღე და წაიკითხე მარქსი, ენგელსი, ლენინი, კომპარტიის ცკ-ის ინსტრუქციები და ყველა იდუმალება, ზესკნელისა თუ ქვესკნელისა, ამოხსნილია.

ასე რომ, საბჭოელი ადამიანი არც ფაუსტი შეიძლება იყოს.

რა ვქნათ ახლა? აშკარაა და ცხადი, რომ ვერც ჰამლეტი, ვერც დონ კიხოტი, ვერც ფაუსტი ვერ იქნება საბჭოელი მოქალაქე. ვერცერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს კომუნისტური „ახალი ადამიანის“ მოთხოვნილებას. იქნებ სხვებს, კლასიკური ლიტერატურის ჩვენთვის ნაცნობი პერსონაჟებიდან რომელიმეს აქვს უფლება, იყოს საბჭოელი „ახალი ადამიანი?“ გავიხსენოთ ზოგიერთი.

ანდრეი ბოლკონსკი თავადია და უკლასო საზოგადოების შვილი, საბჭოელი ადამიანი ვერ გახდება. ოქტომბრის რევოლუციამ დაამხო არისტოკრატია, მათი ბატონობა, მათი პრივილეგიები. მართალია, „ომსა და მშვიდობაში“ არსად არის ნათქვამი ან ნაჩვენები, რომ იგი ვისმეს ჩაგრავდა, ყვლეფდა, ართმევდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ლევ ტოლსტოი თვით იყო გრაფი და, ბუნებრივია, გაბატონებული კლასის მხარე ეჭირა. იგი ანდრეი ბოლკონსკის მამხილებელ სურათებს არ დახატავდა. ჩვენ, მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებულებს, ვინ მოგვატყუებს. ვიცით, ზედმიწევნით ზუსტად ვიცით – რა შვილებიც ბრძანდებოდნენ თავადები, გრაფები, ბარონები. როგორ წოვდნენ სისხლს ისინი მშრომელ ადამიანებს. ოქტომბრის რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ახლა რუსეთის იმპერიაში აღარ იქნებოდა აღარცერთი მუშა, აღარცერთი გლეხი, ისინი სულ, ერთიანად შეჭმული იქნებოდნენ. დარჩებოდნენ მარტო კაპიტალისტები და მემამულეები. მართალია, არ ვიცით, რას იზამდნენ ეს კაპიტალისტები და მემამულენი, როცა მუშისა და გლეხის ხორცი გამოელეოდათ, მაგრამ მიზნად რომ მშრომელი ადამიანის განადგურება ჰქონდათ, ეს უტყუარი და უეჭველია. თუ არ გჯერათ, დაკვირვებით წაიკითხეთ პროპაგანდისტული ლიტერატურა, ისტორიული და სოციოლოგიური გამოკვლევანი, სადაც ცარიზმის საშინელებანია მხილებული და ყველაფერს მაშინვე ირწმუნებთ. არც საბჭოურ მწერლობას დაუკლია ხელი. მანაც უხვად შეთხზა ნაირ-ნაირი ჟანრის თხზულებანი, ამსახველი კლასობრივი ჩაგვრისა, ექსპლუატაციისა და ყვლეფისა.

როცა საბჭოელი მკითხველი ასეა აღზრდილი და მომზადებული კომუნისტური პარტიის მიერ, როგორ დაიჯერებს იგი, რომ კნჭზტ ანდრეი ბოლკონსკის არავინ აეწიოკებინოს, გაეყიდოს, გაეუპატიურებინოს, ძაღლში გაეცვალოს?

ვერ იქნება ანდრეი ბოლკონსკი კომუნისტური „ახალი ადამიანი“, მეტად დიდი ცოდვა აწევს კისერზე მის კლასს. ვერც ბოროდინოში თავდადება გამოისყიდის ამას და ვერც გრაფი ტოლსტოი აგვიბამს თვალს – საბჭოელი ხალხის კლასობრივ სიფხიზლეს ვერაფერი დააჩლუნგებს.

ცხადად ვხედავთ, რომ კომუნისტურ „ახალ ადამიანად“ თავადი არ გამოდგება, იქნებ გლეხი გამოდგეს, ვთქვათ, ღატაკი, უბედური, გაროზგილი გოგია უიშვილი? ვიდრე პასუხს გავცემდეთ, გავიხსენოთ – რა ჰქნა მან. ვერ აიტანა დამცირება. შეურაცხყოფა, გაწკეპლვა და თავი მოიკლა. ყოველმა საბჭოელმა მოქალაქემ იცის, რომ თვითმკვლელობა არ არის შეგნებული გლეხის საქციელი. გოგია უიშვილი შეგ-

ნებული გლეხი რომ ყოფილიყო, თავს არ მოიკლავდა. იგი მაშინვე დატოვებდა სოფელს, წავიდოდა ქალაქში, დაიწყებდა მუშაობას ქარხანაში, შევიდოდა მუშათა მარქსისტულ (ადრე მარტო მარქსისტულიც კმაროდა, ახლა აუცილებელია მარქსისტულ-ლენინური) წრეში, გაეცნობოდა, შეისწავლიდა კლასობრივი ბრძოლის არსს და, რუსეთის იმპერიის ყველა პროლეტართან ერთად, იბრძოლებდა მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალა-უფლების დასამხობად.

რაკი ასე არ მოიქცა გოგია უიშვილი, ცხადია, მას კომუნისტური „ახალი ადამიანის“ სახედ ვერ მივიჩნევთ. უფრო მეტიც, მის წინამორბედადაც ვერ ივარგებს.

ნუ იფიქრებთ, რომ საგანგებოდ მივმართავ უტრირებას. თავისთავად გამოდის ამგვარად. როგორც კი საბჭოური ლიტერატურის თეორიულ მოთხოვნილებათა არსის გადმოცემას დააპირებთ, მაშინვე უტრირებული და სასაცილო სურათი იხატება.

კლასიკური მწერლობის ნიმუშების მოშველიებით ვერ ვუპასუხებთ კითხვას – ვინ არის კომუნისტური „ახალი ადამიანი?“ ამიტომ საკითხის გასარკვევად მივაკითხოთ საბჭოურ ლიტერატურას.

ქართველი საბჭოელი მკითხველი ზედმიწევნით იცნობს კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარს“. მას სკოლაშიაც ასწავლიან.

ამ რომანში, გარდა მექი ვაშაკიძისა, არცერთი პერსონაჟის სულიერი განვითარება არ ხდება სოციალისტური სინამდვილის გავლენით. ყველა იმადვე რჩება, რაც იყო.

ბარნაბა საგანელიძე შეძლებული, ბობოლა გლეხი იყო. მას სწამდა, სჯეროდა კერძო საკუთრების. უყვარდა იგი. მას სძულს სოციალიზმიც და საბჭოური ხელისუფლებაც, რაკი ორივე კერძო საკუთრების მოსპობისათვის იღვწის. ამიტომ შეძლებისდაგვარად ებრძვის ბარნაბა საბჭოურ ხელისუფლებას. მასში გარდატეხა არ ხდება: სოციალიზმის მოძულე და წინააღმდეგია ბარნაბა საგანელიძე ბოლომდე.

ჩარჩი და ვაჭარი იყო ერემო პირტახია. არც მისი სამშვინველი განიცდის რაიმე ძვრას. რაც უყვარდა, უყვარს. რაც სძულდა, სძულს.

ბოლშევიკია და სოციალიზმის მეტრფე ტარასი ხაზარაძე. ცხადია, ასეთივე რჩება იგი და რაიმე ცვლილება უცხოა მისთვის.

უცვლელი რჩებიან თალიკო, ბაჭუა ვარდოსანიძე, ხაჟომია, დახუნდარა და სხვანი. ახალი დრო, ახალი იდეოლოგია, ახალი სოციალ-პოლიტიკური სისტემა მათი სამშვინველის გარდაქმნა-გარდატეხას არ იწვევს. ყოველ მათგანს რა დამოკიდებულებაც ჰქონდა დროსთან, იდეოლოგიასა და სოციალ-პოლიტიკურ სისტემასთან, იგივე შერჩათ ბოლომდე. ამ გაქვავებულ სამყაროში ერთადერთი კაცია მექი ვაშაკიძე, რომლის ცნობიერებაში რაღაც იცვლება.

მექი ვაშაკიძე უპატრონო, უსახლკარო, ოხერ-ტიალი ყმაწვილი იყო. ახალგაზრდობა მან ერემო პირტახიასა და ბარნაბა საგანელიძის მოჯამაგირეობაში გაატარა. მერე იგი, ტარასი ხაზარაძის მზრუნველობით, კომუნაში მიიღეს და აქედან იწყება მისი შეცვლაც. თუ ადრე ჯანსა და ღონეს მექი ერემოსა თუ ბარნაბას ოჯახების კეთილდღეობას ალევდა, ახლა მთელი სოფლისათვის შრომობს. თურმე უდიდესი უბედურებაა, თუ პიროვნების მოჯამაგირე ხარ, ხოლო გაუგონარი ბედნიერებაა, თუ კოლექტივის მოჯამაგირე გახდები. სხვა არსებითი ცვლილება მექის ცხოვრებაში არ მომხდარა. ერთადერთი, რაც მან კოლექტივის მოჯამაგირეობით შეიძინა, გახლავთ ის, რომ ტრაქტორისტობა ასწავლეს. ასეც უნდა მომხდარიყო. აქ არაფერია განსაკუთრებული. თუ ბარნაბა საგანელიძის საყანე მიწის დასამუშავებლად ხარი, გუთანი და ბარიც კმაროდა, კოლექტივის თვალუწვდენელ ხოდაბუნებს ტრაქტორი სჭირდება. კოლექტივის მოჯამაგირესაც ის ხელობა უნდა ესწავლა, რაც აუცილებელი იყო ახალი ბატონისათვის.

მექი ვაშაკიძემ ახალი ხელობაც ისწავლა და ახალი ზნეობაც შეიძინა. თუ იგი პიროვნების მოჯამაგირეობის დროს დაბეჩავებული, მორიდებული, მოკრძალებული

ბიჭი იყო, რომელიც „უბატონოდ“ სიტყვას ვერავის შეუბრუნებდა, კოლექტივის მოჯამაგირეობამ მკვლელი და მძარცველი გახადა.

მხატვრული ნაწარმოები, მართალია ილუზიური, მაგრამ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამყაროა. როგორია ეს სამყარო. როგორი ადამიანები ცხოვრობენ მასში, ამას მკითხველი ავტორის (მწერლის) დახასიათების მიხედვით კი არ იგებს, არამედ იმის შესაბამისად – რა მოვლენები ხდება მასში, როგორია პერსონაჟის საქციელი, ფიქრი, დამოკიდებულება ცალკერძ თავისთავისადმი, ცალკერძ სხვათადმი. ეს ისევე ხდება, როგორც რეალურ სინამდვილეში. ყოველ ჩვენთაგანს რეალურ სინამდვილეზე წარმოდგენა იმის მიხედვით კი არ ექმნება, – რას ჩაგვჩიჩინებენ აგიტატორები და პროპაგანდისტები, – არამედ იმისდა თანახმად – რა ხდება ამ რეალურ სინამდვილეში, როგორ ცხოვრობს მასში ადამიანი.

როცა ამ თვალსაზრისით შევხედავთ მექი ვაშაკიძის ცხოვრებას, ნათლად დავინახავთ, რა მიმართულებით შეიცვალა იგი.

კომუნისტებმა ბარნაბა საგანელიძეს, როგორც კულაკს, ქონება უნდა წაართვან. მის შესანარჩუნებლად ბარნაბამ ხერხს მიმართა: ნივთები ურემზე დააწყო, ზევიდან ლეიბ-საბანი გაშალა და „ავადმყოფი“ თალიკო დააწვინა. დასახმარებლად მექის მოუხმო: როგორმე „სნეული“ თალიკო ქუთაისში ჩაიყვანეო. ბარნაბა ვარაუდობდა: მექი ბოლშევიკების კაცია და ურემზე ეჭვს არავინ მიიტანსო.

მექი თხოვნისთანავე საგანელიძეების ოჯახში გაჩნდა. მას თავდავიწყებით უყვარდა თალიკო და ახლა საშუალება ეძლეოდა ქალისათვის ერთგულება დაემტკიცებინა.

ურემმა, რომელზეც „სნეული“ თალიკო იწვა და წინ მექი მიუძღოდა, ქუთაისისაკენ გასწია. გზაზე მათ ხაჟომია წამოეწია. ხაჟომიას დაუდევრობამ და სულწასულობამ ბარნაბა საგანელიძის საიდუმლო გაამჟღავნა. მექი ყველაფერს მიხვდა. იგი უკვე „ახალი ადამიანი“ იყო და, ცხადია, მტკიცედ გადაწყვიტა: კულაკისათვის საკუთარი ქონება აღარ გაეტანებინა და იგი საბჭოური ხელისუფლებისათვის ჩაებარებინა.

თავგამეტებული ეძგერა მექი ხაჟომიას, სარმა გამოჰკრა და იგი მიწაზე დააგორა. ახლა ციტატი ამოვწეროთ მეტი საბუთიანობისათვის: „მექი ზურგზე მოექცა (ხაჟომიას – ა.ბ.), საფეთქელში მუშტი დაჰკრა და უსულოდ მიაგდო“.1

ასე მოკლა მექიმ ხაჟომია. თალიკოს რაღა უყო? ეს არ ვიცით. უკანასკნელად მექიმ თალიკოს მძულვარებით შეხედა, – მეზიზღებიო, – უთხრა და გაეცალა ქალს. მართალია, მერე ვხედავთ, როგორ მოჰყავს მექის სოფელში საგანელიძეების ქონებით დატვირთული ურემი, მაგრამ ზედ თალიკო აღარც ზის და აღარც წევს.

ასე გაძარცვა მექიმ საგანელიძეების ოჯახი.

უთუოდ ისიც უნდა გავიხსენოთ – რა ქონებას მალავდა ბარნაბა საგანელიძე და რას ართმევდნენ მას კომუნისტები. უნდა გავიხსენოთ იმიტომ, რომ იქნებ მართლა ზღაპრული, უთვალავი საგანძურის პატრონი იყო ბარნაბა და კომუნისტებმა ცდუნებას ვეღარ გაუძლეს?

უკვე ის, რომ ბარნაბა საგანელიძის ქონება ერთ ურემზე დაეტია, ნათლად მეტყველებს, რისი მფლობელიც იყო გასატყავებლად გამეტებული „კულაკი“. მაგრამ ურმით მიღებულ შთაბეჭდილებას ნუ ვენდობით და რომანში სიტყვასიტყვით წავიკითხოთ, რა ეწყო ურემზე.

– რა წამოიღეთო, – ეკითხება ხაჟომია თალიკოს. ქალი უპასუხებს – „ხალიჩები, ოქრო-ვერცხლი, ჭურჭელი, ტანისამოსი...“1 კარგად დააკვირდით, ადამიანს ართმევენ ჭურჭელსაც და ტანისამოსსაც. მე მგონია, საჭირო არ არის განმარტება – ვინ არის იგი, ვინც ადამიანს ჭურჭელსა და ტანისამოსს ართმევს.

ნუ დაგაბნევთ თალიკოს პასუხში ნახსენები ოქრო-ვერცხლიც. ცოტა ქვემოთ შეიტყობთ – რა ოქრო-ვერცხლია ეს – მექიმ „ხურჯინს ხელი მოუფათურა. მაღალყელიანი სურები შეიცნო, ვერცხლით მოჭედილი ყანწები“.2

სულ ეს ყოფილა. სხვა არაფერი წერია რომანში. თუმცა უნდა დავამატოთ – ყაბარდოული ხარები, რომელნიც უღელში იყვნენ შებმულნი (ნურც ამას დატოვებთ უყურადღებოდ – გლეხს ხარის ყოლის უფლება არა აქვს!).

კარგად ჩანს, რომ ბარნაბა საგანელიძეს ჩვეულებრივი საოჯახო ნივთები ჰქონია და მეტი არაფერი. ჰქონია ის, რაც უნდა ჰქონდეს ყოველ ნორმალურ ადამიანს, თუ იგი მუშა-საქონლად არ არის გადაქცეული.

აი, რისი გადამალვა უნდოდა თურმე ბარნაბა საგანელიძეს.

აი, რისთვის ძარცვავდნენ მას კომუნისტები.

აი, რა საქმეში მონაწილეობს მექი ვაშაკიძე და თან საკუთარი სურვილით, ძალდაუტანებლად.

იქნებ ეს მცირე ქონება ბარნაბა საგანელიძემ სხვას წაართვა ან უნამუსო გზით იშოვნა და ამდენად, ასე თუ ისე, სამართლიანად ჩავთვალოთ, თუ მასაც ჩამოართმევენ? არა, ბარნაბა მუშაკაცი იყო და, რაც ჰქონდა, ყველაფერი მწარე და მძიმე შრომით იყო შეჩენილი. აი, საბუთიც რომანიდან:

„ბარნაბას მძიმე, ხაოიანი ხელისგული დღეცისმარე მიწას ეფერებოდა, მიწაც მისი გამგონი და მორჩილი იყო.

ოცდასამი წელიწადი გავიდა, ქეიფში არ გაუთენებია, ძილში არ დაუღამებია, არც ქალის კაბას გამობმია: მიწის რჯული დროს ტარებას უკრძალავდა“.3

ასე გაძარცვა მექი ვაშაკიძემ ადამიანი. ადამიანი მუყაითი, ბეჯითი, მშრომელი. მაგრამ ამის გამო (არც ხაჟომიას მოკვლისათვის) მექის ოდნავადაც არ შეუწუხებია თავი. არ უგრძვნია სულ მცირედი ტკივილიც კი სინდისისა. პირიქით, თავი გალაღებულად იგრძნო, რაკი მიხვდა, რომ პატიოსნება საბოლოოდ დათრგუნა და ჩაკლა თავისთავში. ამიერიდან იგი უკვე თავისუფლად ჩაიდენდა ყოველგვარ სისაძაგლეს, რადგან მისთვის აღარ არსებობდა ნამუსი, როგორც ადამიანის საქციელის დარაჯი.

უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კოლხეთის ცისკარში“ ამოვიკითხეთ კომუნისტური „ახალი ადამიანის“ ერთ-ერთი ნიშან-თვისება.

კომუნისტური „ახალი ადამიანი“ კოლექტივის მოჯამაგირეა. ამ კოლექტივის სასარგებლოდ იგი დაუფიქრებლად მზად უნდა იყოს მკვლელობისათვისაც და მძარცველობისათვისაც. და კარგული უნდა ჰქონდეს სინდისის ქენჯნის უნარიც.

პროლეტარულ მწერლობას ისე არაფრის ეშინოდა, როგორც სიყვარულის. მარტო მექი ვაშაკიძეს კი არ ემუქრებოდა სიყვარული შერცხვენითა და თავისმოჭრით, არამედ ყველა პროლეტარს და ღატაკ გლეხს. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ ძველი ბოლშევიკები, რომელნიც რევოლუციის შემდეგ მოდუნდნენ. პროლეტმწერლობა სასტიკად ებრძვის სიყვარულს, დასცინის მას.

რამ გამოიწვია ეს? რატომ გახდა სიყვარული საშიში? სიყვარული ბუნებრივი, ბიოლოგიური გრძნობაა და კლასობრივ დიფერენციაციას არ ემორჩილება. შესაძლებელია გლეხს აზნაურის ან თავადის ქალი შეუყვარდეს (ხომ უყვარდა მოჯამაგირე მექი ვაშაკიძეს კულაკის ბარნაბა საგანელიძის ასული თალიკო!). პროლეტარი, მუშა ბურჟუას ოჯახის შვილს ეტრფოდეს. ძველმა რევოლუციონერმა ბოლშევიკმა არისტოკრატიული შთამომავლობის ქალი შეირთოს. ეს არა მარტო მოსალოდნელი იყო, არამედ ასეც ხდებოდა. მაშინ კლასობრივ ბრძოლას რა ემართებოდა? როგორ უნდა მოქცეულიყო ამგვარ სიტუაციაში პროლეტარული თუ გლეხური წარსულის მქონე „ახალი ადამიანი“? ეს საკითხი პროლეტმწერლობას ძალიან აწუხებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ არისტოკრატიული, ბურჟუაზიული თუ კულაკური ოჯახიდან გამოსული ქალი სოციალიზმისა და ბოლშევიზმის დაუძინებელი მტერი იყო. პროლეტმწერალი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ ქალების მიზანი მუშის, გლეხის ბოლ-

შევიკის დაღუპვა იყო, მათი რევოლუციური სიფხიზლის მოდუნება ეოცნებებოდა და მერე, რასაკვირველია, კლასობრივი მტრის შავი ზრახვების განხორციელება. ის კი ავიწყდებოდათ, რომ მარქსის ცოლი ბარონესა იყო, ბარონესა ჟენი ფონ ვესტფალენ, ხოლო ლენინის თანამეცხედრე ნადეჟდა კრუპსკაია – აზნაურის ქალი. ამას პროლეტმწერლობისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამეთუ მათ კლასობრივი ბრძოლა უნდა აესახათ და წინასწარ შედგენილი მოდელის შესაბამისად ეწერათ.

რას აკეთებდა ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი „ახალი ადამიანი“? პასუხს პროლეტარული მწერლობა გვაძლევს.

იაკინთე ლისაშვილის რომანში „ვარდნილი“ ძველ ბოლშევიკს ლევან ქვაკირელს1 ცოლად ჰყავს მდიდარი გლეხის ქალი ქეთო. მავნებელი რევაზ ფხაკაძე მაშინვე მიხვდება, რომ რაკი ქეთო მდიდარი ოჯახისშვილია, შესაძლებელია მისი გამოყენება მტრული მიზნის განსახორციელებლად. ფხაკაძე მავნებელ ინჟინერს პეტრე კაკანაძეს ავალებს: „– თქვენ აუცილებლად უნდა გახდეთ ქვაკირელის ახალგაზრდა ცოლის გულის მესაიდუმლე. ეს, როგორც მე ვიცი, არც ისე ძნელი საქმე იქნება. ქვაკირელი უკვე 40 წლის კაცია, მისი ცოლი კი მხოლოდ 20 წლის თუ არის. ქვაკირელის ცოლი გამოსულია მდიდარი გლეხის ოჯახიდან, გაუნათლებელია, მისი ბუნება კერძო საკუთრების და განდიდების სურვილზე უფროა დაყრდნობილი, ვიდრე კომუნისტურ იდეებზე. ჩვენ კი ამ ქალის სწორედ ამ სუსტ მხარეს უნდა ჩავჭიდოთ ორივე ხელი და ჩვენსკენ დავითრიოთ“.2

რომანში არაფერია ნათქვამი – რატომ შეირთო 40 წლის ბოლშევიკმა მდიდარი გლეხის 20 წლის გოგო, ან, თუ მავნებელი ფხაკაძე მიხვდა, როგორი ბუნების იყო ქეთო, რატომ ვერ გამოიცნო ეს 40 წლის ბოლშევიკმა ლევან ქვაკირელმა? მაგრამ ამგვარ კითხვებს პროლეტმწერლისათვის არა აქვს მნიშვნელობა. იგი მოდელის შესაბამისად მოქმედებს.

ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ფხაკაძემ დაგეგმა.

კაკანაძემ შვებულება ითხოვა – დაღლილი ვარ და ცოტა ხნით დავისვენებო. ქვაკირელმა მას შვებულება მისცა და თან სთხოვა – თქვენს მეზობლად აგარაკი ჩემი ცოლისთვისაც იქირავეთო. კაკანაძესაც ეს უნდოდა, წაღვერში მან ორი აგარაკი დაიქირავა: ერთი თავისთვის, მეორე ქეთოსათვის. ეს ხელსაყრელი შემთხვევა კაკანაძეს ხელიდან არ გაუშვია და ქეთო საყვარლად გაიხადა.

მერე ისინი თბილისში დაბრუნდნენ. ერთ დღეს ქეთო შინ ესტუმრება კაკანაძეს. ახლა ი. ლისაშვილს მოუსმინეთ:

„– წამოდი ჩემთან, – საჩქაროდ მიმართა მან ქეთოს და ისინი მეორე ოთახში გავიდნენ.

ამ ოთახიდან რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა მარტოდ კაკანაძე, რომელიც შუბლზე და მთელს სახეზე გადმოღვრილ ოფლს ცხვირსახოცით იშორებდა“. (გვ. 259).

სატრფოს სარეცელიდან წამომდგარმა კაკანაძემ წერილი მისწერა სევა კალაძეს. ეს ბარათი მან ქეთოს გაატანა ვარდნილის მშენებლობაზე. ქეთომ არ იცოდა, რა ეწერა წერილში. მან უბრალოდ პეტრე კაკანაძეს თხოვნა შეუსრულა. თურმე ამ წერილით მავნებლებს განკარგულება მისცეს აეფეთქებინათ კაშხალი.

რა ქნა ლევან ქვაკირელმა, როცა გაიგო ცოლის უნებლიე მონაწილეობა ბოროტმოქმედებაში?

წაიკითხეთ, რაც წერია რომანში:

„როდესაც ქვაკირელმა გაიგო, რომ ყოველივე ამის მონაწილეა მისი ცოლი ქეთო – ის უეცრად ერთ ადგილას გაიყინა, შემდეგ ერთი წუთით უკანვე მიბრუნება განიზრახა, რომ ტყიდან გამოვარდნილი მხეცივით მივარდნოდა ავტოში დარჩენილ ქეთოს და ნაკუწებად ექცია ის... მაგრამ არა, ლევანი ჩქარა მიხვდა, რომ ახლა ამის დრო არ არის, რომ ახლა მის წინაშე დგას უფრო მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა,

რომლის გადაწყვეტა დროს ვეღარ ითმენს და მან ისევ მტკიცე გადაწყვეტილებით გასწია წინ კაშხალისაკენ“. (გვ. 273).

ძველმა ბოლშევიკმა ჯერ კაშხალის გადარჩენაში მიიღო მონაწილეობა და მერე ცოლი დააპატიმრა.

„ლევან ქვაკირელს გული შეუტოკდა, მთელი ძარღვები დაეძაბა, ქეთოსკენ ერთი მაგარი გამომეტყველებით მიიხედა, ლოგინთან მივარდა და უეცრად ქეთო ხელში პატარა ბავშვივით აიყვანა.

ქეთო კნაოდა, ქვაკირელის მაგარ მკლავებში გამომწყვდეული, თავის განთავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. მამაკაცის მაგარ ძვლებზე ტკეჩივით იღუნებოდა ქალის სუსტი, სათუთი ძვლები (ენის უცოდინარობას ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ეს ყველა პროლეტმწერლის სენი იყო. – ა.ბ.) და ქეთომაც თავის განთავისუფლების იმედი დაკარგა.

– ძაღლებო, სისხლის მსმელებო! – იგინებოდა ის, ხოლო ლევანი მას პასუხს აღარ აძლევდა და მძიმე ნაბიჯების მოცვლით სამმართველოსაკენ მიჰყავდა თავისი „ერთგული“ და „საიმედო“ ცოლი...

ლევანმა მიიყვანა ის შეგროვილ ხალხთან, დაპატიმრებული ავტოში ჩასვა და, როდესაც ავტოს კარი მიკეტა, ლევანის გულს აღარ ჰკბენდა და აღარ ღრნიდა ქეთოს თავშეუკავებელი, გესლიანი სიტყვები“ (გვ. 283-284).

ნუ იფიქრებთ, რომ „ვარდნილი“ უბრალო უსუსური რომანია და ამის ბრალია ადამიანთა ესოდენ პრიმიტიული წარმოდგენა. ასე არ არის. ამ რომანს აღტაცებული შეფასება მისცეს ს. ჩიქოვანმა, ბ. ჟღენტმა, ვ. გაფრინდაშვილმა, ი. ვაკელმა.1 გ. ნატროშვილი კი წერდა: „ამით ხდება „ვარდნილი“ ახალი ბელეტრისტიკის ისეთ ნიმუშად, რომელშიაც მოსჩანს ჩანასახები ნამდვილი სოციალისტური რეალიზმისა, სამყაროსთან ახალი მისვლისა; ყოველი მოვლენა ამგვარ პროზაში პროლეტარულ მსოფლმხედველობის დარჯაკშია გატარებული, ნაჩვენებია არა ქვეყანა საერთოდ, არა „ღვთაებრივი“ სილურჯე ცისა და ზურმუხტი დედამიწისა, არამედ პროლეტარული მიწა, პროლეტარული ქარხანა“2 (ხაზგასმულია გ. ნატროშვილის მიერ. მისათითებელია, რომ „ვარდნილში“ აღწერილია ელსადგურის მშენებლობა და არა ქარხნის – ა.ბ.).

ამდენად უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ „ვარდნილში“ გამოვლენილია ადამიანისადმი დამოკიდებულების ის პრინციპი, რომელსაც საერთოდ იზიარებდა კომუნისტური სიტყვაკაზმული ლიტერატურა.

„ვარდნილმა“ გაგვაცნო კომუნისტური „ახალი ადამიანის“ კიდევ ერთი ნიშანთვისება: იგი უნდა იყოს ნებაყოფლობითი მილიციელი, ნებაყოფლობითი КГБ-ისტი და თავად უნდა აპატიმრებდეს თავის ოჯახის წევრებს. თითქოს კომუნისტებს დამჭერი და დამპატიმრებელი აკლდეთ.

ამ დასკვნას ადასტურებს იმავე იაკინთე ლისაშვილის მეორე რომანი „ძახილი მთაში“.

ღატაკი გლეხის სოლომონ ხურციძის ვაჟს ნოდარს უყვარს კულაკის პავლია შარაძის ქალი ეთერი. ცხადია, პავლია შარაძეს უნდა კულაკური ბოროტი ზრახვების განსახორციელებლად გამოიყენოს ქალ-ვაჟის სიყვარული. იგი ეთერს ურჩევს: თავი ისე დაიჭირე, თითქოს არ გიყვარს და ამით კიდევ უფრო მტკიცე გახდებაო ნოდარის ტრფობა შენდამი. ეთერი მამის მზაკვრულ რჩევას დაიჯერებს. ეს მდგომარეობა ნოდარს საშინლად ააფორიაქებს. ვერ გაუგია – მართლა უყვარს ეთერს იგი თუ არა. ერთხელ ღამით, ძარღვებაშლილი და მთვრალი ნოდარი მათი პაემანის ადგილისაკენ გაეშურება. იგი წააწყდება ჩაბალახით თავპირახვეულ ორ მამაკაცს. ეს ნოდარს საეჭვოდ მოეჩვენება და მათ თვალყურისდევნებას დაუწყებს. უცნობი საეჭვო პირები ჯერ მატარებლის ჩამოსვლას მოუცდიან და მერე მგზავრებს აედევნებიან. ბნელ კუთხეში ერთ-ერთ მგზავრს მოკლავენ, გაძარცვავენ და მიიმალებიან. ნოდა-

რი მაშინვე გამოუდგება მკვლელებს, მაგრამ ვერ დაიჭერს. ამასობაში სოფელი ბოროტმოქმედების ამბავს შეიტყობს. მკვლელებს დაუწყებენ ძებნას, მაგრამ ვერ იპოვნიან. ხელთ მხოლოდ ნოდარი შერჩებათ. მას დააპატიმრებენ. ეჭვით იგი მიაჩნიათ მკვლელად, რატომღაც ნოდარი არ იტყვის – რა და როგორ მოხდა. მხოლოდ წამდაუწუმ ყვირის – დამნაშავე ვარო. ეს კიდევ უფრო აძლიერებს სოფლელების ეჭვს. რამდენიმე დღის შემდეგ ნოდარს სოფლის სატუსაღოდან გაიყვანენ და სხვაგან წაიყვანენ. გზაში ნოდარსა და მილიციელებს თავს დაესხმის ყაჩაღების ჯგუფი, გიგო კურნოზაშვილის მეთაურობით. მილიციელებს დახოცავენ და ნოდარს გაათავისუფლებენ. თურმე ეს იმიტომ ჩაიდინა გიგო კურნოზაშვილმა, რომ მასაც უყვარს ეთერი და ნოდარის საშუალებით აპირებს მის ხელში ჩაგდებას. სოფელში ხმა გავრცელდება, რომ ყაჩაღებმა ნოდარის გულისათვის დახოცეს მილიციელები. სოფლის აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. მართალია უკვირთ – კომკავშირელი და ყაჩაღი? მაგრამ ფაქტი ვერაფრით აუხსნიათ.

თავზარდაცემულია ნოდარის მამა სოლომონ ხურციძე. კოლმეურნეობაში მას დასცინებენ: „ვნახოთ, რამდენი ადგილი უჭირავს შენში ყაჩაღ შვილს და კომუნისტობას“. ამას კი ვეღარ მოითმენს სოლომონ, დაავლებს თოფს ხელს და შვილის მოსაკლავად გაეშურება.

ტყეში სასოწარკვეთილი ნოდარი დაასკვნის – ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო – და გიგოს ეცემა. რევოლვერს წაართმევს. გიგო გაიქცევა და ნოდარი დაედევნება (სხვა ყაჩაღები ამ დროს სად იყვნენ, არ ვიცით).

როცა სოლომონმა ყაჩაღების ბუნაგს მიაღწია, დაინახა, რომ შვილი ავაზაკებს ედავებოდა.

„ალბათ, ნაძარცვზე იწყება ჩხუბიო, – გაუელვა თავში. მისი გული ისე ფეთქავდა, როგორც ზღვა ძლიერ გრიგალში.

„– შვილი? – ჰო, არასოდეს არა მყოლია! მკვდარი ხარ, შვილო! მკვდარი ხარ!“ – იყვირა მან.

როდესაც შვილისაკენ მიშვერილი ბერდანის გასროლა დააპირა, შენიშნა ყაჩაღი, რომელიც რევოლვერით ხელში ნოდარს ზურგიდან ეპარებოდა. ის იყო ნოდარისათვის უნდა ესროლა, რომ სოლომონმა ვერ მოითმინა და პირველი მას გაუგზავნა, მეორეთი კი შვილი დასცა ძირს“.1

დიახ, დიახ ასე წერია სიტყვასიტყვით. ყაჩაღმა რომ მოუკლას შვილი, ეს დაუშვებელია. უთუოდ თვითონ უნდა განგმიროს. სხვათა შორის არც აქ იცის მკითხველმა, ამ დროს დანარჩენი ავაზაკები რას აკეთებენ. თუმცა ავტორი იმას კი გვატყობინებს, რომ ნოდარმა მაინც მოასწრო გიგოც მოეკლა და კიდევ ერთი ყაჩაღი. როგორ?

ადგას თავს მომაკვდავ შვილს სოლომონი და ესმის ნოდარის სიტყვები – „კომკავშირელი ვიყავი. გადაეცი ჩემს ამხანაგებს...“ სოლომონი მაშინვე მიხვდება, რომ შვილი დამნაშავე არ არის. ამასობაში სოფლელებიც ამოვლენ ტყეში და მძიმედ დაჭრილ ნოდარს სოფელში წაიყვანენ.

ნოდარი გადარჩება, რაკი კომკავშირელი და მართალი იყო.

ეს ეპიზოდიც უსაშველოდ მოსწონდა ლიტერატურულ კრიტიკას და აქებდა და ადიდებდა. საბუთად ერთი ამონაწერი:

„მეტად ჟრუანტელდამვლელია სცენა, როდესაც ნოდარის მამა მოხუცი სოლომონი სირცხვილის ჩამოსაწმენდად გასწევს შვილის მოსაკლავად ბერდანის თოფით ხელში და თოვლით შემოსილ მთებს გადალახავს. ის ერთადერთი აზრითაა გამსჭვალული, რომ შვილი დიდიხანია ზნეობრივად მოუკვდა და ახლა ფიზიკურად უნდა მოსპოს იგი. აი, ისროლა... გაისმა მომაკვდავი შვილის კვნესა. ეს კვნესა გამოაფხიზლებს მამას, მიიჭრება და დაჭრილ შვილს ველური ღმუილით დასტირის (ღმუი-

ლი არ არის რომანში. იგი კრიტიკოსს მოეჩვენა – ა.ბ.), როგორც უკვე ნამდვილი მამა და არა როგორც მარტოდენ მოქალაქე, ჩვენი საზოგადოების სიფხიზლის სადარაჯოზე გადმომდგარი და შვილმაც შეუნდო მამას.

„... მამა, მე ყველაფერი ვიცი... შენ მართალი ხარ, მე დამნაშავე... მაგრამ ყაჩაღი მაინც არა ვარ... მე ვკვდები კომკავშირელი...“ (არაზუსტად არის ციტირებული – ა.ბ.).

და ეს წრფელი აღსარება იმდენად დამაჯერებელია, რომ ფხიზლდება და მზადაა შვილის სიცოცხლეს შესწიროს უკანასკნელი სუნთქვა, რომელიც ისევ ველურ ამონაკივლში გადმოიღვრება:

„აჰუ!“1

კომუნისტურმა „ახალმა ადამიანმა“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოავლინოს მოყვასის სიყვარული. ეს სისუსტე, უნიათობა და უხერხემლობაა. ერთადერთი, რაც მას უნდა უყვარდეს, ეს პროლეტარიატია.

პანტელეიმონ ჩხიკვაძის პერსონაჟი, ბოლშევიკი და საქსოვი ფაბრიკის დირექტორი გრიგოლ გიგაური (რომანი „სართულები“) თათბირს ატარებდა, როცა შეატყობინეს, რომ მისი პატარა ბიჭი ავარიაში მოჰყვა. მას ერთი წუთით ენა დაებორკა, მაგრამ თავი მალე შეიკავა და თათბირი გააგრძელა. გრიგოლმა ეს წამიერი დაბნეულობა ვერ აპატია თავისთავს.

„გიგაურს მწარედ გაეღიმა. ენის დაბორძიკებაში და მეტყველების დაჩლუნგებაში საკუთარი სისუსტე აღმოაჩინა... ხასიათის და ნების სისუსტე!.. თორემ აბა, რას უნდა მიეწეროს გიგაურის ასე უცაბედი დარეტიანება? ფიქრობს ის თავისთვის... – აბა რა მოხდა ისეთი? კატასტროფა, უბედური შემთხვევა! მერე?“1

მერე რა, ბავშვი თუ დაიღუპა? განა თათბირი შვილის სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი არ არის? ეს არც ეეჭვება „ახალ ადამიანს“ გრიგოლ გიგაურს და თათბირს ბოლომდე ჩაატარებს.

საბედნიეროდ, პატარა გურამი არ დაღუპულა. მაგრამ სიცხით გათანგული, მძიმე ავადმყოფი წევს. მამა, გრიგოლ გიგაური, ფაბრიკაში უნდა წავიდეს და მიტინგი ჩაატაროს. ცოლი, ლუარა, ემუდარება, ნუ წახვალ: „– ადამიანო, ბავშვი სიგიჟის კარზე გვყავს, სიცხით იწვის და შენ დღეს ზეიმის ხასიათზე ხარ? შენ კიდევ ორატორობასა და საზეიმო სხდომაზე გამოსვლას ფიქრობ?“ (გვ. 270). რა თქმა უნდა, გრიგოლი ლუარას ყურსაც არ ათხოვებს, სნეულ შვილს დატოვებს, ფაბრიკაში წავა და მიტინგს ჩაატარებს. ფაბრიკაში მისულ გრიგოლს „ტანში ჟრუანტელი უვლის, ჟრუანტელი სიხარულის და აღტაცების...“ და იცით რატომ? იმიტომ, რომ „მოსჩანს გაელვარებული დაზგები და დაზგებთან სპეცტანსაცმელში მორთული მუშები“ (გვ. 271).

გრიგოლი ისე იქცევა, როგორც კომუნისტურ „ახალ ადამიანს“ შეფერის, მაგრამ ის თუ მიხვდით, ლუარას რატომ უყვარს შვილი და რატომ ეხვეწება ქმარს, ავადმყოფ ბავშვს ნუ დატოვებო? ლუარა არისტოკრატიული ოჯახის შვილია და ჯერ კიდევ შეპყრობილია ქრისტიანული კაცთმოყვარეობის გრძნობით. ამ ქალის შერთვა შეცდომაა, რომელიც რატომღაც ბოლშევიკ გრიგოლ გიგაურს მოუვიდა. მაგრამ მარტო ეს უბედურება არ სჭირს გიგაურს. მისი ძმა ლევანი მავნებელთა წრეში აღმოჩნდა ჩათრეული. როცა ლევანი მოჰკლეს, გრიგოლი დასაფლავებაზე არ წავიდა.

„– გრიშა!

– რა გინდა, ლუარა?

– წავიდეთ... მიცვალებულსაც ხომ პატრონობა სჭირდება, გრიშა!

– იმას სათანადოდ უპატრონებენ...

– საბრალო ლევანი! – აღმოხდა ისევ ლუარას გულიდან.

– ლუარა! არც ერთი ოხვრა და სამძიმარი...“ (გვ. 198).

ასეთი მტკიცე და კლდესავით ურყევი არიან კომუნისტური „ახალი ადამიანები“, მაგრამ რატომღაც ყველას ერთი შეცდომა მოსდის: ან უყვართ, ან ცოლად ირთავენ

კლასობრივი მტრის ქალებს. იმ რომანებში, სადაც კომუნისტური „ახალი ადამიანია“ დახატული, არ არის ახსნილი, რით არის გამოწვეული ეს შეცდომა. აქ შეიძლებოდა ერთი ვარაუდი დაგვეშვა: როცა რევოლუცია მიმდინარეობდა, ბოლშევიკებს მოსწონდათ ტყავის ქურთუკში და სალდათურ ჩექმებში გამოწყობილი მაუზერიანი დედაკაცები, რომელნიც ადამიანებს ისევე იოლად ხოცავდნენ, როგორც ბუზებს. რევოლუციის მერე, როცა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში და გაბატონდნენ, გაპირუტყვებული подруга-ები აღარ ეპიტნავებოდათ და გული ნაზი, კდემამოსილი და ჰაეროვანი ასულებისაკენ მიუწევდათ. ცხადია, ოფლისა და სისხლის სუნით აყროლებულ ქალთან ლოგინში კოტრიალს, იმ მანდილოსანთან ნებივრობა სჯობდა, ვისაც ნაირ-ნაირი ნელსაცხებლის სურნელი ასდიოდა. თან კლასობრივი მტრის ქალიშვილების ხელში ჩაგდება არც ისე ძნელი იყო. ისინი, შიშით გულგახეთქილნი, ოღონდ ცოცხალი გადავრჩეო, უსიტყვოდ მიჰყვებოდნენ გამარჯვებულ ბოლშევიკებს.

სექსუსმა პრაქტიკოს კომუნისტებს კლასობრივი შუღლი დაავიწყა, მაგრამ თეორეტიკოსი ბოლშევიკები მაინც ებრძოდნენ სიყვარულის ნიადაგზე კლასობრივ შერიგებას. ალბათ ამიტომ შემუშავდა მოდელი – რევოლუციონერი ბოლშევიკი და კლასობრივი მტრის ქალი. მათი ურთიერთობა, როგორც წესი, მხატვრული ლიტერატურის გმობის საგანი იყო. თეორეტიკოსები აშინებდნენ პრაქტიკოსებს – კლასობრივი მტრის ქალი გადაგვაგვარებსო და იხატებოდა პერსონაჟები, მსგავსი სევასტი თალაკვაძის შექმნილი ბაიაშვილისა (რომანი „გადასასვლელი“). ნათავადარმა ცოლმა კომუნისტ ბაიაშვილს დააკარგვინა ბოლშევიკის სახე. ამ ქალის წყალობით ბაიაშვილი ისე დაეცა, რომ, ჯერ ერთი, კომკავშირელ თინას არშიყობა დაუწყო და, მეორეც, რევოლვერი ჰქონდა ჯიბეში, მაგრამ კულაკის ვაჟს ჭუჭულა ეპიტავას ვერ ესროლა.

ხედავთ, სანამდე შეუძლია მიიყვანოს კომუნისტი ნათავადარ, ბურჟუაყოფილ ან კულაკის ქალს! ამ საშინელებას საბჭოური მწერლობა ვერ უძლებდა და თავგადადებული ებრძოდა სიყვარულს!

ბორის ჩხეიძის რომანში – „ფერო“ – მელაშა, აქტივისტი მუშა-ქალი ფიქრობს:

„– მაგრამ სიყვარული? – ეკითხებოდა იგი თავისთავს. და ამაში იგი გულისხმობდა არა იმ სიყვარულს, რომელსაც გულისხმობდა, ვოლკოვი, როდესაც ხედავდა ამხანაგებს (ორგანიზაციულად დარაზმული ამხანაგების სიყვარულს), არა, იგი გულისხმობდა ქალისა და კაცის სიყვარულს. მელაშა ჯერ მაინც არ ასულიყო იმ სიმაღლეზე, რომ მას გაერჩია იგი და მოტყუვდა“.1

მელაშას შეეშალა: მას ეგონა, რომ ვოლკოვს იგი უყვარდა, როგორც ქალი. ვერ მიხვდა, რომ ვოლკოვს იგი უყვარდა, როგორც ორგანიზაციულად დარაზმული ამხანაგების ერთ-ერთი წევრი. ეს ქალის ჩამორჩენილობის ბრალი იყო. მელაშა კი, იმის მაგიერ რომ ეს გაეგო, საპარიკმახეროში გაიქცა, თმები შეიკრიჭა, პომადა წაისვა, წარბები გამოიქნა. მაღაზიაში პარფიუმერიული საგნებიც კი იყიდა. ეს რომ დაინახა პიონერმა შვილმა, კინაღამ გაგიჟდა და დედას ეხვეწებოდა: „– პირი დაიბანე, დედი, პირი დაიბანე, შენ ხომ ჩემი დედიკო ხარ, დედიკო...“ (გვ. 254).

მკითხველი რომ არ დაიბნეს, უნდა გაგახსენოთ ვოლკოვისა და მელაშას ძველი ურთიერთობა.

ვოლკოვი და მელაშა თავდაპირველად პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე შეხვდნენ ერთმანეთს ზესტაფონში. ვოლკოვი „იყო ამ რაიონში არარეგალურად მომუშავე, მელაშამ მისი არც გვარი იცოდა და არც სახელი. იგი თვით არ ამხელდა და ამხანაგებმაც არ იცოდნენ ნამდვილად. მელაშას ის შეუყვარდა მხოლოდ იმისათვის, რომ ის არარეგალურად მუშაობდა“. (გვ. 164).

შეუყვარდა და შვილიც შეეძინა მისგან.

მერე ვოლკოვი ომში წაიყვანეს და იგი დაიკარგა. ვოლკოვი მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ დაბრუნდა ზესტაფონში. მელაშამ იგი ვერ იცნო. ვოლკოვმა იცნო მელაშა, მაგრამ თავი არ გაახსენა, მას არც ყოფილი სიყვარული აინტერესებდა და არც შვილი. იგი ზესტაფონში ქარხანას აშენებდა და ეს იყო მთავარი. მოხდა ისე, რომ მელაშას მეორედაც შეუყვარდა ვოლკოვი. მაგრამ ვოლკოვმა მეორედაც დატოვა ქალი. მან ზესტაფონში ქარხნის მშენებლობა დაამთავრა და გაგზავნეს „ახალ შენებაზე, სადღაც ავღანისტანის თუ სპარსეთის საზღვარზე“ (გვ. 251). აი, მაშინ იყო, რომ დაბნეულმა მელაშამ იკითხა – „მაგრამ სიყვარული?“ – და საპარიკმახეროშიც შეიარა კოსმეტიკისათვის, რამაც პიონერი შვილის გულისტკივილი გამოიწვია.

მაგრამ ამჯერად „ფერო“ მხოლოდ სიყვარულისადმი დამოკიდებულების საჩვენებლად არ გამიხსენებია. „ფეროც“ გვაცნობს კომუნისტური „ახალი ადამიანის“ კიდევ ერთ ნიშან-თვისებას. კომუნისტურ „ახალ ადამიანს“ არც ღვიძლი ერი უყვარს. მისთვის სულერთია, ვინ იქნება იგი ეროვნებით.

„ფეროს“ პროტაგონისტი ლუკა ვოლკოვი ქართული ლავრენტი მგელაძეა, მაგრამ ამას არც ნამდვილი სახელისა და გვარის დაკარგვა აწუხებს და არც ეროვნების.

„იგი კმაყოფილი იყო, რომ მას ერქვა ლუკა ვოლკოვი და არა ლავრენტი მგელაძე. ბოლოს და ბოლოს, სულ ერთი იყო მისთვის, პირადად ვინც უნდა ყოფილიყო, რუსი თუ ბური, ქართველი თუ ესკიმოსი. მას ჰქონდა ცხოვრებისათვის საჭირო პირობები, იგი იყო პროლეტარი, პარტიზანი, მშენებელი, შრომობდა და სწავლობდა და ესმოდა ცხოვრება როგორც ბრძოლა, დაპყრობა ბუნებისა, მისი მოყვანა წყობაში და შრომაში“ (გვ. 248).

ამიტომ სძულდა მას სიტყვა „პატრიოტი“. როცა ერთხელ ეს სიტყვა მისი მისამართით ითქვა, ვოლკოვს „დაავიწყდა ყველაფერი და ყურებში უტრიალებდა მხოლოდ სიტყვა „პატრიოტი“, რომელიც მას სძაგდა და ეშინოდა კიდევაც, თუკი მას ეროვნული თვალსაზრისით მიაწერდნენ ამ თვისებას. სული შეეხუთა. ენა დაება და მოჰყვა სლოკინს, აკანკალდა...“ (გვ. 114).

ახლა კომუნისტური „ახალი ადამიანის“ უკვე ჩამოთვლილ ნიშან-თვისებებს დავუმატოთ ისიც, რაც მიხეილ ჯავახიშვილმა აგვიწერა „დამპატიჟეში“ და მივიღებთ სრულ პორტრეტს.

ერთ დღეს შრომით წელში ოთხად მოკეცილ მებაღე თევდორეს ვიღაც ოქროპირი, მეტსახელად დამპატიჟე ჩაუსახლეს. კაცისშვილმა არ იცის, საიდან მოვიდა და ვინ არის ეს დამპატიჟე. არც ხნავს, არც თესავს, არც მკის, ხელსაც არ ანძრევს, სულ ჩრდილშია წამოწოლილი, მაგრამ არხეინად კი ცხოვრობს. ქეიფობს, ერთობა, დროს ატარებს, დილიდან საღამომდე ვარხალალოს გაჰკივის.

თევდორეს ამუშავებენ, ცხრაპირ ტყავს აძრობენ გადასახადებით, დაჭერითა და გადასახლებით ემუქრებიან. მოცვივდებიან, თევდორეს სუფრას გააშლევინებენ და სანამ ძირფესვიანად არ გამოხრავენ, არ მიდიან. დამპატიჟეს კი არავინ აწუხებს და არავინ ემუქრება. ის თევდორეს აზის კისერზე და სისხლს წოვს. ბოლოს დამპატიჟე თევდორეს ბაბალესაც შეირთავს და ბერიკაცის სამუდამო მყვლეფელი გახდება.

„ოთხფეხს ტკიპა შეუჩნდება, ფუტკარს წინწკალი ჩაუჯდება, ხეს ხავსი და ფითრი მოეკიდება, კლდესაც კი ფათალო ჩაექსოვება და ასე სცხოვრობენ სხვისი წვენით. ნეტა ადამიანიც ასე ხომ არ არის მოწყობილი?“

ფიქრობს თევდორე და დღემდისაც ვერ გადაუჭრია“.

ის, რაც თევდორემ ვერ გაარკვია, ჩვენთვის ნათელი და ცხადია. სწორედ კომუნისტური „ახალი ადამიანია“ ის ტკიპა, წინწკალი, ხავსი, ფითრი და ფათალო, რომელიც პატიოსანი მუშაკაცის ნაშრომ-ნაოფლარით იკვებება და სისხლით რწყულდება.

ასე შეიქმნა კომუნისტური „ახალი ადამიანი“ სოციალისტურ ეპოქაში.

რა თქმა უნდა, მაშინაც ნამდვილი მწერლობა წერდა ნამდვილ ადამიანებზე, მაგრამ გაბატონებული იდეოლოგია მათ ულმობლად ებრძოდა. უწოდებდა მტერს, ნაკაცარების, ზედმეტი და ყოფილი ადამიანების მომღერალს.

ამ ბრძოლას სრულიად კონკრეტული მიზანი ჰქონდა. იგი ასე გამოთქვა პარტიულმა მუშაკმა და პუბლიცისტმა გრიგოლ მუშიშვილმა: „პროლეტარული მწერლობა მუშათა კლასის მომავალი ლიტერატურაა, რომელიც უნდა გაბატონდეს სავსებით და მთლიანად“.1

პროლეტარული მწერლობის გაბატონება კი ნიშნავდა ლიტერატურასა და ცხოვრებაში იმ „ახალი ადამიანის“ პარპაშს, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ.

ეს განადგურებით ემუქრებოდა ჰუმანიზმს, ყოველგვარ ადამიანურს. თვით ცნებები – „ზედმეტი ადამიანი“, „ყოფილი ადამიანი“ – ანტიჰუმანისტური იყო. ამას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ებრძოდნენ რუსი მწერლები, რადგან ცნებები – „ზედმეტი ადამიანი“, „ყოფილი ადამიანი“ გასული ასწლეულის რუსულ ლიტერატურაში გაჩნდა და კომუნისტმა იდეოლოგებმა იქიდან ისესხეს. კომუნისტებს დაავიწყდათ ის მძაფრი პროტესტი, რომელსაც ობლომოვი გამოთქვამდა პენკინთან საუბარში (ივ. გონჩაროვი – „ობლომოვი“).

„– გამოსახე ქურდი, დაცემული დედაკაცი, მტკნარი სულელი და იქვე ადამიანიც არ დაგავიწყდეს. ადამიანურობა სადღა არის? თქვენ მხოლოდ თავით გინდათ წეროთ! – თითქმის სისინებდა ობლომოვი. თქვენ ფიქრობთ, რომ აზრისათვის გული არ არის საჭირო, არა, აზრი სიყვარულით ნაყოფიერდება. გაუწოდეთ ხელი დაცემულ ადამიანს, რომ წამოაყენოთ იგი, ანდა მწარედ იგლოვეთ ის, თუ იღუპება, მაგრამ ნუ გაამასხარავებთ. გიყვარდეთ იგი, გახსოვდეთ მასში თავისთავი და მოეპყარით მას, როგორც საკუთარ თავს, – მაშინ წავიკითხავ თქვენ წიგნებს, მაშინ დავხრი თქვენს წინაშე თავს... – თქვა მან და ისევ დაწვა წყნარად დივანზე. – ხატავენ ისინი ქურდს, დაცემულ დედაკაცს, – ამბობდა იგი, – ადამიანი კი ავიწყდებათ, ანდა არა აქვთ მისი გამოსახვის უნარი. რა ხელოვნებაა აქ, როგორი პოეტური საღებავები იპოვნეთ თქვენ? ამხილეთ გარყვნილება, ჭუჭყი, მხოლოდ, გეთაყვა, პოეზიის პრეტენზია ნუ გექნებათ.

– რაო, რას გვიბრძანებთ, ბუნება გამოვსახოთ: ვარდები, ბულბულები თუ სუსხიანი დილა, მაშინ, როცა დუღს, მოძრაობს ყველაფერი ირგვლივ? ჩვენ გვჭირდება მხოლოდ შიშველი ფიზიოლოგია საზოგადოებისა; არ გვცალია ჩვენ ახლა სიმღერებისათვის...

– ადამიანი, ადამიანი მოგვეცით! – ამბობდა ობლომოვი, – გიყვარდეთ იგი...

– გიყვარდეს მევახშე, ფარისეველი, მპარავი და გონებაჩლუნგი მოხელე – გესმით, რას ამბობთ? როგორ გეტყობათ, რომ ლიტერატურულ საქმიანობას არ ეწევით! – ცხარობდა პენკინი. – არა ისინი უნდა დაისაჯონ. უნდა გავაძევოთ საზოგადოებიდან, მოვკვეთოთ მოქალაქეთა წრეს...

– მოვკვეთოთ მოქალაქეთა წრეს! – შთაგონებული ალაპარაკდა უცბათ ობლომოვი და წინ დაუდგა პენკინს. – ეს ნიშნავს დაივიწყოთ, რომ ამ უვარგის ჭურჭელში არის უზენაესი საწყისი, რომ იგი წამხდარი კაცია, მაგრამ მაინც ადამიანია, ე.ი. ხართ თქვენ თვითონ. უნდა გააძევოთ! მაგრამ როგორ განდევნით კაცობრიობის წრიდან, ბუნების წიაღიდან, ღმრთის გულმოწყალებიდან? – თითქმის ყვიროდა იგი და თვალები უელავდა“.

საბჭოურმა მწერლობამ დაივიწყა ეს ჰუმანიზმი, რომელსაც ასე ცხარედ იცავდა ობლომოვი და პენკინების ანტიადამიანურ გზას გაჰყვა. შედეგიც სათანადო და შესაფერისი მიიღო. საბჭოურ საზოგადოებას დაეპატრონა და ბატონად გაუხდა ქურდი, მექრთამე, კომბინატორი, მფლანგველი, სახელმწიფო ხაზინის მძარცველი, მაქინატორი, გამომძალველი და სხვა ნაირ-ნაირი ჯურის ავაზაკი, ანუ ის „ახალი ადამიანი“, რომელიც სოციალისტურმა სინამდვილემ ჩამოაყალიბა. ამ მდგომარეობამ

თავზარი დასცა მწერლობას. ეს კონკრეტულადაც აისახა ლიტერატურაში: ნოდარ წულეისკირის პროტაგონისტი გუგუ კალანდარია („თუთარჩელა“) შეიშალა, როცა საკალანდარიოს სინამდვილე გააცნობიერა. ქვეყანას გაეთიშა, ჩაიკეტა და, სხვათა დანაშაულის მოსანანიებლად ქედზე ბორკილი დაიდო.

ნ. წულეისკირის საკალანდარიო კი საბჭოთა საქართველოა, ისევე, როგორც ფოლკნერის იოკნაპატოფა აშშ-ია, ხოლო მარკესის მაკონდო – კოლუმბია.

50-იანი წლებიდან მწერლობამ ზნეობრივი პრინციპების გადასინჯვა დაიწყო. უფრო სწორედ, ქრისტიანული ზნეობრივი იდეალისაკენ მიბრუნდა.

ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში „კუკარაჩა“ უბნის ინსპექტორი, მილიციელი თუშურაშვილი სახარებას კითხულობს. ყველაფერი შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, მაგრამ მილიციელი და სახარება ერთად, ყოვლად შეუძლებელია. გარნა ეს მწერლის ოცნებაა ქრისტიანულ კაცთმოყვარეობაზე, რომელსაც იგი სოციალისტურ სინამდვილეში ვეღარ ხედავს.

ქრისტიანულია „დათა თუთაშხიას“ ზნეობრივი დასკვნაც. „არა ჰკლათ კაცი ესე და აჰა, ნიჭი თქვენ, გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა“.

ეს მიბრუნება ქრისტიანული ზნეობრივობისაკენ იმის მაუწყებელი იყო, რომ დრომ და ჰუმანიზმმა სასტიკად დაამარცხა კომუნისტური „ახალი ადამიანი“ და მისი კლასობრივი იდეალი.

ამასთან ერთად გამოავლინა ის დიდი სულიერი კრიზისი, რომელიც ფლობს საბჭოურ საზოგადოებას. ქრისტიანობისაკენ მიბრუნება ორ რამეს ნიშნავს: პირველი ის, რომ, ზნეობრივი თვალსაზრისით, კომუნისტური იდეალი დამარცხდა ქრისტიანულ იდეალთან ბრძოლაში, ე.ი. ძველმა აჯობა ახალს. მეორეც ის, რომ დაიხურა ჰორიზონტი და არ ჩანს კომუნისტური საზოგადოების ახალი ეთიკური იდეალი. თუ კომუნისტური საზოგადოება ვერ შექმნიდა ახალ ზნეობრივ იდეალს, მაშინ რაღა საჭირო იყო ზღვა სისხლი, რომელიც ვითომდა კაცობრიობის განახლებისათვის დაიღვარა? ასე მოექცა საბჭოელი ხალხი ჩიხში. მან ამ ზნეობრივი კრიზისისაგან უნდა იხსნას თავი. მაგრამ იგი ამას მარტო ვერ გააკეთებს. ეს უნდა მოხდეს მთელ კაცობრიობასთან ერთად, დამარცხებული კომუნისტური ზნეობრივი იდეალის უარყოფით.

ალბათ კაცობრიობის აზროვნება უახლოეს მომავალში შექმნის იმ ზნეობრივ იდეალს, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნება წარსულის ეთიკასთანაც და თანამედროვე კოსმოსურ ეპოქასაც სრულად შეესაბამება.

ამის გარანტია ის არის, რომ კაცობრიობა არასოდეს უკან არ იხევს. იგი მხოლოდ წინ მიდის.

II
სამშობლო

ყველა დამონებული ერის მწერლობაში არსებობს თემა – უაზროდ სხვისთვის დაღვრილი სისხლი. ცხადია, არის იგი ქართულ ლიტერატურაშიც. თუ არ ვცდები, პირველად ილია ჭავჭავაძემ დაიჩივლა:

ვსთქვი, თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!..

(„იანიჩარი“)

მკვლევრები ამბობენ, რომ თავდაპირველად ამ ლექსში ოსმალეთის მაგიერ პეტერბურგი ყოფილა და სათაურადაც სხვა სახელი რქმევია, მაგრამ ცენზურას აუკრძალავს. ასე იყო თუ არა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ისედაც ნათელია, რომ ლექსში რუსეთი იგულისხმება და არა ოსმალეთი. ამის საბუთად კმარა თუნდაც ის, რომ ლექსში აწმყო დროა წარმოდგენილი: „შენი რაა, რომ ა მ შ ვ ე ნ ე ბ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?“ ყველასათვის ზედმიწევნით ცნობილია, რომ, როცა ეს ლექსი იწერებოდა, მაშინ ქართველი რუსეთს ამშვენებდა და არა ოსმალეთს.

ილიას მიერ დასმულმა პრობლემამ ფართო გამოძახილი პოვა ქართულ მწერლობაში. ყველას კარგად გახსოვთ უიარაღოს (კონდრატე თათარაშვილის) „მამელუკი“. ალბათ არ არსებობს ქართველი ბავშვი, ვისაც ეს მოთხრობა წაკითხული არ ჰქონდეს. ყოველი ჩვენთაგანის ცნობიერებაში სამუდამოდ ჩაჭედილია „მამელუკში“ აღწერილი ტრაგიკული ამბავი იმ ქართველთა, ვინც ბედუკუღმართობის გამო სხვისთვის ღვრიდა სისხლს.

ქართული მწერლობისათვის ყოველთვის მტკივნეული და მწვავე იყო ალტერნატივა, რისთვის გაეწირა ქართველს თავი – საკუთარი სამშობლოს დასაცავად თუ საქართველოს დამპყრობთა და დამმონებელთა პოლიტიკურ-სამხედრო გეგმების განსახორციელებლად?

ამ მხრივ გამონაკლისს არც 20-იანი და 30-იანი წლების ლიტერატურა წარმოადგენდა.

„არსენა მარაბდელშიც“ სვამს ამ პრობლემას მიხეილ ჯავახიშვილი.

არსენა და მისი რაზმელები ახალციხეში არიან. მიმდინარეობს რუსეთ-თურქეთის ომი. რუსის ჯარი ახალციხეს უტევს და სადაც არის ნამგალა მთვარე მესხეთის მიზგითიდან ჩამოვარდება და რუსული ჯვარი აღიმართება. გააფთრებული ხოცვა-ჟლეტაა ახალციხის ქუჩებში, მოედნებსა და ეზოებში.

„არსენა უძრავად იდგა კიბის თავზე. მისიანებიც კიბეზე გახევებულიყვნენ. მარაბდელი ფერწასული იყო. ერთი წარბი მძლავრად უხტოდა და თვითონაც შეუმჩნევლად თრთოდა. მისი ხელი უნებურად აწვალებდა ხანჯალს და ვიღაც უჩინარი ეზოსაკენ ეწეოდა, რამდენჯერმე ფეხიც შეინაცვლა, მაგრამ თავი შეილაგმა და ალაგიდან არ დაიძრა. „ვის მივეხმარო? რად? რისთვის? – ჰფიქრობდა თავისთვის. – აქეთ ოსმალები და მუსლიმანი ქართველები არიან, იქით კი – რუსეთი და ქართველები. ჩვენ რაღა შუაში ვართ? ესენი ერბოზე გვხრაკავენ, ისინი კი ზეთზე. ორთავ შავ ჭირს წაუღია. ეს ქართველები კი – ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც – ან ღმერთმა გაატუტუცა, ან რუსები და თათრები ძალით აჟლეტინებენ ერთმანეთს“.

სანამ არსენა ახალციხეში გამართულ საგრობას ეროვნული თვალსაზრისით უყურებდა, ვერ გადაწყვიტა, ჩარეულიყო თუ არა ბრძოლაში, ვისი მხარე დაეჭირა, ოსმალებისა თუ რუსების. როცა ომს კლასობრივი კუთხით შეხედა, მაშინ ჩარევა დაასკვნა და გადაეშვა კიდეც სისხლიან ქარცეცხლში.

„მათ (არსენას რაზმელებს – ა.ბ.) ეს ახალი სამშობლოც რომ დაჰკარგოდათ, მაშინ უკლებლივ ყველაფერი დაეკარგებოდათ და მათთან ერთად არსენაც დაჰკარგავდა ყველაფერს – ძმადნაფიცებსაც, ცოლ-შვილსაც, თავისუფლებასაც და იმ დიდ საქმესაც, რომელმაც მარაბდიდან მოიტაცა ის და მხეცივით თუ ჭირიანივით შეაგდო ტყეში. აქაც შემოალაჯებენ მაიორები და ზაალები, გიგოლები და კუჭატნელები. შემოიჭრებიან და თან შემოათრევენ იქაურ უღელსა და მათრახს, ბატონყმობასა და მონობას“.

კარგად ვხედავთ, რომ უმთავრეს და ძირითად დასკვნას – არც ოსმალო და არც რუსი – მწერალი არ აკეთებს. ალტერნატივა ალტერნატივადვე რჩება.

ასეა დემნა შენგელაიას „ბაშკადიკლარშიც“. კითხვა – ვინ არის მართალი, რუსეთის არმიის გენერალი ილია ორბელიანი თუ თურქეთის ჯარის ასკერი ჭყონია? – უპასუხოდ რჩება.

ქართულ მწერლობას გაუჭირდა უთუო და უთუმცაო დასკვნის გამოტანა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული გადაგვარების პრობლემას მტანჯველად განიცდისა და აწამებს. თუ ადრე „ნუ გათათრდების“ ვედრება ისმოდა, ახლა „ნუ გარუსდების“ მუდარა ქვითინებს.

მიხ. ჯავახიშვილის პეტრე შევარდნიძე-სოკოლოვის თავგადასავალი („გივი შადური“) ნათლად გვიხატავს – რა მძიმეა ადამიანი-ღამურას ხვედრი. აღარც თაგვებს უნდათ იგი და აღარც ჩიტებს. შევარდნიძემ ქართველობა დაკარგა, მაგრამ ვერც რუსად იქცა. მისი სოკოლოვობა არ იწამეს.

„მე ჩემი გზა დავლიე-მეთქი. აღარც მიზანი ამქვეყნად, არც ხალისი, არც მემკვიდრე, არც სიყვარული, არც სიძულვილი, ან უნარი სიხარულისა – თუნდაც დიდი ვარამისა და გოდებისა – არაფერი, აღარაფერი! ძაღლურ სიცოცხლეს უშნოდ დავათრევ და თვითონ სიცოცხლეც ჭირიან მძორივით თოკით მიმათრევს“ – მოთქვამს სოკოლოვად გარდაქმნილი შევარდნიძე.

კიდევ უფრო უბედურად ასრულებს სიცოცხლეს გარუსებული, ბონდარჩუკად გადაქცეული, ქართული ბარამანდია (დემნა შენგელაია – „გურამ ბარამანდია“).

„არ გავჩუმდები, არ გავჩუმდები და არა!.. ბონდარჩუკ!.. ბონდარ. გესმის, შე ჯოჯოხეთის მაშხალავ, შე ჯალათო, შენა!.. შენი სახელით გლეხები ბავშვებს აჩუმებენ!.. შე საფრთხობელავ, შენა!.. და მე გავჩუმდე!.. ბონდარჩუკ!.. ბონდარ!.. პოინტერ!.. განა ეს კაცის სახელია!.. შენ შენი სახელიც კი დაჰკარგე ბრწყინვალე ერისთავთ შთამომავალო, თავადო ბარამანდიავ!.. ბონდარ!.. პოინტერ!.. ძაღლო!.. ძაღლო!..“1

გესლიანად დასცინის გადაგვარებულ ქართველს ცოლი ოქსანა ზნამენსკაია. ხოლო თავად გურამ ბარამანდია-ბონდარჩუკი არყით გამოთაყვანებული პორუჩიკს შესტირის და შესჩივის:

„– რა ვქნა მე ახლა, ჟერდუშკა, რა ვქნა მე ახლა... გამიგონეთ... იქ კავკასიის მთებს გადაღმა ჩემი სამშობლოა, მუდამ მწვანე, მუდამ მშვენიერი, ღვინო იღვრება საწნეხლებიდან, მთვრალი დიონისო ჭიხვინობს და რქებს ურტყამს ქვევრებს. სდუღს მაჭარი და ცხოვრობს იქ ხალხი პურადი, გულადი... მე არ მინდა ვიყო ბონდარჩუკი... ჩემი ცოლის არ იყოს, მე ხომ მეკასრე არ ვარ... მართალია ჩემი ცოლი... მე ძაღლის სახელი დამარქვეს... მე თავადი ბარამანდია ვარ, ბაგრატ დიდის ერისთავის ბარამან ქველის შთამომავალი და რა მინდა მე ციმბირში... რა მინდა მე ციმბირში?.. – დაიძახა მან, გულში მუშტი დაირტყა და ტირილი დაიწყო. სტიროდა შტაბს-კაპიტანი ბონდარჩუკი, რომლის სახელი თავზარს სცემდა პარტიზანულ რევოლუციონურ რაზმებს თავისი არაადამიანური სისასტიკით. მერე თავი ასწია, გული გაიღეღა, გულზე დაკიდებული შანა ამოიღო და პორუჩიკს აჩვენა: – ეს მე მორდუმ მაჩუქა და მითხრა: სანამ გულზე გეკიდოს არაფერი გევნოს, იარე ღვთით! რათ მინდა მე ასეთი სიარული! ჟერდუშკა! მე მიწა მეძახის, ჟერდუშკა, მე მინდა გავცურო ჩემ სამშობლოში, მაგრამ რეღმაა და ქარიშხალი... რა ვქნა ახლა, რა ვქნა...“2

ასე მწვავედ და მტკივნეულად მსჯელობდა გარუსებისა და უსამშობლობის პრობლემაზე 20-იან და 30-იან წლებში ჩვენი მწერლობა. მერე თანდათანობით მიიჩქმალა იგი და დაიკარგა. დღეს ამ საკითხის გარშემო ჩამიჩუმიც არ ისმის... ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ პრობლემა მოგვარდა და მასზე ლაპარაკი საჭირო აღარ არის. არა! მწერლობა გაჩუმდა, რადგან აუკრძალეს ამაზე ფიქრი, მსჯელობა და საუბარი.

რაკი გარუსებისა და უსამშობლობის საკითხზე საუბარი ქართველის ეროვნულ შეგნებას აღვიძებდა, რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის ებრძოდა მას. სხვადას-

ხვა დროს სხვადასხვა საშუალებით მიმდინარეობდა ეს ბრძოლა. 20-იან წლებში ლიტერატურული პოლემიკით ცდილობდნენ მის მოსპობას. ამ საქმეში კომპარტია ოსტატურად იყენებდა პროლეტარულ მწერლობას. პროლეტმწერლებს კომპარტია ავალებდა გაელაშქრათ ეროვნული პრობლემის წინააღმდეგ, უარეყოთ იგი, დაეცინათ მისთვის. რაკი პროლეტმწერლობას საკუთარი კონცეფცია არ ჰქონდა და თუთიყუშივით იმეორებდა კომპარტიის დირექტივებს, ბუნებრივია, რომ თავგანწირვით შეერკინა ეროვნულს.

სანამდე ელავს გაბასრული ხმალი კომუნის,
*მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშოვი*1
. . . . . .
კმარა სიმშვიდე, მენატრება ვიყო ჩინელი,
რომ ყვითელ ძმებთან ძველებურად ხმალით
ვიარო,
ვერ მიმიხვდები, როგორ მინდა ის საშინელი
აღმოსავლური ხალხის ბედი გავიზიარო.
*სიბრაზე მახრჩობს, რომ არა ვარ ეხლა ჩინელი!*2

ალბათ კ. ლორთქიფანიძის ჩინელობის ნატვრამ ათქმევინა გალაკტიონს ირონიული ლექსი:

ჩემი ეზო და სახლ-კარი.
რიონი და ჩემი მტკვარი,
არ მიყვარდეს?
მაშინ – რისთვის?
თავს ვიკლავდე
ჩინეთისთვის?
არ ეტრფოდე საქართველოს,
მის დიდებულ მთას და მდელოს,
ვით ვუშველი სხვის ქვეყანას,
*თუ არ ვთოხნე ჩემი ყანა.*1

მაგრამ ასეთი ირონია პროლეტმწერლებს ვერ აფრთხობდა, რაკი უწყოდნენ, რომ დამცველად უკან Красная Армия და Краснаый флот-ი ედგათ. ფრიდონ ნაროუშვილი უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა:

კიდევ მეშჩანი... „ქართული ქალი“,
შავ-თმა ხუჭუჭა, ქართველოსანი.
„ქართული“ მიწის, როგორც წუნკალი
დინგით მთხრელი და მისი მგოსანი.
მაშინ, როდესაც ინტერნაციონალს
ფართოდ გაუღეს „ერებმა“ კარი,
მე აღარ ვიცი, თუ სად თავდება...
და სად იწყება „სომხური მტკვარი“.
მოსპო საზღვარი „ტეტია“ გლეხმაც,
გლეხმაც გადაჭრა მიჯნის პრობლემა,
მაგრამ პროფესორს აწუხებს ეხლაც,
მიჯნა სომხებთან სად იმყოფება.
თვით პროფესორი ჯავახიშვილი,
და სხვა მრავალი ჯურის „ისტები“,

კაციჭამია კოტეტიშვილი –
*პლეადა წუნკალ შოვინისტების.*2

რა თქმა უნდა, ეს არ იყო ლიტერატურული პაექრობა, კამათი არგუმენტებით. ეს იყო მუქარა, დაშინება. ცხადი გახდა, თუ მწერლობა გააგრძელებდა ფიქრს, ლაპარაკს ეროვნულ პრობლემაზე, არ დაკმაყოფილდებოდნენ ლანძღვა-გინებით. მიმართავდნენ რეპრესიის, დასჯის უფრო მკაცრ ფორმებს, ფიზიკური განადგურების ჩათვლით. ასეც მოხდა. ამიტომ მწერლობამ შეწყვიტა ყოველგვარი საუბარი ეროვნულ საკითხზე. მაგრამ სრული დუმილით სამშობლოს ცნების განსაზღვრა არ მოხერხდებოდა. საერთოდ სამშობლოს უარყოფა კომუნისტებს არ სურდათ. მაშინ რუსეთის უარყოფაც მოხდებოდა. საქმე სხვაგვარად გახლდათ: კომუნისტების მიზანი იყო, რომ ქართველებს უარეყოთ საქართველო, როგორც სამშობლო, სომხებს – სომხეთი, აზერბაიჯანელებს – აზერბაიჯანი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მაგრამ ეს უსამშობლო ხალხები სადღაც ხომ ცხოვრობდნენ? აი, იმ ტერიტორიას, იმ სივრცეს, სადაც ეს უსამშობლო ხალხები ცხოვრობდნენ, რა ერქვა? კომპარტიისაგან მწერლობამ მკაფიო პასუხი მიიღო: ამ ტერიტორიას, ამ სივრცეს, სსრკ (ანუ უფრო სწორად რუსეთის იმპერია) ჰქვია და სამშობლოც ეს არის. საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი თუ რომელიმე სხვა ქვეყანა მხოლოდ მცირედი ნაწილია სსრკ-ისა. ამიტომ ამ მცირედს კი არ ვთვლით სამშობლოდ, არამედ – მთლიანად, მთელ სსრკ-ს (ანუ რუსეთის იმპერიას).

როგორც კი სამშობლოს ცნება ესოდენ გაფართოვდა და მთელი სსრკ მოიცვა, მწერლობაში გაჩნდა ახალი შეგნება.

კარლო კალაძის ლექსში „გიორგი“ აღწერილია ქართველი ჯარისკაცის სიკვდილი მანჯურიაში. იგი ამბობს:

მე, გიორგი ლომთათიძე,
*ჩემ გურიას აქ ვიცავდი.*1

ეს შეგნება სრულიად საწინააღმდეგოა ილიას ტკივილისა – „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა“ (წაიკითხე – რუსეთსა). აქ კავშირი წყდება ქართულ კლასიკურ და თანამედროვე მწერლობას შორის. ამ კავშირის გაწყვეტა კი ჩვენი ეროვნული ცნობიერების რღვევას იწვევდა. ამ რღვევის სურათი ლიტერატურაშიც აისახა:

„– სამშობლოო რომ მეუბნები, რომელი სამშობლოა ეს თუ კაცი ხარ? გამიგონია, ჩვენი სამშობლო ერთ დროს გვარიანი დიდი ყოფილა. ეგერ, ჰე, შუა სათათრეში გადიოდა საზღვარი, ტრაპიზონიც კი ჩვენი იყო თურმე. შემდეგ ეს ვრცელი სამშობლო დაპატარავებულა, დაპატარავებულა და ბოლოს თურმე საქმე იქამდე მისულა, რომ სამშობლოს მხოლოდ სადადიანოს ვეძახდით. ბაბუაჩემი თურმე იმერეთის მეფეს აგერ ბაბუას ხიდთან ებრძოდა. შემდეგ, შენ კარგად გეცოდინება ეს, ჩვენი სამშობლოს საზღვრები უსაზღვროდ გაფართოვდა და ახლა სად იწყება ჩვენი სამშობლო და სათ თავდება, კაცმა არ იცის. რომელია ახლა ჩემი სამშობლო, ეს პატარა საკალანდარიო, მთელი საქართველო თუ მთელი საბჭოთა კავშირი? შენ მეტყვი, რომ ჩვენი სამშობლოა მთელი საბჭოთა კავშირი პოლუსის საზღვრებიდან ეგერ, ჰე, იაპონიამდეო. შეიძლება ჩვენი სამშობლო ხვალ მთელი ევროპა იყოს, ან ისე დაპატარავდეს, კვლავ სადადიანოს დავუძახოთ სამშობლო, აი, რატომ არ მჯერა, ბიძი, მე თქვენი (კომუნისტების – ა.ბ.). თქვენ დღეს ერთს ამბობთ, ხვალ მეორეს. მეტიც, ერთს ამბობთ, მეორეს აკეთებთ და მესამე გამოდის“.

ასეა დარღვეული ნოდარ წულეისკირის „თუთარჩელას“ პროტაგონისტის გუჩა კალანდარიას ეროვნული ცნობიერება.

ამ დღეში მარტო გუჩა კალანდარია არ არის. ამ დღეშია მთელი ქართველი ხალხი.

ეროვნული ცნობიერების რღვევის შედეგია ის, რომ ქართველი ხალხის დიდი ნაწილის შეგნებაში კვაჭიზმმა გაიმარჯვა. ეს კვაჭი კვაჭანტირაძე არიგებდა ჭკუას საქართველოს თავისუფლების მომხრეებს – „ენა, ეროვნული კულტურა, პოლიტიკური უფლება – ქიმერიონია! რას ჩააცივდით ერთ მტკაველ საქართველოს, ერთ მუჭა ხალხს! იმ ორმოში ჩავიხრჩვებით, ფრთას ვერ გავშლით და სულს ვერ მოვითქვამთ. გადაჰხედეთ დიდ რუსეთს, მსოფლიოს მეექვსედია, ორას მილიონამდე ხალხი ჰყავს! თუ შნო, უნარი და ხალისი გაქვთ, ფრთები გაშალეთ და ამ ულეველ სივრცეში ინავარდეთ“.1

და დანავარდობს დღეს გასპეკულანტებული საქართველო თვალუწვდენელ რუსეთში აღმა-დაღმა და ყველა უკადრისი საშუალებით ბოჭავს ფულებს. აშენებს ეფემერულ კეთილდღეობას და იხრწნება სულიერად.

კვაჭიზმის სენით დაავადებულმა ერმა ვერც კი შეამჩნია, როგორ შეურაცხჰყო სტალინმა ქართველების და სხვა არარუსი ხალხების ნაციონალური თავმოყვარეობა 1941 წელს, როცა რუსეთ-გერმანიის ომი დაიწყო.

1941 წლის 6 ნოემბერს სტალინი ამბობდა:

„და ამ ადამიანებს, რომლებსაც სინდისი და პატიოსნება დაუკარგავთ, ადამიანებს, რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, კადნიერება ჰყოფნით მოუწოდონ დიდი რუსი ერის მოსპობისაკენ, პლეხანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასა და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სეჩენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის მოსპობისაკენ!..“1

სტალინს არ უთქვამს, რომ ჰიტლერი და ნაცისტები მოუწოდებენო რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ერის მოსპობისაკენ. არც ე.წ. სსრკ-ში შემავალი სხვა ხალხი (სომხები თუ უკრაინელები, ლიტველები თუ ტაჯიკები, ესტონელები და უზბეკები) მოუხსენებია სტალინს. თუმცა ქართველებსაც და სხვებსაც აიძულებდნენ ისევე თავგადადებული ეომათ, როგორც რუსებს. რატომ დაივიწყა საბჭოელი ხალხის ბელადმა, რუსებს გარდა, სხვა ერები? რა, სხვებს ნაცისტები მოსპობით არ ემუქრებოდნენ? თუ სხვების ყოფნა-არყოფნის საკითხი სტალინს არ ადარდებდა? ყველა ჭკუათმყოფელისათვის პასუხი გარკვეულია: რუსებს გარდა, სხვა ხალხები იმიტომ არ მოიხსენია, რომ ომი იგი იყო ომი რუსეთისა და გერმანიისა. სხვა ხალხებს აქ მხოლოდ საზარბაზნე ხორცის ფუნქცია ენიჭებოდათ და მეტი არაფერი.

საბჭოელ ხალხს სტალინი მიმართავდა:

„დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების – ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე!“1

კი, მაგრამ დავით აღმაშენებელმა, გიორგი მესამემ, თამარმა, გიორგი ბრწყინვალემ ან სომხების, უზბეკების, ყაზახების, ტაჯიკების, ლიტველების და სხვათა გმირებმა რა დააშავეს? განა მათ ვაჟკაცობა, მამაცობა, სამშობლოს სიყვარული აკლდათ? თუ მთელ საბჭოელ ხალხს უნდა ებრძოლა გერმანელთა წინააღმდეგ, მაშინ იმათ ისტორიას, იმათ წარსულს, იმათ გმირებს რატომ ჰკრეს ხელი და ღირსი არ გახადეს რუსების გვერდით მოხსენიების?

პასუხი ზემოთ უკვე ითქვა და გამეორება საჭირო არ არის.

არარუსები რომ რუსეთ-გერმანიის ომის ნაძალადევი მსხვერპლი იყვნენ, ამას მოწმობს ვლადიმერ სოსიურას ლექსიც – „გიყვარდეს უკრაინა!“

ეს ლექსი 1944 წელს გამოქვეყნდა. ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო და ლექსიც პატრიოტულ ნაწარმოებად იქნა მონათლული. საყოველთაოდ აღიარეს, რომ იგი საბჭოელ ხალხს ემოციურად ეხმარებოდა გერმანელთა წინააღმდეგ ბრძო-

ლაში. განსაკუთრებით უკრაინელებს გვრიდა აღტაცებას. მაგრამ გავიდა მცირე დრო. ომი დამთავრდა. ახალი ძალით დაიწყო რუსიფიკაცია. სოსიურას ლექსი უკვე ანტირუსულად აჟღერდა. და შედეგმაც არ დააყოვნა. 1951 წლის ორ ივლისს „პრავდამ“ დასტამბა წერილი – „ლიტერატურაში იდეოლოგიურ დამახინჯებათა წინააღმდეგ“. ამ სტატიაში „გიყვარდეს უკრაინა!“ დაგმობილია და განადგურებული, როგორც ნაციონალისტური (რაც 1944 წელს პატრიოტული იყო, 1951 წელს ნაციონალისტური გახდა!). „პრავდა“ მძვინვარებდა: ლექსში უკრაინა წარმოდგენილიაო განმარტოებულად, საბჭოელი ხალხისაგან მოწყვეტილად (რატომ ვერ შეამჩნიეს ეს 1944 წელს?).

1951 წლის 30 ივლისს უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობამ პლენუმი ჩაატარა. სოსიურა დარჯაკში გაატარეს. გულგახეთქილმა და თავგზადაკარგულმა პოეტმა, როგორც წესი ავალდებულებდა, ბოდიში მოიხადა: „პრავდის“ წერილი, რომელშიც ჩემი ლექსი გაკრიტიკებულია, როგორც ნაციონალისტური ნაწარმოები – აბსოლუტურად მართალია. ამიერიდან მე დავძლევ ჩემს შეცდომებს და ვივლი სწორი შემოქმედებითი გზით“.

ვგონებ, ძნელი მისახვედრი არ არის, რამ გამოიწვია სოსიურას ლექსისადმი დამოკიდებულების ესოდენ რადიკალურად შეცვლა. 1941-1945 წლებში, ომის დროს, რუსებს სჭირდებოდათ, როგორც წყალი, როგორც ჰაერი, დაპყრობილი ხალხების მხარდაჭერა. ამიტომ მათ მისცეს უფლება ეროვნული თავმოყვარეობის გამოვლენისა. ომის შემდეგ კი გამარჯვებულ რუსეთს არა თუ აღარ მოსწონდა დაპყრობილი ხალხების ეროვნული თავმოყვარეობა, არამედ საშიშადაც მიაჩნდა.

ხომ შეიძლებოდა ეროვნული ცნობიერება გამოფხიზლებულიყო და დაენახა, რომ არა მარტო გერმანელია დამპყრობელი და მტერი, არამედ რუსიც.

ხომ შეიძლებოდა, მაგალითად, ქართველებს დიდი ხნის წინათ დავიწყებული ანდაზა გახსენებოდათ – გინდა მგელს შევუჭამივარ და გინდა მგლისფერ ძაღლსო.

ეს რომ არ მომხდარიყო, ეროვნული თვითშეგნების უმცირესი გამოვლენაც მაშინვე აღკვეთეს. ამიტომ მარტო სოსიურას დასჯა არ კმაროდა. სხვებიც უნდა მიეყოლებინათ. მრისხანების მტევნები ქართველმა მწერლებმაც მოკრიფეს. დამნაშავის სკამზე აღმოჩნდნენ გალაკტიონ ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, სიმონ ჩიქოვანი, ხარიტონ ვარდოშვილი, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, გრიგოლ აბაშიძე და სხვანი.

კერძოდ გაზეთი „კომუნისტი“ სიმონ ჩიქოვანს ასე ასწავლიდა ჭკუას:

„როცა ზოგიერთი ჩვენი მწერალი აცხადებს, „ვინა სთქვა“ საბჭოთა საქართველო პატარაა, და ამას ასაბუთებს იმით, რომ აქ არის „დიდი ციხეები“, რომ აქ „მთები მთებზეა შედგმული“, რომ აქ ისმის „არწივის ფრთების“ შრიალი და „ყვირილი ირმის“, რომ აქ არის „წყალი მქუხარი და საშიშარი“, რომ აქ ჩანს „გორგასალის ნაბიჯი მტკიცე“ და სხვა და სხვა, – ეს არ არის ჯანსაღი განწყობილება. ეს ნიშნავს, რომ ამ მწერალს არ ესმის ან არ სურს გაიგოს, თუ მართლაც რატომ არაა საქართველო პატარა და უძლური, არ ესმის ან არ სურს გაიგოს, რომ საქართველოს ძალა და სიდიადე, მისი აყვავების და გაფურჩქვნის წყარო არის დიდი საბჭოთა კავშირი, რომლის განუყოფელ ნაწილსაც ის შეადგენს (სსრკ კონსტიტუციაში კი ეწერა: მოკავშირე რესპუბლიკას სსრკ-დან გასვლის უფლება აქვსო. ძნელად წარმოსადგენია კონსტიტუციური უფლებისა და ნამდვილი მდგომარეობის უფრო ჰარმონიული „შეხმატკბილება“ – ა.ბ.), არის ხალხთა სტალინური მეგობრობა, რომელმაც უძლეველი ძალა მისცა საბჭოთა კავშირის ყოველ ერს“.1

ხოლო კოლაუ ნადირაძის დანაშაული ის ყოფილა, რომ ლექსში „მე მიყვარს დილა“ თურმე იგი „ერთი სიტყვითაც არ ახსენებს საბჭოთა საქართველოს დამახასიათებელ პეიზაჟებს, ხოლო ძველი ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს უხვად იძლევა“.1

მთლად უბედურ დღეში ჩავარდნილა გალ. ტაბიძე. მას თურმე „თავის ძველ ლექსში „ეფემერა“ გამოყენებული ჰქონდა რაღაც მისტიკური ცნება „ქართული სისხლის“ შესახებ. „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართულიო“. 1944 წელს პოეტმა კვლავ გამოაქვეყნა ლექსი შემდეგნაირი რედაქციით: „არაფერი არ არის ჩემში არაქართული“... ჩვენ ვერ შევურიგდებით საკუთარ ნაჭუჭში ამგვარ გამომწყვდევას, როგორსაც გულისხმობს ფორმულა: „არაფერი არ არის ჩემში არაქართული“. ეს ფორმულა უშუალოდ მომდინარეობს ბურჟუაზიული ნაციონალიზმიდან, რომლის „არსია, – როგორც „პრავდა“ წერდა, – მისწრაფება განკერძოებისაკენ, ეროვნული შეზღუდულობის ნაჭუჭში ჩაკეტვისაკენ“.2

ამგვარი კრიტიკული წერილებიდან ამონაწერებს მეტს აღარ მოვიტან (თუმცა ურიცხვია მათი რაოდენობა). ისედაც გასაგებია და მკაფიო, რაც ხდება. ოღონდ ის კი უნდა ითქვას, რატომ მოუვიდათ ასეთი „შეცდომა“ მწერლებს. თურმე იმიტომ, რომ დაავიწყდათ, რა არის სამშობლო, გულმავიწყობის გამო ქართველ მწერლებს სამშობლო ისევ საქართველო ჰგონებიათ, ის კი გამორჩენიათ, რომ სამშობლო სსრკ-ია. ამის გახსენება აუცილებელი გამხდარა და გაზეთი „კომუნისტიც“ კიდევ ერთხელ და საბოლოოდ მკაცრად აგონებდა „დაბნეულ“ მწერლებს:

„როცა ზოგიერთი ჩვენი მწერალი უმღერის სამშობლოს განყენებულად, გარკვეულად არ ამბობს – რომელ სამშობლოზე აქვს მას ლაპარაკი, არ აღნიშნავს, რომ სამშობლო – ეს არის არა მარტო საქართველო, არამედ მთლიანად დიდი საბჭოთა კავშირი, არ აღნიშნავს, რომ სამშობლო – ეს არის ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომითა და ბრძოლით აშენებული ახალი სოციალისტური ქვეყანა, – ეს არ არის ჯანსაღი განწყობილება, ასეთ გაურკვეველ ნაწარმოებს შეიძლება ხელი მოაწეროს ჩვენმა მტრებმაც ნაციონალისტთა ბანაკიდან“.1

ცოტა მოგვიანებით „კომუნისტის“ განკარგულება გაიმეორა მწერალთა კავშირის მდივანმაც.

„ჩვენი მწერლობა მოწოდებულია უმღეროდეს ჩვენს დიდს მრავალერიან საბჭოთა სამშობლოს. ჩვენს მწერლებს უნდა ახსოვდეთ, რომ სამშობლოს ცნებაში არა მარტო „ერთი მტკაველი“ საქართველო იგულისხმება, არამედ მთელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყანა, მოწინავე კაცობრიობის დიდი შუქურა – ჩვენი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო“.2

ამ განკარგულებებს და ძალდატანებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ქართულმა მწერლობამ რუსული კატეგორიებით დაიწყო აზროვნება.

სევასტი თალაკვაძის რომანში „ახალი აზვირთება“ – ორ რევოლუციონერს, სოფიოსა და პართენს შორის, ასეთი საუბარი მიმდინარეობს:

„– ქართველი ქალები საზოგადოდ მორცხვნი, გაუბედავნი, კარჩაკეტილნი და მორჩილნი არიან. ოჯახში და ოჯახს გარეთ ყოველივე იმედს უმეტესად ისინი მამაკაცებზე ამყარებენ... გავრცელებული „ქალური უძლურება“ მათ თითქო უდავო ჭეშმარიტებად უცვნიათ...

– ... მაგალითად, რუსებს ვინა ჰყავთ ეს გაბედული ქალები? – იკითხა სოფიომ ცნობისმოყვარეობით პატარა პაუზის შემდეგ.

– ვინა ჰყავს რუსებს? არა კმარა ფიგნერი, პეროვსკაია, ვერა ზასულიჩი, ბრეშკო-ბრეშკოვსკაია და სხვა კიდევ რამდენი... ესენი ხომ მსოფლიოში ცნობილი რუსის ქალებია... ჩვენ კი და ჩვენს მეზობელ ერებს იმათი მსგავსი ჯერ არავინ გაგვაჩნია. ჩვენმა ისტორიამ ასეთი არაფერი არ იცის...

– თამარი? თამარ მეფე? თამარ მეფეც ხომ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი ქალია?!

– იხ, აბა რას ამბობ, სოფიო! თამარი რა მოსახსენებელი საზოგადო მოღვაწე და მებრძოლი გმირია! თამარ მეფით როგორ შეიძლება ქართველი ქალის დახატვა, მით უფრო ჩარიცხვა მისი რუს გმირ რევოლუციონერ ქალებში?!

– რევოლუციონერი არა, რევოლუციონერების რიცხვში აბა ვინ ჩარიცხავს, მაგრამ ხომ მოექცა სახელმწიფოს სათავეში, ხომ გახდა სახელმწიფოს მმართველი ცნობილი ქალი? ეს ხომ საქვეყნო ფაქტია?!

– ...„ფაქტი“ კი, მაგრამ როგორი შინაარსის?.. თამარ მეფე უპირველეს ყოვლისა მეფე იყო, მონარქი იყო, რომელიც შემთხვევამ გახადა სახელმწიფოს ბატონ-პატრონად. შთამომავლობის „ბრმა წერამ“ წამოასკუპა სამეფო ტახტზე...“1

ზნეობრივი გაჯანსაღების მიზნით ქართველი პროზაიკოსი რაღაც რაზმების შექმნას მოითხოვდა და წერდა:

„რაკიღა არსენას სპეტაკ რაზმში, სიმართლისა და ქველობის რაზმში, კიკვიძისა და კორჩაგინის, ჩკალოვისა და გაგარინის, მატროსოვისა და გამცემლიძის, ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას რაზმში ჩაირიცხებით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გახსოვდეთ, რომ ამ გზისა და ამ რაზმის ღალატის უფლება აღარ გაქვთ!“2

ქართველი პოეტი ახალგაზრდობას მიმართავს:

სოფლად, ქალაქად,
მინდვრად თუ მთებში
აქარიშხლებურ ზღვასავით იძვრი...
აგჩქროლებია მზისფერ ძარღვებში
ზოიასა და ოლეგის სისხლი.3

საქმეში ჩახედული კაცი მაშინვე მიხვდება, რომ სანიმუშოდ ის მოვიტანე, რაც უცბად მომხვდა ხელში, თორემ რუსული კატეგორიებით აზროვნების მაგალითებს წამდაუწუმ შეხვდებით ქართველი მწერლების თხზულებებში. ეს გახლავთ სწორედ ეროვნული ცნობიერების რღვევის უტყუარი ნიშანი, რადგან ამას ჩვენ ქვეცნობიერად ვაკეთებთ. რუსული კატეგორიებით აზროვნება უკვე მექანიკურად, თავისთავად ხდება. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველა წერდა: „უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ რაზიკოვად ვიწოდებოდი და არა რაზიკაშვილად. იქნებ შეურაცხყოფადაც კი მიმეღო, თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმაჩნდა ჩემი გვარის დაბოლოვება „ოვით“. თუ ასე იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, წარმოგიდგენიათ რა მდგომარეობაა დღეს, როცა რუსმა უკვე მიაღწია იმას, რომ ქართველის ცნობიერება რუსულია? განა ეს გარუსება არ არის?

მიამიტი ადამიანი ალბათ იკითხავს – რატომ? რა არის აქ საგანგაშო? განა არ შეიძლება არაქართული კატეგორიების საშუალებით ეზიაროს ქართველი ამაღლებულსა და მშვენიერს? შეიძლება, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რას ეუბნება დოქტორი ფატენპური კონსტანტინე სავარსამიძეს: „შექსპირი იმპერიალიზმის ისეთივე დიდი იარაღია ინგლისის ხელში, როგორც ინგლისური კრეისერი“ („დიონისოს ღიმილი“).

ეროვნული ცნობიერების გაფართოება რომელიმე ერთი უცხო ერის სულიერი მონაპოვრის ხარჯზე კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ მთელი კაცობრიობის.

იყო დრო, როცა ამაღლებულისა და მშვენიერის წვდომა, ეროვნული იდეალის ჩამოყალიბებაც და განმტკიცებაც ანტიკური სამყაროს ისტორიისა და კულტურის საშუალებით ხდებოდა, მაგრამ ეს ალექსანდრე მაკედონელის ან რომის იმპერიის უპირატესობისა და ერთადერთობის პროპაგანდა კი არ იყო, არამედ ანტიკური ისტორია და კულტურა აღიქმებოდა, როგორც საერთო საკაცობრიო მონაპოვარი, როგორც საერთო საკაცობრიო ფასეულობა.

ქართველ პროზაიკოსს რაზმების ჩამოყალიბებისას რობესპიერი, გოეთე, ფირდოუსი, ავეტიქ ისააკიანი, ტარას შევჩენკო, გარიბალდი და სხვებიც რომ გახსენებოდა, ეს იქნებოდა ეროვნული ცნობიერების ინტერნაციონალური გაფართოება. მაგრამ როცა მწერლის მეხსიერებიდან მხოლოდ რუსები ამოტივტივდნენ, ეს ეროვნული ცნობიერების დათრგუნვა და დაშლაა.

როცა ბავშვებს სკოლაში ასწავლიან, რომ ელემენტთა პერიოდული სისტემა მენდელეევმა აღმოაჩინაო და გულმოდგინედ უმალავენ, რომ გერმანელმა ლოთარ მაიერმაც მიაგნო მას სწორედ 1869 წელს, ეს ინტერნაციონალური აღზრდა კი არ არის, არამედ რუსული შოვინიზმის ქადაგებაა.

საბჭოელ ახალგაზრდებს ყურები აქვთ გამოჭედილი ციოლკოვსკის ხსენებით, თუმცა დუმან, რომ იგი პოლონელი იყო, ხოლო არავინ ასწავლის – ვინ იყვნენ რობერტ გოდდარდი და ჰერმან ობერთი, სარაკეტო ტექნიკის მეცნიერი ფუძემდებელნი. საბჭოური რაკეტამშენებლობის წამომწყები რიგელი გერმანელი ფრიდრიხ ცანდლერი გოდდარდისა და ობერთის შრომებით იყო შთაგონებული და არა ციოლკოვსკის კეთილშობილი ზღაპრებით.1

როცა ბავშვებს არწმუნებენ, რომ რადიო ალექსანდრე პოპოვმა გამოიგონაო და უმალავენ, რომ რადიოს გამომგონებელი იტალიელი გულიელმო მარკონია, რის გამოც მან 1909 წელს ნობელის პრემიაც მიიღო, ეს ინტერნაციონალური აღზრდა კი არ არის, არამედ რუსული შოვინიზმის ქადაგებაა. ვთქვათ ის, რაც ალ. პოპოვის დამსახურებაა – ანტენის გამოგონება. მაგრამ ამით რუსი როგორ დაკმაყოფილდება, როცა მან ალ. პოპოვზე საგანგებოდ გადაიღო ფილმი, რომელშიც მარკონი შარლატანად არის გამოყვანილი. როცა ხელოვნება ამას კადრულობს, იგი არა მარტო ტყუილს ამბობს, არამედ ნაძირალობის პროპაგანდასაც ეწევა.

ეს შეცდომა არ არის. ეს პრინციპია, რომლის მიზანია რუსი ერის განსაკუთრებულობის ქადაგება. რუსმა კომუნისტებმა არა მარტო პიროვნების კულტი შექმნეს (მოგეხსენებათ, კულტია სკკპ ცკ-ის ყველა ცოცხალი გენერალური მდივანი), არამედ რუსი ერისაც. ამას საბუთი არ სჭირდება, რამეთუ რუსი ერის კულტის პროპაგანდით არის გაჭედილი პრესა, რადიო, ტელევიზია, მწერლობა, მეცნიერება. არავინ ამცირებს რუსული კულტურის მნიშვნელობას, მაგრამ ისიც ხომ ცხადი ფაქტია, რუსების ღვაწლი კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში ვერ შეედრება ბერძნების, იტალიელების, გერმანელების, ინგლისელების, ფრანგების, ებრაელების, ინდოელების, ჩინელების და სხვათა ღვაწლს! თავისთავად რომელიმე ერის განსაკუთრებულობის, გამორჩეულობის ქადაგება დანაშაულია კაცობრიობის წინაშე, რამეთუ იგი შოვინიზმისა და იმპერიალიზმის საფუძველია. მით უმეტეს იმ ერისა, რომელსაც ჯერჯერობით თავისთავადი, დამოუკიდებელი, სხვათა მისაბაძი არაფერი შეუქმნია. მე-19 საუკუნის დიდი რუსული ლიტერატურაც და დღევანდელი კოსმოსური ტექნიკაც ევროპული კულტურის, ტექნიკისა და მეცნიერების გამეორების ცდაა რუსულ ნიადაგზე. მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, ორივე მაინც მეორეულია. მაინც სხვისი სულიერი ძალით არის შთაგონებული. ამგვარ პირობებში რუსის გამორჩეულობისა და განსაკუთრებულობის ქადაგება ორმაგი დანაშაულია. იგი სხვას არაფერს მოწმობს იმის გარდა, რომ რუსეთი კომუნისტური იმპერიალიზმის გზას ადგას.

აი, რატომ არის საშიში რუსული კატეგორიებით აზროვნება.

აი, რატომ იწვევს რუსული კატეგორიებით აზროვნება ქართული ეროვნული ცნობიერების რღვევას.

აი, რატომ არის რუსული კატეგორიებით აზროვნება ქართულ კლასიკურ ლიტერატურასთან კავშირის გაწყვეტა (მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობას რუსი არ დაუხატავს ქართველისათვის იდეალად).

ეროვნული ცნობიერება საუკუნეების მანძილზე ყალიბდება. იგი განპირობებულია ენით, ისტორიით, რელიგიით, ზნე-ჩვეულებით, ფსიქიკით, ტერიტორიით, მსოფლაღქმით, მსოფლგანცდით და ასე შემდეგ. ყველაფერ ამას აერთიანებს სამშობლოს ცნება. ერთ განუყოფელ მთლიანობად აქცევს. როცა სამშობლოს ცნება ირღვევა (სულერთია, გაფართოებით თუ დავიწროებით), ყველაფერი ეს იშლება, ხალხს ეროვნული კატასტროფა ემუქრება.

თუ სამშობლოს ცნებას გავაფართოებთ, იმდენი უცხო ელემენტი შემოვა, რომ ქართული ეროვნული ცნობიერება ქაოსად გადაიქცევა. ასევე დაემართება რუსულ ეროვნულ ცნობიერებასაც. არაფერს ნიშნავს, რომ იგი დღეს გაბატონებული ერია. ეროვნული ცნობიერება ბატონსაც ისევე შეიძლება დაერღვეს, როგორც ყმას. თან შესაძლებელია გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე დამონებულს. ამიტომ იშლება დიდი იმპერიები და მათ ადგილას ეროვნული სახელმწიფოები იბადება.

თუ მთელს სსრკ-ს წარმოვიდგენთ სამშობლოდ, მაშინ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში სხვადასხვა ენა შემოვა და აღარ გვეცოდინება, რომელი ენით გამოვლინდება ჩვენი სული. მართალია, რუსი ჩაგვჩიჩინებს – რუსული ისწავლეთ და ყველა პრობლემა მოგვარდებაო, – მაგრამ რა ვუყოთ 1500-წლიან სულიერ ცხოვრებას, გამოხატულს ჩვენი ლიტერატურით და ხელოვნებით? ხომ ვერ გავწყვეტთ მასთან კავშირს? თუ ქართული დავივიწყეთ და რუსულად ავლაპარაკდით, ხომ დავკარგეთ ყველაფერი, რაც 1500 წლის მანძილზე შეგვიქმნია? რა უნდა მივიღოთ მის მაგიერ? იგი მარტო წარსული არ არის. იგი ჩვენი სისხლი და ხორცია, რომელიც დღესაც გველმის და მარადიულად გვეტკინება. მის ადგილს ჩვენს ცნობიერებაში ვერასოდეს ვერ დაიკავებს ვერც რუსული, ვერც სომხური, ვერც ტაჯიკური და ვერც ლიტვური წარსული. მათ ყველას თავისი ადგილი აქვს და ყველას თავისი მემკვიდრე ჰყავს. განა შეიძლება, რომ ოდესმე „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ჩვენთვის ისე ახლობელი გახდეს, როგორც „ვეფხისტყაოსანია“? ეს ხომ ანტიბუნებრივი მოვლენა იქნება? როგორც ვერასდროს ვერ შეიყვარებს ადამიანი დედინაცვალს (რარიგ კეთილშობილიც უნდა იყოს ეს ქალი) იმ სიყვარულით, რა სიყვარულითაც დედა უყვარს, ასევე ვერ შეიყვარებს ქართველი პუშკინს იმ სიყვარულით, რა სიყვარულითაც ვაჟა უყვარს. ასევე დაემართება რუსსაც. როგორც უნდა აფასებდეს და პატივს სცემდეს ვაჟას, არასოდეს ეყვარება იგი პუშკინივით. ეს ბუნების კანონზომიერებით ხდება და მისი დარღვევა არავის ხელეწიფება.

თუ მთელ სსრკ-ს წარმოვიდგენთ სამშობლოდ, მაშინ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში, ვთქვათ, შუა აზიის ისტორია ისევე უნდა დამკვიდრდეს, როგორც საქართველოსი. მერედა, ეს ხომ შეუძლებელია! როგორ უნდა დაიკავოს დავით აღმაშენებლის თუ გიორგი ბრწყინვალის გვერდით ადგილი ჯალალედინმა თუ თემურლენგმა? ეს ხომ ჩვენი ეროვნული დამცირებაა და შეურაცხყოფა? ეს ხომ ჩვენი წარსულის, მისთვის დაღვრილი სისხლის გაბიაბურებაა? რა თქმა უნდა, ქართველ ხალხს შურისძიების გრძნობა არ ასაზრდოებს. იგი დღეს მტრად არ თვლის თურქმენს, უზბეკს თუ ტაჯიკს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერი დავივიწყეთ და არ გვაწუხებს უზარმაზარი მსხვერპლი, გაღებული შუა აზიიდან მოსულ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ პატიებისა და შენდობის მაღალი გრძნობის სახელით ვთქვით უარი შურისგებაზე, მაგრამ ჯალათისა და ზვარაკის მორიგება აზრად არ მოგვსვლია. როგორ შეიძლება ჩვენ და შუააზიელებს ერთიანი სამშობლო გვქონდეს, თუ ჩვენი ისტორია მტრობით არის გახლეჩილი და შუაში სისხლის მდინარე მოედინება? ჩვენ შეგვიძლია კეთილი მეზობლები გავხდეთ (ვართ და ვიქნებით კიდეც), რამეთუ ქართველთა არსებობის რწმენაა – „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“, მაგრამ ჩვენ ვერ მივიტანთ ერთნაირად ყვავილებს დავით აღმაშენებლისა და თემურლენგის საფლავზე. არც შუა აზიელები გააკეთებენ ამას.

თუ მთელ სსრკ-ს წარმოვიდგენთ სამშობლოდ, მაშინ ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში მაჰმადიანურმა რელიგიამაც (არაფერი რომ არ ვთქვა, შორეულ აღმოსავლეთში ფეხმოკიდებულ ბუდიზმზე) უნდა დაიკავოს თავისი ადგილი. როგორ უნდა მოხდეს ეს, როცა საქართველოს მთელი ცხოვრება ისლამის წინააღმდეგ ბრძოლაა? იმ ისლამის, რომელმაც ჩვენი ეროვნული სხეული გახლიჩა (ქართველთა ერთი ნაწილის გამაჰმადიანებით) და დღეს თავგამეტებით ვიბრძვით მისი გამთლიანებისათვის. მართალია, სსრკ ათეისტური სახელმწიფოა და რელიგიას არსებითი მნიშვნელობა თითქოს არა აქვს, მაგრამ ეს გარეგნულად არის ასე, თორემ შინაგანად ჯერ კიდევ ქრისტიანი ქრისტიანია და მაჰმადიანი – მაჰმადიანი. როდის გაქრება ეს (ან გაქრება კი ოდესმე?) არავინ უწყის. ამ ეჭვის საფუძველია ისლამური რელიგიის ხელმეორე აღორძინება დღეს.

გარდა ამისა, რელიგია განსაზღვრავს ხალხის სულიერ ცხოვრებას, მის კულტურას. ეს რომ შეიცვალოს და ქრისტიანისა და მაჰმადიანის სულიერი ცხოვრება, კულტურა ერთნაირი გახდეს, ამისათვის საუკუნეებია საჭირო. ვის ძალუძს იწინასწარმეტყველოს, რა მიმართულებით წარიმართება ეს პროცესი, რა შედეგს მოგვცემს იგი.

თუ მთელ სსრკ-ს წარმოვიდგენთ სამშობლოდ, მაშინ სხვადასხვა ხალხის ფსიქიკაც ერთნაირი უნდა გახდეს. მერედა, რა ძალას შეუძლია ერთიანი გახადოს ქართველისა და იაკუტის, ქართველისა და ყაზახის, ქართველისა და ბურიატის, ქართველის და ესტონელის, მეტს აღარ გავაგრძელებ, ეროვნული ფსიქიკა? უხსოვარი დროიდან ვცხოვრობთ მეზობლად ქართველები და სომხები, მაგრამ ძირეულად განსხვავებულია ჩვენი ეროვნული ფსიქიკა. ამის შედეგია ის მუდმივი წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენს შორის არსებობს. ფსიქიკის განსხვავება მაშინ შეიძლება მოიშალოს, თუ ერი გადაშენდება. ცოცხალ ერთა შორის ფსიქიკის განსხვავების წაშლა არაფერს ძალუძს. ესეც ბუნების კანონზომიერების ნაყოფია და იმიტომ.

თუ მთელ სსრკ-ს წარმოვიდგენთ სამშობლოდ, მაშინ სხვადასხვა ხალხის ზნეჩვეულებანიც ერთნაირი უნდა გახდნენ, რაც აგრეთვე ანტიბუნებრივია და ამდენად შეუძლებელიც. თუმცა საუბრის გაგრძელება აღარ არის საჭირო. ისედაც გასაგებია, რისი თქმაც მინდა.

სსრკ შეუძლებელია ჩაითვალოს ჩვენს სამშობლოდ. იგი ნაძალადევი გაერთიანებაა ერების. სსრკ სამშობლოდ გამოცხადებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: რუსეთის კომუნისტურ იმპერიაში მოსახლე ხალხების გარუსება. ეს არა მარტო ანტიეროვნული ქმედებაა, მიმართული არარუსი ხალხების წინააღმდეგ, არამედ ანტიეკოლოგიურიც. იგი გადაშენებით ემუქრება არარუს ერებს. დღეს, როცა მთელი კაცობრიობა იბრძვის ბუნებაში არსებული კანონზომიერების შესანარჩუნებლად, გაუგონარი დანაშაულია დედამიწაზე არსებულ ერთა თანაფარდობის დარღვევა. სსრკ-ს არსებობა და რუსი კომუნისტების მიზანი ამ თანაფარდობის დარღვევისათვის ბრძოლის მკაფიო ნიმუშია. ამიტომ, არა მარტო ამა თუ იმ საბჭოელი ხალხის ეროვნული ინტერესი, არამედ სამყაროს ეკოლოგიური კანონზომიერება ითხოვს სსრკ-ს დაშლას და ეროვნულ სახელმწიფოების შექმნას. რაც მალე და მშვიდობიანად მოხდება, ეს მით უკეთესი. მით უკეთესი თავად რუსეთისათვის, ამას უნდა მიხვდეს პროგრესულად მოაზროვნე რუსი, რამეთუ ეროვნული თვალსაზრისით, სსრკ-ში ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა ისევე ემუქრება რუსეთს კატასტროფით, როგორც სხვა ხალხებს.

ასეთ მრავალფეროვან და რთულ საკითხებთან არის გადაჯაჭვული სამშობლოს პრობლემა. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ქართულ (საერთოდ არარუსი ხალხების) ლიტერატურას აკრძალული აქვს. ვერ ახერხებს ხმის ამოღებას. აიძულებენ კი, რომ სიცრუე იქადაგოს – სამშობლოდ სსრკ გამოაცხადოს. ნამდვილ პრობლემაზე დუმილი

და იძულებითი ტყუილის ხმამაღლა ქადაგება ქართულ მწერლობას კნინს ხდის და აჩლუნგებს მისადმი ინტერესს.

III

ეროვნული ენერგიის ძიება

როცა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, შინმომავალმა თავისთავს კითხვა დაუსვა:

„... როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?

... შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი. მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არ ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვასაც მამულისშვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია: ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის“.

მოქმედების სრულიად გასაგები და მკაფიო პროგრამაა. ილიამ იცის, რა აკეთოს, რატომ და როგორ. თითქოს ოდნავი ეჭვი გამოსჭვივის საკუთარი ძალმოსილების მიმართ, მაგრამ ისიც იფანტება, რაკი არსებობს რწმენა, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის.

უფრო გვიან, მე-20 საუკუნის 10-იან წლებში, თითქმის ანალოგიური კითხვა წამოჭრა გალაკტიონ ტაბიძემ.

საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას,
სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?
რას მომცემს ისეთს ჩემი სამშობლო,
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?
არ ვიცი... მაგრამ უმიზნობაში
ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლად მონაქუხს...
ვწუხვარ... ვეძახი სიცოცხლის მიზანს,
მაგრამ არავინ იძლევა პასუხს...

(„სად?“)

ამ ლექსში უიმედობაც დიდი დოზით არის და მიზნის გაურკვევლობაც.

არსებითად ერთი და იმავე ასაკის ორი ახალგაზრდა კაცი, სხვადასხვა ეპოქაში სამოღვაწეოდ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსული, სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენს ცხოვრების მიზნის მიმართ. რით არის ეს გამოწვეული? რას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა – ეპოქის ხასიათს თუ შემოქმედის პირად თვისებას? ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ის მაინც უნდა გამოვყოთ, რომელი ასრულებს მთავარ როლს. რა თქმა უნდა გალ. ტაბიძე არ იყო ისეთი უდრეკი და ურყევი ნებისყოფის ადამიანი, როგორიც – ილია ჭავჭავაძე. ბოროტება გალაკტიონს უფრო

იოლად უტეხდა გულს, ვიდრე ილიას, მაგრამ მთავარი მაინც ობიექტური სინამდვილე იყო. ეს ნათლად გამოვლინდება მომდევნო ხანაში, როცა უგინცობის განცდა თითქმის ტოტალურად დაეუფლება მოაზროვნე საქართველოს.

„დიონისოს ღიმილის“ პროტაგონისტი კონსტანტინე სავარსამიძე მოთქვამს:

„ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი – გულთმისანო ჩემო გამზრდელო!

ეგებ შენ მასწავლო გზა. როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან. განა არ გესმის?

„გზა!“ იძახის ადამიანი საუკუნეების ირიბ მიჯნებზე.

„გზა!“ იძახიან მგზავრები, მეეტლეები, ვატმანები და შოფრები.

„გზა!“ იძახიან მწერლები, მეცნიერები, ბერები და მოძღვართმოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერავინ მასწავლა გზა.

თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია, ყველა ასპარეზი ნაცადი, ყველა ბორკილი ისევე ტკბილი, როგორც საყვარლისაგან ნაბოძები სამაჯე, მაგრამ მაინც არ ვიცი, საით წავიდე, რადგან ყველა გზა ულევია და გაუვალი“.1

ასევე სასოწარკვეთილია გივი შადურიც. არც მას აქვს გზის პოვნის იმედი.

„... ვინ იცის, რა იმარხება ამ გულში! ვინ იცის, ვინ მეტყვის! ვერავინ, არავინ. ჩემი გზა სხვა გზით რომ წასულიყო, ან მე თვითონ სხვა გზას რომ გავყოლოდი...

ეეჰ, ეშმაკსაც წაუღია ყველა გზები! ტყუილად ხარჯავთ მათთვის, მეგობრებო, დროს და რითმებს, აზრებსა და სიტყვებს, რადგანაც გზებს არც აზრი აქვთ, არც გეზი, არც სათავე და არც დასასრული. თუმცა, მაპატიეთ ყმაწვილებო, შევცდი; ეხლაც შევცდი... ყოველ გზას აუცილებლად დასასრულიც აქვს. უწინ იტყოდნენ ხოლმე: ყველა გზები რომისკენ მიდისო. მე კი მოგახსენებთ: ტყუილია, ჭორია! ყველა გზები და ბილიკები იმედების ნანგრევებზე იყრის თავს“.1

ვერც „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟმა თარაშ ემხვარმა მიაგნო თავის გზას. როგორც იცით – იგი თვლიდა, რომ იმ დროს ორი გზა იყო, სტალინისა და მუსოლინის გზა, ე.ი. ბოლშევიზმისა და ფაშიზმის გზა. მაგრამ თავად აღიარებს თარაში – „მე დღემდის უგზოდ ვიხეტიალე და როგორც ხედავ, ვერც ერთს დავადექი... ორივ დახშული აღმოჩნდა ჩემთვის...“2

ეს სამი მაგალითიც მკაფიოდ მოწმობს, როგორ აქტიურად იყო დასმული 20-30-იანი წლების ქართულ მწერლობაში გ ზ ა დ ა ბ ნ ე უ ლ ი კ ა ც ი ს პრობლემა. მაშინ კომუნისტური ლიტერატურული კრიტიკა ამას იმით ხსნიდა, რომ გამარჯვებულმა მუშათა კლასმა უარყო და გაანადგურა მქონებელთა და პრივილეგირებულთა კლასი. დამარცხებული ქართული არისტოკრატიის შვილებს სასოწარკვეთის, წუწუნისა და ჩივილის გარდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა. ნაწილობრივ ეს მართალია. მაგრამ იგი გზადაბნეული კაცის პრობლემის ცალმხრივი გაშუქებაა. არც გივი შადური, არც კონსტანტინე სავარსამიძე და არც თარაშ ემხვარი მხოლოდ კლასობრივი თვალსაზრისით არ ჩივიან უგზოობას. უგზოობის საკითხი მათ უფრო ეროვნული კუთხით აწუხებთ. თითოეულ მათგანს სურს ემსახუროს სამშობლოს, ხალხს, მაგრამ სოციალისტური იდეალის მიღება არც უნდათ და არც შეუძლიათ. სხვა იდეალი კი აღარ არსებობს. ისინი 1918 წლის 26 მაისს მოესწრნენ. მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. მათ უნდათ 26 მაისის იდეალების სამსახურში იდგნენ, მაგრამ მათი უბედურება ის არის, რომ ისინი მოწმენი გახდნენ 26 მაისის ოცნების დაცემისა და 1921 წლის 25 თებერვლის გამარჯვების. გივი შადურისათვის, კონსტანტინე სავარსამიძისა და თარაშ ემხვარისათვის 25 თებერვალი სწორედ ეროვნული თვალსაზრისით არის მიუღებელი. დამოუკიდებელი საქართველო ისევ დაემხო და ისევ დაედგა მას რუსეთის უღელი. ქართველი ერისათვის არაფერი მნიშვნელობა ჰქონდა, რა იქნებოდა წარწერილი ამ უღელზე – ცარიზმი თუ სოციალიზმი. ამის დანახვა, ამის გაგება, ამის განცდა, ცხადია, უაღრესად მტკივნეული იყო.

ამან გააჩინა სასოწარკვეთილებისა და უიმედობის გრძნობა. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს 20-იან წლებში დაწერილი ფილოსოფიურ-კრიტიკული ნარკვევებიც.

ვისაც ჭკუა ჰქონდა და აზროვნება შეეძლო, ყველას აწამებდა კითხვა – როგორ მოხდა, რომ ასე მალე და ასე იოლად გაქრა საქართველოს დამოუკიდებლობა? 20-იან წლებში არსებითად ნიჰილისტური პასუხი მოიძებნა.

ნიკოლო მიწიშვილი წერდა:

„და როცა კვლავ ვუბრუნდები საქართველოს, მე მას ვერ ვხედავ. ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუთუ საქართველო მარტო ეტნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული?

როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას – იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაცა შეკოწიწებული და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოს წარსულში.

. . . . . .

საქართველო პასიური მოვლენაა.

მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიისა, როცა მას ფეხს აჭირებენ).

საკუთარ, შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც.

მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს.

ამითია, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა“ თუ ბერწობა.

ამის შედეგია, ჩემი ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჭკუისა, განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიისა.

მე მგონია, ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუაგზაზე, დაუმთავრებელი, მიუღწეველი...“1

ნ. მიწიშვილი მარტო არ ყოფილა. ამგვარად სხვებიც ფიქრობდნენ. ბარემ აქვე მოვიტანოთ ზოგიერთის ნააზრევიც და მერე ვცადოთ საქმის გარკვევა.

სერგი დანელია ამბობდა:

„დავიწყებდით ისტორიას თუ არა, კვლავ გაგვიწყდებოდა ისტორიის ძაფი. ეპოქათა მემკვიდრეობა არ იყო. ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობები. ერთი დიდი ფართო ხაზი არ არის ჩვენს ისტორიაში. არის მხოლოდ ხაზი წამებისა, აწიოკებისა, რბევისა და ჩაგვრისა. მაგრამ აქ ქართველები ისტორიის სუბიექტები კი არ ვიყავით, არამედ ატომებსავით მხოლოდ ობიექტები: საქართველოს აგურებით სხვისი ისტორია შენდებოდა.

ვცხოვრობდით დაფანტულად, გათიშულად, ერთი მეორის არა გვესმოდა, როგორც ატომებს. ყველა თავის პირადობისაკენ მიიწევდა და ერთი საზოგადო მიზანი არ ჩანდა. არ იყო ერი, რადგან გვარმა ვერ დასთმო თავი. დღესაც ქართველისათვის კაცი თავდება იქ, სადაც თავდება მისი გვარი, ე.ი. ნათესავ-მოყვრობით მასთან შეკრულ ადამიანთა ჯგუფი. ვინც ჩვენი ნათესავი არ არის, იმას კაცად არ ვთვლით. ის უცხოა და უცხოს სიყვარული არ არის ჩვენთვის სავალდებულო.

. . . . .

ქართველებს გვაქვს სიტყვა „სამშობლო“, რომელიც უდრის რუსულს „პრლმნთ“ და ფრანგულს „pays natal“, მაგრამ არ გვაქვს ის, რასაც ფრანგები ეძახიან „patrie“-ს, გერმანელები „Vaterland“-ს, რუსები „отечество “-ს. სიტყვა „მამული“, რომლის პრო-

პაგანდას ილია ჭავჭავაძე ეწეოდა, უდრის რუსულს „вотчина “-ს, ე.ი. მამის მიერ დატოვებულს კერძო (ხაზი ს. დანელიასია – ა.ბ.) საკუთრებას, პირადს ქონებას. „მამული“ არ არის – „отечество “ და ქართველებსაც არ გვქონდა „რიჩეყივრ“. შეიძლება ამასთან არის დაკავშირებული ისიც, რომ ქართველებს არ გვქონდა სიტყვა „სინდისიც“. „სინდისი ბერძნული სიტყვაა (συνείδησις). ქართველებს იგი სხვებისაგან გვისესხებია. ნასესხები სინდისით კი ისტორია არ შეიქმნება; ისტორიულ ერს ის საკუთარი უნდა ჰქონდეს, ვინაიდან სინდისი არის დუღაბი, ურომლისოდაც ისტორიის კოშკი არ შენდება. ქართველთა მიერ აშენებული კოშკიც ყოველთვის ინგრეოდა. და ის ვერც ადამიანის სისხლმა და ცრემლმა შეძლეს დაეცვათ დანგრევისაგან. თუმცა „სურამის ციხის“ ლეგენდა წინააღმდეგს მოგვითხრობს. განა დაძალებით დაღვრილი სისხლი და ცრემლი გასწევდა დუღაბის მაგივრობას? განა ცოტა სისხლი დაიღვარა საქართველოს ციხის ასაგებად? სხვაზედ რომ არ ვილაპარაკოთ, მარტო ის გავიხსენოთ, რომ არსად სენიორიალური რეჟიმი არ იყო ისეთი სასტიკი, ისეთი ულმობელი, ისეთი უსულგულო, როგორც საქართველოში. ყმებს ყიდდნენ, როგორც ღორებს. სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველი ქალები თათრების ჰარამხანებში სევდისაგან სჭკნებოდნენ. და ყველა ეს ცოდვა საქართველოს ციხის სახელით ფიქრობდნენ გაემართლებიათ. მაგრამ მხოლოდ ცრემლზე და სისხლზე აშენებული ციხე მუდამ ინგრეოდა. ლეგენდა სტყუის, რომ ციხე აშენდაო. ციხე არ იყო აშენებული: მარტო ჩამონგრეული კედლები მოჩანდა ხაშურიდან. ციხე არ აშენებულა, რადგან ის შენდებოდა, მხოლოდ სისხლის საშუალებით; იყო მასალა, იყო აგურები, მაგრამ არ იყო ამ მასალის შემაერთებელი დუღაბი; არ იყო საერთო სული. ყველა აშენებდა „თავისთავისათვის“. როგორც სენაარელების გოდოლი, ისე ქართველების ციხე ერთი და იმავე მიზეზის გამო ინგრეოდა და ხალხიც ამაოდ წვალობდა“.1

უკვე ციტირებულს დავამატოთ კიდევ ერთი, კონსტანტინე კაპანელის სიტყვებიც.

„მხატვრული ნაწარმოების ღირებულება განიზომება იმ გავლენით, რომელსაც იგი ახდენს გარემოზე, საზოგადოებაზე, კაცობრიობაზე: რაც უფრო დიდია არე გავლენის, მით უფრო მაღალი ესთეტიური ღირებულებისაა ლიტერატურული ნაწარმოები, თუ კი ნორმალურია ურთიერთობა იდეოლოგიასა და მდგომარეობას შორის, თუ კი ინდუსტრიის ევოლუცია განსაკუთრებულ მიწა-წყალზე სისტემატურად (ხაზი კ. კაპანელისაა – ა.ბ.) იწვევს კულტურის ცენტრალიზაციას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, იდეოლოგია და მისი უმშვენიერესი ფორმა – მხატვრული ლიტერატურა ეტნოგრაფიულ ხასიათს იღებს, როგორც, მაგალითად, საქართველოში: ქართული ლიტერატურის მრავალ მშვენიერ ნიმუშებს წმინდა ეტნოგრაფიული ხასიათი აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული კულტურის ცენტრალიზაცია საშუალო საუკუნეების შემდეგ ან სუსტი იყო, ან სულ არ ყოფილა. ამის შედეგია ის, რომ ქართული ნაციონალური ტემპერამენტი, ქართული ნაციონალური ტიპი არ არსებობს (ხაზი ჩემია – ა.ბ.); არც მთლიანი კლასობრივი სახეობა არსებობს და ამაშია მთელი ჩვენი ეროვნული ტრაგედია: საქართველოს რომ ძლიერი გაბატონებული კლასები ყოლოდა, როგორც საშუალო, ისე ახალ საუკუნეებში, ქართველი ერის ისტორიული ევოლუციაც სხვანაირი იქნებოდა და ქართული ლიტერატურა თავისი ტიპებით არ იქნებოდა მომწყვდეული ეტნოგრაფიულ ზღუდეებში; ეკონომიურად და კულტურულად ძლიერი კლასი ფსიქოლოგიურად გააერთიანებდა საქართველოს პროვინციებს; ქართველ ტომებს ტემპერამენტით, ემოციებით გრძნობებით, მოქმედებით დაამსგავსებდა ერთმანეთს და ქართული სულის პერიფერიულად გაბნეულ მდიდარ თვისებებს ნაციონალურ ტიპებსა და სახეებში ჩამოადღებდა ისტორიულად“.1

შევწყვიტოთ ციტირება. მართალია, ეროვნული ენერგიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების დამადასტურებელი სხვა მასალაც უხვად არის, მაგრამ ისედაც

თვალნათლივ ვხედავთ – რა ღრმად და მტკიცედ გასჯდომოდა სასოწარკვეთილება ძვალ-რბილში ჩვენს საზოგადოებას.

ზერელედ არ უნდა შევხედოთ ამ სასოწარკვეთილებას, ამ ნიჰილიზმს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი შვა ქართველი ხალხის მტრობამ ან სიძულვილმა. ეს რომ დავუშვათ, საბედისწერო შეცდომას ჩავიდენთ. პირიქით, სასოწარკვეთილება და ნიჰილიზმი დაბადა დიდმა, თავგადადებულმა, უანგარო სიყვარულმა და გულისტკივილმა. მაგრამ იმ სიყვარულმა და გულისტკივილმა, რომელმაც ვეღარ აიტანა ისტორიის უსამართლობა და დაკარგა რწმენა და იმედი. ეს იყო გაუგონარი ტრაგედია და მოაზროვნე საქართველო იგლოვდა თავისთავს. მართალი იყო ნიკოლო მიწიშვილი, როცა თქვა – „მე არ ვიცი, – ვის უყვარს საქართველო ჩვენზე მეტად“. ეს სასოწარკვეთილება და ნიჰილიზმი წარმოშვა იმ სიყვარულმა, რომელმაც ილიას „ბედნიერი ერი“ დააწერინა და აკაკის ათქმევინა – „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“ ჩვენ არ უნდა წამოვეგოთ კომუნისტური პროპაგანდის სიცრუის იმ ანკესზე, რომელიც 40-იან წლებში სერგი დანელიას, კონსტანტინე კაპანელს და სხვებს უწოდებდა „უზნეო და სინდისგარეცხილ მეცნიერებს“.1 პრესაში გაჩაღებული ლანძღვა-გინება არ იყო პასუხი იმ კითხვისა, რომელიც მათ დასვეს. ეს იყო ცდა, გაქცეოდნენ პასუხს და საქმის უმეცარი მკითხველი პროპაგანდის ნაცრის ბუქით დაებრმავებინათ.

ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გაჩენილი სასოწარკვეთილება პირდაპირი გაგრძელება იყო მე-19 ასწლეულის პირველ ნახევარში დაბადებული სასოწარკვეთილებისა.

1801-1810 წლებში საქართველოს თავისუფლების დაკარგვამ, რუსეთის მიერ ქართელი ხალხის მოტყუებამ გააოგნა და თავზარი დასცა ჩვენი ერის მოაზროვნე ნაწილს. ამის უთუო და უთუმცაო საბუთია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გაორებული დამოკიდებულება საქართველოში რუსეთის გაბატონებისადმი.

თუ „განიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“, როგორც ამბობდა ალ. ჭავჭავაძე, – მაშინ რაღას ნატრობს – „მე ამას ვჰსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ!.. თვარაღა ჟამი, გულთ მაამი, კვლავაც იქნების“.2

გულთმაამი ჟამი ალ. ჭავჭავაძეს პირადი ცხოვრებისათვის არ ეოცნებებოდა. მას, ეროვნული თავისუფლების გარდა, არაფერი აკლდა. მისი მზერა საქართველოს მომავლისკენ იყო მიპყრობილი. მაგრამ ეჭვი ღრღნიდა, მტკიცედ ვერ ეწამებინა – საქართველოს თავისუფლების შესაძლებლობა. გაორება ორ უკიდურეს წერტილს შორის აქანავებდა. ერთ მხარეს იყო ცრუ გინცი – „ეშვათ ივერიელთ სასოება“ და მეორე მხარეს – გულთმაამი ჟამის მოლოდინი და ნატვრა.

თუ გრიგოლ ორბელიანს გულით სჯეროდა, რომ ნიკოლოზ პირველმა მართლა მოუვლინა საქართველოს „თამარის დღენი, დიდების დღენი“,1 მაშინ რატომღა მისტიროდა ჩვენი სამშობლოს წარსულს და რატომღა ამოიკვნესა სინანულით – „ან ეს რაცა ვჰსთქვი, რათა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვჰსთქვი?“

რა უნდოდა ეთქვა და ვერა თქვა? რა „აზრი, ნაცნობი გულისა“ უნდა ამოეცნო მკითხველს? ცხადია, ეროვნული თავისუფლებისა, მაგრამ ეჭვი და სასოწარკეთილება ბოლომდე ვერ დაუძლევია და გაორების ბეწვის ხიდზე დგას.

ნ. ბარათაშვილი ჯერ პოემაში „ბედი ქართლისა“ აშკარა წინააღმდეგია ერეკლე მეორის გადაწყვეტილებისა, მერე კი ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ თითქოს ამართლებს რუსთა მიერ საქართველოს დაპყრობას. თუ სტრიქონები – „აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი, და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენი ძენი“, – მწარე ირონია არ არის, მაშინ ეს ან იმედდაკარგული კაცის სასოწარკეთილებაა ან საბედისწერო დაბნეულობა.

ასევე დაგვემართა 20-იან წლებშიც. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო ისევ დაიპყრო რუსეთმა. რუსმა კომუნისტებმა ისევე მოატყუეს ქართველობა, როგორც ადრე რუსმა ცარისტებმა. 1920 წლის მაისში რუსეთის საბჭოურმა მთავრობამ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ხელი მოაწერა სათანადო აქტს. უარი თქვა ჩვენი ქვეყნისადმი პრეტენზიებზე.2 მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ლენინისა და რუსეთის საბჭოური მთავრობისათვის, რამდენიმე თვის შემდეგ თავს დასხმოდა საქართველოს და ისევ რუსთა ბატონობა დაემყარებინა.

ეროვნული თვალსაზრისით, პოლიტიკური სიტუაცია არსებითად ერთნაირი იყო. შედეგიც ერთნაირი გამოვიდა. განსხვავებად კი შეიძლებოდა ერთი რამ ჩაგვეთვალა: 1801-10 წლებში ცარიზმს ქართული ინტელიგენციიდან არ დაუქირავებია საგანგებო ჯგუფი, რომელიც ეროვნულ ნიჰილიზმს იქადაგებდა და ქართველ ხალხს მომავლის რწმენას მოუწამლავდა. საბჭოურმა რუსეთმა კი 20-იან წლებში შეადგინა მონა-სპათა რაზმი, პროლეტარული მწერლობის სახით, რომლის ძირითად ამოცანად დასახეს ქართველ ხალხში ნაციონალური გრძნობის საბოლოოდ ჩაკვლა. საბედნიეროდ, ამ მხრივ მათი საქმიანობა მარცხით დამთავრდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარმა ეროვნული ოპტიმიზმით უპასუხა პირველი ნახევრის ეროვნულ სკეპტიციზმს.

ილია ჭავჭავაძემ თავის თაობას მოუწოდა:

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

მაგრამ როგორ, რა პრინციპით? ილიამ ამგვარად ჩამოაყალიბა იგი: კლასობრივი ჰარმონიის (ე.ი. ეროვნული მთლიანობის) გზით შრომის განთავისუფლებისა და ნაციონალური თავისუფლებისაკენ.

„ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთიანებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, – შუქია წინასი და შუქი ხომ... – დასაწყისია განთიადისა...“ („ოთარაანთ ქვრივი“).

„შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის...“ („აჩრდილი“).

„ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს...“ („მგზავრის წერილები“).

ამ პროგრამის განსახორციელებლად შრომობდა, ილიას მეთაურობით, თერგდალეულთა თაობა. ამ მიზნის საქმედ ქცევა დანგრევით ემუქრებოდა რუსეთის კოლონიურ სისტემას. ეს ნათლად დაინახა რუსეთმა. აუცილებელი გახდა თერგდალეულთა წინააღმდეგ ბრძოლა. ქართველთა ყურადღება უნდა ჩამოსცილებოდა ეროვნულ პრობლემას და გადატანილიყო სხვა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე. ეს საკითხი კი გახლდათ შრომის განთავისუფლება. ამ პრობლემით თამაში მომგებიანი იყო, რამეთუ იგი თერგდალეულთა პროგრამის ნაწილსაც შეადგენდა. გაუთვითცნობიერებელი ხალხი ადვილად მოტყუვდებოდა. ამიტომ თერგდალეულთა პრინციპს დაუპირისპირეს ახალი: კლასობრივი ბრძოლით შრომის თავისუფლებისაკენ. ეროვნული გამოირიცხა, რადგან ამტკიცებდნენ – შრომის განთავისუფლება ავტომატურად გამოიწვევს ეროვნულ თავისუფლებასაც. თუ ქართველი ხალხი ამ პრინციპს იწამებდა, მაშინ საქართველოს დატოვება რუსეთის ყმად იოლი იქნებოდა. გაუმართლა მტერს ვარაუდმა. ქართველობა თავგამეტებული გადაეშვა კლასობრივ ბრძოლაში სუტიმედით – პროლეტარიატის გამარჯვებას მოჰყვებოდა ეროვნული თავისუფლებაც.

მტერს ხელ-ფეხი გაეხსნა და მოქმედების ასპარეზი მიეცა.

1907 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ მარტო ილია ჭავჭავაძე კი არ მოკლა, არამედ საქართველოს ეროვნული თავისუფლების იდეაც. ამ დღეს, წიწამურში, თერგდალეულთა ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა დამარცხებით დამთავრდა.

მინავლული სასოწარკვეთილება ისევ გაღვივდა მოაზროვნე საქართველოს გულში. ისევ დაიწყო ბრძოლა გინცსა და უგინცობას შორის. იმედის ახალმა ზარმა 1918 წლის 26 მაისს შემოჰკრა, მაგრამ, როგორც ვიცით, მისი ხმაც მალე ჩაკვდა.

ძველთაძველი კითხვა ისევ ითხოვდა ახალ პასუხს. მაგრამ ამ პასუხის პოვნა მე-20 ასწლეულის 20-იან წლებში გაცილებით რთული იყო, ვიდრე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. განვლილმა დრომ ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი.

როცა უკან მივიხედეთ, დავინახეთ, რომ ქართულმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ არსებობა დამარცხებით დაამთავრა. დიდხანს, საუკუნეების მანძილზე ატარა მან ქართველი ხალხი სისხლიანი ბრძოლის გზით, მაგრამ სამშვიდობოს ვერ გაიყვანა. იმ არისტოკრატიამ, რომელმაც დავითისა და თამარის საქართველო ააშენა, სიბერისაგან დაჩაჩანაკებულმა სამარცხვინო ანდერძი დაუტოვა ქართველ ხალხს:

ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა,
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის.

ეს სახელოვანი ცხოვრების უბადრუკი დასასრული იყო.

ქართულმა ბურჟუაზიამ კი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ის ძალა ვერ შეიძინა, რომ ერის მეთაურობა ეკისრა და ხალხს წინ გასძღოლოდა. უძლურებისა და განუვითარებლობის გამო ამ მისიისათვის იგი არ გამოდგებოდა.

ქართული პროლეტარული მოძრაობის თავკაცებმა უძიძოდ არსებობა ვერ შეძლეს. ეს კი ქართული მუშათა კლასის სისუსტის ბრალი იყო. დამოუკიდებლად იგი კლასთა ბრძოლის წარმოებას ვერ შეძლებდა. თუმცა ძალიან იყო მოხიბლული ამ ბრძოლით. ამიტომ ქართველი მარქსისტები პირდაბჩენილი მისჩერებოდნენ რუსულ მარქსიზმს და, რასაც გადია ჩაუდებდა პირში, იმას ლოღნიდნენ და იღმურძლებოდნენ. ამან გამოიწვია ის, რომ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ეროვნულ საკითხში იმავე გზით იარა, რომლითაც ქართული ფეოდალიზმის ნაბოლარები დადიოდნენ.

ასე დარჩა ერი უწინამძღოლოდ.

ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი ყოველი ჭკუათმყოფელი ქართველი სვამდა კითხვას – მართლაც ვინ არის ქართველი? რა არის საქართველო? ნუთუ მართლა არ ჰყოფნის მას ეროვნული ენერგია დამოუკიდებლად არსებობისათვის? ნუთუ არსებობა მხოლოდ ყმის სახით შეუძლია? ვისაც ნებისყოფამ უღალატა, იმან ხელი ჩაიქნია და მონობის შეგუება მოინდომა. ყველაფერი ეროვნული ენერგიის სისუსტით ახსნა და ბედს შეურიგდა. ზოგიერთმა ქართველი ერის წიაღში დაიწყო ნაციონალური ენერგიის ძებნა. ეს სურათი მიხ. ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელში“ ასე დახატა:

ნარგიზების ფორზე ჭიდაობა დამთავრდა. ხალხი დაიშალა და შინ გასამგზავრებლად ემზადება. საბარათიანოს გლეხობა „მეწინავე დროშის“ წინ გაძღოლას ელოდება. საბარათიანო აღმოსავლეთ საქართველოს „მეწინავე სადროშო“ იყო და ზაალ ბარათაშვილია ახლა მისი პატრონი. არსენას მამამ ღვთისავარმა, როგორც ძველმა მედროშემ, ალამი ჩამოხსნა და ბატონის განკარგულებას ელოდება. უცბათ დროშას თვალი მოჰკრა არლოვმა და გაოცებულმა იკითხა – ეს რა ამბავია? აუხსნეს, რაც იყო და რაც ხდებოდა. რუსმა მაიორმა განკარგულება გასცა – ახლავე მომეცითო. თან ცხენი ღვთისავრისაკენ დასძრა და დროშას წაეტანა. არსენას მამამ მაიორის

ცხენს აღვირში სტაცა ხელი, დროშა გვერდზე გასწია და ბატონებს მიაჩერდა – რა ვქნაო.

„მედროშეს კორძიანი ხელი და ჭაღარით მოსილი ულვაშები ოდნავ უთრთოდა. გრიგოლ ორბელიანს ზაფრანას ფერი ედო. დავით ბარათაშვილს თავი ჩაექინდრა, მარშალი ალექსანდრე გაშეშებული იდგა. კნეინები განაბულიყვნენ, დროშის მოლარეს ზაალს კი პირი დაეღო და ხმა დაეკარგა“.

თავადებმა აღარ იციან, როგორ მოიქცნენ – თან არლოვის ეშინიათ, თან დროშის დათმობაც ერცხვინებათ. მაშინ არსენამ მამასთან მიაგდო ცხენი, დროშა გამოართვა და რუსის გასაგებად და ქართველთა გასაგონად დაბალი ხმით ჩაიხრიალა – მოვიდეს და წაიღოს. არლოვი ბოღმით გაიგუდა. უხმოდ მიატრიალა ცხენი და კუდამოძუებული იქაურობას გაეცალა.

მერე არსენამ ის დროშა საერთოდ წაართვა ზაალ ბარათაშვილს და თავის რაზმის სეფეალამად აქცია.

მიხ. ჯავახიშვილის აზრით, ასე უნდ ეტვირთა თვითონ ხალხს თავისი ეროვნული ბედის მოგვარება, მაგრამ იყო ამის საშუალება საბჭოური ხელისუფლების დროს? არა, უკვე აღარ იყო. ერის ბელადის მმართველის, მისი იღბლის გადამწყვეტის როლი კომპარტიამ მიითვისა. საქართველოს კპ-მ ქართველთა თავსატეხ კითხვას ის პასუხი გასცა, რაც რუსმა უკარნახა – მარადიულად რუსეთთან ერთად! სხვა პასუხს ვერ მოძებნიდა, რამეთუ საქართველოს კპ ყოველთვის ეყრდნობოდა და ეყრდნობა რუსულ ხიშტს. მართალია, ხიშტი ძნელი დასაყრდნობია, მაგრამ სკამიდან ჩამოგდებას მაინც ხიშტზე ჯდომა ურჩევნია. როცა 1924 წელს ქართველმა ხალხმა სცადა თავად მოეგვარებინა საკუთარი ბედ-იღბალი, რუსის ჯარის დახმარებით, კომპარტიამ სისხლში ჩაახშო ამბოხება. ამით გააფრთხილა ქართველი ხალხი: საკმარისია ხელი გაანძრიოთ და პირწმინდად მოსპობა არ აგცდებათო.

ასე დაამკვიდრეს განკარგულება – მარადიულად რუსეთთან ერთად!

ასე უარყვეს ყველა სხვა ვარიანტი, ყველა სხვა პასუხი პრობლემის მოსაწესრიგებლად.

ასე ჩასჩარეს ყველას ბურთი პირში.

ასე აიკრძალა ფიქრი, სჯა-ბაასი ეროვნულ საკითხზე.

ასე „გადაწყდა“ ქართველთა ბედი ქართველთა უკითხავად.

ასე დარჩა უპასუხოდ კითხვა, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწამებს ქართველს.

ამიტომ დუმს დღევანდელი ქართული მწერლობა და არაფერს ამბობს ეროვნულ ენერგიაზე, ხმამაღლა არ ცდილობს ამოიცნოს იგი. მაგრამ ფიქრის შეჩერება შეუძლებელია. ფიქრის აკრძალვა არ მოხერხდება. ჩუმად, საკუთარ გულში ყველა ეძებს პასუხს. თუმცა საჯაროდ მისი თქმა ვერ მოუხერხებია. დრო კი კარგახანია დადგა, არამარტო გულში ვიფიქროთ, არამედ ხმამაღლა ვთქვათ – რა ელის ქართველ ხალხს: დარჩება იგი ტომად, ეთნოგრაფიულ მასალად, რომლისგანაც ყოველი დამპყრობელი იმას გამოძერწავს, რაც სურს და მიზანშეწონილად მიაჩნია თუ გახდება ერი, კაცობრიობის სრულუფლებიანი, თავისუფალი, დამოუკიდებელი წევრი, საკუთარი ეროვნული და ინტერნაციონალური მისიით?

ამისათვის ქართველ ხალხს ბევრი რამის გადაფასება დასჭირდება და უფრო ნათლად და მართლად წარმოდგენა. ეს უცილებელია, რადგან მას მერე, რაც 1801-10 წლებში რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქართველი ხალხის ბედს, გვინდოდა თუ არა ეს, რუსი ერის მდგომარეობა განაპირობებდა. ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლო საკუთარი შეხედულებისამებრ წაგვემართა ჩვენი ბედ-იღბალი. მიხეილ ჯავახიშვილმა მოხდენილად დაახასიათა საქართველოს მდგომარეობა, როცა „არსენა მარაბდელში“ ალექსანდრე ორბელიანს ათქმევინა – „რუსი ცხენით მისდევს ევროპას,

ჩვენ კი თოკით მიგვათრევს და გვეუბნება, არ ჩამოვრჩეთო. ჩვენც დასისხლიანებული მივრბივართ და გვგონია, რუსი სიკეთეს გვიშვებაო“.

სანამ ქართველი არ გათავისუფლდება „სიკეთის მომტანი რუსეთის“ ილუზიისაგან, საქართველოს საშველი არ იქნება.

თვალი გაადევნეთ რუსეთის ისტორიას და დაინახავთ, რომ ყველა დიდი და კეთილი წამოწყება რუსეთში მარცხით მთავრდება.

მარცხით დამთავრდა პეტრე პირველის დაწყებული რუსეთის ევროპეიზაციის იდეა. ორ საუკუნეზე მეტი იბრძოლეს რუსეთში ამისათვის, მაგრამ არსებითად ვერაფერს მიაღწიეს. იმ დღეს, რა დღესაც სტალინმა რუსი ხალხის სადღეგრძელო დალია და რუსეთის პრიორიტეტის ტოტალური ქადაგება დაიწყეს სსრკ-ში, საბოლოოდ დაიმარხა პეტრეს ოცნება – რუსეთს ევროპული სახე შეეძინა. გაიმარჯვა სლავიზმის ყველაზე მახინჯმა გამოვლენამ რუსიზმმა.

რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ არც პეტრეს, არც ეკატერინე მეორეს, არც სხვებს რუსეთის ევროპეიზაციის პროცესში არ უცდიათ შეეცვალათ რუსული ყოფის სული – დესპოტიზმი. ისინი დესპოტიზმის გზით ნერგავდნენ ევროპეიზმს. არ ესმოდათ, რომ ევროპეიზმი პირწმინდად გამორიცხავს დესპოტიზმს (რა თქმა უნდა, ლაპარაკია არსზე და არა ცალკეულ, ხანმოკლე გამოვლენაზე დესპოტიზმისა ევროპაში). მიზნისა და განხორციელების გზის შეუსაბამობამ გამოიწვია პეტრე პირველის იდეის დამარცხება.

რუსეთის ევროპეიზაციისაკენ მოწოდება იყო ლენინის სიტყვებიც:

„დიახ, ისწავლე გერმანელისაგან! ისტორია მიხვეულ-მოხვეული და შემოსავლელი გზებით მიდის. გამოვიდა ისე, რომ დღეს სწორედ გერმანელი ასახიერებს, მხეცურ იმპერიალიზმთან ერთად, დისციპლინის, ორგანიზაციის, მწყობრი თანამშრომლობის საწყისს უახლესი მანქანური ინდუსტრიის, უსასტიკესი აღრიცხვისა და კონტროლის საფუძველზე.

ეს კი სწორედ ისაა, რაც ჩვენ გვაკლია. ეს სწორედ ისაა, რაც ჩვენ უნდა ვისწავლოთ. ეს სწორედ ისაა, რაც აკლია ჩვენს დიდ რევოლუციას, რათა ძლევამოსილი დასაწყისიდან, მთელ რიგ მძიმე განსაცდელთა გზით, ძლევამოსილ დასასრულამდე მივიდეს. ეს სწორედ ისაა, რაც ესაჭიროება რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რათა იგი აღარ იქნეს ღატაკი და უძლური, რათა საბოლოოდ გახდეს ძლიერი და უხვი“.1

ეს სტრიქონები პირდაპირი გაგრძელებაა რუსულ მწერლობაში შექმნილი ბეჯითი და საქმიანი გერმანელის სახისა, რომელიც უპირისპირდებოდა ზარმაცი, უქნარა და არყით გამოთაყვანებულ რუსის ხატს. ლენინი ოცნებობს იმ პიროვნებაზე, რომელსაც გასულ საუკუნეში ნიკოლოზ მიხაილოვსკიმ „გაგერმანელებული რუსი“ უწოდა. მაგრამ არც ამ მოწოდებას ეწერა განხორციელება, ეს ოცნებაც მარცხით დამთავრდა. საკმარისი აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომში რუსეთს გაემარჯვა, რომ „გაგერმანელების“ (ანუ ევროპეიზაციის) სურვილი ერთხელ და სამუდამოდ უკუეგდოთ და რუსობით ტკბობას მისცემოდნენ, რუსიზმი კაცობრიობის ოცნებად გამოეცხადებინათ. საბჭოურ პროპაგანდას რუსიზმის ტოტალური ქადაგება დაეწყო.

რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ აქაც გერმანული „დისციპლინის, ორგანიზაციის, მწყობრი თანამშრომლობის, უსასტიკესი აღრიცხვისა და კონტროლის“ განხორციელება ლენინმაც დესპოტიზმის გზით მოინდომა. ვერ მიხვდა, რომ, რასაც თვითონ ითხოვდა, ერის სულის თვისებაა. მათრახითა და ჯოხით მისი დანერგვა არ შეიძლება. „გერმანული სული“ ერის თავისუფლების ნაყოფია და არა დესპოტიზმის. ამჯერადაც მიზნისა და განხორციელების გზის შეუსაბამობამ ეს ოცნებაც დამარცხებამდე მიიყვანა. ლენინური დესპოტიზმის გამო, რუსეთმა ვერ შეიძინა ის, რაც ესაჭიროებოდა იმისათვის, რომ აღარ ყოფილიყო ღატაკი და უძლური, გამხდარიყო ძლიერი და უხვი.

მარცხით დამთავრდა თითქმის საუკუნენახევრიანი რუსული განმათავისუფლებელი ბრძოლაც – დაწყებული რადიშჩევით და დამთავრებული 1917 წლის თებერვლის რევოლუციით. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ მოსპო თავისუფლების ყველა იდეალი და ცარისტული დესპოტიზმი კომუნისტური დესპოტიზმით შეცვალა. თან კომუნისტური დესპოტიზმი მრავალგზის უფრო სასტიკი აღმოჩნდა, ვიდრე ცარისტული იყო. ამის საბუთად, თუ გახსოვთ, ადრე უკვე მოვიტანე რამდენიმე ამონაწერი, რომელმაც ნათლად დაგვანახა, რომ კომუნისტურ დესპოტიზმთან შედარებით ცარისტული დესპოტიზმი ბავშვის გართობას ჰგავდა.

კატორღის გახსენება რად გვინდა. უბრალოდ შევადაროთ ერთმანეთს „თავისუფალი“ მოქალაქის მდგომარეობა ცარიზმისა და სოციალიზმის დროს და ცხადად დავინახავთ – რაოდენ უუფლებო, დამონებული და დაჩაგრულია საბჭოელი ადამიანი. ცარიზმს აზროვნება არ აუკრძალავს. კომუნისტებმა კი აკრძალეს იგი. ცარიზმის დროს იყვნენ ჩაადაევიც, ბელინსკიც, გერცენიც, ჩერნიშევსკიც, მიხაილოვსკიც, ლავროვიც, პლეხანოვიც და ლენინიც. სოციალიზმის დროს? სრული მდუმარეაა. აზრი არ ჭაჭანებს არსად. თუ ვინმე აზროვნებას დააპირებს, ან კატორღაში უნდა დალიოს სული, ან სამუდამოდ ემიგრაციაში წავიდეს. თუმცა ემიგრანტობა სანატრელია და მხოლოდ თითო-ოროლა „რჩეულს“ თუ ერგება წილად.

ამგვარი კატასტროფა არ განუცდია არც ერთი ევროპელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ნიდერლანდების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა თავისუფალ და დემოკრატიულ ჰოლანდიას, ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ – ბრიტანულ დემოკრატიზმსა და თავისუფლებას, საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ – დემოკრატიულ და თავისუფალ საფრანგეთს... ერთადერთი ქვეყანა, სადაც ბურჟუაზიული რევოლუციის (1917 წლის თებერვალი) შედეგად დაიბადა დესპოტიზმის ახალი სახეობა (1917 წლის ოქტომბერი), რუსეთია.

რატომ მოხდა ეს? რუსი ხალხის ბუნებისა და ხასიათის გამო. თავისუფლების სახელით, რუსეთში შეიძლება მოხდეს ბუნტიცა და რევოლუციაც, შეიცვალოს მთელი სოციალ-პოლიტიკური სისტემაც, მაგრამ ამ ბუნტის, ამ რევოლუციის, ამ ცვლილების ბუნება და ხასიათი ყოველთვის ერთნაირი იქნება – დესპოტური.

კარგად დააკვირდით: ნაციზმის ბატონობის შემდეგ იშვა მსოფლიოს ერთ-ერთი უდემოკრატიულესი სახელმწიფო – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ფაშიზმის პარპაშის შემდეგ გაჩნდა თავისუფალი იტალია, ფრანკოს დიქტატურას მოჰყვა ახალი ესპანეთი, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიზმის პრინციპებით ცხოვრობს (კომუნისტი დოლორეს იბარურიც კი დაბრუნდა სამშობლოში), სალაზარის დამხობის მერე პორტუგალიაში თავისუფლება ზეიმობს. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ისევ არაფერი შეიცვალა, რუსეთია, თუმცა, რაც სტალინი გარდაიცვალა, ოცდაცხრა წელინადი გავიდა. მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა სტალინის სიკვდილის შემდეგ თავწამოყოფილი უსუსური ლიბერალიზმი. დღევანდელ რუსეთში ისევ სტალინიზმი ბატონობს. სხვანაირად არც შეიძლებოდა. სტალინიზმი სხვა არაფერი იყო, თუ არა პრაქტიკული ლენინიზმი. რუსეთში სოციალიზმის არსებობის ერთადერთი ფორმაა – ლენინისტური ტერორიზმი. როგორც კი შეიცვლება ლენინისტური ტერორიზმი, მაშინვე დაემხობა სოციალიზმიც. როგორც ჩანს, ეს გაკვეთილი კარგად აითვისეს სტალინმაც და მისმა შემცვლელებმაც, დესპოტიზმის დღესასწაული გრძელდება.

ოფიციალური პროპაგანდა დღეს დიდად იკვეხნის იმით, რომ რუსეთმა პირველმა განახორციელა რეალური სოციალიზმი. მაგრამ, თუ ვიკითხავთ – რა მისცა სოციალიზმმა რუსეთს, – პასუხად მივიღებთ – სამხედრო ძლიერების გარდა, არაფერი. ეს ღონე კი რუსეთს არასოდეს აკლდა. ადრე თუ ევროპის ჟანდარმი ერქვა, ახლა

მსოფლიოს ჟანდარმის სახელი დაიმსახურა. ეს არის და ეს. სხვა მხრივ წინ ნაბიჯიც არ გადაუდგამს.

რუსული განმათავისუფლებელი მოძრაობის მარცხი ქართული იმედის მარცხიც იყო. რუსეთის განთავისუფლებასთან აკავშირებდა ქართველობა საკუთარ თავისუფლებასაც. რუსეთთან საქართველოს შეერთების მორტფიალე ქართველი მეფეების იმედს მიამიტი რწმენა ედო საფუძვლად: ქრისტიანი რუსეთი არ დაჩაგრავს ქრისტიან საქართველოს. რუსული სოციალიზმის ერთგული ქართველი კომუნისტების იმედსაც გულუბრყვილო რწმენა კვებავდა: სოციალისტური რუსეთი გაათავისუფლებს სოციალისტურ საქართველოს. მწარედ მოვტყუვდით. ცარისტულმა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქართველი სამეფო დინასტია დააპატიმრა და რუსეთში გადაასახლა. საქართველოს სამეფო გააუქმა და იგი ორ გუბერნიად – თბილისისა და ქუთაისის – აქცია. ქართული ეკლესია მოსპო, ქართული წირვა-ლოცვა აკრძალა და რუსული დაამკვიდრა. ქართული ენა განდევნა სასწავლებლიდან. ამ მწარე სინამდვილემაც ვერ გამოაფხიზლა ქართველი მარქსისტები. ლენინის მსასოებელმა ქართველმა კომუნისტებმა საქართველოს ცარისტული დესპოტიზმის უღელი კომუნისტური დესპოტიზმის უღლით შეუცვალეს.

ეს ქართული აზროვნების გაუგონარი მარცხი იყო.

ქართველობას ყოველთვის ატყუებდა რუსული თავისუფალი აზრის არსებობა. ვერ ხედავდა რუსეთისათვის დამახასიათებელ უცნაურ კანონზომიერებას: რუსეთში თავისუფალი აზრი არსებობს ცალკე და დესპოტიზმი – ცალკე. ამ დესპოტიზმზე თავისუფალი აზრი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს. დესპოტიზმს კი შეუძლია, როცა მოისურვებს, მაშინვე გაუსწოროს ანგარიში თავისუფალ აზრს.

ყოველთვის ასე იყო და დღესაც ასეა: თავისუფალი აზრის მოქადაგეს რუსეთში ან კატორღა ელოდა, ან ემიგრაციაში გაძევება.

ანდრეი კურბსკი იძულებული გახდა პოლონეთში გაქცეულიყო და იქიდან გამოეგზავნა წერილები, რომელნიც ივანე მრისხანის სისხლიან საქმეებს ამხელდნენ.

გერცენმაც ევროპას შეაფარა თავი და ისიც იქ აკრავდა სამარცხვინო ბოძზე ნიკოლოზ პირველის რეჟიმს.

ემიგრაციაში ემალებოდნენ ცარიზმის ჟანდარმებს „ნაროდნაია ვოლიას“ წევრებიც და რუსი მარქსისტებიც.

დღესაც უცხოეთში ცხოვრობენ ან კატორღაში იტანჯებიან ისინი, ვისაც სურდა აზრის თავისუფლების აღორძინება სსრკ-ში.

გერცენის ჟურნალი „კოლოკოლი“ ევროპაში იბეჭდებოდა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ეთქვათ სიმართლე ცარისტულ რუსეთზე.

დღესაც ევროპაში ისტამბება თავისუფალი რუსული ჟურნალი „კონტინენტი“. დღესაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება სიმართლის თქმა სოციალისტურ რუსეთზე.

რუსი დისიდენტების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში არავის უმხელია კომუნისტური დესპოტიზმი იმ ძალითა და სიღრმით, როგორც ეს მათ გააკეთეს, მაგრამ შედეგი?

რუსეთში ყოველთვის ძლიერი იყო მამხილებელი ძალა, თუმცა ასევე ყოველთვის უსუსურია თავისუფლების განხორციელების შანსი.

ბედისწერასავით დასდევს რუსეთს შემზარავი პარადოქსი: მთელი ძალა მოახმაროს არა თავისუფლების იდეის საქმედ ქცევას, არამედ როგორც საკუთარი, ისე სხვისი თავისუფლების ჩახრჩობას. ამგვარმა მდგომარეობამ წარმოშვა ორი რადიკალური განსხვავებული შეგნება. ერთი ნაყოფია ევროპული თავისუფალი კულტურის, ხოლო მეორე შედეგია რუსული დესპოტური კულტურისა.

ჯეიმზ ჯოისის პროტაგონისტმა დედალუსმა („ხელოვნის სიჭაბუკის პორტრეტი“) თავისი მისამართი გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ამგვარად დააწერა:

სტივენ დედალუსი

დაწყებითი კლასი
კლინგოუს-ვუდის კოლეჯი
სელინზი
კილდერის საგრაფო
ირლანდია
ევროპა
სამყარო
უნივერსუმი.

იშვიათი სიცხადით არის წარმოდგენილი ადამიანის, საზოგადოების, კაცობრიობის, უნივერსუმის ერთიანობა. მისი დაშლა და დანაწევრება რაიმე პრინციპით შეუძლებელია. ამ შეგნების დაშლის განხორციელების ცდაც კი დანაშაულია როგორც პიროვნების, ისე მთელი კაცობრიობის წინაშე. სტივენ დედალუსისათვის თავისუფალია პიროვნება, თავისუფალია ერი, თავისუფალია კაცობრიობა. იგი ერთიანი და მთლიანია სრული და საყოველთაო თანასწორობის იდეით. ამ თავისუფალი და თანასწორი სამყაროს ნაწილია ყოველი ადამიანი.

ეს არის შეგნება დაბადებული ევროპული კულტურის ნიადაგზე.

ამ შეგნების საწინააღმდეგოდ რუსულმა კულტურამ შვა სერვილიზმით შეპყრობილი ადამიანი. ეს მონური შეგნება უზბეკმა პოეტმა ჰამიდ ალიმჯანოვმა ასე გამოთქვა:

Россия, Росиа!
Твой сын, а не гость я,
Ты – родная земля моя,
Отчий мой кровь,
Я – твой сын,
Плоть от плоти твоей ,
Кость от кости –
И пролить свою кровь за тебя я готов!

როგორც ხედავთ, რუსულმა კულტურამ ჩამოაყალიბა არა თავისუფალი ადამიანი, არამედ ველიკორუსული შოვინიზმით შეპყრობილი მონა, ვინც არა მარტო თავისთავი უარყო, არამედ თავის ხალხიც. ამ კატასტროფულ შეგნებამდე მიიყვანა ადამიანი რუსულმა კულტურამ. ამ საშინელების დანახვამ ათქმევინა დღევანდელი რუსეთის ორ გამოჩენილ მოღვაწეს – ალექსანდრე სოლჟენიცინსა და ანდრეი ამალრიკს – სამარცხვინოაო რუსად ყოფნა.1 ძნელია უფრო დიდი ტკივილის წარმოდგენა. ასეთი მონური შეგნების ჩამოყალიბება ხომ გონიერების დაკარგვას უდრის? ალბათ ამიტომ ჟღერს ეგზომ აქტუალურად პუშკინის ნატვრა:

Дай Бог, чтоб милостию неба,
Рассудок на Руси воскрес.2

ეს არ იყო მარტო რუსული კულტურის მარცხი. იგი ქართული ოცნების მარცხიც იყო. ქართველი მოღვაწეები რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას ამართლებდნენ იმით, რომ ჩვენი ქვეყანა აზიური ჩიხიდან გამოდიოდა. იგი თითქოს ევროპული აზროვნებისა და განვითარების გზას ადგებოდა. მაგრამ, როგორც ნახეთ, მწარედ მოვტყუვდით. რუსეთში ევროპეიზმის დაგმობამ და რუსიზმის აღორძინებამ

საქართველო აზიური ჩიხიდან სლავიზმის ჭაობში ჩააგდო. ევროპა მიუწვდომელ ოცნებად დარჩა.

არავინ დაუგდო ყური, თორემ კონსტანტინე გამსახურდიამ დიდი ხნის წინათ ამ-ხილა რუსეთის იმედით ყოფნის უსუსურობა და უნიადაგობა.

„დიმიტრი ყიფიანს ეგონა: რუსის მეფე კარგია, რუსის მეფეს საქართველო უყ-ვარს და პატივს ცემს საქართველოს თავად-აზნაურობის ისტორიულ გარანტიებს. მხოლოდ რუსის მინისტრები არ ვარგანან.

ნოე ჟორდანია და არჩილ ჯორჯაძე ფიქრობდნენ ერთ დროს: არ ვარგა არც რუ-სის მეფე, არც რუსის მინისტრები, არც რუსის ჟანდარმერია. ყველანი მტრულად განწყობილი არიან ჩვენდამი. კარგია რუსის დემოკრატია.

დღეს ზოგიერთები ფიქრობენ: ყველა-ყველა და რუსის მსახიობები და რუსის მწერალი – ეს კულტურის წარმომადგენელნი არიან. ჩვენ ისინი გვიყვარს.

ჩვენ სულ სხვანაირად ვფიქრობთ: ყველა კარგია თავის ადგილას, თავის დროს და თავის ქვეყანაში: ჩვენ გვაქვს ჩვენი გეზი, ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურპოლი-ტიკა და ყველას იმდენად დავაფასებთ, რამდენადაც ისინი ჩვენ ანგარიშს გვიწევენ და სარგებლობას მოგვიტანენ“.1

თუ ქართველი ხალხი, ქართული მწერლობა არ იქნება თავისუფალი, არ ივლის თავისი გზით, ვერც ერი და ვერც მწერლობა ვერ გახდება სრულუფლებიანი თავის-თავადი წევრი კაცობრიობისა, უნივერსუმისა. როგორც ჩვენი ხალხი, ისე ჩვენი მწერლობა მუდამ დარჩება სხვისი ჩრდილი. ჩრდილი კი, ყველას კარგად მოეხსენე-ბა, რა იოლად ქრება.

აუცილებელია, რომ გავითვალისწინოთ ეს. ეს ერთი მხარეა საკითხისა. არის მეო-რე მხარეც: რა არის საჭირო იმისათვის, რომ რუსული ხასიათი გათავისუფლდეს დესპოტიზმისაგან, ხოლო ქართული – ხიზანის შეგნებისაგან? იგრძნოს ქართველმა თავი თავისუფალ ადამიანად და არ ეძებდეს მფარველს?

ჩემი აზრით, ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს – საჭიროა სულის რევოლუცია.

სოციალური რევოლუცია არაფერს ცვლის არც ზნეობრივი და არც მატერიალუ-რი თვალსაზრისით. ერთადერთს, რასაც სოციალური რევოლუცია აკეთებს, არის ერთი ბატონის შეცვლა მეორეთი. არც ერთ კრომველს, არც ერთ რობესპიერს, არც ერთ ლენინს არ მოუტანია ხალხისათვის კეთილდღეობა. მათ ერთ გაბატონებულ ჯგუფს ჩამოართვეს პრივილეგია და გადასცეს მეორე ჯგუფს. ახალი ბატონი ზოგ-ჯერ ძველზე ბევრად სასტიკია.

მატერიალური თვალსაზრისით, ადამიანისათვის შვება მოაქვს მეცნიერულ-ტექ-ნიკურ რევოლუციას. ის იგონებს მრავალგვარ საშუალებას ადამიანის მძიმე შრომის შესამსუბუქებლად და დოვლათის გასაზრდელად. ვერც ერთი სოციალური რევო-ლუცია ვერ მისცემდა კაცობრიობას ელდენს. თუმცა ბრიყვების გასაცუცურაკებ-ლად ელნათურას „ილიჩის ნათურას“ ეძახიან და ხშირად მიზანსაც აღწევენ. ერთი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თავგამოდებით მიმტკიცებდა – ელნათურა ლენინმა გამოიგონა და ამიტომ ჰქვიაო „ილიჩის ნათურა“. აი, შედეგი საბჭოური სკოლისა და პროპაგანდის. მაგრამ კაცობრიობა ხომ მხოლოდ ბრიყვებისაგან არ შედგება და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ კაცობრიობის ტექნიკუ-რი და მეცნიერული პროგრესი არ უკავშირდება სოციალურ რევოლუციას. პირი-ქით, ხშირად სოციალური რევოლუცია სწორედ მეცნიერულ-ტექნიკურ წინსვლას ებრძვის, აბრკოლებს და ზოგჯერ ანადგურებს კიდეც. საკმარისია გავიხსენოთ, რა გააფთრებული ებრძოდნენ სსრკ-ში კიბერნეტიკას, გენეტიკას და ა.შ. მაგრამ მეც-ნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ მაინც გაიმარჯვა და კომუნისტებიც კი იძულე-ბულნი გახდნენ ეცნოთ ეს.

არც სულიერი თავისუფლება მოაქვს სოციალურ რევოლუციას. თუ შევადარებთ დღევანდელ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს, დავინახავთ:

1. კაპიტალიზმს არ ეშინია იდეოლოგიური ბრძოლის. იქ კომუნისტური პარტიებიც არსებობს და კომუნისტური ლიტერატურაც იბეჭდება (მარქსი, ენგელსი, ლენინი, ტროცკი, სტალინი, მაო ძედუნი, ბრეჟნევი და სხვანი). აქ, სოციალისტურ სამყაროში, არც სხვა პარტია არსებობს, არც სხვაგვარად მოაზროვნეთა წიგნები იბეჭდება. ამას ვინ ჩივის: არ იცემა კომუნისტების (მაგალითად, სტალინის, ტროცკის, მაო ძედუნის და სხვათა) თხზულებანიც.

2. კაპიტალიზმს არ ეშინია არც საპროტესტო გაფიცვების, არც მიტინგების, არც დემონსტრაციების. სოციალიზმი კი შიშით კანკალებს ამგვარი მოვლენების მიმართ და მაშინვე ახრჩობს გაფიცვის, მიტინგის ან დემონსტრაციის უმცირეს გამოვლენასაც კი.

3. თუ კაპიტალიზმმა თავის წიაღში წარმოშვა სხვადასხვა მოძღვრება (მარქსიზმიც და ლენინიზმიც მისი ნაშობია), ამ მხრივ სოციალიზმი სრული ბერწია. არავითარი მოძღვრება ჯერჯერობით სოციალიზმის ბუდეში არ გამოჩეკილა.

4. სულის თავისუფლება სჭირდება ეკონომიკურ წარმატებასაც. თუ კაპიტალიზმი ეკონომიკურადაც წინ მიდის და ბარაქა-დოვლათით არის სავსე იქაური მაღაზია-ბაზრები, სოციალიზმი უაღრესად ჩამორჩა, გაღარიბდა და გაღატაკდა. ეს აშკარად აღიარა სკკპ 26-ე ყრილობამ, რის გამოც ე.წ. სასურსათო პროგრამა შეიმუშავეს. რა თქმა უნდა, ყოველმა საბჭოელმა მოქალაქემ ჩინებულად იცის, რომ ამას არაფერი მოჰყვება. უწყის, რომ „სასურსათო პროგრამა“ მორიგი პროპაგანდისტული ფანდია.

„სასურსათო პროგრამისადმი“ საბჭოელი ხალხის დამოკიდებულება ცხადად გამოითქვა ანეკდოტით:

– რა არის ხვლიკი?

– ნიანგი სკკპ-ის სასურსათო პროგრამის განხორციელების შემდეგ.

არც ზნეობრივად აუმჯობესებს საზოგადოებას სოციალური რევოლუცია, არსად, არცერთ ქვეყანაში ტოტალური ხასიათი არ მიუღია ქურდობას, ფლანგვას, კომბინაციას, მაქინაციას, ქრთამს, გამომძალველობას... ეს მანკიერებანი ტოტალურად მხოლოდ სსრკ-შია გავრცელებული.

ერთი სიტყვით, განახლებისათვის, აღორძინებისათვის აუცილებელია სულის რევოლუცია.

თუ არ მოხდა სულის რევოლუცია, არც რუსეთის ცხოვრების ძირითადი თვისება – დესპოტიზმი – შეიცვლება და ვერც ქართველი ხალხი დასძლევს მანკიერებას, რომელიც ილიამ „ბედნიერ ერში“ დახატა. თავის მხრივ კი, თუ „ბედნიერ ერში“ ჩამოთვლილი ავი თვისებანი ვერ მოვიცილეთ, ვერც თავისუფლებას მოვიპოვებთ.

რა ძალა აქვთ და რას ნიშნავს სულის რევოლუცია, ეს თვალნათლივ უჩვენა კაცობრიობას ორმა ერმა – იაპონელებმა და ებრაელებმა.

იაპონელებს არც სოციალური რევოლუცია მოუწყვიათ და არც პოლიტიკური გადატრიალება. ომშიაც დამარცხდნენ და საუკუნის ყველაზე შემზარავი იარაღიც – ატომური ბომბიც – მათ ქვეყანაში ააფეთქეს. მიუხედავად ამისა, ფეხზეც წამოდგნენ და მსოფლიოს სათავეშიც მოექცნენ. ყველაფერი იაპონური ეტალონი და ნიმუში გახდა. აშშ-იც, ევროპაც, სსრკ-იც მოკრძალებითა და მორიდებით შესცქერის იაპონიას, იმდენად დიდია მისი მატერიალური და სულიერი ძალმოსილება. იაპონელებმა კი ეს მოახერხეს იმით, რომ თავიანთი ცხოვრების გზა წარმართეს სულისა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გეზით. ერთი მხრივ, უარყვეს და დასძლიეს აზიური კარჩაკეტილობა, შეზღუდულობა, მცონარობა და მეორე მხრივ, აითვისეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მონაპოვარი. ეს გახდა მათი ეროვნული აღორძინების საფუძველი.

ებრაელებმა კი კაცობრიობას დაუმტკიცეს, რომ გაუტეხელია ერის სული, თუ ხალხმა იცის, რისთვის არსებობს. ორი ათასი წლის გაფანტვის, ტანჯვა-წამების,

დამცირების, კარდაკარ ხეტიალის შემდეგ მათ ეროვნული სახელმწიფოც შექმნეს, დავიწყებული ენაც აღადგინეს და დიდ ეკონომიკურ-კულტურულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ესეც სულის რევოლუციის ნაყოფი იყო, რომელიც თეოდორ ჰერცლმა მოახდინა.

სულის რევოლუციისათვის ერთობლივი მუშაობა მართებს მწერლობასა და ერს. მწერლობა სიმართლით, ავისა და კარგის შეუფარავი თქმით, მიზნის ნათლად ჩვენებით უნდა აწთრობდეს ხალხის სულს. ერი კი პირუთვნელი მსაჯული უნდა იყოს ყოველი მოღვაწის საქმიანობის. პირფერული თვალთმაქცობით გუნდრუკს არ უნდა უკმევდეს ყოველ ლაზღანდარას და შარახვეტიას. ნურავინ იტყვის იმას, რომ ზოგჯერ ხალხი ტყუვდება და ვერ არჩევს მტყუანსა და მართალს. ხალხი არასოდეს ტყუვდება. ოღონდ, სამწუხაროდ, ზოგჯერ მას ხელსაყრელად მიაჩნია თავი მოიკატუნოს გაცუცურაკებულად. ეს ცრუ დიპლომატია უნდა მოიცილოს თავიდან და ყოველთვის ეცოდინება – რა აკეთოს და როგორ.

ქართველი ხალხი თავისი ცხოვრებისა და ისტორიის ძირეული გარდატეხის გარდუვალობის წინაშე დგას და ბუნებრივად იბადება კითხვა – ვინ იქნება ის ქართველი, ვისაც ექნება უფლება გაიმეოროს თეოდორ ჰერცლის სიტყვები?

„იქნებ ობიექტურმა ისტორიკოსმა შეძლოს, უფრო სწორად შეაფასოს, რა დაუჯდა ყოველგვარ სახსრებს მოკლებულ ებრაელ ჟურნალისტს, ყველაზე საზარელი დევნის ეპოქაში, ჩვარი დროშად ექცია, ხოლო მოძულებული ბრბო – ხალხად“.1

1983 წ.

P.S. მოგეხსენებათ, მედალს ორი მხარე აქვს. ის, რაც ამ წიგნში წაიკითხეთ, მედლის ერთი მხარეა: რა დღეში იყო ქართული მწერლობა. მეორე მხარესაც უნდა გაეცნოს მკითხველი: როგორ ემსახურა XX ს. ქართული მწერლობა ეროვნულ და საკაცობრიო იდეალებს. ამას გიამბობთ მომდევნო წიგნში – „გადარჩენა“.

<u>გ ა დ ა რ ჩ ე ნ ა</u>

(ფრაგმენტები და მასალები)

შემდგენლისაგან

აკაკი ბაქრაძის მიერ 1983 წელს დაწერილი და მხოლოდ 1990 წელს გამოქვეყნებული წიგნი _ «მწერლობის მოთვინიერება» (როგორც თვითონ ამბობს, მაშინ, 1983 წელს, ამ წიგნის გამოქვეყნებაზე «ფიქრიც კი ზედმეტი იყო») ასე თავდება:

«P.S. მოგეხსენებათ, მედალს ორი მხარე აქვს. ის, რაც ამ წიგნში წაიკითხეთ, მედლის ერთი მხარეა: რა დღეში იყო ქართული მწერლობა მაშინ (1921-1953წლებში). მეორე მხარესაც უნდა გაეცნოს მკითხველი: როგორ ემსახურა მე-20 საუკუნის ქართუ-

ლი მწერლობა ეროვნულ და საკაცობრიო იდეალებს. ამას გიამბობთ მომდევნო წიგ-ნში _ «გადარჩენა».

ჩანაწერებში ვკითხულობთ:

„გადარჩენა“ — ლაპარაკია მწერლობის გადარჩენაზე. გალაკტიონმა, ნ. ლორთქიფანიძემ, მიხ. ჯავახიშვილმა და სხვ. გადაარჩინეს მწერლობა. ამით ქართული კულტურაც გადარჩა. ეს უნდა იყოს წიგნის ლეიტმოტივი“.

90-იანი წლების დასაწყისში და მერეც ჟურნალისტებთან საუბარში (ჟურნალ-გა-ზეთებსა თუ რადიო-ტელევიზიაში) აკაკი ბაქრაძემ რამდენჯერმე ახსენა თავისი მო-მავალი წიგნი _ «გადარჩენა». კერძოდ, 1992 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს რადიოს პროგრამა «სახსოვარმა» აკაკი ბაქრაძესთან საუბარს ცხრა გადაცემა დაუთ-მო და პირველ გადაცემებში მან სწორედ ქართული მწერლობის «მოუთვინიერე-ბელ» ნაწილზე ისაუბრა, იმ მწერლებზე, 1921-1953 წლებში _ უმძიმეს წლებში, უმძი-მეს პირობებში ჩვენი ქვეყნის მომავლის, საქართველოს ხვალინდელი დღისთვის რომ იღვწოდნენ. ისაუბრა იმათზეც, ვინც «ბასტილიაში ჩასხდნენ» და ფიზიკურად განადგურდნენ, და იმათზეც, ვინც «ბასტილიაში არ ჩასხდნენ» და ყველაფერი იღო-ნეს, იღვაწეს ერისა და ქვეყნის სულიერების გადასარჩენად, იხსნეს საკუთარი სუ-ლიც და ხორციც.

აკაკი ბაქრაძის საუბრის მთავარი აზრი ასეთია:

იმ პერიოდში (1921-1953 წწ.) საქართველოს «ძალიან ძლიერი და მაღალი სულიე-რი ცხოვრებით უცხოვრია», «დიდი ლიტერატურა შექმნილა და დიდი მწერლები ჰყოლია»... იმ პერიოდის ქართულ მწერლობას ამშვენებს მიხეილ ჯავახიშვილის, ნი-კო ლორთქიფანიძის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსა-ხურდიას, ლეო ქიაჩელის, დემნა შენგელაიას, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძის, სხვათა და სხვათა სახელები. გადაცემაში მან ცალ-ცალკე ისაუბ-რა თვითეულზე და თქვა, რომ ისინი აგრძელებენ დიდი ქართველი კლასიკოსების გზას, საქართველოს გადარჩენის იდეისათვის იღვწოდნენ და ამიტომ დღეს მათაც დიდ მწერლებად მოვიხსენიებთ.

აკაკი ბაქრაძემ კომუნისტებისგან «მოუთვინიერებელ» ამ მწერლებზე საუბარი იმით დაამთავრა, რომ აპირებდა მათზე წიგნის დაწერას და პირველი წიგნის _ «მწერლობის მოთვინიერების» საპირისპიროდ ამ წიგნს «გადარჩენას» დაარქმევდა. ეს წიგნი «ნაწილობრივ დაწერილია, ცოტაღა დარჩაო», თქვა.

სამწუხაროდ, წიგნის დასრულება, მისთვის სრული სახის მიცემა აკაკი ბაქრაძემ ვერ მოასწრო.

მაგრამ...

*ჯერ ერთი, ამ მწერლებზე მას სხვადასხვა დროს დაწერილი აქვს წერილები («ცო-ტაღა დარჩაო», რომ ამბობდა, უთუოდ ამასაც გულისხმობდა). მეორეც _ მის საწერ მაგიდაზე დარჩა ორი დიდი საქაღალდე წარწერით _ «გადარჩენა»*1

ამ საქაღალდეში თავმოყრილია მასალები ამ წიგნისათვის, რამდენიმე სქემა და გეგმა, ამონაწერები მისთვის საინტერესო წიგნებიდან (გალაკტიონ ტაბიძის თორ-მეტტომეულშიც მოხაზული აქვს საჭირო სტრიქონები, ერთად არის თავმოყრილი პავლე ინგოროყვაზე დაწერილი სხვადასხვა ავტორის წერილები; როგორც ჩანს, ამ წიგნისათვის პავლე ინგოროყვაზე ცალკე თავის დაწერას აპირებდა). ზოგიერთი წე-

რილი დაწერილიცაა, დახვეწილი, დამუშავებული, ზოგი კი მინიშნებული, ან მხოლოდ სათაურია მითითებული.

ეს ყოველივე წარმოდგენას იძლევა, როგორი იქნებოდა აკაკი ბაქრაძის დაუწერელი წიგნი _ «გადარჩენა». წიგნი გონებაში ჩამოყალიბებული ჰქონდა, ბევრი რამ, როგორც ვთქვით, დაწერილი, საერთო მიმართულებას მისცემდა, შეჰკრავდა და წიგნი მზად იქნებოდა. მაგრამ, ალბათ, ეს საერთო მიმართულების მიცემა და შეკვრა იყო მთავარი, რათა ძირითადი სათქმელი გამოეკვეთა. ეს ვერ მოასწრო, თუმც, ბევრი რამ სხვაც ვერ მოასწრო. საავადმყოფოდან შინ დაბრუნებას ჩქარობდა, სამუშაო ელოდებოდა, მე-20 საუკუნის საქართველოზე აპირებდა წიგნის დაწერას, გალაკტიონზე, გიორგი წერეთელზე და თავისი თაობის მწერლებზე _ «სამოციანელებზე». მაᲗზეც უკვე ბევრი ჰქონდა ნამუშევარი და დაწერილი და ეს წიგნი ალბათ «გადარჩენის» თავისებური გაგრძელება იქნებოდა.

ვფიქრობთ, ამ ორ საქაღალდეში თავმოყრილ, თუნდაც დაუმუშავებელ, მასალებს თუ უკვე დაწერილ ცალ-ცალკე წერილებს და აკაკი ბაქრაძის მიერ ამ წიგნის თაობაზე ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუებს დავუმატებთ, მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნება, როგორი უნდა ყოფილიყო _ «გადარჩენა».

შესავალი
(ფრაგმენტი)1

განა მიხეილ ჯავახაშვილის პირით არ გაგვაფრთხილა ქართულმა მწერლობამ, რომ საქართველო თეიმურაზ ხევისთავის ბედში ჩავარდებოდა, თუ უცხოს ბრმად მიენდობოდა? თუ ფხიზლად არ ვიქნებოდით, კვაჭი კვაჭანტირაძე და დამპატიჟე რომ დაეპატრონებოდნენ ჩვენს ქვეყანას? მანვე არ დაგვარწმუნა, რომ ქვეყნის ღირსების დაცვა, მხოლოდ ხალხს შეუძლია? გაიხსენეთ «არსენა მარაბდელი»:

«ნარგიზების ფონზე ჭიდაობა დამთავრდა. ხალხი დაიშალა და შინ გასამგზავრებლად ემზადებოდა. საბარათიანოს გლეხობა «მეწინავე დროშის» წინ გაძღოლას ელოდებოდა. არსენას მამამ ღვთისავარმა ალამი ჩამოხსნა და ბატონის განკარგულებას დაუცადა. უცხო დროშას თვალი მოჰკრა არლოვმა და გაოცებულმა იკითხა _ ეს რა ამბავია? აუხსნეს, რაც იყო და რაც ხდებოდა. რუსმა მაიორმა განკარგულება გასცა _ აქ რუსეთის გარდა სხვა დროშა არ ვიცი, ახლავე მომეცითო. იგი დროშას წაეტანა. ღვთისავარმა დროშა გვერდზე გაწია და ბატონების ბრძანებას დაელოდა _ როგორ მოვიქცეო. ყველა შეცბუნებული იდგა. არ იცოდნენ, რა ექნათ. არსენა მამასთან მივიდა. დროშა ჩამოართვა და ყველას გასაგონად გაგუდული ხმით თქვა: ეგ რუსი, თუ ბიჭია, მოვიდეს და ეს დროშა წაიღოსო.

რუსმა ვერ გაბედა. ვერ მივიდა და ის დროშა ვერ წაიღო».

განა ქართულმა მწერლობამ არ ჩაგვინერგა იმედი დემნა შენგელაიას პირით: «ჩვენ, ქართველები, გლერტა ბალახივით ვართ, სამას წელიწადს ჩიტის ბუდედ რომ ეგდო, მერე ქარმა მიწაზე დააგდო და შვებით ამოისუნთქა _ კინაღამ არ მოვკვდიო».

განა ქართული ისტორიული რომანისტიკა (კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, გრიგოლ აბაშიძე და სხვ.) არ გვახსენებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას და მისი აღდგენის გარდაუვლობას?

განა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კოლაუ ნადირაძის და სხვათა პოეზია არ ინახავდა ჩვენს სულს? _ რათა სიმაღლე და მშვენიერება არ დაგვეკარგა და ჭაობში არ ჩავფლულიყავით?

განა ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის ნოველები თავიანთი სევდითა და დარდით არ გვაკეთილშობილებდა? რომელი ერთი ჩამოვთვალო? საქმეში ჩახედული მკითხველი თავადაც ბევრს გაიხსენებს.

კი ბატონო, იყო კონიუნქტურაც. მოთვინიერებული მწერლებიც მრავლად არსებობდნენ (აბა, რისთვის დავწერე «მწერლობის მოთვინიერება»!). უფრო მეტიც: კონსტანტინე გამსახურდიამაც დაწერა «ბელადი», «ვაზის ყვავილობა», ნარკვევები, სადაც ხოტბა-შესხმულია ლავრენტი ბერია. დემნა შენგელაიამ _ «ფიცი» და «მერხეული», ლეო ქიაჩელმა «მთის კაცი»... გალაკტიონ ტაბიძესაც, გიორგი ლეონიძესაც, მით უმეტეს, სხვებს, უმღერიათ სოციალიზმისათვის, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა გადარჩენისათვის, სულის გადარჩენისათვის, რადგან ბოლშევიკებს უმთავრესად სულის დათრგუნვა სურდათ. ქართველის სულის გადარჩენა მაშინ, გარდა ქართული მწერლობისა, სხვას არ შეეძლო, რადგან ეკლესია აკრძალული და კლიტედადებული იყო. ქართულმა მწერლობამ (საერთოდ, ხელოვნებამ) ეს მოახერხა.

დღეს ჩვენ ვერ მოვახერხებდით თავისუფლებისათვის ბრძოლას, მწერლობას რომ არ ეხსნა ჩვენი სული. ეს ფაქტია და მისი უარყოფა არ მოხერხდება.

ვის შეუძლია დღეს დაიკვეხოს _ უფრო დიდი სულიერი გმირობა ჩამიდენია, ვიდრე ყმაწვილი ანა კალანდაძის ლექსების პირველი საჯარო კითხვა იყო მწერალთა კავშირში _ კომუნისტური იდეოლოგიის მძვინვარების დროსო? პოეტურ კულტურას რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ საშინელი სილის გაწვნა იყო ყოველნაირი იდეოლოგიური დოგმებისათვის.

ბოლშევიკების დიქტატურის ეპოქაში ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწილმა ისე იცხოვრა და იშრომა, როგორც მზვერავები ცხოვრობენ და შრომობენ მტრის ბანაკში. მათი სული მთლიანია და იმას აკეთებენ, რაც ევალებათ. მხოლოდ მათი ცხოვრებაა გაორებული. ამის გაძლებას რკინის ნებისყოფა და რკინის რწმენა უნდა, რომ შენს ქვეყანას და შენს ხალხს ემსახურები. ქართული მწერლობის უკეთესმა ნაწილმა ეს თვისება გამოავლინა. ამიტომ ქართული მწერლობა არც ზედმეტად მოთვინიერებული ყოფილა და ყოველთვის იქ იყო, სადაც სინდისი და მამული უხმობდა.

მე განგებ გავიხსენე ისინი, ვინც 1921-53 წლებში ცხოვრობდა და ქმნიდა, რადგან სწორედ ეს იყო უმძიმესი და ურთულესი ხანა. სტალინის სიკვდილის მერე ბოლშევიკური დიქტატურა წელში გატყდა. მართალია, დრო და დრო კბილებს ისევ გამოაჩენდა ხოლმე, მაგრამ ძველი ძალა მაინც დაკარგული ჰქონდა.

ბრძოლა კი არ შეწყვეტილა. ჩვენი მწერლობის სულის სიმტკიცე დღესაც გამოჩნდა. მის საუკეთესო ნაწილს არც ღირსება დაუკარგავს, არც ისტერიას აჰყოლია და არც პოპულიზმით მოხიბლულა. გაცილებით იოლია ხელისუფლების ძალდატანების გაძლება, ვიდრე უმეცარი და უმადური ლიანგის ლანძღვა-გინების ღვართქაფისა. ქართულმა მწერლობამ ამასაც გაუძლო. ეს იმის საბუთია, რომ მისი სული გაუტეხელია.

დროშის ფრიალით
საით მიდიან,
ჩემი სალომე და ჩემი ნიკო?
საით მიდიხარ,
ქვეშევრდომების დაბრმავებულო,
უწყეტო რიგო?!
ეს უკვე იყო,
ღმერთმანი იყო,
ზუსტად ასეთი ცხოვრება იყო,
შენ კი გგონია,
შენ კი გგონია, რომ სხვა ნიავმა
დაჰბერა ბრიყვო!

არჩილ სულაკაური
(გაზ. «ლიტერატურული
საქართველო» №7 21.11.92წ.)

გეგმა წიგნისათვის „გადარჩენა“1

1. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი _ ეპიგრაფი
2. 1921 წლის თებერვალი
3. ზ. ავალიშვილის ციტატი
4. ქართველმა მწერლებმა უარყოფითად შეაფასეს 1921 წელი. ვითარება 1924 წ. აგვისტოს აჯანყებამდე

(გაურკვეველი იყო _ საით გადაწონიდა ისტორიის ისარი?)

5. 24 წლის შემდეგ ცხადი გახდა, ამჯერად დამარცხდა საქართველო. საით?
6. კულტურული აღმშენებლობა: პოლიტიკურად დამარცხებული, კულტურულად გამარჯებული.
7. იწვევდა ეს გაორებას? რა თქმა უნდა (გალაკტიონი _ «ვით აიტანს ამ გაორებას გული»).
8. ემიგრანტული ქართული მწერლობა სუსტია, თან ქართველს ხელი არ მიუწვდება, ამიტომ აქ უნდა შეიქმნას ყველაფერი. ისინი ქმნიან, თუმცა, მანევრირება უწევთ.

წიგნისათვის „გადარჩენა“

1.ზოგიერთი მწერლის შესახებ:

ა) გერონტი ქიქოძე (დაწერილია)

ბ) ვიქტორ გაბესკერია (დაწერილია)
გ) კოლაუ ნადირაძე (დაწერილია)
დ) რომ არ ამოშრეს... (დაწერილია)
2. ვახტანგ კოტეტიშვილზე (უნდა დაიწეროს)
3. პავლე ინგოროყვაზე (უნდა დაიწეროს)
4. ალ. ქუთათელი «პირისპირ»

სარჩევი

1. შესავალი
2. „გრაალის მცველნი“ (დაწერილია)
3. ქრისტიანი თუ წარმართი
4. ალ. ბატონიშვილის გახსენება
5. დამოკიდებულება ენისადმი
6. სტალინიადა
7. წინასწარმეტყველება (მიხ. ჯავახიშვილი)
8. შრომის გამაკეთილშობილებელი იდეა („გვადი ბიგვა“, „ლეღენდარა“, „ლელო“ და სხვანი)
9. დაღლილი სისხლი
10. ბოლოთქმაში „ახკომი“. რა არის ლიტ. კრიტიკა?

გადარჩენა1

(ფრაგმენტი)

> «Они были такими, какими должны были быть, и в этом был заложен свой глубокий смысл».
>
> («ისინი ისეთები იყვნენ, როგორებიც (მოვალენი იყვნენ ყოფილიყვნენ) უნდა ყოფილიყვნენ და ამაში დევს (ჩადებულია) ღრმა აზრი» (ხოსე ორტეგა-ი-გასეტი) გვ. 12).

1924 წელს, პარიზში, რუსულად გამოვიდა ზურაბ ავალიშვილის წიგნი _ „Независимость Грузии в международной политике 1918-1921гг. Воспоминания. Очерки“. იგი ხუთი წლის შემდეგ ითარგმნა ქართულად და გამოიცა 1929 წელს (თარგმანს აწერია «მთარგმნელის გამოცემა». ეს ალბათ იმას ნიშნავდა, რომ მთარგმნელმა თავის ხარჯზე გამოსცა წიგნი. მთარგმნელი კი გახლდათ ნიკო ლორთქიფანიძე. ეს კი პროტესტი იყო, რადგან ამ წიგნში არსებითად ნაამბობია დემოკრატიული საქართველოს ისტორია).

ზურაბ ავალიშვილის წიგნი ასე მთავრდება:

«1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ელჩი მესტუმრეთ-უხუცესის თანხლებით და ცხენოსანთა საპატიო რაზმით გარს შემორტყმული, ზეიმით გაემგზავრა, საქართველოს მისიის ბინიდან საფრანგეთის პრეზიდენტის სასახლისაკენ, რათა ბ. მილიერანისათვის რწმუნების სიგელი მიერთმია.

. . .

იმავე დღეს, 25 თებერვალს 1921წ., საბჭოთა ჯარები შედიოდნენ ტფილისში; წინ მიუძღოდა წითელი ბაირაღით ხელში, თეთრ ცხენზე ამხედრებული ერთი ქართველი კომისართაგანი. მას გვერდით უხილავად მოჰყვებოდა გაძვალტყავებულ ჭახრაკაზე მჯდომი ძონძებში გახვეული ჩონჩხი და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი».

დიდი დრო რომ გაივლის, 1969 წლის 25 თებერვალს მეგობრების წრეში ღამით კოლაუ ნადირაძე გალექსავს ამ სტრიქონებს:

იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად, ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად, გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, _
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!

(ეს ხელნაწერი იქნება შენახული პოეტის მეგობრის, შალვა დემეტრაძის არქივში).

. . .

ყველაფერი განგების ხელთ არის. აბა, სხვაგვარად როგორ გინდათ ახსნათ ის, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს, უმკაცრესი ცენზურის პირობებში (მიწაზე რომ ჭიანჭველას ვერ გაევლო და ცაში ფრინველს ვერ ეფრინა), 1985 წელს, დაიბეჭდა კოლაუ ნადირაძის ლექსი _ «25 თებერვალი 1921წ.»

გამომცემლობა «მერანი» კრებულს სცემდა _ «პოეტის ათასი სტრიქონი.» შემდგენლებს _ გივი გეგეჭკორს, ემზარ კვიტაიშვილს, ტარიელ ჭანტურიას _ განზრახული ჰქონდათ, კრებულში ამა თუ იმ პოეტის ჯერ დაუბეჭდავი ლექსიც შეეტანათ. თან თითო ლექსი ავტოგრაფის სახითაც დაესტამბათ. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის არქივშიც ეძებდნენ გამოუქვეყნებელ ლექსებს. ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომელმა გურამ ვანიძემ მათ კოლაუ ნადირაძის დაუბეჭდავი ლექსი _ «25 თებერვალი 1921წ.» _ მიაწოდა. რაკი ლექსს «25 თებერვალი. 1921წ.» ერქვა და თან 1969 წლის 25 თებერვალს იყო დაწერბლი, არავინ (არც გამომცემლობამ, არც ცენზურამ) მიაქცია ყურადღება _ რა ეწერა მასში. ეტყობა, ყველამ ბუნებრივად იგულისხმა _ 25 თებერვლისადმი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისადმი მიძღვნილი ჩვეულებრივი სახოტბო ლექსიაო. თურმე ლექ-

სში ყუმბარა იდო. წიგნი გამოიცა, მკითხველმა მიიღო. გაოცებულები კითხულობ-ნენ:

თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილღვიძლად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი _
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა.
მხოლოდღა თოვლი ცვივოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს _
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თბილისის ღამე.
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად, ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად, გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, _
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

ჯერ ისევ ურყევად დგას კომუნისტური რეჟიმი. ცხრათავიანი ცენზურა ფხიზ-ლად ადევნებს ყველაფერს თვალყურს და მაინც, ეს ლექსი გაეპარა. ეს არ იყო უბრა-ლო რამ. ეს განგების ნიშანი იყო: კომუნისტური რეჟიმი და საბჭოთა ხელისუფლება უკვე უფსკრულისაკენ მიდიოდა. იმას ვერ იტყვი, რომ საბჭოთა ხელისუფლებასა და ცენზურას ყურადღება მოდუნებული ჰქონდაო. ამავე კრებულში დაბეჭდილია ალექსანდრე აბაშელის ლექსი — «შორეული ნაპირი». მაგრამ მას გული აქვს ამოცლილი. ცენზურამ პირწმინდად ამოშალა ამ ლექსიდან სტრიქონები, რომელიც მის დედააზრს გამოხატავდა.

და ერის ტანჯვის გამომსახველი

იზრდება გულში ორი მწვერვალი,
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი.

ცენზურას არ დავიწყებია ამ სტრიქონების ამოღება. კოლაუ ნადირაძის ლექსი კი ვერ დაიჭირა, სადაც საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური რეჟიმი ცელიანი სიკვდილის სახით არის წარმოდგენილი.

ალექსანდრე აბაშელის ლექსი პირველად 1921 წლის დეკემბერში დაიბეჭდა ჟურნალ «ხომალდში». კოლაუ ნადირაძის ლექსი კი 1969 წელს დაიწერა და პირველად 1985 წელს დაისტამბა. ეს კი იმის უტყუარი საბუთია, რომ საღად მოაზროვნე ყოველი ქართველის ცნობიერებაში მარად ცოცხალი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა _ თავისუფლებაზე ოცნება. მართალია, ეს გარეგნულად ხშირად აქტიურად ვერ ვლინდებოდა, მაგრამ ხელსაყრელი ვითარების მოლოდინი მუდამ არსებობდა.

უცნაური კანონზომიერებაა სამყაროში. ყოველ უარყოფით მოვლენას, რაღაც დადებითი მაინც ახლავს. მკაცრი და სასტიკი იყო კომუნისტური ცენზურა, მაგრამ ერთი კეთილი საქმე მაინც გააკეთა. მკითხველს ასწავლა სტრიქონსა და სტრიქონს შუა დამალული აზრის ამოკითხვა.

კომუნისტური რეჟიმის დროინდელი ქართული ლიტერატურის აზრიც, მიზანიც და ტენდენციაც სტრიქონსა და სტრიქონს შუა უნდა ამოიკითხოს ყურადღებიანმა მკითხველმა. მაშინ შეიძლება არ შეგვეშალოს სამართლიანი დანახვა იმ ღვაწლისა, რომელმაც გადაარჩინა ქართული სულიერება 1921-1990 წლებში.

ჩანაწერებიდან

ყველაფერი უნდა თქვა, მაგრამ
ბასტილიაში არ უნდა ჩაჯდე
ფრანგული ანდაზა

1921-53 წლებში მწერლობას პირდაპირ და უშუალოდ ევალებოდა პარტიის რუპორის როლი. თუ ეს როლი არ გსურდა შეგესრულებინა, მაშინ ბრძოლის გზა უნდა აგერჩია: ან რუპორი ან მებრძოლი. იგი, ვინც საბრძოლველად მიდის, აღჭურვილი უნდა იყოს ხმლითაც და ფარითაც (ავტომატით და ჯავშანჟილეტით). სხვაგვარად ბრძოლა შეუძლებელია. ვინც მარტო ხმლით მიდის, ან ბრიყვია ან პოზიორი და მისგან მეომარი არ გამოვა. თუ ბრიყვია, თავს მაშინვე წააგდებინებენ, თუ პოზიორი, როგორც კი საქმე გართულდება, მაშინვე შეძვრება სოროში. მართალია, შეიძლება, ხმლითა და ფარით აღჭურვილიც დაიღუპოს, მაგრამ ღირსეულად, როგორც მეომარი (ვთქვათ, მიხ. ჯავახიშვილი). იგი საქმესაც გააკეთებს. ასე ხმლითა და ფარით იყვნენ აღჭურვილნი ისინიც, ვინც იძულებულნი გახდნენ, ესეც დაეწერათ და ისიც. მაგრამ მათი ძირითადი ტენდენცია, მათი ძირითადი აზრი ყველა ჭკუათმყოფელი ქართველისათვის ნათელი იყო. (მთავარია განსაზღვრა შემოქმედების ძირითადი

ტენდენციისა). ეს ტენდენცია ნათელი იყო მაშინაც, მით უმეტეს ცხადია ახლა. საზოგადოება არ მოტყუებულა. ყველამ იცოდა, ვინ ვინ იყო.

მაქსიმალისტური პროტესტის შედეგად დარჩებოდა სიცარიელე, რომელსაც ვერაფერი შეავსებდა. მის ადგილს დაიჭერდა ცრუ ხელოვნება, რომელიც აუნაზღაურებელ ზარალს მიაყენებდა ქართულ სულიერ ცხოვრებას. საქართველოს ისტორიაში არის საუკუნეები სიცარიელისა, რაც, ბუნებრივია, დიდი ხარვეზია ქართული კულტურისა. მე-20 საუკუნეში ეს გაცილებით ძნელი გადასატანი იქნებოდა, რადგან დღევანდელი საშუალებანი კონტაქტისა გაცილებით აიოლებს ცარიელი ადგილი სხვა კულტურამ დაიჭიროს. მით უფრო თუ ეს სხვა კულტურა ბევრად ძლიერია (რუსულის გავლენა ქართულზე). ჩვენ არც თარგმნილი ლიტერატურით ვიყავით მძლავრები (ვგულისხმობ მე-19 და 20 ს.ს. მწერლობას).

სიცარიელე არ უნდა დარჩენილიყო. რუსებს ჰქონდათ დიდი ემიგრაციული მწერლობა. ქართველებს არა. საზღვარგარეთიდან მარტო გრ. რობაქიძე რჩება. დანარჩენი სახელოვნებო, სალიტერატურო ღირებულებას არ შეიცავს. მათ მარტო ფაქტობრივი მნიშვნელობა აქვთ.

გრ. რობაქიძე 1921წ. 26 მაისს მიესალმა ბოლშევიკებს. მერე კი ემიგრაციაში გადაიხვეწა.

1921 წლის 26 მაისს რუსთაველის ძეგლისთვისაც ჩაუყრიათ საფუძველი. ამ ზეიმზე სიტყვით გამოსულან ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა, სერგეი კიროვი, გრიგოლ რობაქიძე.

28 მაისს «პრავდა გრუზიი» გრიგოლ რობაქიძის სიტყვის შინაარსს ასე გადმოგვცემს:

«Товорищи и граждане! Сегодня, 26 мая, кладется фундамент памятника Шота Руставели. В высшей степени знаменательно, что закладка памятника великаму Руставели для увековечения его памяти, совпадает со днем обьявления независимости Грузии?

Грузия – не есть простое «этнографическое» понятие и не одно только «географическое очертание». Грузия знаменует собою значительную на всем протяжении Малой Азии культуру. Закладка памятника выдающемуся гению этой культуры – Шота Руставели – получает огромный смысл. Рабочие и крестьянские массы с особенной радостью и доверием встретят открытие этого памятника. От имени отдела искусств обьявляю, что этот памятник будет с большим торжеством при поддержке Советского правительства и волей всего грузинского народа воздвигнут и торжественно открыт.

Пусть этот памятник, символ универсальности грузинского гения будет монументом всей культуры Востока и независимости его народов. Так это должно быть и будущий праздник открытия памятника будет торжеством для всех народов Малой Азий.

Слава свободной Грузии! Слава дню освобождения – 26 мая.

Слава Шота Руставели!»

საქმე რომ უბრალოდ არ დამთავრდებოდა, ეს მაშინ ყველა ჭკუათმყოფელ ქართველს ესმოდა. არავინ იკმარებდა მხოლოდ ერთი ხელისუფლების (მენშევიკურის) შეცვლას მეორით (ბოლშევიკურით). არავინ დაკმაყოფილდებოდა ამით. ძნელად თუ ვისმეს ეეჭვებოდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურას მოჰყვებოდა სრული განუკითხაობა, რომ საჭართოდ დიქტატურა, და კერძოდ პროლეტარიატისა «არის ისეთი ძალაუფლება, რომელიც უშუალოდ ძალდატანებას ეყრდნობა და არავითარი კანონით არ არის შეზღუდული» (ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, 1952წ., ტ.28, გვ.282).

ქვეყნის მმართველობის პრინციპი ჩამოყალიბებულია ნათლად და შეუნიღბავად _ ძალდატანება და კანონით შეუზღუდაობა.

ვითარება გადაუდებლად ითხოვდა რუსულ-ქართული ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი მოაზროვნე საქართველოს დამოკიდებულების ფორმის შემუშავებას. იმთავითვე გამოვლინდა დამოკიდებულების სამი ფორმა: პირველი _ ***სრული მიუღებლობა ბოლშევიკური ხელისუფლებისა,*** ბრძოლა მის წინააღმდეგ ყველა საშუალებით, იარაღითაც კი; მეორე _ ***ზომიერი თანამშრომლობა ბოლშევიკებთან,*** ქართული კულტურის აღორძინება და ამ გზით ქართველი ხალხის ხორციელი და სულიერი გადარჩენა; მესამე _ ***ყურმოჭრილი ერთგულება ბოლშევიზმისა და ძირფესვიანად ამოძირკვა ყველაფრის, რასაც ანტიკომუნისტური დაერქმეოდა.***

პირველ ხანებში იმედი ჭარბობდა. სჯეროდათ ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობა მალე მოუღებდა ბოლოს კომუნისტურ რეჟიმს. იოსებ გრიშაშვილი ქართველ ბოლშევიკებს მიმართავდა:

თქვენ ამბობდით: საქართველომ
რაც უნდ ბევრი გაიბრძოლოს, _
ის რუსეთის კომუნისტად
გადიქცევა მაინც ბოლოს.

ჰა, ასრულდა: თქვენ მოხვედით,
ჩვენ აქ დაგხვდით ორივ ხელით,
მაგრამ ერი არ შეგინდობთ,
რომ სხვის ხიშტით შემოხვედით.

განა ჩვენი არწივები
გაურბოდნენ დროშა წითელს?
რომ თქვენ ჩვენზე ახარხარებთ
ყველა ბილწს და ყველა სკვითელს!?

ოხ, ჩვენ ისე შევეჩვიეთ
ჩვენს მიწას, წყალს, ჩვენს ერს, ჩვენ ზღვას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ
გამარჯვებულ რუსულ ჩექმას.

ფიანდაზად გარდვიქცევით,
გულს ჩავიკლავთ სიტყვას «შმაგულს,
და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ
არც ერთ კუთხეს, არც ერთ აგურს».

(ჟურნ. «კავკასიონი», X, პარიზი, 1964წ., გვ. 14)

უკვე 1921 წლის 16 მარტს გაზეთში «პრავდა გრუზიი» სერგო ორჯონიკიძე ემუქრებოდა ქართველ ინტელიგენციას:

«მე მინდა გავაფრთხილო ქართველი ინტელიგენცია, რომ მან არ გაიმეოროს სამწუხარო გამოცდილება რუსული ინტელიგენციისა. მხოლოდ ხანგრძლივი საბოტაჟის შემდეგ, რომელსაც ახლდა მძიმე შედეგები ქვეყნისათვის, იგი დარწმუნდა, რომ საბჭოთა რუსეთის გარეთ არ არის ხსნა და მოვიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან სამუშაოდ. ქართველმა ინტელიგენციამ თავისთავს უნდა უთხრას: ძველი მენშევიკური საქართველო მოკვდა. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საქართველოს. ასეთი ინტელიგენციისათვის ყველა კარი ღიაა. თუ ინტელიგენცია წავა საბოტაჟის, საიდუმლო შეთქმულებების და აჯანყების გზით, ჩვენ მისთვის არ გვექნება სხვა ენა, გარდა ტყვიისა».

იმავე გაზეთში ს. ორჯონიკიძე ამასაც წერდა:

«როცა 1919 წელს გარემოება მაიძულებდა, რამდენიმე ხნით თბილისში მეცხოვრა, ნოე ჟორდანიამ ამხანაგის პირით შემომითვალა _ სერგო ქუჩაში ნუ გამოჩნდება. ჩვენ მას არ დავაპატიმრებთ, მაგრამ ინგლისელებმა იციან, რომ იგი აქ არის და დაიჭერენო». აი, თქვენი დამოუკიდებელი საქართველო!»

1921 წლის 17 მარტს «პრავდა გრუზიაში» ფ. მახარაძემაც გამოაქვეყნა წერილი _ „Зачем пришла Красная Армия в Грузию“.

«წითელი არმია თავის ნათელ ამოცანის შესრულებისთანავე წავა საქართველოდან, მას სხვა დანიშნულებანიც აქვს».

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას პაოლო იაშვილი შეხვდება ლექსით _ «წითელ საქართველოს».

«დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი წითელ რუსეთთან დაძმობილებით». მერე იძულებული გახდება თავი მოიკლას.

კ. გამსახურდია იტყვის, ჩვენთვის სულერთია რა ფერისაა საქართველო, ჩვენ ვემსახურებით მას.

«ჩემდათავად მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავად».

«ყოველი კაცისათვის სანატრელი წყობილება ჯერაც არსად დამყარებულა, ჩემო» (არსაკიძე ეუბნება შორენას. გვ. 727-8. კ. გამსახურდია _ რჩეული თხზულებანი, ტ. II, 1959წ.)

* * *

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის მიერ საქართველოს ისევ დაპყრობას ქართველი მწერლობის ძირითადი ნაწილი უარყოფითად შეხვდა. ისინიც კი, ვინც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძველი წევრები იყვნენ.

სოლომონ თავაძე: *საუკუნეთა მთელმა ცოდვებმა*
ჩვენს ქედზე უღვთოდ გადაიარა.
და გულგახეჩილ ერის გოდება
სულმა წამებით გაიზიარა

ნინო თარიშვილი: *დღეს, როდესაც სასახლეზე აღარ არის*
ჩვენი დროშა
და წითელმა ბოლშევიკმა ჩვენზე
რაღაც წამოროშა
და დღეს, როცა სისხლში ცურავს
საქართველოს მთა და ველი,
როცა ტლანქად ტანს ეხვევა შხამიანი
თეთრი გველი,
ნუთუ ვინმეს შეუძლია შეჰკრას
ყვავილთ თაიგული
და სამშობლო დაივიწყოს სისხლის
ზღვაში ჩაკარგული?..

* * *

ემიგრანტული ქართული ლიტერატურა პრიმიტიულია. არა მარტო მხატვრული ოსტატობის ნაკლებობაზეა ლაპარაკი, არამედ თემატიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უცხოეთში ცხოვრობენ და თვალყურს ადევნებენ იქაურ ლიტერატურულ ცხოვრებას, მათ შემოქმედებაში არ არის არც ფორმათა სიახლე, არც თემატიკის მრავალფეროვნება. ოციანი წლების საბჭოური ქართული ლიტერატურა უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე იმათი. მიუხედავად იმისა, რომ იმათ არავინ ზღუდავს. გ. რობაქიძის თემატიკაც იგივე რჩება, რაც საქართველოში ჰქონდა. მისი უცხოეთში დაწერილი რომანები ვარიანტებია იმ თემების, რაც საქართველოში ჰქონდა დაწერილი. არც მასზე მოახდინა გავლენა ევროპულმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ.

. . .

ანდაზაა: უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო. უპატრონო ლიტერატურას პროლეტმწერლობა დაეპატრონა. ყოველთვის არსებობდნენ ისინი, ვინც ცარიელ ადგილს დაიჭერდნენ. ამიტომ ქართული მწერლობა მასობრივად ვერც ემიგრაციაში წავიდოდა და პროტესტის ნიშნად ვერც წერას შეწყვეტდა. მათ არსებობის ფორმა უნდა მოეძებნათ.

. . .

არსებობს საპირე და სარჩული. წმინდანი და ჯალათი ერთმანეთთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან როგორც სარჩული და საპირე. თუ წმინდანი საპირეა, ჯალათი სარჩულია. თუ მათ შეაბრუნებ საპირედან სარჩულს მიიღებ და სარჩული-

დან საპირეს. ასევეა: თუ წმინდანს შეაბრუნებ (ვითარების შესაბამისად) ჯალათს მიიღებ და ჯალათისაგან წმინდანს. ეს ფანტაზიის თვისებაა და იმიტომ. ფანტაზიის თვინიერ კი არც წმინდანი არსებობს და არც ჯალათი.

. . .

1966 წელს, პარიზში, ქართულმა ეროვნულმა საბჭომ და ეროვნულმა პოლიტიკურმა ცენტრმა გამოსცა წიგნაკი «ქართველი ხალხის სამსჯავროზე». იგი პასუხობს ფარნა ლომაშვილის წიგნს _ «ქართული ემიგრაციის ისტორიიდან».

პარიზულ წიგნაკს არ ჰყავს კონკრეტულად ავტორი. უავტოროა. ალბათ, გარკვეული ჯგუფის აზრს გამოხატავს. ამ წიგნაკში აღნიშნულია:

«საქართველოს ეკონომიკის ქვა-კუთხედად გამოცხადდა ორნაირი საკუთრება: ერის და წვრილი მესაკუთრეების _ ინდივიდუალური» (გვ. 9).

«დიდ მემამულეთ ჩამოერთვათ მამულები და დაურიგდა უმიწაწყლო გლეხობას უსასყიდლოდ» (გვ. 10).

ლენინის ხელისუფლებამ ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ოსმალეთს დაუთმო «მთელი აჭარა _ ქობულეთ-ბათუმი, ართვინისა და არტაანის ოლქები ყარსის ოლქის მიმატებით» (გვ. 13).

როცა სოჭის მხრიდან საქართველოს თავს დაესხა «თეთრი გვარდია» დენიკინის მეთაურობით, «ინგლისის სარდლობა წინადადებას აძლევს ჩვენს მთავრობას, მოურიგდეს დენიკინს, მიიღოს მისი მფარველობა, შევიდეს რუსეთის ფარგლებში» (გვ. 13).

ლოიდ ჯორჯმა უარყოფითი როლი შეასრულა და ხელი შეუწყო რუსეთს საქართველოს და კავკასიის დაპყრობაში (გვ. 16).

1921წ. 10 აპრილს რაღაც შეკრება ყოფილა თბილისში. ჯერ ბოლშევიკებს ნება დაურთავთ, მერე კი მისი ინიციატორები დაუჭერიათ.

«რომელ პატარა ერს გაუთავისუფლებია თავი გარედან დაუხმარებლად?» (გვ. 27).

1925 წელს, 9 აგვისტოს, «კაფე ვოლტერში», ოდეონის მოედანზე, ბოლშევიკების აგენტებმა დანიშნეს კრება. უნდა შეედგინათ «წითელი სათვისტომო». 30-მდე კაცი მისულა. ნაშუადღევის 3 საათზე ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი მისულა და ბოლშევიკების აგენტებისათვის ჩხუბი აუტეხია. გაულახავთ გ. ვეშაპელი, ნ. მიწიშვილი, ვ. ალიხანოვი, თ. დემეტრაშვილი (გვ. 31).

რადიო ინტერვიუდან [1]

(დაღლილი სისხლი)

1918-21 წლებში, როცა საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობდა, ქართული ეროვნული ენერგიის მიმართ იმედიანად, ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი. ამის დასტურია, თუ გნებავთ, გერონტი ქიქოძის წიგნი _ «ეროვნული ენერგია», სადაც ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია სწორედ ამ კუთხითაა დანახული და შეფასებული... ეს კი იმ დროისათვის აუცილებელი და საჭირო იყო. საჭირო იყო რწმენა, იმედი და მომავლისადმი კეთილგანწყობა.

მაგრამ ვითარება სერიოზულად შეიცვალა, როცა ყველასათვის მოულოდნელად საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, დაკარგა ძალზე იოლად და ისევ რუსეთის სახელმწიფოს ნაწილი გახდა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოება არ მოელოდა, რომ ასე უბრალოდ მოხდებოდა ყველაფერი და ამან ერთგვარი სკეფსისი, სასოწარკვეთა და უიმედობა წარმოშვა ადამიანთა გულებში. წიგნებიც დაიწერა ამის შესახებ, სერიოზული სჯა-ბაასი დღესაც არის და ადრეც იყო. კერძოდ, მხედველობაში მაქვს სერგი დანელიას ცნობილი წიგნი _ «ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი», კონსტანტინე კაპანელის გამოკვლევები, ნიკოლოზ მიწიშვილის გახმაურებული წერილი _ «ფიქრები საქართველოზე» და სხვანი. აქ უკვე ჩვენი საზოგადოების და, განსაკუთრებით, მისი მოაზროვნე ნაწილის სხვა განწყობილება, საერთოდ, სხვა ვითარებაა ასახული და გადმოცემული _ უიმედო, სკეპტიკური დამოკიდებულება ჩვენი ეროვნული ენერგიის მიმართ. ამაზე სერიოზული ფიქრი და სჯა-ბაასი სწორედ 20-იან წლებში იყო. ეძებდნენ მიზეზებს იმისა, თუ რატომ მოხდა, რომ ჩვენ არ აღმოგვაჩნდა იმდენი ძალა და ენერგია, რომ დამოუკიდებლობა შეგვენარჩუნებინა და საქართველო ისევ სხვა სახელმწიფოს ნაწილი არ გამხდარიყო. დასახელებული იყო სხვადასხვა მიზეზი და ეს საკითხიც სხვადასხვა კუთხით იყო გაშუქებული.

და აი, სწორედ ამის გამო ქართულ მწერლობაში გაჩნდა თემა, რომელსაც შეიძლება «დაღლილი სისხლის» თემა ან «დაღლილი სისხლის» პრობლემა ვუწოდოთ. იქნებ ჩვენი გრძელი და ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველი ხალხი დაიღალა, მისი ეროვნული ენერგია ამოიწურა და მას აღარ ყოფნის ძალა, ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, სხვა რომელიმე სახელმწიფოს გავლენის გარეშე არსებობისათვის.

დაღლილი სისხლის თემა ჩვენს მწერლობაში სხვადასხვა ვარიაციით და სხვადასხვა კუთხით შემოდის. დღევანდელი საუბარი სწორედ ამ დაღლილი სისხლის პრობლემას თუ თემას მინდა შეეხოს და ამის შესახებ მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა.

შალვა დადიანის რომან «გვირგვილიანების ოჯახში» აღწერილია ბეგი გვირგვილიანის დაქორწინება მარინა რიაბინინაზე. ქორწილში მოხუცებული ბახვა ფაღავა ახალგაზრდებს ასე მიმართავს: «ჩვენ, ქართველი მოდგმისანი, ძველი ხალხი გახლავართ, თქვენ, რუსები კი, ახალგაზრდა, ჯან-ღონით და ენერგიით სავსენი. ასეთი შეჯვარება, ცხადია, კეთილ ნაყოფს გამოიღებს».

თქვენ ხედავთ, რომ ბახვა ფაღავას სადღეგრძელოში სწორედ ამ დაღლილი სისხლის პრობლემა, სისხლის განახლების იდეა გამოსჭვივის. თუ ქართველი დაქორწინდება რუს ქალზე, ეს იქნება ერთგვარი სისხლის განახლება, რადგან შეჯვარდება ერი, რომელსაც დიდი და ხანგრძლივი ისტორია აქვს, და ერი, რომელიც შედარებით ახალგაზრდაა _ ამდენად, უფრო ენერგიულიცაა და უფრო ჯანსაღიც. ეს პრობლემა აი, ამ კუთხით კონკრეტულად მარტო ამ რომანში არ არის წარმოდგენილი. მას აგრძელებს ჩვენი მწერლობა და განიხილავს, როგორც გითხარით, დაღლილი სისხლის კუთხით და თვალსაზრისით.

საერთოდ, გათხოვება არაქართველზე ან არაქართველი ცოლის შერთვა მე-19 საუკუნის მწერლობისათვის არ იყო უცხო. ვინც ქართულ მწერლობას მეტნაკლებად დაკვირვებია, დაინახავდა, რომ მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში აღწერილია, როგორ ირთავენ ქართველი არისტოკრატიის ღარიბი წარმომადგენლები მდიდარ სომხის ქალებს. მაგრამ ეს ყველაფერი სოციალურ-ეკონომიკური კუთხითაა ნაჩვენები და არა ბიოლოგიური თვალსაზრისით. უბრალოდ, ქართველს ნივთიერად უჭირს და ეძებს იმას, ვისაც უკეთესი პირობები აქვს, მატერიალურად უკეთ არის მოწყობილი, ნივთიერად და ქონებრივად მდიდარია. ხოლო სომეხი ვაჭრების ქალები სიამოვნებით თხოვდებიან ქართველ არისტოკრატებზე იმისათვის, რომ მათ უკვე სხვა საფეხურზე სურთ ასვლა, მარტო სიმდიდრე არ აკმაყოფილებთ. მათ სურთ, არისტოკრატიას დაუïხლოვდნენ, თვითონაც არისტოკრატები გახდნენ და, აქედან გამომდინარე, ორი მიზანი ერთმანეთს ემთხვევა. ერთს შია, სწყურია და ფული უნდა, მეორეს ეს არ აკლია, მაგრამ, სამაგიეროდ, სახელი უნდა, არისტოკრატიაში გარევა უნდა და, ესე იგი, მათი სურვილები ერთმანეთს ემთხვევა. ამგვარი ჯვრისწერის სცენები და ამგვარი ანგარიშიანი გათხოვება-ცოლისშერთვა მე-19 საუკუნის მწერლობაში კარგად არის ასახული. საკმარისია გიორგი ერისთავის პიესების გახსენება, ავქსენტი ცაგარელის პიესების გახსენება და ეს ყველასათვის ნათელი გახდება. უფრო მეტიც, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ძალიან ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ქართველი არისტოკრატიული ოჯახებიდან გამოსული ქალები დიდი სიამოვნებით თხოვდებოდნენ რუს ჩინოვნიკებსა და რუს გენერლებზე. მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძის ორი ქალი უცხოელზე იყო გათხოვილი: ნინო ჭავჭავაძე იყო ალექსანდრე გრიბოედოვის ცოლი, სოფიო ჭავჭავაძე კი, უმცროსი ქალიშვილი _ ბარონ ნიკოლაის ცოლი. ელისაბედ ორბელიანი გახლდათ ფელდმარშალ ბარიატინსკის ცოლი, რომელსაც იმ პერიოდში ძალიან მაღალი თანამდებობა ეჭირა მთელ კავკასიაში. იგი კავკასიის მთავარმმართველი იყო და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ის ბარიატინსკია, რომელმაც შამილი დაამარცხა და დაატყვევა. ასე რომ, ელისაბედ ორბელიანი დაკავშირებული იყო რუსული პოლიტიკურ-არისტოკრატიული საზოგადოების ძალიან მაღალ წრესთან. სოფიო ორბელიანი, რომელიც გრიგოლ ორბელიანის საცოლედ ითვლებოდა, მისთხოვდა ბეზაკს _ საქართველოს და ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს თანამშრომელს. მანანა ორბელიანის ქალი _ ანასტასია ორბელიანი იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გაგარინის ცოლი. ეს ის გაგარინია, კონსტანტინე დადეშქელიანმა რომ აკუწა ხანჯლით. მეორე სოფიო ორბელიანი, იაკობის ასული, გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ-მირსკის ცოლი, მეორე ანასტასია კონსტანტინეს ასული _ გენერალ-ლეიტენანტ ოკლობჟიოს ცოლი, ბარბარე ორბელიანი პოლკოვნიკ ოპოჩინინისა, ბარბარე თუმანიშვილი _ სამხედრო ექიმ ანდრეევსკისა და ასე შემდეგ.

მე ჩამოვთვალე ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენი ისტორიისათვის კარგად ცნობილი ოჯახები, მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი ოჯახები. ამ ოჯახებიდან გამოსული ქალების უმრავლესობა, როგორც ხედავთ, რუსებზე იყვნენ გათხოვილნი, სულ ერთია, ჩინოვნიკები იყვნენ ისინი თუ სამხედრო პირები. მაგრამ ეს ყველაფერი, ეს პროცესი ისევ და ისევ ეკონომიკურ-სოციალურ ვითარებას უკავშირდებოდა. აქ სისხლზე არ გახლავთ ლაპარაკი, ლაპარაკი

არ გახლავთ ენერგიის განახლებაზე. ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ ნივთიერი, ქონებრივი მდგომარეობის შეცვლასა და გაუმჯობესებაზე. ამდენად, მე-19 საუკუნეში პრობლემა სხვა სახით არსებობდა, მე-20 საუკუნეში კი ამ პრობლემამ სხვა მიმართულება და სხვა სახე მიიღო, სწორედ იმგვარი მიმართულება, შალვა დადიანის რომანში ბახვა ფაღავას სიტყვით რომ არის გამოთქმული.

თუ ამ თემას უფრო კარგად დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ სისხლის დაღლის პრობლემა, ეროვნული ენერგიის დაქვეითების პრობლემა აქტიური მსჯელობის საგანი ხდება. დემნა შენგელაიას რომან «სანავარდოში» მოთხრობილია ერთი ქართული არისტოკრატიული ოჯახის ცხოვრება. ამ ოჯახის შვილი ბონდო ჭილაძე, შეწუხებული თავისი უღონობით, უძლურობით და უენერგიობით, მამას შესტირის: «თესლი ჩვენი შეჭმულია პლაზმოდიებით და სისხლი _ დალორწილი! ოო, მამაჩემო, როგორ მეშინია მე ამ საუკუნეების! ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას... ჩვენში წყდება გვარები და მოდგმები ისე, როგორც არსად, მოგვდევენ და მოსვენებას არ გვაძლევენ საუკუნეთა მიერ დაგვალული, მუნიანი ჭინკები, და ამირანი შებორკილია მათ მიერ»! აქ ლაპარაკი სწორედ იმაზეა, რომ საუკუნეებმა დაგვაბერა, დრომ დააბერა ქართული სისხლი, ამოწურა ქართული ენერგია და ამირანი, აკაკი წერეთელმა თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს სიმბოლოდ რომ აქცია, კლდეზე კი არ არის მიჯაჭვული და მტრები კი არ ბოჭავენ მას, არამედ თვით ჩვენი საკუთარი უძლურება, ჩვენი საკუთარი მუნიანი ჭინკები, ჩვენსავე წიაღში ამოზრდილნი არ აძლევენ მას თავისუფლებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ეს თემა შემოსაზღვრული დიდი დროის მანძილით, საუკუნეების მანძილით, მეტყველებს იმას, რომ ქვეყანას წინსვლისა და განახლების შესაძლებლობა არა აქვს. და ეს მარტო ერთ რომანში არ არის წარმოდგენილი.

ამ თემის ამომწურავ და კლასიკურ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მიხეილ ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნები». თეიმურაზ ხევისთავი აქ წარმოდგენილია ყოვლად უძლურ ადამიანად. ის დახატულია არა მარტო პიროვნულად უძლურ კაცად, რომელსაც არც საკუთარი თავის პატრონობა შეუძლია, არც ქვეყნის, არც ცოლის და ოჯახის... მას, საერთოდ, არაფერი შეუძლია და მიუხედავად იმისა, რომ იდეებით სავსე აქვს თავი და ყველას ყურს უჭედავს გაუთავებელი ლაქლაქით, შინაგანად სავსებით გამოფიტულია და კლასიკური გამოხატულებაა იმ დაღლილი სისხლის პრობლემისა, ოციანი წლების ქართულ მწერლობას ასე რომ აინტერესებდა და თავის აქტიურ პრობლემად აქცია.

დავაკვირდეთ «ჯაყოს ხიზნებს». მარგო ყაფლანიშვილსა და თეიმურაზ ხევისთავს შვილი არა ჰყავთ. ამას ისინი სხვადასხვა სნეულებას აბრალებენ... მაგრამ როცა მარგო ყაფლანიშვილი ჯაყოს ხასა გახდება, მათ შვილი შეეძინებათ. მაშასადამე, ეს რაღაც სნეულების გამო კი არ იყო, არამედ იმის გამო, რომ გამოფიტულია მათი ბუნება, მათი არსი და უნაყოფობის მიზეზი სწორედ ეს არის. ისევე როგორც, ვთქვათ, უნაყოფოა ლუარსაბ თათქარიძე. მაგრამ ლუარსაბ თათქარიძის უნაყოფობა ბიოლოგიური ვითარებითაა განპირობებული. «ჯაყოს ხიზნებში» გაცილებით მძიმე ვითარებაა ასახული, აქ პრობლემა გაცილებით მძიმეა, საკითხი გაცილებით მწვავედაა დასმული და საოცარია დასკვნა: მარგო ყაფლანიშვილს და თეიმურაზ ხევისთავს

ანუ ორ ქართველს არა ჰყავთ გვარის გამგრძელებელი, არ ჰყავთ მემკვიდრე, არ ჰყავთ ის, ვინც ჯიში უნდა განაგრძოს. სამაგიეროდ, ოს ჯაყო ჯივაშვილს და ქართველ მარგო ყაფლანიშვილს ჰყავთ შვილი. ეს არის სწორედ ის საშიში და სახიფათო მოვლენა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული თვითონ ხალხის, მთელი საზოგადოების ბიოლოგიურ არსებობასთან და იმ სისხლთან, რომელიც, ცხადია, განაპირობებს როგორც კერძო პირის, ისე მთელი საზოგადოების ბიოლოგიურ არსებობას.

მაშასადამე, პრობლემა ძალიან ღრმაა და ძალიან მწვავე და ამ პრობლემას სჭირდებოდა არა მარტო ცალკეული, კერძო მაგალითებით წარმოდგენა, არამედ მთელი სისრულით ჩვენება. აი, ეს საკითხი, დაკავშირებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, სექსუალურ ენერგიასთან და ეროვნულ ენერგიასთან, მიხეილ ჯავახიშვილისათვის ძალზე საინტერესო საკითხია და მარტო «ჯაყოს ხიზნებში» კი არა, სხვა მოთხრობებშიაც ეხება ამ საკითხს, კერძოდ თუ გნებავთ, ისეთ მოთხრობაში, როგორიც არის «პატარა დედაკაცი». აქაც, ექიმი, ამირან რიმანიძე, უძლური ადამიანი გახლავთ, კარგავს ცოლსაც, ოჯახსაც და იძულებულია, უცხოეთში გადაიხვეწოს. მაგრამ მას ცხოვრებაში ბედნიერება მაინც ეწვევა _ უცხოეთში განიკურნება და უკან დაბრუნებული ცოლსაც დაიბრუნებს და ოჯახსაც, ე.ი. მაინც ხდება მისი განახლება მაშინ, როცა «ოქროს კბილში» ვითარება კვლავ ტრაგიკულია, როგორც «ჯაყოს ხიზნებში». მიუხედავად იმისა, რომ «ოქროს კბილის» პერსონაჟს _ თომა შადიშვილს ფიზიკური ნაკლი არა აქვს და თითქოს ჯანსაღი კაცია, იმდენად უნიათოა და უძლურია შინაგანად, რომ ქალბატონთან ურთიერთობა არ შეუძლია, ეშინია, ჩვეულებრივი დალაპარაკებისაც კი ეშინია. მაგრამ როცა, ვთქვათ, რაღაც ბიოლოგიური ენერგია მოაწვება, უცნაურად იქცევა, რაც საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს და ფიქრობენ, რომ ეს კაცი გონებრივად მთლად კარგად არ უნდა იყოს. მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის გახლავთ, რომ იგი ჩვეულებრივი, ადამიანური კონტაქტების დამყარებას ვერ ახერხებს მოპირდაპირე სქესთან და, აქედან გამომდინარე, არ შეუძლია ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება.

მაგრამ მარტო ბიოლოგიური მხარე არ არის სუსტი მისი ცხოვრებისა. მას, საერთოდ, არაფრის კეთება არ შეუძლია. როცა დედა ეკითხება, რა ღირს, მაგალითად, ესა და ეს საქონელიო, მან არ იცის. არ იცის, იყიდება თუ არა სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ან როგორ შეიძლება უკეთ წარმართონ სოფლად საოჯახო მეურნეობა. მაშასადამე, თომა შადიშვილის ბიოლოგიური უძლურობა უკვე, საერთოდ, უძლურობაშია გადაზრდილი, ყოველგვარ უძლურობაში და, აქედან გამომდინარე, უნაყოფობაშიც და ბოლოს და ბოლოს, ტრაგიკულად მთავრდება ყველაფერი. მას შემთხვევით შეხვედრილი ქალი შეუყვარდება. არც სახელი იცის ამ ქალისა, არც გვარი, არც საცხოვრებელი ადგილი, არც არაფერი. ერთმანეთს შეხვდნენ მთაწმინდაზე, ქალმა მეტი სითამამე გამოიჩინა, გამოიწვია თომა, მაგრამ მათ შორის ვერავითარი ურთიერთობა ვერ დამყარდა, რადგან თომამ ვეღარ მიაგნო ამ ქალს. შემდეგ ქალი ჭლექით გარდაიცვლება და საწყალი თომა დაეძებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი პოვნა უკვე აღარ შეიძლება, აღარ არის ის თამარი, რომელიც ასე მოულოდნელად და შორიდან შეუყვარდა. საინტერესო ის გახლავთ, რომ ავადმყოფი თამარი თავის დას წერილს სწერს, ჩვენ რომ ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით, «მე ვვაჟობდი, ის ქალობდა, მე ვეტანებოდი, ის კი მიხვდებოდა. მე მოვითხოვდი, ის კი მისრულებდა». მაშასადამე

ამ ჩვეულებრივ ურთიერთობაში თომა შადიშვილი იმდენად უძლურია, რომ მისი წარმართვა არ შეუძლია.

აქაც ამ საკითხს სერიოზულად უტრიალებს მიხეილ ჯავახიშვილი და დაეძებს იმ გზას და საშუალებას, რითაც შესაძლებელი იქნება ჩვენი ეროვნული ენერგიის განახლება და ეს უშუალოდ დაკავშირებულია სისხლის პრობლემასა და სისხლის განახლებასთან.

სხვა რომანებში და სხვა მწერლების ნაწარმოებებშიც ასეა: ფიზიკური თვალსაზრისით და ფიზიკური შესაძლებლობების თვალსაზრისით თარაშ ემხვარს არაფერი აკლია (კონსტანტინე განსახურდია _ «მთვარის მოტაცება»), პირიქით, ვაჟკაცური პიროვნებაა, მოჯირითე, მოკრივე, ღონიერი კაცი. მაგრამ მისი და თამარის შვილი არ დაიბადება, რადგან მოხდა საშვილოსნოს გარეთა ორსულობა, რის გამოც თამარის სიცოცხლე ტრაგიკულად დამთავრდა. ეს აქტიც _ საშვილოსნოს გარეთა ორსულობა — უშუალოდ უკავშირდება სექსუალურ უძლურობას მამაკაცისას. აქაც დაღლილი სისხლის ამბავია და, მიუხედავად იმისა, რომ თარაშ ემხვარი ფიზიკურად ძლიერი და ღონიერი კაცია, რეალური თვალსაზრისით ისიც გადაგვარებულია, ისიც დაღლილი სისხლის მქონეთა წარმომადგენელია და მასაც არ ეყოლება შთამომავლობა, მის გვარს, მის ძირს გამგრძელებელი არ ეყოლება.

კონსტანტინე სავარსამიძეც _ კონსტანტინე გამსახურდიას რომანის «დიონისოს ღიმილის» მთავარი პერსონაჟიც — ასევეა. მასაც არ შეუძლია შთამომავლობის შექმნა, ჯიშის გაგრძელება არ შეუძლია. ეს პრობლემა, როგორც ხედავთ, ფრიად სერიოზული გახლდათ იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში და, აქედან გამომდინარე, დაისვა საკითხი, როგორ შეიძლება სისხლის განახლება, რანაირად შეიძლება მისი აღორძინება.

და აი, შალვა დადიანის რომანიდან რომ ციტატი მოვიტანე, ჩვენმა საზოგადოებამ ისეთნაირად დაიწყო ფიქრი. თუ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ვერ შევხვდებით არაქართველ ქალს, როგორც რომანის პერსონაჟს, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილედ, მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში არაქართველი ქალები ხშირად შემოდიან და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილენი ხდებიან.

მე მინდა გაგახსენოთ ოლგა ბალაშოვას სახე გრიგოლ რობაქიძის რომან «გველის პერანგიდან» და მწერლის დამოკიდებულება ამ ქალის მიმართ. არსებითად, გრიგოლ რობაქიძეს ოლგა ბალაშოვას სახით ყოველმხრივ შემკული ქალი ჰყავს დახატული: ის სულით და ხორცით უმშვენიერესი არსებაა. ამ ქალსა და არჩიბალდ მეკეშს უყვართ ერთმანეთი. მერე მოხდება ისე, რომ რუსეთიდან ოლგა ბალაშოვა და ვამეხი ერთად ბრუნდებიან. გზაში მათ რომელიღაც წითელი რაზმის მეთაური დააპატიმრებს, ბოლშევიკური რაზმის მეთაური... და რათა ვამეხი გადაარჩინოს, ოლგა ამ ბოლშევიკური რაზმის მეთაურს დანებდება და ერთ ღამეს მასთან გაათევს, რის გამოც შემდეგ ეს ქალი თავს იკლავს, რადგან არ შეუძლია, სატრფოს _ არჩიბალდ მეკეშს, ანუ არჩილ მაყაშვილს —თავისი შებილწული სხეული შესთავაზოს. თქვენ ხედავთ ზნეობრივ სიმაღლეს, სიჯანსაღესა და სიძლიერეს არაქართველი ქალისას ოლგა ბალაშოვას სახით. აქ ხაზგასმულია სწორედ ეს. ოლგა ბალაშოვა ერთგვარი

სიმბოლოც არის პატიოსნების, ვაჟკაცობის, გამბედაობის და ბრძოლისუნარიანობის. დაახლოებით ასეა არაქართველი ქალი წარმოდგენილი «გველის პერანგში».

გრიგოლ რობაქიძის «ფალესტრაშიც» ქალი პერსონაჟი _ კავალა — დედით ქართველია, მამით რუსი, კაზაკ კოვალიოვის ასული. აქაც შეჯვარებული სისხლია და ეს კავალა წარმოდგენილია ენერგიით სავსე, ჯანსაღ არსებად. მასზე მწერალი პირდაპირ წერს, რომ «უბელო ცხენს ისე ვერავინ გააჭენებდა როგორც იგი, ვერც მთიულურს ჩამოუვლიდა ისეთი ცქრიალით და იერით, როგორც იგი». ამ დამოკიდებულებაშიც განსაკუთრებულობის ელემენტია და შეჯვარებული სისხლი იგულისხმება. მესამე რომანშიც _ «ჩაკლული სული» ნატა ნახევრად ქართველია, ნახევრად რუსი. ბოლო რომან «გრაალის მცველნში» ნორინა შვედი ქალია და ისიც იდეალურად არის წარმოდგენილი. ნორინა სულიერადაც შემკულია და ფიზიკურადაც. ნორინა თავად გიორგის რძალია, მისი ვაჟიშვილის ცოლი. მაგრამ როცა თავად გიორგის შვილი _ რევაზი — დაიღუპება, ნორინასა და ლევან ორბელს, ამ რომანის მთავარ პერსონაჟს, ერთმანეთი შეუყვარდებათ და ეს სიყვარულიც წარმოდგენილია, როგორც ქალის და ვაჟის იდეალური ურთიერთობა. მაშასადამე, გრიგოლ რობაქიძე თავის რომანებში განსაკუთრებული სიმპათიითა და განსაკუთრებული პატივისცემით ხატავს ქალებს, რომლებიც ქართული კი არა, უცხო სამყაროს წარმომადგენლები არიან, მაგრამ მჭიდროდ უკავშირდებიან ქართულ სამყაროს, რაღაც ახალი, განახლებისა და აღორძინების ელემენტი სწორედ მათ მოაქვთ.

კონსტანტინე გამსახურდიას «მთვარის მოტაცებაშიც» გერმანელი ქალი _ კაროლინა — დახატულია როგორც შინაგანად ჯანსაღი არსება, ჯანსაღი სულიერადაც და ხორციელადაც. თარაშ ემხვარი მასთან უფრო თავისუფლად გრძნობს თავს, ვიდრე თავის სატრფოსთან _ თამარ შარვაშიძესთან. თამართან თარაშ ემხვარიც შეზღუდულია და თამარიც მასთან შეზღუდულად გრძნობს თავს. მათ რაღაცა ბოჭავთ, მაშინ, როცა თარაშ ემხვარის ურთიერთობაში კაროლინასთან არის სრული თავისუფლება, სწორედ შინაგანი სულიერი თავისუფლება.

როგორც ჩანს, ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო თარაშ ემხვარისათვის, რომ როცა მოსისხლე ტარბები დასდევენ და სვანეთში იმალება, სვანეთიდან გამოგზავნილი წერილების უმრავლესობა, არსებითად თითქმის ყველა, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მიმართულია კაროლინასადმი, რადგან თარაში სწორედ მასთან პოულობს თავისუფლებას, და ეს წერილები აღსარებაა სულისა. ის აღსარებას ამ ქალს ეუბნება. აღსარებას ვერ ეუბნება ვერც თავის ახლობლებს, ვერც თამარ შარვაშიძეს, ვერც სხვებს. კაროლინასთან კი გულგახსნილია და შეუძლია თავისუფლად ელაპარაკოს. ესეც იმის ნიშანია, რომ რაღაც სხვა სამყარო უნდა შემოვიდეს, მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის თვალსაზრისით, ქართულ სინამდვილეში, რომ მოხდეს ჩვენი ენერგიის განახლება, ჩვენი ეროვნული ენერგია უფრო გაჯანსაღდეს, უფრო მიზანსწრაფული და ძლიერი გახდეს. ამ პრობლემას ვინც კი შეეხო ჩვენს მწერლობაში, ყველამ ამ კუთხით შეხედა.

ასეთ ძიებას გრიგოლ რობაქიძის და კონსტანტინე გამსახურდიას გარდა, როგორც მოგახსენეთ, მიხეილ ჯავახიშვილიც მიმართავს და თეიმურაზ ხევისთავს ხატავს, როგორც სწორედ დაღლილი სისხლის საზოგადოების კლასიკურ წარმომადგენელს. ისიც ეძებს განახლების ხასიათსა და შინაარსს და ეს მკაფიოდ გამოჩნდა მის «თეთრ

საყელოში». აქ თავისებურად არის დანახული და მოძებნილი გზები ადამიანის განახლებისაკენ. თუ გრიგოლ რობაქიძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, შალვა დადიანთან ეს განახლება უცხო ქვეყნის ქალს უკავშირდება, მიხეილ ჯავახიშვილი ამ განახლებას საქართველოს მთაში ეძებს, ქართველი ხალხის წიაღში ეძებს, მის ჯანსაღ ნაწილში ეძებს. ჯანსაღი ძალა, რომელსაც შეუძლია განახლების მოტანა, მწერლის მიერ წარმოდგენილია ხევსური ქალის _ ხათუთას სახით. თუ ელიზბარი და მისი ყოფილი ცოლი მოდუნებულნი არიან და უუნარონი საიმისოდ, რომ წარმართონ ცხოვრება, უპატრონონ საკუთარ თავს, არგონ რაიმე საზოგადოებას და მთელ ქვეყანას, ელიზბარი ხათუთას სახით პოულობს ქალს, ვისთან ერთადაც შეუძლია განახლება და ყველაფრის თავიდან დაწყება. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მიხეილ ჯავახიშვილი შველას ისევ ქართულ წიაღში ეძებს და ისევ ქართულ წიაღში სურს იმათი პოვნა, ვისაც იმ პრობლემის მოგვარება შეუძლია, საერთოდ, ეროვნულ ენერგიასთან და, კონკრეტულად, დაღლილ სისხლთან რომ არის დაკავშირებული. ეს კი, როგორც გითხარით, აქტიური განსჯის საგანი გახლავთ 20-იანი წლების ქართულ მწერლობაში.

ეს ყოველივე არ გახლავთ აბსტრაქტული რამ და არ არის წარმოდგენილი როგორც განყენებული პრობლემა. იგი უშუალოდ საქართველოს ბედთან, მის მომავალთან, თუ გნებავთ, მის ეროვნულ თავისუფლებასთან არის დაკავშირებული, რადგან ყოველთვის, როცა ასეთი ძიება ხდება, ნებით თუ უნებლიეთ ეჯაჭვება ჩვენს ეროვნულ პრობლემას, ჩვენი ეროვნული ცხოვრების განახლებას. ეს ყველაზე მკაფიოდ ისევ მიხეილ ჯავახიშვილთან ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ «არსენა მარაბდელში» სოციალურ პრობლემებზეა ლაპარაკი, «არსენა მარაბდელის» სიღრმის გაგებაში არ ვიქნებოდით მართალნი, თუ ვერ დავინახავდით, რომ მიხეილ ჯავახიშვილი სოციალური პრობლემების მიღმა ეროვნულ პრობლემებსაც ეძებს, რადგან არსენა მარაბდელი მარტო მეტ-ნაკლები სოციალური თანასწორობის შექმნით არ არის დაინტერესებული, ის დაინტერესებულია საქართველოს ეროვნული ბედითაც. ეს კარგად ჩანს დასაწყისში, როცა ის საბარათიანოს მეწინავე დროშას მოკიდებს ხელს და თვითონ გაუძღვება ხალხს წინ და ამით აჩვენებს, რომ ამ დროშის მემკვიდრეები ჩვენა ვართო, ხალხი, გლეხობაო, რადგან ქართველ არისტოკრატიას მისი ღირსების დაცვა და შენახვა აღარ შეუძლიაო.

შემდეგ ეპიზოდში, როდესაც არსენა მარაბდელი და მისი ძმადნაფიცები უყურებენ რუსის ჯარისა და თურქეთის ჯარის ბრძოლას ახლიხეში, გაოგნებულია არსენა მარაბდელი. მან არ იცის, როგორ მოიქცეს და რა გააკეთოს, რადგან ერთ მხარესაც ქართველები იბრძვიან და მეორე მხარესაც... რუსების მხარესაც ქართველები იბრძვიან და თურქეთის მხარესაც ქართველები იბრძვიან. ეს ორი მხარე ერთმანეთს ებრძვის და არსენა ვერ მიმხვდარა, რთულ ვითარებაში ვინაა მართალი. ვინ აკეთებს საქართველოს საქმეს და ვის მხარეს უნდა იბრძოლოს, როგორც ქართველმა. ეს პრობლემა მისთვის, არსებითად, უპასუხოდ დარჩა.

«არსენა მარაბდელში» მთიელთა შეთქმულების ამბებია მოთხრობილი, რაც კვლავ ეროვნულ საკითხებს უკავშირდება. ესე იგი, ყველა საკითხს, რაც ამ რომანშია თავმოყრილი, სოციალური პრობლემა არ უდევს საფუძვლად. პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეის წარმოდგენაც რომანში ინტერნაციონალური თვალსაზ-

რისის გატარებას არ ნიშნავს. აქ ნაჩვენებია საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობა _ ოსები, რუსები, თათრები და სხვები და სხვები. ისინი არსენას რაზმში არიან და არსენასთან ერთად იბრძვიან. ეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამოვლინება არ არის. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შეუძლებელია, თუ ქართველი ხალხის ინტერესებს არ გაითავისებს ის ხალხი, საქართველოში რომ ცხოვრობს, მაგრამ ქართველი არ არის, თუ საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის არ გახდება აუცილებელი საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამიტომ მიხეილ ჯავახიშვილის მიერ თავის რომანში ოსების, რუსების, თათრების გამოყვანა სწორედ ერთი პრობლემის გადაჭრას ემსახურება: საქართველოს ეროვნული ბედი უნდა აწუხებდეს ყველას, ვინც საქართველოში ცხოვრობს, იმის მიუხედავად, ეროვნებით ქართველია თუ არ არის ქართველი. რომანში ჩადებულია, აი, ეს ერთიანობის იდეა და ამ ერთიანობის შემკვრელად გამოყვანილია არსენა მარაბდელი, ანუ ქართველი ხალხის წარმომადგენელი.

ეს იდეა მიხეილ ჯავახიშვილის სხვა ნაწარმოებებშიც ვლინდება, თუ გნებავთ, იმავე «თეთრ საყელოში», მაგრამ ამაზე შემდეგ მოგახსენებთ. ახლა გავიხსენებთ დემნა შენგელაიას მოთხრობა _ «ბაშკადიკლარს», სადაც იგივე პრობლემაა დასმული, რაც «არსენა მარაბდელში», როცა არსენა მარაბდელმა არ იცის, ვინ არის მართალი, ის ქართველი, თურქის მხარეს რომ იბრძვის, თუ ის ქართველი, რუსის მხარეს რომ იბრძვის.

როდესაც ილია ორბელიანი ბაშკადიკლართან დაიჭრა და ბრძოლის ველზე აგდია, მას რუსის სანიტრები დაეძებენ. იპოვიან კიდეც და საკაცეზე დააწვენენ, რომ ბრძოლის ველიდან გამოიყვანონ. დაჭრილ ილია ორბელიანს კვნესა მოესმის, გადაიხედავს საკაციდან და დაინახავს, რომ კვნესის თურქი ასკერი, რომელსაც მან ესროლა და ილია ორბელიანის ტყვიით არის სასიკვდილოდ დაჭრილი. როცა ის ქართულად დაიწყებს ლაპარაკს, ილია ორბელიანი ეკითხება, ვინ ხარ შენო და ის პასუხობს, გურული ვარ, ჭყონიაო. მოთხრობა ასე მთავრდება: ილია ორბელიანს თავში გაუელვა აზრმა _ ვინ იყო მართალი, ის _ რუსი გენერალი ილია ორბელიანი თუ თურქი ასკერი ჭყონია. ეს პრობლემა ქართულ მწერლობას აწუხებს 20-30-იანი წლების მანძილზე.

საინტერესო ის გახლავთ, რომ როდესაც 50-იან წლებში დემნა შენგელაიას ეს მოთხრობა კვლავ გამოქვეყნდა მისი ნაწარმოებების კრებულში, ეს უკანასკნელი ფრაზა _ «ვინ არის მართალი, რუსი გენერალი ილია ორბელიანი თუ თურქი ასკერი გურული ჭყონიაო», აღარსად ჩანს. მაშასადამე, უკვე გვიან ქართულმა მწერლობამაც და ქართულმა სახელმწიფომაც კომუნისტების მეთაურობით ეს პრობლემა გადაწყვეტილად ჩათვალა: რაკი საქართველო რუსეთის ნაწილია, მართალია რუსი გენერალი ილია ორბელიანი, რადგან მას, მოთხრობის მიხედვით, ეს კითხვა აღარ აწუხებს. ეს იყო იმ ძიების მარცხი, რომელიც მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ქართულ მწერლობაში მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, ეს ძიება აღარ განვითარებულა. პირიქით, მარცხით დამთავრდა, რადგან პასუხი ხელოვნური აღმოჩნდა, ნაძალადევად დამკვიდრებული და არა ბუნებრივად გამომდინარე ზემონახსენები ძიებიდან. ამიტომ პრობლემა თავისთავად ისევ დგას და ისევ მნიშვნელოვანი გახლავთ, ეს დღესაც ცოცხალი პრობლემაა და დღესაც ცოცხალი პასუხი სჭირდება, ალბათ, იმგვარი

პასუხი, როგორიც იპოვა მიხეილ ჯავახიშვილმა თავის «თეთრ საყელოში». წეღან მოგახსენებდით, რომ «თეთრ საყელოში» ეს ეროვნულ ენერგიასთან არის დაკავშირებული და განახლება, რომელიც ელიზბარის ოჯახში ხათუთას სახით მოდის, სწორედ საკუთარ ნიადაგში მოძებნა გახლავთ იმ ძალებისა, საქართველოს რომ სჭირდება ბუნებრივი არსებობისა და განვითარებისათვის. და შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ხევსურული ოჯახი, ხათუთას ოჯახი და მის გარშემო მყოფი ადამიანები ოცნებობენ თამარ მეფის დაბრუნებაზე, ოცნებობენ იმაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი განახლდება, თავისუფლება მოვა და თამარ მეფე დაბრუნდება. «თეთრი საყელოც» ასე მთავრდება: «ბუბუნებს ჩემი ძმადნაფიცი, იგვირგვინებს ხევსურეთი და აღსდგება თამარ მეფეი». აი ეს უკანასკნელი ფრაზა აკავშირებს ყველაფერს ერთმანეთთან და ჩვენ ვხედავთ, რომ განახლების ძიება, დაღლილი სისხლის განახლება დაკავშირებულია ჩვენი ეროვნული ენერგიის აღორძინებასთან, ხოლო ეროვნული ენერგიის აღორძინება ბუნებრივად გულისხმობს მთელი ხალხის, მთელი სახელმწიფოს აღორძინებას.

მასალა

1921 წლის თებერვალ-მარტში დემოკრატიული საქართველოს დამარცხებამ ერàდროულად მოაზროვნე საქართველოს გაკვირვებაც გამოიწვია და გულგრილობაც. ისე უცბათ და, არსებითად, წინააღმდეგობის გაუწევლად დამარცხდა ქართველობა, რომ ახსნას ვერ უძებნიდნენ.

გაკვირვება, რადგან არავინ (ან ძალიან ცოტა) მოელოდა, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შემდეგ, რუსეთი თავს დაესხმოდა საქართველოს და დაიპყრობდა. თანაც სოციალისტური რუსეთი სოციალისტურ საქართველოს. მართალია ლენინმა გამოყო კომუნისტური პარტია რსდმპ-დან, მაგრამ ეს მოხდა (რსდმპ _ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) 1918 წელს, მარტში, VII ყრილობაზე შეეცვალა სახელი და ეწოდა რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა). მანამდე პარტია ერთიანი იყო, ორივე ფრთა _ მენშევიკურიც და ბოლშევიკურიც _ შეხმატკბილებულად ამტკიცებდა _ ომები კაპიტალიზმის ბრალია, თორემ სოციალიზმის დროს სახელმწიფოთა შორის არავითარი ომები არ იქნებაო.

გულგატეხილობა, რადგან არავინ მოელოდა, რომ ასე იოლად დამარცხდებოდა საქართველო. მთავრობა ასე იოლად დათმობდა დამოუკიდებლობას და კუდამოძუებული გაიქცეოდა უცხოეთში.

მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა, თუნდაც სულიერი, გრძელდებოდა. თუ ერთი მხრივ იბეჭდებოდა გლოვის ლექსები, მეორე მხრივ იყო ისეთებიც, ომახიან შეძახილად რომ გაისმოდა იმ დროს.

პაოლო იაშვილი

ახალ საქართველოს

აზიის კარო! ფერად ბაღებით
ლურჯი ცის თაღით ხარ დაფარული!
ხარობს გმირული ბაირაღებით
შენი წარსული ლეგენდარული!
არ გაშინებდა ბილწი მონობა,
მზემ მოგაფინა ოქროს ფარჩები;
შენ არ გინდოდა სხვის პატრონობა,
თავისუფალი მუდამ დარჩები.
შენს ჯვაროსნობას ჩვენ ვეთანხმებით,
შენი გმირობით ვართ ავსებული, _
მაშ, ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით
ძველი ქვეყანა დახავსებული.
მზად არის თოფი! მზად არის ხმალი!
მტრებს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით.
დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი
წითელ რუსეთის დაძმობილებით.
აზიის კარო! ელავს ფერებით
შენი გვირგვინი და სამკაული!
მაშ, გადიხადე ბედნიერებით
პირველ მაისის დღესასწაული!

1921წ.

«საბჭოთა მწერალი», 1959წ. გვ. 27

გალაკტიონ ტაბიძე

მოგონებები იმ დღეებისა, როცა ილევა

(ნაწყვეტი პოემიდან)

ქალაქს მოავლეს გარშემო ალყა
და ერთხელ, დილით,
მძიმე ტანკების მოინგრა ტალღა
ბოროტი ჩრდილით.
მთელი სამი დღე გაგრძელდა სროლა.
სისხლიც ათავდა,
ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა
მწარედ გათავდა.
დაჭრილი, მკვდარი, მრავალი მსხვერპლი
მსხვერპლს ეფარება,
სახლების ნაცვლად ნაცარი, ფერფლი,
მგლოვიარება.

გამარჯვებულნი სასტიკი ხელით
აღრჩობენ ტყვეებს.
ჰკაფავენ, ხვრეტენ, ხალხის სახელით
უსპობენ დღეებს.
ქურდები ღამით საფლავებს თხრიან
მოკლულთა ცხედრებს...
გაზები ღრუბლებს შორიდან ყრიან
ლურჯებს და თეთრებს.
რბის ორი ძაღლი: მათ ისტორია
ვერ დააფეთებს,
პირიდან გლეჯენ ერთიმეორეს
ხორცის ნაფლეთებს.
და მთელი კვირა სადგურის იქით
მატარებელი
იდგა. შიგ მკვდრები ეყარა რიგით უფარებელი.

(1921-1924)

ალექსანდრე აბაშელი – "უძილო ღამე"

წარმავალია ლხინიც და ჭირიც.
ო, ყველაფერი მიდის და ჰქრება!
რა მიზანი აქვს სიცოცხლის ჯირითს,
თუ არ ხელების გულზე დაკრება!
მოჩვენებაა მიზნის მიღწევა
სახეთა მუდმივ ფერისცვალებით!
ბოლოს მატლების ბინად იქცევა
დღეს მაღალ აზრთა სარკე _ თვალები.
და ბრძოლის გრგვინვით სავსე, ყურები
აივსებიან საფლავის ქვიშით!
ჩვენი მზის ყველა საფეხურები
ანთებულია სიკვდილის შიშით!

1924წ.

გიორგი ლეონიძე

საქართველო

შენ ფიროსმანის შვიდღარიან მარნებში გხედავ,

გადაპოხილა შენი მკერდი, როგორც სარწყავი.
სისხლის საპალნით დატვირთულო, ვინ დაგიხვეტა
ბრგე თეძოები ბელტებივით დასაფარცხავი.
ტანი ყამირი, როგორც ხმალი ელავს ჩამდგარი,
ვინ დაჩექმილი ჩემი სული შხამებს დარია.
აქაფებულა შუაღამე, როგორც ჯაგარი,
ვიღამ დაიდგნოს, ვინ შაებას კარად დარიალს.
ტაძარს ალავერდს შემოაფრენს ტალღას მორევი
დგანან უზანგში: ღვთისმშობელი და მოურავი,
რკინის პალოზე გადავარდნილს ვხედავ ხანძარებს.
მოდის შამქორი. სოღანლუღი. დროშების მტვერი.
ზურნით ფალანგებს მოუძღვება კონდოტ¡ერი
და შენი სისხლი გაჭედილი, შიშით ზანზარებს.

1924წ.

ბოლშევიკთა ერთ ნაწილს გულწრფელად ეგონა, რომ რუსეთი კი არ იპყრობდა საქართველოს, არამედ სახელმწიფო გადატრიალება ხდებოდა. მიდიოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთი ფრთა _ მენშევიკები და მოდიოდა იმავე პარტიის მეორე ფრთა _ ბოლშევიკები. ხალხიც ვერ ხედავდა ერთი პარტიის ამ ორი ფრთას შორის დიდ განსხვავებას.

1924 წლის აგვისტოს აჯანყებამდე მაინც მედგრად იყო საქმე. იყო აჯანყებანიც და ლიტერატურაშიც ჭექდა წინააღმდეგობის ხმა.

* * *

როგორ იბრძოდა ქართველი ახალგაზრდების ერთი ნაწილი საქართველოს თავისუფლების დასაცავად, ამის საბუთად ისიც კმარა, რასაც რემონ დიუგე წერდა თავისი წიგნის მიძღვნაში («მოსკოვი და წამებული საქართველო»).

«ამ წიგნს მოწიწებითა და თაყვანისცემით ვუძღვნი საქართველოს დამცველებს, იმათ, ვინც შეიძლება უიმედოდ, მაგრამ უბრძოლველად მშობლიური მიწის ერთ გოჯსაც არ თმობდნენ, ტაბახმელის გმირებს, თბილისის სამხედრო სკოლის მამაც კურსანტებს, ყველას, ვინც თავისი სისხლით საქართველოს ისტორიის ერთერთი უბრწყინვალესი ფურცელი დაწერა». ეს განსაკუთრებული ვაჟკაცობა ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მცირერიცხოვანი ჯგუფისა არა ერთსა და ორს აღუნიშნავს, როგორც ქართველს ისე უცხოელს. მაგრამ საბედისწეროდ დემოკრატიულ საქართველოს მხდალი და ლაჩარი ხელისუფლება ჰყავდა, რამაც განაპირობა დამარცხება.

მარტო ის რად ღირს, რომ შეუიარაღებელი, ჩაუცმელ-დაუხურავი არმია იბრძოდა: იუნკერ ნიკოლოზ მათიკაშვილის მოგონება («ივერია», 1988წ. №32 პარიზი, გვ. 10):

«ჯერ ერთი, ეს 20-23 წლის გამოუშუშავი ახალგაზრდები დავაჟკაცებულნი და ომისათვის მომზადებულნი არ იყვნენ. არც ტანსაცმელი გააჩნდათ ამინდის შესაფერი. საზაფხულო სამოსელზე თხელი, წყლის გამტანობას მოკლებული, სითბოსმოკლებული ხელოვნური იტალიური ქსოვილისგან შეკერილი პალტოები გვეცვა. ჩვენს

ტანსაცმელში, ცხვრითა და მატყლით მდიდარ ქვეყანაში, ერთი ღერი მატყლიც არ ერია. დღისით, სანგრებში ყოფნისას, წყლით იჟღინთებოდა. ღამით ყინვის ფიცრებად იქცეოდა და იარაღის ხმარებასა და მოძრაობას გვიძნელებდა».

* * *

1923 წლის 15 მაისს ბოლშევიკებმა დააპატიმრეს 15 ქართველი _ მხედრები და საზოგადო მოღვაწენი _ კონსტანტინე აფხაზი (ილია ჭავჭავაძის დისწული), გენერალი ვარდენ წულუკიძე, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი, ქუთათელაძე ბეითალი, ჭკუაზე შეცდა ნიკო ზანდუკელი, პოლკოვნიკი მაჭავარიანი, პოლკოვნიკი ჩრდილელი და სხვები. (სამხედრო ცენტრის წევრები, რომელიც ექვემდებარებოდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს). ამ კომიტეტის განკარგულებით აჯანყება უნდა დაწყებულიყო მთიანეთში.

20 მაისს თხუთმეტივე დახვრიტეს.

გაასამართლა საგანგებო კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ:

პანკრატოვი,

მაგილევსკი,

აშუკინი,

სერგო ორჯონიკიძე

მამია ორახელაშვილი

კვანტალიანი

* * *

გიორგი ლეონიძე

სახრჩობელიდან

აზიის კახპავ! თარაქამა გიჯვარედინებს
გიყნოსა თეძო და მსუქანი კაბის შრიალი.
მეწველ ჯიქნებს ახვრეპინებ ჯალალ-ედ-დინებს
და გამოშიგნულს შეგადგება შავრაშიანი.
. . .
დაობებული შენი თესლი ვერ დაიჭექებს,
ველარ აყვავდეს შენი ძვლები მტვრად დაგროვილი.
და მონგოლისგან დახარჯული ძირს ჩაიჩოქებს
შენი ლაშქარი, დასირმული, დაოქროილი.
მოდგა და მოდგა დარუბანდით სისხლის დგანდგარი
დატეშა რიყით საძოვარი შრატით მცვრეული.
და ჩემი რასა _ ულაყების ჯიში მაგარი,
საღრჩობელიდან იყურება განაცრეხული!

«ბარიკადი», 1922წ. №*4 7 იანვარი.*

* * *

გ. ტაბიძემაც და პ. იაშვილმაც იწინასწარმეტყველეს საკუთარი ბედი. 1933 წელს პ.იაშვილმა ლექსი დაწერა «ლირიკული მისამართიდან». სიჩუმის საშინელებაზე ლაპარაკობს ამ ლექსში და ამბობს _ «საშინელია, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება». მაშინ 1937 წლამდე კიდევ ოთხი წელიწადი იყო დარჩენილი.

ესენინმა რომ თავი მოიკლა, ტ. ტაბიძემ ლექსი დაწერა _ «სერგეი ესენინს»

განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი,
რომ გადარჩენა არ გხარებია?..
ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი,
სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია?..
. . .
შევსვამთ საწამლავს... ჩვენ როგორც მირონს,
პირველად შენ სთქვი ეს ალავერდი.
. . .
ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს, სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!

1926 წ.

ტ. ტაბიძე_ «ანანურთან˜

...დარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები...

1929წ.

ჩანაწერები გალაკტიონზე

მამულიშვილობის თემატიკა გალაკტიონისათვის უცხო არ ყოფილა. ამ მხრივაც იგი აგრძელებდა მე-19ს. ქართული მწერლობის ტრადიციას, მიუხედავად სკეპტიკური განწყობილებისა. ზოგჯერ ასეთი სკეპტიკური განწყობილება აკაკისაც ეუფლებოდა. აკაკი ხომ თავდავიწყებით უყვარდა გალაკტიონს და, ცხადია ისიც, რომ აკაკის პატრიოტული განწყობილების ზეგავლენას განიცდიდა

წინ მიიწევ და ხმაურობ, გღვიძავს,

საქართველოს სევდიანო მიწავ.
ნეტავ მალე დაამსხვრევდე ბორკილს,
ნეტავ მალე მიაღწევდე მიზანს!..

(«ნეტავ მალე მიაღწევდე მიზანს») ტ.I, 56 გვ.

ლექსში «ახალგაზრდებო!» იგი ამბობდა:

ჩვენ მოგვაქვს დროშა
დიდი მგოსნების,
დროშა სამშობლოს
სიყვარულისა
და უმაღლესი პატიოსნების.

* * *

გალაკტიონი სამ ფორმულაში აყალიბებს სამშობლოსადმი თავის დამოკიდებულებას:

1. «სამშობლო არ დაივიწყოთ,
სამშობლო უმთავრესია» («ისევ ახალგაზრდობას»)
«არ დაგავიწყდეს ჩვენი ქვეყანა,
ყველაფერი რომ გადაგავიწყდეს»
2. «ცვრიან ბალახზე...»
3. «ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ...»
«ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი...»

* * *

შენს თეთრ შუბლზე თვით გენიის
ზეციური მირონია,
მხოლოდ ბაგის კუთხის კრთის
ღვთაებრივი ირონია...

საერთოდ, ირონია გალაკტიონთან და, კერძოდ, სოციალიზმისადმი მიძღვნილ ლექსებში (ლექსი «სვინტრი»)

არც დვალეთში, არც ქიზიყში, არც ჰერეთში,
არც დღეის დღეს, არც ხვალეთში, არც მერეთში,
არც ბოხოხში, არც ცილინდრში, არც ბერეტში,
სვინტრი იგი ხარობს თურმე იმერეთში.
უნდა შუბლით ფიქრთა ნისლი გამერეკა,
მსურდა სწრაფად მსოფლიოსთვის დამერეკა,
რომ აღმოჩნდა, რომ აღმოჩნდა ამერიკა
და რომ სვინტრი ბალახია იმერეთში.

1954წ., 13 ივლისი.

* * *

დასასრული: გალაკტიონ ტაბიძე იყო სიყვარულის დიდი მძებნელი, ნესტანის საძებრად წასული ავთანდილივით, მაგრამ, ავთანდილისაგან განსხვავებით, მან ეს სიყვარული ვერ ჰპოვა.

* * *

გალაკტიონის დაუბეჭდავი ლექსის _ «საქართველო» _ ბოლო სტრიქონი (არქივიდან)

დადგება დრო, უფროსი ძმა
უმცროსს ველარ უბატონებს,
გწამდეთ ყველას, საქართველო
კვლავ თავის თავს უპატრონებს.

«ქართველ პოეტებს ისე, როგორც ყოველთვის, არც გასული წლის განმავლობაში აუღიათ უღირსთაგან გადმოსროლილი ხელთათმანი.

რადგან საუკუნეების განმავლობაში თვლიდნენ სიამაყეს სიკვდილზე უმაღლესად, დიდებას ამა სოფლისას თვლიდნენ ამაოებად და ახსოვდათ მხოლოდ დიდება მარადისი»...

გალაკტიონი. 1921 წ.

* * *

გალაკტიონი უმრავლესჯერ კონკრეტულიდან ამოდის, მაგრამ ყოველთვის იმდენად აზოგადებს, რომ კონკრეტული საფუძველი ძნელი მისაგნები ხდება. ზოგჯერ მის აღმოჩენაში მისი ბიოგრაფიული ფაქტის ცოდნა გვეხმარება, მაგრამ თუ ამგვარი ფაქტი არ ვიცით, მაშინ კონკრეტულ საფუძველს ვერ ვპოულობთ.

* * *

გალაკტიონში ერთნაირ ემოციას იწვევს რეალური სინამდვილე და ილუზიური სინამდვილე. აქედან არის ბევრი მისი ლექსი შთაგონებული მხატვრული ნაწარმოებებით.

გალაკტიონს აქვს ლექსი «ჩვენ პოეტები საქართველოსი». გალაკტიონის თხზულებათა მეორე ტომში ამ ლექსის დაწერის თარიღად მითითებულია 1924 წლის დეკემბერი. მაგრამ დეკემბერში როგორ დაიწერებოდა იგი, როცა დაბეჭდილია ჟურ. «მნათობის» 1924 წლის 7-8 ნომერში, ე.ი. ივლის-აგვისტოს ნომერში. მაშასადამე, გალაკტიონი ამ ლექსს წერდა აჯანყებისათვის მზადების პერიოდში. ამიტომ გალაკტიონის სტრიქონები სხვა ბრძოლას გულისხმობს:

გააფთრებული ომის გენია,

ძველი ჟანგივით ყვითელი ფერის,
გადეფარება მეწამულ ზეცას,
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.

იქნებ მოსწონდეს ერთსახეობა
აღმოსავლეთის დღეების თბილისს,
გადმოანგრიოს მტკვარის ხეობა
და ასაკლებად მოადგეს თბილისს.

ვართ პოეტები საქართველოსი,
რომელთაც გვახსოვს დღე უარესი.
ჩვენ ეხლაც ვიცით, სად დადგებიან
კლოდელი, ჟამმი, სიუარესი...

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..

* * *

თემები:
ვარდი სილაში
შორეული ქალი

* * *

პოეტები, რომელთაც გალაკტიონი იხსენიებს.
მხატვრები, რომელთაც გალაკტიონი იხსენიებს.
კომპოზიტორები (მუსიკოსები), რომåლთაც გალაკტიონი იხსენიებს.

* * *

რა საიდუმლოზეა საუბარი ხსენებულ ლექსში? გალაკტიონი ასეთ ახსნას იძლევა: დაპატიმრებული რევოლუციონერებისაგან საიდუმლო ცნობა უნდა მიგვეღო. დათქმულ დროს ციხის გალავანთან მივედი. არცთუ დიდიხნის ლოდინის შემდეგ პურის გუნდა გადმოისროლეს. მასში წერილი იყო: «შემოგვიგზავნეთ იარაღი». ამ ამბავს კონსპირაცია სჭირდებოდა და მეც საიდუმლო მტკიცედ შევინახე, აქედან დაიბადა «მე და ღამე».

(ნ. ტაბიძე _ გალაკტიონი (შტრიხები პორტრეტისათვის), «ლიტ. საქართველო», 1982. 3.XII).

* * *

სიყვარულს გალაკტიონის პოეზიაში ორი ასპექტი აქვს (როგორც ყველა პოეზიაში) _ მიწიერი და ზეციური. რაც მიწიერი ასპექტით იკითხება გალაკტიონთან, ის პეტერ ალტენბერგმა ასე გამოთქვა: რაც ზეციურია, იგი ღვთისმშობელს უკავშირდება, რამეთუ ადამიანი ოდენ მიწიერი სიყვარულით არ ცხოვრობს.

* * *

მოვიტანოთ მისი ლექსების ნიმუშები და დავინახავთ, რომ ერთი წყება ლექსებისა ისეა გამჭვირვალე და მსუბუქი, რომ როგორც თავად თქვა _ «ანგელოსს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი». მეორე წყებაც ასეთივე უზადოა დაწერის თვალსაზრისით, მაგრამ იმდენად ღრმაა ხილვა, რომ უკვე ჭირს დანახვა და ფიქრია საჭირო სიღრმეში ჩასაწვდომად. ტვინის განძრევაა საჭირო (მაგალითები როგორც ერთის, ისე მეორის).

* * *

პროფანები ამბობენ _ იქნებ ასე არ უთქვამს და მიაწერო. ზუსტად იმის ამოცნობა, რატომ თქვა, არავის ძალუძს. არის შემთხვევები, როცა ავტორიც ვერ გეტყვის _ რატომ თქვა. ამიტომ აქ ელემენტარული ლოგიკური სილოგიზმი არაფერ შუაშია.

საინტერესოა _ როგორ წავიკითხავთ. ჩემი აზრით, რამდენად მეტი წაიკითხავს თავისებურად, იმდენად დიდია მწერალი. იგი ყველას აძლევს საკვლევს. ისიც მნიშვნელოვანია, ვინ კითხულობს, _ ხიდან ვაშლი ჩამოვარდა, ერთმა აქ მხოლოდ ის დაინახა, რომ ვაშლი ჩამოვარდა და აიღო, ყბაში გაუძახა და არხეინად შეახრამუნა, მეორეს კი მიზიდულობის კანონის აზრი გაუჩნდა, თუმცა მოვლენა ერთი და იგივე იყო _ ვაშლის ჩამოვარდნა. ამ ჩამოვარდნის აღქმაში ორივე მართალი იყო. ისიც, ვინც შეჭამა, მეტი ვერაფერი დაინახა და ისიც, ვინც მიზიდულობის კანონს მიაგნო. ორივე ელåმენტს შეიცავდა ჩამოვარდნა. განìხვავება მხოლოდ აზროვნების მასშტაბში იყო. მაგრამ არც იმას შეეძლო საყვედურის თქმა, ვინც მიზიდულობა დაინახა, შენ რატომ ვერ დაინახეო, და არც იმას, ვინც მხოლოდ ვაშლის ჭამა იცის, რა მიზიდულობა, რის მიზიდულობა _ ჩამოვარდნის მეტი აქ არაფერიაო. ორივე ისე აზროვნებს _ როგორც უზენაესმა მიანიჭა უნარი. ასევეა დიდი პოეტური შემოქმედება. ყველა თავისას ხედავს და ხილვის მასშტაბი იმის შესაბამისად იზრდება _ ვის როგორი რუასი და სამშვინველი აქვს. პოეზიაში არ აზროვნებენ იმ ელემენტური სილოგიზმით, რომელსაც ყველა იცნობს:

ადამიანი მოკვდავია
სოკრატე ადამიანია
სოკრატე მოკვდავია.

პოეტს შეუძლია გააკეთოს დასკვნა _ სოკრატე უკვდავია. ეს მისი ხილვის თავისებურებაზეა დამოკიდებული.

* * *

გალაკტიონი რეალური სინამდვილის მსგავსად აღიქვამდა ლიტერატურისა და ხელოვნების მიერ შექმნილ სინამდვილესაც. ორივე სინამდვილეს შეუძლო მასში გამოეწვია ემოციური გზნება. აქედან არის ბევრი ლექსი, შთაგონებული სხვა პოეტის, მუსიკოსის ან მხატვრის მიერ.

* * *

რომელი პოეტების ლექსებით არის შთაგონებული,
რომელი მხატვრების,
რომელი მუსიკოსების.
ეს თავები ცალ-ცალკე უნდა დაიწეროს.

* * *

ჰეგელის მიხედვითაც აქვს ლექსი დაწერილი. საჭირო არ არის შორეული პარალელების ძებნა. იგი უშუალოდ განიცდის და ამას არც მალავს. წარწერა წიგნზე «მანონ ლესკო» ამის მაგალითია:

მარად ისმის: მარადისი
სიყვარული ძნელია.
ვის ისარი მოხვდა მისი,
მუდამ ცრემლის მღვრელია.

ვარდთა კონის, ბნედა გონის,
ტავერნების ნდომანი...
დე გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

* * *

გალაკტიონს ხელეწიფება როგორც ხილულის, ისე უხილავი სამყაროს ჭვრეტა.

* * *

აზრობრივი შინაარსის ძიება და მიგნება აუცილებელია, რამეთუ высокое искусство – гармоническое соединение ума и сердца. ასეთია გოეთე, დანტე, რუსთაველი.

* * *

ინტეგრალი არ არის მხოლოდ მათემატიკური ტერმინი. იგი ჩვეულებრივი სიტყვაა თავისი გარკვეული მნიშვნელობით. შეიძლებოდა თუ არა, გალაკტიონს ეხმარა იგი ჩვეულებრივი მნიშვნელობით? გვხვდება თუ არა ჩვეულებრივი მნიშვნელობით? გვხვდება თუ არა ჩვეულებრივი მნიშვნელობით ეს სიტყვა ქართულ ლიტერატურულ ენაში?

* * *

პ. ინგოროყვა: «თუ რამდენად ინტეგრალური და მრავალმხრივი იყო ქართული პოეზია თამარის დროისა, ამას გვიჩვენებს ჯერ მარტო Ars poetica რუსთაველისა, რომელიც შენახულია ვეფხის-ტყაოსნის შესავალში» (გვ. 284, ჟურ. «კავკასიონი», 1924წ. №1-2. პ. ინგოროყვას წერილი _ «ჩახრუხაძე. პოეტი. მოგზაური»).

* * *

ის აზრი, რაც მე მერის ციკლის ლექსების წაკითხვისას დამებადა, პეტერ ალტენ-ბერგმა (1859-1919) ასე გამოთქვა:

« _ ათი ათას კილომეტრზე მეტს მისცურავს ქაშაყი უკიდეგანო ოკეანის სანაპი-როზე, სანამ დედალ ქაშაყს გაანაყოფიერებდეს.

წინდახედულმა ბრძენმა ბუნებამ მამალი ქაშაყის ტვინში ჩადო ეს აზრი: შორეულ სანაპიროს აჰყოლოდა და სიყვარულით ათრთოლებულ დედალ ქაშაყს შეხვედრო-და!

ბუნება ზრუნავს ქაშაყთა მოდგმის შენარჩუნებისათვის.

პეტრარკას სულს მარადი ცეცხლი შეუნთო ერთი ქალის სახემ, ვინც მხოლოდ ერ-თხელ იხილა საკურთხეველთან დაჩოქილმა. პეტრარკა არასდროს აჰყოლია სანაპი-როს ქალის შესახვედრად.

შორეთიდან, ოკეანისავით უძირო სულის სიღრმეებიდან ეტრფოდა იგი ქალს და ოცდაათი წელიწადი «შორეული» დარჩა!

და ისე, რომ პეტრარკას სხეულს არ გაუნაყოფიერებია, ცხოვრობდა ქალი უნაყო-ფო სიყვარულით გათანგული!

ოჰ, მოუხილავო ბრძენო ბუნებავ, შენ, რომელიც (რადაც უნდა დაგიჯდეს) ეს-წრაფვი შენი მიზნების აღსრულებას.

ზრუნავ პეტრარკას მოდგმის შენარჩუნებისათვის!

მან ამ ქალთან შორეთიდან შობა თავისი შვილები, სიყვარულის სიმღერები!» (გი-ორგი მაჭუტაძის თარგმანი).

* * *

გალაკტიონის 12-ტომეულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალის სახელი «მერი» მის პოეზიაში ჩნდება 1915 წელს, ხოლო ... წელს უკანასკნელად იხსენიება. ამ პერი-ოდში დაწერილი ლექსების საშუალებით შეგვიძლია ამ ლირიკული პროტაგონის-ტის ბიოგრაფია აღვადგინოთ.

გალაკტიონის ახლობელი ქალებიდან ვისი ცხოვრების გზა ემთხვევა დაახლოე-ბით ლექსების მიხედვით დახატულ ცხოვრებას?

თუ აქ ხორციელი ქალი არ იგულისხმება და აქ ღმრთისმშობლის ხატებაა, მაშინ ამ ლექსებში ხომ არ არის გამოვლენილი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუ-ნის დასაწყისის და რუსული მწერლობისა და ფოლოსოფიის ძირითადი პრობლემა _ ღმერთის სიკვდილისა, ღმერთის გარდაცვალებისა?

შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც.

როგორი ფერებია, დახასიათება.
როგორია ამ ლექსების რიტმი, განწყობილება, სიტყვიერი ქსოვილი.
«შორეული», გარდა მერისა, რომელიმე ქალის მიმართ არის ნახმარი?

«მერი» პირველად დაბეჭდილია 1915 წ. «თეატრსა და ცხოვრებაში», [1]36.

თუ ამ ლექსებში აღწერილ კონკრეტულ ფაქტებს გავადევნებთ თვალს, შემდეგ დეტალებს მივიღებთ:

1. ვიღაცას 1914 წლის პირველ ნახევარში პოეტი განშორებია, რასაც განიცდის («გახსოვს?»).

ამ სიყვარულს ლექსები მიუძღვნა, სადაც გამოხატულია სევდა პირუმტკიცობის.

1925წ. ეს ქალი გათხოვილა («მერი»).

1917წ. ბობოქარ დროს ამ ქალს რაღაც განსაცდელი ემუქრება («მზეო თიბათვისა...»).

1918წ. ეს ქალი გარდაცვლილა («მას გახელილი დარჩა თვალები»).

ასეთია კონკრეტული, მაგრამ აუხსნელი ფაქტები, ლექსებიდან ამოღებული. ახლა საჭიროა დავადგინოთ, გალაკტიონის მიჯნურთა შორის ვისი ცხოვრება ემთხვევა ამ ფაქტებს. გასაგები გახდება ამ ლექსის ადრესატი. შესაძლებელია, აქ ქალს სრულიად არ ერქვას მერი. უბრალოდ, გალაკტიონი «მერის» და «ლეონორას» იყენებს, როგორც გარკვეულ ფორმას მხატვრული სახისა, როგორც საშუალებას თავისი პერსონაჟის აღსანიშნავად.

როგორ არის ინგლისურად მარიამ ღვთისმშობელი?

კონკრეტული «მერი» _ «ზოგადი» _ «მერი» _ რა აზრია ჩადებული «მერის» სახეში: ქალურობის იდეა გალაკტიონთან. გალაკტიონი მერის პარიზში შეხვდაო, ლექსი დაწერა, მაგრამ რატომღაც 1919 წელი მიაწერაო. ეს იმიტომ გააკეთა, რომ «მერის» ციკლი დამთავრდა.

1919 წლის მერე დაწერილ ლექსებში იხსენიება მერი?

როდის გათხოვდა მერი შერვაშიძე?

* * *

«შენ, გალაკტიონ, იცი
და დაუდევრად ჩქარა
ქრება ქალების ფიცი»

(«არა ერთი და ორი», 1924წ.).

* * *

გალაკტიონის ცხოვრებაში არის ვიღაც ქალი, რომელიც მან ვერ დაივიწყა.

«ძვირფასო ქალებო! არ მოგერიდებით,
ერთს თქვენგანს ეკუთვნის სულ ჩემი წიგნები.
ნეტავი დამათრო მის ბროლის თითებით.
პირველი და დიდი გენია ვიქნები»

(«ღელავდნენ...» 1927წ.).

* * *

განწყობილებას გალაკტიონი ქმნის:
1. ფერებით,
2. მუსიკით,
3. უცხო გვარ-სახელებით.

* * *

ლურჯი _ სიკვდილის ფერი (ქრისტიანული მსოფლმხედველობით პესიმიზმს არ გამოხატავს. აქ მხოლოდ ტკივილია _ ფერისცვალების გამო).

1. მოფრინდნენ ლურჯი ანგელოსები,
2. ლურჯი მონტევიდეო,
3. ვით წიგნი ლურჯი და ძველისძველი.

* * *

გალაკტიონს აქვს ლექსები, სადაც იგი განწყობილებით აზროვნებს და არა ლოგიკურად. პოეზიაში განწყობილებით აზროვნება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ლოგიკური აზროვნება. მკითხველს ჩინებურად შეუძლია განწყობილებით მიღებული შàაბეჭდილება ლოგიკურად ჩამოაყალიბოს.

ლაჟვარდების კიდეო,
დაბურულო ზმანებით,
ლურჯო მონტევიდეო,
ვიწრო ხელთათმანებით.

ამის ლოგიკური აზრი არ მესმის. ვისაც ესმის, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ განწყობილებით კარგად მესმის და მოხიბლული ვარ. თუ ამ განწყობილების ლოგიკის ენაზე გადატანას მომთხოვდით, ვიტყოდი _ მარტოობის გრძნობას. ამიტომ ყოველთვის ამოხსნა, ლოგიკურად რას ამბობს პოეტი, შეუძლებელიც არის და არც საჭიროა. ამიტომ მიხეილ კვესელავას დასკვნა, რომ გალაკტიონთან არის ლოგიკურად გაუგებარი ლექსები _ სწორია. თუმცა შეიძლება ზოგიერთი მაგალითი ზუსტად არ იყოს დასახელებული. ამაზე მიუთითეს კიდეც. ერთ მაგალითს მეც მოვიტან _ რამდიდარი (საერთოდ გალაკტიონის ლექსიკას ღრმა შესწავლა უნდა).

გალაკტიონს ბევრი ლექსი აქვს, სადაც ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ამ ლოგიკას კი არ მოაქვს ლექსის აზრი, არამედ განწყობილებას. გალაკტიონი განწყობილებით აზროვნების ოსტატია.

«მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი» _ რა უფრო მნიშვნელოვანია _ ლოგიკა თუ განწყობილება? განწყობილება.

«და ყველაფერი როგორ ნაზდება, როცა ახლოა დღე შემოდგომის». რაა უფრო მნიშვნელოვანი _ ლოგიკა თუ განწყობილება? განწყობილება.

ამგვარი მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება.

რას ნიშნავს "თიბათვის მზე"

ალბათ, გალაკტიონს უყვარდა თიბათვე, ხშირად ახსენებს მას. მაგრამ «თიბათვის მზე» კი, თუ არ ვცდები, სულ ორ ლექსში აქვს მოხსენიებული («მზეო თიბათვისა» და «მას გახელილი დარჩა თვალები»).

რას გულისხმობს გალაკტიონი «თიბათვის მზეში» მთლად მკაფიო არ არის. თუმცა პოეზიის მოყვარული ყოველი კაცი დამტკბარა ამ ლექსით. შესაძლებელია სტრიქონების იდუმალებაც ქმნიდეს მათ განუმეორებელ ხიბლს. მაგრამ ამ ლექსების ზნეობრივი შინაარსის ამოსაცნობად აუცილებელია «თიბათვის მზის» ფარული აზრის გაგება.

ამ მიზნით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ლექსი «მზეო თიბათვისა».

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე _ ამას გევედრები.

ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მოვლინე ისევ შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეც შვენიერი.

ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები.

ამ ლექსის აზრობრივი შინაარსის გასაღები როლანდ ბურჭულაძემ მოძებნა. მან სრულიად ნათლად და ზუსტად ახსნა _ რას გულისხმობს ლექსში ნახსენები გრაალი. როგორ ჩანს, რ. ბურჭულაძის განმარტებას არ მიექცა სათანადო ყურადღება, თორემ გალაკტიონის თხზულებათა მეორე ტომის (გამოცემული 1966წ) შენიშვნებში გრაალი არ იქნებოდა ასე «ახსნილი» (გვ. 305) «ციხე-ბასტიონი ლიდიის სახელმწიფოში (მცირე აზია)».

ახლა ისევ უნდა შევახსენო მკითხველს, რა არის გრაალი.

«ახალი აღთქმა» გვიამბობს, რომ, როცა ქრისტე ჯვარს აცვეს, პილატესთან მივიდა ერთი მდიდარი კაცი იოსებ არიმათიელი და იესოს გვამი გამოითხოვა. პილატეს უბრძანებია, მიეცითო. იოსებ არიმათიელმა მიიღო გვამი, შეახვია წმინდა არმენაკში და კლდეში გამოკვეთილ საფლავში დადო. კარებზე კი დიდი ლოდი მიაყუდა. ეს წერია «სახარებაში». მერე ლეგენდამ დაამატა: როცა იოსებ არიმათიელმა ქრისტეს გვამი მიიღო, იესოს სისხლიანი პერანგი გახადა, გაწურა იგი და მაცხოვრის სისხლი თასში დააგროვა. აი, იმ თასს, რომელშიც იოსებ არიმათიელმა ქრისტეს სისხლი დააგროვა, ერქვა გრაალი.

(გაიხსენეთ, კრეტიენ დე ტრუას მსოფლიოში ცნობილი რომანი _ «პერსევალი ანუ ამბავი გრაალისა», დაწერილი XII საუკუნეში).

მაშასადამე, სტრიქონი _ «ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები» _ ასე უნდა წავიკითხოთ: ლოცვად მუხლმოყრილი ქრისტეს სისხლით სავსე თასს ვგავარო. ახლა ამ თვალით შევხედოთ მთელ ლექსს.

«მზეო თიბათვისა» დაწერილია 1917 წელს. ჯერ კიდევ მძვინვარებს პირველი მსოფლიო ომი. იწყება დიდი რევოლუციების ხანა. ამ მძიმე სიტუაციაში პოეტი «თიბათვის მზეს» ეხვეწება:

ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები.

როგორ შეუძლია ვინმეს მფარველობა «თიბათვის მზეს»? ან რატომ უნდა ევედრებოდეს ვინმე მას? მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება ვევედროთ «თიბათვის მზეს» და მფარველობა ვთხოვოთ: თუ დავუშვებთ, რომ «თიბათვის მზეში» ღმერთი იგულისხმება. ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ასეა.

ჯერ ერთი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ლოცვად მუხლმოყრილი პოეტი ქრისტეს სისხლით სავსე თასივით დგას «თიბათვის მზის» წინაშე.

მეორეც, ამ ლექსში არის სტრიქონები _ «სული მოუვლინე ისევ შენმიერი». როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგიის თანახმად, ღმერთმა სულიწმიდა მოავლინა ქვეყნად, რის წყალობითაც მიწიერმა ქალმა შვა მესია, მხსნელი. სულიწმიდის მოვლენა მხოლოდ ღმერთის ფუნქციაა. ამ ფუნქციის ასრულებას პოეტი «თიბათვის მზეს» თხოვს. ამდენად, ცხადი უნდა იყოს, რომ გალაკტიონი «თიბათვის მზეში» ღმერთს გულისხმობს.

მესამე, ლექსში ნათქვამია: «იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე _ ამას გევედრები». ფრთები სულიწმინდის ატრიბუტია. «სახარება» გვაუწყებს: «ვიხილე სული ღმრთისაი, ვითარცა ტრედი გარდამომავალი ზეცით» (იოანე, 1, 32). მაშასადამე, მტრედი სულიწმიდის სიმბოლოა, მისი ხილული სახეა. ამიტომაც არის მშვიდობის სიმბოლოც მტრედი. სულიწმიდა მოვლინებული იყო მესიის გასაჩენად, «რაითა აცხოვნოს სოფელი მის მიერ» (იოანე, 111, 17), რათა დაემყარებინა ქვეყნად სათნოება და მშვიდობა. პოეტიც მშვიდობას ითხოვს, რამეთუ «ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები».

ამრიგად, ლექსში ალეგორიულად ნახსენებია ქრისტიანული სამების სამივე წევრი: ღმერთი (თიბათვის მზე), სულიწმიდა («სული მოუვლინე ისევ შენმიერი») და ძე ანუ ქრისტე («ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები»).

ძნელი სათქმელია გალაკტიონმა თავად შეთხზა სახე _ «თიბათვის მზე» _ თუ ისესხა. სესხების ვარიანტს იმიტომ ვუშვებ, რომ აღორძინების ეპოქის იტალიურ პოეზიაში არსებობს «ივლისის მზე», როგორც უზენაესისა და სრულყოფილის ხატი.

ქართულ პოეზიაში _ ვერც სასულიეროსა და ვერც საეროში _ ვერ მოვაგენი ანალოგიას. მარტო მზე რომ იყოს, მაშინ იოლი გასაგები იქნებოდა. მზე ღმერთის მატე-

რიალური აღეა. ეს კარგად არის ცნობილი და ასახულია კიდეც სიტყვაკაზმულ მწერლობაში. მოწმედ დავით გურამიშვილიც კმარა:

სახით იგავად სათქმელად
მამა მზეთა-მზედ ითქოსა,
ძე ღვთისა მხოლოდ-შობილი
მზå სიმართლისა იქოსა...

მაგრამ რატომ მაინცადამაინც თიბათვისა უნდა იყოს ეს მზე? აქ ერთი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. როგორც ვნახეთ, პოეტი ღმერთს ისევ სულიწმიდის მოვლინებას ევედრება («სული მოუვლინე ისევ შენმიერი») სულიწმიდის მოფენის დღე კი 14 ივნისია (ძველი სტილით 1 ივნისი). ივნისი ხომ ქართულად თიბათვეა!

მაგრამ ამაო გამოდგა ვედრება. მეორე ლექსში, რომელიც ერთი წლის შემდეგ, 1918 წელს არის დაწერილი, იგი ჩივის:

მზე თიბათვის, ყოფნა უმზეო!
მზე მიიცვალა ღია თვალებით!
ის მიიცვალა რაღაც უმწეო.
და საოცარი გარდაცვალებით!
მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ, გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები!

თუ «თიბათვის მზე» ღმერთს გულისხმობს, მაშინ ამ ლექსში აშკარად უფლის გარდაცვალებაზეა ლაპარაკი.

ღმერთის გარდაცვალების იდეა კი ვასილ როზანოვის მოძღვრებას გვაგონებს.

ლევ შესტოვის წიგნში _ „Умозрение и откровение “ _ არის წერილი «ვ.ვ. როზანოვი». ამ სტატიაში შესტოვი განიხილავს როზანოვის მოძღვრებას და დაასკვნის:

...»როზანოვისათვის ქრისტიანობის იდეა უკავშირდებოდა უღმერთოების იდეას».

...»მისთვის რაღაცნაირად ქრისტიანობა დაკავშირებული იყო ღმერთის სიკვდილის იდეასთან».

...»როზანოვისათვის იყო ქრისტიანი ნიშნავს, უარი თქვა ღმერთზე».

...»მას სჯეროდა, რომ ღმერთი მოკვდა «ბუნებრივი სიკვდილით», უფრო მეტიც, ღმერთის ბუნებრივი მდგომარეობა _ სიკვდილია».

ამ აზრების გამოძახილი უთუოდ ისმის გალაკტიონის ლექსში «მას გახელილი დარჩა თვალები».

ვ. როზანოვის მოძღვრებისა და გალაკტიონის ლექსების ერთი ჯგუფის კომპლექსური შესწავლა უთუოდ საინტერესო დასკვნებს მოგვცემს. სხვათა შორის, აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ გალაკტიონის «13 წლის ხარ» უცნაურად ეხმიანება ვ. როზანოვის „Мальчик 13 лет “ _ («აღმოსავლური მოტივებიდან»).

რა თქმა უნდა, ძნელია ხელაღებით ამტკიცო ზემორე ნათქვამი. ახლა კაციშვილმა არ იცის, რას ფიქრობდა გალაკტიონი, როცა ამ ლექსებს წერდა, მაგრამ ყველაფერი ეს ორმა გარემოებამ მაფიქრებინა.

პირველი: გალაკტიონი სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და, ბუნებრივია, კარგად იცნობდა ღვთისმეტყველებას.

მეორე: 1912 წელს მიხეილ ბოჭორიშვილისადმი გაგზავნილ წერილში პოეტი ამ-ბობს: «...თავში აზრად მომივიდა პოემის «ქრისტე უდაბნოში» დაწერა, ამიტომ თუ სადმე საღვთისმეტყველო წიგნები მაქვს, გატაცებით ვკითხულობ» (ტ. 12, 1975წ. გვ. 546).

ჩანაწერებიდან

ისტორიაში არაფერი ხდება ისეთი, რაც აუცილებელი არ არის. ის, რაც ადამიანს შეიძლება შემთხვევითად მოეჩვენოს, სრულებით არ არის შემთხვევითი ღვთაებრი-ვი კანონზომიერების თვალსაზრისით. ადამიანის ლოგიკით, ადამიანის წვდომის უნარით, უსამართლობაა, გაუგებრობაა, უზნეობაა, როცა, ვთქვათ, ავტოკატასტრო-ფაში იღუპება ახალგაზრდა, საღსალამათი კაცი, მაგრამ სამყაროს არსებობის წამმარ-თველი ძალის თვალთახედვით მართლა უსამართლობაა ეს, გაუგებრობაა, უაზრო-ბაა? არ ვიცით. პასუხი არა გვაქვს. ვიცით მხოლოდ ის, რომ, არსებობა უმკაცრეს წეს-რიგსა და კანონზომიერებას ექვემდებარება. მასში არაფერია მოულოდნელი, არააუ-ცილებელი, შემთხვევითი.

არ უნდა იფიქრო: მე მართალი ვარ და არ დამსჯიან, მე ერთგული ვარ და არ დამ-სჯიან, მე პატიოსანი ვარ და არ დამსჯიან. არავის უნდა ჰქონდეს დაუსჯელობის გა-რანტია. ლოიალობას მნიშვნელობა არა აქვს: რობაქიძე, იაშვილი, გამსახურდია.

ერთგული ფრიდონ ნაროუშვილი, ვალერიან ლუარსაბიძე, კალე ფეოდოსიშვილი და სხვანი ისევე დაისჯებიან, როგორც ორგულად შერაცხული ნიკოლო მიწიშვილი, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი.

მთავარია ის, რომ ხელისუფლების მოქმედების ლოგიკა ვერ უნდა ამოიცნო: თუ ამოიცანი, შეიძლება მონახო გზები, რომლითაც ლოგიკას გაყვები _ ეს არ უნდა მოხ-დეს.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხებამ შიში და უგინცობა გაამეფა. შეუბრა-ლებელი, დაუნდობელი და უმოწყალო იყო ბოლშევიკური ხელისუფლების შურის-ძიება. ქართველი ხალხის ერთი ნაწილი, კლასობრივი ბრძოლის თეორიით გონშერ-ყეული, სპობდა და ანადგურებდა ქართველი ხალხის მეორე ნაწილს, საკუთარ სის-ხლსა და ხორცს. თუ ერთი საქართველო, ძაძებში გახვეული, სისხლის ცრემლებით დასტიროდა დახოცილ-გაჟუჟულებს, მეორე საქართველო ზეიმობდა მუშათა და გლეხთა გამარჯვებასა და თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის დამარცხებას.

* * *

1925 წელს, 24 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ 69 წლის ვასილ ბარნოვმა ნაღლი (ამ სიტყვას ვხმარობ რუსული повесть-ის ბადლად) «არმაზის

მსხვრევა» დაწერა. მოთხრობაში აღწერილი ამბავი მეფე მირიანის დროს ხდება, როცა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის ბრძოლამ მწვერვალს მიაღწია. წარმართობა დამარცხდა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა. ამას ეძღვნება ნაღლიც.

მეფის ასულს ხვარამზეს და ამზაილს, ბაბეგის მთავარქურუმის ვაჟს, უყვართ ერთმანეთი.

რომის კეისრის მიზანია: «შაბურისა და მის მომხრეთა სახელმწიფო აღგვილ იქნეს პირისაგან ქვეყნისა. მხოლოდ ერთი სახელმწიფო მთელ დუნიაზედ _ ბიზანტიისა და ერთი სჯული _ ბიზანტიური!» ეს სუფთა კომუნისტური მოთხოვნაა.

ქართველობა სამად არის გაყოფილი: «ძველ ღმერთ მოსავნი ქართველნი უარს ჰყოფდნენ არმაზსაც, გაცსაც». მაგიური ქურუმი. მათ ციშუბი სწამთ _ ღმერთთა ღმერთი. სხვები: ითრუშანი, გუდანი, ალტერი...

ჯაშუშები: «დარწმუნებული ვარ, რომაელთ დაწვრილებით იციან ეხლა აქაური ამბები: ჯაშუშებზედ უანგაროდ ჰხარჯავენ, ყველგან ქსელი აქვთ გაბმული!».

«ხმალი მოეღერებინა გალაღებულ ბიზანტიას მის (საქართველოს _ ა.ბ.) სულიერ თუ ხორციელ არსებობისათვის» (ბაქარი, მირიანის ძე ფიქრობს)

«თვალსაჩინოდ დასტყობოდათ ესეთი ცვლა ქრისტეს ქადაგთ. აქამდის რომ ფრთხილად იქცეოდნენ და თავის თავს მხოლოდ ძმობისა და ერთობის მახარობლად ჰხადოდნენ, ეხლა ხმა აემაღლებინათ, ცხადად თხოულობდნენ ქართველთაგან ახალი სჯულის აღიარებას. უარჰყავითო ღმერთნი თქვენნი, უნდა დასთმოთო არმაზ ბრწყინვალე».

«ორი სახე ჰქონდა დასავლეთით მოვლენილ ქრისტეს: გარედან რომ სითავმდაბლის ძაძა ემოსა, ქვეშ ბექთარი ჩაეღილნა ქაჯთა ნაკერი. იმის ხის ჯვარში დაშნა იდვა ურჩთ ცეცხლის მდები, მშვიდობის სახე, ბაიას რტო ნიში იყო ხმაჩაწყვეტილთ მორჩილებისა».

ციშუბის მომხრენი მზად უნდა იყვნენ ბრძოლისათვის.

ხალხს არ სჯერა თანასწორობის: «_ ხელზედ რომ ხუთი თითი გაქვს, ისინიც თანასწორნი არ არიან, კაცთა შორის თანასწორობა როგორ დამყარდეს?!»

ამზაილი, არმაზის მეტრფე, ომში იღუპება, ხვარამზე, ქრისტეს ტრფიალი თავს იკლავს, როცა მკვდარ ამზაილს დაინახავს.

ვეზირი ეუბნება შაბურს:

« _ როგორ? შენ გინდა აღადგინო თვითარსებობა მცირე ერების, რომელნი რომმა დაიმონა და გარდაქმნა რომაელებად!»

შაბური:

« _ მხოლოდ დაიმონა! ვერ წაართვა მათ სახე მათი, ვერც სიყვარული თავის მამულის. მათი ღელვა არ სცხრება. ვერც დაწყნარდება: გაიხსენე ამბოხებანი კართაგენში, მისრეთში, პალესტინაში, ჰაისტანში, პონტში და სხვაგან ყველგან...»

იმპერატორი ბრძანებს _ საქართველომ ქრისტეს რჯული აღიაროსო, სხვა ყველა მოისპოს...

«მდაბიო ხალხი და მონები აღტაცებულნი: დაკნინებულთ მფარველობდა სჯული ქრისტესი. იტყოდა ძმობას, თავისუფლებას, ერთობას თუ თანასწორობას. უარჰყოფდა წარჩინებას შთამომავლობით. კაცადკაცადს გაარჩევდა პირად ქმედებით. ჰგმობდა ქონების უსწორობით განაწილებას».

«ინტელიგენცია ისტორიულად ბარომეტრია ეროვნული სულისა: რაც უნდა კლასობრივი იყოს ინტელიგენციის სულისკვეთება, მაინც ისტორიული ფორმა ეროვნული თავისებურებისა ინტელიგენციით გამოისახება; თუ ერი მორალურად დაცემულია, თუ ერში ტრადიცია სუსტობს, ყველაზე ადრე და უფრო ეს ინტელიგენციას დაეტყობა: ეროვნული idee force ინტელიგენციის ნებისყოფით ისაზღვრება, ქართველ ინტელიგენციას არ შეუძლია დაიტრაბახოს დიდი გმირობით და მაღალი ეროვნული მორალით: ჩვენს წარსულს en masse (მთლიანად _ ა.ბ.) არ ახასიათებს ის, რასაც ჰქონდა ადგილი რუსეთში, დაწყებული დეკაბრისტების მოძრაობიდან; მაგრამ თითო-ოროლა გმირი საქართველოში ხშირად იყო; მათ რიცხვს ეკუთვნიან სოლომონ ლეონიძე, პაატა ბატონიშვილი, ფილადელფოს კიკნაძე და სოლომონ დოდაშვილი» (გვ. 31. კ. კაპანელი _ «ქართული სული ესთეტიურ სახეებში», 1926 წ.)

ალექსანდრე ქუთათელი "პირისპირ"
(ჩანაწერებიდან)

1930 წელს (№7) «მნათობში» დაიწყო ბეჭდვა რომანისა «პირისპირ», მაშინ მისი ავტორი 32 წლის იყო, ხოლო დასრულდა «მნათობში» მისი ბეჭდვა 1952 წელს, როცა ალ. ქუთათელი 54 წლის იყო.

ამ რომანში მისი ჩამოყალიბება, როგორც პროზაიკოსისა.

ავტორმა ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეცვალა, ბევრი შეაცვლევინეს... ამ მხრივ იგი საინტერესოა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ერთადერთი რომანია, რომელიც გვიამბობს პერიოდზე, სავსეზე ისტორიული ფაქტებით. გვიამბობს 1917 წლის თებერვლიდან 1921 წლის მარტამდე მომხდარ ამბებს. ამ რომანში იყო მოხსენიებული ის დეპეშა, რომელიც გოგიტა ფაღავამ და ვიáტორ ნოზაძემ გამოგზავნეს პეტერბურგიდან _ «მთავრობაძე გარდაიცვალა». მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, ვინ იყო გოგიტა ფაღავა ან ვიქტორ ნოზაძე. არც რომანში იყო ეს ნათქვამი.

არის თუ არა ნაჩვენები «პირისპირში», რომ რუსეთის საელჩო თბილისში იყო არა დიპლომატიური ორგანიზაცია, არამედ ბუდე, რომელიც ამზადებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

1993 წლის პირველ ივლისს გაზეთმა «სვაბოდნაია გრუზიამ» გამოაქვეყნა დოკუმენტი (გამომქვეყნებელი ივანე შენგელაია), რომელშიც ორჯონიკიძე და კიროვი მიმართავენ ლენინსა და სტალინს წინადადებით: «ჩვენი აზრით, მშვიდობის პირობად საქართველოში უნდა იყოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების აუცილებელი მოთხოვნა. ჩვენი ცნობებით მენშევიკები მზად არიან, დათანხმდნენ, ოღონდ ჯიუტად ივაჭრებენ».

ღრმა კვლევა-ძიება არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ «პირისპირის» პერსონაჟი ფილიმონ ერისთავი არის გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი. გარდა იმისა, რომ გრიგოლ წერეთელივით ფილიმონ ერისთავი უნივერსიტეტში ასწავლის და კლასიკური ფილოლოგიის დოქტორია, ფილიმონ ერისთავიც წარმომავლობით რაჭველი თავადია, ისევე როგორც გრიგოლ წერეთელი, ფილიმონ ერისთავიც გრიგოლ წერეთელივით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგეა. რომანის მიხედვით ფილიმონ ერისთავის ცოლია სოფიო დიმიტრის ასული ტრუბეცკაია, გრიგოლ წერეთლისა სოფიო ივანეს ასული მაქსიმოვა.

(სიმონ ყაუხჩიშვილი _ გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი, 1969წ., თბილისი).

ბრძოლა გრაალისათვის

თუ არ ვცდები, ქართულ მწერლობაში გრაალი პირველად გალაკტიონ ტაბიძემ ახსენა: «მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები». მაგრამ გაცხოველებული ლაპარაკი გრაალის თემაზე ჩვენს მწერლობაში არ ყოფილა. მწირ ცნობებს გრაალზე გრიგოლ ხავთასის წიგნში _ «ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან» (1953წ.) თუ ამოიკითხავდა კაცი. მოგვიანებით შევიტყეთ, რომ გრიგოლ რობაქიძეს მთელი რომანი ჰქონდა დაწერილი «გრაალის მცველნი» («Die Hüter des Grals»), მაგრამ მწერალი უცხოეთში ცხოვრობდა და წიგნზე ხელი დიდხანს არ მიგვიწვდბოდა. 1937 წელს, იენაში, გერმანულად გამოცემულმა ქართულმა რომანმა თბილისში 1967 წელს ჩამოაღწია, როცა უნგრელმა მეცნიერმა მარტინ იშტვანოვიჩმა აჩუქა იგი პოეტსა და მეცნიერს ნია აბესაძეს. ამან გამოიწვია თუ სხვა რამემ, გრაალის თემისადმი ინტერესი ჩვენში თანდათანობით გაიზარდა. ელგუჯა მაღრაძემ ქართულად თარგმნა ტომას მელორის უზარმაზარი რაინდული რომანი «ამბავი მეფე ართურის ზეობისა», რომლის ვრცელი ნაწილი წმიდა გრაალის ამბავს გვიყვება. გამოქვეყნდა მეცნიერთა და ჟურნალისტთა (როლანდ ბურჭულაძე, ვიტალი დარსანია, თინათინ კობალაძე) ცალკეული სტატიები. ითარგმნა და დაიბეჭდა რენე გენონის წერილი «გრაალის სიმბოლიზმი», რომელსაც ზურაბ კიკნაძის კომენტარი ახლავს. კ. მარჯანიშვილის თეატრში გ. რობაქიძის რომანის მიხედვით სპექტაკლი დაიდგა «გრაალის მცველნი» (ტექსტი ქართულად ნაირა გელაშვილმა თარგმნა. წარმოდგენა დავით ანდღულაძემ დადგა). 1989 წლის 16 ივნისს მეც ვესწრებოდი ამ წარმოდგენის პრემიერას. კარგად მახსოვს, როგორ თეატრალურ დღესასწაულად გადაიქცა იგი.

სპექტაკლი რომ დამთავრდა, მაყურებელთა დარბაზი სინათლემ გააჩახჩახა. გამაყრუებელი ტაში გრიალებდა. ხალხი ტიროდა, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდი, ზლუქუნებდა. სტუდენტმა დავით ტურაშვილმა დემოკრატიული საქართველოს (1918-1921 წ.წ.) დროშა ააფრიალა. ვიღაცამ დაიძახა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! დარბაზმა ერთხმად იქუხა: გაუმარჯოს! მსახიობმა მერაბ თაბუკაშვილმა სცენაზე აიყვანა დავით ტურაშვილი დროშით. სტუდენტმა დროშა ოთარ მეღვინეთუხუცესს გადასცა (ოთარი წარმოდგენაში თავად გიორგის როლს ასრულებდა). სცენა და დარბაზი გაერთიანდა. სცენაზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშა ფრიალებდა. დარბაზში პატრიარქი ილია მეორე იდგა. უცბათ რადიოჩანაწერი ჩაირთო და თეატრის თაღებქვეშ აგუგუნდა საგალობელი _ «შენ ხარ ვენახი...» ხალხი გაირინდა, სუნთქვაშეკრული უსმენდა გალობას. გალობა დასასრულს უახლოვდებოდა, რომ სულგაკმენდილ დარბაზში გაისმა ოთარ მეღვინეთუხუცესის ხაფი ხმა: ღმერთო, გაანათლე გრიგოლ რობაქიძის სული!

ხალხმა ერთი ამოსუნთქვით უპასუხა _ ამინ!

დიდი დაგვიანებით, მაგრამ გრაალის თემა უკვე მკვიდრდებოდა ქართულ სახელოვნებო ცხოვრებაში.

გრაალის თემა ევროპულ ლიტერატურაში განსაკუთრებით პოპულარული ჯვაროსანთა ლაშქრობის ეპოქაში ხდება. 1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს. ოცი წლის შემდეგ კი, 1119 წელს ტაძრის რაინდთა, ანუ ტრამპლიერთა ორდენი შეიქმნა. ამ პერიოდს მოჰყვა ორი დიდი ევროპელი პოეტის გამოჩენა სალიტერატურო ასპარეზზე. ერთია ფრანგი კრიტიენ დე ტრუა (დაახლოებით 1150-1190 წ.წ.) და მეორე _ გერმანელი ვოლფრამ ფონ ეშენბახი (დაახლოებით 1170-1220 წ.წ.) სწორედ მათი შემოქმედება უყრის მტკიცე საძირკველს გრაალის თემას. მას მერე ევროპულ ლიტერატურაში გრაალის თემისადმი ინტერესი აღარ განელებულა. პირიქით, იზრდება და იზრდება.

გრაალის თემა უშუალოდ უკავშირდება ბრიტების ლეგენდური მეფის არტურისა და მრგვალი მაგიდის რაინდების ცხოვრება-საქმიანობას. გრაალის რაინდები პარციფალი (სხვანაირად, პერსევალი), ლანსელოტი, გავეინი, გალაჰადი, ბორსი და სხვანი ართურის მრგვალი მაგიდის რაინდებიც არიან. მეფე ართურის გარშემო არსებულ ცნობებში ერთმანეთში აირია და აითქვიფა ისტორია, მითი და ფოლკლორი. იმდენი მასალა დაგროვდა, რომ ევროპულ მედიევისტიკაში საგანგებო დარგი შეიქმნა _ ართუროლოგია. მე-12 საუკუნის ინგლისელი მემატიანე გალფრიდ მონმუტი «ბრიტების ისტორიაში» უმთავრეს ადგილს მეფე ართურს უთმობს, ხოლო მეორე მემატიანე გირალდ კამბრეი (დაახლოებით 1146-1220 წ.წ.) იმასაც კი გვიამბობს _ როგორ დაესწრო თავად მეფე ართურის საფლავის გახსნას გლასტონბერის სააბატოში. როგორ იხილა მეფის ფარი და ჯვარი. მე-10 საუკუნის «კამბრიის ანალებში» კი ისიც არის ნათქვამი, რომ ართური მოკლეს 537 წელს კამლანთან ბრძოლაში. და მაინც ზოგიერთი დღევანდელი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ართური არ არის ისტორიული პირი. იგი ლეგენდის პერსონაჟია.

ლეგენდა ამა თუ იმ ადამიანის ისტორიულად არსებობას ხელს არ უშლის. ლეგენდის პერსონაჟი შეიძლება ისტორიული პირიც გახდეს. ამის უტყუარი მაგალითია ჩვენი თამარ-მეფე. თამარის გარშემოც უამრავი თქმულება და გადმოცემა

არსებობს. ჩვენს ფოლკლორში იგი გაზღაპრებულია, მაგრამ არავის ეპარება ეჭვი, რომ იგი რეალურად არსებული ისტორიული პირი იყო. ალბათ, ასე დაემართა ბრიტების მეფე ართურსაც. ბრიტების ისტორიაში მისი განსაკუთრებული როლის გამო რეალური ხელმწიფე ლეგენდად იქცა.

ჩვენ კი ლეგენდისა და მითის ართური უფრო გვენიაზება, ვიდრე ისტორიისა. თანამედროვე რუსი ისტორიკოსი ა. მიხაილოვი წერს, რომ ლეგენდის ართურის სამეფოს არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული. იგი თითქოს მარადიულად არსებობს. მას არც გეოგრაფიული საზღვრები აქვს. ეს არის ბრიტანეთის სამეფო. იგი ერთიანი ქრისტიანული სამყაროა, სადაც რაინდები იესო ნაზარეველის იდეალების გამარჯვებისათვის იბრძვიან. იგი უტოპიაა, რომელშიც უნდა განხორციელდეს კაცობრიობის უკეთესი ოცნება.

ფრიდრიხ შლეგელი (1772-1829 წ.წ.) მეფე ართურის მრგვალ მაგიდას უკავშირებს იმ მაგიდას, საიდუმლო სერობის ღამეს ქრისტე და მისი მოწაფეები რომ უსხდნენ.

გერმანელი პოეტი და ფილოსოფოსი გვიამბობს: ერთხელ მერლინი მივიდაო მეფე უტერპენდრაგონთან და უთხრა (უტერპენდრაგონი მეფე ართურის მამაა, მერლინი კი ბრიტანული თქმულებების პროტაგონისტი, ჯადოქარი და გრძნეული) _ როცა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ჯვარს აცვეს, პალესტინაში ცხოვრობდა ღვთისმოსავი რაინდი იოსებ არიმათიელი. იგი პილატე პონტოელის სამსახურში იდგა, მაგრამ ფარულად ქრისტეს მოძღვრების მიმდევარი იყო. იოსებ არიმათბელმა გამოისყიდა პილატესაგან ქრისტეს ცხედარი და დაკრძალა იგი. იესოს ერთგულებისა და სიყვარულისათვის ებრაელებს სძულდათ იოსები. სდევნიდნენ მას და უთვალავი ტკივილი მიაყენეს. ქრისტეს აღდგომის შემდგომ იოსებ არიმათიელი, მისი ოჯახის წევრების, მეზობლების, ნაცნობ-მეგობრების უმრავლესობა უდაბნოში წავიდა. ძალიან გაუჭირდათ იქ. ბევრი ტანჯვა-ვაება გადაიტანეს. ზოგიერთი შიმშილითაც კი მოკვდა. ხალხში დრტვინვა დაიწყო. იყვნენ ისეთებიც, იოსების მოკვლას რომ აპირებდნენ. რაინდი ხედავდა ხალხის ტანჯვას და დიდად წუხდა. ერთ დღეს იგი გულმხურვალედ ევედრა უფალს, ეხსნა ხალხი განსაცდელისაგან. მაშინ უფალმა უბრძანა იოსებ არიმათიელს: გააკეთე ზუსტად ისეთი მაგიდა, როგორიც იყო ის, რომელზეც საიდუმლო სერობის ღამეს მოციქულები ტრაპეზობდნენ. გადააფარე თეთრი სუფრა. გააწყე ნუგბარი საზრდელით, დადგი მაგიდაზე ოქროს თასი. ამ თასს მე თვითონ გამოგიგზავნი. ამ ჭურჭელს თვალის ჩინივით გაუფრთხილდი და მოუარე.

აასრულა იოსებ არიმათიელმა უფლის განკარგულება. გააკეთა ყველაფერი, რაც დაავალეს.

ამ ამბის თხრობა რომ დაასრულა, მერლინმა უტერპენდრაგონს მიმართა: ხელმწიფევ, ახლა შენ მესამედ უნდა გააკეთო ასეთი მაგიდა და ღმრთის მადლი დაიმსახუროო.

უტერპენდრაგონს მოეწონა მერლინის რჩევა, ოღონდ ჯადოქარს უბრძანა: ამას მარტო მე ვერ შევძლებ. ჩემი სახელითა და დახმარებით უმეთაურე ამ საქმეს. წმ. სამების დღესასწაულზე სტუმრებს საქმის კეთილად გასრულება ვახაროთო.

რაც გადაწყვიტეს, გააკეთეს კიდეც. წმ. სამების დღესასწაულისათვის მრგვალი მაგიდა მზად იყო. მეფემ სამეფოს რჩეული რაინდები და სეფე ქალები მოიწვია. დიდი ზეიმობა გაიმართა.

ეს მაგიდა მემკვიდრეობით გადაეცა უტერპენდრაგონის ძეს მეფე ართურს. მის გარშემო იკრიბებიან მეფე ართურის რაინდები.

სხვა თქმულებაც არსებობს, რომელსაც ბენედიქტელი ბერი უილიამ მალმსბერი (1090-1143 წ.წ.) გვატყობინებს.

იერუსალიმის პირველ ეპისკოპოს ფილიპეს უბრძანებია იოსებ არიმათიელისათვის ბრიტანეთში გამგზავრებულიყო. იოსები ბრიტანეთში ჩასულა. თავად პირადად ჩაუტანია მრგვალი მაგიდაც, თასიც ზიარებისათვის და ის შუბიც, რომელიც რომაელმა ლეგიონერმა ლონგიუსმა მაცხოვარს ფერდში ჰკრა. იოსებ არიმათიელს, ბრიტანეთში, იმ ადგილას, სადაც მერე გლასტონბერის მონასტერი იყო, პაწია ეკლესია აუშენებია. ქრისტიანობის გავრცელებისათვის საძირკველი ჩაუყრია.

სულ სხვას ამბობს ტომას მელორი (1408-1471 წ.წ.): «მრგვალი მაგიდა შექმნა მერლინმა ნიშნად იმისა, რომ მსოფლიოც მრგვალია. მრგვალი მაგიდის მნიშვნელობა ყველამ ასე უნდა გაიგოს, რადგან მთელი კაცობრიობა, საქრისტიანო თუ სამუსლიმანო, მრგვალ მაგიდას ესწრაფვის...»

ასე, რომ მრგვალ მაგიდაზე ნაირნაირი თქმულება და შეხედულება არსებობს.

მეფე ართურის რაინდებიდან მხოლოდ უვაჟკაცესნი, უკეთილშობილესნი, უწმინდესნი და უსპეტაკესნი ეძებენ და იცავენ გრაალს. ზოგიერთი მწერალი მათ რაოდენობასაც მიუთითებს _ ორმოცდაათნი იყვნენო. მაგრამ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ყველას ისე ხშირად არ ახსენებენ, როგორც, ვთქვათ, პარციფალს, ლანსელოტს, გალაჰოდს, ლოენგრინს და კიდევ ზოგიერთ სხვას. ჩანს, მათ შორისაც იყვნენ კიდევ უფრო მეტად გამორჩეულნი.

თავად სიტყვა გრაალის მნიშვნელობა დღემდე გაურკვეველია, თუმცა მისი ეტიმოლოგიური გაშიფრვის ბევრი ცდა ყოფილა. ეს სიტყვა იმთავითვე ბუნდოვანი იყოო, _ გვარწმუნებს ფილოლოგი ფრანც კამპერსი (1866-1929 წ.წ.). ერთი კია, გრაალს ორი სახე აქვს. ერთი კრეტიენ დე ტრუასაგან მომდინარეობს, მეორე _ ვოლფრამ ფონ ეშენბახისაგან.

ფრანგი პოეტის მიხედვით გრაალი ოქროს თასია, კეთილშობილი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი. მასში იოსებ არიმათიელმა ქრისტეს სისხლი დააგროვა. კრეტიენ დე ტრუას ტრადიციის გამგრძელებლებს მაცხოვრის სისხლის დაგროვება ორგვარად აქვთ წარმოდგენილი. ერთნი ამბობენ, რომ იოსებმა იესოს სისხლიანი კვართი გაწურა და ეს სისხლია თასში დაგროვებული. მეორენი კი ვარაუდობენ, რომ თასში ის სისხლია ჩასხმული, რომელიც ფერდიდან გადმოუვიდა ქრისტეს, როცა რომაელმა ლეგიონერმა მას შუბი ჰკრა (უფრო მეტიც: არიან მწერლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ გრაალი მარტო თასი კი არ არის, არამედ ყველაფერი ერთად _ თასიც, შუბიც და საიდუმლო სერობის მრგვალი მაგიდაც).

მოგვიანებით ქრისტეს სისხლით სავსე თასი იმ თასთან დაკავშირდა, რომელიც საიდუმლო სერობის დროს ეჭირა მაცხოვარს ხელში. გრაალით დაინტერესებული მკვლევარები და მწერლები უფრო შორსაც წავიდნენ. მაგალითად, პოეტი იოჰან იოზეფ გ¡ორესი (1776-1848 წ.წ.) თვლის, რომ გრაალში ჩაქსოვილია უძველესი იდეა ქუ-

რუმთა საიდუმლო სიბრძნისა. იგი პარალელს ავლებს ჰერკულესის და ჰერმეს-მეგ-ვიპტელის თასებთან, იმ თასებთანაც, ბაკხუსის მისტერიების დროს რომ იყენებ-დნენ. არც სპარსეთის ლეგენდურ მეფის ჯემშიდის თასი ავიწყდება. გ¡ორესი ინდო-ეთშიაც გადადის და იქაურ თქმულებებშიაც ბევრ მსგავსებას პოულობს. მსგავსების ძიება უსაფუძვლო არ არის. მკვლევარები მრავალგვარი დამთხვევის მოწმენი ხდე-ბიან. მაგალითად, სპარსეთის ლეგენდური მეფის ჯემშიდის თასში ჩასხმულ სით-ხეს სიბრძნისა და უკვდავების მინიჭების ძალა აქვს. მარადიული ახალგაზრდობის შენარჩუნებაც შეუძლია. ეს თვისებები გრაალსაც აქვს. ჯემშიდი კი, გადმოცემის მი-ხედვით, 800 წლით ადრე ცხოვრობდა ქრისტეზე. პერსეპოლისიც ჯემშიდის აშენე-ბულია. სპარსელებსაც მან ასწავლა მეცნიერება, ხელოვნება, მიწის დამუშავება, ზღვის წიაღში განძის ძებნა. მანვე დაუწერა ხალხს კანონები.

ქართველი მკითხველის ყურადღებას, ალბათ, ისიც მიიპყრობს, რომ ჰერკულესს თასი მზის ღმერთმა ჰელიოსმა აჩუქა. ჰელიოსი კი კოლხეთის მითოლოგიური მე-ფის აიეტის მამა იყო.

ასე ეჯაჭვებიან ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა ხალხის თქმულე-ბანი და ერთ მთლიან საკაცობრიო ოცნებას ქმნიან.

ვოლფრამ ფონ ეშენბახის გრაალი სხვანაირია. იგი თვლის, რომ გრაალი ძვირფასი ქვაა, კეთილშობილი თვალია, რომელიც იოსებ არიმათიელმა ქრისტეს იმ სისხლით გაჟღენთა, რომაელი ლეგიონერის შუბიდან რომ მოწვეთავდა (საერთოდ ამ შუბს შეუწყვეტლივ, მარადიულად სდის სისხლი). იგი სამოთხიდან წარმომავლობს. ყო-ველ წელს, ვნების პარასკევს, მოაქვს იგი ზეციურ თეთრ მტრედს. მტრედი ქვას ობ-ლატში ახვევს და არავის აქვს მისი ხილვის ძალა, უნარი და უფლება. მის თვალის-მომჭრელ შორეულ ნათებას შეიძლება თვალი მოჰკრას მხოლოდ უბიწო, უმანკო რა-ინდმა, ვისაც არავითარი ცოდვა არ ჩაუდენია. ვინც მხოლოდ კეთილის დამკვიდრე-ბისათვის იბრძოდა და იღვწოდა.

სხვადასხვაგვარად უყურებენ ვოლფრამ ფონ ეშენბახის გრაალის ქვის წარმომავ-ლობას თანამედროვე გერმანელი ჟურნალისტი ჰელმუტ ბერნდტი და მწერალი ტან-კრედ დორსტი.

იერუსალიმში, უფლის საფლავზე აგებულ ტაძარში დიდი კირქვის კლდეა. ჰელ-მუტ ბერნდტის ვარაუდით, ვოლფრამ ფონ ეშენბახის გრაალის ქვა სწორედ ის ქვაა, უფლის საფლავზე აგებულ ტაძარში კირქვის კლდეს რომ მოამტვრიეს ჯვაროსანმა რაინდებმა და ევროპაში ჩამოიტანეს.

ტანკრედ დორსტს კი მიაჩნია, რომ გრაალის ქვა უნდა იყოს ის კეთილშობილი თვალი, ლუციფერის გვირგვინს რომ მოძვრა, როცა დაცემული ანგელოსი, მისი ამპარტავნობის გამო, ზესკნელიდან ქვესკნელში გადაისროლეს და მიწას დაენარცხა.

ასე ნაირნაირია გრაალზე შეხედულებანი. თუმცა ერთ საკითხში ყველა ერთსულოვანია. გრაალი გამოხატავს კაცობრიობის განუხორციელებელ ოცნებას. მის მისწრაფებას განახლების, აღორძინების, მშვენიერების, მარადიული ახალგაზ-რდობისა და კეთილისაკენ.

ფრანგი დიპლომატი და მწერალი გობინო (1816-1882 წ.წ.) ამბობდა: გრაალი არის კეთილშობილი ადამიანების რწმენა. იგი არის მუზარადი და მახვილი. იგი არის ხიბლი, რომელიც ზეპურ გულებს დაუღალავად აცოცხლებს. იგი არის ყველა აუხ-

დენელი სურვილის თავმოყრა. მისთვის გრაალი ღირსებაც არის, სიყვარულიც და თავისუფლებაც.

მე ვეძებ ქრისტეს, რომ მასში სიკვდილი ვჰპოვოო, _ ამბობს გერმანელი ფილოსოფოსისა და პოეტის ფრიდრიხ ლინჰარდის (1865-1929 წ.წ.) მიერ დახატული მწირი. ამაზე რაინდი პარსიფალი უპასუხებს მწირს _ მეც ვეძებ ქრისტეს, რომ მასში გამარჯვება ვიხილოო და გრაალის საძებნელად მიეშურება.

გერჰარტ ჰაუპტმანის (1862-1946 წ.წ.) წარმოდგენით, გრაალის სამეფოში ისეთივე ჰარმონია სუფევს, როგორიც, «ვეფხისტყაოსნის» სიტყვებით თუ ვიტყვით, ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის საბრძანებელში დამკვიდრდა.

ყოველთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან ძოვდეს.

მოკლედ ასეთია გრაალის ამბავი. ვისაც უფრო ვრცლად სურს მისი გაცნობა, ბევრი რამ სანიაზო შეუძლია ამოიკითხოს 1989 წელს მიუნხენში გამოცემულ წიგნში «Das Buch vom Gral»

გრაალის სულ სხვა ვარიანტს ქმნის გრიგოლ რობაქიძე. ქართველი მწერლის გრაალი არც კრეტიენ დე ტრუას გრაალს ჰგავს და არც ვოლფრამ ფონ ეშენბახისას.

«გრაალის მცველის» პროტაგონისტი ლევან ორბელი კითხულობს ლექსს, რომელიც ახალ გრაალს გვიხატავს.

უფსკრულის პირას დგანან უკანასკნელი რაინდები. მტრის მორჩილებას სიკვდილს ამჯობინებენ. ისინი ატარებენ რელიქვიას _ წმინდა ნინოს ჯვარს, ვაზისაგან გამოჭრილს და მისი თმით შეკრულს. ეს იყო, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს, გადაშვებულიყვნენ წკვარამში, რომ პაწია, მტირალი გოგო შემთხვევით შეეხო ჯვარს. დაინახეს: გამხმარი ხე აყვავდა. ოქროსფერი მწიფე მტევნები მოისხა. აქამდე სასოწარკვეთილი რაინდები ზეადამიანური ძალით აღივსნენ, უძლეველნი გახდნენ.

რაინდებმა ჯადოსნური მტევნები დაწურეს. წვენი თასში დააგროვეს ისე, როგორც იოსებ არიმათიელმა დააგროვა გოლგოთაზე დაღვრილი სისხლი მაცხოვრისა. მათ თასი ფარულად შეინახეს. იცავდნენ ვითარცა სიწმინდეს. თასის გარშემო, წმ. გრაალის მსგავსად, ჩამოყალიბდა საიდუმლო ორდენი. საუკუნეების მანძილზე თასი გადაეცემა მცველიდან მცველს. თასში დევს გული _ საქართველოს მზე. გრაალის გუშაგები დარაჯობენ იდუმალ მიწას.

ვერც წმ. გრაალის რაინდებს შეხვდებით გრიგოლ რობაქიძის რომანში. არც ამფორიტასი, არც ბორსი, არც გავეინი, არც გალაჰადი, არც ლანსელოტი, არც პარციფალი და არც სხვა ვინმე კარგად ცნობილი რაინდებიდან არ ჩანან «გრაალის მცველნში». აქ სულ სხვა პერსონაჟები მოქმედებენ _ ლევან ორბელი, ოდილიანი, ავალა, მამია ოდიშელი, მზისავარ, დათა, კოსტა, ჰიდდირ, საღარა, მარჯანი, უშანგ, ხორავ, ვასსა, ვანო, ს.ო., შავდია, ლეგი... ვინ არიან ესენი? კალისტრატე სალია იძლევა განმარტებას, რომელი პერსონაჟი რომელ რეალურ ისტორიულ პირს გულისხმობდა.

«გრაალის მცველნის» მოქმედნი პირნი არიან ნამდვილნი და არა გამოგონილნი. გრიგოლს სურდა მათი ვინაობის გახსნა ერთერთ ნომერში ჩვენი ჟურნალისა სათანადო წერილის დართვით. მას ეს არ დასცალდა. ჩვენ ვასრულებთ მის სურვილს» (ჟურ. «ბედი ქართლისა», პარიზი, 1964წ., №47, გვ. 5).

ოდილიანი _ პაოლო იაშვილი,
ავალა _ ტიციან ტაბიძე,
მამია ოდიშელი _ შალვა დადიანი,
მზისავარ _ აპოლონ წულაძე,
დათა და კოსტა _ ძმები ვლადიმერ და გრიგოლ ჯაფარიძეები,
ჰიდდირ _ მამედ ბეგ აბაშიძე,
საღარა _ მფრინავი საღარაძე,
მარჯანი _ კოტე მარჯანიშვილი,
უშანგ _ უშანგი ჩხეიძე,
ხორავ _ აკაკი ხორავა,
ვასსა _ აკაკი ვასაძე,
ვანო _ იაკობ ნიკოლაძე,
ს.ო. _ სერგო ორჯონიკიძე,
შავდია _ ლავრენტი ბერია,
ლეგა _ ლევან ღოღობერიძე.

კ. სალიას წერილში მითითებული არ არის, ლევან ორბელში და თავად გიორგიში ვის გულისხმობს მწერალი. მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლევან ორბელი თვით გ. რობაქიძეა. ამას ბევრი ნიშანი ადასტურებს რომანში. თავად გიორგის პროტოტიპი კი უცნობი რჩება.

გრაალს იცავენ თავადი გიორგი (თასი მის სახლში ინახება), ლევან ორბელი, ოდილიანი, ავალა, მამია ოდიშელი, მზისავარ, ჰიდდირ, საღარა და სხვანი. თასის მტრები არიან ს.ო., შავდია, და რუსი ჩეკისტი ველსკი (მისი პროტოტიპიც დაუდგენელია).

თუ ევროპულ ლიტერატურაში გრაალის გუშაგები რაინდები არიან, გ. რობაქიძის რომანში მას იცავენ მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები. სულ თავდაპირველად გრაალს დარაჯობდნენო, _ ამბობს პოეტი და მეცნიერი კარლ ზიმროკი (1802-1878 წ.წ.), _ ის ანგელოსები, რომელნიც ნეიტრალურნი დარჩნენ ღმერთისა და ლუციფერის ბრძოლაში.

ანგელოსები _ რაინდები _ მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები. ასეთი ცვლილება გ. რობაქიძესთან შემთხვევითი არ არის. იგი თვლის, რომ როგორც პიროვნების, ისე მთელი ერის გადარჩენისათვის აუცილებელია სულის მოვლა-პატრონობა. მისი შეუბღალავი შენახვა. თავადი გიორგი, ვის ოჯახშიაც გრაალი ინახება, მხოლოდ სოციალურად კი არ არის არისტოკრატი, არამედ სულითაც. მისი ძალა ის არის, რომ იგი არასოდეს ტყდება სულით. ჩეკისტი ველსკიც გაშმაგებული იმიტომ დაეძებს გრაალს, რომ მისი განადგურებით ქართველი ხალხის სულიერი გატეხვა უნდა, სულიერი დაბეჩავება სურს.

ველსკი უბრალო ჩეკისტი არ არის, ვისაც ადამიანთა დატუსაღება და ციხეში ჩაყრა ემარჯვება. იგი გაქნილი გაიძვერაა, სხარტი გონების პატრონი, ნაკითხი და გა-

ნათლებული. ზედმიწევნით ზუსტად იცის, რას აკეთებს და რატომ. თავის ქმედებას ყოველთვის ასაბუთებს მზაკვრულად მოფიქრებული არგუმენტებით.

რომანის ორი პერსონაჟი (ლევან ორბელი და ველსკი) რომანის ორი იდეის _ გრაალის დაცვისა და გრაალის ნგრევის პერსონიფიკაციაა. თუ ლევან ორბელის აზრით, გრაალით გამოხატული იდეის დაცვა პიროვნებისა და ერის გადარჩენას ნიშნავს, ველსკის რწმენით, გრაალის დანგრევა აუცილებელია პიროვნებისა და ერის დასამორჩილებლად. თუმცა ამ მორჩილება-დათრგუნვას იგი აბსოლუტური თავისუფლების სახელით ნათლავს. ველსკის შეხედულება ნათლად ვლინდება იმ საუბარში, რომელიც მიმდინარეობს მატარებლით მგზავრობის დროს. ველსკი გულახდილად გამოთქვამს მას ჯერ უცნობ თანამგზავრთან და შემდეგ ლევან ორბელთან მასლაათში.

ჩვენ (ე.ი. ბოლშევიკ-კომუნისტებს) გვინდა კაცობრიობას ტოტალური თავისუფლება მოვუტანოთო, _ ეუბნება იგი ახალგაზრდა თანამგზავრს. ამისათვის აუცილებელია ადამიანის რწმენიდან ღმერთის გაძევება, რადგან სადაც ღმერთია, იქ თავისუფლებისათვის ადგილი არ არის. ღმერთის რწმენა უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს. უსიტყვო მორჩილება კი მონობაა. თუ მონა ხარ, რა მნიშვნელობა აქვს იმას, ვისი მონა იქნები _ ღმერთისა და ადამიანის? ამიტომ ადამიანი ღმერთისაგან უნდა განთავისუფლდეს. მართალია, თქმულების მიხედვით, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ღმერთების წინააღმდეგ მებრძოლი პრომეთე მიაჯაჭვეს, მაგრამ ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე ძნელი საქართველოშია. აქ ყველაფერი საიდუმლოებით არის მოცული. საიდუმლოება კი ღმერთის თავშესაფარია. საჭიროა იდუმალების ფარდის ჩამოხსნა, გაშიშვლება. როცა ადამიანი დაინახავს, რომ საიდუმლოებაში არაფერი იმალება, რომ იქ სიცარიელეა, ადვილი იქნება მისი გულიდან ღმერთის ამოძირკვა. საიდუმლოება აუძლურებს ადამიანის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

შემდეგ ველსკი თანამოსაუბრეს უყვება:

როცა ნაპოლეონი იტალიაში ლაშქრობდაო, ფრანგებმა გენუა დაიკავეს. ისინი სან ლორენცოს ტაძარში შევიდნენ. ტაძრის ერთ სენაკში უბრალო ტყავის შალითა იპოვნეს. მასში იდო ოქროსქსოვილში შეხვეული ლურჯი, მბრწყინავი, საფირონის შვიდკუთხიანი თასი. თქმულებისდა მიხედვით, იგი იყო ჩამოტანილი ანტიოქიიდან ჯვაროსანთა მიერ. თასი სან ლორენცოს ტაძარში ინახებოდა და წმ. გრაალად ითვლებოდა. წელიწადში ერთხელ მორწმუნეები მთელი იტალიიდან და მეზობელი ქვეყნებიდან სან ლორენცოს ტაძარში იკრიბებოდნენ წმ. გრაალის სანახავად.

ნაპოლეონმა თასი პარიზში გაგზავნა, რომ დაედგინათ მისი მიწიერი ღირებულება.

იმავდროულად, როცა ეს ამბავი გენუაში ხდებოდაო, _ აგრძელებს თხრობას ველსკი, _ ფრანგების ჯარი ესპანეთში, ბარსელონას ახლოს, მონტსერატის ციცაბო მთასთან დაბანაკდა. ამ მთაზე ციხე-დარბაზი იდგა. მასაც ის სახელი ერქვა, რაც მთას. თქმულება ციხე-დარბაზს ლოენგრინსა და სხვა რაინდებს უკავშირებს. როცა ფრანგების ჯარი მთაზე აიჭრა, პირწმინდად დაანგრია ბენედიქტელთა მონასტერი. მონასტერში იყო ქრისტეს სასწაულმოქმედი ხატი. გადმოცემის თანახმად, მოციქულმა ლუკამ პირადად გამოჭრა იგი ხისაგან. ეს ხატიც დაიღუპა. იმ წუთს, რა წუთშიაც ბენედიქტიელთა მონასტერი ნაცარტუტად აქციეს, პარიზში გაიბზარა სან ლორენცოს

ტაძრიდან ჩატანილი თასი. მე მაინტერესებსო, _ დასძენს ველსკი, _ დაინახა თუ არა ნაპოლეონმა კავშირი, რომელიც ამ ორ მოვლენას შორის არსებობდაო.

მაგრამ ეს არ არის მთავარი. ამ გრძელ ამბავს ველსკი სხვა დასკვნისათვის ყვება: იგი, ვინც ვაშინერს არღვევს და უშიშარი რჩება, უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მკრეხელი.

შეშფოთებული უსმენს ამ საუბარს ლევან ორბელი. მისთვის გასაგებია, რა მიზნით დაეძებს გრაალს ველსკი. რისთვისაც სურს მისი განადგურება. მას უნდა, ქართველ ხალხს რწმენა წაართვას. თავად კი უფრო მეტი იყოს, ვიდრე უბრალო ათეისტი. ლევანი საუბარში ერევა. იგი ჯერ შეცდომებს უსწორებს ველსკის, თასი ანტიოქიიდან კი არ ჩამოიტანესო, არამედ კესარეადან, სადაც ჰეროდეს ძველ ტაძარში ინახებოდა. ეს ტაძარი არაბებს მეჩეთად ჰქონდათ გადაკეთებული. თასი საფირონისა კი არა, სმარაგდისა იყოო. არც შვიდკუთხა ყოფილა, ექვსკუთხედი გახლდათო. ციხე-დარბაზსაც მონტსალვაჩი ერქვაო და არა მონტსერრატი. მაგრამ ყველაფერი ეს წვრილმანია. ასეთი შეცდომების გასწორებით ლევანი კამათში ვერ დაჩაგრავს ველსკის. ჩეკისტის შეხედულებას ლევანმა უფრო მძაფრი აზრი უნდა დაუპირისპიროს. ლევან ორბელის რწმენით _ ნამდვილი და მართალი ძალა იმას აქვს, ვისაც სიწმინდის დაცვა შეუძლია. გრაალის მცველი ისეთივე ძლიერია, როგორც გრაალის დამანგრეველი. პარციფალი ბევრჯერ უფრო ღონიერია, ვიდრე რომელიმე მკრეხელი, თუნდაც იგი ნაპოლეონი იყოს.

შეხედულებათა ეს დაპირისპირება მარტო თეორიულ ხასიათისა არ არის. ცოტა მოგვიანებით, მფრინავ საღარას პირით, ლევან ორბელი შეიტყობს, რომ მზადდება 1924 წლის აგვისტოს აჯანყება. მოახლოებული ამბოხებით აღტაცებული საღარა ლევანს უყვება: ანტიბოლშევიკურ აჯანყებას საქართველოში მოჰყვება სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის აჯანყებანიც. ევროპა დახმარებას გაგვიწევს. ერთ კვირაში მთელ კავკასიაში დაემხობა რუსეთის ბატონობა. უსმენს ლევანი ახალგაზრდა კაცის მღელვარე სიტყვებს. სასოწარკვეთილმა არ იცის, რა ქნას. აჯანყებას ვერაფერი შეაჩერებს. მოხდება უაზრო სისხლისღვრა. ქართველთა აჯანყებას არავითარი გამოძახილი არ მოჰყვება არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში, არც ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსი ბოლშევიკები თვალისდახამხამებაში მოაწყობენ ამბოხების ლოკალიზებას. სისხლში ჩაახრჩობენ საქართველოს. ევროპა თითსაც არ გაანძრევს ჩვენი ქვეყნის დასახმარებლად.

შეშლილობად, გონებასუსტობად მიაჩნია ლევან ორბელს დაგეგმილი აჯანყება. მით უფრო სავალალოა მდგომარეობა იმით, რომ ამბოხებას ხელმძღვანელობს პარიტეტული კომიტეტი. ამ პარტიებმა ხომ პარტიული კინკლაობის მეტი არაფერი იციან. როგორ უმეთაურებენ ისინი ბრძოლის ველზე ხალხს _ აჯანყება წინასწარ განწირულია. მისი დამარცხება გარდაუვალია. საჭიროა გრაალის, ანუ რწმენა-იმედის გადარჩენა.

ველსკიმაც იცის _ აჯანყებას იოლად მოუღებენ ბოლოს, მაგრამ ქართველთა ეს დამარცხება არაფერს ნიშნავს, თუ გადარჩა გრაალი, ანუ რწმენა-იმედი.

იწყება ბრძოლა გრაალისათვის.

მართალია, აჯანყებული ქართველები მარცხდებიან, ზოგს ხოცავენ, ზოგს იჭერენ, ზოგი უცხოეთში გარბის, მაგრამ ბოლშევიკებმა უმთავრესი ვერ შესძლეს _ ველსკიმ, ქართველმა და რუსმა ჩეკისტებმა გრაალის განადგურება ვერ მოახერხეს.

ლევან ორბელი და მისი ამხანაგები იმარჯვებენ. გრაალი გადარჩენილია.

გრიგოლ რობაქიძის რომანის ალეგორიული შინაარსის ამოკითხვა ძნელი არ არის. ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალხმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა და იმედი, ანუ დაიცვას გრაალი. ამით გაუმკლავდება იგი მტერს, შინაური იქნება თუ გარეშე. მწერლობის ამოცანა კი არის, დაეხმაროს ხალხს გრაალის დაცვაში. მართლაც, ქართული მწერლობის ისტორია 1921 წლიდან ერთი მხრივ არის ბრძოლა გრაალის დაცვისათვის და მეორე მხრივ ბრძოლა გრაალის დანგრევისათვის.

ამით შეიძლებოდა საუბრის დამთავრება, რომ ერთი საკითხი არ გვაფიქრებდეს.

თავად გიორგის რძალი, შვედი ქალი ნორინა, პარიზში, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორ მონაწილეს _ ყანსავსა და ბასილას უყვება, ვის რა ბედი ეწია ამბოხების დამარცხების მერე, მათ შორის საღარასაც.

თბილისთან ახლოს თვითმფრინავი ჩამოვარდა და დაიწვა. სამი დიდი ხელისუფალი დაიღუპა. ამ თვითმფრინავით სოხუმს უნდა გამგზავრებულიყო ს.ო.-ც (როგორც იცით, ეს სერგო ორჯონიკიძეა). მაგრამ იგი წინათგრძნობამ იხსნა. თხუთმეტი წუთით ადრე უარი თქვა გაფრენაზე. თვითმფრინავს საღარა პილოტობდა. ისიც დაიღუპა. კატასტროფის მიზეზების გამომკვლევმა კომისიამ ზუსტად დაადგინა: თვითმფრინავი სრულ წესრიგში იყო. ხომ არ იძია შური საღარამ? _ კითხვას სვამს ნორინა.

ეს კითხვა მართლაც დამაფიქრებელია.

ფაქტია: 1925 წლის 22 მარტს თბილისთან კატასტროფა განიცადა სოხუმს მიმავალმა «იუნკერსის» ტიპის თვითმფრინავმა. კატასტროფის მსხვერპლნი გახდნენ მამალი ბოლშევიკები _ ათარბეგოვი, მიასნიკოვი და ბოგილევსკი (ისინი დაკრძალულნი არიან რუსთაველის გამზირზე, სამხატვრო გალერეის წინ. ამჟამად მემორიალური დაფა მოხსნილია), მფრინავები ქართველი ამბაკო საღარაძე და გერმანელი შპილი.

იმ კომისიის დასკვნაში, რომელმაც კატასტროფის მიზეზები გამოიკვლია, წერია: «ჰაეროპლანს არ წაკიდებია ცეცხლი მოტორის და მისი ნაწილების მოუწყობლობის გამო. მუშაობის მთელი სისტემა აღმოჩნდა კარგ მდგომარეობაში. ამის მიხედვით შეიძლება დასკვნა, რომ შეხლა-შემოხლა არ მომხდარა ავარიის დროს მმართველი ნაწილის გაფუჭების გამო. არ არის შემჩნეული აგრეთვე არავითარი ნაკლი ბენზინის სადენებში და იმ ადგილებში, სადაც ისინი უერთდებიან ბლოკებს.»

კომისიის დასკვნა:

1) ჰაეროპლანის ცეცხლის წაკიდება მოხდა არა მოტორისაგან და არც დაზიანებისაგან ანდა მმართველი ორგანოების ნაკლულევანებისაგან.
2) ვარაუდით, ცეცხლი თვითმფრინავში გაჩნდა სამგზავრო კაბინის შიგნით, საიდანაც ცეცხლი შესაძლებელია, მოხვედროდა 18 ლიტრიან რეზერვუარს, რომელიც აწვდის ბენზინს კარბიურატორში (გაზ. «კომუნისტი», 1925წ. 24 III).

ნორინა მართალი უნდა იყოს. ეს დასკვნა მართლაც გვაფიქრებინებს, რომ თვითმფრინავი დაიღუპა ტერორისტული აქტის შედეგად. იმასაც თუ მივაქცევთ ყურად-

ღებას, რაც ამბაკო საღარაძის ნეკროლოგშია ხაზგასმული, მაშინ თვითმფრინავის თავგანწირვის აზრი გაგვიმტკიცდება: «უკანასკნელი გაფრენის დროს იგი განსაკუთრებული მხურვალე გრძნობით ემშვიდობებოდა თავის ნათესავებს» (გაზ. «კომუნისტი», 1925წ., 24 მარტი).

მართალია, კომუნისტური პრესა იგლოვს მუშისა და მუშის შვილის ამბაკო საღარაძის დაღუპვას, მაგრამ როგორც ჩანს, მას სამშობლო უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე კომპარტია.

მიუხედავად ასაკში განსხვავებისა (როცა მფრინავი დაიღუპა, იგი 27 წლის იყო), გრიგოლ რობაქიძე და ამბაკო საღარაძე ახლობელი ადამიანები ყოფილან. რომანში ნათქვამია, საღარაძეს ძალიან უყვარდაო ლევანი (Er liebte Levan sehr) ლევან ორბელი ხომ თავად გ. რობაქიძეა!

კომუნისტური რეჟიმის დროინდელ საქართველოს ისტორიაში ბევრი საიდუმლო ფურცელია. ყველაფერს გამოწვლილვით შესწავლა სჭირდება.

* * *

კ. გამსახურდია _ კრიტიკა,Essays. II წიგნი, 1959 წ.

«ვისაც «დიონისოს ღიმილი» ყურადღებით წაუკითხავს, მას ეცოდინება, რომ ჩემს კოსმოსოფიას ქრისტიანიზმთან არაფერი აქვს საერთო» (გვ. 187).

წარმართობა თუ ქრისტიანობა1
(ჩანაწერებიდან)

1. ათეიზმის ეპოქაში წარმართობა არ კარგავს ღმერთის იდეას. ამას მნიშვნელობა ჰქონდა.
2. წარმართობა უფრო გამოხატავდა ქართველი ხალხის ხალისიან ბუნებას.
3. წარმართობა უფრო აერთიანებდა ქართველ ხალხს. ქრისტიანობას უკვე დაკარგული ჰქონდა გამაერთიანებლის ფუნქცია. ქართველი ხალხი რელიგიურად აღარ იყო მთლიანი _ მართლმადიდებლური ქრისტიანობა, კათოლიკური ქრისტიანობა, ისლამი, მათში წარმართობას დიდი ადგილი ეჭირა.
4. მართლმადიდებლობა რუსეთს აჯაჭვავდა საქართველოს. ქრისტიანობამ ამიტომაც შეიწირა საქართვლო (კონსტანტინე გამსახურდია «დიონისოს ღიმილი»).

«მაგრამ ერთი რამ საფიქრალია და საგულისხმოც. სახელდობრ ის, რომ ისეთ პატარა და თავისებურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არა მარტო წარსულის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გაჩანაგების და ბედუკუღმართი მდგომარეობის გამო, არამედ ქართველი ხალხის შინა ბუნებიდან გამომდინარე მსოფლშეგრძნების, მსოფლგაგების გამოც, ხალხის ინტერესებისათვის გაუმიზნავი და უტენდენციო მხატვრული ნაწარმოებების შექმნა საძნელო იყო და მოუხერხებელიც. გარდა ამისა, ქართველი თავისი ხასიათით მართლაც ოპტიმისტია, მოქმედი, მებრძოლი, გამბედავი და მხიარული ბუნების მქონე. იგი უცხო ძალის მი-

ერ წარსულში მრავალჯერ მიყენებული ტანჯვისა და წამების ამტანია, ჭირითა და ვარამით გალახული და მაინც ბედნიერი ცხოვრების ნატრული, მარად ფენიქსებრ აღორძინებული და უკვდავი. იგი ამ წუთისოფლის მოტრფიალეა. ამ ქვეყნად მისთვის მიჩნეული ცხოვრება ხანმოკლედ ეჩვენება; ამიტომ შეარქვა სააქაოს «წუთისოფელი». იგი ცხოვრებას აღმერთებს, სიკვდილის ეშინია. მას საიქიო და სულის უკვდავება არა სწამს. იგი წარმართია უფრო, ვიდრე ქრისტიანი, რაც მიცვალებულის გამო გამართულ შეტირილში ცნაურდება (განსაკუთრებით მეგრელთა). ქართველი ოპტიმისტია და არა პესიმისტი. იგი მატერიალისტი უფროა, ვიდრე იდეალისტი.»

ალ. ქუთათელი «ლიტ. და ხელოვნება» №*15(68)*

1945 წელი. «რამდენიმე მოსაზრება ბარათაშვილზე».

* * *

წარმართობას მე-20 ს. დასაწყისში და მე-19 ს. ბოლოს დიდი ყურადღება მიექცა ქართულ მწერლობაში. ალბათ, ეს ვაჟასა და ვასილ ბარნოვის გავლენა იყო. მერე მოვიდნენ გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, ლ. ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი და სხვები.

გრ. რობაქიძე: (წერილი «უცნობი საქართველო»)

... «ჯვარი ვაზის» უნივერსალური სიმბოლოა მთელს საქრისტიანოში, ამ სიმბოლოს ქრისტიანთა შორის ყველაზე უფრო ღრმად და მართლად გაიგებდა დიდი ავგუსტინი, რომელიც თითქმის «ერთკბილაა» ჩვენი ჯვარისა. იგი დაიბადა 20 წლის შემდეგ ამ ჯვარის ნინოს მიერ ვაზის ნასხლავისაგან გამოჭრისა. ავგუსტინს ეკუთვნის აი ეს თქმა: ყველაფერი, რასაც ჩვენ, ქრისტიანნი ვასწავლით, უკვე ცნობილი იყო ძველად, ჩვენ «სიტყვა» იგი (ქრისტე) სხეულმოვლენილი ვიხილეთ _ აი, განსხვავება. ნამდვილი გაგება წარმართობისა მხოლოდ ავგუსტინიდან მოდის. ჰო, რა გაიხარებდა იგი, გაეგო მას რაიმე გზით, რომ კარდჰუს მხარეში ქრისტეს ჯვარი წარმოიშვა, როგორც «ჯვარი ვაზისა». («ლიტ. საქართველო», 1991 წ., 18 იანვარი, №3).

20-იანი წლების მწერლობა განიხილავს წარმართობას, როგორც ფუძეს ქრისტიანობისას.

ამ ცნებას, ახალი ადამი + ქრისტე, 20-იანი წლების მარქსიზმი ხმარობს მნიშვნელობით _ ახალი ადამიანი, ე. ი. თავისუფალი ქრისტესაგან (ცხადია, ქრისტიანულ ქვეყნებში. მაჰმადიანურში _ თავისუფალი ისლამისაგან და ა.შ.). მაშასადამე, ახალი ადამიანი გულისხმობდა რელიგიურად, სოციალურად და ეროვნულად თავისუფალს. მართალია, ეს თეორიულად, რამეთუ ლიტერატურას არც ჩვენში და არც სხვაგან (სსრკ-ში) ამგვარი სრული ადამიანი არ დაუხატავს. მაშასადამე, არსებობდა ბრძოლა, და როცა ლაპარაკი იყო, თვისობრივად ახალი ლიტერატურა იქმნებაო, იგულისხმებოდა, ჩემი აზრით, ეს.

თუ არ ვცდები, დღეს სხვანაირად არის საქმე. დღევანდელ ლიტერატურას ჩვენთან თუ სხვაგან, ეტყობა ამ ორი სისტემის შერიგების ტენდენცია, მათ შორის საერთოს პოვნის ტენდენცია. შეიძლება ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ ცხარე ბრძოლაში 20-იანი წლების ლიტერატურას შეცდომა მოუვიდა _ უარყო წარსული. მასთან კავშირის გაწყვეტა დააპირა, რითაც განვითარების კანონზომიერება დაარღვია. როცა ეს გასაგები გახდა, სცადა გაწყვეტილი მთლიანობის აღდგენა.

რამ გამოიწვია შერიგების ცდა? ცხარე კამათში ათეისტური პოზიციიდან უარყოფილი იქნა რელიგიურობა. მაგრამ რელიგიურობა შეიძლება ორგვარად გავიგოთ _ ეკლესიურად და ზნეობრივად. რელიგიურობა ჩემთვის ზნეობრიობას ნიშნავს და თუ ასეა, რელიგიურობის უარყოფა ზნეობრივის უარყოფაა. როცა ნ. დუმბაძის ეკლესიის გუმბათზე ასული ისიდორე ჯაყელი ყვირის, არ არის ღმერთი და ა.შ., თუ ეს ერთი მხრივ ნიშნავს _ არ არის ეკლესიური დოგმატის მიერ ჩამოყალიბებული იერარქია, მეორე მხრივ ნიშნავს არ არის სინდის-ნამუსი, პატიოსნება. ალბათ ამის გამო მოექცა ისიდორეს ღრანჭი.

კაცს შეიძლება ღმერთი სწამდეს, მაგრამ არც ქრისტიანი იყოს, არც მუსლიმი, არც ბუდისტი და არც იუდეველი. სწამდეს სამყაროს შემქმნელი, მმართველი, შეუცნობელის ძალა. ღმერთის იდეის შენარჩუნებაა მთავარი და არა ამა თუ იმ რელიგიური მოძღვრების აღიარება.

ადამიანს არ მოსწონს ის, რაც ღმერთის შექმნილია და თავადაც დაეძებს საზოგადოების მოწყობის უკეთეს ვარიანტს. უტოპისტების მთელი ჯოგი ეს იგივე ღმერთთან ბრძოლის მოტივია, მაგალითად, სიყვარულის რელიგიურობის პრობლემა (ფურიეს თეორია, კოლონტაის და სხვათა) და უბედურება სწორედ იქ იწყება, სადაც ადამიანს სურს, ღვთაებრივი წესრიგი შეცვალოს ადამიანის წესრიგით.

«ფშაველებს სწამდათ ყველა რელიგიური დღესასწაული, წარმართულიცა და ქრისტიანულიც» (ალექსი რაზიკაშვილი «არ დავიწყება ძველისა», 1984წ., გვ. 13).

ალ. რაზიკაშვილი: ფშავში «ერთსა და იმავე დროს ლოცულობდნენ წარმართულ და ქრისტიანულ სარწმუნოებას: უფრო ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული წარმართულს _ მსხვერპლშეწირვის ჩვეულებას» (გვ. 49).

კ. გამსახურდია _ «დიონისეს ღიმილი»: ტაია შელია _ ნახევრად წარმართი, როგორიც იყო ქართველი გლეხი.

როცა ლუდვიგ ტიკი გვიამბობს, როგორ ჰქონდა ჩაფიქრებული ნოვალისს «ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენის» გაგრძელება, ამბობს _ ჰაინრიხისა და მატილდეს შვილი «პირველქმნილი სამყარო და მომავალი ოქროს ხანაა; აქ ქრისტიანობა და წარმართობა უზავდება ერთმანეთს» (გვ. 192. ნოვალისი _ «ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი», 1989 წ. ნანა გოგოლაშვილის თარგმანი).

რატომ გახდა აქტუალური პრობლემა _ წარმართობა თუ ქრისტიანობა 20-იან და 30-იან ქართულ მწელობაში, ამის ზუსტ პასუხს იძლევა Die Weltliteratur (1954, 3 ტომი, ვენა), სადაც გ. რობაქიძეზეა ლაპარაკი.

Er schöpft aus dem Born der gläubigen Tradition heidnischer Vorzeit, die ihm die Kraft für den Kampf gegen ein entgötter Zeitalter spendeet.[1]

* * *

თარაშ ემხვარი და გვანჯ აფაქიძე ილორის ტაძარს უყურებენ.
«ესეც კაი მაგარი აბრაგი იყო»...
შენიშნა გვანჯ აფაქიძემ.
«ვინ ეს?» შეეკითხა თარაშ ემხვარი.
«ილორის წმინდა გიორგი».
«როგორ თუ აბრაგი?»

(«მთვარის მოტაცება», 1936 წ., ტ. I, გვ. 209-210).

* * *

რატომ მოხდა, რომ საქართველომ, რომელმაც საუკუნენახევრით ადრე გადააგდო მონღოლთა უღელი, ვერ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრიობა, დაიშალა ნაწილ-ნაწილ და სხვათა ქვეშევრდომი გახდა, ხოლო რუსეთმა, რომელმაც 2,5 საუკუნე ზიდა მონღოლ-თათართა უღელი, ადრე დაშლილ-დაქუცმაცებულმა შეძლო დამოუკიდებლობის აღდგენა, სახელმწიფოებრიობის აღდგენა, გაერთიანდა და ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყანად ჩამოყალიბდა? თუ ამ კითხვას ზერელედ შევხედავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა თემურ-ლენგის შემოსევებმა, რომელიც რუსეთს არ განუცდია. თემური ąლეციდან უკან გაბრუნდა, მოსკოვის აღება ვერ გაბედა და მერე აღარც გაუხედავს რუსეთისაკენ. მართალია, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სულიერ ერთიანობას და სიმტკიცეს.

როგორც ქართველთა, ისე რუსთა სულიერ მთლიანობას ქრისტიანობა აყალიბებდა. მაგრამ თუ რუსთა სულიერი მთლიანობა ქრისტიანობამ ბოლომდე ჩამოაყალიბა, ქართველთა სულიერი მთლიანობის ბოლომდე ჩამოყალიბება ქრისტიანობამ ისტორიული პირობების გამო ვერ შესძლო.

ქართული წარმართობა, როგორც ადგილობრივი ისე გარედან შემოსული ბერძნულ-რომაული და სპარსული მაზდეანობის თვალსაზრისით, ბევრად ძნელი დასაძლევი იყო, ვიდრე სლავური წარმართობა, რომელსაც რელიგიური ძალა არ ჰქონდა და უფრო ჩვეულების დონის მატარებელი იყო. წარმართობის სიძლიერეზე კარგად მეტყველებს ჩვენი ისტორიის ფაქტი, როცა დაეჭვებულმა მიქაელ კათალიკოსმა, მეფე ვახტანგ გორგასალი მაზდეანი რომ არ გახდა, მეფეს წიხლი ჰკრა და კბილი ჩაუმტვრია. ეს ბრძოლის სიმძაფრეს კარგად მეტყველებს. ეს უბრალო ფაქტი არ არის. ანდა „შუშანიკის წამებაში“ ასახული ბრძოლაც ხომ წარმართობასა და ქრიìტიანობას შორის მიმდინარეობს?

ასე მძაფრად რუსეთში წარმართობა ვერ შეუტევდა ქრისტიანობას და მისი სუსტი წინააღმდეგობის დაძლევა მას არ გაუჭირდებოდა.

საქართველოში ქრისტიანობას წარმართობა ბოლომდე დამარცხებული არ ჰქონდა, რომ ახალი უბედურება დაგვატყდა თავს მაჰმადიანი არაბების შემოსევის სახით და ახლა მაჰმადიანობამ გაუმართა ჩვენში ქრისტიანობას თავგამეტებული ბრძოლა. ეს უბედურება რუსეთს მთლიანად ასცდა და იქ ქრისტიანობა საბოლოოდ უცვლელად ბატონობდა. რუსი კაცის სული აღარ მერყეობს წარმართობასა და ქრისტინობას შორის. იგი საბოლოოდ ქრისტიანია.

ქართველი კაცის სული კი ირყევა _ წარმართობას, ქრისტიანობას და მაჰმადიანობას შორის. მთლიანობა დარღვეულია. დანაწევრებულია და დაშლილია ქართველის სული.

ჩვენ ვიკვეხნით, ქართველი ბოლომდე ქრისტიანი არასოდეს ყოფილაო. ამ კვეხნისა და კმაყოფილების ანარეკლი გ. ასათიანის ნარკვევებშიც არის.

მაგრამ რა არის აქ სატრაბახო? ეს ხომ იმას მეტყველებს, რომ ვერ მივაღწიეთ სულიერ მთლიანობასა და სიმტკიცეს. სულ ვირყევით და ჩვენ სულში არის წარმართობის, ქრისტიანობის და მაჰმადიანობის ელემენტები, რამაც დაშალა ჩვენი სული.

მაჰმადიანობასა და ქრისტიანობასთან ერთად წარმართობაც ბოლომდე არ შეწყვეტილა და ეს მძიმე კვალად გვაჩნია. რუსეთში ეს არ მომხდარა. როცა რუსეთმა მონღოლთა უღელი გადააგდო, იგი ქრისტიანობის წყალობით ისეთი ერთიანი იყო სულიერად, რომ უკვე ნათლად ჩანდა, რომ ყოველ განსაცდელს გაუძლებდა.

გამუდმებულ ბრძოლას ქრისტიანობას, მაჰმადიანობასა და წარმართობას შორის შედეგად ჩვენი ხალხის სულიერი დაშლა მოჰყვა და, მან გამოიწვია ის, რომ ჩვენ პოლიტიკურად, სახელმწიფოებრივად, ეროვნულად დავიშალეთ და დავნაკუწდით.

ამის შედეგია ისტორიულად ჩვენი ეროვნული მარცხი.

ყოველ ერს სულიერად მკაფიოდ და მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე უნდა ჰქონდეს _ ან ქრისტიანი იყოს, ან მაჰმადიანი, ან წარმართი, ან რაღაც სხვა. რამ გამოიწვია დღეს ებრაელთა სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ეროვნული აღორძინება? იმან, რომ სულიერად ისინი არასოდეს დაქუცმაცებულან და ყველა განსაცდელში გამოატარეს სულიერი სიმტკიცე. ჩვენ ეს ვერ შევძელით. ყველაზე სერიოზულ ქართულ ხარვეზად ეს მიმაჩნია.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მერყეობა მიჩნეულია ჩვენს მისწრაფებად ამ ორი ნაწილის სინთეზისაკენ. არა, ეს არის ორიენტაციის უქონლობა, მერყეობა, როცა ვერ მოგიხერხებია, რა აირჩიო. ეს ჰგავს იმ კაცის მდგომარეობას, რომელსაც ორ ქალს შორის ვერ აურჩევია, რომელი შეირთოს: ორივე მოსწონს, ორივე ხიბლავს, მაგრამ შეყვარებით კი ვერცერთი ვერ შეიყვარა და ამ არჩევანში ერთიც დაკარგა და მეორეც. ასე დაგვემართა ჩვენ. მტკიცედ ვერც აღმოსავლეთი ვიწამეთ და ვერც დასავლეთი. არ მახსოვს, რომელს და, რომელიღაც ქართველ მწერალს ნათქვამი აქვს _ ჩვენ აღმოსავლეთს დავცილდით და დასავლეთს ვერ დავეწიეთ. როგორც ადამიანს არ შეჰფერის ორ სკამზე ჯდომა, ისე ერს არ ეპატიება ორი მიმართულებით ყურება. ეს უპრინციპობაა და მას სიკეთე არასოდეს მოაქვს. რასაც ახლა ვამბობ, ეს არ ნიშნავს, რომ ქართველმა ხალხმა უარი თქვას რომელიმე კულტურის შესწავლაზე, ათვისებაზე. არა, ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რა პრინციპებზე დაყრდნობით ვითვისებთ, რომელი ეროვნული მსოფლმხედველობის ქვაბში ვხარშავთ და ვითვისებთ. თუ ვართ ევროპელები, აღმოსავლურ კულტურას ევროპელის თვალით, გულით, გონებით შევხედოთ და ავითვისოთ, თუ ვართ აზიელები, მაშინ ევროპულ კულტურას აზიელის თვალით, გულით, გონებით შევხედოთ და ავითვისოთ. აზიელებად ყოფნა შეუძლებელია. ეს უსახობაა და რაკი ასეა, მაშინ ჩვენ ეროვნულ ფიზიონომიას დავკარგავთ.

* * *

მე-19 ს. ბოლოს და მე-20 ს. დასაწყისში ახალი რელიგიის შექმნის ცდა იყო. ნიცშეს «ღმერთი მოკვდა» და «ზარატუსტრა», რომელიც დაწერილია სახარების სტილის მიხედვით, ახალი რელიგიის შექმნის ცდა იყო.

მარქსიზმი, თავისი ათეიზმით და მარქსიზმ-ლენინიზმის კულტის დანერგვით, ახალი რელიგიის დამკვიდრებას ცდილობდა. კომუნისტების «ახალი ადამიანი» და ნიცშეს «ზეკაცი»: აქ ერთიდაიგივე სურვილია გამოვლენილი.

როცა ქართული მწერლობა იწყებს კამათს, ვინ არის ქართველი _ ქრისტიანი თუ წარმართი, ესეც ახალი რელიგიისათვის ბრძოლაა.

«რელიგიაო?

ვინ მოიგონა ეს ამბავი? მე მგონია რელიგია მხოლოდ ცივილიზაციით სნეულებს ესაჭიროებათ ისევე, როგორც კუჭმოშლილებს აპერატივი...» (თარაშის დღიურები. «მთვარის მოტაცება» ტ. II, გვ. 51).

«ქრისტიანიზმი, ჰმ!..

მან უარესად გააღრმავა უფსკრული. ბატონებო, ბნელა თქვენს ბიბლიაში, ბნელა იოჰანეს გამოცხადებაში, ისევე როგორც თქვენს ნოტრდამში. გოტიური ტაძარიც ხომ ცამდის ატყორცნილი ცათა ტრფიალია? მაგრამ გოტიურ ტაძარშიც ბნელა» (თარაშის დღიური. ტ. I, 53).

თარაშ ემხვარი ათეისტი არ არის. იგი წარმართობას ეტრფიალება. მას ძველი ბერძნული კულტურა უყვარს, რადგან მზეა და სიხარული ძველ ბერძნულ კულტურაში. ქრისტიანობა კი სიბნელეა.

«ბერძნები უდიდესი პესიმისტები იყვნენ, მაგრამ ყოველი წამით ხარბად სტკბებოდნენ. ამიტომაც იმდენი მზე, იმდენი სინათლე, იმდენი ლხენა იყო მათ ყოფაცხოვრებასა, პოეზიასა და აზროვნებაში» (თარაშის დღიური, ტ. II, გვ. 90).

როცა თარაში გაიგებს, რომ თამარი დარდობს დედის ნაჩუქარი ჯვარი რომ დაკარგა, ამბობს:

«აჰ, ეს ქრისტეს ჯვარი!.. იცი, თამარ, როცა მე ევროპაში ვმოგზაურობ და ამ უთვალავ ეკლესიებს და ტაძრებს შევცქერი, დარდანელიდან ვიდრე შოტლანდიის ზღვამდე, მაკვირვებს კიდევაც, რა გახდა ეს ჯვარი! პატარა ბინძურ პალესტინაში დაბადებულმა დურგლის ბუშმა ჯვრების ტყეები აღმართა მთელ ქვეყანაზე» (ტ. II, გვ. 92).

* * *

ღმერთის ძიება ქართულ მწერლობაშიც არის, ოღონდ სხვაგვარად გამოხატული. ჯერ ერთი კითხვა _ წარმართია ქართველი თუ ქრისტიანი? ეს ღმერთის ძიებას ნიშნავს. მეორეც, ქართული მწერლობა სიტყვის მაგიას იწვევს (თარაშ ემხვარი _ სიტყვის ძიება, «სიტყვა იწვევს»). «პირველად იყო სიტყვა».

გრ. რობაქიძე «გრაალის მცველნში» და სხვაგანაც სიტყვას უკირკიტებს. ეძებს Urwort–ს.1

მზის ნიშნით _ გააგრძელა მან. საქართველო მართლაც დგას მზის ნიშნის ქვეშ. ეს უკვე ჩვენს ენაში დაფუძნებულია, რომელშიც სიტყვები თითქოს შემოქმედებითი

ძალის არიან, რომელშიც წინარე დროის სიბრძნე ჩურჩულებს. ენა არაფერს ტყუის. ნამდვილად ქართული ენა წარმომდგარია მითოსური მოხილვიდან, სადაც საგნები ერთმანეთს, როგორც образутие, ფესვებს ეხებიან. მაგალითად, «სიტყვა» აღნიშნავს «სიტყვასაც», «ტყვეობასაც» და «ტყნაურსაც».

სიტყვა || ტყვ-ე ტყ-ნაური (გვ. 68).

ტყვეობა არა როგორც შეურაცხყოფა, არამედ ნაყოფიერება, ჩასახვა. ქართულად «სიცოცხლე» და «ცეცხლი» თითქმის ერთსა და იმავეს ნიშნავს. ქართულ მსოფლხატ-ში «ცეცხლი», როგორც ფუძეელემენტი დევს. სიცოცხლე იწვის და უყურე _ ცხენი, როგორც ყველაზე ცეცხლოვანი არსება არსებათა შორის, ფარავს თავისი სახელის ქვეშ «ცეცხლს». დააკვირდით _ ცოცხი ფუძე შეცვლილი ცეცხლია, როგორც ჩანს ამა-ში არის სალხინებლის გამწმენდი ცეცხლი. სუფთა, წმინდა, და წმინდანი (reinheilg) იდენტურები არიან. მოკლედ სიცოცხლე ცეცხლოვანია და წმინდა. აქედან ფუძეში მდებარე მნიშვნელობა მზისა ჩვენს მსოფლხედვაში (ხილვაში). მზესა და მზერას ერ-თნაირი ძირი აქვს. მზე როგორც კოსმოსური თვალი. თუ ქართველს alles-ეს თქმა უნდა, ამბობს ყველაფერი, ე.ი. ყველა ფერი, თუ არაფერს ამბობს _ არა ფერი. ფერი გოეთესებურად უნდა გავიგოთ: წინარე ელემენტის გამოსხივება (ნათება). ჩვენში კითხულობენ: რაფერ გააკეთე (Wie du es gemacht) როგორ ფერის ფორმით არის გად-მოცემული.

ქართული «სახე» ალბათ ეგვიპტური «ზაჰუ»-დან მოდის. ზაჰუ აღნიშნავს არსების წარუდინებელ სუბსტანციას. რასაც სახე აქვს, ღვთაებრივია _ ასე ვმსჯელობთ ჩვენ.

წმ. გიორგის თეთრი გიორგი ჰქვია. მთას ლაშარი, რაც ნიშნავს სინათლეს (Licht).

საუბარში bei Gott _ ღმერთმა-ს მაგიერ ვხმარობთ «შენმა მზემ», არა bei der Sonne არამედ bei deine Sonne _ შენმა მზემ. ყოველ ადამიანს თავისი მზე აქვს.

ჩვენთვის ერთსა და იმავეს ნიშნავს ანგარიშიანობა და სიძუნწე (Merkwürding: Rechnen und Habgier bedeutet bei uns dasselbe)

Mut und Schicksal und Glück sind georgisch im Wurzelstamm eins: Bedi[1]
Der Mut_ გა-ბედ-ულება, მამაცობა, სიმტკიცე, მხნეობა.
Das Schicksal_ ბედი, იღბალი.
Das Glück_ ბედ-ნიერება.

„რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი“

ასეთი ბედი ერგო: საქართველოში ეროვნულ-გაíმათავისუფლებელი მოძრაობა აზვირთდებოდა, ალექსანდრე ბატონიშვილის სახელიც გაცოცხლდებოდა და მისი სურათიც მაშინვე გამოჩნდებოდა. მაგრამ საკმარისი იყო ეროვნულ-გამანთავისუფ-ლებელი მოძრაობის ჩაფერფლვა-ჩანავლება, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის სახე-ლიც და ხსოვნაც დავიწყებას მისცემოდა.

ახლაც, 80-იანი წლების ბოლოსაც, ასე მოხდა. ეროვნულ-გაíმათავისუფლებელი მოძრაობის პირველსავე მიტინგზე გამოიტანეს ალექსანდრე ბატონიშვილის პორ-

ტრეტი, მართალია, თითო-ოროლა მომიტინგემ თუ იცოდა, ვინ იყო ეს გრძელწვერიანი, წოწოლაქუდიანი კაცი, რომელიც გარეგნობით უფრო სპარსელს ჰგავდა, ვიდრე ქართველს, მაგრამ გუმანით ყველა მიხვდა, რომ ამ უცნობ ადამიანს მთელი ცხოვრება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰქონდა დახარჯული.

ერეკლე მეორის შვილებსა და ბადიშებს შორის, სოლომონ მეორესთან ერთად, ალექსანდრე ბატონიშვილი იყო იგი, ვინც არაფრით არ შეეგუა საქართველოს სამეფოს გაუქმებას. მანამდე ებრძოლა რუსეთს, სანამ პირში სული ედგა. სადაც რუსეთის წინააღმდეგ თოფი გავარდებოდა, ქართველი ბატონიშვილიც იქ იყო. სადაც კი ქართველობა რუსთა წინააღმდეგ აჯანყდებოდა, მთიულეთში იქნებოდა ეს თუ კახეთსა და იმერეთში, ყველგან მას ეპატიჟებოდნენ მეფედ. ალექსანდრეც იქით მიეშურებოდა დაუყოვნებლივ. ერთადერთ ვნებას, რუსეთის დამარცხების ვნებას ჰყავდა შეპყრობილი. აღარ ახსოვდა აღარაფერი, არც ოჯახი, არც და-ძმა, არც ნათესავ-ახლობლები. შინ თუ გარეთ, ყველგან, _ ქართლ-კახეთსა თუ ჩეჩნეთ-დაღესტანში, ყარაბაღსა თუ სპარსეთში _ მოკავშირესა და თანამდგომს დაეძებდა. პოულობდა კიდეც. ჯარსაც აყალიბებდა, მაგრამ, ვერა და ვერა, რუსეთის დამარცხება ვერ შეძლო. ყველა ბრძოლა უშედეგოდ წააგო. თავისას კი მაინც არ იშლიდა. ჯიუტად სჯეროდა, რომ სპარსეთის დახმარებით რუსეთს საქართველოდან განდევნიდა, სამეფოს აღადგენდა და მამაპაპეულ ტახტს დაიბრუნებდა.

უკვე ხანდაზმული კაცი იყო, ორმოცდაათი წლისა, ოჯახს რომ მოეკიდა. ცოლად სომეხი ვაჭრის სააკ აღამალიანის თექვსმეტი წლის ასული მარიამი შეირთო. მარტო ქალის მომაჯადოებელი სილამაზე არ ყოფილა ალექსანდრე ბატონიშვილის არჩევანის საფუძველი. ამ ქორწინებას პოლიტიკური სარჩულიც ედო: ქართველთა და სომეხთა გაერთიანება რუსეთის წინააღმდეგ.

ალექსანდრეს სულ მალე მოუხდა ყმაწვილი თანამეცხედრის დატოვება. ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეული მიზანი და ბრძოლის ველი უხმობდა. ქმარსმონატრებული მარიამ აღამალიანი შინ რომ ცრემლად იღვრებოდა, მისი სიბერეშეპარული მოუდრეკელი ქმარი ომში უწყალოდ ანთხევდა სისხლს. არც თავს იზოგავდა და არც სხვას უფრთხილდებოდა. სომეხი ვაჭრის ასული მთელი სულითა და გულით ეხმარებოდა უიღბლო ქართველ უფლისწულს. ფული იყო საჭირო, ფულს შოულობდა. იარაღის ყიდვა იყო საჭირო, იარაღს ყიდულობდა. მეომრების დაქირავება იყო საჭირო, მეომრებს ქირაობდა. ისიც ისეთივე უტეხი ნების პატრონი აღმოჩნდა, როგორიც მისი ქმარი იყო. მაშინაც კი არ დაუკარგავს რწმენა, როცა ქართველი რუსეთუმეების გაყიდული, რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის ტყვე და მძევალი აღმოჩნდა. ურყევად სჯეროდა, რომ თბილისში აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა დედოფლად დაბრუნდებოდა.

ულმობელი დრო ზანტად მიედინებოდა. სიბერით ჯანგატეხილი ალექსანდრე მარტოდმარტო დარჩა. ყველა შემოეცალა. მე-19 საუკუნის ორმოციანი წლების დასაწყისში თეირანის ქუჩებში ხშირად შეხვდებოდით თურმე უსახლკარო, ღარიბ-ღატაკ, მშიერ-მწყურვალ ბერიკაცს, რომელსაც, რაც ებადა, ერთი მიზნისათვის შეეწირა, მაგრამ ამაოდ. ძველებური ცეცხლი მხოლოდ-ღა თვალებში შერჩენოდა, ისიც მაშინ, როცა შვილს ახსენებდა. შვილი, რომელიც პაპის სახელს ერეკლეს ატარებდა, რუსეთში ეგულებოდა. იმედოვნებდა: იქნებ მისი დაწყებული საქმე ერეკლე მცირეს

გაეგრძელებინა. ესეც ფუჭი ოცნება იყო. ერეკლე ალექსანდრეს ძე ბუნებით მშვიდი და წყნარი კაცი აღმოჩნდა, რუსეთის იმპერიის ერთგული. იგი ადვილად შეეთვისა რუსი გენერლის მუნდირს. იშვიათად თუ მოაგონდებოდა, რომ მისი წინაპრები საქართველოს მეფეები იყვნენ.

ცრუ ოცნება კვებავდა ალექსანდრე ბატონიშვილის სულს მანამ, სანამ უფალმა არ მიიხმო და მისი ნატანჯ-ნაგვემი სხეული თეირანში სომხური ეკლესიის ეზომ არ მიიბარა.

მართალია, ალექსანდრე ბატონიშვილმა რუსეთის დამარცხება ვერ მოახერხა, მაგრამ ის კი შეძლო, ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლო გამხდარიყო.

როგორც ახლა, მაშინაც უპირველესად ეს გაახსენდათ, როცა 1921 წლის თებერვალ-მარტში დამოუკიდებელი საქართველო დამარცხდა და ისევ რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა.

ამ გახსენებას მკაფიო მიზანი-ანგი ჰქონდა: თავისუფლება-დამოუკიდებლობის იდეის გადარჩენა.

ვითარება საქართველოში მეტად რთული გახდა. ეროვნულ საკითხზე ღია, გულახდილი საუბარი აიკრძალა. კომუნისტური პარტია და პროლეტარიატი მსოფლიო რევოლუციაზე ოცნებობდნენ. დედამიწის ზურგზე კაპიტალიზმი ყველგან უნდა დაემხოს და სოციალიზმი დამყარდეს. როცა ასეთი მისწრაფება ბატონობს, ეროვნულ პრობლემაზე ზრუნვა-ფიქრი არა მარტო ჩამორჩენილობად მიაჩნიათ, არამედ _ დანაშაულადაც.

არც შეიარაღებული ბრძოლით გამოდის რამე. ყველა შეთქმულება გამჟღავნებულია. ყველა ამბოხი სისხლში ჩახშობილი. ვერც 1924 წლის აგვისტოს აჯანყებამ გამოიღო დადებითი ნაყოფი. ისიც დამარცხდა. ყველა, ვინც ეროვნულ მოძრაობას თავკაცობდა, დაპატიმრებულია, გადასახლებულია, დახვრეტილია. ყველა ეჭვმიტანილი განწირულია. არავინ დაეძებს, მართლა ჩაიდინა დანაშაული თუ არა, საყოველთაო შიშმა და განუკითხაობამ უნდა დაისადგუროს. შიშით გონდაკარგული ადამიანის მართვა იოლია. საითაც გინდა, იქით გარეკავ. რაც გინდა, იმას დაგიჯერებს. რასაც მოისურვებ, იმას გააკეთებინებ. ამგვარ სიტუაციაში სიტყვა ღირებულებასა და მნიშვნელობას კარგავს. მას აღარ ძალუძს ადამიანთა დარაზმვა და წარმართვა. ყოველნაირ სიტყვას გულგრილად და დუმილით ხვდება ხალხი. მაგრამ აუცილებელია დამოუკიდებლობა-თავისუფლების იდეის გადარჩენა, შთამომავლობისათვის შენახვა, ანუ საჭიროა მზის სხივებში დამწვარი ჩიტის ლეგენდის არსებობა, _ როგორც თქვა ეს სასამართლო პროცესზე 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთერთმა მეთაურმა იასონ ჯავახიშვილმა:

«ჩვენ ვიბრძოდით დამოუკიდებლობისათვის, აჯანყება წავაგეთ და ისინი, ვინც ამ აჯანყებას ვმესვეურობდით, წავალთ გოლგოთაზე.

მაგონდება ერთი არაბული ლეგენდა: მზემ აღარ გამოანათა და დაიკარგა. სიბნელეს ვერ შეეგუა ერთი ჩიტი, რომელმაც მიზნად დაისახა, ქვეყნიერებისათვის მზე დაებრუნებინა. ამ მიზნით დაიწყო ფრენა სულ ზევით და ზევით და მიაგნო მზეს. აღარ მახსოვს, მისცა თუ არა ჩიტმა მზე ქვეყნიერებას... თვითონ ჩიტი კი დაიღუპა. ის დაიწვა მზის სხივებში».

დამოუკიდებლობა-თავისუფლების იდეის გადარჩენის და შენახვის მიზნით შემოვიდა 20-იანი წლების ქართულ მწერლობაში ალექსანდრე ბატონიშვილის სახე. ეს აშკარად და ღიად თქვა ტიციან ტაბიძემ.

მე მრჩება მხოლოდ ერთი ანდერძი,
რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი
ბატონიშვილის ალექსანდრესი.

ვასილ ბარნოვიც ამ აზრით წერს პატარა მოთხრობა «ისკანდერს».

მოთხრობის შინაარსი ასეთია: მამა-შვილს _ ერეკლე მეორესა და ალექსანდრე ბატონიშვილს _ შორის კონფლიქტია. აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლები ეწვივნენ. მათ დიდი მისია აქვთ. უნდა სთხოვონ ერეკლე მეორეს, საქართველო გააერთიანოს, ორივე ნაწილის მეფე გახდეს. ერეკლე მეორე უარს ამბობს: «მე უკვე მოვიწვიე რუსი საქართველოს მფარველად. ჩემი სიგელი ხელში აქვთ. ნაწილი ჯარისა კიდეც გადმოვიდა საზღვარს და სიტყვის შეცვლა შეუძლებელია. ისიც მეტი მომივიდა, კრება გავმართე და უსაბამო თქმები მოვისმინე». დასავლეთ ქართველთა დელეგაცია გაწბილებული გაბრუნდა უკან. ბატონიშვილი ალექსანდრე აღაშფოთა მამის საქციელმა. იგი გაერთიანების გულმხუ1ვალე მომხრე იყო. დედოფალმა დარეჯანმა ვერ შეარიგა წაკიდებული მამა-შვილი. ალექსანდრემ სამეფო კარი მიატოვა და სპარსეთში გადაიხვეწა. აქ ლტოლვილი ბატონიშვილი სპას უყრის თავს. იგი ბრუნდება სამშობლოში. ალაზნის პირას, ნიახურასთან უერთდება ჩრდილოეთკავკასიელთა ჯარს, რომელსაც ავარიელი ომარი და ჩერქეზი უცი მეთაურობენ. ქართულ-ჩერქეზულ-ყარაბაღულმა ჭრელმა ჯარმა ბრძოლა უნდა გაუმართოს და დაამარცხოს რუს-ქართველთა ერთიანი არმია.

ნიახურასთან ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი მომხრეები დამარცხდნენ, გაიმარჯვა რუს-ქართველთა ჯარმა. ბრძოლაწაგებული უფლისწული უკან გაბრუნდა სპარსეთში.

მოთხრობა მთავრდება: ალექსანდრე ცოლ-შვილს ისტუმრებს საქართველოში: «_ მე რომ აღარ ვიქნები, აქ ცხოვრება არ იქნება შენთვის სიხარული. წადი სამშობლოში, აღზარდე შვილნი ერის სამსახურად», _ ეუბნება იგი უკანასკნელად ცოლს.

ეს ეპიზოდი ისტორიულად არ არის მართალი. ნიახურას ბრძოლის დროს, 1800 წლის ნოემბერში, და მერეც, ბარე ოცი წლის მანძილზე, ალექსანდრეს არ ჰყოლია ცოლ-შვილი. არც მოთხრობაა მხატვრულად მძლავრი: სუსტია, მაგრამ, როგორც ფაქტს, ის მნიშვნელობა აქვს, რომ მასში ერთი მოტივია, რომელიც მაშინაც მნიშვნელოვანი და არსებითი იყო და დღესაც: თავისუფლება-დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გამუდმებით უნდა მიმდინარეობდეს, ოღონდ, ვითარებისდა შესაბამისად, ხან იარაღით და ხან შრომით. როცა «ისკანდერი» იწერებოდა, საქართველო დამარცხებული ქვეყანა იყო. ჩვენი საზოგადოების გონიერ და მოაზროვნე ნაწილში სასოწარკვეთილებისა და უიმედობას მყარად ჰქონდა ფესვი გადგმული. დამარცხებამ სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩაგაგდოს. სწორედ დამარცხებულ ქვეყანას სჭირდება სულიერი მხნეობა და სიმტკიცე. თუ იარაღით ბრძოლაში დამარცხდი, შრომით უნდა ეომო მტერს. შრომით უნდა აჯობო და მოუგო. შრომით მოპოვებული გამარჯვება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და არსებითი. ამის უტყუარი საბუთი გერმა-

ნია და იაპონიაა. ბრძოლაში გამარჯვებული სსრკ აღარ არსებობს. შრომით გამარ-ჯვებული გერმანია და იაპონია კი მსოფლიოს უმდიდრესი და უძლიერესი სახელ-მწიფოებია.

ნიახურას ბრძოლა ვასილ ბარნოვის ყურადღებას კიდევ იმით იპყრობს, რომ აქ ერთად იბრძოდნენ ქართველები, ჩერქეზები, ავარიელები, ყაბარდოელები. რუსე-თის წინააღმდეგ ომში კავკასია ერთად უნდა იყოს. ეს აზრი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მომდინარეობს, როცა ილია ჭავჭავაძემ «ქართლის დედაში» წარმოთქვა _ «ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!»

დაახლოებით ასეთივე აზრია გატარებული იოსებ მჭედლიშვილის პიესაში _ «ალექსანდრე ბატონიშვილი». მართალია, არც ეს პიესაა მხატვრულად სანაქებო, მაგ-რამ ისიც ნათლად გამოხატავს 20-იანი წლების ქართული საზოგადოების იმ ნაწი-ლის განწყობილებას, ვინც ვერა და ვერ ურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებ-ლობა-თავისუფლების დაკარგვას:

თუ ერთი მხრით, 20-იანი წლების ქართულ მწერლობას ალექსანდრე ბატონიშვი-ლი საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომის სიმბოლოდ მიაჩნდა, მეორე მხრით, ერეკლე მეორის ძის საშუალებით საქართველოსთან აკავშირებდა ჩეჩნეთ-დაღესტ-ნის მრავალწლიან მედგარ და შეუპოვარ საგრობას რუსეთის იმპერიასთან.

მიხეილ ჯავახიშვილი აცოცხლებს იმ გადმოცემას, რომელიც წერილობით პირვე-ლად ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე) 1914 წელს გამოცემულ წიგნში _ «მთის არ-წივი შამილი» _ გამოჩნდა:

«გადაჭრით და კატეგორიულად ძნელია იმის დამტკიცება, რომ შამილი შვილია ბატონიშვილ ალექსანდრესი, მაგრამ თანახმად ყველა იმისა, რაც ამ ისტორიულ ამ-ბავშია ნათქვამი, ძლიერი საბუთი გვეძლევა ვთქვათ, რომ იმამი დაღესტნისა, მთის არწივი შამილ იყო შვილი მამით ბატონიშვილ ალექსანდრესი».

ამ ცნობას, შეიძლება სხვასაც, ეყრდნობა, ალბათ, მიხეილ ჯავახიშვილი, როცა «არსენა მარაბდელში» წერს:

«ალექსანდრე მუდამ გულის-ფანცქალით ადევნებდა თვალყურს თავის ნაჩუმარ შვილს შამილს და ღრმად სწამდა, რომ ეს ნაიბი ოდესმე უკუაგდებდა ძალიან შორს წამოსულ რუსებს, მაგრამ მამა-შვილობის ამბავს არასოდეს არ ამხელდა და მხო-ლოდ გულში იგონებდა ხოლმე, რომ დაღესტანში ყოფნის დროს 1796 წელს ლეკის ერთი ქვრივი მოეწონა, რომელმაც ცხრა თვის შემდეგ რუსებს უმკაცრესი მტერი გა-უჩინა» (ასე მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლეში გამოცემულ «არსენა მარაბდელში» წერია, თორემ «არსენა მარაბდელის» დამწერის სიკვდილის შემდეგდროინდელ გა-მოცემებში ეს სტრიქონები ამოღებულია).

ალექსანდრე ბატონიშვილი და შამილი არა მარტო აზრითა და მიზნით დაუნათე-სავდნენ ერთმანეთს, არამედ სისხლითაც. ჩვენს სიტყვიერებაში ისინი დაწყვილ-დნენ.

რაც დასტიროდა მტკვარს ალექსანდრე
და მთებს შამილის სული მშფოთვარე

(ტიციან ტაბიძე)

მერე დამოკიდებულება მათდამი თანდათანობით იცვლება. ალექსანდრე ბატონიშვილი ნელნელა ჩრდილში დგება, ხოლო შამილი თაყვანისცემის შარავანდედით იმოსება. იგი თავისუფლებისათვის მომავალი ბრძოლის სიმბოლო და ოცნება ხდება.

მოხუცი ლეკი ჩონგურზე მღერის
ქოხს მყუდროება ეხვევა ღამის,
მღერის სევდით და ბავშვივით ელის, _
სიზმარში მაინც შეხვდება შამილს.
ბინდივით ახსოვს განგაში მთისა,
ძველი დროშების ჟღერა და ფერი,
დააგდებს ჩონგურს და ფოლადს ხმლისას
ფხას გაუსინჯავს შემხმარი ცერით.
სდუმს და ჩოხაში
ჩასმული ჩონჩხი
დაშნის სადავეს
კანკალით არყევს
და თავდახრილი იგონებს ოხვრით
თეთრი იმამის დაფრენილ ბარტყებს

(ილო მოსაშვილი _ *«მოხუცი მეჩონგურე»)*

გრიგოლ რობაქიძემ ჩეჩნეთ-დაღესტნის თავკაცს პათეთიკური ესეი _ «იმამ შამილ» _ მიუძღვნა, აკაკი გაწერელიამ კი მოთხრობების მთელი ციკლი, რომელსაც საბოლოოდ რომანის სახე უნდა მიეღო. მიხეილ ჯავახიშვილიც ემაზდებოდა თურმე დაეწერა რომანი შამილზე (ქ. ჯავახიშვილი _ «მიხეილ ჯავახიშვილი», 1989წ. გვ. 241).

ორივე მწერალი _ გრ. რობაქიძეც და აკ. გაწერელიაც _ შამილს სწორუპოვარ ვაჟკაცად, ბრძენ ადამიანად, რწმენის, საქმის და სიტყვის კაცად მიიჩნევს.

რაკი შამილის პიროვნებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა, ბუნებრივია, უნდა გადასხვაფერებულიყო დამოკიდებულებაც რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩნეთ-დაღესტნელთა მთელი ომისადმიც.

ჯერ ეჭვი გაჩნდა: ქართველებს უნდა ეომათ თუ არა რუსეთის სასარგებლოდ ჩეჩნეთ-დაღესტნის წინააღმდეგ? დემნა შენგელაიას პერსონაჟს თენგიზ დარბაშიას («ყაზავათი»), რუსეთის არმიის ქართველ ოფიცერს, ფიქრი უბურღავს ტვინს:

«განა იმის მამას არ ამოხდა სული სიმბირსკის გადასახლებაში 1832 წლის შეთქმულებისათვის? ახლა ამ კაცის შვილი და სელიმბეკ ცადასტას ძმადნაფიცი მტრებს ამოუდგა გვერდით და ჩრდილოეთის თეთრი ხელმწიფის, «კულტურის» და მამულის სახელით ებრძვის უსწორო ომში იმ ხალხს, რომელიც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავს თავის მარჩენალ ყანებს, საძოვრებს, თავისუფლებას და თოხუმის ადათს.

იქნებ ვაჟკაცობა არ შესწევს, ეშინია და იმიტომ? მაშ რა ძალაა ის ძალა, რომელმაც იგი აქ, ამ ლუსკუმეთში მოიყვანა სიკვდილთან და სინდისთან სათამაშოდ?».

როგორც ხედავთ, ეს ფიქრი და ეჭვი სრულებით არ ჰგავს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ოფიცრებისა და გენერლების დამოკიდებულებას კავკასიის დიდი ომისადმი. მათ მტკიცედ და ურყევად სჯეროდათ, რომ საქართველოს სისხლს იღებდნენ, წმინდა შურისგების აქტს ახორციელებდნენ. გრიგოლ ორბელიანი წამდაუწუმ იმეორებს წერილებში: «მე ისინი (შამილის მეომრები _ ა.ბ.) დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღე» (წერილი ყაფლან ორბელიანს); «ჩვენი სისხლი ავიღე შამილის კისრიდამ» (წერილი ბარბალე საგინაშვილს); «ეს სულ საქართველოს სისხლის ღაღადისია» (წერილი ილია ორბელიანს). თენგიზ დარბაშია გრიგოლ ორბელიანის ეპოქის კაცია, მაგრამ უკვე მეოცე საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლების თვალით დანახული. ამდენად, მისი ფიქრი და ტკივილი სრულიად სხვაგვარია.

თუ დემნა შენგელაია აეჭვებს თავის პერსონაჟს და სამართლიანობა-უსამართლობაზე აფიქრებს, მიხეილ ჯავახიშვილი დაცინვით უყურებს კავკასიის დიდ ომში ქართველთა მონაწილეობას რუსეთის მხარეს.

«შამილი დიდ ძალაში შესულიყო და სანადირო მხეცად გადაქცეულიყო. მისი დაჭერა ისეთივე გმირობად იყო მიჩნეული, როგორც ერთ დროს ნაპოლეონის განდევნა იყო მოსკოვიდან. ამიტომ ყველა მას დასდევდა. გაზაფხულზე დაღესტანში გარბოდა და ზამთარის პირას ხელცარიელი მორბოდა. წარჩინება და ფული მაინც მოჰქონდათ და გაუთავებლივ მოელოდნენ ახალ გაზაფხულს, რათა ხელახლა ენადირათ, ახალახალი სოფლები დაეწვათ, ისევე უამრავი სისხლი დაენთხიათ, ქვრივ-ობოლი მოემრავლებინათ, ცრემლის გუბეები დაეყენებინათ და თან ისევ წყევლა-კრულვა, ისევ ორდენები და ისევ ფული წამოეღოთ» («არსენა მარაბდელი»).

კიდევ უფრო მკაცრი იყო ტიციან ტაბიძის შეფასება. იგი არ დააკმაყოფილა არც დაეჭვებამ და არც დაცინვამ. ქართველი გენერლებისა და ოფიცრების საქციელი კავკასიის ომში მან ღალატად მონათლა.

არ მინდა ვიყო მე პოეტი, სისხლით დამთვრალი
და ამ ღამიდან დაწყებული დღე რაც კი გადის,
მე ვწერ პოემას: რომ წარხოცოს თქვენი ღალატი...

რა თქმა უნდა, ეს ღალატი არ ყოფილა. პოეტი მეტისმეტად აჭარბებდა. იგი იყო დიდი დროის მანძილზე ქართველის გულში დაგროვილი ბოღმისა და ვარამის ამონთხევა. საუკუნეების მანძილზე აჩანაგებდა საქართველოს ჩრდილოეთკავკასიის მთიელთა დაუნდობელი შემოსევები. ძარცვა-გლეჯა, რბევა-აწიოკება, პარვა-ქურდობა, ადამიანთა მოტაცება-დატყვევება, ადამიანით ვაჭრობა ახლდა მათ თარეშს. ამან დააკნინა და დააგლახაკა საქართველო პოლიტიკურადაც, სოციალ-ეკონომიკურადაც, დემოგრაფიულადაც. საქართველოში ჩრდილოეთკავკასიელთა აულაგმავმა პარპაშმა გაცილებით საბედისწერო ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას, ვიდრე სპარსეთისა და თურქეთის დაპყრობებმა. კარგა სამი საუკუნის მანძილზე ჩვენში არ არსებობდა უფრო თავზარდამცემი და შემზარავი სიტყვა, ვიდრე «ლეკიანობა» იყო.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის ქართველ ოფიცერთა და გენერალთა გულში ეს ვარამი და ბოღმა ბობოქრობდა. ქართული სული მისი მტანჯველი გავლენისაგან რომ განთავისუფლებულიყო, ბოღმა-ვარამს გამოსავალი უნდა ეპოვნა. უნდა გადმოღვრილიყო. სხვაგვარად ქართული ცნობიერების განთავისუფლება, დამშვიდება ვერ მოხერხდებოდა. განსჯასა და სწორი დასკვნის გაკეთებას მშვიდი გონება სჭირდება და არა აფორიაქებული გრძნობა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასეც მოხდა. გულიდან ბალღამი გადმოინთხა და ბოღმა-ვარამისაგან განთავისუფლებულ ქართველს მშვიდი განსჯის, აწონ-დაწონვისა და დასკვნის საშუალება მიეცა. კავკასიის ომისადმი დამოკიდებულება უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა. «საწყენად დაგვრჩებოდა, _ წერდა პლატონ იოსელიანი, _ შთამომავლობისა და ისტორიისათვის თუ არ მოვუყრიდით თავს დაღესტნის თავისუფლებისათვის მებრძოლ დიდ სახელებს... სასურველი იქნებოდა კავკასიის ილიადასათვის სათანადო პატივი მიგვეგო» („Путевые записки по ..дагестану в 1861 году“).

პ. იოსელიანის სიტყვები ჩეჩნეთ-დაღესტნის ბრძოლისადმი ქართველთა დამოკიდებულების სრულ შეცვლას მოასწავებდა. ეს ცხადად და მკაფიოდ გამოჩნდა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში. ალ. ყაზბეგთან შამილი უკვე გმირია იმ ოცნებისა, რომელსაც, თავისუფლება-დამოუკბდებლობა ჰქვია.

«ეს გახლდათ შამილი, იმამი ჩეჩნეთისა და დაღესტნისა, რისხვის შემყრელი მტერთა, ერთგული და თავდადებული თავის მოძმეთა და მამულისათვის!

იმისი დამშვიდებული სახე, გონივრული და გამომცდელი გამოჭვრეტა აშკარად ამტკიცებდა ჭკუას, ვაჟკაცობას და სიამაყეს, თხელი ტუჩები _ გრძნობას და რამდენიმე ხაზი პირისახეზედ _ ხასიათის სიმტკიცეს» («მამის მკვლელი»).

ამ კაცის გვერდით იდგა ხალხი, რომელიც ყველასა და ყველაფერზე მაღლა თავისუფლებას აყენებდა.

«უნდა მოსულიყო სხვა ხალხი, შემოეტანა სხვა ჩვეულება, სხვა წესები, _ ვინ იცის, როგორი გასაჭირი იქ მცხოვრებელთათვის, _ გაბატონებულიყო სხვა გვარტომობის ხალხი და ჩეჩნეთში ჩამოვარდნილიყო უსამართლობა, ძალა, გაუპატიურება ქალთა და რძალთა... მერე სულ მუდამ სხვა კაცის მბრძანებლობის ქვეშ ყოფნა, იმის წინ ქედის დრეკა და სამსახური!.. მერე ეს სხვანი ვინ იყვნენ? _ გიაურები!.. არა, ჩეჩნელები სიკვდილს ირჩევენ იმათ ხელში ჩაცვივნას!.. ასე ჰფიქრობდა, ასე ამბობდა ყველა ჩეჩენი და ასეც ჰქონდა გადაწყვეტილი...» («მამის მკვლელი»).

მკაფიოდ და ნათლად ჩანს, რომ მე-19 საუკუნეში გამოკვეთილად ორგვარი დამოკიდებულება არსებობდა საქართველოში კავკასიის დიდი ომის მიმართ. ერთი, გამოთქმული გრიგოლ ორბელიანის პირით და მეორე, გამოთქმული ალექსანდრე ყაზბეგის პირით. მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულმა მწერლობამ ალექსანდრე ყაზბეგის დამოკიდებულება გაიზიარა და კიდევ უფრო გააღრმავა. ჩეჩენ-დაღესტნელთა ომი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ არა მარტო თანაგრძნობის, პატივისცემის, თანადგომის საგანი გახდა, არამედ გააზრებული იქნა, როგორც ბრძოლა საქართველოსათვის. თუ გაიმარჯვებდნენ ჩრდილოეთკავკასიელები, გაიმარჯვებენ ქართველებიც. თუ დამარცხდებოდნენ ჩრდილოეთკავკასიელები, დამარცხდებოდნენ ქართველებიც.

ჩეჩნეთ-დაღესტანში მომხდარი მოვლენებისადმი დამოკიდებულების ამგვარ რადიკალურ შეცვლას ორი საფუძველი ჰქონდა.

ერთი ის, რომ ქართველი საზოგადოების შეგნებული და გონიერი ნაწილი ინანიებდა წარსულში დაშვებულ შეცდომას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მონანიებას მაშინ შეიძლება მოჰყვეს შედეგი, შუღლში მონაწილე ორივე მხარე თუ ინანიებს. ცალმხრივ მონანიებას შედეგი არ მოაქვს. ქართული მხარე ინანიებდა, მაგრამ ჩრდილოეთკავკასიელთა მხრიდან არავითარი პასუხი არ ჩანდა. მათ არ გასჩენიათ სინანული და სინდისის ქეჯნა იმის გამო, რომ საუკუნეების მანძილზე აჩანაგებდნენ საქართველოს. არ გაუაზრებიათ ის, რომ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ოფიცრებისა და გენერლების საქციელი ამ დაუნდობელი მტრობით იყო გაპირობებული. ქართული მხარე ჩრდიäოეთკავკასიელთა ამ მონანიებას დღესაც ელის.

მეორეც ის, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტის დამარცხების შემდეგ აუცილებელი იყო ხელახალი ბრძოლისაკენ მოწოდებაც და მომზადებაც. ამ მიზნით იყენებდა 20-იანი და 30-იანი წლების ქართული მწერლობა ალექსანდრე ბატონიშვილისა და შამილის ცხოვრება-საქმიანობას. ისინი კავკასიაში ანტირუსული მოძრაობის რელიეფურად გამოკვეთილი ფიგურები იყვნენ, თუმცა ორივე დამარცხებული.

გაზ. «ახალგაზრდა ივერიელი» №2 (2/VI-8/VI) 1997წ.

ჩანაწერებიდან

ტელევიზია ისე გვასწავლის, ასე არ ვთქვათ, ისე თქვითო, როგორც იაკობ გოგებაშვილის დედაენაში პატარა ნუცა ასწავლიდა თავის თოჯინებს: «ეს არის ანი, ეს არის ბანი, ისწავლეთ ჩემო კუდრïჭებოო». ტელევიზია არ არის დამნაშავე, ჩვენი განათლების დონე პირველი კლასის მოსწავლის დონემდე დავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი საქართველო უცხოეთში სწავლობს.

* * *

ქართველი ხალხის და საქართველოს სიმცირის გამო ქართული ენის გვერდით ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის არსებობდა რომელიმე დიდი ენა _ ხან ბერძნული, ხან არაბული, ხან სპარსული, ხან თურქული. თუ ლეონტი მროველს დავუჯერებთ, ისეთი დროც ყოფილა, როცა ქართველები სომხურად ლაპარაკობდნენ და ქართლში ექვს ენაზე მეტყველებდნენ. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე კი რუსული იყო გაბატონებული. ადრე ეს ნაკლებ საშიში იყო, რადგან არც პრესა არსებობდა, არც რადიო-ტელევიზია და არც წიგნისათვის იკლავდა თავს მაინცდამაინც ქართველი. გ. ლეონიძეს «შაჰნავაზიანის» წინასიტყვაობაში ერთი ქართველი თავადის ნათქვამი მოაქვს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების №1532 დოკუმენტიდან _ «წიგნები მხოლოდ მღვდელმა უნდა იცოდეს და სომეხთა, რომელნიც მდივნებად არიან ან ვაჭრად»-ო. ახლა ვითარება გართულებულია. ტექნიკური ცივილიზაციის წყალობით, ყოველ ოჯახში შეიძლება მოვისმინოთ გადაცემა, რომელ ენაზეც გნე-

ბავთ. არაფერს ვამბობ მოდად გადაქცეულ ინგლისურზე, რომელიც Мадам из Зестафони!-ს ვარიანტია. ენების ცოდნა კარგია და ღმერთმა ყველას მოუმართოს ხელი, ვინც ბევრი ენა იცის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს ქართული აბუჩად ავიგდოთ და უმოწყალოდ და უნუგეშოდ დავამახინჯოთ.

იმ დროს ვუახლოვდებით, როცა ქართლში ქართული ენა არ იზრახებოდა. რუსული რუსულად დარჩება, მას მოდური ინგლისური მიემატება, თურქულ-სპარსულიც ფეხს მოიკიდებს, რადგან ჩვენ ეკონომიკას ისინი ეუფლებიან და ქართული, ჯერჯერობით, ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ თავად ქართულ მწერლობას და ჟურნალისტებს აღარ აწუხებთ ქართული ენის ბედი, პირიქით, რამდენადაც ნატურალისტურად გადაიტანენ ქუჩურ მეტყველებას, მეტ სანაქებო საქმედ მიაჩნიათ... სულ სხვა იყო ქართული მწერლობის დამოკიდებულება ჩვენი ენისადმი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. თუნდაც ქართველი მეცნიერების ზრუნვა ქართულ ტერმინოლოგიაზე. ახალი შექმნან კი არა, იმასაც კი უარყოფენ, რაც შექმნილია. რასაც ქართულ პარლამენტში ენერგომატარებელს ეძახიან, იმას ენერგიაშემცველი ჰქვია. ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის განმარტებით ასეა _ ვიღაცამ ერთხელ შეცდომით იხმარა ერთი ტერმინი მეორის მაგიერ და ახლა პრეზიდენტით დაწყებული პარლამენტის დარაჯით დამთავრებული გაიძახის იმას _ უბატონოდ არსებობა ვერ წარმოგვიდგენია და რუსული თუ არა, ინგლისური მაინც!

თბილისში შემთხვევით გავლილი ინგლისელი თუ ამერიკელი, თუ გნებვთ ავსტრალიელიც, ვერ მიხვდება, რომელია პოლიციის მანქანა, თუ არშინიანი ასოებით არ დავწერთ Police? ანდა პოლიციელს ზურგზე არ წავაწერეთ. რითიმე ჰგვანან მაინც ან ამერიკელ ან ინგლისელ პოლიციელს ქართველი პოლიციელები.

მარტო ის არ კმარა, ზურგზე გეწეროს Police. რითიმე უნდა ჰგავდე კიდეც მას, ვისი მშობლიური ენაც ინგლისურია.

* * *

ლევან მეტრეველს 1926 წელს გამოუცია «ქართული ანდაზები». წინასიტყვეობაში წერს: «ჩვენი ყოველი მამულიშვილის დაბეჯითებულ ცდას უნდა შეადგენდეს, რომ აღადგინოს ქართული ენა, ქართული სული და ყველაფერი ის, რაც ეროვნულ საგანძურად მიუჩნევია ჩვენი სამშობლოს სიყვარულით აღგზნებულ გულს... ამას მოითხოვს სილამაზე, თანაც სიმაღლე და უფრო მეტად კი _ სიყვარული ქართული ენისა...»

* * *

ქართული ენის გამდიდრება:
კ. გამსახურდია
მიხ. ჯავახიშვილი
დ. შენგელაია
ლ. გოთუა
გ. ლეონიძე
ი. გრიშაშვილი

ვ. ბარნოვი

* * *

«ერი მასალას იძლევა ენისას, ხოლო ამ ერისავე გენია მწერლის პირით, ხარისხს ანიჭებს ენას».

. . .

«არსად, არასოდეს, არცერთ ხუროთმოძღვარს კარგი საყდარიც კი არ აუგია პროვინციაში, უკეთუ მას რომელიმე ბრწყინვალე ტაძარი არ უნახავს სატახტო ქალაქში სადმე. ნურავის ჰგონია, ადამიანს მარტოდენ ტალანტი ყოფნიდეს ამ საქმეში. ან ენის გენია ჰკმაროდეს. დედის მუცლიდან იმანენტურად თანდაყოლილი პრიმიტივების და უნივერსალური ვუნდერკინდების ამბავი ცარიელი ლაყბობაა. «ინსტიქტური მწერლობა» ჩვენს საუკუნეში ანაქრონიზმად უნდა იქნეს მიჩნეული.

საკუთარი ენის გაღრმავება და გაალმასება, ისევე დიდი საქმეა, როგორც ხმალშემართული დაცვა მამულისა, მხოლოდ ეგაა, მეომარი ერთ ომში იცავს თავის ქვეყანას, ხოლო შემოქმედი ნაციონალური ენისა ამას მიელტვის სამარადჟამოდ, სადენი გაუკეთოს საკუთარი ხალხის შემეცნებას და მსოფლგაგებას».

კ. გამსახურდია «ლიტ. ქართულისათვის»,
«ლიტ. და ხელოვნება» №28 (81), 1945 წ., 23 აგვისტო

* * *

მძიმე ისტორიულ პირობებში, როცა ქვეყანა სხვისი მონაა, ყოველი მოღვაწე გაორებულია. თუ უნდა, თავისი ქვეყნისათვის სასარგებლო რამ გააკეთოს, ბატონსაც უნდა უკმიოს გუნდრუკი. ამიტომ ძალიან გამოწვლილვით უნდა გაანალიზდეს, რა დოზით უკმევდა ბატონს გუნდრუკს და რა დოზით ემსახურებოდა სამშობლოს. საქართველო მისი ისტორიის უმძიმეს მანძილზე სხვისი მონა იყო და ქართველი მოღვაწეც ყოველთვის გაორებული.

ამიტომ მათი ღვაწლი ამ პოზიციით უნდა გაანალიზდეს.

* * *

1937 წლის 5 ივნისს «პრავდაში» გამოქვეყნდა ლ. ბერიას სტატია «მეათე ყრილობის შედეგები», რომელიც გადმოიბეჭდა «მნათობში» №5. აქ ბერია წერდა:

«უკანასკნელ დროს განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა ქართული საბჭოთა პოეზია. ქართული პოეზია გამდიდრდა ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით. პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი. ბელადის სახეს, როგორც ყველა ჩვენი გამარჯვების სიმბოლოს, დიდი შემოქმედებითი აღტყინებით უმღერიან ჩვენი პოეტები. საუკეთესო სიმღერები და ლექსები თავმოყრილია ამასწინათ გამოსულ წიგნში «ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე». დიდი სტალინის სახე დახატულია მთელ რიგ დრამატულ და პროზაიკულ ნაწარმოებებსა და საქართველოს მხატვართა სურათებში» (გვ. 9).

სტალინიადა
(ჩანაწერებიდან)

გეგმა (როგორ უნდა აიგოს ეს თემა):

«ჩამოყალიბებაში» _ უნდა აისახოს, როგორ ყალიბდებოდა ლენინისტი, რაც იგივე სტალინისტია. არცოდნის საფუძველზე, ისტორიის, ზნეობის, სოციალური სინამდვილის გამოგონებული მოდელის მიხედვით, ხელს როგორ უწყობდა ამას ხელოვნება.

«რღვევაში» _ სტალინის სიკვდილის შემდეგ, როგორ აღმოჩნდა გაიგივებული სოციალიზმი და სტალინი და როგორ დაინგრა სტალინის კრიტიკით სოციალიზმი.

«განადგურება» _ «პერესტროიკის» დროს მომხდარი ამბები.

* * *

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა შეამჩნია საქართველოს ისტორიის ერთი კანონზომიერება, რომელიც მან ასე გამოთქვა: «თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინამცა გენახნეს ნაქმნარი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი». როგორც ხედავთ, დავით აღმაშენებელს პიროვნულად, როგორც პოლიტიკოსსა და მხედართმთავარს, გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდაო, ამბობს მემატიანე, ვიდრე საქართველო, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო მას აძლევდაო. მაშასადამე, დასმულია პრობლემა ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობისა.

ეს პრობლემა ალექსანდრე მაკედონელის წინაშეც იდგა. პლუტარქეს სიტყვით, ყმაწვილ ალექსანდრეში როცა მამამ _ მეფე ფილიპემ, შეამჩნია მსოფლიო დამპყრობელი, შვილს უთხრა თურმე: «შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევს!..» აქაც ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობის პრობლემა დგას. ალექსანდრესაც მძლავრი ქვეყანა სჭირდება, ის საქმე რომ გააკეთოს, რის გაკეთებაც უფალმა დაავალა.

ნაპოლეონიც დგას ამ პრობლემის წინაშე. პატარა კორსიკა ვერ მისცემს მას იმ ძალას, რაც მას სჭირდება ევროპის დასაპყრობად. ამისათვის იგი საფრანგეთის იმპერატორი უნდა გახდეს.

ხედავთ, რომ ალექსანდრე მაკედონელს, დავით აღმაშენებელს, ნაპოლეონს ერთნაირად აქვთ გადასაწყვეტი ის პრობლემა, რასაც პიროვნების ძალისა და ქვეყნის ძალის შეუსაბამობა ვუწოდეთ. სტალინიც ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ბესო ჯუღაშვილი მეფე რომ ყოფილიყო, ალბათ, ისიც ფილიპე მაკედონელივით ეტყოდა შვილს: «შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, საქართველო შენ ვერ დაგიტევს».

სტალინი მსოფლიო იმპერïტორად გააჩინა უფალმა, ამიტომ მას ისეთი ქვეყანა სჭირდებოდა, რომელიც მსოფლიო იმპერატორობის საშუალებას მისცემდა. ასეთი ქვეყანა რუსეთი იყო. სტალინიც რუსეთის იმპერიის მბრძანებელი გახდა. იგი საქართველოში ვერ დარჩებოდა. იცით კარგად, ვეშაპები შავ ზღვაში არ არიან. პატარაა მათთვის შავი ზღვა და იმიტომ. ვეშაპს ოკეანე სჭირდება, რომ იცოცხლოს. ასევე

სჭირდებოდა ოკეანე ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონს, სტალინს. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მათ თავიანთი პატარა სამშობლო არ უყვარდათ. მაგრამ უყვარდათ იმდენად, რამდენადაც ამის უფლებასა და საშუალებას დიდი ქვეყნების მბრძანებლობა აძლევდა. ნაპოლეონს კორსიკა იმდენად უყვარდა, რამდენადაც ამის უფლებას საფრანგეთის იმპერატორობა აძლევდა. სტალინსაც იმდენად უყვარდა საქართველო, რამდენადაც ამის უფლებას რუსეთის ხელმწიფობა იძლეოდა. ეს ურთიერთობა ტრაგიკულია. ტრაგიკულია ქვეყანაც, რომლის შვილი თავის ძალასა და ნიჭიერებას სხვა ქვეყნის საკეთილდღეოდ ხარჯავს. ტრაგიკულია ადამიანიც, რომელიც სამშობლოს ნაცვლად სხვა ქვეყანას ემსახურება. მაგრამ ამ ტრაგიზმს ვერავინ ვერსად გაექცევა, რადგან უზენაესმა ინება ასე. ტრაგიკული იყო როგორც პიროვნება, დავით აღმაშენებელიც, რადგან საქართველოს სიმცირემ მას არ მისცა საშუალება მისი კოლოსალური შესაძლებლობის განხორციელებისა. ამას დასტირის კიდეც მემატიანე.

ასე რომ, სტალინი (და საქართველოც) მსხვერპლია იმ შეუსაბამობისა, რომელიც ეგზომ ბრძნულად ამოიცნო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა.

1997წ., თებერვალი

* * *

წყევლა ხომ გაგიგონიათ, დედა როè წყევლის შვილს: შენ მოუკვდი დედაშენს... შენ დაგაყარე მიწა... რატომ მუცელში არ გამიწყალდი... შენი კუბო დავდგი... შენ არ გაიხარე... იფრქვევა ასე შემაძრწუნებელი სიტყვები, მაგრამ მათი არავის ეშინია _ არც დედას, არც შვილს, არც შემთხვევით მსმენელს. ყველამ ჩინებულად იცის, რომ ამ წყევლაში ლოცვაა და არა მართლა კრულვა. ამიტომ შვილიც არხეინად ისმენს დედის სიტყვებს და გულში სიცილით კვდება. დედაც სულ ტყუილად ქოთქოთებს, რაკი გულში იმავდროულად ღმერთს ევედრება, შენი მფარველობა არ მოაკლოო ჩემს შვილსო. გარეშე მსმენელსაც ღიმილი გადაჰფენია სახეზე: იმანაც ხომ ზედმიწევნით იცის დედის წყევლის ფასი და არსი.

რატომ გამახსენდა ეს? როგორც დედის წყევლაა ფორმით ერთი და შინაარსით მეორე, ასევეა ფორმით ერთი და შინაარსით მეორე დღეს ტოტალურად გაჩაღებული სტალინის ლანძღვა-გინება. სიტყვით სტალინის გინების კორიანტელია დაყენებული, ქვეტექსტით კი მისი პიროვნებით გამოწვეული აღტაცებაა გამოვლენილი.

წერია: ლენინიც მაგ გველისწიწილას მოუწამლავს. გულისსკნელში კი ზეიმია: ნახე, რა ბიჭია, ეს უბედური ლენინიც იმას არ გაუსაღებია?!

წერია: კიროვის მკვლელობაც იმ ჯალათმა მოაწყო. გულისსკნელში კი ზეიმია: მხეცი იყო, ყველაფერს ისე აწყობდა, რომ ბოროტმოქმედების კვალს არ ტოვებდა. ამდენს აგინებდნენ, მაგრამ დანაშაულის ერთი დოკუმენტიც ვერავინ იპოვნა.

წერია: მეხიკოში კაციჭამია სტალინის მიერ დაქირავებულმა აგენტებმა გაუხეთქეს ტროცკის თავი. გულისსკნელში კი ზეიმია: უყურე შავყვ...ს, მეხიკოშიც ყველა გამოჭერილი ჰყავდა და, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა.

წერია: სისხლში ბანაობდა. მილიონობით ადამიანი ჰყავს გაწყვეტილი. გულისსკნელში კი ზეიმია: თუ ხარ, უნდა იყო კიდეც კაცი. თან მილიონები

გაჟუჟო და თან იმ გაჟლეტილი მილიონების მშობლები, ცოლ-შვილი, ნათესავ-მეგობრები დღედაღამ გიგალობდნენ _ «ლენინივით გიწოდებ მეც მგზნებარე კოლხიდელს, რა იქნება, ძვირფასო, ერთხელ გორშიც მოხვიდე?.. ნუთუ არ გენატრება ის ადგილი, ის მხარე, სადაც ფეხი აიდგი, სადაც გულით იხარე?..»

ასეა: სიტყვით ლაფს ვასხამთ თავზე, გულისსკნელში კი ვნატრობთ მის დაბრუნებას, ანუ უფრო სწორად, მისი ბადალი დიქტატორის მოვლინებას.

არიან ადამიანები, რომელნიც ლეგენდისათვის იბადებიან. ასეთი ყოფილა სტალინიც. ჯერ შევქმენით ლეგენდა _ სტალინი ღმერთია. ახლა ვქმნით ლეგენდას _ სტალინი სატანაა. თუ ეს ლეგენდა საბოლოოდ შევქმენით, ეს იქნება იმის მაუწყებელი, რომ სსრკ-ის მოქალაქის ცნობიერება ვერასოდეს გათავისუფლდება სტალინისაგან. ხან ღმერთად მოგვევლინება იგი, ხან სატანად. ხოლო, თუ სტალინისაგან არ გათავისუფლდა საბჭოელი ადამიანის ცნობიერება, ეს იმის უტყუარი საბუთია, რომ არც ერთიან უნიტარულ სსრკ-ში და არც ეროვნულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლილ სსრკ-ში არასოდეს დამკვიდრდება პიროვნების თავისუფლება, აზრის თავისუფლება, დემოკრატიული ზნე-ჩვეულებანი.

დიქტატურა რომ სულითა და გულით ენატრებათ, ეს ნათლად გამომჟღავნდა სულ ახლახან, 1990წ. 16-17 ნოემბერს, სსრკ-ის უზენაესი საბჭëს სესიაზე. დეპუტატთა მთელი კორპუსი არსებითად მუხლებზე დაჩოქილი ევედრებოდა მიხ. გორბაჩოვს, იდიქტატორე და ყველას განუკითხავად თავში უჩაჩქუნეო. იმას კი არავინ კითხულობდა, შეძლებს თუ ვერა დღევანდელი პრეზიდენტი დიქტატორობას.

დიქტატორებად იბადებიან. თუ ღმერთმა ეს უნარი და თვისება არ გიბოძა, რამდენიც უნდა მოინდომო, დიქტატორი ვერ გახდები. ბუნებით დიქტატორი ხომ საშინელებაა, ათგზის უფრო დიდი უბედურებაა მონდომებით ან იძულებით დიქტატორი!.. ბუნებით დიქტატორი მონურ წესრიგს მაინც ამყარებს. მონდომებით ან იძულებით დიქტატორი კი ვერაფერს ახერხებს.

* * *

ახლა ბევრი იწერება და ბევრი ლაპარაკია: სტალინმა ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ხალხი აყარა და შუა აზიასა და ციმბირში გადაასახლაო. ამითაც ხსნიან იმ დიდ წინააღმდეგობებს, რაც ამჟამად ამიერკავკასიაში ხდება. რა თქმა უნდა, აქ ბევრი სიმართლეა, მაგრამ ეს მოვლენა ბევრად რთულია, ვიდრე ამას დღეს წარმოვიდგენთ.

არც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, არც ყირიმელი თათრები, არც ყალმუხები და არც სხვები სტალინს იმიტომ არ აუყრია და გადაუსახლებია, რომ ისინი გერმანიის არმიას მხარდაჭერით შეხვდნენ. ეს მხოლოდ საბაბი იყო. ხალხების აყრა-გადასახლება მაინც მოხდებოდა, გერმანია-სსრკ-ის ომი საერთოდაც რომ არ ყოფილიყო. საქმე ის გახლავთ, რომ სტალინი ადამიანისა და ბუნების (მთელი სამყაროს) შეცვლის დემონური იდეით იყო შეპყრობილი. მან ომი ადამიანებს კი არ გამოუცხადა, არამედ ღმერთს. მთელი მისი ცხოვრება არის ექსპერიმენტი იმისა, შეუძლია თუ არა ადამიანს შეცვალოს, გარდაქმნას ის, რაც ღმერთმა შექმნა, რაც ბუნებაა, რაც სამყაროა.

სტალინი შემთხვევით არ უჭერდა მხარს მიჩურინსა და ლისენკოს. მას აინტერესებდა, შესაძლებელია თუ არა ადამიანთა, ხალხთა ისეთი შეჯვარება, როგორიც ხდებოდა მიჩურინისა და ლისენკოს ცდებში. მიიღება თუ არა შეჯვარებით ახალი ერი, ახალი ადამიანი. თორემ მან იცოდა გენეტიკის ფასი, რაკი მხარს უჭერდა გენეტიკის ლაბორატორიებს (შარაგების) არსებობას კონცბანაკებში (მაგ. რესოვსკის ლაბორატორია, სადაც რუსებთან ერთად უცხოელებიც მუშაობდნენ).

სტალინის თეორიაა ერთი ერისა და ერთი ენის შესახებ. ხალხთა გადასახლებაც ამ იდეის პრაქტიკული განხორციელების მცდელობა იყო.

სამყაროს შეცვლას ითვალისწინებდა გეგმაც: შემოებრუნებინათ ციმბირის დიდი მდინარეები კასპიის ზღვისკენ, მოერწყოთ შუა აზიის უდაბნოები. ის წონასწორობას არღვევდა, რაც ბუნებას შეექმნა. ამის საპირისპიროდ სტალინი თავის კანონზომიერებას ქმნიდა.

* * *

I. ვითარება: მძიმე. ერთგულება გადარჩენის გარანტიას არ იძლევა. პროლეტარული მწერლობა.
II. მეცნიერების განვითარების შედეგად ადამიანის დაპროგრამების ეშინია მწერლობას.
III. სტალინი არ არის უბრალო დიქტატორი. იგი ადამიანისა და სამყაროს შეცვლას აპირებს. მარქსი _ სამყარო უნდა შეიცვალოს.
   ა) მიჩურინი, ლისენკო, ბერბანკი _ თუ მცენარის შეცვლა შეიძლება, რატომ არ შეიძლება ადამიანის?
   ბ) პავლოვის ძაღლი _ თუ ძაღლს აქვს პირობითი რეფლექსი, რატომ არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს?
IV. არ იქნება ენები, ერები _ ერთი ენა, ერთი ერი. ხალხთა გადასახლებანი.
V. სტალინის მასშტაბი იწვევს გაოგნებას. სახოტბო პოეზია არ არის უბრალო სახოტბო პოეზია _ მითოლოგიზირებულია სტალინის პიროვნება: ლეონიძის ხაზი _ გალაკტიონის უსახელო გმირი.

* * *

მდინარეების მობრუნება
სამყარო უნდა შეიცვალოს
ჩვენ არ დაველოდებით ბუნების მოწყალებას.

* * *

ჩვენ 40-იან წლების ბოლოს ვმღეროდით, სურათებს ვუყურებდით, სადაც მაო და სტალინი ერთად იყვნენ გამოსახულნი. სინამდვილეში კი სტალინი დასცინოდა თურმე მაოს. მწერალი იურო ვლასოვი, რომლის მამა (ვლადიმიროვის ფსევდონიმით) ყოფილა საბჭოთა შპიონი ჩინეთში, ამბობს _ „Сам Сталин говорит о маоизме очен резко. ПюКю Пономаренко, секретар ЦК, ВКП (б), расказивал мне, что на одном из заседаний Политбюро Сталин сравнил маоизм с редиской – красной снаружи и

белой внутри. Именно Сталин дал Мао ироническую кличку «Пугачев» (под ней он проходил в секретных донесениях), говорившую о том, что он не считал Мао марксистом, а скорее крестьянским вождем» (Аргументы и Факты», 1990 г. №18).

გეგმები[1]

1. პოეზია, რომელიც ბელადს აქებს. ჩვეულებრივი პანეგირიკი, რომელიც არასოდეს ყოფილა უცხო ლიტერატურისათვის.
   (ეზრა პაუნდი _ მუსოლინი, კნუტ ჰამსუნი _ ჰიტლერი)

2. ნიმუშები. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ამაში დაგვენახა მხოლოდ სახოტბო ლირიკა.
3. ღმერთის უარყოფა. ათეიზმი. ზეკაცის ძებნა საერთოდ (ნიცშე). ლენინს აქებს რობაქიძე, ჰიტლერს, მუსოლინს. სტალინისადმი დამოკიდებულება _ ღმერთისატანა.

4. ქართული ნიჰილიზმი. ხევისთავის სახის შექმნა. ყვარყვარე. ეროვნული ენერგიის სისუსტე და ძებნა პიროვნების. რაკი ერს თავისთავის იმედი არა აქვს.

რამ გამოიწვია სტალინისადმი ასეთი დამოკიდებულება? რატომ არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ სახოტბო ლირიკით?

1921 წლის თებერვალ-მარტის დამარცხებამ სასოწარკვეთილება გამოიწვია ჩვენს ხალხში. 20-იან წლებში დაიწერა ნიკოლო მიწიშვილის _ «ფიქრები საქართველოზე». («ქართული მწერლობა», 1926წ. №4-5).

სერგი დანელიას _ «ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი», 1927 წ.

კონსტანტინე კაპანელის _ «ქართული სული ესთეტიკურ სახეებში», 1926წ. და სხვა.

ალ. აბაშელი:

ჩემი თაობის უილაჯობა
დღეს სამარცხვინო დაღად მაჩნია.

* * *

1. სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები.
2. აშკარად ჩანს ორგვარი დამოკიდებულება
   ა) კ. გამსახურდიას _ ნიმუში
   ბ) გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი _ მითოლოგიურობა
   გ) გ. ტაბიძე, გ. რობაქიძე _ დემონი
   («სამშობლო შავი ლუციფერის»)
   დ) ღმერთის წინააღმდეგ ამხედრება «დიონისეს ღიმილში»

ველსკის და ორბელის საუბარი «გრაალის მცველნში».

* * *

კარგად ცნობილია: კომუნისტებმა, უფრო სწორად, ბოლშევიკებმა, იდეოკრატიული სახელმწიფო შექმნეს. სსრკ-ში თანაბრად ასხამდნენ ხოტბა-დიდებას როგორც კომუნიზმის იდეას, ისე მის თეორეტიკოსებს და პრაქტიკოსებს. კაცობრიობის ისტორიაში არცერთ მეფეს, იმპერატორს, დიქტატორს სიზმრად არ უნახავს პანეგირიკული ლიტერატურის ის ზღვა, რაც ლენინისა და სტალინის ირგვლივ შეიქმნა. ლენინსა და სტალინს მარტო ისინი არ უმღეროდნენ, ვინც სსრკ-ში ცხოვრობდა. არც უცხოელებს დაუზოგავთ სიტყვა და კალამი. ეს იყო წარღვნა, ალბათ, უფრო ძლიერი, ვიდრე ის, ბიბლიურმა ნოემ რომ იხილა. ბევრს მაშინაც უკვირდა ეს თავშეუკავებელი ხოტბა-დიდება, მაგალითად, ლიონ ფოიხტვანგერს.

«მან მხრები აიჩეჩა, როცა შევნიშნე, რომ უგემოვნებობაა და გაზვიადებული მისი პიროვნების თაყვანისცემა. თავის გლეხებსა და მუშებს ნამუსი იმით მოსწმინდა, რომ თქვა _ ისინი ძალიან დაკავებულნი იყვნენ სხვა საქმეებით და ვერ მოახერხეს გემოვნების ამაღლება. იხუმრა კიდეც ულვაშებიანი კაცის ასიათასობით უზომოდ გადიდებულ პორტრეტებზე, დემონსტრაციებზე მის თვალწინ რომ გაიელვებენ».

* * *

«ალექსანდრეს არ სწამდა თავისი ღვთაებრიობა და არც ამაყობდა ამით. მის ღვთაებრივ წარმოშობაზე გავრცელებულ აზრს იგი იყენებდა, როგორც საშუალებას სხვა ხალხების დასამორჩილებლად» (პლუტარქე).

* * *

უბრალო მეხამლე იყო ბესარიონ ჯუღაშვილი.

ეკატერინე გელაძე წერაკითხვის უცოდინარი ქალი იყო, თორემ მეფე ფილიპესავით ეტყოდა შვილს, «შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევსო!»

* * *

ეკატერინე გელაძის გვერდით არავის უნახავს მწოლარე ღმერთი ამონი, მისი ქორწინების ღამეს ქუხილიც არავის გაუგონია და არც მეხი დასცემია მუცელზე, არც არავის უწინასწარმეტყველებია, დედოფალი ფეხმძიმედ არის და შობს ვაჟს, რომელსაც ცეცხლის ძალა ექნება და ლომის გულიო.

* * *

1. ლენინიადა, სტალინიადა, ბერიადა (სახელმწიფო პოლიტიკა)
   ა) ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სახოტბო ლირიკა ყველა მწერლობაში არსებობს _ «თამარიანი», «აბდულმესია», «თამარს ვაქებდი მეფესა სისხლისა ცრემლდანთხეული», ტოღრულ-შაჰი-ნიზამი «ხოსროვი და შირინი»...

ბ) პოეტი ემოციური არსებაა და მის აღტაცებას ძლიერი პიროვნება იწვევს ეზრა პაუნდი _ მუსოლინი, კნუტ ჰამსუნი _ ნაციზმი. უცხოელი პოეტების მიერ სტალინის ქება. გ. რობაქიძე _ ლენინი, მუსოლინი, ჰიტლერი.

გ) საქართველოში სტალინი მითოლოგიზირებულია იქაც, სადაც აქებენ და იქაც, სადაც აძაგებენ.

* * *

იბადებოდა...
ქვეყნის სიცოცხლე თითქოს იმ აკვანს ფესვით მიეგა.
იბადებოდა ქალდეველ მონის,
რომის პლებეის შურისძიება.
იბადებოდა... და ისტორიამ
დაგვიანებით მაინც მოხედა, _
მზის მოქალაქე _ ჰელიოპოლიტს
და ძველ ეგვიპტეს მეამბოხეთა:
ამირანს, სპარტაკს, გრაკხებს და მრავალს,
ვინც აჯანყების დროშამ მოხვეტა!
არისტოტელეს აზრში ნასახი,
იმედი ხალხთა, დაუბერები _
იუდეველის, გერმანელ გლეხის
და ინგლისელი პაუპერების,
ძველ იტალიელ ხელოსან-ქარგლის,
თაბალ-მოსოხის მჭედელ-ხუროთა
წითელ ხანძრების წითელი ქაფი,
და ქარიშხალი ვისაც სწყუროდა!

გ. ლეონიძე, *ერთტომეული, 1954წ., გვ. 542-43.*

* * *

სტალინის მითოლოგიზაცია

«ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე», კრებული, 1937წ.

სანდრო შანშიაშვილი _ *«იოსებ სტალინს»:*

ამით შენს სახეს ვერ გïმოვკვეთავ.
ან თვით იმ გრიგალს, ზეცას რომ გრაგნის,
ზვირთებს აგორებს, სალს ანგრევს ზარით,
ან ამოხეთქილ მთას, ცეცხლით მქშინავს,
აგრიალებულს ღველფიან ღვარით... *(გვ. 84).*

სიმონ ჩიქოვანი _ *«სიმღერა სტალინზე»:*

შენ გამოგყვა სწრაფვა სრული
არაგვის და რიონისა,

შენ გამოგყვა ქვეყნის გული,
ძვლები კავკასიონისა. (*გვ. 86*).

ალიო მაშაშვილი _ *«სამშობლო ბელადისა»:*

დაუშრეტელი ცეცხლის დენა ხარ,
ღელვა მზის შუქით განათებული,
გაუტეხელი ქვეყნის ნება ხარ,
ხალხის გენიად დაბადებული (*გვ. 48*)

ილო მოსაშვილი _ *«ბელადს»:*

სხვა _ სამშობლოში სამშობლოს ნატრობს,
მიწაზე დადის _ არა აქვს მიწა,
ჩვენ კი, ბედნიერ სამშობლოს პარტონს,
შენი სახელი მიგვიძღვის ფიცად:
ზეცაში _ მფრინავს, ბრძოლაში _ მხედარს,
ვაჟკაცს _ ზღვასავით გაშლილ ყანაში,
და ბავშვი, როცა შესცქერის დედას,
უსმენს და თითქოს სიზმარში გხედავს;
შენებრ მშობლიურ იავნანაში.
და როცა დილა, მთების ფიწალზე
ღრუბლის ბულულებს ლურჯად შეღებავს,
იგრძნობს სულდგმული დედამიწაზე
შენი გულის და ხელის შეხებას.
დგება ბალახი, აცახცახდება,
მოვარდნილ სითბოს წყალივით დალევს;
ტკბილი ოცნება ცხადად ახდება,
და შენი სახე ცაზე დახვდება
ქვეყნის პირველად გახელილ თვალებს (*გვ. 60*).

სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებში, რა თქმა უნდა, პირველი არის სახოტბო ლირიკა, განმადიდებელი, მეორე მითოლოგიზირება. ეს არის ჩვენთვის მთავარი, რადგან მითოლოგიზირებას ყოველთვის არ მიმართავს სახოტბო ლირიკა. რაღაც განსაკუთრებული უნდა დაინახო მწერალმა, რომ მითოლოგიზირება მოხდეს, სულერთია, დადებითი თუ უარყოფითი კუთხით. (სახოტბო ლირიკა ყველა დროში და ყველა ქვეყანაში არსებობდა).

ვალერიან გაფრინდაშვილი _ *«ოცნება ბელადზე»:*

ეს ოცნებაა თვითეულ მხატვრის,
ეს არის ფიქრი ყოველ პოეტის _

ასახონ იგი, ვით თვალი ნატვრის
და შთაგონება მთელ საბჭოეთის (*გვ. 19*)

შალვა აფხაიძე _ *«სტალინ»:*

აზვირთებული დიდი ვნებანი
ეპოქის სვეტო, შენსკენ ილტვიან,
სტალინ, _ გრგვინავენ წყალნი და ქვანი,
სტალინზე მთებიც ზღაპრებს იტყვიან (*გვ. 12*)

ნესტორ მანიძე _ *«სტალინის მზე»:*

აჭარელი წყალსაც არ სვამს,
რომ სტალინი არ ახსენოს (*გვ. 45*)

კონსტანტინე ჭიჭინაძე _ «სტალინისადმი» (კავკასიონს ადარებს სტალინს, რომელიც «შეჰყუდებია ცას ტიტანივით»)

ის კი პიტალო კლდეს აკალოებს,
ამოზიდულან ძარღვები კისრის,
და ზეაწყვეტილ რკინის პალოებს
ზღვების გადაღმა შხუილით ისვრის (*გვ. 93*)

(ამ ლექსში სიტყვების გროვაა და ვერაფერს გაიგებთ, მაგრამ სტალინი რომ მიწიერი არსება არ არის, ეს კი ჩანს).

* * *

ისინი, ვინც აგინებენ, სატანას ადარებენ:

გალაკტიონი: პროტაგონისტი, რომელსაც სახელი არ აქვს, მაგრამ აშკარად სტალინი იგულისხმება.

უნდობელია მისი გენია,
არც შერბილება, არც შეცოდება,
ჯერ დედამიწას არ მოსმენია
მსოფლიოს ბაგეთ ასე გოდება.
ყოველ გულს ნამავს შხამიან ნესტრით,
სულს ხორციელის ეხება დანა,
გრგვინავს ორკესტრი, გრგვინავს ორკესტრი,
მას დირიჟორობს თვითონ სატანა.

(*უთარიღოა*)

გაშლილო ველო... ტყვიების კოხის...
რაა წამება თქვენთან იობის,

აქ საიდუმლო პატარა ქოხის
საიდუმლოა კაცობრიობის...
ვინ? ამნაირი გამოძახილი
არაფერს ქვეყნად ჯერ არ ჰქონია,
ამას ნამდვილი არ აქვს სახელი,
მისი სახელი ლეგიონია.

მარკოზი. V. 9. (სოფელი ღადარინელთა. კაცში ჩასახული ეშმაკი განდევნა ღორების კოლტში: «და ჰკითხა მას: რაი არს სახელი შენი? და ჰრქუა მას: ლეგიონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ» (ლუკა. VIII.30).

საგურამო

სახე ნერონის თუ თემურ-ლენგის
კედლით გიღიმის
ის სიმბოლოა გულწრფელი ჩანგის
გაწყვეტილ სიმის.

(გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი, ტ. VII, გვ. 119. 1972წ.)

სისხლი

საშინელია, იგრძნო უეცრად,
რომ აღარ დგანან ძველი კაკლები.
შენი სახელი მათ მიუეცრად _
მხეცი! არც მეტი და არც ნაკლები.
რომ მუხლებამდე სისხლის მორევი
გსვრის და მშობლიურ ცხედრებს ეხები,
კმაყოფილი ხარ მათი მორევით,
ყელამდე სისხლში მიდის ფეხები.
შენ გახარებს, რომ სისხლის მიზეზი
ხარ და თანა გდევს ხალხის გოდება,
შენ ბოროტება ხარ უმტკიცესი,
მკვლელი! ეს არის შენი წოდება.
ო, ყველამ იგრძნო, რომ მოკვდა ყველა
და ყველა გიცქერს მუნჯი ყვედრებით,
შენგნით არავის არ უნდა შველა,
შენ სამარემდე მიხვალ ცხედრებით.
ო, რა თქმა უნდა, ცხედრები მუდამ
სდუმანო, მაგრამ სისხლი მწარდება,
სისხლი იძახის: მკვლელი, იუდა!
სისხლი არასდროს არ დაწყნარდება!
იმედი, შენი ბრძოლის საგანი,

მოულოდნელმა ქარმა ახვეტა,
მოღუშულია შენი საკანი,
ხვალ უსათუოდ გელის დახვრეტა.

(თხზულებანი ტ. VII. გვ. 165)

* * *

სტალინი მითოლოგიურ ასპექტში გადაყავთ: გ. ლეონიძეს «პირს მერცხალი გამოავლეს» და ა.შ. თავად გ. რობაქიძეს «ვრაალის მცველნში» ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც მონობის წინააღმდეგ, აგრეთვე «ჩაკლულ სულში». ის თავი, რომელიც სტალინს ეხება, შეტანილია ესეების კრებულში «მითოსი და დემონი».

* * *

კ. გამსახურდია. რატომ დაწერა _ «ბელადი»:

«როცა «მთვარის მოტაცება» მოვათავე, ერთი უცნობი მკითხველი გამომესაუბრა ქუჩაში. მითხრა: აკაკი, ვაჟა და ილია მუდამ სტიროდნენ, შენი გმირებიც განწირულნი იღუპებიან. მოდი, დაგვიხატე გამარჯვებული გმირები, ისეთნი, რომელთაგანაც ბრძოლა და გაუტეხლობა ისწავლონ ჩვენმა შვილებმა. მაშინ განვიზრახე ეს წიგნი. სტალინის თემა უდიდესია საბჭოთა ლიტერატურის თემატიკაში. მე ვერ ვბედავდი ამ საქმის დაწყებას. მერე, ის იყო, ჩვენი კულტურის გულისხმიერი მესვეური ამხანაგი ლავრენტი ბერია დამეხმარა და გამაბედვინა, ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმიანობისათვის ხელი მომეკიდა.

ამ გიგანტური პიროვნების მხატვრული განსახიერებით მე მინდა ვაჩვენო ჩვენს ახალ თაობას, თუ ვისგან ისწავლონ კეთილშობილი შრომა, თავგანწირული ბრძოლა, სულიერი რაინდობა, ხალხის სიყვარული და ვაჟკაცობა».

«ბელადი», «ლიტერატურული საქართველო»,
1940წ., 12 იანვარი.

* * *

საჭირო იყო ენერგიის გამოვლენა:

კინოსცენარისტმა რეზო კვესელავამ გაზეთში «გეიკო-ექსპრესი» (1993წ. 24 მარტი) მოგონება გამოაქვეყნა. ერთ ოჯახში, წვეულებაზე, გიორგი ლეონიძეს უთქვამს:

_ რა შეფასებასაც უნდა იმსახურებდეს სტალინი, ერთი რამ ცხადია: ის გახლავთ ეროვნული ენერგიის უდიდესი გამოვლენა და სწორედ ამ კუთხით იპყრობს ჩემს ყურადღებას.

ამასვე ამბობს არსებითად კ. გამსახურდიაც.

* * *

გ. ლეონიძის «სტალინი, ბავშვობა და ყრმობა»

ეპიგრაფად აქვს: ***«აქ ჰფლობს ტიტანი _ ცეცხლის მიმტანი,***
ღმერთი პრომეთე» *(სოფოკლე)*

აქ დააბეს ამირანი,

აქ დაარტყეს რკინის ურო.
«სჯობს რომ ვიყო მიჯაჭვული,
ვიდრე ზევესს ვემსახური!»

...აქ მტაცებელთა იყო სადოღე...

«ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე» _
(1937წ., გვ. 97, 99).

* * *

გ. რობაქიძე _ «ჩაკლული სული» (თარგმნა ალ. კარტოზიამ). თავი _ «სტალინის ჰოროსკოპი». აჰრიმანს ადარებს. ესეც აქვს დაწერილი: «სტალინი, როგორც აჰრიმანული სული».

აჰრიმანი სპარსულ მითოლოგიაში ბოროტების უმაღლესი ღვთაებაა. უპირისპირდება აჰურამაზანს (უბრძნესი ღმერთი) _ კეთილი საწყისი (ჩვენი არმაზის წინაპარი ორმაზი).

* * *

კომუნისტური ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში არა მარტო სსრკ-ში, არამედ მთელ მსოფლიოში არსებობდა მრავლისმეტყველი ლენინიადა და სტალიანიადა. საქართველოში ამას ბერიაც ემატებოდა. ეს ყველასათვის კარგად ცნობილია, ვისაც პოეზია უყვარდა და თვალყურს ადევნებდა მას. განსაკუთრებით გასაკვირი აქ არაფერია. ყველა დროში და ყველა ქვეყანაში არსებობდა სახოტბო ლირიკა და იყვნენ კარის პოეტები. არა თუ მეფეებს, ცალკეულ ფეოდალებსაც ჰყავდათ შესხმა-ქების ოსტატები და ხშირად ძალიან ნიჭიერნიც. სახოტბო ლირიკის უმშვენიერესი სტრიქონებია «ვეფხისტყაოსანში» («თამარს ვაქებდåà მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული...»), რომ არაფერი ვთქვათ «თამარიანსა» და «აბდულმესიაზე».

ალექსანდრე პუშკინსაც უძღვნია ამაღლებული სტროფები ალექსანდრე პირველისადმი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნიკოლოზ პირველისადმიც კი, თუმცა პოეტს ბევრი არაფერი ჰქონდა სასაყვედურო ხელმწიფისადმი. ნიკოლოზ პირველი ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდა მას. როცა ალექსანდრე პუშკინი დუელში დაიღუპა, მთელი რუსეთი გააკვირვა მეფის გულუხვობამ პოეტის ოჯახისადმი. პუშკინის სიკვდილის მერე, ვოლკონსკაია პეტერბურგიდან ეკატერინა კინდიაკოვარაევსკაიას ციმბირში წერდა:

«მართლაც ხელმწიფემ უსაზღვროდ ბევრი გააკეთა მათთვის (პუშკინის ოჯახის წევრებისათვის _ ა. ბ.). ჯერ ათი ათასი მანეთი მისცა საწყალი პუშკინის დასამარხავად. გადაიხადა ყველა მისი ვალი. დაგირავებული მამული დაიხსნა ვალებისაგან. პენსიით, თერთმეტი ათასი მანეთით, უზრუნველყო მისი ქვრივი და შვილები. როგორც კი მისი ბიჭები იმ ასაკისა გახდებიან, როცა პაჟთა კორპუსში იღებენ, მათ მაშინვე გაამწესებენ იქ» («ლიტერატურნაია გაზეტა», 1994წ., ¹6).

ეტყობა მათი ურთიერთობა მთლად ისეთი არ იყო, როგორც კომუნისტი ლიტერატურისმცოდნეები გვატყუებდნენ.

არც ევროპელ პოეტებს უთაკილიათ სახოტბო პოეზიის სამსახური. აზიაში ხომ ეს მწერლის უპირველეს მოვალეობად ითვლებოდა.

* * *

იოსებ ჯუღაშვილი და იოსებ ირემაშვილი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. რევოლუციური საქმიანობა რომ დაიწყეს, ერთიც სოციალ-დემოკრატი გახდა, და მეორეც, ოღონდ იოსებ ჯუღაშვილი სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკურ ფრთას მიეკედლა, ხოლო ირემაშვილი _ მენშევიკურს. მათი მეგობრობა მაინც გრძელდებოდა. შუღლი მერე ჩამოვარდა, როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რუსეთის იმპერიას გამოეყო. მენშევიკი სოციალ-დემოკრატი იოსებ ირემაშვილი საქართველოში დარჩა. დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობას შეუდგა, სხვა თანამოაზრეებთან ერთად. იოსებ ჯუღაშვილს კი სხვა გეგმები ჰქონდა. იგი ჯერ რუსეთის უზარმაზარი იმპერიის თავკაცობას უმიზნებდა. მერე, ვინ იცის, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციაც მოეწყო და ამით მსოფლიო იმპერატორობისთვისაც ხელი გამოეკრა.

ორი გორელი ბიჭის გზა სამუდამოდ გაიყარა.

1921 წლის თებერვალ-მარტში დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო დამარცხდა. იგი ისევ რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა. იძულებით იოსებ ირემაშვილიც ემიგრაციაში აღმოჩნდა. დარჩენილი ცხოვრება მან უცხოეთში გაატარა, სიდუხჭირესა, სიღატაკეში და უმიზნო არსებობაში. მსოფლიო პროლეტარიატის ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს ბავშვობის მეგობარი არასოდეს გახსენებია. იოსებ ირემაშვილს კი სტალინი არასოდეს დავიწყებია. მუდამ ახსოვდა და ბოღმა ახრჩობდა: დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს დაცემა-დამარცხებას მას აბრალებდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა. 1932 წელს იოსებ ირემაშვილმა გერმანიაში, გერმანულად, პატარა წიგნი გამოსცა _ «სტალინი და საქართველოს ტრაგედია». უკვე სახელწოდება ცხადად მოწმობს, რა განწყობილებით არის წიგნი დაწერილი. მაგრამ მეგობრისადმი ყმაწვილკაცობის სიყვარულმა მაინც გამოჟონა. კერძოდ: 1907 წლის ნოემბერში სტალინის პირველი ცოლი ეკატერინე სვანიძე-ჯუღაშვილი გარდაიცვალა. იგი კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს. იმ სამგლოვიარო დღეებში ირემაშვილი მეგობარს ერთი წუთით არ მოშორებია. როცა სასაფლაოს ეზოში შევედითო, _ იხსენებს იოსებ ირემაშვილი, _ სტალინი კუბოს მისშტერებოდა. თვალს არ აცილებდაო. მერე მკლავზე დამეყრდნო, ჩემსკენ დაიხარა და მითხრა: «_ სოსო, ამ არსებამ შეარბილა ჩემი ქვის გული. იგი მოკვდა და მასთან ერთად, უკანასკნელი თბილი გრძნობა ადამიანთა მიმართ».

* * *

პეტრე ჩერკასოვის წიგნში «კარდინალი რიშელიე» მოტანილია რიშელიეს თანამედროვე პოეტის პოლ სკარონის (Скаррон) ლექსის სტრიქონები _Бзгрешный ангел или демон – Судите сами, как я был.

რიშელიეს ბედს სხვა მხრივაც დაემთხვა სტალინის ბედი.

1793 წლის 5 დეკემბერს, ანუ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის კალენდრის მიხედვით, რესპუბლიკის მეორე წლის 15 ფრიმერს, აზვირთებული

ბრბო სორბონის უნივერსიტეტის ეკლესიაში შევარდა და რიშელიეს აკლდამას მივარდა. დალეწეს მოქანდაკე ჟირარდონის (Жирардон) ქმნილება _ რიშელიეს ქანდაკება. გააღეს აკლდამა, დაგლიჯეს რიშელიეს გვამი და სათამაშოდ მიუგდეს პარიზელ ქუჩის ბიჭებს. ისინი კარდინალის თავს ბურთივით დააგორებდნენ ქუჩებში და სიცილით იჭაჭებოდნენ (იმ დღეს კიდევ 48 საფლავი გაიძარცვა). აბატმა ბაშანმა მოიპარა რიშელიეს თავის ქალა და დამალა. ვიღაც ქვისმთლელმა რიშელიეს მოგლეჯილი (ბეჭდიანი) თითი შეინახა. ასე შეგროვებული ძვლები ყოვლისშემძლე კარდინალისა დიდხანს ინახებოდა ოჯახებში როგორც რელიქვია, მანამ, სანამ, ნაპოლეონ მესამეს ბრძანებით 1866 წელს ეს ნეშთი კარდინალისა არ შეაგროვეს და 15 დეკემბერს ზარზეიმით არ დამარხეს სორბონის უნივერსიტეტის ეკლესიაში.

ეს ბრბოს თვისებაა: ცოცხალ დიქტატორს ეთაყვანება, ემონება, მის ნატერფალს კოცნის. მკვდარს კი საფლავიდან თხრის.

ბრბოს მარტო ქუჩის მაწანწალები არ შეადგენენ. ბრბოს ხშირად თანამდებობები უპყრია ხელთ და მაღალ სკამზეა წამოსკუპებული. ამ ბრბოსაც იგივე თვისება აქვს, რაც მაწანწალებისას. რიშელიეს ბედი განმეორდა. 1961 წელს სტალინის ცხედარი გამოიტანეს მავზოლეუმიდან და იქვე მეზობლად დაფლეს. 8 წელიწადი უტრიალებდნენ გარშემო მკვდარს და ვერაფერი გაბედეს.

* * *

ისტორიაში არაფერი ხდება შემთხვევით. რაც მოხდა, ის აუცილებელი იყო და ვერც სხვაგვარად მოხდებოდა. ჩვენ მეტნაკლები სიზუსტით შეგვიძლია ავხსნათ, რატომ მოხდა. ყველა ისტორიულ ფაქტს შინაგანი კანონზომიერება აქვს.

* * *

აშშ-ელი პოეტი ეზრა პაუნდი აღტაცებული იყო მუსოლინით („Инастранная литература», 1991г. №2). ომის დროს იტალიაში ცხოვრობდა და აშშ-ის წინააღმდეგ მოუწოდებდა. ომის მერე დააპატიმრეს. აშშ-ში მოღალატეს ეძახდნენ. ლანძღავდნენ. მერე შეშლილად გამოაცხადეს. 12 წელიწადი იყო ფსიხუშკაში. აშშ-ის ხელისუფლებას ეხვეწებოდა: იაპონიაში მარკარტურს დავეხმარები. მან კონფიციუსის შესახებ არაფერი იცის, უიმისოდ კი იაპონიაში რას გახდებაო. ფიქრობდა რამდენიმე თვეში ესწავლა ქართული, სტალინს მშობლიურ ენაზე დალაპარაკებოდა და აშშ-ის კონსტიტუციის უპირატესობა დაემტკიცებინა.

* * *

ისიც, რომ სტალინი ბუში იყო, უკვე მეტყველებს მის მითოლოგიურობაზე. უკვე არ შეიძლება, რომ იგი ნორმალურად დაბადებულიყო. ყველაფრით ნორმალურობას ეწინააღმდეგება იგი.

* * *

დიქტატორი. რა აქვთ საერთო.

1. კალიგულას და ნერონის თვისებები (სვეტონიუსი)

2. ჩინგისხანი, რომ უმანკოდ ჩაისახა.

„… Все тираны, с некаторыми незначительными оттенками вероломства и жестокости. Похожи друг на друга“ (რობესპიერი).

_ ყველა ტირანი ერთნაირია, ისინი მხოლოდ ვერაგობისა და სისასტიკის ზოგიერთი უმნიშვნელო ელფერით განსხვავდებიან. გარდა ვერაგობისა და სისასტიკის ზოგიერთი უმნიშვნელო ელფერისა, ყველა ერთმანეთს ჰგავს (Максиммилиан Робеспьер – Революционная законность и провосудие, 1959г. 204).

* * *

თემურლენგის წინაპრის ჩინგიზის დაბადებაც ისე მოხდა, როგორც ქრისტესი. დედამისს ქმარი არ ესვა. როცა ყმაწვილი დაიბადა, «უწოდეს ყრმასა მას ძედ ნათლისად» (გვ. 7. ბერი ეგნატაშვილი _ «ახალი ქართლის ცხოვრება», 1940წ.)

„Люфицер умер вместе с Богом, и из его праха возник жалкий бес, который и сам уже не видит, куда его несет “ (კამიუ).

* * *

სტალინის კულტი ქართულ პოეზიაში იმითაც არის გამოწვეული, რომ 20-იან წლებში, დემოკრატიული საქართველოს დამარცხების გამო დიდი ნიჰილიზმი იყო ქართულ მოაზროვნე საზოგადოებაში (იხ. «მწერლობის მოთვინიერება», «მთვარის მოტაცება», 1, 234-35).

ამ ნიჰილიზმს, სტალინის ძალისადმი რწმენით ოპტიმიზმი დაუპირისპირდა (გამსახურდიას სიტყვები). თუ საქართველო უძლურია, სამაგიეროდ, იგი განსაკუთრებულ პიროვნებებს წარმოშობს.

* * *

«ქართველს მთხლე ბუნება აქვს. თუ სიძნელე შეხვდება, მაშინვე ტყდება და იწყებს წუწუნს _ ეს რა ხალხი ვყოფილვართ, ეს რა საზიზღარი ქვეყანაა (თ. კვაჭანტირაძის ნათქვამი), აქ ცხოვრება არა ღირს».

ამას მწერლობა უნდა დაპირისპირებოდა, რადგან 1921 წლის დამარცხებისა და დასმენა-დაპატიმრების შემდეგ საქართველოში საშინელი განწყობილება შეიქმნა, ისე როგორც დღეს. ამიტომ გაჩნდა სტალინის დიდება, სამშობლოს დიდება. ამით იყო პასუხი _ არა ვართ ცუდები.

* * *

«რა გვეშველება», _ მომძახდა მარად
გამწარებული ხმა შუაღამის.
მაგრამ პოეტის მძლეთამძლეობა
იყოს სიმტკიცე და გამძლეობა.
ო, ჩანგო ჩემო, გახსოვდეს მარად
ქვეყნისთვის ბრძოლის მოვალეობა.
ავთან სასტიკად იყავი ავი,

არ ჩამოაგდო უდროო ზავი,
არ დაგინახო თვალებზე ცრემლი,
განწირულობას არ მისცე თავი».

(გალაკტიონი. *თხზულებათა ტ. IV, გვ. 140. 1966წ.)*

* * *

არა მარტო კონკრეტულ პიროვნება-მწერალს უნდა ჰქონდეს თავისი კონცეფცია, არამედ მთელ მწერლობას. სტალინის სიკვდილამდე საბჭოთა მწერლობას ჰქონდა კონცეფცია (მისაღები თუ არმისაღები, ჩვენთვის ეს სხვა საკითხია), მაგრამ კონცეფცია იყო. მერე დაიკარგა და გაჩნდა, საერთოდ, უკონცეფციო მწერლობა. დღევანდელი ქართული მწერლობა არც კომუნისტურია და არც არაკომუნისტური. ეს ნაყოფია სწორედ იმ რეაქციის, რაც სტალინის დროს იყო. რადგან ლიტერატურის სტალინისტური კონცეფცია ნაძალადევად იყო თავმოხვეული. სტალინის სიკვდილის შემდეგ ამ კონცეფციას მწერლობა შინაგანად ეწინააღმდეგება, მაგრამ ნამდვილი კონცეფცია ვერ უპოვია, რადგან თავისუფალი აზროვნება, ნებაც რომ მისცე, დღეს უკვე აღარ შეუძლია მწერლობას.

* * *

საინტერესოა ჰიტლერის ცხოვრების ფინალისა და სტალინის ცხოვრების ფინალის შეპირისპირება.

როცა ჰიტლერმა ომი წააგო, გადაწყვიტა, ემოციური გამარჯვების მოპოვება და კიდეც დაამთავრა ცხოვრება ანტიკური ტრაგედიის გმირივით. ასევე მოიქცა გებელსი. ისინი მიხვდნენ, რომ, როცა დრო გავიდოდა, ეს ფინალი გერმანელ ხალხს აღორძინებაში დაეხმარებოდა, როგორც სულიერი გაუტეხელობის ნიმუში. ჩვეულებრივი გამარჯვება ისტორიის ჩრჩილით შეჭმულ ფურცლებზე რჩება და მხოლოდ მოსაწყენი ისტორიკოსები თუ იხსენებენ. ემოციური გამარჯვება ხალხის მეხსიერებაში ცოცხლობს და ყოველ თაობას აღაგზნებს. ამას შესანიშნავად მიხვდნენ ისინი.

ამასთანავე, სულიერი სიმდიდრეც გამოვლინდა. დაიხოცნენ, როგორც გმირები.

კომუნისტებმა კი სულიერი სიღატაკე გამოავლინეს, როცა სტალინი მავზოლეუმიდან გამოიტანეს. ერთხელ კიდევ გააკეთეს დემონსტაცია, ყაჩაღები ვიყავით და ყაჩაღებად დავრჩითო.

ის, რაც ჰიტლერმა შეძლო, სტალინმა ვერ შეძლო, რადგან ჰიტლერის საყრდენი ეროვნული იყო. როგორიც უნდა ყოფილიყო ჰიტლერი, მას გერმანია უყვარდა, რადგან მისი ნაწილი იყო და ეს გენებში ჰქონდა. სტალინს არ შეეძლებოდა ყვარებოდა რუსეთი, რადგან იგი მისთვის უცხო იყო. ადამიანი ვერასოდეს გააკეთებს დედინაცვლისათვის იმას, რასაც დედისათვის. ეს მასზე არაა დამოკიდებული. ეს გენებშია ბუნების მიერ ჩანერგილი. დედინაცვალი, უკეთილშობილესი ქალიც რომ იყოს დედაზე, რომელიც შეიძლება ცუდი ქალია, ნაკლებად გიყვარს (უფრო მეტიც, გძულს კიდეც). იმიტომ, რომ ეს ანტიბუნებრივია. სტალინს რუსეთისათვის თავდადება არ შეეძლო. ეს ანტიბუნებრივი იყო. მთელი სიცოცხლე სტალინი ანტიბუნებრივ მდგო-

მარეობაში იყო, ამიტომ აღმოჩნდა იგი სიცოცხლის ბოლოს და სიკვდილის შემდეგ გამასხარავებული.

აწი მასხარის იარლიყს მას ვეღარავინ მოაცილებს.

ჩანაწერებიდან

ერთხელ ლექციაზე განვიხილეთ შვილის მიერ მამის მოკვლის პრობლემა. ერთ-ერთ მაგალითად არზაყან ზვამბაიაც მოვიშველიე. მერე, შესვენების დროს, ერთი სტუდენტი მოვიდა ჩემთან და ჩუმად მითხრა _ თქვენ შეგეშალათ, არზაყანი არ ჰკლავსო მამას. კაც ზვამბაია მოსისხლე ტარბებმა იმსხვერპლესო.

მეც მართალი ვიყავი და სტუდენტიც. მე ვმსჯელობდი «მთვარის მოტაცების» პირველი გამოცემის მიხედვით, სადაც არზაყანი ჰკლავს მამას. სტუდენტს კი წაკითხული ჰქონდა რომანის 1947 წლის შემდეგდროინდელი გამოცემანი, სადაც მართლაც აღარ ჰკლავს შვილი მამას. რომანში ეს აქტი მწერალს შეაცვლევინეს.

ამ შეცვლას თავისი მიზანი და ამოცანა ჰქონდა. კომუნისტები თანდათანობით მიხვდნენ, რომ კომკავშირელი, რომელიც მამას სასიკვდილოდ იმეტებს, საზიზღარ შáაბეჭდილებას ახდენს.

მოუხმარებელი ანუ ტრაგიკული თავისუფლება

მიხეილ ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნები» გროტესკული და ალეგორიული რომანია. მისი აზრობრივი შინაარსის სრულად ამოცნობისათვის აუცილებელია სამივე პროტაგონისტის _ თეიმურაზ ხევისთავის, ჯაყო ჯივაშვილისა და მარგო ყაფლანიშვილის _ დაწვრილებით გაანალიზება.

როცა «ჯაყოს ხიზნებს» ვკითხულობთ, შეუძლებელია თვალში არ გეცეთ ერთი გარემოება: რევოლუციას, როგორც თავისუფლებას, ერთნაირი აღტაცებით შეხვდნენ ნაბატონარიცა და ნამოჯამაგირალიც.

«თეიმურაზი სიხარულით ცას დაეწია: სიცოცხლის ნატვრა შეუსრულდა. სამოთხის კარები გაეღო. დღედაღამ ქუდმოგლეჯილი დარბოდა, წითელ ბაირაღს იქნევდა და ჩახლეჩილი ხმით ჰკიოდა:

_ თავისუფლებას გ...გგაუმარჯოს! ვაშა!... რევოლუციას გაუმარჯოს... ძ...ძირს მეფე და ძალადობა!»

ჯაყოც გულზე ხელს იბაგუნებდა და ჰყვიროდა:

«_ ეს ღმერთი და წმინდა ჯივარგი შეგეწიოს რევოლუციასა, რომელიცა რომა საწყალ ხალხს მისცემდე მიწა, სახლი და კეთილი ცხოვრება. ღმერთი, წმინდა ჯივარგი და არბოს ხატი გწყალობდე ჩუენსა მთავრობასა, რომელიცა რომა ყარაულია რევოლუციისა და ჩვენისთანა საწყალი ხალხისა».

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ თეიმურაზ ხევისთავისათვის თავისუფლება მოუხმარებელი უფლებაა, ხოლო ჯაყო ჯივაშვილისათვის _ ძალადობის ნებართვა.

მართალია, თეიმურაზი ბევრს ლაპარაკობდა თავისუფლებაზე, მაგრამ მისთვის გაურკვეველი და უცნობი იყო, თავად ვისგან ან რისგან უნდა ეხსნა თავი.

თავისუფლება თავისუფლებისათვის თეიმურაზ ხევისთავს არ სჭირდება. იგი ძირძველი არისტოკრატის შვილი იყო. პრივილეგირებული კლასის პირმშო და სხვათა მჩაგვრელი. თეიმურაზის «წინაპარნი რკინას სჭამდნენ, დათვებს ხანჯლით ხოცავდნენ და ყინულზე იძინებდნენ... სულითაც და ხორცითაც ფოლადისაგან იყვნენ ჩამოსხმული...» მამულიც ვრცელი ჰქონდათ და ყმა-მოსამსახურეც უთვალავი ჰყავდათ. ხევისთავები ცხოვრების სუფრას ყოველთვის თავში უსხდნენ და ყველაფერი უკეთესი მათი წილხვდომილი იყო.

კლასობრივად თეიმურაზ ხევისთავს სრული თავისუფლება ჰქონდა მოპოვებული.

იქნება თეიმურაზს კლასობრივი თავისუფლება არ აკმაყოფილებდა და სულის თავისუფლების სახელით მასზე უარს ამბობდა? თავისუფლების უზენაეს ფორმას ელტვოდა? აკი ერთხელ დიდსულოვნად განუცხადა მოურავს: « _ ტყეც და სსს...სახნავ-სათესიც ხალხს ეკუთვნის, თავი და...დდაანებე, ღალას ნუღარ გამოართმევ. ხალხი არ შეაწუხო»...

მაგრამ ეს საჩუქარი ხალხმა არ მიიღო. ხოლო მოურავი მიხვდა, მამული უპატრონოდ რჩებოდა და თეიმურაზთან სამსახურს თავის დაანება. რატომ? იმიტომ, რომ ეს განცხადება და საქციელი პრინციპული თვალსაზრისით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ ლაჩრული შიშით, პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გაზეთში გამლანძღავენო.

ამრიგად, არც სულის თავისუფლებამდე ამაღლებულა თეიმურაზ ხევისთავი.

თავისუფლება სხვისთვის კი თეიმურაზისთვის უცხო ხილი იყო. ამ პრინციპის განსახორციელებლად ფოლადის ნებისყოფა და ამოუწურავი ენერგიაა საჭირო. თეიმურაზ ხევისთავს არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნდა. არა თუ სხვისი თავისუფლებისათვის ბრძოლა, არამედ ელემენტარული სამსახური არ ძალუძს თეიმურაზს მოყვასისათვის.

«თეიმურაზის კარებს ვექილის წარწერა ჰქონდა. ათასში ერთხელ ვინმე გზაბნეული გაბრიყვდებოდა და თეიმურაზს საქმეს ჩააბარებდა. მერე იმ საქმის პატრონი ნანობდა და თავში ხელს იცემდა: თეიმურაზი საქმეს ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიატანდა. ხან არზას დროზე არ დასწერდა, ხან გასაჩივრების ვადას გადააცილებდა, ხან ნაკისრი საქმე სულ დაავიწყდებოდა, ხან კიდევ საქმის გარჩევას ვერ დაესწრებოდა, რადგან იმ დღეს ან გადაუდებელი საგაზეთო წერილი ჰქონდა დასაწერი, ან კრებაზე იყო წასასვლელი, ან კიდევ სასამართლოში მიმავალი ქუჩაში ვინმეს წააწყდებოდა და ისე გაჰყვებოდა კამათსა და მუსაიფში, რომ საქმესაც დაივიწყებდა და ოჯახშიაც საღამოზე ძლივს დაბრუნდებოდა.»

არც ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა შეუძლია თეიმურაზს. ან კი როგორ უნდა იბრძოლოს, როცა მას ქართველი ხალხის ნაციონალური ენერგია არ სწამს. მას შეუძლია ქართველი ხალხის წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე, მის

თვისებასა და ბუნებაზე გაუთავებლად ილაყბოს, იყბედოს და ბოლოს მხოლოდ ნიჰილისტური დასკვნა გამოიტანოს.

«ქართული სული! ქართული კულტურა! ქართული სული ზღაპარია, ქართული კულტურა ჭორია! ერთი სული მხოლოდ ერთს მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული არ არსებობს...

. . .

... საიდან და როგორ უნდა შექმნილიყო ერთიანი ქართველი ერი და კულტურა?! ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთ-იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვცხოვრობთ. ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრია. ერთმანეთს ჭირის დღესავით გავურბოდით და ისე ვერიდებოდით, თითქოს სხვადასხვა ტომისა და სისხლისანი ვყოფილიყავით. მუდამ ცალ-ცალკე ვიღუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით. საქართველო ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო. ერთი რომ აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა მიღრეცილი, მეორე დასავლეთისაკენ იხედებოდა და, მესამე კი ან სამხრეთისაკენ ჰქონდა მიბრუნებული ან ჩრდილოეთისაკენ, ეროვნული ნებისყოფაც და ენერგიაც ასე დაგვეფანტა...

წამბაძველის ნიჭი უდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და წაბაძვის ნიჭი ნაჭ...ჭარბევად მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს. სადაც არ გვყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას...»

. . .

«...შევედრებით ან დავეწევით ოდესმე ჩვენ ევროპელებს?! ვერასოდეს! მაშ ტყუილი ყოფილა ჩ...ჩვენი ჭინთვა და პრანჭიაობა. ჯერ ხეირიანი ფეხსადგილი ვერ აგვიშენებია, ჯერ მკბენარი ვერ მოგვიშორებია, ჯერ ათას ჭირისათვის და სახადისათვის თავი ვერ მოგვირიდებია, და ამავე დროს ისეთს დიდრონს ვ...ვეჭიდებით, რომ ჩემი აზრი მას ვერ მისწვდომია და ვერც გაუზომია».

ბუნებრივია, რომ ამგვარი სკეპტიციზმით გულგამოჭმულ კაცს არაფრისათვის არ ძალუძს ბრძოლა. თეიმურაზ ხევისთავი ცარიელი სიტყვაა, რომელიც საქმით არასდროს დადასტურდება. იგი უენერგიობის, უმოქმედობის, უმიზნო ლაყბობის, ცრუ კვეხნის განსახიერებაა.

თეიმურაზ ხევისთავის უსაფუძვლო ამპარტავნობა ებრძვის სიმართლეს. ეს დაცემის უკიდურეს საზღვარს მისული კაცი ურცხვად ტრაბახობს «_ მე მომღუნეს, შეიძლება მომტეხონ, მაგრამ ვერ...რრასოდეს დამიმორჩილებენ, ვერრასოდეს». საკუთარი მდგომარეობის ამგვარი ვერშეცნობა გონებრივი სიბრმავის ნათელი გამოხატულებაა. ამ სიტყვებში თეიმურაზ ხევისთავის კიდევ ერთი თვისება მოჩანს: იგი ყველაფერს ობიექტურ სინამდვილეს აბრალებს, რათა სუბიექტურად იმართლოს თავი.

მიხ. ჯავახიშვილი სრულიად მკაფიოდ გვეუბნება, რომ თეიმურაზ ხევისთავის მდგომარეობაში მხოლოდ ობიექტური მიზეზების გამო არასოდეს არ ვარდება ადამიანი. სიტუაცია, რომელშიც თეიმურაზ ხევისთავი ცხოვრობს, შედეგია უპირველესად მისი სუბიექტური თვისებებისა. ერთხელ თეიმურაზს გონება გაუნათდა და იყვირა _ «გაგიგონია, რომ ადამიანი თვითონვე ითხრიდეს სამარეს? არ გაგიგია, განა! მაშ ახლა გაიგონე: მე ვარ მაგისთანა გიჟი, მე!» მაგრამ ეს წამიერი გამონათება მაშინვე ჩაქრა და ჩაიფერფლა. ხევისთავი ისევ სიმხდალისა და პასიურობის სიბნელეში

ჩაიძირა. ყოველი ადამიანი პასუხს აგებს იმ სინამდვილეზე, რომელშიც ცხოვრობს. ობიექტური საფუძვლის ძებნა სულიერი სილაჩრის გამართლებაა. ჯაყოს ხიზნობაც შექმნილი სინამდვილეა. იგი ბრალს სხვას ვერ დასდებს. ამიტომაც ამხელს დაუნდობლად თეიმურაზ ხევისთავს მწერალი.

თეიმურაზი სხვისი ფეხის ხმას აყოლილი კაცია. მან არ იცის არც ის, პირადად რა სჭირდება და არც ის, რასაც ხალხი ითხოვს. ამიტომ, როცა მოუხმარებელი თავისუფლება მიიღო, იგი დაუნანებლად და უმტკივნეულოდ გადაულოცა ჯაყოს.

ჯაყო ჯივაშვილმა კი მარტივად გაიგო თავისუფლება. მან ერთი ძალადობა მეორე ძალადობით შეცვალა. რაც ადრე თეიმურაზს მოტყუებით, თვალთმაქცობით, მზაკვრობით, უნამუსობით და მალულად წაართვა, ახლა აშკარად და უნიღბოდ მიითვისა. ჯაყომ არ იკმარა სხვისი ქონების, მამულის, სიმდიდრის მიტაცება. მან სხვისი ადგილის, სახელის, ღირსების, პატივის დასაკუთრებაც მოისურვა. «_ ჯაყოს მარტო ხევისთავის გვარი და შენისთანა კნეინა გაკლია... ერთი კვირის შემდეგ მარგოს შეგირდი რვეულში გოჯის ოდენა ასოებით სჯღაბნიდა: «ჯაყო ხევისთავი...»

ჯაყოს თავგადასავალში მიხ. ჯავახიშვილმა ჯაყოობის, როგორც გარკვეული მოვლენის, არსი ახსნა და მისი ყველა ნიშანი გვიჩვენა.

ჯაყოსა და ჯაყოობისათვის პრინციპი არ არსებობს. მისი ძალა და ღონე უპრინციპობაა. როცა საჭიროდ მიიჩნევს, საჯაროდ და საქვეყნოდ დაიწყებს ღრიალს «_ გაგიმარჯოს ჟორდანიას მთავრობასა!.. გაგიმარჯოს!.. საწყალი ხალხი მიწა მოგეცი ჟორდანიამა». მაგრამ თუ სიტუაცია შეიცვალა და გარემოებამ მოითხოვა, დაუფიქრებლად და ურცხვად აკივლდება «_ ღმერთმა გაკურთხოს ბოლშენიკების მთავრობაი, რომელმაცა საწყალ ჯაყოს სახლიც მოგცა, ბაღიც, ვენახიცა და კარგი ზაკონიცა! ძირს ჟორდანია! აღარ გინდა ჯაყოს ბურჯუაძის მთავრობაი, აღარა!»

რაკი არავითარი ღირსება არ გააჩნია, ჯაყოსა და ჯაყოობის დასაყრდენი და საფუძველი ძალადობაა.

«ჯაყოს დილით-დილამდე ზედ ეკიდა რუსული თოფი, მაუზერის დამბაჩა, თეიმურაზის მამაპაპეული ხმალ-ხანჯალი, სამასი ვაზნით გატენილი სამი სავაზნე და ოთხი საომარი ყუმბარა.»

კბილებამდე შეიარაღებული აიარებით გარშემორტყმული დაჰქრის ჯაყო და ყველას ემუქრება, თავზარსა სცემს «_ მაშ, მაშა! ყველაფერი ჩვენია, ჩვენი! დედას გიტირებდით, დედასა!..»

მაგრამ ძალადობის ტრფიალი იმას არ ნიშნავს, რომ ჯაყოობას მოქნილობა და გაიძვერობა აკლდეს. თუ მუქარა არ გასჭრის, მაშინ ჯაყოს აცრემლებაც, აკნავლებაც და გაკვირვებაც შეუძლია. თან ჯაყოობა ყოველთვის ხალხის სახელით ლაპარაკობს, ერზე ზრუნვით არის შეწუხებული.

«_ ნიშანდარის ხალხმა გიბრძანა ჯაყოსა... ჩვენი სამართალი გინდა!.. ჩვენი ხალხი მაგოდენა ნალოგი არ გადაიხდი!..»

ამგვარი ლაყბობა ორპირობის, თვალთმაქცობის, ფარისევლობის ნიღაბია. ნამდვილად კი ჯაყო და ჯაყოობა დაუნდობელი ყვლეფა და ექსპლუატაციაა.

«...თავის ნათესავებს _ მამაკაცებს და დედაკაცებსაც ისე ამუშავებდა, რომ მუყაითი და გულკეთილი გლეხი იმრიგად საქონელსაც არ გაიმეტებდა».

. . .

«ჯაყოს საქონელიც ბლომად ჰყავდა და დავაჟკაცებული ნათესავებიც, მაგრამ წისქვილისათვის თითქოს განგებ არავის იმეტებდა: კოდიან საფქვავს თავის ცოლს აჰკიდებდა და დასჭყივლებდა:

_ აბა, თახრაშუ!

ის ორფეხა პირუტყვიც წელში სამად მოიკაკვებოდა და, თავჩაღუნული, სანამ წისქვილში ჩალასლასდებოდა, დაღლილი ცხენივით ორი საათი მაინც ჰხვნეშოდა და ოფლში იწურებოდა».

. . .

«_ ჯაყოსთანა ბატონი ამ სოფელს არა ჰყოლია, ვერც ახლო-მახლო მოიძებნება. ერთი თვით ერთი კოდი ხორბალი ვთხოვე, ერთი ორად დამისვა. სხვებსაც ასე უშვრება. აქაური ხალხი თანდათან ხელში ჩაიგდო, ყველა ჯაყოს მოვალეა».

არც ექსპლუატაციის თვალსაზრისით არის ჯაყოობა ერთფეროვანი და ცალმხრივი. ჯაყოობას კეთილდღეობის ილუზიის შექმნაც შეუძლია. ასეთი მოჩვენებითი კეთილდღეობით მოხიბლა ჯაყომ მარგო ყაფლანიშვილი. «...დღედაღამ მარგოზე ლაპარაკობდა, მასზე ზრუნავდა და მისთვის უშოვნელს შოულობდა. აღარავის და აღარაფერს ერიდებოდა: თეიმურაზის ცოლი დედოფლად დაისვა და ყველანი ყმებად დაუყენა». თუმცა ილუზია სულ მალე გაიფანტა და მარგოც ჯაყოს მძიმე უღელმა წელში გატეხა.

ახლა შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ *ჯაყოობა არის სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლკარის, ღირსების, პატივის, სახელის მიტაცება-მითვისება, ძალადობა, ქლესაობა, პირფერობა, ორპირობა, ურცხვი უპრინციპობა, უსაზღვრო ექსპლუატაცია, სრული უმეცრება და უკანონობა, მოჩვენებითი კეთილდღეობა, რომლის უკან იმალება გარდაუვალი გახრწნა და დაცემა.*

ეს საშინელი მოვლენა ძირფესვიანად უნდა ამოიძირკვოს, რამეთუ იგი განვითარებას, ევოლუციას, სახეცვლილებას არ ემორჩილება.

მარგო ყაფლანიშვილმა სცადა ჯაყო ჯივაშვილის გარდაქმნა. ქალმა გაპარსა, დაბანა, ახალი ტანსაცმელი ჩააცვა, წერა-კითხვის სწავლა დააწყებინა, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. მართალია, ცოტა ხნით «ბანჯგვლიანი დათვი პირგაპარსულ მაიმუნს დაემსგავსა», მაგრამ ამის იქით არ წასულა. თეიმურაზმა მალე ნახა, რომ «მარგოს დარიგებით გაპარსული მაიმუნი კვლავ ბანჯგვლიან დათვად გადაქცეულა: წვერი გაუზრდია, გაპოხილი ქურქი და ტლანქი ჩექმები ჩაუცვამს და თავზე ტყავის ბულულა დაუდვია».

მიხ. ჯავახიშვილს უზომოდ სძაგს ჯაყოობა და მკითხველსაც ამ სიძულვილით მსჭვალავს. ამ მძულვარებას განგაშიც ახლავს, რამეთუ მოუხმარებელი თავისუფლება და ძალადობის ნებართვა პიროვნებას ანგრევსა და შლის, რომლის ტრაგიკული ბუნება განსაკუთრებით ნათლად ჩანს მარგო ყაფლანიშვილის ბედში.

ახლა თვალი გადავავლოთ ამ პროტაგონისტის დაცემა-დამცირების პროცესს.

ჯაყომ თეიმურაზსა და მარგოს მახე დაუგო. ნაბატონარი ნამოჯამაგირევმა ნიშანდარში დატოვა, ვითომ არ შეგაწუხებო, და ვაგზალში მარგოს მარტო ჯაყო დაუხვდა. ჯივაშვილმა ურემი გააწყო, ნაქალბატონარი ზედ დასვა და სოფლის გზას დაადგა. ჯაყომ მარგო ჭალაში შეიტყუა და ღამით უპატრონო და უქმაგო ქალს ძა-

ლით ნამუსი ახადა. ძალადობის ამ ყაჩაღურმა აქტმა მარგო აღაშფოთა. ქალის მშვენიერი სამყარო შეაძრწუნა.

«_ მხეცო, რას შვრები?! პირუტყვო!.. ვერაგო!.. ავაზაკო!..»

. . .

«მარგო კი, _ ნაცემი, ნაბეგვი, დაძალებული და გაჭუჭყიანებული მარგალიტა ხევისთავი _ ახდილ ნამუსს, შელახულ პატივსა და გასრესილ თავმოყვარეობას ცხელის ცრემლებით ჰგლოვობდა, მოწამლულივით ჰბორგავდა, სიმწრისაგáí იკლაკნებოდა და გულში იმუქრებოდა:

დაიცადოს ჯაყომ: ძვირად დაუსვამს ამ ნადირს თეიმურაზი საშინელ თავხედობას და სიმხეცეს!..»

როგორც ვხედავთ, ჯაყოს ძალადობის შედეგად მარგო ხორცით დაეცა, მაგრამ სულით სპეტაკი და სუფთა დარჩა. მას ჯერ კიდევ აქვს იმედი, რომ მის შეურაცხყოფილი ხორცის გამოც შურს იძიებს და მოძალადეს ძვირად დაუსვამს დამცირებას. მაგრამ, როცა მარგო თეიმურაზს შეხვდა, აღმოჩნდა, რომ ქალის მშვენიერი მხნეობა გაბზარული ყოფილა და მან ქმარს დაუმალა სიმართლე.

«გაწითლებული და დადუმებული მარგო განზე იხედებოდა და ქმარს პირსახეს არიდებდა. სდუმს მარგო და ამ სიჩუმით პირველად გრძნობდა ფლიდობის სიმწვავეს და ღალატის სირცხვილს».

მარგოს ჯერ არა აქვს გაცნობიერებული, უნებისყოფობის გამო როგორ გახდა მტრის მოკავშირე და როგორ დაადგა სრული დაცემის გზას.

თუ პირველი ძალადობისას მარგოს აღშფოთების და შეურაცხყოფის შეცნობის უნარი მაინც ჰქონდა, მეორე შემთხვევისას მან უკვე უძლურობა და მორჩილება გამოავლინა.

ღამით ჯაყო მარგოს ოთახში შეძვრა და ქალის საწოლს მიეპარა. იმის მაგიერ, რომ ეყვირა და შველა ეთხოვა, «...მარგომ სიბნელეში მკლავები გაშალა და ფაშვნიერი ჯაყო ძალუმად ჩაიხუტა». თუ ადრე ძალა იხმარა, ახლა თავად დანებდა მარგო. მაგრამ ქალი ამ დანაშაულს არ დასჯერდა. მან თავისი საქციელის გამართლება დაიწყო.

«...ვინ იცის, იქნება სჯობდეს კიდევაც, რომ სამუდამოდ შერჩე ჯაყოს... ჯაყო ყველაფერს მოგცემს, რაც შენ გინდა: სიყვარულს, ცეცხლს, კეთილ ცხოვრებას, ახალგაზრდა ვაჟკაცის ჯან-ღონეს და ... დღევანდელზე უკეთესს მომავალს... თეიმურაზი კი... მას აქვს წარსული, მიმავალთა შორის პატივი, საჭურისის ცოდნა... დაანებე თავი თეიმურაზს!»

და მარგომ განსჯის სასწორი ჯაყოსაკენ გადახარა. ნახევრად ტიტველი იგი დილით ეზოში გამოვიდა და ამომავალ მზეს შესცინა. ქალმა შეამჩნია, როგორ უთვალთვალებდა ხარბი ჯაყო.

«მარგო შეჰკრთა. მკერდი პერანგით დამალა. ჯერ ჯაყოს მორცხვი სიხარულით გაუღიმა, მერე ჩაუკისკისა, მობრუნდა და ოთახში შევარდა».

მარგო დამორჩილდა. ის პასიური წინააღმდეგობაც უარყო, რომელიც თავდაპირველად გაუჩნდა. მაგრამ დაცემის გზაზე მარგო უფრო შორს წავიდა. მან დაცემით და დამონებით ამაყობა დაიწყო.

ჯერ ჯაყოს მიმართ მადლიერების გრძნობა გაუჩნდა. როცა ჯაყომ მარგო მოფარდაგებულ, მოხალიჩებულ, რბილი სავარძლებით, ხავერდის ავეჯით და მოოქროვი-

ლი სარკეებით გაწყობილ ოთახში გადაიყვანა, კმაყოფილებით თავგზააბნეული ქალი «სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. გახარებული ბავშვივით სცქმუტავდა, კისკისებდა, ლაღობდა... გულაჩუყებული და მადლიერი მარგო ჯაყოს გაპოხილ კისერზე ჩამოეკიდა:

«_ ჯაყო, ჩემო კარგო!.. ჩემო ჯაყო!»

მერე თავად დაიწყო მარგომ ღამღამობით ჯაყოს ოთახში სირბილი. თეიმურაზს ხელი ჰკრა, მასხარად და აბუჩად აიგდო.

«_ გეყოფა, გაათავე! ვნახე და გავიგე შენი წიგნების ძალაც და ნამდვილი ცხოვრებაც. ბუხარს შეუკეთე შენი წიგნებიცა და ნაწერებიც!»

. . .

«_ რა ჭირად მინდა შენი ფუღურო სიტყვები და ჭიანაჭამი ცოდნა? მჩატესა და უძვალო ჭიაყელას ბუზიც კი იბრიყვებს. ჯაყომ არაფერი არ იცის, მაგრამ ყველაფერი შეუძლია. შენ ყველაფერი იცი, მაგრამ სანაგვეზე გადასაგდები ჩვარი ხარ, რა კაცი ხარ, ქათამიც ვერ დაგიკლავს!»

ცოლმა საბოლოოდ გასწირა ქმარიც და თავისთავიც. მარგო მთლიანად მიენდო ჯაყოს.

«პირისახეც მშვიდი, უმანკო და მაძღარი აქვს. გაფუებული ძუძუები მთვარესავით ამოუგდია. მკრთალი, თითბერის მკერდი გაუღეღნია და ხშირი თმა უდარდელ ღიმილით მოსილ პირსახეზე შავი გველივით შემოუვლია. თეთრი, გატიკული და თლილი მარმარილოს მკლავი ჯაყოს ბანჯგვლიან მკერდზე უდევს».

მარგომ მოჩვენებითი თავისუფლებაც აღარ დაიტოვა. თეიმურაზ ხევისთავს გაეყარა და ჯაყო ჯივაშვილს მისთხოვდა.

მიხ. ჯავახიშვილი მარგოს თავგადასავლით თანმიმდევრულად, გამოწვლილვით გვიხატავს თავისუფალი ადამიანის მონად ქცევის პროცესს. თუ ზემორე აღწერილს დასკვნის სახით თავს მოვუყრით, დავინახავთ, რომ დამცირებისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ ადამიანი პროტესტს აცხადებს: ვისაც ნებისყოფა აქვს _ აქტიურს, უნებისყოფო _ პასიურს, მაგრამ მაინც პროტესტს. ეს პირველი ეტაპია. მეორე ეტაპი საკუთარი უძლურობის შეგნება და დამორჩილებაა. ამ ორ ეტაპზე ადამიანის გადარჩენა კიდევ შეიძლება, რადგან მასში ჯერ საბოლოოდ არ მომკვდარა თავმოყვარეობის, სიამაყის და თავისუფლების გრძნობა. თუ აქ დაცემულ ადამიანს ხელისგამომწოდებელი აღმოაჩნდა, იგი შეიძლება გადარჩეს, სამშვიდობო გზაზე გამოვიდეს. თუ მშველელი არ გამოჩნდა, მაშინ მესამე ეტაპი იწყება _ თავისუფლების სრული დაკარგვა.

თავისუფლების დაკარგვისა და დამონების ყველაზე შემზარავი და თავზარდამცემი შედეგი ის არის, რომ მონა კმაყოფილია თავის მონობით და ამაყობს კიდეც ამით, როგორც ეს მარგოს დაემართა. ამიტომ არის შემაძრწუნებელი მარგოს თავგადასავალი.

მიხ. ჯავახიშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ დამონების პროცესის ჩვენებით. იგი ამ პროცესის რეზულტატის მკაფიო სურათსაც ხატავს. ამ სურათს ორი მხარე აქვს _ მოჩვენებითი და ნამდვილი. მოჩვენებითმა მხარემ დააბრმავა მარგო და დაუკარგა განსჯის უნარი.

«მარგო სწორედ ისე იყო გამოწყობილი და მორთული, როგორც ათი წლის წინათ, როცა ჯაყოს მაგივრად თეიმურაზს ედგა გვერდით: ტანთ ეცვა თეთრი ატლასის ქართული კაბა; განიერ მკერდს უმშვენებდა ოქროს ზონარით გადახლართული და მარგალიტებით შემკული პირისფერი გულისპირი: განიერი, იასამნის ფერი სარტყელი, თავით-ბოლომდე ოქროთი და აბრეშუმით ნაქარგი, კოჭებამდე სწვდებოდა. შუბლზე გვირგვინის მსგავსი იალქანი ერტყა, მარგალიტებით და ალმასებით მოჭედილი, ხოლო თავზე და მხრებზე თხელი თეთრი მანდილი ედო, ისიც ოქროს ფოთლებით მოქარგული; თავსაკრავის შუაგულს აღმართული ჰქონდა საუცხოო ჯიღა, _ ძვირფასი თვლების თაიგული. ამ თაიგულს მსხლის მსგავსი და ნეკის ოდენა მარგალიტი დასცქეროდა, რომელიც ნისლოვან ვარსკვლავივით უცნაურისა და იდუმალი შუქით ციმციმებდა».

ბედნიერების სრული ილუზიაა. მაგრამ მარგოს გონების თვალით მზერა არ შეეძლო და მისი ნამდვილი შინაარსი ვერ ამოიცნო. იგი ვერ მიხვდა, რომ ყველაფერი, რამაც ბედნიერების ილუზია შეუქმნა, მისი საკუთრება იყო. ვერ მოუარა და სხვამ წაართვა. ახლა ეს სხვა, უცხო და გადამთიელი, მარგოს თვალს უხვევს და მისატყუებელ საკენკს უყრის. მარტო ქონების მითვისებით და წართმევით არ კმაყოფილდება. მოძალადეს მარგოს სულიერი გახრწნა-გათახსირებაც უნდა, მაშინ იზეიმებს ჯაყო საბოლოო გამარჯვებას. აღწევს კიდეც მიზანს.

უკვე გვიან იყო, როცა მარგომ დაინახა, რა იყო მოოქროვილი ჩარჩოს ნამდვილი შინაარსი.

«მარგო ისე გამხდარა და გაყვითლებულა, თითქოს სამი თვის ნალოგინარი ყოფილაო. უსისხლო ტუჩები გასცრეცია და ლოყები ღრმად ჩაჰზნექია, ხოლო ღრმად ჩაცვინული ნუშის თვალები მიმქრალ ჭრაქივით ძლივს ბჟუტავენ. ტანთ ჩითის დაკონკილი კაბა აცვია და მხრებზე გახუნებული შალი აქვს წამოსხმული»

. . .

«_ მარგო მოსტყუვდა. მე ადრევე ვიცოდი ამ საქმის დასასრული. მაგრამ სხვის საქმეში ჩარევა ხასიათად არა მაქვს.

_ მაშ... მოსტყუვდა?

_ ძალიან მოსტყუვდა. სასტიკად დაისაჯა... ჯაყო პირველად მშველელ რაინდად მოეჩვენა. ძლიერი კაციაო, შემინახავსო, მფარველობას გამიწევსო. ეხლა კი...

_ ეხლა კი?

_ რაღა დაგიმალო: ეხლა ჯაყომ მარგოც საქონლად გადააქცია..

_ რას ამბობ, ივანე?!

_ მეტსაც გეტყვი: ზოგჯერ სცემს კიდევაც.»

. . .

«მძიმე ტვირთის ქვეშ ორად მოხრილი მარგო ბილიკზე ძლივს მიაბიჯებს».

ასე სრულდება ზნეობრივი დაცემა სოციალური მონობით.

გარდა ამისა, მარგოს თავგადასავალი ჯაყოობის (ჯაყოიზმის) კიდევ ერთ ფარულ აზრს ავლენს.

კარს მოგადგება გუდამშიერი და უსახლკარო გადამთიელი. ლუკმაპურსა და თავშესაფარს გთხოვს. ერთგულ და მორჩილ მსახურად გიჩვენებს თავს. გულუბრყვილობის, უზრუნველობისა და უდარდელობის გამო კარს გაუღებ, ჭერს

და საზრდელს მისცემ. იგი მომძლავრდება, მოღონიერდება, გალაღდება და გათავ-ხედდება. საკუთარი სახლიდან გაგაგდებს, შენს მამულს, საქონელს და საყოლელს მიითვისებს. ცოლს გაგიბახებს, ხასად და მხევლად დაისვამს. შენსავე სახლში გაი-ძულებს, მოჯამაგირედ დაუდგე და თავად ბატონად დაგიჯდება.

რატომ და როდის ხდება ეს? რომანში ამის პასუხიც არის. როცა მოძალადის თავ-ხედობას და შემოტევას უპირისპირდება ყალბად გაგებული კაცთმოყვარეობა, უნია-თო ზნეობრიობა, უნებისყოფობა და უნიადაგო ოცნება, მაშინ კეთილშობილი და ამაღლებული იღუპება, ადამიანურის ნაცვლად მხეცური იმარჯვებს. ამას მარგო ორჯერ მიხვდა. ერთხელ მაშინ, როცა კნეინა მარგალიტა ყაფლანიშვილი-ხევისთავი ჯვარს იწერდა ვიგინდარა ჯაყო ჯივაშვილზე. «და ეკლესიიდანაც, _ წერს მიხეილ ჯავახიშვილი, _ იმავე წამს, ერთმანეთში უცნაურად არეულმა დედაკაცის კივილმა, ქვითინმა და კისკისმა გამოჰხეთქა». ეს მარგო ხევისთავი დასცინოდა და დასტირო-და თავისთავს. მეორედ მაშინ, როცა თეიმურაზს პირდაპირ და მოურიდებლად უთ-ხრა _ «...იმიტომ სდუმდი, რომ ნებისყოფა და გამბედაობა არა გყოფნიდაო».

უნებისყოფობის, გაუბედაობის და უნიათობის გაკვეთილი თეიმურაზ ხევისთავ-მა მთელი თავისი ცხოვრებით უჩვენა მარგოს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნე-ლობის იყო არარაობად გადაქცევის დამადასტურებელი ორი სურათი.

თეიმურაზმა ყველაფერი გაიგო, რაც თავს დაატყდა. არაფრის შველა შეეძლო და სასოწარკვეთილმა ხევისთავმა თავის მოკვლა სცადა. ლიახვში გადავარდა, მაგრამ აქაც უმტყუნა სიმტკიცემ. მაშინვე მორთო ღრიალი, მიშველეთო. ნინიკამ გადაარჩი-ნა თეიმურაზი. ნახუცარმა ივანემ შინ შეიფარა. შეშინებული და თავგზააბნეული მარგო და ჯაყო თეიმურაზის სანახავად მოცვივდნენ. ცოლი ქმრის გაკიცხვასა და გმობას ელოდა. პირიქით მოხდა.

«თვითონ მარგო აპირებდა ფეხქვეშ ჩავარდნას და ხვეწნა-მუდარას. ეხლა კი თვი-თონ თეიმურაზი ულბობდა მარგოს მუხლებს და ისეთი სასოებით ნანობდა ქინძის-თავისოდენა ცოდვას, ვითარცა ნაავაზაკარი წმინდანი ნანობდეს უფლის წინაშე გა-ნუზომელ ბოროტებას. გაოცებული და დაბნეული მარგო თეიმურაზის შეთხელე-ბულს, ჭაღარა თმას მთრთოლვარე ხელს უსვამდა და იმის გახურებულ ბოდვას გუ-ლის ფანცქალით უგდებდა ყურს».

კიდევ შეიძლებოდა, რაღაც კონტაქტის აღდგენა, მაგრამ თეიმურაზის უსაზღვრო სილაჩრემ ყველაფერი ჩაშალა. მან მარგოს ძმობა შესთავაზა:

«_ მე ისევ შენი სულიერი ქმარი ვიქნები, არა, ქმარი კი არა, შენი ერთგული სულიერი ძმა და მ...მეგობარი ვიქნები... ეს არის ჩემი უკკ...კანასკნელი მუდარა». ეს დაცემაც არ იკმïრა თეიმურაზმა. მარგოსთან გაყრას დათანხმდა. დაყაბულდა, მარ-გო ჯაყოს შეერთო. თავად იმით დაკმაყოფილდა, რომ ხანდახან, სხვისი თანდასწრე-ბით, «ნაცოლარს“ დაელაპარაკებოდა.

ხორციელი და მშვინვიერი არარაობის ამგვარმა გამოვლენამ მარგო შეაძრწუნა.

«უცებ მარგოს უცნაური რამ დაემართა. თითქოს უსაზღვრო შეურაცხყოფა მიაყე-ნეს და წაუშლელი ჩირქი მოსცხესო: წელში გასწორდა, ნაკვეთი თავი მაღლა აიგდო და ალეწილ პირისახეზე მიუკარებელი ამაყობა, ნაკბენ თავმოყვარეობის ნისლი და აზღარბებული ამპარტავნობა აისახა; თვალებში რისხვის ნაპერწკლებმა გაუელვეს და ტუჩების ნაოჭებში მძულვარების და ზიზღის ზოლები ჩაუწვნენ».

თეიმურაზის არარაობის მეორე სრული გამოვლენა მოხდა მაშინ, როცა იგი დათანხმდა, ხევისთავის გვარი მიეცა მარგოსა და ჯაყოს ნაშიერისათვის.

ამიტომ მარგოს საბოლოო განაჩენი სამართლიანია:

«შენზე ცუდმედიდი სატანაც არ იქნება... შენ... შენის თავმდაბლობით შენი თავიც დაიღუპე და მეც გამაუბედურე... ღმერთმა ჩემი ცოდვა შენ დაგაკისროს, თემურ!»

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ მარგოს დაცემას სამი მიზეზი აქვს:

ჯაყოს ძალადობა, თეიმურაზის არარაობა და თავად მარგოს უნებისყოფობა.

მარგოს მხატვრული ხატის აზრობრივი შინაარსი სრულად არ იქნება ამოცნობილი, თუ არ ვიტყვით, რომ იგი (მარგო) ალეგორიულად აღნიშნავს ყველაფერს, რასაც დაცვა სჭირდება და რასაც ბოროტება ემუქრება.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თეიმურაზის თავდავიწყებულ სიყვარულს მარგოსადმი. იგი დაუვიწყარ დას, დედას და მეუღლეს უწოდებს მარგოს. ამ ქალში სახიერდება ყველაფერი ამაღლებული თეიმურაზისათვის. მარტო უმწეობის ბრალი არ არის, რომ თეიმურაზი მზად არის შეუნდოს მარგოს ყველა ცოდვა. ჯერ ერთი, ხევისთავი ხედავს თავის დანაშაულს და მეორეც, მას არ ძალუძს მოკვეთოს ფესვები, რომლითაც იგი დაკავშირებულია მარგოსთან როგორც ქალთან, ისე სამშობლოს სიმბოლოსთან.

«...ათი წლის ცხოვრებამ ორივენი ათას უხილავის სიმით და ფესვით შეჰკრა და შეჰბოჭა, და როცა მარგომ ეს ფესვები ამოსაგლეჯად ამოსწია და ძაფები დასაწყვეტად დასჭიმა, თავის ტანისა და სულის ყოველ წერტილში გაუსაძლისი ტკივილი და გოლგოთური კვნესა იგრძნო». მაგრამ, ვითარც ეს დამახასიათებელია უნებისყოფო და უმწეო ადამიანისათვის, თეიმურაზი, დაბნეულობის ჟამს, ამუნათებს ორივეს _ ცოლსაც და სამშობლოსაც:

«_ თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ მაგოდენა გესლს ანთხევთ, მადამ ფალუს?! ბატკნების და თევზების რელიგია მაძღარ ჯაყოს რელიგიაზე გასცვალეთ და მასხარად ამიგდეთ?! თქვენი ერთადერთი ღმერთი ფალუსია, თქვენ მხოლოდ მასზე უნდა ილოცოთ, იზრუნოთ და იმსჯელოთ»... _ შხამიანი სიტყვებით ცდილობს თეიმურაზ ხევისთავი, შური იძიოს მოღალატე ცოლზე.

«ჩემი უდიდესი და უმთავრესი უბედურება ის არის, რომ საქ...ქქართველოში დავიბადე... ღმერთმა თავიდანვე სასტიკად დამსაჯა მეთქი, როცა ქარ...რრთველად გამაჩინა...» წუწუნებს და იგესლება იგი.

მაგრამ ეს სასოწარკვეთილების წუთებში ემართება, თორემ სხვა დროს თავზარს სცემს როგორც მარგოსთან, ისე სამშობლოსთან განშორების გაფიქრება.

«_ არა, არა! აქედან ვერსად წავალ! მარგოს ვერ მოვშორდები! თუნდ ფეხებქვეშ გამიგოს, თუნდ ფურთხივით გამგლისოს და მონად გამიხადოს, მაინც ვერ მოვშორდები ჩემს მარგოს... ჩემს მარგუშის!.. ჩემს მარგალიტს, ჩემს ერთადერთ ღმერთსა და ბატონს...»

. . .

«მეც ემიგრანტი ვარ, ემიგრანტი ჩემივე ქვეყანაში, უცხოელი ჩემივე მოძმეთა შორის. ღმერთო მიშველე!»

მართალია, თეიმურაზს უყვარს მარგოცა და სამშობლოც, მაგრამ არ ძალუძს უმთავრესი _ დაიცვას თავისი სიყვარული. როგორც კი საქმე დაცვაზე მიდგება, იგი

უკან იხევს და მორჩილდება ძალდატანებას. ამის შედეგად თეიმურაზის სიყვარული ამაღლებული კი არ არის, არამედ დამდაბლებული და საზიზღარი. მხოლოდ მებრძოლ სიყვარულს მოაქვს ბედნიერება. თუ ასე არ არის, სიყვარული მონობის თავისებური ფორმაა. თეიმურაზის სიყვარულიც მონობის გამოვლენაა და არა ადამიანის სამშვინველის თავისუფლებისა. ამიტომ ირყევა იგი სიყვარულსა და სიძულვილს შორის. მტკიცედ ვერცერთ გზას ვერ დასდგომია.

ამ მერყეობის შედეგია ის, რომ თეიმურაზ ხევისთავმა კეთილი ვერ მოუტანა ვერც თანამეცხედრეს და ვერც სამშობლოს.

თეიმურაზი თეორიულად მიხვდა თავის დანაშაულს. მისი უკანასკნელი სიტყვები თვითმხილებაც არის, ცოდვის აღიარებაც და მონანიებაც.

«ჩემო წამებულო მარგო! ჩემო ტანჯულო ანგელოზო! მე ვერ მივიღებ შენს ბოდიშს, ვინაიდან მე თვითონ ვარ შენგნით შესაწყნარებელი. უსაზღვრო და უძიროა ჩემი ბრალი. გშიოდა და პური ვერ მოგეცი; გწყუროდა და წყალი ვერ დაგალევინე; გციოდა და კარი ვერ გაგიღე. განუზომელია ჩემი ბრალი შენს წინაშე, გოლგოთიდან მომავალო ჩემო მარგუში! შემინდე და დაივიწყე ურიცხვი ცოდვანი ჩემნი... თუ ძალგიძს, ჩემო წამებულო, მივცეთ ყოველივე დავიწყებას და შევუდგეთ ახალ ცხოვრებას...»

მაგრამ ეს მიხვედრა, მონანიება და მოწოდება _ შევუდგეთ ახალ ცხოვრებას _ არაფერს ნიშნავს. თეიმურაზ ხევისთავის ბუნებასა და ხასიათში არაფერი შეიცვლება. იგი ყველგან და ყველა პირობებში უძლური, უნიათო და უსუსური დარჩება, რის გამოც, ნებით თუ უნებლიეთ, მხოლოდ ბოროტებას მოიტანს. ერთადერთი, რაც მას დარჩენია, არსებობის (თუ მის ცხოვრებას არსებობა ჰქვია) გასაგრძელებლად, მოთმინებაა. ამიტომაც ემუდარება თეიმურაზი ღმერთს _ «მოგვეც ჩვენ, დავრდომილთა და უღირსთა ძეთა შენთა, მოთმინება ულეველი, მშვიდობა უსაზღვრო და რწმენა უძირო». მაგრამ თეიმურაზ ხევისთავი ცდება, მწარედ ტყუვდება, როცა ჰგონია, რომ მოთმინებას, მშვიდობას, რწმენას ვინმე უბრძოლველად უბოძებს. რწმენაც, მშვიდობაც, მოთმინებაც ბრძოლით უნდა მოიპოვოს ადამიანმა. თუ ბრძოლა შეწყვიტე, მაშინ ასპარეზს ჯაყო დაეუფლება, იგი გაბატონდება. ამაღლებული იდეალი დედის, დის და ცოლის შეიცვლება ცინიკური ლაზღანდარობით _ «დედაკაცი ბაღი ხარ, თუ არ მოირწყო გახმები». სამშობლოცა და ქალიც იმ ბაღს დაემსგავსება, სადაც ყველა მოხვეჭას, გაყვლეფას, ძარცვას ელტვის და არავინ ფიქრობს მოვლა-პატრონობაზე. ჯაყოსათვის მარგოცა და ნაშინდარიც, სამშობლოცა და მამულიც დუმაა, რომელიც უნდა თალო და თალო და, როცა ხელთ არაფერი შეგრჩება, არხეინად მიაფურთხო და ახალი ეძებო. ჯაყოს ხელში ქვეყანასაც ისე დაემართება, როგორც მარგოს მოუვიდა. მოჩვენებითი კეთილდღეობა შეეცვლება მძიმე ექსპლუატაციით, სიღატაკით და სიდუხჭირით.

«რა არ იყო იმ მაღაზიებში საქვეყნოდ გატანილი ერთი ლუკმა პურისათვის! კაბები და საცვალი, ჭურჭელი და სურათები, წიგნები და ალბომები, სამკაული და სათამაშო, ნაქარგი და ნაქსოვი, ნაჩუქარი და სახსოვარი; ცოლ-ქმრობის, დანიშვნის, ჯვრისწერის, და-ძმობის, მამაშვილობის და მეგობრობის ათასნაირი წვრილმანი, უთვალავი მოგონებებით აღსავსე, ნატიფი ნახელავი, ინტიმური და ძვირფასი ნივთი...

...უკლებლივ ყველაფერს ჰქონდა თავისი რომანი და წარსული, სიხარული და დარდი, სიცილი და ცრემლი, ინტიმური ისტორია და უცხო თავგადასავალი, იმედიანი დასაწყისი და სევდიანი დასასრული.»

ასეა, ჯაყოების ბატონობა ნიშნავს წარსულის გაყიდვას, აწმყოს ტანჯვად გადაქცევას და მომავლის სიბნელეს და გაურკვევლობას.

როცა მარგო-ქვეყნის დაცემა-დაქცევას უყურებ, ნათელი ხდება, რომ თეიმურაზ ხევისთავის უმწეო ალტრუიზმი ჯაყო ჯივაშვილის მოძალადე მიზანთროპიის მოკავშირე და თანამდგომია. ჯაყოს მოძალადე მიზანთროპია თეიმურაზის უმწეო ალტრუიზმის დაუხმარებლად და ხელშეუწყობლად ვერ იარსებებს. ამიტომ არის თეიმურაზი ისეთივე დამნაშავე, როგორიც ჯაყო. ამიტომ არის დაუნდობელი მიხ. ჯავახიშვილის სატირა როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ. მიხ. ჯავახიშვილი არ ნიღბავს თავის დამოკიდებულებას თეიმურაზისა და ჯაყოსადმი. პირდაპირ და აშკარად, მოურიდებლად უწოდებს მწერალი თეიმურაზს წიგნის ჭიას, წიგნის მატლს, ქაჩალ თაგვს, განათლებულ ქათამს, ნაკაცარს, ნათავადარს და ასე შემდეგ. ჯაყოც ასევეა დახასიათებული _ ბანჯგვლიანი დათვი, ოყრაყი, ორანგუტანგი, პირგაპარსული მაიმუნი, რევოლუციის მუნი...

მიხ. ჯავახიშვილი სრულად ამხელს ჯაყოობის ყველა საშინელებას. ჯაყოობა თავზარდამცემია არა მარტო დროის ამა თუ იმ მონაკვეთში, არამედ მომავლისათვისაც. ერთი ფრიად დამაფიქრებელი სურათია აღწერილი «ჯაყოს ხიზნებში».

თეიმურაზ ხევისთავისა და მარგო ყაფლანიშვილის კავშირის შედეგედ ბავშვი არ გაჩნდა. ე.ი. უმწეო ალტრუიზმი და პასიურობა უნაყოფოა. მაგრამ ბავშვი დაიბადა მარგო ყაფლანიშვილისა და ჯაყო ჯივაშვილის თანაყოფის რეზულტატად. ე. ი. მოძალადე მიზანთროპია და პასიურობა ნაყოფიერია, მომავალი აქვს. ეს ხომ თავისთავად საშიშია, მაგრამ უფრო მეტი საფრთხეა მოსალოდნელი, რამეთუ მოძალადე მიზანთროპიას სურს, შეინიღბოს, კეთილშობილი სახით მოგვევლინოს. ჯაყო თხოვს თეიმურაზ ხევისთავს _ «მოდი, საქმეს ისე გაგაკეთებდე, რომ ამ პატარა ჯაყოსა ხევისთავი დაგარქმევდე, ჰა, რას იტყოდე?» თეიმურაზი თანახმაა.

ჯაყო ხევისთავი. ასე შეინიღბება მიზანთროპია ალტრუიზმით მომავალში და უკვე ვეღარ გაარჩევ სად არის კეთილი და სად _ ბოროტი. ამიტომ დაუნდობლად უნდა იქნეს მხილებული ჯაყო და ჯაყოობა. ჯაყოობის შედეგიც თავზარდამცემი უნდა იყოს. ეს რეზულტატი მარგოს დაცემაა.

მიხ. ჯავახიშვილი ამ დაცემის მკაფიო სურათის სადემონსტრაციოდ ეროტიულ სცენებს ხატავს. ეს ბუნებრივიც არის. კლასიკურ სატირულ ლიტერატურაში ეროტიზმი გამოყენებულია, როგორც ხერხი, როგორც საშუალება, ადამიანისა და საზოგადოების ზნეობრივი დაცემის საჩვენებლად: ასეა «სატირიკონში», «ოქროს ვირში», «დეკამერონში», «გარგანტუა და პანტაგრუელში» და სხვაგან, სადაც გროტესკული რეალიზმის კუთხით იხატება ადამიანთა ყოფა. მიხ. ჯავახიშვილიც გროტესკული რეალიზმის საშუალებებს მიმართავს, რათა მაქსიმალურად აღაშფოთოს მკითხველის მშვინვიერი სამყარო. აამხედროს მორალური დაცემის წინააღმდეგ. ამიტომაც ზარავს და აძრწუნებს მკითხველს მარგოსა და ჯაყოს ურთიერთობა. ამ ქალის საბოლოო ბედი, როცა იგი წელში ოთხადმოკეცილი, სამპირტყავგამძვრალი, მუშა საქონლად გადაქცეული მიათრევს ცხოვრების მძიმე ტვირთს.

ასეა დახატული შეუბრალებელი სატირული კალმით, ერთის მხრით, ბოროტება (ჯაყო) და უმწეობა (თეიმურაზი) და, მეორე მხრივ, მათი ერთობლივი მსხვერპლი (მარგო). მაგრამ, მიუხედავად ამისა, «ჯაყოს ხიზნები» იმედით და რწმენით სავსე რომანია.

რწმენასა და იმედს ბადებს როგორც კონკრეტულად ამ რომანის, ისე მიხ. ჯავახიშვილის მთელი შემოქმედების მრწამსი: ბოროტება დაუსჯელი არ რჩება. მწერალს კეთილის აუცილებელი გამარჯვება კოსმიურ კანონზომიერებად მიაჩნია. მიხ. ჯავახიშვილი ბოროტების დამსჯელს უწოდებს «ბედი მდევარს», «განგების ეთიკს», «ბედისწერის ეტლს».

თეიმურაზ ხევისთავი ასეთი სიტყვით მიმართავს ჯაყო ჯივაშვილს:

«...ჯაყო! კიდევ ვიღაც არის ამ ქვეყნად ღმერთის გარდა. ის «ვიღაც» ურმით დასდევს ფეხმარდ მგლებს... ურმით დასდევს, დიდხანს დასდევს, ბოლოს, რაც უნდა მარდად ირბინოს მგელმა, სადაც უნდა გადაიკარგოს, ურმით მდევარი «ვიღაც» იმ მგელს მაინც დაეწევა და კბილებს დააგლეჯს... დაიმახსოვრე ჩემი უკანასკნელი სიტყვა... ამიერიდან დღე-და-ღამ იმ სიმართლეს მოელოდე. ჩემს მაგივრად იგი მოვა და ანგარიშსს გგ...გაგისწორებს. ბედმა მდევარმა შენ თუ არ მოგისწრო, შენს შვილებს მაინც წამოეწევა და კბილებით დაჰგლეჯს, შამფურზე შესწვავს, ნელ ცეცხლზე მოჰხრაკავს, ბნელ ორმოში ჩაჰყრის და თან გველის წიწილებს ჩააყოლებს...»

აუხდა ჯაყოს თეიმურაზის წყევლა. მართლაც დაეწია ბედი მდევარი. ხალხმა იგი ლაზათიანად მიბეგვა, თავიც გაუხეთქა, ნაქურდალი და მითვისებული წაართვა, თეიმურაზის სასახლიდან გამოაგდო და ისევ იმ გომურში შელალა, საიდანაც გამოძვრა «რევოლუციის მუნი, წურბელა, ბაღლინჯო და ტილი».

როგორც უკვე ვთქვი, მიხ. ჯავახიშვილის რწმენა კოსმური სამართლიანობისა ვლინდება არა მარტო «ჯაყოს ხიზნებში», არამედ თითქმის მის ყველა ნაწარმოებში.

«განგების ეთიკი უკვე ჰყიოდა მათზედა, ვინც «ყარდაში» დამიღუპა და უხილავი თითი უკვე სწერდა ეტლს, როდესაც ხუთმეტი კაცი გააკრეს მიწაზე და ხუთმეტი ჯოხი აღმართეს მათზედა» _ წერს მწერალი «ლამბალო და ყაშას» დასასრულს. მერე გვიამბობს აღსასრულს ყველა მათგანისა, ვინც ბოროტება ჩაიდინა და ამთავრებს:

«ბედი-მდევარი სხვებსაც ურმით დაეწია და ახალი რუსეთის წითელ ჟინჟღილაზე დასწვა:

გენერალ ჩერნოზუმოვს ულმობელმა ბედმა კავკავში ჩასჭიდა ბასრი კლანჭები.

კომენდანტი ბერეზოვსკი ხარკოვში გახვრიტა წითელმა ტყვიამ.

კონსული ნერატოვი ციმბირში გაიყინა, ხოლო მისი მდივანი ვოლგაში დაიხრჩო.

საზარელი არის ყივილი განგების ეთიკისა!

დიდი არს ძალა ბედი-მდევრისა!»

«გივი შადურის» ბოლო ამბავი კი, საერთოდ, დასათაურებულია ასე _ «ბედი-მდევარი». რომანის ამ თავის პერსონაჟები _ ყარამან ჯიქურაული და სეხნია ლაჩიშვილი მძიმე, ცოდვებით სავსე ცხოვრების გზას გაივლიან და ორივე ციხეში სიკვდილით ამთავრებს სიცოცხლეს. ორივე, ერთი _ თავზეხელაღებული ვაჟკაცი და მეორე _ ლაჩარი და დამსმენი, ერთი და იმავე დასკვნას აკეთებს.

ყარამან ჯიქურაული: «ბედს ვერსად წაუხვალ. ერთმანეთს რამდენიმე წელიწადს დავდევდით. მე ქარივით დავქროდი, ის კი ურმით მომდევდა. მაინც დამეწია.»

სეხნია ლაჩიშვილი: «ბედი-მდევარი მეც დამეწია».

ამგვარი ნიმუშების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვისაც მიხ. ჯავახიშვილის თხზულებანი დაკვირვებით წაუკითხავს, თავადაც ბევრს გაიხსენებს მსგავს მაგალითებს. ამიტომ შესაძლებლად მიმაჩნია, გავიმეორო, დავასკვნა:

მიხეილ ჯავახიშვილს ურყევად სწამს, რომ ბოროტება აუცილებლად ისჯება, რადგან თავისთავში შეიცავს სასჯელს. იგი თავად ანადგურებს თავისთავს.

ამ რწმენის ნაყოფია, რომ რარიგ მკაცრი და დაუნდობელიც უნდა იყოს მიხ. ჯავახიშვილის სატირა საერთოდ, და კერძოდ «ჯაყოს ხიზნები», მისი მთელი შემოქმედება და ცალკეული ნაწარმოებნი სავსეა ნათელი ოპტიმიზმით, რწმენითა და იმედით. მწერლის ეს რწმენა ქართული ლიტერატურის ტრადიციითაც იკვებება:

«ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია».

ეს არა მარტო «ვეფხისტყაოსნის» კრედოა, არამედ მთელი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა. იგი ეყრდნობა მოძღვრებას, რომლის თანახმად ბოროტება არარსია, უსუბსტანციოა.

ამ ლიტერატურის, ამ მოძღვრების სისხლხორცეული ნაწილია «ჯაყოს ხიზნებიც».

1980წ. იანვარი

მასალა

მინდა მკითხველს გავახსენო მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის «ორი შვილის» შინაარსი.

დიდზვარელმა თევდორემ ხატიჭალელ მედუქნე ზაქარიას ცხენი მიჰყიდა ორმოც თუმნად. ზაქარია მედუქნე გულხარბი და ავი კაცი იყო. ცხენიც უნდოდა და ორმოცი თუმნის შენარჩუნებაც. დიდხანს იწრიალა მედუქნემ. მერე სატევარსა და რევოლვერს ხელი დაავლო და ძუნძულით შინმიმავალ თევდორეს დაედევნა. წამოეწია. გულმა რეჩხი უყო თევდორეს. გუმანით მიხვდა, საკეთილოდ არ გამოჰკიდებია მას ხატიჭალელი მედუქნე. ზაქარიამ იცრუა: თვლა შემეშალა, სამი თუმანი გადმოგაყოლეო. ისევ დავთვალოთო, მიუგო თევდორემ და უბიდან ჭრელ ხელსახოცში გახვეული ამოიღო. ვიდრე თევდორე სვენებ-სვენებით ფულს თვლიდა, ზაქარია მედუქნემ თევდორეს ქურდულად სატევარი აძგერა და სული გააფრთხობინა. ზაქარიამ ცხედარი ბუჩქებში შეაგდო. ფული ჯიბეში ჩაიტენა და უცებ თავში გაუელვა _ დამღუპავს... თუ გამექცა, დამღუპავს!

თევდორე მარტო არ ყოფილა. შვილი ახლდა თან, პატარა შიო. როცა ბიჭმა თავგაჩეხილი მამა დაინახა, თავზარდაცემულმა მოჰკურცხლა. თუ ზაქარია შიოსაც არ მოჰკლავდა, დაიღუპებოდა. ბოროტმოქმედება გამჟღავნდებოდა და კაცის მკვლელს ციხეში ამოალპობდნენ. დიდხანს სდია ზაქარიამ ბიჭს, მაგრამ ვერა და ვერა, ვერ დაეწია. სირბილით ქანცგაწყვეტილი შიო ზაქარიას დუქანთან მოვარდა და მედუქნის ცოლს ნატოს შეევედრა, დამმალეო. დედაკაცმა ბიჭი გომურში დამალა. ამასობაში აქლოშინებული ზაქარიაც მოვარდა. ნატო ქმრის ფარდი იყო და მაშინვე მიხვდა,

რაც მომხდარიყო. ზაქარიამ სული მოითქვა და ზღვრბლზე ჩამოჯდა. აღარ ჩქარობდა, შიო ხელში ჰყავდა. ბიჭი ვეღარსად გაიქცეოდა.

თუმცა ერთი გარემოება ართულებდა საქმეს: სანამ ნატო და ზაქარია შინ არ იყვნენ, ვიღაც სირაჯი მოსულა. ცოლ-ქმარი რაკი შინ არ დახვედრია, ზაქარიას უმცროსი ბიჭის ზურაბისათვის უთქვამს _ როცა დედ-მამა დაბრუნდება, გამაღვიძე, მანამ კი დაღლილი ვარ და თვალს მოვატყუებო. უცნობი იქვე, დუქანში, ტახტზე მიწოლილა და დაუძინია. ახლა ეს მოულოდნელად შემოხეტებული სირაჯი ცოლ-ქმარს ხელს უშლიდა, შავი საქმე ბოლომდე მიეყვანა. ზაქარიას და ნატოს დიდხანს აღარ უფიქრიათ: სადაც ორი, იქ მესამეცო, და სტუმრის მოკვლაც დაასკვნეს.

გაწაფულმა ცოლ-ქმარმა ბიჭიც მოჰკლეს და სტუმარიც. ორივე ცხედარი ეზოში გაათრიეს და თივის ბულულის ქვეშ დამარხვა გადაწყვიტეს. სამარხიც ამოთხარეს. ის იყო გვამები შიგ უნდა ჩაეშვათ, რომ სოფლის ღამე ჟინჟღილებმა გაანათა და ცხენების თქარა-თქურმა გააყრუა. მკვლელებს თავზე მილიცია წამოადგა. მაგრამ ზაქარია მილიციის დანახვას ისე არ შეუშინებია, როგორც იმ პატარა ბიჭისა, რომელიც მილიციელებს ახლდა. ეს ბიჭი მან ხომ მოჰკლა და ახლა როგორღა გაცოცხლებულა?

ყველაფერი ნათელი გახადა პატარა შიომ. როცა შიო ნატომ გომურში დამალა, იქვე წოლილა ზაქარიას ბიჭი ზურაბიც. ზურაბს შიო სანათურში აუძვრენია და გადაურჩენია. თავად კი იქვე მშვიდად დაუძინია. ზაქარიამ ეს არაფერი იცოდა და სხვისი შვილის მაგიერ საკუთარი მოჰკლა. მეორე მოკლული კი ზაქარიას უფროსი შვილი ანტონი აღმოჩნდა, რომელიც პირველ მსოფლიო ომში წაიყვანეს. მერე სადღაც დაიკარგა. თორმეტი წელიწადი ელოდა ცოლ-ქმარი მის დაბრუნებას, მაგრამ ანტონი არსად სჩანდა. ამ საბედისწერო ღამეს მოადგა ანტონი მშობლების კარს და ალერსის ნაცვლად ბოროტების გზა-კვალზე დამდგარმა ნატომ და ზაქარიამ ალესილი ნაჯახი დაახვედრეს.

ჩემი ცოდო დაგეწევაო: შესძახა სიკვდილის წინ დიდზვარელმა თევდორემ და მართლაც დაეწია იგი ზაქარიას. ბოროტებამ თავად დასაჯა თავისთავი.

ბოროტება დაუსჯელი არ რჩება. ეს რწმენა ძირითადი მოტივია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებისა. ორგვარი სასჯელი არსებობს: ერთია, თვითდასჯა, თვითგანადგურება; მეორეა, კეთილის აუცილებელი გამარჯვების კოსმოსური კანონზომიერება. თავად მწერალი ბოროტების დამსჯელს უწოდებს «ბედი მდევარს», «განგების ეთიკს», «ბედისწერის ეტლს».

ბოროტების აუცილებელი დასჯის მოტივი მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში ზოგჯერ უშუალოდ, პირდაპირ, ყოველგვარი მხატვრული შენიღბვის თვინიერ არის მწერლის მიერ გამოთქმული, ზოგჯერ მოთხრობისა თუ რომანის სიუჟეტურ ქსოვილშია ჩაწნული.

ექიმი სპირიდონ რონველი («პატარა დედაკაცი») ამირან რიმანიძის მეგობრად თვლის თავს, მაგრამ ვერაგულად სარგებლობს ამირანის ავადმყოფობით. ჯერ ამირანს საზარელ სურათს აჩუქებს, რათა ისედაც ავადმყოფ კაცს გულის ნაღველი გაუძლიეროს და მთლად სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს. მერე ამირანის ცოლს სოფიოს შეაცდენს და საყვარლად გაიხდის. სულიერად და ფიზიკურად დაუძლურებული ამირან რიმანიძე უცხოეთში მიდის სამკურნალოდ. ამით სარგებლობს სპირიდონ რონველი და ეუფლება ამირანის ოჯახს.

გადის დრო. უცხოეთიდან განკურნებული ბრუნდება ამირანი. თან იგი ჩინებული დოსტაქარი გამხდარა.

ბოღმითა და შურით აღვსილი სპირიდონ რონველი ვერ უძლებს ამირან რიმანიძის, როგორც ქირურგის, წარმატებას და «სხვისა კეთილსა ზედა მწუხარებით» შეპყრობილი, გიჟდება.

«პატარა დედაკაცშიც» სპირიდონ რონველის ბოროტება და ავკაცობა თავად სჯის თავისთავს.

* * *

ბოროტება ისჯება, სულერთია, უნებლიეთ არის იგი ჩადენილი თუ გაზრახ.

ლაზარე ჩიჩილაშვილს («ორი განაჩენი») შემთხვევით შემოაკვდა ძმა. სასამართლომაც კი არ სცნო დამნაშავედ ლაზარე და გაათავისუფლა, მაგრამ ბოროტება ხომ მოხდა! ამიტომ ჩიჩილაშვილი თავად სჯის თავისთავს. იგი თავს იხრჩობს.

ყმაწვილი ქალი სოფიო («ეშმაკის ქვა») ბრბოს აღტკინებას აჰყვა და ბრმა რისხვით შეპყრობილმა უნებლიეთ ესროლა ქვა ჩასაქოლად განწირულ ნასყიდაანთ დათას. როცა გონმოსულმა ქალმა მომხდარი ამბავი გააცნობიერა, შეირყა. «ყველას იმ ერთ ქვაზე გველაპარაკებოდა და გვარწმუნებდა, გვეფიცებოდა, რომ ის ავი ქალი არ იყო, რომ ის ვიღაცამ შეაცდინა, თვალები დაუბნელდა და ისიც კი არ ახსოვდა, თუ როგორ აიღო ის ერთი ქვა და როგორ ესროლა დათას». სოფიომ ვერ გაუძლო ტანჯვას და მალე გარდაიცვალა.

მართალია, სოფიოს დანაშაული უნებლიეა ისევე, როგორც ლაზარე ჩიჩილაშვილისა, მაგრამ მაინც ისჯება. აქაც ბოროტება თავისთავში შეიცავს სასჯელს.

აბდულ ქერიმი ბიძაშვილმა მუსტაფამ დაღუპა («მართალი აბდულა»). მუსტაფა თავად იყო ქურდი და მძარცველი. მილიციისათვის გზა-კვალი რომ აერია, მუსტაფამ ნაქურდალი აბდულ ქერიმის სახლში დამალა. მართალმა კაცმა თავი ვერაფრით იმართლა, რამეთუ სიმართლის დასამტკიცებლად საბუთი არ აღმოაჩნდა. ათი წელი მიუსაჯეს მართალ აბდულას. მაშინ თავად გადაწყვიტა სამართლის პოვნა უდანაშაულოდ დასჯილმა. ციხიდან გაიპარა, სოფელში ჩავიდა და ავისმქნელი მუსტაფა ოჯახიანად ამოწყვიტა.

«სწამს აბდულას ბედი და მისი ულმობელი სამართალი».

მუსტაფასაც დაეწია ბედი მდევარი თუ განგების ეთიკი და იგი მიუზღო, რასაც იმსახურებდა.

* * *

რაჟდენ გვეტაძე _ მოთხრობების კრებული, გამოცემული 1941წ. «სახელგამი»

ამ კრებულში არის მოთხრობა «ოქროს მამალი». მისი პერსონაჟია დეკლასირებული ლეღენდერა. იგი ზარმაცია, უქნარა. ჭამა უყვარს. სულ სხვის კარზეა, რომ რაღაც შესანსლოს. სახლი არა აქვს და კარი. სოფელს მისი ნამდვილი სახელიც გადავიწყებული აქვს. ეზო ეკალბარდით არის დაფარული. ერთადერთი, რაც ახარებს ლეღენდერას, მამალია, რომელიც ძალიან უყვარს.

ერთხელ ლეღენდერას გოგოები ეწვივნენ. კოლმეურნეობის საქათმის მუშაკები. კოლმეურნეობის საქათმისათვის მამალი მოგვეციო, სთხოვეს: გაგიჟდა ლეღენდერა. გოგოები გარეკა. ამით ისარგებლა სოფლის კულაკმა (სახელი არ არის მითითებული) და ლეღენდერას ეწვია. პურმარილიც მიიტანა. შეაპარა, მამლის ჩამორთმევას გიპირებენო. მტერს უნდა შეუტიოო, და კოლმეურნეობის ბეღლების გადაწვა შესთავაზა. არ მოტყუვდა ლეღენდერა. კულაკი ამ საქმეს რომ ავალებდა, მიხვდა.

მოხუცმა გლეხმა გლახუნამ ლეღენდერა კოლმეურნეობაში მიაღებინა. კულაკმა მამალი მოუკლა.

ლეღენდერა გარდაიქმნა. ცოლიც შეირთო. ოდაც დადგა. პიონერი თამაზისაგან წერა-კითხვაც ისწავლა.

* * *

რ. გვეტაძის ამ კრებულში შედის ვრცელი მოთხრობა «თეო». მოქმედება ხდება ქვიშხეთში. თავადი ყაფლანი _ სტერეოტიპული სახე ურჯუკი ბატონისა (ილიასეული დახასიათებით _ «ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი»). სტუმრები ჰყავს. თავისი თავქეიფიანობის საჩვენებლად გლეხის მოზვერს ხმლის ერთი მოქნევით წააცლის თავს. მოზვერი გლეხი გიორგასი იყო. მასზე გიორგა დიდ იმედს ამყარებდა. როცა შეიტყო, რომ მოზვერს ყაფლანმა თავი წააცალა, წალდს დაავლო ხელი და ყაფლანის სახლში გავარდა. გონდაკარგულმა გიორგამ ყაფლანს წალდი მოუქნია, მაგრამ ხელიდან გაუსხლტა და ყაფლანს ააცდინა. მაშინ ყაფლანმა გიორგას თავი ხმლით წააცალა. თურმე გიორგას დედა თებრო ყაფლანის მამას უხმარია. გიორგა ამის შედეგად გაჩენილა. თებრო გიორგას მოკვლის შემდეგ შეირყევა. ყაფლანის ცოლი თინათინი ამ სურათის ნახვის შემდეგ დაავადდება და მოკვდება. ობლად დარჩება პატარა თეო (საერთოდ რ. გვეტაძეს უყვარს აღწეროს, როგორ ყავდათ უკანონო შვილები თავადებს. «ტატაშ ხვარშიც» ასეა: ტატაშს ჰყავს კანონიერი შვილი ეგირი. ეგირს შეუყვარდება თეა. ტატაშს არ უნდა ეგირმა შეირთოს თეა, რადგან თეა ტატაშის უკანონო შვილია. ამის გაგების მერე ეგირი თავის მოკვლას აპირებს, მაგრამ აქ ტატაშის ცოლი თარყვა დაიყვირებს, რომ არც ეგირია ტატაშის შვილი. თარყვას სხვასთან უმაკინტლია და ეგირი გაუჩენია).

თეო და ყაფლანის მოჯამაგირე აჭარელი ბიჭი მირზა ბავშვობაში ერთად იზრდებიან. მართალია, თეო მერე თბილისში წავა სასწავლებლად, მაგრამ ბავშვური მეგობრობა მაინც შერჩებათ.

როცა მირზა წამოიზრდება მოხუცი გლეხი თანდილა მას რევოლუციურ საქმიანობაში ჩააბამს. მირზა გაბოლშევიკდება. ბოლშევიკური საქმიანობისათვის ციხეშიც მოუწევს ჯდომა. მირზასა და თეოს მეგობრობა სიყვარულში გადაიზრდება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყაფლანს ყველაფერს ჩამოართმევენ. იგი გაღარიბებულ-გაღატაკებული, თეოსთან ერთად, სარდაფში ცხოვრობს. უჭირს, ლუკმა-პურს ძლივს შოულობს. ჩაუცმელ-დაუხურავი გროშებს აგროვებს, რომ სული არ ამოხდეს. ლუმპენად გადაიქცევა. თეო და მირზა ისევ შეხვდებიან ერთმანეთს ყაფლანის დის რუსუდანის სახლში. რუსუდანის შვილი ირაკლიც ბოლშევიკია. მირზა აჭარაში მუშაობს მაღალ თანამდებობაზე. მირზა თეოს შეირთავს. ყაფლანი ამის წინააღმდეგია _ ნამოჯამაგირალს შვილს არ გავატანო. არაფერი გამოუვა.

მარტოდმარტოდ, უპატრონოდ დარჩენილი ყაფლანი მეკუბოვე და მესაფლავე როსტომოვთან მუშაობს _ მებალდახინედ. ყაფლანს «განსაკუთრებით უხაროდა, როცა კომუნისტი მოკვდებოდა _ მის გასვენებაში, როგორც ქორწილში, ისე მიდიოდა».

ღამე ყაფლანს ბალდახინის ყუთში ეძინა. ყაფლანის მამულში კოლექტივი იყო. სახლში _ კლუბი, სამკითხველო, ჭრა-კერვის სკოლა. ქვედა სართულში _ კოოპერატივი. (სოციალური სინამდვილის თავდაყირა დაყენება).

მასალა

შალვა დადიანის «გვირგვილიანების ოჯახში», როცა ბეგი გვირგვილიანი მარინა რიაბინინას ცოლად შერთვას გადაწყვეტს, ღრმად მოხუცი ბახვა ფაღავა ასეთ სადღეგრძელოს ამბობს:

«... ჩვენ, ქართველი მოდგმისანი, ძველი ხალხი გახლავართ, თქვენ, რუსები, კი ახალგაზრდა, ჯან-ღონით და ენერგიით სავსენი. ასეთი შეჯვარება კი, ცხადია, კეთილ ნაყოფს გამოიღებს».1

ქართველისა და რუსის შერეულ ქორწინებას შალვა დადიანი დაღლილი სისხლის განახლების კუთხით უყურებს. ეს პრობლემა იაკობ გოგებაშვილსაც აწუხებდა. იგი საგანგებოდ აკვირდებოდა, როგორ სწავლობდნენ ქართველი ბავშვები სკოლაში. ერთმანეთს ადარებდა ქართველი ყმაწვილისა და რუსი, სომეხი და სხვა ეროვნების ბავშვების წარმატებას სწავლაში. ამ საქმიანობისას ერთი კანონზომიერება შეამჩნია: «... შედარებით უკეთესად სწავლობენ ესრედ წოდებულნი ამერ-იმერნი, ესე იგი, ის ყმაწვილები, რომელნიც დედით ამერნი არიან და მამით იმერნი, _ ან დედით იმერნი და მამით ამერნი. ესენი იჩენენ აქაურების მართებულობას და იქაურების სიმკვირცხლეს, აქაურს სიდამჯდრეს აზროვნებაში და იქაურის სისწრაფეს, ერთად შეზავებულს და წარმოადგენენ გაუკეთესებულს ქართველს ტიპსა. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ გახშირება ქორწინებისა ამერ-იმერთა შორის, რომელიც ბოლო წლებში თანდათან მატულობს, ფრიად სასარგებლო და სანატრელია, როგორც საუკეთესო ღონისძიება ქართველთა ტიპის გაუკეთესებისათვის».1

დაღლილი სისხლის ანდა ქართული ჯიშის გაუმჯობესების პრობლემა უკვე მეცხრამეტე საუკუნიდან მომდინარეობს. დრო და დრო, ამა თუ იმ თვალსაზრისით, საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი ხდება. მე-19 საუკუნე ამის უხვ მასალას იძლეოდა. თუმცა ძირითადად სოციალური ასპექტით. ქონებრივად ხელმოკლე ქართველი ქალი, განსაკუთრებით არისტოკრატიული წარმომავლობისა, ხშირად მიჰყვებოდა ცოლად რუს მოხელეს ან სამხედრო პირს. ხოლო მამაკაცები ცოლად ირთავდნენ მდიდარი სომეხი ვაჭრების ქალიშვილებს. ამისი დამადასტურებელი რეალური ფაქტიც ბევრი შეიძლება გავიხსენოთ და ლიტერატურულიც.

მეცხრამეტე საუკუნეში შერეულ ქორწინებას ჯიშის გაუმჯობესების აზრი არ კვებავდა. ეს იყო არსებითად ნივთიერი კეთილდღეობის ძიება, ქონებრივი მდგომარეობის გამოსწორებაზე ზრუნვა და ფიქრი. ამავე თვალთახედვით არის აღწერილი შერეული ქორწინება მაშინდელ მწერლობაშიც.

გიორგი ერისთავის «გაყრაში» ქართველი თავადი ივანე დიდებულიძე სიღარიბისა და უფულობის გამო ირთავს ცოლად ვაჭარ მიკირტუმ ტრადატოვის ქალს შუშანას.

გიორგი ერისთავის «ძუნწშიაც» მეორდება მე-19 საუკუნისათვის ფართოდ ცნობილი ეს ვითარება. თავადი არჩილ ღაზნელი კარაპეტ დაბაღოვის ასულზე, ხამფერაზე, ქორწინდება, რაკი სიღატაკისაგან თავისდაღწევის სხვა გზას ვერ ხედავს.

არც ავქსენტი ცაგარელის «ხანუმას» პერსონაჟი თავადი ვანო ფანტიაშვილია წინაღმდეგი ცოლად შეირთოს მდიდარი მოიჯარადრის მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცის სონა, ოღონდ ოჯახი არ დაექცეს და ნივთიერად ისევ წელში გაიმართოს.

ღარიბ-ღატაკ ქართველ არისტოკრატს მდიდარი სომეხი ვაჭრის ფული და სიმდიდრე ენატრება. მდიდარ სომეხ ვაჭარს კი _ არისტოკრატის წოდება და ზეპურ საზოგადოებაში ტრიალი. ორივეს ნატვრის ასრულება შერეული ქორწინებით შეიძლება. ისინიც არ იშურებენ ფულსა და ეშმაკობა-თაღლითობას ოცნების განხორციელებისათვის.

მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა გულით წუხდა ქართველი თავადაზნაურობის სოციალ-ეკონომიკური დაქვეითება-დაკნინების გამო. ფიქრობდა და მსჯელობდა მასზე. გიორგი წერეთლის, დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში ამ პრობლემას დიდი ადგილი უჭირავს. გულგრილი ამ საკითხის მიმართ არც მე-20 ასწლეულის მწერლობა დარჩენილა. საბუთად ნიკო ლორთქიფანიძის «დანგრეული ბუდეებიც» კმარა. მაგრამ თუ მე-19 საუკუნის მწერლობა ქართული არისტოკრატიის დაცემა-დაკნინებას ძირითადად უყურებდა სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით, მე-20 ასწლეულის ლიტერატურამ დაღლილი, დაბერებული სისხლის კუთხით შეხედა. მარტო დიდი და არსებითი საზოგადოებრივი მოვლენები არ ყოფილა მისი საფუძველი, არამედ _ ბიოლოგიურიც.

«თესლი ჩვენი შეჭმულია პლაზმოდიებით და სისხლი დალორწილი!.. ოო, მამაჩემო, მამაჩემო, როგორ მეშინია მე ამ საუკუნეების!.. ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას... ჩვენში წყდება გვარები და მოდგმები ისე, როგორც არსად. მოგვდევენ და მოსვენებას არ გვაძლევენ საუკუნეთა მიერ დაგვალული, მუნიანი ჭინკები... და ამირანი შებორკილია მათ მიერ!..» _ შესტირის მამას ბონდო ჭილაძე დემნა შენგელაიას რომან «სანავარდო»-ში.

«_ რას ამბობ, შვილო? _ შეეკითხა ყარამანი.

ბონდო შეკრთა, თვალები მოიშმუშნა და შეხედა მამას.

გაიღიმა.

მერე:

_ სისხლი დაიღალა, მამაჩემო, სისხლი!..

_ კაი ახლა, შვილო!.. _ უსაყვედურა მამამ.

_ სისხლი, მამაჩემო, სისხლი დამჟავდა ძარღვებში».

«სანავარდოში» მოქმედება მე-19 საუკუნის შუა წლებში ხდება, მაგრამ ქართული არისტოკრატიის დაცემა-დაკნინების პრობლემა დანახულია ახალი კუთხით _ სისხლის დაღლისა და დაბერების ასპექტით.

მიჯაჭვული ამირანი, ვინც დამონებული და თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს სიმბოლოდ აქცია აკაკი წერეთელმა, მტრებისაგან კი არ არის შებორ-

კილი, არამედ მუნიანი ჭინკებისაგან, კოლხეთის ლორწოიანი ჭაობებიდან რომ ამომძვრალან.

ბონდო ჭილაძის დაღლილ სისხლს არ შეუძლია არც ქალის განაყოფიერება და არც ქვეყნის პატრონობა: «დაიკარგა ხვავი და ბარაქა, დედამიწას ძუძუ გაუშრა. გვალვამ დახეთქა იგი».

ბონდოს სიყვარულს უარყოფს არა მარტო კნიაჟნა ტრუბანოვა, არამედ გონჯი და გლახაკი ლიზიკიაც. ორივე ქალი უცდომელი გუმანით გრძნობს ბონდო ჭილაძის უნაყოფობას და მამაკაცურ უძლურებას.

აღარც წინაპრებთან აქვს კავშირი ბონდოს. მათ შორის გადაგვარების უფსკრული გაჩენილა.

«მერე ბაბუამისის სურათის წინ გაჩერდა და მზერა მიაპყრო.

უცქეროდა დიდხანს დაღონებული.

თვალები ცრემლებით აევსო.

მოიწმინდა და იდგა თავდახრილი.

დიდი ოტიას სურათი სასტიკად დასქეროდა შვილიშვილს».

ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ. სურათი ისედაც ნათელია. რუსი ქმრებისა თუ ცოლების ძიება მე-19 საუკუნის მოდა იყო. ახლა ეს მოდა შეიცვალა. ქართველი ქალები ევროპელ-ამერიკელებს მისდევენ უკანმოუხედავად. ქართველი ვაჟებიც ევროპელ-ამერიკელ ცოლებს დაეძებენ გაფაციცებით. მაგრამ შერეული ქორწინება არც მე-19 საუკუნეში განიხილებოდა და არც დღეს განიხილება, როგორც სისხლის განახლების პრობლემა. ყველამ კარგად და მტკიცედ იცოდა და იცის, რომ ეს მაშინაც და დღესაც ნივთიერი კეთილდღეობისათვის ზრუნვა იყო, ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრის შედეგი. მოვლენა განიხილებოდა სოციალურ-ეკონომიკური კუთხით და არა ბიოლოგიური თვალსაზრისით.

20-იანი და მომდევნო წლების ქართული მწერლობა კი შერეულ ქორწინებას უყურებდა როგორც სისხლის განახლების პრობლემას. ეს მკაფიოდ ჩანს შალვა დადიანის რომანის დასაწყისში ციტირებული სტრიქონებიდან.

დაღლილი სისხლის პრობლემა უშუალოდ გამომდინარეობდა ქართული ეროვნული ენერგიის ძებნის საკითხიდან.

სხვაც შეიძლება გავიხსენოთ. გრიგოლ რობაქიძის «გველის პერანგში» ოლგა ბალაშოვა. იგი არჩიბალდ მეკეშის სატრფოა. ხორციელად და სულიერად მშვენიერი ქალი. ოლგა ვამეხს იხსნის. ოლგა ღამეს გაათევს ბოლშევიკთან, რომელსაც ვამეხი უნდა დაეხვრიტა. ქალი არჩიბალდთან შეხვედრის შემდეგ ვერ უძლებს «დანაშაულს». თავს იკლავს. ორივე, არჩიბალდიც და ვამეხიც, განიცდიან ოლგას თვითმკვლელობას.

ანდა მეორე პერსონაჟი «ფალესტრაში». ქართველი ქალისა და რუსი კაზაკის კოვალიოვის ასული ელენა ანუ კავალლა. სავსე ველური სილამაზითა და ენერგიით. «უბელო ცხენს ისე ვერავინ გააჭენებდა, როგორც იგი. ვერც «მთიულს» ჩამოუარდა ვინმე ისეთი ცეცხლით და იერით, როგორც იგი».

ნორინა თავად გიორგის რძალია, რევაზის ცოლი.

«ჩემო პატარა ნორინა, შენ ხარ ისე მომხიბლავი, ისე ნათელი, ისე ჭკვიანი, შენ, ღმერთების ასულო. შენს ასაკში იყურება მსგავსად უტა ფონ ნაუმბურგი. ეს ჯადოსნური ქალი, შენი ჩრდილოური ნათესავი, შენი ვარსკვლავი ანათებს მადლის სხივებში.»

ბონდო ჭილაძეზე ბევრად უარეს მდგომარეობაშია თეიმურაზ ხევისთავი, პროტაგონისტი მიხეილ ჯავახიშვილის რომანისა «ჯაყოს ხიზნები». იგი იმდენად გამოფიტული, უძლური და უღონო აღმოჩნდა, რომ ჯაყო ჯივაშვილმა მამულიც წაართვა, ცოლიც და ღირსებაც. ყოფილ ყმას, ზნეგახრწნილ პიროვნებას _ ქურდს, ავაზაკს, მოძალადეს _ ჯაყოს, თავად დაუდგა მოჯამაგირედ თეიმურაზ ხევისთავი. თუ მარგო ყაფლანიშვილს თეიმურაზ ხევისთავის ხელში შვილი არ ჰყავდა, რასაც ცოლქმარი ნაირნაირ სნეულებას აბრალებდა, ჯაყოს ხასად გახდომის შემდგომ, დაფეხმძიმდა და შვილიც გააჩინა. თურმე ყველაფერი თეიმურაზის უძლურებისა და უნაყოფობის ბრალი ყოფილა. აქაც დაღლილი სისხლის პრობლემა იჩენს თავს. ორ ქართველს _ მარგო ყაფლანიშვილსა და თეიმურაზ ხევისთავს _ მემკვიდრე არ ჰყავთ, არც ჯიშისა და გვარის გამგრძელებელი. ქართველს მარგო ყაფლანიშვილსა და ოს ჯაყო ჯივაშვილს კი ბუთხუზა, ჯანღონით სავსე ბიჭი შეეძინებათ.

აქედან გამომდინარე დასკვნა ძალიან მტკივნეულია არა მარტო კონკრეტული პირის ანდა კონკრეტული კლასის ბედის თვალსაზრისით, არამედ მთელი ერის. «ჯაყოს ხიზნები» არ არის ყოფის, თუნდაც მეტად ტრაგიკულის, ამსახველი რომანი. იგი ფილოსოფიურ-ალეგორიული თხზულებაა და მისი აზრობრივი შინაარსი არა მარტო ღრმაა, არამედ მრავალწახნაგოვანიც. კარგად ცნობილია, არცერთი მხატვრული ნაწარმოები, თუკი მას ოდნავ მაინც სცხია ნიჭიერება, არ არის ერთი რომელიმე საკითხით შეზღუდული და შემოფარგლული. იგი, ამა თუ იმ დოზით, მრავალ პრობლემას მოიცავს. «ჯაყოს ხიზნებშიც» ასეა. ენერგიისა და უძლურების პრობლემა მასში მწარე ფიქრისა და განსჯის საგანია. მიხეილ ჯავახიშვილი სექსუალური უძლურების პრობლემას არ სვამს ცალკე, განყენებულად, სხვა საკითხებისაგან მოწყვეტილად. იგი პირდაპირ და უშუალოდ ეჯაჭვება, ებმის ეროვნული ენერგიის პრობლემას. ასეა ეს არა მარტო «ჯაყოს ხიზნებში» არამედ მ. ჯავახიშვილის ზოგიერთ სხვა მოთხრობაშიც.

თუ «ჯაყოს ხიზნებში» აშკარად ჩანს ეროვნული ენერგიისა და სექსუალური პოტენციის უშუალო კავშირი, იგი უფრო შენიღბულად არის წარმოდგენილი მოთხრობაში «ოქროს კბილი». თომა შადიშვილი, უფრო მცირე მასშტაბის, მაგრამ მაინც თეიმურაზ ხევისთავის ნაირსახეობაა.

თითქოს თომა შადიშვილს მამაკაცური უძლურების სენი არ სჭირს, მაგრამ იმდენად გაუბედავია, იმდენად უნიათო, ბლაყვი და ბეჩავია, რომ ქალები თავზარს სცემენ. გაურბის მათ, ემალება.

თომა სასაცილოც არის და ტრაგიკულიც. ერთხელ მეზობელი ქალის პერანგის ამხანაგი წელზე შემოიკრა. ამით სცადა აბობოქრებული ვნების დაკმაყოფილება. ამან რომ ვერ უშველა, ნიფხავი ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯა და გადაყარა. მეორედ თავად ქალმა მიიტანა იერიში თომაზე, მაგრამ ვაჟმა აქაც ვერ ივარგა. «მე ვვაჟობდი, ის ქა-

ლობდა. მე ვეტანებოდი, ის კი მიხვდებოდა. მე მოვითხოვდი, ის კი მისრულებდა» _ ასე ახასიათებს თომას საქციელს მთაწმინდაზე შეხვედრილი უცნობი ქალი.

მარტო ქალებთან დამოკიდებულებაში არ ავლენს თომა თავის უილაჯობას. «ამ-ხანაგებმა ვერც ღვინის სმაში აიყოლიესო, ვერც ქაღალდის თამაშში და ვერც სეირ-ნობაში», _ დასძენს მწერალი, უფრო მეტიც: არც საოჯახო საქმისა ესმის თომა შა-დიშვილს რაიმე. «თომამ მართლა არაფერი არ იცოდა იმ საქმისა, რომელსაც მართა (თომას დედაა _ ა.ბ.) მისდევდა. ღვინის მაზანდა, გოგირდის ფასი, შაბიამნის შოვნა, ხილის გასახმობი, წიწილების გამოსაჩეკი, ახალი ჯურის სადღვებელი. და...» მოკ-ლედ რომ მოვჭრათ, არ ძალუძს სრულიად მარტივი საქმიანობა, რითაც არსებობს ყოველი ადამიანი, არჩენს ოჯახს, უმასპინძლდება მტერ-მოყვარეს, არ არის გამოკ-ლებული ტოლ-ამხანაგებს და თავი მოსწონს.

ამ სულიერმა უნიათობამ დაშალა თომა შადიშვილი და გაანადგურა.

ცხადია და უკამათო ის, რომ თეიმურაზ ხევისთავი იქნება ის თუ თომა შადიშვი-ლი, საქვეყნო და საზოგადოებრივ საქმეს ვერ გააკეთებს. ქვეყანასა და ხალხს მათი ენერგია ვერაფერში წაადგება.

მიხეილ ჯავახიშვილი სხვა მოთხრობაშიც ეხება სექსუალური უძლურების პრობ-ლემას. «პატარა დედაკაცის» პერსონაჟი ამირან რიმანიძე, იმპოტენციით არის ავად. ცვედანობის გამო იძულებულია, ოჯახიც მიატოვოს და სამშობლოც. უცხოეთში გა-დაიხვეწოს და იქ ეძებოს განკურნების გზები. ამირან რიმანიძეს გაუმართლა. იგი გაჯანსაღებული დაბრუნდა შინ. ცოლიც დაიბრუნა და ოჯახიც აღადგინა. მაგრამ არსებითი ის გახლავთ, რომ ამირან რიმანიძე არა მარტო სრულფასოვანი მამაკაცი გახდა, არამედ ჩინებული ქირურგიც, მაშასადამე, ქვეყნისა და ხალხის მსახურიც.

«პატარა დედაკაცშიც» სექსუალური პოტენციის პრობლემა უშუალოდ უკავშირ-დება, საერთოდ, ენერგიის საკითხს.

გერონტი ქიქოძის დახასიათებისათვის

მე ბევრჯერ მომისმენია გ. ქიქოძის გამოსვლა, სიტყვა, მაგრამ არასოდეს მქონია ბედნიერება მასთან პირადი საუბრისა, და ამიტომ არ ვიცი, როგორი იუმორით იყო იგი დაჯილდოებული, მაგრამ მის ნაწერებში კი უხვად არის იუმორი. არა ის იუმო-რი, რომელიც სიცილ-ხარხარს იწვევს, არამედ სკეპტიკური ჭკუის ადამიანის სევდი-ანი იუმორი, რომელიც გაღიმებს, მაგრამ უფრო მეტად გაფიქრებს.

გერონტი ქიქოძე ევროპული განათლების კაცი იყო. მას განსწავლის წლები ლაიპ-ციგში, იენაში, მიუნხენში, ბერნში, ბრიუსელსა და პარიზში გაუტარებია. იგი ევრო-პაში ბახვის ორკლასიანი სასწავლებლის და ქუთაისის რეალური სკოლის დამთავ-რების შემდეგ წავიდა.

გ. ქიქოძე იმ თაობის კაცი იყო, რომელიც როგორც მსოფლიო, ისე საქართველოს ისტორიის დიდ ქარტეხილებს მოესწრო და მონაწილეობდა კიდეც.

როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ამ აქტს, ქართული კულტურის სხვა მოღვაწეებს შორის, გ. ქიქოძეც აწერდა ხელს. ეს გამოცხადება არ ყოფილა მომზადებული. იგი შემთხვევითი იყო. ქართული პოლიტიკური აზროვნება მე-19 ს. ბოლოს და მე-20-ის დასაწყისში ტერიტორიული ავტონომიის იქით არ წასულა. ხოლო ის კაცი, ვინც მერე დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი გახდა მთელი ცხოვრება ამტკიცებდა _ საქართველოს დამოუკიდებლობა შეუძლებელია და არც არის საჭირო, დიდი-დიდი, რაც საქართველოს სჭირდება, შეიძლება კულტურული ავტონომია იყოსო, ამიტომ ბევრი ქართველი მოაზროვნე ეჭვის თვალით უყურებდა ამ დამოუკიდებლობას.

როცა საქართველომ ეს გამოცდა ვერ ჩააბარა, ბევრი სკეპტიციზმმა მოიცვა (დანელია, მიწიშვილი). გ. ქიქოძემ აქაც შეინარჩუნა სიდინჯე. იგი არც სასოწარკვეთილებით ავსებულა და არც მეტისმეტი ილუზიებით დაბრმავებულა.

ორივე თვალით მზირალი

გერონტი ქიქოძეს არ უყვარდა ამა თუ იმ დოგმატით გონდაბნელებული ადამიანები, რომელნიც, შორებაფარებული ცხენივით, მხოლოდ ერთი მიმართულებით იცქირებიან. იგი აზროვნების, შემოქმედების სრული თავისუფლების მომხრე იყო. უზენაესმა ადამიანს აზროვნებისა და მეტყველების უნარი იმიტომ კი არ უბოძა, რომ ერთმანეთის დასამონებლად და დასაჩაგრავად გამოვიყენოთ, არამედ აზრთა, შეხედულებათა, გრძნობათა სხვადასხვაობაში ერთად მოვძებნოთ და ვიპოვოთ ცხოვრების მიერ დასმული პრობლემების მეტნაკლებად მისაღები გადაწყვეტა.

იგი უნდობლად უყურებდა იმ ადამიანებს, რომელთაც მონოლოგებით უყვართ საუბარი, ვისაც თავისთავი მიაჩნია ჭეშმარიტების ერთადერთ მღაღადებლად, ხოლო სხვათათვის მხოლოდ მსმენელის როლს იმეტებს. უფრო იმათკენ მიუწევდა გული, ვინც დიალოგს ანიჭებდა უპირატესობას, სადაც ორივე მოსაუბრე თანაბარი უფლებით არის აღჭურვილი, ორივეს აზრი თანაბრად პატისაცემია და სადაც სიმართლეს არგუმენტების სიმრავლე, უტყუარობა და ცხოვრების გამოცდილება ადგენს.

ალბათ ამის გამო იხსენებდა ზოგჯერ ვოლტერის «ფილოსოფიური ლექსიკონიდან» სიტყვებს _ «არსებობენ მთელი ერები, ორთავ თვალდათხრილნი იმ ბებერ ჯაგლაგ ცხენებივით, რომელნიც წისქვილის დოლაბებს ატრიალებენ. მე მინდა ადამიანებს ორივე თვალი შევუნარჩუნო».

გონების სიფხიზლე და ორივ თვალით მზერა განსაკუთრებით საჭირო იყო იმ ეპოქაში, როცა გ. ქიქოძე სალიტერატურო ასპარეზზე გამოდიოდა. ჩვენში დოგმატური აზროვნება უკვე ფეხს მტკიცედ იკიდებდა და თავისუფლად აზროვნებას მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრებოდა. მართალია, ჯერ აზრთა ჭიდილი მიმდინარეობდა, მაგრამ გამჭრიახი გონებისათვის ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, სასწორი საით გადაიხრებოდა. გულში ნადებისა და ნააზრევის გამოქვეყნება უნდა მოგესწრო, თორემ, მოდიოდა დრო, როცა ყველას აზრი და გრძნობა ერთ თარგზე მოიჭრებოდა და კაციშვილი ვერ გაარჩევდა _ ვინ რას ფიქრობდა, ვინ ტყუოდა და

ვინ ამბობდა სიმართლეს. ვინ თვალთმაქცობდა და ვინ იყო გულწრფელი. იმხანად, მე-20 საუკუნის პირველ ათეულში, ყველა საკითხი საკამათო-საპაექრო იყო. ყველაფერზე ახლებური შეხედულება მუშავდებოდა (ყოველ შემთხვევაში, ასე სურდათ), იმ პრობლემებზეც კი, რომელნიც თითქოს აღარ ითხოვდნენ გარკვევა-დადგენას. მაგრამ ადამიანებს ლაპარაკის ენერგია მოზღვავებოდათ და ყველაფრის გადაფასებას ცდილობდნენ. ეგონათ, ძველ ჭეშმარიტებებს ყავლი გასვლიათ, აზრი და ძალა დაუკარგავთო. უნდოდათ აუცილებლად ახლები მოეძებნათ და დაემკვიდრებინათ. ძველი კერპები გადაეყარათ და ახალი დაედგათ. არავინ უწყოდა, ახალი რით აჯობებდა ძველს, მაგრამ, ანდაზის საწინააღმდეგოდ, შეუჩვეველ ჭირს ამჯობინებდნენ შეჩვეულს. ასე იყო თუ ისე, ცხოვრება დუღდა და გადადუღდა. აზრიც ნაირნაირი ითქმოდა და იწერებოდა. ცხოველ ყურადღებას იპყრობდა ერისა და პიროვნების ურთიერთობა. ამ საკითხს მიუძღვნა გ. ქიქოძემ ერთ-ერთი პირველი ვრცელი ნარკვევი _ «ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა» (დღეს ჩვენ განვასხვავებთ ერსა და ეროვნებას. გ. ქიქოძე ეროვნებას ერის მნიშვნელობით ხმარობს).

ამ ნარკვევში მან ასეთი კითხვა დასვა: «არსებობს თუ არა, პიროვნების გარეშე და მასზე მაღლა, სოციალური ერთეული, კერძოდ, ეროვნება, როგორც შემოქმედი ფსიქიკური რეალობა და ეთიკური ღირებულება. თუ როგორც პირველი, ისე მეორე მხოლოდ და სავსებით პიროვნებას უნდა მივაკუთნოთ».

გ. ქიქოძემ ნარკვევში ვრცლად მიმოიხილა, რაც ამ პრობლემაზე თქმულა ევროპულ ფილოსოფიაში შუა საუკუნეებსა და ახალ დროში (ქრისტიანული მოძღვრება, დეკარტი, ჰობსი, ჰერდერი, ლაიბნიცი, რუსო, ჰიუმი, ჰეგელი, ვუნდტი და სხვანი). აწონ-დაწონა ძველი და ახალი შეხედულებანი, შეადარა ისინი ერთმანეთს და გააკეთა დასკვნა, რომ ერი არსებობს, როგორც ფსიქიკური რეალობა და ეთიკური ღირებულება.

«სოციალურ-ფსიქიკური მოვლენანი _ ენა, ხელოვნება, სარწმუნეობა, მითოლოგია, მსოფლმხედველობა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ზნე-ჩვეულება და სხვა, ისევე შეურყევლად მოწმობენ ეროვნული სულის რეალობას, როგორც ინტელექტუალური და ემოციონალური ელემენტების არსებობა მოწმობს ინდივიდუალური სულის რეალობას. როგორც იქ, ისე აქაც სულის დედაარსი იხატება აქტივობაში, შემოქმედებაში, მიმდინარეობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთი მათგანის ასპარეზი უფრო ფართო, დიდი და ამაღლებულია, ვიდრე მეორესი».

შემდეგ ვ. ვუნდტს იშველიებდა და ამბობდა, რომ «რთული ფსიქიური მოვლენა აღჭურვილია ხშირად არამარტო იმ თვისებებით, რომელნიც თვითეულ მის შემადგენელ ელემენტს ეკუთვნის, არამედ ახალი მხარეებითაც, რომელიც არცერთ ელემენტს ცალკე არ ჰქონია». სამაგალითოდ ასახელებდა მელოდიას. მის შემადგენელ ელემენტებს ტონები წარმოადგენენო. ტონებს ცალკე აქვთ სიმაღლე, სიძლიერე, ინტენსივობა, მაგრამ არა აქვთ ის, რაც მათი შეერთებით ჩნდება _ მელოდია.

«ასეთივე დამოკიდებულებაა ეროვნებასა და ცალკე პიროვნებათა შორისაც: ეროვნება შედგება ცალკე პიროვნებათაგან და მხოლოდ მათზე და არა ამოცანისებურ სუბსტანციაზე არი დაფუძნებული მისი არსებობა. მაგრამ, როგორც მელოდია მეტია, ვიდრე უბრალო ჯამი შემადგენელი ტონებისა, ისე ეროვნებაც მეტია, ვიდრე ინდივიდუალობათა კონგლომერატი; თუ გნებავთ, იგი სოციალური მელოდიაა,

მხოლოდ უფრო თვითმოქმედი და დიადი, ვიდრე მუსიკალური მელოდია. მისი ფსიქოლოგიური შემოქმედების სალაროში შედის აუცილებლად ისიც, რასაც ცალკე პიროვნება ჰქმნის, მაგრამ მის სიმდიდრეს, მრავალმხრივობას ახასიათებს ისეთი რამ, რაც ცალკე პირებს არასოდეს შეუძლია წარმოშვას».

გ. ქიქოძე არ ასახელებს, მაგრამ იმათ ეკამათება, ვინც ერებს სიკვდილს უწინასწარმეტყველებდა, უერო, ერთიანი კაცობრიობის შექმნაზე ოცნებობდა. გ. ქიქოძის აზრით, უერებოდ კაცობრიობის არსებობა ისევე შეუძლებელია, როგორც ერის ყოფნა უპიროვნებებოდ. «დიადია და პროგრესის მამოძრავებელი, უწინარეს ყოვლისა, ის, რასაც ინდივიდუალობა და ეროვნება ჰქმნის ახალს, ანორმალურს, ამ სიტყვის კეთილშობილი მნიშვნელობით, გენიოსურს თავისი მოულოდნელობით, და თავისუფალ კონკურენციაში სხვებთან ერთად კაცობრიობის ცხოვრებას მრავალფერადად და საინტერესოდ ხდის».

მაგრამ პასუხი უნდა გაეცეს იმასაც _ რით იხატება და რომელ სფეროში ყველაზე მკაფიოდ ერის თავისებურება და ინდივიდუალობა? აქაც განიხილავს სხვადასხვა შეხედულებას და, ბოლოს, გ. ქიქოძე აკეთებს დასკვნას, რომ ერის თავისებურება და ინდივიდუალობა გამოიხატება ენით. ინდივიდს, პიროვნებას იმდენად აქვს ენა, რამდენადაც ამა თუ იმ ერს ეკუთვნის. ცალკე პიროვნების ენა არ არსებობს. ენა ნაყოფია ერის შემოქმედების და არა ინდივიდის. თავისებურება და ინდივიდუალობა ენისა არის ამავე დროს თავისებურება და ინდივიდუალობა ერისა. ენა არა მარტო კომუნიკაციურად აკავშირებს პიროვნებებს, არამედ ფსიქიკურ ერთიანობას და მთლიანობას ქმნის. აერთიანებს აზრებს, გრძნობებს, ნებას. ენა უფრო მჭიდროდ აკავშირებს ერს, ვიდრე რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური ინსტიტუტები. იმიტომ, რომ ენით შექმნილი კავშირი ფსიქიკურია, სულიერია. «ენის იგივობა გულისხმობს ნებისყოფის და, მაშასადამე, შემოქმედი სულის და ნიჭის იგივობას. ენის სხვადასხვაობა _ პირიქით, ნებისყოფის და მასთან ერთად ნიჭისა და სულის სხვადასხვაობასაც». თუ ეს ერთიანობა ძალდატანებით დაიშალა, დაირღვევა არა მარტო ერის მთლიანობა, არამედ პიროვნების სულიც. წარმოიშობა «მუდმივი დისჰარმონია ადამიანის სულიერ შინაგრძნობასა და მის გარეგნულ გამოხატულებას შორის».

მეორე სფერო, სადაც ერის თავისებურება და ინდივიდუალობა ვლინდება, კულტურაა.

შემოქმედება ინდივიდუალურია. პიროვნება ქმნის, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი შემოქმედი არ არის კულტურა. ბერძნული კულტურა ცალკე არც ფიდიასია, არც ესქილე, არც პლატონი. ყველა ერთად ბერძნული კულტურაა. მათ აერთიანებს და მთლიანად აქცევს ერის სული. ის, რასაც ესა თუ ის შემოქმედი ცალკე ავლენს, მისი ინდივიდუალური სულია (ფიდიასის, ესქილესი, პლატონის). მაგრამ, რაც ერთად ვლინდება, ერის (ბერძნული) სულია. «პიროვნება არა მარტო ექვემდებარება ეროვნული ერთეულის გავლენას, არამედ თვითონაც აქტუალურად მოქმედებს მასზე...» ეს ურთიერთობა გაუთიშავია.

შეიძლება ერი მოკვდეს, მაგრამ მის მიერ შექმნილი სულიერი კულტურა დარჩეს. ამ თვალსაზრისით, ერი უკვდავია.

«ძველი საბერძნეთის მატერიალური კულტურა დიდი ხანია დაიღუპა. გაწყდა ეკონომიურ ინტერესთა ნასკვი, რომელსაც შეეძლო დაეკავშირებინა კლასიკური

ქვეყანა შემდეგ თაობებთან, მაგრამ ელინური სული მაინც ცხოვრობს კლასიკური მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის და მითოლოგიის სახით, როგორც უდიდესი კულტურული ძალა ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისაკენ მამოძრავებელი. თვით ჩვენი სამშობლოს წარსული მატერიალური მდგომარეობა მოქმედებს ჩვენს დღევანდელ ნაციონალურ არსებობაზე არა პირდაპირ, არა უშუალოდ, არამედ სოციალ-ფსიქიური გამოცდილების შემწეობით, რომელიც ერთი თაობიდან მეორე თაობამდე იზრდება და მრავალფეროვანდება. მატერიალური კულტურა წინ მიდის და მისი განვითარების ერთი საფეხური უარყოფს მეორეს, ეროვნება კი, მიუხედავად ამისა, ირჩენს იგივეობას და ნათესაობას თავის წარსულთან სულიერი შემოქმედების საშუალებით».

თუ, ერთი მხრივ, ენა და კულტურა ამთლიანებს ერს, მეორე მხრივ, სწორედ ეს ორი რამ აცალკევებს სხვადასხვა ერებს. ქმნის მათ შორის ბუნებრივ საზღვარს. ეს კი საფუძველია კაცობრიობის მრავალფეროვანებისა. სამყარო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს, საშინლად მოსაწყენი, დამთრგუნველი და აუტანელი იქნებოდა მრავალფეროვნების თვინიერ. ერთფეროვნება ანტიბუნებრივია. კაცობრიობაც, როგორც ბუნების ნაწილი, მრავალფეროვანია სხვადასხვა ერით, სხვადასხვა ენით, სხვადასხვა კულტურით. აქაც ბუნების კანონზომიერებაა გამოვლენილი.

ენა და კულტურა, დროის თვალსაზრისითაც, ამთლიანებს ერსა და კაცობრიობას. ჩვენთვის წარსული არ იარსებებდა, რომ ენით და კულტურით არ ვიყოთ მასთან დაკავშირებული. როცა ჩვენ რუსთაველს ვკითხულობთ, ვუკავშირდებით «ვეფხისტყაოსნის» დაწერის ეპოქას. იმ დროის ხმა გვესმის და ეს კავშირი უწყვეტია, ენა მომავალთანაც გვაკავშირებს, რადგან მომავალ თაობებს შეეძლება ჩვენი ხმის გაგონება. ასევეა კულტურაც. ოპიზარი, ჩვენი ტაძრები, ჩვენი ფრესკები მარტო გუშინდელი დღე არ არის. ისინი თანამედროვეობაა, რაკი მოქმედებენ ჩვენს მშვინვიერ სამყაროზე. მათ ისევე განვიცდით, როგორც დღეს შექმნილს. გუშინდელი და დღევანდელი კულტურა აგრეთვე ხიდს დებს მომავლისაკენ. «წარსულის შეუგნებლად შეუძლებელია შეგნება მომავლისა» («ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი»). ენა და კულტურა საერთო და საყოველთაოა. თუ ერი შეიძლება გათიშული იყოს სოციალურად, პოლიტიკურად, რელიგიურად, ენით და კულტურით იგი ყოველთვის ერთიანია. ეს მდგომარეობა ქართველ ხალხს შეუძლია გამოიყენოს ეროვნული აღორძინებისათვის. «ჩვენი სამშობლოს ასაღორძინებლად მარტო პოლიტიკური ბრძოლა არ კმარა; ეროვნული განახლება ხელოვნების შემწეობითაც უნდა მოხდეს» («ხელოვნების აღორძინებისათვის»). მით უმეტეს, რომ ქართულ კულტურას საერთოეროვნული, საერთოსახალხო ხასიათი აქვს.

«ქართული ხელოვნება არასოდეს არ ყოფილა განკერძოებული და მიუწვდომელი. ქართველ მწერლებს, ხუროთმოძღვრებს და მხატვრებს არასოდეს არ ჰქონიათ მიუკარებელ ქურუმთა კასტის ხასიათი. მათი შემოქმედება გულგაშლილი იყო სამხრეთის მზის სინათლესავით, რომელიც ერთნაირი სიუხვით უნათებს ყმასა და მბრძანებელს. ჩვენი ხელოვნება დამწყვდეული არ ყოფილა არც პირამიდებში, სადაც მხოლოდ ფარაონებს სძინავთ, არც ციხე-კოშკებში, სადაც მხოლოდ რაინდები ცხოვრობენ, არც სალონებში, სადაც მხოლოდ არისტოკრატები მოძრაობენ. ქართული ტაძრები და სასახლეები ხშირად ბორცვებსა და გორაკებზე შენდებოდა, რათა

ყოველ თვალხილულ არსებას შესძლებოდა მათი დანახვა, შენობის კედლები ჩუქურთმებითა და მხატვრობით იყო დაფარული, რათა ყველასათვის მისაწვდომი ყოფილიყო დიდი ხელოვნება» («ხელოვნების აღორძინებისათვის»).

დროთა მდინარებაში ბევრი რამ იცვლება, მაგრამ არსებობს ისიც, რაც არ იცვლება: ადამიანის მისწრაფება ზნეობრიობისაკენ. შეიძლება ოდესმე არსებობდა ხანა, როცა ადამიანს ზნეობრიობის საკითხები არ აწუხებდა. მაგრამ მთელი იმ პერიოდის მანძილზე, რომელსაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ, ადამიანი და დრო, ზნეობის თვინიერ, არ არსებობდა. ამას ნათლად მოწმობს ყველა დროისა და ყველა ხალხის ნაზრევი, გამოვლენილი რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში. «ადამიანი ისტორიული არსებაა», _ წერდა გ. ქიქოძე, _ და პირუტყვისაგან იმითაც განსხვავდება, რომ «ცხოველმა არ იცის ისტორია». ამდენად «ცხოველი მოკლებულია პიროვნებასაც» («ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი»).

კერძო პირისა თუ მთელი კაცობრიობის ცხოვრება არსებითად ზნეობრივი იდეალის ძიებაა. იმ იდეალისა, რომელიც არსებობის სიმძიმეს შეამსუბუქებს და რაც შეიძლება მეტად გახდის აზრიანს. ამ ძებნაში ნაირნაირი იდეალი დასახულა: დაწყებული პირადი, მიწიერი, ვიწრო ბედნიერების სურვილით და დამთავრებული ღმერთს მიმსგავსების და მასთან შერწყმის ოცნებით. ადამიანის ტრაგიკული მდგომარეობა იმითაც არის გაპირობებული, რომ ზნეობრივი იდეალის უამრავი ვარიანტიდან ვერცერთმა ვერ მოიტანა ის შვება, რისკენაც ადამიანი მიისწრაფვის. სულწასულობის გამო ადამიანს მიწაზე სურს ყველაფერი იხილოს, რაც ეოცნებება. ოცნების ასრულების იმედი ფუჭად გამოიყურება. გ. ქიქოძეც მძიმე მდგომარეობაშია, როცა ამ იდეალებს მიმოიხილავს. ერთი მხრივ, იგი ფიქრობს, რომ «უბადრუკია და შესაბრალისი ის პიროვნება და ხალხი, რომელსაც თავისი თავი ვერ უპოვნია ან დაუკარგავს თავისი ისტორიულად შემუშავებული ინდივიდუალური თუ სოციალური ხასიათი. მისი თავისუფლება, მისი ზნეობრივი ძალა შემცირებული და დაკნინებულია, მისი ნიჭი დამოუკიდებელი შემოქმედებისა ძლიერ საეჭვოა, მისი მორალური ღირებულებანი და კულტურა _ უფერული და უგავლენო» («ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი»). მეორე მხრივ, ეჭვის თვალით უყურებს ყველა იმ იდეალს, რაც დღემდე დაუსახავს კაცობრიობას. ეს იდეალები არ აკმაყოფილებს მას. «პლატონიზმისაგან გამომდინარე ეთიკური მიმართულება, რომელმაც ეს ცხოვრება დაამცირა და შეაჩვენა ან საიქიო იდეალებისათვის მზადებად გადააქცია, ყოვლად უსაფუძვლოა თეორეტიულად, ხოლო ძლიერ სახიფათოა პრაქტიკულად». ზოროასტრიზმი არ აკმაყოფილებდა იმიტომ, რომ ამ მოძღვრების თანახმად, ბოროტი და კეთილი თანაბარი ძალის იყო. მათ შორის მუდმივად არსებული ბრძოლა არცერთი მხარის გამარჯვებას არ გულისხმობდა. თუ ეს ბრძოლა ორივე ძალის თანაბრობას ითვალისწინებდა, სადღა იყო კეთილის ზნეობრივი უპირატესობა? ხოლო ქრისტიანული ზნეობა აფიქრებდა იმის გამო, რომ მასში ადამიანი პასიურად გამოიყურებოდა. «პიროვნების ხსნა ბოროტებისაგან მისივე შეგნების გარეშე ხდება, ერთხელ და სამუდამოდ სხვის მიერ შეწირული მსხვერპლის შემწეობით». ევდემონიზმი და ჰედონიზმი კი უსაშველოდ ავიწროებდა იდეალს. არსებითად იგი განცხრომამდე, მაძღარ, უდარდელ ყოფამდე დაჰყავდა. ასეთივე ნაკლის მატარებელი იყო ახალი დროის მოღვაწეების მიერ ჩამოყალიბებული იდეალი «ბედნიერების მორალისა». «განა ბედ-

ნიერი, უზრუნველყოფილი არსებობა ზნეობრივად უფრო მაღლა დგას, ვიდრე უბედური, ზრუნვით აღსავსე? განა სიამოვნების გრძნობა უკვე თავის თავად აკეთილშობილებს ადამიანს? არა, და ათასჯერ არა, პირიქით, მუდმივი ბედნიერება სულიერად აჩლუნგებს და აღარიბებს ადამიანს; უწინარეს ყოვლისა ის თავისსავე ბედნიერებას ვეღარ გრძნობს სათანადო სიძლიერით; შემდეგ მას არ ესმის სხვისი ტანჯვა, სხვისი უბედურება; ის უგრძნობი და გულქვა ხდება სხვისი ვარამის, სხვისი მწუხარებისადმი. ბედნიერნი და ცხოვრებით კმაყოფილნი ყოველთვის უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენენ ზნეობრივი განახლების, ზნეობრივი წინსვლისათვის, ჰქმნიან იმ «მაძღარ სათნოებას», რომელიც შეიძლება მართლაც ყოველ დანაშაულზე უსაზიზღრესია».

მართალია, სოციალიზმი სრულ სოციალურ თავისუფლებას ჰპირდებოდა ადამიანს, მაგრამ ზნეობრივად როგორი შედეგი მოჰყვებოდა ამას? სოციალურ უსამართლობა-უთანასწორობასთან ერთად გაქრებოდა ზნეობრივი მანკიერება? წინასწარ რაიმეს თქმა მაშინ, როცა გ. ქიქოძის ნარკვევი იწერებოდა, შეუძლებელი იყო. ისიც თავს იკავებდა, სოციალიზმის საშუალებით, ადამიანის ზნეობრივი აღორძინების დიდი იმედი არ გამოუთქვამს. გ. ქიქოძის ეს სიფრთხილე დრომ გაამართლა. სოციალიზმს ადამიანის ზნეობრივი სრულყოფა არ მოჰყვა. პირიქით, ბევრ შემთხვევაში მან ზნეობრიობის საყოველთაო დაქვეითება გამოიწვია. სოციალიზმმა ასპარეზი გაუხსნა და ხელი შეუწყო უპატიოსნოს მიერ პატიოსნის ექსპლუატაციას, უნიჭოს მიერ _ ნიჭიერის, უქნარის მიერ _ მშრომელის... ნებით თუ უნებლიეთ დააკნინა სულიერი ფასეულობანი და ააღორძინა ელემენტარული მატერიალური მოთხოვნილებანი, რასაც მოჰყვა ტოტალური ქურდობა, ფლანგვა, ხაზინის ძარცვა-გლეჯა. უზნეობის შეჭრა და ფეხისმოდგმა ისეთ დაწესებულებებშიც კი, როგორიც სასწავლებლებია, მაგრამ ამ შედეგის წინასწარ განჭვრეტა-დანახვა მხოლოდ ნათელმხილველთ შეეძლოà. გ. ქიქოძე არ ეკუთვნოდა ნათელმხილველთა და წინასწარმეტყველთა რიცხვს. რთულ და დახლართულ ვითარებაში მას გაუჭირდა ახალი ზნეობრივი იდეალის მკაფიოდ ჩამოყალიბება. ძველი კრიტიკის შემდეგ მან საერთო ხასიათის დასკვნა გააკეთა: «გრძნობადის გაშუქება და გაკეთილშობილება გონებით და გონების გამსჭვალვა გრძნობათა ცხოველმყოფელი სათნოებით! _ აი იდეალი ზნეობრივი სისრულისა, იდეალი, რომელიც გაურბის ნათესაობას ყოველ გადაჭარბებულ ცალმხრივობასთან».

ადამიანის შეუნელებელი მისწრაფება ზნეობრივი იდეალისაკენ სრულად და ნათლად იხატება ხელოვნება-ლიტერატურაში, საერთოდ, შემოქმედებით პროცესში. შემოქმედი, თუ არ არის თავისუფალი, თუ იგი არ ქმნის თავისი სინდისის კარნახით, შეუძლებელია, იყოს ზნეობრივი. უზნეობის, მორალური დაკნინების ყველაზე აშკარა გამოვლენად მას დაქირავებული შემოქმედი მიაჩნია. ასეთ შემოქმედში თავისუფლებაც დაკარგულია და ზნეობაც. ცხადია, მისი ნაღვაწიც მოკლებულია რაიმე ეთიკურ ღირებულებას. მას დაუშვებლად მიაჩნდა, რომ შემოქმედს რომელიმე დოგმატის მზამზარეულ ფორმულა-ჩარჩოში ჩაესვა როგორც ცალკეული პიროვნების, ისე მთელ კაცობრიობის ცხოვრება-საქმიანობა. ეს სპობდა თავისუფლებას. არათავისუფალ პიროვნებას თუ საზოგადოებას კი შეუძლებელია, ჰქონოდა ზნეობრივი ღირებულება.

«...ის, რასაც ხელოვნება იძლევა, არის უწინარეს ყოვლისა არა ფილოსოფიური იდეები და ამაღლებული, აბსტრაქციის სიცივეში გაყინული ცნებები, არამედ ცოცხალი ცხოვრება, მისი ხორცშესხმული და სულჩადგმული ფორმები, ხშირად ძლიერ უბრალონი და უმნიშვნელონი გარეგნულად. ხელოვნება ამ ქვეყნად იმისთვის არის, რომ ადამიანის მხედველობას და სმენას ესაუბროს და არა იმისთვის, რომ მისი შემეცნების წყურვილი მოკლას. «ფილოსოფიურად დაფუძნებული» ხელოვნება ფრიად მჭლე არის, გულმკერდჩავარდნილი, თვალებჩაცვივნული, ჭლექიანი. ის უნიჭო პუბლიცისტიკაა, რომელიც ვერც ჩვენს თეორიულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და ვერც ესთეტიკურს. მას აკლია ფერების ელვარება, სხეულის სისრულე, მოძრაობის სიცხადე. ის ფერმკრთალია და მოდუნებული უდროოდ დამჭკნარი დედაკაცივით.

ამ უბრალო ჭეშმარიტებას ვერ ხედავს მეტაფიზიკური ესთეტიკა. ერთგვარი თეორიული მანიით გახელებული, ის «იდეების გამოხატულებას» ეძებს ყველგან ამ მრავალფერად, მრავალხმოვან სოფელში: მეცნიერებასა და ფილოსოფიაში, ისევე როგორც სარწმუნოებაში, ხელოვნებაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს მეტაფიზიკური სიგიჟე ყოველ სიგიჟეზე აუტანელია. ცხოვრება ძაფზე აცმულ ვნებათა კრიალოსანი არ არის, რომ მისი ხელში დაჭერა შეეძლოს თუნდ ისეთს ბრძენს, როგორიც კანტია, ან ჰეგელი («ოგიუსტ როდენი»)».

«...შეუძლებელია ცოცხალი ადამიანის მოთავსება ერთს ვიწრო უჯრაში, შეუძლებელია ერთი მზამზარეული და გახუნებული ფორმულის შემწეობით მრავალფერადი შემოქმედების ამოწურვა («ნიკოლოზ ბარათაშვილი»)».

გ. ქიქოძე ცხადად ხედავდა, რომ ერთფეროვან ვიწრო უჯრედში დამწყვდეული ადამიანი, შესაძლებელია, მოჩვენებითად მორჩილი გახდეს, სხვათა ნების უსიტყვო ამსრულებელი, მაგრამ შინაგანად მაინც პროტესტანტად და ურჩად დარჩეს. ოღონდ ეს ურჩობა და პროტესტი მახინჯი ფორმებით გამოავლინოს (ვთქვათ, ქურდობით, ფლანგვით, კომბინატორობით და ა.შ.), რაც ზნეობრივად არღვევს და შლის როგორც ცალკეულ პიროვნებას, ისე მთელ საზოგადოებას. მაღალი ზნეობრივი პრინციპი და თავისუფლება მიაჩნდა მას ყოველნაირი შემოქმედების ქვაკუთხედად.

«ხელოვნება არაა მარტოოდენ ესთეტიკური კატეგორია, ის დიდი ეთიკური კატეგორიაცაა...» («ხელოვანის მსოფლმხედველობისათვის»).

«არასოდეს შემოქმედ პიროვნებას, ხელოვნების რა დარგშიც უნდა მუშაობდეს იგი, არ ძალუძს მარტოოდენ მხატვრული მიღწევებით ააღელვოს და შეაშფოთოს თავისი თანამედროვეები ან, მით უმეტეს, თავისი მომდევნო თაობები. საჭიროა, რომ მან თავის მოღვაწეობასა, თავის მსოფლმხედველობასა და ზნეობრივ იდეალებში აღმოაჩინოს აუმღვრეველი წყაროები, რომელსაც უდაბნოს მექარავნეებივით დაეწაფებიან ისინი, ვინც უღრმეს ადამიანობას არიან მოწყურებულნი» («ვაჟა-ფშაველა»).

ყველა სისტემის, ყველა პრინციპის, ყველა კანონის, ყველა ტექნიკური გამოგონების ბედი და ღირებულება იმით არის გაპირობებული და განსაზღვრული, როგორი ადამიანი ემსახურება მას: თუ ზნესრული და კეთილშობილი, მაშინ სისტემაც, პრინციპიც, კანონიც, ტექნიკური გამოგონებაც კეთილს ნერგავს და ამკვიდრებს, თუ უზნეო და მანკიერი, მაშინ ისინი ბოროტების სამსახურში დგებიან. მაგრამ ადამიანმა

ზნესრულობა და კეთილშობილება რომ გამოავლინოს, იგი არავითარი დოგმატით არ უნდა იყოს შეზღუდულ-დაბორკილი. მას თავისუფლად უნდა შეეძლოს თავისთავის პოვნა-გამოვლენა და იმის არჩევანიც, რას სცეს თაყვანი და როგორ. ადამიანს იოლად შეუძლია ტიტანის, გმირის, ზეკაცისა თუ სხვა რაგინდარა იდეალის გამოგონება, მაგრამ ძალიან უჭირს, თითქოს უბრალო რამ, საკუთარი თავის შეცნობა-აღმოჩენა. ამ საქმეში მას სიტყვაკაზმული მწერლობა უნდა დაეხმაროს. მაგრამ არა თარგით, ტრაფარეტით, შაბლონით გამოჭრილი მოდელების დახატვით, არამედ ცოცხალი, ხორცშესხმული და სულჩადგმული ადამიანების ჩვენებით. მხოლოდ ცოცხალი მხატვრული პერსონაჟი აფორიაქებს მკითხველის გულსა და გონებას, აღვიძებს აზრს და გრძნობას, იწვევს ნაირნაირ განცდას, ფიქრს, ეუფლება სულს.

გ. ქიქოძე _ მწერალი რბილი, თავაზიანი, თავდაჭერილი, ზომიერების მოყვარული კაცი იყო. მის თხზულებებში, სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერ ნახავთ ადამიანის შეურაცხმყოფელ, დამამცირებელ, დამაკნინებელ სიტყვებს. მაშინაც კი, როცა იგი ამა თუ იმ მხატვრულ ქმნილებას იწუნებდა, არ იყო აბუჩად აგდებული ავტორის ღირსება. თუმცა ხარვეზისა და ნაკლის მხილებას არ ერიდებოდა.

«შემოღებულია რამდენიმე სავალდებულო შაბლონური ტიპი: ნაღდი კომუნისტი, რომელიც აუცილებლად ყველა ზეციური ღირსებითაა დაჯილდოებული; მავნებელი, რომელიც ყველა ჯოჯოხეთური ცოდვითაა დატვირთული; დონდლო კომუნისტი, რომელიც ადვილად ექვემდებარება მავნებლის სატანურ გავლენას; კბილებდაღრეჭილი კულაკი; ბოლოს, ყოფილი მოჯამაგირე ან ღარიბი გლეხი, რომელიც უფრო ორმოც დღე ნამარხულევ იესო ქრისტეს ჰგავს, ვიდრე თანამედროვე ხორცშესხმულ ადამიანს» («ხელოვანის მსოფლმხედველობისათვის»).

ასეთი ლიტერატურა და ხელოვნება არა მარტო მხატვრულ შემოქმედებას უტეხდა სახელს პუბლიკუმის თვალში, არამედ მკითხველ საზოგადოებასაც აჩლუნგებდა გონებრივად.

მართალია, გ. ქიქოძისათვის ადამიანი იყო უმთავრესი და უპირველესი, მაგრამ არასოდეს არავინ გაუხდია კერპად და ფეტიშად. იგი ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განცდილ სიხარულს და ტკივილს, სიყვარულს და მტრობას, კეთილს და ბოროტს ამჯობინებდა კერპების წინაშე დაჩოქილ და ხელაპყრობილ ყოფნას. ღრმად სწამდა, რომ კერპები და ფეტიშები ადამიანს არა მარტო თავისუფლებას ართმევენ, არამედ საღი აზროვნების უნარსაც. მას თავისუფალი ადამიანის სულის მრავალფეროვანი გამოვლენა იზიდავდა და სწორედ ამ კუთხით უყურებდა ყოველი კაცის საქმიანობა-მოღვაწეობას. არათუ თანამედროვენი, წარსულის მოღვაწენიც არ ყოფილან მისთვის უსულო ძეგლები. ისინიც ცოცხალი ადამიანები იყვნენ, თავიანთი კარგითა და ავით. ამიტომ მათდამი დამოკიდებულების გამოვლენისას არც აღტაცება დაუოკებია და არც ხარვეზი მიუჩქმალავს.

თუ გ. ქიქოძეს ხიბლავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის უნარი, მე-ს ტკივილი აეყვანა მსოფლიო სიმაღლეზე, სამაგიეროდ, არ მოსწონდა პოეტის პოლიტიკური მრწამსის ბუნდოვანება.

«მისი პოეზია პირადი სევდისა და მსოფლიო გოდების გამოხატულებაა ერთსა და იმავე დროს».

«დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენი ლირიკოსი ეროვნული იდეის მოციქულად ან წამებულად მიგვეჩნია. მართალია, «ბედი ქართლისა» და «მეფე ირაკლის საფლავის» ავტორი ძლიერი პატრიოტული გრძნობით იყო გამსჭვალული, მაგრამ მისი პოლიტიკური აზროვნება არ ყოფილა ნათელი და გარკვეული» («ნიკოლოზ ბარათაშვილი»).

თუ გ. ქიქოძეს აღაფრთოვანებდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ენერგია, სამაგიეროდ, არ იზიარებდა იმ ტენდენციას, რომლითაც მწერალი თავის პერსონაჟებს ხატავდა.

«ილია ჭავჭავაძე სოციალური რეფორმატორი იყო ამ სიტყვის უღრმესი მნიშვნელობით. ეს შეურიგებელი რეფორმისტული სული მან ყველა დარგში გამოაჩინა. მისი ხელი მხატვრულ ლიტერატურასაც შეეხო, ენასაც, სწავლა-განათლების საქმესაც, პრესასაც, ფინანსებსაც, ყოფა-ცხოვრებასაც. როცა მან საზოგადოების ასპარეზი დაცალა, საქართველო აღარ ჰგავდა ივანე კერესელიძის, პლატონ იოსელიანის და ბარბარე ჯორჯაძის დროის საქართველოს. და ამ ცვლილებაში საკმაოდ დიდი წვლილი სწორედ მას მიუძღოდა».

«მისი კეთილშობილი გაბრო, კაკო, გიორგი უფრო მხატვრული ტენდენციის ნაყოფნი იყვნენ, ვიდრე სინამდვილის დაკვირვებისა. ყოველ შემთხვევაში, მაშინდელ ყვარელსა და საგურამოში ადვილი არ იყო მათი პროტოტიპების აღმოჩენა» («ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი»).

თუ გ. ქიქოძეს აღტაცებას გვრიდა აკაკი წერეთლის პოეტური და მოქალაქეობრივი გამბედაობა, სამაგიეროდ არ ეთანხმებოდა პოეტის მიერ ძველი საქართველოს ზოგიერთი საეჭვო პერსონის იდეალურად წარმოჩენას.

«მას გასაოცარი მოქალაქეობრივი გამბედაობა ახასიათებდა. მან ცნობილი «გაზაფხული», 1881 წლის პირველი მარტით დათარიღებული, სწორედ «დროების» შავარშიაშემოვლებულ ნომერში დაბეჭდა, სადაც ალექსანდრე მეორის მკვლელობა იყო გამოცხადებული. იაპონელი ჯარების გამარჯვებას, მანჯურიის ომის დროს, ის მიესალმა გურულ ნანინათი, სადაც მისამღერში მეორდება გამარჯვებული იაპონელი გენერლის ოიამას სახელი, ხოლო 1905 წლის რევოლუციის დროს გამოაქვეყნა თავისი «ხანჯალი», რომელიც, როგორც ირკვევა, ოცი წლით ადრე დაუწერია და არალეგალური ანაბეჭდების და ხელნაწერების შემწეობით გაუვრცელებია, სანამ ბოლოს, ხელშემწყობ პირობებში, აშკარა შურისძიების და ამბოხების მოწოდებად აქცევდა» («აკაკი წერეთელი»).

«აკაკი წერეთელი ახდენს ძველი ქართველების იდეალიზაციას... ტყვეების გამყიდველი და მოსისხლე გიორგი გურიელი «თამარ ცბიერში» საქართველოს გაერთიანების მებრძოლად გვევლინება: გენათელს, რომელმაც, შარდენის სიტყვით, ახალციხის ფაშას თხუთმეტი ათასი დუკატი მისცა, რათა თავისი საყვარელი, იმერეთის დედოფალი თამარი გამოეხსნა, მოკრძალების ფარდა აფარია და სცენაზე სულ არ ჩანს. თვით თამარი სინდისის ქეჯნის ტრაგედიას განიცდის, რომელიც ისტორიულ თამარს ნამდვილად არ განუცდია და არც შეეძლო განეცადა» («ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი»).

გ. ქიქოძეს (ისე, როგორც ყოველ გონიერ ადამიანს) ფანატიზმისაგან თავისუფალი ირონიული ჭკუა ჰქონდა. იგი არ ერიდებოდა ირონიისა და ღიმილისათვის მიემარ-

თა, როცა ამის აუცილებლობას ხედავდა. თან მოყვასისათვის ეთქვა, რომ გადაჭარ-ბება ისევე უვარგისია სიყვარულში, როგორც სიძულვილში. საბედისწერო შეცდომა რომ არ დაუშვა, ორივეგან (სიყვარულშიაც და სიძულვილშიც) რუასის სიჯანსაღე უნდა შეინარჩუნო. მას, მაგალითად, ღიმილს ჰგვრიდა ალექსანდრე ორბელიანის მიამიტი რწმენა ყველა ქართველის გაუგონარი ღირსებისა და კეთილშობილებისა და ირონიულად წერდა: «თუ მას ვერწმუნებით, ყოველი დარბაისელი ქართველი აღჭურვილი იყო გულგახსნილი და მხიარული ხასიათით, გონიერებით, პირდაპი-რობით, უმანკოებით, ტყუილის სიძულვილით, ერთი სიტყვით, ყველა იმ თვისე-ბით, რომელთა შემწეობით ქრისტიანი პირდაპირ სამოთხეში შედის პირადობის მოწმობის წარუდგენლად. თუ ასეთები იყვნენ ჩვეულებრივი ერისკაცნი, ადვილი წარმოსადგენია, როგორები უნდა ყოფილიყვნენ საეკლესიო და სამონასტრო მოღვა-წენი: იმათ სრულიადაც არ სჭირდებოდათ პეტრე მოციქულის კარიბჭეზე დაკაკუნე-ბა. ისინი შიგ შუაგულ სამოთხეში იმყოფებოდნენ უკვე სააქაო ცხოვრების დროს» («ალექსანდრე ორბელიანი»). მსუბუქი და ლაღი ირონია, რაც გ. ქიქოძის ნაწერებს ამშვენებს, საამო და ადვილ საკითხავად ხდის მის წერილებს, ესეებს, ნარკვევებს.

ეს ვრცელი ამონაწერები იმიტომ მოვიტანე, რომ მკაფიოდ დაგვენახა, რაოდენ თავისუფალია და შეუზღუდავი გ. ქიქოძის დამოკიდებულება ჩვენი კლასიკური მწერლობისადმი. მოკრძალება, პატივისცემა, დაფასება მას ხელს არ უშლის გულ-წრფელად და აშკარად თქვას ის, რაც მოსაწონად არ მიაჩნია.

გ. ქიქოძე ერთი იმ იშვიათ ქართველ მწერალთაგანია, რომელსაც არასოდეს დავიწყებია ადამიანის პასუხისმგებლობა სიკვდილის წინაშე. იგი არა მარტო ბევრს წერდა სიკვდილზე და სიყვარულზე, არამედ ისე ცხოვრობდა და იქცეოდა, როგორც ეს შეეფერება საერთოდ ადამიანს, ვისაც არყოფნა ყოველ ნაბიჯზე უდარაჯებს და ემუქრება. მაგრამ სანამ ადამიანი მიწაზე დააბიჯებს, მას გარემომცველი სამყაროთი ტკბობაც უნდა და მისი გაუკეთესებაც. გაუმჯობესება-გაუკეთესება კი სიყვარულით არის შესაძლებელი.

«სიყვარული ცხოვრების უდიდესი დრამაა. ის ცოცხალ არსებათა ერთობისა და უძლეველი წინააღმდეგობისაგან გამომდინარეობს. აქ ცხოვრების მოძრაობა უმაღ-ლეს მწვერვალზეა ასული და თავისივე თავის გაცვეთით და განადგურებით ახალი, უფრო სრული ფორმების წარმოშობას ლამობს. სიკვდილი არსებითად ბევრად ნაკ-ლებ დრამატულია: ის დასასრულია ყოველი მოძრაობისა და მხოლოდ სიყვარულის თვალსაზრისით ეძლევა მას საშინელი აზრი და მნიშვნელობა: იმიტომ რომ აუტანე-ლია არა სიკვდილი თავისთავად, არამედ სიყვარულის სიკვდილი» («ოგიუსტ რო-დენი»).

სიყვარული და სიკვდილის შიში (უფრო სწორად, გაქრობის შიში) ადამიანს აიძუ-ლებს, მუდამ მოქმედებდეს, იბრძოდეს, იღვწოდეს. ისინი ანიჭებენ მნიშვნელობას ადამიანის არსებობას. ადამიანს, საბუთიანად თუ უსაბუთოდ, უკვდავება სურს. რა-კი ხორციელი უკვდავება შეუძლებელია, სულიერს ელტვის, აჩენს შვილებს, რომ მი-სი სისხლი, ხორცი, სამშვინველი შთამომავლობაში გადავიდეს და ამით მისი სახე-ლის არსებობა გახანგრძლივდეს. აშენებს, წერს, იგონებს. ამქვეყნად ტოვებს სული-ერ ფასეულობას, მეცნიერების, ხელოვნების, მწერლობის მარადიულ ქმნილებებს, რომელნიც ახალ თაობებს არ ავიწყებენ მის სახელს. ყველაფერ ამის განსახორციე-

ლებლად ადამიანს სიყვარული სჭირდება. იგი მისი მხნეობის და უდრეკელობის საფუძველია, იარაღია ცხოვრების ორომტრიალსა და ჭიდილში.

ასე ვლაპარაკობთ. მაგრამ გვამხნევებს კი იგი, გვინერგავს რწმენას, გვიადვილებს სიცოცხლის უკანასკნელი წუთის გადატანას? გ. ქიქოძე ამაში ღრმად დარწმუნებული არ იყო. ახალგაზრდობაშიც და ხანდაზმულობაშიც იგი ხშირად ფიქრობდა სიკვდილის პრობლემაზე. „სიკვდილის მოლოდინი, _ წერდა იგი, _ მძიმე ლოდად აწევს კაცობრიობას. ნაღვლიანი ხატება ჩვენს გაფართოებულ, ორიზონტზე, დაუშრეტელი წყარო სევდისა და ვარამის» («ცხოვრება ზნეობრივი იდეალი»). გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოაქვეყნა ესე «სიკვდილის შიში», სადაც ნათლად ჩანს, რომ მას ეს გრძნობა, თუნდაც ნაწილობრივ, დაძლეული არ ჰქონდა. «რა კულტურულ დონეზეც უნდა იდგეს ადამიანი, ის ყოველთვის მისტიკურ შიშს განიცდის სიკვდილისადმი». ალბათ, გ. ქიქოძისათვის სიკვდილის განცდა ძალიან მძაფრი იყო, რაკი მას ინდივიდუალური უკვდავება არ სწამდა. თავი რომ გაემხნევებინა, იმ ადამიანებს იხსენებდა, ვინც სიცოცხლის დასასრული ცხოვრების სცენაზე არტისტულად გაითამაშა.

«როდესაც ანთებული სულის რესპუბლიკელი ქალი, ჟირონდელების მეგობარი მანონ როლანი იაკობინელების დიქტატურის დროს გილიოტინაზე აიყვანეს, მან თამამად გაიხსნა საყელოს საკინძი და წარმოთქვა უკვდავი სიტყვები: « _ ოჰ, თავისუფლებავ, რამდენ ბოროტმოქმედებას სჩადიან შენი სახელით!». დანტონმა ეშაფოტზე გადაისროლა თოკი, რომლითაც ხელების შეკვრას უპირებდნენ _ რობესპიერისთვის გამოგადგებათო; ხოლო როდესაც მას ჰკითხეს, რა არის შენი უკანასკნელი სურვილიო, მან თქვა: ჩემი თავი იმის ღირსია, რომ ხალხს უჩვენოთ, ხოლო გვამი _ რობესპიერსო».

ამგვარი ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლება. მაგრამ რას ცვლიან ისინი? თუ პირადი უკვდავების არა, ამ ადამიანებს იმ იდეების უკვდავება მაინც სწამდათ, რომელთაც ემსახურებოდნენ. თუ არც პირადი უკვდავების გჯერა და არც იდეებისა, მაშინ? მაშინ ცხოვრება სიზმრად უნდა ჩათვალოთ (როგორც ამას ბევრი ფიქრობდა) და გაღვიძებას დაელოდო. გაღვიძების და სიკვდილის წუთი ერთსა და იმავე დროს დადგება.

«თუ ცხოვრება მართლაც სიზმარია, ერთხელ ხომ გამოვიღვიძებთ და დავინახავთ, რანი ვიყავით დაძინებამდე და რა მოგველის მომავალში. ჩვენ შეგვიძლია, მოკლევადიან ძილს შევურიგდეთ, თუნდ ის კოშმარი იყოს, ხოლო ბედნიერი სიზმრები უფრო ამაღლებული ცხოვრების წინათგრძნობად მივიღოთ».

ამ სტრიქონების ავტორზე ვერ ვიტყვით, რომ იგი თავისუფალი იყო სკეპტიციზმისაგან. განა ადამიანი, რომელიც რაიმე აკვიატებული დოგმით არის შეპყრობილი, ასე იფიქრებს? «ყველაფერი, რაც გაგიკეთებია, ისევე ნაკლებ გავლენას ახდენს კაცობრიობის ცხოვრებაზე, როგორც ფერადი კენჭის გადაგდება მოახდენდა ოკეანის მიმოქცევაზე» («დიალოგი თავისთავთან»). არც ძველი, ინდური თქმულება გაუხსენებია შემთხვევით: ადამიანს ცხოვრების გზაზე ყველა ნათესავი და ახლობელი ჩამოშორდა. შერჩა მხოლოდ ერთგული ძაღლი. როცა ადამიანმა ბოლოს ზეცის კარებს მიუკაკუნა, მას სამოთხის კარი გაუღეს. ძაღლი რომ დაინახეს, კარის ეგზურმა უთხრა _ ძაღლს ვერ შევუშვებთ, უკან უნდა გაბრუნდესო. მაშინ ადამიანმა გუშაგს

მიუგო: ეს ცხოველი ერთადერთი არსებაა, რომელმაც ჩემს გვერდით ყველა გაჭირვება გადაიტანა. უიმისოდ უარს ვამბობო საუკუნო ნატარებაზე. სამოთხის კარიბჭე ძაღლსაც გაუღეს.

გ. ქიქოძეს სამოთხის არ სწამდა, მაგრამ სჯეროდა იმ ერთგულებისა, რომელიც შეიძლება ცხოველმა გამოიჩინოს. ამქვეყნიურ ცხოვრებაში ესეც იმედი იყო. მაგრამ იმედი ჭკვიანი კაცისა, რომელსაც არასოდეს უფიქრია, რომ კეთილის გამარჯვება უთუო და უეჭველია მიწიერ ცხოვრებაში. არც თავი უნუგეშებია იმქვეყნიური მარადიული სამართლიანობით. მისი ნაწერებისათვის დამახასიათებელი თბილი და ალერსიანი იუმორიც ადამიანისადმი თანაგრძნობას მოწმობს. თხრობის დინჯი და აუღელვებელი ტონიც იმას გვეუბნება, რომ ერთმანეთს მეტი სიყვარულით უნდა მოვეპყროთ, რაკი ტანჯვის კომპენსაცია არსად გველის. არც ტკივილების დაამებისათვის შეიწუხებს ვინმე თავს. ადამიანს თუ მეორე ადამიანისათვის სითბოს, სიყვარულის, თანალმობის გაღება შეუძლია, იგი ამ ქვეყნად უნდა გააკეთოს. თუ ადამიანის ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესება შეიძლება, ესეც ამ ქვეყნად უნდა განხორციელდეს. თუ პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება ძალგვიძს, ესეც ამ ქვეყნად უნდა მოხდეს. ჩვენს ზნეობრივ სრულყოფასაც მაშინ ექნება ფასი, თუ მასაც ამ ქვეყნად ვიგრძნობთ და დავინახავთ. დაპირებანი და აღთქმანი მის ეჭვიან და უნდო ღიმილს იწვევდა. თუმცა არასოდეს უცდია გული გაეტეხა იმისათვის, ვისაც დაპირებანი და აღთქმანი სჯეროდა და სწამდა. ჭკვიანი კაცის სკეპტიციზმს იგი გარეგნობითაც გამოხატავდა. დინჯი, დაკვირვებული, მშვიდი თითქოს გვეუბნებოდა, რომ ადამიანმა ყოველგვარ პირობებში უნდა შეინარჩუნოს თავდაჭერილობა, სიმტკიცე და ღირსება.

«საბრალო სულო, რას შფოთავ? ჩქარა დადგება წუთი, როდესაც შენს ტანჯვას და სიხარულს ბოლო მოეღება და ვერც დისონანსებს გაიგონებ და ვერც ჰარმონიულ ხმებს. ნუთუ არ გესმის, რომ შენ შემდეგაც დღეს ღამე მოჰყვება, როგორც შენამდე მოჰყვებოდა? დაიბადებიან ახალი რემბრანდტები, რომელნიც თავიანთ ტილოებზე ოსტატურად გაანაწილებენ შუქსა და ჩრდილს, ხოლო დაყრუებული ბეთჰოვენები მიუძღვნიან მილიონებს სიხარულს. ნუთუ არ გესმის, ბნელი ღამეები რომ არ ყოფილიყო, არც შემოქმედის ტვინის წვა იქნებოდა და არ დაიწერებოდა ჰიმნები, რომლებიც ყველა ერის ნოვალისებმა უმთვარო და მთვარიან ზეცას მიუძღვნეს?!» («დიალოგი თავისთავთან»).

და სკეპტიციზმით შეპყრობილმა ამ კაცმა, ზნეობრიობის საშინელი დაცემისა და გაქელვის ეპოქაში, საოცარი ეთიკური სიმტკიცე გამოიჩინა. თურმე საიქიო და საქაო ცხოვრების, განკითხვისა და ღვთაებრივი შურისგების რწმენა არ ყოფილა აუცილებელი ზნეობრივი სიწმინდისათვის, თუკი გჯერა, რომ, რაკი ამ ცოდვა-მადლით სავსე მიწაზე ადამიანად გაგაჩინეს, ვალდებული ხარ, ადამიანადვე მოკვდე. სხვანაირად არსებობა სირცხვილია. სირცხვილია იმ უნივერსალური გონების წინაშე, რომლის არსებობა გ. ქიქოძეს სჯეროდა.

«ფიზიკური სამყარო იმდენად ჰარმონიულია, რომ ადამიანი ძალაუნებურად მიდის უნივერსალური გონების აღიარებამდე. ცნობილია, როდესაც, მაგალითად, ფრანგმა ასტრონომმა ლევერიემ 1846 წელს პარიზში მათემატიკურად გამოიანგარიშა, რომ ჩვენი მზის სისტემაში ურანის შემდეგ უცნობი პლანეტა უნდა ყოფილიყო,

ხოლო გერმანელმა ასტრონომმა გალლემ თავისი ტელესკოპით ბერლინში სწორედ ნაჩვენებ ადგილას ნეპტუნი აღმოაჩინა, ამით დამტკიცდა, რომ სამყაროს საფუძვლად მათემატიკური ანგარიში და, მაშასადამე, გონება უძევს» («დიალოგი თავის თავთან»).

ამ სიტყვებს მხოლოდ ის მინდა დავუმატო, რომ თუ უნივერსალური გონება არსებობს, შეუძლებელია უნივერსალური ზნეობაც არ არსებობდეს.

1987 წ., ნოემბერი

რადიოინტერვიუდან[1]

იმ პერიოდში რომელზედაც ვსაუბრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ისტორიულ რომანს. ისტორიული რომანი არ ყოფილა უცხო ახალი ქართული მწერლობისათვის. საკმარისია, გავიხსენოთ ვასილ ბარნოვის რომანების ციკლი, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის დროს შექმნილი ისტორიული რომანები სულ სხვა შინაარსისა და დანიშნულებისა იყო. მანამდე ისტორიული რომანი საქართველოს წარსული ცხოვრების გახსენება გახლდათ. იქ იმ პრობლემებზე იყო საუბარი, ისტორიულადაც რომ აწუხებდა ჩვენს ხალხს და თანამედროვეობასაც აწუხებდა. საბჭოთა პერიოდის ისტორიულ რომანს სხვა დანიშნულება მიეცა. ეს დანიშნულება გახლდათ ის, რომ ისტორიულ რომანს ჩვენი ხალხის სიამაყე უნდა გამოეწვია, აღეზარდა ჩვენს ხალხში თვითრწმენა, ეროვნული ენერგიის და, აქედან გამომდინარე, სულ სხვა დამოკიდებულება გამომუშავებულიყო იმ სინამდვილის მიმართ, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ჩვენი წარსული იძლეოდა საბუთს და მტკიცებას იმისა, რომ ჩვენ დამოუკიდებელი ცხოვრებაც შეგვეძლო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაც შეგვეძლო არანაკლებ რომელიმე სხვა ერისა. ამიტომ, ბუნებრივია, ისტორია გახდა ერთგვარი გაკვეთილი და მაგალითი იმისა, თუ როგორ და რანაიად შეიძლებოდა ჩვენი ცხოვრების მოწყობა აწმყოში.

თავისთავად, კომუნისტური რეჟიმის დროს ოფიციალური კრიტიკა ისტორიულ რომანს, როგორც გარკვეულ ჟანრს მწერლობისას, ებრძოდა. ამას, რა თქმა უნდა, თავისი პრინციპი ჰქონდა _ წარსულის გახსენებას არ უნდა გამოეწვია ამა თუ იმ ხალხის აღმაფრენა, ამა თუ იმ ხალხის შინაგანი სიმტკიცე.....და რაკი თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ყველაფერი, რაც წარსულში იყო, დასაგმობი გახლდათ და მხოლოდ სოციალისტური სინამდვილე ჰქმნიდა ადამიანისთვის სასურველ გარემოს და განწყობილებას, იმისათვის რომ ცხოვრება გამხდარიყო აქტიური, ბუნებრივია, გახსენება წარსულისა, წარსულში მომხდარი ამბებისა, მიუღებლად იყო მიჩნეული, რადგან სოციალისტური რეჟიმი, კომუნისტური პარტია ებრძოდა არა მარტო იმ მონარქიას, რომელიც კონკრეტულად 1917 წელს არსებობდა და რომლის დამხობასაც ოქტომბრისა და თებერვლის რევოლუციის მიერ მოხდა, არამედ, საერთოდ, მონარქიას, მონარქიულ იდეებს და, ბუნებრივია, დასაგმობი იყო არა მარტო ის მონარქია, მე-20 საუკუნის დასაწყისში რომ არსებობდა, არამედ ისიც, საუკუნეების წინ რომ იყო. ამდენად, როცა ისტორიული რომანი იწერებოდა, ოფიციალური კრიტიკა მუ-

დამ უარყოფითად ხვდებოდა და, ცდილობდა, საზოგადოებისათვის აეხსნა, რომ ამ რომანებში ღირებული მაინცა და მაინც არაფერია.

ამის საუკეთესო ნიმუშად გამოდგება შალვა დადიანის ცნობილი ისტორიული რომანი _ «უბედური რუსი», რომელსაც «გიორგი რუსი» დაარქვეს. ოფიციალური კრიტიკისაგან შალვა დადიანმა მაშინ სერიოზული თავდასხმები განიცადა, რადგან დაწუნებული იქნა მისი დამოკიდებულება ისტორიისადმი. ჩათვალეს, რომ ეს იყო ფეოდალიზმის აპოლოგია, აპოლოგია ქართული მონარქიის და, აქედან გამომდინარე, სრულიად მიუღებელი და დაუშვებელი პროლეტარული მკითხველისათვის და, საჰრთოდ, პროლეტარიატისათვის.

მაგრამ ჩვენთვის და მკითხველი საზოგადოებისათვის მაშინაც მთავარი ის იყო და დღესაც ის არის, რომ შალვა დადიანი ცდილობდა, ჩვენი ხალხისათვის ეჩვენებინა, წარსულის საუკეთესო მხარე და აქედან გამომდინარე, ერთგვარი იმედითა და რწმენით განემსჭვალა იგი.

როგორც წინა საუბრებისას ითქვა, 20-იან წლებში, როცა «უბედური რუსი» გამოქვეყნდა, ჩვენი ეროვნული ენერგიის მიმართ სასოწარკვეთილი და უიმედო განწყობილება იყო გამეფებული. ამაზე ბევრი იწერებოდა და, ბუნებრივია, ამ ფონზე «უბედური რუსის» გამოქვეყნება იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი წარსული და აწმყო იმის იმედს და სურვილს გვაძლევდა, რომ ეს სკეპტიკური განწყობილება გამქრალიყო და ჩვენს ქვეყანაში იმედიანი ვითარება შექმნილიყო,

მოგეხსენებათ, ამ რომანში თამარის საქართველოა ნაჩვენები, ის პერიოდია ასახული, როცა თამარი რუს უფლისწულზე, გიორგი ბოგოლიუბსკიზე გაათხოვეს. მოთხრობილია თავგადასავალი თვით უფლისწულისა, რომელიც მეტისმეტად ზნედაცემული გამოდგა _ როგორც პოლიტიკოსი უუნარო, როგორც მამაკაცი ავადმყოფი. შალვა დადიანის რომანში დახატული ეს სახე, რა თქმა უნდა, ქარაგმულად, ალეგორიული გზითა და საშუალებით გვეუბნება, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლებოდა, რუსეთის ნდობა ისევე ვერ გაამართლებდა, როგორც ვერ გაამართლა გიორგი რუსმა... და აქედან გამომდინარე, რომანი უფრო ფართო შინაარსითა და აზრით იტვირთებოდა, ვიდრე, ვთქვათ, ერთი მონარქისტული ოჯახის ცხოვრების აღწერა. აშკარა ხდებოდა, რომ გიორგი რუსის თავისთავად სიმბოლურ სახეში მარტო კონკრეტული პიროვნება კი არ იგულისხმება, არამედ ყველაფერი ის, რაც მის ისტორიასა და მის ცხოვრებასთანაა დაკავშირებული და ასეთი კავშირი საქართველოსათვის სასიკეთო არ იყო. არ იყო პიროვნული თვალსაზრისითაც, არ იყო ეროვნული თვალსაზრისითაც, არ იყო, საერთო, პოლიტიკური ვითარების შესაბამისი, რადგან მოგახსენეთ და როგორც მკითხველმა იცის, ეს პერსონაჟი _ გიორგი რუსი, მეტისმეტად უუნარო აღმოჩნდა როგორც პოლიტიკოსი და როგორც მამაკაცი ზნედაცემული და უვარგისი. ამიტომ ამ რომანში მოთხრობილი ამბების განზოგადებული სახით წარმოდგენა უკვე აბათილებდა ცრუ იმედს, ყალბ აზრსა და ყალბ იდეას, ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ დოზით ყოველთვის რომ ბოგინობდა საქართველოში, რომ თითქოს არსებობს ორი რუსეთი, ერთი _ კეთილშობილი, და წესიერი რუსეთი, რომელიც გაითვალისწინებს საქართველოს გასაჭირს და მისი დამოკიდებულება იქნება ლოიალური, და მეორე რუსეთი, რომელიც დამპყრობელია, ბოროტმოქმედია, შავია... და

ამ ორად გაყოფილი რუსეთიდან ჩვენ უნდა საერთო გამოვძებნოთ უკეთეს რუსეთთან.

თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდიამ გამოთქვა მოსაზრება, რომელიც მნიშვნელოვანი გახლდათ არა მარტო მაშინ, მნიშვნელოვანია დღესაც. ეს მოსაზრება ერთ პატარა წერილშია გატარებული და ასეთი შინაარსისაა: დიმიტრი ყიფიანს ეგონა, რომ კარგია რუსის იმპერატორი, ცუდები არიან მხოლოდ რუსის ჩინოვნიკები, რომლებიც იმპერატორის განკარგულებას არ ასრულებენ და საქართველო ამიტომ არის ცუდ დღეშიო. მე-19 საუკუნის ქართულ ინტელიგენციას ეგონა, რომ კარგია პროგრესული ინტელიგენცია, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, ხოლო ცუდები არიან რუსის მეფე, რუსის სამეფო კარი, მათი ჩინოვნიკები, რადგან ისინი არა მარტო ქართველებს, რუსებსაც ჩაგრავენო. ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეგონათ, რომ კარგია რუსეთის სოციალ-დემოკრატია. ცუდია დანარჩენი რუსეთი. ესე იგი, რუსეთს ორ ნაწილად ყოფდნენ ერთი _ კარგი ნაწილი, მეორე _ ცუდი ნაწილი. სწორედ ამის პასუხად ამბობს კონსტანტინე გამსახურდია, რომ ჩვენი, ახალი თაობა (ე.ი. მისი თაობა) ასე ვფიქრობთო: ყველა კარგია თავის ქვეყანაში, თავის დროზე და თავის ადგილას. თუ ჩვენ გვინდა, რომ კარგები ვიყოთ, ჩვენ თავს თვითონვე უნდა ვუპატრონოთ, სხვის იმედად ცხოვრება ჩვენს ქვეყანას არ გამოადგება. მაშინდელი ქართული მწერლობის სწორედ ეს აზრია გამოვლენილი შალვა დადიანის რომანშიც. შალვა დადიანის რომანის ალეგორიული შინაარსიც ასე იკითხება: საქართველო არ უნდა ცხოვრობდეს სხვისი იმედით, საქართველო უნდა ცხოვრობდეს საკუთარი თავის იმედით, რადგან მას ამისი უნარი აქვს და ძალა შესწევს. ეს რწმენა საკუთარი თავისა და საკუთარი ძალისა ჩვენში თანდათან უნდა განმტკიცდეს და საკუთარ თავს წამდაუწუმ არ უნდა ვუყურებდეთ როგორც უძლურს, უუნარო და უმოქმედოს. ამ რომანის, «გიორგი რუსის», ანუ «უბედური რუსის», ფინალი სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ იღუპება ეს რუსი, თამარის საქართველო კი გადარჩენილა, ძლიერია, ღონიერი და საკუთარ ფეხზე დგას სხვათა დაუხმარებლად. რომანის ეს ალეგორიული შინაარსი ძალზე მნიშვნელოვანი იყო და საზოგადოებაც, ცხადია, ასე კითხულობდა. ალბათ სწორედ ამის გამო მოხდა, რომ ოფიციალური კრიტიკა რომანის მიმართ ძალზე უარყოფითად განეწყო არა მარტო ოციან წლებში, როცა რომანი დაიბეჭდა, არამედ 40-იან წლებშიაც, როცა ის ხელმეორედ გამოიცა. «უბედურმა რუსმა» ორივეჯერ დიდი დავა და კამათი გამოიწვია, ოფიციალურმა საბჭოურმა კრიტიკამ ეს რომანი მაშინაც დაგმო და, საერთოდ, მიზანშეუწონლად მიიჩნია მისი მეორედ გამოცემა. ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ რომანში გატარებული იყო ძალზე მნიშვნელოვანი აზრი და ეს მნიშვნელოვანი აზრი საშიში იყო ყოველთვის, ყოველ პერიოდში, რაკი აქ სავსებით მკაფიოდ იყო გამოთქმული ის აზრი, როგორც გითხარით, რომ საქართველო საკუთარი ძალის იმედით უნდა ცხოვრობდეს და არასოდეს ეძებდეს მშველელსა და დამხმარეს, რადგან ის მშველელი და დამხმარე მას არ გამოუჩნდება, მით უმეტეს, რუსეთის სახით.

«დიდოსტატის მარჯვენის» ბოლოსიტვაობაში თვით ავტორსა აქვს ნათქვამი, რომ მე ამ რომანით დიდი საქართველოს ჩვენება განვიზრახეო, და სწორედ იმას მიაქცევდა ყურადღებას, რომ საქართველოს სიდიადე და შინაგანი ძლიერება არა მარტო მის შემოქმედებით უნარში ცხადდება, არამედ მისი პოლიტიკური ცხოვრების ძალაში.

რომანის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ გიორგი პირველი იყო ის კაცი, ვინც ბიზანტიის იმპერატორ ბასილ მეორეს შეებრძოლა და დაამარცხა კიდეც. იგი წერს: «ვინც იცნობს ბიზანტიის ისტორიას და იცის, რა მხეციც იყო ბასილ იმპერატორი, მისთვის გასაგებია ისიც, თუ რა ძალის პატრონი იყო გიორგი პირველი და მისი დროის საქართველო». აი, რომანის ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ხაზი. მეორე ხაზი ყველასათვის კარგადაა ცნობილი _ ხელოვანის ბედი ქვეყნის ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში... და კიდევ ის, რომ ადამიანი მუდამ შემოქმედებითი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს, რა პირობებშიც უნდა იყოს, რა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური ვითარებაც უნდა დაუდგეს ხალხს და ქვეყანას, შემოქმედებითი ცხოვრება არ უნდა შეწყვიტოს, რადგან შემოქმედებით ცხოვრებაში ვლინდება ყოველი ერის ძალა და სიდიადე. ამ შემთხვევაში ქვეყნის სიდიადის გამოვლინება კონსტანტინე არსაკიძის მიერ აშენებული სვეტიცხოველი გახლავთ. ის არ არის მარტო კონკრეტული არქიტექტურული ძეგლი, ის არის საქართველოს სულიერი ძლიერების სიმბოლო, ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ნიჭიერების სიმბოლო და, ბუნებრივია, იმ კაცის ნიჭიერების მაჩვენებელიც, ვინც ააგო სვეტიცხოველი. აქ ერთდროულად ნაჩვენებია საქართველოს პოლიტიკური ძლიერებაც და შემოქმედებითი ძლიერებაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ნიჭი ერთმანეთს ებრძვის ნაცვლად შეკავშირებისა, ჩვენდასამწუხაროდ, ერთმანეთს უპირისპირდება და ერთმანეთის მსხვერპლი ხდება. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ისიც, რომ ქართველი თვითონ წაახდენს ხოლმე, თავის საქმეს, ქართველი თვითონ ებრძვის იმ თავისუფლებას, რომლისთვისაც ის თითქოს იბრძვის. ქართველებს უჭირთ ერთმანეთთან ურთიერთობა, ერთმანეთთან კონტაქტის დამყარება. ისინი მტრობენ ერთმანეთს და ამ მტრობაზე შენდება საქართველოს უბედურება. ეს მტრობა მარტო იმ კუთხით კი არ არის ნაჩვენები, რომ, ვთქვათ, ესა თუ ის კუთხე, ესა თუ ის ფეოდალი ებრძვის ცენტრალურ ხელისუფლებას ანუ გიორგი პირველს, არამედ იმ კუთხითაც, რომ გიორგი პირველისა და არსაკიძის შინაური მტრობა, შინაური მეტოქეობა, ბუნებრივია, ხელს უშლიდა ერთი მხრივ შემოქმედებით ცხოვრებას არსაკიძისა (მოგეხსენებათ არსაკიძის ტრაგიკული აღსასრული) და ცუდია სხვა თვალსაზრისითაც _ პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რადგან გიორგი პირველისა და არსაკიძის მტრობითა და მეტოქეობითაც წაგებული რჩება საქართველო, რადგან ბრძოლაა არა გარეშე მტრის წინააღმდეგ, არამედ შიგნით, ერთმანეთს შორის. ამით გარეშე მტერს შესაძლებლობა ეძლევა, დიდი ზიანი მიაყენოს საქართველოს, დათრგუნოს მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამრიგად, ამ წიგნში იკვეთება ერთის მხრივ თვით ავტორის პოლიტიკური მრწამსი, მეორე მხრივ კი დიდი საქართველოს იდეა, რომელიც, ბუნებრივია, ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ხალხს მუდამ გულით უნდა ეტარებინა და მუდამ მზად ყოფილიყო, რომ როგორც კი ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, ამაზე ეფიქრა, ამაზე ეზრუნა და ემოქმედა კიდეც.

ეს დიდი საქართველოს იდეა განსაკუთრებულად ჩანს «დავით აღმაშენებელში», რადგან, მოგეხსენებათ, საქართველოს გრძელ ისტორიის მანძილზე არ არის მეორე პოლიტიკური მოღვაწე, მასშტაბურობით დავით აღმაშენებელს რომ შეედრებოდეს. «დავით აღმაშენებელში» გამოვლენილია უზარმაზარი მასშტაბის პოლიტიკოსი და დიდი სულიერი თვისებების მქონე ადამიანი. გარდა იმისა, რომ დავით აღმაშენებე-

ლი დიდი საქართველოს შემქმნელია, ის გახლავთ ისეთი ჰიმნის ავტორი, როგორიც არის «გალობანი სინანულისანი», სადაც სულიერების უმაღლესი დოზა და ღონეა გამჟღავნებული. მეფე, რომელსაც შეუძლია ასეთი ჰიმნი დაწეროს, რიგითი ადამიანი და რიგითი პოლიტიკოსი არ არის, ის უკვე უდიდეს მოაზროვნეთა დონემდე მაღლდება. ეს შერწყმა ხელმწიფე-პრაქტიკოსისა, ქვეყნის პატრონისა და დიდი მოაზროვნისა დავით აღმაშენებელს უდიდეს პიროვნებად აქცევს. საქართველოს გრძელ ისტორიაში ის დიდი და გამოჩენილი პიროვნებაა.

როცა მწერალი რომანს ასეთ პიროვნებას უძღვნის, ბუნებრივია, მან ის იდეალი უნდა წარმოაჩინოს, ის შეხედულება, ის რწმენა და თვალსაზრისი, მისთვისაც რომ მისაღებია, რაკი ამის ქადაგება განუზრახავს როგორც მწერალს.

«დავით აღმაშენებელში», ამ უზარმაზარ რომანში, წარმოდგენილია ყველაფერი, რაც იმ ეპოქის საქართველოზე გვიამბობს, მაგრამ აქ მომავალ საქართველოზეც არის ლაპარაკი. ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარსულით წინასწარმეüყველება. ეს არის ფიქრი იმაზე, რომ რაკი საქართველო ასეთი იყო, ასეთივე უნდა იქნეს მომავალში და ამიტომ რომანს ერთგვარი პროგრამის ხასიათიც აქვს, თუ, რა თქმა უნდა, მხატვრული ნაწარმოების მიმართ ამგვარი სიტყვის ხმარება შეიძლება.

ქართულ მწერლობას აქვს ერთი თავისებურება, რაც მას განასხვავებს სხვა ქვეყნების მწერლობისაგან. ქართველი მწერალი თავისი ქვეყნის ისტორიული გამოცდილების გამო ვალდებულია ილაპარაკოს იმაზე, რაც, ჩვეულებრივ, მწერლობის საგანი არ არის, და რასაც, საერთოდ, მწერლობა შეიძლება გაíსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდეს. ქართველ მწერალს არ შეუძლია გულგრილად მოეკიდოს ქვეყნის ბედს, მის პოლიტიკურ იდეალს, მის პოლიტიკურ მომავალს. ეს გამოწვეულია ჩვენი ისტორიული ყოფით, ჩვენი სინამდვილით და, ბუნებრივია, მწერალი, უნდა თუ არ უნდა, ამ საკითხებს ეხება, მით უმეტეს, ისეთი მწერალი, როგორიც იყო კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც საქართველოს პოლიტიკური ბედით მუდამ დაინტერესებული იყო და უშუალო მონაწილეც ამ პოლიტიკური საქმიანობისა. აქედან გამომდინარე, მხატვრულ ნაწარმოებებშიც გადაჰქონდა ყველაფერი, რაზედაც ოცნებობდა. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ერთი ადგილი არა ისტორიული რომანიდან, არამედ თანამედროვეობის ამსახველი რომანიდან _ «დიონისოს ღიმილიდან», სადაც კონსტანტინე სავარსამიძე ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი საქართველო წარმოუდგენია, აღწერილი აქვს თავისი ოცნების საქართველო. ბუნებრივია, ეს მარტო პერსონაჟის ოცნება არ არის, ეს არის ავტორის ოცნებაც... და რაკი ამგვარ საქართველოზე ოცნებობდა, ცხადია, კონსტანტინე გამსახურდიას თავისი რომანის გმირად უნდა აერჩია ის, ვინც ყველაზე იოლად და რეალურად შეძლებდა ამ ოცნების განხორციელებას. საქართველოს ისტორიაში კი ასეთი კაცი გახლდათ დავით აღმაშენებელი. ამიტომ კონსტანტინე გამსახურდიას, როგორú მწერლის ცხოვრებაში ბუნებრივად შემოვიდა დავით აღმაშენებლის სახე და დავით აღმაშენებლის ბიოგრაფია. ხოლო აქედან, როგოîც მოგახსენეთ, რაღა თქმა უნდა, იდეალი ქვეყნის პატრონისა, საქართველოს ბედის წარმმართველისა. საქართველოს ბედის წარმართვა რომ არც წარსულში შეეძლო ერთ კაცს და არც აწმყოში შეუძლია, ავტორმა ძალიან კარგად იცის, ამიტომ დავით აღმაშენებელთან ერთად მის მიერ დახატულია მთელი პლეადა ახïლგაზრდა პოლიტიკური მოღვაწეებისაც და ხანდაზმულებისაც. არ არის ახალგაზ-

რდა გიორგი ჭყონდიდელი, მაგრამ ასაკის მიუხედავად, აზროვნებით, მისწრაფებითა და იდეალებით სრულიად ახალგაზრდა კაცია და ამიტომ არის დავით აღმაშენებლის მარჯვენა ხელი. მაგრამ დანარჩენები ახალგაზრდები არიან _ ნიკინია ბაკურიკინი, შერგილ ლიპარტელიანი თუ სხვები და სხვები. ეს ის თაობაა, რომელსაც თავად დავით აღმაშენებელი ეკუთვნის და ვისთან ერთადაც მან საქართველო უნდა ააშენოს.

ერთმა კაცმა შეიძლება დაწეროს «ვეფხისტყაოსანი», მას დამხმარე არ სჭირდება. ერთმა კაცმა შეიძლება დაწეროს «გველის მჭამელი», მას დახმარება არა სჭირდება. ერთმა კაცმა შეიძლება დაწეროს «აიდა», შეიძლება ერთმა კაცმა მოხატოს «სიქსტეს კაპელა», მაგრამ ერთი კაცი ვერ ააშენებს ქვეყანას. ამას ადამიანების მთელი ჯგუფი სჭირდება. დავით აღმაშენებელი იქნება, ალექსანდრე მაკედონელი იქნება, ნაპოლეონი იქნება თუ სხვა ვინმე, რომელიმე პოლიტიკური მოღვაწე, მარტო ვერასოდეს შეძლებს ქვეყნის აშენებას, ქვეყნის აშენებას სჭირდება მთელი პლეადა პოლიტიკური მოღვაწეებისა და მხოლოდ ამ პლეადას შეუძლია ქვეყნის რჩენა-გადარჩენა. ამიტომ კონსტანტინეს მიერ ამ ახალგაზრდების დახატვა მეფის გვერდით, იმასაც გულისხმობს, რომ დავით აღმაშენებელს გვერდით უნდა ჰყავდეს ისინი, ვისაც მისი იდეალების განხორციელება შეუძლია, ვისაც შეუძლია მეფეს მხარში ამოუდგეს და ყველა კონკრეტულ ვითარებაში განახორციელოს ის, რაც ხელმწიფეს სჭირდება. პოლიტიკური ცხოვრება სხვაგვარი ცხოვრებაა და რაკი ეს ასეა, სხვაგვარად სჭირდება წარმართვა და ამ საქმეში რა თქმა უნდა მონაწილეობს არა ერთი ადამიანი, არამედ მთელი პლეადა პოლიტიკური მოღვაწეებისა. თუ ასეთი პლეადა არსებობს, ბუნებრივია, იმ ერთი კაცის იმედიც გამართლდება და ის ერთი კაციც მიაღწევს იმას, საითკენაც ქვეყანა მიჰყავს. მაგრამ მარტოდმარტო ამას ვერ შეძლებს. ამიტომ, როგორც გითხარით, ამ რომანში მარტო დავით აღმაშენებელი არ არის დახატული. აქ დახატულია პერსონაჟთა მთელი გუნდი და თითოეულს განსაკუთრებული როლი აქვს დაკისრებული იმ დიდი სახელმწიფოს შექმნის საქმეში, რომლის ხელმწიფეც დავით აღმაშენებელი იყო. რომანში გატარებული ეს აზრიც მეტისმეტად არსებითია დღევანდელი ვითარებისათვის, მეტისმეტად მნიშვნელოვანი გაკვეთილია დღევანდელობისათვის.

ქართულ მწერლობაში სხვა რიგისა და სხვა ხასიათის ისტორიული მოთხრობები და რომანებიც არის, სადაც ყურადღება უფრო მეტად ქართველის სულიერ თვისებებზე, ქართველის სულიერ ტკივილებზეა გამახვილებული და მაინც და მაინც ფართო მასშტაბით არ არის წარმოდგენილი მისი პოლიტიკური ძალმოსილება. მთავარი ქართველთა სულიერი თვისებები, ქართველთა ხასიათია. ამჯერად მხედველობაში მაქვს ნიკო ლორქიფანიძის მოთხრობა «ქედუხრელნი» _ თავისებური ვარიანტი ჩვენთვის კარგად ცნობილი მოთხრობის _ «სურამის ციხისა».

ლეგენდას ნიკო ლორთქიფანიძეც იყენებს, მაგრამ, ბუნებრივია, აქ ეს ლეგენდა თავისებურადაა გააზრებული. ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობის მიხედვით საქართველოს თავს დაესხა მტერი, ქვეყანამ როგორმე თავი უნდა დაიცვას. ამიტომ უნდა აშენდეს ციხე. ლეგენდის მიხედვით ეს ციხე არ აშენდება, თუ მასში ცოცხალ ადამიანს არ ჩაატანენ. მოთხრობის მიხედვით მეფე თავის ვეზირს გზავნის ისეთი ახალგაზრდა კაცის მოსაძებნად, ვინც თავის ნებით ჩაეტანება ციხის კედელში. მოთ-

ხრობაში ხაზგასმულია ნებაყოფლობითი ფაქტორი _ არა ძალდატანებით, არა ძალადობით, დაპატიმრებით და რომელიმე ასეთი ხერხით, არამედ ნებაყოფლობით უნდა მოხდეს ციხის კედელში კაცის ჩატანება. და ვეზირი მეფის დავალებისდამიხედვით ეძებს ასეთ ყმაწვილს და ბოლოს და ბოლოს იპოვის. მოიყვანენ ამ ყმაწვილს ციხის მშენებლობაზე და იწყება მშენებლობა. როცა ციხის კედელი ყმაწვილის მკერდამდე მიაღწევს, მოდის ერთი ბრძენი და ამბობს, შეწყვიტეთ ციხის მშენებლობა და ეს ყმაწვილი გაათავისუფლეთ. ქვეყანას, რომელსაც ჰყავს კაცი, ვინც მზად არის, თავისი ნებით ჩაეტანოს ციხეში, ციხე არ სჭირდებაო. ეს გახლავთ მოთხრობის დედააზრიც. ასეთი ლაიტმოტივი გასდევს, საერთოდ, ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიულ რომანებს და, შეიძლება ითქვას, ქართულ ისტორიულ რომანებს, რადგან ერის სულიერ სიმტკიცეზე, მის სულიერ ძლიერებაზე არის დამოკიდებული ქვეყნის გადარჩენა. ერი ასეთი იქნება, თუ ისეთი შვილები ეყოლება, როგორიცაა ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობის _ «ქედუხრელნის» პერსონაჟი. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ქვეყანას ეყოლება პატრონი და ეს პატრონი უკვე თვით ხალხი იქნება... არა მხოლოდ პოლიტიკური წრე, არა მხოლოდ ხელმწიფე ან ქვეყნის მეთაური, არამედ ხალხი, რადგან ამ ხალხის სულიერი სიმტკიცეა ის ძალა, რასაც ქვეყნის გადარჩენა შეუძლია.

ამ მხრივ მეტად საინტერესო გახლავთ ლევან გოთუას რომანი «გმირთა ვარამი». აქაც ხაზგასმულია ის, რომ ერმა საკუთარ თავში, საკუთარ ბუნებაში, საკუთარ სულში უნდა აღმოაჩინოს ძალა, რომელიც შეძლებს ქვეყნის პატრონობას, ქვეყნის აშენებას, მის ჩამოყალიბებას. ერთ მთლიანობაში უნდა მოექცეს, უნდა გაერთიანდეს როგორც ქვეყნის მეთაური, როგორც ყველა პოლიტიკური ძალა, ისე ხალხი, რადგან ასეთ მთლიანობას შეუძლია ამა თუ იმ ქვეყნის გადარჩენა, ამა თუ იმ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შექმნა. ამიტომ ჩვენი ისტორიული რომანები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში იწერებოდა, სწორედ ამ ერთიანობïì, ერის მთლიანობის იდეას უსვამდა ხაზს, ამის ჩაგონებას ცდილობდა ჩვენი ხალხისათვის, რადგან, როგორც მოგახსენეთ, სწორედ აქ ვლინდება ძალა, რის წყალობითაც ამა თუ იმ ქვეყანას, ამა თუ იმ ხალხს შეუძლია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება, საკუთარი თავის მოვლა და პატრონობა.

რა თქმა უნდა, თვითეული ისტორიული რომანი, რომელიც აქ დავასახელე, მრავალფეროვანი თემატიკის მომცველია, მაგრამ მე გამოვყავი, ყოველ შემთხვევაში, შევეცადე, გამომეყო, ძირითადი გეზი და მიმართულება, რაც უშუალოდ დღევანდელობასაც ეხმაურება, რადგან ყველაფერი, რაც იწერებოდა, რასაც ჩვენი მწერლობა ჰქმნიდა, ბუნებრივია, ემსახურებოდა არა მარტო იმ პერიოდს, როცა ეს ნაწარმოები იქმნებოდა, არამედ მომავალსაც, არამედ იმ ხვალინდელ დღესაც, იმ ნაწარმოებებს რომ უნდა მოემზადებინა. რაც მთავარია, ამ ნაწარმოებებს უნდა შეემუშავებინა და ჩამოეყალიბებინა ჩვენი ერის ცნობიერება, შეგნება, მისი დამოკიდებულება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიმართ.

ფიქრი ამაზე, ტკივილი ამის გამო და ეგრეთწოდებული ეროვნული მოძრაობა საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა და არც შეწყდება. არ შეწყდება სწორედ იმის გამო, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლïს ამა თუ იმ ფორმით ქართველი ხალხი მუდამ აგრძელებდა, დღესაც აგრძელებს და მომავალშიც გააგრძელებს. მას არ შეუძ-

ლია შეეგუოს მონობას, არ შეუძლია შეეგუოს ჩაგვრასა და უბედურებას. ბუნებრივია, ყოველივე ამას მომზადება სჭირდება და ხალხის ცნობიერების ამ მიმართულებით წარმართვა. ეს ხდებოდა ჩვენი წარსულის გახსენებით, ჩვენი ისტორიის გახსენებით, იმ პიროვნებების გაცოცხლებით, იმ პიროვნებების ჩვენებით ყველაზე კარგად რომ გამოხატავდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას _ მეფე იქნებოდა ის თუ რიგითი ქართველი, ამას ნაკლები მნიშვნელობა ჰქონია. მთავარი ის იყო, რომ ჩვენი ისტორიული რომანების თვითეული პერსონაჟი ქართველი ხალხის თავისუფლების რწმენით ყოფილიყო აღვსილი, თავისუფლების იდეით შეპყრობილი და ამ თავისუფლების განხორციელების ძალაც ჰქონოდა.

ამ პერიოდის რომანებსა და, თუ გნებავთ, პატარა მოთხრობებსაც, ერთი ხაზი აერთიანებს _ იმ დიდი იდეის სამსახური, რომელსაც ქვეყნის თავისუფლება, ხალხის თავისუფლება, თავისთავადობა და დამოუკიდებლობა ჰქვია. ამიტომ ეს ისტორიული რომანები თუ ისინი, რომლებიც არ დამისახელებლია, ბუნებრივია, ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას ემსახურება, ოღონდ საჭიროა ამ ნაწარმოებთა დღევანდელი თვალთახედვით წაკითხვა, საჭიროა ყურადღების გამახვილება იმაზე, რაც დღეს არის საჭირბოროტო, და დღესაც, ამ უკიდურესად გაჭირვების ჟამს ეს რომანები ჩვენს საზოგადოებას ახალ ძალას, ენერგიას და სულიერ მხნეობას შთაუნერგავს.

ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის უმძიმესი ბრძოლაა. ამ უმძიმეს ბრძოლაში უდიდესი სულიერი სიმტკიცეა საჭირო. ერმა უნდა გადაიტანოს ყველა გასაჭირი, რაც თავს დაატყდება ამ ბრძოლის დროს, სულერთია, რა გასაჭირი იქნება ეს _ ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო თუ პოლიტიკური. სულიერი სიმტკიცე, გამძლეობა და ამტანობა სჭირდება არა მარტო, ვთქვათ, უშუქობის, უგაზობის, შიმშილის და ასე შემდეგ გადატანას, არამედ სულიერი მხნეობა, სულიერი სიმტკიცე სჭირდება ქვეყნის დამარცხებების, ქვეყნის ტერიტორიის ნაწილების დაკარგვის, პოლიტიკური ჩაგვრის გადატანას.

დღევანდელ საქართველოში არსებობს ერთი მთლიანი კომპლექსი. ეს არის იმ სიდუხჭირის დაძლევა, რაც, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენ ხალხს დაატყდა. ეს შეიძლება მხოლოდ ერთიანობით: როცა ხალხი ერთიანია, ერთიანი არიან პოლიტიკური მოღვაწეები და ქვეყნის მეთაურიც. ისინი კარგად გრძნობენ ქვეყნის ძირითად მიზანს. ეს ძირითადი მიზანია გაცხადებული ჩვენს ისტორიულ რომანებშიც: საქართველომ საკუთარ თავს უნდა უპატრონოს, საქართველოს არც არავინ მოეხმარება და არც უნდა ჰქონდეს ამის იმედი. ამიტომ მან ყველა ძალა და ღონე უნდა იხმაროს, რათა მარტოდმარტომ გააღწიოს სამშვიდობოს და თავისი ქვეყნის აშენებას მხოლოდ მაშინ შეძლებს, თავისი ქვეყნის ფეხზე დაყენებას მაშინ შეძლებს. თუ ჩვენ ისევ სხვისი იმედით გავაგრძელებთ ცხოვრებას, თუ ჩვენ ისევ სხვას დავუწყებთ თვალებში ყურებას, აბა, როდის გამოგვიწვდის დახმარების ხელსო, მაშინ ჩვენი დამარცხება გარდაუვალია. მაგრამ თუ ვირწმუნებთ იმას, რომ ჩვენში არის ის ეროვნული ენერგია (ამის საბუთი ისტორიულადაც არსებობæï და დღევანდელობაშიც არსებობì), რომელიც შეგვინარჩუნებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მაშინ ჩვენ გამარჯვებულნი გამოვალთ უმძიმესი ბრძოლიდან, რაშიც დღეს ჩვენი ხალხია ჩაბმული. უმთავრესი სწორედ რწმენაა, უმთავრესი ამ რწმენის და შეგნების გამომუშავებაა და ჩვენი ისტორიული რომანები სწორედ ამაში გვეხმარება.

სევდა ისტორიისა

ჩემი აზრით, ისტორიულ თემას, როგორც მხატვრული ნაწარმოების მასალას, ორ შემთხვევაში მიმართავს მწერალი. პირველად მაშინ, როცა სურს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის სული გადმოსცეს, ხოლო მეორედ მაშინ, როცა ისტორიული მასალა გამოადგება იმისათვის, რომ ალეგორიის მოშველიებით გამოთქვას აზრი. თუ კონკრეტული ნიმუშების დასახელებაა საჭირო, შეიძლება გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები «მრისხანე ბატონი», «ჟამთა სიავე», «რაინდები» და კონსტანტინე განსახურდიას «დიდოსტატის მარჯვენა». მართალია, ნიკო ლორთქიფანიძე ყოველთვის შენიშნავს, რომ მის მოთხრობებში «არაისტორიული ამბავია» აღწერილი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მწერალს ზუსტად გადმოსცეს საქართველოს ისტორიის სული. «დიდოსტატის მარჯვენა» კი ძირითადად ალეგორიული რომანია. ამის საბუთად თავად კ. გამსახურდიას ნათქვამიც კმარა: ამ რომანით ჩემი პოეტური მრწამსი გადმოვეციო.

ამ წერილში ნ. ლორთქიფანიძის ზემოხსენებულ სამ მოთხრობაზე იქნება საუბარი. მაგრამ ვიდრე უშუალოდ მათ შევეხებოდეთ, ჯერ ყურადღება მივაპყროთ რამდენიმე კონცეფციას, გატარებულს «ქართლის ცხოვრებაში», ხოლო მერე კი ვნახოთ, რა გადაიტანა მატიანიდან თავის მოთხრობებში მწერალმა.

ყველას კარგად მოეხსენება ერთი ამბავი, რომელსაც ლეონტი მროველი მოგვითხრობს.

როცა ალექსანდრე მაკედონელს საქართველო დაუპყრია, ქვეყნის მმართველად აზონი დაუსვამს. ალექსანდრეს მოუკლავს მცხეთის მამასახლისი სამარიც და მისი ძმაც. სამარის სამი წლის ძმისწული ფარნავაზი დედას კავკასიის მთებში გაუხიზნავს. ამით გადაურჩენია დედას შვილი სიკვდილისაგან. როცა ფარნავაზი დავაჟკაცებულა, შეუკრებია ყოველნი ქართველნი, შებრძოლებია აზონს, დაუმარცხებია იგი და თავად გამხდარა საქართველოს მეფე. და ბოლოს ლეონტი მროველი დასძენს: «ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლისა შინა თუინიერ ქართულისა.და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული».

ბუნებრივია, რომ ამის წაკითხვის შემდეგ გაგიჩნდება კითხვა _ რატომ დააკავშირა მემატიანემ ქართული ენის გავრცელებისა და ქართული მწიგნობრობის შექმნა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისა და ბერძენთა მიერ ხელმწიფედ დასმული კაცის აზონისაგან თავდახსნის პერიოდთან? კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავისხენოთ _ რას ჩაუყარა საფუძველი ალექსანდრე მაკედონელმა და რა ხდებოდა ელინიზმის დროს. აი, რას ამბობს ინგლისელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი რობინ ჯორჯ კოლინგვუდი:

«იმ დროს ჩვეულებრივი გახდა ბარბაროსთა ელინად მოქცევა. ბარბაროსთა გრეციზაცია ბერძნულად იწოდება ელინიზმად (სიტყვა «ელლენიძეინ» ნიშნავს ბერძნულად ლაპარაკს, უფრო ფართო აზრით, ბერძნული ზნე-ჩვეულების მიღებას), ხოლო ელინისტური პერიოდი არის პერიოდი, როცა ბარბაროსებმა აითვისეს ბერძნული ზნე-ჩვეულებანი. ასე რომ, ბერძნული ისტორიული შეგნება, თუ ადრე ჰეროდოტესათვის უპირველესად იყო ბერძნებისა და ბარბაროსთა შორის მტრობის შეგნება (ომები სპარსეთში), ახლა იგი ყალიბდება ბერძნებსა და ბარბაროსთა შორის თანამ-

შრომლობის შეგნებად, მაგრამ თანამშრომლობის ისეთ შეგნებად, როცა ბერძნები ხელმძღვანელობენ, ბარბაროსები კი ემორჩილებიან ამ ხელმძღვანელობას, ხდებიან ბერძნები, ბერძნული კულტურის მემკვიდრეები და ამით ბერძნული ისტორიული შეგნების მემკვიდრეებიც» («ისტორიის იდეა», 1980წ., ფც. 33).

ახლა შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ელინიზმის გაბატონებულ ტენდენციას _ ბერძნული ენის ათვისების გზით, ბარბაროსების, ანუ არაბერძენი ხალხების, გაბერძნების ტენდენციას _ ფარნავაზი უპირისპირებს ქართული ენის გავრცელებას და ქართული მწიგნობრობის შექმნას. ამით ინარჩუნებს ის ეროვნულ სახესა და სულს. ასე მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნული თავისთავადობისათვის.

ეს არის მთავარი და არსებითი ლეონტი მროველის ცნობაში.

უთუოდ აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაცვისათვის ბრძოლა პასიური არ არის. პირიქით, აქტიურია. ეს გამოხატულია იმით, რომ იდევნება მრავალენიანობა. აღარ იზრახება სომხური, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ქართული ხდება გაბატონებულ ენად. გარდა ამისა, მუშავდება კავკასიის ხალხთა ძმობის თეორია. ლეონტი გვაუწყებს, რომ ქართველთა, სომეხთა, რანთა, მოვაკნელთა, ჰერთა, ლეკთა, და კავკასიანთა ერთი მამა ჰყავდათო თარგამოსი. არ მიმაჩნია საეჭვოდ, რომ კავკასიის ხალხთა ძმობის ეს თეორიაც ფარნავაზის დროს არის შექმნილი, რამეთუ ესეც ელინიზმის ტენდენციის საპირისპიროა. თუ ელინიზმი ცდილობს ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში, ბერძნული ენის მეშვეობით, სხვადïსხვა ხალხთა ერთიანობა შექმნას, ქართველი მეფე იბრძვის ამ იმპერიას დაუპირისპირდეს კავკასიის ხალხთა ძმობა-ერთიანობის სახელით. ამ ძმობის დუღაბად კი ქართული ენა გამოიყენოს. აქ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს აზრი ახლად აღორძინდება მე-11-12 საუკუნეებში, როცა საქართველოს ხელისუფლება ფაქტიურად მთელი კავკასიის მმართველი ხდება. ქართლოსიანთა დინასტიის თავკაცის ჩანაფიქრის განხორციელებას ამჯერად ბაგრატიონები ცდილობენ, მაგრამ ეს ცდაც მარცხით დამთავრდება მონღოლთა შემოსევის გამო.

როგორც ვხედავთ, ფარნავაზის დროს თავდაცვის კონცეფცია სრულიად მკაფიოა.

დიდი დრო გავა და ქართული ენის, კავკასიის ხალხთა ძმობის გვერდით ქვეყნის სიმტკიცის ახალი ბოძი გაჩნდება _ ქრისტიანული სარწმუნოება. ქართველი იდეოლოგი ახალ ფორმულას შეიმუშავებს: «ქართულად ფრიად ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების» (სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ lingua franca-ს როლს კავკასიაში ქართული ენა მე-19 საუკუნის ბოლომდე ასრულებდა. ამის საბუთია 1881 წელს თბილისში რუსულად გამოცემული წიგნი, რომლის სათაურია _ «ქართული ენის სახელმძღვანელო-თვითმასწავლებელი, შედგენილი თბილისის რეალური სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლის გაბრიელ ტერ-გაბრიელიანცის მიერ»). ამის მერე წერია: «აუცილებელი წიგნი ყველასათვის, ვინც ამიერ-კავკასიაში ცხოვრობს» (ყურადღება მიაქციეთ ამ შენიშვნას).

ამრიგად, ქართული ეროვნული თავდაცვა სამ ძალას ეყრდნობა _ ქართული ენა, კავკასიის ხალხთა ძმობა, ქრისტიანობა. მაგრამ ასე იქნება მონღოლთა შემოსევამდე. მათი გაბატონების შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვლება. დაიწყება თავდაცვის პასიური იარაღის გამოყენება _ ქვეყნის გადარჩენის მიზნით ზვარაკად თავის

დადება. ეს პასიური კონცეფცია მთლიანად შეცვლის ძველ აქტიურ კონცეფციას. ქვეყნის და ერის საკურთხეველზე მიტანილი ტარიგია ცოტნე დადიანი, დემეტრე მეორე, ქეთევან დედოფალი, ლუარსაბ მეორე, შალვა, ბიძინა და ელიზბარი... ეს მსხვერპლის გაღების კონცეფციაა. თანდათანობით კნინდება და კნინდება ჩვენი ქვეყანა. ამგვარი ცვლილება საფუძველი გახდა არა მარტო პოლიტიკური დაცემისა, არამედ კულტურული დაქვეითებისაც. დაქვეითების პროცესი ბუნებრივია, რამეთუ ერი აღარ აქტიურობს. ხალხი პასიურად ელის გმირს, რომელიც კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მსხნელად მოევლინება ქვეყანას.

იმ დროს, როცა ზრუნავდნენ ქართული ენის გავრცელებისათვის, კავკასიის ხალხთა ძმობის პროპაგანდისათვის, ქრისტიანობის ქადაგებისათვის, აქტიური და მოქმედი იყო მთელი ქართველი ხალხი. ეს ერის მისია იყო და იმიტომ. ცალკეული ადამიანები, რარიგ ნიჭიერიც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ამ ამოცანის განხორციელებას ვერ შეძლებდნენ. ხალხის აქტიურობა ყველაფერში ვლინდება _ პოლიტიკურ, კულტურულ, სამეურნეო, რელიგიურ ცხოვრებაში. ამის საბუთია იმდროინდელი მწერლობა, რელიგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება, პოლიტიკური და სამეურნეო ძლიერება.

იმ დროს კი, როცა ქვეყნის ხსნა მსხვერპლს, ზვარაკს დაევალა, ხალხი პასიური გახდა. როგორც ითქვა, დაიწყო მოლოდინი იმ კაცისა, რომელიც მარტოდმარტო იკისრებს ტარიგის მოვალეობას და ამით დროებით შეანელებს, შეარბილებს მტრის მრისხანებას. მოქმედების ნაცვლად ხალხის თვისებად ხდება მოლოდინი. მოლოდინი პასიური ბუნების არის და ამის შედეგია, რომ, მონღოლთა ბატონობის შემდეგ, დაცემულია ქართველი ხალხის პოლიტიკური, კულტურული, სამეურნეო, რელიგიური ცხოვრება. პოლიტიკური თვალსაზრისით, ქვეყანა იშლება ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, მეურნეობრივად ღარიბდება, რამდენიმე საუკუნის მანძილზე არ ჩანს ჩვენში დაწერილი წიგნი. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ხალხმა დაივიწყა წერა-კითხვა. დაეცა რელიგიური ცხოვრებაც.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პოლიტიკური, კულტურული, სამეურნეო და რელიგიური გამოფხიზლების ახალი პერიოდი იწყება მაშინ, როცა ერის მხსნელი ზვარაკის კონცეფცია შეიცვალა ახლით _ თავშესაფრის ძებნის კონცეფციით. მართალია, არსებითად ესეც პასიური კონცეფციაა, მაგრამ გარკვეულ აქტიურობას მაინც შეიცავს. მისი განხორციელება დამოკიდებული არ არის მხოლოდ ცალკეულ პირებზე. აქაც აუცილებელია ხალხის მონაწილეობა და მხარდაჭერა. მოლოდინის მაგიერ მაინც მოქმედებაა საჭირო. ხალხის ამოქმედებას ბუნებრივად მოჰყვა ცხოვრების ყველა სფეროს გამოცოცხლება. განახლდა მწერლობა (თეიმურაზ I, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI და სხვანი), რელიგიური მოღვაწეობა (დავით გარეჯის სკოლა, ანტონ პირველი და სხვანი), პოლიტიკური საქმიანობა (ორიენტაციის აქტიური ძიება, ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანება და ა.შ.).

თუ არ ვცდები, მე-19 საუკუნემდე ამ სამი კონცეფციით არის გამოვლენილი ძირითადად. საქართველოს ისტორიის სული. ახლა იმიტომ გავიხსენე ისინი, რომ მკაფიოდ დავინახოთ, რომელია გამომჟღავნებული ნიკო ლორთქიფანიძის უკვე მოხსენიებულ სამ მოთხრობაში. ამის დადგენაში მოგვეხმარება ის საერთო სევდიანი განწყობილება, რომლითაც გაჟღენთილია მოთხრობები. რა იწვევს სევდას?

სევდას იწვევს უაზრო შინამტრობა. ვისღა ახსოვს მთელი კავკასიის ხალხთა ძმობა და ერთობა. ერთმანეთს მტრად მოჰკიდებიან კუთხეები და გვარები. «რაინდებში» ერთმანეთს ებრძვიან იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი. თან არც იციან რატომ, რისთვის და რა მიზნით. დიდი-დიდი რამდენიმე ყმა და მიწის ნაჭერი წაგლიჯონ ერთმანეთს.

ოდიშის მთავარს ეწყინა იმერეთის მეფე რომ მცირე ჯარით მოვიდა დასახმარებლად. სამეგრელოს დედოფალი აბუზღუნდა:

«_ აი დახმარება, თუ გინდა სიძე-ბატონისაგან, ამას ჰქვია!.. თითქოს სანადიროდ მოსულიყოს! სასაცილოდ აგვიგდო!.. თუ გავიმარჯვეთ, სახელი მისია, თუ დავმარცხდით _ ჩვენ აგვიანცებენ...

მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ მოკლედ მოსჭრა:

_ ცოტაა თუ ბევრი ჩემი ჯარი, გამარჯვება ჩემს კისერზე იყოს... თქვენი ჯარი სრულიად ნუ გამოვა! თუ გაწყრა ღმერთი და დამამარცხეს, ჩემი სამეფო თქვენთვის დამითმია _ მოგახმაროთ ღმერთმა!..»

დააკვირდით მეფის პასუხს: ჩემი სამეფო თქვენთვის დამითმიაო. რა გულუხვია და ხელგაშლილი იგი. რატომ? იმიტომ, რომ მტერს კი არ ებრძვის, შინაურს ეომება. თუ დამარცხდება, იმერეთის ტახტი ან დადიანს დარჩება ან შარვაშიძეს. ამას მეფისათვის პირადი პატივმოყვარეობის მნიშვნელობა აქვს და არა ქვეყნის ბედის გადაწყვეტისა. რა მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის _ ქუთაისში ვინ დაჯდება ტახტზე _ ბაგრატიონი, დადიანი თუ შარვაშიძე? ასე გამხდარა ეროვნული საქმე ამა თუ იმ ფეოდალური გვარის პატივმოყვაროების საგნად.

მართალია, ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ უგულოდ და უხალისოდ, არჩილს, _ წერს ნიკო ლორთქიფანიძე, _ «ორი-სამი შეტაკების შემდეგ რაღაც გული აუვადრა და მხოლოდ მეფის ხათრით ვერ ტოვებდა ბრძოლის ველს». ასე ამიტომ დაემართა, რომ ქვეცნობიერად მიხვდა, რასაც აკეთებდა, უაზრო და უმიზნო სისხლისღვრა იყო.

არჩილის მსგავს მდგომარეობაშია ასტამურ ინალიპაც, ანუ ინალიშვილი. იგი «აბჟანდზე ცერებით შედგებოდა და მიმოიხედავდა. ვინც შეუტევდა, უგულოდ გზას უთმობდა და მეომრებიც შორდებოდნენ _ ზოგს შუა კაცი ეგონა, ზოგს მგლოვიარე». როცა ასტამურ ინალიპას ერთი ჯარისკაცი არ მოეშვა, თოფი გულზე მიაბჯინა და უთხრა _ «წადი, ძმაო, სხვა მონახე _ შენთვის არ მცალია...» ინალიშვილს ბრძოლა არ უნდა და თუ ვინმეს შეერკინება, ეს აგიაშვილია, რადგან მასთან პირადი მტრობა აქვს. ისინი შეხვდებიან ერთნამეთს ბრძოლის ველზე. აგიაშვილი სასიკვდილოდ დაჭრის ინალიპას. მაგრამ ეს არ გახარებია აგიაშვილს. «ამ გამარჯვებით ცოტა არ იყოს დანაღვლიანებული აგიაშვილი მივარდა ვიღაც აფხაზს და უთხრა: ინალიპა ძლიერ დაჭრილია, აი იქ... მიეშველეთ». სინდისატკივებულმა გიორგი აგიაშვილმა ვერ მოითმბნა და ისევ ასტამურ ინალიპასთან მიბრუნდა. თურმე ეს ომი და მტრობა არც ინალიშვილს მოსწონს. ასტამური გიორგის ეუბნება:

«ახია ჩემზე, რაც მომივიდა: არ მომწონს დაუსრულებელი ომი ოდიშთან და იმერლებთან... არ მიყვარს მთავარი და მისი ოჯახი. შემეშინდა მოღალატეთ არ გამოვსულიყავ პატრონის წინაშე, არავის ეფიქრა, რომ შიშმა ამიტაცა და ბრძოლის ველი დამატოვებია... გუშინ ცხარე სიტყვიერი შეტაკების შემდეგ, კიდეც დავტოვე ბანაკი,

მაგრამ დავბრუნდი. მინდოდა მოვალეობა შემესრულებია, გესლიანი ენისათვის კლიტე დამედვა და წავსულიყავ... თქვენ აგირჩიეთ _ გვარიშვილობით ერთი ვართ და თქვენთან შებრძოლებაც სასახელოა. თანაც თქვენ ჩემი ძმის სისხლი გმართებ-დათ. გადაეცით მეფეს, რომ მისი გამარჯვება მახარებს...»

რა შეიძლება იყოს უფრო მეტად სევდის მომგვრელი, ვიდრე იმის შეცნობა _ რო-გორ იღუპება მშვენიერი და მამაცი ვაჟკაცი ცრუმოვალეობის შესრულების გამო? რა შეიძლება იყოს უფრო დიდი უაზრობა, ვიდრე სისხლისღვრა იმისათვის, რომ ვინმე ენაწაგდებულმა ლაჩრობა არ დაგწამოს? მაგრამ ყველაზე ტრაგიკული და ტკივილის აღმძვრელი ის არის, რომ ასტამურ ინალიპას სიკვდილი «მტრებს» _ იმერლებს და ოდიშელებს არ გაუხარდებათ, მაგრამ ესიამოვნება და სიხარულს მოგვრის «მოყ-ვრებს» _ აფხაზეთის მთავრის ოჯახს.

«_ ვაი საწყალო! რაც იარაღს არ უქნია, იმას საწამლავი დამართებს, _ ჩაილაპარაკა იქვე მდგომმა ჩიჩუამ.

_ როგორ?

_ მაგი არის ინალიშვილების ერთი ბუდის ერთადერთი ვაჟი-მემკვიდრე; ქალი კი მთავრის შვილს ჰყავს და დიდი ხანია უთვალთვალებს მემკვიდრეობას.

_ დანარჩენი ინალიშვილები, ნათესაობა რას იტყვის?

_ ჰო, ვინ იცის... იქნება მთავრის ოჯახს იმედები გაუცრუვდეს. მაგრამ ცდას არ დააკლებენ... მორიგდებიან ნათესავებთან... ბევრი რამ მაინც დარჩებათ».

დაკარგულა ეროვნული მასშტაბით აზროვნება. იგი შეცვლილა პიროვნული ინტერესით. გამქრალა სახელმწიფო აზროვნება. იგი დაუკავებია ოჯახურ აზროვნე-ბას. გლეხი, თავადი, მთავარი, მეფე მხოლოდ საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე ფიქრობს, წუხს, ზრუნავს. სახელმწიფო ყველას დავიწყებია. იმის შეგნების უნარიც აღარ აქვთ, რომ თუ სახელმწიფო მოუწყობელია, არეულ-დარეული და ქაოსით მო-ცული, შეუძლებელია ოჯახური და პირადი ბედნიერების მოგვარება.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნება დაკარგა არა მარტო მმართველმა ფენამ, არამედ მთელმა ხალხმაც. ამან მშრომელი გლეხი მაროდიორად გადააქცია. ლაზიკა, ექვთიმე, თეიმურაზი («რაინდები») ბრძოლის ველზე დაძვრებიან და დახოცილებს ძარცვავენ.

«_ თვალებში რომ ჩამჩერებიხართ, რა მზეთუნახავი იშოვეთ _ გავიდოდით, მოვიარდით ამ ველს, ერთი მარჩილის საღირალს მაინც ვიშოვიდით...

_ ვინ დაგიწყობს ახლა მინდორში ოქრო-ვერცხლს.

_ შე ვირისთავო, ოქრო და ვერცხლი მამაშენს არ ქონდა და დედაშენს და ერთ გაწ-ყვეტილ აღვირს ან აბჟანდს ქე ნახავს კაცი... ნალს მაინც ააძრობდი მკვდარ ცხენს!..

_ ნალი არა, ბიჭო და მართლა ცხენი მაინც გავატყავოთ _ ქალაბნად გამოგვადგე-ბა.

_ ჰო და... _ დაუკრა კვერი ლაზიკამ.

წავიდნენ, საღამომდის არ დაბრუნებულან.

_ რა იშოვეთ?

ორივემ გაიკრიჭა.

_ კაცო, ვერცხლის მოყვითლული ბუნუკი.

_ ხომ გითხარით, თქვე სულელებო!..

_ ნალიც ვიშოვეთ სამი _ ორ ცხენს მეტი არ ქონდა და ის ცხენებიც გავატყავეთ.

_ ბარაქალა...»

ვერცხლის ბუნუკი, სამი ნალი და ორი ცხენის ტყავი _ აი, ალაფი და დავლა, რომელიც «გამარჯვებულმა» მეომრებმა იშოვეს. ჯერ ეს «დავლა» რა ღირებულებას წარმოადგენს და იმასაც თუ არ დავივიწყებთ, რომ იგი მეზობლების, ახლობლების, მოყვრების გაჟუჟვის გზით მოინადირეს, უნდა გულახდილად ვთქვათ, რომ გადაგვარებისა და დაკნინების უფრო მძაფრი სურათი ძნელად წარმოსადგენია. ბუნებრივია, რომ სევდა და ტკივილი ავსებს მკითხველს გულს.

ნამუსი დიდიხანია აღარავის ახსოვს. მთავარია გამორჩენა, თუნდაც ღირსების დაკარგვის ხარჯზე.

ნადიმის დროს იულონს ერთი გლეხის გოგო მოეწონა («ჟამთა სიავე»). მასთან ღამის გატარება გადაწყვიტა. მოურავი შეშინდა და ბატონი გააფრთხილა _ «ახლავე არ შეიძლება, იმ გოგოს ძმები და მამა ახლავს». არ დაიშალა იულონმა თავისი. მოურავი იძულებული გახდა გოგოსთან მიპარულიყო ბატონის ხვაშიადის გასამჟღავნებლად. თურმე გოგოს მამასა და ძმებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იულონის სურვილი. აღშფოთებისა და პატიოსნების დაცვის მაგიერ, ქალს ასწავლიან _ «არ დაგავიწყდეს, რაც გასწავლე: ყველაფერში დაეთანხმე და ხვალაც არ გაგიწყრეს ღმერთი, არაფერი სთხოვო. ისე აჩვენე მხოლოდ თავი, რომ ჩვენი გეშინია და ღამით დაბრუნდი უკანვე, რომ ქვეყანამ ვერაფერი შეგნიშნოს...»

ასე უბიძგებენ მამა შვილს და ძმები დას მრუშობისაკენ, რომ ბატონის მცირე საჩუქარი მოიპოვონ.

სევდას იწვევს ისიც, რომ დაიკარგა ნათესაობა, ნდობა, პატივისცემა.

ვახტანგი ძმისწულია ლევანის («მრისხანე ბატონი»), მაგრამ თავდავიწყებით სძულთ და მტრობენ ერთმანეთს. შუღლი დაბადა სურვილმა მიითვისონ ერთმანეთის ქონება.

«არ გეყო, რომ მამაჩემს, შენს ძმას, რისხვა მეფისა თავს მოავლინე. მეფის ბრძანებით ჩაჰკალი და ეხლაც უცნობ ადგილს გდია. დედა ზაფრაზე გარდამეცვალა. რაც მოძრავი, თეთრი თუ სამკაული მქონდა, წაიღე. თუ შეგარგებს, შეგარგოს ღმერთმა. ახლა კი იმ სამის სოფლიდანაც მიპირებ განდევნას, რომელიც დამრჩა», _ სწერს ვახტანგი ბიძას.

ლევანი მართლაც ცდილობს საერთო ენა გამონახოს აფხაზეთის მთავრის შვილთან, ოდიშელ პაატა ბატონიშვილთან, რომ საბოლოოდ მოსპოს ძმისწული. ეს შეთანხმება არ გამოვიდა, მაგრამ შემთხვევის წყალობით ვახტანგი მაინც ჩაუვარდა ხელში ლევანს და ბიძამ ძმისწული საზარელი სიკვდილით დასაჯა.

მართალია, იულონი არჩილისა და გაიანეს მალული და არაკანონიერი ურთიერთობის შედეგად გაჩნდა («ჟამთა სიავე»), მაგრამ მამა მამაა და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა ეკლესიის მიერ ნაკურთხი დედაკაცისა და მამაკაცის სიყვარული. მამა-შვილობას ხელი არ შეუშლია არჩილისათვის მოტყუებით მიეგვარა იულონი მåფისათვის დასასჯელად. იულონს ბრალად დასდეს შეთქმულებაში მონაწილეობა და თვალები დასთხარეს. ამ სურათს უყურებდა არჩილი, მაგრამ მისი სული და გული არ შეძრწუნებულა ამით.

ტყისპირელები უზომოდ შეაწუხა ლევანის თავნებობამ და სიმკაცრემ («მრისხანე ბატონი»). მოციქულები გაგზავნეს ოდიშის მთავართან თხოვნით _ შეგვიფარეთ და გვიხსენით ლევანის ბატონობისაგან. ჯერ ეამა და გაუხარდა ეს მთავარს. აპირებდა კიდეც ტყისპირელების მფარველობას, მაგრამ აზრი პაატა ბატონიშვილმა შეაცვლევინა, ურჩია _ რა სარგებელს მოგცემს ცხენისწყლის გაღმა ერთი სოფელი. უკეთესია მოციქულები შევიპყრათ, ლევანს გავუგზავნოთ, როგორც მოღალატენი და ამით მისი ნდობა და მეგობრობა მოვიპოვოთო. საქმისათვის ეს აჯობებსო. მთავარი მაშინვე დაეთანხმა ცბიერსა და ვერაგ პაატას. ტყისპირელთა მოციქულები შეიპყრეს და ლევანს გაუგზავნეს.

როცა ოდიშის მთავრის ბადრაგს დატყვევებული მოციქულები მიჰყავდა, გზაში ვახტანგი და მისი მხლებლები შეეყარათ. ვახტანგი მიხვდა, რაც იყო მომხდარი და უდანაშაულო ტყვეების განთავისუფლება გადაწყვიტა. გაათავისუფლა კიდეც. გადარჩენილები შინ დაბრუნდნენ. ვახტანგიც ისტუმრეს. «ყოფილი ტყვეების დედები, ცოლები მფარველ ანგელოზს უძახდნენ ვახტანგს. ვაჟები მორჩილებას უცხადებდნენ. პატივსაცემლად დიდი ნადიმი გადაიხადეს». ყველაფერი თვალთმაქცობა გამოდგა. როცა პირველმა სიხარულმა გაიარა, კითხვა დაებადათ _ რა ვქნათ ახლა? ლევანი შეიტყობს ჩვენს ღალატს, მისგან განდგომა და ოდიშის მთავართან თავშეფარება რომ გვინდოდა და არ შეგვარჩენს ამას. მდგომარეობიდან გამოსავალი ვახტანგის ღალატში იპოვნეს. სოფლის თავკაცებმა დაასკვნეს _ ვახტანგი დავიჭიროთ, ლევანს მივგვაროთ და მრისხანე ბატონი ორგულობას გვაპატიებსო. ასეც მოიქცნენ. მათი კეთილისმყოფელი და გადამრჩენელი ვახტანგი დაატუსაღეს და სისხლისმსმელ ბიძას მიუყვანეს. სინდისის წინაშე კი თავი იმით იმართლეს, რომ ამ საქციელით სოფელი გადავარჩინეთო დარბევას.

გაიანესა და არჩილის გარდა, არავინ უწყის, რომ იულონი ბუშია («ჟამთა სიავე»). დედა თითქოს უფრთხილდება შვილის ღირსებას, მაგრამ საკმარისია იულონმა აწყენინოს არჩილს, რომ გაიანემ წონასწორობა დაჰკარგოს და ყველაფერი იკადროს.

მოხდა ისე, რომ იულონმა ციხე-სიმაგრეში არ შეუშვა არჩილი. სტუმრად მოსული უკან გააბრუნა. გაიანეს მოთმინების ძაფი გაუწყდა.

«_ როგორ გავჩუმდე?.. იმიტომ ვიტანდი ყოველივეს, ვითმენდი საზიზღარ ლეზვს მამაშენისას, რომ ბოლოს ჩემმიერ ფეხზე დაყენებულ ოჯახში ჩემს საყვარელ არსებას არ გაევლებოდეს?..»

_ გაჩუმდი, ვინმე ყურს მოკრავს.

_ ყურიც მოკრან და თავიც...

_ ნუ მჭრი თავს, ნუ მარცხვენ ქვეყანაში!

_ რა მენაღვლება, თავი მოგეჭრება თუ არა, თუ ჩემი ურგები იქნება სახელიც და პატივიც?..

_ გაკმინდე ხმა თუ არა... _ ვეღარ მოითმინა იულონმა და ქადილით წინ წაიწია.

_ აი, შე ბუშო, შენ! _ მიაქაქანა ქალმა და უეცრათ აღვირს სტაცა ხელი და მთელი ძალ-ღონით გადაჰკრა».

ასეა, ბიძა არ ინდობს ძმისწულს, მამა-შვილს, თავადი _ გლეხს, გლეხი _ თავადს, დედა _ შვილს, შვილი _ დედას. გადარჩენის საშუალებად მხოლოდ ღალატი, გაყიდვა, დასმენა, დაუნდობლობა, ორგულობა მიაჩნიათ.

ამგვარ ატმოსფეროში, ცხადია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მასშტაბით აზროვნება დანაშაულია. დანაშაულია იმიტომ, რომ წინ ეღობება დაკნინებულ ადამიანთა სურვილების განხორციელებას, მათ ციდამტკავლურ გეგმებს.

მოხუცი მწიგნობარი ოტია ერთიან, ძლიერ, განუყოფელ საქართველოზე ოცნებობს («ჟამთა სიავე»). ამ ერთიანობის აზრს უქადაგებს იგი იულონსაც.

«_ აი, რა, შვილო, საქართველო ირგვლივ მტრებითაა გარემოცული... ოსმალო, სპარსი, ლეკი. ახლა სხვებიც ძლიერდებიან. ცალ-ცალკე ქართლი, კახეთი, გურია, ოდიში ვერ გაუძლებს მოზღვავებულ მტერს... ნელ-ნელა გვწეწენ, გვანიავებენ... ხომ უყურებ როგორ თათრთდება საქართველოს საუკეთესო ნაწილი სამცხე, მესხეთი _ სამშობლო პეტრიწისა, ნიადაგი ოპიზისა. მაგრამ თუ ერთად ვიქენით, თუ შინაური შფოთი მოისპო, მეფე თუ გვეყოლა ძლიერი და დიდებულთაგან დამოუკიდებელი, არაფერი გვიჭირს. დრო თამარისა და დავით აღმაშენებლისა ისევ განანათლებს ღვთისმშობლის ხვედრ ქვეყანას. საქართველოს მესამედი ოსმალეთს უპყრია; დიდი ნაწილი სპარსეთმა დაიუფლა; თავისუფალი ჩვენი პატარა იმერეთი-ღა დარჩა... და ჩვენ უნდა გადავუხადოთ წინათ ჩვენზე გაწეული ამაგი საქართველოს დანარჩენ კუთხეებს...

_ და მერე ვინ უნდა გააერთიანოს?

_ მე, შენ, ყველა ჩვენგანმა...»

მოხუცის სიტყვებით შთაგონებული იულონი იწყებს ფიქრს და მოქმედებას დიდი მიზნის განსახორციელებლად. მაგრამ იულონს მსტოვარნი და ქვეგამხედვარნი მეფესთან, «იმერეთის მასხარა მეფესთან», როგორც მას მწიგნობარი ოტია უწოდებს, დაასმენენ. მერე მოტყუებით შეიპყრობენ და თვალებს ამოსწვავენ, თუმცა არავინ იცის დანამდვილებით დამნაშავეა თუ არა იულონი.

«რას ერჩით, კაცო, ვინაა მოწმე, რომ მართლა დამნაშავეა... იქნებ უდანაშაულოა... კაცის ცოდვაში ნუ ჩავიდგამთ ფეხს... _ მკრთალად გაისმა აქა-იქ. ხმა იგი საერთო სურვილის წინააღმდეგი _ ქრებოდა ღრიანცელში...»

რა საჭიროა საქმის გამოძიება, გამოკვლევა, როცა უბრალო სურვილიც კი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერებისა დანაშაულია, რადგან ემუქრება იმერეთის მეფის, წერეთლების, აბაშიძეების, აგიაშვილების და სხვა ბობოლა თავადების პირად კეთილდღეობას. ემუქრება მათ თავაშვებულ პარპაშს, თავნებობას, თავხედობას, თაâგასულობას. ამღვრეულ წყალში ისინი თევზს თავისუფლად და იოლად იჭერენ. მტერია ყველა, ვინც წყლის დაწმენდას, ქვეყნის დაწყნარებას, კანონ-სამართალს მოითხოვს და უნდა განადგურდეს. ჯერ ძალა მათ ხელშია და ამიტომ დრო არ უნდა დაჰკარგონ. უნდა მოსპონ ყველა, ვინც საეჭვოა და მაშინ დამშვიდდებიან. ისინი დაამხობენ იულონს. მწიგნობარ ოტიას მოკვლაც სურდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ჭკვიანი მოხუცი შინიდან გაიპარა და ტყეს შეაფარა თავი. მეფის ჩაფრები პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ. როცა ოტია გაექცათ, ყველა დროისა და ყოველი ჯურის ავაზაკის დემოგრაფიული ლოგიკა მოიშველიეს _ «რათ უნდა გაპარულიყო, თუ დამნაშავეთ არ გრძნობდა თავს?» ასე, ჯალათებს გული ეთუთქებათ, როცა ვინმე ჭკუით აჯობებს და მიამიტობით ამართლებენ საკუთარ ქვებუდანობას.

რა თქმა უნდა, სევდის აღმძვრელია ყოფა, რომელიც ქვეყნის მთლიანობაზე, ერთიანობაზე, სიძლიერეზე მზრუნველს მიიჩნევს შეთქმულად და მოღალატედ,

ხოლო მის მოსამართლედ და გამსჯელად დასვამს უნიათო, უგუნურ, ღვარძლითა და ვერაგობით სავსე ადამიანებს. როცა ამგვარი ატმოსფერო გაბატონდება, კეთილშობილება ადამიანის ზნეობის შინაარსი კი არ არის, არამედ _ ნიღაბი, რომელიც მალავს მზაკვრულსა და ცბიერ საქციელს.

დაპატიმრებული იულონი რომ ქუთაისში ჩამოიყვანეს, მას მეფე შეხვდა («ჟამა სიავე»). იგი მიეგება ქვეშევრდომს და მიუსამძიმრა: «თქვენი ღრმად პატივცემული დედის გარდაცვალებამ დიდად დამაღონა. განსვენებული ჩვენი ქვეყნის მშვენება იყო, როგორც ძველი ქართველი ქალი, ოჯახის პატრონი და ოჯახისთვის მზრუნავი. საუკუნოთ იყოს ხსენება მისი და განისვენოს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ; თქვენ კი იობის მოთმინება მოგცესთ ღმერთმა, რომ გადაიტანოთ ასეთი დედის დაკარგვა...»

ამ სამძიმარმა იულონი ცრუ იმედით გაამხნევა. იფიქრა, ასეთი შეხვედრის შემდეგ მეფის სასჯელი მეტისმეტად მკაცრი იქნებაო. ყალბი გამოდგა იულონის ვარაუდი. ამ ცბიერებით და ვერაგობით სავსე სიტყვების შემდეგ, დიდ დროს არ გაუვლია, რომ იულონი, მეფის თანხმობით, თვალების დათხრით დასაჯეს. კეთილშობილება ნიღაბი აღმოჩნდა, მომარჯვებული ნამდვილი მზაკვრული განზრახვის დასამალავად.

აფხაზთა ლაშქრიდან ვიღაც მხედარი გამოვიდა და იმერლები ორთაბრძოლაში გაიწვია («რაინდები»). გავიდა ავალიანი, უცნობმა მაშინვე ჩამოაგდო ცხენიდან. გავიდა აბაშიძე, ისიც თვალის დახამხამებაში განგმირა უცნობმა. «ე, რავა უცადო, სანამ ყველას გაწყვეტს!» _ გაბრაზდა არჩილი და უცნობთან საბრძოლველად გაემართა. მაგრამ აქ უცნაური ამბავი მოხდა.

«უცნობი არჩილის დანახვაზე ცხენიდან გადახტა და საყელოს ღილი გაიხსნა.

_ ვინა ხარ? _ დაეკითხა უცნობს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბატონიშვილი.

_ ალანელი, თქვენი ძიძიშვილი.

_ მოდი აქ.

ალანელი ეახლა. არჩილი ცხენიდან გადმოიხარა _ და ალანელმა გულზე აკოცა, არჩილმა _ თავზე».

ძიძიშვილობის კეთილშობილ ტრადიციას იცავენ. მაგრამ ამას უკვე ფასი აღარ აქვს. ძმათა მკვლელი ომი იმერლებს, მეგრელებს და აფხაზებს შორის დასაშვებად და მისაღებად მიაჩნიათ. ამგვარ შეგნების ადამიანისათვის რაღა მნიშვნელობა აქვს ძუძუმეტობის ტრადიციას? არაფერი, ოღონდ მექანიკურად ასრულებენ ერთხელ შთაგონებულს. მისი აზრი და ღირებულება კი გაუგებარია.

ბრძოლის დროს იმერეთის მეფე და აფხაზეთის მთავრის შვილი ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ აფხაზმა ხმალი არ მოუქნია იმერელს («რაინდები»). რატომ? მოისმინეთ აფხაზეთის მთავრის შვილის პასუხი: «მირონცხებული მეფე ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც უმაღლესი. პირველად მას უნდა ენებებია ხმლის მოქნევა». არც მეფეს შემოუკრავს მოწინააღმდეგისათვის მახვილი. ეს რატომღა მოხდა? ახლა მეფის პასუხს დაუგდეთ ყური: «როგორც კი პირველად შევხედე, გავიფიქრე: ასეთი ვაჟკაცის გაფუჭებას ღმერთი არ შეუნდობს კაცს-თქო და ჩაუარე გვერდი...»

თითოეული მათგანის საქციელი შეიძლება კეთილშობილების სახელმძღვანელოში შეიტანოთ სანიმუშოდ. მაგრამ ერთი კითხვა მაინც აწვალებს მკითხველს: თუ ასეთ პატივს სცემენ ერთმანეთს, რაღად ომობენ, რაღად ღვრიან უმიზნოდ უდანაშაულო ადამიანების სისხლს? რაღად აჩანაგებენ და აქცევენ საკუთარ მიწა-წყალს, სახლ-კარსა და მამულს? ამას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს _ უგუნურობის გამო. როცა დაკარგულია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანი და იდეალი, როცა ერს აღარ აქვს ისტორიული მისიის შეგნება, მაშინ, როგორც მთელი ხალხის, ისე მისი საუკეთესო შვილების ენერგია, უნარი, ნიჭი, ფუჭად იხარჯება. უფრო ბოროტების სამსახურში დგება, ვიდრე კეთილის. ამგვარი უაზრობისა და ბოროტების მონაწილენი არიან «რაინდების» პერსონაჟებიც და ამიტომ მათ კეთილშობილებას ღირებულება არ აქვს. იგი უმიზნო ქმედების ნიღაბია და ამ ადამიანთა სულიერ გამოფიტულობას მეტყველებს.

თავზარდამცემი, მწარე ირონიით იმსჭვალებით, როცა კითხულობთ, როგორ სხედან დილიდან მტრები საღამოთი ნადიმზე და ერთმანეთს ამკობენ და ადიდებენ.

«როცა არჩილის სადღეგრძელოს სვამდა, აფხაზეთის მთავრის შვილმა ხოტბასა და ქებას ღიმილით დაუმატა:

_ შემარცხვინე, ბატონიშვილო არჩილ, ტყვედ ქმნილს, დღეს უარარაოს ისეთი საჩუქარი მიბოძე, რო ვერ გადაგიხდი.

_ თქვენ ბრძანეთ, ბატონიშვილო, და გადამხდელი მე ვიყო...

. . ....

_ ვაკოცოთ ერთმანეთს!. სთქვა არჩილმა და ფეხზე წამოიწია, მაგრამ სანამ მთლად ადგებოდა, მის წინ გაჩნდა ახალგაზრდა აფხაზი და უპირებდა გულზე კოცნას; არჩილი არ დანებდა, ერთმანეთს ლოყები დაუკოცნეს».

როგორც ვხედავთ, არაფერი ჰქონიათ გასაყოფი. პირიქით, ერთმანეთი ჰყვარებიათ. მაგრამ ამას მაშინ მიხვდნენ, როცა ვნება დაცხრა, ენერგია დაიხარჯა და გონება გამოფხიზლდა. მანამდე კი უმიზნო და უაზრო სისხლი ღვარეს. ასე რომ არ მოხდეს, მათ საერთო მიზანსა და იდეალს უნდა მიაგნონ, უნდა მიხვდნენ, სად არის მტერი და სად _ მოყვარე. ენერგია, მამაცობა და ნიჭი ტყუილად კი არ უნდა ფლანგონ, არამედ საერთო იდეალის სამსახურში დახარჯონ. ამის გაუგებრობა და შეუგნებლობა აწუხებს ნიკო ლორთქიფანიძეს. ამით არის გამოწვეული სევდა, რომელსაც მოთხრობის ყოველ სტრიქონში გრძნობთ. ამას აღნიშნავს და მიანიშნებს ის სტრიქონებიც, რომელიც ეპიგრაფად აქვს წამძღვანებული «რაინდებს».

«ვისაც გამოუცდია დიდი ავადმყოფობა, ახსოვს ბოდვა, ტკივილების დროს ჩანგი თუ არა, ზღაპარი მაინც მოუსმენია, _ იგი გაიგებს ჩემს სულის კვეთებას და სასიამოდ დარჩება არეული ისტორიის, დავიწყებული ზეპირგადმოცემების და დაღლილი ოცნების ხლართი, მწარე ღამეებში ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტად შეკონილი».

ახლა ამ სტატიის დასაწყისში დასმულ კითხვას თუ მივუბრუნდები, უნდა დავასკვნა, რომ ნიკო ლორთქიფანიძეს ამ მოთხრობებში გადმოცემული აქვს საქართველოს ისტორიის იმ პერიოდის სული, როცა დაიკარგა კავკასიის ხალხთა ძმობის იდეა, ქართველი ხალხის მთლიანობისა და საქართველოს ისტორიული მისიის შეგნება. ამის შედეგად ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება გაღატაკ-

და და იგი გვაროვნულს, ოჯახურს, პირადულს ვეღარ გასცდა, მასში ჩაიკეტა. აქედან დაიბადა ყველა ზნეობრივი მანკიერებაც. ამის შედეგად მივიღეთ ეროვნული ყოფის სურათი, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძის მიერ ასეა აღწერილი:

«ვინც კი მოდის ჩვენში უცხოელი, ფარჩა და აბრეშუმი აცვია, ვერცხლსა და ოქროში არის ჩამჯდარი, ფული აქვს და საქონელი... ჩვენ კი გაძვალტყავებული, განაწამები ველით სიკვდილის დღეს... სხვაგან თურმე ცხოველსაც არ სტოვებენ უაქიმოთ, უწამლოთ, ჩვენში კი დბდებულნი ვერ ღირსებიან ქინაქინას. მეფისათვის ვერ აგვიშენებია ხეირიანი სასახლე და იქ თურმე უბრალო მოქალაქეთაც კი ორ-სამ სართულიანი სახლები აქვთ.

წერა და კითხვა არ ვიცით, ღმერთს ვერ შევვედრებივართ წესიერად!.. სხვაგან მდაბიონიც მეცნიერები ხდებიან, ჩვენში დიდებულები ხელის მოწერის მაგიერ საბუთზე ჯვარს ძლივს სვამენ...

სწავლა გვაკლია, ერთობა და მშვიდობიანი ცხოვრება; ესაა ჩვენი უბედურება... ქალაქში ნახშირი ვერ წაუღია კაცს, რომ გზაზე ორი მორჩილისათვის კაცი არ გაუკოჭონ სააღდგომო გოჭივით» («ჟამთა სიავე»).

ამ მდგომარეობიდან თავდახსნა შეიძლება უკვე მომხდარის გაცნობიერებით, მისი დარღვევა-დაშლით და ახლის აღორძინებით. ნიკო ლორთქიფანიძის აზრით, ახალი აღორძინდება მაშინ, როცა მოხდება ცოდვის მონანიება, ანუ ყოველი კაცი შეიცნობს საკუთარ დანაშაულს და გამოისყიდის მას.

როგორც მკითხველს ახსოვს, ისეთი მხეციც კი, როგორიც ლევანია («მრისხანე ბატონი»), ჩაწვდება თავის დანაშაულს და ბერად აღიკვეცება. «დაყუდებული ბერი ყველას მორჩილებით, მორიდებით ეპყრობოდა. ჩიტები თამამïდ ჯდებოდნენ მის თავზე და ნისკარტს იწმენდნენ თმაზე. შველი წყალზე ჩამოსული ხელიდან ართმევდა ჭადის ნატეხს. მოხუცი კი ლოცულობდა ხატის წინ. განუწყვეტლივ კითხულობდა სახარებას; უფალს შენდობას ევედრებოდა ბალახის გადათელვისათვის, მზის სხივის შეურაცხყოფისათვის, ორიოდე ლუკმისათვის, რომელსაც შორი ახლოს უტოვებდნენ მცხოვრებნი».

ასევე დღედაღამ ცოდვის გამოსყიდვაზე ფიქრობს იულონიც («ჟამთა სიავე»), რომელსაც დედა შემოაკვდა. მან იცის, რომ ამ დანაშაულს ხალხი არ აპატიებს. ამიტომ უნდა მონახოს გზა, რომელიც დაეხმარება მონანიებაში და შეამსუბუქებს სასჯელს.

მაგრამ ცოდვის მონანიება ორგვარია _ პასიური და აქტიური. ლევანი პასიურად ინანიებს ცოდვას. იგი განდეგილობით ცდილობს დაადგეს კეთილის გზას. იულონი კი აქტიური საქმიანობის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლის გზით აპირებს ჩადენილი დანაშაულის მონანიებას. «...თავს დავდებ მთელი საქართველოსათვის და მხოლოდ შემდეგ წავალ მონასტერში». იულონი იწყებს საქმიანობას საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნისათვის. თუ მოხერხდება საქართველოს გაერთიანება, ეროვნული მთლიანობა აღდგება, «მაშინ დაიბადება მეორე შოთა და აშენდება გელათი და სვეტიცხოველი». მოხდება არა მარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული აღორძინებაც. ამისათვის თავის გადადება მადლია, რომელიც წარხოცავს ცოდვას.

ასეთი აქტიური მონანიების მომხრეა ნიკო ლორთქიფანიძე. იგი ქვეყნისა და ხალხის სამსახურს გულისხმობს და იმიტომ. აქ ღვიდება ოპტიმიზმისა და ისტორიული

პერსპექტივის ნაპერწკალი. მაგრამ ნაპერწკალი ცეცხლად მაშინ აგიზგიზდება, როცა ერი არსებულს გააცნობიერებს და მკაფიოდ ჩამოაყალიბებს თავის ისტორიულ ვალსა და მისიას კაცობრიობის წინაშე: აქტიურად იბრძოლებს მის განსახორციელებლად; წარსული ისტორიაც სევდის აღმძვრელი კი აღარ იქნება, არამედ _ შემოქმედებითი ენერგიისა.

სიმშვიდით უხმო

ეკლესიის გალავანთან დუქანი დგას. მის წინ მამაკაცები სხედან. მუსაიფობენ. ლაპარაკობენ ცისას, ბარისას...

«შენ უნდა თქვა, როკფელია ყოფილა ამერიკაში, ვინცხა, ყოველ წამში _ ფუუ! _ მოლაპარაკემ სული შეუბერა, _ აი ამდენ ხანში, ერთ მუჭა ოქროს ღებულობს თურმე».

თვალებდაჭყლეტილნი უსმენდნენ მთხîობელს. ვერ გაურკვევიათ, რად სჭირდება ერთ კაცს ამდენი ფული.

«_ მასწავლებელმა მითხრა, იმისთანა მანქანა მოიგონეს, სამოც კაცს ჰაერში აიყვანენ და ააფრენენო!..» _ გაკვირვების ცეცხლზე ნავთს ასხამს მეორე. აურაცხელ ფულზე მეტად, კაცის გაფრენა აოცებთ.

«_ უწინ გვიკვირდა, ანგელოზი და ღმერთი დაფრინავსო... თითო-თითო, და ახლა-კი, ვინცხა ნემეცია, თუ ფრანცუზი, ეიყვანს შენს დათია კოპტაშვილს, პატიოსან აზნაურიშვილს, და ატრიალებს, ქორი რომ წიწილას ეიყვანს ისე, ჰაერში... მოდი და, ნუ სცემ იმას თაყვანს!..»

მერე საუბარი თუთუნს გადასწვდა. ქალაქური თუთუნი შეაქეს. იწყინა მედუქნემ _ ჩემსას რას უწუნებთო?! გამოართვეს ერთი პარკი თუთუნი. დაათვალიერეს. ინატრეს _ კარგი იქნება გაბოლება, პირის ჩატკბარუნებაო. მედუქნემ წააქეზა _ **«იყიდეთ მერე, რავა წახდით ასე ორი აზნაურიშვილი?!»** _ მოიჩხრიკეს ჯიბეები. ერთს რვა კაპიკა აღმოაჩნდა, მეორეს _ შვიდი. შეერთებული თანხით თუთუნი იყიდეს. პარკის გასაჭრელი დანა აიღეს. ვითომ, ხუმრობით, დავაც გამართეს _ ორი წილი ნუ მიგაქვს, შუაზე გავიყოთო! კინკლაობაში ერთმა თითი გაიჭრა. იქვე უწამლეს სახელდახელოდ, ქილიკობდნენ, მაგრამ მაინც გული უსკდებოდათ! მედავითნემ უკბილო ხუმრობით დაამშვიდა ისინი _ **«ნუ გეშინიათ, სულ ერთია, ყველა აქ უნდა დაგმარხოთ, ამ სასაფლაოზე!..»** ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ნაირ-ნაირ რჩევას აძლევდნენ დაზარალებულს. ქოთქოთის მერე დაიშალნენ და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, ოღონდ თითგაჭრილს სოფელმა «თუთუნის მსხვერპლი» შეარქვა.

სულ ეს გახლავთ ნიკო ლორთქიფანიძის ერთი იუმორისტული მინიატურის შინაარსი. დაწვრილებით საგანგებოდ გიამბეთ იგი. როგორც ხედავთ, ყოფის უბრალო სურათია დახატული, ერთი პაწია შემთხვევაა აღწერილი. შეიძლება, მკითხველმა ისიც კი იფიქროს _ ღირდა კი მწერალს ამისათვის თავი შეეწუხებინა? მაგრამ ნაამბობის აზრი ძირეულად იცვლება, როგორც კი მინიატურის სათაურს წაიკითხავთ

_ «ფეოდალები». მძაფრი ირონია თვალში გეცემათ. ვინ არის ფეოდალი? _ ის, ვისაც სამშაურიანი თუთუნის ყიდვა არ შეუძლია? როგორ დაკნინებულან, დაქვეითებულან! ძველი სიზვიადის, ძლიერების ნიშანწყალიც აღარ შერჩენიათ! იკვეთება პრობლემა _ დავით კლდიაშვილის მიერ შემოტანილი ქართულ მწერლობაში _ გამდაბიოებული აზნაური _ გააზნაურებული მდაბიოს (გაიხსენეთ, თუნდაც, მოლიერი) საპირისპირო საკითხია. სოციალური სინამდვილის ცვლა, ბურჟუაზიის ბატონობის დამკვიდრება იწვევდა პროცესს, რომლის ერთ მხარეს გააზნაურებული მდაბიო იდგა, ხოლო მეორე მხარეს _ გამდაბიოებული აზნაური. ერთიცა და მეორეც სიცილის საგანი იყო, თუმცა განხვავებაც არსებობდა: გააზნაურებული მდაბიოსადმი დამოკიდებულება მძაფრად უარყოფითია, სატირული; გამდაბიოებული აზნაურისადმი კი _ თანაგრძნობის, თანალმობის შემცველი.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურაც თანაგრძნობის ღიმილით არის სავსე, მაგრამ მწერალი ამით არ კმაყოფილდება. ეს რომ ეკმარა, იგი გაიმეორებდა ძველ თემას ძველი განწყობილებით. ნ. ლორთქიფანიძე უფრო ღრმად იხედება ადამიანთა ბედში. მინიატურა მთავრდება სიტყვებით:

«ვერც მედავითნემ აასრულა დაპირება _ მას არ მოუვლია მიცვალებულთათვის, _ რადგან არც ერთს არ ღირსებია სამარე ეკლესიის გალავანში, საკუთარ სასïფლაოზე, ნაკურთხ მიწაში».

ამგვარ დასასრულს არ მოელით. რაშია საქმე, არ მოხდა? თუ ერთმა სოციალურმა ცვლილებამ ისინი გააღატაკა, მეორემ დასაჯა. კლასობრივი თანასწორობის დასამყარებლად გაანადგურა ისინი, ვისაც სამი შაურიც არ ჰქონდა თუთუნის საყიდლად, მაგრამ ბედის დაცინვით, სოციალურ იერარქიაში ფეოდალებად იწოდებოდნენ.

ნ. ლორთქიფანიძის ირონია გამანადგურებელია ისტორიის უსამართლობის მიმართ. მკითხველისათვის გასაგები ხდება, რომ ანეკდოტურია არა მწერლის აღწერილი შემთხვევა, არამედ ისტორიის განაჩენი. საუბედუროდ, ისტორიის ხუმრობა ყოველთვის სისხლიანია. სხვათა შორის, ამას ხელს უწყობს სიცრუეც, რომელსაც, ნებით თუ უნებლიეთ, ხშირად ავრცელებს მწერლობა და ხელოვნება. მწარედ ამბობს ნ. ლორთქიფანიძე: **«ბატონყმობის დროს, ცნობილია, _ როგორც დაგვიმტკიცა სახელმწიფო კინო-მრეწველობამ და ზ. ჭიჭინაძემ, _ ბატონები დილით ჭამდნენ ფარშეს, შუა დღეზე უღელში აბამდნენ შინაყმას და ღამე კი აუპატიურებდნენ მოახლეებს, ზოგჯერ თავის საკუთარ ქალებს და უფრო ხშირად კი ყმების ცოლებს და ქალიშვილებს» («თაგვის წერილი»).**

ნ. ლორთქიფანიძის ღიმილი თუ ირონია ყოველთვის ტრაგიკულ ქვეტექსტს შეიცავს.

თერთმეტი წლის ვიყავი, პირველად საქართველოს სახელი რომ გავიგონეო, _ ყვება «ოდელია, დელიას!» პერსონაჟი, უკვე ხანდაზმული კაცი. ყველაფერი სცოდნია მას _ იმერელიც, კახელიც, მეგრელიც, მაგრამ არასოდეს გაეგონა ცნება _ საქართველო. ახლა აღარ იკითხავთ, როგორ მოისმინა მან პირველად ეს სიტყვა? მისი ბიძაშვილი ხუტუნია, სამტრედიაში ყოფილა მეუნაგრესთან შეგირდად გაბარებული. ერთხელ სოფელში დაბრუნებულა იგი, თან სამტრედიიდან სიმღერა ჩამოუტანია _ **«ოდელია, დელია, საქართველო ჩვენია!»**

მთელი დღე ღიღინებდა თურმე იგი ამ ჰანგს. მინიატურის პროტაგონისტი დასძენს _ ძალიან მომეწონა სიმღერა, ბიძაშვილს შევეხვეწე, მასწავლე-მეთქი! უანგაროდ არ უქნია ხუტუნიას ეს საქმე. გასამრჯელოდ ჯაყვა გამოურთმევია ნათესავისათვის. გახარებული გაქცეულა ბიჭი შინ. თითქოს გულმა უგრძნო, დედას ჯაყვა მოუკითხავს _ «რა უყავიო?! ბიჭი დაბნეულა. დედას ხელი უტაცნია გასალახავად, მაგრამ ბაბუა გამოსარჩლებია ყმაწვილს _ მამაშვილობას, არ გალახო!.. მაგას კაი სიმღერა უსწავლია და აპატიეო» _ გადარჩენილა ბიჭი გატყეპვას.

ბაბუას, რომელსაც სოლომონ პირველი ახსოვდა, დიდხანს ულაპარაკია, რა იყო საქართველო. ბიჭს ამ საუბრიდან ვერაფერი გაუგია, მაგრამ ის კი დაუხსომებია, რომ ქართველია და მის სამშობლოს საქართველო ჰქვია.

ამ მინიატურის ქვეტექსტი ისე გუგუნებს დედოზარივით, როგორც «იყიდება საქართველოს» მოთქმა. თუმცა, ამბის თვალსაზრისით, მწერალი აქაც ანეკდოტურ შემთხვევას ყვება.

ტრაგიკულს და კომიკურს ერთი და იგივე საფუძველი აქვს.

«თავსაფრიანი დედაკაცი»: ქვრივობაში გაზარდა ქალმა შვილები. დააოჯახა, დააბინავა, გზა გაუკაფა ცხოვრების ასპარეზზე. მოხუცდა ქალი. შვილებს აღარ სურთ მისი მოვლა-პატრონობა, რჩენა. როცა შეატყო, შვილებისათვისაც ზედმეტი ბარგი გავხდიო, ქალმა თავი მოიკლა. ნოველა მთავრდება სიტყვებით: **«ყველაზე უფრო განათლებული და თან ყველაზე უფრო ტუტუცი შვილი ზოგჯერ ბრძნულად შენიშნავს: მოხუცებისგან ზოგიერთს გამოელევა მოსაზრების უნარი და მოქმედებს შეუგნებლად, მაგალითად, გაჰყვება გზას და მიდის და მიდის... ამას ჩვენში «მხარის შეცვლას» უძახიან, მეცნიერებმა კი «მანიაკალური» მდგომარეობა უწოდეს.**

«ჯან-ტიკო და ჯან ბაწარა»: ერთგულად ემსახურება ცხენი პატრონს. ავდარსა თუ დარში, გზაზე თუ უგზოობაში მუხლჩაუხრელად ეწევა იგი ჭაპანს. ერთხელ საშინელ კლდე-ღრეში გამოატარა ცხენმა ტვირთი. პატრონი საპალნეს მივარდა და გახარებულმა დაიძახა: «ჯან ტიკო, ჯან ბაწარა!» ცხენს კი არც ალერსით გადაუსვა ხელი და არც მადლიერების სიტყვა უთხრა. საღამოს გულდაწყვეტილი ცხენი თავლაში უყვება ცხოველებს პატრონის უმადურობას. მერე მან ყველას ზურგი შეაქცია და დაწვა. იგი იშვიათად წვებოდა, მაგრამ ახლა ამით ყველას მიმართ ზიზღი გამოხატა. არც დილით ამდგარა, არც უჭამია. პატრონი ვერაფერს მიხვდა. გაოცებული უტრიალებდა პირუტყვს ირგვლივ. მერე შვილმა ურჩია, სასაქმებელი დავალევინოთო.

მინიატურა მთავრდება სიტყვებით: **«ვერც მამა და ვერც შვილი _ ორი ჩალვადარი _ ვერ მიხვდა, რომ ცხენის სენს ჰქვიოდა «დაუფასებლობის მელანქოლია» და ამ სენს სასაქმებელი ვერ შველის».**

დაუფასებლობის მელანქოლიის გამო იკლავს თავს თავსაფრიანი დედაკაცი. შვილების უმადურებაა მისი ტრაგიკული დასასრულის მიზეზი. მაგრამ ამ ნოველაში ადამიანია მსხვერპლი და მას ტრაგიკულად განვიცდით. «ჯან ტიკო და ჯან ბაწარაში» კი უმადურობისა და დაუფასებლობის ზვარაკი ცხენია. ეს ირონიულ ელფერს აძლევს მინიატურას. დაუფასებლობის მელანქოლია და პირუტყვი ადამიანის ცნობიერებისათვის იმდენად შეუთავსებელი კატეგორიებია, რომ მათი ერთ კონტექსტში მოხსენიება სიცილის გუნებაზე გაყენებს. როგორც კი მინიატურის ქვეტექსტს ჩავწვდებით, მხიარული განწყობილება მაშინვე ქრება და სევდა გვეუფლება.

ნ. ლორთქიფანიძის ტრაგიზმში ყოველთვის დევს ირონიულობა და ირონიაში _ ტრაგიკულობა. ეს მისი მწერლური თვალსაზრისის ძირითადი ნიშან-თვისებაა. მინიატურაში _ **«უკვდავება»** _ ადამიანი ღმერთს მიმართავს:

«_ დიახ, მეცოდები: შენ ყველაფერს ჰხედავ და მეცოდები! შენ უკვდავი ხარ და მეცოდები! რაც უნდა მოგაბეზროს თავი საგანმა, მაინც შეხედავ, რაც უნდა გეზიზღებოდეს, თვალს ვერ მოაშორებ! _ მეცოდები! ეს კიდევ არაფერი. უდიდესი ჩემი უბედურება ვერ შეედრება შენს აუტანელს მდგომარეობას: რაც უნდა შეგძულდეს, შეგზიზღდეს თავი, რაც უნდა ისურვო გაჰქრე, მოისპო, _ არ შეგიძლია! შენ უკვდავი ხარ! მეცოდები, უფალო! ჩემს უმწვერვალეს ტანჯვაშიაც კი შენი ბედი მანუგეშებს _ შენ ჩემზე უბედური ხარ! ჭეშმარიტად, უფალო, მეცოდები! რომ შეიძლებოდეს, მაინც არ გაგიცვლიდი ბედს!»

ასეთია ადამიანი _ უძლური და ქედმაღალი. ადამიანის უძლურების შეგნება ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ბადებს ტრაგიკულ განწყობილებას, ქედმაღლობის შეცნობა კი _ ირონიას. ამიტომ არის შერწყმული მწერალთან ტრაგიკულობა და ირონიულობა.

ჩემი დაკვირვებით, ქართულ მწერლობაში სიცილს სამი მიმართულება აქვს: პირველი _ ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის, მეორე _ დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის, მესამე _ ნოდარ დუმბაძისა.

როცა ილია და მიხეილ ჯავახიშვილი ხარხარებდნენ, გაწნული სილის ტკაცუნი ისმის. მამხილებელი ძალა სირცხვილით გწვავს და გდაღავს.

როცა დ. კლდიაშვილი და ნ. ლორთქიფანიძე იღიმებიან, სევდა გეუფლებათ და ადამიანის მიმართ თანალმობის სურვილი გიჩნდებათ.

როცა ნ. დუმბაძე იცინის, მხიარულების ძალით ივსები. სიცილი გაჭირვების დამთრგუნველი იარაღია.

რომელი მიმართულება გამოხატავს უფრო სრულად ქართველი კაცის ბუნებას? ალბათ, სამივე ერთად. თუმცა ის კი უნდა აღინიშნოს, რომ დ. კლდიაშვილს და ნ. ლორთქიფანიძის მიმართულებას ჯერჯერობით მეტი გამგრძელებელი ჰყავს _ ს. კლდიაშვილი, რ. ჭეიშვილი, გ. დოჩანაშვილი და სხვანი. მათ თხზულებებში არის ღიმილი ანუ სიცილი «სიმშვიდით უხმო ბაგეთა ოდენ შეეტყობოდეს».

1981 წ.

ტრაგიკული ოპტიმიზმი

ერთხელ ფსიქოლოგ ვლადიმერ ნორაკიძეს ლევან გოთუასათვის სუფთა, დაუწერელი ქაღალდი მიუცია და უთხოვნია _ მეყსეულად, წინასწარ მოუფიქრებლად აღეწერა სურათი, რომელსაც თეთრი ფურცლის ყურებისას ხედავდა. ლევანს ასეთი პასუხი გაუცია: ვხედავ კავკასიონს. ერთ ადგილას ჯაჭვი ჰკიდია. ქარი უბერავს და ჯაჭვი ჟღრიალებს. ქვევით ჩანჩქერია. ქარი აფრიალებს შხეფების ნაკადს, როგორც ღრმა მხცოვანის წვერს და მესმის მისი ჩურჩული.

დაფიქრება არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომ ლევან გოთუას თვალწინ მაშინვე ილიას «განდეგილისა» და «აჩრდილის» სურათები დამდგარა. «მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა».

ფსიქოანალიტიკოსები ამბობენ თურმე _ ასეთი ექსპერიმენტები იმით არისო საინტერესო, რომ ავლენს პიროვნების ყველაზე ინტიმურ, ხშირად ფარულ, არაცნობიერ მისწრაფებებს. როგორც ჩანს, ეს მართალია, რამეთუ ლევან გოთუას ცნობიერადაც და არაცნობიერადაც თვალწინ საქართველო, მისი ბედი, წარსული და აწმყო ედგა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. იგი პართენ გოთუას ოჯახში იყო დაბადებული.

პართენ გოთუას მთელი წიგნიერი საქართველო იცნობს. იგი იყო საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი, მასწავლებელი, ეკონომისტი, გამომცემელი_რედაქტორი.

პართენ გოთუას ოჯახი მამულიშვილობის მაღალი სულით სუნთქავდა.

«ბავშვობაში ხშირად შევპარულვარ მამაჩემის სამუშაო ოთახში. ჩემი საოცნებო სამყარო იქ იწყებოდა. წიგნების სიმრავლე მაოცებდა. განსაკუთრებით კი ერთი წიგნი მიზიდავდა. მაგიდის მარჯვენა კუთხეში იდო. გარეკანზე სურათი ეხატა _ მცირე ტახტზე ულვაშაწკვერტილი კაცი ფეხმორთხმით იჯდა. მარჯვენა ხელში მოზიდული კალამი ეპყრა, მარცხენაში კი _ ხმალი. მუხლებზე რვეული ჰქონდა გადაშლილი.

მისი სახელი პირველად ასო-ასო, ისიც უკუღმა წავიკითხე: «იტშუხავ...» («ხვამლის ციხე-ქვაბული»).

ვახუშტი ბატონიშვილი ლევან გოთუას თანამგზავრი იყო მთელი ცხოვრების მანძილზე.

ლევან გოთუას მოთხრობებისა და რომანების კითხვის დროს ადამიანს თვალწინ ეშლება საქართველოს ისტორიის ტრაგიკული სურათები. მწერალი წარსულს ცხადად აცოცხლებს, სულიერად და ხორციელად შეუდრეკელი ადამიანის ცხოვრებით გვატკბობს, გუშინდელი დღევანდელობის ნაწილი ხდება და შორეული წარსული გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ და ვიშრომოთ დღეს.

ქართველ ხალხს მოწამებრივი ცხოვრების გზა გაუვლია. დიდი მსხვერპლის წყალობით შეუნარჩუნებია არსებობა. სისხლსა და უბედურებას მისთვის ცხოვრების ხალისი არ წაურთმევია, შემოქმედებითი ენერგია არ მოუდუნებია, გართობისა და მხიარულების გუნება არ გაუფუჭებია. «საკვირველი ხალხია გურჯები: მუშაობენ _ მღერიან, იბრძვიან _ მღერიან, ქორწილი აქვთ _ მღერიან, კვდებიან და მაინც მღერიან! ან დიდი ჭკუისაგან სჭირთ, ან დიდი უჭკობისაგან!» _ ეუბნება გაოცებული ისკანდერ-თურქი ნოსტელ გლეხს გორგასალ ნასყიდაშვილს («უგზო ქარავანი»). ეს იმიტომ, რომ ტრაგიკულში ყოველთვის არის ოპტიმიზმი. ქართველი ხალხის სულიერი თვისება კი სწორედ ტრაგიკული ოპტიმიზმია. ეს აძლევს მას ძალ-ღონეს ისტორიის გრძელ დახლართულ ლიბირინთში გაევლო და ყოველგვარი ჭირვარამისათვის გაეძლო. ჩვენი ერის ეს თვისება კარგად შეუმჩნევია ლევან გოთუას. მისი ისტორიული ნაწარმოებები ყოველთვის ტრაგიკულ ამბებს გადმოგვცემს, მაგრამ მკითხველის გული საოცარი სიამაყით და ვაჟკაცობით ივსება. ბუნებრივიც არის. ტრაგედია მაღალი მორალური კათარზისის წყაროა.

ლევან გოთუას პერსონაჟებს ფანატიკურად უყვართ საქართველო. ჭაბუკ ერეკლე ბატონიშვილს სიცოცხლისა და სიყვარულის დათმობაც კი არ უჭირს, ოღონდ ქვეყნისა და მამულის მოღალატე არ გახდეს («გმირთა ვარამი»). იგი თურქეთის ხონთქარის საკანში მშვიდად იკლავს თავს. არასგზით არ ეთანხმება იკისროს სამშობლოსა და ტახტის ორგულობა.

უკვე მიხრწნილობაში გადასული მარიამ დედოფალი ვაჟკაცურად იტანს შიმშილს, წყურვილს, ტყვეობას, ოღონდ ქალისა და პატრიოტის მანდილი არ შეარცხვინოს. თუ დამარცხდება, მამაცური სიკვდილით მაინც აჯობოს მტერს. საპატიო, მაგრამ სამარცხვინო ტყვეობას იგი სიკვდილს ამჯობინებს. ბეჭდის თვალში შენახული შხამით თავს მოიწამლავს. დედოფალს ისპაჰანის სასახლეს უსახელო საფლავი ურჩევნია ქართულ მიწაზე («სიბრძნე სიკვდილისა»).

გრიგოლ ხანძთელი-მცირე საარაკო გმირობით უძლებს ცეცხლითა და შანთით წამებას, ოღონდ ქართული საგანძურის საიდუმლო არ გასცეს. მართალია, ქვეყანა ომში დამარცხდა, მაგრამ სულიერი სიმტკიცისათვის აუცილებელია შევინარჩუნოთ კულტურული განძეულობა. იგი, ვინც სულიერად არ გატეხილა, არც დამარცხებულა: დღეს წაგებულ ბრძოლას, ხვალ გამარჯვებად აქცევს. ეს რწმენა აძლევს სიმამაცესა და შეუპოვრობას გრიგოლ მცირეს. ამით აჯობა მან გამძვინვარებულ მტერს («ხანძთის ზარი»).

თითოეულმა მათგანმა კარგად იცის, რომ ერთ ტაძარში ორი ღმერთის სამსახური არ შეიძლება. გაორებული კაცის ცხოვრება მარცხით მთავრდება. მათი ერთადერთი სათაყვანო კერპი სამშობლოა. სამშობლოს სამსახური კი პირდაპირობას, გულწრფელობასა და პატიოსნებას ითხოვს. დიპლომატიური ორჭოფობა ან იწილო-ბიწილო მხოლოდ პირად ანგარებას ემსახურება. ნიღაბს ატარებს, ვისაც ნამუსი არა აქვს წმინდა და ქვეყნის თვალში ნაცრის შეყრა აქვს განზრახული. ომან ჩოლოყაშვილი («გმირთა ვარამი») ჭკვიანი, გაიძვერა, წინდახედული და ეშმაკი კაცია. ერთი შეხედვით, იგი წყლიდან ყოველთვის მშრალი ამოდის, მაგრამ მაინც წაგებული რჩება. წაგებას არა უშავს, ამას აიტანს უტიფარი კაცი, მაგრამ სამუდამოდ შერცხვენილი და თავლაფდასხმული ტოვებს ცხოვრების ასპარეზს. ომან ჩოლოყაშვილსაც უყვარდა თავისებურად სამშობლო, ოღონდ პირადი სარგებლისა და ქვეყნის სამსახურის შერწყმა-შეთავსება ეწადა. ეს კი ორი შეუთავსებელი რამ არის. ქვეყნისა და ხალხის სამსახური უანგარობას მოითხოვს უპირველესად, უანგარობასა და ტრაგიკულ თავგანწირვას. ვისაც ეს არ შეუძლია, მას მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა თუ მოუწყვია და ისიც დროებით. ისტორიის სამართალი თუმცა ურმით დადის, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, დამნაშავე გაქცეოდეს თუნდაც ზეზგერითი სისწრაფის თვითმფრინავით. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა ლევან გოთუას მიერ დახატული გიორგი სააკაძის პიროვნება.

გიორგი სააკაძემ მთელი სიცოცხლე ბეწვის ხიდზე იარა. სამშობლოსათვის მედგრად იბრძოდა და არც მტრის სასარგებლოდ დაუზოგავს ძალა. საქართველოსათვის შვილიც გაიმეტა, მაგრამ მაინც უცხოეთში დალია სული. იქაც და აქაც ორგულად მიჩნეულმა, სიკვდილის წინ ისეთი ხმალი ინატრა, რომელსაც ქართველის სისხლი არ ეცხო. დიდ მოურავს ნოსტელმა უბირმა გლეხმა გორგასალ ნასყიდაშვილმა თავისი ხმალი გაუწოდა.

_ «ნასყიდაანთ ხმალია, მაგრამ არ გაყიდულა არასოდეს!

_ მერე ბაზალეთი?!

_ შემინდე, ბატონო, ხმალი არ გამიძვრია ბაზალეთთან. ქარქაშიანად ვარიდებდი მომხდრებს. აბა, დახედე! _ და ქარქაშზე მრავალი ნაჭდევი აჩვენა.

წამოდგა გიორგი. მრისხანე თვალი გაუყარა. აღარც გორგასალმა დაჰხარა თავი.

საშინელმა სიბრაზემ დაუშარნა სახე მოურავს.

_ შენ ჩემზე ბრძენი ყოფილხარ, მოხუცო!» («უგზო ქარავანი»).

გლეხმა ჭკუით აჯობა სარდალსა და სახელმწიფო მოღვაწეს.

თანამოძმეთა სისხლში გასვრილი ხმლით თავისუფლების მოპოვება არ შეიძლება. არც ორშოლტიანი მათრახით შეიძლება სამშობლოს სამსახური. გიორგი სააკაძეს კი ორშოლტიანი მათრახი ჰქონდა. დრო და ჟამის შესაფერისად ხან მტერს ურტყამდა და ხან მოყვარეს. მართალია, მსხვერპლს სწირავდა, მაგრამ მსხვერპლსაც ითხოვდა. არც იმას შეუძლია თავისუფლების გოდოლის აშენება, ვისი საკურთხეველიც ტარიგის სისხლით არის მოსვრილი. სურამის ციხის კედელში ჩატანებული ზურაბი იმიტომ ჰკრავდა და ადუღაბებდა ციხის კედელს, რომ იგი თავად იყო ზვარაკი. მისი უმანკო სული არ დამძიმებულა მსხვერპლის სისხლით. ამ დუღაბის ძალა გიორგი სააკაძეს აღარ გააჩნდა. სამაგიეროდ ეს ძალა ალექსანდრე მეფეს ჰქონდა («გმირთა ვარამი»). ამიტომაც უპირისპირდება ერთმანეთს ეს ორი ისტორიული პიროვნება ლევან გოთუას შემოქმედებაში. ალექსანდრე მეფეს არაფერი უსურვებია სათავისოდ. რაც ჰქონდა, რაც ჰყავდა, მამულს მიართვა მსხვერპლად. თუმცა ისტორიული ალექსანდრე არაფრით ჰგავს მწერლის დახატულ ალექსანდრეს. ისტორიული ალექსანდრე ანგარებიანი და ზნედაცემული პიროვნება იყო, მაგრამ რეალური ისტორიული პირის ამგვარი მეტამორფოზა ლევან გოთუას საკუთარი ეთიკური მრწამსის გამოსათქმელად სჭირდება.

მორალური სიწმინდე უპირველესი მოთხოვნილებაა, რაც კი შეიძლება წაუყენოთ სახელმწიფო მოღვაწესა და ქვეყნის ბედის გამრიგეს. უფრი მეტიც: ყოველი ადამიანი მაღალი ზნეობრივი იდეალით უნდა ცხოვრობდეს. «ადამიანს თუ მაღალი ზნეობა და აზრი არ ასულდგმულებს _ მას აღარაფერი უანგარო არც ამოძრავებს!.. იგი ხან ზეცაში აფრინდება, შემთხვევის ფრთებზე... უფრო ხშირად კი ქვესკნელში მოახდენს ზღართანს! ხოლო არაფერი არ არის ადამიანისათვის, სულიერ ქვესკნელზე უფრო მდაბალი და სახიფათო!» («სერაფიტი»). როგორც ჩანს, ეს ყოველ დროში კარგად იცოდნენ. ალბათ, ამიტომ დაიწერა საოცარი შინაგანი სევდითა და წუხილით სავსე «გალობანი სინანულისანი». დიდი, ერთობილი საქართველოს შემქმნელს საპატიებელი და მოსანანიებელი რა უნდა ჰქონოდა, მაგრამ ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილი დანაშაულის შენდობას ითხოვს დავით აღმაშენებელი.

დავით აღმაშენებელმა არა მარტო დიდი და ერთობილი საქართველო ააშენა, სახელმწიფოს მართვის პრონციპები გამოიმუშავა, არამედ ხელმწიფის მორალური სახეც ჩამოაყალიბა. თუ ამას, ერთი მხრივ, «გალობანი სინანულისანი» ადასტურებს, მეორე მხრივ, გელათის ფრესკა გვიმტკიცებს. ამ ფრესკაზე დავითი ხმლითა და ფარით კი არ არის გამოხატული, არამედ _ ტაძრის მოდელით. მეომარი და მშენებელი ჰქმნის ქვეყნის ისტორიას. ისიც აშკარად უნდა ითქვას, რომ უფრორე მშენებელი, ვიდრე მეომარი. ამიტომაც უსურვებია ომში დაუმარცხებელ მეფეს, მშენებლის სა-

ხით გამოესახათ იგი. მართალია, ლევან გოთუამ აღმაშენებლისადმი მიძღვნილ პიესაში იგი მხოლოდ ქვეყნის გამაერთიანებლად გამოიყვანა და მოღვაწეობის მეორე მხარე ვერ აჩვენა, მაგრამ ეს ალბათ ჟანრული შეზღუდულობის ბრალი იყო.

მკითხველმა ყურადღება მინდა მიაქციოს ერთ გარემოებას. ლევან გოთუას ორი პიესა აქვს. ერთი დავით აღმაშენებელს ეძღვნება, მეორე _ ერეკლე მეორეს. ორი მოთხრობაც აქვს მწერალს, ერთი დიდგორის გამარჯვებას გვიამბობს, მეორე _ კრწანისის მარცხს. ერთში დახატულია გამარჯვებული, მზეგრძელი და დღეგრძელი საქართველოს ამშენებელი, მეორეში _ დაქცეული და დანგრეული ქვეყნის უღონო პატრონი. აშკარად ეტყობა, მწერალი ხშირად ფიქრობდა ამ ორ კაცზე. რა აქვს ამ ორ ისტორიულ პირს საერთო? რამ გამოიწვია მწერლის ეს ინტერესი მათ მიმართ? ლევან გოთუას უნდოდა გაეგო _ რა თვისებებმა ააღორძინა ჩვენი ქვეყანა, რა თვისებებმა დააქცია იგი. ამ კითხვას პასუხი შეუძლია გასცეს მხოლოდ დავით აღმაშენებლის და ერეკლე მეორის საქართველომ. აქ არის დამარხული საიდუმლო. ამის ძიება არ იყო გარდასული ისტორიული მოვლენების კანონზომიერებათა დადგენის სურვილით გამოწვეული. იგი დღევანდელ საქართველოს გაკვეთილადაც სჭირდებოდა.

«მე ვიცი, წასვლას აპირებდა მტერი, გამარჯვების იმედი დაჰკარგა, ჩვენი მოჩვენებითი მარქაფების შიშიც ჰქონდა. მაგრამ ამ დროს მოხდა ის ღალატი, რომელმაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი, ვგონებ, მთელი საქართველოს ბედიც, _ უფრო ყრუდ დაატანა სიტყვა მთხრობელმა.

_ რომელი ღალატი? _ შესწყრა ლომთათა.

_ მაშინ გააპარეს ნარიყალიდან აღა-მაჰმადის ელჩი. მან, რა თქმა უნდა, ყველაფერი აუწყა გაქცეულ ხოჯას.

მოხუცი ლომთათა მიხვდა, თუ რა იყო ეს «ყველაფერი»: შინამტრები და მოშურნენი, მეფის გაურჩებული შვილები, ქართველთა ჯარის დიდი ზარალი, სრული უმარქაფობა. ტფილისის დრტვინვა. მოხუცი მეფის შეუძლოდ ყოფნა. კიდევ სხვა ათასი ძირგამომთხრელი აუგი და ვერაგობა.

_ ვინ? ვინ ჩაიდინა ეგ ბოროტება? _ კბილის ღრჭიალით შეეკითხა ბრმა...

_ ქვეყნის ორგულებმა, _ იყო მიფადილებული პასუხი.

_ მერე ერეკლემ რა თქვა?

_ რას იტყოდა... თუ მე მმტრობდნენ _ მამულს რაღას ემართლებოდნენო?» («კრწანისის სევდა»).

გრძელი ისტორიის მანძილზე არა მარტო თავგანწირულად უბრძოლია ქართველ კაცს, არამედ თავდაუზოგავად უშენებია და უხატავს კიდეც. მაგრამ არასოდეს უძებნია უკვდავება. ამაყად დგანან ტაძარნი და ციხე-კოშკნი, მაგრამ კირითხუროთა და ხუროთმოძღვართა სახელი ამოშლილია ისტორიიდან. გაუხუნარი თუ გადარეცხილი ფრესკები შემოგვცქერიან საუკუნეთა ნისლიდან, მაგრამ დავიწყებულა ბევრი მხატვრისა და ოსტატის სახელი. უსახელო შემოქმედნი უკვდავყოფდნენ ერის სახელს, საკუთარი სახელი კი არ ახსოვთ. ესეც წმინდა მორალური კატეგორიების დადასტურებაა. აქაც უანგარო სამსახურია გამოჩინებული.

ყინწვისის ცისფერი ანგელოსი ქართველი ქალის კდემამოსილების სიმბოლოა, ერთდროულად ხორციელი და უცნაურად ჰაეროვანი. არც მიწა დავიწყნია მხატვარს და არც ზეცა. როგორც ჩანს, ყინწვისის ანგელოსს ლევან გოთუას ყურადღება არ მი-

უზიდავს მხოლოდ როგორც მხატვრობის დიდებულ ნიმუშს. ყინწვისის კედელ-ხატულში მწერალი ხედავდა ქალის იდეალურ პორტრეტს, რომელიც ყველაზე ზუს-ტად შეესაბამებოდა მის წარმოდგენას მდედრზე. საერთოდ, ლევან გოთუას ქალები ცალკე კვლევის საგანია, რამეთუ ისინი უფრო მწერლის ოცნების ნაყოფია, ვიდრე რეალური სინამდვილისა. ქალისადმი ეს მომეტებულად ამაღლებული და კდემამო-სილი დამოკიდებულება შეიძლება მწერლის პირადი ცხოვრების შედეგიც იყოს. მო-გეხსენებათ, მამაკაცის წარმოდგენა ქალზე დედის საშუალებით ყალიბდება. ყველა დედა იდეალური ქალია _ ალერსიანი, უანგარო, თავგამეტებული, სითბოთი და ზრუნვით სავსე, უშიშარი, ყოვლის შემძლე და მფარველი, სანთლად რომ შემოგევ-ლება თავს, ყველაფერს გაიღებს და არაფერს მოგთხოვს. მერე ცხოვრება ამ იდეალს თანდათან ანგრევს. ნელ-ნელა კვდება მამაკაცში იდეალი. სხვათა შორის, მამრისა და მდედრის ყველა კონფლიქტი აქედან მოდის. დედის მიერ უნებლიეთ შექმნილი იდეალი აღარსად გვხვდება. სული კი დაეძებს მას და ამაო ძებნაში იხარჯება ცხოვ-რება, იბადება ნაირ-ნაირი კონფლიქტი. ბედნიერია კაცი, ვისაც ცხოვრება დიდხანს შეუნარჩუნებს იდეალს. ლევან გოთუას დაეხმარა პირადი ცხოვრება იდეალის შენარჩუნებაში. დედის გავლენით შექმნილი იდეალი ბოლომდე ცოცხლობს მასში. ეს ჩანს ლევან გოთუას რომანებსა და მოთხრობებში. ამიტომ მისი ქალები თითქმის უკლებლივ იდეალურია.

გარდა ამისა, მწერალს ლელა ფანასკერტელისა და უტყვი იოანეს მხატვრული სა-ხეები უცოცხლებდნენ დროის არმურში ჩაკარგულ მხატვრებსა და მათ მუზებს. «ყინწვისის ანგელოსი» იმათი გახსენებაც არის, ვინც მომეტებული თავმდაბლობის გამო უკვალოდ გაქრა საუკუნეთა ბნელეთში.

ბრძოლაც და შენებაც ერის სასარგებლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ქვეყანა ერთიანია. დაქუცმაცებულ ერს ყველაფერი უჭირს _ მშვიდობის შენარჩუნებაც, თავისთავის პატრონობაც. მტრის მოგერიებაც, ხვნაც, თესვაც, ლოცვაც და ლხინიც. ამიტომ ლევან გოთუას ისტორიული ნაწარმოებების ერთ-ერთი ძირითადი თემა ერთობილი ეროვნული შეგნების ქადაგებაც არის. ასეა «გმირთა ვარამშიც», ასეა «მითრიდატეშიც».

ხოლო სიტყვა «მამული» მას ცალკე კახეთად, ქართლად ან გურია-იმერეთად კი არ ესმოდა, არამედ მთლიანად, სადაც «ქართული ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების!»

«ჩვენი ცა შვიდ მნათობიანი იყო და ჩვენი გუთნეული შვიდუღელა... მაგრამ ხნუ-ლი ერთპირი და ნაერთი გაჰქონდათ»... («გმირთა ვარამი»).

რომანში «მითრიდატე» ეროვნული ერთიანობის ბჭობის კარი და სიმბოლო ქვასა-ვარძელაა, რომლის კერპს ასეთი წარწერა აქვს:

«ილოცე მზე და მთვარე და მიწა შენი წინაპართა. ილოცე ქვა და წყალი, ხე ცხოვე-ლი, ცეცხლი ამირანისა და ენა შენი _ ქართუ _ აქა წერილი, ილოცე და ღმერთებისა-გან დალოცვილი ხარ».

აქ ქვასავარძელას გარშემო შეიკრიბნენ ქართველ ტომთა მამასახლისები, როცა ქართულ ეროვნულ სამყაროს დასავლეთიდან უძლიერესი მტერი რომის იმპერია დაემუქრა. ისინი კარგად მიხვდნენ, რომ გადარჩენის ერთადერთი გზა «ქართულ და ქართველურ ტომთა კავშირ-ერთობა» იყო. ქართველთა თავკაცებმა ნათელი პროგ-

რამა გამოიმუშავეს სამოქმედოდ: ბუნებით ნათესავთა გაერთიანება და არა ტომთა შინაგანი დაპყრობა.

«დროა, ცალკე ტომს იქით გადაიხედოს ქართველთა თვალმა! ქართულ სამყაროს სჭიდოს... ახლა ტომთ სამყაროების ბრძოლაა და ლელოც მისია, ვინც მოასწრებს გამთლიანებას».

მთლიანი და ერთობილი საქართველოს მესიტყვეა ლევან გოთუა. ეს არა მარტო თემაა და პრობლემა მისი ნაწარმოებებისა, არამედ იგი გამოვლენილია მის სამწერლო ენაშიც. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართველ მწერლებს არასოდეს დავიწყებიათ ძველი ქართული ენის დიდი საგანძური. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძეც ხშირად მიმართავდა ძველი ქართულის ძარღვმაგარ წიაღს. მეოცე საუკუნის ქართველი პროზაიკოსები, განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდია, ენერგიულად მუშაობდნენ, რომ ქართული სალიტერატური ენა გაემდიდრებინათ როგორც ძველი ქართულის ლექსიკონური მარაგით, ისე ქართული დიალექტიკის განუმეორებელი სიტყვა-თქმებით. ამ გზების გამაგრძელებელია ლევან გოთუაც. მისი სამწერლო ქართული ენის დედაბოძი ერთობლივი სალიტერატურო ქართულია, უხვად გამდიდრებული და ეშხიანად შეზავებული ძველი ქართულისა და ყოველი ქართული დიალექტიკიდან ამოკრებილი ლექსიკური მასალით. თავად უთქვამს ლევან გოთუას: «ბუნებრივად მახასიათებს ენათქმედობა, კომპოზიტები და ნეოლოგიზმები. მე კი არ ვქმნი, ისინი თავისთავად იღვრებიან და მე მათ ვცხრილავ», გოთუას ბევრი საყვედური მოუსმენია მისი ენობრივი პოზიციის გამო. ამ საყვედურს უმთავრესად ისინი გამოთქვამდნენ, ვინც საკანცელარიო ქართული შეითვისა და დარბაისლურ, ლაზათიან ქართულს გაღარიბებული და დამჭლევებული ენა ამჯობინა, აბა რა გაუგებრობასა და ბუნდოვანებაზე შეიძლება ილაპარაკოს კაცმა ამ სტრიქონების წაკითხვისას!

«აღმა ამოჰყვა ალაზანს _ მიადინჯა, მიაყუჩა გარემო. ახლა სოფლის ნაპირს მიატანა. თითქოს ნახირს მოსდევდა უკან მურა კამეჩის კუდზე გამობმული. მერე თელიანს შესწვდა გორაკზე, ბუკნაჭოტის ხმით გადმოსძახა სოფელს, ღამურებად აფაშფაშდა... სიო გრილად ანიავდა. ცასაც აწვდინა ირმის ნახტომი. ვარსკვლავებად აციმციმდა. ქოხის უკან ჩამორჩენილი ფურისა და ზაქის ურთიერთ მაძებარი ზმუილი გაისმა. მერე დედაკაცის შეძახილი. სადღაც ალაზნისპირა ჭალაში ტურამ შეჰკივლა. და როგორც ათეული ფარდაგი, მას სოფლიდან ძაღლების ყეფა აჰყვა. ახლა მაყვლიანში შეიქმნა შაშვის ვაჟკაცური და გამომწვევი ჭახჭახი. მერე ნიბლიას ნელი სტვენაც მოისმა» («გმირთა ვარამი»).

აი, კიდევ ერთი ციტატი:

«კრიჭა შეეკრა ლელაის, მიიჭრა კიბის ძირს. იქნებ სანთელს ჩამოეღვენთა ცხელი წვეთი, იქნებ ყრუ-მუნჯის ღაწვებზე დაგორებული ცრემლი იყო. ლელაიმ არ იცის, იცის მხოლოდ _ რაღაც ცხელი, მდუღარე დაეცა ზემოდან. ღაწვი დამდუღრა, ლოყას გამოჰყვა, პირის უპემდე ჩამოაღწია. იქ შედგა წვეთი, სადაც გაღიმებისას მცირე ორმული უთამაშებდა ლელაის» («ყინწვისის ანგელოზი»).

მესამე ამონაწერიც მოვიშველიოთ და ამით მოვრჩეთ ციტირებას.

«ხშირი, ოდესღაც ჰინანახმარი, მოგრძო წვერი მოებორკა. უმალ ჩაიჩოქა, უფრო სასოებით ქვემოთ ჩააყოლა თითები, მლოცველის ხელი დაიჭირა და ზედ შუა თით-

ზე ემთხვია. იქ ბეჭედი ეგულებოდა. ძველთაძველი დიდი ბეჭედი. ზედ პატრონის სახელი იყო ქარაგმულად ამოტვიფრული და კიდევ ყალყზე შემდგარი ორი ლომი. ახლაც ტუჩებზე სალბუნად იგრძნო ძველი სურნელი და თითქოს მისი ვაჟკაცური წარსული შემობრუნდა და თვალხილულს ისევ წინ წარმოუდგა» («კრწანისის სევდა»).

როგორც დავინახეთ, არაფერი მძიმე, ძნელად აღსაქმელი აქ არ არის. პირიქით, განწყობილებისდა შესაბამისად მსუბუქი და ჰაეროვანია, მდორე და დარბაისლური, მძიმე და შემართული. ეს ენობრივი ეფექტი კი მიღწეულია ერთობლივი ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებით ძველი ქართულისა და ყოველი დიალექტის ლექსიკური მასალით. ეს გზა ერთ-ერთ ძირითად გეზად უნდა მივიჩნიოთ ახალ ქართულ მწერლობაში.

ლევან გოთუას ნაწარმოებთა ფორმა სიახლით არ გამოირჩევა, ამ მხრივ იგი ტრადიციულ გზას აგრძელებს. მას არასოდეს უცდია ძველი, უინტერესო შინაარსი ახალ ფორმაში ჩაესვა და ასე შეეტყუებინა მკითხველისათვის. ყოველმა ლიტერატორმა კარგად იცის, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებაში სტანდარტული ფორმები არსებობს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის შინაარსის სიახლეს. სონეტებს წერდნენ პეტრატკა, შექსპირი, ხოსე მარია ერედია და სხვანი, მაგრამ ყოველი მათგანი ახალ აზრს გამოთქვამდა, საინტერესონიც იყვნენ და ახლებურნიც. სონეტი სონეტად რჩებოდა, ე.ი. ფორმა არ იცვლებოდა, მაგრამ შინაარსი კი ახალი და თავისთავადი იყო.

ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა ადამიანისა და ტანსაცმლის ურთიერთობას ჰგავს. ადამიანის ტანის მიხედვით კერავენ ტანსაცმელს და პირიქით. იმიტომ, რომ ადამიანი შინაარსია, ტანსაცმელი კი _ ფორმა. ასეა ლიტერატურაშიც. ფორმა აზრის ნათლად გამოთქმას უნდა ემსახურებოდეს. ამისათვის თუ ძველი ფორმა გამოდგება, ძველს მოიხმარს მწერალი, თუ ახალი, ახალს შექმნის. აქ შემოქმედი თავისუფალია. ლევან გოთუა კარგად გრძნობს, რომ მისი სათქმელი აქტუალური, საჭირბოროტო და საინტერესოა. ამიტომ მას ფორმალური ჩხირკედელობა არ სჭირდება. მისი მწერლური ჩანაფიქრი ძველი ფორმითაც ნათლად და მკაფიოდ გამოითქმის.

არიან ერები, რომელნიც წარსულს ვერ დაივიწყებენ. ძველ გამარჯვებასა თუ მარცხს ისინი განიცდიან, როგორც ახალსა და მოუშუშებელს. მათთვის წარსულის ხმა ისე ცოცხლად გაისმის, თითქოს დღევანდელი ამოძახილი იყოს. მათთვის წარსული აუცილებელი გაკვეთილი და მომავლის ასაშენებელი დუღაბია. ასეთ ერთა რიგს ეკუთვნის ქართველი ხალხიც. ამიტომ არის იგი დაინტერესებული ისტორიული ბელეტრისტიკით და დიდი გულისყურით ეკიდება მას. ამიტომ არის, რომ ყოველთვის აქტიური ნიაზით იკითხება ლევან გოთუას მოთხრობები და რომანები. აქ მწერლისა და ხალხის სულიერი მოთხოვნილება ემთხვევა. და სანამ ეს კავშირი არ მოიშლება, ლევან გოთუა ყოველთვის იქნება პოპულარული მკითხველთა შორის.

1975წ.

პატიოსნება

მკითხველს ალბათ ემახსოვრება «გლახის ნაამბობის» ერთი ეპიზოდი: ახალგაზრდა მღვდელმა დასაღრჩობად განწირული მუშა გადაარჩინა. გაბრიელი ძლიერ გა-

აკვირვა ხუცესის საქციელმა. განათლებულმა, პრივილეგირებულმა, კარგი მდგომარეობის კაცმა თავი გასწირა და გაიმეტა ვიღაც ბოგანოსათვის. ამასთანავე ისიც ყურადღება მისაქცევია, რომ მღვდელი დედისერთა იყო. დედამისს მის მეტი მანუგეშებელი და მარჩენალი არავინ ჰყავდა. თან ავადმყოფობაც ახალგადატანილი ჰქონდა. თავს მთლად კარგად ვერ გრძნობდა, მაინც სხვის მისაშველებლად დაუფიქრებლად გადაეშვა მდინარეში. უთხრა კიდეც ამის გამო საყვედური გაბრიელმა მოძღვარს:

«_ მეტის-მეტი გამომეტებული ჰყოფილხარ. თუ შენი თავი არ გებრალებოდა, დედა-შენს მაინც შეიბრალებდი. უფრო ცოდვა არ იქნებოდა, რომ მოხუცებული დედა უპატრონოდ დაგეგდო ამ ტიალ ქვეყანაზე?.. სხვის მოსარჩენად დედა-ჩემს არ დავღუპავდი, ვერ დავთმობდი, იმის იმოდენა საცოდაობას კისრად ვერ ავიღებდი. შენი სიცოცხლე იმისათვის სხვა რამ არის, სხვა ნუგეშია!»

ამის პასუხად მღვდელმა ეს უთხრა გაბრიელს:

«_ სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა»...

ცოტა ხნის შემდეგ ამ სიტყვებს მღვდელმა ესეც დაუმატა:

«იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო _ მწყურვალი ვიყავ, არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო; როცა მეტყვიანო: უფალო! სად გნახეთ, რომ არ გიშველეთო? მე ვიტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ-განკითხული, _ მე ვიყავიო. ესეა, ძმაო! სხვა შენთვის და შენ სხვისთვის; აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხონებისა...»

ასე ზრდიდა ილია ჭავჭავაძე ადამიანს მოყვასისადმი სიყვარულით. მაგრამ არცერთ სახელმძღვანელოში, რომელშიც «გლახის ნაამბობზეა» ლაპარაკი, ეს ეპიზოდი, ეს დიალოგი უმთავრესი მსჯელობის საგანი არ არის, უმთავრესი ანალიზისა და განმარტების საგანი არ არის. უფრო მეტიც, როცა «გლახის ნაამბობი» ფილმად გადაიღეს, სწორედ ეს ადგილი გამოტოვეს, ხოლო მღვდელი მასწავლებლით შეცვალეს. ამით გამოიხატა ფილმის ავტორების ათეიზმი. ის კი ვეღარ შეამჩნიეს, რომ ილიას მოთხრობას გულ-ღვიძლი გამოაცალეს და ჩონჩხი დატოვეს.

შალვა ნუცუბიძე ევროპული ლიტერატურის ისტორიას ასწავლიდა. კარგად მახსოვს, ერთხელ ჯორდანო ბრუნოზე საუბრისას თქვა: _ მართალია, ბრუნო ბერი იყო, მაგრამ მისი მოძღვრება ეკლესიური დოგმატის წინააღმდეგ იყო მიმართულიო. თან დაამატა, საქმე ის კი არ არის, თავზე რა გახურავს, არამედ თავში რა გაქვს; საქმე ის კი არ არის ტანზე რა გაცვია, არამედ გულში რა გაქვს. ამ ჭკვიანური აზრის თანახმად, ყურადღება იმას კი არ უნდა მივაქციოთ, ილიას პერსონაჟი ბერი იყო თუ ერის კაცი, არამედ იმას, რას ამბობდა და რას აკეთებდა იგი. მაგრამ ეს გვავიწყდება და ხშირად ნიღაბს ემსხვერპლება აზრი და არსი.

ზნეობრივი პრობლემის სოციალური პრობლემით შეცვლამ დღეს გამოიღო ნაყოფი. ამის გამოა, რომ ასე ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში, ვისმენთ რადიოთი და ვუყურებთ ტელევიზიით ზნედაცემულობის თავზარდამცემ ნიმუშებს.

როგორც ყოველი მაღალი რანგის მწერლობისათვის, ისე ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელია ზნეობრიობის აპოლოგია.

ნიკო ლორთქიფანიძეს მოთხრობა აქვს ერთი _ «ქედუხრელნი», რომელშიც თავისებურად არის გადააზრებული სურამის ციხის ლეგენდა.

ამ მოთხრობაშიც ასეა: ვერაფრით ააშენეს თავდაცვისათვის აუცილებელი ციხე. არ იციან რა იღონონ, რა მოიფიქრონ. მაშინ ერთმა ჭკვიანმა კაცმა, რომელსაც მოთხრობაში ნალეკარს ეძახიან, ურჩია მშენებლებს: უნდა მოძებნოთ ბოგანო კაცი, რომელსაც პერანგი არ გააჩნია, და თუ ნებაყოფლობით დათანხმდება, ცოცხლად ციხის კედელში ჩაატანოთ და სიმაგრეც აშენდებაო. ყველამ შეიცხადა: ამგვარ საშინელებას რომელი ჭკუათმყოფელი დათანხმდებაო. ასეთი კაცის პოვნა განწირულ საქმედ მიიჩნიეს. მაინც თავისი დაიჩემა ნალეკარმა _ შეუძლებელია ეგეთი კაცი არ არსებობდესო და ძებნას შეუდგა.

მთელი საქართველო მოვლო ნალეკარმა, როცა მისი მოგზაურობის მიზანს შეიტყობდნენ, ყველა სიცილით იჭაჭებოდა, გიჟს და დამთხვეულს ეძახდა. მაინც ვერაფერმა გაუტეხა გული ნალეკარს და ძებნას თავი არ დაანება. ბოლოს ერთ სოფელში იპოვა ღარიბ-ღატაკი დედა-შვილი. როცა ბიჭმა მოისმინა ვის ეძებდა ნალეკარი, ცოტა კი დაფიქრდა, მაგრამ მერე მტკიცედ განაცხადა _ მე ჩავეტანებიო.

მთელი ქვეყანა _ კაცი და ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა, მდიდარი და უპოვარი _ მოსდევდა ბიჭს. ყველას უნდოდა საკუთარი თვალით დაენახა არნახული და არგაგონილი.

მოიყვანა ყმაწვილი ნალეკარმა და მშენებლებს ჩააბარა. უხმოდ და უდრტვინველად ჩადგა ბიჭი კედელში. გამალებული მუშაობდნენ კალატოზები. უნდოდათ, რაც შეიძლება ჩქარა მოემთავრებინათ ეს საშინელი საქმე. როცა უკანასკნელი ქაფჩა კირით დაფლეს ყმაწვილი და კედელიც აღარ ირყეოდა, მაშინ იყვირა ნალეკარმა _ «ეს მე ვთქვი, რომ კედელში ჩაეტანებინათ კაცი. ახლა ამეხილა თვალი. თუ ქვეყანას ჰყავს ერთი უარარაო, რომელიც თავის-თავს შესწირავს, _ იმ ქვეყანის ციხენიც ურყევია და ხალხიც უძლევი».

კალატოზებმა უმალ გაათავისუფლეს თავგანწირული ყმაწვილი, რამეთუ მთელი ერისათვის ცხადი გახდა ნალეკარის სიტყვების აზრი.

თუ ვინმეს უნდა ქართველი ხალხის სიმბოლური სახე გამოხატოს, ეს უპერანგო, ღარიბ-ღატაკი ბიჭი უნდა გამოძერწოს, რადგან ჩვენი ერის ძალა არასოდეს ყოფილა სიმდიდრე. ქართველი ერის ძალღონე პატიოსნება, თავგანწირულობა და მოყვასისათვის თავდადება იყო.

კიდევ ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან «რაინდები». მეფე ესაუბრება სარდალს:

«_ გეძებ, ვერ გპოულობ, სად ხარ? _ დატუქსვით მიმართა მეფემ.

_ ნამოხვანში გახლდი...

_ რაო?!

_ ნამოხვანში გახლდი, წისქვილის ქვებს ვტეხდი...

_ მეწისქვილეობა დამიწყე, როცა მე ომისათვის ვემზადები?!

_ არაფერი მსმენია, მეფეო...

_ საქმეც ისაა! დაიკარგები, ხმას ვერ მოგაწვდენს ადამიანი.

_ რა ვქნა, მეფეო, რჩენა მინდა და ხელი უნდა გავანძრიო...»

მუხლმოდრეკილი ეხვეწება სარდალი მეფეს.

«_ მეფეო, ნუ დამიშლი წისქვილის დამთავრებას... ამაღამვე ჩავიტან მასალას, ხვალ და ზეგ უკვე ავარაკრაკებ სახლიკაცების გულის გასახეთქად...»

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს იუმორისტული სცენაა. არა! «რაინდებში» ისტორიის სევდაა გამოხატული. ამ ეპიზოდში ჩვენი ისტორიული ცხოვრების არსი უფრო ღრმად არის ასახული, ვიდრე ზოგიერთ პომპეზურ რომანში, რადგან უარღესად რეალური გარემოა დახატული თავისი ნაღველითა და ვარამით.

მაგრამ მწერალს ირონიულობა რომ არ დასწამონ, ერთ ისტორიულ დოკუმენტსაც მოვუხმობ. ეს გახლავთ ერეკლე მეორის წერილი მისი ხუთი წლის ქალიშვილის თეკლე ბატონიშვილისადმი. ბარათი ასე მთავრდება:

«ექვსი კარგი ბროწეული გამომიგზავნია. ხვალ ღვთით კიდევ ბევრს შაქრის ყინულს და ნუღლს და შაქარს გამოგიგზავნი».

ექვსი კარგი ბროწეულიო! და ამას წერს მეფე უფლისწულს! ახლა მიბრძანეთ, არსებობს კი დღეს სადმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ან ბრიგადირი, რომელიც ესოდენ მცირედი საჩუქარით დაკმაყოფილდება?

შეიძლება მითხრათ, ახლა სხვა დროა, გავმდიდრდით, მეტი შესაძლებლობა გვაქვს და რით არის ცუდი? ცხადია, გამდიდრებისა და კეთილი ცხოვრების წინააღმდეგი ვინ იქნება ან რატომ უნდა იყოს, მაგრამ საკითხავია, როგორ გავმდიდრდით. პატიოსანი შრომით თუ მოყვასი გავძარცვეთ, ქრთამი ავიღეთ, აბიტურიენტს გამოცდების დროს ფული ავწაპნეთ, სკოლაში ნიშნები გავყიდეთ, სახელმწიფო ქონება გავფლანგეთ, ბავშვები მოვიპარეთ და ვინ იცის კიდევ რა არ ჩავიდინეთ? ამას სჭირდება განსჯა; ამას სჭირდება გარკვევა, თორემ თუ მშრომელმა კაცმა წელზე ფეხი დაიდგა, დღე და ღამე გაასწორა, კაპიკი კაპიკს მიაწება და ასე მოაწყო ცხოვრება, ღმერთმა ყველაფერი შეარგოს.

არც იმას ვამბობ, თითქოს წინათ არ იყვნენ ნაძირლები. ცხადია, იყვნენ და არც მცირე რაოდენობით. მატიანეში შენახულა ცნობა _ როგორ გაყიდა ერთმა ციციშვილმა დედა უნაგირის შესაძენად. სამშობლოს ღალატითაც ბევრს მოუთბია ხელი, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხალხს მათთვის მოწიწებით დაეკრას თავი, შნოიანი და მარიფათიანი კაცი ეწოდებინოს. სამწუხაროდ, დღეს კი ეს ხდება და ეს არის საშიში.

საშიში ქურდობა კი არ არის, საშიშია ქურდის მიმართ მოწიწების გრძნობის გაჩენა.

საშიში ფლანგვა კი არ არის, საშიშია მფლანგველის მიმართ მოწიწების გრძნობის გაჩენა.

საშიში ქრთამი კი არ არის, საშიშია მექრთამის მიმართ მოწიწების გრძნობის გაჩენა.

ქურდსაც, მფლანგველსაც, მექრთამესაც და სხვა ამგვარ ავაზაკსაც მოევლება, მაგრამ რა ეშველება მოწიწების გრძნობას, რომელიც მათ მიმართ გაჩნდა?

რა ეშველება იმ განწყობილებას, როცა ყმაწვილი კაცი მომავალ პროფესიას იმისდა მიხედვით კი არ ირჩევს, რასაც შინაგანი მოწოდება უკარნახებს, არამედ იმის გათვალისწინებით, რომელი პროფესია მეტი ხალტურის საშუალებას იძლევა.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ადამიანმა გულის კარნახს ხალტურა ამჯობინა.

და პატიოსნებაც პირველად გახდა ტოტალური ირონიის საგანი.

ეს არ მომხდარა მხოლოდ იმის გამო, რომ სიმდიდრის სიყვარულმა, სიხარბემ თავბრუ დაგვასხა და წონასწორობა დაგვაკარგვინა. არა, ეს მოხდა იმიტომაც, რომ ავაზაკს უფრო ვუჭერდით მხარს, ვიდრე ავაზაკის მამხილებელს.

როცა მიხეილ ჯავახიშვილმა პირველმა შეამჩნია თანამედროვე მუქთახორების, მფლანგველების, კომბინატორების წინაპარი დამპატიჟე, მწერალს კი არ ამოუდგნენ მხარში, არამედ «ახალ ადამიანს», ოქროპირს, რომელიც ასე დაუნდობლად გაამათრახა ავტორმა.

ქართულმა ლიტერატულმა კრიტიკამ ერთი აურზაური ასტეხა: ჩვენს სინამდვილეში დამპატიჟეები არ არსებობს, იგი ჩვენი ავის მსურველმა მიხეილ ჯავახიშვილმა გამოიგონაო.

ერთი კრიტიკოსი ამბობდა: «მიხ. ჯავახიშვილი თანამგზავრობის დროშით ცდილობს ცილი დასწამოს ჩვენს სინამდვილეს, როდესაც ის ცნობილ «დამპატიჟეში» ცდილობს, სოციალისტური სოფლის მშენებლები წარმოადგინოს ზარმაცებად, კულაკებად და დაჩაგრულ მშრომელებად».

თურმე მოხუცი თევდორე, რომელსაც შრომაში სამკეცი ტყავი ჰქონდა გამძვრალი, კულაკი ყოფილა, ხოლო მუქთახორა, სხვისი ნაოფლარის მიმთვისებელი დამპატიჟე «სოციალისტური სოფლის მშენებელი».

მერე დასძენდა:

«... ყოველივე გარკვევით არის ნათქვამი: საბჭოთა ხელისუფლებაში «დამპატიჟეები» ბატონობენ მშრომელ და უღარიბეს თევდორეზე. ნუთუ ეს მოსაზრება ჭორი და მოგონილი ამბავი არაა, რეაქციონური შეხედულებების გამომჟღავნება არაა?

«დამპატიჟე» მთელ პასკვილს წარმოადგენს. იგი ღვარძლიანი დამოკიდებულებების გამომჟღავნებაა თანამედროვეობის მიმართ.»

მართალია, აქ თევდორეს კულაკი აღარ ეწოდება, მაგრამ მაინც რეაქციონერად და საბჭოთა ხელისუფლების მტრად არის მონათლული.

მესამე უმატებდა:

«როგორც კი ჩვენს ქვეყანაში გაიშალა ბრძოლა სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის _ საკოლმეურნეო მშენებლობისათვის, მ. ჯავახიშვილმა, როგორც კონტრრევოლუციური კლასების ლიტერატურულმა აგენტმა, სასწრაფოდ შეთითხნა «ცილისმწამებლური პასკვილური «მოთხრობა» _ «დამპატიჟე», ეს აშკარად კონტრრევოლუციური, კულაკურ-ბურჟუაზიული შინაარსის «ნაწარმოები»...

ასე გავხადეთ, შეგნებით თუ შეუგნებლად, პატიოსნება თუ გულწრფელობა კონტრრევოლუციურ, კულაკურ-ბურჟუაზიულ თვისებად. ასე ვუბიძგეთ ადამიანებს ტყუილისა და ორპირობისაკენ. იმის მაგიერ, რომ მ. ჯავახიშვილის გამჭრიახი თვალით შემჩნეული უარყოფითი მოვლენა ღრმა დაფიქრების და ანალიზის საგანი გაგვეხადა, მწერალს ცილისმწამებელი ვუწოდეთ. იმის მაგიერ, რომ ავისმომასწავლებელი სენი ცხელი შანთით ამოგვეწვა, ფარისევლურ მტკიცებას მივყავით ხელი _ დამპატიჟეები ღვარძლიანი კაცის მოგონილი ჭორიაო.

დამპატიჟეებმაც გაიგონეს ეს, კარგად დაინახეს, რომ მოკავშირეებიც, მფარველებიც, თანამდგომნიც მრავლად ჰყოლიათ. გაიხარეს, ფრთები გაშალეს და იმრავ-

ლეს. მამხილებელს კი ბურთი ჩასჩარეს პირში და კრინტის დაძვრის უფლება არ მისცეს. ამგვარი მოქმედების რეზულტატს კი დღეს ვიმკით.

არც დამპატიჟეების მხარდაჭერა, არც მართლის მთქმელის გაჩუმება არ იქნებოდა საშიში, რომ ამ გზით არ იბადებოდეს პატიოსნებისადმი ირონიული დამოკიდებულება.

პატიოსნებისადმი ირონიული დამოკიდებულება უაღრესად სახიფათო მოვლენაა, რომლის წინააღმდეგ თავგამეტებული ბრძოლაა საჭირო. ეს ბრძოლა იმდენად ძნელია, რამდენადაც ეს ირონიაა შენიღბული. გარეგნულად იშვიათად ავლენს მას ადამიანი. გულში ატარებს ფარულად. გულში ჩამარხული, ფარული ირონიის მიგნება და მხილება მხოლოდ მწერალს შეუძლია. გამოცდილებით ვიცით, რა ძვირად უზის მწერალს ამგვარი მხილება. მაგრამ ეს მისი უპირველესი ვალია და პატიოსნებაც უპირველესად მოვალეობის შესრულებას გულისხმობს.

არცერთი მხატვრულად ან ზნეობრივად უსუსური ნაწარმოები არ გამხდარა ხელისუფლების მსჯელობის საგანი. ოთარ ჩხეიძის «ბურუსი» კი გახდა.

«ზოგიერთი ჩვენი მწერალი, რომელმაც სწორად ვერ გაიგეს პარტიის მოთხოვნა, ნაცვლად იმისა, რომ გაბედულად გამოააშკარაოს ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მეორე უკიდურესობაში მოექცა. ისინი აზვიადებენ ჩვენი ცხოვრების უარყოფითს, არატიპიურ მხარეებს». სწორედ ამგვარი ნაკლოვანებები ახასიათებს ო. ჩხეიძის ნაწარმოებს «ბურუსს».

ეს სიტყვები 1956 წლის 18 იანვარს ითქვა. მაშასადამე ოთ. ჩხეიძეს 50-იანი წლების დასაწყისში უმხელია და სამზეოზე გამოუტანია ის ნეგატიური მოვლენები (სხვა რამის გამო არ გახდებოდა «ბურუსი» ხელისუფლების კრიტიკის საგანი), რომელიც ამდენი ლაპარაკის ობიექტად იქცევა 70-იან წლებში, მთელი 20 წლის დაგვიანებით. ამიტომ პატიოსანი მწერლის სიტყვას პატიოსანი ყური სჭირდება მოსასმენად.

ნურავინ მოიკატუნებს თავს და იტყვის, რომ ადვილი არ არის გაარჩიო, როდის ამბობს მწერალი პატიოსან სიტყვას და როდის ცრუობს. ეს ყოველთვის ყველასათვის გასაგებია, მაგრამ არის მომენტი, როცა თავს განგებ ვიყრუებთ და ვიბრმავებთ, რადგან შექსპირის «გაზაფხულის» ოდნავ შეცვლილი სიტყვებით რომ ვთქვათ

კაფე_თესეო!
კაფე_თესეო!
და დამცინავ ხმას ძახილში ურევს,
არ სიამოვნებს ცოდვიან ყურებს!

რუსთაველის თეატრში აჩვენებენ წარმოდგენას _ «თავისუფალი თემა», რომლის განსჯის საგანი პატიოსნებაა. მოწაფეს არ სურს ტყუილი თქვას. ვერც მშობლებმა და ვერც მასწავლებლებმა ვერ აიძულეს იგი ეღალატა სინდისისათვის _ ეთქვა ის, რასაც არ ფიქრობდა.

ერთხელ ერთმა პასუხისმგებელმა პირმა ასეთი საუბარი გამიმართა:

ის _ იქნებ სჯობს ეს სპექტაკლი მოვხსნათ.

მე _ რატომ, არ მოგწონთ წარმოდგენა?

ის _ პირადად მომწონს, მაგრამ მასწავლებლები ჩივიან.

მე _ რას ჩივიან, რა უნდათ?

ის _ ცუდად ვართ გამოყვანილი, მოსწავლეებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებენო.

მე _ მასწავლებელი, რომელიც ამას ამბობს ან ბრიყვია ან დემაგოგი. მათთვის ყურის დაგდება კი დანაშაულია. ეს წარმოდგენა განიხილეს და განხილვაზე არც მოწაფეს და არც პედაგოგს ამგვარი ბრალდება არ წამოუყენებიათ. პირიქით, ყურდღება გაამახვილეს პატიოსნების და ღირსების საკითხზე.

ის _ არ ვიცი, ჩვენ კი წერილებით წაგვლეკეს.

ამ პასუხისმგებელ პირს წარმოდგენის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ შეწუხებული იყო. შეიძლებოდა მისთვის დაებრალებინათ (ალბათ დააბრალეს კიდეც!), ხალხის ხმას ყურს არ უგდებს, თვითნებობსო. საბედნიეროდ, წარმოდგენის შენარჩუნება მაინც მოხერხდა.

მახსენდება ლიტერატურის ისტორიაში შენახული ფაქტი ადამიანზე მხატვრული სიტყვის ზემოქმედებისა.

დენის ფონვიზინმა თავისი ცნობილი კომედიის «ნედოროსლის» პროტაგონისტის სახე შექმნა აზნაურ ალექსეი ოლენინის მიხედვით.

1782 წელს ოლენინმა ნახა ამ პიესის პრემიერა და თავისთავი იცნო. ამ ამბავმა იგი შეაძრწუნა და მწარედ დააფიქრა. მაგრამ ოლენინს ეკატერინე მეორისათვის არ მიუწერია _ რუს აზნაურებს (მით უმეტეს, რომ ფონვიზინი წარმოშობით გერმანელი იყო) დაგვცინიან და წარმოდგენა მოხსენითო. გამასხარავებულმა ოლენინმა ბეჯითად დაიწყო განათლების მიღება. შემდეგ ოლენინი იყო არქეოლოგი, ისტორიკოსი, პალეოგრაფი, მხატვარი, სახელმწიფო მოღვაწე, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი და სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი.

ოლენინის საქციელი იშვიათი ნიიმუშია პატიოსანი დამოკიდებულებისა როგორც ლიტერატურული ნაწარმოებისადმი, ისე თავის თავის მიმართ. ოლენინმა ფონვიზინის ავკაცობის ძიება და საკუთარი უცოდველობის მტკიცება კი არ დაიწყო, არამედ ღრმად ჩაიხედა თავისი სამშვინველის სიღრმეში. იქ იპოვნა ბოროტების ფესვი და მოკვეთა. ღმერთიცა და ეშმაკიც ადამიანის სამშვინველში ზის. ღმერთის სახელია სინდის-ნამუსი, ეშმაკისა ანგარება. ამიტომ ყოველთვის უნდა განისაზღვროს რა ამოქმედებდა ადამიანს _ პატიოსნება თუ ანგარება.

როცა ილიას მღვდელი მუშის გადასარჩენად მდინარეში გადაეშვა, მას პატიოსნება ამოძრავებდა, რამეთუ სახელიც მოხვეჭილი ჰქონდა და ქონებრივადაც ცუდად არ გრძნობდა თავს. ამიტომ აქ პროტაგონისტის მოქმედების იმპულსი პატიოსნებაა.

როცა ლორთქიფანიძის ბოგანო ყმაწვილი ქვეყნის დამცველი ციხის კედლებში ეტანება, მას, წამებით სიკვდილის გარდა, არავითარი სიკეთე არ ელის. აქაც მოქმედების იმპულსი პატიოსნებაა, რამეთუ, როცა მამულს უჭირს, სინდის-ნამუსი ითხოვს ადამიანისაგან საკუთარი თავის ზვარაკად გაღებას.

როცა მიხეილ ჯავახიშვილი «დამპატიჟეს» წერდა, იგი რისკზე მიდიოდა. რად ღირდა ეს რისკი, მისმა ცხოვრებამ აჩვენა. მაგრამ მწერლური პატიოსნება უკარნახებდა ეთქვა სიმართლე და მწერალმაც უკან არ დაიხია.

ოთარ ჩხეიძემაც იცოდა, რა ღირდა «ბურუსის სიმართლე», მაგრამ აქაც პატიოსნება განსაზღვრავდა მწერლის საქციელს.

ამიტომ როგორც რიგითი მკითხველის, ისე კრიტიკოსის უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, რა განსაზღვრავს მწერლისა თუ პერსონაჟის საქციელს, მოქმედების ლოგიკას. ეს განმასაზღვრელი ფაქტორი უნდა გახდეს ნათელი საზოგადოებისათვის. ჩვენდა სავალალოდ ამ განმსაზღვრელ ფაქტორს არ ვეძებთ და ამა თუ იმ საქციელზე აბსტრაქტულად ვმსჯელობთ.

30-იან წლებში პანტელეიმონ ჩხიკვაძემ მოთხრობა დაწერა სახელწოდებით «რომანტიული ამბავი». მართალია, ეს მოთხრობა მხატვრულად ძალიან სუსტი იყო, მაგრამ არ გამხდარა იგი მძაფრი კრიტიკის საგანი. ტყავი გაამვრეს იმის გამო, რაც ყველაზე ღირებული იყო მასში _ პერსონაჟის პატიოსანი საქციელისათვის.

ამ მოთხრობაში პ. ჩხიკვაძემ გამოიყენა წიფის გვირაბის ამშენებლის შესახებ არსებული ლეგენდა. ლეგენდის თანახმად, ინჟინერმა თავი მოიკლა, რადგან ეგონა, რომ გაანგარიშება შეეშალა. ეს საქციელი საკუთარი ღირსებისა და პროფესიონალიზმისადმი უაღრესად ნამუსიანი დამოკიდებულების შედეგია.

ამ ლეგენდით ისარგებლა მწერალმა და მისი მოთხრობის გმირიც ინჟინერი ხანდაველი თავს იკლავს, რამეთუ მასაც ეგონა, რომ გვირაბის პროექტის შედგენისას შეცდომა დაუშვა.

როგორ თუ საბჭოთა ინჟინერმა თავი მოიკლაო და პანტელეიმონ ჩხიკვაძეს შეუტია კრიტიკამ:

«... თვითმკვლელობა არასოდეს არ ყოფილა როგორც რევოლუციონური აქტი. ეს მსხვერპლი კი არ არის, არამედ წვრილ-ბურჟუაზიული უნიათობის ჟესტია».

«... ბურჟუაზიული მორალის, თავმოყვარეობის მახინჯი გამოხატულებაა».

ასე, ხელის ერთი მოსმით გავხადეთ პატიოსნება ბურჟუაზიული მორალის გამოხატულებად. მერე ზოგიერთმა ინჟინერმა იფიქრა, პატიოსნება ბურჟუაზიული მორალიაო და უნამუსოდ აშენებს და უსინდისოდ იპარავს! რა პასუხი უნდა მოვთხოვოთ! ჩვენ არ ვუმტკიცებდით და ვასწავლიდით _ ღმერთი არ გაგიწყრეთ, პატიოსნად არ მოიქცეთ და «წვრილ-ბურჟუაზიული უნიათობა» არ გამოავლინოთო!

იმის მაგიერ, რომ ტრაგიკული აქტის საფუძველი ამოგვეცნო, მისი მორალური ღირებულება მიგვეწოდებინა და აგვეხსნა მკითხველი საზოგადოებისათვის, განყენებულ მსჯელობას მოვყევით თვითმკვლელობის «ფილოსოფიური არსის» თაობაზე. ვითომ მარქსისტულ პოზიციას ვიცავდით და ის კი დაგვავიწყდა, რომ მარქსის ორმა ქალიშვილმა ლაურამ და ელეონორამ თავი მოიკლეს.

1911 წლის 6 ნოემბერს პოლ ლაფორგმა და მისმა ცოლმა ლაურა მარქსმა თავი მოიკლეს. ეს იყო სრულიად შეგნებული აქტი. ლაფორგი თვლიდა, რომ ადამიანმა 70 წელზე მეტი არ უნდა იცხოვროს. 70 წლის შემდეგ იწყება სიბერე, როცა ადამიანი ხდება ტვირთი როგორც სხვისათვის, ისე თავის თავისათვის. რაკი ლაფორგს 70 წელის შეუსრულდა, მან სრული შეგნებით, მისი რწმენის შესაფერისი საქციელი ჩაიდინა. მართალია, ლაურა მარქსი მაშინ 70 წლის არ ყოფილა, მაგრამ იგი 33 წელიწადი ლაფორგის ჭირისა და ლხინის ერთგული გამზიარებელი იყო და ქმარს არც სიკვდილში უღალატა.

რა არის ეს _ პატიოსნების, ერთგულების, სიყვარულის უმშვენიერესი აქტი თუ ბურჟუაზიული მორალის გამოვლენა? პასუხი, ჩემის აზრით, თავისთავად ცხადია.

სხვათა შორის, პოლ ლაფორგისა და ლაურა მარქსის დასაფლავებაზე სიტყვა წარმოთქვა ვლადიმერ ლენინმა, მაგრამ მას არ უთქვამს, ცოლ-ქმრის საქციელი «წვრილბურჟუაზიული უნიათობაა». პირიქით, პროლეტარიატის წინაშე მათი დიდი დამსახურება აღნიშნა და ლაფორგს «მარქსიზმის იდეების ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და ღრმად გამავრცელებელი» უწოდა.

უფრო ადრე, 1898 წლის 31 მარტს თავი მოიკლა მარქსის უმცროსმა ქალიშვილმა ელეონორამ. ეს ოჯახურმა ტრაგედიამ გამოიწვია. ელეონორას ქმარი ედუარდ ეველინგი მძიმე სენმა შეიპყრო. ცოლის ყოველგვარმა ცდამ, ეხსნა ქმარი ამ მდგომარეობისაგან, ნაყოფი არ გამოიღო და სასოწარკვეთილმა ელეონორამ თავი მოიკლა. ეს ჩაიდინა ქალმა, რომლის ნებისყოფა, სიმტკიცე, მაღალი ინტელექტი თანამედროვეებს აღტაცებას გვრიდა.

თვითმკვლელობა შედეგია ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობისა და არა მსოფლმხედველობის ან კლასობრივი კუთვნილებისა.

ცხადია, არავინ მოუწოდებს, რაიმე შეცდომისათვის თავი მოიკალითო, მაგრამ სინდისიერების და პატიოსნების გამოვლენა ყოვლად დაუშვებელია იწოდებოდეს წვრილბურჟუაზიულ უნიათობად. ამით, გვინდა თუ არა, ზნეობრიობას ვაყენებთ ჩრდილს და უზნეობის აპოლოგიას ვეწევით.

როცა რუსთაველის თეატრში წარმოდგენა «დასაწყისი» (ორიგინალს «პრემია» ეწოდება) დაიდგა, მაყურებელი დამცინავი ხარხარით შეხვდა.

გახსოვთ ალბათ, პიესის პროტაგონისტი უარს ამბობს მიიღოს პრემია: არ დამიმსახურებიაო, დაუმსახურებელი ჯილდო ჩემს ადამიანურ ღირსებასა და პატიოსნებას შეურაცხჰყოფსო. მაყურებელი ხითხითებდა იმის გამო, რომ ასეთი ადამიანი მას ცხოვრებაში არასოდეს შეხვედრია. პირიქით, სწორედ მაშინ ებღაუჭებიან ჯილდოებს, როცა არ დაუმსახურებიათ. ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ მოიპოვონ კიდეც და შეინარჩუნონ კიდეც. რაკი სინამდვილეში არ უნახავს მსგავსი პიროვნება, გამოგონილად ჩათვალა, პროპაგანდისტული მიზნით გამოყვანილად მიიჩნია. იმას კი აღარ გაუწია ანგარიში, რომ ზნეობრიობის პროპაგანდა კარგი პროპაგანდაა, საჭიროც და აუცილებელიც. მაშინაც კი, როცა მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟი გამოგონილია და რეალურს არ ჰგავს. ადამიანის მოქმედებას თუ ზნეობრიობა არ განაგებს, ბოროტმოქმედებას ვერავითარი ადმინისტრაციული საშუალებებით ვერ აღვკვეთთ. მაგრამ ისიც მტკიცედ უნდა დავიხსომოთ, რომ პატიოსნება სიტყვით კი არ უნდა ვლინდებოდეს, არამედ საქმით. თუ ადამიანი თავის ნათქვამს საქმით არ ადასტურებს, ასეთი კაცის პატიოსნებას ჩალის ფასი აქვს. ჩვენ კი სწორედ მოლაპარაკენი მოგვიმრავლდნენ, მკეთებელნი კი შეგვიმცირდნენ. მოხდა ისე, როგორც კოტე მაყაშვილი ამბობდა:

ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ,
სულ, სულ ვლაპარაკობთ!
სიტყვებითა ჰაერს ვათბობთ
და ვირთაგვებს ვაფრთხობთ!
ენის ტრიალს, სიტყვით გრიალს
არ აქვს დასასრული:
ვცდილობთ სიტყვებით მაინცა

ავავსოთ უფსკრული.

დღეს ჩვენი საზოგადოების მტერი სიტყვებით სპეკულაციაა და უზნეობაც ყველაზე მეტად აქ ვლინდება. ამიტომ პატიოსნება ითხოვს, ვინც სიტყვით ბევრს გვპირდება, მას საქმით მოვთხოვოთ ნათქვამის დადასტურება.

1979წ.

მასალა და მოთხრობა

ვისაც ქართული მხატვრული პროზა უყვარს, უთუოდ ექნება წაკითხული ლეო ქიაჩელის «ჰაკი აძბა», მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ მოთხრობაში ნამდვილი ამბავია აღწერილი1.

1918 წლის თებერვალი იდგა. ამიერკავკასიას განაგებდა ამიერკავკასიის სეიმი (მოთხრობაში არასწორად არის ნათქვამი _ ამიერკავკასიის კომისარიატიო. ამ დროს კომისარიატი უკვე აღარ არსებობდა.) სეიმის შემადგენლობა ჭრელი იყო. ვის არ მოეყარა აქ თავი _ ქართველ მენშევიკებს, სომეხ დაშნაკებს, აზერბაიჯანელ მუსავატელებს... ნაირნაირი მიმართულებების და შეხედულებების პოლიტიკოსებს. ერთნი ალთას მიიწევდნენ, მეორენი _ ბალთას. დაშნაკური სომხეთის პრემიერ-მინისტრი ხატისოვი მოგვიანებით წერდა _ სომხური პარტია დაშნაკცუტიუნი კავკასიისათვის ითხოვდა შვეიცარიის მსგავს ფედერაციას, რადგან ითვალისწინებდა სომხების გაფანატულობას მთელ კავკასიაში; ქართველი მენშევიკები კი იცავდნენ რუსეთთან სრული ერთიანობის თვალსაზრის; რაც შეეხებოდა აზერბაიჯანელებს, მათ მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური იდეალი არ ჰქონიათო1. ამის გამო ქვეყანაში მტკიცე ხელისუფლება არ არსებობდა და ირგვლივ უწესრიგობა ბატონობდა.

15 თებერვალს სოხუმის ნავსადგურში მოულოდნელად შეჩერდა დამხმარე კრეისერი «დაკია». იგი ტრაპიზონიდან სევასტოპოლში ბრუნდებოდა. კავკასია-თურქეთის მოშლილი ფრონტიდან რუსეთში გადაჰყავდა ჯარისკაცები. მეზღვაურთა და ჯარისკაცთა უმრავლესობა ოქტომბრის რევოლუციას მიმხრობოდა და მზად იყო კომუნისტური იდეალისათვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა.

ადგილობრივ ხელისუფლებას ძალა არ შესწევდა კრეისერი «დაკია» ქალაქში არ შეეშვა. თავდაპირველად საფრთხეს პირი არ უჩანდა. კრეისერს სურსათისა და წყლის მომარაგება უნდოდა. მგზავრებით სავსე «დაკია» მალე აპირებდა ნოვოროსიისკისაკენ გამგზავრებას, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

სოხუმის ბულვარში «დაკიის» მეზღვაურთა მცირე ჯგუფი ანაზდად შეეჯახა აფხაზთა ასეულის პორუჩიკს თავად ნიკოლოზ ემუხვარს. მატროსებმა ოფიცერს სამხრეების მოხსნა უბრძანეს. შეურაცხყოფილმა ემუხვარმა ბრძანება არ შეასრულა. მაშინ გათავხედებულმა მეზღვაურებმა ძალით ჩამოგლიჯეს მას პაგონები. დამცირების ბოღმით გამწარებულმა ემუხვარმა ერთი მოძალადე მოჰკლა, მეორე დაჭრა და მიიმალა.

ამ ინციდენტმა სოხუმში დიდი არეულობა გამოიწვია. ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ე. ეშბამ, ნ. სვანიძემ და სხვებმა გადაწყვიტეს, ესარგებლათ ამით და ძალაუფლება ჩაეგდოთ ხელში. ისინი სასწრაფოთ გაეშურნენ სოხუმის გარნიზონში. მოილაპარაკეს განრიზონის უფროსებთან და მერე თეატრში მიტინგი მოაწყვეს. მიტინგს, ჯარისკაცების და მეზღვაურების გარდა, ესწრებოდნენ ნავსადგურის და სტამბის მუშები. მიტინგი დაუკავშირდა კრეისერს. სამხედრო ხომალდის მეთაურებმა წამოაყენეს ულტიმატუმი: მოკლული მატროსის ოჯახის დასახმარებლად ქალაქს გადაეხადა 15000 მანეთი, დაუყოვნებლივ მოეძებნათ პორუჩიკი ემუხვარი, სოხუმში ხელისუფლება გადასცემოდა სამხედრო რევოლუციურ კომიტეტს.

«დაკიამ» ულტიმატუმი კი წარადგინა, მაგრამ თავად სოხუმში აღარ გაჩერებულა. ღუზა მოხსნა და იმავე დღეს, საღამოს, ნოვოროსიისკის მიმართულებით გასწია. ოღონდ გემის კომიტეტმა დეპეშა გაგზავნა ბათუმს. ითხოვდნენ, მეყსეულად ჩამოსულიყო სოხუმში, ან ორი ნაღმოსანი ან დიდი საბრძოლო გემი. მართლაც, მეორე დღეს დილით ბათუმიდან სოხუმს ჩავიდა ბოლშევიკების საესკადრო ნაღმოსანი «დერზკიჲ».

ეს გემი 1918 წლის თებერვლის დასაწყისში სევასტოპოლიდან გააგზავნეს ტრაპიზონში, რათა თურქეთის ფრონტიდან რუსეთის არმიის ევაკუაციის წესრიგი დაეცვა. იგი იძულებული გახდა ბათუმში შეეარა საწვავისა და მტკნარი წყლის მოსამარაგებლად.

სოხუმში შესვლამდე ნაღმოსანმა რამდენჯერმე გაისროლა ზარბაზანი, რითიც მოსახლეობა დააშინა.

სოხუმის პორტში შესვლისთანავე «დერზკიჲმ» შეიარაღებული რაზმი გაგზავნა ქალაქში ეშბასთან. ეშბამ რაზმის მეთაურს მოახსენა შექმნილი ვითარება. ნაღმოსანმა მოითხოვა 24 საათის განმავლობაში დაკმაყოფილებულიყო «დაკიჲს» ულტიმატუმი. ამ ულტიმატუმს მიემხრენ სოხუმელი ბოლშევიკები და ადგილობრივი განრიზონის ჯარისკაცები.

სასწრაფოთ შეიკრიბა მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭო. აირჩიეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ეშბას თავმჯდომარეობით. ქალაქში ძალაუფლება ამ კომიტეტის ხელში გადავიდა, რადგან, სოხუმის მაშინდელი მერის ჩხიკვიშვილის სიტყვით, «დერზკიჲს» მეზღვაურები სხვებს აღარ ენდობოდნენ.

გემის კომიტეტის თავმჯდომარემ გრუდაჩევმა ბრძანა: ორ საათში დასცალეთო სასტუმრო «ბრისტოლის» (ახლა სოხუმის საზღვაო პორტის მმართველობა) შენობა. მოხდა სასტუმროს რეკვიზიცია. შეიქმნა მეზღვაურთა ჯგუფები. მათ უნდა გაეჩხრიკათ ყველა სასტუმრო და მოეძებნათ ემუხვარი, სხვა ოფიცრებიც.

რეკვიზირებული იქნა აგრეთვე სასტუმრო «სან-რემო» (აწინდელი «რიწა»). იქ დაბინავდა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. იურკოვის მეთაურობით ჩამოყალიბდა წითელი გვარდიის შტაბი. ამ შტაბს ემორჩილებოდა სოხუმის ტერიტორიაზე მყოფი შეიარაღებული ძალა.

სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით, კონტრიბუცია 15000 მანეთის ოდენობით უნდა გადაეხადა ქალაქის ბურჟუაზიას.

16 თებერვალს სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მთელ მოსახლეობას მოუწოდა, გულმოდგინედ მოეძებნათ ნიკოლოზ ემუხვარი: მალე დრანდის ახლოს შეიპ-

ყრეს პორუჩიკი ემუხვარი და მისი ძიძიშვილი სმელ ბადია. ისინი დაუყოვნებლივ გემზე გაგზავნეს. როცა ნიკოლოზ ემუხვარი ტრაპზე აჰყავდათ, მან იძრო რევოლვერი და მოჰკლა უნტეროფიცერი კონავალჩუკი. უნდა გაეგმირა გემის კომიტეტის თავმჯდომარე გრუდაჩევიც, მაგრამ მეორე ტყვია გაიჭედა ბრაუნინგის ლულაში. რევოლვერის ხელახლა გატენვა ემუხვარმა ვეღარ მოასწრო. პირველ მსოფლიო ომში მას დაზიანებული ჰქონდა მარცხენა ხელი და ვერ ხმარობდა (არის ცნობაც, რომ ემუხვარი საერთოთ ცალხელა იყო). მეზღვაურთა გამხეცებულმა ბრბომ ემუხვარი იქვე აკუწა.

უდანაშაულო სმელ ბადია, როგორც ისტორიკოსი გ. ძიძარია ამბობს, დახვრიტეს (თუმცა ზეპირი გადმოცემით არის სხვა ცნობაც: სმელ ბადია გემის საცეცხლურის კვამლში დაახრჩვესო).

ამის მერე «დერზკიდ» სოხუმში აღარ დარჩენილა. მეზღვაურებმა მოითხოვეს, კონოვალჩუკის ცხედრის სევასტოპოლში წასვენება. ნაღმოსანი ყირიმში წავიდა.

ასეთია მოკლედ ნამდვილი ამბავი.

ცხადია, მოთხრობაში იგი გარკვეული დოზით და თვალსაზრისით გადაკეთებულია: უპირველესად უნდა აღვნიშნო, რომ შეცვლილია ორივე პროტაგონისტის სახელი და გვარი. ნიკოლოზ ემუხვარი გახდა უჯუშ ემხა (ემუხვარი და ემხაა ერთი და იგივე გვარია. ოღონდ ემუხვარი ქართული ფორმაა, ემხაა _ აფხაზური), სმელ ბადია _ ჰაკი აძბა. მხატრული ნაწარმოებისათვის ამ ბუნებრივ მოვლენაში თითქოს არაფერია საგანგებოდ აღსანიშნავი, მაგრამ მაინც მიმაჩნია აუცილებლად ამისი თქმა: საქმე ის გახლავთ, რომ ორივე პერსონაჟის სახელი და გვარი რიტმიზირებულია. უჟუშ ემხაც ოხთმარცვლიანია და ჰაკი აძბაც. მარცვალთა თანაბარი რაოდენობა აპოეტურებს მათ სახელსა და გვარს, ხდის იოლად დასამახსოვრებელს და იმთავითვე ემოციური თანაგრძნობით განაწყობს მკითხველს. ეს კი უკვე მწერლის პოზიციაა და ამდენად საყურადღებოა.

ლეო ქიაჩელმა შეცვალა გემის სახელწოდებაც. «დაკიასა» და «დერზკიდს» ნაცვლად არის კრეისერი «შმიდტი». ესეც გარკვეული მიზნით არის გაკეთებული.

არც «დაკია» და არც «დერზკიდ» მკითხველს არაფერს ეუბნება. «შმიდტი» კი უცბათ აღძრავს ასოციაციას და დაგაკავშირებს იმ წლებში მეტად პოპულარული ადამიანის სახელთან. ეს კაცი გახლავთ შავი ზღვის ფლოტის ლეიტენანტი პეტრე შმიდტი.

შმიდტი არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა, მაგრამ აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში. იგი მკაცრად და დაუნდობლად აკრიტიკებდა თვითმპყრობელობას, რითაც მუშებისა და მეზღვაურების სიყვარული დაიმსახურა. შმიდტი სევასტოპოლის მუშათა დეპუტატების საბჭოს მუდმივ დეპუტატად აირჩიეს. 1905 წლის ოქტომბერში იგი დააპატიმრეს. მართალია, მალე გაანთავისუფლეს, მაგრამ ფლოტიდან დაითხოვეს. როცა 1905 წლის ნოემბერში მეზღვაურთა აჯანყება დაიწყო, შმიდტი კრეისერ «ოჩაკოვის» მეთაური გახდა. მან თავი ფლოტის სარდლად გამოაცხადა. შმიდტმა შეადგინა გეგმა შავი ზღვის ხომალდების ხელში ჩასაგდებად, მაგრამ სხვა მეთაურთა გაუგებარი მოქმედების გამოისობით კრეისერი «ოჩაკოვი» დამარცხდა. შმიდტი დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს. სასამარ-

თლოზე მან ვაჟკაცური სიტყვა წარმოთქვა. სიტყვა მიმართული იყო ცარიზმის წინააღმდეგ. 1906 წლის 6 მარტს პეტრე შმიდტი დახვრიტეს.

აი ასეთი მამაცური ბიოგრაფიის მქონე ადამიანის სახელი უწოდა მწერალმა სოხუმის პორტში შემოსულ სამხედრო გემს. ამით ლ. ქიაჩელმა გემი რევოლუციური რომანტიკით შემოსა.

სახელების ამგვარი ცვლილება თითქოს უბრალო დეტალია, მაგრამ ისეთი, რომელიც მკაფიოდ ავლენს მწერლის მიზანს _ დაიცვას ემოციური წონასწორობა.

ემოციური წონასწორობის დაცვის სურვილი განსაკუთრებით ცხადად მჟღავნდება უჯუშ ემხვასა და კუზმა კილგასადმი დამოკიდებულებაში.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ნიკოლოზ ემუხვარი მარცხენა ხელს ვერ ხმარობდა. არსებითად ცალხელა კაცმა, მტრის წინაშე მარტოდმარტო მყოფმა, მაინც მოახერხა ერთი დუშმანი მოეკლა და გემის უფროსიც შეიძლება გაეგმირა, იარაღს რომ არ ემტყუნა. თავად ეს ფაქტი პორუჩიკ ემუხვარის მამაცობაზე მეტყველებს. ემოციურად მკითხველი ემუხვარს უთანაგრძნობს და მის მიმართ სიმპათიით იმსჭვალება. მაგრამ მწერალს არ სურს მოთხრობის ერთ პროტაგონისტს მეორის მიმართ რაიმე უპირატესობა ჰქონდეს. ამიტომ მოთხრობაში არ არის აღნიშნული, რომ უჯუშ ემხა ცალხელა იყო. ემხას არავითარი ფიზიკური ნაკლი არ აქვს. სამაგიეროდ ფიზიკული ნაკლი პროზაიკოსმა კრეისერ «შმიდტის» კაპიტანს მოუძებნა.

ლეო ქიაჩელი გულმოდგინედ ხატავს კუზმა კილგას პორტრეტს და ხაზს უსვამს კაპიტნის სახის ჭრილობას.

«მათ მხოლოდ ახლა გამოარკვიეს უფროსის გაორებული სახისა და გასამებული თვალების ნამდვილი ამბავი: _ ეს იყო შედეგი დიდი, ღრმა, ძლივს შეხორცებული ჭრილობისა, რომლის მოწითალო კვალი მთელ სახეზე გადაუდიოდა ირიბად, მარცხენა საფეთქლიდან დაწყებული, ვიდრე ნიკაპის მარჯვენა კუთხემდე. მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოს ერთი ნახევარი, შუაში გაჭრილი წარბის ქვეშ, ჩამოთლილი ჰქონდა და გაშიშვლებული. კაკლის ნაწილი ამ ადგილას მუდამ ღია ცალკე თვალის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მეორე ნაწილის გვერდით, რომელსაც ქუთუთოს ნაგლეჯი შერჩენოდა. ამ თვალიდან ჭრილობა ლოყას მიყვებოდა და ნესტოჩამოკვეთილ ცხვირთან, შუაში გადაჭრილ ტუჩებზე გავლით, ნიკაპის მარჯვენა კუთხეში წყდებოდა.

სახის მთელი ეს კანშემოჭიმული ნახევარი უძრავი და უცვლელი იყო, სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად უსასტიკესი რისხვის გამომეტყველებას ატარებდა წინააღმდეგ მეორე ნახევრისა, რომელსაც მშვიდი, ღრმა და ხანდაზმულობის გონიერი იერით ამეტყველებული თვალი ამშვენებდა».

ამ შემზარავი პორტრეტის საშუალებით ლეო ქიაჩელი გვიამბობს, რა მძიმე და ფათერაკით სავსე ცხოვრება ჰქონდა გავლილი კუზმა კილგას.

თავდაპირველად შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ლეო ქიაჩელი ემოციურ წონასწორობას კი არ იცავს, არამედ აშკარად გამოხატულ, შეუნიღბავი ტენდენციურობის გზას ადგას. უჯუშ ემხას, როგორც თეთრგვარდიელს, მოაკლო ფერი და პირიქით, კუზმა კილგას, როგორც რევოლუციონერს, მოუმატა. უფრო მსუყე საღებავებით დახატა. მაგრამ ეს ზერელე შთაბეჭდილება იქნება და მოთხრობის არსში ჩაუხედაობა. საქმე ის გახლავთ, რომ მოთხრობაში აღწერილი ამბავი მწერალს არ აძლევს

საშუალებას უფრო დაწვრილებით გვიამბოს კუზმა კილგას ცხოვრება. ამიტომ ყველაფერი უნდა გამოიხატოს კილგას რელიეფურად დახატული პორტრეტით. ამ გზით უნდა გამოავლინოს კუზმას ვაჟკაცური ბუნება, რევოლუციის დაუნდობლობაც და რომანტიკაც.

კუზმას კონკრეტულ საქციელს მკითხველი ვერ ნახავს მოთხრობის ფინალამდე, მაგრამ აუცილებელია მწერალმა მოამზადოს მკითხველის ემოციური განწყობილება ამ პროტაგონისტისადმი, რამეთუ ამბის ბოლოს იგი დაუპირისპირდება უჯუშ ემხასა და ჰაკი აძბას. ორივე მხარეს თანაბარი ემოციური ძალა უნდა ჰქონდეს, თორემ მწერლის ტენდენცია (აქედან გამომდინარე აზრობრივი შინაარსის ტენდენცია) გაშიშვლდება და უინტერესო, არამიმზიდველი გახდება. თუ ემოციური ინტერესი დაქვეითდა, გაქრება არაჩვეულებრივის, საშიშის, უცნაურის მოლოდინის გრძნობაც. ეს რომ არ მოხდეს, ლეო ქიაჩელი აფორიაქებს მკითხველის ემოციურ სამყაროს. ამ მიზნით პროზაიკოსმა გამოიყენა, ერთი მხრივ, კუზმა კილგას პორტრეტი და, მეორე მხრივ, თავზარდაცემულ ქალაქში შექმნილი შიშის განწყობილება. კრეისერის გამოჩენამ ქალაქი ფეხზე დააყენა და ყველას, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, მდიდარსა თუ ღარიბს შიშის კანკალი აუტეხა.

ერთი სიტყვით, შიშმა წაახდინა მთელი ქალაქი და თქვენ წარმოიდგინეთ, თავდაპირველად უჯუშ ემხაც. ამას საგანგებოდ აღწერს ლეო ქიაჩელი.

სასტუმროს პატარა ოთახში ბანქოს თამაშობენ. უჯუშ ემხა არ მონაწილეობს. იგი სავარძელში მიწოლილა და ჩაუძინია. ძილში რაღაც კოშმარი აწუხებს და სტანჯავს. ჯერ ამხანაგები უჯუშს ყურადღებას არ აქცევდნენ. ბანქოს თამაშით იყვნენ გატაცებული, მაგრამ თანდათან უჯუშის ტანჯვა-წვალება აუტანელი გახდა და მისი გაღვიძება სცადეს. უჯუში ფეხზე წამოვარდა.

«ფეხზე დამდგარმა, მაგრამ ისევ მძინარემ ტანი ისე მოიმარჯვა, თითქოს მოსისხლე მტერს უტევსო _ წელზე წაივლო ხელები, სადაც სატევარი ეგულებოდა. მარჯვენით ტარს ეძებდა, მარცხენით _ ქარქაშს. როცა ვერც ერთი ვერ მოძებნა, ხელი რევოლვერისაკენ გააქანა. ესეც რომ არ აღმოაჩნდა, კანკალი დააწყებინა, ბრაზისაგან გაიგუდა».

ამის შემყურე ამხანაგები მისცვივდნენ და დამშვიდება დაუწყეს. უჯუშიც ნელ-ნელა მოეგო გონს.

«_ ამისთანა რა მოგეჩვენა უჯუშ, რომ ასე შეგვაშინე. დაწყნარდი, შე კაცო, არაფერია... ბოლშევიკები ჩვენში ჯერ კიდევ არ არიან.

_ მე კი სწორედ ისინი მომეჩვენენ... თითქოს.....გემით მოვიდნენ. თითქოს...»

ეს ყოვლისმომცველი შიში, რომელიც ადამიანს თავისუფალი მოქმედების საშუალებას ართმევს, დამოუკიდებელი პერსონაჟია ლეო ქიაჩელის მოთხრობისა.

სწორედ აქ იწყება ძირეული განსხვავება ემპირიულ მასალასა და მოთხრობის შინაარსს შორის.

1918 წლის თებერვლის შუა რიცხვებში სოხუმის პორტში რევოლუციური გემების შემოსვლა მოსახლეობამ შეაფასა როგორც იმ დროისათვის ჩვულებრივი ინციდენტი, რომელიც ერთთათვის უსიამოვნა იყო, ხოლო მეორეთათვის _ დიდი სიხარულის მომგვრელი. გამოიყენეს კიდეც ეს შემთხვევა. მოსახლეობის რევოლუციურმა ნაწილმა ისარგებლა ამით და გარკვეული ხნით ძალაუფლებაც კი ჩაიგდო ხელში.

ლეო ქიაჩელი ამ ამბებს მთლიანად სტოვებს და ხაზს უსვამს, წინა პლანზე წევს შიშის პრობლემას.

შიშმა დააკარგვინა ღირსება ქალაქის თავკაცებს. ისინი რეტდასხმული მიმორბიან, ფაციფუცობენ, ცდილობენ ღირსეული შეხვედრა მოუწყონ კრეისერ «შმიდტს». მეთაურების პანიკა ხალხსაც გადაედო.

«მოქალაქენი მეტწილად თავიანთ სახლებს უტრიალებდნენ და წითელი დროშებით ამკობდნენ. დიდი და პატარა ერთ სურვილს აეტანა: რაც შეიძლება მალე, საჩქაროდ, მეზობლებზე უფრო ადრე გამოეკიდა თავისი სახლის წინ წითელი დროშა და ამით ყოველი ეჭვი თავიდან აეცილებინა, ვისაც შინ დროშა არ აღმოაჩნდებოდა, ბაზრისაკენ გარბოდა, წითელ ნარმას ყიდულობდა და უკან დაბრუნებული, გზადაგზა, დროის მოსაგებად დროშას სახელდახელოდ ამზადებდა: ნარმას ჯოხზე ამაგრებდა».

...»ზღვის ნაპირის გასწვრივ გაშლილი პალმების ხეივანზე გამავალი დიდი სასტუმროს ქვედა სართული, რომელშიც რესტორანი იყო მოთავსებული, წითელი არშიებით დაებლანდათ. არშიებზე ფერად-ფერადი რევოლუციური წარწერები აეჭრელებინათ რუსულ ენაზე, ხოლო რესტორნის შესავალი თაღით დაემშვენებინათ და ზედ დიდრონი ასოები აეთამაშებინათ:

_ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

შიგ რესტორანში სუფრას შლიდნენ ასი კაცისათვის».

ეს არ იკმარეს. სახელდახელოდ დელეგაცია შეადგინეს, გემზე გაგზავნეს და კაპიტანს აახლეს. თან ისიც გაითვალისწინეს, რაგორი დელეგაცია ესიამოვნებოდა რევოლუციური გემის ეკიპაჟს: «...ქალაქის თავი სამსონ დევანაძე, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ნარიქ ეშბა და ხუთი მუშისაგან შემდგარი დელეგაცია, აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა რიცხვის მიხედვით შერჩეული».

დელეგაციამ ლაქიური სიტყვით მიმართა მეზღვაურებს და მათ კაპიტანს «ჩვენ აქ მისთვის მოვედით, რომ მთელი ამ კუთხის სახელით, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, გემის მთელ ხელმძღვანელობას და კერძოდ მის სახელგანთქმულ მეთაურს ამხანაგ კუზმას უაღრესი პატივისცემა და ძმური სალამი გადავცეთ». მერე ერთგულება, თანადგომა და მხარდაჭერა შეჰფიცეს და გემის მთელი ეკიპაჟი ქალაქში მიტინგზე მიიპატიჟეს.

მიტინგიც ზეიმით ჩატარდა. მთელი ქალაქი ერთხმად ყვიროდა:

«_ გაუმარჯოს «შმიდტს»!

_ გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციას!

_ გაუმარჯოს სოციალიზმს»!

ლეო ქიაჩელს სრული სურათი აქვს დახატული, როგორ დათანხმდა შიშით თავზარდაცემული ქალაქი ყოველგვარ დამცირებას. როგორ ცდილობდა იგი პირფერობითა და ლიქნით გადარჩენილიყო.

არაფერმა უშველა. ტრაგიკული შემთხვევა მაინც მოხდა. შტაბსროტმისტრმა უჯუშ ემხამ მოჰკლა მეზღვაური ხრიტანიუკი: კრეისერი «შმიდტი» ფეხზე დადგა. ქალაქის დელეგაციის თავკაცი ბექირბი ჩაჩბა მძევლად დასტოვეს გემზე. თან მრისხანე განკარგულება გაიცა: თუ ქალაქი ერთ საათში არ ჩააბარებდა მკვლელს, მაშინ

კრეისერი იმოქმედებდა «სოხუმის წინააღმდეგ, როგორც მოსისხლე და ვერაგ მტრის ბანაკის წინააღმდეგ ომის დროს».

ისედაც თავგზააბნეული ქალაქი მთლად წახდა და დაჩაჩანაკდა. «ერთი საათის ვადა ყველას ცეცხლივით შეეკიდა და შიგ ტვინში აუვარდა. უმწეობისა და სასოწარკვეთილების გმინვა გაისმა ირგვლივ». შიშმა თანაგრძნობის უნარი წაართვა ხალხს და ყველამ უჯუშ ემხას ძებნა დაიწყო. ემხა გასწირა დეიდაშვილმაც თოუხან მარშანმაც.

«მილიციის და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს თავდაპირველად ქალაქიდან გასავალი გზები შეეკრა. მეორე ნაწილი მახლობელ თემებისკენ დაძრულიყო სოფლების ფეხზე დასაყენებლად და ემხასთვის გზის გადასაჭრელად, ვინიცობაა იგი ქალაქიდან გასვლას მოასწრებდა. მესამე ნაწილს კი... სოხუმის განაპირას, მთის კალთის ძირში მიჩქმალულ ემხას სახლკარისათვის ალყა შემოერტყა».

«მოსულებმა ოთახები გაჩხრიკეს. მერე ეზოში მიმოფანტულ შენობებს შეესივნენ _ სამზარეულოს, საჯინიბეს, სასიმინდეს...»

უჯუშ ემხა მიტოვებული, განწირული და იმედდაკარგული აღმოჩნდა. ერთადერთი კაცი ვინც მისი გადარჩენისათვის იბრძვის, ჰაკი აძბაა, უჯუშის ძიძიშვილი. მაგრამ მარტო ჰაკი რას გახდება. შიშით არა მარტო ღირსება და თანაგრძნობის უნარი დაკარგეს, არამედ მატყუარებიც გახდნენ. უჯუშს ცრუ გინცით1 ამხნევებენ:

«...მთელი აფხაზეთი ჩაერევა ამ საქმეში და უჯუშს სიკვდილისაგან იხსნის.

«...შიში ნუ გაქვს: სიკვდილით არაფერს გაგიჭირვებთ».

ასე ემუდარებიან უჯუშ ემხას, რომ როგორმე დაითანხმონ _ დანებდეს კრეისერს და დანაშაული აღიაროს. იმის გამბედაობაც არ ყოფნით, სიკვდილის წინ სიმართლე უთხრან მომაკვდავს და საკუთარი სილაჩრე აღიარონ. ტყუილი დაპირებით ცდილობენ ზვარაკი ჯალათს მიგვარონ, თუმცა კარგად უწყიან, არც მსხვერპლს და არც მზორავს არ სჯერა ამ ლიტონი იმედისა და პირობის მიცემისა.

უფრო მეტიც: საკუთარი დაცემა არ იკმარეს და ცდილობენ უჯუშიც გამყიდველი გახადონ. როცა სასოწარკვეთილი ჰაკი აძბა ვერას გახდა, და ძუძუმტე ვერ იხსნა, გადაწყვიტა დანაშაული და ბრალი თავს ედო. მომხდურებს განუცხადა _ მეზღვაური მე მოვკალიო. ის იყო უჯუშს უნდა ეყვირა, ჰაკი ტყუისო, რომ «ხუთიოდე თავადის ხელი პირზე აეფარა და სუნთქვა შეუკრა.

_ უჯუშ, ხმა არ ამოიღო.

და ისე ვიწროდ შეკრეს წრე მის გარშემო, რომ გასაქანი არ მისცეს, შებორკეს და შეხუთეს.

_ ძიძიშვილი რომ არის, თავიც უნდა გასწიროს შენთვის. კარგად იქცევა, იცოდე სიტყვა არ დასძრა.

_ ერთი გლეხი რომ შეეწიროს შენისთანა თავადს რა დიდი ამბავია!

_ მით უმეტეს, რომ ჰაკი მდაბიოა, ბოლშევიკები ბატრაკად ჩათვლიან, და, იქნება არც დახვრიტონ. შენ კი ოფიცერი ხარ და თავადი, სიკვდილი არ აგცდება. აცალე ჰაკის, ხელს ნუ შეუშლი.

ეუბნებოდნენ უჯუშს ყოველი მხრიდან».

ზნეობრივი გახრწნილების სურათი დასრულებულია. ეს ხალხი ყველაფერს იკადრებს, ოღონდ სიცოცხლე შეინარჩუნოს. მათთვის აღარ არსებობს ღირსება,

თანაგრძნობა, ერთგულება, სიმართლე, პატიოსნება. ყველაფერი ეს შიშმა გამოაცალა და გადააქცია უგუნურ ბრბოდ.

უჯუშ ემხა უნებლიეთ და მოულოდნელად ამ საზოგადოებას დაუპირისპირდა. აშკარაა რომ ეს ხალხი უჯუშს არ შეიბრალებს. ემხას განწირვით ცდილობენ გადარჩენას და, ცხადია, ყოველგვარი ლაპარაკი გამოსარჩლებაზე ზედმეტია. რა უნდა ქნას ყოფილმა ოფიცერმა და თავადმა? იგი გადაწყვეტს დანებდეს: რაც მოუვა მოუვიდეს. «_ აქ ვარ მეზღვაურების ნამდვილი მკვლელი და გნებდებით».

ლეო ქიაჩელი არ გვეუჩხნება, როგორ და რატომ მივიდა ამ დასკვნამდე უჯუშ ემხა. სულ ცოტა ხნის წინათ არც უჯუშს და არც ჰაკის «რასაკვირველია, ცოცხლად თავის დანებება ფიქრადაც არ მოსდიოდათ». აგვიწერს მხოლოდ შექმნილ სიტუაციას და აქედან ჩვენ უნდა ამოვიცნოთ, რამ აიძულა ემხა წინააღმდეგობის გაუწევლად დამორჩილებოდა შიშით თავზარდაცემულ ბრბოს. თუ მოვლენას ზერელედ შევხედავთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ უჯუშს შეებრალა მძევლად დატოვებული ბექირბი ჩაჩბა და დაპატიმრებული დედამისი. მათ დახსნისათვის ემხამ ამჯობინა მორჩილება და წინააღმდეგობა შეწყვიტა. მართალია ბექირბი ჩაჩბას მკვლელობამ და შოუჰარი ემხას დაჭერამ შეარყია უჯუშის სიმტკიცე, მაგრამ დანებების გადაწყვეტილების მიღება გაცილებით უფრო რთულ საფუძველს ეყრდნობოდა.

ამ საფუძვლის დასანახავად გავყვეთ მოვლენათა პროცესს.

უჯუშ ემხას განძრახ არ მოუკლავს მეზღვაური. პირიქით იგი ცდილობდა მორიდებოდა რევოლუციური გემის მატროსებს და შეუმჩნევლად მიმალულიყო, მაგრამ ვასილ ხრიტანიუკმა ფარდულიდან მოჰკრა მას თვალი. დაედევნა, წამოეწია და შეაჩერა. ემხა «გარეგანი სიმშვიდის დაცვით მეზღვაურის შემდეგ ნაბიჯებს ელოდებოდა უხმოდ, უსიტყვოდ. ბრაზი მოერია ვასკა პირატს. მოთმინება არ ეყო ოფიცერს ეპოლეტებისა და ოქროს ორდენისათვის კიდევ ეცქირნა... და მარცხენა ხელი ემხას მარჯვენა ხელს ხმალივით შემოუქნია. კლანჭებად მომარჯვებული თითები ეპოლეტში ჩაასო და მოსაგლეჯად მოსწია.

იმავე წამს რევოლვერი გავარდა და განგმირული ვასილ ხრეტანიუკი მიწაზე გაიშხლართა უსულოდ».

დღესავით ნათლად ჩანს, რომ უჯუშ ემხამ მოძალადე მოკლა საკუთარი ადამიანობრივი და მოქალაქეობრივი ღირსების დასაცავად. მაგრამ ამის გაგებას არავინ შეეცდება. არავინ გაარჩევს მტყუანსა და მართალს კლასობრივი ეგოიზმით დაბრმავებულ საზოგადოებაში და უჯუშ ემხა აპრიორი დამნაშავეა. რაკი იგი თავადია და ოფიცერი, მას იმთავითვე უარი ეთქვა სამართლიანობაზე. ამიტომ განწირულია. ერთადერთი იმედის ნაპერწკალს შეიძლება აღვივებდეს არისტოკრატთა და მდიდართა კლასის უღონო თანაგრძნობა. მაგრამ ესეც გამორიცხულია: უჯუშ ემხა განსაცდელის გაჩენისთანავე მიატოვეს ამხანაგებმა: გამოჩდა თუ არა მეზღვაური, ისინი უჯუშს «უმალვე ჩამოცილდნენ. ჯერ შორ-შორს დადგნენ და შემდეგ, როცა ვასილ ხრიტანიუკი ემხას მედგარი ნაბიჯით დაუახლოვდა, პალმებს შორის დაიფანტნენ, უჩინარნი შეიქმნენ». ასე შეატოვეს «მეგობრებმა» უჯუშ ემხა მტრებს ხელში. ღალატის პირველი გაკვეთილი უკვე მიიღო უჯუშმა. მეორე გაკვეთილი უფრო ფართო და მასობრივი იქნება.

როცა ქალაქის მესვეურებმა შეიტყვეს, უჯუშ ემხამ მეზღვაური მოჰკლაო, შიშით გაოგნებულმა სამსონ დავანაძემ «ყველას გასაგონად სასტიკი ბრძანება გასცა, ქალაქი ყველა მხრიდაí შეეკრათ. არც ტყვია დაეზოგათ, არც ცეცხლი და არც მახვილი, ოღონდ ოფიცერი ემხა აღმოეჩინათ და მისთვის ცოცხალი მოეგვარათ. მერე თავისი მგრგვინავი ხმის კიდევ უფრო ამაღლებით ხალხს მიუბრუნდა და რუსულად მიმართა, რათა მისი ყოველი სიტყვა მეზღვაურებსაც კარგად გაეგონათ:

_ მოქალაქენო, ჩვენს ქალაქში ქურდულად შემოხიზნული ოფიცერი უჯუშ ემხაა ჩვენი დამღუპველი. იგი თავს დასხმია ჩვენს სტუმრებს ქუჩაში და საშინელი მკვლელობა ჩაუდენია. ემხა ჩვენი მკვლელიც არის ამხანაგებო! შინ გვყოლია მტერი, მოღალატე და დროზე ვერ მივმხვდარვართ. ჩვენი ხსნა საშინელი წყრომისაგან, რომელიც უთუოდ დავიმსახურეთ, მხოლოდ ერთ რამეს შეუძლია: საკუთარი ხელით შევიპყრათ დამნაშავე და მივგვაროთ მოკლულის ამხანაგებს დამსახურებული სასჯელის მისაზღავად».

და მთელი ქალაქი ერთიანად აღსდგა უჯუშ ემხას წინააღმდეგ.

ასე მოექცა უჯუშ ემხა ღალატსა და შურისგებას შორის. როგორც შურისგებას, ისე ღალატს, კვებავს სიძულვილი ემხას მიმართ. სიძულვილი ბრმაა და ამშვიდებს მხოლოდ მოწინააღმდეგის განადგურება. უჯუშ ემხამ დაინახა ეს და ამის შეცნობამ უკარნახა მას დანებება _ დამორჩილება.

უჯუშ ემხასათვის ნათელი გახდა ისიც, რომ საზოგადოება, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, ზნედაცემული საზოგადოებაა. ამ საზოგადოებას აღარ გააჩნია ღირსება, ვაჟკაცობა, ერთგულების, თანაგრძნობის უნარი. იგი შიშით ნიორწყლად არის ქცეული. მერე და ღირს კი ასეთ საზოგადოებაში ცხოვრება? ადამიანს უჭირს უკონტაქტოდ არსებობა. ვისთან უნდა ჰქონდეს უჯუშს ურთიერთობა? ვის ენდოს იგი? ესენი ხომ პირველი საფრთხისთანავე გაგყიდიან! უჯუშმა გააცნობიერა რომ იგი სრულიად მარტოა. მარტოხელას ერთადერთი გზა დარჩენია, ან თავი მოიკლას, ან მტერს დანებდეს. უჯუშ ემხას შემთხვევაში ეს ორი ვარიანტი ერთ შედეგს იძლეოდა _ სიკვდილს. ემხა დამორჩილდა სიკვდილს. ამიტომ შეუშვირა ღვთაებრივი სიმშვიდით მეზღვაურების ტყვიას გული.

კიდევ ერთი საფუძველი აქვს უჯუშ ემხას მორჩილებას.

უკვე ვთქვი, რომ უჯუშმა დაინახა თვალნათლივ და აშკარად, როგორ დაეცა და წახდა ის საზოგადოება, რომლის შვილიც თავად იყო. ამის შეცნობა ღირსებადაუკარგავ ადამიანში უსაშველო სიბრალულს იწვევს. უჯუშ ემხასაც შეეცოდა თავისი ხალხი. ბუნებრივად გაუჩნდა მისი გადარჩენის სურვილი, მაგრამ რით შეეძლო შველა? დაცემულ საზოგადოებას სიტყვითა და მოწოდებით ვერ გამოაფხიზლებ. იგი ბრმაა და ყრუა ამაღლებულის მიმართ. ერთადერთი, რაც დაცემულ საზოგადოებას დააფიქრებს და განსჯის სურვილს გაუჩენს, ეს არის მსხვერპლი, ნებაყოფლობით გაღებული ღირსეულის მიერ.

აი, ამ ზვარაკის სახელითაც დანებდა და დამორჩილდა მტერს უჯუშ ემხა.

ეს უკვე ზნეობრივი გმირობაა და გასაგები ხდება, რატომ თქვა ლეო ქიაჩელმა უარი აღეწერა ფინალში ნიკოლოზ ემუხვარი-უჯუშ ემხას ის ვაჟკაცური ქმედება, რომელიც სინამდვილეში მოხდა. ეს მაინც ფიზიკური სიმამაცე იყო, რომელიც პროტაგონისტის ზნეობრივ სიღრმეზე არაფერს ეუბნებოდა მკითხველს. მწერალს კი

უპირველესად პერსონაჟის სამშვინველის მოძრაობა აინტერესებდა და სწორედ ამ კუთხით გააშუქა მან უჯუშ ემხას სახე. უჯუშ ემხამ სიკვდილის ფასად დათრგუნა შიში და შეინარჩუნა ადამიანის ღირსება.

თუ ნიკოლოზ ემუხვარის ცხოვრების ტრაგიკული დასასრული მწერალს მნიშვნელოვან მასალას აძლევდა ფიქრისა და ანალიზისათვის, არანაკლებ საყურადღებო იყო სმელ ბადიას საქციელი. მართალია, დღეს სმელ ბადიაზე მარტო ის ვიცით, რომ იგი ძიძიშვილთან ერთად დაიღუპა, მაშინ ლეო ქიაჩელს გაცილებით მეტი შეიძლება გაეგონა და მოესმინა გლეხკაცის თავგანწირულ ერთგულებაზე.

როგორც რეალური პიროვნება სმელ ბადია, ისე მოთხრობის პროტაგონისტი ჰაკი აძბა ერთგულების განსახიერებაა.

ჰაკი აძბას მოქმედების ლოგიკის ამოსაცნობად უნდა გავიგოთ, რამ დაბადა მასში უდრეკი ერთგულების გრძნობა. თვითონ ჰაკი ამ ერთგულებას მამის ანდერძით ამართლებს _ «მამაჩემმა მიანდერძა, როცა კვდებოდა: უჯუში შენი მზე არის, ეს იცოდეო. სიცოცხლე იმისათვის მომიცია, რომ იგი უჯუშს შესწირო, როცა ამის საჭიროება დადგებაო». რა თქმა უნდა, მომაკვდავი მამის უკანასკნელ დანაბარებს შვილისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ აძბას ერთგულებას მარტო ამით ვერ ავხსნით. აშკარაა, რომ ერთგულება ჰაკი აძბას პიროვნების თვისებაა. (სხვათა შორის, სწორედ ეს ვერ გაიგო კუზმა კილგამ, რითაც სულიერი სიბეცე გამოავლინა. მაგრამ ამაზე ბოლოს ვილაპარაკოთ), თორემ არც თოუხან მარშალი აღუზრდიათ ორგულების ქადაგებით. მასაც თავდადებისა და ერთგულების იდეალით ზრდიდნენ. მაგრამ, რაკი მის პიროვნებაში არ დაიდო ერთგულების თვისება, უცებ დათანხმდა უჯუშ ემხას საწინააღმდეგოდ ემოქმედა. თუმცა ემხას სწორედ მისი, როგორც დეიდაშვილის, დახმარების იმედი ჰქონდა, ისიც საყურადღებოა, რომ თოუხან მარშანი ცრუ დაპირებითა და კეთილგონიერებით ამართლებდა თავის მოღალატურ საქციელს.

ასეა: ყოველი ლაჩარი საკუთარ სიმხდალეს კეთილგონიერებით ამართლებს. თან გაყვედრის და გამუნათებს _ შენი უჭკუობით სხვის საქმეს აფუჭებო. შენზე ნაკლები ვაჟკაცი არც მე ვარ, მაგრამ სხვას რომ უბედურება არ შევამთხვიო, წინდახედულად ვიქცევიო. ყოველგვარი ნიღაბი არსებობს ამ ქვეყნად. მათ შორის სილაჩრის გამამართლებელი კეთილგონიერებისაც.

ერთგულებამ უკარნახა და ჰაკი აძბამ ორჯერ სცადა უჯუშ ემხას გადარჩენა.

პირველად მაშინ, როცა საზოგადოებამ გასწირა უჯუში და თავდახსნის ყველა გზა გადაიკეტა. მეორედ კი მაშინ, როცა უჯუში კუზმა კილგას მიჰგვარეს გემზე. ორივეჯერ თავად დაიბრალა ჰაკიმ _ მეზღვაური მე მოვკალიო. ორივეჯერ ამაო გამოდგა ძუძუმტის მსხვერპლი. უჯუშ ემხამ ზუსტად გააცნობიერა, როგორც შიშისა და ღალატის, ისე კლასობრივი ეგოიზმის ატმოსფეროში სულიერი კეთილშობილება გაუგებარი და დაცინვის საგანია. უჯუშისათვის სიკვდილი ისე საშიში არ იყო, როგორც დაცინვა. მას არ უნდოდა, რომ ჰაკის სულიერი სისპეტაკე დაცინვის საგანი გამხდარიყო, ამიტომ ყველასათვის ნათელი გახადა ძიძიშვილის უდანაშაულობა. აქ ერთმანეთის გვერდით ორი თანაბარი ადამიანური ღირსების კაცი დგას. გლეხი ტოლს არ უდებს თავადს კეთილშობილებაში და თავადი არ ჩამორჩება გლეხს სუ-

ლიერი სიმდიდრით. ვერც ამას მიხვდება კუზმა კილგა. გლეხისა და თავადის სულიერი ღირსება მისთვის სრულიად გაუგებარი და მიუწვდომელი ფენომენია.

როცა ჰაკი აძბამ თხოვა კუზმა კილგას უჯუშის შეწყალება, კაპიტანმა ზიზღით მიუგო თავადის ერთგულ გლეხს «_ შენ ხარ მონა, აფხაზო კრეისერი «შმიდტის» სახელით განიჭებ თავისუფლებას». ჰაკიმ არ მიიღო ეს განთავისუფლება. კილგამ ვერ გაიგო ჰაკის საქციელი. ვერც გაიგებდა, რამეთუ გაცნობიერებული არ ჰქონდა, რომ თვითონაც მონა იყო. ოღონდ ჰაკი აძბასაგან განსხვავებით, კლასობრივი ეგოიზმის მონა. კუზმა კილგას კლასობრივი ეგოიზმით დაბნელებულ გონებას ეგონა, რომ ჰაკის უჯუშისადმი ერთგულება «იყო ძალდატანება და ჩაგონება თავადების მხრით, რომლებიც შეუგნებელსა და ერთგულ გლეხს ავალებდნენ საკუთარი სიცოცხლის გაწირვით ბატონის დახსნას სიკვდილისაგან». კუზმა კილგა ადამიანის სულის მოძრაობის მხოლოდ ერთ ვარიანტს იცნობს. მისთვის სრულიად უცნობია ადამიანის სულის მოძრაობის უსასრულო მრავალფეროვნება. მათ შორის ერთგულებით და ეროვნული ტრადიციით გამოწვეული მოძრაობაც.

კუზმა კილგა ჰაკი აძბას პიროვნებით დაინტერესდა. მათ შორის სულიერი ბრძოლა დაიწყო. კაპიტანმა გლეხის «დამუშავება» გადაწყვიტა. როგორც მწერალი ამბობს, «კუზმას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აფხაზ გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციური იდეის შესათვისებლად». ეს კუზმა კილგას შეცდომა იყო. მან ჰაკი აძბას ადამიანური ბუნება ჩათვალა ჰაკი აძბას კლასობრივ შეუგნებლობად. კუზმა კილგამ სცადა წაეყვანა ჰაკი აძბა საკუთარი ადამიანური ბუნების წინააღმდეგ. ეს კი არავის ხელეწიფება. გონიერება უპირველესად მოითხოვს გაგებულ იქნეს სხვისი ადამიანური ბუნება და მერე გამომუშავდეს მისდამი დამოკიდებულების ფორმა. ტრაგედია იბადება მაშინ, როცა არ გვესმის სხვისი ადამიანური ბუნება და ძალით გვინდა მოვახვიოთ თავს მისთვის უჩვეულო და მიუღებელი. ჰაკი აძბა რევოლუციის მხარეს გადავიდოდა მაშინ, როცა შეიწყალებდნენ უჯუშ ემხას. ამით დაკმაყოფილდებოდა ჰაკის ადამიანური ბუნების მოთხოვნილება. იგი ისეთივე ერთგული ჯარისკაცი იქნებოდა რევოლუციისა, როგორი თავდადებითაც უყვარდა უჯუშ ემხა. ჰაკი აძბასთვის უცხოა და მიუღებელი სიტყვის გატეხვა და ღალატი. კუზმა კილგას პრიმიტიულმა სულმა ვერ ჩაიხედა ჰაკი აძბას პიროვნების სიღრმეში. ამიტომ შეეცადა მისი «კლასობრივი შეგნების» შეცვლას. კაპიტნის ამ განძრახვას კარგად მიხვდა ჰაკი აძბა. მან გადაწყვიტა ეშმაკობაში ეჯობნა კილგასთვის, ნებას დაჰყოლოდა და ეს მოჩვენებითი მორჩილება უჯუშის გადასარჩენად გამოეყენებინა. ჰაკის ეს სვლაც შეუმჩნეველი დარჩა კუზმასათვის. მეორე დღეს კილგამ გულმშვიდად დახვრიტა უჯუშ ემხა. როცა ამ აქტის მხილველი ჰაკი აძბას სულიერი და ფიზიკური ბუნება აჯანყდა, კუზმა კილგამ, მისი მოკვლის გარდა1, სხვა გამოსავალი ვერ ნახა. თითქოს თავს იმართლებსო, კუზმა კილგამ ეს უთხრა მეზღვაურებს _ «სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა... აიღეთ, გადააგდეთ».

კუზმა კილგას საქციელიც და სიტყვებიც ერთხმად ადასტურებს, რომ კაპიტანმა სულიერი ბრძოლა წააგო.

კრეისერ «შმიდტის» ხორცით მამაცი კაპიტანი სულით ლაჩარი გამოდგა.

რა განაპირობებს კუზმა კილგას სულიერ სიმხდალეს?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, გავიხსენოთ, როგორ აღწერს ლეო ქიაჩელი უჯუშ ემხას უკანასკნელ წუთს.

«ემხა თავაწეული მოაბიჯებდა, დინჯად და ნელა. მაღალი ტანი სწორად ეჭირა. განიერი ბეჭები ოდნავი რხევით მოჰქონდა. გემის ბანს იქით იცქირებოდა მაღლა შემართული თვალებით. გახევებულ და უმეტყველო სახეს მხოლოდ ერთი ხაზის მკრთომარება უცხოველებდა, რომელიც უძრავათ თვალებში შეფინებოდა: ეს იყო ნაღვლიანი ღიმილის ძლივს შესამჩნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დარდს გამოხატავდა, უნდო შეგნებით დაძლეულს. პირდაპირ, ცის კიდურზე გართხმულ მოწითალო სინათლის კრთომას შეჰყურებდა, სადაც ნათელი დღის კარი უნდა გაღებულიყო».

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ უჯუშ ემხას სამშვინველის მდგომარეობა არსებითად განსხვავდება იმ მშვინვიერი მდგომარეობისაგნ, რომელშიც იგი იყო მაშინ, როცა კრეისერი «შმიდტის» ქალაქის ნავსადგურში შემოსვლა შეიტყო. სასტუმროში ემხა შიშმა შეიპყრო, აფორიაქდა და ანერვიულდა, თუმცა საფრთხის მხოლოდ შორეული ლანდი მოჩანდა. არც გადარჩენა იყო გამორიცხული. გემზე კი იგი გარდაუვალი სიკვდილის პირისპირ დგას. მაგრამ მაინც მშვიდი, სიმტკიცით სავსე და შეუდრეკელია. ეს სიმშვიდე იოლად არ ყოფილა მიღწეული. იგი სიცოცხლის ბოლო დღეს გადატანილ მოვლენათა ანალიზის ნაყოფია.

მართალია, მოთხრობაში ადამიანის ცხოვრების ერთი დღეა აღწერილი, მაგრამ ეს ერთი დღე ისეთი რთული ამბებით იყო სავსე, რომ ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ნახავს და განიცდის კაცი. შიში, მკვლელობა, სულმდაბლობა, ერთგულება, ღალატი _ ყველაფერი ეს ერთბაშად მოხდა უჯუშ ემხას თვალწინ. ამან გარდაქმნა მისი სამშვინველი და აზიარა იმ ჭეშმარიტებას, რომ სიკვდილის წინაშე, საიქიოს კარიბჭესთან ყველა ადამიანური ვნება პაწია, არარა და სასაცილოა. მაგრამ ამ ჭეშმარიტებას მხოლოდ სიცოცხლის დასასრულს იჯერებს ადამიანი. უფრო ადრე რომ შეეძლოს მისი დაჯერება, ალბათ არავითარ ბოროტებას არ ჩაიდენდა. როცა ამ ჭეშმარიტებას შეიტყობს და დაიჯერებს ადამიანი, ერთადერთი ისღა დარჩენია მას, რომ მშვიდად და ღირსეულად შეეგებოს სიკვდილს. უჯუშ ემხაც ასე მოიქცა.

ამ ერთი დღის მანძილზე კუზმა კილგამ ბევრი რამ ნახა, ოღონდ არ განიცადა: ქალაქის მლიქვნელობა, გამყიდველობა, ფარისევლობა, ხელქვეითის სიკვდილი, მეზღვაურთა ლაჩრობა (ერთ კაცს ვერ გაუმკლავდა მთელი ჯგუფი მატროსებისა), უჯუშ ემხას სიმტკიცე, ჰაკი აძბას ერთგულება და თანგაწირვა. ამ მოვლენებს მის სამშვინველზე კვალი არ დაუჩნევია, რამეთუ ყველაფერს მან ხორცით გამარჯვებულის ბრმა თვალით შეხედა. რაკი შეპყრობილი უჯუშ ემხა მოჰგვარეს, კილგამ პრობლემა მოგვარებულად ჩათვალა. მას შეეძლო შურისძიების აქტი აღესრულებინა. ამ კმაყოფილებამ მისი სამშვინველის მოძრაობა შეკრა და შებორკა. კმაყოფილება ხორცის თვისებაა, სული კი მარად მაძიებელია. კუზმა კილგაში ეს მაძიებელი სული აღარ მოქმედებდა და აზროვნებდა. როცა ჰაკი აძბამ კილგას ქადაგება არ დაიჯერა, კაპიტანს კმაყოფილება დაერღვა და გაბოროტებულმა მოჰკლა თავადის ერთგული გლეხი. სწორედ ეს გაბოროტება და სულის უმოქმედობაა კუზმა კილგას სულიერი სილაჩრის საფუძველი. კაპიტანს არ აღმოაჩნდა ახალი ჭეშმარიტების მიგნების სურვილი.

ასე გაანადგურა კლასობრივმა ეგოიზმმა ღირსება და ერთგულება, მაგრამ ვერ გატეხა და დათრგუნა ისინი. ამიტომ დარჩა ღირსებასა და ერთგულებას სულიერი გამარჯვება.

ასე იქცა ლეო ქიაჩელის ხელში ცხოვრებაში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა მდიდარი აზრობრივი შინაარსის მხატრულ ნაწარმოებად.

1979წ.

რანაირია სამყარო?

ოთხი ენთუზიასტი-მკვლევარი, სამი ახალგაზრდა და ერთი ხანდაზმული, ხეთიანის ციხის საიდუმლოს მიაგნებს. მათ აღტაცებას საზღვარი არა აქვს. ის, რასაც ციხე მალავდა, მთლიანად შეცვლის საქართველოს ისტორიის დღევანდელ ცოდნას, დაუკავშირებს ჩვენს წარსულს წინა აზიის უძველეს ხალხებს. ერთი სიტყვით, ფარდა ეხდება ურთულეს პრობლემებს. ნათელი და მკაფიო გახდებიან ისინი. საკუთარი ძალით ენთუზიასტ-მკვლევარებს წამოჭრილი საკითხების გარკვევა არ ძალუძთ. გაჩნდა აუცილებლობა _ ყველაფერი, თბილისში, მეცნიერ-სპეციალისტებს აცნობონ. მაგრამ აღმოჩენა იმდენად უცნაური და მოულოდნელი, რომ დაიბადება ეჭვი: «_ კი, მაგრამ რომ არ დაგვიჯერონ? ზღაპარს ჰგავს რაღაც». მაშინ ამ სიტყვების წარმომთქმელ ახალგაზრდას ხანდაზმული უპასუხებს: «_ ჩემო იოთამ, ზღაპარიც რომ იყოს, რით არის სინამდვილე ზღაპარზე დასაჯერებელი?» («ხეთიანის საიდუმლოება»).

ილიკო, პერსონაჟი მოთხრობისა «შეურაცხყოფილი», მეგობრებს ეკითხება:

«_ ამხანაგებო, არსებობს თუ არა მოვლენა, გინდ ქვეყნიერება თავისთავად, ან როგორც გერმანელები იტყვიან an sich, თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია?

რანაირია იგი თავისთავად და რანაირია იგი, როგორც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი?»

ამ კითხვის დასმის მერე ილიკო თავად ჰყვება ერთ ამბავს.

ილიკო მოსკოვში სწავლობდა. დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა. გვერდით ცარიელი ოთახი იყო. იგი არავის ეჭირა. ერთ დღეს ამ ოთახსაც გამოუჩნდა პატრონი _ ყმაწვილი ქალი. ილიკოს ეს მაიცდამაინც არ გახარებია. ცდუნების შეეშინდა.

ილიკოსა და ქალის ოთახებს თხელი კედელი ჰყოფდა. რაც ხდებოდა ერთში, გარკვევით ისმოდა მეორეში. ერთხელ, საღამოთი, ქალის ოთახიდან ილიკოს ხმა მოესმა. უნებლიეთ ყური მიუგდო. მკაფიოდ ესმოდა და ხედავდა კიდეც: როგორ დალია ქალმა ჩაი, აალაგა სუფრა, გაშალა ლოგინი, გაიხადა ტანთ და დაწვა. სურათი იმდენად ცხადი იყო, რომ ილიკომ თავი ვერ შეიკავა და ქალის ოთახის კარებთან მიიპარა. ფრთხილად მოსინჯა იგი. კარი ღია აღმოჩნდა. ვაჟი ფეხაკრეფით შევიდა ოთახში. მაგრამ იქ არავინ დახვედრია. მეზობელი ქალი შინ არ იყო. მხოლოდ ღია ფანჯარაში ქარი არხევდა ფარდას.

ამბის დასასრულს ილიკო დასძენს: როცა დავინახე, რომ მოვტყუვდი, «რატომღაც ისე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, ისე საშინლად შეურაცხყოფილად, რომ მტერსაც კი შევეცოდებოდი...»

რამ გამოიწვია შეურაცხყოფის გრძნობა? ცნობიერების ღალატმა. ის, რაც არ ყოფილა, სინამდვილედ ეჩვენა. თუკი ეს შესაძლებელია, მაშინ ვინ ვართ ჩვენ? «ვაი ჩვენ, თუ ეს ცხოვრებაც და ჩვენც თავად...» _ აღარ ამთავრებს ილიკო აზრს. ეშინია საკუთარი თავი მოჩვენებად, სიზმრად, არარეალურად წარმოიდგინოს, იგი ასკვნის: «არა, ამის აშკარად თქმის უფლება ჩვენს თავს არ უნდა მივცეთ. ვიყუჩოთ სჯობდა. მით უმეტეს, სულ ნამდვილი სინამდვილე არავინ იცის».

მაგრამ გაჩუმება ადვილი საქმე არ არის. როგორც კი ამგვარი აზრი შეგაწუხებს, იგი არც მოსვენებას მოგცემს. გინდა თუ არ გინდა, უტრიალებ გარშემო.

«Escalade»-ში სახალხო დღესასწაულია აღწერილი. ამბავი შვეიცარიაში ხდება. კარნავალში ერთი ქართველი კაციც მონაწილეობს. იგი გაოცებული შეჰყურებს, როგორ ზეიმობს, ერთობა, ილხენს, თავდავიწყებას ეძლევა ნიღაბაფარებული ქალი თუ კაცი. ამ ორომტრიალში ქართველთან ვიღაც ქალი მოვარდება. იგი შავი ნიღბით და წითელ-ყვითელი მოსასხამით არის მორთული. უცნობი ქალი ხელს წაავლებს ქართველს და შუა კარნავალში გაიტაცებს.

«_ ეს თუ სინამდვილეა, წარმოდგენა რა უნდა იყოს? _ ვკითხე ჩემს თანამგზავრს, რომელიც ჭინკასებრ გაჰკიოდა და სულ წინ მეზიდებოდა.

_ ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა _ სინამდვილე, მეგობარო! _ მიპასუხა ნელი ხმით...»

შემდეგ ეს «წითელ-ყვითლიანი შავი ნიღაბი» ელვის უსწრაფესად ხეზე შეხტა, ტოტს აჰყვა და კენწეროზე მოექცა. იქიდან დაიყვირა, ამოდით, დამიჭირეთ, ვინც ვაჟკაცები ხართ. ცხადია, ქართველი პირველი აიჭრება ხეზე, ნიღბამდე ვერ მიაღწევს. თუ ნიღბისაკენ წასვლას შეეცდებოდა, ტოტი ვეღარ გაუძლებდა და ჩამოვარდებოდა. შეცბუნებული იდგა ქართველი, როცა ისევ მოესმა ქალის ხმა. მოიხედა და დაინახა: ნიღბის პატრონი მის გვერდით იდგა. _ იქ, კენწეროზე ვინღაა _ ჩურჩულით იკითხა კაცმა. ასევე ჩუმად მიიღო ქალის პასუხი _ კენწეროზე ჩემი შავი ნიღაბი და წითელ-ყვითლიანი მოსასხამი ჰკიდია. მერე დაუმატა: წავიდეთ აქედან და სეირს ვუყუროთ, ვნახოთ, რა მოხდება. აღგზნებული და აღტაცებული ხალხი კი ხეს აწყდებოდა. ცდილობდა მიწვდომოდა ნიღაბს. ზოგიერთი ჩამოვარდა კიდეც ხიდან.

გაოგნებულ ქართველს ქალი ეკითხება:

«_ როგორ მოგწონს ჩემი იდეა? არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია! განა ასე ტყუილა არ იბრძვის კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორ ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი და წითელ-ყვითელი მოსასხამი!...»

ქალი ისევ ხალხისაკენ მიტრიალდა და მოუწოდა: ადით, ჩამოიყვანეთ, ვინ ხართ პირველი, ვინ ხართ ვაჟკაცი!..

ქართველმა ქალი შეაჩერა და ამაყად უთხრა: _ პირველი მე ვიყავი. ხომ არ მოვტყუებულვარ? ქალმა ირონიულად მიუგო: _ შენ იყავი, მაგრამ «მეც იგივე ვარ, რაც ჩემი ნიღაბი ხეზე!»

ქალი უეცრად სადღაც გაქრა. ქართველი სახტად დარჩა.

კიდევ შეიძლება ნიმუშების მოხმობა, მაგრამ აუცილებელი აღარ არის. ისედაც ნათლად ჩანს, რომ ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში ვრცელი ადგილი უჭირავს პრობ-

ლემას _ რას წარმოადგენს ჩვენს გარშემო არსებული სამყარო _ ნამდვილია იგი თუ მოჩვენებითი? სიზმარია თუ ცხადია? თუ ორივეა ერთად? ერთმანეთში ისეა გადახლართული, რომ ზღვარი ვერ დაგვიდგენია _ სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.

კარგად ცნობილია, რომ ეს უძველესი ფილოსოფიური პრობლემაა და მისი ნაირნაირი პასუხი არსებობს. ამიტომ დასაშვებია კიდეც იფიქროს კაცმა _ განა მწერლისათვის სულერთი არ არის დასმული კითხვის რომელ პასუხს აირჩევს? მწერლობის ყურადღებას ხომ თანაბრად იპყრობს ნამდვილიც და მოჩვენებითიც, ცხადიც და სიზმარიც, რეალურიც და ირეალურიც, ბუნებრივიც და ზებუნებრივიც. ჯადოსანი ტაგუც ისევე საინტერესოა როგორც ჩვეულებრივი ყალთაბანდი გვადი ბიგვა: ასეა, მაგრამ ლეო ქიაჩელი სხვა კითხვის პასუხს ეძებს: თუ სამყარო ირეალურია, მოჩვენებითია, სიზმარეულია, მაშინ როგორი უნდა იყოს ადამიანის ზნეობრივი დამოკიდებულება სინამდვილისადმი? ამ კითხვის პირდაპირ, უშუალო პასუხს ლ. ქიაჩელის ვერცერთ თხზულებაში ვერ იპოვნით. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერალმა კითხვა უპასუხოდ დატოვა. პასუხი მოგვცა, ოღონდ ქარაგმულად, მოიარებით.

დავაკვირდეთ ერთ გარემოებას. მოთხრობათა იმ ციკლში, სადაც დასმულია პრობლემა _ როგორია გარემომცველი სამყარო _ პერსონაჟები ლანდებს ჰგვანან, ჩრდილებივით არიან. ვერცერთი მათგანის დახასიათებას ვერ შეძლებთ. ზოგიერთ მათგანს სახელიც კი არ აქვს. ხოლო თხზულებათა იმ რიგში, სადაც მწერალს ეს პრობლემა არ დაუსვამს, პროტაგონისტები მკაფიოდ, მკვეთრად, მსუყედ არიან დახატული. ტარიელ გოლუა, თავადის ქალი მაია, უჯუშ ემხა, ჰაკი აძბა, გვადი ბიგვა ყველა ჩვენთაგანს თვალწინ უდგას. მათი თვისებების, გარეგნობის, ხასიათის ყველა თავისებურებას ზედმიწევნით ვიცნობთ. ეს არც შემთხვევითია და არც იმისი თქმა შეიძლება, რომ ზოგადფილოსოფიური პრობლემა ლ. ქიაჩელის მხოლოდ შემოქმედების გარკვეულ პერიოდში აღელვებდა, მერე კი მას თავი დაანება და მწერლის გულისყური სხვ. საკითხებმა მიიპყრეს. «ტარიელ გოლუა» უკვე დაწერილი იყო, როცა ლ. ქიაჩელი «Escalade»-სა და «შეურაცხყოფილს» ჰქმნიდა. «ხეთიანის საიდუმლოების» ბოლო ვარიანტი 1945 წელს არის დასრულებული. ე.ი. «თავადის ქალი მაია» და «ჰაკი აძბა» კარგა ხანია გამოქვეყნებულია.

მაშასადამე, ლ. ქიაჩელის შემოქმედებაში პერსონაჟთა ზემოაღნიშნულ განსხვავებულებას სხვა საფუძველი აქვს.

თუ «შეურაცხყოფილის» პერსონაჟს ილიკოს ფიქრისაც კი ეშინია _ «ვაი ჩვენ, თუ ეს ცხოვრებაც და ჩვენც თავად...» მოჩვენება, სიზმარი ვართო, თავადის ქალ მაიას სრულიად არ აღელვებს _ საერთოდ როგორია ეს სამყარო. როგორიც უნდა, ისეთი იყოს. მისთვის რეალურად არსებობს წოდებრივი უპირატესობაც, ქალური მშვენიერებაც და დედაკაცური პატივმოყვარეობაც. ყველაფერი ეს ღირებული და ფასეულია მაიასათვის. უბედურება ის არის, რომ დრო სოციალურადაც და ბიოლოგიურადაც ამხედრებულა თავადის ქალის წინააღმდეგ. მისი წოდებრივი უპირატესობა დამხობილია. გლეხები მას ირონიულად უყურებენ და მეურმე ამბაკო ისე ელაპარაკება, როგორც ტოლი ტოლს. დამჭკნარა მაიას სწორუპოვარი მშვენიერებაც. საქმე იქამდე მივიდა, რომ არშიყი ბონდო გლეხის გოგოს ამჯობინებს თავადის ქალს, რა-

კი დაფინო ახალგაზრდაა. წაგებულ ცხოვრებას სიკვდილი ურჩევნია და მაია თავს იხრჩობს.

თუ გაქრება მაიასათვის სანუკვარი წოდებრივი უპირატესობა, ქალური სილამაზის ძალა, დედაკაცური პატივმოყვარეობა, მაშინ ეს სამყარო გინდ რეალური ყოფილა და გინდ _ ირეალური, ეს უკვე თავადის ქალს აღარ ადარდებს. მას კონკრეტული ფასეულობანი უყვარს და სწამს. აბსტრაქტული იდეის გამო ტვინის ჭყლეტვა მისთვის უცხოა. ეს მაიას ძალაა. იგი კონკრეტულისათვის იბრძვის, სანამ ძალ-ღონე ეყოფა. ამ ბრძოლაში თავის ბუნება-თვისებასაც ავლენს.

აბსტრაქტულისათვის ბრძოლაც შეუძლებელია და ადამიანური ბუნება-თვისების გამოვლენაც. ჯერ იმაშიც ვერ გარკვეულხარ _ როგორია სამყარო _ და საიდან გეცოდინება ან შეგეძლება რა ფასეულობისათვის იბრძვი? დრო ფიქრში მიდის და სანამ კითხვის პასუხს მიაგნებდე, თავად იქცევი ლანდად.

იქნებ იდეალი ისევე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი? _ სწუხს «Escalade»-ს პერსონაჟი ქალი. ჰაკი აძბა ერთი წუთითაც არ ფიქრობს _ მორდუობის ადათი ღირებული იდეალია თუ არა. მისთვის ეს უკვდავი ფასეულობაა და სწირავს მისთვის კიდეც თავს. უჯუშ ემხასათვისაც ვაჟკაცობის, თავმოყვარეობის იდეალი რეალობაა და ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი მისთვის თავდადებაში. სწორედ ეს თავდადება და თავგანწირულობაა უჯუშ ემხასა და ჰაკი აძბას ძალა და ხიბლი. ეს თვისება ანდამატივით იზიდავს მკითხველს.

«რით არის სინამდვილე ზღაპარზე დასაჯერებელი?» _ გაკვირვებული კითხულობს «ხეთიანის საიდუმლოების» პერსონაჟი. თუ ზღაპარი ისევე დამაჯერებელია, როგორც სინამდვილე, მაშინ კიდევ უფრო მეტად უნდა ვაფასებდეთ რეალურ, კონკრეტულ, ხელშესახებ საგნებს. მათი ღირებულება კიდევ უფრო ღრმად უნდა გვესმოდეს.

ქვეცნობიერად ამას მიხვდა გვადი ბიგვა. მისთვის ხე-ტყის სახერხი ქარხანა უბრალო საწარმო კი აღარ იყო, არამედ ფაქტორი, რომელიც გვადისა და მის შვილებს ცნობიერ სამყაროში არსებობის ძალას ანიჭებდა. ამიტომ ეკვეთა გვადი ბიგვა თავგანწირული არჩილ ფორიას.

უხსოვარი დროიდან აწუხებს კაცობრიობას ფიქრი _ როგორია გარემომცველი სამყარო? მაგრამ ამ წუხილის გამო არცერთი კაცის ბედი არ გამხდარა ტრაგიკული. ტრაგიკულობის საფუძველი ყოველთვის კონკრეტული იყო _ ახლობელის სიკვდილი, საყვარელი ქალის ღალატი, უსამშობლობა, უსახლკარობა, ულუკმაპურობა... კაცობრიობის ცხოვრება ჰგავს ალმასგირ კიბულანის უკანასკნელ დღეს. როცა გივერგილი ენგურმა გაიტაცა, მოხუცი მამა შვილს გადასარჩენად გამოეკიდა. ბერიკაცმა მანამ ირბინა, სანამ ენგური ზღვას არ შეერწყა. ამ უზარმაზარი სივრცის დანახვამ წამით ალმასგირი გააოგნა, და შეაჩერა, მაგრამ მალე მან დაუფიქრებლად შეაბიჯა უსასრულობაში იმ კონკრეტულის საპოვნელად, რომელსაც ამ შემთხვევაში შვილი ერქვა.

ასე მისდევს მთელი კაცობრიობა და თუ ცალკეული პირი რაღაც კონკრეტულს მანამ, სანამ ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს უსასრულებაში არ შეაბიჯებს. იმ უსასრულობაში, სადაც აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, რანაირია ხილული სამყარო _ რეალური თუ ირეალური, ნამდვილი თუ მოჩვენებითი.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ქუჩაში, ხანდაზმული ლეო ქიაჩელი წყნარად, დინჯად, ნელი ნაბიჯებით დადიოდა. მალიმალ ჩერდებოდა და დაფიქრებული შორეულ სივრცეს უყურებდა. სათვალეებში ძნელი დასანახი იყო მისი გამომეტყველება, მაგრამ იმ წუთს უთუოდ გეგონებოდათ, რომ მას ეს სამყარო სიზმარეულ ჩვენებად მიაჩნდა, რომელშიც კონკრეტულ საგნებს თუ მოვლენებს დიდი, ფასდაუდებელი ღირებულება აქვს და ამ ხილულეთს იმ მშვენიერებას ანიჭებენ, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლეც, ბრძოლაც და თავდადებაც.

თვინიერების უარმყოფელი

ძველბერძნულ მითოლოგიასა და ლიტერატურაში არის ცნება _ ჰიბრისი. იგი აღნიშნავს ურჩობას, დაუმორჩილებლობას, ამპარტავნობას. ეს არ უყვართ ღმერთებს და სჯიან ჰიბრისით შეპყრობილ ადამიანებს. ეს გარდაუვალი და აუცილებელი სასჯელი კი გამოხატულია ცნებით ნემეზისი. ჰიბრისს უთუოდ მოსდევს ნემეზისი ანუ შურისგება, სამაგიეროს გადახდა.

პრომეთემ მოიტაცა ცეცხლი და მიუტანა ადამიანებს (ჰიბრისი). ეს ურჩობაა უზენაესის მიმართ, რაც უნდა დაისაჯოს. პრომეთეს კავკასიონს მიაჯაჭვავენ და არწივს მიუჩენენ, რომელიც ტიტანს გულღვიძლს უკორტნის (ნემეზისი).

პენთევსს არ მოსწონს ბაკხანალიები და ებრძვის დიონისეს. დიონისე აფრთხილებს პენთევსს _ ღმერთის წინააღმდეგ ამხედრება ცუდად დამთავრდებაო. ჰიბრისით შეპყრობილი თებეს ყმაწვილი მეფე ყურად არ იღებს უკვდავის გაფრთხილებას და აგრძელებს ამბოხს. დიონისე სასტიკად სჯის მზვაობარს _ ბაკხობით გონდაბინდული აგავე, დედა პანთევსისა, ჰკლავს შვილს.

ეანტე მცირემ, ტროას აღების შემდეგ, ათენას ტაძარში თავშესაფარებლად მისული კასანდრა გააუპატიურა. ამ ჰიბრისის გამო განრისხებულმა ათენამ ეანტეს ხომალდი დაუმსხვრია. ქალღმერთის ნემეზისისაგან ეანტე მცირე პოსეიდონმა იხსნა და კლდეზე გარიყა. ამპარტავნებით თავბრუდასხმული ეანტე ვერ მიხვდა, რომ ზღვის ღმერთმა გადაარჩინა და ოლიმპოს მკვიდრთ დაცინვა დაუწყო (მეორედ ჩაიდინა ჰიბრისი) _ ყურზე ხახვი ვერ დამაჭერით, მაინც გადავრჩიო. ამგვარი თავხედობით აღშფოთებულმა პოსეიდონმა კლდე ზღვაში ჩაძირა და ეანტე მცირე დაიხრჩო. ნემეზისს ვერსად წაუვიდა მოკვდავი.

ნიმუშების გამრავლება საჭირო არ არის, რამეთუ ასეა ყველა მითოლოგიურ თქმულებაში და მათ საფუძველზე დაწერილ ძველბერძნულ ლიტერატურულ თხზულებანში.

თუ ღმერთებს არ უყვართ ჰიბრისი, სამაგიეროდ უაღრესად პატივს სცემენ ზომიერების, თვინიერების ანუ, როგორც ძველი ბერძენი იტყოდა, სოთროსინეს ამღიარებელთ. სოფოკლეს ტრაგედიაში «ეანტე» რომელიც ეანტე დიდს ეძღვნება, ქალღმერთი ათენა გულახდილად ეუბნება ოდისევსს: თავშეკავებული იყავი, არასოდეს შეურაცხჰყო უკვდავნი თავხედური, ამაყი სიტყვით. ღმერთებს უყვართ კეთილგონიერნი, სძულთ ამპარტავნები.

როგორც ვხედავთ, ბერძნულ მითოლოგიასა და ლიტერატურაში სრულად, მკაფიოდ გამოკვეთილი იდეური მოდელია შექმნილი: თუ ჰიბრისს გამოავლენს ადამიანი, მას არ ასცდება ნემეზისი, თუ სოთროსინეს დაიცავს, ღმერთები კეთილი თვალით გადმოხედავენ.

ეს აზრი ნასესხები აქვს ქრისტიანულ რელიგიასაც. ქრისტიანობაც გვაფრთხილებს _ «არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი» (მათე, 4,7). მოგვიწოდებს _ «ნუ იმძლავრებს კაცი» (ფსალმუნი, 9, 20). აქაც ზომიერება, მორჩილება, თვითნიერება სათნოებად არის გამოცხადებული: «ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი» (მათე, 5. 3).

ამ იდეურ მოდელში ერთი წინააღმდეგობაა: მორჩილებას და ზომიერებას ითხოვენ ისინი, ვინც თავად იყვნენ ურჩნი და გოროზნი. ზევსი ხომ მამამისს ქრონოსს აუმხედრდა, ხელისუფლება წაართვა, თვითონ გახდა ოლიმპოს ბრძანებელი და ღმერთების მამა. ქრისტესაც ხომ პირში მიახლიან გულმოსული ებრაელები _ იმიტომ გსჯით რომ «კაცი ხარ და ღმერთად კი მოგაქვს თავი» (იოანე, 10, 33).

მაშინ როგორღა მოვიქცეთ? ორი შესაძლებლობიდან რომელი ავირჩიოთ _ ჰიბრისი თუ სოთროსინე? ჩემი აზრით, ამ კითხვას ღრმა აზროვან პასუხს აძლევს კოსტანტინე გამსახურდიას «დიდოსტატის მარჯვენა».

ხუროთმოძღვარი კოსტანტინე არსაკიძე ჰიბრისიანი კაცია. იგი ეურჩება ფარსმან სპარსსაც, მეფესაც და კათალიკოსსაც.

არსაკიძე კირითხუროდ მუშაობდა ფარსმანთან, როცა მეფემ და კათალიკოსმა ქვეყნის უპირველესი ტაძრის სვეტიცხოვლის აშენება დაავალეს.

ხუროთმოძღვართუხუცესი ამტკიცებდა: ვერ შევძლებთო ასეთი ტაძრის აშენებას ათ წელიწადში... მაშინ ციხეების აგებაც უნდა შეჩერდესო, ლოდსარტყორცნების და ტარანების კეთებაც...

არც არაგვისა და მტკვრის შესართავის უკვარცხლბეკო ვაკე ვარგოდა სამშენებლო ადგილად. მომავალ სვეტიცხოველს ჯვრის მონასტერი, სარკინეთისა და ზედაზნის მთები გადმოცქეროდნენ ზევიდან.

იმასაც მიხვდა არსაკიძე, ნებით თუ უნებლიეთ, ფარსმან სპარსს რომ უპირისპირებდნენ: «მოხუცებულ ბრძენკაცს უნდა შებმოდა მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი, მის ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში».

მაინც არავის და არაფერს შეუშინდა იგი. შეუპოვრად მოჰკიდა ხელი ტაძრის შენებას.

აქვე იბადება უზენაესთან მეტოქეობის სურვილიც. «... ქაოსს შემოაცლის სრულყოფილს, ბედნიერი შემოქმედი შესძახებს ქმნილებას: იქმენინ ნათელი! «

ეს ხომ უფლის სიტყვებია! არსაკიძეს ეოცნებება მათი გამეორება და გაიმეორებს კიდეც. ტაძრის კურთხევის დღეს, როცა იგი დაჭრილი შეიყვანეს სვეტიცხოველში, მან ჩუმად, ისე, რომ არავის გაეგონა, ჩაიბუტბუტა _ იქმენინ ნათელი!

არსაკიძემ იცის, როგორი თავდავიწყებით უყვარს მეფე გიორგი პირველს ერისთავ კოლონკელიძის ასული შორენა, მაგრამ არც ამას ეპუება ხუროთმოძღვარი. შორენა არსაკიძის ნანდაური შეიქმნება. ფარსმან სპარსმა დააბეზღა მეფესთან სვეტიცხოვლის ავტორი. ხელმწიფემ გაიკვირვა:

«არა მგონია თავი გამიტოლოს აგრე რიგად მაგ ლაზმა».

«გატოლებაო?»

გაიღიმა ფარსმანმა.

«მეფეებს არც უტოლებს იგი თავს.

მიწისძვრის მეორე დღეს შევუარე, ავადმყოფი მეგონა, შინ არ დამხვდა ფხოვს გაქცეული. ერთი სურათი ვნახე მის მიერ ნახატი, იაკობისა და ღმერთის რკინებაა ზედ გამოსახული.

თანაც იცოდე, ღმერთს მელქისედეკის თვალები აქვს, ხოლო იაკობს _ დამხატველისა».

მართალია, ფარსმანმა ჯაშუშის როლი იკისრა, მაგრამ ტყუილი არ უთქვამს.

არსაკიძეს დღენიადაგ აწვალებს ფიქრი ღმერთისა და იაკობის ბრძოლაზე.

როცა ერთხელ მელქისედეკი ქადაგებისას ამ ბიბლიურ ამბავს შეეხო და მწვალებელნი და მკრეხელნი დაჰგმო, «ამ წუთს ასე ეგონა არსაკიძეს: მას ერთს შესცქეროდა კათალიკოსი, ეჭვი აღეძრა მცირეოდენი. წეღანდელი ფიქრი ხომ არ შეიცნოო ამ მოხუცმა გრძნეულების ძალით». მართლაც სულ ცოტა ხნის წინათ მშენებარე სვეტიცხოველს უყურებდა არსაკიძე და ფიქრობდა _ «ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი».

მერე, ავადმყოფობის ჟამს, საქმისგან მოცლილმა, დახატა არსაკიძემ ღმერთთან მორკინალი იაკობი და ამ სურათში შორენამაც ის დაინახა, რაც ფარსმან სპარსმა: «მელქისედეკ კათალიკოსს მიუგავს ამ ბებერს სახე... ხოლო იაკობ შენა გგავს...»

არსაკიძის ღმერთთან მეტოქეობის სურვილი იმით დაგვირგვინდა, რომ სიკვდილის წინ ეზმანა _ «და ერკინებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი, მერმე მიწვდა იგი ჭრილობიან ბარკალს და დაუბუშა ვრცელი ბარკლისაი».

სრული ჰიბრისია. არსაკიძის შემოქმედი სული შეიპყრო ჰიბრისმა და ამისათვის ისჯება იგი. სამივე მეტოქემ იძია შური. ფარსმან სპარსმა დაასმინა, მერე მახე დაუგო, მეფემ მკლავის მოკვეთა ბრძანა, ხოლო კათალიკოსმა არ დაიცვა. ერეტიკოსად ჩათვალა, რაკი არსაკიძემ თავი ღმერთთან მებრძოლ იაკობს შეადარა. ნემეზისი ასრულდა. ყველასაგან მიტოვებული არსაკიძე მორიელებმა დაკბინეს და იგი საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა.

ხუროთმოძღვარ არსაკიძის ცხოვრება არის სოთროსინეს უარმყოფელი კაცის თავგადასავალი.

კონსტანტინე გამსახურდიას გამოყენებული აქვს ანტიკური ტრაგედიის მოდელი. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ არსაკიძე არ ნანობს თავის ხვედრს. უთანასწორო ბრძოლის შედეგად მიღებული მისი დასკვნა ასეთია: «საპატიო ვალია კაცისა არა გლახური ღმერთის ძიება, არამედ თავად უნდა გახდეს შემოქმედი უფლის მეტოქედ».

ასეა, სოთროსინეს ერთგულს არ ელის ნემეზისი და შეუძლია მშვიდად გალიოს წუთისოფელი. ოღონდ ეს არის, ვერც სვეტიცხოველს ააშენებს იგი ვერასდროს.

მარტოობის ტკივილი

აკაკი გაწერელიას მოთხრობების ერთი ნაწილი ეძღვნება შამილისა და საჩაჩნო-დაღესტნის ოცდახუთწლიან გმირულ ბრძოლას მეფის რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მწერალი ომის ეპიზოდებს უშუალოდ არ ასახავს, მაგრამ მაინც რელიეფურად ჩანს ამ უთანასწორო საგრობის ხასიათი, მისი მონაწილეების ბუნება-თვისება, მათი სულის მოძრაობა, ტანჯვა, ტკივილი. უპირველესი გრძნობა, რომელიც მოთხრობების კითხვისას გეუფლებათ, არის მტკფოლვარე მარტოობის განცდა. «_ მამაჩემი ოცდახუთი წელიწადი ეომებოდა მთელს დუნიაზე ყველაზე ძლიერ იმპერიას და არც ერთხელ არავინ დახმარებია! « _ გულისტკივილით ამბობს მუჰამედ-შაფი, მესამე ძე შამილისა («ორეული»).

მარტოობა აკ. გაწერელიას მოთხრობათა მთელი ციკლის საერთო განწყობილებაა.

მარტოა შამილი ტყვეობაში. «მთელ დუნიაზე ახლა არავინაა ზრახვათა და ფიქრთა ჩემთა თანაზიარი» («იმამი ლოჟაში»).

მარტოა ნიკოლოზ ბარათაშვილი სიკვდილის წინ («სიკვდილი ბარათაშვილისა»). არც ბარონ ნიკოლაის, რომელმაც შემთხვევით შეიარა «საშინელ ქოხში» და ავადმყოფი პოეტი ნახა, არც ანა მათუზოვას, რომელიც სიყვარულითა და გულისხმიერებით ეპყრობა მომაკვდავს, არც ბართლომე პონაროვსკის, რომელსაც უყვარს ნიკოსთან საუბარი, არაფერი გაეგებათ პოეტის მაღალი აზრისა და სულის მისწრაფებისა.

მარტოა მიტროპოლიტი ნაზარი დახვრეტის პირისპირ («ნაზარის უკანასკნელი ლოცვა»). მიტროპოლიტის მტერია არა მარტო პოლკოვნიკი ნიჟარაძე, რომელმაც იგი სიკვდილით უნდა დასაჯოს, არამეც რევოლუციონერებიც, ვინც ნაზარმა შეიფარა და დახმარების ხელი გაუწოდა.

აკ. გაწერელიას მიერ აღწერილი მარტოობის უმთავრესი თვისება ის არის, რომ იგი არ ბადებს სასოწორკვეთილებისა და უნუგეშობის გრძნობას. პირიქით, სწორედ მარტოობაა როგორც შამილისა და მისი თანამებრძოლების, ისე ბარათაშვილის, ნაზარის და სხვათა გაუგონარი სიმტკიცისა და უმაგალითო ვაჟკაცობის მასაზრდოებელი წყარო. აკ. გაწერელიას მოთხრობების პერსონაჟები თავისი ცხოვრებით ადასტურებენ გერმანული ანდაზის სიბრძნეს _ Die Stärke am mächtigsten allein.

ჩანტის ნაიბს, ჰაზავათის თავგადადებულ რაინდს ამზათს («ამზათი ანუ სევილიის დილა მთაში») სამი კაცი უპირისპირდება _ მეფისნაცვალი კავკასიაში ბარიატინსკი, გენერალი ევდოკიმოვი და ჯაშუში დუგა. სამივე რწმენადაკარგული ადამიანია.

ბარიატინსკი «ცხოვრებას, მგონი, წამიერ და უღიმღამო პაუზად მიიჩნევდა ორ წყვდიადს შორის...» თუკი ადამიანის ცხოვრება სხვა არაფერია გარდა წყვდიადიდან მოსვლისა და წყვდიადში წასვლისა, მაშინ რა დანიშნულება, მნიშვნელობა და აზრი აქვს იმ ხანმოკლე პაუზას, რომელსაც ადამიანის სიცოცხლე ეწოდება? ალბათ არაფერი და ბარიატინსკიც ომით ცდილობს გამოაცოცხლოს, გარინდებიდან გამოიყვანოს მოწყენილობითა და ფლეგმით სავსე საკუთარი ცხოვრება. ბუნებრივია, რომ იგი ვერაფერს გაიგებს ვერც შამილისას და ვერც ამზათისას.

გენერალი ევდოკიმოვი ადიდაში გამოსული კაცია. ყველას უნდოდ და ეჭვის თვალით უყურებს, რამეთუ სწამს, «მეორე ადამიანის გულწრფელობას სულელი თუ დაიჯერებსო».

დუგა კი რიგითი ნაძირალაა, რომელმაც მტრის სასარგებლოდ მოძმის გაყიდვა იკისრა და დუშმანს მეგზურად დაუდგა. ეს სამი კაცი გადაწყვეტს, ღალატის საშუალებით, გაანადგურონ ჩანტის ნაიბი ითუმ-ყალაში და ამით მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცენ შამილსა და საჩაჩნო-დაღესტნის ეროვნული თავისუფლების დიდ ომს.

ორგულობამ გასჭრა და მიზანს მიაღწიეს. მუხთლად გაცემულ, მარტოდ დარჩენილ ამზათს ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა აღარ ძალუძს. მაშინ იგი გადაწყვეტს ზნეობრივად, სულის სიმტკიცით, რწმენის ერთგულებით დაამარცხოს მტერი. ამზათი ცხენზე შეისვამს ცოლს, ათი წლის ვაჟიშვილს, უკან ძმისწული შემოუჯდება, რომელმაც სიკვდილშიც არ უღალატა ბიძას და ასე, მთელი ოჯახი, ერთგულ პირუტყვზე ამხედრებული, უფსკრულში გადაეშვება.

ნაღალატევი, გაყიდული კაცის მარტოობამ წარმოშვა შემაძრწუნებელი გმირობის ფაქტი. ეს მშვინვიერ მათხოვარსა და ნამუსგარეცხილს ჰგონია სიკვდილი სიცოცხლის დასასრული, თორემ უზენაესს ზიარებულმა ყოველმა კაცმა იცის, რომ გარდაცვალება არსებობის ერთი ფორმის შეცვლაა მეორეთი. განა საკითხავია, ვინ იწვევს მკითხველის კათარზისს? როგორც ჭუჭყი, მწვირე და მწიკვლი რჩება ყველა ბარიატინსკი, ევდოკიმოვი და დუგა, როგორც სულის ნათელი ანათებს ყველა ამზათი და ადამიანის ამქვეყნიური არსებობის მიზანს იძლევა.

როცა შამილს მოახსენეს, რომ ახალშობილთა მონათვლას აგვიანებენ და ჩვილთ სახელებს თვითნებურად არქმევენო, წმინდანთა საწოდებელთ შორბს არ ახსენეს სახელი ისა ანუ იესო («იმამის ერთი დღე»). ეს შეამჩნია შამილმა და თავად დაამატა ქრისტეს სახელი. აკ. გაწერელია დასძენს, შამილი ყოველთვის მოწიწებით ახსენებდაო ქრისტეს, რადგან ღრმად სწამდა, .»..ყველამ მასავით უნდა გოლგოთამდე ატაროს თავისი ჯვარი ხალხის სამსახურისათვის».

ქრისტემაც მარტოდმარტო აზიდა ჯვარი გოლგოთაზე, არავის გაუწვდია მისთვის დახმარების ხელი. ამ ძალას ანიჭებდა რწმენა: ამაღლებულისათვის, მშვენიერისათვის მუდამჟამს მარტო იბრძვის ადამიანი, რამეთუ «მოწაფეთაგან ერთი ყოველთვის გამცემია» («ნაზარის უკანასკნელი ლოცვა»), ხოლო მეორე, უნდა დავამატო, ყოველთვის ლაჩარი. ამის დასტურია მოციქული პეტრე. «და მერმეცა უარ-ყო პეტრე ფიცით და თქუა, ვითარმედ არ ვიცი კაცი იგი». მაგრამ შემდეგ, როგორ შეიძენს მხდალი კლდის სიმტკიცეს, ეს უკვე დამოკიდებულია იმაზე, რა დოზით არსებობს ადამიანში მოყვასის სიყვარული.

შამილსა და ნაზარს ადამიანური დანიშნულებისა და ღვთით დაკისრებული მისიის პირნათლად შესრულებამ მიანიჭა სიმტკიცე.

«...მხოლოდ უზენაესის კარნახით გადახდილი ომია ტკბილი და მწარეც», _ ფიქრობს შამილი.

«გზადაბნეულთათვის ღმერთის კარები ყოველთვის ღიაა» _ ამბობს ნაზარი.

ეს ლიტონი განცხადება კი არ არის მიტროპოლიტისათვის, არამედ მისი მოქმედებისა და საქციელის გამსაზღვრელი და წარმმართველი მრწამსი, რადგან უფლის ღალატი უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე იმპერატორისა.

ბარნას ადამიანად მოქცევა კი განაპირობა მოურავის გულში მოყვასისადმი სიყვარულის გაჩენამ («მოურავი»).

ძაღლივით ერთგულად ემსახურებოდა მოურავი ბარნა დეკანოზ ჩიჩუას. არც არასოდეს გაუვლია გულში ვინმეს მიმართ თანაგრძნობა. მაგრამ ამ მხეცადქმნილი კაცის სამშვინველიც კი შეაძრწუნა გლახაკი მიხას სათნოებამ.

ღარიბმა და უპოვარმა მიხამ დეკანოზის ვენახში ყურძნის მოპარვა განიზრახა. ქურდობისას წაასწრო მოურავმა ბარნამ. არ გასჭრა მიხას თხოვნამ, ეპატიებია მისთვის ეს დანაშაული. ბარნამ გალახა ბერიკაცი. მაშინ ლანძღვა-თრევის მაგიერ, მიხამ მორჩილად დალოცა ბარნა _ «ღმერთმა მარჯვენა გიკურთხოს, შვილო, ჩიჩუების ერთგული, თორემ ჩემი მოძმე არ მიზავდა ამ სიკეთეს...» ტყვიასავით მოხვდა ეს სიტყვები მოურავს. გულღვიძლი გადაუტრიალა. მწარედ დააფიქრა თავის საქციელზე და პირველად სიცოცხლეში გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა დეკანოზისათვის. ეს უკვე ადამიანობის გზაზე დადგომას ნიშნავდა. ბარნას სამშვინველში იღვიძებდა თანაგრძნობის, თანალმობის, სიყვარულის გაგება. ამით მოურავს სიმტკიცე და ძალა ემატებოდა, რამეთუ «ყველა ტაძრის შემუსრვა შეიძლება, მაგრამ უფლის მიერ ადამიანის სულში აგებული ტაძრისა კი არა» («ნაზარის უკანასკნელი ლოცვა»). ამიტომ არის სასაცილო და მასხარა ყველა დიქტატორის მისწრაფება დაიმონოს და დათრგუნოს ადამიანი. თუ ადამიანს თავად არ სურს, არ არსებობს ძალა, რომელსაც მისი სამშვინველის მოდრეკა და დამორჩილება შეეძლოს.

აკ. გაწერელიას პერსონაჟების მარტოობას ახლავს სკეფსისი, გამოვლენილი როგორც პროტაგონისტთა მხრიდან, ისე ავტორისაგან. ამ სკეფსისს აპირობებს მარტოობის სიდიადის და გმირობის სხვათაგან გაუგებრობა. ეს კარგად ჩანს «ორეულში».

1880 წელს პარიზში ჩავიდა შამილის მესამე შვილი, ახლა უკვე რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი მუჰამედ-შაფი და მისი მეგობარი კორნეტი კარლჰოფი. მუჰამედ-შაფი წყნარი, მშვიდობიანი და მორიდებული კაცი იყო. არავითარი სურვილი არ ჰქონდა მის გამო აჟიოტაჟი ამტყდარიყო და ცნობისმოყვარეთა ბრბო დასეოდა. მაგრამ ერთხელ მეგობრებმა გაზეთში წაიკითხეს, რომ რომელიღაც არენაზე შამილის ძე მეხმეტ-შაფი გამოდის და ხალხს კავკასიის ომში მიღებულ ჭრილობებს უჩვენებსო. შეურაცხყოფილი მუჰამედ-შაფი დაუყოვნებლივ გაემართა პასაჟში თვითმარქვიას სანახავად. რა თქმა უნდა, მუჰამედ-შაფის არ გასჭირვებია სხვისი დიდების ქურდის მხილება და გამოაშკარავება, ცრუ მეხმეტ-შაფი რუსეთის ქვეშევრდომი გამოდგა, რომელიც გმირის სახელით სპეკულაციას ეწეოდა.

აქ სკეფსისს ბადებს ორი გარემოება: ჯერ ის, რომ სხვისი ტკივილით, ტანჯვით და სისხლით შეუძლია ნაძირალას ისარგებლოს და არსებობის პური იშოვნოს; მეორეც ის, რომ ბრბომ არ იცის ელემენტარული რამ: გმირი ჭრილობით არ ვაჭრობს. ამიტომ დორბლიანი დოყლაპიები ანკესებზე ეგებიან და ვიგინდარებს ტაშს უტყაპუნებენ. ამის დანახვა ბუნებრივად იწვევს სევდას. ალბათ ამის ბრალია, რომ ზოგჯერ აკ. გაწერელია თავად განმარტავს ნაამბობის აზრს. «ყველას როდი ხელეწიფების მირონცხებულთა ბატის ფრთის ხელთ პყრობა, თვალთა პატიოსანთაგან შემკული გვირგვინი, ხმალი, პორფირი და ბისონი».

მარცხი იმდენად არ ბადებს სკეფსისს, რამდენადაც გაწეული შრომის ამაოების და სხვათა უმადურობის შეგრძნება.

დღედაღამ ჩანტელების კეთილდღეობაზე ზრუნავდა ამზათი. მათი ბედიღბალი იყო მისი უპირველესი საფიქრალი. მაგრამ კუთხურობის ავი ზნით შეპყრობილმა ჩანტელებმა ვერ აპატიეს, რომ ამზათი თავლინელი ლეკი იყო და არა ჩეჩენი. შინ შვილივით ზრდიდა ამზათი მოღალატე დუგას ერთ-ერთ ვაჟიშვილს. არც ეს დაუმადლეს. ჩანტელებმა, დუგამ და გაზრდილმაც მაინც მუხანათურად გაყიდეს იგი. ასეა, ამაღლებული, მშვენიერი და ზნეობრივი ყოველთვის მსხვერპლია. «...სვებედნიერნი ისინი კი არ არიან, ვინც ჰაზავათს ეწევიან, არამედ ნაძირალთა და გარეწართა ბრბო, რომელიც ხანჯლებს მაშინ იშიშვლებს, როცა მას ქვეყნის მტრის ძალა უმაგრებს ზურგს. და ეს ბრბო მუდამ მზად არის ყველა თავმოყვარის, ნიჭიერის და ჰაზავათისათვის თავდადებულის დასაღუპავად» («ამზათი ანუ სევილიის დილა მთაში»).

უკვე კალუგაში გადასახლებულ შამილს ესტუმრა ჯამბაზი ფრანსუა კერი («ბოსკოს შეგირდი»). დიდი სიამოვნება და აღტაცება მოჰგვარა ექსიმამს კერის ოსტატობამ, თან დააფიქრა კიდეც. «...ბრმად ვენდობოდი ნაიბებს, უნდა კი ისე მედევნებინა თვალი მათთვის, როგორც ბოსკოს შეგირდი ადევნებდა სათამაშო რგოლებს. ბებერი შამუილ ცუდი ჯამბაზი გამოდგა».

მძიმე ბრძოლას ყველამ ვერ გაუძლო და მოღალატენი გამრავლდნენ. ვერც მკაცრი, ასკეტური ცხოვრების გადატანა შეძლო ბევრმა და იოლად წამოეგენ მტრის მიერ მორთმეული ნობათების ანკესზე. «...მისი ნაიბების მადაც უსაზღვროა, მათ არც ჯამაგირი ჰყოფნით, არც საჩუქრები. ქრთამის აღებას დაეჩვივნენ და ხალხს ატყავებენ... ვეება სახლები წამოჭიმეს, უდანაშაულო ოჯახებს ბეგარას ახდევინებენ, მათ ქონებას იტაცებენ და სუქდებიან. ყურანის კითხვას გადაეჩვივნენ და იმამის მკაცრ და სადა ცხოვრებას ჩუმად დასცინიან...» («იმამის ერთი დღე»). არც პატივმოყვარეობასა და პირველობის ტრფობას შეუსრულებია სასარგებლო როლი. პირველი ლახვარი, რომელიც კავკასიის სიმტკიცეს ჩასცეს, შამილისა და ჰაჯი-მურატის წაკიდება იყო. ამას კარგად ხედავს ექსიმამი, მაგრამ უკვე გვიან, დატყვევებული, პეტერბურგს მიმავალი. «ჩვენ ადრე გავიყარენით და თვითეულს მოგვეზღო სამაგიერო უნებლიე შეცდომათა გამო; მას ჩემგან წასულს და მე უიმისოდ დარჩენილს _ ღუნიბში რომ მყოლოდა იგი, ახლა აქ არ ვიქნებოდი» («ჩირ¡ურთი»). ყველაფერმა ერთად თავმოყრილმა არარად აქცია საჩაჩნო-დაღესტნის თავგანწირული ომი.

«...ოცდახუთი წელიწადი ვმეთაურობდი ჰაზავათს, დავმარცხდი, მაგრამ საიქიოში პირნათლად წარვსდგები უზენაესის წინაშე _ აკი მან დააწესა კანონი, რომლიც რწმენისათვის გადახდილ ომს და ჯამბაზის თვალთმაქცობასაც ერთნაირად უაზროსა ხდის!.. («ბოსკოს შეგირდი»).

როცა შამილმა ეს სიტყვები თქვა, მსმენელნი ვერ მიხვდნენ, რომელ კანონს გულისხმობდა იგი. მაშინ კალუგელმა ტყვემ თავად განმარტა: ალ-მავთ (სიკვდილი).

ნუთუ მართლა გათანაბრებულია სიკვდილის მიერ შამილი და ბოსკოს შეგირდი ფრანსუა კერი? თუ ეს ბრძოლით დაღლილი კაცის სკეფსისია, რომელსაც ჯერ ვერ წარმოუდგენია და გაუთვალისწინებია საკუთარი სიდიადე, როლი და მნიშვნელობა მომავალი თაობებისათვის? ხომ არსებობს ზნეობრივი გამარჯვება, რომელიც მოგებულ ომს სჯობს ზოგჯერ, რამეთუ უთანასწორო საგრობაში დამარცხებული იქცევა

გმირობის, ვაჟკაცობის, თავისუფლებისმოყვარეობის, რწმენის, ეროვნული სინდისის სიმბოლოდ? არსებობს და ამის საბუთი თავად შამილის ცხოვრებაა. თუ მის სამშვინველში ხანდახან სკეფსისი ისადგურებს, ეს არ არის სასოწარკვეთილებისა და უიმედობის ნაყოფი. ეს შედეგია ღრმა ჭკუის და დიდი გულის, რომელიც ხედავს თანამემამულეთა ხვედრს და ბოლომდე შäუსრულებელ საკუთარ მისიას.

არის სევდა და სკეფსისი. არის აგრეთვე გულგამოჭმულობა და უიმედობა. პირველი კეთილის თანამგზავრია, მეორე _ ბოროტის, თუ პოლკოვნიკ ნიჟარაძესავით ფიქრობ, რომ «ადამიანი ნაგავია და ნაგავად ჩავა საფლავში», მაშინ უიმედობას და გულგამოჭმულობას ვერ გადაურჩები. სიხარულს და სიამოვნებას მხოლოდ ბოროტის თესვა მოგანიჭებს, რამეთუ ადამიანის სისუსტე _ ვერ მიაგოს კეთილს კეთილით _ საკუთარი ცინიზმის, უგულობის უტყუარ საბუთად მოგეჩვენება. თუ მიტროპოლიტ ნაზარივით ფიქრობ, რომ «მაცხოვარი ადამიანად მოგვევლინა, რამეთუ ყველა ძეხორციელი ღრმთის ტოლია და ძალითა უფლისათა უპყრია საჭენი ამა სოფლისანი» («ნაზარის უკანასკნელი ლოცვა»), მაშინ იოლად მიუტევებ მოყვასს შეცდომას და სისუსტეს. საკუთარ ნაბიჯს იმით კი არ გაზომავ, დაგიმადლებს თუ არა ვინმე სიკეთეს, არამედ იმის შესაბამისად, როგორ გადაუხადე ვალი რწმენას.

პოლკოვნიკი ნიჟარაძე ლოგიკით სჯობნის მიტროპოლოტ ნაზარს.

«თუ გიფიქრია, მაგ ნაძირლებს ჩვენი ადგილები, რომ დაეკავებინათ, მთლად სისხლისმსმელნი და ავაზაკნი აღმოჩნდებოდნენ... აღთქმული ბედნიერების მოლოდინში ხალხს დაამშვიდებდნენ ერთი ლოზუნგით «ზეგ», მაგრამ ეს «ზეგ» არასოდეს დადგებოდა და ლოზუნგი დაუსრულებელ «მაზეგად» გადაიქცეოდა...» _ ეუბნება ნიჟარაძე ნაზარს. მიტროპოლიტს ამ სიტყვების გამაბათილებელი საბუთი არა აქვს. მართლაც ისე მოხდება, როგორც პოლკოვნიკი ფიქრობს და ლოგიკურად იგი ცამდე მართალია, მაგრამ ამის გამო კეთილის მიმართ რწმენის შერყევა არ სურს ნაზარს. ამიტომ იგი ნიჟარაძის ლოგიკას საქციელით უპასუხებს. ეს საქციელი კი ანადგურებს პოლკოვნიკის არა მარტო ლოგიკას, არამედ მის პიროვნებასაც.

დახვრეტის წინ მიტროპოლიტი ნაზარი ილოცებს როგორც რევოლუციონერების, ისე ნიჟარაძის სამშვინველის გადასარჩენად. ვალმოხდილი მიტროპოლიტი მშვიდად ეგებება სიკვდილს. თავგანწირვა ნაზარს სჭირდებოდა როგორც ნიჟარაძის, ისე რევოლუციონერების ზნეობრივი ამაღლებისათვის. ორივე მხარეს თანაბრად უნდა შეეგნო, რომ ღმრთის კარები დაგმანულია ჯალათისათვის. ამის დასასაბუთებლად ლოგიკა არ კმაროდა. იგი კონკრეტულ საქციელს ითხოვდა და ნაზარიც აუცილებლობის შესაბამისად მოიქცა.

ყოველი ადამიანი ერის სისხლხორცეული ნაწილია და ცალკეული კაცის სამშვინველის გადარჩენისათვის ბრძოლა ომია ერისა და ქვეყნის ხსნისათვის. ამდენად ნაზარის ქმედება თანაბრად არის მიმართული ქვეყნისა და ხალხის სიკეთის გზაზე დაყენებისაკენ.

ნაზარის საქციელის საფუძველია რწმენა, გამოხატული სიტყვებით, რომლითაც მან მიმართა პოლკოვნიკს, როცა ნიჟარაძემ ადამიანის და ცხოვრების ამაოებით შეშინება დაუპირა მიტროპოლიტს: «სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული ჩემი – სამშობლოს, ხოლო გვამი ჩემი – მიწას... “

თუ ამ ჭეშმარიტებას იწამებს ადამიანი, არცერთი კაცი, რა საქმესაც უნდა ეწეოდეს იგი, არ შეჭამს სირცხვილისა და დამცირების ბალღამიან პურს. ლეშის დასაკმაყოფილებლად არ შეირცხვენს თავს, მიუხედავად იმისა, რომ მარტოობის ტკივილის ატანა სხვათა თანაგრძნობის თვინიერ მოუწევს.

1980 წ.

დემნა შენგელაია

ჩემს დღევანდელ საუბარს ყოველგვარი შესავლის თვინიერ დავიწყებ, რამეთუ მწერალი, რომელზეც უნდა ვილაპარაკო, ლაკონიზმის დიდი ტრფიალია.

დემნა შენგელაია სტატიაში «წიგნი სიბრძნე სიცრუისა» წერს:

«სულხან-საბა ორბელიანი ერთი უბრწყინვალესი მინიატურთაგანია და მისი ფრაზა ამიტომაც თითქოს კონკრეტულია და მდიდრული აქსესუარებისაგან განთავისუფლებულია. მან კარგად იცის ყოველი სიტყვის არამცთუ ფასი, არამედ მისი კონსტრუქციული შესაძლებლობანიც. მისი ასეთი დეპეშიზმი იქამდე მიდის, რომ არაკი ხანდახან ერთ ფრაზამდეა დაყვანილი. აი ერთი ასეთი არაკი. მას «უგუნური მცურავი» ეწოდება:

«მცურავი ერთი მიჰქროდა წყალსა. თქვა: «ღმერთო მიშველეო!» მეორე ამხანაგმა უთხრა: «ხელი გაიქნიე და გეშველებაო!»

ეს არის და ეს. ამ არაკში ყველაფერი გათვალისწინებულია. თემა, კომპოზიცია და მთელი არაკი ისეა დასრულებული, რომ არაფერი მას არ აკლია. ის მათემატიკური ფორმულის სიზუსტით არის თითქმის ერთ ფრაზამდე დაყვანილი.

რახან ასეა, მოდით, ვნახოთ, რა არის ამ არაკში გათვალისწინებული და რით არის გამოწვეული ეს სიზუსტე. ჯერ ერთი, არამცურავმა რამდენიც არ უნდა იქნიოს ხელი, მაინც არაფერი ეშველება. ხელის ქნევა მხოლოდ მცურავს უშველის და ჩვენი იგავთმწერალი კი არ ამბობს: კაცი ერთიო, არამედ «მცურავი ერთი მიჰქონდა წყალსო», რის შემდეგაც ის მშრალად განაგრძობს: «თქვა: «ღმერთო, მიშველეო!»... უცებ დასახრჩობად განწირული კაცის ყვირილის გარეშე: «თქვა». ლაპიდარიზმი ამას იქით ვერ წავა. თითქოს აქ კიდევ რაღაც ფრაზაა საჭირო, რომ მკითხველმა სული როგორმე მოიბრუნოს, მაგრამ ჩვენ ავტორს ეს «რაღაც ფრაზა» და სულის ამოთქმაც სულ ზედმეტად მიაჩნია, რადგან ყველაფერი უკვე თქმულია და წამკითხველმა კეთილ ინებოს და ეს ერთფრაზიანი მინიატურა სულის ამოუთქმელად წაიკითხოს. რაც მთავარია, აზრს არაფერი აკლია და მაშ ენის ფხანაც რა საჭიროა».

ასევე აღტაცებულია დემნა შემგელაია ნიკო ლორთქიფანიძის ლაკონიზმით.

«მისი ფრაზა ფერია და არა ცნება. ცალკე აღებული, კონტექსტიდან გამოთიშული იგი უაზროა და მკრთალი, მაგრამ აბა იგი ტექსტში ამოიკითხეთ, _ ძვირფას თვალივით ბრწყინავს და ელვარებს, ფერადთა რიგში მოთავსებული, წარმტაც გამასა ქმნის.

«ყიოდა მამალი.

ყეფდა ძაღლი.

ამოდიოდა კვამლი

და იყო სოფელი».

ასეთია მისი წერის მანერა.

ნიკო ლორთქიფანიძის ამ მანერას ისე მოუხიბლავს დემნა შემგელაია, რომ ერთხელ თავადაც ზუსტად ასე დაუწერია:

«არ ჰყეფდა ძაღლი,

არ ყიოდა მამალი,

სოფელი მიტოვებული იყო» *(«ბაშკადიკლარ»).*

ლაპიდარულობის ესოდენ სიყვარულის მიუხედავად, ძნელად იპოვნით მეორე მწერალს, რომელსაც ისეთი მდიდარი ლექსიკა ჰქონდეს, როგორიც დ. შენგელაიას აქვს. ლაკონიზმი და ლექსიკის სიმდიდრე ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, პირველი მეორის დახმარებით არსებობს. ყოველ სიტყვას ზუსტი ფუნქცია უნდა ჰქონდეს. ზუსტად უნდა გამოთქვამდეს აზრს და ხატავდეს სურათს.

დ. შენგელაია ცოცხალი და მსუყე სიტყვით მკითხველის ფანტაზიას აღიზიანებს და აქტიურს ხდის.

«ეს ტყვიისფერი ენაც გამხმარ ყავარივით მოიღრიცა და სადგურს აფრაკად გადმოსცქეროდა» («თებერვალი»).

ყავარივით მოღრეცილი და აფრაკად გადმომზირალი დასახასიათებლად სხვა სიტყვებს აღარ ითხოვს. სურათი ზუსტია და ელემენტარული ფანტაზიაც საკმარისია, რომ იგი თვალნათლივ წარმოიდგინო».

«ბნელი, ბემბეცო ღამე იყო» («ლაფშა»).

«მზემ ბრუციან მაიმუნივით გამოიხედა» («ვიქტორია»).

* * *

ადამიანის დახასიათება

ანდრო ვაშაძე:

«როცა სახლის კიბეზე ავიდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა ქოლგა. ქოლგა სავსე იყო წყლით, გადმოაბრუნა და წყალი გადმოღვარა. მერე ტანზე დაიხედა და ხედავს, როგორ მთლიანად ამოლუმპულა, შარვალი, პიჯაკი, ინგლისური მაზარა ტომარივით აჯდა ტანზე და დასველებული ძაღლის სუნი ასდიოდა» («კაც»).

თამშუღ დანელია:

«ტანად კაფანდრა და ყავარივით გამხმარი, იჯდა _ მუჭის ოდენად იყო მოკუმშული, წამოდგომას რომ დაიწყებდა _ იზრდებოდა, იზრდებოდა და ასე გრძელდებოდა კუდის რიკზე შემართული გველივით. წელში რომ გაიმართებოდა, იმსიმაღლე იყო, თვალს ვერ შეუწვდენდი და მაღლა, სადღაც დასაკარგავში, ეკიდა მისი კიტრივით წაგრძელებული თავი» («ბათა ქექია»).

* * *

ქართულ ლიტერატურაში არსებობს თემა, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს დარდი ქართული სისხლის გამო, რომელიც უაზროდ დაიღვარა სხვისთვის. ეს ძველი და მოურჩენელი ტკივილია. თუ არ ვცდები, პირველად ილიასთან გაისმა წუხილი _ «შენბ რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?» მერე უიარაღოს

«მამელუკი» გაიჟღინთა უკურნებელი სევდით ეგვიპტის უდაბნოში უაზროდ და უმიზნოდ ჩახოცილ ქართველთა გამო.

ეს თემა არის დ. შენგელაიას შემოქმედებაში: «ბაშკადიკლარ». «გურამ ბარამანდია». «პორტი». «ყაზავათი».

«ბაშკადიკლარ». 1939 წლის გამოცემაში არის. 1966-საში გამოტოვებულია:

შინ კურკა, გარეთ გრიგოლ, შინ პოეტი და მეთევზე ლოპიანას მეგობარი, გარეთ ავარიის ხანი და მეფის ნაცვალი. ქვა ქვაზე არ დაუტოვებია დაღესტანში, თბილისში ამქართა ამბოხების ჩამქრობი. მისი წერილები თავისუფლებისათვის მებრძოლთაგან დანთხეული სისხლით იყო დაწერილი. სახრჩობელები, სახრჩობელები და ყოველ ხარიხაზე დასად ჰკიდია ენაგალურჯებული აბრეკები და მურიდები... რამ დაავიწყა თავისი ყმაწვილ-კაცობა, როცა მისი გულიც ისეთივე ცეცხლით იყო ანთებული, როგორც ამ დასჯილთა.

არავის უბრალოდ დაღვრილი სისხლი არ შერჩენია და არც ეს ზღვა სისხლი ჩაივლის უბრალოდ, ასე დაუზოგველად რომ ააცურა შიგ მისი ისედაც სისხლვალიანი გვარეულობა» (გვ. 101).

1939 წლის გამოცემაში ასეა:

«იგი (ოსმალო არტილერისტი _ ა.ბ.) მაინც არ დანებდა, ლაფეტზე აიჭრა, კარტუზში გაჩრილი ყუმბარა საჩქაროდ გამოიგლიჯა და გამწარებულმა გურული კილოთი დაიძახა:

_ ჰაიტ, თქვენი რჯული და მასაფიც არ იქნა, თქვე ღდინძაღლებო, თქვენა!.. და ყუმბარა მოიქნია» (გვ. 134).

1966 წლის გამოცემაში კი ასე:

«იგი ლაფეტზე მაინც აიჭრა, კარტუზში გაჩრილი ყუმბარა გამოიგლიჯა და გამწარებულმა დაიძახა:

_ ჰაი, თქვენი რჯული და მასაფიც არ იქნა! _ და ყუმბარა მოიქნია» (გვ. 175).

ყაზავათი

საქართველოს მე-19 საუკუნეში დიდი ცოდვა დააწვა. მან მეზობელს უღალატა, გადამთიელს მიემხრო და პატარა დაღესტნის უთანასწორო ბრძოლაში უზარმაზარი რუსეთის წინააღმდეგ ზურგში დანა ჩასცა. ერთი სიტყვით, უკადრებელი იკადრა და გამოუსყიდავი დანაშაული ჩაიდინა.

თენგიზ დარბაშია _ სეტანეი _ სულიმბეკ ცადასტა. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეა მამამისი.

«მომეცით ნება მამულს შემლებისდაგვარად ვემსახურო».

ამ მოთხრობის ფინალიც შეცვლილია.

1939 წლის გამოცემაში ფინალი ასეთია:

«იმავე დილით კოშკის თავზე რომ აბრეკის თავი ჭოკით ასწიეს, თენგიზმა შეხედა მას და:

_ სელიმ! სელიმ!.. _ აბღავლდა ზარდაცემული. უკან მოაწყდა, ფეხი მოუსხლტა და თავი ვერ შეიკავა, თუ არ შეიკავა, არავინ იცოდა, _ გადაიხაფრა კოშკის თავიდან» (გვ. 98).

ეს საერთოდ არ არის 1966 წლის გამოცემაში. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს პატიოსანი საქართველო ხვდებოდა თავის დანაშაულს.

თეთრი ხომალდი

ასეთ ამინდს გურიაში ჭყიჟორს ეძახიან, სამეგრელოში _ ჭოროფას. მოიხსნის ცა პირს და წვიმს გაუთავებლად. იმედიც კი დაგეკარგება, რომ ოდესმე გამოიდარებს და მზე ისევ გამოიხედავს. ღრუბელი ქუდივით გახურავს თავზე და სქელ ლესტერში ორ ნაბიჯზეც კი ჭირს საგნების გარჩევა. წყლით იჟღინთება ყველაფერი. მაგრამ როცა იფრიალებს, გარემო თხელი, სიფრბფანა, გამჭვირვალე ბურუსით შეიმოსება და «ის ხე, მდინარე, ყვავილები ისე მოსჩანან, როგორც მხატვრობა გაცრეცილ, ძველ გობელენზე».

ვიქტორ გაბესკირია ზღვისპირეთში გაზრდილი კაცი იყო. მის ლექსებში ხშირად იხსენიება წვიმა, ზღვა, ტბა, ჭაობი, ტყე. «იდგა მთელ სახლში წვიმიანი დღის მოწყენილობა». მისი პოეზიის საერთო განწყობილებაც «წვიმიანი დღის მოწყენილობაა». ეს კი მის ლექსებში მყუდროებისა და სინაზის შექმნას უწყობს ხელს.

თუ კარგად დავაკვირდებით ხელოვნებისა და ლიტერატურის ამა თუ იმ ქმნილებას, ცხადად დავინახავთ მის ავტორსაც: იმ პეიზაჟსაც, სადაც იგი გაზრდილა და დავაჟკაცებულა, იმ ადამიანებსაც, ვისი ზეგავლენითაც მისი პიროვნება ჩამოყალიბებულა. ვისაც უნახავს, ზამთარში, გამთენიისას, ქუთაისში, როცა თოვს, როგორ იმოსება არემარე იისფრად, ის უეჭველად დამეთანხმება, რომ გალაკტიონის «იისფერი თოვლი» ამ სურათის უშუალო ანარეკლია. შეიძლება არც სასაფლაოს დაეჭირა გალაკტიონის პოეზიაში ის ადგილი, რაც დღეს უკავია, მისი ყმაწვილკაცობის სახლის გვერდით, საგოდებელი რომ არ ყოფილიყო. არსებითი მნიშვნელობა აქვს შემოქმედის სუბიექტური ბუნებისა და ობიექტური გარემოს თვისება-განწყობილების თანდამთხვევას, რადგან «ბავშვობის ჩვენის ტკბილი სავანე» წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ყოველ ადამიანზე და, ნებით თუ უნებლიეთ, მჟღავნდება შემოქმედებით პროცესში. ძალაუნებურად აღმოგხდება ნატვრა:

მინდა შენს ირგვლივ დავდიოდე, ტანთ მედებოდეს
ეს ნარ-ეკალი, რძია-რძია და ქამენია.

ვ. გაბესკირიას პოეზიაშიც ბუნებრივად გაიგონებთ პალიასტომის ტბის ლერწმების ჩუმ შრიალსაც, წვიმის ხმაურსაც კრამიტისა თუ ისლის სახურავებზე და ქარის სისინსაც აჩალულ ყანებში. დაინახავთ ეზოებში მოკუნტრუშე ხბოებს, აივანზე გასამზეურებლად გადმოფენილ საბნებს, გუბეებში მოცურავე იხვებს, ორღობეში მიმავალ საქონელს, თოვლში მარტოდმარტო მდგარ ხეს, სახლის უკან, ღელის პირას, უნაყოფო თხემლებს, აყვავებულ მაგნოლიას... ერთი სიტყვით, ადამიანური ყოფის

უბრალო წვრილმანებს, ჩვეულებრივ, მეტ ყურადღებას არ ვაქცევთ, მაგრამ, მოულოდნელად, ერთ მშვენიერ დღეს, ისინი მნიშვნელობით, სილამაზით და სიყვარულით ივსებიან. ივსებიან იმიტომ, რომ ბუნების ყოველი საგანი, ყოველი ნივთი არა მარტო შექმნილია უხილავი შემოქმედის ხელით, არამედ მისი სიღრმის, სიბრძნისა და არსის გამოვლენაც არის. და როცა სულში ნათელი ჩადგება, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ჩვენ (ცხადია, ყველას ჩვენებურად) გვესმის, ვგრძნობთ, ვხედავთ საგანთა ამ მნიშვნელობას.

და რაც უთქმელი დარჩა ჩვენში, იმათ მაგიერ _
მე მთელი ღამე მიამბობდა ნაცნობი წვიმა.

ხშირად სიტყვა ვერ იტყვის იმდენს, რამდენსაც ნივთი. ვერ გამოიწვევს გახსენებათა, მოგონებათა გრძელ, უწყვეტ რიგს. ნივთმა კი შეიძლება თვალწინ დაგიყენოს ადამიანები, ვისთანაც დაკავშირებულია ცხოვრება _ ჭირი და ლხინი, ტკივილი და სიხარული, სიძულვილი და სიყვარული. შეიძლება «აკსაკოვის ძველი სურათით და ყდამოგლეჯილი «ვისრამიანით» მეტი დაინახო, იგრძნო, განიცადო, ვიდრე გრძელი საუბრით.

ამ ცოტა ხნის წინ, 1896 წელს რუსულად გამოცემული «ინგლისის ცივილიზაციის ისტორია» ვიყიდე, ჰენრი ტომას ბოკლისა. მის ძველ პატრონს, 148-ე გვერდზე, ფანქრით მიუწერია: «1974. 13. XII. დილის ექვსი საათი. აი, ჩემი განვლილი სიცოცხლის გზაც. 69 წლის გავხდი უკვე. თითქოს მთელი ეს გზა თავისი მოვლენებით ერთ პატარა უმნიშვნელო წამს შეადგენს, რომელსაც საგნობრივად ვგრძნობ. რა იყო 69 წლის წინათ, დილის 6 საათზე: ზესტაფონი, 1905წ., 30 ნოემბერი, სადღაც სადგურის გადაღმა, ერთ ხის სახლში (მინახავს შემდეგ). საწყალი დედა! ახლა აღარც პოლინა მყავს...»

დამეთანხმებით, ეს მინაწერი შეიძლება მთელი რომანის საფუძველი გახდეს. ისიც დასაშვებია, რომ «ინგლისის ცივილიზაციის ისტორიის» ძველ პატრონს თავისთავზე ვრცელი ამბის მოყოლით უფრო დამაინტერესებლად ვერაფერი ეთქვა, ვიდრე ამ რამდენიმე სტრიქონით გვითხრა. ვერც ის გრძნობა გამოეწვია, რასაც ამ მინაწერით ბადებს. ვერც ისე აღეგზნო ფანტაზია, როგორც ახლა აღაგზნებს. მაგრამ ამჟამად ეს მინაწერი იმიტომ გავიხსენე, რომ მასში ის განცდაა ჩადებული და ფიქსირებული, რაც ვ. გაბესკირიას ლექსში:

ზღვაში ჩაყრილი თეთრი ლოდები,
მეგობრობისათვის კვლავ გეტყვით: გმადლობთ!..
იქვე მიბმული, ნუ მელოდები
ჩემი ოცნების თეთრო ხომალდო.

უცნობი მამაკაცის გულისტკივილის ამოძახილისა და პოეტის ფიქრის თანდამთხვევა (რამდენი ასეთი დამთხვევის დაძებნა შეიძლება!) კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კაცობრიობის სული ერთი მთლიანი და განუყოფელია. როდესაც სხვას

ვაყენებთ ტკივილს, საკუთარ სულს ვწირავთ ლმობისათვის. მაგრამ რატომღაც ადამიანს ამის დაჯერება არ უნდა.

როცა «ოცნების თეთრ ხომალდთან» გამოთხოვების წამი დგება, ადამიანი ხორციელ სამოსელს ტოვებს და სულის მარადიული მგზავრობისათვის ემზადება, ყველაფერი _ ავიცა და კარგიც, კეთილიცა და ბოროტიც _ მშვენიერებით გაცისკროვნებული ჩანს. ადამიანისათვის უძვირფასესი ხდება «ჩამქრალ ბუხარში ძველი ნაცარი და კალათაში ლეღვის ფოთლები». განუმეორებელი ხიბლით გიზიდავს «კომშის, ქინძის თუ ყაჭის სუნი». ის გუბეც გენატრება, საყვარელმა გოგომ რომ ჩაიხედა.

გიგონებ შენ და იმ სახლის წინ ვარ,
ხენი შენს თმებში ჩრდილს რომ არხევდნენ.
ამაოდ ვეძებ გუბეს ნაწვიმარს,
შენ ბავშვობაში რომ ჩაიხედე.

ვ. გაბესკირია სიკვდილს მშვიდად უყურებს. მხოლოდ ნაღვლიანი თვალებით ესაუბრება. მართლაც, რა აზრი აქვს იმის წინააღმდეგ ამხედრებას, ამბოხებას, აჯანყებას, რაც აუცილებელია, გარდაუვალია, რასაც ვერაფერი შეცვლის და მოერევა? მაგრამ კაცია და გუნებაო, თუ ადამიანი ბუნებით ბობოქარი, შმაგი და დაუოკებელია, შეიძლება სიკვდილსაც არ შეეპუოს და ამ ბრძოლის, ურჩობის ჟინით გაჟღინთოს საკუთარი ქმნილებანიც. თუ, პირიქით, მყუდრო, დინჯი, წყნარი ბუნების კაცია, მაშინ მისი ნაწერებიც სათნო, ალერსიანი განწყობილებით ისუნთქებს. ამიტომ განსაზღვრავს ამა თუ იმ შემოქმედის მხატვრულ კრედოს მისი თანდართული ბუნება-თვისება. ვ. გაბესკირია კი ის ადამიანი იყო, ვის ყურადღებასაც, მღელვარე ზღვაზე მეტად, სველი ნაფოტი იპყრობდა. «ღელავდა ზღვა და შენ წინ ეგდო სველი ნაფოტი». წუთისოფლისადმი ამგვარი დამოკიდებულების შედეგია, რომ მასში სიკვდილი, პროტესტის ნაცვლად, გაოცებას იწვევს. «ტყეს კი ისეთმა ფერმა გადაჰკრა, თითქოს გაოცდა». ეს მაშინ მოხდა, როცა ტყეში ნადირი თუ ფრინველი მოჰკლეს. სიკვდილს უსამართლოდ კი არ თვლის, არამედ გულდამწყვეტ მოვლენად. როდესაც ზამთარში, სოფელში შემოსული მშიერი მგელი მოჰკლეს, «ბედს დამორჩილდა, არსად იჩქარის, ისევ სიჩუმე და ისევ თოვა, მაგრამ ჩრდილი კი, ჩრდილი სად არი, რად მიატოვა?..» უცნაურია, მაგრამ სიკვდილით არაფერი იცვლება, თითქოს იმისათვისაც კი, ვინც გაქრა. იქ, სადაც რამდენიმე წამის წინ სიკვდილმა გაიარა, მიდამო, არემარე უძრავად არის, არავინ დრტვინავს, ოღონდ «თეთრ ყვავილს ტბისას აჩნდა სისხლი და გზაზე მშვიდად მოცურავს ძაღლი».

არც სიყვარული ამღვრევს და აფორიაქებს ვ. გაბესკირიას პოეზიაში დამკვიდრებულ მყუდროებას. მის ლექსებში უფრო ხშირად გარდასული სიყვარულის გახსენებაა, ვიდრე მიჯნურობის უშუალო განცდა. «შენდამი ტრფობა ზოგჯერ ისე გამოანათებს, როგორც ღამეში დანახული წყლის ელვარება». თან ამ გახსენების დროს პოეტის ცნობიერებაში იღვიძებს არა სიყვარულით მოგვრილი სიხარული მთლიანად, არამედ ცალკეული, ბევრჯერ სრულიად უმნიშვნელო დეტალები: ქოლგა თეთრ ხელში _ «ყველაზე მეტად იმ დღეთაგან დამამახსოვრდა, შენ თეთრ ხელს ქოლგა, იმ წვიმაში, როგორ მიჰქონდა», ქალის ჩრდილი ქვიშაზე _ «მე ის კაცი ვარ, ოდესღაც შე-

ნი ჩრდილი ქვიშაზე რომ შემოვხაზე», ასულის სახელი, ღობეზე ცარცით წარწერილი _ «როცა სკოლიდან დაბრუნებული, შენს სახელს ღობეს ვაწერდი ცარცით».

სიკვდილისა და სიყვარულისადმი ამგვარი დამოკიდებულება მკაფიოდ მეტყველებს ვ. გაბესკირიას პოეზიის ლირიკული პროტაგონისტის მარტოობას. მარტოხელა ადამიანი სულით ნათესავს ეძებს. სულერთია ვინ იქნება ეს _ ხავსიანი ლოდი, რომელზედაც «ყვავილები ხშირად ჰყვავიან, მაგრამ საკრეფად არავინ მოდის», გამხმარი ხე, რომელსაც «საღამო ჟამს თითქოს შესცივდა და იგრძნო, რომ ის მარტოა», ეკლის ობოლი ბუჩქი, ვერაფერს რომ ვერ ისხამს, თუ მაღაზიის ვიტრინაში მანეკენი, ღამით თავდახრილი რომ ტირის.

ვ. გაბესკირიას თანაგრძნობა და თანალმობა ეკუთვნოდა ყველა მარტოსულს, დაჩაგრულსა და ამბოკარს. ამ დამოკიდებულებას იგი პოეზიის ენით გამოხატავდა. მისი საშუალებით ცდილობდა ადამიანის გახსნილი ჭრილობის დაამებას. თუმცა იმასაც გააჩნია, ვინ როგორ კითხულობს ლექსს. ვისაც პოეზია უყვარს, ის არა მარტო სიტყვით გამოთქმულ აზრს ითვისებს, არამედ ნაირნაირი ხმებიც ესმის და სხვადასხვა სურათსაც ხედავს. ოღონდ შესაძლებელია, ზოგჯერ მედიტაციურობა გხიბლავდეს ლექსისა, ზოგჯერ _ მუსიკალურობა და ზოგჯერაც _ სურათოვნება. ვ. გაბესკირია უმთავრესად სურათებით აზროვნებდა. თითქმის მისი ყველა ლექსის ილუსტრაციის დახატვა შეიძლება.

ათოვს მთის ღელეს, ქარი ქრის ხევში,
ათოვს ხეებზე ატანილ ჩალას,
მარტო ზის სოფლის ბოლოში ხეზე
ყვავი-ყვანჩალა.
თოვაში მშვიდი შებინდების დრო
უახლოვდება განაბულ სოფელს...
ათოვს ალვის ხეს, საყანე მინდორს
და წნელის ღობეს.

რაკი ვ. გაბესკირია სურათით აზროვნებდა, ბუნებრივია, რომ განათებას მისთვის არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, მის ლექსებში მზეც ხშირად იხსენიება, მაგრამ ადამიანებს, საგნებს, პეიზაჟს პოეტი უმთავრესად მთვარის შუქით ანათებდა და ფერმიხდილად წარმოგვიდგენდა. მას ის სინათლე უყვარდა, როცა «დღე ძალას კარგავს და თანდათან ფერმკრთალი ხდება». ვ. გაბესკირიას პოეზიაში ადამიანები, საგნები, პეიზაჟები ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე დგანან. თითქოს თან არსებობენ და თან არ არსებობენ. თუთარჩელას ვერცხლისფრად განათებულ სამყაროში მთვარე ხან ჩირგვებს შორის იჯდა, ხან ოდაში თაფლის სანთლებს ანთებდა და ხან ტყის ჩაბნელებულ წიაღს ჭოტის თვალით აშუქებდა.

მნათობს ტალღები უკვე ასველებს
და დღესაც (როგორც ყოველდღე ამ დროს)
დადის ღრუბელი ცის დასავლთან
და ოდნავ მბჟუტავ სინათლეს აქრობს.

მყუდროების, სინაზის და სიწყნარის გარემოში თავად პოეტიც უკეთ გრძნობდა თავს. რადგან «ოცნების თეთრი ხომალდი» ყოველი ადამიანისათვის მიუწვდომელი რჩება, მას წარმავალი დიდებისათვის ბრძოლას, დავიდარაბას, ფუსფუსს, ჯახს, მღელვარებას, წუთისოფლის მშვიდი მზერა ერჩია, იმ მშვენიერების ბოლომდე შეგრძნება-აღქმა, რითაც მცირე დროით, მაგრამ უხვად ავსებს უზენაესი შემოქმედი ყოველ საგანს, თუნდაც სრულიად უბრალოსა და უმნიშვნელოს.

1985წ., ნოემბერი

ჩუმი ნეტარება

როცა კოლაუ ნადირაძის ლექსებს კითხულობთ, საოცარი სიმშვიდე გეუფლებათ. თითქოს ცხოვრებას პოეტისათვის მწარე ტკივილები არ მიეყენებინოს. თითქოს არასოდეს განეცადოს სასოწარკვეთა და ნერვიული აშლილობის წუთები. არადა, პოეზიის პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილს ყოველთვის მწვავედ განუცდია წარსულისა და აწმყოს ტრაგიკული მოვლენები.

ისეთი ცოდვა რა ჩაიდინე, ჩემო სამშობლოვ, მინდა ვიცოდე,
რომ ამოდენა ცეცხლი დაგჭირდა და მეც ამ ცეცხლით
უნდა ვიწოდე,
რომ განთხევიეს ამდენი სისხლი, არ შეგიბრალეს,
არ შეგიცოდეს?!

(«სამი აჩრდილი»)

კოლაუ ნადირაძის პოეზიაში გამოვლენილი სიმშვიდე არ დაბადებულა ცხოვრებისაგან განდგომის შედეგად. პირიქით, ყოველი მოვლენის ტრაგიკულმა განცდამ წარმოშვა იგი, როგორც გარკვეული მხატვრული და აზრობრივი მრწამსი: საკმარისია თვალი გადავავლოთ კოლაუ ნადირაძის ლექსებს, დაწერილს სხვადასხვა დროს, რომ ნათლად დავინახოთ, როგორ თანდათანობით ისადგურებს პოეტის შემოქმედებაში სიმშვიდე.

ახალგაზრდობაში იგი მეტად სევდითა და დარდით მოცული შეჰყურებდა სამყაროს. ოცდაათი წლის ვაჟკაცს დაუწერია:

თოვს, ეს სიჩუმე და სისუფთავე
მე ძველებურად აღარ მახარებს!..
მე ჩემ სიმღერას უკვე ვათავებ
და ჩუმად ვრაზავ გაღებულ კარებს.

(«თოვს»)

ხშირად ამაოებისა და მარტოობის გრძნობა იპყრობდა, სიკვდილის ცივ თვალებს ჯიქურ უყურებდა და ხანდახან, წინააღმდეგობის მაგიერ, მორჩილებას ამჟღავნებდა. წუხილით ავსებული მრავალფერი სამყაროს წამიერ ტკბობას ესწრაფოდა.

ო, კიდევ წამი, მხოლოდ წამი! შემდეგ წყვდიადი
ეწვევა თვალებს და ჩაგიქრობს ვარსკვლავებს ცაზე...
წამოწექ ზღვასთან და ისუნთქე ამ განთიადით,
საბრალო მგზავრო, დაკარგულო უდაბურ გზაზე!

(«განთიადი ზღვაზე»)

ეს სკეფსისი გამოწვეულია ერის ტრაგიკული ცხოვრების გაცნობიერებით.

შენ რაღას მეტყვი, დიდო რაინდო, ჩვენი გმირობის აკვანს
რომ არწევ,
ტანჯულ ძმებისკენ რომ მიიჩქარი, მათ საწამებელ
მოედანს აღწევ,
და ქუთუთოებს, ფუტკართ დაკბენილს, თითქოს
დარცხვენით, ზევითაც არ სწევ!
ეს ხომ შენა ხარ, ო, უნაზესო, ქალო ქართველო,
ჩვენო დიდებავ!
ეგ ხომ შენს მკერდებს შანთებს უყრიან, ეგ ხომ შენს
ირგვლივ ცეცხლი ინთება!
მაგრამ არ მესმის შენი გოდება და თვალებს ცრემლი
არ დადინდება!
. . .
შენ კი რად სდუმხარ, დიდო მგოსანო და მოციქულო ერის
და უფლის?
რისთვის მიცქერი ასეთი სევდით და ჩემს მაგიდას ირგვლივ
რად უვლი?
ვინ გაგიმეტა ასე უღმერთოდ და გახვრეტილი რათა
გაქვს შუბლი?

(«სამი აჩრდილი»)

უკმარისი იყო ტრაგიკულის მარტო განცდა. საჭირო გახდა ტკივილების მოშუშება, სიცოცხლის ხალისისა და მომავლის რწმენის შენარჩუნება. ასეთ დროს ადამიანის გული სიმშვიდეს ელტვის, ბუნების ღვთაებრივ წიაღში სულის სავანეს.

რაღაც დიადმა გულს უეცრად ხელი შეახო,
რაღაც სინათლე იდუმალი ჩემში ინთება...
ვიგრძენი წუთით: თითქოს ღმერთი სდგას შორი-ახლო,
ღიმილით უსმენს ჩემს გულისქმას და ... მაკვირდება!

(«ღიმილი»)

მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო უზანაესთან ურთიერთობის ფორმა და გზა?

პოეტმა ფორმად სიჩუმე აირჩია, გზად კი _ ლაჟვარდი. სიჩუმე კომუნიკაციების უღრმესი და ურთულესი ფორმაა, ლაჟვარდი კი _ სულიერი სისპეტაკის გამოვლენა.

ხავერდის კიბის საფეხურებით დიდი სიჩუმე ჩამოდის ციდან,
სმენად ქცეულა მთელი სამყარო და მეც სიჩუმეს
ვუსმინო მინდა.

(«ჩემი ვარსკვლავი»)

მე ვგრძნობ სიმშვიდეს, მყუდროებას მივარდნილ ქვაშიც...
დიდო სიჩუმევ, ჩემი სულიც შენ გიერთდება!

(«Adagio»)

ვზივარ ზღვის პირას. დრო უხმოდ მიდის.
მზე დარჩა ქვებზე და ბავშვის თმებში...
საღამოვდება. სიჩუმე დიდი,
როგორც ნათელი, შემოდის ჩემში.

(«ზღვასთან»)

ვხედავდი პირველ გაჩენის დილას...
მოდგა სიჩუმე და გულში ჩაჯდა.

(«ზღვის პირას»)

ლაჟვარდი, როგორც რწმენის სიმბოლო, იმთავითვე არსებობს კოლაუ ნადირაძის ლექსებში. ოღონდ მერე უფრო ფართო და მრავალისმომცველი ხდება მისი მნიშვნელობა. ლაჟვარდი კოლაუ ნადირაძის პოეზიაში სამი ძირითადი შინაარსის მატარებელია. იგია ბუნების მშვენიერება, სისპეტაკე და კათარზისგავლილი სულის მატერიალური ხილვა.

ემონე ლაჟვარდს ყველაზე მეტად _
ჭეშმარიტ საზომს არჩეულ სულთა,
რომ ჩაგესვენოს მღელვარე სვეტად
მარადი რწმენა და ფიქრი სუფთა.

(«L'art»)

შორს არის ზეცა და ლაჟვარდის მშვენიერება _
(იქ ყოველ მართალს, ალბათ, ელის ბედნიერება!)

(«სექსტინა»)

იყავ სპეტაკი, როგორც ბავშვის ღიმილი ნაზი,
როგორც ლაჟვარდი უწმინდესი და სხივოსანი...

(«პოეტს»)

მე სიხარულით დღესა ვარ ავად,
მე მინდა მოვკვდე ერთ უკვდავ თქმაში!
მინდა ეს გული ოქროსფერ ნავად

გადავაცურო ლაჟვარდის ზღვაში.

(«აყვავებული ტყემლები»)

თუ ციტირებულ სტრიქონებს დავაკავშირებთ, მკაფიოდ დავინახავთ, რომ ლაჟვარდი და სიმართლე ერთმანეთს უკავშირდება. ორივე სპეტაკია და, ამდენად, მათი კავშირიც ბუნებრივია.

პოეტის მიერ ყველაფერი დანახულია სიწმინდის, სიჩუმის, სიმშვიდის ასპექტით.

სიკვდილის მტკივნეული პრობლემაც კი მშვიდი ფიარისა და განსჯის საგანია. სიკვდილი და სიცოცხლე მიჩნეულია არსებობის ორ სხვადასხვა ფორმად.

სიკვდილიც იგივ სიცოცხლეა, რადგან ფიქრია!

(«დაფიქრება ზღვასთან»)

მე მიყვარს დილა, როცა ფანჯრებში შემოვა მზე და
მერცხლის გალობა,
როცა მახარებს სიცოცხლის გრძნობა და თვით სიკვდილის
გარდუვლობა...

(«მე მიყვარს დილა»)

დააკვირდით რა სიმშვიდეა: სასიხარულოა სიკვდილის გარდაუვალობაც კი!

იკურთხოს წამი, ჩვენ რომ განვიცდით,
რომელიც ჰქრება და წარსულს ჰბადებს!..
სიკვდილის ჟამიც _ რომ ვერ ავიცდენთ _
და სუფთა ფიქრი, გულში რომ ათევს!

(«ბუნების ენა»)

აქ გამჟღავნებული სიმშვიდე ნაყოფია რწმენისა: რაც ბუნებამ მოგანიჭა, ადამიანი მას ვერ წაგართმევს, რაც ბუნებას არ უბოძებია, მას ვერავითარი ძალით ვერ მოიხვეჭ. ამიტომ ამაოების ვნებათა ღელვას შეგიძლია გულმშვიდად უყურო.

განა არ ვიცი, რომ მოვა ჟამი და ვერ ვიხილავ შენს მთებს
და ჭალებს?
მინდვრის ყვავილში, ან ხის ფოთოლში ოდესმე მაინც
გავახელ თვალებს!

(«მე მიყვარს დილა»)

გარდაცვალების შემდეგ ადამიანი ხდება სამყაროს ნაწილი და ცოცხლობს სამყაროს დიდი სიცოცხლით, ზიარებული დიდ ჰარმონიას.

ამაღლდი, სულო, შეუერთდი შენც ამ სამყაროს!
დაჰგმე წუთიერ და წარმავალ გრძნობათა ზრახვა, _
რომ ეზიარო ჰარმონიის უძირო წყაროს,

რომ ჰპოვო სიბრძნე იმ ფოთოლშიც, ხეზე რომ გახმა!

(«კოლხეთის საღამოები»)

ისეთი ღრმა და წმინდაა ზეცა _
ალერსით სავსე,
თითქოს ღვთისმშობლის ცრემლი დამეცა
ლოცვის დროს თავზე.

(«მთვარის წყალობა»)

ბუნების წიაღში თავისუფლდება სული. იგი პირველყოფილი მშვენიერებით ტკბება. კაენის ცოდვა ჯერ არ დატრიალებულა. მიწას ჯერ არ მისცხებია პირველი უმანკო სისხლი. სამყარო ისე უცოდველია, როგორც ჩვილი. ამ სურათის ხილვა აღ-ძრავს დაბადების სიხარულს.

პატარა ბავშვის ტერფების კვალი
ნამიან სილას ზღვის პირას აჩნდა...
მე თითქოს წამით ამეხსნა თვალი,
და ის დღე ვიგრძენ _ იდუმალ ძალით,
როცა სიცოცხლე პირველად გაჩნდა!

(«ზღვის პირას»)

სიცოცხლე მზის პირმშოა. «მზე დედაა ჩემი»... ლოცულობდა ძველი ქართველი, რამეთუ მითოლოგიურ პანთეონში მზე ღვთაების ჰიპოსტასია. მისი ხილვა სიხარუ-ლის წყაროა.

ხუთი დღე წვიმდა... შენ არ ჩნდებოდი
და მომენატრა მე შენი სახე.
შენს შესახვედრად დილით ვდგებოდი,
ისე, ვით სატრფოს, გელოდებოდი,
რომ დამენახე, რომ დამენახე!
და როცა ისევ გამოაშუქე, _
ჩუმი მადლობით ამევსო გული:
რომ ასეთ მცირე სულდგმულს მაჩუქე
ამდენი ოქრო და სიხარული!

(«მზეს»)

ეს ლექსი ლოცვაა. ამას ადასტურებს მისი სიტყვიერი ქსოვილი: სატრფო, ოქრო, სიხარული და, რაც მთავარია, ჩუმი მადლობა. ღვთაებისა და ადამიანის ინტიმური ურთიერთობის გამოხატვა მხოლოდ ჩუმი მადლობით შეიძლება. სულში ჩახედვას არ სჭირდება ხმაური, აყალ-მაყალი. მას წვდება გულისყური და გონების თვალი, ხოლო მადლიერი სული ასევე უხმოდ, ჩუმად ავლენს სადიდებელს.

შენამდე აღწევს ფრინველთა ლოცვა, ყვავილთა სუნთქვა,

ტყეთა შრიალი,
ზღვათა და ქართა ჭმუნვა და ოხვრა და მთვარის შუქზე
ცვართა ციალი,
ბავშვის ბაგეთა ღიმილი ნაზი და დიდი სევდა ადამიანის!..
მხოლოდ შენშია დაუშრეტელი საგალობელი სიხარულისა,
ცისფეროვანი უმანკოება პირველად ნაგრძნობ
სიყვარულისა, _
დაუვიწყარი კუბოს კარამდე ეგ უწმინდესი კრთომა
გულისა...

(«ჩემი ვარსკვლავი»)

სულ სიმშვიდისა და სიჩუმის სურათია: ფრინველთა ლოცვა, ყვავილთა სუნთქვა, ცვართა ციალი, ბავშვის ღიმილი, ადამიანის სევდა, გულის კრთომა, პირველი სიყვარულის ცისფეროვანი უმანკოება. ყველაფერი მშვენიერია, ნაზი, უხმაურო, მშვიდი. ყველაფერი მეტყველია ჭეშმარიტი სილამაზით, მაშინაც კი, როცა ხმაურიანი საგანი ჩნდება ლექსში, სიჩუმე მოულოდნელად აწყნარებს მოსალოდნელ გრიგალს. ერთი მხრივ, «ზღვათა და ქართა ჭმუნვა და ოხვრა», და, მეორე მხრივ, «მთვარის შუქზე ცვართა ციალი». ეს სურათი მეყსეულად გიპყრობთ და ნაზი ჰარმონიით გავსებთ. ქარის ოხვრა უკვე განეიტრალებულია. ისეთი შეგრძნება გრჩებათ, რომ მთვარით გაშუქებული ცვარიანი მინდვრის ხილვით აღტაცებულმა ქარმა ამოიოხრა, მაგრამ ჩუმად. მყუდროება არ დავარღვიოო, თუმცა ყოველგვარი მყუდროება არ იწვევს სიხარულს. სიხარული მაშინ ბატონობს, როცა მზე ბრწყინავს. თუ ეს შეგრძნება დაიკარგა, მაშინ შიში ისადგურებს.

დაცვივდნენ ფოთლები ვერსალის ბაღებში,
მოწყენილ დედოფალს აშინებს წვიმა.
საღამოს ლანდები კრთიან ოთახებში,
დაცვივდნენ ფოთლები ვერსალის ბაღებში.
მძიმეა სიჩუმე სასახლის თაღებში.
ვინ იცის დედოფალს რად გაეღიმა!
დაცვივდნენ ფოთლები ვერსალის ბაღებში,
დაღალულ დედოფალს აშინებს წვიმა.

(«ვერსალის წვიმაში»)

ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა სიჩუმე მძიმეა. მძიმეა, რაკი უხალისოა, უსიხარულო.

კოლაუ ნადირაძე ღვთაებრივ, მზიურ სიჩუმეს უპირისპირებს მძიმე სიჩუმეს და არა ხმაურს. ეს იმიტომ, რომ სიმშვიდე არ უნდა დაირღვეს. სიმშვიდე უმაღლესი ნების გამოვლენაა და ადამიანი მოვალეა მშვიდი იყოს, როგორც ლხენის, ისე ტკივილის ჟამს.

იყავი ისე, როგორც მთაში ყვავილი არის!

იყავ ფუტკარი, რომ ითვრება ყვავილის წვენით!
მზის ელვარება და ნათება ღამეში მთვარის
რომ შენში ერთად მეტყველებდნენ უბრალო ენით!

(«შერიგება»)

კოლაუ ნადირაძის აღწერილი პეიზაჟებიც სიმშვიდის ნათელით არის მოსილი.

დავიწყებული ძველი ფონები
და ნანგრევები დიდ ციხეების,
ჩვენი დიდება მოსაგონები,
ფართო ჩრდილები ცაცხვის ხეების.

შედიხარ ჩუმად. გრილი ტაძარი...
მოთაფლისფერო სახე მამების;
და საცეცხლურში ცოტა ნაცარი,
და შავი ხატი წმინდა სამების.

ნიშანი ბედის _ კარზე ნალები,
სახურავები დახავსებული.
და ღვთისმშობელის მოგრძო თვალები
უმანკო სევდით ამოვსებული.

(«ოცნება საქართველოზე»)

ერთი შეხედვით, ეს სურათი ეწინააღმდეგება საქართველოს ტრადიციულ ხატს, ეწინააღმდეგება მის მოუსვენარ ისტორიას, ტემპერამენტიან ხალხს და ბუნებას. მაგრამ ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია. ამ ლექსში საქართველოს სულია გამოხატული. ამდენად, ყველაფერი _ ნანგრევები, ცაცხვის ჩრდილები, გრილი ტაძარი, სამების შავი ხატი, წმინდა მამათა თაფლისფერი სახეები, დახავსებული სახურავები, ღვთისმშობლის სევდიანი თვალები _ განუმეორებლად ქართულია, ოღონდ მათ სიმშვიდის შარავანდედი ადგას. სიმშვიდე კი დაბადებულია ტრაგედიაგავლილი ერის მოწამებრივი თავშეკავებით. გადახდილია ბრძოლა, გადალახულია მდინარე, აშენებულია ტაძარი, აღსრულებულია ლოცვა, ნაპოვნია ბედნიერება, მოხდილია ვალი. აღდგენილია შინაგანი წონასწორობა და ერის სულში ჩასახლებულია ღვთაებრივი ძალა. წონასწორობას უკვე ვერაფერი დაარღვევს. აქ «ჩუმი ნეტარებით შეპყრობილი» (კ. ნადირაძის სიტყვებია) საქართველოა პოეზიის ენით დასურათებული.

ეს დარბაისლური სიმშვიდე და მოწამებრივი მოთმინებაა საფუძველი კოლაუ ნადირაძის პოეზიით მოგვრილი ჩუმი ნეტარებისა.

1974წ.

პავლე ინგოროყვა

1980 წლის 22 ნოემბერს უნივერსიტეტში ახალგაზრდა მწერალთა წრის «პირველი სხივის» წევრებმა მოაწყეს პავლე ინგოროყვას საღამო. ამ საღამოზე მეც ვთქვი სიტყვა.

ჩვენ მიჩვეული ვართ იუბილეებს და საზეიმო საღამოებს, მაგრამ იშვიათია შემთხვევა, როცა გულწრფელად და ალალად ვაკეთებთ ამას. საბედნიეროდ დღეს არ დაგვჭირდება პირფერობა და თვალთმაქცობა. გულღიად ვიტყვით ყველაფერს, რისი თქმაც გვინდა.

ყველა ამგვარი საღამო და ყოველი იუბილე გარკვეული გაკვეთილისთვის გვჭირდება. პავლე ინგოროყვამაც ბევრი საგულისხმო გაკვეთილი მოგვცა და მათი გახსენება ახლა აუცილებელია.

პირველი გაკვეთილი ის გახლავთ, რომ რასაც იგი აკეთებდა, აკეთებდა ქართველი ხალხის სამსახურის სახელით, იმ ცოცხალი ხალხის სახელით, ვისაც ისტორია და წარსული მომავლისათვის სჭირდება. არ მუშაობდა ისე, როგორც დღეს მუშაობენ, როცა ისტორიკოსებისა და ლიტერატურის მცოდნეების ნაშრომებში ნეკროლოგის განწყობილება სუფევს და ეს ობიექტურობად არის მონათლული. ჩვენ რომ თავის დროზე პ. ინგოროყვას უზარმაზარი წიგნისათვის, «გიორგი მერჩულესთვის», სათანადო ყურადღება მიგვექცია და ღრმად დავკვირვებოდით, დღეს არ იარსებებდა აფხაზეთის ანეგდოტური პრობლემა. მაგრამ მაშინ იმის აღნუსხვას მოვუნდით, რამდენი შეცდომა აქვს პავლე ინგოროყვას დაშვებული. დღეს აქ არავინ აპირებს თქვას, ინგოროყვას შეცდომები არ ჰქონდაო. ღმერთმა დაგვიფაროს ისეთი მეცნიერის არსებობისაგან, ვისაც შეცდომები არ ექნება. მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ, როცა საქართველოს ჟამი დარეკს, ჩვენ ყველანი პავლე ინგოროყვას წიგნს ავიღებთ ხელში და ამით დავადგენთ სამართლიანობას, ხოლო განმაქიქებელ წიგნებს ნაკლები მუშტარი ეყოლება.

პავლე ინგოროყვა, დღევანდელი მეცნიერებივით, არ იცვლიდა შეხედულებებს იმის შესაბამისად, საიდან ჰქრის ზენა ქარი და ესეც გაკვეთილია.

გაკვეთილია ისიც, რომ, როცა ილია ჭავჭავაძე მონათლული იყო მონარქისტად, რეაქციონერად და ქართველი გლეხებისა და მუშების მტრად, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელთან ერთად, ილიას ნაწარმოებებს აგროვებდა, კომენტარს უკეთებდა და 10 ტომად სცემდა.

მაშინ, როცა გვიმტკიცებდნენ, რომ ქართველ ხალხს დანიელ ჭონქაძე უფრო სჭირდება, ვიდრე რუსთაველი, პავლე ინგოროყვა თავის «რუსთველიანას» წერდა.

აქ ამის შესახებ სერგი ჭილაიამ ილაპარაკა, მაგრამ არ თქვა, ვინ იყო ის კაცი, ვინც ქართველ ხალხს უმტკიცებდა, «სურამის ციხე» უფრო გჭირდებათ, ვიდრე «ვეფხისტყაოსანიო», ვინ იყო ის, ვინც ილია მონარქისტად და რეაქციონერად მონათლა. ეს უნდა ითქვას, რადგან შთამომავლობა ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ეს კაცი იყო ფილიპე მახარაძე, რომელიც ახლა მთაწმინდაზე განისვენებს.

პავლე ინგოროყვას ეს საქციელი გაბედულებასა და ვაჟკაცობაზე მეტყველებს და ესეც გაკვეთილია, რამეთუ გროშია ყოველი კაცის ფასი, ვისაც არა აქვს გაბედულება და ვაჟკაცობა.

30-იანი წლების ბოლოს პავლე ინგოროყვა მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. ეს მოხდა მაშინ, როცა კპ მითითებით ხდებოდა ქარხნებიდან პროლეტარიატის მწერლობაში გაწვევა პროლეტარული ლიტერატურის გასაძლიერებლად. ამ აბსურდულ მოვლენას იმიტომ ვიხსნებ, რომ ნათელი გახდეს, რა მძიმე პირობებში უხდებოდა საქმიანობა პავლე ინგორიყვას და მის თაობას.

პავლე ინგოროყვამ 20-იან წლებში გამოსცა ჟურნალი «კავკასიონი». აქ ითქვა, რომ მანამდე ამისი მსგავსი არაფერი ყოფილა ქართულ პრესაში. ეს მართალია, მაგრამ უნდა დავამატო, «კავკასიონის» მსგავსი არაფერი ყოფილა არც მის შემდეგ და არ არის დღესაც.

გაკვირვებას იწვევს პავლე ინგოროყვას უზარმაზარი მემკვიდრეობა. მან უამრავი პრობლემა დასვა და მეცნიერთა მთელი თაობები დასჭირდება ამ პრობლემების დადასტურებას ან უარყოფას. ეს ხომ გასაოცარი სტიმულია მეცნიერული აზროვნების განვითარებისათვის. ესეც გაკვეთილია, რადგან ყოველი მოაზროვნე მოვალეა, ისე იაზროვნოს, რომ სხვათაც აღუძრას ფიქრისა და განსჯის სურვილი.

პავლე ინგოროყვამ პირველმა სცადა არმაზის ორენოვანი წარწერების ქართულად წაკითხვა. ეს პრობლემა დღესაც უძრავად დგას და არავის უსინჯავს მისი გაგრძელება.

პავლე ინგოროყვამ პირველმა სცადა ამოეცნო ძველი ქართული სამუსიკო ნიშნები. ეს პრობლემაც უძრავად დგას და არავის არაფერი მიუმატებია ამ საკითხისათვის.

პავლე ინგოროყვამ პირველმა დაწერა გამოკვლევა ქართული წარმართული კალენდარის შესახებ. არც ამ პრობლემის გამო თქმულა რაიმე ჩვენს მეცნიერებაში. ამ ბოლო ხანს მხოლოდ რამაზ პატარიძემ გააგრძელა ქართული წარმართული კალენდრის კვლევა.

უზარმაზარია მისი მეცნიერული კვლევის დიაპაზონი: უძველესი ქართული ჰიმნებიდან დღევანდელ ლიტერატურამდე. აი, ამ უზარმაზარ ასპარეზზე პავლე ინგოროყვა საოცარი მეცნიერული ალღოთი, გუმანით აგნებს მთავარსა და ძირითადს. იგი შეიძლება უშვებდეს შეცდომას რაიმე კონკრეტული ფაქტის მოხსენიებისას, მაგრამ მთავარი ბირთვი, მთავარი დებულება ყოველთვის უტყუარია. მეცნიერის ნიჭიერებაც ამით განისაზღვრება.

აქ გამოსულმა ახალგაზრდა კაცმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ პავლე ინგოროყვას თხზულებათა გამოცემა ამ 17 წლის წინათ დაიწყო და დღემდე არ დამთავრებულა და გაიკვირვა ეს ფაქტი. აქ არაფერია გასაკვირი, ვინც იცის პავლე ინგოროყვას გარშემო შექმნილი უნდობლობის ატმოსფერო, ეს დღესაც გრძელდება და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება. გრძელდება იმიტომ, რომ პავლე ინგოროყვა ქართველი ხალხის კეთილდღეობის პოზიციიდან წერდა თავის ნაშრომებს. დღევანდელი დირექტივის თანახმად კი ამოცანა ის არის, რომ არავის ვაწყენინოთ და ყველას კოჭი ვუგოროთ. თუ პავლე ინგოროყვას წიგნებს გამოვცემთ, ხომ შეიძლება იქ ნათქვამი ეწყინოთ, არ ესიამოვნოთ რუსებს, სომხებს, აფხაზებს და ინტერნაციონალი რომ არ დაგვეშალოს, უმჯობესია არ გამოვცეთ მისი წიგნები. ინტერნაციონალი ქართველი ხალხის ხარჯზე გვინდა. პავლე ინგოროყვა კი ასე არ ფიქრობდა. ამიტომაც არის, რომ იგი არ არის იმ აკადემიის წევრი, რომლის კარი ღიაა ყველა

ჩიტირეკიასათვის. კარგია, რომ თქვენ ტაშით შეხვდით სერგი ჭილაიას წინადადებას ინგოროყვას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არჩევის თაობაზე. მაგრამ ჩვენი ტაში არაფრად ეღირება, თუ მიზანს ვერ მივაღწიეთ, თუნდაც ამისათვის დემონსტრაცია და დარაზმვა დაგვჭირდეს. თუ ჩვენ საზოგადოება ვართ, ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი თავისა და ქვეყნის პატრონი. უნდა ვაიძულოთ ყველა, აღასრულოს ქართველი ხალხის ნება. დე, კეთილი ინებონ ზოგ-ზოგებმა და თავი მოიდრიკონ იმ კაცის წინაშე, ვინც არაადამიანური შრომა გასწია ქართული მწიგნობრობის საკეთილდღეოდ.

დაბოლოს, მადლობა მინდა მოვახსენო იმ ახალგაზრდებს, ვინც ამ საღამოს მოწყობა იკისრა და ჩაატარა.1

როსტომ ჩხეიძის მინაწერი:

აკაკი ბაქრაძის არქივში რაც უნდა აღმოჩნდეს — თუნდ ფრაგმენტული ჩანაწერები, თუნდ ბოლომდე დაუმუშავებელი ლიტერატურული ნარკვევები, თუნდ მხოლოდ თავმოყრილი მასალა ყოველგვარი კომენტარის გარეშე — უთუოდ საგულისხმო იქნება და გასახარი ყველასთვის, ვისაც მოეხსენება ამ პიროვნების გამორჩეულობა ჩვენს სამწერლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მითუმეტეს — დასრულებული ორატორული სიტყვა.

ჩემთვის ამ სიტყვას, პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილს, მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ძალდაუტანებლად მომაგონებს იმ მღელვარე დღეებს, როდესაც პავლე ინგოროყვას საღამოს ვამზადებდით ჩვენს უნივერსიტეტში ნიკა სანებლიძე და მე. ეს იყო პირველი ლიტერატურულ-საიუბილეო საღამო პავლე ინგოროყვას სიცოცხლეში, მისთვის ხომ არანაირი იუბილე თუ საღამო არ გაუმართავთ მანამდე, და პირველი საღამო — ჩემი თაოსნობით მომზადებული. ნიკას გარდა სხვებიც მახსოვს, მონდომებით რომ მედგნენ გვერდით: გიგლა ბარამიძე, ალექსანდრე კარტოზია, ლადო ჭელიძე...

პერიპეტიებს აღარ მოვყვები. ეს ყოველივე ხომ უკვე მაქვს მოთხრობილი სტატიაში „გახსენება: პირველი საღამო“, რომელიც ჯერ „ივერია ექსპრესის“ ფურცლებზე დაიბეჭდება 1994 წელს და შემდგომ განმეორდება ჩემი წერილების კრებულში „როცა შვიდნი ვართ“.

ბატონმა აკაკიმ სიტყვა ჩვეულებისამებრ ზეპირად წარმოთქვა, ოღონდ შინდაბრუნებულს საჭიროდ მიუჩნევია მისი ჩაწერა. როგორც მისი მეუღლე, ქალბატონი ნელი რუსიშვილი გვამცნობს, ასე ყოველთვის არ იქცეოდა და — იშვიათი შემთხვევების გარდა — თავისი ორატორული გამოსვლები შემდგომ აღარ გადაჰქონდა ფურცელზე.

რაოდენ სასიხარულოა, რომ პავლე ინგოროყვაზე მისი ნაუბარი იმ იშვიათ შემთხვევათა შორის აღმოჩნდა.

სხვაგვარად ალბათ არც იქნებოდა — ისეთი პრინციპული და მნიშვნელოვანი გამოსვლა იყო, დაენანებოდა დასაკარგად, მითუმეტეს გამომსვლელთა მაშინდელი სიტყვები, სამწუხაროდ, მაგნიტოფონზე არ ჩაგვიწერია.

ვრცელი ნარკვევის შექმნასაც აპირებდა პავლე ინგოროყვაზე. დაწერა მე თვითონ ვთხოვე და მხურვალედ დამპირდა, ოღონდ მითხრა: ნუ ამაჩქარებ, რაღაცების მოთავება მინდა, მაწუხებს და ბარემ დავასრულო, მერე კი აუცილებლად დაგიწერ და მოგართმევო. ეს ის დროა, როდესაც ზედიზედ გამოქვეყნდება მისი მონოგრაფიები ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ნიკო ნიკოლაძეზე...

გული მწყდება, რომ მხოლოდ რამდენჯერმე შევახსენე და ისე არ დავუჟინე, აუცილებლად რომ დაეწერა.

დაპირება დაპირებად დარჩა.

ეს სიტყვა მაინც გადარჩა და აქ მკაფიოა ის მთავარი დებულებანი, რომელთა აკაკი ბაქრაძისებური გაშლა კიდევ ერთ დიდად საგულისხმო ლიტერატურულ ნარკვევს შესძენდა ჩვენს მწერლობას.

ერთი სიტყვით, ეს პუბლიკაცია, „ჩვენი მწერლობა“ რომ გთავაზობთ, ლიტერატურული ვერსიაა და არა სტენოგრაფიული ჩანაწერი.

ამას აღვნიშნავ გარკვეული სიზუსტისათვის, და კიდევ:

მკითხველი, რომელიც ჩემს წერილში „გახსენება: პირველი საღამო“ — ამოიკითხავს, როგორც აკაკი ბაქრაძის ნათქვამ შემდეგ სიტყვებს: „ჩვენი თაობა მოვალე იყო ადრევე ეთქვა სიმართლე, თუ ვინ არის პავლე ინგოროყვა და რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მის ზნეობრივსა და ინტელექტუალურ გაკვეთილებს ჩვენი ერისათვის. ეს გაკვეთილები რომ გაგვეთვალისწინებინა, არაერთი უბედურება, რაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სუფევს, აცილებული იქნებოდა. ჩვენ ეს ვერ გავბედეთ, გვეშინოდა და იმიტომ. და მე მადლობელი ვარ ჩვენი ახალგაზრდობისა, რომელნიც არაფერს შეუშინდნენ და ეს სიმართლე თქვეს“, — და შესაბამის პასაჟს ვერ აღმოაჩენს ბატონი აკაკის ამ ჩანაწერში, ვაითუ დაეჭვდეს ჩემს მიმართ, აკაკი ბაქრაძეს რაღაცას ხომ არ მიაწერსო.

არადა, ნამდვილად ასე იყო თქმული:

ჩვენ ვერ გავბედეთ, იმიტომ, რომ გვეშინოდა, ამ ახალგაზრდებს კი არ ეშინიათო.

ჩაწერისას, ეტყობა, უნებლიეთ გამორჩა.

ეს გახლდათ ხელგაშლილობა უფროსი თაობის კაცისა, რომელიც ინტერესით შეჰყურებდა ახალგაზრდობას და ეძებდა მათში იმ სასიკეთო მარცვლებს, რასაც საქართველოს ზნეობრივი ისტორია უნდა გაეგრძელებინა.

პავლე ინგოროყვას საღამოს გამართვა საიმედოდ ესახებოდა, რაღაც დიდი ცვლილების მაუწყებლად და არ შეეძლო ეს არ გამოეხატა.

არც ის შეეძლო, საგანგებოდ არ გამოეკვეთა, რომ აფხაზეთის ანეკდოტური პრობლემის არსებობა იმის ბრალი იყო, პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“ რომ აიკრძალა. და იმედს გამოთქვამდა: ისიც ჭეშმარიტებაა, რომ როცა საქართველოს ჟამი დარეკავს, ჩვენ ყველანი პავლე ინგოროყვას წიგნს ავიღებთ ხელში და ამით დავადგენთ სამართლიანობას, ხოლო განმაქიქებელთა წიგნებს ნაკლები მუშტარი ეყოლებაო.

ჟამი რეკს.

კარგა ხანია რეკს ის ჟამი...

და ის ჭეშმარიტება კი, „გიორგი მერჩულეში“ ასეთი სიღრმით, დამაჯერებლობითა და ექსპრესიით წარმოსახული, ვერა და ვერ გადავაქციეთ სახელმწიფოებრივ სიმართლედ, იმ პროგრამად, ურომლისოდაც ამაო იქნება ფიქრი და სწრაფვა დაკარგული ტერიტორიების — ბოლო ხანს თუ ძველად — ხელახლა შემოსამტკიცებლად.

... ჟამი კი რეკს, და ვაითუ ყოველგვარი გარჯა, ღწვა და ტანჯვა ამაოებად გადაგვიქციოს.

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა...

მასალა: ვახტანგ კოტეტიშვილზე

ვ. კოტეტიშვილის «ქართული ლიტერატურის ისტორია წარმოადგენს მამლაყინწურ ნაციონალიზმით სავსე სახარებას, რომელსაც იგი აწვდის მკითხველ საზოგადოებას». (გვ. 98).

კ. მელაძე _ წერილი «ნაციონალიზმის სალტეებში» გამოცემული 1930 წელს.

«ვ. კოტეტიშვილი აზროვნებს ისე, როგორც აზროვნებდა არჩილ ჯორჯაძე და კ. აბაშიძე, ან და როგორ არ იაზროვნებს ისე, რადგან ისინი ხომ პირველად ყოვლისა ნაციონალისტები იყვნენ და შემდეგ კი ლიტერატურის ისტორიის მკვლევარები!» (გვ. 99).

«... ჩვენ ამ წიგნზე იმიტომ გვინდა შევჩერდეთ, რომ ვ. კოტეტიშვილი ისევ იმ მოსაზრებებს იცავს, რომელიც იმ წიგნებში წამოაყენა, მას ამის შემდეგ არც ერთ წერილში არ უცდია რევიზიის მოხდენა თავის აშკარა ანტი-მარქსისტულ და რეაქციონურ აზროვნებისათვის, რომელიც წამლავს და შხამავს მოზარდ ახალგაზრდობას» (გვ. 101).

ბაქრაძის მინაწერი _ თვითგვემის მოწყობის მოთხოვნა

კარლო მელაძე დასცინის კოტეტიშვილს იმის გამო, რომ ვ. კოტეტიშვილისათვის ეროვნული საკითხი მტკივნეული საკითხია:

«მარქსი წერდა. «მატერიალურ ცხოვრებას წარმოების წესი აყალიბებს თავის მიხედვით სოციალ-პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრების პროცესებს საერთოდ. უწინარეს შეგნება განმარტებულ უნდა იქნეს მატერიალურ ცხოვრების წინააღმდეგობებით, საწარმო ძალებსა და საწარმო ურთიერთობათა შორის არსებულ კონფლიქტებით», მაგრამ მარქსიზმის ეს ელემენტარული კანონი ჩვენი ცხოვრების განვითარების შესახებ ქართული მიწის სიყვარულით შეპყრობილ კოტეტიშვილისათვის შეუმჩნეველია და მისთვის არსებობს მხოლოდ ერთი მუდმივი საკითხი _ ქართველობა და საკითხი ნაციონალიზმისა»...

კ. მელაძის წერილი «ნაციონალიზმის სალტეებში»

1930 წელი, გვ. 98.

«იგი (ვ. კოტეტიშვილი _ ა.ბ.) დღეს უდაოდ აკეთებს ქართული ნაციონალისტების საქმეს თავისი ნაციონალისტური «ქართული ლიტ. ისტორიის» სამი ტომით» (გვ. 100).

1937 წ. 26 ნოემბერს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს ვ. კოტეტიშვილი.

ბოლოთქმა
(ფრაგმენტი)

ახლა, როცა სსრკ დაინგრა და კომუნისტური რეჟიმი აღარ არსებობს, ქეზი (სულ-ხან-საბა _ სიტყვით აღაზვაონ ბოროტის საქნელად) მოვიდეთ და ყველა შარახვეტია იმას იხსენებს, როდის და როგორ დაიკნავლა ლენინურ-სტალინური იდეოლოგიის წინააღმდეგ, რატომღაც დაგვავიწყდა ერთი დისკუსია, რომელიც იმ ვითარებაში მართლა იყო მნიშვნელოვანი შინაარსის მატარებელი.

1954 წლის 7 დეკემბერს ვენორი ქვაჩახიას წერილით _ «რატომ ჩამორჩება ლიტერატურული კრიტიკა» _ გაზეთმა «ახალგაზრდა კომუნისტმა» წამოიწყო პაექრობა. სათქმელია ისიც, რომ, როცა სიტყვისგება გაიმართა, სტალინის სიკვდილიდან წელიწადი და რვა თვე იყო გასული, ხოლო ორი წლითა და ორთვენახევრით იგი წინ უსწრებდა კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობას, რომელმაც თითქოს «ოტტეპელს», ანუ ქართულად აგრილოვებას, ჩაუყარა საფუძველი. მაგრამ, თუ მე-20 ყრილობა, სტალინის პიროვნების დამცირებისა და ლანძღვა-გინების გზით, კომუნისტური იდეოლოგიის გამტკიცებას ემსახურებოდა, «ახალგაზრდა კომუნისტის» დისკუსია აშკარად კბილს უსინჯავდა ამ იდეოლოგიის სიმყარეს და სისწორეს მწერლობა-ხელოვნების დარგში. მოაზროვნე ადამიანისათვის კი თავისთავად იგულისხმებოდა ის, რომ, თუ მწერლობა-ხელოვნებაში კომუნისტური იდეოლოგია არც სწორი იყო და არც მყარი, სხვა საქმეში რატომ უნდა ყოფილიყო მტკიცე და მართალი?

კარგა ხანს, რამდენიმე თვე, მიმდინარეობდა პაექრობა. მასში მონაწილეობდნენ გივი გაჩეჩილაძე, შოთა ვადაჭკორია, ბრონისლავ თევზაძე, კობა იმედაშვილი, ნოდარ კაკაბაძე, ვენორი ქვაჩახია, ელენე ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, ოთარ ჯინორია და სხვანი (კამათის მოთავენი იყვნენ მაშინ ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვენორი ქვაჩახია და «ახალგაზრდა კომუნისტის» რედაქტორი მიხეილ კაკაბაძე).

თუ ერთნი აკრიტიკებდნენ სოციალისტური რეალიზმის პრაქტიკა-თეორიას, მეორენი იცავდნენ საბჭოური ლიტერატურის ნაცად გზას. ბოლოს სიტყვისგება იმით დამთავრდა, რითაც უნდა დამთავრებულიყო იგი იმ ეპოქაში. 1955 წლის 8 ივნისს გაზეთმა «კომუნისტმა» სარედაქციო სტატია _ «სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისაკენ გადახვევის წინააღმდეგ» — დასტამბა. «კომუნისტის» ანონიმურმა ავტორებმა დაგმეს დისკუსია, რაკი «ახალგაზრდა კომუნისტმა» «არსებითად კარი გაუღო საბჭოთა ლიტერატურის მიერ დიდი ხნის წინათ დაგმობილ უიდეობას, ფორმალიზმსა და ნატურალიზმს... თავის ფურცლებზე ადგილი დაუთმო თეორიულად მცდარ და პრაქტიკულად მავნე შეხედულებათა ქადაგებას, ობივატელობის, უიდეობის და დაცემულობის ქადაგებას, რითაც დააბნია გაზეთის მკითხველები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა».

«ახალგაზრდა კომუნისტის» რედაქცია დაარბიეს. გაზეთის რედაქტორი მიხეილ კაკაბაძე მოხსნეს. თანამშრომლები მიმოფანტეს სხვადასხვა დაწესებულებებში.

მაინც რით განარისხეს ოფიციალური, სახელმწიფო იდეოლოგიის ადეპტები პაექრობის მონაწილეებმა?

მწერლობა-ხელოვნების კომუნისტური თეორიის ძირითად დებულებათა გადაფასება სცადეს ვენორი ქვაჩახიამ, ზურაბ და ნოდარ კაკაბაძეებმა და ბრონისლავ თევზაძემ.

რა თქმა უნდა, მაშინ, იმჟამად არავის უფიქრია მწერლობა-ხელოვნების კომუნისტური თეორიის მთლიანი უარყოფა, მხოლოდ რამდენიმე ძირითადი დებულების გადაფასება სცადეს.

1. თუ სოციალისტური რეალიზმის თეორეტიკოსები აიგივებდნენ მეცნიერებისა და მწერლობა-ხელოვნების მიზანს, დისკუსიის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ასხვავებდა მას. თვლიდა, რომ ერთია მეცნიერების მიზანი და სულ სხვაა მწერლობა-ხელოვნების მიზანი.

«ხელოვნებასა და ლიტერატურას აქვს ცნობიერების ყველა სხვა ფორმისაგან (მათ რიცხვში მეცნიერებისაგან) განსხვავებული შინაარსი და მიზანი. ამიტომაა მათი ფორმებიც განსხვავებული» (ვენორი ქვაჩახია).

«ხელოვნების სპეციფიკა, მისი განსხვავება მეცნიერებისაგან არ შეიძლება ვეძიოთ ხელოვნების ნაწარმოების ***ობიექტში.*** იგი ხელოვნების განსაკუთრებულ ***მიზანში*** მდგომარეობს. ეს სპეციფიკური მიზანი განსაზღვრავს ხელოვნების სპეციფიკურ ***ხასიათს»*** (ზურაბ კაკაბაძე. ხაზგასმაც მისია _ ა.ბ.).

თუ სოციალისტური რეალიზმის თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების საერთო მიზანი სამყაროს სინამდვილის შემეცნება და ასახვაა, ცოდნის შეძენაა, მასების კომუნისტურად აღზრდაა, დისკუსიის მონაწილეთა ერთ ჯგუფს მიაჩნდა, რომ მწერლობა-ხელოვნება სხვა ამოცანას ემსახურება, კერძოდ, ადამიანის ესთეტიკურ-ემოციური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

«ხელოვნების მიზანია ადამიანის სულიერ-ემოციონალური სამყაროს აღზრდა, მისი ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება» (ვენორი ქვაჩახია).

«ხელოვნების ნაწარმოებისათვის აუცილებელია, რომ მან ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭოს, მაგრამ ესთეტიკური ტკბობის მინიჭება არ არის თვითმიზანი; იგი თვითონ არის ***საშუალება*** იმისათვის, რათა ადამიანი ემოციურად აღძრას სამოქმედოდ» (ზურაბ კაკაბაძე). ამ აზრს იმეორებდა ბრონისლავ თევზაძეც.

«თვით ბეთჰოვენის ყველა სიმფონია ერთად აღებული ***ცოდნის*** მოწოდების მხრივ (ცოდნისა _ ამ სიტყვის მეცნიერული მნიშვნელობით) მცირეოდენ მეტოქეობასაც ვერ უწევს ერთ თხელ სამეცნიერო შრომასაც კი (თუ კი ის ჭეშმარიტად მეცნიერული ღირებულებისაა), მაგრამ ბეთჰოვენის სიმფონიები ამით თავის მნიშვნელობას ოდნავაც არ კარგავს. მაშ, მათი ღირსება-მნიშვნელობა ძირითადად და უპირატესად მათ შემეცნებით ღირებულებაში კი არაა საძიებელი, არამედ მათ ემოციურ-ესთეტიკურ მხარეში, მათ მიერ ადამიანის სულზე, სულიერ სამყაროზე ზემოქმედების ძალაში» (ნოდარ კაკაბაძე).

«ხელოვნება არის სინამდვილის მხატვრული უკუფენა, ობიექტური სამყაროს მხატვრულად განსახიერებული სუბიექტური სურათი» (სარგის ცაიშვილი).

«... როგორ მოხერხდება შუმანის ზემოთ დასახელებული მუსიკალური ნაწარმოების მეშვეობით სინამდვილის შესწავლა, ახსნა და, რაც მთავარია, წინსვლის რეალური გზების დასახვა» (ნ. კაკაბაძე)

«...როგორ ხორციელდება რომელიმე ცეკვის (ცეკვა ხომ ხელოვნების ერთ-ერთბ დარგია), თუნდაც ჩვენი «ბაღდადურის» ან ესპანური «ბოლეროს», საშუალებით სამყაროს ობიექტური კანონზომიერების შეცნობა» (ნ. კაკაბაძე).

2. კონფლიქტი: სოციალისტური რეალიზმის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები თვლიდნენ, რომ რაკი სსრკ-ში ანტაგონისტური კლასები აღარ არსებობს, კლასთა ჰარმონიაა დამყარებული მასებში, არც კონფლიქტებია საბჭოთა საზოგადოებაში. ამიტომ კაპიტალისტურ გადმონაშთებსა და კომუნისტურ ზნეობას შორის სოციალისტურ-კომუნისტურის და აშკარად ანტისოციალისტურ-კომუნისტურის დაპირისპირებაა. «... ცხოვრება წარმოუდგენელია როგორც აბსოლუტური ჰარმონია და სწორი ხაზი» (ზურაბ კაკაბაძე), მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტები დიალექტიკას ეთაყვანებოდნენ, დავიწყებული იყო მისი ერთი ძირითადი თვისება (კატეგორია). «დიალექტიკის მიხედვით განვითარებაში მყოფი ყოველი მოვლენა შინაგანად წინააღმდეგობრივია, ანუ თავის შიგნით «გახლეჩილია». ახლისა და ძველის, დადებითისა და უარყოფითის მომენტებად: ამ წინააღმდეგობის ძალით მოვლენა განვითარდება ახლის ხაზით და გადავა ახალ მოვლენაში» (ზ. კაკაბაძე).

დღეს ეს დისკუსია შეიძლება აღარ იწვევდეს ინტერესს, მაგრამ ეს დისკუსია კიდევ ერთხელ გვიდასტურებდა მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ვერარა ძალა ვერ შეაჩერებს გონების მუშაობას, ახლის ძიებას, კრიტიკულ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. როგორ ჭაშიც უნდა ჩააგდო ადამიანი, იგი მაინც არ დაემორჩილება ბრმად დოგმას და მოძებნის საკუთარ პასუხს პრობლემისას, არ დაკმაყოფილდება წინასწარ შეთავაზებული თარგით.

რადიოინტერვიუდან

ლამარა კიკილაშვილი _ ამასწინათ გაზეთ «საქართველოში» გამოქვეყნებულ ინტერვიუში თქვენ გამოყავით მწერლების ის თაობა, 1953 წლამდე რომ ცხოვრობდა და ქმნიდა. ტრაგიკული, ჯვარცმული თაობა, რომელზედაც გადაიარა 1937 წლის სისასტიკემ. მათ მაინც მოახერხეს და თავისუფლების იდეა, სიკეთის იდეა, საქართველოს ხსნის იდეა ჩვენამდე მოიტანეს სწორედ იმ ტანჯვისა და ჯვარცმის ფასად...

სამწუხაროა, არცთუ ისე დიდ ხნის წინ შეეცადნენ მათი ღვაწლის უგულებელყოფას. ქვეყნდებოდა წერილები, სადაც ამ მწერლებს, რბილად რომ ვთქვათ, აუგად იხსენებდნენ. არ მოერიდნენ მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის სახელებს. გალაკტიონისასაც... სხვებისასაც...

მაგრამ ჩვენ ხომ მოვესწარით ამ მწერლებს და ბევრი რამ ვიცით... სხვა არა იყოს რა, ბოლო წლებამდე ჩვენს თვალწინ ცხოვრობდა გაუტეხელი და ქედმოუხრელი ბატონი კოლაუ ნადირაძე.

იქნებ შეაფასოთ ის წერილები და მათი ავტორების საქციელი...

აკაკი ბაქრაძე _ ... რა თქმა უნდა, როდესაც ძირითადად ყველაფერი იცვლება ამა თუ იმ იმპერიის ყოფაცხოვრებაში, ისტორიაში, მაშინ წარსულის მიმართ უსამართლობის გამოვლენაც ხდება და წარსულის მიმართ ზერელე დამოკიდებულების გამოჩენაც არ გახლავთ იშვიათი მოვლენა. სხვა ქვეყნებშიც ასე მომხდარა და, ცხადია, საქართველოც ვერ აიცდენდა ამას თავიდან; მაგრამ თუ დავწყნარდებით, დავმშვიდდებით და სერიოზულად გადავავლებთ თვალს იმას, რაც საქართველოში

1921 წლის შემდეგ მოხდა, ჩვენ მკაფიოდ დავინახავთ, რომ საქართველოში ძალიან დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა ჩვენი ხალხის სულიერი მდგომარეობისა თუ, საერთოდ, ჩვენი ხალხის გადარჩენის თვალსაზრისით, და, თუ გნებავთ, იმავე ეროვნული მოძრაობის კუთხით, რადგან ეროვნული მოძრაობა მარტო იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი ქუჩაში გამოვა, დემონსტრაციებს და მიტინგებს მოაწყობს. ეროვნული მოძრაობა შეიძლება მიმდინარეობდეს ლიტერატურული გზით, სახელოვნებო გზით, მიმდინარეობდეს ადამიანთა სულებში, და ეს გაცილებით უფრო რთული პროცესია და უფრო მყარი პროცესი, ვიდრე, ვთქვათ, ქუჩაში გამართული დემონსტრაციები ან მიტინგები. ეს არის გარეგნული გამოხატვა რაღაც პროტესტის, მაშინ, როდესაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია შინაგანი ღრმა პროტესტი, რომელსაც, ცხადია, აზროვნება _ გამოხატული ლიტერატურით თუ მეცნიერებით _ ატარებს. ამიტომ დამოკიდებულება უარყოფითი ხასიათისა თუ კრიტიკული ხასიათისა, რომელიც ამ ბოლო ხანებში გამოვლინდა ჩვენს პრესაში, არის ძალიან ზერელე დამოკიდებულება...

უფრო მეტსაც გეტყვით, თუნდაც ადამიანთა დამოკიდებულება, რომელთაც არც ის ისტორია იციან და არც იმ ადამიანთა ღვაწლი, რომელსაც ისინი ვითომ აკრიტიკებენ. იმიტომ, რომ თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ, აი, იმ პერიოდს, როცა მართლაც ძალიან რთული და ძნელი იყო ყოველგვარი შემოქმედება, ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველოს ძალიან ძლიერი და მაღალი სულიერი ცხოვრებით უცხოვრია და შესაძლებელია, იმ დონეს სულიერი ცხოვრებისა ჩვენ ძალიან დიდხანს ვერ მივაღწიოთ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებშიც კი. რადგან ის წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენს მწერლობას და ხელოვნებას ხვდებოდა, ალბათ იწვევდა შინაგან გაკაჟებას ადამიანებისას. და ამ შინაგანი გაკაჟების შედეგად ის იძენდა გზებსა და ფორმებს იმისათვის, რომ თავისი საკუთარი სამყაროც გამოეხატა და ქართველი ხალხის სულიერი სიმტკიცეც.

ამიტომ, თუ დავაკვირდებით, აი, იმ პერიოდს, დავინახავთ, რომ ძალიან დიდი და მძლავრი საქმიანობა იყო და სწორედ მან დატოვა ის განძი, რომელიც ყველა ეპოქას ქართველი ხალხისას გამოადგება. მომავალშიც ის თავის დიდსა და ძლიერ როლს შეასრულებს. უბრალოდ, კონკრეტული მაგალითები გავიხსენოთ. ავიღოთ, თუ გნებავთ, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება. მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას მე წინასწარმეტყველურ შემოქმედებას ვუწოდებ იმიტომ, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა ყველაფერი, რაც საქართველოში მოხდებოდა, უკვე ოციან წლებში იწინასწარმეტყველა. საკმარისია, გავიხსენოთ ნაწარმოები, სადაც მან, აი, ეს წინასწარმეტყველება მხატვრული ფორმით გამოხატა და გამოთქვა _ «ჯაყოს ხიზნები»...

განა მთელი ჩვენი ცხოვრება სწორედ ჯაყოს ხიზნებივით არ წარიმართა? განა საქართველო არ დაემსგავსა თეიმურაზ ხევისთავს, რომელიც სხვის ხელში ჩავარდა და სხვის სამადლოდ ცხოვრობდა? და რომ ეს ასე მოხდებოდა, ეს მან ძალიან მკაფიოდ და ნათლად გვიჩვენა, ოღონდ ჩვენ ეს უნდა წაგვეკითხა და გაგვეგო. თუ ჩვენ ეს ვერ წავიკითხეთ და ვერ გავიგეთ, ამაში, ბუნებრივია, მიხეილ ჯავახიშვილი არ არის დამნაშავე.

მიხეილ ჯავახიშვილმა ქართველი კაცის ყოფის უნივერსალური სურათი შექმნა და ეს არა მარტო დღევანდელობას ასახავდა და იმ ვითარებას, რაც, ვთქვათ, საბჭო-

თა ხელისუფლების დროს საქართველოში არსებობდა, არამედ მან მომავალიც კი განსაზღვრა და გაგვაფრთხილა, რომ თუ საქართველო ისე მოიქცევა, როგორც თეიმურაზ ხევისთავი, მას არ მოსცილდება მარადი ხიზანის ბედი, მას არ ასცილდება ჯაყოს ბატონობა და ჯაყოს მათრახი. ამიტომ ეს არა მარტო იმ პერიოდს ასახავს და იმ პერიოდზე გველაპარაკება, არამედ გაფრთხილებაა მომავლისთვისაც და სწორïდ გვაჩვენებს მანკიერ მხარეს ქართული სულისას, რომ როგორმე ეს ამოიფხვრას ჩვენში, როგორმე უნდა ამოიწვას, რომ ჩვენ ისევ და ისევ იმ მდგომარეობაში არ ჩავცვივდეთ, რა მდგომარეობაშიც ჩავარდა თეიმურაზ ხევისთავი. ამიტომ ეს იყო ძალიან დიდი წიგნი, ძალიან ღრმა წიგნი, რომელმაც ძალიან სერიოზული დაფიქრება გამოიწვია მოაზროვნე ქართველში მაშინაც, დღესაც და მომავალშიც გამოიწვევს. ამ წიგნს უარყოფითად ზერელე, ქარაფშუტა ადამიანები შეხვდნენ, რომელთაც ვერც კი დაინახეს, რაზე იყო ლაპარაკი ამ რომანში.

მეორე წიგნია _ «კვაჭი კვაჭანტირაძე». განა მერე კვაჭი კვაჭანტირაძის სათარეშო არ გახდა მთელი საქართველო და მთელმა საქართველომ კვაჭი კვაჭანტირაძეობა არ ისურვა? და ყველა არ ცდილობდა სწორედ კვაჭი კვაჭანტირაძე ყოფილიყო? ესეც ნაწინასწარმეტყველევი გახლდათ. ჩვენში ისიც კი მოხდა, რომ კვაჭი კვაჭანტირაძეს პატივს ვცემდით, მოწიწებით ვესალმებოდით, მოწიწებით ვესაუბრებოდით და ზოგჯერ იდეალადაც კი გავიხადეთ. ძალიან ხშირად იყო გამართლება იმისა, რომ კვაჭები კარგი ადამიანები არიან. ესე იგი, მარიფათიანი ბიჭები არიან, ისე წარმართავენ ცხოვრებას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ჩვენ ისინი იდეალად გაგვიხდნენ... და ეს ნაწინასწარმეტყველებბა მიხეილ ჯავახიშვილის რომანში და მითითებული, რა უბედურება შეიძლება მოყვეს იმას, თუ ერი მოისურვებს, გახდეს კვაჭი კვაჭანტირაძე.

კიდევ ერთი პატარა მოთხრობა _ «დამპატიჟე», რომელიც გვიამბობს, მუქთახორა როგორ დაეპატრონება ქვეყანას და მშრომელი როგორ იქნება დაჩაგრული და გაპარტახებული. აი, ესეც ნაწინასწარმეტყველები გახლდათ. ასე რომ, მარტო მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაც კი ნათლად და მკაფიოდ გვეუბნება ყველაფერ იმას, რაც საქართველოში მოხდებოდა, რაც გახდებოდა ჩვენი უბედურება. მწერალს სხვა რამ არც ევალება. მწერალს ევალება სწორედ იმ მარადი სიღრმეების ჩვენება, რომელიც ჩაგახედებს უფსკრულში და გაჩვენებს, რა გელის. რას უნდა შეებრძოლო და როგორ არ უნდა მოიქცე.

ამიტომ ეს უბრალო მოვლენა არ გახლავთ და თუ ამას ვერ ვგრძნობთ, ეს ჩვენი დანაშაულია და არა მისი ავტორის, ეს ჩვენი სიღატაკეა, გონებრივი, სულიერი სიღატაკე. და თუ ამ გონებრივ და სულიერ სიღატაკეს ვერ მოვიცილებთ, ბუნებრივია, ჩვენი საშველი აღარ ყოფილა და ეგ არის; მაგრამ მე იმედი მაქვს, ეს გაფრთხილება იქნება მარადიული ნიშანი იმისა, რომ ის არასოდეს განმეორდება.

შეგვიძლია გავიხსენოთ სხვა მწერლებიც, რომლებიც ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ, შრომობდნენ და ქმნიდნენ თავის ნაწარმოებებს. ჩვენ ძალიან ხშირად ვლაპარაკობთ იმაზე, რომ, ვთქვათ, გალაკტიონს დაწერილი აქვს ლექსები, რომლებიც მეტ-ნაკლებად გამოხატავდა სოციალიზმით აღტაცებას, მაგრამ ჩვენ რატომღაც გვავიწყდება ის გაფრთხილებანი, ის ტკივილი, ის სევდა, რომელიც გალაკტიონის პოეზიაშია, და რომელიც სწორედ იმ უბედურებით იყო გამოწვეული, რაც მაშინ არსე-

ბობდა. გალაკტიონმაც იწინასწარმეტყველა, რა მოხდებოდა ჩვენში, როდესაც დაწერა, რომ «მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი, ატირდება დრო და ჩემი ლექსიო»... ეს იმას ნიშნავს, რომ ვითარება შეიცვლებოდა, სილამაზე მოიცელებოდა, პოეტის ტირილიც მთელი დროის ტკივილს გამოხატავდა. ჩვენ ამგვარ ნიუანსებს, ამგვარ სიღრმეებს ყურადღებას ვერ ვაქცევთ; შეიძლება ყურადღება მაინც და მაინც იმას მივაქციოთ, რომ მას პათეტიკური ლექსი აქვს დაწერილი ამა თუ იმ მოვლენაზე, მაგრამ ისიც გასათვალიწინებელი გახლავთ, რომ ყველა იმ ლექსში, რომელიც გალაკტიონი სოციალიზმს უძღვნის, დიდი ირონიაა, ახლა, როცა მას დაკვირვებით წავიკითხავთ, დავინახავთ ამ ირონიას, დავინახავთ ამ ტკივილს და სიცილსაც, რომელსაც მის სიღრმეებშია ჩამალული, და პოეზია და, საერთოდ, მწერლობაც სხვა არა არის რა, თუ არა მისი მეორე, მესამე და, თუ გნებავთ, მეათე პლანიც, რომელიც ძალიან ღრმად არის ზოგჯერ დამარხული, მაგრამ მკითხველი იმას ნიშნავს, რომ მან ეს სიღრმე უნდა დაინახოს და ამოიცნოს.

კიდევ შეიძლება გალაკტიონის ლექსის გახსენება, რომელიც სწორედ, აი, ამ მძიმე ვითარებაზე მიუთითებს. გალაკტიონს ერთი ლექსი აქვს, სადაც ასეთი სტრიქონებია, რომელიც გაგაოცებთ წინათგრძნობით: «და გალაკტიონ ტაბიძე ურჩევს წერტილს ტყვიისას... რას? თვითმკვლელობას»... მერე, მოგეხსენებათ, მან თავი მოიკლა და თითქოს, აი, ეს 30-იან წლებში დაწერილი ლექსი წინასწარმეტყველებს არა საკუთარ ბედს, არამედ სხვა ადამიანის ბედს, რომელსაც, აი, ამ საოცარ ვითარებაში უნდა ეცხოვრა და რაღაც ეკეთებინა. მაგრამ გალაკტიონს მაინც არ ტოვებს განცდა იმისა, რომ უნდა გაუძლოს ადამიანმა ყველაფერს... ვთქვათ, აი, ასეთი ლექსი:

რა გვეშველება, მომძახდა მარად
გამწარებული ხმა შუაღამის,
მაგრამ პოეტის მძლეთამძლეობა
იყოს სიმტკიცე და გამძლეობა.
ო, ჩანგო ჩემო, გახსოვდეს მარად
ქვეყნისთვის ბრძოლის მოვალეობა.
ავთან სასტიკად იყავი ავი,
არ ჩამოაგდო უდროო ზავი,
არ დაგინახო თვალებზე ცრემლი,
განწირულებას არ მისცე თავი...

აი, ეს ლექსიც 30-იან წლებშია დაწერილი, სწორედ იმ დროს, როდესაც ეს საშინელი დაჭერები, გადასახლებები და დახვრეტები ხდებოდა... განა მოწოდება არ არის ეს ლექსი?.. ყველას მოტანა ძნელია, მაგრამ უამრავია ასეთი ლექსი. ცხადია, ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ეს მწერლები ეძებდნენ სწორედ იმ ფორმებს, საშუალებებს და იმ გზებს, რომ გამოეთქვათ თავიანთი პროტესტი...

გიორგი ლეონიძის სამყარო რომ ავიღოთ, მთელი მისი შემოქმედებითი სამყარო, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ თვითონ იმ პოემაში, რომელიც სტალინისადმია მიძღვნილი, უამრავი უმაღლესი პოეტური სტრიქონია, და რომელსაც ვერასოდეს

ამოშლის თავის ისტორიიდან ქართული პოეზია და ვერასოდეს მოხერხდება მისი დავიწყება იმის გამო, რომ მარადიული პოეზიაა თვითონ იმ პოემაში...

ჰგავს ალვის ხე თეთრ ჩოხაში
საქორწილოდ მორთულ სიძეს
და ატამი ტურფა ყმაწვილს,
აკვანში რომ გაიღვიძებს...

ამ სტრიქონების გადაგდება როგორ შეიძლება, როგორ შეიძლება თქვა, რომ ეს არ ვარგა... ვთქვათ, ამოვიღეთ ის არასასურველი სტრიქონები _ რაც ჩვენ დღეს მიგვაჩნია არასასურველად, თუმცა ისიც კი არ ვიცით, ისტორია ამას როგორ შეხედავს და რას იტყვის ამაზე... მაგრამ, ვთქვათ, დღეს არასასურველია აი, ეს სტრიქონები და ამდაგვარი იქ რამდენია, ვინ დათვლის ამას.

თავი დავანებოთ, ვთქვათ, ამ პოემას... დანარჩენი მისი პოეზია, დანარჩენი ის მშვენიერი სამყარო, ენერგიით სავსე სამყარო, რომელიც მის პოეზიაშია! განა ამაზე რაიმეს თქმა შეიძლება? იმ დროს, როდესაც ძალიან მძიმე სოციალური, ეროვნული, პოლიტიკური ვითარებაა, ასეთი ენერგიის გამოხატვას პოეზიაში აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან ეს ენერგია ძალას გაძლევს შენ, თუნდაც ეს ლექსი დაწერილი იყოს თუნდაც შეყვარებულ ქალზე ან, ვთქვათ პეიზაჟზე. ეს ენერგია არის, საერთოდ, სიცოცხლის წყარო და გიორგი ლეონიძის ლექსები არის ამ ენერგიით სავსე, როგორც ამ ენერგიით სავსეა ტიციან ტაბიძის ლექსები, ლადო ასათიანის ლექსები. ამ ენერგიითაა ყველაფერი ეს სავსე და კიდევ, ვთქვათ, ისეთი კაცის, მწერლის, პოეტის შემოქმედება, როგორიც იყო კოლაუ ნადირაძე. ჩვენ ხომ, საერთოდ, არ ვაქცევთ ამ კაცს ყურადღებას და ეს ხომ მშვენიერების უზარმაზარი სამყაროა. განა სირცხვილი არ არის, რომ დღევანდელი ქართული ლიტერატურათმცოდნეობა ასე ყრუ და მუნჯია მისი შემოქმედების მიმართ? მაშინ, როდესაც სწორედ, აი, ამ კაცის შემოქმედებაში არის საოცარი მშვენიერება, სილამაზე, განცდა, ტკივილი და სიხარულიც ამავე დროს. დახვეწილი, რაფინირებული ლექსი და ყველაფერი ეს არის სწორედ იმ ეპოქის ნაყოფი და იმ ეპოქის ნაშობი.

... აი, ამ კუთხით თუ განვიხილავთ ჩვენს მხატვრობას, თუ განვიხილავთ მუსიკას, თუ განვიხილავთ თეატრსა და კინოს და ყველაფერი ეს არსებობს და ამას, რა თქმა უნდა, სხვაგვარი დამოკიდებულება სჭირდება და იმ საუკეთესოს ჩვენება და იმ საუკეთესოს წინა პლანზე წამოწევა, რაც, ბუნებრივია, არსებობს იმ ეპოქის შემოქმედებაში.

რა თქმა უნდა, რაკი ისეთი წიგნი დავწერე, როგორც «მწერლობის მოთვინიერებაა», ცხადია, არსებობდა ის მეორე, მანკიერი მხარე, მაგრამ განა არსებობს ეპოქა, სადაც მეორე მანკიერი მხარე არ არსებობს? განა არსებობს ეპოქა, სადაც კონიუნქტურული ნაწილი მწერლობისა არ არსებობს? ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი, სადაც ადამიანი სრულიად თავისუფალია, არსებობს კონიუნქტურა, არსებობს იმიტომ, რომ ეს ადამიანის ბუნებაზეა დამოკიდებული და არა მარტო პოლიტიკაზე. არსებობს ადამიანი, რომელიც სრულიად თავისუფალია, მაგრამ მას სურს ეს კონიუნქტურა, მისთვის ეს სრულიად მისაღებია და ქმნის ამგვარ ლიტერატურას, ისევე,

როგორც, ვთქვათ, არსებობს ეს პროტესტი, რომელიც ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის გამოიხატება, და მე ვთვლი, რომ სწორედ ის პროტესტი, რომელიც, აი, ამ პერიოდის ქართულმა მწერლობამ გამოხატა, არის ძალიან მნიშვნელოვანი პროტესტი, რადგან მე ვიზიარებ ამ აზრს და მიმაჩნია, რომ ძალიან ჭკვიანური ანდაზა გახლავთ _ ფრანგები ამბობენ, ყველაფერი უნდა თქვა, მაგრამ ბასტილიაში არ უნდა ჩაჯდეო.

ქართულმა მწერლობამ თქვა ყველაფერი, ზოგიერთი ბასტილიაშიც ჩაჯდა, მაგრამ ბევრი არ ჩაჯდა ბასტილიაში და სწორედ ეს მათი სიბრძნის ნიშანი იყო, და ჩვენ სიბრძნე გვჭირდება და არა ჩიტირეკიული გამბედაობა, როდესაც გამბედაობის შედეგად არაფერი იბადება, ასე რომ, ეს წარსული, აი, ეს პერიოდი, რომელიც საქართველოს ისტორიაში არსებობს, ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია და მას ღრმად შესწავლა სჭირდება იმისათვის, რომ გავარჩიოთ, სად არის ავი და სად არის კარგი, სად არის ის, რაც მარადიულად რჩება ქართულ სამყაროში, ქართულ კულტურაში, და სად არის ის, რაც ბალასტი იყო და გადასაგდებია.

მე-19 საუკუნეში არავინ ავალებდა მწერალს, ეწერა ასე თუ ისე, მაგრამ მაშინაც უამრავი ბალასტი არსებობდა და იქიდან ჩვენ მხოლოდ ის მწერლები ვიცით, რომელნიც ჭეშმარიტ ღირებულებებს წარმოადგენდნენ, ისინი კი დავიწყებულნი არიან, ვინც ქმნიდა და არაფერს ტოვებდა. ასევეა ეს პერიოდიც, ამიტომ ჩვენ, აი, სწორედ იმ მშვენიერს ვიტოვებთ, როგორც განძს და უარვყოფთ იმას, რაც ცუდია.

მეტსაც გეტყვით, ამ კონიუნქტურულ ლიტერატურაშიც კი ინტერპრეტაციის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია სრულიად სხვა რამ ამოვიკითხოთ, სრულიად სხვა მოვლენები დავინახოთ, ვიდრე შეიძლება ზედაპირზე დევს, და მე მიმაჩნია, რომ, ვთქვათ, ისეთ რომანში, როგორიცაა «კოლხეთის ცისკარი», რომელიც დღეს შეიძლება სასაცილო და მუდმივი კრიტიკის საგანია, სრულიად სხვაგვარი ინტერპრეტაციის შედეგად სრულიად სხვა სურათი მივიღოთ, რადგან იგი ემორჩილება ამ ინტერპრეტაციას, ისე, როგორც ბევრი სხვა ნაწარმოები ემორჩილება ამგვარ ინტერპრეტაციას, და საპროგრამოა ისეთი განცხადება, როგორიც არის გაკეთებული «გვადი ბიგვას» ფინალში; როდესაც არჩილ ფორიას მოკლავს გვადი ბიგვა, სოფელი მორბის ამის სანახავად, და გვადი ბიგვა მარიამს ეძახის და ეუბნება, ბავშვებს სისხლი არ დაანახოო. ეს რომანი 36 წელს არის დაწერილი. იმ ეპოქაში თქმა იმისა, რომ ბავშვმა სისხლი არ დაინახოს, ეს არის უკვე მთელი ფილოსოფია, იმიტომ, რომ მასში გაერთიანებულია ყველაფერი. ადამიანებს იჭერენ, ასობით და ათასობით ადამიანს, არაფრად არ უღირდათ არა თუ ერთი, არამედ უამრავი ადამიანის სიცოცხლე, ისეთი ეპოქაა... და ამ დროს, ვთქვათ, ადამიანის პირით გაცხადებულია ის, რომ ბავშვმა სისხლი არ უნდა ნახოს. აი, ამგვარი შემობრუნება ხდება ამ რომანში. ეს რომანი სრულიად არ ეხება იმას, როგორ გახდა გვადი ბიგვა _ უქნარა კაცი კოლმეურნეობაში აქტიური მუშა. ეს ეხება სწორედ ადამიანის სულის გარდაქმნას და ამ სულის გარდაქმნას უნდა ამოცნობა და ჩვენება საზოგადოებისათვის, რომ საზოგადოებამ წაიკითხოს ის ისე, როგორც არის დაწერილი.

ასე რომ, უამრავი სალაპარაკოა ამ თვალსაზრისით და ეს ყველაფერი უნდა რაღაცნაირად იქცეს ჩვენი მსჯელობის საგნად, უნდა შევძლოთ იმ სურათის ჩვენება და გავხადოთ სწორედ ნათელი ის, რაც, აი, ამ ეპოქამ მოიტანა და რაც დატოვა, როგორც გითხარით, ჩვენი მომავლისათვის. თუ ამას გავაკეთებთ, მაშინ ბუნებრივად,

ჩვენ მყარ საფუძველს შევქმნით და, აი, ამ მყარ საფუძველზე აშენდება ჩვენი სინამდვილე, ჩვენი მომავალი ცხოვრება, ჩვენი თავისუფლება, და, თუ გნებავთ, ჩვენი სულიერი აღორძინებაც.

განა შესაძლებელია დავუშვათ ის, რომ მომავალში საქართველომ არ იკითხოს ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები, არ ნახოს ის უზარმაზარი სევდა, რომელიც იქ არის... და ადამიანს ხომ სევდა ხდის ადამიანად, თორემ სხვა მხრივ ის ბიოლოგიურად ძალიან ახლოს არის ცხოველთან. მაგრამ მას აქვს ერთი უცნაური უნარი _ მას შეუძლია ფიქრი, მას შეუძლია ტკივილი; და, აი, სევდით გაჟღენთილი სამყარო, რომელსაც ხატავს ნიკო ლორთქიფანიძე _ განა წარმოსადგენია უამისოდ საქართველოს, ქართველი ხალხის ცხოვრება?

ამიტომ ჩვენ ძალიან ფაქიზად უნდა მოვეკიდოთ ყველაფერ იმას, რაც ჩვენს წარსულში არსებობს, და როდესაც ამას გავაკეთებთ, მაშინ ჩვენ არა მარტო წარსულს დავაფასებთ, არამედ მომავალსაც ავაშენებთ. სხვანაირად ეს არ მოხერხდება, სხვანაირად ჩვენ სწორედ იმას დავემსგავსებით, ვისაც არ ახსოვს არც თავისი წინაპარი, არც თავისი მშობელი, არც თავისი ახლობელი, ურომლისოდაც როგორც კერძო პირის, ისე, საერთოდ, მთელი ერის ცხოვრება გამორიცხულია, და, აი, ეს მხარეა სწორედ საჭირო აისახოს თუნდაც იმ წიგნში, რომლის დაწერასაც (ნაწილობრივ დაწერილია, ცოტაღა დარჩა) ვაპირებ, რა თქმა უნდა, რამდენადაც შევძლებ.

საერთოდ, ეს ჩვენი დღევანდელი აზროვნების შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ჩვენი ლიტერატურული მეცნიერება, ჩვენი კრიტიკა ამას სერიოზულად უნდა აქცევდეს ყურადღებას, რადგან ამაზე უნდა აშენდეს შემდეგ სხვა ახალი.

ჩემი თაობა

წინათქმა

ის, რასაც მკითხველს ვთავაზობ, პატარა ნაწყვეტია წიგნიდან – „ჩემი თაობა“. ჩემს თაობას იმათ ვუწოდებ, ვისაც ლიტერატურული ასპარეზი გაეხსნა ნიკო კეცხოველის რედაქტორობის დროინდელ „პირველ სხივში“.

ცხოვრება არცერთი თაობისათვის არ ყოფილა და არც იქნება იოლი და ფიანდაზით მოფენილი, მაგრამ ის, რაც ჩემმა თაობამ (მივუმატოთ ცოტა უფრო ხანდაზმულნიც და ცოტა უფრო ახალგაზრდანიც) ნახა, არ უნახავს არცერთ თაობას. არ უნახავს ადამიანის ღმერთად გამოცხადება და მერე ამ ღმერთის სატანად გადაქცევა (ე.ი. არ უნახავს მთელი საზოგადოების ცნობიერების სრული დაშლა). არ უნახავს მორწმუნეთა ტოტალური გადაქცევა მკრეხელებად (ე.ი. არ უნახავს საზოგადოების სრული ზნეობრივი დაცემა). ჩემმა თაობამ განიცადა და გადაიტანა ომის დამანგრეველი და მშვიდობის გამომათაყვანებელი ძალა. თუ ჩემი თაობის ბავშვობამ და სიყმაწვილემ გაიარა ეპოქაში, როცა მთელ მსოფლიოში „ქარიშხლები ბღაოდნენ“, ჩემი თაობის ხანდაზმულობა და სიბერე მიედინება დროში, როცა ნიავიც არ ქრის და ფოთოლიც კი არსად ირხევა. ჩვენ მომსწრენი ვართ ადამიანთა სტიქიონურ ვნებათა დაცხრომისა და კანცელარიული მყუდროების დადგომისა. მოწამენი ვართ ეროვნული ენერგიის გაღვიძებისა და გამოფხიზლებისა. და თუ ღმერთმა სიცოცხლე დაგვა-

ცალა (ნათელი დაადგეს იმათ, ვისაც ნაადრევად აღეკვეთა ამქვეყნად ყოფნა), ვინ უწყის კიდევ, რას მოვესწრებით.

„ჩვენ თაობაში“ სურვილი მაქვს, შეძლებისდაგვარად, გიამბოთ ის, რაც ვნახე ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც. ვნახოთ, რას შევძლებ.

* * *

ნოდარ დუმბაძე ყვებოდა: გულრიფში, ჩემს მეზობლად, რუს მწერალს კონსტანტინე სიმონოვს აგარაკი ჰქონდა. ერთხელ დამირეკა და მკითხა: სახლში ღვინო არ გაქვსო? მოსკოვიდან ორი მეგობარი ჩეკისტი მეწვია და მინდა გაუმასპინძლდეო. სამწუხაროდ, სახლში ღვინო არ აღმომაჩნდა, მაგრამ შევთავაზე – რაღა შინ ვუმასპინძლოთ, აქვე მერხეულია და იქაურ რესტორანში ვიპურმარილოთ.

კ. სიმონოვს ჩემი წინადადება მოეწონა და ოთხივე მერხეულში წავედით.

ლაზათიანად მოვილხინეთ. როცა კარგად შევთვერით, ერთმა ჩეკისტმა დაიჩემა – მდინარეში უნდა ვიბანაოო. ვერაფრით გადავათქმევინეთ. აქვეა ზღვა და რაღა მაინცდამაინც ღელეში იჭყუმპალაო, – ვეხვეწებოდით. თან მთვრალიც ხარ და ცივი წყალი საშიშიაო. არაფერმა გასჭრა. გაიხადა და მდინარეში მოადინა ტყაპანი. წყალში კი ჩახტა, მაგრამ ამოყვინთვით აღარ ამოუყვინთავს. შეიქმნა ერთი აურზაური. თვალდახელშუა სტუმარი გაგვიქრა. მერხეულელი ბიჭები მდინარეში შეცვივდნენ, მოძებნეს და ცოცხალ-მკვდარი ჩეკისტი ნაპირზე გამოათრიეს. არყით დავზილეთ. ნაირნაირ ილეთებს მივმართეთ. როგორც იყო თვალი გააჭყიტა. მიმოიხედა და თითით მეგობარ ჩეკისტს ანიშნა – დაიხარეო. მანაც ჩაიჩოქა. მიწაზე გაშოტილ მეგობარს დაძაბული მიაჩერდა. – На дне, в речке Лаврентий Павлович... На дне, в речке Лаврентий Павлович… ამოიჩურჩულა მობანავე ჩეკისტმა. ყველამ თვალი დააჭყიტა. ერთმანეთს მივაჩერდით. გვეგონა, ჩეკისტმა მდინარეში ჩახტომისას თავი ქვას დაჰკრა და ახლა მთლად დალაგებულად ვეღარ ლაპარაკობსო. მეორე ჩეკისტი გაკვირვებული ჩვენ მოგვაჩერდა. ისიც ვერაფერს მიმხვდარიყო.

– На дне, в речке Лаврентий Павлович... На дне, в речке Лаврентий Павлович…ჯიუტად იმეორებდა და დაფეთებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა მდინარეში ბანაობის მოყვარული.

ჩვენ ისევ გაოგნებულნი ვიდექით, დარწმუნებული, რომ სტუმარი შეირყა და ეშველებოდა თუ არა რაიმე, აღარავინ უწყოდა.

– На дне, в речке Лаврентий Павлович... ისევ ამოილუღლუღა ჩეკისტმა და გულწასულმა თავი გადააგდო.

საქმე საბოლოოდ წახდაო იფიქრა, ალბათ, რესტორანის დირექტორმა, იგი მომიახლოვდა, გვერდზე გამიხმო და მეუბნება:

– აქ, რესტორანის ახლოს, ბერიას ძეგლი იდგა. ბერია რომ დაიჭირეს, მოვხსენი და მდინარეში შევინახე. კაცმა არ იცის – როდის რა მოხდება. დღეს თათხავთ, მაგრამ ხვალ იტყვით – დიდი კაცი იყო, ხალხის ერთგული შვილიო. ტყავს გამაძრობთ – რატომ არ მოუარეო… და მეც ავდექი წყალში დავმალე… ჯაჭვებით არის იქ დაბმული, მდინარემ რომ არ წაიღოს. ამ უბედურმა, ალბათ, წყალში რომ ჩაყვინთა, ის დაინახა და ამიტომ არის ასე შეშინებული.

ჩემმა ხარხარმა იქაურობა გააყრუა.

(ჩანართი)

ამბობენ – სიკვდილის წინ ჭკუაარეულს საღი გონება უბრუნდებაო. არ ვიცი მეცნიერული თვალსაზრისით, რამდენად მართალია ეს, მაგრამ ლიტერატურასა და ხელოვნების რწმენით, ეს ჭეშმარიტებაა.

დონ კიხოტს დაუბრუნდა სიკვდილის წინ საღი გონება, მაგრამ რაღად გინდა იგი, თუ უბირი გლეხის ქალში დულსინეა ტობოსელს ვერ აღმოაჩენ?

იონ გუდმუნდსონსაც (ჰალდორი ლაქსნესი – „ნაპოლეონ ბონაპარტი“) დაუბრუნდა საღი გონება, მაგრამ რაღად გინდა იგი, თუ თავი იმპერატორი არ გეგონება და დანიაში ქრისტიანობას არ აღადგენ?

ხომ ყველაფრით დონ კიხოტის ანტიპოდია სანჩო პანსა, მაგრამ სულის სიღრმეში ისიც გაჟღენთილია ლამანჩელი იდალგოს თვისებით... ასე რომ არ იყოს სანჩო არასგზით არ დათანხმდებოდა დონ კიხოტის საჭურთმტვირთველობად ყოფნას და არც მის ფათერაკებით სავსე ცხოვრებას გაიზიარებდა.

არ ვიცი, ფრედდი ჟამეᲲოს (Жамье) დაუბრუნდა თუ არა გონება სიკვდილის წინ, რადგან, როცა იგი სამიკიტნო (ბისტროს) „სამ მარიაში“ დაეცა, აღარ წამომდგარა (ბერნარ კლაველი (დაიბ. 1923 წ.) – „ლაბრადორელი ადამიანი“ (ადამიანი ლაბრადორიდან). როცა ბისტროს პატრონმა პულსი გაუსინჯა, იგი უკვე მკვდარი იყო. მაგრამ თუ დაუბრუნდებოდა, ამას ფასი აღარ ჰქონდა, რადგან ლაბრადორზე ვეღარ იოცნებებდა, ვერ იქნებოდა ოქროს მაძიებელი, პოლარული მკვლევარი, ფათერაკებით სავსე ცხოვრებას ვერავის უამბობდა. ყველას ეცოდინებოდა, რომ დურგალი იყო. სოფლიდან ფეხი არ გაუდგამს და ხელის თითები ლაბრადორზე კი არ მოეყინა, არამედ фрезерный станок-მა წააჭრა. სოფი მარიონს ვეღარ დაუძახებს ნელლის და ვერც მსმენელებს დაატყვევებს „ჩრდილოეთის მაგიით“.

ბეჟანსაც (ნოდარ დუმბაძე) – „მე ვხედავ მზეს“ უბრუნდება საღი გონი, მაგრამ რაღად გინდა იგი, თუ მზეს ვეღარ დაინახავ?

ცოდვაა ის კაცი, ვისაც სულში დონ კიხოტი არ უზის. თუმცა ალბათ არც არსებობს ასეთი ადამიანი, ოღონდ ზოგჯერ, სამწუხაროდ, რცხვენიათ მისი გამჟღავნება.

სევდა, რომელიც იცინის

I
ზნეობრივი იდეალი

პალატაში სამნი წვანან, მაგრამ იდეოლოგიური დავა ორს – მწერალსა და მღვდელს – შორის მიმდინარეობს („მარადისობის კანონი“). მესამეს, ხელობით მეხამლეს, კამათი არ აინტერესებს. მან უბრალო სიბრძნე იცის: რა მოძღვრებასაც უნდა აღიარებდეს ადამიანი, სულერთია, ფეხსაცმელი ყველას სჭირდება. ფეხშიშველა ტანტალი არავის ეხალისება. ამიტომ იგი ყველა დროში კარგად გრძნობს თავს და კამათს გულგრილად უგდებს ყურს. მით უმეტეს, რომ ზერელე შეხედვით, ეს პაექრობა უსაგნოდ და უმიზნოდ მოგეჩვენებათ, რაკი იმთავითვე ცხადია: კომუნისტი მწერალი კომუნისტურ მოძღვრებას დაიცავს, ქრისტიანი მღვდელი კი – ქრისტიანობას. მათი შერიგება-შეთანხმებაც გამორიცხულია. მაშინ, შეიძლება ვიკითხოთ, რატომ-ღა კამათობენ? დროის მოსაკლავად? ორი სნეული ადამიანი ამ სიტყვისგებით დროს ებრძვის? მაგრამ მალე გაირკვევა, რომ ასე არ არის. მოვლენათა განვითარება დაგვარწმუნებს, რომ საკითხი პრინციპულად დგას და არსებითი მნიშვნე-

ლობა აქვს როგორც, კონკრეტულად, „მარადისობის კანონისათვის“, ისე, საერთოდ, ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისათვის.

დაკვირვებული მკითხველი მაშინვე შეამჩნევს, რომ ამ დავაში მწერალი ბაჩანა რამიშვილი მაინცდამაინც მტკიცე და უდრეკი ვერ არის. საბუთად მისი ეს სიტყვებიც კმარა: „– ჩემი რელიგია, ბატონო იორამ, ჯერ ასი წლისაც არ არის და იმდენი მორწმუნე ჰყავს, რომ თქვენ რელიგიას არც კი დასიზმრებია. დალოცვილო, ორი ათასი წლის ხარ და ასი წლის ჭაბუკს რომ მეჯიბრები, არ გრცხვენიან? ცოტა უკან მოიხედე, ჩვენც რომ ორი ათასი წლისანი გავხდებით, მერე გადმოგვხედეთ იმ თქვენი ზენიტიდან და ვნახოთ ვინ უფრო მაღალი აღმოჩნდება“.

აქ, ჯერ ერთი, ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ ეს არ არის რიგითი მწერლის სიტყვები. ბაჩანა რამიშვილი რედაქტორია და საზოგადო მოღვაწე. მეორეც, არც ის უნდა გამოგვეპაროს მხედველობიდან, რომ „მარადისობის კანონის“ პროტაგონისტი მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას რელიგიას უწოდებს.

პირველად ქართულ მწერლობაში მარქსიზმი რელიგიად გერონტი ქიქოძემ მოიხსენია: „მართალია, ჩვენი პლანეტა დიდია, ახალი რელიგიის მიმდევარნი კი ჯერ მცირერიცხოვანნი არიან, მაგრამ განა განახლება ყოველთვის რჩეულ უმცირესობას არ დაუწყია?“ („არიფიონი“, №1. გვ. 375). მეორედ, როგორც უკვე ვთქვი, „მარადისობის კანონში“ იწოდება ათეისტური მოძღვრება რელიგიად. მართალი რომ ვთქვა, მთლად მკაფიო არ არის, რას გულისხმობდა ორივე მწერალი ცნებაში „რელიგია“ – გარკვეულ სარწმუნოებრივ სისტემას თუ უბრალოდ რწმენას – მაგრამ ერთი კი ცხადია: მათთვის მარქსიზმ-ლენინიზმი არა მარტო სოციალ-პოლიტიკური მოძღვრებაა, არამედ – ზნეობრივ-ეთიკურიც. მაგრამ ძირეული სხვაობა ამ ორ ზნეობრივ-ეთიკურ მოძღვრებას შორის ის არის, რომ ერთი აღიარებს ღმერთის არსებობას, მეორე კი უარყოფს. რაკი „მარადისობის კანონის“ ორივე პერსონაჟი – მწერალი ბაჩანა რამიშვილიც და მღვდელი იორამ კანდელაკიც – მაღალზნეობრივი პიროვნებაა, უნდა ნათლად გავარკვიოთ – რას ეყრდნობა მათი ზნეობრივი იდეალი, ღმერთის რწმენას თუ ურწმუნოებას?

გარეგნული შეხედვით, სპორტის ენით თუ ვიტყვით, იორამ კანდელაკისა და ბაჩანა რამიშვილის კამათი ფრედ დამთავრდა. ამ პაექრობიდან მწერალმა ბაჩანა რამიშვილმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ იორამ კანდელაკისაგან „მშვენიერი კომუნისტი დადგებოდა“, ხოლო მღვდელმა იორამ კანდელაკმა ჩათვალა, რომ „არც ბაჩანა რამიშვილი იქნებოდა ცუდი მღვდელი“.

მაგრამ საყაიმო მდგომარეობა გარეგნულად ჩანს, თორემ არსებითად გამარჯვება მღვდელს დარჩა. ამიტომაც ვთქვი ზემოთ – ბაჩანა რამიშვილის პოზიცია მთლად მტკიცედ არ გამოიყურება-მეთქი.

ჩემი ნათქვამი ლიტონ განცხადებად რომ არ დარჩეს, შევეცდები დავასაბუთო.

როცა მძიმე ავადმყოფი ბაჩანა რამიშვილი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იდგა, მას იესო ქრისტე ესიზმრა. ეს სიზმარი საკმაოდ გრძელია და დაწვრილებით არის აღწერილი რომანში. მას მთლიანად არ გადმოვწერ. ყოველ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იგი ხელახლა გადაიკითხოს და გაიხსენოს. მხოლოდ ზმანების დასაწყისსა და დასასრულს მოგაგონებთ.

„შვიდი დღე და შვიდი ღამე მიაბიჯებდა ბაჩანა მზით დამწვარ უდაბნოში... იგრძნო სიკვდილის მოახლოება. გულაღმა გადმოტრიალდა, ჩამქრალი თვალებით ახედა ულმობელ მზეს და მის სიცოცხლეში პირველად უთხრა საყვედური.

– რისთვის გამიმეტე ასე?! – და უცებ ადამიანის სხეული აეფარა მზეს და მისი ჩრდილი დაეცა სახეზე ბაჩანას.

– ვინ ხარ შენ? – ჰკითხა ბაჩანამ. პირხმელ, ცისფერთვალება, მასავით ფეხშიშველა ახალგაზრდას თვალებში შეხედა. იგი ვერ მიხვდა, მზე იდგა ახალგაზრდის უკან თუ ნათელი ადგა თავზე.

– მე ვარ უფალი შენი და ღმერთი შენი! – უპასუხა ახალგაზრდამ...“

ეს დასაწყისია სიზმრისა. ახლა დასასრულიც ვნახოთ.

„... მაშინ დაეშვა მუხლებზე ბაჩანა, თაყვანი სცა ახალგაზრდას და უთხრა:

– გიხილე და გიწამე“.

მართალია, მერე, როცა გაიღვიძებს და ძილისშორისს მღვდელს უამბობს, თავს „იმართლებს“ – „სიზმარში კი ჩავუვარდი მუხლებში, მაგრამ თვალი რომ გავახილე და ისევ თქვენ და ბულიკა დაგინახეთ, რაღაც ეჭვმა შემიპყროო“, მაგრამ ეს უკვე სიცოცხლის იმედმიცემული კაცის ხუმრობაა და არა უფრო მეტი.

ბაჩანას სხვა ზმანებაც არის რომანში. ამჯერად უკვე ღმრთისმშობლის ხილვა.

„სისხლისფერი ყაყაჩოებით მოჩითულ მდელოზე ღრუბელივით **თეთრი** (ხაზი ჩემია – ა.ბ.), ფაფარგაშლილი კვიცი იდგა და ფლოქვს ისე სცემდა მიწაზე, თითქოს ხელს უქნევდა ბაჩანას.

– მოდი! – მოესმა ბაჩანას კვლავ, – მოდი და შემაჯექ! – ბაჩანა გადაევლო**1** უბელო კვიცს და რომ არ გადმოვარდნილიყო, ფაფარში ჩარგო თავი და მკლავები ყელზე შემოაჭდო. კვიცი გაქანდა... თეთრ საყდართან შედგა და ათიათასი სხვადასხვა ზომის ზარის ხმით დაიჭიხვინა. მაშინ საყდრის ორივე კარი გაიღო და შიგნიდან **მზე მარიამი** (ხაზი ჩემია – ა.ბ.) გამობრძანდა პატარა ბავშვით ხელში. „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“, – გაიფიქრა ბაჩანამ...“

ყველაფერი ცხადად და გასაგებად არის ნათქვამი. დავამატებ მხოლოდ იმას, რომ, ქრისტიანული სიმბოლიკის თანახმად, თეთრი ცხენი ქრისტეს ალეგორიული ხატია. ამ ზმანებაში სიმბოლურად ბაჩანას გადარჩენა-ხსნაა ნაწინასწარმეტყველევი. ამას მაშინვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, ამბობს ნოდარ დუმბაძე.

„ბაჩანა მიხვდა, რომ სადღაც წასული სიცოცხლე შემობრუნდა, ოთახის კარი შემოაღო, საწოლზე ჩამოჯდა და მკერდზე შეახო ხელი. ბაჩანამ ყველაფერი ეს ჯერ იგრძნო, მერე გაიგონა და ბოლოს დაინახა.

– გამარჯობა! – უთხრა მან სიცოცხლეს და გაუღიმა“.

ციტირებული სტრიქონები მოწმობენ, რომ მზე „მარადისობის კანონშიც“, ისევე როგორც ნ. დუმბაძის სხვა რომანებშიც (ზოგიერთის სახელწოდებაც მეტყველებს ამას – „მზიანი ღამე“, „მე ვხედავ მზეს“), ღმერთის სიმბოლოა. მაგრამ, საკითხავია, მზის სიმბოლოს რაიმე ახალი შინაარსი შესძინა პროზაიკოსმა თუ გაიმეორა ის, რაც ცნობილია ქრისტიანული რელიგიითა და მწერლობით? პასუხი უბრალოა: გაიმეორა, ოღონდ ახალ ზნეობრივ გარემოში.

ცნება – „მზიანი ღამე“ – აღებულია „ვეფხისტყაოსნიდან“. რუსთაველის პოემაში იგი ღმერთს გულისხმობს (კერძოდ, ქრისტეს). დღეს ეს უკვე გარკვეულია და დავას აღარ იწვევს. ვეფხისტყაოსნისეული აზრით ეწოდება „მზიანი ღამე“ ნ. დუმბაძის რომანსაც. რაიმე ეჭვი რომ არ გაგვიჩნდეს, მოთხრობაში „მზე“ თავად მწერალმა განმარტა ეს. გახსოვთ, ალბათ, რომ მოთხრობაში „მზიანი ღამის“ რაობაზე კამათობენ მილიციელი და მღვდელი (საგულისხმოა: მღვდელს სახელად ნოდარი ჰქვია).

„– მზიანი ღამე რაღა ოხრობაა? – ჰკითხა თავის მხრივ მილიციელმა.

მღვდელი გაშრა.

– ღმერთო, შეუნდე ცოდვილს, რამეთუ ბრიყვია, უმეცარი და არ ესმის რას ლაპარაკობს, – შეავედრა უფალს მილიციელი მღვდელმა.

– მაინც რა არის მზიანი ღამე? – ჩააცივდა მილიციელი.

– ღმერთი“.

„მზიანი ღამე“ კი ნ. დუმბაძის იმ რომანს ჰქვია, რომელშიც უდანაშაულოდ დასჯილი და გადასახლებული დედის შინდაბრუნება, ანუ სიმართლის გამარჯვებაა აღწერილი.

დაბადებით ბრმა ხატია („მე ვხედავ მზეს“) ეუბნება თავის ნანდაურს სოსოია მამალაძეს – მარტო მზეს და შენ გხედავო. უსინათლო გოგონასათვის მზე და სიყვა-

რული ერთიდაიგივეა, რადგან – „ღმერთი სიყვარული არს“ და „ღმერთი ნათელ არს და ბნელი არაარს მის თანა არცა ერთ“ (იოანე მოციქულის ეპისტოლე პირველი, IV, 8; 1,5).

როცა ზაზა ნაკაშიძე („თეთრი ბაირაღები“) ციხიდან გაათავისუფლეს, მას ღამით ისევ ესიზმრა მზე.

„ღამით მე ისევ მზე მეახლა, სხივი ჩამაბა წელზე ოქროს ბაწარივით და თავისაკენ მიმიზიდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მზეს, იგი სულ უფრო და უფრო გრილი ხდებოდა, სულ უფრო გრილი. როდესაც მივუახლოვდი და ხელი შევახე, მან არ დამწვა მე. ჩვენ ერთად შევუდექით ვეებერთელა აღმართს – მე და მზე. წინ – მზე და მე – უკან. ჩვენ ავედით სულ მაღლა, თოვლიან მწვერვალზე, ისე მაღლა, ისე მაღლა, როგორც არავინ და მზე ვეღარ ადნობდა მარადიულ თოვლს... მზემ თეთრი ბაირაღი მომაწოდა და ჩემს გვერდით დადგა. მე გავშალე ბაირაღი, მაღლა აღვმართე და ავიხედე. ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი ბაირაღი ფრიალებდა, როგორც სიკეთის, სათნოების და სიყვარულის სიმბოლო“.

ყველაზე უბირი მკითხველიც კი კარგად მიხვდება, რა მზეა ის მზე, რომელიც ეხმარება ადამიანს სიკეთის, სათნოების და სიყვარულის დროშა გაშალოს.

პირველ ზმანებაში კი ზაზა ნაკაშიძე ასე ეხვეწება მზეს: „შენ ხარ ერთადერთი მეგზური, რომელსაც შეუძლია ჩემი აქედან ისე გაყვანა, რომ ვერც გუშაგმა, ვერც ციხის უფროსმა, ვერც ზედამხედველმა და ვერც ჩემმა თანამესაკნეებმა შეამჩნიონ. მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია გააღო ციხის ცხრავე კარის ცხრაჯერ სამი ურდული უხმაუროდ, შეუმჩნევლად და გამიყვანო“.

მართლაც, ამ ხილვაში მზე ციხიდან გაიყვანს ზაზას. „ჩვენ გავძვერით გისოსში, გავიარეთ ადმინისტრაციის შენობის წითელი თუნუქის სახურავი, მარცხნივ შევუხვიეთ, მაღლა-მაღლა ავედით და მზემ ნარიყალას ციხესთან დამტოვა“.

უეჭველია, „თეთრ ბაირაღებში“ აღწერილი ეს ზმანება შთაგონებულია ფარნავაზ მეფის სიზმრით, რაიც „ქართლის ცხოვრებაშია“ ნაამბობი.

„მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა და ეგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუემდაბლად. მიჰყო ხელი მისი, მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა“.

ორივე ზმანება კეთილის მაუწყებელია: ფარნავაზისათვის მტრების დამარცხებასა და გახელმწიფებას წინასწარმეტყველებს, ზაზა ნაკაშიძისათვის – ციხიდან განთავისუფლებას.

ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ მზის სიმბოლო ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში უშუალოდ მომდინარეობს ქართული კლასიკური მწერლობიდან.

სხვა მსგავსებაც გავიხსენოთ.

ავთანდილ გოგილაშვილის, ანუ ბულიკას სიკვდილის წინ ბაჩანა რამიშვილს მზის გარდაცვალება ესიზმრა. ამ ძილისშორისს იორამ კანდელაკი „ღვთიურ სიზმარს“ უწოდებს. როცა მღვდელი და მწერალი ამ უცნაურ სიზმარზე საუბრობდნენ, ეგონათ ბულიკას სძინავსო და არ აღვიძებდნენ. მერე იორამმა სცადა მისი გაღვიძება, მაგრამ ავთანდილ გოგილაშვილი უკვე აღარ იყო ცოცხალი.

„– რა მოხდა, მამაო! – დაკარგული ხმით ჰკითხა ბაჩანამ და საშინელმა ეჭვმა საფეთქლები აუწვა.

– სიზმარი აგიხდათ, ბატონო ბაჩანა, მზე გარდაიცვალა! – თქვა მღვდელმა და პალატის კარი გააღო...“

აქაც „ვეფხისტყაოსნის“ ხმა ისმის: „მზე უშენოდ ვერ იქნების, რათგან შენ ხარ მისი წილი...“ მაგრამ მაინც დავსვათ კითხვა: რატომ გააიგივა მზე და მეხამლე ავთანდილ გოგილაშვილი მღვდელმა იორამ კანდელაკმა? იორამის პირით ისევ ქრის-

ტიანული კონცეფცია გამოითქვა: ადამიანი ღმრთის შვილია და, როცა იგი კვდება, ჩვენთვის, მიწიერთათვის უზენაესის რაღაც ნაწილი ქრება.

ქრისტიანული ზნეობა წარმართავს ნ. დუმბაძის იმ პერსონაჟებს, რომელთაც კაცთმოყვარეობა ამოქმედებთ. ეს აშკარად არის გამოთქმული.

ნინველმა ბაჩანა რამიშვილმა ყაჩაღი მანუჩარა კიკვაძე მოჰკლა. თავისივე საქციელით გაოგნებული და თავზარდაცემული ბიჭი შინ, პაპასთან გაიქცა. ავის მოლოდინით შეშფოთებულმა მოხუცმა ბადიშს კარი გაუღო. ადამიანის სახედაკარგული ბაჩანა სახლში შევარდა.

„– რა გვჭირს, ბაბუა? – ჰკითხა დაზაფრული ხმით.

– კაცი მოვკალი! – თქვა ბაჩანამ და ნიკაპი აუკანკალდა.

...

– ხუთი წელიწადი ტყუილა გიკითხე, ბაბუა, სახარება? – ჰკითხა ხმადაკარგულმა ლომკაცა რამიშვილმა...“

უდანაშაულო ზაზა ნაკაშიძეს კაცის მოკვლა ბრალდება („თეთრი ბაირაღები“). ანიკო ნაკაშიძე, დედა ზაზასი, მოახერხებს შინაგან საქმეთა მინისტრის ნახვას. იგი მინისტრს უმტკიცებს – ჩემი შვილი კაცს არ მოჰკლავდაო. მინისტრის ლოგიკურ სიტყვებს – „არც ერთი დედა არ ზრდისო შვილს მკვლელად“, – ანიკო ნაკაშიძე მტკიცე რწმენით უპასუხებს – „მე მას ოცი წლის განმავლობაში სახარებას ვასწავლიდი და ვუკითხავდი ძილის წინ“.

უბედნიერესი იქნებოდა კაცობრიობა, სახარებას დანაშაულის აღკვეთა რომ შესძლებოდა. ვინ მოსთვლის, რამდენი კაცი ყოფილა ამქვეყნად, ვისაც სახარება, თავიდან ბოლომდე, ზეპირადაც სცოდნია, მაგრამ დანაშაული (უბრალოც არა, უსაშინლესი) მაინც ჩაუდენია. მიუხედავად ამისა, ნოდარ დუმბაძისათვის სახარება მაინც წმიდათაწმიდა წიგნია, რომლის ცოდნა გარანტიაა ადამიანის სულში დანაშაულისადმი მიდრეკილების მოსპობისა. „მზიან ღამეში“ იმ თავს, რომელშიც აბიბო თოდრიას ავადმყოფობაა აღწერილი, „არა კაც ჰკლა“ ჰქვია. აბიბო ცილისმწამებელი და ჯაშუშია. მან დაასმინა თეიმურაზ ბარამიძის მშობლები და პატიოსანი ადამიანები საკატორღოდ გასწირა. თორმეტი წლის ობლობად, მამის დაღუპვად და დედის ციხეში ტანჯვად დაუჯდა თეიმურაზ ბარამიძეს აბიბო თოდრიას ავკაცობა. მაგრამ, როცა აბიბო გულის სნეულებამ დასცა, უცოლშვილოსა და მარტოხელას ისევ თეიმურაზ ბარამიძემ უპატრონა.

„მე თავიდან სიძულვილით ყელამდე სავსე, ჩემდა გასაოცრად, თანდათან დავიცალე, გული დამიწყნარდა, საფეთქლები აღარ მეწვოდა, ვეჯექი სასთუმალს და ვუცქეროდი სიკვდილისაგან შეშინებულ და მუშტისხელად ქცეულ, მოტეხილ აბიბოს. მერე მთლიანად დავიცალე სიძულვილისაგან და ვიჯექი სრულიად ცარიელი, არაფერი გრძნობა არ მქონდა ამ კაცის მიმართ. ჩემს წინ იწვა არაფერი, ქვა, ხე თუ კუნძი, არ ვიცოდი. უბრალოდ იწვა რაღაც, რასაც ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ ვხედავდი. მერე მოხდა საოცარი რამ... მე შემეცოდა ის, ჯერ როგორც უბრალოდ ავადმყოფი, მერე როგორც მეზობელი, მერე როგორც ახლო მეზობელი, ყურის მეზობელი და ბოლოს შემეშინდა კიდევაც, როდესაც შევატყვე, რომ ტირილი მომინდა. ხელი შუბლზე გადავუსვი და სასთუმალი გავუსწორე, მერე მე ავივსე ყელამდე სიბრალულით ამ კაცის მიმართ, იმხელა სიბრალულით, რომ მისი ცქერა აღარ შემეძლო და ფეხზე ავდექი“.

შურისძიების გრძნობა თეიმურაზ ბარამიძეს თანდათანობით შეეცვალა, რამეთუ უფალი ამბობს – „ჩემი არს შურისგებაი და მე მივაგო“ (მოციქულ პავლეს ეპისტოლე რომაელთა მიმართ, XII, 19). ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში ერთადერთხელ ირღვევა ეს მცნება. ერთადერთხელ სძლევს შურისძიება თანალმობასა და პატიებას. როცა ბაჩანა რამიშვილი ჰკლავს მანუჩარა კიკვაძეს. მაგრამ ეს განსაკუთრებული და გამონაკლისი შემთხვევაა. განსაკუთრებული და გამონაკლისია თუნდაც იმი-

ტომ, რომ ისეთსავე დამნაშავეს, როგორიც მანუჩარა კიკვაძეა, დათიკო ბრიგადირს ხალხი მოიკვეთს, მაგრამ სასიკვდილოდ მაინც არ იმეტებს („მე ვხედავ მზეს“). ნოდარ დუმბაძე ტოვებს დათიკო ბრიგადირში ადამიანური კეთილშობილებისა და ღირსების ისევ გაღვიძების იმედს. ასეც მოხდება. აბობოქრებულ მდინარეში დასახრჩობად განწირულ ხატიას სწორედ გაფირალებული დათიკო ბრიგადირი გადაარჩენს. მართალია, ხატიას გადარჩენის მერეც ულმობელია სოფელი დათიკოს მიმართ, მაგრამ მტრობის ყინული მაინც გაიბზარა. არც ვალოდია უშიშროების მუშაკმა და არც ბადრია მილიციელმა დათიკო არ დაიჭირეს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ხალხმა ასე თუ ისე შეუნდო მას. მაშინ ყოფილი ბრიგადირი თავად დაადგა რაიონის ცენტრში მიმავალ თემშარას, რათა სასჯელი მოეხადა. სასჯელის მოხდა კი უკან, მშობელ ხალხში დაბრუნების იმედსაც იძლეოდა.

არა შურისძიება და სასჯელი, არამედ თანალმობა და სიყვარულია ნოდარ დუმბაძისათვის ადამიანის ხსნის საფუძველი, საშუალება.

მილიციელი გოგი თუშურაშვილი („კუკარაჩა“) ეუბნება თავის უფროსს: მე ინგა ლალიაშვილის კეთილისაკენ მობრუნება უფრო დიდ საქმედ მიმაჩნია, ვიდრე რეციდივისტ მურტალოს დაჭერაო. მართალია, ეს სიტყვები მოძღვარსა და მქადაგებელს უფრო შეეფერება, ვიდრე მილიციელს, მაგრამ იმას თუ გავიხსენებთ, რომ კუკარაჩას ზნეობრივი სამყარო სახარებით არის გაპირობებული, მაშინ მისი საუბარი და საქციელი უცნაურად არ მოგეჩვენებათ. ეს გაპირობებულობა გამოიხატა არა მარტო გოგი თუშურაშვილის პიროვნების სულიერი წყობით, არამედ იმითაც, რომ მან ანიკო ბახტაძისაგან სახარება ითხოვა და წაიკითხა.

მკითხველი ზერელედ იცნობს ლიდას. ამ ქალს თემურ ბარამიძე შემთხვევით შეხვდება ქუჩაში და მასთან ერთ ღამეს გაათევს („მზიანი ღამე“), მაგრამ საკმარისია, ლიდამ თემურ ბარამიძეს სახარება აჩუქა, რომ მისდამი ჩვენი დამოკიდებულება შეიცვალოს. გვეუფლება თანალმობა.

მარადიული სამართლიანობისა და კეთილის თვინიერ შეუძლებელია მოყვასის სიყვარული. ამიტომ, როცა მარადიულ სამართლიანობასა და კეთილს უარყოფ, უარყოფ მოყვასის სიყვარულსაც. ამ საქციელს გარდაუვლად მოჰყვება სასჯელი.

როცა ეკლესიიდან ჯვრის მოხსნა გადაწყვიტეს, გუმბათზე ასვლა ვერავინ გაბედა, ისიდორე ჯაყელის გარდა („ნუ გეშინია, დედა!“). მან ჯვარი მოტეხა, ძირს გადმოაგდო და აღტაცებულმა ყიჟინა ასტეხა: „– არ არის, არა!.. მიქელგაბრიელი, ხატი, რჯული, ჯვარი, ღმერთი!.. არ არის, არა!..“ „გამარჯვებული“ ისიდორე ჯაყელი გუმბათიდან ძირს ჩამოვიდა და მაშინ მოხდა მოულოდნელი: უცებ მას „ქვედა ტუჩი გაექცა მარცხნივ, ქვედას ზედა მოჰყვა, მერე თვალთან რაღაცამ დაქაჩა, ნიკაპი აუთრთოლა და ყველაფერმა ერთად მარცხენა ყურთან მოიყარა თავი“. ასე მოექცა ყბა ისიდორე ჯაყელს, რის გამოც მთელი სიცოცხლე, ზურგს უკან, სოფელი დაცინვით „ისიდორე ღრანჭმოქცეულს“ ეძახდა. ამით არ დამთავრებულა მისი დასჯა. საავტომობილო კატასტროფაში დაეღუპა ვაჟიშვილი გაბრიელი და რძალი მანანა. მარტოხელამ გაზარდა ობოლი შვილიშვილი. მაგრამ, როცა ბადიში თბილისში ჩამოიყვანა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, ისიდორე ჯაყელს ის ფული არ აღმოაჩნდა, რაც აუცილებელი იყო სამედიცინო ინსტიტუტში მოსაწყობად. ის თაობა, ვისი „კეთილდღეობისათვის“ მან ჯვარი მოაძრო ეკლესიის გუმბათს, ხარბი აღმოჩნდა. ისიდორეს ვაივაგლახით შეგროვებული შვიდასი მანეთი, ვანიჩქა კოტინოვის მოსწრებული თქმით, მხოლოდ ფეხბურთის ორი ტაიმის მანძილზე საკნატუნო მზესუმზირას თუ ეყოფოდა საყიდლად.

ყოველივე ზემოთქმული უტყუარად გვეუბნება, საბოლოოდ ვინ გაიმარჯვა ბაჩანა რამიშვილისა და იორამ კანდელაკის კამათში. ამას იმ დასკვნასაც თუ დავუმატებთ, რაც ავადმყოფობის დროს გააკეთა ბაჩანა რამიშვილმა, არა მგონია რაიმე საჭოჭმანო დარჩეს.

„... ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული. იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ.1 რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...“

ბაჩანა რამიშვილის ეს დასკვნა არსებითად იმასვე ამბობს, რასაც უძველესი სიბრძნე: გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი თვისი (მარკოზის სახარება, XII, 31).

და ისიც ნათელია, რის რწმენას ეფუძნება ბაჩანას ზნეობა.

II
ყოფა და გარემო

საავადმყოფოში მნახველები მრავლად მოდიოდნენ, მაგრამ მათ ბაჩანა რამიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აწუხებდათ. საკუთარი საქმე ჰქონდათ გასაჩარხავი. უნდოდათ მწერლის სახელით, მდგომარეობით და თანამდებობით ესარგებლათ. ყველაფერს იყენებდნენ – ტყუილს, თვალთმაქცობას, გაქნილობას, თაღლითობას, ხვეწნას, მუდარას, ლაქიაობას – ოღონდ დახმარება მიეღოთ, თავიანთი ავკაცობა მიეჩქმალათ და ბოროტი ზრახვა მოეკვარახჭინებიათ. მოკვდებოდა თუ მორჩებოდა ბაჩანა, ეს არ ადარდებდათ. ერთს წამოცდა კიდეც – „თქვენ რა მოგარჩენთო“. მათთვის მთავარი და არსებითი იყო სარფა, რასაც ისინი მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის კაცისაგან მოელოდნენ. ამ სანახაობით გაოგნებულმა მღვდელმა იორამ კანდელაკმა ჰკითხა კიდეც ბაჩანას – „ნუთუ ქვეყნად კაცი არ არსებობს, ვისაც მხოლოდ თქვენი ჯანმრთელობა აინტერესებს?“ ასეთი კაციც არსებობდა – ვახტანგ ამბოკაძე, ვისაც ბაჩანა რამიშვილის მხოლოდ ჯანმრთელობა და სიცოცხლე უნდოდა. მისგან კი არაფერს ითხოვდა. როცა ვახო ამბოკაძის უანგარობით გაოცებულმა იორამ კანდელაკმა ისევ იკითხა – ვინ იყოო, ეს კეთილშობილი ქრისტიანი?“ – არანაკლებ განსაცვიფრებელი პასუხი მიიღო: „ქურდი, მამაო, პროფესიონალი ქურდი!“

ახლა კი ჯერი დადგა ჩვენც ვიკითხოთ: რა საზოგადოებაა ის საზოგადოება, სადაც მპარავი ყველას სჯობნის კეთილშობილებით, უანგარობით, გულუხვობით, კაცთმოყვარეობით, მეგობრობით?

ადამიანი მოქცეულია მონუსხულ წრეში: გაჭირვება შობს კეთილდღეობის ნატვრას. ამის მოსაპოვებლად ნაირნაირ გზებს ეძებს ადამიანი. რისი ვაინაჩრობით ნატვრას საქმედ აქცევს. მაგრამ ახლა მეორე უბედურება იწყება. ივიწყებს კეთილშობილებას, სიყვარულს, უანგარობას, პატიოსნებას. ხდება მოყვასის მოძულე, ხარბი და დაუნდობელი. დგას ამ მონუსხულ წრეში და ვერ გარკვეულა – რა სჯობს, ხორციელი სიმდიდრე თუ სულიერი? რას ებრძოლოს ხორციელ სიღატაკეს თუ სულიერს? მართალია, თეორიულად ყველა ერთხმად ამტკიცებს ხორციელ სიმდიდრეს სულიერი სიმდიდრე სჯობსო, ხორციელი სიღატაკე ისე საშიში არ არისო, როგორც სულიერი, მაგრამ პრაქტიკულად ყველა ხორციელ სიმდიდრეს ამჯობინებს და ებღაუჭება. არაფრით ხელიდან არ უშვებს. მზად არის ყველა და ყველაფერი კერბერივით დაკბინ-დაჭამოს, ოღონდ მის ქონება-დოვლათს არა მოაკლდეს რა.

უამრავი ფულის მითვისებისათვის ზის ციხეში შოშია გოგოლაძე („თეთრი ბაირაღები“). ადრე იგი გაჭირვებული და პატიოსანი კაცი იყო.

„ორმოცი წელიწადიდან, რომელიც ჩემშია, ოცდაათი წელიწადი ხახვით, ბოლოკით, მდოგვითა და შავი პურით მქონდა ამომწვარი თავ-ღრანჭი და ცხვირ-პირი. ხალხო, ორმოციდან ოცდაათი წელი მესიზმრებოდა თეთრი პური, კარაქი, ხიზილალა, ჩაქაფული, ბატკნის მწვადი, ბასთურმა, სუკი, მწყერი და ხოხობი, ორსართული-

ანი რვა ოთახიანი სახლი, ფიქალით,1 გაწყობილი აბაზანით, სამზარეულოთი და საპირფარეშოთი. ორმოციდან ოცდაათი წელი მესიზმრებოდა შავი ვოლგა, მწვანე ათთუმნიანები, ლურჯი აგარაკი შავ ზღვაზე, ბამბასავით თეთრი ქალი და ბროწეულივით ლოყა წითელი შვილები...“

ოცდაათი წლის ნატვრა ათ წელიწადში სინამდვილედ აქცია შოშია გოგოლაძემ, მაგრამ რა გზით, რა საშუალებით? იმ გზით, იმ საშუალებით, რომელსაც ბოლოს ადამიანი უთუოდ ციხეში მიჰყავს.

ისიდორე სალარიძის სიძეც აბრეშუმის ყაჭივით უხმო, უწყინარი და თვინიერი ბიჭი იყო. უბატონოდ ხმას არ გაგცემდათ. მაგრამ ერთ უბედურ დღეს იგი შინ გამდიდრებული დაბრუნდა. გალაღებულმა მაგიდაზე ოცდახუთმანეთიანების დასტა დაყარა და ირგვლივ ამაყად მიმოიხედა. იმ წუთს იგი სამუდამოდ შეტრიალდა ეშმაკისაკენ. გალოთდა, გაქურდდა, ცოლს ცემა დაუწყო, სიმამრს – ალალმართალ მშრომელ კაცს – დასცინოდა, თავმოყვარეობას უგინებდა. ოჯახში ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ ისიდორემ სიძე მოჰკლა.

რა ჰქნას ან შოშია გოგოლაძემ, ან ისიდორე სალარიძის სიძემ? ყოველ კაცს ენატრება, სურს, უყვარს სიმდიდრე, დოვლათით სავსე ოჯახი, ბევრი ფული. მათაც უნდათ კეთილი ცხოვრება. არ უნდათ ციხეში ჯდომა, მით უმეტეს, სიკვდილი.

ფული თუ არ გექნება, ზაზა ნაკაშიძის დედასავით უნდა იდგე ბაზარში, მეხორცის დახლთან და ეხვეწო ფაშვგადმოგდებულ, ბრიყვ, თვალებგადმოკარკლულ ყასაბს სამ მანეთად მოგცეს სხვისგან დაწუნებული, გადასაყრელად გამეტებული, ხორცგაცლილი ძვლები, რომ შვილს ციხეში როგორმე რვა პაწია კატლეტი შეუგზავნო. ის რვა კატლეტი, რომელთა დანახვა პატიმრებსაც კი არ ჰყოფნით სასაცილოდ.

თუ ფული არ გექნება, ისიდორე სალარიძესავით დაიმსახურებ დაცინვას – სამსახურში ადგილს აცდენ და ცხოვრება არ იციო. თუმცა განათლებული, სწავლული კაცია იგი, პროფესიით ეკონომისტი, ორი უცხო ენის მცოდნე, მაგრამ ვერასოდეს უყიდის შვილს ნახევარ წელიწადში სამ ქურქს, ათ წყვილ ჩექმასა და ტუფლს, ოც კაბას, ბეჭდებსა და საყურეებს. სიძემ კი შესძლო ეს, რაკი სინდისზე აიღო ხელი.

თუ ფული არ გექნება, ვერც აზიზას საროსკიპოში ივლი. არადა, ისიც იზიდავს ადამიანს.

„– როგორ, კაცო, კერძო დუქანი აქვს, დუქანი კი არა, ბორდელი და არავინ იჭერს? – გამიკვირდა მე.

– ეჰ, ჩემო ზაზა, რამდენი, წესით იმის დამჭერი რომ უნდა ყოფილიყო, ისეთი კაცი მე იქ მენახოს, იმდენი თუმანი რომ მოგვცა ახლა მე და შენ, იმ ფულით საკუთარ ციხეს ვიყიდიდით – ამოიოხრა შოშიამ“.

როგორც ჩურჩხელისაგან არ გამოვა სანთელი, ისე არ გამოვა ექიმი ვანიჩქა კოტინოვის დირექტორის შვილისაგან, მაგრამ სამედიცინო ინსტიტუტში მაინც შევიდა („ნუ გეშინია, დედა!“). როგორ? ფული ჰქონდა.

ავთანდილ ჯაყელს კი ინსტიტუტის კარები ცხვირწინ დაუკეტეს. რატომ? ფული არ ჰქონდა და იმიტომ.

უდანაშაულო ზაზა ნაკაშიძე რომ ციხიდან იხსნან, უწყალოდ ნაცემი აკაკი ხარაბაძე უნდა მორჩეს. იგია ერთადერთი მოწმე, ვისაც სიმართლის თქმა შეუძლია. მაგრამ ხარაბაძე რომ განიკურნოს, უცხოური წამალია საჭირო. მაგრამ ის წამალი „სულ ორი ფლაკონი ყოფილა საქართველოში – ერთს უკვე ასმევენ ვიღაცას და ერთს ვიღაცისათვის ინახავენ, ვაითუ დასჭირდესო“.

ყველაფერი გაყიდე, დედა, ეხვეწება ზაზა ანიკო ნაკაშიძეს, და როგორმე ის წამალი იყიდეო. შვილის მუდარას დედა მორიდებით უპასუხებს – „რა გავყიდო, შვილო?“

„მართლაც რა გაყიდოს? რაც დედა მახსოვს, სულ ვყიდით ყველაფერს. ჯერ არაფერი გვიყიდია და ახლა რა უნდა გაყიდოს საწყალმა დედამ?“

ასეთ ვითარებაში ორი წყურვილი იბადება: ერთი მხრივ, ფულის შოვნის; მეორე მხრივ – მოყვასის სიყვარულისა და თანალმობის. ეს ორი წყურვილი ერთმანეთს ებრძვის. ან ერთმა უნდა გაიმარჯვოს, ან – მეორემ. როგორც წესი იმარჯვებს ფულის შოვნის წყურვილი. სიყვარული და თანალმობა ადამიანის მძიმე ქონებრივ მდგომარეობას არ ცვლის. მხოლოდ ზნეობრივ კმაყოფილებას ანიჭებს. ეს კი საკმარისი არ არის. აუცილებელია ქონებრივი მდგომარეობის შეცვლა, რაც მხოლოდ ფულს შეუძლია.

რაც თავი ახსოვს კაცობრიობას სულ ფულს ეთაყვანება და თან სულ წყევლაკრულვას უგზავნის. ეთაყვანება, რაკი ფულია კეთილდღეობის საფუძველი. წყევლის, რაკი ფულივეა ბოროტების წყაროც. ვერ იქნა და ვერა, კაცობრიობამ ვერ გამოძებნა ფულისადმი დამოკიდებულების უბოროტო ფორმა. ვერ ჩააყენა იგი მხოლოდ კეთილის სამსახურში და ვერც ვერაფრით შეცვალა, ვერც უარჰყო, თუმცა დიდხანს იბაგუნებდა გულში ხელს და იმუქრებოდა – ყვითელი ეშმაკი უნდა მოისპოსო, – მაგრამ ამაოდ. ფული ფულადვე დარჩა: მარჯვენა ხელით რომ კეთილს ნერგავს, მარცხენათი ბოროტს თესავს.

სხვადასხვა ერის მწერლობაში სხვადასხვაგვარია ფულის მსხვერპლი და ფულით გამოწვეული დანაშაული. ჩვენი ლიტერატურაც გარკვეული თავისებურებით წარმოგვიდგენს მას. როგორც კი გავადევნებთ თვალს ადამიანისა და ფულის ურთიერთობის პრობლემას ქართულ პროზაში, დავინახავთ მკაფიო სურათს, რომელსაც სახელად შეიძლება დავარქვათ – ფულის უსაზღვრო ტრფიალი, დაბადებული უპოვარის სიხარბით.

უქონელი და უპოვარი იყო ჩვენი პროზის მიერ დახატული პირველი მილიონერი სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. მას მერე ყველა მდიდარი, ვინც კი არსებობს ქართულ მწერლობაში, სიღატაკით იწყებს და სიმდიდრით ამთავრებს ცხოვრებას. მათ შორის, ასევე სიღარიბიდან ამოტივტივდნენ ცხოვრების ზედაპირზე ნ. დუმბაძის შოშია გოგოლაძეები, ნუგზარ დარახველიძეები, სანდრო მაღლაფერიძეები თუ სხვანი. ქართული პროზა არ იცნობს, არ ხატავს მემკვიდრეობით ფულიან კაცს, მისი ცხოვრების გზას, მის კეთილსა და ბოროტს. არ დაუხატავს არც იმ ტიპის კაპიტალისტები, როგორიც იყვნენ, ვთქვათ, დავით სარაჯიშვილი, გიორგი ქართველიშვილი, აკაკი ხოშტარია, ზუბალაშვილების ოჯახი. რომ არაფერი ვთქვათ, ევროპულ და რუსულ მწერლობაზე, ასეთი ფულიანი ადამიანები ძლიერ საინტერესოდ არიან წარმოდგენილი სომხურ მწერლობაში. ქართული კი იცნობს და ხატავს, როგორც უკვე ვთქვი, ოდენ ღატაკს, რომელიც ნაირნაირი საშუალებებით – დაზოგვით, კაპიკის კაპიკზე მიწებებით, ჩარჩული ეშმაკობით (როგორც სოლომონ ისაკიჩი), დიდი რაოდენობით ფულის მითვისებით, მოპარვით, რთული კომბინაციით (როგორც ნ. დუმბაძის პერსონაჟები) – მდიდრდებიან და ხდებიან ყოვლის შემძლეები. რაკი გამდიდრების, ფულის შეძენის პროცესია ასახული, ბუნებრივია, პარალელურად იხატება ხორცის ზეიმისა და სულის კვდომის სურათიც. ამ სურათის ყურების ჟამს მწერალშიაც და მკითხველშიაც იბადება მოყვასის სიყვარულისა და თანალმობის ნატვრა. ეს ნატვრა მსჭვალავს ჩვენს პროზას ლავრენტი არდაზიანით დაწყებული დღემდე.

არსებობს მეორე გარემოებაც, როცა მოყვასის სიყვარულისა და თანალმობის ნატვრა ჩნდება. ეს არის უსამართლობის ვითარება.

ვითარება, როცა თორმეტი წლის ციხით, კატორღით, გადასახლებით გატანჯულ დედას პირველად დაინახავ შინდაბრუნებულს და ვეღარ ეტყვი – გამარჯობა, დედა! ამის მაგიერ, როგორც უცხოს, მიმართავ – გაგიმარჯოთ, ქალბატონო! რადგან თორმეტი წლის ობლობამ გადაგაჩვია და აღარ იცი როგორ თქვა ყველაზე იოლად სათქმელი სიტყვა – დედა („მზიანი ღამე“).

ვითარება, როცა უდანაშაულოდ გაციმბირებული მამა უკვე აღარ გახსოვს. თავად უკვე დავაჟკაცებული გაკვირვებული უყურებ სურათს, რომელზედაც დათვის ტყავზე დაგორებული ერთი წლის ბიჭია გადაღებული და მოულოდნელად დედა გეტყვის – მამაშენია. შენი სურათი ეგონათ და დაპატიმრების დროს არ წამართვესო („მზიანი ღამე“).

ვითარება, როცა მატარებელში, უცხო ხალხში, დაბნეული, უსუარი ბალღი გკითხავს – დეიდა ოლია, სად არის ჩემი დედა? – და პასუხის მიცემა არ შეგიძლია.

„– ჩემი დედა რა იქნა?! – ქალი წამოდგა, ბავშვი მკერდში ჩაიკრა და პირზე ხელი ააფარა, ეს შემზარავი კითხვა რომ არ გაეგონა. ქალს ბავშვის ხმა აღარ ესმოდა, მაგრამ ხელისგულზე ტუჩების მოძრაობით გრძნობდა, რომ ბავშვი დაჟინებით იმეორებდა ერთსა და იმავე კითხვას.

– ღმერთო, ნუთუ ვერ ხედავ ამას და თუ ხედავ, სად ხარ?! – თქვა ქალმა და ბავშვის წინ მუხლებზე დაეშვა“ („მარადისობის კანონი“).

ვითარება, როცა დახვრეტილი მამის ჩექმებს ამოიღებ ზანდუკიდან და სიმინდზე გადასაცვლელად წაიღებ, შიმშილით რომ არ მოკვდე („მე ვხედავ მზეს“).

პრობლემა, რომელსაც პირობითად დავარქვი – მოყვასის სიყვარულისა და თანალმობის ნატვრა, წარმოშობილი უკანონობისა და უსამართლობის შედეგად – ღრმად, ფართოდ და ყოველმხრივ ქართულ პროზაში დამუშავებული არ არის. არსებითად ყველაზე ვრცლად მას ნ. დუმბაძე შეეხო. ცხადია, დასკვნაც მასვე უნდა გაეკეთებინა. ამდენად ნ. დუმბაძე ლოგიკურად მივიდა იმ კითხვამდე, რომელიც ბაჩანა რამიშვილს დაუსვეს – „მშობლების გამო რამე წყენა ხომ არ გაქვთ ან გქონიათ პარტიის მიმართ?“ ლოგიკურია ის პასუხიც, რომელიც ბაჩანამ გასცა: – „კი მქონდა, მაგრამ გამიარა. თუმცა, მერე, მშობლების რეაბილიტაციის შემდეგ ისევ გამიჩნდა წყენა... გამიჩნდა იმიტომ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე სულ ტყუილად, არაფრის გამო გადავიტანეთ ამდენი სიდუხჭირე, დამცირება და უბედურება“.

მაგრამ ასეთ სიტუაციაში კითხვა-პასუხის ლოგიკურობა არ კმარა. მკითხველი უნდა გაერკვეს – ზნეობრივად რას ნიშნავს „წყენამ გამიარა“. თუ „წყენის გავლა“ შედეგია უსამართლობის ტკივილის დავიწყების, მაშინ იგი ზნეობრივი დაქვეითებაა. თუ „წყენის გავლა“ შედეგია უსამართლობის ტკივილის ხსოვნის, მაგრამ შურისგების დაძლევისა, მაშინ იგი ზნეობრივი ამაღლებაა. ამაღლებაა იმიტომ, რომ შურისძიების სურვილი იბუდებს სულიერად ამბოკარის ცნობიერებაში, პატიების უნარი კი მომადლებულია უზენაესის მიერ.

ამ საუბრის დროს მახსენდება ერთი ეპიზოდი, რომელსაც ეგ. ნინოშვილი გვიამბობს „სიმონაში“.

შეურაცხმყოფლის მოსაკლავად გამზადებული სიმონა ძალაძე ბუჩქებში ჩასაფრებული უცდის ტიტიკო დროიძის გამოვლას. მაშინ „მოაგონდა სიმონას ერთი პატიმრის ნათქვამი. სიმონამ ჰკითხა: „სულის წაწყმედის არ გეშინია, ადამიანს რომ კლავ?“ პატიმარმა თურმე უპასუხა: „ჩემთვის ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადააქციეს და ჯოჯოხეთში სულზე არავინ ფიქრობსო“. ამ ფიქრმა თითქოს გაამხნევა სიმონა. მან ტიტიკოც მოჰკლა და დავით დროიძის მეორე ვაჟი ლევანიც.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანი მაშინ არის ადამიანი, როცა იგი ჯოჯოხეთში ფიქრობს სულის არწაწყმედაზე, თორემ სამოთხეში არავის სჭირდება ამაზე ფიქრი.

ბაჩანა რამიშვილს კაციც ჰყავდა მოკლული შურისძიების მიზნით, ჯოჯოხეთიც ჰქონდა გავლილი და სულის გვემაც გადატანილი, როცა პასუხს იძლეოდა. იგი უკვე მოწიფული კაცის შეგნებით იყო მისული იმ მცნებამდე, რომელიც ერთხელ უკვე მოვიშველიე და ახლა ისევ გავიმეორებ – „ჩემი არს შურისგებაი და მე მივაგო, იტყვის უფალი“, რაც არ ახსოვდა წაბლისერის ქოჩებში ჩასაფრებულ სიმონა ძალაძეს. Nil inultum remanebit!

მესამე გარემოებაც არის, როცა მოყვასის სიყვარულისა და თანალმობის ნატვრა ჩნდება – საერთო სახალხო გასაჭირი.

მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებს. უჭირს სოფელსაც და ქალაქსაც. ზენობანში საიდანღაც ბოშები ჩამოვიდნენ („ბოშები“). სოფელს რა აქვს, მოულოდნელ სტუმრებს რა უნდა გაუზიარონ. იწანწალეს ერთხანს. ერთ მშვენიერ დილით კი უთენია გაიპარნენ. თან „სოფელს ერთი თხა, ორი გოჭი, ერთი ხბო, ოციოდე ქათამი, კიდევ რაღაც წვრილ-წვრილი საოჯახო ნივთები“ მოპარეს და წავიდნენ. ისინი ჩოხატაურში მილიციის უფროსმა კიკიტია ოსეფაიშვილმა დააკავა და ზენობნელები გამოიძახა. ზენობნელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს – ბოშებს ჩვენთვის არაფერი მოუპარავს, რაც მიაქვთ ჩვენი მიცემულიაო. ჯაჭვში, სამფეხში, ნალში და სხვა ნივთებში გაუცვალეთო. კიკიტია ოსეფაიშვილი იძულებული გახდა ბოშები გაეშვა. ზენობნელები და ბოშები ერთმანეთს ძმებივით გამოემშვიდობენ. რატომ? იმიტომ, რომ სოფელში ბოშები მკითხაობდნენ, ნუგეშს იძლეოდნენ. „ყველა მწუხარეს თუ არა ნახევარს მაინც ამოუმშრალეს მდუღარე ცრემლები თვალთაგან, ბევრ ჩაქრობაზე მიმდგარ კერას შეუბერეს სული, ისევ გააღვიძეს, ისევ ააფუტეს...“

იმედი მაინც იმედია, თუგინდ იგი ბოშა ქალის პირით ნათქვამი სიცრუე იყოს.

ნაბეღლავში, ნივთების სიმინდში გადასაცვლელად წასული ხატია და სოსოია, ბაბილო ვაშაყმაძის ოჯახში მოხვდებიან („მე ვხედავ მზეს“). ბაბილოს და კაკანოს ორი ტყუპი ბიჭი დაეკარგა ომში. არავინ იცის მათი ამბავი. დილიდან საღამომდე მოთქვამს შვილებდაკარგული დედა. უცებ ხატია ტყუილს მოიგონებს – ჩვენს სოფელში ომიდან კაცი ჩამოვიდაო. იმას უნახავსო ტყუპი ძმები. ცოცხლები არიანო, კარგად და ჯანსაღად. ამ მიამიტ ტყუილს ყველა მაშინვე მიხვდებოდა. ბაბილო მიხვდა კიდეც, მაგრამ კაკანომ დაუჯერა გოგონას. წყალწაღებული კაცი ხავსს ეკიდებოდაო და გაუბედურებული დედაც იმედის ტოტს ჩაებღაუჭა. დამშვიდდა და იწამა, რომ მისი ბიჭები საღსალამათი დაბრუნდებოდნენ.

მეორე დღეს, დილით, ბაბილომ ქურქი და ჩექმა აღარ გამოართვა ხატიას და სოსოიას. ისე, უფასოდ მისცა სიმინდი. ქურქსა და ჩექმაზე ბევრად ძვირად ღირდა ხატიას დატოვებული ცრუ გინცი.

სანიმუშოდ ეს ორი მაგალითი ვიკმაროთ, თორემ ამგვარ ეპიზოდსა და სცენას ბევრს ვნახავთ ნ. დუმბაძის თხზულებებში. რაოდენობით, მართალია, ბევრია, მაგრამ უმთავრესი მაინც იმის დადგენაა – რას აღწერს მწერალი, მოყვასის სიყვარულის ფაქტს თუ საკუთარ ოცნებას? ერთსაც და მეორესაც, ოღონდ ოცნება სჭარბობს ნამდვილს. ოცნება უფრო ღრმაა, ვიდრე ნამდვილი. ნ. დუმბაძის მოთხრობებსა და რომანებში მოყვასის სიყვარულისა და თანალმობის არსი ოცნებაში ვლინდება და არა – სინამდვილიდან აღებულ ფაქტში. მაგალითად, გიჟი მარგოს არსებობა და სიკვდილი ნამდვილია, მისი მოვლა-პატრონობა და ზეიმით დასაფლავება კი – ოცნება („მარადისობის კანონი“). ასევეა სხვა შემთხვევებშიც. ნ. დუმბაძის შემოქმედება გაჟღენთილია კეთილის, თანალმობის, სიყვარულის ნატვრით. ახლა შემიძლია ვუპასუხო კითხვასაც – რა საზოგადოებაა ის საზოგადოება, სადაც მპარავი ყველას სჯობნის კეთილშობილებით, უანგარობით, გულუხვობით, კაცთმოყვარეობით, მეგობრობით? ეს საზოგადოებაა ის საზოგადოება, სადაც ენატრებათ კეთილი, თანალმობა, სიყვარული. სადაც ამ ნატვრას ოცნებით იკმაყოფილებენ. და ნ. დუმბაძის შემოქმედებაც ერთი უსაზღვრო ნატვრაა კეთილისა.

III
გამეორებული მოტივები

ნ. დუმბაძის მოთხრობებსა და რომანებში რამდენიმე გამეორებულ მოტივს შეხვდებით. გავეცნოთ ზოგიერთს, ყველაზე უფრო ხშირს.

დედის ნოსტალგია. ნ. დუმბაძის ყველა მთავარი პროტაგონისტი ობოლია: ან ლიტონი ობოლია ან მამით ობოლი. ლიტონი ობოლია ზურიკელა ვაშალომიძე („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), სოსოია მამალაძე („მე ვხედავ მზეს“), ავთანდილ ჯაყელი („ნუ გეშინია, დედა!“), ბაჩანა რამიშვილი („მარადისობის კანონი“). მამით ობოლია თემურ ბარამიძე („მზიანი ღამე“), ზაზა ნაკაშიძე („თეთრი ბაირაღები“). ასეთივე სურათია მოთხრობებშიც. ყველა ნაწარმოებში დედას სახელად ანიკო ჰქვია. სულერთია, დედა მოქმედი პირია, თუ უბრალოდ იხსენიებენ. ერთადერთი გამონაკლისია „ნუ გეშინია, დედა!“, სადაც დედის სახელია მანანა. ანა ნ. დუმბაძის დედის სახელია – ანა ბახტაძე. მხატვრულ თხზულებებში გადადის მწერლის პირადი ნოსტალგია დედის მიმართ, ბავშვობის უდიდესი ტკივილი, განუმეორებელი სევდა. მაგრამ დედის ნოსტალგიის არსებობას ნ. დუმბაძის შემოქმედებაში მარტო ავტობიოგრაფიული მოტივით ვერ ავხსნით. ნ. დუმბაძეს ჰქონდა სხვა დაუყუჩებელი ტკივილიც – მამის დაღუპვა, შვილის სიკვდილი. თუმცა ამას არ უჭირავს ისე ვრცელი ადგილი მის შემოქმედებაში, როგორც დედის ნოსტალგიას, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს ხსოვნა მის თხზულებებში პატივცემულია. ზოგიერთი მისი პერსონაჟი ვლადიმერის ძეა:1 ზურიკელა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), თამაზი („კუკარაჩა“)... „სასაფლაო“ კი შვილისადმი მიძღვნილი რექვიემია.

ნ. დუმბაძის შემოქმედებაში დედის ნოსტალგია უშუალოდ უკავშირდება საერთოდ მარადიული, უტყუარი სიყვარულის ნატვრას.

საკაცობრიო ლიტერატურაში ერთი კანონზომიერი სურათი ჩანს: რაიმე იდეალისათვის მამები უფრო ხშირად, და შედარებით ადვილადაც, იმეტებენ შვილებს მსხვერპლად, ვიდრე დედები. დედები ამჯობინებენ თავად იყვნენ ზვარაკი, ოღონდ შვილი გადარჩეს. დედური და მამური სიყვარულისადმი მწერლობის ამგვარი დამოკიდებულება გაპირობებულია, ერთი მხრივ, სინამდვილით, მეორე მხრივ, სახარებით, რომლის მიხედვით კაცობრიობის ხსნისათვის მამაღმერთი ტარიგად იმეტებს მხოლოდშობილ ძეს. დიმიტრი მერეჟკოვსკის რომანში – „მამა და შვილი“ – პეტრე პირველი ფიქრობს – აქვს თუ არა მას უფლება რუსეთის სახელით სასიკვდილოდ გაიმეტოს შვილი? თავს სწორედ სახარებით ინუგეშებს: თუკი კაცობრიობის ხსნისათვის მამა-ღმერთმა გაიმეტა ძე-ღმერთი, მას, პეტრეს, მიწიერ კაცს აქვს უფლება რუსეთის კეთილდღეობისათვის დასაჯოს შვილი. ეს ფიქრი და არჩევანი უკვე იმას ნიშნავს, რომ მამას შეუძლია დათრგუნოს შვილის სიყვარული სხვა უფრო დიდი სიყვარულის სახელით. დედური სიყვარული არ მორჩილებს ასეთ ფიქრსა და არჩევანს. არ ექვემდებარება დროს, ასაკს, პირობებს, ალტერნატივას, გარემოებას... იგი მარადიულია, უტყუარია, საიმედოა.

როცა ადამიანი დაეჭვდება კეთილის სუფევაში, როცა სასოწარკვეთილება შეიპყრობს, მაშინ დედური სიყვარულის არსებობა უბრუნებს მხნეობას, რწმენას, იმედს.

დედის ნოსტალგია ნ. დუმბაძის შემოქმედებაში ასრულებს კეთილისა და სიყვარულის რწმენის ფუნქციას. „... ყოველთვის მოვალ, როდესაც გაგიჭირდება, შენ ოღონდ მინატრე და მოვალ“, – ეუბნება ავთანდილ ჯაყელს უკვე გარდაცვლილი დედა.

გარდაცვლილთა წინაშე ფიცი ან ანგარიშგება. ნ. დუმბაძის თხზულებებში ხშირად ესაუბრებიან მიცვალებულს, ფიცს აძლევენ, ანგარიშს აბარებენ.

სოსოია მამალაძე მიდის ბეჟანას საფლავზე და უყვება – რა მოხდა სოფელში, რას აპირებს თავად („მე ვხედავ მზეს“).

„... შენ ხომ იცი, ბეჟანა, მე როგორ მიყვარს ხატია? ცოლად მოვიყვან, აბა, რას ვიზამ... რომ არ აეხილოს თვალი? მამიდაც მაგას მეკითხება, ბეჟანა, ყოველ ღამე

მეკითხება. შენ გგონია არ მოვიყვან? მაინც მოვიყვან, ბეჟანა, მაინც. არ შეიძლება ხატიას ცხოვრება უჩემოდ. არც ჩემი ცხოვრება შეიძლება უიმისოდ...“

თემურ ბარამიძე გარდაცვლილ დედას იმ სიყვარულს უცხადებს, რაც ცოცხალს ვერ უთხრა, ვერ აგრძნობინა („მზიანი ღამე“).

„... ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც იმ დიდი სიყვარულის საფასურად, ჩემი ხელით გაგითხარე სამარე, ჩემი ხელით ჩაგასვენე შიგ და ჩემი ხელით დაგადე ეს დიდი ლოდი გულზე... შუაღამისას ვდგავარ საფლავებს შორის და არ მეშინია. არ მეშინია, რადგან ის, რისაც ყველაზე უფრო მეშინოდა, უკვე მოხდა. ეს იყო შენი სიკვდილი და, რადგან სიკვდილის არ მეშინია, აღარც სიცოცხლის მეშინია...“

ავთანდილ ჯაყელი გარდაცვლილ დედას რჩევას სთხოვს („ნუ გეშინია, დედა!“).

„... ბევრი რამის გაგება მიჭირს. მინდა, გავიგო რაღაც, მგონია, გავიგე და უცებ ვხვდები, რომ ვერაფერიც ვერ გავიგე. მგონია, მიყვარს, შემიყვარდა და უცებ ვხვდები, რომ არ მიყვარს, ან მგონია, არ მიყვარს და უცებ ვხვდები, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია, ან მგონია, არ მეშინია, მაგრამ მივალ და თურმე მაშინ ვკვდები შიშით, ან პირიქით, შიშით ვკვდები და აღმოჩნდება, რომ საშიში არაფერია. ჰოდა, ყველაფერი ამის გაგება მიჭირს, დედა...“

მყოფსა და არმყოფს შორის მუდმივი კავშირია. არმყოფი მონაწილეობს მყოფის ცხოვრებაში, განაპირობებს მის ზნეობრიობას. ამ კავშირს ნ. დუმბაძე ხელშესახებად გრძნობს, რადგან მის დამოკიდებულებას არსებობისადმი მსჭვალავდა სიკვდილადევნებული კაცის სევდა. რაც ახლა ვთქვი, იმან, შეიძლება, გააკვირვოს მკითხველი, განსაკუთრებით ისინი, ვინც ნ. დუმბაძეს პირადად იცნობდა. სად ადამიანი — გონებამახვილობისა და სიტყვამოსწრებულობის ფოიერვერკი და სად სიკვდილდადევნებული კაცის სევდა? მაგრამ ერთი წუთით დავფიქრდეთ და გავიხსენოთ. მართალია, როცა ლაპარაკობდა, საუბრობდა, ყველანი მის ირგვლივ სიცილით იხოცებოდნენ და კისკის-ხორხოცით ფერდები სტკიოდათ, მაგრამ, როცა გაჩუმდებოდა, მისი თვალები ივსებოდნენ უსაზღვრო სევდით, ეთიშებოდა გარემოს და თითქოს ხედავდა რაღაცას, რასაც გარშემო მყოფნი ვერ ამჩნევდნენ. არა, ეს არ იყო ობლობით გამოწვეული სევდა. იგი იყო უფრო მეტი: მას ქვეცნობიერად ესმოდა არყოფნის სუნთქვა. ისინი, ვინც ნ. დუმბაძეს ყმაწვილკაცობაშიც იცნობდნენ, არ შეიძლება არ დამემოწმონ, დაფიქრების შემდეგ, რომ მისი თვალები სიკვდილდადევნებული კაცის სევდით ივსებოდნენ არა მარტო მაშინ, როცა იგი გულით დასნეულდა, არამედ მაშინაც, როცა ჯანსაღად და ტანმთელად იყო, სიჭაბუკეშიც. მასში არსებობდა სიკვდილის ქვეცნობიერი განცდა. ფრაზა – „მე ვხედავ მზეს“ – უკვე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონშია“. მერე იგი ვარიაციულად განმეორდება მის ყველა რომანში. უკვე ითქვა, რის სიმბოლოც არის მზე ნ. დუმბაძის შემოქმედებაში. მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მითოლოგიურად მზე სიკვდილის ქტონური აღეც არის. წარმართი ქართველისათვის არსებობა სამ სკნელში მიმდინარეობდა – ქვესკნელში, შუასკნელსა და ზესკნელში.

ამიტომ აქვს მის პერსონაჟებს მიცვალებულებთან ისეთივე კონტაქტი, როგორც ცოცხლებთან. ამ ურთიერთობაში არ იგრძნობა არყოფნის არსებობა. სიკვდილი არ იწვევს არც გაოგნებას, არც შიშს. პაპის სიკვდილის მერე, პატარა გოგიტა, შუაღამეზე, მშვიდად მიდის მეზობლის ქალთან და ეუბნება – „ბაბუა მოკვდა, მარგალიტა, და შემიცხადე, თუ ქალი ხარ!“ („ძაღლი“). როცა ელდანაცემი მარგალიტა შეჰკივლებს – „გაგიჟდი, გოგიტა?!“ – ბიჭი ისევ წყნარად იმეორებს: „– ნუ გამაწბილებ, მარგალიტა, თუ და ხარ, შემიცხადე ბაბუა!“ ბავშვის ეს საქმიანი კილო და სიმშვიდე გზარავს.

ამიტომ აღწერს ნ. დუმბაძე ყველა რომანში სიკვდილს. მისი ყველაზე მხიარული ნაწარმოებიც კი – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – მთავრდება სიკვდილით. კვდება ბებია ოლღა.

მაგრამ მიცვალებულები არსად მიდიან. ჩვენთან რჩებიან. ისინი იზიარებენ ჩვენს ყოფნას, ჩვენ – მათ არყოფნას.

თანალმობა სულიერად არასრულყოფილისადმი. ნ დუმბაძე არ ერიდება სულით სნეულთა ხატვას. ბეჟანა („მე ვხედავ მზეს“), მარგო („მარადისობის კანონი“), მერაბია („ნუ გეშინია, დედა!“), დიდრო („დიდრო“). თუ ერთი მხრივ, მწერალს იზიდავდა მყოფისა და არმყოფის არსებობა-ურთიერთობა, მეორე მხრივ მის ყურადღებას იპყრობდა გონისა და უგონობის არსებობა-ურთიერთობა.

სულიერად დაავადებული პერსონაჟების მეტყველება და საქციელი, ბუნებრივია, ღიმილს იწვევს. მაგრამ მათი ქმედების ზნეობრიობა ყოველთვის აფიქრებს მკითხველს.

შეიძლება ბეჟანამ სრულიად უაზრო რამ თქვას – ქიშვარდია თავმჯდომარე „რომ თესავს ამ ცოცხსა და ყვითელ სიმინდს, დათესოს მარილი ან შაქარი და მოითქვამს ხალხი სულს“, მაგრამ მოყვასს უერთგულოს კიდეც. როცა სოფლის კრება იკვლევდა, ვინ გამოღეჭა თხები, ხატიასა და სოსოიას დასაცავად, ბეჟანამ თავად დაიბრალა ეს საქციელი. ეს არაფერი. მან სიკვდილს გადაარჩინა ანატოლი რომანოვი მაშინაც, როცა გონწასული ჩაის პლანტაციაში იპოვნა და მაშინაც, როცა დათიკო ბრიგადირმა „სოსოიას რუსზე“ მოსაკლავად მიიწია.

შეიძლება მარგომ უცბათ კაბა აიწიოს და იკითხოს – „თუ მიხვდები, ვისი ცოლის ნიფხავი მაცვია?“ – მაგრამ ბავშვების თანდასწრებით არც იგინება და არც უწმაწურ სიტყვას ამბობს. სჯერა: „ანგელოზის ყურის გასვრის უფლება, ღმერთის გარდა, არავის აქვს“.

შეიძლება მერაბიამ, ცამეტი წლის ბიჭმა, გიპასუხოთ – ერთი წლის ვარო, – მაგრამ ნათელას ხსოვნას ურყევად უერთგულოს და ავთანდილ ჯაყელს ათქმევინოს – „მერაბიასავით სიყვარული ვიცოდე, მინდა...“

შეიძლება დიდროს აინტერესებდეს – ვისი იქნება ამერიკისა თუ იაპონიის, მათ საზღვარზე მამლის დადებული კვერცხები, – მაგრამ ამავე დროს მის ქოხში სასოებით ეკიდოს კედელზე დედ-მამის სურათი და მაგიდაზე ღვთისმშობლის ხატი ესვენოს.

ბეჟანას და-ძმასავით უყვარს სოსოია და ხატია, მარგო ბავშვების თანდასწრებით არბილწსიტყვაობს, ნათელას ხსენებას მერაბიას თვალები ნათელით ევსება, ბიჭებისაგან გაღიზიანებული დიდრო ქვას წამოავლებს ხელს, მაგრამ მყისვე მშვიდდება და არასოდეს ესვრის – განა ვიცით, რა განსაზღვრავს კეთილისა და სიყვარულის ამ გამოვლინებებს გონარეულ ადამიანებში? არ ვიცით. ეს არის არსებობის დიდი საიდუმლო, რომელიც მხოლოდ ერთს გვეუბნება გარკვევით: ადამიანის გონს შეიძლება ბნელი გადაეფინოს, მაგრამ კეთილი და სიყვარული არ კვდება მასში. ამიტომ ყოველ კაცს თანალმობით უნდა მოექცე, რასაც საუბედუროდ, ვერ ვახერხებთ.

თანალმობა სოციალურად არასრულყოფილისადმი. ცხოვრება რთულია და წინასწარ არავინ უწყის – ვის სად და როდის გადაუბრუნდება ფეხი, აღმოჩნდება დაცემულთა შორის. საერთოდ, დღევანდელი ლიტერატურა ერიდება იმ ადამიანთა ჩვენება-ხატვას, ვინც, მიზეზითა სხვათა და სხვათა, ფსკერზე აღმოჩნდა. უფრო იმას ეფერება, ვინც სოციალური სინამდვილის ზედაპირზე ტივტივებს. მწერლობამ ქომაგის მახვილი გადასდო (დროებით მაინც) და მეხოტბის ქნარი ააჟღერა. ამ მხრივაც თავისებურია ნ. დუმბაძის თხზულებანი. მისი ქურდები – თავერა, ლიმონა, ტიგრანა, ვახო ამბოკაძე – კეთილშობილნი არიან. ყოფის სიმართლის თვალსაზრისით, შეიძლება მკითხველი დაეჭვდეს კიდეც – ძალუძს კი ქურდს, ცხოვრების უმძიმეს პირობებში, შეინარჩუნოს ადამიანური ღირსება, სხვათა დაფასების უნარი, კეთილშობილების პატივისცემა, სამართლიანობის გრძნობა, სხვებისათვის გასაზიარებელი გულის სითბო? მაგრამ მთავარი ეს ეჭვი არ არის. მთავარი სხვა რამ არის, კერძოდ, შემდეგი:

როცა ზონიდან გაქცეული რამაზ კორსაველი, ანუ თავერა, თემურ ბარამიძეს ეუბნება – „უნდა მაპატიონ, დამიჯერონ ან თავს მოვიკლავ და იქ აღარ წავალ...“ – მკითხველს უნდა, რომ იქ მართლა აღარ დაბრუნდეს.

როცა კაცისმკვლელი ტიგრანა გულოიანი ისიდორე სალარიძის წინ დაემხობა და აბღავლდება – „მე დამაბრალე იმ შენი ნაბიჭვარი სიძის მკვლელობა, მე დამაბრალე... ჩემთვის სულერთია, გინდა ერთი მომიკლავს და გინდა ორი“ – მკითხველს სჯერა, რომ მას გულწრფელად უნდა უდანაშაულო მოხუცის ხსნა და გადარჩენა.

როცა ხელობით ქურდი ვახტანგ ამბოკაძე, საავადმყოფოში, ბაჩანა რამიშვილსა და იორამ კანდელაკს, მაგიდაზე უშოვნელ და ძვირადღირებულ წამლებს დაუყრის, მკითხველს სწამს, რომ მას ალალად და გულით უნდა მისი ბავშვობის ძმაკაცის განკურნება-გაჯანსაღება.

სწორედ მკითხველის ეს დაჯერება, რწმენა და სურვილია მთავარი და არა ის – მართლა შეუძლია თუ არა ქურდს, ასე მოიქცეს. ამ დაჯერების, რწმენის, სურვილის შედეგად იბადება უცნობ ადამიანთა შორის გაგება, ნდობა, მხარდაჭერა, ტანჯვის შემსუბუქებისა და შველის წყურვილი, კავშირი გულთა შორის, რაიც ასატანს ხდის ცოდვა-ბრალით სავსე ამ წუთისოფელს.

ეს და სხვა ამგვარი გამეორებული მოტივები უერთდებიან ნ. დუმბაძის მოთხრობებისა და რომანების იმ ერთ, საერთო, მთლიან აზრობრივ შინაარსს, რომელსაც ძველი ბერძნები აგაპეს უწოდებდნენ.

IV
სიცილი

ფრიდრიხ ნიცშე სიცილს „ამქვეყნიური ნუგეშისცემის ხელოვნებას“ უწოდებდა.

ქართულ მწერლობაში, თუ არ მეშლება, სამი სახეობის სიცილია. პირველი – ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის, მეორე – დავით კლდიაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძისა, მესამე – ნოდარ დუმბაძისა.

როცა ილია და მიხ. ჯავახიშვილი ხარხარებენ, გაწნული სილის ტკაცუნი ისმის. მამხილებელი სირცხვილით გწვავს და გდაღავს.

როცა დ. კლდიაშვილი და ნ. ლორთქიფანიძე იღიმებიან, სევდა გეუფლებათ და ადამიანის მიმართ თანალმობის სურვილი გიჩნდებათ.

როცა ნ. დუმბაძე იცინის, ნუგეშის გრძნობა გებადებათ. სიცილი გაჭირვების დამთრგუნველი იარაღია.

არაფერი იქნება ახალი და მოულოდნელი, თუ ვიტყვი, რომ ისე გულიანად არცერთი ქართველი მწერალი არ აცინებს მკითხველს, როგორც ნ. დუმბაძე. სიცილით გადაფიჩინებული სულს ძლივს ითქვამს. მაგრამ ისიც მართალია, რომ ცრემლითაც ხშირად ევსება თვალები. როგორც კი სიცილისაგან სულს მოიბრუნებ და დააკვირდები, ნათლად დაინახავ – მწერალს თავად ეტირება, მაგრამ ეს რომ არ შეამჩნიონ, ხუმრობით გიყვება ამბავს.

საგანგებო სასაცილო სიტუაციას ნ. დუმბაძე იშვიათად ქმნის (ყველაზე მეტად ეს არის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“). პირიქით, სიცილი სწორედ დრამატულ ვითარებაში იფეთქებს ხოლმე. და აღიძვრის ყოველთვის სამი მიზეზით: ავტორის გონებამახვილი შენიშვნით, პროტაგონისტის ენაკვიმატი რეპლიკით, პერსონაჟის სიბრიყვით.

ციხის სულისდამთრგუნველ ატმოსფეროში უნდა შევიდეთ. მკითხველს გუნება რომ გამოუკეთოს, губенская тюрьма-ს „ისტორიას“ ნ. დუმბაძე ასე მოგვითხრობს:

„რევოლუციური მოძრაობის აღორძინებისა და შემდეგ რეაქციის მძვინვარების წლებში, უცებ იმდენმა ხალხმა მოინდომა თავისუფლება, რომ პატარა მეტეხის ცი-

ხემ ვერ დაიტია ისინი და იმ დროისათვის საქვეყნოდ ცნობილი მეწარმე მანთაშოვი იძულებული შეიქმნა ორთაჭალაში საფეიქრო ქარხანად განზრახული ორი უზარმაზარი ოთხსართულიანი შენობა, თავისი სარდაფებითა და საწყობებით, საგუბერნიო ციხედ გადაეკეთებინა და დაბადების დღეზე საჩუქრად ებოძებინა რომანოვების დინასტიის უკანასკნელი მეფისათვის მისი უდიდებულესობის სრულიად რუსეთის, პოლონეთისა და სხვათა და სხვათა... იმპერატორის ნიკოლოზ მეორისათვის, რაიც 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკების მიერ კონფისკაციაქმნილი, ადრევე „გუბერსკის“ ციხედ წოდებული, ფუნქციისა და სახელის შეუცვლელად გადაეცათ მშრომელებს უვადო სარგებლობაში“ („თეთრი ბაირაღები“).

„არა მგონია, – გვიამბობს მწერალი, – რესტორან „მადაზე“ ბინძური, უგემური, ბნელი, ძვირი და მადის წამრთმევი რესტორანი არსებობდეს ქვეყანაზე“ („თეთრი ბაირაღები“). მაგრამ, როცა არქიფო მებუფეტეს ჰკითხეს – „რაა, ასე ბინძური რესტორანი არ გრცხვენიათ?“ – პასუხად მიიღეს: „– არ გახლავთ ეს რესტორანი, ჩემო ბატონო, მუშათა სასადილოა“. რა თქმა უნდა, ყოველგვარი პრეტენზია მაშინვე გაუქრათ.

მიცვალებულს მიასვენებენ. ჭირისუფალთ თავიანთი მწუხარებაც ყოფნით, მაგრამ რატომღაც მილიციელმა დაიჩემა – კუბოს თავი დაახურეთო. ვერაფრით დააშოშმინეს წესრიგის დამცველი. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: „– დაახურეთ, დაახურეთ, კარგ ცხოვრებაზე თვალი არ დარჩეს!“ („ასტვაწ! ინჩუ ჰამარ!“).

კვერცხის უსაშველო სიძვირის დროს, ძველი რევოლუციონერი ყვება, რომ მეფის დროს იგი კაპიკი ღირდაო.

„– თუ ნიკოლოზის დროს კვერცხი კაპიკი ღირდა, რისთვის ახდენდით რევოლუციას?

– რისთვის და ტყვილა მინდოდა.

– ტყვილა რას ჰქვია? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– უფასოდ, ბატონო ნოდარ, უფასოდ მინდოდა კვერცხი“ („თალიკო“).

ტურისტები ჯვრის მონასტრიდან გადაჰყურებენ მტკვრისა და არაგვის შესაყარს, მცხეთას... გიდი იჭაჭება – „საქართველო არის მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი კერა და აკვანი...“ როგორც იქნა დაამთავრა მან პანეგირიკი და ტურისტ გენერალს მიაჩერდა. ყველა მისგან ელოდა ლანდშაფტით, ისტორიით, წარსულით აღტაცების საბოლოო სიტყვას. არც გენერალმა დააყოვნა და სჭექა: Хороший наблюдательный пункт! („ნუ გეშინია, დედა!“).

ეს სიცილი მარტო გართობას არ ემსახურება. იგი იარაღია, რითაც არსებობის ჭირ-ვარამს უმკლავდებიან.

უჭირს ბებია ოლღას, ილიკოს, ილარიონს. დროც ისეთია, დუხჭირი, ომია. მეტი რომ არ ვთქვა, მათი გაჭირვების საბუთად ისიც გამოდგება, რომ სამ ოჯახს ერთი ძროხა ჰყავს – „ფაქიზო“. რა ძროხაც არის „ფაქიზო“ ეს მკითხველმა ჩემზე ნაკლებ არ იცის, მაგრამ ისიც საზიაროა. ანდა ილიკოს მიერ „განძის“ ძებნა გავიხსენოთ. როგორ უნდა ყოფილიყო ხელმოკლეობით გაწამებული იგი, რომ ასე მიამიტად დაეჯერებინა განძის არსებობა. მერე თავად კვდება სიცილით. „არ ვიცოდი, რაცხა მათხოვარი იყო მამაჩემი? ოქრო კი არა, აგერ ქოთანში რომ სკინტია იგი ენატრებოდა“. მაგრამ სიღარიბეს მათთვის ცხოვრების ხალისი არ წაურთმევია. სიმტკიცეს, ძალას, მხნეობას მათ არსებობისადმი ღიმილიანი დამოკიდებულება ანიჭებთ. გულისკნელში თითოეული მათგანი დარდს, სევდას, ნაღველს, ჭმუნვას ინახავს. სხვას არ აგრძნობინებს, რომ მოყვასს ყოფნა შეუმსუბუქდეს, არყოფნის მუქარა დაავიწყდეს, ცხოვრების ოღროჩოღრო გზაზე დამალული ცრემლით იაროს.

სიცილით ამქვეყნიური ნუგეშისცემა საერთო თვისებაა ნ. დუმბაძის პერსონაჟებისა. მნიშვნელობა არა აქვს ეროვნებას, საზოგადოებრივ მდგომარეობას, ასაკს. ტიგრან გულოიანი ან ვანიჩქა კოტინოვი ისევე ერკინებიან ხუმრობით და ენაკვიმა-

ტობით ცხოვრებას, როგორც ილიკო, ან ილარიონი. პროფესორი კასიანე გოგიჩაიშვილი ან ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი ბატონი შალვა ისევე ეტრფიან ცხოვრების ხალისს, როგორც ზურიკელა ან სოსოია. ყველა მათგანმა იცის მარადიული გამეორების სიბრძნე, რომელსაც მთვრალი ილარიონი ასე გამოთქვამს: „მართალია, შენზე უფროსი ვარ ოცდაათი წლით, მაგრამ მე რომ შენხელა ვიყავი, მაშინ ხომ ვიყავი შენხელა? ჰოდა, ოცდაათი წლის შემდეგ შენც ხომ გახდები ჩემხელა? ესე იგი, ჩვენს შორის რა განსხვავებაა? არაფერი“. ამ მარადიულ ერთფეროვნებას ჩვენ იმგვარი გაკვირვებით და აღტაცებით შევყურებთ, თითქოს სიცოცხლის პირველგაჩენას ვესწრებოდეთ. ასე ხდება იმიტომ, რომ კაცობრიობა იმ წმიდა გულუბრყვილობით ცხოვრობს, როგორითაც უნივერსიტეტის ბაღში პაწაწინა გოგო თავის კბილა ბიჭს ფეხზე სილას აყრიდა და თან გულმოდგინედ აკვირდებოდა, გაიზარდა თუ არაო („მზიანი ღამე“). უბედურება მაშინ იწყება, როცა ვიღაც მოდის და ცდილობს კაცობრიობას ეს წმიდა გულუბრყვილობა დაავიწყოს, „გააჭკვიანოს“ და გონივრული ცხოვრება ასწავლოს.

სიცილით იკვეთება ნ. დუმბაძის შემოქმედების მეორე მთავარი პროტაგონისტი – არსებობის მშვენიერებით გაკვირვებული ადამიანის სიხარული.

და მისი შემოქმედებაც ორი რამის ჭიდილია: არსებობის მშვენიერებით გაკვირვებული ადამიანის სიხარულისა და სიკვდილდადევნებული კაცის სევდის.

1985 წ., ივლისი.

ტარიგი ღმრთისაი

ჭაბუა ამირეჯიბის რომანის – „დათა თუთაშხიას“ – ორი პერსონაჟი – დათა და გრაფი სეგედი – ერთმანეთს შეხვდება, ისაუბრებს და განშორდება. ამ პაემანის მერე მწერალი წერს:

„– რატომ დგებიან ასეთი კაცები ასეთი მთავრობის სამსახურში ნეტავი? – თავისთვის თქვა დათა თუთაშხიამ.

– ახლა სეგედი თავის ჟანდარმერიისაკენ მიდის და ფიქრობს: რანაირად ხდება, რომ ასეთი კაცები ყაჩაღად გადიანო! – მიუგო ელიზბარ კარიჭაშვილმა“.

ეს ფიქრი პირველად სეგედისთან შეხვედრის დროს არ აღძვრია დათას. როცა აბრაგების სახელის გასატეხად შედგენილი მზაკვრული გეგმის აზრს ჩაწვდა, მაშინაც ასე იფიქრა: „... ასეთი ჭკვიანი კაცები მათ სამსახურში რატომ მიდიან, ეს მინდა ვიცოდე მე“. ეს გეგმა მუშნი ზარანდიას შედგენილი იყო.

ახლა ვცადოთ დასმულ კითხვას ვუპასუხოთ. ამისათვის კიდევ ერთხელ მოგვიხდება თვალი გადავავლოთ დათა თუთაშხიას ცხოვრების გზას.

ერთი შეხედვით, თითქოს ადვილია უპასუხო კითხვას – რატომ გადიან ფირალად დათა თუთაშხიას მსგავსი პირები. დათა ყველა ღირსებით შემკული კაცია. ამ კაცმა ჯოჯოხეთის ცხრავე წრე გაიარა და უმადურებისა და ბოროტების მეტი არაფერი უნახავს.

ჯერ იყო და ბუდარასა და ბუდარიხას დიდი სიკეთე უყო. უსახლკარო, ულუკმაპურო და შიშველ-ტიტველი ცოლ-ქმარი დაასახლა, ოჯახი მოუწყო, ადამიანებად აქცია. ეს იმიტომ გააკეთა, რომ სწამდა – „შეძლებული კაცისათვის სიკეთე ადვილი საქნელია. სხვა შეხვდებათ ვინმე გაჭირვებული და როგორც მე დავეხმარე მათ, ისე დაეხმარებიან მაგენიც იმ გაჭირვებულს“. მწარედ მოტყუვდა დათა თუთაშხია. როგორც კი პატარა ქონება შეიძინეს, ბუდარები საშინლად გაძუნწდნენ. თუ ყიდდნენ

რამეს, მამასისხლად ყიდდნენ. თუ არა და არასდიდებით დახმარების ხელს არ გამოგიწვდიდნენ. საკუთარი წარსული გადაავიწყდათ და სხვის ჩაგვრას მიჰყვეს ხელი. ბუდარიხამ სულ დაკარგა თავგზა: გაბოზდა და გათახსირდა. თავაშვებული დედაკაცის გამო ბუდარას იმდენი სცემეს ხლისტებმა, რომ სიკვდილის პირად მიიყვანეს.

აშენების მაგიერ დათას გაწეულმა სიკეთემ სულ დაანგრია ბუდარების ოჯახი. „– არ გამოვიდა სიკეთე ბუდარების ხელიდან!“ – გააკეთა მწარე დასკვნა დათა თუთაშხიამ.

მერე ბაზრის თაღლითი და მატყუარა მარუდა ამხილა დათა თუთაშხიამ. ხალხს თვალი აუხილა, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა სიკეთე. თავად დათას მოვუსმინოთ ახლა:

„რაც გავაკეთე მე, თითქოს, ჩემთვის უცნობი ხალხის სიბრალულით გავაკეთე – მოვაშლევინე მარუდას მისი ოინბაზობა. რა გამოვიდა მერე აქედან? აგერ გეტყვი: მარუდას საქმე, ბატები რომ ვერ გამოისყიდა და რაც გააჩნდა ის ფულიც რომ დაკარგა, – ვერ იქნა და ვერ გამოსწორდა. დარდმა გაალოთა მარუდა, პაშკოვსკაიაში დარდით და ლოთობით მოკვდა. ეს ერთი. შენ შემოსავალი დაკარგე და სად და როგორ დაეხეტებოდით ორივე ძმები მშიერ-მწყურვალები – ბევრი ვიფიქრე მერე ამაზე მე. ჰასანა-გოროდოვოი რომ სამსახურიდან გააგდეს, იცი შენ და – ეს სამი. გედევანი მთელი წელიწადი ჟანდარმერიაში და ოხრანკაში დაყავდათ, გააწვალეს. ეს ოთხი და მაჰმუდმა იმ ოინისათვის ექვსი თვე ციხეში რომ გაატარა, გაიგებდი ამასაც – ეს ხუთი. ახლა მთავარი რაა თუ იცი? ხალხს, ჩანს, არ უნდა ისე ცხოვრება, ვინმემ თუ არ დაჩაგრა, მოატყუა და გაატყავა. თქვენს ბაზარზე მარუდას თამაში რომ მოისპო, გრიშკა პიმენოვმა დაუწყო ხალხს გატყავება სამი კარტის თამაშით. არ გამოვიდა ჩემი მოქმედებიდან არაფერი“.

აქაც წააგო ბრძოლა დათა თუთაშხიამ.

ერთ ზამთარს დათა თუთაშხია და მოსე ზამთარაძე საირმის ტყეში სეთურთან იმალებოდნენ. დიდი უცნაური ვინმე იყო ეს სეთური. ამ კაცს რამდენიმე სახელი ერქვა – აბელი, არქიფო, ექვთიმე, მელენტი, დომენტი და ასე შემდეგ. ორი ძაღლივით ერთგული მსახურიც ყავდა სეთურს – კაკო თაბაგარი და ასინეთა კუდიანი. ცხოვრების „ფილოსოფიაც“ თავისებური ჰქონდა:

„– ასეა, ჩემო ბატონო, შიში თუ არ აქვს ადამიანს, შიში – დაიღუპება უეჭველად. მარა მარტო შიშიც არ კმარა. სხვაცაა საჭირო კიდევ. ერთი რომ, კაცი ჩონგურის სიმივით უნდა იყოს დაჭიმული სულ. თავის ნებაზე თუ მიუშვი, მოსავდება და დაძაბუნდება. დაძაბუნებული კაცი ვერც თავს წაადგება და ვერც ქვეყანას... რავარც მოაკლებ საზრუნავს და რავარც მოსავების და მოდუნების საშუალებას მისცემ, უმოკლდება წუთისოფელი“...

„სიკეთე თუ გინდა ხალხისათვის, სიყვარული უნდა ჩაუთესო გულში. უგუნური თუა, სიყვარულს რანაირად ჩაუთესავ? მარტო შიშით ვერ ჩაუთესავ. აბა როგორ? რაფერ და დღედაღამ შენი სახელი უნდა აძახებიო და შენი ქება გააგონო და საკუთარი პირით ათქმევიო“.

„ხალხს თუ უთხარი – ადამიანი ხარო, რას გეტყვის, თუ იცი? ადამიანი თუ ვარ, მაშინ მეც შემიძლია, შენი მაგივრობა გავწიო და გამოდი მაქედანო. გამოხვალ, დაჯდება შენს მაგიერ და გაუბედურდება. ცხენი და სახედარი ხარ-თქვა, უნდა ელაპარაკო! ადვილად იჯერებენ ამას. თვითონაც იციან ასე რომაა, იჯერებენ და წესიერად და ბედნიერად არიან. ასეა ეს, მარა პირდაპირ არ უნდა ელაპარაკო, შეპარვით უნდა უთხრა, ქარაგმით!..“

„... ხალხს სარჩო ადვილად თუ აშოვიე, გაფუჭდებიან. ძნელი რომ არის და იმ სიღრმიდან ზურგით რომ უნდა ატარო – შეგიყვარდება საქმე. სიყვარული რაა, თუ იცით? რაა და, რასაც მეტ შრომას დაახარჯავ და მეტს იზრუნებ და უამაგებ. ის უფრო მეტად გეყვარება... ხალხის ბედნიერებისათვის რაა საჭირო? შიმშილი – ერთი.

ახლა, მთლად შიმშილი კი არა, მარა მთლად სიმაძღრეც არაა კაი. მეორე – შიში. სიყვარული იცის შიშმა და ქებადიდება და ლოცვაც სიყვარულისთვისაა საჭირო, – ორივე ერთად უნდა. კიდევ რაა ხალხის ბედნიერებისათვის საჭირო? ჯანმრთელობა. ჯანმრთელი მაშინ იქნება ეს ჩემი ხალხი, თუ არ მოვადუნე და დაჭიმული თუ მეყოლება მუდამ. დაჭიმული – აუცილებლად. ერთია კიდევ მთავარი და უამისოდ არ გამოვა არაფერი. იმედი! სადაა და შენ უნდა მოიგონო ხალხის იმედი. მოვიგონე მე ჩემი ხალხისათვის იმედი და ნამეტანი იმედიანად მყავს ყველა. იმედი თუ აქვს ხალხს, ზედმეტს არ გაივლებს გულში არაფერს და იქნება ბედნიერად“.

ასე უტიფრად და ურცხვად აცხადებს თავის მრწამსს სეთური. დადის კაკოია თაბაგარი და ხალხს სეთურის სიყვარულს ჩასჩიჩინებს. დაძვრება ასინეთა-კუდიანი, ყველას სულში იხედება და მერე ენა სეთურთან მიაქვს. სეთურის „სისტემამ“ ნაყოფიც გამოიღო: ძაღლის ერთგულებით შეუყვარდათ ეს კაციჭამია. მამასა და მარჩენალს ეძახდნენ.

შეზარა დათა თუთაშხია ამ ურჩხულის ნახვამ და ბრმა, დამონებული ხალხის ხილვამ: „ასეთი გველეშაპის ნახვა არ მომხდენია არსად. ნახვა რაია, – მსგავსი არც გამიგონია და არც წამიკითხავს არაფერი“.

მერე სეთურის მონებმა იეჭვეს: ამათ სეთური არ უყვართო. მიესიენ დათას და მოსეს, ჯერ სეთურის სადიდებელი ჰიმნები ამღერეს და მერე ქვებისა და კეტების ცემით კინაღამ სული ამოხადეს. ორივე სასწაულით გადაურჩა სიკვდილს.

ცხოვრების ასეთი და ამდაგვარი სურათების ხილვამ დათა თუთაშხიას სულში სკეფსისი დაბადა – ადამიანი დახმარების, ზრუნვისა და პატივისცემის ღირსი არ არისო: „... ყველა კაცი ისე ცხოვრობს და ისე იქცევა, როგორც თვითონ მოსწონს და სხვა კაცი მის საქმეში არ უნდა ჩაერიოს... მგონია, არც ერთი კაცი არაა ქვეყანაზე მისთანა, სხვისი ჩარევისა და დახმარების ღირსი რომ იყოს“.

მძიმე და სასტიკი განაჩენი გამოიტანა დათა თუთაშხიამ.

როცა ამ დასკვნამდე მიხვალ, ბუნებრივია, საზოგადოებას, ხალხს უნდა განერიდო. ან მონასტერში უნდა წახვიდე ან ყაჩაღად გავარდე. დათას ტემპერამენტისა და სულიერი წყობის კაცი მონასტერს ვერ შეეწყობოდა. ისევ აბრაგად უნდა წასულიყო და წავიდა კიდეც. პორუჩიკი რომ შემოაკვდა, ეს უბრალო ბიძგი იყო. ამ საბედისწერო მკვლელობისათვის დათა სასჯელს მოიხდიდა. დათას ბუნების ადამიანებს სასჯელის არ ეშინიათ. არც გაურბიან. ისინი კანონიერების მომხრენი არიან და დანაშაულისათვის სასჯელს ნებაყოფლობით იხდიან. საქმე სხვაა. ყაჩაღობა დათასათვის საზოგადოებისაგან განდგომის ფორმაა.

დათა თუთაშხიამ ადამიანს უნდობლობა გამოუცხადა. საზოგადოებას, ხალხს განუდგა. მაგრამ დათას სკეპტიციზმი ბოროტების საფუძველი არ გამხდარა. სკეპტიციზმმა დათას სული ვერ დაშალა, ვერ გამოხრა. ეს არის დათა თუთაშხიას მხატვრული სახის მადლი და ხიბლი. არც ერთხელ, არცერთ შემთხვევაში დათა თუთაშხიას არ უფიქრია ბოროტების წილ ბოროტებით მიეზღო.

ბუდუ ნაკაშიამ სახლ-კარი გადაუწვა დათას. სადმე შემთხვევით რომ გადაჰყროდა გზაში, გონდაკარგული ნაკაშია დაუნდობლად მოკლავდა დათას. ეს იცოდა თუთაშხიამ, მაგრამ, როცა სარჩიმელიამ შესთავაზა, ერთად ამოვწყვიტოთ ძმები ნაკაშიები, დათამ უარი თქვა. უფრო მეტიც, ისაკის სთხოვა, წადი და ბუდუ ნაკაშიას ყველაფერი შეატყობინე, ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭოსო სარჩიმელიამ.

ვახტანგ შალითურმა უზომო შეურაცხყოფა მიაყენა დათას, დაამცირა და გაათახსირა საზოგადოებაში. ესეც მოითმინა დათამ. წამითაც არ უსარგებლია თავისი უპირატესობით. თავდაჭერით, ზრდილობით, მოთმინებით ასწავლა ჭკუა გათავხედებულ შალითურს.

უნამუსოდ უღალატა და გაყიდა ზარნავამ დათა თუთაშხია. მოულოდნელად პოლიცია დაახვია თავს. არც ზარნავას სამაგიეროს გადახდა უცდია დათას.

ჩხუბის, აყალმაყალისა და დავიდარაბის მოყვარულმა ძმებმა თოდუებმა უმიზეზოდ და უსამართლოდ სცემეს დათას. ხელიც არ გაუნძრევია აბრაგს, თუმცა მათი გალახვაც შეეძლო და მოკვლაც. მხოლოდ ეს უთხრა ძმებს – „რასაც თქვენი საქციელით მოიწევთ, იმასაც ვნახავო!“

დათას უბოროტობა მისი წმინდანობით არ არის გამოწვეული. წმინდანობა არც უფიქრია. ასე რომ სდომოდა, მონასტერში წავიდოდა და არა ფირალად. პირიქით, ერთხელ მწერალმა დათა დანაშაულის პირისპირაც დააყენა. ეს მაშინ, როცა დურუ მედუქნის გონებასუსტ კიკუს არ მიეშველა და ყაჩაღებს გოგოს გაუპატიურება და დურუს ოჯახის დაქცევა აცალა. მაშინ აღელვებულმა იასე ბერმა დასწყევლა დათა:

„– ვინც ღმერთს განუდგა, ვინც კაცთათვის არ აღასრულა ის, რისი აღსრულებაც ძალუძდა, ვინც ღვთის შვილს განსაცდელში ხელი არ გაუწოდა – იგი ლაჩარია, მან თავისი თავი მარტოობისათვის გასწირა, თუ შენ არ გინდა კაცნი, არც კაცთა უნდიხარ შენ და ხვედრი შენი – მიმწყდეული ნადირის ხვედრი არის“.

მართლა სიმხდალე გამოიჩინა დათამ? მართლა გასწირა მოყვასი? ამ კითხვას აკაკის ლექსით მინდა ვუპასუხო.

ძმაო მკითხველო! ძმობას გაფიცებ,
კაცი რომ ნახო შენ დაცემული,
თუ რად დაეცა, მიზეზს ნუ ეძებ!
შენი ვალია, შეგტკივდეს გული!..
შეგტკივდეს, მაგრამ ესეც უნდა სცნა,
რომ დაცემული არის ორგვარი:
ერთს ჰსურს ადგომა, უნდა თავის ხსნა
და მეორე კი გდია, ვით მკვდარი!..
ერთი მოელის კაცთაგან შველას:
ებრძვის თვის დამცემს, რაც შეეძლება;
მეორე: ვერ გრძნობს ამაებს ყველას
და მტერს პირუტყვებრ ემორჩილება!
პირველს თუ შეხვდე, შრომა უკურთხე,
ხელი მიეცი, წამოაყენე,
და მეორეს კი ზედ დააფურთხე!..
იტირე, მაგრამ ზურგი უჩვენე!..

დათასაც ასე სჯერა. აკი თავადაც ამბობს იგი: „თუ სისხლში და მოდგმაში აქვს მაგას, მაინც იზამ, რაც გინდა ქენი შენ“. კიკუმ მაინც თავისი გააკეთა. თავიც დაიღუპა და სხვაც. ეს მისი გონების სისუსტის ბრალი არ იყო. ეს მისი ბუნება იყო. ადამიანმა ღმერთის ფუნქცია არ უნდა იკისროს. არაფერი გამოვა აქედან და იმიტომ. ეს კარგად განჭვრიტა დათამ და ისე მოიქცა, როგორც რწმენა კარნახობდა.

ამ ნოველაში მწერალმა ბეწვის ხიდზე გაიარა. შეიძლებოდა ამ საქციელის მერე დათა თუთაშხიასადმი უნდობლობის და უპატივცემულობის გრძნობა გაჩენილიყო. მაგრამ ამას ავცდით. ავცდით იმიტომ, რომ დათას თავისი რწმენისათვის არასოდეს უღალატია. რასაც სხვისთვის არ აკეთებს დათა, იმას არც თავისთვის ითხოვს. თუ სხვას არ მიეშველა, არც უთხოვია, მე მომეშველეთო. ამით თავისთავი სხვებთან გაათანაბრა. ყველასადმი (მათ შორის თავისთავისადმიც) დამოკიდებულების ერთი კრიტერიუმი გამონახა და მისი ერთგულია. ამიტომ დარჩა იგი მთლიანი და გაუბზარავი.

გავიდა წლები და უცნაური ამბავი მოხდა. დურუ მედუქნის ვაჟიშვილი ძობა დავაჟკაცდა. ამოჩემებული ჰქონდა: ჩემი ოჯახიც და მეც დათა თუთაშხიამ დაგვღუპაო. იმ დღეს დათას რომ ხმა ამოეღო, ყაჩაღები გაჩუმდებოდნენ, კიკუს ხელს არ

ახლებდნენ და ყველაფერი მშვიდობით დამთავრდებოდაო. ვერავინ შეაცვლევინა აზრი ძობას. თავის დღე და მოსწრება დათას დაეძებდა და მოვკლავო, იმუქრებოდა. არადა, შეუბრალებელი კაცი იყო დურუ ძიგუას ვაჟი: „მერედა, მე შენ გეტყვი, ხელი აუკანკალდებოდა ძობას. თავის დროზე კაცის მოკვლაში და ბატკნის დაკვლაში, ორთავეში ერთნაირი გული ჰქონდა – დაუნდობელი იყო“... ჰყავდა კიდეც ხალხი დახოცილი. ერთ დღეს საქულას დუქანში შეხვდა ძობა დათას. შურისძიების კანკალმა აიტანა ბიჭი. არც იარაღი ჰქონდა თან და არც დუქანში მოხერხდებოდა კაცის მოკვლა. არადა, დათას გაშვებაც არამც და არამც არ უნდოდა ძობას. უცბათ ყური მოკრა, რომ დათა ზახარ კარპოვიჩთან უნდა მისულიყო. ახლა კი მიეცა ძობას ანგარიშის გასწორების საშუალება. ზახარ კარპოვიჩის სახლში მიუვარდებოდა დათას და მოკლავდა კიდეც. უთხრეს ეს დათას, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა თუთაშხიამ ზახარ კარპოვიჩის სახლიდან. პირიქით, მშვიდად დაელოდა მტერს, აქოშინებული მოვარდა ძობა ზახარ კარპოვიჩის ეზოში. ვასო გოდერძიშვილი მიეგება და უთხრა: დათამ ყველაფერი იცის, არსად წასულა და შენ გელოდებაო. დათას ასეთმა სიმშვიდემ შეაკრთო ძობა და დააფიქრა. ამასობაში დათა გარეთ გამოვიდა. მთვარის შუქზე დადგა და ძობას გულხელდაკრეფილი მიაჩერდა. უყურა ერთხანს. ძობაც ჩუმად იდგა. მერე ძობამ რევოლვერი დააძრო და ორი ტყვია ზედიზედ გაისროლა... ჰაერში. დათა თუთაშხია იდგა და ხმას არ იღებდა. ამის მერე სამი თუ ოთხი თვე გავიდა და ძობასთან ვანუა სოლოლაკელი მივიდა და სთხოვა – რევოლვერი მათხოვეო. ძობამ უარი უთხრა – არანაირი იარაღი არა მაქვსო. „ბოლომდის ძმაკაცებად დავრჩით, მაგრამ იმის ხელში იარაღი არც დამინახია და არც გამიგონია, რომ ჰქონოდა“ – ამთავრებს ამბავს ვასო გოდერძიშვილი.

უფრო ხშირად დათას სიკეთეს ბოროტებით პასუხობენ, ანდა მისი სიკეთე ნაყოფს არ იღებს, ამიტომ ამ ერთ შემთხვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს. აქ დათამ კეთილი დაამკვიდრა კეთილის შესაფერისი საშუალებით. კაცისმკვლელს უარი ათქმევინა არა მარტო თავის შავ საქმიანობაზე, არამედ ხელი ააღებინა იარაღზე საერთოდ. ძობას გაბოროტება და სიძულვილი დაითრგუნა სიკეთით. ამ ურთიერთობაში ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა რომანშივე აღსარებული მცნება – „არა ჰკლათ კაცი ესა და აჰა, ნიჭი თქვენ გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა“.

რა თქმა უნდა, დათა თუთაშხია არ არის უცოდველი. ყოფილა შემთხვევები, როცა იგი დაეჭვებულა და რწმენის სიტკიცე შერყევია. სწორედ ამ წამიერი სისუსტით არის იგი ადამიანი და მისი სიკეთის ძალაც ამიტომ გჯერა. სხვანაირად იგი რეზონიორი, რუპორი გახდებოდა და დამაჯერებლობას დაკარგავდა.

ეფემია წინამძღვარმა დათას მძიმე ბრალდებები წაუყენა: ბოროტების გამრავლებას უწყობ ხელს და გვამში სატანა ჩაგსვლიაო. კონკრეტული საბუთებიც კი წარუდგინა დათას. მართალი რომ ვთქვათ, დათამ ვერ იმართლა თავი ეფემია წინამძღვრის წინაშე. ქალს ყველაზე სტანდარტული პასუხი გასცა, რაც კი შეიძლებოდა მოგონებოდა კაცს: „მარტო ქადაგება ვეღარაფერი ხდება. ხედავთ ამას თქვენ. წაიბილწა ერი. ძალაა საჭირო. „შიში შეიქმს სიყვარულსა“. შიში! ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად მარტო სიკეთე არ კმაროდა არასდროს“... დათამაც იცის, რომ ეს პასუხი არ არის. ეფემია წინამძღვარი ვერ დაკმაყოფილდება ამით და არც მიიღებს მას. მაშინ რამ აიძულა დათა ეს ეთქვა? აქ თეორიული პასუხი არ არსებობს. ამის პასუხი ცხოვრებით უნდა გასცე ბრალმდებელს. ყველა სიტუაციას შეუძლია დაურღვიოს ადამიანს წონასწორობა. ისეთი ნაბიჯის გადადგმა აიძულოს, რომელიც არ უნდოდა და არც აპირებდა. მაგრამ მისი განსჯა უნდა შეგეძლოს, დასკვნის გამოტანა და მერე გამოსყიდვა. „ძალმომრეობა მხოლოდ მაშინ ჰპოვებს გამართლებას ხალხის გონებაში, თუ იგი მოწამებრივი სინანულით დაგვირგვინდება“, ეუბნება ეფემია დათას.

ამ მოწამებრივმა სინანულმა მისცა ძალა დათა თუთაშხიას მშვიდად შეეხედა ძობა ძიგუას რევოლვერის ლულისათვის და მის ტყვიას დალოდებოდა. დათამ იცოდა, თუ ძობა მოკლავდა, ეს იქნებოდა დანაშაულის მოწამებრივი გამოსყიდვა, რაც მტკიცედ ჰქონდა აღიარებული თუთაშხიას. თუ არ მოკლავდა, მაშინ თავად ძობას სულიერი აღორძინება მოხდებოდა. ორივე შემთხვევაში მოწამებრივი სინანული თავის როლს შეასრულებდა და სიკეთე გაიმარჯვებდა. ქვეშეცნეულად ამას ძობაც მიხვდა. დათას სულიერი განწყობილება მას მთლიანად გადაედო და დამორჩილდა. ამ დამორჩილების წყალობით ძობა ძიგუა ადამიანად იქცა ისევ.

ამ სულიერი მდგომარეობის შედეგია, რომ დათა თუთაშხია საზოგადოებისაგან გაქცეული მაინც საზოგადოებასთან დარჩა, მოყვასისადმი უნდოდ განწყობილი, მაინც მოყვასის მოყვარული აღმოჩნდა. სიკეთე არ დაუკარგავს, ბოროტებითა და სიძულვილით არ ავსებულა. ხალხისაგან თავისთავი არ გამოუყვია, ამორჩეულ კაცად თავი არ წარმოუდგენია. თუმცა იცის, რომ მასზე ამბობენ – „სრულქმნილი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ თუთაშხია იმ კაცთაგანია, რომელნიც სრულქმნილებასთან ყველაზე ახლოს არიან“. თავისთავსაც ასევე სკეპტიკურად უყურებს დათა, როგორც სხვებს. აქ მას განსხვავება არ უძებნია: მაშასადამე, იგი არ შეუპყრია უმძიმეს და ურთულეს სენს – ამპარტავნობას. ამპარტავნობისაგან თავისუფლება კი უდიდესი სიქველეა.

რაკი ერთხელ ირწმუნა დათა თუთაშხიამ – ადამიანთა მოდგმა თანაგრძნობის ღირსი არ არისო – არც სიკეთის თესვა უცდია. იგი განდეგილივით ცხოვრობდა და მიუხედავად ამისა, დათა თუთაშხია მაინც სიკეთის განსახიერებაა. რატომ არის ასე, ეს რომ ავხსნათ, დათას ანტიპოდი მუშნი ზარანდია უნდა გავიხსენოთ.

დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია სისხლით ნათესავები არიან. დათა მუშნის მამიდაშვილია. ისინი გარეგნულადაც ტყუპის ცალებივით გვანან ერთმანეთს. მაგრამ ეს ნაკლებ მნიშვნელოვანია. უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი ის არის, რომ ისინი თანაბარი გონებრივი ძალის პიროვნებები არიან. მრწამსიც ერთნაირი აქვთ. მუშნიც ისევე უნდოდ არის განწყობილი ადამიანთა მოდგმის მიმართ, როგორც დათა. და მიუხედავად ამდენი საერთოსი, ისინი ძირეულად სხვადასხვანი არიან. თუ დათა თუთაშხია სიკეთეა, მუშნი ზარანდია ბოროტებაა. ბოროტებაა არა იმიტომ, რომ მუშნი ჟანდარმერიაში მსახურობს. არა. ეს არაფერ შუაშია. როგორც აბრაგობაა დათასათვის საზოგადოებისაგან განდგომის, განცალკევების საშუალება, ასევე ჟანდარმერიაა მუშნისთვის საზოგადოებისაგან განდგომის, განცალკევების საშუალება. ჟანდარმერიაში სამსახურად მუშნი ავკაცობით არ წასულა. მუშნი ზარანდიამ კარგად იცის, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია წესრიგის დასამყარებლად გამართული ბრძოლაა. ადამიანთა საზოგადოება წესრიგის გარეშე ვერ იარსებებს. ვერც შემოქმედებითი ცხოვრება იარსებებს თვინიერ წესრიგისა. მუშნი ზარანდიას ამ წესრიგის დამყარება სურს. მაგრამ წესრიგი რომ დამყარდეს, ჯერ ზნეობრივად უნდა აღიზარდოს და ამაღლდეს ადამიანი. წესრიგი ადამიანის სულიერი მოთხოვნილების აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს. მუშნი ზარანდია ზნეობრიობით კი არ ცდილობს წესრიგის დამყარებას, არამედ ეშმაკურად დაგებული მახეებით. საკუთარი გამჭრიახობის, გონების ძალის იმედი აქვს და ადამიანთა დასამორჩილებლად ნაირნაირ ვარიანტებს იგონებს. აქ ტყუვდება იგი. ნამდვილსა და მოჩვენებითს ერთმანეთისაგან ვერ არჩევს.

რომანში ერთი ღრმააზროვანი ანალოგიაა.

თორიების ოჯახმა ვირთაგვაჭამია ვირთხების გამოყვანა იცის. მოვუსმინოთ ავტორს: „ძველ დროში ხის ხომალდები რომ იყო, მღრღნელები დიდ ზიანს აყენებდნენ საქონელსაც და ხომალდსაც. კაციჭამიამ (ასე ეძახდნენ ვირთაგვაჭამია ვირთხას) ერთმა თუ გაიჭაჭანა ხომალდზე, ადგილობრივი მღრღნელები, ათასობითაც რომ იყვნენ იქ, ეს ვირთაგვა სათითაოდ დაუწყებს დახრჩობას, ჭამას და, რომელიც გას-

წრებას შესძლებს, თვითონ გაიქცევა გემიდან. ასეთი ვირთაგვა ძალიან ძვირად ფასობდა“. ახლა ისიც ვნახოთ, როგორ ზრდიან ვირთაგვაჭამია ანუ კაციჭამია ვირთხას. „კაციჭამიების გამოზრდა ორი ხერხით შეიძლება: შიმშილით და სიმაძღრით. საბოლოო ჯამში ორივე ერთნაირ კაციჭამიას იძლევა, მაგრამ მე შიმშილის ხერხს ვამჯობინებდი, ნაკლები დრო სჭირია. აუცილებლად შვიდი ან ცხრა ცალია საჭირო. დაჭერილი ცხოველები უნდა ცარიელ კასრში მოათავსო. თუ კაციჭამიას გამოყვანას შიმშილის ხერხით ვაპირებთ, კასრი ლითონის უნდა იყოს, თორემ ძალიან რომ მოშივდებათ, ხისას გაღრღნიან და გაიქცევიან. სიმაძღრის ხერხის დროს კი ჩვეულებრივი კასრის გამოყენებაც შეიძლება, – მაძღარი ცხოველები კედლებს არ ერჩიან. სიბნელეც აუცილებელია! სიბნელე თუ არ იქნა, კაციჭამია ვერ გამოიზრდება. კასრში და მის ფსკერზე სიბნელეა, აბა რა იქნება, თუ არ ჩაანათე შიგ. თუ შიმშილის ხერხია – წყლის მეტი არ უნდა მიცეთ არაფერი. თუ სიმაძღრის არის – თავსაყრელი უნდა ჰქონდეს ერთი რომელიმე საკვები – სიმინდი ან ხორბალი, თუ გნებავთ“. როცა უკიდურესად დაიმშევიან ვირთაგვები, მაშინ ერთმანეთს მიესევიან, შეჭამენ და გამარჯვებული ვირთხა უკვე კარგად გაწვრთნილი კაციჭამიაა. მაშინაც ასევე მოხდება, როცა ერთფეროვანი საჭმელი მოყირჭდებათ. განსხვავებულს მოინდომებენ და, რაკი სხვა არაფერია, ისევ ერთმანეთს შესანსლავენ. დამაფიქრებელი დასკვნა გამოდის: მოჭარბებული სიმაძღრე და შიმშილი ერთნაირ შედეგს იძლევა. მაშასადამე, ადამიანის საქციელს კუჭი არ უნდა განაგებდეს. თუ კუჭმა წარმართა ადამიანის ნებისყოფა, მაშინ ყოველგვარ დანაშაულს ჩაიდენს კაცი. სული უნდა იყოს წარმმართველი ძალა და მაშინ შეიძლებს ბოროტების დათრგუნვას.

ასეთი ვირთაგვების გაზრდას აუცილებლობა – ხომალდის მოვლა-პატრონობა – ითხოვდა. მუშნი ზარანდიას მზაკვრობა კი სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებით იყო ნაკარნახევი და ისიც კაციჭამიურ ხერხს იყენებდა.

აბრაგების ერთმანეთზე წასისინებით, ჭორების საშუალებით, ეშმაკურად დაგებული მახით, მუშნი ზარანდიამ ურთიერთს გადაკიდა დათა თუთაშხია, რაჟა სარჩიმელია და ბუდუ ნაკაშია.

ბუდუ ნაკაშიას შთააგონეს, მამიდაშენის ოჯახი დათა თუთაშხიამ ამოწყვიტაო. რაჟა სარჩიმელია დაარწმუნეს, შენი ნაძარცვი ქონება ბუდუ ნაკაშიამ მოიპარაო. დათას უთხრეს, შენი საყვარელი ბეჩუნი პერტია რაჟა სარჩიმელიასთან ცხოვრობსო.

დათას ასეთ ანკესზე წამოგება იოლი არ იყო, მაგრამ ბუდუმ და რაჟამ იოლად დაიჯერეს ჭორი. აბრაგებს შორის დაუძინებელი მტრობა ჩამოვარდა. რაჟა სარჩიმელია სწორედ ისე მოიქცა, როგორც მუშნი ზარანდიამ ჩაიფიქრა: მოკლა ბუდუ ნაკაშია და მერე მთავრობას შეურიგდა. როცა ეს დათამ შეიტყო, ზიზღით თქვა – „კაციჭამია ვირთაგვა გამოიყვანეს მაგათ!“

რისთვის ჭირდება ადამიანს წესრიგი? სულიერი სრულყოფისა და ამაღლებისათვის. რაღა გამოვა, თუ ადამიანები ერთმანეთზე წავაქეზეთ და ერთმანეთის ამოწყვეტის გზაზე დავაყენეთ? სადღა იქნება სულიერი სრულყოფა და ამაღლება? მუშნი ზარანდიას არჩეული გზა გამორიცხავს მიზანს.

არადა, ადამიანმა თუ მზაკვრობა ისურვა, ყველაზე გონიერ კაცსაც კი იოლად მოატყუებს. აკი ერთხელ დათაც გაბრიყვდა.

პოლიცმეისტერი ნიკანდრო ქილია დაიბარა მუშნი ზარანდიამ. დაავალა: დათა თუთაშხიას შავი ხბო მოაპარვინე ვინმეს და პოლიციაში მოაყვანინეო. დათა უთუოდ მოაკითხავს ხბოს, მაშინ შეიპყარი და დანარჩენი მე ვიციო. ქილია ვერ მიხვდა ზარანდიას ჩანაფიქრის საიდუმლოს, მაგრამ დავალება პირნათლად შეასრულა. მართლაც მოიპარეს დათას ხბო. ეს ხბო ძალიან უყვარდა დათას დას ელეს. შეწუხდა ქალი, შვილივით იგლოვდა დაკარგულ პირუტყვს, ბოლოს სოფელში ხმა გავარდა: ქურდი დაუჭერია პოლიციას, ხბო ჩამოურთმევია და პატრონმა მოაკითხოსო წასაყ-

ვანად. დაიჩემა ელემ – უთუოდ ჩვენი ხბოა და უნდა მივაკითხოთო. მეტი რა გზა ჰქონდა დათას, ვერ უთხრა დას უარი და მიაკითხა ხბოს პოლიციაში. გამართლდა ზარანდიას ვარაუდი. დაიჭირა ნიკანდრო ქილიამ დათა თუთაშხია.

მართალია, დათა მოტყუვდა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მუშნი ზარანდიას მანევრი უფრო დათას დისადმი სიყვარულით იყო გაპირობებული. კარგად იცოდა მუშნიმ, თავდავიწყებით უყვარდა დათას დაი. ისიც იცოდა ზარანდიამ, ხბოს დაკარგვა რომ ძალიან შეაწუხებდა ქალს. ვერ გაუძლებდა დათა დის მწუხარებას და რომც მიმხვდარიყო მზაკვრობას, მაინც მივიდოდა დის ხათრით პოლიციაში ხბოს წამოსაყვანად. ამასთანავე ადამიანს არ შეუძლია ყოველი კაცის ყოველ საქციელში მზაკვრობა ეძებოს. თუ ასე მოიქცა, მაშინ წონასწორობას დაკარგავს და ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცევა. უნდობლობა არაადამიანური თვისებაა. ადამიანური თვისება ნდობაა. ნებით თუ უნებლიეთ მუშნი ზარანდია უნდობლობას თესავს. ამით კლავს ადამიანში ადამიანურს.

მუშნი ადამიანის უკეთილშობილეს გრძნობას იყენებს მზაკვრობის განსახორციელებლად. სხვანაირად მუშნი ზარანდია ვერ იარსებებს. იგი მიმართავს ექსპლუატაციის ყველაზე საშინელ ფორმას – სიყვარულისა და კეთილშობილების ექსპლუატაციას.

გერმანიიდან არალეგალური ლიტერატურა უნდა ჩამოეტანა მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს, ეროვნებით ქართველს. ეს ფაქტი ცნობილი გახდა გრაფ სეგედისა და მუშნი ზარანდიასათვის. მუშნიმ მაშინვე შეიმუშავა დოცენტის შეპყრობის გეგმა. მართლაც, ბათუმში გემით ჩამოსული დოცენტი, პოლიციის მეძებრებმა შეიპყრეს. მხილებულ დოცენტს უკან დასახევი გზა არ ჰქონდა, დანაშაული აღიარა და გაციმბირების პერსპექტივასაც შეეგუა. მაგრამ ამბის პრიმიტიული დასასრული – დოცენტის დასჯა – სრულიად არ აინტერესებდა მუშნი ზარანდიას. იგი უფრო რთული ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ჩატარების მოსურნე იყო. ზარანდიას გეგმის თანახმად დოცენტს ათავისუფლებდნენ, ოღონდ ხელი უნდა აეღო რევოლუციურ მოღვაწეობაზე. თუ დოცენტი მაინც გააგრძელებდა რევოლუციის სამსახურს, მაშინ ხმებს გაავრცელებდნენ, რომ დოცენტი გამცემი და მოღალატე იყო. ორში ერთი, ან პოლიტიკურ ცხედრად უნდა გადაქცეულიყო დოცენტი ან მოღალატის სამარცხვინო სახელი ეტარებინა. როცა ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა მუშნი დოცენტს, ამას პატრიოტული გრძნობით ხსნიდა: „მე, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ხალხის, ჩემი მოდგმის და ერის შვილთაგანი ვარ. აქედან – ვალდებულებებიც და, რა თქმა უნდა, არავითარი პარტიები, ვარ ჩემი ერის მოქმედი ერთეული, გალოკილი თითივით მარტოკაცი. დიახ, და მე მირჩევნია, რომ ჩემი ხალხი აზიაროთ იმ მეცნიერულ ცოდნასა და შეხედულებებს, რაც ჩვენი შორეული წინაპრების გენიამ შექმნა, ან რომელსაც საკუთრივ თქვენი და თქვენისთანების ტალანტი, ქართველი კაცის ბუნება შეიმუშავებს. ახლო მომავალში, სულერთია დაარსდება ქართული უნივერსიტეტი, აღსდგება მეცნიერული ცოდნის გამომუშავების ძველისძველი ტრადიციები. თქვენი და თქვენისთანების ამ დაწესებულებაში მოღვაწეობა გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს ჩემს ხალხს, ვიდრე ანარქისტთა იდეების ქადაგება და, მით უმეტეს, მათი ნაძალადევად დამყნობისათვის თქვენი სიკვდილი“.

მართალს ეუბნება მუშნი ზარანდია დოცენტს, მაგრამ ამ გზას რომ დაადგეს იგი, ამხანაგებს, თანამოაზრეებს უნდა უღალატოს. ეს უკვე ბოროტებაა. ბოროტი კეთილს ვერ დაბადებს. არც დოცენტის ავისაგან (ამ შემთხვევაში – ღალატისაგან) შეიძლება იშვას სიკეთე. ე.ი. განხორციელდეს ის, რისკენაც თეორიულად მოუწოდებს მას მუშნი. ასეთ გზაჯვარედინზე სხვა გამოსავალი არ არსებობს, თუ არა თავის განწირვა. მხოლოდ თავისთავის მსხვერპლად მიტანაა გამოსავალი. დოცენტმა ამჯობინა თავგანწირვა: იგი კამჩატკის გადასახლებაში მოკვდა.

ხშირად მუშნი ზარანდიას ჩანაფიქრი კეთილის სამსახურს გულისხმობს, მაგრამ მცდარია გზა, რომლითაც იგი კეთილის განხორციელებას ცდილობს. კეთილს არსებობის განმტკიცებისათვის თავისი გზა უნდა ჰქონდეს. თუ კეთილმა და ბოროტმა საარსებოდ ერთნაირ საშუალებებს მიმართა, მაშინ სადღაა მათ შორის განსხვავება? მუშნი ზარანდია მართალია, როცა წესრიგის დასამყარებლად იბრძვის. მაგრამ, როცა იგი ამ მიზნით ძალადობას იყენებს, უკვე მტყუანია. ძალადობა სიკეთეს ვერ დაამკვიდრებს, რამეთუ იგი (ძალადობა) არსებობისათვის ყოველთვის კეთილისა და კეთილშობილების ექსპლუატაციას მიმართავს. ექსპლუატირებულ სიკეთეს არსებობა არ შეუძლია. ასეთ სიტუაციაში იგი ან იხრწნება ან იღუპება.

დათას შეეძლო დაესწრო და მოეკლა მოძალადე ძობა ძიგუა. მაგრამ არ ჰქნა ეს. დათას საქციელმა შეარყია ძობას სული და ისევ ადამიანად აქცია. არავის სული არ შეუძრავს მუშნის. იგი ადამიანთა სულებს ყიდულობდა, რათა მერე თავის ჭკუაზე ეტრიალებინა ისინი და კიდევ უფრო ღრმად ჩაეძირა ბოროტების ჭაობში. ასე იყიდა, მაგალითად, ხუთას მანეთად მუშნი ზარანდიამ მეწისქვილე ბონიას სული. გაჭირვებითა და სიღატაკით ამართლებს ბონია თავის საქციელს:

„– დათა ბატონო, შემაცდინეს, გაჭირვებამ მაჯობა... გაჭირვებამ და უბედურობამ... გასულ ზამთარს სახადი იყო. ორი მიცვალებული გავიტანე ფაცხიდან. წლისთავი მოდის აგერ და ქვა არ დამიდვია საფლავზე ჯერ... ჩემი სიმინდი და მოსავალი ორ თვეს ყოფნის ჩემს ოჯახს. ოთხი შვილი მყავს, გოგოებია ყველა. გაზრდა თუ მოხერხდა მათი, ვინ წაიყვანს უმზითვოდ“.

შეიძლება ბონია არც ტყუის. მართლაც ძალიან უჭირს და ამით ისარგებლეს, მაგრამ აქ მაინც ორი ზნეობრივი დანაშაულია – ერთი მუშნი ზარანდიასი და მეორე თავად ბონიასი.

მუშნი სარგებლობს ბონიას სისუსტით და კიდევ უფრო ღრმად ძირავს ბოროტების წუმპეში. ამით უნდა მიაღწიოს მიზანს – დაიჭიროს დათა. მაშასადამე, მიზანიც ბოროტია და მიზნის განხორციელების საშუალებაც. როგორც ვხედავთ, თუ ადრე მუშნი გარეგნულად ოსტატურად მაინც ატარებდა კეთილის ნიღაბს, აქ შიშვლდება. რამ გამოიწვია მისი გაშიშვლება? ამას პასუხი უკვე გასცა მაგალი ზარანდიამ – „უმაღლეს თანამდებობაზე კეთილი განზრახვებით გასული ბევრია და სიკეთე შენარჩუნებული არავინო“. მუშნი ზარანდიას ძლიერი ინტელექტიც ვერ მოერია ამ კანონზომიერებას და სიკეთედაკარგული გაშიშვლდა.

ბონიას დანაშაული ის არის, რომ ბოროტის სამსახურს მდგომარეობით ამართლებს. თუ ადამიანის საქციელი მხოლოდ მდგომარეობით გაიზომა, ამქვეყნად არ აღმოჩნდება დანაშაული (ბოროტება), რომლის გამართლება არ მოხერხდეს ამიტომ ადამიანის საქციელი ყოველთვის ზნეობრივი კრიტერიუმით უნდა გაიზომოს. ადამიანმა ყოველგვარ პირობებში უნდა შეინარჩუნოს ადამიანური. ეს მოსახერხებელია, ოღონდ ზნეობრივი სიწმინდე სიცოცხლეზე მეტად უნდა გიღირდეს. ხორცმა არ უნდა სძლიოს სულს.

„– თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ ყველაფერი წარმავალია და მხოლოდ მაღალი ზნეობაა მარადისი? – ვკითხე კარიძეს.

„– დიახ, მიუხედავად იმისა, აღზევებულია ზნეობა, თუ იმდენად დათრგუნვილი, როცა თითო-ოროლა პიროვნების კუთვნილებასღა შეადგენს – იგი მაინც მარად არის. სხვა დანარჩენი – ხან არის, ხან არა. რამდენჯერაც უნდა გაირყვნას კაცთა მოდგმა, რამდენჯერაც უნდა გაიმეტონ მოსაშთობად ღმერთებმა იგი, იმდენჯერ გადაარჩენს განგება დათა თუთაშხიას, როგორც კვეთსა და მაწვნის დედას“.

ეს იმიტომ, რომ დათას ცხოვრებას ზნეობა წარმართავს, მუშნისას კი – არა. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად ზარანდია თუთაშხიაზე ნაკლებად არ არის დაჯილდოებული ზნეობით. მაგრამ იგი ზნეობრივი პრინციპების თანახმად არ ცხოვრობს.

ერთხელ მუშნი და დათა მაგალი ზარანდიას ოჯახში შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვდნენ ისე, როგორც ძმებს შეეფერებათ. მაგრამ დათას ეჭვი მაინც ღრღნიდა და რევოლვერიც თან ჰქონდა ყოველი შემთხვევისათვის. მუშნიმ შეატყო ეს და დათას სთხოვა – მაჩვენე, ვნახო მინდაო. დათამ ჩოხის უბიდან რევოლვერი ამოიღო და მუშნის გაუწოდა. ზარანდიამ რევოლვერის სავაზნეს ჩახედა. შიგ ერთადერთი ვაზნა იდო. გასაგები იყო – თუ საქმე წახდებოდა, თავის მოსაკლავად უნდოდა ეს ერთადერთი ვაზნა თუთაშხიას. მუშნი მიხვდა, რომ დათასაც და სხვებსაც მისგან ღალატი და ხაფანგი მოსალოდნელად მიაჩნდათ. მაშინ ეს თქვა ზარანდიამ:

„მე რომ ვიკადრო ის, რაშიც თქვენ, დედა, და დათას ეჭვი შეგპარვიათ... ჩემისთანა შვილის და ძმის ყოლას და მერე კიდევ სიცოცხლეს, იქნებ მართლა თავის მოკვლა ჯობდეს, ღმერთმანი!“

მაგრამ ამ ზნეობის დაცვა და ცხოვრებაში გატარება არ ძალუძს მუშნის. იგი მაინც იძულებულია ხაფანგი დაუგოს დათას. ეს შინაგანი გაორება მისი სისუსტე და სიძაბუნეა.

ერთი საკუთარი თავისთვის და მეორე სხვისთვის – ასეთი ორი პრინციპით ცხოვრება არ შეიძლება. რაც საკუთარი თავისათვის, ის სხვისთვის – ეს არის ზნეობრივი არსებობის საფუძველი. თუ ამ დევიზს გადაუხვევ, უპირველესად საკუთარ თავს ავნებ და სულიერ სიმშვიდეს მოუსპობ.

მუშნი ზარანდია კოლხთა მეფის აიეტის დას კირკეს მაგონებს. კირკეს ადამიანთა ღორებად ქცევა შეეძლო, მაგრამ კირკე ღმერთი იყო და ძალედვა ღორები ისევ ადამიანებად ექცია. მუშნი ზარანდიასაც შეუძლია ადამიანის ღორად ქცევა. კაციჭამია ვირთხის გამოზრდაც შეუძლია, მაგრამ აღარ შეუძლია უმთავრესი – ღორადქცეული კაცის ისევ გაადამიანება. ამიტომ მუშნი ზარანდია ბოროტი გენიაა. ხოლო დათა თუთაშხია იმიტომ არის სიკეთე, რომ არასოდეს უცდია ადამიანის ღორად ქცევა. პირიქით, მთელი სიცოცხლე შემართული სატევრით არის, ღორობის ბიწი არ მომეკაროსო. სიკეთეს უტილიტარული დანიშნულება არა აქვს. იგი თავისთავად არის განუსაზღვრელად მნიშვნელოვანი.

დათა თუთაშხიას სკეფსისი კაციჭამია ადამიანს არ ზრდის. მუშნი ზარანდიას სკეფსისი კი სწორედ კაციჭამია ადამიანს ზრდის. აქ არის მათი რადიკალური განსხვავება და მათი მტრობის საფუძველი.

სუბიექტურად მუშნი ზარანდიას უყვარს ღვიძლი მამიდაშვილი. ეს პირდაპირ წერია რომანში: „ადრე ვთქვი, რომ დათა და ელე თუთაშხიები მუშნი ზარანდიას დედმამის ოჯახში აღიზარდნენ. დავსძენ, ამ ოჯახის წევრები ერთმანეთის მიმართ უნაზესი სიყვარულითა და მზრუნველობით გამოირჩეოდნენ. ნამდვილად ვიცი, მუშნი ზარანდია გულწრფელად, ღრმად განიცდიდა დათას და ელეს ბედუკუღმართობას... დაჟინებით ვიტყვი, რომ მიუხედავად საზოგადოებრივ ასპარეზზე მძაფრი დაპირისპირებისა, მუშნი ზარანდიასა და დათა თუთაშხიას შორის ურთიერთ პატივისცემა და ძმური სისხლისმიერი სიყვარული არაფრით და არასოდეს შენელებულა“.

მაშინ როგორღა ავხსნათ მუშნის გეგმაზომიერი, გამუდმებული ბრძოლა დათას წინააღმდეგ? აქ რთული ურთიერთდამოკიდებულებაა. მუშნი ზარანდიასათვის დათა თუთაშხია იმედია, ზნეობრივი სრულყოფაა. ზემოთ ციტირებული სიტყვები – „სრულქმნილი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ თუთაშხია იმ კაცთაგანია, რომელნიც სრულქმნილებასთან ყველაზე ახლოს არიან“ – სწორედ მუშნი ზარანდიას ეკუთვნის. თუ დათა თუთაშხია ყოველგვარი ადამიანური ბოროტების გამოვლენას გაუძლებს, ბოლომდე შეინარჩუნებს ზნეობრივ სისპეტაკეს, მაშინ მუშნი ზარანდია ისევ იწამებს ადამიანებს, ისევ მოუბრუნდება გული კაცობრიობისაკენ. თუ დათა თუთაშხია გატყდება, სხვებს დაემსგავსება, მაშინ მუშნისათვის ყველაფერი დაკარგავს მნიშვნელობას. დათას წინააღმდეგ გამოყენებული ხრიკებით მუშნი საკუთარ რწმენას ამოწმებს. სკეფსისით გულგამოჭმული კაცი მუშნი ზარანდია, დათა თუ-

თაშხიას სახით, იმედის უკანასკნელ ხავსს ეჭიდება. მართლაც, დათას დაღუპვის მერე მუშნი ზარანდიას მელანქოლია შეეყარა და „სამიოდე წლის მერე რაღაც სხვა უკურნებელი სენითა და სიკვდილით დამთავრდა“. ამის შემდეგ ავტორი მაინც წერს:

„ამ უდავოდ დიდი ტალანტის ადამიანს თავისი შესაძლებლობის საზომად დათა თუთაშხია ჰყავდა! თუ დავუშვებთ, რომ ადამიანს არსებობისა და მოღვაწეობისათვის ცოცხალი მაგალითი სჭირდება და მუშნი ზარანდიასათვის კი ასეთი ეტალონი დათა თუთაშხია იყო, მაშინ ისიც კანონზომიერად უნდა ჩავთვალოთ, რომ დათა თუთაშხიას სიკვდილის შემდეგ მუშნი ზარანდიაც უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან“.

ჩემი აზრით, ეს განმარტება ზედმეტია. ის, რაც აქ არის ნათქვამი, სრულიად მკაფიოდ არის გამოვლენილი მთელ რომანში დათასა და მუშნის ურთიერთობით, რასაც ბუნებრივად მიყავს მკითხველი სწორედ ასეთ დასკვნამდე. მით უმეტეს, რომ მუშნი ზარანდიამ თავად დაამუშავა დათას მოკვლის გეგმა, რაც განახორციელა კიდეც.

დათასა და ბეჩუნი პერტიას შვილს გუდუს მასწავლებელი ყავდა, ბიქტორ სამუშია. მუშნის დავალებით, ბიქტორმა შთააგონა გუდუს დათას მოკვლა. ბიჭმა არ იცოდა, აბრაგი მამამისი რომ იყო. მოტყუვდა. ერთ საღამოს ბეჩუნი პერტიას სახლში სტუმრად მისული დათა ბუხრის წინ იჯდა. გუდუ მიეპარა და ესროლა. სასიკვდილოდ დაჭრა. აქაც ეყო დათას ვაჟკაცობა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ბეჩუნის ეზოდან გავიდა, კლდეზე ავიდა და იქიდან გადაეშვა ზღვაში, რათა სამუდამოდ გამქრალიყო. აქ არის ერთგვარი პოზა, დათას პიროვნებისათვის შეუფერებელი. მაგრამ, როცა ამ სიკვდილის აზრობრივი შინაარსი გაიხსნება, მაშინ პოზიორობა თავის უარყოფით მხარეს კარგავს.

ჯერ ერთი, თუ დათა თუთაშხიას ნახავენ მკვდარს, მაშინ გუდუ პერტიას შეპირებულ თანხას მისცემს პოლიცია. თუ კაცის მოკვლაში ფული აიღე, საბოლოოდ დაღუპული და დაცემული ხარ. ეს ჯერ კიდევ არ იცის გუდუმ ნინველობის გამო და შეიძლება შეცდეს.

„– ფული არ გამოართვა. გაგაწვალებს და წაგახდენს ის ფული... – სიტყვა პირზე შეაშრა, იფიქრა და დასძინა: – მე ვიზამ მაგას! გვამს რომ ვერ იპოვნიან, ისე ვიზამ, ფულს აღარ მოგცემენ მაშინ!“

ამრიგად, დათა სიკვდილითაც კეთილს ემსახურება. ბოროტმოქმედის შველაზე და გადარჩენაზე ფიქრობს. კაცი მაშინ არის დაღუპული, თუ სულიერად გაიხრწნა. ამას უნდა ააცდინოს გუდუ პერტია დათამ. მოახერხა კიდეც. დათას გვამი არავის უნახავს.

მეორეც, სხვა მნიშვნელობაც აქვს დათას ზღვაში გაუჩინარებას.

რომანს ლაიტმოტივად გასდევს, ყოველი კარის წინ დართული პრელუდია, რომელიც თითქოს ავტორის თქმით, მეთოთხმეტე საუკუნის ხელნაწერიდან არის. ეს ხერხი ჭაბუა ამირეჯიბს რომანის ალეგორიის გასახსნელად ჭირდება. ამ ტექსტის მიხედვით, იყო რაინდი თუთაშხა, ვინც ბოროტის დასათრგუნად და სიკეთის ზეიმად იბრძოდა. თუთაშხა ღმერთი არ იყო და ვერ მიაგნო ბოროტების სიკეთედ ქცევის საშუალებას. მაშინ მან წამებას მისცა თავი. სხვები რომ ეხსნა, მოიკვეთა სხეულის ასონი და კაცთა შთამთქმელ ურჩხულს მიუგდო საკვებად. ყველაფერი შესანსლა ურჩხულმა, მაგრამ, როცა თუთაშხამ გული ამოიგლიჯა და ესეც მონსტრისათვის უნდა მიეცა, მაშინ ბოროტებამ კაცის სახე მიიღო და ადამიანურად ამეტყველდა:

„– არღა ვარ მწყურვალი სისხლთა, არღა მიძს სურვილი ჭამად კაცთა. და მიეცა მყის ყველაკასა ახალი, რომელთა მოიკვეთეს ასონი თვისნი.

– **არა ჰკლათ კაცი ესა და აჰა, ნიჭი თქვენ გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა** (ხაზი ჩემია – ა.ბ.).

დაუტევა სულმან თუთაშხისამან ხორცნი მიწასა ზედა, აღევლინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელი ღმერთად“.

დათა გვარად თუთაშხიაა. თუთაშხია „მთვარის დღის შვილს“ ნიშნავს. მაშასადამე, დათა შვილია თუთაშხა-რაინდისა. წყალი კი, ყოველი მითოლოგიის თანახმად, განახლება-აღორძინებას გულისხმობს. „უკეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“ – კვერს უკრავს მითოსს იოანეს სახარებაც. ეს მითოლოგიური მოტივი კარგად არის ასახული სიტყვაკაზმულ ლიტერატურაშიც. მაგალითების დასახელებით თავს არ შეგაწყენთ.

ზღვაში უკვალოდ შთანთქმა დათა თუთაშხიას კვლავ აღორძინებას გულისხმობს. იგი უკვე გახდა სიკეთის ხორცშესხმული სახე. ახლა მეორედ უნდა მოვიდეს, რომ საბოლოოდ გაბატონდეს და დამკვიდრდეს.

დათას შერკინება ბოროტებასთან (ანუ მუშნი ზარანდიასთან) თითქოს მარცხით დამთავრდა. იგი მაინც გაება მუშნის დაგებულ ბადეში. სიკვდილის წინ თავად გაიფიქრა დათამ – „მაჯობა მაინც“. მაგრამ ამ კონკრეტულ სიტუაციაშიც ზნეობრივად მაინც ვერ გაიმარჯვა მუშნიმ. თუმცა ზერელე შეხედვით, მუშნის მზაკვრობა იმდენად დიდია, რომ შვილიც (რა ვუყოთ მერე, გუდუმ რომ არ იცის ეს) კი აუმხედრა და ბოლოს სასიკვდილოდ გაამეტებინა დათა. მაგრამ აქ ერთ გარემოებას აქვს არსებითი მნიშვნელობა: გუდუ პერტია არ არის სიყვარულის შვილი. ბეჩუნი პერტია არ ყვარებია დათას. აბა, გაიხსენეთ ალექსი სნეგირისა და დათას საუბარი:

„– ცოლშვილი გყოლია, როდისმე?

– არა მყოლია.

– სიყვარული?.. ქალი გყვარებია?

– ნამდვილ სიყვარულს დრო სჭირდება, ალექსი, – მცირედი დუმილის შემდეგ თქვა დათა თუთაშხიამ, – არც ერთხელ არ დამაცადა ბედ-იღბალმა.

– არ მესმის? სიყვარული ერთი ნახვითაც შეიძლება.

– სიმღერაში.

– რატომ? არა გქონია შემთხვევა, რომ ქალი დაგენახოს და შეგყვარებოდეს? – მართლა არ მესმოდა, რას გულისხმობდა.

– ეგ სიყვარული არ უნდა იყოს, მგონია.

– მაშ რა არის?

– რა ვიცი, როგორ გითხრა... მოწონება, გატაცება, ალბათ. ხორციელია ეგ. სიყვარული სულიერია. ერთხანს მაინც უნდა იყოთ ერთად, რომ გულში ჩახედოთ ერთმანეთს, მისი სულიერი რაღაც-რაღაცები შენი სიცოცხლისთვის აუცილებელი რომ გახდეს. გახდება, მაშინ დაერქმევა თქვენს ურთიერთობას სიყვარული. ასე მგონია მე და, შენი შვილების დედაც თუ არის ის ადამიანი, ამახვილებს სიყვარულს ეს.

– შეიძლება ეგრეც იყოს, – დავეთანხმე და კვლავ ვკითხე: – არც სერიოზული გატაცება გქონია?

დათა თუთაშხია კარგა ხანს დუმდა. რაღაცაზე თუ ვიღაცაზე ფიქრობდა. უძილო, დაღლილი სახე ჰქონდა, მაგრამ თვალებში შუქი მაინც ჩაუდგა. მერე ისევ მოიღუშა და თქვა:

– ერთხელ... სიყვარული იყო, მგონია, ის, მაგრამ... ეჰ, დავიძინოთ, ალექსი“.

ამ ერთხელში დათა ბეჩუნი პერტიას არ გულისხმობდა. იგი ნანო თავყელიშვილს იხსენებდა. არც სულიერი ერთობა შეიძლებოდა ჰქონოდა დათას ბეჩუნისთან. ამისთვის ძალიან უბრალო ქალი იყო იგი. ბეჩუნისთან ურთიერთობა თანაგრძნობას მონატრებული მარტოხელა, უსახლკარო კაცის მიერ სითბოსა და ალერსის ძიება იყო. ადამიანთა შეჩვევა იყო.

უსიყვარულოდ კეთილი არც იბადება და არც იქმნება. ასე, რომ მუშნი ზარანდიას, გუდუ პერტიას სახით, კეთილი არ გადაუბირებია. და თუ კეთილი ვერ გადაიბი-

რა, ვერც დათასათვის უჯობნია ზნეობრივად. ამდენად, დათას მოკვლით მუშნი ზარანდიამ ერთგვარი თვითმკვლელობა ჩაიდინა. თვითმკვლელობა კი ყოველთვის წაგებული ბრძოლის შედეგია.

ამიტომ, როცა ამ ორ პერსონაჟს ერთმანეთს ადარებ, რწმუნდები, რომ მუშნი უფრო ტრაგიკული პიროვნებაა, ვიდრე დათა. მუშნის არა აქვს საკუთარი სიმართლის მტკიცე შეგნება, რაც აქვს დათას. თავის რწმენით (თუნდაც თავისი განდგომით) დათა მაღალ ზნეობრიობას ემსახურება. მუშნი კი რწმენითაც და განდგომითაც სეთურის საზოგადოებას ამტკიცებს. მართალია, სუბიექტურად მუშნი დათას უჭერს მხარს, მაგრამ ობიექტურად სეთურის საზოგადოების ბურჯია.

შეძლებს კი სეთურის საზოგადოების (ე.ი. ბარაკაევკის მოსახლეობის, თორიას საავადმყოფოს პაციენტების, საირმის მუშებისა და სხვათა) გარდაქმნას რევოლუცია? მართალია, სოციალური მდგომარეობა შეიცვლება, მაგრამ მოხდება ზნეობრივი სრულყოფა ადამიანის? თუ ზნეობრივი სრულყოფა არ მოხდება, მაშინ ამაოა რევოლუციური სისხლისღვრა. ამ კითხვების მტკიცე პასუხი ვერ უპოვნია მუშნი ზარანდიას.

„... არსებულზე უკეთეს აწმყოს და მომავალს ჩემი სამშობლოსთვის ჯერჯეროben ვერ ვხედავ. აქამდე და დღესაც, თვითონ რასაც ვთვლიდი ამ მხრივ მიზანშეწონილად, მხოლოდ იმას ვაკეთებ და ასე იქნება სამარის კარამდე. რევოლუციონერები და პოლიტიკოსები ისეთ დებულებებს თუ წამოაყენებენ, სადაც ჩემი ერის უკეთეს მომავალს დავინახავ და ვირწმუნებ, მათი მხარის დაჭერას ვერავინ დამასწრებს“ – ეუბნება მუშნი მამამისს მაგალი ზარანდიას.

აქაც, ამ საკითხშიც შინაგანი კონფლიქტია მუშნისა და დათას შორის, სხვანაირად ფიქრობს დათა: თუ ადამიანის ზნეობრივი სრულყოფა არ მოხდა, ვერც არსებული და ვერც მომავალი ვერ შესძლებს არსებითი ცვლილებების მოხდენას.

ერთხელ თბილისის ვაგზალში დათამ და რობერტ ხაპლინმა ერთი ძონძროხა კაცი ნახეს. ამ კაცს თავის ზომაზე გაცილებით პატარა ტანსაცმელი ეცვა. ყველაფერი ტანზე შემოტმასნოდა და სივიწროვისაგან დამსკდარიყო. ხორცი მოუჩანდა საცოდავს. შარვლის ტოტებიც მოკლე ჰქონდა და ბლუზის სახელოებიც საწყალობელ მდგომარეობაში იყო. ამ კაცს შეხედა დათამ და რობერტს უთხრა:

„– ეგერ იმ კაცს მისი ზომის შარვალ-ხალათი რომ მისცეს ვინმემ, როგორც კაცი და როგორც ადამიანი, უკეთესი თუ გახდება იმით? ესაა საკითხავი. დავწვავდი მეც იმ ქაიხოსრო წულუკიძის სახლ-კარს, ვიცოდე ოღონდ ამით რომ უკეთესი გახდებოდა ვინმე!“

იცის დათა თუთაშხიამ, არ გახდება უკეთესი. იქნებ უფრო ბოროტი და ავიც შეიქნას.

დათას უფრო შორსაც შეუძლია წავიდეს და ასეთი კითხვაც დასვას – ის ძონძროხა კაცი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი მანქანებითა და თვითმფრინავებით რომ ასეირნო და ატარო, უკეთესი გახდება ამით? სულ კომპიუტერებთან რომ ქონდეს საქმე, უკეთესი გახდება, ამაღლდება მისი სული? ეს კითხვა არ დაუსვამს დათა თუთაშხიას, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ მან იცის, არც ამ შემთხვევაში გახდება ის კაცი უკეთესი. ამ გზით მისი ზნეობრივი სრულყოფა არ მოხდება. სულის განვითარება არ განიცდის სოციალური და ტექნიკური პროგრესის ზეგავლენას. მას განვითარების საკუთარი კანონები აქვს და მხოლოდ მათ მორჩილებს. თუთაშხია, როგორც მხატვრული პერსონაჟი, იმითაც არის საინტერესო, რომ სულის განვითარების კანონებით ცხოვრობს და ყოველგვარ სიტუაციაში ცდილობს მათ არ უღალატოს. ამდენად, მისი პიროვნებისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს – სად და როგორ იცხოვრებს. იგი ყველგან მოახერხებს დათა თუთაშხიად დარჩეს.

თუ ამ კუთხით შევხედავთ, რომანის ზოგიერთ თავს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი ზედმეტია. მაგალითად, ციხეში მომხდარი ამბოხების აღწერა. თავისთავად ეს

ჯანყი საინტერესოდ არის დაწერილი (ამის საბუთად მარტო კლასიონ კვიმსაძის სახეც კმარა), მაგრამ ჩემი აზრით, ეს თავი იმ ფუნქციას ვერ ასრულებს, რისთვისაც არის რომანში.

ეს ციხე მიკროსახელმწიფოა. ამას მიგნება არ ჭირდება. ეს აშკარად არის ნათქვამი: „აგერ, მზა-მზარეული სახელმწიფოა აქ, ორთაჭალის ციხეში: პოლიცია, შეიარაღებული ძალები, ბატონო, დაზვერვა, კვება და მეურნეობა, პროპაგანდა, დიპლომატია და ელჩობა, პარლამენტი და რა ვიცი მე“. ე.ი. გარესახელმწიფოს ყველა ნიშანთვისებაა აქ გამოვლენილი. იმ გარესახელმწიფოს კარგად იცნობს დათა თუთაშხია. ბუნებრივია, არც ციხის ანუ მიკროსახელმწიფოს სამყაროა მისთვის უცნობი და ახლისმთქმელი. არც ის ადამიანებია სხვანაირი, რომელნიც ციხეში შეხვდნენ დათას. ორთაჭალის ციხეში დათას პიროვნების გამოვლენა ახალი მხრიდან არ ხდება. არც დათას მოუხდენია აქ რაიმე ზეგავლენა სხვების სულიერ სამყაროზე.

მერე ამბები ციხეში ასე განვითარდა: პატიმრებმა ამბოხება მოაწყვეს. ძალაუფლება ხელთ იგდეს და ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები საკანში შეყარეს. ერთი სიტყვით, ციხეში ხელისუფლების ცვლა მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ამბოხებული ციხე თავგამეტებით იცავდა თავს, ბოლოს მაინც იძულებული გახდა პოზიციები დაეთმო და მთავრობას დამორჩილებოდა. ეს დამორჩილება იმდენად გარედან ძალდატანებით არ მომხდარა, რამდენადაც შინაგანი უკმაყოფილებით. როცა თავდაპირველმა აჟიოტაჟმა გაიარა, ციხეს შინათგამცემლები და კაპიტულიანტები გაუჩნდნენ. იძალეს მათ და ციხეში ისევ პირვანდელი მდგომარეობა აღდგა. ერთადერთი ცვლილება ის მოხდა, რომ ციხის ძველი უფროსი ახლით შეცვალეს. ცხადია, ამით პატიმრებს არავითარი შეღავათი არ მისცემიათ.

სხვათა შორის, ციხის ამბოხებაში არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ციხის უფროსი კოცი, პატიმრის სახელის გატეხის მიზნით, ტუსაღს მამათმავლების საკანში შეაგდებდა. დიდად აღშფოთდა ციხე, როცა კოცის ეს არაადამიანური „მეთოდი“ შეიტყო. ამბოხებას ბიძგი ამანაც მისცა. მაგრამ, როგორც კი ამბოხებულმა პატიმრებმა ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, პირველი, რაც გააკეთეს, ეს იყო ის, რომ კოცი შეაგდეს მამათმავლების საკანში. მაშასადამე, კეთილმა (ამბოხებულებმა) ბოროტების (კოცის) დასასჯელად იგივე საშუალება გამოიყენეს, რასაც ბოროტება მიმართავდა. ეს კეთილს აკნინებს და, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, სპობს განსხვავებას კეთილსა და ბოროტს შორის.

ამრიგად, ციხის ამბოხების ამბიდან გამოტანილი აზრობრივი შინაარსის ყველა ნიუანსი ნაცნობია მკითხველისათვის. ახალი არაფერია. ამიტომ მიმაჩნია იგი ზედმეტად.

სხვა თავების დასახელებაც შეიძლება, სადაც ამბავი სხვადასხვაა, მაგრამ აზრობრივი შინაარსი ერთიდაიგივე. ეს ტავტოლოგიისა და გაჭიანურების შთაბეჭდილებას ჰქმნის. ამ მიზნით რომანის რედაქცია აუცილებელია. ახლა, როცა რომანი მთლიანად გამოქვეყნებულია, ამის გაკეთება აღარ არის რთული ავტორისათვის. ამიტომ კონკრეტული თავების დასახელებას არ შევუდგები, ოღონდ ერთ გარემოებას უნდა მივაპყრო მწერლის ყურადღება: რამდენად საინტერესოდ და მიმზიდველად არის დახატული „დათა თუთაშხიაში“ მამაკაცები, იმდენად უინტერესო და ფერმკრთალია ქალები. შეიძლება ვთქვათ, ავტორის მხატვრულ ამოცანას არ შეადგენდა ქალების ისეთივე ძალით დახატვა, როგორც მამაკაცები წარმოგვიდგინაო. თუ ასეა, ჯერ ერთი, მაშინ რატომღა უთმობს მწერალი ამოდენა ადგილს ნანო თავყელიშვილისა და დათა თუთაშხიას ურთიერთობის აღწერას. მეორეც, რომანი ზნეობრიობის პრობლემებით არის დაყურსული და თვინიერ სიყვარულისა ცალმხრივია ზნეობა. აკი დაწერილა: „რომელსა არა უყვარდეს, მან არ იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყვარული არს“. მართალია, აქ სქესობრივ სიყვარულზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ ისიც კარგად არის ცნობილი, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობას სქესობ-

რივი სიყვარული ზოგადი სიყვარულის ასპექტში აინტერესებს და არა ბიოლოგიური თვალსაზრისით. მესამეც, მწერალი მაგალი ზარანდიას ოჯახს უწოდებს „სახლს სათნოებისა და სიყვარულისას“. ამ სახლში აღიზარდა დათა თუთაშხია და, სათნოებასთან ერთად, სიყვარულის ღვთაებრივი ბუნებაც შეიგრძნო და შეისისხლხორცა. ამდენად ჩნდება მოთხოვნილება ქალთა ღრმა სახეების ხილვისა.

ყოველი საზოგადოების დაცემა მაშინ იწყება, როცა ქალთა ზნეობრივი სიმტკიცე შეირყევა. „ხედავთ, ამას თქვენ, წაიბილწა ერი“ – ეუბნება დათა ეფემია წინამძღვარს. ეს არ არის ლიტონი ბრალდება. მთელი რომანის მანძილზე ვუყურებთ ჩვენ ერის დაცემის ამ სურათს. რაკი ასე მომხდარა, უპირველესი მიზეზი ამისა უდავოდ ქალთა ზნეობრივი კრიტერიუმების დაკნინებაა. მამაკაცის საქმიანობის მაკონტროლებელი თვალი ქალია. რა ზნეობრივ მოთხოვნილებასაც იგი აყენებს, ძირითადად ისეთია მამაკაცის საქმიანობა. თუ ქალის მდაბალ ზნეობას დამორჩილდა მამაკაცი, იწყება ერის დაკნინება. თუ არ დამორჩილდა, მაშინ ჩნდება კონფლიქტი, რითაც აუცილებელი ჰარმონია ირღვევა. ჰარმონიის დარღვევის შედეგი ისევ ერის დაცემაა.

სულიწმინდა ქალის წიაღში იმიტომ განხორციელდა, რომ ღვთაებრივი ზნეობის საფუძველი დედაკაცია, თორემ მითოლოგია კარგად იცნობს ღმერთის უქალოდ გაჩენის იგავსაც: ათინა დაიბადა ზევსის თავიდან.

რომანის ქვეტექსტს თუ ჩავაკვირდებით, დავინახავთ, რომ დათა თუთაშხია ებრძვის არა მარტო გარემომცველ სინამდვილეს, არამედ ქალსაც, როგორც ამ სინამდვილის საყრდენს. მართალია, ეს აქტი ქვეშეცნეულად ხდება და არა აშკარად, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ალბათ ამიტომაც არ განუცდია დათას ნამდვილი სიყვარული. სხვათა შორის, არც მუშნის განუცდია ჭეშმარიტი სიყვარული. ესეც ბუნებრივია, როგორ პარადოქსულად არ უნდა მოგეჩვენოთ, მუშნი ზარანდიას სძულდა ის სინამდვილე, რომელსაც ერთგულად ემსახურებოდა. სიყვარული არსებულის შეცვლას და წინსვლას გულისხმობდა. სიძულვილი კი არსებულის შენარჩუნებას. მუშნი სწორედ არსებულის შენარჩუნებას ცდილობდა. აქაც ჰგვანან ისინი ერთმანეთს: ერთმა არსებულის სიძულვილი აბრაგობით გამოამჟღავნა, მეორემ – ჟანდარმობით. მათი მსგავსება ქალის სიყვარულშიც ასევე მკაფიოდ ვლინდება. ამიტომ გახდა, როგორც ზემოთ ითქვა, უსიყვარულოდ გაჩენილი გუდუ პერტია ერთის იარაღი და მეორის ჯალათი.

როგორც ჩანს, ყოველი კაცის გვამში ღვთაებრივი სიყვარული უნდა ჩასახლდეს, ის ზნეობრივი იდეალი რომ განხორციელდეს, რომელსაც დათა თუთაშხიას პიროვნება განასახიერებდა.

1975

მკვახე შეძახილი

მეტად ძნელია და რთული იმსჯელო ერის სულიერ თვისებაზე, ესთეტიკურ ბუნებასა და ხასიათზე. ალბათ ერის ბუნების და ხასიათის სრული ამოცნობა შეუძლებელიც არის, იმდენად მრავალფეროვანი, ღრმა, უცნაური და მიუწვდომელია იგი. გულახდილად რომ ვთქვათ, ბოლომდე პიროვნების ბუნება-თვისების ამოცნობაც კი ჭირს და მთელი ერის ხასიათს როგორღა უნდა მიაგნოს კაცმა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პრობლემაზე არ დავფიქრდეთ და არ ვცადოთ თუნდაც ზოგიერთი ნიშან-თვისების მოძებნა. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა ილია ჭავჭავაძემ ქართველ ხალხში თათქარიძეობის სენი აღმოაჩინა, მახვილი მის წინააღ-

მდეგ აღიმართა. ამ ბრძოლას ჩვენი სულიერი გაჯანსაღებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. როცა ივანე გონჩაროვმა ობლომოვობის თვისებას მიაგნო რუს ხალხში, საქმიანობა მის აღმოსაფხვრელად წარიმართა. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ობლომოვობის წინააღმდეგ ბრძოლამ სერიოზული როლი შეასრულა რუსული რევოლუციური თვისების გამომუშავებაში.

რაც მთავარია, ჩვენი ეროვნული ხასიათის ამოცნობა იმისთვისაც არის აუცილებელი, რომ უმეცრებისა და გაუგებრობის გამო თავს არ მოვიხვიოთ ის, რაც უცხო და მიუღებელია ჩვენთვის. იგი ავითვისოთ, იმას ჩავეჭიდოთ, რაც ბუნებრივად ესადაგება და ეგუება ჩვენს თვისება-ხასიათს.

ამიტომ გ. ასათიანის ნარკვევისადმი – „სათავეებთან“ („ცისკარი“, 1980 წ., №5, 6, 7) – გულგრილი დამოკიდებულება შეცდომად მიმაჩნია. შეძლებისდაგვარად ყველამ ვიმსჯელოთ წამოჭრილ პრობლემაზე და იქნებ ქართველის ზოგიერთი ეროვნული თვისება-ხასიათი მართლაც უტყუარად დავადგინოთ. მით უმეტეს, რომ ამ საკითხს მარტო დღეს არ შეუწუხებია ჩვენი მწერლობა. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა დაიჩივლა: „... ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თჳსთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგჳთხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, 1955 წ. გვ. 359). ასევე გულისტკივილით აღნიშნავენ ჩვენი ხალხის მანკიერ თვისებებს არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვანი. მარტო აკაკი წერეთლის სიტყვებმა – „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“, – რა მწარედ უნდა დაგვაფიქროს. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებშიც ამ პრობლემის გარშემო ცხარე პაექრობა იყო გაჩაღებული. გაიხსენეთ ჟურნალ „ქართული მწერლობის“ (1927 წ., №1)ფურცლებზე გამართული დისკუსია, რომელიც ნიკოლოზ მიწიშვილის „ფიქრებმა საქართველოზე“ გამოიწვია (1926 წ., №4-5).

გ. ასათიანის ნარკვევში არ არის ძველი კამათის არც გადაჭარბებული ოპტიმიზმი და არც უსაბუთო სკეპტიციზმი. თუმცა ის კი უნდა ვთქვა, რომ ნაღვლიანი კილო გ. ასათიანსაც შეეპარა, როცა ნარკვევის დასასრულს განაცხადა – „ოკეანემდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა...“ თუ ოკეანესკენ მივდივართ, მისი სიშორე ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ ჩვენ ოპტიმიზმის მეტი საფუძველი გვაქვს. ამის უპირველეს საბუთად, როგორც უნდა გაუკვირდეს მკითხველს, ქართული ზღაპრების გმირი ნაცარქექია მიმაჩნია.

როცა გ. ასათიანი ნაცარქექიას ეხებოდა, იგი, კირილე მიმინაშვილთან, ყვარყვარე თუთაბერთან და ბათა ქექიასთან ერთად, ქართული ხასიათის შემადგენელ ელემენტად ჩათვალა (VI, 100. რომაული ციფრი აღნიშნავს ჟურნალის ნომერს, არაბული – გვერდს). ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მე მგონია, გ. ასათიანმა მკაფიოდ არ თქვა, ქართველმა ხალხმა რა აზრი ჩასდო ნაცარქექიას სახეში.

„სიზარმაცისა და ბაქიობის გარეშე ვის რა ჯანდაბად უნდა თქვენი ნაცარქექია? მისი ბაქიობაც ხომ ჩვეულებრივი არაა. ის ყველაზე დიდ დუშმანს – ბაყბაყ-დევს უნდა მოერიოს, თორემ პატარ-პატარებთან დაჭიდებაც ეთაკილება“.

ნუთუ სიზარმაცე და ბაქიობაა ნაცარქექიას თვისება? თუ ასე ვიფიქრეთ, მაშინ რუსული ზღაპრების გმირი ივანუშკა-დურაჩოკიც ბრიყვად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ასე რომ არ არის. ივანუშკა-დურაჩოკი ხომ ყველაზე გამჭრიახი, ჭკვიანი და გონიერია. გამარჯვებულიც ამიტომ გამოდის. მაშასადამე, „დურაკობა“ მისტიფიკაცია ყოფილა. ნიღაბი ყოფილა ნამდვილი არსის დასამალავად, ასეთივე მისტიფიკაციაა, ნიღაბია ნაცარქექიას სიზარმაცე და ბაქიობაც. ჩვენს ზღაპრებში ნაცარქექია ყოველთვის გამარჯებული გამოდის. იგი ყველას ამარცხებს. მათ შორის იმ ბაყბაყდევსაც, რომელიც მრავალგზის უფრო ღონიერი და მძლავრია, ვიდრე ნაცარქექია. თითქოს დევმა ნაცარქექია ნიორწყლად უნდა აქციოს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარ-

ცხებული და გაცუცურაკებული რჩება იგი. ჭკუით, გამჭრიახობით, მოქნილობით, ეშმაკობით სჯობნის ნაცარქექია დევს. სწორედ ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა, ეშმაკობაა ნაცარქექიას თვისება და არა სიზარმაცე და ბაქიობა. სიზარმაცე და ბაქიობა მისტიფიკაციაა, მომარჯვებული იმისათვის, რომ მტერმა ნაცარქექიას ნამდვილი თვისება ვერ ამოიცნოს.

ახლა უფრო შორს წავიდეთ: განა ნაცარქექიასა და დევის ურთიერთობაში საქართველოს ისტორიული ცხოვრების მოდელი არ ჩანს?

საქართველოს მთელი მისი გრძელი ისტორიის მანძილზე არასოდეს ჰქონია ურთიერთობა მის ტოლ სახელმწიფოსთან. იგი ყოველთვის მსოფლიო გოლიათებს ედგა პირისპირ:

საქართველო და რომის იმპერია,
საქართველო და ბიზანტიის საკეისრო,
საქართველო და არაბთა ხალიფატი,
საქართველო და სპარსეთის შაჰინშატი,
საქართველო და მონღოლთა ულუსი,
საქართველო და ოსმალთა სულთანატი,
საქართველო და რუსეთის ცარიზმი.

ამ უთანასწორო ბრძოლაში რა უშველიდა საქართველოს თუ არა ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა და ეშმაკობა. ქართველმა ხალხმაც ნაცარქექიას სახით ამგვარი იდეალი შექმნა. მტრის მოსატყუებლად ზარმაცისა და ბაქიას ნიღაბი აიფარა. თუ ეს არ დავინახეთ ნაცარქექიაში, მაშინ მას ცალმხრივად წარმოვიდგენთ და ნიღაბს არად მივიჩნევთ. ამიტომ დამაჯერებლად არ მეჩვენება, რომ კირილე მიმინაშვილის, ყვარყვარე თუთაბერის ან ბათა ქექიას არქეტიპი ნაცარქექია იყოს. დემნა შენგელაიას თავად აქვს ნათქვამი: „ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ის (ბათა ქექია – ა.ბ.) მართლაც სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია ფალსტაფისა და გარგანტუასი, სანჩო პანსასი და ლემკე გუდსაკისა, კოლა ბრუნიონისა და ლუარსაბ თათქარიძისა“. როგორც ვხედავთ, აქ ნაცარქექია არ არის მოხსენიებული. ნაცარქექიას მერე გაიხსენებს მწერალი. „მას (ბათა ქექიას – ა.ბ.) არ უნდა ლიტერატურული ნათესაობა შეწყვიტოს არც „კალმასობის“ მთავარ გმირთან და არც ნაცარქექიასთან“. ნათესაობა კი ბატონო, რამეთუ ნაცარქექიაც ქართველი კაცია და ბათა ქექიაც, მაგრამ უფრო ღვიძლი ურთიერთობა კი მათ შორის არ ჩანს. ამით ნაცარქექიაზე ლაპარაკი დავამთავროთ.

ქართული ეროვნული ხასიათის თვისებათა გამოყოფისას, გ. ასათიანი აღნიშნავს, რომ „შურისმაძიებლობა არასდროს არ ქცეულა ქართველი ხალხის ეროვნულ იდეოლოგიად, არც ლიტერატურაში, არც სამართლებრივ პრინციპებში, არც პოლიტიკურ სულისკვეთებაში“ (VI, 106). ზოგადად და საერთოდ ეს მართალია, მაგრამ განა არსებობს დედამიწის ზურგზე ერი, რომელსაც შურისმგებლობა ნაციონალურ იდეოლოგიად აქვს გადაქცეული? ასეთი ხალხი არ არსებობს და ვერც იარსებებს, რამეთუ, თავად გურამის სამართლიანი თქმით, ასეთი ერი ამოწყდებოდა სისხლში ბალღამის ჩაქცევისაგან. მაშინ რა განსაკუთრებულ თავისებურებას ავლენს ქართველი ხალხი ამ მიმართულებით? შურისძიება ქართველისათვის საერთოდ უცხო რამ არისო, ამას ვერ ვიტყვით. ლიტერატურული თვალსაზრისით, საკმარისია მარტო მე-19 საუკუნის მწერლობა გავიხსენოთ, სადაც შურისგების პრობლემა ღრმად და სერიოზულად დგას.

განა ვარდუას („სურამის ციხე“) შურისძიება სასტიკი და დაუნდობელი არ არის?

განა გაბრიელმა („გლახის ნაამბობი“) სამაგიერო არ მიუზღო დათიკოს და რაიმე შემწყნარებლობა გამოავლინა მის მიმართ?

განა ბახვა ფულავა („პირველი ნაბიჯი“) უტეხი სიჯიუტით არ ეძებს შურისგების გზას და მანამ ვერ პოულობს მოსვენებას, სანამ სურვილს არ აისრულებს?

განა გელამ ონისე („მოძღვარი“) შურისძიების მიზნით არ მოჰკლა, რის გამოც სოფლის რისხვა – ჩაქოლვა – დაიმსახურა?

განა სიმონა („სიმონა“) დაუზოგველად არ უხდის სამაგიეროს დარიკოს შეურაცხმყოფელთ?

განა დავით კლდიაშვილის მიერ „თავად პეტრეში“ უგუნური და უაზრო შურისძიების შემაძრწუნებელი ამბავი არ არის აღწერილი?

რომელი ერთი ჩამოვთვალო. დასახელებული ნიმუშებითაც ერთი რამ ცხადზე ცხადია: ქართული მწერლობა სერიოზულად ამუშავებდა შურისგების პრობლემას, ოღონდ, ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობას და კრიტიკას ეს საკითხი სათანადოდ არ შეუსწავლია, არ გაუანალიზებია. არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, როგორ გამოვლინდა შურისძიების პროცესში ქართული ხასიათი, რა ზნეობრივი დასკვნა გაკეთდა აქედან.

ეს ლიტერატურული ასპექტით. ახლა ისტორიის კუთხითაც გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი.

მოიგონეთ, როგორ ჩამოიყვანა მოტყუებით ბაგრატ მესამემ ფანასკერტში თავისი ნათესავები, კლარჯთა ხელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ბაგრატ არტანუჯელის ძენი, თმოგვის ციხეში ჩაამწყვდია და სული ამოხადა.

ანდა, როგორ მიიპატიჟა გიორგი ბრწყინვალემ ჰერეთ-კახეთის და სომხითის ერისთავები ცივის მთაზე და პირწმინდად ამოწყვიტა.

თუ ოდესმე ნიჭიერი მწერალი დაამუშავებს ქსნის ერისთავების მიერ არაგვის ერისთავთა ამოჟლეტის ამბავს, შეიძლება მივიღოთ შურისძიების უფრო შემზარავი სურათი, ვიდრე „ნიბელუნგების თქმულებაშია“ დახატული.

სოლომონ პირველის მიერ რაჭის ერისთავთა მოსპობა შურისძიების აქტი არ არის?

გაიხსენეთ ლევან მეორე-დადიანი, თეიმურაზ პირველის ასული დარეჯანი (ანდა თავად თეიმურაზ პირველი: მან არ მოაკვლევინა ზურაბ ერისთავი, სიძე და თანამებრძოლი), გივი ამილახვარი და სხვანი, რომელნიც შურისმგებლის დაუოკებელი ვნებით არიან შეპყრობილი. ისინი ხომ ქართველები არიან და ქართულ სულსა და ხასიათს ავლენენ.

მაშასადამე, ქართველმა იცის შურისძიება და თან სასტიკი. ეს ლიტერატურითაც დასტურდება და ისტორიითაც. ამიტომ ნუ შევეცდებით პირი მოვიწმინდოთ და გულმოწყალისა და მიმტევებლის ნიღაბი ავიფაროთ. არ არის ეს საჭირო. ძველი რომაელები ამბობენ – Homo sum, humani nihil a me alienum puto. áართველიც ადამიანია და არც მისთვის არის რაიმე ადამიანური უცხო. ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ „ზოგს შურისმაძიებლები ვგონივართ“. ვართ, თუ ძალა შეგვწევს. როცა ამას ვამბობ, არ მავიწყდება დავით აღმაშენებლის დიდსულოვანი საქციელი: თბილისის მაჰმადიანებით დასახლებულ უბნებში ღორის დაკვლის აკრძალვა, ამით მუსლიმანებს შეურაცხყოფილად რომ არ ეგრძნოთ თავი. მაგრამ ეს ფაქტი უფრო დავით აღმაშენებლის პიროვნების პოლიტიკურ ნიჭიერებას, გამჭრიახობას, დიდბუნებოვნებას მოწმობს და ნაკლებად ავლენს საერთოეროვნულ შემწყნარებლობის თვისებას.

თუ ხშირად ვისმესთვის ჩვენი ეროვნული დამცირებისა და შეურაცხყოფისათვის მაგიერი არ მიგვიზღვავს, ეს ჩვენი უძლურების შედეგი იყო და არა ჩვენი შემწყნარებლობისა და მპატიებლობისა.

როცა ძალი გვქონდა ქადილისა, სამარცხვინო საქციელიც ჩაგვიდენია. განა სატრაბახოა ის, რაც ქართველთა ლაშქარმა გააკეთა გიორგი მესამის დროს? ქვეყანა დაწყნარებული იყო, მეზობლები დამორჩილებული, მტერი არსაიდან გვემუქრებოდა. ჯარს უქმად ყოფნა მოსწყინდა და მეფეს მიაკითხა: „არა არს ღონე დარჩომისა

ჩვენისა თუინიერ ლაშქრობისა და რბევისა“. მეფემ ეს უგნური თხოვნა ყურად იყო და სპას ნება დართო დაერბია ყველა ოლთისიდან შარვანამდის („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959 წ., გვ. 15-16). ასე წარტყვევნეს და ააწიოკეს უზარმაზარი ტერიტორია მოწყენილობისა და უსაქმურობის გამო.

ანდა, მეორე ფაქტი გულმოწყალებასა და მპატიებლობაზე ლაპარაკობს? ლაშა-გიორგის დაბადებით გახარებულმა ქართველებმა, ჩვილი უფლისწულის პატივსაცემად, ააოხრეს უდანაშაულო ქალაქი ბარდავი. დიდძალი საუნჯე წამოიღეს და აურაცხელი ტყვე წამოასხეს (იქვე, გვ. 58).

ფასი ძლიერის შემწყნარებლობას აქვს, თორემ უძლური და სუსტი მპატიებელი უნდა იყოს. სხვა რა გზა აქვს. ჩვენ რომ ჩვენი ძლიერების ხანაში ისეთივე გულმოწყალება გამოგვეჩინა, როგორსაც უძლურების დროს ვავლენდით, მაშინ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა შემწყნარებლობა, ლმობიერება, მპატიებლობა ქართული ხასიათის თვისებად. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მომხდარა. მაშინ ისე ვიქცეოდით, როგორც ყველა ღონიერსა და ძლიერს სჩვევია. საკუთარ ძლიერებას რაღას ვსაყვედურობთ, როცა სხვისი ღონით გულმოცემული ვემუქრებოდით ჩვენს ყოფილ მტრებს:

ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა,
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა!

გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, „მერანის“ ავტორმა როგორ დაწერა ეს ლექსი, რომელშიც სხვისი დათრგუნვის, დაჩაგვრის, დამონების სურვილია გამომჟღავნებული.

ამრიგად, შურისძიების გრძნობა ქართველი ხალხისათვის არ ყოფილა უცნობი, ისევე როგორც სხვა ხალხებისათვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ისევე, როგორც სხვა ხალხებს, ქართველებს იგი არ გადაუქცევიათ ეროვნულ იდეოლოგიად. ეროვნული ხასიათის კვლევის ამოცანა, ჩემი ფიქრით, ის არის, რომ ვიპოვოთ სად ჰგიეს განსხვავება ქართველისა და სხვა ხალხების შურისმაძიებლობას (ისევე როგორც სხა თვისებებს) შორის. რა თავისებურება ახლავს ქართველის ამ თვისებას და რა ელფერით ერწყმის იგი სხვათა ამგვარსავე თვისებას. ამის მიგნებაა მთავარი. ცხადია, ეს მეტად ძნელი საქმეა და შესაძლებელია ერთ კაცს ამის გაკეთება არც ხელეწიფებოდეს, მას მკვლევართა მთელი ჯგუფი სჭირდებოდეს. მაგრამ ჩვენ ჩვენი ვცადოთ და ვნახოთ, რა გამოგვივა. მივაგნებთ თუ ვერა იმ თავისებურებას, რომელსაც ქართველი ავლენს ამა თუ იმ საერთოადამიანური თვისების გამომჟღავნებისას.

შურისმგებლობა ორგვარად ვლინდება: ხალხის რისხვის სახით და ციდამტკავლური ინტრიგის ფორმით.

ისტორიულად ჩვენ არ გვყოლია ჩვენი კრომველი და ჩვენი რობესპიერი. ბუნებრივია, რომ ხალხის სახელით ჩვენ არც ჩვენი ჩარლზ პირველი დაგვისჯია და არც – ჩვენი ლუი მეთექვსმეტე. მაგრამ სამაგიეროდ თვალები დაგვითხრია, ისე როგორც ეს გაუკეთეს დასავლეთ ქართველთა მეფე ბაგრატს. მერე კი უსინათლოსა და უბედურისათვის ქვეყნის მართვა დაგვივალებია. ოსმალთა დახმარებით, ტახტზე ვიგინდარა ჭუჭუნასშვილი დაგვისვამს და ხელმწიფის საკადრისი პატივი მიგვიგია. კონსტანტინე ბატონიშვილივით ტახტისათვის ღვიძლი მამაც და ძმაც მოგვიკლავს.

დღეს, ცხადია, ძნელია ეჭვმიუტანლად დაამტკიცო ან უარყო ლუარსაბ მეორე მართლა გიორგი სააკაძის ინტრიგის წყალობით დაიღუპა თუ არა, მაგრამ ის კი ნათელია და მკაფიო, რომ ნოსტელ აზნაურს გამბედაობა არ ეყო კრომველივით ან რობესპიერივით, ხალხის სახელით, სიკვდილით დაესაჯა ლუარსაბ მეორე ან თეიმურაზ პირველი. თუმცა მას არც კრომველზე და არც რობესპიერზე ნაკლები ენერ-

გია არ გამოუვლენია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ოღონდ ციდამტკავლურ ინტრიგას უფრო ოსტატურად იყენებდა, ვიდრე ხალხის რისხვას.

ჩვენ არც მარია-ანტუანეტასავით გაგვიტარებია დედაქალაქის ქუჩებში, გილიოტინაზე დასასჯელად ჩვენი ლამაზი დედოფლები, მაგრამ ამის სანაცვლოდ, ტყეში, ჩუმად ცხვირი, ენა და ყურები მოგვიჭრია, დარეჯან შარვაშიძის მსგავსად და მერე პატივახდილი მამის სახლში დაგვიბრუნებია.

ჩვენ არც ჩვენი ჯორდანო ბრუნო დაგვიწვავს კოცონზე, მაგრამ არც იმის შეგვრცხვენია, რომ წიწამურის ბუჩქებში ქურდულად ჩაცუცქულებს პირველი ერის კაცი მოგვეკლა.

მართალია, ჩვენ ჩეხი დედაბერივით ფიჩხი არ დაგვიყრია საჯაროდ იმ კოცონზე, რომელსაც ჩვენი იან ჰუსი უნდა შთაენთქა, მაგრამ, როცა მოხუცი სულხან-საბა ორბელიანი წვერებით ათრიეს სვეტიცხოვლის ეზოში, არაფერი გაგვიკეთებია იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო.

როგორ არ გავიხსენო მიხეილ ქვლივიძის ლექსი:

მაშ შენ ამბობ, რომ არ ჰყოლია მტრები რუსთაველს,
არ გაქცევია სამშობლოდან სულთამხუთავებს
და რომ მარტოდენ უიმედო ტრფობის ბრალია.
თუ ამ ქართველმა უცხოეთში სული დალია...
იქნებ ტრფიალმა გადახვეწა ყველა მელექსე:
თეიმურაზი,
არჩილ მეფე,
ვახტანგ მეექვსე,
საბა-სულხანი გამოაწყო ბერის კაბაში,
ძვალთშესალაგი დაუკარგა ბესიკ გაბაშვილს,
მამულს მოსწყვიტა სამუდამოდ გურამიშვილი
და ბარათაშვილს ამოჰხადა სული შიმშილით?
იქნებ ტრფიალმა ჭავჭავაძეს ესროლა ტყვია,
ან სიყვარულმა ჰკრა მაჩაბელს ხელი – სამიწე,
ან იქნებ იმას სიყვარული სახელად ჰქვია,
რამაც შეშალა მთის არწივი მოჩხუბარიძე?
არა,
ქართველთა გზა როდია ასე იოლი,
თვითმკვლელობაა
დიდი საქმის ჩვენში დაწყება...
სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი
და ქვაფენილებს შურდულივით დაენარცხება.

როცა ამ ლექსს წაიკითხავ და მასში მოხსენიებულ ფაქტებს ასწონ-დასწონი, მაშინ გაგიჭირდება დაიჯერო, რომ „ქართველი კაცის მოწყალე ბუნება და შემწყნარებლობის უშრეტი ნიჭი მართლაც სასწაულს გავს“ (VI, 106).

მკითხველისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის გაგება, რისი თქმაც მინდა ამ პარალელებით. ქართულ შურისმაძიებლობას უფრო ციდამტკავლური ინტრიგის ხასიათი აქვს, ვიდრე ხალხის რისხვისა.

ხალხის რისხვით ერის კეთილშობილი ხასიათი ვლინდება, ციდამტკავლური ინტრიგით – მანკიერი.

ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ჩვენივე ნაკლის მხილებისა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გ. ასათიანის ნარკვევშიაც შევნიშნე ამგვარი შიშის გამოძახილი. ეს მაშინ ჩანს განსაკუთრებით მკაფიოდ, როცა გურამ ასათიანი ცდილობს ახსნა მოუძებნოს ლერ-

მონტოვის ყბადაღებულ სტრიქონს – ქედთომ პრქკმე გპუზმნძ და პრქრყიტ ნიუანსურად განასხვავოს იპუყრყიტ-ისა და აუგომვრყიტ-ისაგან (V, 144-145). სხვათა შორის, რა მწარედ განუცდიათ ქართველებს ლერმონტოვის ეს სიტყვები, კარგად ჩანს ნიკა აგიაშვილის მოგონებიდან – „მას აუხსნია ბევრი ქარაგმა“ (1980 წლის 12 სექტემბრის „ლიტერატურული საქართველო“). ეს უცნაური ამბავია. ნუთუ რომელიმე ჩვენთაგანს სერიოზულად სჯერა, რომ ქართველთა შორის მხდალი და ლაჩარი არ ურევია? იმდენი სიკეთე და ბედნიერება მე და თქვენ, მკითხველო, რამდენიც მშიშარა ქართველია ამქვეყნად.

ქართველების მიერ გამოვლენილი სიმხდალე მარტო ლერმონტოვს არ შეუმჩნევია, „ქართლის ცხოვრებაშიაც“ მრავლად არის აღწერილი ჩვენი სილაჩრის მაგალითები და უცხოელ მოგზაურთა ნაწერებშიც. ლერმონტოვს რუსეთის შესახებაც აქვს მწარე სიტყვები ნათქვამი. გავიხსენოთ თუნდაც „ნესძითჭ პრყყმჭ, ყიპთნთ პთქრვ, ყიპთნთ გრყარლ“. ხომ იქნებოდა უხერხული, ამდგარიყვნენ რუსი მწერლები და ეძებნათ „ნესძიძღ“-ს ნიუანსი და ემტკიცებინათ, ეს სიტყვა ლერმონტოვს პირდაპირი მნიშვნელობით არ უხმარიაო. ცხადია, არც ჩვენს ღირსებას შეეფერება „პრქკმე გპუზმნძ“-ის რაიმე ახსნა მოვუძებნოთ. ისე როგორც ყველა ერში, ქართველებშიაც ბევრია გულადიცა და ლაჩარიც. აქ არაფერია განსაკუთრებული. ჩვენ თავად შესანიშნავად ვიცით, სად გამოგვიჩენია სიმამაცე და სად სიმხდალე. ამიტომ ძალიან ნუ დაგვადარდიანებს, თუ ვინმემ ჩვენი ვაჟკაცობა ვერ შეამჩნია და მხოლოდ მშიშრობა დაინახა. ოღონდ ის კი უნდა ვისწავლოთ, როდის, სად და რისთვის უნდა გამოვიჩინოთ სიმამაცე. ჩვენი მატიანეც და ჩვენი ლიტერატურაც ბევრ საბუთს გვაწვდის იმისას, რა უხვად დაგვიღვრია სისხლი სხვისი მიზნების განსახორციელებლად, თუმცა ამის გამო ჩვენთვის მადლობა არავის უთქვამს. ამის ნიმუშად ამოსის მინდორში მომხდარი ბრძოლაც კმარა, როცა ჩვენი სამშობლოს დამაქცევარ მონღოლებს მხარდამხარ ვედექით და მათი დიდებისათვის ვიქნევდით ხმალს. იმათ ბრძოლის ველიდან გაქცევა უნდოდათ და ჩვენ ვუმტკიცებდით – „არა არს წესი ჩუენი ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი“. ამ ერთგულების სანაცვლოდ მონღოლთა სარდალი ყაენს მოახსენებდა: „... ჩუენ ბრძანებისამებრ თქუენისა, გუნებავს გარე შექცევა და წინაშე შენსა მოსვლა, გარნა ქართველნი, უცნობოქმნილნი, არა მოვლენ ჩუენ თანა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959 წ., გვ. 262-263). გარდა უგუნურებისა, ნეტავ რა გვრჯიდა მოსისხლე მტრისათვის ასე დაგვედო თავი? ასეთ ბრიყვულ სიმამაცეს უნდა გადავეჩვიოთ, თორემ ლაჩარს რა გამოლევს ამქვეყნად.

გ. ასათიანმა ქართული ეროვნული ხასიათის მთავარ ნიშნად სულიერებისა და ნივთიერების ორგანული შერწყმა მიიჩნია.

„სულის და ხორცის ურთიერთლტოლვა, მათი შეთანხმება, შეკავშირება, შერწყმა, ფუნდამენტური თვისებაა ქართველი ხალხის ესთეტიკური ბუნებისა“ (V, 129).

თუმცა იქვე აღნიშნა, რომ პრობლემის ამგვარი კუთხით ჩვენება-გაშუქება საერთოდ კლასიკური ხელოვნების მთავარი ნიშან-თვისებააო და კითხვაც მაშინვე თავადვე დასვა – „მაშ, ჩვენ, ქართველებს რაღა დაგვრჩენია?“

ამ საკითხზე მსჯელობისას, ჩემი აზრით, რატომღაც სათანადო ყურადღება არ მიექცა ერთ პერსონაჟს, რომელიც ზუსტად გვაძლევს იმის პასუხს, რაც დაგვრჩენია ქართველებს. ეს პროტაგონისტია „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილი.

ავთანდილი სავსეა როგორც სულიერებით, ისე ნივთიერებით. იგი სულიერების განსახიერებაა, მაგრამ მისი მონა არ არის, თუ საჭიროა, იგი მაშინვე იყენებს ნივთიერებას, მაგრამ არც მას მორჩილებს. სიყვარულის, მეგობრობის, შეწყალების ქადაგი და პრაქტიკულად განმხორციელებელიც ერთი წუთითაც არ დაფიქრდება, ძალადობის ან მკვლელობის აუცილებლობა თუ დაინახა. „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სიბრძნე ძირითადად ავთანდილის პირით არის გაცხადებული, მაგრამ ამ ბუნება-ზეარ-

სმა (რუსთაველის სიტყვაა) კაცმა მაშინვე სტაცა ასმათს თმებში ხელი, როგორც კი ხვეწნამ და ტკბილმა სიტყვამ არ გასჭრა. არც მაშინ უყოყმანია ავთანდილს, როცა ფატმანის საყვარელი ჭაშნაგირი მოჰკლა, რაკი სხვა გამოსავალი არ იყო. ავთანდილი იმიტომაც იმარჯვებს, რომ მას არ დაურღვევია წონასწორობა სულიერებასა და ნივთიერებას შორის, სულსა და ხორცს შორის.

თუ მომეტებულ ფანტაზიორობად არ ჩამომერთმევა, ავთანდილის ცოცხალ პროტოტიპად დავით აღმაშენებელს მივიჩნევდი. ამ კაცმა უდიდესი პრაქტიკული საქმეც განახორციელა და სულიერებით სავსე ჰიმნიც დაწერა. დიდი საქართველოს აღმაშენებელ ხელმწიფეს შეუძლებელია უამრავი ისეთი საქმე არ გაეკეთებინა, რასაც ნივთიერების გამოვლენად, ხორცის სამსახურად მივიჩნევდით და ისიც დაუჯერებელია, რომ „გალობანი სინანულისანი“ დაეწერა ადამიანს, ვინც სულიერების მწვერვალებს არ იყო მიმწვდარი. მაგრამ დავით აღმაშენებელმა ავთანდილივით ზუსტად იცოდა, როდის უნდა ყოფილიყო სულიერების ტრფიალი და როდის – ნივთიერების.

მე მგონია, როცა სულიერებისა და ნივთიერების შერწყმა-შეერთებაზეა ლაპარაკი, ეს ორი პიროვნება – ერთი რეალური და ისტორიული, მეორე კი შეთხზული – განსაკუთრებული დაკვირვების საგანი უნდა გახდეს. თუ კლასიკური ხელოვნების მთავარ ნიშან-თვისებას ქართულმა მწერლობამ რაიმე შემატა, ეს ავთანდილის სახეა, თუ ინდოეთი კაცობრიობის სულიერი განგია, ქართული განგიც სულიერებისა და ნივთიერების შერწყმის ის ჰარმონიაა, რომელსაც ავთანდილი ავლენს. მე არ მეგულება მეორე პერსონაჟი ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ავთანდილივით ჰარმონიულად ათავსებდეს ერთმანეთთან სულიერებასა და ნივთიერებას. ამით არის იგი ბუნება-ზეარსი.

როგორც ჩანს, ბუნება-ზეარსობა ურთულესი და უძნელესი რამ ყოფილა, რამეთუ ჩვენს ლიტერატურაში ავთანდილი აღარ განმეორებულა და ჩვენს ისტორიაში – დავით აღმაშენებელი. მაგრამ მოხდა სხვა პროცესი: ნივთიერების თვინიერ, სულიერების უკიდურესი განვითარება, რომლის შედეგად ვაჟა-ფშაველას მინდია მივიღეთ და, სულიერების თვინიერ, ნივთიერების უკიდურესი განვითარება, რომლის რეზულტატად მიხ. ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძე მოგვევლინა. ამიტომ მინდიას ანტიპოდი, მსოფლმხედველობრივი ანტითეზა კვაჭი კვაჭანტირაძეა და არა მურმანი.

ჯერ ერთი, პიროვნება, რომელსაც შეუძლია სიყვარულის სახელით ეშმაკს მიჰყიდოს სამშვინველი, დაცლილი არ არის სულიერებისაგან. ოღონდ მურმანი მცდარ გზას ირჩევს იმისათვის, რომ ეზიაროს სულიერების მწვერვალს – სიყვარულს. სიყვარული ხომ ღმერთია. გაიხსენეთ „ღმერთი სიყვარული არს“ (იოანე მოციქულის ეპისტოლე პირველი, IV, 8) და „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“ („ვეფხისტყაოსანი“). თუ ასეა, სიყვარული სულიერების უმაღლესი გამოვლენაა. მურმანიც აქეთკენ მიილტვის, ოღონდ, როგორც ითქვა, მცდარი გზით.

მეორეც, განა ეთერი მარტო ქალია? მართალია, ეთერიანის თავდაპირველი მითოლოგიური ვარიანტი არ შემოგვრჩენია, მაგრამ დღეს გადარჩენილ ხალხურ თქმულებაშიც მკაფიოდ მოჩანს მითოსი. ბევრი კომპონენტი გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ეთერი ქართველი აფროდიტეს ნაირსახეობაა. ის რომ ეთერი დაავददება, არაფერს ნიშნავს. ეს გამოცდაა, რომელსაც ღმერთი ხშირად მიმართავს. ფლობერის მოთხრობაში – „ლეგენდა მწირთა შემფარებელ წმიდა ჟიულიენზე“ – ჟიულიენს ქრისტე ხომ კეთროვანის სახით გამოეცხადა? როცა ამ საშინელ სენის წინაშე წმიდანმა უკან არ დაიხია და უზენაესმა დაინახა, რომ მოყვასის სიყვარულმა სძლია შიშს, ჟიულიენი ცად აამაღლა. ამგვარი გამოცდაა ეთერის ავადმყოფობა აბესალომისათვის. აბესალომი შეშინდა და დათმო ეთერი. სამაგიეროდ სიკვდილით გამოისყიდა სულმოკლეობა და იქნა მიტევებული.

ეთერიანში სულიერებისათვის ბრძოლის ორი სხვადასხვა გზაა – აბესალომისა, რომელსაც თავისუფალი არჩევნის ფორმა აქვს, და მურმანისა, რომელიც ძალდატანებით სახიერდება. ეშმაური გზის არჩევის გამოა მურმანი უარყოფითი დამოკიდებულების სუბიექტი, თუმცა ვაჟა-ფშაველას გენიამ მას დანაშაულის გამოსყიდვის უფლება მისცა: შერემ ანუ მურმანმა თვალები დაითხარა. სულიერებისაკენ ლტოლვის დროს დაშვებული შეცდომის გამოსწორება მან თვითგვემით სცადა. ამიტომ მეორდება აქ ანტიკური ოიდიპოსის ვარიანტი. შეცდომა გამოსყიდულია და სულიერება განწმენდილია ეშმაური ჭუჭყისაგან.

ყოველივე ზემოთქმულის გამო მიჭირს დავეთანხმო გ. ასათიანს, რომ აბესალომი ან მურმანი პირად ბედნიერებაში ხედავდეს ცხოვრების თვითკმარ მიზანს (V, 131). ამგვარად ცხოვრების მიზანს კვაჭი კვაჭანტირაძე ხედავს. სწორედ იგი უნდა მივიჩნიოთ ნივთიერების, ანუ ეშმაური ბოროტის, სახედ, რომელიც უპირისპირდება მინდიას, როგორც სულიერების, ანუ ღვთაებრივი კეთილის, ხატს. ამიტომ, ჩემი აზრით, უფრო მართალი იქნებოდა გვეთქვა, ჩვენი ეროვნული სულის ორი პოლუსი, ორი უკიდურესი გადახრა მინდია და კვაჭი კვაჭანტირაძეა, ხოლო ზომიერება და ჰარმონია – ავთანდილი.

ავთანდილისა და კვაჭი კვაჭანტირაძის შეპირისპირება ქართული ხასიათის კიდევ ერთი თვისების – სილაღის – თვალსაზრისით არის საყურადღებო. ამ თვისებას გ. ასათიანი განსაკუთრებულად აღნიშნავს: „არალაღი (ან თუნდაც არა მოჩვენებითად გალაღებული, სილაღის თუნდაც ილუზიური გარემოცვის გარეშე დარჩენილი) ქართველი კაცი არსებითად უკვე ქართველი აღარ არის“ (V, 140). რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ ქართველი სილაღეს არ ეტრფის, მაგრამ აქ რამდენიმე ნიუანსი მაინც არის დასაზუსტებელი, რომ დახასიათება მომეტებულად ზოგადი არ გამოვიდეს.

ჯერ ერთი, განა მარტო ქართველები არიან ლაღი? განა ესპანელებს, იტალიელებს, ფრანგებს, თუნდაც სხვებს, სილაღე აკლიათ? განა მათ ლიტერატურაში სილაღის ზღვა არ იშლება? ცხადია, ასეა, და ჩვენც ამ ლაღი კაცობრიობის ორგანული ნაწილი ვართ.

მეორეც, ძნელი სათქმელია, რომ ოთარაანთ ქვრივი ან ვაჟა-ფშაველას დარეჯანი, ანდა ნიკო ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცი და რევაზ ინანიშვილის ბარბალე ბადიაური ლაღი ქალები იყვნენ, მაგრამ ისინი ქართველები არიან, თან უკეთესი ქართველები. არც ალუდა ქეთელაური, არც ხევისბერი გოჩა, არც სპირიდონ მცირიშვილი, არც შიო არაგვისპირელისა და ჭოლა ლომთათიძის პერსონაჟები (კიდევ ბევრი სხვა) გამოიყურებიან ლაღად, მაგრამ კარგი ქართველები კი არიან.

მესამეც, არის ავთანდილის სილაღე და არის კვაჭი კვაჭანტირაძის სილაღე, არის ბათა ქექიას სილაღე და არის კირილე მიმინაშვილის სილაღე, არის ბაში-აჩუკის სილაღე და არის იერემია წარბას სილაღე. მათ შორის დიდი ზღვარია. თუ ავთანდილის, ბათა ქექიას, ბაში-აჩუკის და ამ რიგის პროტაგონისტთა სილაღე ქართველი კაცის ღირსეულ თვისებას ავლენს, კვაჭი კვაჭანტირაძის, იერემია წარბას, კირილე მიმინაშვილის და მათი მსგავსი პერსონაჟების სილაღე (უფრო მართალი იქნება ვთქვათ, ჩიტირეკიაობა) კი ქართველი კაცის უარყოფით თისებას ამზეურებს. ზოგჯერ მათი ჩიტირეკიაობა ბოროტმოქმედებამდე მიდის. მაგალითად, იერემია წარბასი და კვაჭი კვაჭანტირაძისა. თუ ყველაფერი ეს არ გავითვალისწინეთ, შეიძლება შევცდეთ.

გ. ასათიანი ერთ საუბარს იხსენებს (VI, 100).

მაჩაბლის ქუჩაზე მწერალთა კავშირის შენობის წინ, ქართველი მწერლები ერთ პარკისონით დაავადებულ, სომეხ მოხუცს გამოელაპარაკნენ თურმე. ბერიკაცს გარკვეული შურით უთქვამს – მართალია, თქვენმა თავადაზნაურობამ ყველაფერი გაჰყიდა, ფული ჭამა-სმაში გაფლანგა, ის ადგილ-მამულები ჩვენ ვიყიდეთ, მაგრამ ბოლოს რევოლუციამ ყველაფერი ჩამოგვართვა და მხოლოდ გასტრიტი და კუჭის

წყლული შეგვრჩაო. მერე ესეც დასძინა თურმე: „აბა, თქვენ მიბრძანეთ, ვინ გიჟი და ვინ ჭკვიანი?“

ამ ეპიზოდის კითხვისას არ შეიძლება ქვეტექსტისა და თხრობის კილოთი არ შეამჩნიოთ ავტორს ერთგვარი კმაყოფილება, რომ სომხის ბურჟუაზია თითივით გალოკილი დარჩა, ხოლო ქართველმა თავადაზნაურობამ ქეიფი მაინც მოასწრო. ნუთუ მართლა გვჯერა, რომ სხვა უფრო მძიმე შედეგი ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილის ქარაფშუტობასა და ჩიტირეკიაობას არ მოჰყოლია? დღეს საქართველოს ტერიტორიის მოზრდილ ნაწილში ქართველი კაცის ჭაჭანება რომ არ არის, ეს რისი ბრალია?

იაკობ მანსვეტაშვილი გვატყობინებს: „ბორჩალოს მაზრაში მემკვიდრეობით დარჩათ ზემოთ უკვე ნახსენებ კოლა ორბელიანს და გენო ქობულაშვილს ოცი ათასი დესეტინა მდიდარი მამული. ერთიცა და მეორეც, თქმა არ უნდა, „მცონარენი“ იყვნენ, ამიტომ მამული გაექცათ ხელიდგან და ჩაუვარდათ ხელში მანთაშევს და არამიანცს... მოიხმეს თავიანთი დიდრიცხოვანი რაზმები სპეციალისტებისა: აგრონომები, ჰიდრავლიკები, ტექნიკები და უბრძანეს, აბა, გასინჯეთ მამული და გვითხარით, რაშია გამოსადეგიო. გასინჯეს და მოახსენეს: საუცხოო ადგილია ბამბის მოსაყვანადო... სომხეთიდან გადმოასახლეს ბამბის მოყვანის მცოდნე გლეხები, დასვეს ადგილზე და გაჩაღდა საქმე“ („მოგონებანი“, 1936 წ., გვ. 187).

ამიტომ ნურავინ მოიტყუებს თავს და იფიქრებს, რომ, ჩვენი სტუმართმოყვარეობის წყალობით, ისინი ხელგაშლილი მივიღეთ და დავასახლეთ. სტუმრის (ნამდვილი სტუმრის) მიღება სომხებმაც ჩინებულად იციან, ვერავინ დაუწუნებს მასპინძლობას, მაგრამ საკუთარი მიწა-წყალი არავისთვის დაურიგებიათ. არც საქართველოზე ნაკლები შემოსევა, აოხრება-აწიოკება განუცდია სომხეთს, მაგრამ რამდენადაც შესაძლებლობა ჰქონდათ, საკუთარი ოჯახი სუფთად შეინახეს. ჩვენ კი სასტუმროს დავემსგავსეთ, სადაც ვისაც უნდა, როგორც უნდა და რამდენ ხანსაც უნდა, ისე ცხოვრობს. ეს სხვა არაფრის ბრალია, თუ არა ცუდად გაგებული იმ სილაღისა, რომელსაც ქართველი თავადაზნაურობა იჩენდა. სწორია, მათ ქეიფი და დროსტარება შერჩათ, მაგრამ ქართველ ხალხს კი სამუდამოდ დაკარგული მიწა-წყალი დაუტოვეს.

ქართველი ხალხი ავთანდილის სილაღეს უნდა ეზიაროს, თორემ კვაჭი კვაჭანტირაძის ჩიტირეკიაობა მას არაფერ კარგს არ უქადის. თუ ჩვენ ეს განსხვავება მკაფიოდ არ გავაცნობიერეთ, მაშინ ბაჩანას ჩივილი რეალობად იქცევა:

ზღვა-ზღვა მივცურავთ, უაზროდ, ნიჩბების მოუსმელადა,
არც რასა ვდარდობთ, უშტარი ბედი გვყავს წინამძღოლადა,
გავალთ თუ დავიღუპებით, არა ვიცით-რა სწორადა...

ყველა თვისებას თავის კარგი და ცუდი მხარე აქვს, მათ შორის არტისტიზმსაც. როცა არტისტიზმზე ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივ ორ ელემენტს ვგულისხმობთ, ოსტატობა-დახვეწილობას და პოზას. თუ პირველი მოსაწონია და მისაღები, მეორე სათაკილოდ უნდა იქნეს მიჩნეული. პოზა აუცილებლად შეიცავს ტყუილს, სიცრუეს, მისტიფიკაციას. ვიღაც თუ რაღაც ნამდვილი არ არის და ასეთად კი უნდა თავი მოგვაჩვენოს. ქართულ ეროვნულ ხასიათში ორივე შეიმჩნევა და გამოკვეთილადაც. გ. ასათიანი ამაზე ვრცლად მსჯელობს, მაგრამ ცოტა რამ ჩემი მხრიდანაც მინდა დავამატო. იმიერქართველი გლეხი, როცა სადილად დაჯდომის წინ ხელის დასაბანად მიგიწვევთ, არასოდეს გეტყვით – ხელი დაიბანეთო, არამედ ყოველთვის ასე მოგმართავთ – ხელი დაიმშვენეთო. ანდა დანაყრებული არასოდეს იტყვის – უკვე ვჭამე ან უკვე გავძეხიო. მისი პასუხია – უკვე გეახელითო. სამეფო კარისათვის დამახასიათებელი, წინასწარშემუშავებული ეტიკეტის ენაზე მეტყველებს გლეხკაცი. ეს უთუ-

ოდ ნაშთია იმ ძველი კოლხური კულტურისა, რომელსაც აღტაცებით შესცქეროდა არგონავტების მითის ავტორი.

მართალია, არის ქართველის ეროვნულ ხასიათში დახვეწილობაც და პოზაც, მაგრამ დახვეწილობას რად სჭირდება პოზა? თანაც, შეიძლება მკაცრად ვამბობ, ავადმყოფური.

„ქართველი კაცი მუდამ სცენაზე გრძნობს თავს. მარტოდ დარჩენილსაც კი ვიღაცის მოუშორებელი მზერა ელანდება და ყოველ თავის მოძრაობაში ამ უხილავ თვალთა დაინტერესებულ ყურადღებას ითვალისწინებს“ (V, 145).

ეს ხომ უმძიმესი მდგომარეობაა – მთელი სიცოცხლე სცენაზე გრძნობდე თავს. სულ ვიღაცას ატყუებდე და, რაც მთავარია, უპირველესად საკუთარ თავს. არასოდეს იყო ის, რაც ნამდვილად ხარ.

რატომ გასწირა ამგვარი მდგომარეობისათვის თავისთავი ქართველმა კაცმა? ამის ერთადერთი პასუხი მეგულება: უჭირდა და იმიტომ. იძულებული იყო სულ ეთამაშა, სულ ვიღაცისათვის თავი მოეწონებინა.

ხომ გინახავთ ცირკში ბაგირზე მოარულის თუ მოცეკვავის სახე, რომელსაც ღიმილი დასთამაშებს და უდარდელობა გადაჰფენია. ამ ღიმილით და მოჩვენებითი უდარდელობით მალავს ჩამოვარდნის შიშს, აცახცახებულ მუხლებს და აკანკალებულ გულს. რა უნდა ჰქნას, პუბლიკუმს მაშინ მოეწონება, თუ უშიშარი კაცის პოზით წარმოდგება. როცა ამას ველარ მოახერხებს, როგორც ცირკის მსახიობმა, არსებობაც უნდა შეწყვიტოს. ისიც უძლებს, სანამ ნებისყოფა ეყოფა.

ახლა წარმოიდგინეთ, რა მძიმე იყო ქართველი ხალხის ცხოვრება, რომელსაც მრავალი საუკუნის მანძილზე უხდებოდა პოზის შენარჩუნება, რამეთუ მას სულ უჭირდა. აბა, გადავავლოთ თვალი ჩვენს ისტორიას, მის გმირებს და დავინახავთ, ვინ როგორ გაითამაშა მისთვის ცხოვრების მიერ დაკისრებული როლი.

ჩვენი ისტორიის ასპარეზზე ორი პოზა არსებობდა: ქართველი ხალხის ერთგულისა და დამპყრობლის, მტრის თანამდგომელისა. იგი, ვინც არცერთი პოზის დაჭერა-შენარჩუნებას არ ცდილობდა, იღუპებოდა, მაგრამ პატიოსნად და ვაჟკაცურად. იღუპებოდნენ ისინიც, ვინც ამა თუ იმ პოზას იყენებდა, მაგრამ ან ლაჩრულად ან მოღალატის სახელით. ეს ერთდროულად ჩვენი ისტორიის ტრაგედიაც არის და ფარსიც.

ჩვენ ხშირად დიდად ვცდილობთ ამა თუ იმ ისტორიულ პიროვნების ანტიეროვნულ საქციელს გამართლება მოვუძებნოთ, ავხსნათ იგი ობიექტური მიზეზებით. მაგრამ ეს ამაო შრომაა. ისტორიასა და ხალხს თავისი კრიტერიუმი აქვს და იმის შესაბამისად აფასებს ყველას – ცოდვილსა და მადლმოსილს. ჩვენი ნაირნაირი ვარიანტების თავმოხვევა არ მოხერხდება. თუ ზოგიერთ ისტორიულ ფაქტს დავაკვირდებით, საგულისხმო გაკვეთილის მიღებაც შეიძლება.

აბა, დავუფიქრდეთ, ქართულმა ეკლესიამ და ჩვენმა ხალხმა ლუარსაბ მეორე წმინდანთა შორის ჩარიცხა, გიორგი სააკაძე კი – არა. იმას ნუ ვიფიქრებთ, რომ ვინმეს რაიმე შეეშალა, ან ეს აქტი ეკლესიის ნება იყო და არა ხალხისა. არა, არც არავის არაფერი შეშლია და ეკლესიაც იმას ვერ გააკეთებდა, რაც ხალხს არ სურდა და სამართლიანად არ მიაჩნდა. არც ამა თუ იმ პიროვნების ტრაგიკულ აღსასრულს გადაუწყვეტია საკითხი. ლუარსაბ მეორემაც უბედურად დაასრულა ცხოვრება და გიორგი სააკაძემაც. პირველი მშვილდის საბლით დაახრჩვეს სპარსეთში და მეორეს თავი მოჰკვეთეს თურქეთში. ზვარაკის გაღების თვალსაზრისით, გიორგი სააკაძემ შვილიც კი უმსხვერპლა საქმეს. მაგრამ ერის პატივისცემის სასწორი მაინც ლუარსაბ მეორისაკენ გადაიხარა. ეს იმიტომ მოხდა, რომ არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულს, არამედ იმას – ვინ როგორ, რა გზით მივიდა ამ დასასრულამდე. ლუარსაბ მეორე მაშინვე მიხვდა, რომ, თავგანწირვის გარდა, მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. არ უძებნია თავდახსნის ცრუ საშუა-

ლებანი და არც სხვისი მსხვერპლი უთხოვნია. ტარიგად საკუთარი თავი დადო. გიორგი სააკაძე კი ნაირნაირ გზებს ეძებდა. მთელი ცხოვრება ბრძოლაში გაატარა, მაგრამ არც ერთი საშუალება უკადრისად არ მიუჩნევია. არც რჯულის გამოცვლის წინაშე დაუხევია უკან და არც სხვათა მსხვერპლს მორიდებია. გიორგი სააკაძე ერთნაირი გამეტებით იქნევდა ხმალს და ერთნაირი თავდადებით ემსახურებოდა საქართველოს, სპარსეთს, თურქეთს. მის მხედრულ ნიჭს სამივე ქვეყანაში თანაბარი წარმატება ჰქონდა. მაგრამ ეს სამი ქვეყანა ერთმანეთის მტერი იყო, თურქეთი სპარსეთს მტრობდა, სპარსეთი – თურქეთს და ორივე ერთად – საქართველოს. საქართველოც ორივესგან ცდილობდა თავდაცვას. ასეთ სიტუაციაში შესაძლებელია ადამიანი სამივეს ერთგული იყოს? „არავის მონასა ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“ (ლუკა, 16, 13). ეს პრინციპული მნიშვნელობის საკითხია და მას მეტი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ. თუნდაც იმიტომ, რომ როგორი თავდადებითაც უნდა ემსახურო უცხოს, ბოლოს მაინც მოღალატედ მიგიჩნევს. ამის უტყუარი საბუთია უნდილაძეების ოჯახის თავგადასავალი. რარიგადაც უნდა ვიყოთ მათი პიროვნებით მოხიბლული, უმთავრესის დავიწყება მაინც არ გვმართებს: ქეთევან დედოფალი საწამებლად მათი ოჯახიდან გაიყვანეს. გ. ასათიანი თანაგრძნობით კითხულობს – „რა სამი თვე იყო მისთვის ეს სამი თვე?“ (V, 143). გარდა მშიშრობისა, სხვას არაფერს ამბობს ის სამი თვე, რომლის მანძილზე შირაზის ხანი შაჰ-აბასის ბრძანებას მალავდა. თუ იმამყულიხანი საღად მოაზროვნე და ჭკვიანი კაცი იყო, იგი მიხვდებოდა, რომ ბრძანების დამალვით ქეთევანს ვერ უშველიდა. ამდენად ამ საქციელს აზრი არ ჰქონდა. ეს იყო მოქმედება იმ კაცისა, რომელიც ბუნებით კი არ იყო პატიოსანი, არამედ ნამუსიანი ადამიანის პოზის შენარჩუნება უნდოდა. ამიტომ იმამყულიხან უნდილაძეში მაინც არსებობს ვერაგობა. მის საქციელს მაინც ცბიერება წარმართავს და არა პატიოსნება. პატიოსანი კაცი თავისთავს გასწირავდა და ასე შეეცდებოდა დედოფლის დახსნას. არ დაუწყებდა „კეთილგონიერ“ შეგონებას, იქნება სჯობდეს მაჰმადიანობა იწამოთო. როცა საბოლოო გადაწყვეტილების წუთი დადგა, იმამყულიხანმა საკუთარი კეთილდღეობა ამჯობინა და დედოფალი საწამებლად გაიმეტა. რა გამოდის – უნდილაძეს ხომ უფრო ჰყვარებია თავისთავი, ვიდრე მოყვასი! ეს არის ამოსაცნობი ყოველი კაცის ხასიათში, ვისაც ორ სკამზე ჯდომის სურვილი აწამებს.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ისტორიას არ უნდა ვუყურებდეთ მიამიტი თვალებით. კარგად უნდა გავარჩიოთ, ვის ძალუძს თავისთავის მსხვერპლად გაღება და ვის ურჩევნია სხვა იყოს ზვარაკი. როცა ათასების ძვლებსა და სისხლზე გადაივლი, მერე მონანიება ნაგვიანევია. მით უმეტეს დაგვიანებულია ქედის მოდრეკა და თავზე ნაცრის დაყრა.

მართალია, ლუარსაბ მეორე სრულიად ახალგაზრდა მოჰკლეს და მეფობით თავის გამოჩენა ვერ მოასწრო, მაგრამ დაუვიწყარი ზნეობრივი გაკვეთილი დაგვიტოვა. მან კარგად იცოდა, სად მიდიოდა და რატომ – „... დავსდევ თავი ჩემი ქვეყნისათუის და განერა თემი ჩემი მოოხრებისაგან“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 398).

თითქმის სამი ათეული წელიწადი აზანზარებდა გიორგი სააკაძე წინა აზიას, მაგრამ ამ ზანზარისაგან დაგვრჩა აოხრებული ამიერ-საქართველო, სპარსეთში გადასახლებული რამდენიმე ათასი ქართველი და უდანაშაულო პაატა სააკაძის მოკვეთილი თავი.

ახლა მიამიტად ვიკითხოთ: თავად გიორგი სააკაძისათვის რა სჯობდა – ის, რომ 1624 წელს მარაბდაში მომკვდარიყო თუ ხუთი წელიწადი კიდევ იმისათვის ეცოცხლა, რომ ბაზალეთის სირცხვილი ეჭამა და, როგორც უსამშობლო კონდოტიერისათვის, უცხო ხალხს, უცხო მიწა-წყალზე, მოეკვეთა მისთვის თავი?

მერწმუნეთ, არავის განსადიდებლად ან დასამცირებლად არ დამიწერია ეს სიტყვები. უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ ლუარსაბ მეორეც, გიორგი სააკაძეც, უნდილა-

ძეებიც ქართველი კაცის თვისებებს ავლენენ და ჩვენი ეროვნული ხასიათის ელემენტებს გამოხატავენ. თუმცა ინდივიდუალურად დიდად განსხავებულნი არიან. შესაძლებელია ჩვენ ვერც მოვახერხოთ იმ საერთოს ამოცნობა, რომელიც მათ აერთიანებთ, მაგრამ იმის დანახვა კი მკაფიოდ შეგვიძლია, ამ თვისებებიდან რომელი უფრო გამოადგება ქართველ ხალხს სამომავლოდ. ყველაფერი განვითარებადია, მათ შორის ეროვნული ხასიათიც. ამიტომ არის აუცილებელი სამომავლო თვისების ამორჩევა. იმ თვისების მოფრთხილება-განვითარება, რომელიც ბუნება-ზეარსობამდე მიგვიყვანს. უამისოდ ძნელია ჩვენი ხალხის ეროვნული ცხოვრების წარმართვა.

როცა ამა თუ იმ ისტორიული პირის უარყოფით თვისებებს, სისუსტესა და მანკიერებას ახსნას ვუძებნით, ობიექტურ სიტუაციას ვეძებთ მათ გასამართლებლად, ამით დიდსულოვნებასა და შემწყნარებლობას არ ვიჩენთ. პირიქით, გვინდა თუ არ გვინდა, პროპაგანდას ვუწევთ სულმდაბლობასა და სულმოკლეობას, ყველაფერს მისაღებად და დასაშვებად მივიჩნევთ და შეურაცხვყოფთ წამებულთა ხსოვნას. ვალდებული კი ვართ ისე არ მოვიქცეთ, როგორც დავით გურამიშვილი ბრძანებს: „ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო“.

ნურავინ იფიქრებს, რომ ქართული ეროვნული ხასიათის განვითარებას ერთფეროვნებისა და ცალმხრივობისაკენ ვექაჩებოდე. ასე რომ იყოს, ავთანდილს არ მივიჩნევდი ქართული ეროვნული ხასიათის ყველაზე მკაფიო გამოვლენად. როგორც უკვე ვთქვი, ავთანდილის უპირველესი ხიბლი სწორედ ის არის, რომ ორგანულად და ჰარმონიულად ათავსებს სულიერებასა და ნივთიერებას, იცის, სად, როგორ მოიქცეს და არასოდეს ჰკარგავს ჯანსაღი განსჯის უნარს, ჩემი მიზანი სწორედ ამგვარი ბუნება-ზეარსობისაკენ მოწოდებაა, რამეთუ ავთანდილის იდეალი ისეთი ჰარმონიული საზოგადოების შექმნაა, სადაც თხა და მგელი ერთად მოძოვს.

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს
ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

შესაძლებელია თუ არა ამგვარი საზოგადოების შექმნა, ეს სხვა საკითხია. ახლა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, საით ისწრაფვის ადამიანი და რა თვისებანი მიაჩნია აუცილებლად იდეალის განსახორციელებლად. ამ თვისების ერთი აუცილებელი პირობა ის არის, რომ გადამწყვეტ წუთში სულიერებამ უთუოდ უნდა სძლიოს ნივთიერებას. როცა ამას ვამბობ, შეუძლებელია არ გავიხსენო ერთი კაცი ჩვენი ისტორიიდან – დემეტრე თავდადებული. მას ვერავინ მიიჩნევს ხორცის უარმყოფელ სულის კაცად. როგორც მემატიანე გვაუწყებს, მას ლხენაც ჰყვარებია, ქალებიც და ამქვეყნიური ყველა სიამე. ამის გამო კათალიკოსთანაც კი ჰქონდა შეხლა-შემოხლა. მაგრამ, როცა გადამწყვეტი წუთი დადგა, ამ კაცში სულიერებამ სძლია ნივთიერებას. ეს არის არსებითი და უმთავრესი. ყოველი კაცი, დიდი იქნება იგი თუ პატარა, ისე უნდა აღიზარდოს, რომ შეეძლოს ერს ის სიტყვა უთხრას, რომლითაც დემეტრე მეორემ მიმართა დარბაზს ურდოში წასვლის წინ:

„ისმინეთ ჩემი, ყოველთა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემისათა, ვითარმედ შეისუენა მამამან ჩემმან, დავშთი ყრმა მცირე მძლავრებასა შინა თათართასა, და ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან, და უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, და ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ მეფეთა, დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა, და მომმადლა მეფობა, სკიპტრა და პორფირი მეფობისა, და თანადგომითა თქუენითა წარვმართე მეფობა, და აქამომდე მშჯდობით ჰგიეს

სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუედიან, და აწმე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთჳს, თუ არა წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი, და აჰა ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს, იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსრვიან. და უკეთუ წარვიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქუნითა განაგეთ საქმე ესე, რამეთუ მე ესრეთ ვგონებ: მრავალმღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელი და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანა-გუაც წარსლვა სოფლისა ამისგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე ტჳრთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქუეყანა უვნებლად დარჩეს“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 287-288).

ჩვენ ამ სიტყვის არსს ღრმად უნდა ჩავწვდეთ სულ მცირე სამი მიზეზით მაინც.

ჯერ ერთი, ამგვარად იშვიათად მოვქცეულვართ და უფრო იმგვარ საქციელს ვამჯობინებდით, რომელზეც გულისტკივილით წერს დავით გურამიშვილი:

ყეენის სპასალარია,
თავს ირჭვამს მის რაყმობასა!
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს,
ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!

მეორეც, პრომეთეული საწყისი წარმოუდგენელია თავისთავის მსხვერპლად გაღების უნარის თვინიერ. პრომეთეულ საწყისთან არავითარი კავშირი არა აქვს იმას, ვინც მზად არ არის კლდეზე იქნეს მიჯაჭვული და არწივი უკორტნიდეს გულღვიძლს. გ. ასათიანს სწორედ პრომეთე მიაჩნია ქართული სულის ყველაზე ზუსტ ემბლემად (VII, 120-122). ოღონდ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ პრომეთეული საწყისი არანაკლებ დამახასიათებელია იმ ხალხისათვის, ვინც ეს მითი შექმნა, და აგრეთვე სხვა ერებისათვისაც.

მესამეც, მიუხედავად საქართველოს გრძელი ისტორიისა, ქართული ეროვნული ენერგიის სრული გამოვლენა ჯერ არ მომხდარა. იგი მომავალში უნდა გამომჟღავნდეს. ამას კი მაშინ შევძლებთ, როცა ყველა ჩვენთაგანი მიხვდება, ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ, როგორ შევათანხმოთ ჰარმონიულად სულიერება და ნივთიერება, ხოლო თუ არჩევანის წუთი დადგება, როგორ ვამჯობინოთ სული ხორცს.

როცა საქართველოს პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ ისტორიას თვალს გადავავლებთ, შეუძლებელია ერთი გულდასაწყვეტი სურათი არ დაინახოთ. ჩვენ ისტორიაშიც და ლიტერატურაშიც გვყოლია საერთაშორისო მასშტაბის მოღვაწენი, მაგრამ ქართულ კულტურას კაცობრიობის ისტორიაში ის როლი არ შეუსრულებია, რაც მას ნიჭიერების ხარისხის მიხედვით ერგება. მე აქ არ ვადარებ საქართველოს დიდ ერებს და არც ძველ ბერძნებს. ვგულისხმობ ჩვენსავე ტოლ ქვეყნებს – პორტუგალიას, დანიას, ნორვეგიას და სხვებს. თუ ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრები მსოფლიოს ყველა კუთხეში ყოველ ბავშვს უჭირავს ხელში, „ვეფხისტყაოსანი“ ძლივსძლივობით ახლა იკვლევს გზას სხვა ხალხების გულისაკენ. თუ ნორვეგიელი ჰენრიკ იბსენი მთელ კაცობრიობას ელაპარაკება ყოველი ქვეყნის სცენიდან, ქართველი ვაჟა-ფშაველა ჯერჯერობით თავის სამშობლოს საზღვარში რჩება. პატარა ქვეყნის შვილია ჰალდორ ლაქსნესი, მაგრამ ყველგან ცნობილია და ყველა კითხულობს. გალაკტიონ ტაბიძე კი ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენი საკუთრებაა და სხვათათვის უცნობია.

ჩვენ არც ისეთი გეოგრაფიული აღმოჩენებით გაგვიმდიდრებია კაცობრიობა, როგორც ეს პორტუგალიელებმა გააკეთეს (ამას გულისტკივილით აღნიშნავს გ.

ასათიანიც). არც ჩვენს მუსიკას ჰქონია ის მნიშვნელობა კაცობრიობისათვის, რაც ნორვეგიელ გრიგის შემოქმედებას აქვს. არც ქართულ ფილოსოფიურ ნააზრევს კითხულობს ვინმე ჩვენი ქვეყნის გარეთ იმგვარი გატაცებით, როგორადაც დანიელი სიორენ კირკეგორის თხზულებანი იკითხება. საკაცობრიო ღირებულების თვალსაზრისით, ჯერხანობით არც ქართულ მხატვრობას უჭირავს ის ადგილი, რაც ჰოლანდიურს. ნუ შევხედავთ ამ საკითხს აზნაურული კუდაბზიკობითა და პატივმოყვარეობით (სხვათა შორის, დავით კლდიაშვილის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ისიც არის, რომ ქართული ხასიათის კუდაბზიკური თვისება გამოამზეურა). ეს ფაქტია და ამაზე სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

რისი ბრალია ეს – ჩვენი ეროვნული ხასიათისა თუ ისტორიული გარემო-პირობებისა?

ამის პასუხად, ჩვეულებრივ, ჩევნს მცირერიცხოვანებაზე ავწუწუნდებით. თუ არ ვცდები, ქართველთა სიმცირეზე პირველად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა დაიჩივლა. „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, გვ. 359). შესაძლებელია, დავით აღმაშენებელს უფრო მრავალრიცხოვანი ხალხით მართლაც მსოფლიო იმპერია შეექმნა, მაგრამ რაც გააკეთა, არც ერთი პოლიტიკოსის ღვაწლს არ ჩამოუვარდებოდა ამქვეყნად. მან შექმნა საქართველო, რომელიც ტოლს არ უდებდა იმდროინდელ არც ერთ ქვეყანას არც პოლიტიკურ-სამხედრო და არც კულტურული თვალსაზრისით. დავითის მიერ საძირკველჩაყრილი ასწლიანი პერიოდი (1222 წლამდე, როცა ლაშა-გიორგი გარდაიცვალა) დაამშვენებდა ნებისმიერი ქვეყნის ისტორიას. სავალალო ის არის, რომ ვერ შევინარჩუნეთ და დაცემის გზას დავადექით. ამის მიზეზი კი ის „პოლივალენტური მთლიანობა“ გახლავთ, რომელიც ნარკვევში „სათავეებთან“ ქართული ხასიათის თვისებად არის მიჩნეული (VI, 98).

პოლივალენტურობის, ანუ მრავალნიშნოვანების გამო სადავო არაფერი მაქვს. მართლაც მრავალფეროვანია საქართველოს პეიზაჟი, სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის ზნე-ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა, თვისებანი, საცხოვრებელი, სიმღერა და ა.შ. ოღონდ ძალიან მიჭირს დავიჯერო, რომ მრავალფეროვნება მთლიანობად იყოს შეკრული. ისტორიულად არ არსებობდა ეს მთლიანობა და ამის შედეგია ყველა ჩვენი მარცხი. ჩემი აზრით, პოლივალენტური მთლიანობის შექმნის ცდა სამჯერ მოხდა საქართველოში.

პირველად მაშინ, როცა ფარნავაზ მეფემ ერთიანობის საფუძვლად ქართული ენა გამოაცხადა და „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“...

მეორედ მაშინ, როცა ქრისტიანობა გამოცხადდა საერთო ქართულ რელიგიად და შეიქმნა იდეოლოგიური ფორმულა – „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

მესამედ მაშინ, როცა თერგდალეულებმა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშის ქვეშ შეკრიბა ქართველობა.

ისტორიულად ქართული კულტურის ყველაზე დიდი აღორძინება-წარმატება სწორედ ამ სამ პერიოდთან არის დაკავშირებული, რამეთუ მაშინ გამოვლინდა შედარებით სრულად ქართული ეროვნული ხასიათის შემოქმედებითი ძალა და უნარი.

ფარნავაზის დროს შეიქმნა მწიგნობრობა ქართული, ე.ი. საძირკველი ჩაეყარა ქართულ კულტურას. იგია ძირი და მერმინდელი ყველაფერი მასზე შენობს.

ქრისტიანული ერთიანობის შედეგია ქართული არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშები, „ვეფხისტყაოსანი“ და საერთოდ, მე-10–მე-12 საუკუნეების სასულიერო და

საერო მწერლობა, ბექა და ბეშქენ ოპიზარების ჭედური ხელოვნება, ფრესკული მხატვრობა და კიდევ ბევრი რამ, რომელთა ჩამოთვლაც მეტად შორს წაგვიყვანდა.

მართალია, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო, „ვეფხისტყაოსანი“ არ დაწერილა, მაგრამ აღორძინდა დიდი ქართული მწერლობა (ნიმუშად ვაჟა-ფშაველაც კმარა) და რაც მთავარია, მომზადდა ქართული ეროვნული სამეცნიერო სკოლები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 ასწლეულის პირველი მეოთხედის ყველა გამოჩენილი მოღვაწე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეით იყო აღზრდილი. მათი საქმიანობის შედეგია ქართული უნივერსიტეტი და დღევანდელი ყველა სამეცნიერო სკოლა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნაყოფია ქართული პროფესიული მუსიკა, პროფესიული მხატვრობა და პროფესიული თეატრი.

საქართველოს გრძელი ისტორიის მანძილზე ეს სამი მწვერვალი მკაფიოდ მოჩანს და ბეჯითად გვეუბნება – ყოველი ხალხის ეროვნული ხასიათისა და ენერგიის სრულად გამოსავლენად აუცილებელია – ტერიტორიული მთლიანობა, იდეოლოგიური ერთიანობა და თავისუფლება.

სამწუხაროდ, ქართველობა ყოველთვის არ მოქმედებდა ამ შეგნებით. მართალია მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ ნათქვამი: „ორი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამერეთ-იმერეთი ერთ ნაჭერ მიწაზე ვცხოვრობთ. ერთად კი, ერთიან სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში ორასი წელიწადიც არ გვიცხოვრია. ერთმანეთს ჭირიანებივით გავურბოდით და ისე ვერიდებოდით, თითქოს სხვადასხვა ტომისა და სისხლისანი ვყოფილიყავით. მუდმივ ცალ-ცალკე ვიღუპებოდით და ცალ-ცალკე ვშენდებოდით“.

ამის ბრალია, რომ ქართულმა კულტურამ კაცობრიობის ისტორიაში ის როლი ვერ შეასრულა, რის შესრულებაც თამამად შეეძლო.

ჩვენი ხასიათის პოლივალენტურობის გამთლიანება იმიტომაც ვერ ხერხდება, რომ არჩევანის გაკეთება გვიჭირდა. ოთარაანთ ქვრივიც მოგვწონდა და კირილე მიმინაშვილიც. ის არ გვჯეროდა, რომ მათი გაერთიანება შეუძლებელია, რაკი ერთმანეთს გამორიცხავენ. აღტაცებული ვიყავით მინდიას სიბრძნითაც და კვაჭი კვაჭანტირაძის მარიფათითაც. ესენი რომ ერთ სახლში ვერ იცხოვრებდნენ, ამას ყურადღებას არ ვაქცევდით. ბაღვივაშების, ზურაბ ერისთავების, დარეჯან დედოფლების ციდამტკავლური ინტრიგების ახსნა-გამართლებასაც ვეძებდით და დემეტრე თავდადებულის, ცოტნე დადიანისა და ქეთევან წამებულსაც მოწიწებით ვუხრიდით თავს. იმის დაჯერება კი გვიჭირდა, რომ მათი ხატების ერთ ტაძარში დაკიდება შეუძლებელია. ესენიც ერთმანეთს გამორიცხავენ და იმიტომ. საჭიროა არჩევანი და გამთლიანების საფუძველიც მაშინ გამოიძებნება.

თუ ჩვენ გვინდა, რომ ქართული ეროვნული ხასიათი პოლივალენტურად ერთიანი და მთლიანი იყოს, თან შეურიგებლის შერიგება არ ვცადოთ, რაც უთუოდ დაფანტულობამდე მიგვიყვანს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ უარი თათქარიძეობაზე, კვაჭანტირაძეობაზე, ციდამტკავლურ შურისმგებლობასა და ინტრიგაზე, სცენაზე მდგომი კაცის პოზაზე. კირილე მიმინაშვილის ჩიტირეკიაობაზე, აზნაურულ კუდაბზიკობაზე... ხოლო სულიერებასა და ნივთიერებას შორის არჩევანის დროს ავთანდილის ზომიერება დავიცვათ. მაშინ ჩვენ არც მეტისმეტად გავყოყოჩდებით და არც სასოწარკვეთილებას მივეცემით. კარგად დავინახავთ, რომ ჩვენი ავ-კარგით ისეთივენი ვართ, როგორც ყველა ხალხი ამქვეყნად. კაცობრიობის თანავარსკვლავედში უზენაესის მიერ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობასაც პირნათლად შევასრულებთ და თავისუფლად ვისარგებლებთ ყველა იმ უფლებით, რაც ბუნებით გვაქვს მონიჭებული.

ყველა ამ საკითხზე მწვავედ უნდა ვილაპარაკოთ, რამეთუ გ. ასათიანის სამართლიანი თქმით, „ისტორიის გარკვეულ მომენტებში ქართული ხასიათი „მწარე სი-

მართლეს“ მოითხოვს (გამოფხიზლებას, მკვახე შეძახილს, უტყუარ სარკეს), რომ, უფსკრულის პირას მდგარს, თვლემა არ მოერიოს და საშიშ ზღვარს არ გადასცდეს“ (V, 141).

1980 წ.

შიში

ედიშერ ყიფიანის „ცაში ასროლილი ქუდები“ („ცისკარი“, 1970 წ., №8, 9, 10), ჩემი აზრით, უპირველესად სამი პერსონაჟით იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. ესენია ზაალ ანჯაფარიძე, თენგიზ ანუ თაზო მერკვილაძე და ეროდიონ მენაბდე. თითოეული მათგანის ცალ-ცალკე დახასიათება და მათი ბუნების ამოცნობა ნათელყოფს რომანის აზრობრივ შინაარსს.

დავიწყოთ ეროდიონ მენაბდით. ვინ არის ეროდიონ მენაბდე – ბოროტება თუ მსხვერპლი? ერთი შეხედვით, უადგილო კითხვაა. ცხადია, ბოროტება: მაქინატორი, აფერისტი, უსულგულო არამზადა. ვინც ასე ხედავს ეროდიონ მენაბდეს, მას თითქოს ამისი საბუთიც აქვს. და რაკი საბუთი აქვს, მაშასადამე, მართალიც არის. მაგრამ რომანში კონტრსაბუთებიც არის და ქმნის ეროდიონის პიროვნების ორგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. გავეცნოთ ორივე მხარის საბუთებს.

1945 წელს ეროდიონი თურმე სამშობიარო საავადმყოფოში მუშაობდა. საავადმყოფოდან მოუხსნიათ „სამეურნეო ნაწილის უფროსთან ერთად სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების გამო“ (IX, 16. რომაული ციფრი აღნიშნავს ჟურნალის ნომერს, არაბული – გვერდს). მაგრამ ავტორი იქვე ამბობს, რომ „ეროდიონ მენაბდე უფროსს ძალდატანებით ჩაუთრევია ამ დანაშაულებრივ საქმეში“. ე.ი. ეროდიონი ინიციატორი არ არის. იგი სხვისი ნების აღმსრულებელია. მას შიში ამოძრავებს.

სხვა დანაშაულიც ჩაუდენია ეროდიონს. უმუშავია სამშენებლო ტრესტის ტრანსპორტის განყოფილებაში. აქ ეროდიონს ასეთი რამ გაუკეთებია: „მოლაპარაკებია ზაჰესის დარაჯებს, არ დარიდებია მოსალოდნელ მსხვერპლს და გვიან ღამით, რამდენიმე საათი ააშვებინა თურმე კაშხალი, წყალსაცავიდან დაძრულ წყალს დიღმის მშენებლობის მიდამოებში ჩამოუტანია უამრავი სილა... მღვრიე მტკვარმა ჩაიარა, სილა დარჩა, ვითომ თვითმცლელი მანქანების მოტანილი, ინჟინერს კი ფული დარჩა“ (IX, 16). ესეც არ მომხდარა ეროდიონის ინიციატივით. აქაც შეაშინეს ეროდიონი. საქმის მოთავე მშენებლობის მთავარი ინჟინერია, რომელსაც დაუფრთხია მენაბდე. „ინჟინერი მიმხვდარა, რა ადვილი მოსაზელი ცომიც იყო ეროდიონი, რა იოლად შეიძლებოდა მისი ხელით ნარის გლეჯვა. გაუთათხია კაბინეტში. ცუდად მუშაობო, დაურწმუნებია და დამუქრებია, – მოგხსნი და პასუხისგებაშიც მიგცემო“ (IX, 16). ზაალ ანჯაფარიძეც ეროდიონის დანაშაულს შიშის ნაყოფად მიიჩნევს: „ეროდიონ მენაბდის მაშინდელი „საქმე“, ჩემი აზრით, უნდა შეიტანონ ფსიქოლოგიის სპეციალურ სახელმძღვანელოში იმის სამაგალითოდ, თუ რა ფანტაზიას უღვიძებს ადამიანს უფროსისადმი მონური შიში“ (IX, 16). ამ შემთხვევაშიაც ეროდიონ მენაბდეს შიში ამოძრავებს.

ეროდიონ მენაბდემ დანაშაული ჩაიდინა გერის – პაატა ხერგიანის წინაშეც. 15-16 წლის ყმაწილი ოთახში დაამწყვდია. არც სკოლაში უშვებდა და არც ეზოში ტოლ-ამხანაგებთან. რატომ გამოავლინა ეროდიონმა ესოდენ არაადამიანური თვისება? ისევ შიშის გამო. ერთმა ენაჭარტალა დედაკაცმა ვაიუშველებელი ასტეხა და ჭორი

გაავრცელა, პაატა ხერგიანი ზნედაცემული ბავშვიაო. ეს უზნეობა კი ორი მოზარდის ერთმანეთისაკენ უმწიკვლო ლტოლვა ყოფილა. პაატას მოსწონდა და ბავშვურად ეტრფოდა ინგას. ინგას ფილისტერ დედას ეს ბალღური ურთიერთობა ქვეყნის დაქცევად მოეჩვენა და ყველაფერი აამტუტა. შეიძლებოდა აშარი დედაკაცის ჩაჩხანს არაფერი მოჰყოლოდა, მაგრამ ინგას დედა მინისტრის ცოლი გახლდათ და მის მოთხოვნებს ზომაზე მეტად გაუწიეს ანგარიში. ეროდიონმაც შინ გამოკეტა ბიჭი, რომ ინგას აღარასოდეს შეხვედროდა. აქ ბუნებრივად ისმის კითხვა: ჩაიდენდა კი ამას ეროდიონი, ინგა მინისტრის შვილი რომ არ ყოფილიყო? შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ არ ჩაიდენდა. აქაც მენაბდის პირუტყვობა შედეგია შიშისა, ვაი თუ სამსახურიდან მომხსნან და რაღა მეშველებაო.

ეროდიონის ავკაცობის დასადასტურებლად კიდევ ერთი მისი საქციელის გახსენება შეიძლებოდა. მაგრამ აქაც მსხვერპლია ეროდიონი. ვიღაც თავგასულმა მოქეიფეებმა ზაალ ანჯაფარიძე სუფრაზე მიიპატიჟეს. ღვინით გამოყეყეჩებულ საზოგადოებაში ქეიფი ზაალს არ მოსწონდა და წასვლა მოიწადინა. მოიმიზეზა, უცხოელ სტუმრებთან მაგვიანდება, სირცხვილიაო. ერთ-ერთი მოქეიფეც წასვლის გუნებაზე დადგა: ცხრა საათზე ცოლი ჩამოდის, რომ არ დავხვდე, მომკლავსო. თამადა ლხინის გუნებაზე იყო. არც ზაალი გაუშვა და არც თანამესუფრე. გამოაცხადა, საათებს პატრონი მოუკვდა, ისრები უკან გადასწიეთო. ღვინით გამტყვრალი ამითაც არ დაკმაყოფილდა, ხელიდან საათი მოიხსნა და ბუჩქებში გადააგდო. ამან მონადიმეთა შორის დიდი აღტაცება გამოიწვია და დაიწყო საათების წარტყვევნა. საათებს ყანაში ისროდნენ და უაზროდ ხარხარებდნენ. მოქეიფეთა შორის მხოლოდ ერთი კაცი იჯდა ჩუმად და საათის გადაგდება არ უნდოდა. ეს კაცი ეროდიონ მენაბდე იყო. ეროდიონს ენანებოდა ოქროს საათის დაკარგვა, მაგრამ მაინც გადააგდებინეს. მერე ეროდიონი წამოხტა, ყანაში შევარდა, საათები მოძებნა, სამი თუ ოთხი საათი მოიტანა და მაგიდაზე დააგდო. საკუთარი საათის ხელზე გაკეთება უნდოდა, მაგრამ გაავებული თამადა ფეხზე წამოვარდა, ეროდიონს საათი გამოგლიჯა და ხეს მიახეთქა. ესეც არ იკმარა: ძირს დავარდნილ დამტვრეულ საათს წიხლი ჩასცხო. გაოგნებულ ეროდიონს კი დაცინვით უთხრა: – ესეც შენი ოქრო, ჩაიდე; გაიხარე! „ეროდიონს სახეზე სიმწრის ოფლმა დაასხა, – წერს ედ. ყიფიანი, – მაგრამ მაინც გაუღიმა უფროსს“ (IX, 27). ე.ი. ეროდიონს არ უნდოდა ველურობის მონაწილე ყოფილიყო, მაგრამ უფროსის შიშით მაინც ქედი მოიდრიკა.

საერთოდ ეროდიონ მენაბდე შიშით ავადმყოფი კაცია. მწერალი ეროდიონის ერთ უცნაურ თვისებას აღწერს: იგი შიშისაგან სივდება.

ერთხელ მთვრალ ეროდიონს პოლიტიკური ანეგდოტი წამოუყრანტალებია. ამით უსარგებლია ერთ ავკაცს და ეროდიონს დამუქრებია: „თუ მე ხელს დამადებ და, რაც გარაჟში მოხდა, ყველაფერს შენ არ დაიბრალებ, ამ შენს ანეგდოტს სადაც ჯერ არს, იქ მოვასმენინებო“. ეროდიონს შიშისაგან გული წასვლია. მაგრამ უცნაური რამ მომხდარა. „ასეთი საოცრება ჯერ არ გვინახავსო, ჰყვებოდნენ ექიმები, – იატაკზე გაშხლართული კაცი ჩვენს თვალწინ სივდებოდაო. ჩვენ ყურით გავიგონეთ და თვალით დავინახეთ, როგორ გასკდა ორ ნაწილად ყელზე შეკრული ღილი და იატაკზე აწკრიალდაო“ (X, 35).

ამ თვისების გამო ვერ გაიწვიეს ეროდიონი ჯარში. რამდენჯერაც მიიხმეს იგი სამხედრო კომისარიატში, იმდენჯერ შიშისაგან გასივდა. მერე ექიმებმა დაასკვნეს, რომ ესოდენ უცნაური გასივება ნერვიული შოკის მიზეზიაო და ეროდიონი სამხედრო სამსახურისაგან გაათავისუფლეს (IX, 15-16).

ეროდიონი შიშისაგან მაშინაც სივდება, როცა გამომძიებელს ელაპარაკება:

„მომეჩვენა თუ რა იყო, თითქოს სახე წამოუსივდა“.

„სახე ახლა ნამდვილად დასიებული ჰქონდა, არ მეჩვენებოდა“ (VIII, 9).

ироდიონი მოუსვენრად ცხოვრობს. იგი ოჯახშიაც ვერ გათავისუფლდა შიშისაგან. ეშინია, ლამაზი ცოლი მყავს და არავინ წამართვასო.

„ироდიონს ხომ იმისაც ეშინია, ასეთი ლამაზი ცოლი რომ ჰყავს. რამდენჯერ წამოსცდენია სიმთვრალეში: მქონდა მე ამის უფლებაო?“ (VIII, 22).

ტკბობის მაგიერ ხელოვნებაც შიშს ჰგვრის. მარსელ მარსოს „საკანის“ ხილვისას, დამფრთხალი ироდიონი თეატრიდან გაიპარა (IX, 41). შეიძლება ვინმემ თქვას, „საკანმა“ ироდიონს დანაშაული გაახსენა და იმიტომ უჩუმრად გაილალაო. ეგ სულერთია: ироდიონის არსებაში დასადგურებული შიში განაგებს მის ყოველ საქციელს. ამას ნათლად ადასტურებს ироდიონის დახასიათება გიორგი ლანდიას მიერ: „ироდიონს ეშინია, რომ არსებობს ამ ქვეყანაზე. ჰგონია, ვიღაცას თუ ვიღაცეებს უშლის ხელს და რადგან ხელს უშლის, ამიტომ ემტერებიან. არის რაღაც, რაც არსებობის უფლებას აძლევს ადამიანს, მაგრამ ироდიონმა არ იცის, რა არის ეს! ამიტომ ეშინია, ვაითუ არა მაქვს ცხოვრების, ბედნიერების, სიყვარულის უფლებაო“... (VIII, 22). აქ ироდიონის ბუნების არსია გამოხატული.

რამ დაბადა ироდიონში ეს ყოვლისმომცველი შიში? რა თქმა უნდა, უპირველესად უნებისყოფობამ. ироდიონი უნებისყოფო კაცია. ამას სხვა პირობაც დაერთო. ироდიონის მშობლები 1937 წელს დაუპატიმრებიათ („1956 წელს გადასახლებაში გარდაცვლილი დედ-მამის რეაბილიტაციის ცნობას იღებს“. IX, 16). უსიხარულო და მძიმე ბავშვობა ჰქონია ироდიონს. უკვე ერთხელ დამფრთხალი კაცი ტოტალური ომის შიშმაც დააძაბუნა. ძარღვებაშლილი ტყუილად კი არ ეუბნება გამომძიებელს: „თქვენ არ იცით, რა ხდება დღეს. თქვენ იმასაც არ გრძნობთ, რომ შეიძლება ხვალ, დღეს, ამ წუთშიაც ომი დაიწყოს“ (IX, 22). ეს არ არის მხოლოდ თვალთმაქცობა, მიუხედავად იმისა, რომ ზაალ ანჯაფარიძემ შეამჩნია, როცა ироდიონი ამას ამბობდა, მენაბდის გაფლაშული ფეხსაცმელები „უდარდელად, თავიანთი დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდნენ“, რამაც ახალგაზრდა გამომძიებელს აფიქრებინა: „ироდიონის აღელვება ყალბი იყოო“ (IX, 22). შეიძლება ამ კონკრეტული საუბრის დროს ироდიონის მღელვარებაში მართლაც ერია თვალთმაქცობის ელემენტი, მაგრამ საერთოდ ხომ კარგად იცის მკითხველმა, რა დაემართა ироდიონ მენაბდეს მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორ სივდებოდა იგი კომისარიატში ყოველი გამოძახებისას! მაშასადამე, ერთი შეხედვით თვალთმაქცური საქციელი მაინც ироდიონის შიშის გამომხატველია.

პათოლოგიური შიშის წყალობით დაკარგა ироდიონმა ადამიანური სახე. „Чего-то всегда остерегаясь- остаёмся ли мы людьми?“ – იკითხა ერთხელ ერთმა რუსმა მწერალმა. და ироდიონიც აღარ არის ადამიანი. ყველა დანაშაული, რაც კი ироდიონს ჩაუდენია, შიშით არის გამოწვეული, რამეთუ ყოველი ბოროტების საფუძველია შიში.

თუ რაოდენ დაცლილია ироდიონი ადამიანური თვისებებისაგან, კარგად ჩანს ერთი ეპიზოდიდან.

ერთხელ, ახალწლის საღამოს, ироდიონს სტუმრად გიორგი ლანდია ჰყოლია. ироდიონის გერი პაატა ახალთახალ სათამაშო ავტოს დაახრიგინებდა ოთახში. გიორგი ბავშვს გამოლაპარაკებია: რა კარგი მანქანა გქონიაო. აღტაცებულ ბიჭს დაუკვეხნია – თოვლის ბაბუამ მომიტანა მანქანაცა და კამფეტებიცო. ბავშვის გულუბრყვილო აღტაცება იქვე მოუკლავს ироდიონს.

„– მოგიტანა კი არა, ის არ გინდა?! – გაიცინა ироდიონმა, – დედაშენმა გიყიდა გუშინ, მაგრამ დაგიმალა, გაიგე? და როცა ჩაგეძინა, მანდ დასდო, კარის უკან, გესმის? თოვლის ბაბუას რომ მანქანები მოჰქონდეს, რა გვიჭირს“ (VIII, 20-21).

ამის გამგონე პაატა მწარედ ატირებულა და დედასთან გაქცეულა.

ასე მოუკლა ироდიონმა ბავშვს რომანტიკული რწმენა.

სხვათა შორის, ამ ეპიზოდს ერთი ხარვეზი აქვს ხასიათის გამოხატვის სიზუსტის თვალსაზრისით.

ირროდიონის სიტყვები გიორგი ლანდიას გაჰკვირვებია და საყვედურით მიუმართავს მასპინძლისათვის. ირროდიონს თავი უმართლებია:

„კაცო, ჩააგონებენ ბავშვს რაღაც სისულელეებს და... არ შეიძლება ეს მისტიკური რაღაცეები. ბავშვმა სინამდვილე უნდა იცოდეს. ეს – კაცი მოვა და ტომრით წაგიყვანს, თუ არ დაიძინეო, რაღა დააძინებს... – ეს მილიციელი დაგიჭერსო და... ახლა თოვლის ბაბუას მოუტანია მანქანა“ (VIII, 21).

აქ უკვე სხვადასხვა საგანზეა ლაპარაკი. ერთია რომანტიკა და მეორეა შიში. ბავშვი უთუოდ უნდა გაიზარდოს რომანტიკით. ეს ცხადია. მაგრამ ისიც ნათელია, რომ არავითარ შემთხვევაში ბავშვებს არ უნდა ჩავუნერგოთ შიში. როცა ირროდიონი პაატას ეუბნება, მანქანა თოვლის ბაბუას არ მოუტანიაო, იგი რომანტიკას კლავს და, რა თქმა უნდა, დამნაშავეა. მაგრამ როცა წინააღმდეგია ბავშვების შეშინების – ტომარაში ჩაგსვამენ, მილიციელი წაგიყვანსო – აქ ირროდიონი მართალია. ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით, ორი ურთიერთგამომრიცხველი აზრი აბნევს მკითხველს. ბადებს ორგვარ გრძნობას: ირროდიონის გაკიცხვისას და ირროდიონის მომხრეობისას. რა თქმა უნდა, ირროდიონს, როგორც წონასწორობადაკარგულ პიროვნებას, შეუძლია ორივე აზრი გამოთქვას. ირროდიონმა იცის, რა მძიმე სენია შიში და ხანდახან, როცა მასში ადამიანი გაიღვიძებს, პატარა პროტესტს გამოთქვამს, მაგრამ ამავე დროს რომანტიკასაც ებრძვის, რადგან რომანტიკა ახსენებს, ადამიანი ხარო. ეს უკვე აღიზიანებს ირროდიონს. ძველ ტკივილებს უღვიძებს. ირროდიონის ბუნების ამ წინააღმდეგობის გამოვლენა სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიტუაციაში შეიძლება მოხდეს და არა ერთდროულად ერთ ეპიზოდში, რაკი ეს ეპიზოდი, ავტორის ჩანაფიქრით, ირროდიონის ავკაცობის გამოსახატავად არის დაწერილი და არა მისი გაორებული ბუნების გამოსაჩენად. ამიტომ მიმაჩნია, რომ ავტორის გასროლილი ისარი აქ მიზანში ზუსტად არ ხვდება.

შიშის პრობლემა ედ. ყიფიანის რომანს გამჭოლ ხაზად გასდევს.

შიშის გრძნობა თენგიზ მერკვილაძეშიც საკმაო დოზით არსებობს. პირველი შეხედვით, ეს აზრი მკითხველს შეიძლება პარადოქსად მოეჩვენოს. მხიარული, უდარდელი ყმაწვილი კაცი, სპორტსმენი, ოცდათორმეტკილოგრამიან გირებს ცალი ხელით რომ ათამაშებს, და შიშით შეპყრობილი? მაგრამ თუ დავაკვირდებით, აქ არაფერი უცნაური და პარადოქსული არ არის. მინდა მკითხველმა ერთ ეპიზოდს მიაქციოს ყურადღება. ერთხელ ზაალი მეგობარს ესტუმრა. მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

– „პითაგორის თეორემის დამტკიცებას მივაგენი!

– რა დამტკიცება უნდოდა, ჩაგეხედა გეომეტრიის სახელმძღვანელოში!

თაზოს გაეცინა, როგორც ბავშვის გულუბრყვილობაზე ეცინებათ ხოლმე.

– სად არის გეომეტრიის სახელმძღვანელო?

– არა გაქვს? მაშინ...

– აღარსად აღარ არის...

– არ მესმის რაებს ჩმახავ. ჩაგეხედა წიგნში, რატომ იწვალე?

– აღარ არის წიგნები, აღარაფერი აღარ არის. აღარც შენა ხარ! – გაშლილი თითები თვალებზე აიფარა, თითქოს გამაქრო, – მე ორთქლის ქვაბი უნდა გავაკეთო, – განაგრძო მან, თითქოს ერბო-კვერცხის გაკეთებაზე ლაპარაკობდა.

– შენ ოფოფები ხომ არ ააფრინე?

– აი, აქა მაქვს ძველი ქვაბი, – იმავე სევდიან კილოზე განაგრძო და ხელი სამზარეულოსაკენ გაიშვირა, – ელექტრომიმდნობი ხელსაწყოც მაქვს, ბორბალიც ვიშონე. კბილანებიც, კიდევ რა უნდა არ ვიცი, აზრზე არა ვარ („აზრზე არა ვარ“, ცუდი ქართულია – ა.ბ.).

– ფიზიკის წიგნია აზრზე.

– არ მინდა წიგნი, წიგნი აღარ იქნება!

– სად აღარ იქნება, რას ბოდავ?!

– აღარც წიგნები იქნება, აღარც სახლები... აი, მაშინ, თუ შევძლებდი ორთქლის ქვაბის გაკეთებას, ეს მინდა გავიგო.

– იცი რა, შენ თუ უკვე გძინავს, რაღაცეები გესიზმრება და მე არ მიმხელ, ძალიან მიქარავ!

– მე მესიზმრება დიდი ომი, ყველა დაიღუპა, ყველაფერი განადგურდა. დავრჩი მარტო მე. სერიოზულად გეუბნები. აი, მაშინ თუ შევძლებ იმის შესწავლას ან გაკეთებას, რაც არ ვიცი, ან ცუდად ვიცი, ეს არის ჩემი ექსპერიმენტი“ (VIII, 42-43).

იქნებ ეს დიალოგი ხუმრობაა და თენგიზ მერკვილაძის პიროვნების ამოსაცნობად ნაკლებმნიშვნელოვანია? არა. ასე იოლად არ არის საქმე. ჯერ ერთი, ყოველ ხუმრობაში არის ჭეშმარიტება. ყოველი ხუმრობა რეალურ სინამდვილეს გამოხატავს. მეორეც, მწერალი ამ დიალოგს ასეთი კომენტარებით გადმოგვცემს: „თაზოს გაეცინა, როგორც ბავშვის გულუბრყვილობაზე ეცინებათ ხოლმე“..., „იმავე სევდიან კილოზე განაგრძო“... „სერიოზულად გეუბნები“... ეს კი იმას ადასტურებს, რომ გარეგნულად თითქოსდა საოხუნჯო ინტონაციით შეფერილი დიალოგი თენგიზის სულიერ აფორიაქებულებას გადმოგვცემს, თენგიზის იდუმალ შიშს გვაცნობს. რა თქმა უნდა, თენგიზის შიში და ეროდიონის შიში რადიკალურად განსხვავებულია, მაგრამ ნათესაური ელემენტების პოვნაც შეიძლება. გავიხსენოთ, რას ეუბნება ეროდიონ მენაბდე ზაალს: „გაიგეთ თქვენ, რომ პარიზის მოლაპარაკება ჩაიშალა? წაიკითხეთ, რომ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა პარიზიდან ბრძანება გადასცა სამხედრო განგაშის მდგომარეობის შესახებ?“ (IX, 22). ახლა ისიც მოიგონეთ, თენგიზმა რაღა უთხრა ზაალს: „ცუდად არის საქმე. ამხელა ქვეყნის მეთაურები შეიკრიბნენ პარიზში, ათასობით კილომეტრები გადალახეს, რომ მოლაპარაკებოდნენ ერთმანეთს, და ჩაიშალა თათბირი. ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. ომის სუნი ასდის“ (VIII, 42). რა მსგავსი აზრებია, რა ერთნაირი შეფასებაა მდგომარეობისა, რა ერთნაირი რეაქციაა!

საინტერესოა თენგიზ მერკვილაძის ქვეშეცნეული შიშის საფუძველი. ამ საფუძვლის მისაგნებად უფრო არსებითად გავეცნოთ თენგიზის პიროვნებას. ყურადღება უნდა მივაქციოთ დეტალებს. თენგიზ მერკვილაძე „თითქმის არ კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას, მე მხოლოდ 2X2=4-ს მაინტერესებს, რა სისტემაშია მოცემულიო“ (VIII, 37). უყვარს მუსიკა, მაგრამ ეს სიყვარულიც ზუსტი მეცნიერების სამსახურშია ჩაყენებული: „ფიქრობდა, მუსიკა გამოეყენებინა კიბერნეტიკული მანქანების პროგრამათა ენად“ (VIII, 37). თენგიზ მერკვილაძე ბავშვობისას დაცემულა და ყური დაუზიანებია. ხანგრძლივად მუსიკის მოსმენა აღარ შეუძლია. ყური უწყებს ტკივილს. ამან აფიქრებინა „ისეთი ფორმულის გამოგონება, სასურველ განწყობილებას რომ ჩასვამ შიგ და შესაფერის მელოდიას მიიღებ“ (VIII, 38). ე.ი. ნებით თუ უნებლიეთ, თენგიზ მერკვილაძე ცდილობს თავისუფალი ხელოვნება დაუმორჩილოს მკაცრ სისტემას, ჩასვას მეცნიერული ლოგიკის უმოწყალო ჩარჩოში. ეს კი აბსოლუტურად ცვლის ხელოვნების ბუნებას. ხოლო თუ ხელოვნებას ბუნება შეეცვლება, იგი მოკვდება. გამიზნულად თუ გაუმიზნავად თენგიზის სურვილი კლავს იმას, რაც თითქოს უყვარს. თუკი ასეა (და ვფიქრობ, რომ ასეა), მაშინ თენგიზის მუსიკისადმი სიყვარული ფიქციაა, მოჩვენებაა. ამასთან ერთად, თენგიზის სურვილი და მისწრაფება მისი სულიერი სიღატაკის დადასტურებაა. სულიერად ღატაკი კაცი კი მშიშარაა. ამდენად, სრულიად ბუნებრივია თენგიზის ფიქრი იმ დღეზე, როცა ქვეყნად აღარაფერი დარჩება და თავად ადამივით პირველი კაცი იქნება. ეს ხუმრობა კი არაა, შიშით ძლეული კაცის დარდია.

თუ შიშის პრობლემას არ მივიჩნევთ „ცაში ასროლილი ქუდების“ აზრობრივი შინაარსის ღერძად, მაშინ როგორღა დავაკავშირებთ ბებიასა და ბიჭის ამბავს რომანის მხატვრულ ქსოვილთან? მაშინ ეს ამბავი ჩასმული ეპიზოდივით იქნებოდა.

ერთხელ რესტორანში თენგიზი, ზაალი, ნაი და მელიტა ასეთი ამბის მოწმენი გახდნენ. დიდი, დევივით მსუქანი დედაბერი ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნას ასადილებდა. ბიჭმა სასწრაფოდ შეხვრიპა წვენი, სკამიდან წამოხტა და სათამაშოდ გაიქცა. გაბრაზებულმა ბებიამ მაგიდას ხელი დაჰკრა და ბიჭს უბრძანა: „შენ ბებიამ სადილი გაჭამა და მადლობას არ იხდი? გავიწყდება? მადლობას არ იხდი, შენ?“ შეშინებული ბავშვი ბებიას მიეჭრა. ბებიამ ხელი ბიჭს ტუჩებთან მიუტანა და აკოცნინა, ერთხელ, მეორედ, მესამედ... ბავშვის ზნეობრივად ასეთმა დამცირებამ და დაჩაგვრამ მთვრალი თენგიზი და ზაალი აღაშფოთა. მათ დედაბერი გალანძღეს. ამ დროს ვიღაცამ ზაალს მწარედ უბწკინა და კოჭში ქვაც სთხლიშა. ეს პატარა ბიჭი იყო. ამ ეპიზოდის წაკითხვა საკმარისია, რომ ნათლად დაინახოთ, რამ აიძულა უსუარი ბებიას გამოქომაგებოდა. დათრგუნული თავისუფლება და დაუძლეველი შიში იცავდა და ექომაგებოდა მჩაგვრელ ბებიას. ეს ეპიზოდი მხოლოდ პრობლემატიკით ერწყმის ორგანულად რომანს. სხვანაირად რომანის ამბებისა და ამ შემთხვევის დამაკავშირებელ ძაფებს ვერ მოძებნით. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ მწერალმა რომანის აზრობრივი შინაარსი კიდევ ერთი კონკრეტული სურათით ნათელყო.

სხვათა შორის, ამ ამბის მოყოლის შემდეგ, რომანში წერია: „არა, ბებიას არ გამოექომაგა იგი: მონა იცავდა ბატონს, რომ ხვალაც და ზეგაც დაეპურებინათ“ (X, 12). მწერალმა დაასწრო მკითხველს და დასკვნა თავად გააკეთა. ეს არ იყო საჭირო. ეპიზოდის არსი იმდენად ნათელია, რომ ყოველი კაცი მის შინაარსს ცხადად კითხულობს. დასკვნების გამოტანა უნდა მკითხველს ვაცალოთ. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა ავტორი დასკვნას თვითონ გვთააზობს. არის სხვა შემთხვევებიც. მაგალითად, როცა მარსელ მარსოს „საკნით“ შეშინებული ირროდიონ მენაბდე გაიპარა, ზაალმა აღტაცება ვერ დამალა და გულის ნადები გაამჟღავნა: „თუ მართლა ასეა, მაშინ, მოდი, ბატონო ირროდიონ, ამ დიდი ყანწით... ოღონდ ბოლომდე უნდა დალიოთ, მეჩქარებაო და რომელი საათიაო, არ გამაგონოთ, მოუკვდეს პატრონი დროსა და საათს... ამ დიდი ყანწით, მოდი, ხელოვნებას გაუმარჯოს!“ (IX, 41). აქაც ყველაფერი გაიგო მკითხველმა: იმასაც მიხვდა, რამ შეაშინა ირროდიონი და რატომ გაიპარა. იმასაც ჩაწვდა, რომ ზაალისთვისაც არაფერი დარჩებოდა გაუგებარი. აღწერილი სიტუაციის საიდუმლოც ამოიცნო. ამიტომ ზედმეტი განმარტების აუცილებლობა არ არსებობს.

კიდევ ერთ ეპიზოდში დგას შიშის საკითხი ასევე აშკარად და ღიად.

ეზოში პაატა ხერგიანი და მისი ამხანაგები ფეხბურთს თამაშობდნენ, ბურთი მეზობელ ეზოში გადაუვარდათ. ერთ-ერთი მოთამაშეთაგანი ბურთის მოსატანად გაიქცა. ამ დროს ეზოში ვიღაც უცხო ბიჭი შემოვიდა. უცხომ ბურთის მოსატანად წასული ბიჭის ჩანთა აიღო, წიგნები გადმოყარა და ჩანთის წაღება დააპირა. პაატა ქურდს ეცა. გაიმართა ცემა-ტყეპა. პაატამ იმარჯვა და მიუხედავად იმისა, რომ ქურდი ბევრად უფროსი იყო, ჩანთა მაინც დაინარჩუნა. ამასობაში ბურთიც მოიტანეს და ბიჭებმა თამაში გააგრძელეს. უცხო მაწანწალა კი მოშორებით კიბეზე ჩამოჯდა და თამაშს უყურებდა. უცბათ ბურთი მიუგორდა ფეხებთან. ბურთის უკან გადმოგდებას აპირებდა, მაგრამ რა დაინახა, ბურთის ასაღებად პაატა მოდისო, გაყუჩდა, თავი ჩაღუნა და გაინაბა, გულმართალი პაატა არავითარ მზაკვრობას არ მოელოდა. ბურთის ასაღებად რომ დაიხარა, უცხომ მოულოდნელად წიხლი ჰკრა, წააქცია და სცემა.

აბა, მითხარით ვინ ჩაიდენს ამას, თუ არა ლაჩარი, მხდალი და მათხოვარი? მზაკვრობა და ბოროტება აქაც ვაჟკაცობის უქონლობამ და შიშმა დაბადა.

ადამიანმა თავისუფლად და ლაღად რომ იცხოვროს, შიშისაგან უნდა გათავისუფლდეს, შიში მოიცილოს. სულერთია, რითაც უნდა იყოს ეს შიში გამოწვეული.

როცა პაატა მესამე სართულიდან გადმოვარდა და სასიკვდილოდ დაიმტვრა, ზაალ ანჯაფარიძე შიშმა შეიპყრო: ვაითუ, ბიჭმა თავი მოიკლაო.

„სისულელეა, – ჩემს აზრს ხმამაღლა ვუმხელ ცარიელ ოთახს და სააბაზანოში გავრბივარ პირის დასაბანად. – სისულელეა, – ვლუღლუღებ წყლით სავსე პეშვში, – თხუთმეტი წლის ბიჭი და თავის მოკვლა? წარმოუდგენელია! – ვარწმუნებ ჩემს თავს სარკეში“ (VIII, 4).

რატომ აფრთხობს თვითმკვლელობის აზრი ზაალს? იმიტომ, რომ იგი პატიოსანი კაცია და პასუხისმგებლობის გრძნობა აწუხებს.

„დღეს ბავშვმა ეს არ უნდა ჩაიდინოს, – ვფიქრობდი გულში, – როცა მე ვცხოვრობ ამ მიწაზე და დავდივარ ამ ქალაქში, ბავშვს ეს აზრად არ უნდა მოუვიდეს, თითქოს მაშინ მე ვიქნები დამნაშავე. ასე მგონია, თუ დავიჯერებდი ამ საშინელ ამბავს, აზრი დაეკარგებოდა ყველაფერს, ყვითელი ბუშტივით ჩაიჩუტებოდა მზე, გულს ამირევდა ყვავილების სურნელება“ (VIII, 7).

„თუ დღეს ყალბად და უწესოდ ცხოვრობ, თუ სიმართლეზე თვალებს ხუჭავ, მაშინ არა მარტო შენს დანაშაულში, ყველა დანაშაულში მიგიძღვის ბრალი“ (IX, 34).

როგორც კი ტრაგიკული შემთხვევის ნამდვილი არსი შეიტყო, ზაალ ანჯაფარიძემ თავისუფლად ამოისუნთქა.

„პაატას ფეხი დაუცდა...

პაატას ერთი წუთითაც გულში არ გაუვლია საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა.

. . .

ამ ჭეშმარიტებამ, როგორც ნიჟარაში ჩასმულმა მარგალიტმა, თითქოს შიგნიდან გამანათა და ამამსუბუქა. ასე მომეჩვენა, რომ ვიხსენი ჩემი თავი და ჩემი ახლობლები, მძიმე ბრალდებას გადავარჩინე ჩემი ქალაქი“ (X, 30).

მიუხედავად ასაკობრივი განსხვავებისა, პატიოსნებისა და შიშის ერთნაირი შეგრძნება აქვთ ზაალ ანჯაფარიძესა და პაატა ხერგიანს. ამას ადასტურებს შემდეგი ამბავი:

მასწავლებელმა სკოლაში ხუთასი მანეთი დაკარგა. ეჭვი პაატას თანაკლასელებზე მიიტანეს. ბავშვები უდანაშაულონი იყვნენ, მაგრამ თავის მართლება არაფრით შეეძლოთ. კლასის დამრიგებელი, ავადმყოფი ქალი საავადმყოფოში დააწვინეს. ბავშვებმა იფიქრეს, ალბათ ჩვენს კლასში მომხდარმა ამბავმა კიდევ უფრო დააძაბუნა და მოტეხა ისედაც ავადმყოფი ქალიო და მთლად მოიქუფრნენ, ანერვიულდნენ და შეშინდნენ. მალე გამოირკვა, რომ მათემატიკის მასწავლებელს ფული არ დაუკარგავს, ინციდენტი გაუგებრობის შედეგად მომხდარა. ბავშვებმა გაიხარეს.

„უნდა შეგეხედათ ამ დროს პაატასათვის, თანდათან გაუდიდდა თვალები, თანდათან გაივსო შუქით.

. . .

ღრმად ჩაისუნთქა ბავშვმა ჰაერი და სუნთქვა შეეკრა. სიხარულმა შეუკრა ალბათ სუნთქვა და ხმა აღარ ამოაღებინა. რაღაც წამოიძახა, რაღაც გაურკვეველი ბგერები... ქუდი მოიძრო თავიდან და ორივე ხელით მაღლა აისროლა“ (IX, 10).

მერე ბიჭი საავადმყოფოში გაიქცა და მომაკვდავ მასწავლებელს თანაკლასელების სიმართლე და პატიოსნება შეატყობინა.

ადამიანი მაშინ არის თავისუფალი, პატიოსანი, გაბედული და ვაჟკაცი, როცა შიშს მოიცილებს. ამიტომ ცდილობს პაატა და ზაალიც მჩაგვრელი ეჭვისაგან თავის დახსნას. საკმარისია, ეჭვი გაიფანტოს და დაუბრუნდებათ ნებისყოფის თავისუფლება, მოვლენების სიმართლით განჭვრეტის უნარი. დაუბრუნდებათ სიმშვიდე.

ხშირად გარემომცველი სამყარო აშინებს ადამიანს. ამ გრძნობისაგან გასათავისუფლებლად იდეალი სჭირდება, რაც გაუნათებს ცხოვრების გზას. ედ. ყიფიანის

რომანში ასეთ იდეალად წარმოდგენილია გოჩა ხერგიანი, პაატას ომში დაღუპული მამა. მწერალმა იგი რომანში ჩართული წერილებით გაგვაცნო. ამ წერილებიდან იცქირება პატიოსანი, უშიშარი, ცოლ-შვილისა და, საერთოდ, ადამიანების მოყვარული ვაჟკაცი. მისი პიროვნება ხიბლავს არა მარტო პატარა პაატას, არამედ ზაალ ანჯაფარიძესაც და ნაი რატიანსაც. მაშასადამე, გოჩა ხერგიანის პიროვნებაში მწერალი თავს უყრის ყველაფერ საუკეთესოს, რისკენაც მისი გმირები მიისწრაფიან. მაგრამ, სამწუხაროდ, გოჩა ხერგიანის სახის ხატვისას ავტორს ერთი შეცდომა გაეპარა. დავუგდოთ ყური, რას წერს ედ. ყიფიანი:

„მოულოდნელად გოჩამ მტრის ქვემეხი გამართა და ობერ-ლეიტენანტს რევოლვერი მკერდზე მიაბჯინა.

– ესროლე! – უყვირა გოჩამ და ქვემეხზე მიუთითა.

გერმანელი ჯერ ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდნენ:

– ესროლე! – დაუღრიალა გოჩამ და რევოლვერის ჩახმახი გააწკარუნა.

ობერ-ლეიტენანტს თვალები გადმოეკარკლა. გონს მოეგო, იაზრა, რასაც მოითხოვდნენ მისგან. არტილერისტი იყო და ხვდებოდა, საით იყო დამიზნებული ქვემეხი, თავისივე ხელით თავისიანებისათვის უნდა ესროლა.

– ჩქარა-მეთქი, თორემ გაგათავე!

უეცრად ობერ-ლეიტენანტმა ელვისებური სისწრაფით საიდანღაც იძრო მოკლე დანა და გულში ჩაიცა. ერთხანს კვლავ ფეხზე იდგა, მერე მოცელილივით ჩაიკეცა. დანას დააკვდა.

გოჩას ხმა არ ამოუღია“ (X, 27-28).

რა თქმა უნდა, ომში ყველაფერი ხდება. მაგრამ ეს მწერალს არ დაუწერია ომის საშინელებათა სურათის დასახატავად. იგი უფრო გოჩა ხერგიანის პიროვნების გამოსაჩენად სჭირდება ავტორს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გოჩას გარკვეულად იდეალის ფუნქცია აკისრია. მაგრამ კონკრეტული საქციელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ გერმანელმა ოფიცერმა აჯობა გოჩას. ომსაც აქვს თავისი ეთიკა. ჯარისკაცს არა აქვს უფლება იყოს ჯალათი. რასაც გოჩა მოითხოვს გერმანელისაგან, ეს ჯალათის მოთხოვნაა, თან შეშინებული ჯალათისა. ამას გერმანელმა ჯარისკაცის ვაჟკაცობით უპასუხა, რითაც დაჩრდილა გოჩას პიროვნება. ჭეშმარიტი ვაჟკაცი ის არის, ვისაც მტრის მამაცობის დაფასება შეუძლია. ამ ეპიზოდს კორექტივი სჭირდება. მწერლის მიზანი და საშუალება ერთმანეთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. მხატვრული ამოცანა ჰარმონიულად უნდა გადაწყდეს.

მკითხველი იოლად დაინახავს, რომ ყურადღება რომანის მხოლოდ ერთ მოტივზე გავამახვილე. სხვა საკითხებს არ შევხებივარ. ეს იმიტომ, რომ ჩემი ღრმა რწმენით, იგია რომანის ძირითადი აზრობრივი შინაარსი. ამით არის ედიშერ ყიფიანის „ცაში ასროლილი ქუდები“ ფასეული და საყურადღებო.

1971

სულის პური

ვინც რევაზ ინანიშვილს კარგად იცნობს, თავდაპირველად შეიძლება გაუკვირდეს კიდეც ის ეპიგრაფი, რომელიც მწერალმა წაუმძღვარა მოთხრობას „სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“: „ვუძღვნი ნ. ლორთქიფანიძის თავსაფრიანი დედაკაცის ხსოვნას“. აქ რ. ინანიშვილისათვის უცხო ლიტერატურული კოკობზიკობის გამოძახილი ისმის. მაგრამ თუ ღრმად დავაკვირდებით, კარგად დავინახავთ, რომ სრულიად არ არის ასე. ეს ეპიგრაფი ალალად არის დაწერილი. უფრო მეტიც, იგი რ. ინანიშ-

ვილის უშუალობის დადასტურებაა. მწერალი ალბათ არც დაფიქრებულა, როგორ აღიქვამდა მკითხველი მიძღვნას. გულში დაბადებული გრძნობა ბალღური მიამიტობით გამოთქვა. სწორედ ეს უშუალობაა მაგნიტური ხიბლი, რითაც გიზიდავთ რ. ინანიშვილის პიროვნებაც და შემოქმედებაც. ამის მიღწევა ხელოვნურად შეუძლებელია. იგი ბუნებამ უნდა დაგანათლოს.

„საღამო ხანის ჩანაწერებსაც“ **ბუნებრიობა** და **უშუალობა** ამშვენებთ. „მე ვწერ იმაზე, რასაც ყველაზე კარგად ვიცნობ. ყველაზე კარგად კი ჩემს თავს ვიცნობ“. მართალია, ამას რ. ინანიშვილის პერსონაჟი ამბობს, მაგრამ აქ მწერლის პოზიციაც არის გამჟღავნებული. ეს ცოდნა და ნაცნობობა აძლევს მწერალს საშუალებას სულის უფაქიზესი ძაფებით დააკავშიროს მკითხველი პერსონაჟებთან, მოულოდნელად, შეუმჩნევლად გახადოს ისინი ახლობელნი და შინაურნი. მერე ისე გეჩვენება, თითქოს ამ ადამიანებს დიდი ხანია იცნობდი, მეზობლობდი, მეგობრობდი, იცოდი მათი ასავალ-დასავალი, ხასიათი, ბუნება. უკან მოიხედავ, გაიხსენებ და აღმოჩნდება, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობს. მაგრამ ამ ჩვეულებრივ ატმოსფეროში რ. ინანიშვილის მიერ შექმნილი ლირიზმითა და ინტიმით დაბანგული დაბორიალებ და თავი ვერ დაგიღწევია. არ გინდა ამ ადამიანებთან გამოთხოვება, მათთან ურთიერთობის გაწყვეტა.

მაინც ვინ არიან ისინი? უბრალო, რიგითი, პატარა ადამიანები (ცხადია, ტერმინი „პატარა ადამიანი“ პირობითია).

პატარა ადამიანი ყოველთვის იყო კლასიკური ლიტერატურის ყურადღების საგანი. გაიხსენეთ თუნდაც გოგოლის, ფრანსის, ჩეხოვის და სხვათა პერსონაჟები. კლასიკურმა ლიტერატურამ (როგორც უცხოურმა, ისე ქართულმა), აღმოაჩინა და გვიჩვენა პატარა ადამიანის სულის მშვენიერება. რ. ინანიშვილმა კი მიაგნო და წარმოგვიდგინა პატარა ადამიანის **ძალა.** მოვიტან ორიოდე ნიმუშს გამოთქმული აზრის საილუსტრაციოდ.

საბავშვო ბაღის ვესტიბიულში ვანო ბუჭყიაშვილი ბიჭს უცდის. იგი უბრალო მუშაკაცია, მშრომელი და მართალი. უცბათ ვესტიბიულში პატარა გოგო შემოვარდება. უცხო კაცს დაინახავს და საუბარს გაუბამს.

„– ავეჯი სულ არა გაქვთ?

– ნწ, სულ არა გვაქვს. ავეჯი რომ გვქონდეს, როგორღა ვითამაშებდით?!

– რას ვეღარ ითამაშებდით?

– ფრენბურთს, ოთურმას, დაჭერობანას.

გოგონამ ფუნჩულა ხელით ქვედა ტუჩის სრესა დაიწყო, ვანო კი განაგრძობდა:

– ჩვენ ტანსაცმელიც ისეთი გვაქვს, სადაც გინდა ჩაჯექი. აი ნახე!

ვანო იატაკზე დაჯდა, გოგონას გაუცინა და ისევ სკამს დაუბრუნდა“ („ვანო“).

ვანო ბუჭყიაშვილი ღონიერი კაცია. იმის გამო კი არა, რომ გლეხკაცის უდრეკი ქედი და დაუღლელი მარჯვენა აქვს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამაოების ჭიამ ვერ შეჭამა, საგნებმა მონად ვერ გაიხადეს. იგი დარჩა ლაღი, ამაყი, თავისუფალი.

ხანდაზმული კაცი რედაქციაში ზის და მუშაობს. უხალისო ცხოვრების ჭაპანს უდრტვინველად ეწევა. ერთხელ რედაქციაში ახალგაზრდა პოეტი ქალი მოვიდა. პოეტესას ლექსები დაუწუნეს და გაწბილებული უკან გააბრუნეს. ხანდაზმულ კაცს ქალი შეეცოდა, დერეფანში წამოეწია და გამოელაპარაკა.

„– თქვენ შესანიშნავი პოეტი ხართ, – უთხრა მამაკაცმა. – გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, დიდი პოეტიც. მეც კარგი პოეტი ვარ, ამჯერად მოდიდან გამოსული, და რას გირჩევთ, იცი? შინ რომ მიხვალთ, თმა შეიღებეთ. იღებეთ ხან შავად, ხან წითლად... ყველაზე უკეთესია, თუ მწვანედ შეიღებავთ, ან კბილს ამოიღებთ. ეს ძალიან მოქმედებს პოეტური ბუნების ადამიანებზე. მე, როგორც ხედავთ, თმა ვეღარ მშველის. შეხედეთ, – მამაკაცმა ფოლადის კბილების მთელი წყება გამოაჩინა, – მე კბილებს ვიგლეჯ ხოლმე, მოვიგლეჯ და ჩავისვამ, მოვიგლეჯ და ჩავისვამ...

ქალიშვილს ნელ-ნელა გაეღიმა და მერე ისევ ნელა გადმოუგორდა ლამაზი თვალებიდან ორი კურცხალი“ („მოდიდან გამოსული პოეტი“).

მკითხველი ამ კაცის ცხოვრებას სრულად არ იცნობს. თუმცა უტყუარი გუმანით გრძნობს და იცის, რომ უცნობს ბევრი უნახავს და ბევრი განუცდია. ცხოვრებასთან ჭიდილში დაცემულა კიდეც, მაგრამ მაინც წამომდგარა. იმდენი გულის სითბო შეუნახავს, რომ შეუძლია სხვაც გაამხნევოს, წაახალისოს. შეგიძლია ენდო. არ გიღალატებს, მხარში ამოგიდგება და სამშვიდობოს გაგიყვანს.

რ. ინანიშვილი გვიჩვენებს პატარა ადამიანების ძლიერების წყაროსაც. პირველი წყაროა **სიყვარულით გამთბარი გული.**

შეზარხოშებული დათიკო შინ ბრუნდება. მდინარის პირას ორი მამაკაცი და ერთი ქალი შეამჩნია. ლამაზმა ქალმა მიიქცია დათიკოს ყურადღება. დააკვირდა და დაინახა, რომ მამაკაცები დინამიტის აფეთქებას აპირებენ მდინარეში. დათიკო აენთო და ვიგინდარებს წინ გადაეღობა. ჯერ ბრაკონიერებს ეგონათ, შევაშინებთო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მაშინ გარეწრებმა უკაცურ ხერხს მიმართეს: დათიკოს თვალებში სილა შეაყარეს, ქალმა კი თავში ქვა ჩაარტყა. დარეტიანებული დათიკო დაეცა. კარგა ხნის მერე გამოფხიზლდა. ისინი უკვე გაპარულიყვნენ. წამოდგა. ვაივაგლახით ცხენზე შეჯდა და შინ გასწია.

„მიეზაყებოდა ცხენზე – სველი, შუბლზე თმამიწებებული, შიგადაშიგ იღიმებოდა და თან სულ ამას იმეორებდა: „გაიგე ლამაზი ქალისა რამე! გაიგე ლამაზი ქალისა რამე!“ ჩაზლაყუნდებოდა, ან თავს აიქნევდა, კეფა ეტკინებოდა და ღიმილში სიმწარე გაერეოდა. „უუ, თქვენი!..“ („ლამაზი ქალი“).

ბოროტმოქმედთა მიმართაც კი არ უჩნდება დათიკოს მტრობისა და შურისგების გრძნობა. ავკაცობამაც კი ვერ სძლია მის ხალასსა და მართალ ბუნებას.

მეხუთე გოგო იყო და მამამისს მისი დაბადება არც გახარებია. თოთხმეტი წლისა გაათხოვეს. ვიღაც ჩაბურვაკებულმა მენახირემ წაიყვანა. სიყვარულის მაგიერ, შიშით უყურებდა ბარბალე ამ კაცს. მოთმინებით ელოდა ხსნას. ერთ დღეს მუღანლოელმა ყაჩაღმა მოკლა ბარბალეს ქმარი. მერე ბედმა გაუღიმა და კაცურ კაცს შეახვედრა. შვილებიც ეყოლა ბარბალეს. როცა ეგონა ცხოვრება კალაპოტში ჩადგაო, მაშინ დაენგრა ყველაფერი ქალს. მისი ქმარი დააპატიმრეს და სამუდამოდ დაკარგეს. წელზე ფეხს იდგამდა ბარბალე და ისე დაზარდა შვილები. იმათაც აღარ დააყოვნეს და ქალაქში გადასახლდნენ. დარჩა მარტოდმარტო მოხუცი ქალი. მაინც თავაუღებლად შრომობდა და ქალაქში შვილებთან ეზიდებოდა სარჩო-საბადებელს. არავის ეცალა ბარბალესათვის. კაკალი რაა, კაკლის დაბერტყვაშიც კი არ ეხმარებოდნენ. აქაოდა, მოუცლელნი ვართო. შენი ბიჭი სად არის, ის რატომ არ ბერტყავსო და არხეინად აუვლიდნენ გვერდს ბარბალეს ეზო-კარს. მტრის გულის გასახეთქად თავად ავიდა კაკალზე. ხალხა მოიქნია, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და „იგრძნო, იღუპებოდა. მაინც ხმა არ ამოუღია. მიწაზე დაცემულმა ერთი შესძლო, მუხლებზე კაბა გადაიფარა. კიდევ კარგი, რომ ვიღაცამ შემთხვევით მოჰკრა თვალი. გეგონებოდათ, მყუდროზე მიწოლილა და მისძინებია“ („სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“).

ცხოვრების მძიმე გზა გაიარა ბარბალემ, მაგრამ საყვედურიც კი არ დასცდენია არავის მიმართ: არც მამის, არც პირველი ქმრის, არც შვილების და არც მეზობლებისა. შურისგება და ბოროტება ხომ არა და არ გაუვლია გულში. იგი შრომობდა და მხოლოდ სიყვარული ასულდგმულებდა. სიკვდილის წინაც კი არ დაკარგა წონასწორობა და შეინარჩუნა უნარი გაფრთხილებოდა ქალურ ღირსებას: მუხლებზე კაბა გადაიფარაო, ამბობს მწერალი. ასეთ სულიერ ძალას ვერაფერი დათრგუნავს, სიკვდილიც კი. ამიტომ ბარბალე მიძინებულს ჰგავს და არა მიცვალებულს. არსებობის ერთი ფორმა შეცვლილია მეორეთი.

პატარა ადამიანის ძლიერებას კიდევ ერთი წყარო კვებავს – **სიწმინდე** და **სიხალასე**. ადამიანი მაშინ არის უძლური, როცა სულიერ წონასწორობას კარგავს, გული

ბოღმით უსივდება და შურის მატლი ხრავს. იგი თავისთავს ვეღარ ერევა და დამარცხებული სხვის წახდენაზე ოცნებობს. ეს გრძნობა სრულიად უცხოა რ. ინანიშვილის დათიას, გოგიასა თუ ევასათვის. გულქართლი ძმები („დათია და გოგია“) ალალი შრომით და სუფთა ოცნებით ცხოვრობენ, თუმცა ერთი მათგანი პრაქტიკოსია და მეორე – ფანტაზიორი. ერთს მსხმოიარე ხეები უყვარს და მეორეს უნაყოფო ალვები. ერთს წამით მოცდენაც ეზარება და სულ მიწას ჩაჰკირკიტებს, მეორეს შეუძლია წამოწოლილმა საათობით ადევნოს თვალი, როგორ მოძრაობენ ღრუბლები. მაგრამ მათ განუყრელად აკავშირებთ ერთი რამ – ხალასი ბუნება. ძმები ომში დაიღუპნენ. მაგრამ ისინი მაინც ამსოფლად დარჩნენ.

„... ჩვენ, ვისაც კი როგორღაც გულზე გვება ეს ორი ობოლი ძმა, თუკი მათი ვენახისაკენ მოვხვდებით, არ შეიძლება ერთხელ მაინც არ ავხედოთ ამ ალვის ხეებს. ავხედავთ ხოლმე და გვეჩვენება, რომ ცის ის ნაჭერი უამრავი კენწეროებით არის სავსე, საიდანღაც ჩაბინდული ნიავი მოდის, მაღლა-მაღლა წასული კენწეროები რბილად გადმოხრილან ნაღვლისფერი მიწისაკენ, მიდამო მათი ფოთლების იდუმალი ჩურჩულით არის შეპყრობილი, და ყოველივე ამას ობოლი ძმების ჩვენსკენ მოსწრაფებული სულები სჩადიან“.

რა გულმხეციც უნდა იყო, შეუძლებელია უკან არ დაიხიო ევას უმანკოების წინაშე, პატივი არ სცე და არ დაემორჩილო („ევა“). სიწმინდე იწვევს ნდობას და თანაგრძნობას. ხოლო სადაც თანაგრძნობაა, იქ ბოროტება ვეღარ ისადგურებს. შეიძლება ამიტომაც რ. ინანიშვილის პერსონაჟთა შორის იშვიათად შეგხვდებათ ავკაცები. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს სიკეთეს გაუძევებია ბოროტება და მარტოდმარტო გაბატონებულა. მაგრამ, ცხადია, ეს შეუძლებელია. ბოროტება ჩრდილივით თან დასდევს სიკეთეს. აეტორღიალება და არ სცილდება.

ერთხელ მეზობელმა ვანო ბუჭყიაშვილს ასეთი რამ უთხრა: „– შენ, ჩემო ვანო, პატიოსანი კი არა, მშიშარა ხარ და იმიტომ ვერ შოულობ ბევრ ფულსო. მაშინ ვანომ იმის საბუთად, რომ მშიშარა არ იყო, სასაცილო რამ თქვა: „მე შემიძლია შიშველი ხელებით გველი დავიჭირო, მე შემიძლია, რაც უნდა ავი ძაღლი იყოს, ხელში ავიყვანო. ამაზე მეზობელმა, გზააბნეულ ბავშვს რომ დაუყვავებენ, თითქმის ისე დაუყვავა: ეგეთი სიმამაცე, ჩემო ვანო, დღეს საკმარისი აღარ არის, ახლა ადამიანის არ უნდა გეშინოდეს, თორემ გველი და ძაღლი... გველი და ძაღლი რა სახსენებელია ადამიანთანო“ („ვანო“). მეზობელს უნდა შხამი ჩააწვეთოს ვანოს სულში და მოწამლოს. მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა. აგრე იოლად არ შეიძლება ვანოს მორევა. შეიძლება წამით გუნება გაუფუჭო, მაგრამ მალე ისევ გახალისდება და მტკიცედ გააბოტებს მადლიან მიწაზე.

როცა მოთხრობას ვკითხულობდი, ვანოს მეზობლის სახელს ვეძებდი და ვერ ვიპოვნე. ამან დამაფიქრა და დავაკვირდი: არსად „საღამო ხანის ჩანაწერებში“ ავკაცს სახელი არ ჰქვია: არც იმ ბრაკონიერებს, დათიკოს რომ ქვა ჩაარტყეს, არც იმ სათვალებიან რედაქტორ ქალს, პატარა პოეტესას უსულგულოდ რომ დაუწუნა ლექსები, და არც სხვებს. ეს უკვე შემთხვევა აღარ არის. ეს კონცეფციაა. ბოროტი კაცი პიროვნება არ არის. არც ბოროტებას აქვს დამოუკიდებელი არსებობა. იგი კეთილკაცობისა და სიკეთის ხარჯზე ცხოვრობს. პარაზიტია და იმიტომ. ხორცმეტია და იმიტომ. როგორც ავადმყოფობა დაეძებს ჯანსაღ სხეულს დასაბუდებლად, ისე დაეძებს ბოროტება სიკეთეს. ამის შეგნება იწვევს სევდას, დარდს. სევდის განწყობილება „საღამო ხანის ჩანაწერებში“ ავლენს რ. ინანიშვილის მწერლურ კეთილშობილებას. ეს კანონია. ამქვეყნად ყველაზე მხიარული წიგნი „დონ-კიხოტი“ გაჟღენთილია სევდით. ამიტომაც არის ლამანჩელი რაინდი უკეთილშობილესი კაცი და მისი ავტორი დიდი ჰუმანისტი. ბოროტებისათვის უცხოა სევდა. ბუნებრივიც არის. თუ ბოროტებას მოერევა დარდი, მაშინ იგი (ბოროტება) ფუნქციას დაკარგავს. ამდენად სევ-

და მხოლოდ სიკეთის თანამგზავრია. „საღამო ხანის ჩანაწერები“ სიკეთის წიგნია და სევდაც კანონზომიერად არსებობს მასში.

ვისი ბედი იწვევს სევდას? ნინოს, თინიკოს, ირაკლის, ბარბალესი, დათიასი, გოგიასი და სხვათა. თითოეული მათგანი უკეთილშობილესი პიროვნებაა. ისინი სიამაყით გავსებენ და მათი არსებობა იმედია, სევდით დაბადებული იმედი.

ქართველმა კაცმა ულამაზესი სიმღერა შექმნა – „ურმული“. იგი მთვარიანი ღამით, მარტოობით, შრომით, ადამიანის და პირუტყვის მეგობრობით აღძრული სევდაა. ახლა ნახეთ, რას ამბობს რ. ინანიშვილი მეურმეზე:

„მაგრამ სულ სხვაა ურმისა თუ ფურგონის ჯაყჯაყი. ამ ხმას მშვიდად ხვდები, რადგანაც იცი, ადამიანმა, რომელმაც გამართა ურემი, უღელში შეაბა ხარები, იმთავითვე უარი თქვა გულის გამალაღებელ ქროლვაზე. იგი დაემორჩილა სხვა ადამიანების, საზოგადოების აზრს – გზას. ამ გზაზე, სხვების თვალწინ, ერთი ადგილიდან მეორეზე უნდა გადაიტანოს მძიმე ტვირთი. ეს კი კეთილი საქმეა, ტვირთის ზიდვა“ („ფანჯარასთან ღამის პირველ საათზე“).

ე.ი. კეთილი საქმის შემოქმედმა შექმნა სევდიანი ჰიმნი. ასეთია ცხოვრება.

„მზია, ბევრი რამ არის კარგი ამქვეყნად, მაგრამ მე ასე მგონია, იმაზე კარგი მაინც არაფერია, სიცხეში მწვანე ბალახწაფარებული მუხის სველი კასრით ცივ წყალს რომ მიუტან მწყურვალ ადამიანებს, ან არადა პურს – დამშეულებს. როგორი მადლიერებით შემოგყურებენ, რომ იცოდე, როგორი უმწეონი არიან შენთან შედარებით“ („ფანჯარასთან ღამის პირველ საათზე“).

მაშინაც უმწეოა ადამიანი, როცა სულის პური აკლია. სულის პურის მიწოდებაც ისეთივე კეთილი საქმეა, როგორც მწყურვალისათვის წყლის მიტანა. მაგრამ ეს კეთილი საქმე მაშინ იძენს ღირებულებას, როცა იგი მართალია და გულწრფელი. სხვანაირად მწერლობა უქმი შრომაა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნიჭიერება შეუძლებელია იყოს ცრუ და ორპირი. „საღამო ხანის ჩანაწერების“ ქვეტექსტიც სწორედ სიცრუის წინააღმდეგ არის მიმართული. ყველაზე დიდი დანაშაული და ბოროტმოქმედება, მწერლობის საშუალებით, ადამიანის მოტყუებაა. ეს რ. ინანიშვილის მწერლური შეგნებაა. ამიტომაც გულღიად გველაპარაკება იგი და გვიამბობს იმას, რაც განუცდია, უნახავს, გაუგონია. ამ გულწრფელობის ჯილდოდ დაიმსახურა მან მკითხველის ნდობა. ჩემი ღრმა რწმენით, მწერლისათვის ყველაზე მაღალი ეს ჯილდო არც „საღამო ხანის ჩანაწერებს“ მოაკლდება.

1971

ივრის მირონი

შენ დამარწიე, იორო,
მაჩქეფე თავზე მირონი.
. . .
იორზე ვმღერი წნორებთან,
ერთი იმ წნორებთაგანი!

გიორგი ლეონიძე

სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ ის, რაც არასოდეს არავის უკვირდა, რაც არსებობის ჩვეულებრივ ნორმად მიაჩნდა, დღეს გაოცებისა და აღტაცების საგანი გახდა. ადამიანი, მით უმეტეს მწერალი, პატიოსანი კაცი რომ უნდა ყოფილიყო, საზოგადოება არ უნდა მოეტყუებინა, ეს თავისთავად იგულისხმებოდა,

სრულიად უბრალო რამ იყო. მაგრამ დღეს, თუ მწერალს პატიოსანი კალამი უჭირავს ხელში, თუ შეკვეთილ აზრებს არ გვიქადაგებს, თუ დაქირავებული არ არის და იმას გეუბნება, რაც პირადად უფიქრია, განუცდია და გადაუტანია, სიხარულის ჟრუანტელი გვივლის ტანში. და მე არ მახსოვს რევაზ ინანიშვილს ის დაეწეროს, რაც მის გულში არ ყოფილა გამოტარებული და მისი სისხლით გამოკვებილი, *ეს მით უფრო დასაფასებელია, რომ იგი იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც უდანაშაულოდ და უსამართლოდ აობლებდნენ, დუხჭირი ცხოვრების უღელს ადგამდნენ და თან დილიდან საღამომდე აბღავლებდნენ – მადლობაო ბედნიერი ბავშვობისათვის*1. მას ეყო სულის სიწმინდე და სიმტკიცე ძალადობისათვის ტაში არ დაეკრა და არც კეთილის რწმენა დაეკარგა. მოყვარისადმი სიყვარული გულში სათუთად შეენახა და ის მიამიტობაც შეენარჩუნებინა, რაც მისი მოთხრობის „ცისარტყელას“ პერსონაჟმა გამოავლინა.

კურდღელმა ცისარტყელა დაინახა. გახარებული და აღტაცებული მინდორში გამოვარდა და სილამაზით ტკბობას მიეცა. თურმე მას ჩასაფრებული მონადირე უდარაჯებდა. ისარგებლა კურდღლის სიხარულით და სული გააფრთხობინა. როცა კურდღლის დაღუპვის ამბავი ტყეს მოედო, მაჩვმა დინჯად იკითხა „რა მოხდაო?“ – კურდღელი მოჰკლეს, კურდღელი!.. – ჰიყ! – ამოიძახა კმაყოფილებით მაჩვმა, – დატეულიყო თავის ადგილას, სად მირბოდა? მაგრამ თან შიშიც იგრძნო, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, შეძვრა სოროში და საღამომდე გარეთ არ გამოუხედავს. იჯდა მეუღლის წინ გაბებღვილი, ღაბაბჩამოშვებული და ამტკიცებდა: – ჭკუა დიდი საქონელია! თუ ჭკუა გაქვს, არავინ მოგკლავს. წავიდეს ახლა და უშველოს ცისარტყელამ! ცისარტყელა! ჰიყ!“

მართალია, კურდღელი დაიღუპა, მაგრამ ერთ წამში ისეთი მშვენიერებით აივსო, რასაც ვერასოდეს, თუნდაც საუკუნე რომ იცხოვროს, ვერ შეიგრძნობს მაჩვი. თუმცა, ისიც მართალია, მაჩვებს არც სჭირდებათ სილამაზე, მშვენიერება და თავისუფლება. ისინი სოროებში ჩაკეტილნიც კმაყოფილი ცხოვრობენ.

ორფეხა მაჩვები ადამიანის გულში გესლისა და შხამის ჩაწვეთებას ცდილობენ. ერთხელ მეზობელმა ვანო ბუჭყიაშვილს (მოთხრობა „ვანო“) ასეთი რამ უთხრა: „– შენ, ჩემო ვანო, პატიოსანი კი არა, მშიშარა ხარ და იმიტომ ვერ შოულობ ბევრ ფულსო. მაშინ ვანომ იმის საბუთად, რომ მშიშარა არ იყო, სასაცილო რამ თქვა: – მე შემიძლია შიშველი ხელებით გველი დავიჭირო, მე შემიძლია, რაც უნდა ავი ძაღლი იყოს, ხელში ავიყვანო. ამაზე მეზობელმა, გზააბნეულ ბავშვს რომ დაუყვავებენ, თითქმის ისე დაუყვავა: ეგეთი სიმამაცე, ჩემო ვანო, დღეს საკმარისი აღარ არის, ახლა ადამიანის არ უნდა გეშინოდეს, თორემ გველი და ძაღლი... გველი და ძაღლი რა სახსენებელია ადამიანთან...“

მეზობელს უნდა ვანოს სული მოუწამლოს, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა. აგრე იოლად არ შეიძლება ვანოს მორევა. შეიძლება მხოლოდ წამით გაუფუჭო გუნება. მაგრამ მალე ისევ გახალისდება და მტკიცედ გააბოტებს მადლიან მიწაზე.

რ. ინანიშვილის პერსონაჟების გულუბრყვილობა პატივისცემითა და სევდით განგაწყობს. პატივისცემით იმიტომ, რომ ისინი სუფთა და ალალი ადამიანები არიან. სევდით იმიტომ, რომ ზოგჯერ ამ მიამიტობას ეროვნული ტრაგედიაც მოჰყოლია.

კრწანისში დამარცხებულ ერეკლე მეორეს ანანურის ციხეში ერთი ჭაბუკი ეახლება. ამ ყმაწვილს „მზევინარის ბიჭს“ ეძახდა მთელი სოფელი. მზევინარის ბიჭს არ სჯერა, რომ სპარსელებს ქართველების დამარცხება შეუძლიათ და მეფეს ევედრება, ბრძოლად მოგვიხმეო. მეფე ბიჭს დაამშვიდებს, დაუყვავებს და დაპირდება – დრო მოვა და ლაშქრად აუცილებლად დაგიძახებო („ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“).

ეს მოთხრობა ასე მთავრდება:

„ოთხმოცი წლის შემდეგ კი ანანურზე გამავალი სამხედრო გზის პირას, ხშირად იდგა ხოლმე ვეებათავიან კომბალზე დაყრდნობილი, მთლად გათეთრებული უსინათლო მოხუცი, რომელიც ყოველ ზემოთამვლელს ეკითხებოდა, დამძახებელი ხომ არა ხარ ქალაქიდანო. ვინც მოხუცს არ იცნობდა, ვერ ხვდებოდა, ვინ დამძახებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინც იცნობდა, ეტყოდა – არა, დამძახებელი არა ვარ, მზევინარის ბიჭოო, – და თავჩაღუნული, სევდაშემოწოლილი განაგრძობდა გზას.

მოხუცს ქინთა-ქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი რუსული ძველი მედალი ეკიდა – გამურულ ქვაბზე დაღვენთილი წმიდა სანთლის ფერისა“.

*ამ უსაშველოდ მიამიტ კაცს ოთხმოცი წელი ისე გაეპარა, რომ ვერ მიხვდა, როგორ შეჭამა მტერმა მისი დამძახებელნიც და ის ქვეყანაც, რომლის დასაცავად ასე მიისწრაფვის. შეჭამა იმ მტერმა, რომლის სამსახურში, როგორც ჩანს, სისხლი დაუღვრია და, მადლიერების თუ დაცინვის ნიშნად, სამი ჟანგიანი ჟეტონიც დაუმსახურებია*1.

ასეთი ფიქრები აწუხებს რ. ინანიშვილს, როცა ივრის ჭალებში დახეტიალობს. როცა „ტყე რომ გათავდება, წმიდა ქუჩი ბალახით მოთებოვებულ ამობურცულ ველზე გავა. ეს არის შავკაციანთ სერის ლბილი, ლბილი თხემი. ამ თხემიდან რომ ჩრდილოეთისაკენ გაიხედავს, თუ ცა მოწმენდილია, ჩალურჯებული, ჩახორხილი, ტყიანი და ჩამოხვეწილი მთების უკან თეთრ ლამაზ მწვერვალს ხედავს. ის გასაოცრად ერთფეროვნად დგას ზამთარშიც და ზაფხულშიც, – სულ თეთრი. ხანდახან თუ წამოედება ლეგა ღრუბელი, ან მოსცილდება, ანდა მზე მოავარაყებს ოქროსფრად. აუწერელი ძალით იზიდავს ადამიანის თვალს“.

რევაზ ინანიშვილი 60 წელია სუფთა, კრიალა თვალებით უყურებს ამ მწვერვალს. აწი რა ღმერთი გაუწყრება?

აქვარიუმის ბინადარი

არჩილ სულაკაურის რომანის „ოქროს თევზის“ (გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966 წ.) ძირითადი ამბავი ნათიშვილების ოჯახის ისტორიაა. ეს ოჯახი ხუთი სულისაგან შედგება. ამ ხუთიდან ორი პერსონაჟია განსაკუთრებით საინტერესო – დათო ნათიშვილი და პლატონ ბარამიძე. დანარჩენი – მარიამი – თეონა – მირიანი – მეტ-ნაკლებად მხოლოდ ანტურაჟის როლს ასრულებს.

დათო ნათიშვილი ოქროს თევზია, რომელიც უდარდელად აქვარიუმში ცხოვრობს (მრავალ ალეგორიულ მითითებათა გარდა, ამას მეტყველებს თავად დათოს სიტყვები, მიმართული ნამდვილი ოქროს თევზისადმი: „ახლაც ასე მგონია თითქოს ეს ჭურჭელი მე ვარ და შენ ჩემში ცხოვრობ“. გვ. 223). დათო ნათიშვილისა და ოქროს თევზის ალეგორიულ ერთიანობას არსებითი მნიშვნელობა აქვს დათოს პიროვნებისა და ხასიათის ასახსნელად.

ალეგორიის თანახმად, დათო წყნარი, აუღელვებელი, უდრტვინველი ცხოვრების შვილია. მისი ადამიანური ბუნებაც ამას ეტრფის. იმდენად არის იგი მოწადინებული მშვიდად იცხოვროს, რომ ელემენტარულ ცხოვრებისეულ გართულებებსაც კი გაურბის. მაგალითად, დათომ ვერ გაბედა ციცინოსათვის ეამბნა – თუ რა შეემთხვა მანანასთან (გვ. 52). იგი პატარა ზურიკოსაც კი დაემალა (გვ. 38) იმის შემდეგ, რაც დედამ უსაყვედურა – უცხო ბავშვი ყოველდღე ჩვენსას რად დადისო. ეს ორი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, საქციელი დათოს ხასიათის კიდევ ერთ თვისებას ამჟღავნებს: იგი მშიშარაა. მართალია, იგი მშენებლობაზე ცემენტის ქურდებს ეჩხუბა, მაგრამ ეს ფაქტი მისი ხასიათის თვისებას არ ცვლის. საქმე ის არის, რომ ქურდებთან

ჩხუბი ინსტიქტური მოქმედების შთაბეჭდილებას ტოვებს, მაშინ როდესაც პირველი ორი (ზურიკოს დაემალა და ციცინოს არ უთხრა – რა შეემთხვა მანანასთან) შეგნებული საქციელია. დასკვნაა ფიქრის შემდეგ გაკეთებული. გარდა ამისა, ადამიანს შეიძლება თავისუფლად შეეძლოს მეორე ადამიანის ცემა-გალახვა, მაგრამ მორალურად კი ლაჩარი იყოს. დათო კი იქ იჩენს სიმხდალეს, სადაც მორალური ვაჟკაცობაა საჭირო. რა თქმა უნდა, მწერალი ხატავს ისეთი ბუნების ადამიანს, როგორიც მას სურს, მაგრამ მეტი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა უნდა ასეთი ხასიათისა და ბუნების კაცის შემობრუნებას, მის პროტესტანტად გახდომას. საერთოდ, დათოს ხასიათი მკაფიოდ, ბუნებრივად და მართლად ვითარდება, გარდა ორი მომენტისა, ეს არის ერთი – დათოს ამხედრება ნიკოს წინააღმდეგ და ყრუ-მუნჯთა არტელიდან წამოსვლა და მეორე – მისი გადაწყვეტილება ენგურზე წავიდეს სამუშაოდ. აქ ირღვევა ხასიათის თვისება და მთლიანობა. ახალი თვისების შეძენა კი მოკლებულია შინაგან სიმართლესა და დამაჯერებლობას.

მართალია, დათოს ყრუ-მუნჯთა არტელიდან წამოსვლა არ ნიშნავს, რომ იგი ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ ბრძოლას აპირებდეს. იგი უბრალოდ ცდილობს გვერდზე გადგეს, რომ ბინძური ცხოვრების ჭუჭყი არ მიეცხოს. მეტი არაფერი. უფრო შორს წასული მიზანი და აზრი მის პროტესტს არა აქვს. მაგრამ საქმე ის არის, რომ დათოს არც ობივატელური პატიოსნების დაცვა შეუძლია. ეჭვი იმიტომ მეპარება, რომ ჩემთვის გაურკვეველი დარჩა დათოს პროტესტი – წამიერი აფეთქებაა, ბოღმის წუთიერი გადმოფრქვევაა თუ შეგნებული გადაწყვეტილებაა უარი თქვა ცხოვრების შეჩვეულ ფორმაზე. დათო კი შეჩვეულია წყნარ, უდრტვინველ, უშფოთველ ცხოვრებას. იგი აქვარიუმის თევზია, რომლისათვის აუტანელია როგორც ზღვის მშფოთვარება, ისე მდინარის აზვირთება. აქვარიუმის თევზს რომ დამპალი, უვარგისი საკვები ჩაუყარო, არ შეჭამს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი მდინარესა ან ზღვაში ისევე ლაღად და მოსვენებულად იგრძნობს თავს, როგორც აქვარიუმში გრძნობს. დათო ლაღად და მოსვენებულად თავს მხოლოდ ნათიშვილების ოჯახში გრძნობს, რადგან აქ საერთოდ არ უყვართ აღელვება-აფორიაქება. აკი ამბობს მწერალი, ნათიშვილების ოჯახში „თუ ზეიმობდნენ – უხმოდ ზეიმობდნენ, თუ წუხდნენ – უხმოდ წუხდნენ. ხოლო ჩვეულებრივ დღეებს ეს სიმყუდროვე არასოდეს დაურღვევია“ (გვ. 3). დათოს ოჯახში მორჩილების, დუმილის, სიმყუდროვე-სიჩუმის კულტია გამეფებული. დათოც შეეზარდა ამ კანონებს, ამ ატმოსფეროს. შავი ნიკოს წინააღმდეგ ამხედრება კი ნათიშვილების, ე.ი. საკუთარი, ოჯახის წინააღმდეგ ამხედრებაც არის. ამ ოჯახიდან წასვლა ოკეანეში შესვლას უდრის. მერედა როდის მივიდა ამ შეგნებამდე დათო, როდის დაირღვა მის ბუნებაში მორჩილების, დუმილის, სიმყუდროვე-სიჩუმის კულტი, როდის მიხვდა ის, რომ ნათიშვილების აქვარიუმში ცხოვრება მისთვის შეუძლებელია? აი ეს პროცესი, აი ეს ხაზი დათოს ხასიათის განვითარებისა რომანში პუნქტირით არის გავლებული. თუმცა, ჩემი აზრით, ეს იყო სწორედ უმთავრესი და ურთულესი, რისი დახატვა-ჩვენებაც აუცილებელი იყო. აქ კი უკმარობის გრძნობა ეუფლება მკითხველს.

როცა ერთ სინამდვილეს გაურბიან და მეორე სინამდვილეში ცდილობენ იპოვონ შვება, ეს უმთავრესად ორ შემთხვევაში ხდება. ერთი მაშინ, როცა ადამიანი სულიერად ეცემა და მისთვის სულ ერთია ფიზიკურ არსებობას სად დაამთავრებს. ასე მიდის სერბიაში ალექსეი ვრონსკი ანა კარენინას თვითმკვლელობის შემდეგ. მეორე მაშინ, როცა სულიერი კათარზისი უმაღლეს წერტილს აღწევს და ადამიანი თითქმის მეორედ იბადება. ასე მიჰყვება ნეხლიუდოვი კატუშა მასლოვას გადასახლებაში. ორივე შემთხვევაში კი აუცილებელია ტრაგიკული გზის გავლა, რათა ადამიანის სული შეირყეს, ახლებურად არსებობა მოიწადინოს.

ასეთი შერყევა შეიძლებოდა განეცადა დათოს სულს, როცა მან უკიდურესად დამცირებული და დაცემული მამინაცვალი ნახა ყრუ-მუნჯთა არტელში. მაგრამ ამ

ამბავმა მხოლოდ გააკვირვა იგი და მეტი არაფერი. ეს კი კიდევ ერთხელ მარწმუნებს დათოს სულიერ სიღარიბეში. ამიტომ მის წასვლას ან დარჩენას ფაქტიურად ფასი არა აქვს, რადგან ენგურზეც ისეთივე იქნება იგი, როგორიც დედისეულ ოჯახში იყო. მისი სული და ბუნება არსებითად არ შეცვლილა. გეოგრაფიული გადანაცვლება კი ადამიანის სულის ახლად დაბადებას ნაკლებად უწყობს ხელს.

ახლა პლატონ ბარამიძის შესახებ. არსებობისათვის ადამიანის ბრძოლის მრავალგვარი ფორმა და სახეობა აღწერილა ლიტერატურაში, მაგრამ პლატონ ბარამიძის მიერ არჩეული გზა მეტად „ორიგინალურია“. იგი ქვეყანას ყრუდ და მუნჯად აჩვენებს თავს, რათა იარსებოს. ცხადია, პლატონის მდგომარეობა ერთდროულად არის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზების შედეგი. ამიტომ მწერალს რომ მოეხერხებინა და იმავე ძალით გაეხსნა პლატონის სულიერი სამყარო, რა ძალითაც პლატონის მდგომარეობა დახატა, მაშინ მივიღებდით მეტად საინტერესო შინაარსისა და განზოგადებული მნიშვნელობის სახეს. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ თანაფარდობა დარღვეულია. არტურ შოპენჰაუერი ამბობდა – „რომანი, როგორც ხელოვნების ფორმა, იმდენად არის მაღალი და კეთილშობილი, რამდენადაც მეტად იხედება იგი შინაგან ცხოვრებაში და რამდენადაც ნაკლებად წარმოგვიდგენს გარეგნულს“. სწორედ პლატონის შინაგანი ცხოვრების უკმარობა იგრძნობა რომანში, რაც მის მხატვრულ სახეს აფერმკრთალებს. ნათელი და გარკვეული რომ იყოს მწერლისადმი წაყენებული პრეტენზიები, უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ პლატონის ცხოვრებაზე...

პლატონი სხვისი ოჯახის მამაა. ოჯახი ნათიშვილებისა არის.

მარიამ ნათიშვილი ორი შვილით – მირიანითა და დათოთი – გაჰყოლია პლატონს ცოლად. პლატონს ღვიძლი შვილიცა ჰყავს – თეონა. აი, ამ ხუთსულიანი ოჯახის მარჩენალია პლატონ ბარამიძე. მარტო ამ მშრალი ფაქტის შინაარსიდან თუ გამოვალთ, უნდა დავასკვნათ, რომ პლატონი კარგი კაცია. ამას ავტორიც გვიდასტურებს: „პლატონი კეთილი, ოჯახის მოყვარული კაცი გამოდგა“ (გვ. 137). იგი „არაფრით ამჟღავნებდა თეონასადმი განსაკუთრებულ სიყვარულს და ჩვენგან (ე.ი. მირიანისა და დათოსაგან) არაფრით ანსხვავებდა“ (გვ. 137). როგორც ჩანს, პლატონის გერები არ ყოფილან მამინაცვლით უკმაყოფილო. ამის საბუთია დათოს ფიქრებიც: „პლატონი არ არის მასხარად ასაგდები კაცი. ჩუმია და უწყინარი“ (გვ. 73). მაგრამ ეს თურმე პლატონის ერთი სახეა, მისი ცხოვრების ერთი მხარეა. მას მეორე სახეც აქვს და სხვა ცხოვრებითაც ცხოვრობს. პლატონ ბარამიძე 15 წელია ყრუ-მუნჯთა არტელში მუშაობს და ამ ხნის მანძილზე განგებ იყრუებდა თურმე თავს (გვ. 136). გარდა ამისა, პლატონს საყვარელიც ჰყავს, თუმცა სქესობრივად უკვე დაუძლურებულა (გვ. 169-170).

ასეთია პლატონ ბარამიძის სრული პორტრეტი. ეს არის სურათი გაორებული კაცისა. აქ ბუნებრივად უჩნდება ინტერესი მკითხველს: რა არის პლატონის გაორების მიზეზი? რა სინამდვილემ აიძულა პლატონი ნიღაბი ატაროს და ისე იცხოვროს? მართალია, შეიძლება ივარაუდო ესა თუ ის მიზეზი, ესა თუ ის სინამდვილე, რომელშიც პლატონს მოუხდა ცხოვრება, მაგრამ უსაბუთო ვარაუდი არ იძლევა სწორ დასკვნებს. თან გაეჭვებს და გაიძულებს კიდეც, რომ ზოგიერთი რამ არ დაიჯერო. ასე მაგალითად, პლატონი 15 წელია ყრუ-მუნჯთა არტელში მუშაობს, მაგრამ გერს წარმოდგენაც არ ჰქონია სად მუშაობდა იგი (გვ. 135). მამინაცვალსა და გერს შორის ნორმალური დამოკიდებულება იყო ამ 15 წლის მანძილზე და ამიტომ გაუგებარია რატომ არ უნდა სცოდნოდა დათოს სად მუშაობდა პლატონი? მკითხველმა არც ის იცის, უმალავს თუ არა ოჯახს პლატონი თავის სამუშაო ადგილს ანდა რცხვენია თუ არა ჯანსაღ კაცს იმისა, რომ განგებ იყრუებს თავს? ერთი სიტყვით, არ ვიცით როგორია პლატონის დამოკიდებულება თავის მდგომარეობისადმი. ამის ცოდნას პლატონის ხასიათისა და ბუნების გამოსავლენად არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამას

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დათოს პლატონისადმი დამოკიდებულების ასახსნელად. დათოს პლატონისა სჯეროდა და იგი პატიოსან კაცად მიაჩნდა (გვ. 73-74). ამიტომ დათოსათვის პლატონის ნამდვილი სახის აღმოჩენა დიდი ტრავმა უნდა ყოფილიყო. მართალია, მწერალი ამბობს, რომ დათოს „შინაურთაგან არვის დანახვა არ შეეძლო, განსაკუთრებით – პლატონის. მის ბუნჩულა და კეთილად მომღიმარ სახეს ვეღარ იტანდა“ (გვ. 162). მაგრამ აქ სიძულვილის ხარისხია გამოსარკვევი, რადგან ერთია გძულდეს კაცი, რომელიც ცხოვრების მახინჯ ფორმას სუბიექტური მოსაზრებებით ამოირჩევს და მეორეა, როცა ობიექტური მიზეზები აიძულებს ადამიანს დანაშაულის გზას დაადგეს. შეიძლება პერსონაჟისათვის ეს სულერთი იყოს (ეს დამოკიდებულია მის ხასიათსა და თვისებებზე), მაგრამ მწერლისა და მკითხველისათვის ასეთი რამეების ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, დათო პატარა აღარ არის და უნდა იცოდეს, რომ ის, რაც პლატონმა უპატიოსნო გზით იშოვა, მის დავაჟკაცებასა და ინჟინერ კაცად გახდომასაც მოხმარდა. იქნებ პლატონი იმიტომ დაადგა ყველას მოტყუების გზას, რომ ობლებს უმამობა არ ეგრძნოთ? შეუძლებელია დათომ ამას ანგარიში არ გაუწიოს. როცა იგი ყველაფერს ანგარიშს გაუწევს, აწონ-დაწონის და მერე ამოირჩევს პლატონისადმი დამოკიდებულების ფორმას, მაშინ გასაგები გახდება – რა პიროვნებაა დათო. თორემ სხვანაირად, იოლი შესაძლებელია დათოს მიერ პლატონის სიძულვილი მოექცეს სტანდარტული ფორმულის ჩარჩოში – უპატიოსნო კაცი უნდა გძულდეს.

მაინც რაშია საქმე? რას იგებს პლატონი მოჩვენებითი სიყრუით? უნდა ვიფიქროთ, რომ ყრუ-მუნჯთა არტელი პლატონს დიდ ფულად მოგებას აძლევს. აკი ამბობს ნორა – პლატონი მდიდარი კაციაო (გვ. 170). თუმცა მკითხველმა არ იცის ამ სიმდიდრის კვალი ატყვია თუ არა პლატონის ოჯახს. რომანის კითხვის დროს ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ ბარამიძე-ნათიშვილების ოჯახი ჩვეულებრივი რიგითი ოჯახია და იგი არაფრით გამოირჩევა მილიონობით სხვა რიგითი ოჯახისაგან. მაგრამ, ვთქვათ, დავუჯერეთ ნორას და პლატონი მდიდარ კაცად მივიჩნიეთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ დათოს მამინაცვალი სიმდიდრეს (ფულს) დაუბრმავებია და ზნეობრივად დაცემულა.

მაგრამ აქ უნდა გავარკვიოთ – რას ნიშნავს პლატონისათვის ფული? იგი არსებობის წყაროა თუ გობსეკიზმის დღევანდელი გამოვლენა? ხშირად ერთი რამ გვავიწყდება – განმარტება იმისა, თუ რას ვგულისხმობთ სიმდიდრეში. როცა ბალზაკის გობსეკი ანდა არდაზიანის სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი აგროვებდა და მდიდრდებოდა, ეს არ გულისხმობდა მხოლოდ ბევრი ფულის ქონას. ეს იყო ბრძოლა ისეთი საკუთრების შესაძენად, რომელიც სოციალურ უპირატესობას განიჭებდა და კლასობრივად ერთი საფეხურით მაღლა გაყენებდა. შემდეგ თანდათანობით საზოგადოებრივი მდგომარეობის ბატონ-პატრონი ხდებოდი (როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური აზრით). ე.ი. მოვლენას ჰქონდა გარკვეული საზოგადოებრივი შინაარსი. მაგრამ ახლა გვაინტერესებს – რა შინაარსი აქვს პლატონისათვის ფულს (სიმდიდრეს)? ნუთუ მხოლოდ ის, რომ საყვარელი ჰყავდეს? მაგრამ საყვარელი შეიძლება გყავდეს ისეც, რომ ხელოვნურად არ დამუნჯდე და არ დაყრუვდე. სამწუხაროდ, მკითხველმა არ იცის რა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ამოძრავებენ და აიძულებენ პლატონს არსებობის უკიდურესად დამამცირებელი ფორმით იცხოვროს. ამის ცოდნას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ემოციური დამოკიდებულების შესაქმნელად. ბრუნო ტრავენი წერდა: „იუდა ისკარიოტელს ორი ათასი წელია სტანჯავენ იმისათვის, რომ ერთხელ მოინდომა ოცდაათი ვერცხლი ეშოვნა. ვინ იცის იქნებ ამ ოცდაათი ვერცხლით ავადმყოფი ბავშვისათვის წამალი უნდა ეყიდაო“... როცა არ იცი საქციელის, მოქმედების გამაპირობებელი მიზეზი, მაშინ იოლად შეიძლება შეცდე: ბოროტი ბოროტად არ ჩათვალო და კეთილი-კეთილად, პლატონ ბარამიძის

მოქმედება-საქციელს სწორედ ეს გამაპირობებელი მიზეზები აკლია, რის გამოც კარგად მიგნებული სახე ბოლომდე არ არის გახსნილი და დახატული.

არც პლატონ ბარამიძისა და არც დათო ნათიშვილის ცხოვრებაში არაფერი მოხდებოდა, არც აქვარიუმის სიმყუდროვე დაირღვეოდა, რომ ბედს ნიკო კორინთელთან არ დაეკავშირებინა ისინი.

მართალია, რომანის ინტრიგას ნიკო კორინთლის პიროვნება ამოძრავებს და ძაბავს, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი სახე და თავგადასავალი რომანის საერთო ხასიათს ეთიშება. რა თქმა უნდა, რომანი, როგორც ჟანრი, ფართო ეპიკური ტილოა და შეუძლია ასახოს საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ცხოვრება, მაგრამ აქ თემატიკურ გათიშულობაზეა ლაპარაკი. ბავშვობაში მან ოქროს საათი და პალტო მოიპარა, რისთვისაც სამი წელი უასაკო დამნაშავეთა გამასწორებელ კოლონიაში დაჰყო. მერე საიუველირო მაღაზია გაქურდა და დაიჭირეს. ქურდობის გარდა სხვა დანაშაულიც ჩაუდენია: მოსე მამისთვალოვის ცოლი საყვარლად გაიხადა და საგვარეულო მარგალიტი გამოსტყუა. ასაკში შესულმა აფერისტობას მიჰყო ხელი: სახელმწიფოსა და ხალხის მოტყუებით შოულობდა ფულს. ერთი სიტყვით, არ არსებობს. დანაშაულის ფორმა, რომელიც ნიკო კორინთლისათვის უცხო იყოს. თუ ნიკო კორინთლის სახეს მხოლოდ ამ კუთხით განვიხილავთ, ცხადია, იგი უცხოა რომანში „ოქროს თევზი“. თუ რომანი საერთოდ ოჯახურ ყოფით რომანს წარმოადგენს, ნიკო კორინთელი თავისი ცხოვრებით პოლიციური რომანის ჟანრს ეკუთვნის. მაგრამ მწერალი მას მაინც აკავშირებს თავის პერსონაჟებთან. საქმე ის არის, რომ კორინთლისა ყველას ეშინია: პლატონს არ უნდა, რომ ნიკოს მის ოჯახში აუგად ახსენებდნენ (გვ. 76), რადგან ბარამიძეს ეშინია კორინთლისა (გვ. 80); ტაქსის შოფერსაც ეშინია ნიკოსი (გვ. 63). დათოც ამ მდგომარეობაშია (გვ. 233). ჟურნალისტი გელაც შიშისაგან ცახცახებს ნიკოსთან შეხვედრისას (გვ. 121). მართალია, მირიანი თავის დროზე არ შეუშინდა ნიკო კორინთელს, მაგრამ ახლა ისიც დუმს. ეს დუმილიც თავისებური შიშია, რადგან მირიანმა იცის „შავი კოლას“ უკან ისეთი ძალები დგას, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა უკვე აღარ შეუძლია და იძულებით გაჩუმებულა. სწორედ ეს საყოველთაო შიშია ის, რაც ნიკოს სახეს უფრო რთულსა და სერიოზულს ხდის, ვიდრე შეიძლება იყოს პოლიციური რომანის გმირი. მაგრამ აქ ბუნებრივად ისმის კითხვა – შეიძლება თუ არა საზოგადოებას (ვიმეორებ – საზოგადოებას და არა პიროვნებას) ეშინოდეს რეციდივისტის? რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რადგან საზოგადოების მხარეს არის სახელმწიფოს შინაგანი უშიშროების მთელი აპარატი. გარდა ამისა, საზოგადოებას რომ სისხლის სამართლის დამნაშავის ეშინოდეს, მაშინ ქურდები, ყაჩაღები, მკვლელები ფარულად არ ჩაიდენდნენ ბოროტებას. ისინი ამას აშკარად გააკეთებდნენ. მაგრამ რაკი საზოგადოებას ნიკო კორინთლის ეშინია, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ „შავი კოლა“ უფრო მეტია, ვიდრე უბრალო რეციდივისტი. მართალია, ამას მწერალი პირდაპირ არ წერს, მაგრამ ქარაგმულად კი გვეუბნება. მაგრამ აღარ გვეუბნება იმას, თუ რით არის მეტი, რა ძალაა ნიკოს უკან, რას ეყრდნობა იგი. მკითხველმა არ იცის, როგორ მოხდა, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე საზოგადოებაში მტკიცედ ფეხმოდგმულია და პატივცემულიც არის. როგორღაც მომხდარა ისე, რომ დამნაშავეს საზოგადოებაში ადგილი უპოვია. აქ ფაქტის სიმართლეში არ ვედავები ავტორს. იგი მართალია. სადავოა ის, რომ ფაქტის კონსტატაციის იქით არ მიდის. მოვლენის ანალიზს არ აკეთებს. მართალია, რომანში არსებობს პერსონაჟი ჟურნალისტ გელას სახით, რომელსაც დაკისრებული აქვს ნიკო კორინთლის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი არსებობის საიდუმლოების გაგება, მაგრამ გელა მეტისმეტად უსუსურია ამ ბრძოლაში გასამარჯვებლად. მისი განცხადება – „ამ უჯრაში მიდევს მაგისთვის დამზადებული ატომური ყუმბარა. ისე დავარბიო, შენი პლატონი არისტოტელედ მოეჩვენოსო“ (გვ. 220) –

კვეხნაა მხოლოდ. გელას პიროვნება ამ სიტყვების განმახორციელებელი არ არის. იგი ვერც ნიკო კორინთელის არსებობის საიდუმლოებას გაიგებს.

ნიკო კორინთლის მსგავსი ადამიანების წარმომშობი სინამდვილის ანალიზი რომ ყოფილიყო რომანში, მაშინ იგი სრულიად არ დატოვებდა რომანის საერთო ხასიათიდან ერთგვარი გამოთიშულობის შთაბეჭდილებას.

დასასრულ, მწერლის საინტერესო დაკვირვებას მინდა გავუსვა ხაზი. ერთია ის, რომ არიან ადამიანები, რომელთაც არსებობის ფორმად ხელოვნური დაყრუება-დამუნჯება მოუძებნიათ. მეორე კი – ის, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეს საზოგადოებაში ადგილი უპოვია, პატივისცემა დაუმსახურებია და პატიოსანი ადამიანები დაუშინებია. რამდენადაც ვიცი, ეს საკითხები არ. სულაკაურამდე ჩვენს ლიტერატურაში არ დასმულა. საკითხის დასმის თვალსაზრისით, ეს მისი მწერლური გამარჯვებაა, მაგრამ ამ გამარჯვებას ის ნაკლი ახლავს, რომ ორივე შემთხვევაში მოვლენათა მასაზრდოებელი ფესვი არ არის სააშკარაოზე გამოტანილი, მოვლენათა წარმომშობი მიზეზები არ არის ახსნილი. მართალია, მწერალი სოციოლოგი არ არის, მაგრამ მხატვრული ლიტერატურისათვის მოვლენათა ანალიზი ისევე აუცილებელია, როგორც მეცნიერებისათვის. მკითხველის ემოციური აღძვრა რაიმე მოვლენის წინააღმდეგ ან მხარდასაჭერად მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ეს მოვლენა დანახულია მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმით. ამის მიღწევა კი ანალიზით შეიძლება. ცხადია, ანალიზი არ უნდა დარჩეს მშრალ ლოგიკურ დასკვნებად (თუმცა არც ეს არის მნიშვნელობას მოკლებული). აუცილებელია მისი მხატვრულ კატეგორიამდე ამაღლება. სათქმელის ბოლომდე ართქმა ქვეტექსტების „თეორიით“ არ გამართლდება, რადგან არის დრო, როცა ჩურჩულიც შეიძლება გაიგონოს კაცმა და არის დრო, როცა დედაზარების რეკვაც არ გვესმის. ჩვენი მწერლობის ამოცანა ახლა უფრო დედაზარების რეკვაა, ვიდრე ჩურჩული. ქვეტექსტებისა და ნახევარტონების ლიტერატურა ერთგვარი ფუფუნებაა. ჩვენ ისე ტკბილად არ ვცხოვრობთ, რომ ასეთი ფუფუნების უფლება გვქონდეს.

მარტოდმარტო გასავლელი გზა

ოთარ ჭილაძის რომანში – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ – აღწერილი ვანი არც ისტორიულია და არც მითოლოგიური. თუმცა ავტორი ორგანულად უკავშირებს ერთმანეთს კლასიკურ მითოლოგიას და ქართულ ზღაპარს. მათი შერწყმით ქმნის იგი ალეგორიულ სამყაროს, რომელშიც ცხოვრობენ რომანის პერსონაჟები და ვითარდება მოქმედება.

პირობითად თუ დავყოფთ, რომანში ორი ვანია – აიეტისა და ოყაჯადო მეორის. გარეგნულად ეს ორი ვანი არ სხვაობს: აიეტის დროსაც ცხოვრობდნენ და ოყაჯადო მეორის დროსაც არსებობენ ღვინის ვაჭარი ბახა და მეაკვნე ბოჩია, მეთევზე ბედია და შავთვალება მალალო. აიეტის დროსაც იყო ვანში ზღვა და დარიაჩანგის ბაღი და ოყაჯადო მეორის დროსაც არის. თუმცა მერე, ოყაჯადო მეორის მეფობაში, ზღვამ უკან დაიხია და ვანი დატოვა. დარიაჩანგის ბაღი კი სულ გაქრა. ასევე არსებითად შეიცვალა ადამიანების ბედიც: ოყაჯადო მეორის ხელში შავთვალება მალალოს სახლი სიყვარულისა და მუსიკის ტაძრიდან გარყვნილებისა და სიძვის ბუდედ გადაიქცა. ბახას ორმოცსაფეხურიანი ღვინის სარდაფი ლხენისა და ტკბობის მარნიდან ლოთობისა და ღრეობის სამიკიტნო გახდა.

ვანში ქურდობა არ იცოდნენ. სახლის კარს არავინ კეტავდა. ოყაჯადო მეორის მოსვლის მერე ვანელები პარვასაც დაეჩვივნენ.

ვანში მშობლები შვილებს არ სცემდნენ. ეს ფრიქსეს მოვლინების მერე ისწავლეს (პირველ კაცს, ვინც შვილს ხელი შემოჰკრა, მარჯვენა შეახმა. ამ ამბავმა შეაძრწუნა მთელი ვანი).

ვანში მათხოვარი რა იყო არ იცოდნენ და აიეტის ტახტიდან ჩამოგდების მერე ესეც ნახეს (აიეტის ყოფილი მეჯინიბე დაასაჭურისეს და გონარეულმა კაცმა მათხოვრობა დაიწყო).

და ასე შემდეგ.

ამრიგად, ყველაფრის არსი შეიცვალა. ხალხი დარჩა, მაგრამ ქვეყანა მოკვდა. თავისთავად ეს თავზარდამცემია, მაგრამ უფრო საზარელი ის არის, რომ ამას ვერავინ ამჩნევს. მართალია, ბედიამ შენიშნა, რომ ზღვა მიიპარებოდა და ვანს ტოვებდა, მაგრამ შეძრწუნებულ მეთევზეს ყურს არავინ უგდებს. იგი ყველას გიჟად მიაჩნია. უარესიც, ღვინით გალეშილმა ვანელებმა ვერც კი შეამჩნიეს, როგორ იჯდა სამი დღედაღამე მკვდარი ბახა ჯორკოზე სარდაფში. მაშასადამე, არა მარტო გამოცვლილან, არამედ გონების თვალნიც დავსიათ.

მაინც რა მოხდა, რამ გამოიწვია ეს? რამ მოკლა ვანში ამაღლებული და მშვენიერი?

ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: აიეტის ხელისუფლება შეიცვალა ოყაჯადო მეორის მეფობით. მართალია, ხელისუფლების ცვლას ხელი უცხოელებმა შეუწყვეს, მაგრამ ბატონად ისინი არ დამსხდარან. აიეტიც ვანელი იყო და ოყაჯადო მეორეც ვანელია. ის სალდათებიც ვანელები იყვნენ, ოყაჯადოს რომ გაუკაფეს გზა ტახტისაკენ. ასეთი რამ ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრებაში ხშირად ხდება, მაგრამ აქ არსებითი მნიშვნელობა აქვს – როგორ ხორციელდება ეს ცვლილება.

ვანში ყველაფერი მოტყუებით და ღალატით მოხდა. ტყუოდა და მოღალატე იყო ყველა – შინაური და გარეშე.

პირველი ტყუილი ფრიქსემ თქვა. ფრიქსე ღარიბ-ღატაკი ოჯახის შვილი იყო. მისმა დამ ჰელემ თავი დაიხრჩო. გოგომ ვერ აიტანა სიღარიბე, მშობლების განუწყვეტელი ჩხუბი და კინკლაობა. ფრიქსეს ოჯახში ყველა ერთმანეთს წამლავდა. ცხოვრების აუტანელი ატმოსფერო იდგა. გაიხარა ბიჭმა, როცა ვანში წამოსვლის საშუალება მიეცა. ფრიქსეს გამოგზავნა დიდი მეფის მინოსის ჩანაფიქრის პირველი საფეხური იყო. მინოსის გეგმით, ფრიქსე ვანში უნდა ჩამოსულიყო, იქ ეცხოვრა და იქვე უნდა მომკვდარიყო კიდეც. ამით ჭირისუფალ ბერძნებს ვანში ხშირი ჩამოსვლის უფლება ბუნებრივად ეძლეოდათ. ვანში მოსულ ფრიქსეს აიეტისათვის ტყუილი უნდა ეთქვა: ბეოტიელი მეფის შვილი ვარ. დედინაცვალმა მოკვლა დამიპირა და მფრინავმა ვერძმა გადამარჩინაო. მინოსის კაცებმა ფრიქსე ჩუმად ვანში ჩამოიყვანეს. მერე ვერძზე შესვეს. ვერძი და ბიჭი ნაპირზე გადმოაგდეს და გაუჩინარდნენ. გონდაკარგული ფრიქსე ვანელებმა იპოვნეს და აიეტს მიგვარეს. ფრიქსემ თუთიყუშივით გაიმეორა დანაბარები – ბეოტიელი მეფის შვილი ვარო... თუმცა მაშინვე მიხვდა, რომ „ახლა მთელი სიცოცხლე უნდა ეთვალთმაქცა, მთელი სიცოცხლე უნდა ეზიდა ტყუილი, დაბადებისთანავე რომ ათქმევინა ბედმა“. სიმართლეს როგორღა იტყოდა! ქოხიდან სასახლეში მოხვდა. გლეხის ბიჭი უფლისწული გახდა. სიღატაკიდან ფუფუნებაში ამოყო თავი. ჩამოკონკილი გლეხის გოგოს მაგიერ მეფის ასული უნდა შეერთო. თუ სიმართლეს იტყოდა, ამას ყველაფერს დაკარგავდა. მწარე სინამდვილეს დაუბრუნდებოდა. თუ ტყუილს არ მოეშვებოდა, სვებედნიერად იცხოვრებდა. ასე ამჯობინა ფრიქსემ სიცრუე სიმართლეს. სხვაც მოატყუა და თავადაც მოტყუვდა.

როგორც ვხედავთ, ფრიქსეს და ჰელეს კლასიკური მითი პაროდირებულია. მერე ვნახავთ, რომ სადაც მწერალი კლასიკურ მითს იყენებს, ყველგან პაროდირებას მიმართავს. მაგრამ ჯერ ისევ ფრიქსეს თავგადასავალს მივყვეთ.

ფრიქსემ აიეტის ქალი ქარისა შეირთო. მარტო ქარისამ იცოდა, ფრიქსე უფლისწული რომ არ იყო. ბალიშქვეშ უპოვნა ქალმა ვაჟს სათუთად დაკეცილი და შენახული ძველი ტანსაცმელი. სამოსმა გაამჟღავნა ფრიქსეს ნამდვილი ვინაობა. გლეხუჭა, გლეხუჭაო, დასცინოდა აიეტის ასული ქმარს. სიცოცხლეს უწამლავდა ეს ქალს, მაგრამ ვერც ქარისამ თქვა სიმართლე. პატივმოყვარეობამ არ მისცა ნება. ვერ გაბედა გაემჟღავნებინა, მეფის ასულს უბირი გლეხი რომ ესვა ქმრად. ქარისაც ატყუებდა მამამისს და ქმრის საიდუმლოს საგულდაგულოდ ინახავდა. ეს უკვე მეორე ტყუილი იყო.

ოთხი შვილი შეეძინათ ფრიქსესა და ქარისას. მაგრამ არ იქნა და არა – ვანს მაინც ვერ შეეთვისა ფრიქსე. სულ სამშობლოში დაბრუნებას ოცნებობდა იგი. ამასაც თავის საფუძველი ჰქონდა. ვერასოდეს გახდებოდა ფრიქსე ვანელებისათვის შინაური და ახლობელი კაცი. „... უცხო იქნებოდა ყოველთვის, რათა მის ქომაგებს საშუალება ჰქონოდათ, კიდევ ბევრჯერ გამოეჩინათ და დაემადლებინათ თავიანთი სიკეთე და ხელგაშლილობა“. თურმე ვანელების სტუმართმოყვარეობა და კეთილკაცობა უანგარო არ ყოფილა. თუ ფრიქსე მშობლიური გახდებოდა, მაშინ ვანელები ვერ იტრაბახებდნენ – ჩვენზე სტუმართმოყვარე, სხვა ხალხის ამტანი და გამტანი არავინ არისო. თურმე ფრიქსე უბრალო საბუთი ყოფილა ვანელების სხვახალხისმოყვარეობის დასტურად გამოყენებული.

თავის მხრივ, უცხოდ დარჩენილ ფრიქსეს ხიზანის ჭია ღრღნიდა. „ის, რა თქმა უნდა, მადლობელია, პური რომ გაუყავი, ჭერქვეშ რომ შეიფარე, ცეცხლთან ადგილი რომ გამოუნახე, მაგრამ ამავე დროს გული შურით ევსება, რადგან მას არც საკუთარი პური, არც საკუთარი ჭერი და არც საკუთარი ცეცხლი გააჩნია. მართალია შენ (მისი შემფარებელი) ამაში სრულებით არ ხარ დამნაშავე, მაგრამ მისი ფარული სიძულვილი უმთავრესად შენსკენაა მომართული, რადგან შენ გაქვს ის, რაც შეიძლებოდა მასაც ჰქონოდა“.

ამრიგად, თურმე სტუმარსა და მასპინძელს, ხიზანსა და მფარველს თავიანთი მიზანი ამოძრავებდათ. მასპინძელს ფრიქსე საკვეხნად ჭირდებოდა. ფრიქსეს კი არ უნდოდა სხვისი კაიკაცობის არგუმენტი ყოფილიყო. ამ წინააღმდეგობის მოშლა შეუძლებელია. „ოჯახში შემოშვებული უცხო კაცი, ვინც არ უნდა იყოს იგი, შენს მზეს მაინც არასოდეს დაიფიცავს. რადგან შენს მზეს თავისი გოგრის თესლი ურჩევნია“. ამიტომ ფრიქსესა და ვანელებს შორის, სიყვარულის ნაცვლად, ქიშპმა და მტრობამ დაიბუდა. მიუხედავად ქვეშეცნეული მტრობისა, ფრიქსეს სიძულვილი არ მართავდა, როცა გაუჩნდა სურვილი, დაემტკიცებინა აიეტის ოჯახისათვის – მეც კაცი ვარ და სამადლო არაფერი მჭირსო. ეს უბრალო, ჯანსაღი ადამიანური მოთხოვნილება იყო.

მარამ როგორ უნდა დაემტკიცებინა ეს ფრიქსეს? ერთადერთი სწორი გზა სიმართლის თქმა იყო. გარნა ეს ურთულესი და უმძიმესი საქმე იყო. სიმართლის თქმა ღირსებაზე უარის თქმას ნიშნავდა. ეს კი საკუთარი თავის უარყოფას უდრიდა. მერედა, საკუთარი თავის უარმყოფელი როგორღა წამომდგარიყო ფეხზე და როგორღა დაემსახურებინა ისევ ვანელების პატივისცემა? თუ იტყოდა, ბოროტი განზრახვით მოგზავნილი ჯაშუში ვარო, ვინღა ენდობოდა, ვინღა გაუწვდიდა ღირსეული კაცის ხელს. ამის გამჟღავნებით სამუდამოდ კარგავდა ცოლ-შვილსაც. ვინ ისურვებდა მსტოვარისა და ქვეგამხედვარის ცოლობასა და შვილობას? სხვა გზა არ იყო: ნიღაბი უნდა ბოლომდე ეტარებინა. მაგრამ საზრდელდამადლებული კაცის მდგომარეობიდანაც უნდა გამოსულიყო. მაშინ გადაწყვიტა ფრიქსემ დაემტკიცებინა ვანელებისათვის – თქვენთვის აუცილებელი და შეუცვლელი კაცი ვარო. ამ მიზნით დაიწყო ვანში წყაროს გამოყვანა. აქაც შეცდა ფრიქსე. მართალია, წყაროს გამოყვანით მისი ვანში არსებობის აუცილებლობის დამტკიცება უნდოდა, მაგრამ ვერ გაითვალისწინა საქმის მეორე მხარე, რომელიც ვანელებს ეუბნებოდა – ფრიქსე რომ არა,

წყაროსაც ვერ გამოიყვანდითო. ეს კი ვანელებს შეურაცხყოფდა, აღიზიანებდა და ფრიქსეს მტრობას უღვივებდა. ასე იყო ფრიქსე ორცეცხლშუა მოქცეული. რაკიღა გამოსავალი ვერ ნახა, საბერძნეთს გაპარვა გადაწყვიტა. აქაც ხელი მოეცარა. ბოლოს სიკვდილი მაინც ვანში ეწვია და მაინც სხვის მიწას მიებარა.

ნებით თუ უნებლიეთ ფრიქსემ აასრულა მინოსის გეგმის პირველი ნაწილი: ვანში მოკვდა და საკუთარი ბუდე და საფლავი გაიჩინა. „ამიერიდან ვერავინ დაუშლიდა მგლოვიარე საბერძნეთს, ჩამომჯდარიყო ამ სამარესთან“. სამარეში ხომ ბერძენი უფლისწულის ნეშთი ესვენა! რა ვუყოთ მერე, რომ ფრიქსე ნამდვილი მეფე არ იყო. ეს ხომ არავინ იცოდა ვანში. გაუმჟღავნებელი ტყუილი საზოგადოების თვალში არ არის სიცრუე. ამიტომ წარსულში ნათქვამი ტყუილი აწმყოშიც ტყუილს ბადებს. ამას კი ყოველთვის უბედურება მოაქვს. რაგინდ ტრაგიკულიც არ უნდა იყოს, ტყუილის მხილება აუცილებელია. სხვანაირად უბედურებას თავს ვერ დააღწევ. ეს ვერ გაითვალისწინა ქარისამაც. არ აღიარა სიმართლე. ამით ღალატი ჩაიდინა მამისა და სამშობლოს წინაშე. ქარისაც უნებლიეთ მინოსის მოკავშირე გახდა.

ფრიქსეს თავგადასავლის მითოლოგიურ ასპექტში არსებული მოტივი – აიეტთან ოქროს ვერძით ჩამოსვლა – კეთილდღეობის ჩამოტანასაც გულისხმობს. ე.ი. მითის თანახმად, ფრიქსეს სახით აიეტს ბედნიერება ეწვია. ოთარ ჭილაძის რომანში კი პირიქით – ფრიქსეს სახით ვანსა და აიეტს უბედურება დაატყდა თავს. კლასიკურ მითშიაც და რომანშიც ფრიქსე აძლევს საფუძველს ბერძნებს აიეტთან ჩამოვიდნენ და ოქროს ვერძი უკან მოითხოვონ. მაგრამ რომანში მითოლოგიური იაზონიც პაროდირებულია. პაროდირებულია აგრეთვე მთელი მისი ავანტურაც.

ვანში ოქროს ვერძის წასაღებად ჩამოსული იასონი ოქროს ვერძს „ქეციან ტყავს“ უწოდებს. უკვირს კიდეც, ამის გულისათვის ტახტზე რატომ უნდა დამსვანო. მაგრამ მინოსის ბრძანების ასრულება აკისრია და იძულებულია ვანში ჩამოვიდეს. იასონი ეშმაკია. იცის, აიეტს იოლად ვერ გამოსტყუებს ოქროს ვერძს. თვინიერ მედეას დახმარებისა, ვერაფერს გახდება. ამიტომ ქალის ნახვისთანავე გადაწყვიტა, აიეტის ასულისათვის თავი შეეყვარებინა: „ქალი კი მხოლოდ მაშინაა სანდო, როცა უყვარხარ“. იასონმა მიაღწია საწადელს. მედეას შეუყვარდა იგი. აქედან დაიწყო მედეას ღალატი და ტყუილი.

ჯერ ქარისას გადმობირება გადაწყვიტა მედეამ: ვითომდაც იასონი ქარისას შვილების ინტერესებსაც იცავდა და ამიტომ უნდა დახმარებოდნენ. ამას კი აკეთებდა, მაგრამ ჯერჯერობით სირცხვილიც აწუხებდა (მერე აღარ შეაწუხებს): „აიძულებდა დას ეღალატნა მამისათვის“. თან დიასწულების ბედი სრულიად არ ედარდებოდა. „დისშვილები, იგივე ძმები, ადრე სიცოცხლესაც დაუფიქრებლად რომ ანაცვალებდა, ახლა სადღაც, მისი გულის გარეთ დარჩენილიყვნენ და მათი ბედი ამ წუთს სრულიადაც არ აღელვებდა“. მედეას ღალატი არ არის გაუცნობიერებელი, მხოლოდ სიყვარულით დაბრმავებული ადამიანის საქციელი. თვალთმაქცურად, კაცთმოყვარეობის მაღალი პოზიციიდან ცდილობს იგი გაამართლოს თავისი ღალატი: „ჩვენ ქალები ვართ და ყოველთვის სუსტის მხარეზე უნდა ვიყოთ“. „აღარ რცხვენოდა, რადგან მოვალეობა, რომლის აღსრულებასაც ის უკვე მტკიცედ აპირებდა, არ იწვევდა სირცხვილის გრძნობას. ის განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანს ეხმარებოდა“.

ამით კიდევ უფრო შემზარავია მედეას ტყუილი და ღალატი.

ოქროს ვერძის დაკარგვის დროც დადგა. არავითარი გმირობა არ ჩაუდენია იასონს ვანში. რაც მოახერხა, მედეას მზაკვრობით შესძლო. მედეამ ძილის წამალი დაამზადა, მამას შეაპარა და ასე მოტყუებით დააძინა. მძინარე აიეტსაც ვერ მოპარავდა იასონი ოქროს ვერძს, მედეას „ამირანის მალამოთი“ რომ არ გაეჟღენთა უცხოელის სხეული. ამით იასონს ღონე მიეცა, რომ ლომისფეხებიანი ტახტი, რომელზეც აიეტს ეძინა, გაეჩოჩებინა და განჯინასთან მისულიყო. განჯინაში კი აიეტს ოქროს

ვერძი ჰქონდა შენახული. იასონმა და მედეამ განჯინა გააღეს და ცხვრის ტყავი მოიპარეს.

ასე გადაიქცა რომანში მითოლოგიური გმირი ქურდად. სხვანაირად არც შეიძლებოდა. არავითარი ზნეობრივი მიზანი იასონს არ ამოძრავებდა.

აიეტის მერე ოყაჯადო მეორე გაახელმწიფეს. ოყაჯადოც ტყუილისა და ღალატის ნაყოფია. იგი დედოფალ ცუცას (დააკვირდით, რა მსუბუქი ირონიით არის სავსე დედოფლის სახელი – ცუცა) წვირიანი და წვინტლიანი მეჯინიბისაგან შეეძინა. პატივმოყვარე და ვერაგი არსება იყო ცუცა. იგი „უტახტოდ ვერ იცოცხლებდა, ვერ გაძლებდა. უტახტობა ჩამოახმობდა. როგორც უპასუხოდ დარჩენილი სიყვარული“. როცა ვანიდან გაძევებული ცუცა მიხვდა, რომ მისი უძლური, ტახტდაკარგული ქმარი ვერასოდეს დაიბრუნებდა საბრძანებელს, ამაყი დედოფალი სიამოვნებით გაუგორდა მეჯინიბეს. ჩონჩორიკისა და ცხენის ოფლის სუნით გაჟღენთილ თავლაში ჩაისახა ვანის მომავალი ხელმწიფე. ამ დამცირებას მიზანი ამართლებდა.

მარტო წარმომავლობა არ განასხვავებს აიეტსა და ოყაჯადო მეორეს. აიეტი სულის კაცია. ოყაჯადო მეორე – არა. აიეტი ხშირად იხედება ჭაში. ეს ჭა მისი სულია. ამ ჭიდან აიეტს ხშირად დამცინავი სიცილი მოესმის, რადგან „რაც არ უნდა მართალი იყო, შენს სიმართლეს პურივით ყველას ვერ გაუნაწილებ“. ვერც აიეტმა მოახერხა ეს. თუმცა სულის ჭაში იმიტომ იხედებოდა, რომ უნდოდა, როგორმე ეს გზა ეპოვნა. აიეტის სულმა შვა აფრასიონი, წინასწარმეტყველი და ნათელმხილველი. მაგრამ ჭაბუკი დასაღუპავად იყო განწირული. ვანის საზოგადოება სულიერად არ იყო მზად აფრასიონის წინასწარმეტყველების შესაცნობად. ყრუ და ბრმაა ვანი აიეტის ძის მიმართ. მხოლოდ სიკვდილის მერე იამაყებენ ვანელები აფრასიონით: „– ეს მიწა აფრასიონის სისხლმა გააწითლა ასე, რადგან ღალატით მოკლეს, – თქვა მენიჩბემ, ცხვირი ხმაურით შეიხოცა მკლავზე და გააგრძელა: ვენაცვალე იმის გამჩენს, სხვა რომ არაფერი ჰქონდა, მკვლელს საკუთარი სისხლი შეასხა სახეშიო“.

ასე არ ფიქრობდნენ მაშინ, როცა აიეტი მინოსის ჯარებს ებრძოდა. არა მარტო სარდლები განუდგნენ აიეტს და ოყაჯადო მეორის მხარეს გადავიდნენ, არამედ აიეტის მეჯინიბესაც კი გაუხარდა ვანის განადგურება. ეს მეჯინიბე ერთხელ დანაშაულის გამო გააჯოხვინა აიეტმა. მართალია, მეჯინიბეს მეფეზე ძვირი არასოდეს დასცდენია, მაგრამ ბოღმა გულში ჰქონდა ჩამარხული. როცა აიეტი დამარცხდა, გახარებულმა მეჯინიბემ იბღავლა – „გაიმარჯვა სიმართლემო“. მეჯინიბეს „ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ოყაჯადო მისი გულისათვის ჩამოსულიყო კრეტიდან, მისი ჯავრის ამოსაყრელად“. ამ ბედნიერების მინიჭებისათვის მეჯინიბე მზად იყო ფეხებში ჩავარდნოდა ოყაჯადოს, კაბის კალთა დაეკოცნა და უცხოეთიდან მოტანილი მტვერი ენით აელოკა: „ა, ბატონო, ჩემი ერთგულება. მეტი ვერაფერი მოგართვი თქვენი საკადრისი საწყალმა მეჯინიბემ“. როგორმა სიმართლემ გაიმარჯვა და ერთგულება როგორ დაუფასეს, ეს მალე დაინახა მეჯინიბემ. ერთხელ ახალ მეფესთან მიიხმეს იგი. ერთხანს უყურა ოყაჯადომ მეჯინიბეს. ვერ გადაეწყვიტა, რა უნდა ეყო ამ კაცისათვის. მერე სულელივით გაიღიმა და ბრძანა – დაიკოდოსო. მეჯინიბე მყისვე დაასაჭურისეს.

მეჯინიბის ბედი მთელი ვანის ბედია. ვანიც ასევე დაასაჭურისეს, რადგან ამ მეჯინიბის მსგავსმა ადამიანებმა განაპირობეს ქალაქის ბედ-იღბალი.

ლევ ტოლსტოი ამბობდა:

„იმისათვის, რომ ადამიანთა მდგომარეობა უკეთესი გახდეს, საჭიროა თავად ადამიანები გახდნენ უკეთესი. ეს ისეთივე ტრუიზმია, როგორც ის, რომ ჭურჭელში წყლის გასათბობად აუცილებელია გათბეს მისი ყოველი წვეთი. ადამიანები რომ უკეთესნი გახდნენ, ამისათვის საჭიროა, ისინი უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ თავისთავს, საკუთარ შინაგან ცხოვრებას. გარეგანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა კი, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ბრძოლა, ადამიანთა ყურადღე-

ბას ყოველთვის აცილებს შინაგან ცხოვრებას. ამიტომ ყოველთვის აუცილებლად რყვნის ადამიანებს, აქვეითებს საზოგადოებრივი ზნეობის დონეს. საზოგადოებრივი ზნეობის დაქვეითება კი ხელს უწყობს საზოგადოების ყველაზე უფრო უზნეო ნაწილის უფრო და უფრო ზედაპირზე ამოტივტივებას. ყალიბდება უზნეო საზოგადოებრივი შეხედულებანი, რომელიც ნებას რთავს და იწყნარებს დანაშაულს. იქმნება მანკიერი წრე: საზოგადოებრივი ბრძოლით მოხმობილი საზოგადოების უარესი ნაწილი მისი დაბალი ზნეობრივი დონის შესაფერის ფიცხელ მოღვაწეობას ეწევა. ეს მოღვაწეობა კი თავის მხრივ იზიდავს საზოგადოების კიდევ უფრო უარეს ელემენტებს“.

სწორედ ამდაგვარად წარიმართა ოყაჯადო მეორის დროს ვანის ცხოვრება.

ღალატითა და ტყუილით შექმნილმა სახელმწიფომ ერთი მხრივ შვა ფარნაოზი, შიშისაგან ყოველგვარ ღირსებადაკარგული კაცი და მეორე მხრივ – კუსა, ჯაშუში და ჯალათი.

ფარნაოზის მთელი არსებობა შიშით არის დათრგუნვილი. ფარნაოზის მხდალი ბუნება ჯერ კიდე ცუგასთან ურთიერთობის დროს გამომჟღავნდა. პატარა ძაღლი ყავდა ფარნაოზს. ადამიანსა და მყეფარს დიდი და მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა. საბედისწეროდ ერთ დღეს ცუგა ფეხსადგილის ორმოში ჩავარდა. საწყალობლად წკმუტუნებდა ძაღლი და შველას ითხოვდა. მაგრამ ფარნაოზმა ვერ გაბედა ფეხსადგილის ორმოში ჩასულიყო და ცუგა ამოეყვანა. მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა მათხოვარი, რომელმაც ცუგა იხსნა. უპოვარი ორმოში ჩაძვრა და ცუგა ამოიყვანა. ძაღლმა მიატოვა მშიშარა მეგობარი და მხსნელს გაჰყვა. ფარნაოზმა კრინტიც ვერ დაძრა. „რაკი თვითონ ვერ ეშველა მეგობრისათვის, თითქოს იმის უფლებაც არ ჰქონდა, თავი გაეხსენებინა, პატიება ეთხოვა“.

თავდავიწყებით უყვარდა ფარნაოზს მალალოს ქალი ინო. ჯერ იყო და ფარნაოზი და ინო ბავშვობისას სახლიდან გაიპარნენ. ქვეყნისაგან მოწყვეტილებს ერთად უნდოდათ ეცხოვრათ. დიდხანს ვერ გასტანა მარტოობამ: გოგო-ბიჭი მოძებნეს და უკან ვანში დააბრუნეს. დედა-დებმა ინო ოთახში ჩაკეტეს და ფარნაოზს გულის სწორის ნახვა მოანატრეს. იტანჯებოდა ფარნაოზი ინოს უნახაობით, მაგრამ მის მხდალ ბუნებას გამოსავალი ვერ ეპოვნა. ბოლოს ისღა მოიფიქრა: ფულს მივუტან მალალოს, ხარბი დედაკაცი ფულს მიეტანება და ინოს მომათხოვებსო. ცივი უარით – „ჩემი გოგოები არ თხოვდებიანო“ – გამოისტუმრა მალალომ ფარნაოზი. რა არ იღონა ფარნაოზმა, მაგრამ ინო ვერ დაივიწყა. მერე ვანი მიატოვა და კრეტაში გაიქცა. წამებით სავსე ცხოვრება გამოიარა მინოსის ქვეყანაში ფარნაოზმა. ბოლოს მაინც სამშობლოში დაბრუნდა.

თავისთავს ვერსად გაექცევა კაცი. ფარნაოზის ტანჯვა და დარდი ფარნაოზის გვამში ცხოვრობდა. სადაც უნდა გაქცეულიყო იგი, ყოველთვის თან მიჰქონდა. ამიტომ ყოველგვარი გაქცევა უგუნურებაა და ტანჯვის მეტი არაფერი მოჰყვება. „ყოველ განვლილ დღეს სამუდამოდ წაეღო რაღაც ნაწილი მისი არსებისა და ისე გაეღარიბებინა, გახრიოკებული გზის მეტი მართლაც აღარაფერი შერჩენოდა. ამ გზაზე კი ფარნაოზს უკვე იმდენჯერ გაევლო, ვეღარც გრძნობდა მის არსებობას. განა ვანში დაბრუნებით რამე შეიცვლებოდა, განა ეს გზაც თან არ უნდა წაეღო, პატარა, ნაცრისფერი, მოუკირწყლავი და ერთი და იგივე გზა, რომელზედაც ყოველთვის ერთი და იგივე კაცი მიდიოდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, ამ გზის გადაადგილებას, თუკი თვითონ ვერ შეიცვლებოდა, ვერ შეძლებდა სხვანაირად ცხოვრებას“.

თავისთავის შესაცვლელად კი ფარნაოზს არც ნებისყოფა ყოფნიდა და არც სულიერი სიღრმე ჰქონდა.

პირველი, ვისაც ვანში დაბრუნებული ფარნაოზი შეხვდა, სიბერით მიხრწნილი მალალო იყო. სიკვდილის წინ მიმხვდარიყო მალალო, როგორ დაანგრია შვილის ბედ-

ნიერება, როცა ინო ფარნაოზს არ მიათხოვა. ამიტომ უკანასკნელად ესღა შესთხოვა ფარნაოზს – ინოს უშველეო. შიშით გულგამოჭმულმა ფარნაოზმა მანც ვერაფერი მოახერხა. მერე ცოლად მეზობლის ქალი თინა შეირთო. თინასაც ატყუებდა ფარნაოზი. და არა იმიტომ, რომ უპატიოსნო კაცი იყო, არამედ იმიტომ, რომ შიშით ვერ გაემხილა – სხვა ქალი მიყვარს და შენი ქმრობა არ შემიძლიაო.

ერთ დღეს დაცოლშვილებული ფარნაოზი ინოს შეხვდა ქუჩაში. ჯერ გაქცევა უნდოდა, მაგრამ ძალა არ ეყო. ინოს თვალებს ვერაფრით დააღწია თავი. მერე ნებისყოფაგაცლილი ინოს ოთახში შეჰყვა. რა ექნა არ იცოდა – თავად სხვისი ქმარი იყო, ინო კი – ქალაქის როსკიპი. ქალისა და კაცის გული ჯერ ზიზღითა და სიძულვილით გაიმსჭვალა ერთმანეთის მიმართ, მერე ორივე მიხვდა, რომ თვალთმაქცობდნენ. ისინი გამოაფხიზლა ეზოში ჯალათ კუსას შემოსვლამ. ფარნაოზს „გული ყელში გაჩხეროდა, არასოდეს არ ყოფილა ასე უბედური. ქალის მიტოვებაც ესიკვდილებოდა და ამ ოთახში დარჩენაც. უნდოდა, ამ ქალის სახელი ეთქვა, ეყვირა, ეღრიალა მთელ ქვეყნის გასაგონად, მაგრამ ვერ გაებედა, რცხვენოდა და ეშინოდა, აქ არ ეპოვათ, აქ არ დასდგომოდნენ თავზე. ის კი არა, მზად იყო ჯოჯოდ ქცეულიყო, ობობად და სამუდამოდ შემძვრალიყო კედლის ბზარში, რადგან იმის წარმოდგენაც თავზარს სცემდა, მხარზე ტომარაგადაკიდებული კუსა ეზოში რომ იდგა“. კუსა ფარნაოზის დისწული იყო და ჯალათი. კუსასი ყოველთვის ეშინოდა ფარნაოზს. ამ კაცის წინ ფარნაოზი ყოველთვის მჩვრად იქცეოდა.

ვერც ინოს და ვერც საკუთარ სიყვარულს უშველა ფარნაოზმა. ამისი უფლება არ მისცა უზომო სიმხდალემ და სილაჩრემ.

„ფარნაოზს კი შეეშინდა და სწორედ მაშინ გახდა გარეწარიც, მოღალატეც, თვალთმაქციც და უსინდისოც. და თუმცა ამით, როგორც მერე კუსამ განუმარტა, **სხვებს დაემსგავსა და იმ სხვებთან ცხოვრების უფლებაც მოიპოვა** (დააკვირდით ამ სიტყვებს – ა.ბ.). სამაგიეროდ დაჰკარგა ის, რასაც ვეღარაფერი შეცვლიდა, რადგან მისი შემცვლელი არც არსებობდა“.

აი იმას, რისი შემცვლელიც არ არსებობს, პიროვნება ჰქვია. ფარნაოზმა დაკარგა თავისი პიროვნება. ადამიანს შეუძლია, მოვალეც არის ზოგჯერ, მსხვერპლად გაიღოს თავისი სიცოცხლე, მაგრამ არა თავისი პიროვნება. ადამიანი პიროვნება მაშინ არის, როცა მთლიანი და დამოუკიდებელი სული აქვს. თუ ადამიანი კარგავს ამ მთლიან და დამოუკიდებელ სულს, იგი კვდება, როგორც პიროვნება და რჩება ინდივიდუუმი, როგორც მხოლოდ ბიოლოგიურ-სოციოლოგიური კატეგორია. ფარნაოზი მხოლოდ ინდივიდუუმია. ამიტომ არ აღმოაჩნდა მას ძალა თავგანწირვისა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ცუგა ფეხსადგილში ჩავარდა. საინტერესოა, რომ ცუგას სახე თან დაჰყვებოდა ფარნაოზს, როგორც სინდისის ქენჯნა. ფარნაოზს ბიჭი შეეძინა თინასთან და, ბუნებრივია, შვილი თავდავიწყებით უყვარდა, მაგრამ სულში შემძვრალი ვიღაც არ ასვენებდა და ეკითხებოდა – „დავუშვათ, პატარა უხეირო, ერთ მშვენიერ დღეს ფეხსადგილის ორმოში“... „დაუფიქრებლად, დაუფიქრებლად!“ – შეუძახებდა ხოლმე ფარნაოზი სულის კუნჭულში შეყუჟულ ეჭვს“...

როგორც ვხედავთ, იმდენად ნებაგაცლილია ფარნაოზი, რომ თავად ეეჭვება. გასწირავს თუ არა შვილისათვის თავს. მაგრამ მოხდა ისე, რომ სწორედ პატარა უხეირო გახდა ფარნაოზში პიროვნების აღორძინების საფუძველი. პიროვნების აღორძინებისათვის აუცილებელი იყო თავგანწირვა. როცა ფარნაოზის პატარა ბიჭი დაიღუპა, ფარნაოზს თვალი აეხილა. როცა კედელზე გაკრულმა ფარნაოზმა ქვეყანა დაინახა, უცებ დასძლია შიში და შეიძინა მთლიანობა, ნება და ენერგია. იგი უკვე თავისთავს ეკუთვნოდა და აღარავისი ეშინოდა.

კედელზე გაკრულ ფარნაოზს მოეჩვენა, რომ დედალუსის კუტი შვილი მის ეზოში იჯდა. წასვლა მოუნდა, მაგრამ ჭაობი ეზოს ჭიშკრამდე მოსდგომოდა. იკარუსი შველას ითხოვდა. „ფარნაოზმაც ხათრი ვეღარ გაუტეხა და პირველი ნაბიჯი ფრთხი-

ლად გადადგა, უფრო მკვრივი, საიმედო ადგილი რომ მოეძებნა ფეხის მოსამაგრებ-ლად. ჭაობმა მაშინვე უკან დაიხია, თითქოს წყვდიადს ჩირაღდანი მიანათესო. ბავ-შვმა ისევ შეიფრთხიალა და ფარნაოზიც თამამად მიჰყვა უკანასკნელ ჭაობს“.

ყველაფერი სიკვდილის წინ დაბრუნდა, რამეთუ უმსხვერპლოდ არაფრის მოპო-ვება არ შეიძლება. მაგრამ ზვარაკად სხვისი შეწირვა კი არ უნდა გემარჯვებოდეს, არამედ საკუთარი თავის გაღება. ამას მიხვდა ინსტინქტით პატარა უხეირო. „მეც რომ შენოდენა გავიზრდები, ჩვენი სახლიც ჭაობში იქნება – თქვა ერთხელ პატარა უხეირომ“. ეს არ უნდოდა მას. ამიტომ გაფრენა მოიწადინა. ტაძრის გუმბათზე აიპა-რა, ხელები ფრთებივით გაშალა და გადმოხტა. ბიჭი დაიღუპა, მაგრამ მისმა საქცი-ელმა გონდახშული ხალხი გამოაფხიზლა.

როცა სასახლეში ეს ამბავი შეიტყვეს, ყველა შეკრთა. სულის სიღრმეში ოყაჯადო მეორეც და დედოფალი ცუცაც მიხვდნენ, რომ თავისუფლება, რომელიც საბოლო-ოდ დათრგუნვილი ეგონათ, ცოცხალი ყოფილა. პატარა უხეიროს საქციელი ამის სიგნალი იყო. სასწრაფო კონტრღონისძიება იყო საჭირო და ცუცამ თქვა – „ბავშვს რა ჭკუა მოეკითხება, პატრონია მოსაკლავიო“. დედოფალს ეგონა, თავისუფლების აზრს ბავშვს მშობლები შთააგონებდნენო. მაგრამ მწარედ სცდებოდა ცუცა. იგი იმეორებდა ყველა ტირანის შეცდომას. ტირანებს ჰგონიათ, თავისუფლების იდეა პროპაგანდით ვრცელდება და, თუ მოქადაგეებს მოსპობენ, იდეაც მოკვდება. სა-ბედნიეროდ ასე არ არის. თავისუფლების იდეა ადამიანთან ერთად იბადება და თვი-ნიერ ქადაგებისა, გადაეცემათ ადამიანებს, თაობიდან თაობას. არც პატარა უხეი-როსთვის შთაუგონებია ვინმეს თავისუფლება. თავისუფლებისაკენ ლტოლვის თან-დაყოლილმა ადამიანურმა თვისებამ ბუნებრივად გაიღვიძა ბიჭში და ამაღლებული აქტისაკენ უბიძგა. ვერც ცუცა და ვერც ოყაჯადო იმას ვერ მიხვდნენ, რომ ფარნაო-ზის დასჯა კონტრღონისძიება კი არ იყო, არამედ იმ პროცესის გაგრძელება და ხელშეწყობა, რაც პატარა უხეიროს საქციელმა დაბადა. ფარნაოზის დასჯით, თა-ვად ფარნაოზიც იღვიძებდა და მთელი ვანიც ფხიზლდებოდა. ტირანიის კრეტინიზ-მის ერთი უპირველესი გამოვლენა ისიც არის, რომ ყოველთვის იმის გაჩენას უწ-ყობს ხელს, რასაც მისი (ტირანის) ჭკუით ებრძვის და თრგუნავს. სხვანაირად არც შეიძლება, რამეთუ ტირანია ყოველთვის კუსას მსგავსებს ეყრდნობა. სულიერად და ხორციელად ბერწი კუსა კი ვერავითარ აზრს ვერ წარმოშობს. ერთადერთი, რაც კუსას შეუძლია, ეს არის – ზურგზე საწამებელი იარაღებით სავსე აბგა გადაიკიდოს, ქალაქ-ქალაქ, ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ იაროს და ადამიანებს თავზარი დასცეს. შიშით დათრგუნოს და მონობის უღელი დაადგას. ამიტომაც ვერ გაიღვიძა მასში ადამიან-მა მაშინაც, როცა პატარა უხეირო დაიღუპა. გამოსაფხიზლებლად აუცილებელი სული კუსას აღარ ჰქონდა. ჯალათობასა და ჯაშუშობას საბოლოოდ მოეკლა მისი სული. რის დათრგუნვას და სიკვდილს სხვებში ესწრაფვოდა კუსა, თავისთავში მო-ეკლა და დაეთრგუნა. ეს არის ლოგიკური ბოლო ყოველი ჯაშუშისა და ჯალათის. ამიტომაც ვერ დაინახა ჯალათმა ის, რაც კედელზე გაკრულმა მსხვერპლმა იხილა.

„აგე, დარიაჩანგის ბაღიო“ დაიყვირა ფარნაოზმა და გაოცებული ადგილზე გა-შეშდა. დარიაჩანგის ბაღი მზეზე ხასხასებდა, დამათრობელ სურნელს აფრქვევდა, ალაგ ყვაოდა, ალაგ მწიფდა და ალაგ უკვე ნაყოფი ჩამოსდიოდა. ფუტკრების ჯოგი ოქროს მტვერივით ედგა თავზე, შორს, თვალის საწიერამდე, გაჰქონდა ნიავს მისი ყვავილი. ბაღიდან თეთრი თიკანი გამოვიდა, ერთ ადგილას გაქვავებული კაცი და ბავშვი რომ დაინახა, დაიკიკინა, სიხარულისაგან შეიკუნტრუშა და ისევ ბაღში შეტ-რიალდა, თითქოს ეუბნებოდა, მანდ რას უდგახართ, აქ მოდით, აქ ჯობიაო. მერე ბაღს გაღმა ზღვამ ამოიფშვინა, მძლავრი სუნთქვით კენწეროები გადაზნიქა და ფარნაოზს თავბრუ დაახვია უსასრულო სილურჯემ. იკაროსიც აეფორიაქებინა ამ ზღაპრულ სანახაობას. ვეღარ ისვენებდა, ცქმუტავდა, წინ იწევდა, თითქოს უფარ-ნაოზოდაც წავიდოდა, გაფრინდებოდა, ვაშლის ყვავილივით გაჰყვებოდა ნიავს.

მაგრამ ფარნაოზიც უფრო ღონივრად უჭერდა ხელებს, თითქოს ეშინოდა, მართლა არ გაფრენოდა ბავშვი.

. . .

მერე ბავშვს ყურის ბიბილოზე აკოცა და ჩასჩურჩულა: აი, ასეთი იქნება ქვეყანაო“.

მაგრამ როდის იქნება ასეთი ქვეყანა? როცა ყველა ცხოვრების შარას სულის კანონების თანახმად გაივლის. როცა ყოველი კაცი, თავის ხორციელ არსებას ზნეობრივი სრულყოფისაკენ წარმართავს. ეს გზა კი ადამიანმა მარტოდმარტო უნდა გაიაროს. აქ მას დამხმარე და მშველელი არ ყავს.

1975

მომავლისაკენ მიმავალი ცალხელა კაცი

ოთარ ჭილაძის რომანი „ყოველმან ჩემმა მპოვნელმან“... დროის ვრცელ მონაკვეთს მოიცავს. რომანის მთავარი პერსონაჟი ქაიხოსრო მაკაბელი ხუთი წლის იყო, როცა აღა-მაჰმად ხანმა თბილისი ააოხრა, ხოლო, როცა ქაიხოსროს სიკვდილმა მოაკითხა, უკვე კახეთის რკინიგზა გაჰყავდათ. ამრიგად, რომანში აღწერილია ისტორიის თითქმის ასოცწლიანი პერიოდი (მოგეხსენებათ, თბილისი 1795 წელს დაარბია სპარსთა ლაშქარმა, კახეთის რკინიგზა კი 1910-იან წლებში შენდებოდა). მაგრამ რომანში ამაოდ დაუწყებთ ძებნას ამ პერიოდში მომხდარ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს. ისინი ამჯერად მწერალს არ აინტერესებს; მას სხვა კითხვა აფორიაქებს. ეს კითხვა, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის ექიმ ჯანდიერის პირით, ასე გამოიხატა:

„რა ჭირს ადამიანს? რა შეაყოლა ღმერთმა ტალახს ამისთანა მოურჩენელი?“

ძველთა ძველი და უპასუხო კითხვაა.

არავინ უწყის, რამდენი უძილო ღამე გაატარა კაცობრიობამ ამ კითხვის პასუხის ძებნაში. ყოველი კაცი მის პასუხს მაშინ პოულობს, როცა იმავე ტალახად იქცევა, რომლითაც მოზილეს. მაგრამ პოვნას მნიშვნელობა უკვე აღარა აქვს, რამეთუ მპოვნელი უკვე ადამიანი აღარ არის და ნაპოვნის სხვისთვის უწყება-გადაცემა არ შეუძლია.

სრულიად ბუნებრივია, რომ არც ოთარ ჭილაძის რომანშია ამ კითხვის პასუხი. იქ ადამიანის სულისა და ხორცის გვემის კიდევ ერთი ამბავია აღწერილი.

ახლა რომანის წაკითხვით მიღებული რამდენიმე შთაბეჭდილება მინდა გამოვყო.

შთაბეჭდილება პირველი: რომანის ყველა პერსონაჟის (ცხადია, ვგულისხმობ მაკაბელების ოჯახს) ბედი ერთნაირია – ტრაგიკული, მიუხედავად იმისა, რომ მათი თავგადასავალი, ხასიათი, მდგომარეობა, გარემოება, რომელშიაც მოქმედებენ, განსხვავებულია, სხვადასხვაგვარია.

მოკლედ გავიხსენოთ თითოეული მათგანის ბედი.

ქაიხოსრო მაკაბელის ცხოვრება უბედურებით დაიწყო და უბედურებით დამთავრდა. ხუთი წლის ბალღი იყო, როცა მისი ოჯახი დაიქცა. შემთხვევით გადარჩენილი უცხო კაცმა ყაფლან მაკაბელმა შეიკედლა. მერე ამ კაცმა დაუტოვა ყველაფერი – სახელი, გვარი, მამული, წოდება, ჩინი. მთელი ცხოვრება ისე გაატარა ქაიხოსრო მაკაბელმა, რომ ყველაფერი სხვისი ჰქონდა. ცოლიც სხვისი შეირთო. ვერაფრით ვერ დაადგინა თავად ვინ იყო და საკუთარი რა ჰქონდა. ამ წამებისაგან ვერა და ვერ განთავისუფლდა. ამას ისიც ეთრვოდა, რომ ქაიხოსროს ცხოვრება სისხლს ეყრდნობოდა. მაშინ, ბავშვობისას, იმით გადარჩა, რომ მომხდურ ჯარისკაცს ქაიხოსროს დის

სისხლზე დაუსხლტა ფეხი და ბიჭს ხელი ვეღარ სტაცა. მერე როცა ყაფლან მაკაბელის ნასახლარზე სახლ-კარის კეთება დაიწყო, ეზოში საფლავი იპოვა. იგი ყაფლანის დის სამარხი ყოფილა. იძულებული იყო ეს საფლავი დაენგრია, თუმც უნებლიეთ. მაგრამ მთელი ცხოვრება სისხლით ჰქონდა შეფერილი. ცოლიც სისხლით შეირთო. უდანაშაულო თათარი დაჭრა და მერე თათრის საყვარელი ანა ცოლად დაისვა. ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. გაბოროტებულმა თათარმა ქაიხოსროს გერი გიორგი მოკლა და გიორგას სისხლიც ქაიხოსროს დააწვა ცოდვად. ეს ცოდვილი კაცი სძულდა ყველას – ცოლს, გერს, ღვიძლ შვილებს, ბადიშებს. ბოლოს ყველასაგან მოძულებული მარტოდმარტო მოკვდა და მიცვალებულს შვილიშვილმა ალექსანდრემ დაუნდობლად დაასხა თავსლაფი. ალექსანდრემ პაპის ცხედარი მოიპარა, ვირზე შესვა და სოფელ-სოფელ ატარა. ზოსიმე მღვდლის ხვეწნა-მუდარის მერე დაუბრუნა ალექსანდრემ ბაბუამისის ცხედარი ოჯახს.

ასე დამთავრდა ქაიხოსრო მაკაბლის გაძაღლებული ცხოვრება. კიდევ უფრო უბედური იყო ანა. ამ ქალის ქმარი ომში მოკლეს, ჭარბელაქნის განთავისუფლების დროს. უპატრონოდ, თოთო ბავშვის ამარა დარჩენილი, გამოუცდელი ქალი იოლად დაიმორჩილა თათარმა და ათი წელი ხასად ესვა. ვიღაც ლუკმაპურის მომწოდებელი მაინც გვეყოლებაო, ფიქრობდა ანა და იობის მოთმინებით უძლებდა საძულველი კაცის ალერსს. უბოდიშოდ ჩაერია ანას ცხოვრებაში ქაიხოსრო მაკაბელი. ჯერ გიორგა გადაიბირა, მერე, ერთ ღამეს, თათარი მძიმედ დაჭრა და ანას ოჯახიდან გააგდო. ამით ანასთვის არაფერი შეცვლილა: ერთი მამაკაცის ადგილი მეორემ დაიჭირა. ანგარიშიანობამ უკარნახა და ქაიხოსრომ ანა ცოლად შეირთო. ცოლობა საყვარლობაზე მძიმე გამოდგა. ცოლ-ქმარს ერთმანეთი სძულდა. გერიც სძულდა ქაიხოსროს. გიორგას აბრალებდა იგი მარცხიან დაოჯახებას. ქაიხოსრომ გიორგა შინიდან გააგდო და მოკვეთილი ბიჭი გომურში ცხოვრობდა მარტოდმარტო. უსაზღვროდ იტანჯებოდა ანა, შვილის წინაშე დამნაშავედ გრძნობდა თავს და არ იცოდა რით გამოესყიდა ეს. ქაიხოსროსთან ვაჟი შეეძინა ანას – პეტრე. არც პეტრეს უყვარდა გიორგა. დედასაც აწამებდა იგი და ნახევარძმასაც. ყველა ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ შურისმაძიებელმა თათარმა გიორგა მოკლა, თავზარდაცემული ანა შეირყა. შვილის სისხლიანი პერანგი ჩაიცვა. შვილის სისხლიან ლოგინში წვებოდა. ასე გააატარა სიცოცხლის დარჩენილი დღენი.

სხვათა შორის, მშობლის მიერ შვილის სისხლიანი ტანსაცმლის ჩაცმა აღწერილია ლიტერატურაში, კერძოდ, ალფონს დოდეს „არლელ ქალში“. შვილმა თავი მოიკლა, „მამა დღემდე მიცვალებულის ტანისამოსს იცვამს; ვერაფრით ვერ გაახდევინეს“... ამ ლიტერატურულ პარალელს ახლა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. გავიხსენე მხოლოდ ფაქტის აღსანიშნავად. თუმცა ის კი აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ამ საქციელს ოთარ ჭილაძის რომანში გაცილებით ღრმა აზრი აქვს, ვიდრე ალფონს დოდეს მოთხრობაში. „სანამ დედას შვილის სისხლიანი პერანგი აცვია, ქვეყანა არ დაიღუპება“ – თქვა ზოსიმე მღვდელმა, როცა ანას ამბავი შეიტყო. ამ დასკვნამდე ფრანგი მწერალი არ მიდის.

გიორგას ბედზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ, რადგან ეს ზემორე ნაამბობშიც ჩანს და, მე მგონია, იმისთვისაც გასაგები უნდა იყოს, ვისაც რომანი ჯერ არ წაუკითხავს.

ქაიხოსრო მაკაბელის რძალი ბაბუცა თავადის ქალია, გვარად მიქელაძე. ბაბუცა სულითაც არისტოკრატია. მაკაბლების სიძულვილით გაჟღენთილ ოჯახში სიყვარულის ნაპერწკლის ანთებას ცდილობს, თუმცა ამაოდ. მამამთილსა და ქმარს კი არადა, ღვიძლ შვილებს ვერ მოერია ბაბუცა. მას მერე, რაც ალექსანდრემ ხელი დაკარგა, ყველა შეიძულა, განსაკუთრებით ძმა – ნიკო. ამოიჩემა, ჩემზე უფრო დედაჩემს ნიკო უყვარსო და ძმის სახელის გაგონება აღარ უნდოდა. მართალია, ალექსანდრე ხეიბარი იყო, მაგრამ მაინც ოჯახში, დედის თვალწინ ტრიალებდა. ნიკო კი ტერო-

რისტულ აქტში მონაწილეობისათვის ციმბირს იყო გადასახლებული, გაციმბირებული შვილის დარდი მეტად აწუხებდა ბაბუცას. აი ეს ვერ ეპატიებია დედისათვის ალექსანდრეს. თან ისიც აღიზიანებდა, რომ ნიკოს დარდით დაჭლექდა ბაბუცა. დედა მომიკლაო ნიკომ, ღრიალებდა ალექსანდრე და ცასა და დედამიწას კრულვას უგზავნიდა. მართლაც ნიკოს დარდმა მოკლა ბაბუცა. ისედაც სუსტი და ნაზი ქალი ჭლექს ვერ მოერია და როგორც მშვიდად და უხმაუროდ ცხოვრობდა, ისევე მშვიდად და უხმაუროდ მიიცვალა, ღრმადდარწმუნებული, შვილის უნახავად არ მოვკვდებიო.

ორივეს სძულდა პაპა და აღარ იცოდნენ ტკივილი რით მიეყენებინათ. ბოლოს საღორის აფეთქება გადაწყვიტეს. იმ საღორეში ქაიხოსრო საკალანდო ღორს ასუქებდა ყოველ წელიწადს, ტრაბახიც უყვარდა ნასუქალი ღორით. ძმებმა საღორე კი ააფეთქეს, მაგრამ თავად უფრო მკაცრად დაისაჯნენ, აფეთქებამ მარცხენა მკლავი მოგლიჯა ალექსანდრეს. მთელ ქვეყანას განუდგა ალექსანდრე: „მე ჩემთვის და თქვენ თქვენთვის – აი, ყველაზე სწორე სიტყვა: მე ერთი და თქვენ მრავალი – აი, ყველაზე სამართლიანი ანგარიში“. ოჯახი მიატოვა და მესაფლავის ქალიშვილი კოჭლი მარო შეირთო. სხვასაც აწამებდა და თავადაც ეწამებოდა. თვითგვემაში ხედავდა საკუთარი სიმახინჯის გამოსყიდვის საშუალებას. „ღმერთი არის ტკივილი და საკუთარი სიმახინჯის მიხვედრა“.

არც მეორე ძმა ყოფილა უფრო ბედნიერი. ტერორისტობისათვის გააციმბირეს ნიკო და გადასახლებაში დალია სული, მშობლების, და-ძმისა და სამშობლოს უნახავად.

ვერც უმანკო და უდანაშაულო ანეტა აცდა ბედის სასჯელს. ნანდაურის საძებნად წნორში ჩასული, რკინიგზის მუშების მეთვალყურე იაგორამ გააუპატიურა. თექვსმეტი წლის გოგოს ამ ელდისაგან დამბლა დაეცა და ფეხები წაერთვა.

დაბოლოს პეტრე მაკაბელი. ბავშვობაში ბოღმით იყო გასივებული. აშკარად ხედავდა და გრძნობდა, დედამისს გიორგასკენ რომ მიუწევდა უფრო გული. მართალია, პეტრეც შვილი იყო და უყვარდა, მაგრამ სულის ყველა ძაფით გიორგაზე იყო გადაბმული. და აკი გიორგასაც შესწირა თავი. მერე დაოჯახდა პეტრე. უბედური მამა აღმოჩნდა. ერთ შვილს აფეთქებამ მკლავი მოგლიჯა. დაამახინჯა და დაახეიბრა. გაბოროტებულმა ოჯახი მიატოვა. სახლ-კარს მოცილებული სასაფლაოზე ცხოვრობდა, თავის კოჭლ და ქვეყნის ნათრევ ცოლთან ერთად. მეორე შვილი გადაუსახლეს პეტრეს და იგი ციმბირში მოკვდა ისე, რომ მამამ ვერც კი დაიტირა. მესამე შვილი, გოგო, ვიგინდარა და ქუჩის კაცმა გააუპატიურა. ეს არ აკმარა ბედმა პერეს. დაქვრივებული კამფეტების ვაჭარ ქალს გადაეკიდა და ცოლად შეირთო. მეორე ცოლმა შინ დებილი გერი მოუთრია. გაუბედურებული შვილების მამა მუდამდღე ამ დორბლიან დებილს შეჰყურებდა და იგი იყო მისი სიბერის ნუგეში.

ასე დაწვრილებით საგანგებოდ ამოვწერე მაკაბელთა ოჯახის ყველა წევრის ბედი. მართალია, ასე შიშვლად აღწერილი ამბავი ტენდენციურად ტრაგიკულ სურათს ხატავს, მაგრამ ამისი ნუ შეგვეშინდება. ნუ შეგვეშინდება იმიტომ, რომ ტრაგიკულობა ადამიანის ბუნების შინაგანი თვისებაა. აბა, დააკვირდით, ადამიანს ეუბნებიან:

არა კაც კლაო და მაინც კლავს.

არ იქურდოო და მაინც ქურდობს.

არ იმრუშოო და მაინც მრუშობს.

მას მერე, რაც ეს სიტყვები ითქვა, ადამიანმა ხუთი სოციალური ფორმაცია გაიარა, ურმიდან კოსმოსურ ხომალდამდე მივიდა, ბრძნული წიგნების მთები დადგა, მაგრამ ათ მცნებაში მოხსენიებული მანკიერებიდან ვერც ერთი ვერ მოიცილა. ოთარ ჭილაძე, ერთი შეხედვით, ამ უცნაური მოვლენის ზუსტ პასუხს იძლევა. „ათი მცნება ხომ სხვა არაფერია, თუ არა ათი ძირითადი ადამიანური თვისების აღმოჩე-

ნა, ხოლო ადამიანობა – ამ ათი, ერთმანეთზე ძლიერი და ერთმანეთზე ძნელად მოსარევი თვისების დათრგუნვისა თუ მიჩქმალვის ცდაა“. მაშასადამე, ათი მცნებით დაგმობილი მანკიერებანი მანამდე იარსებებენ, სანამ ადამიანი იქნება, რამეთუ ადამიანი საკუთარ თვისებას ვერსად გაექცევა. ოღონდ აქ პრობლემა დგას – ეს მანკიერებანი უნდა დაითრგუნოს თუ უნდა მიიჩქმალოს? ესეც ადამიანზეა დამოკიდებული. ერთს შეუძლია ისინი დათრგუნოს, მეორეს – მიჩქმალოს. ის, ვინც თრგუნავს, სულიერ თავისუფლებას აღწევს. ის, ვინც ჩქმალავს, სულიერი მონობის მსხვერპლია. ამის ნათელი ნიმუში ალექსანდრე მაკაბლის ცხოვრებაა. როგორც კი ალექსანდრემ მანკიერებანი (კერძოდ, სიძულვილი) დათრგუნა, ციმბირს გაემგზავრა ძმის სანახავად. მართალია, ძმას ცოცხალს ვეღარ მიუსწრო, მაგრამ ობლად და უპატრონოდ დარჩენილი ძმისწული გადაარჩინა.

შთაბეჭდილება მეორე. სიძულვილით შეპყრობილ ადამიანთა საზოგადოებაში იბადება სიყვარული. სიყვარულიც ადამიანის თვისებაა და მანამდე იარსებებს, სანამ ადამიანი იქნება.

ანას შვილისადმი სიყვარული ფანატიზმამდე აღწევს. ტყუილად ხომ არ უთხრა ზოსიმე მღვდელმა ანას – „სანამ შენ ცოცხალი ხარ, გიორგაც ცოცხალი იქნება“. ამის დასტური მარტო გიორგას სისხლიანი პერანგი არ არის. ამის საბუთია ირემიც, რომელიც ანას დასაფლავების დღეს სოფელში შემოვიდა. „– ეგ, გიორგას სულია. დედას მოაკითხა, – თქვა ზოსიმე მღვდელმა“.

ირმადქცეული გიორგას სული დედაშვილური სიყვარულის უკვდავების სიმბოლოა.

როცა ბაბუცა მიიცვალა, ციმბირიდან ნიკოს წერილი მოვიდა. ერთადერთი წინადადება იყო ბარათში – „დედაჩემს რა მოუვიდა?“ ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით იგრძნო შვილის გულმა თავსდამტყდარი უბედურება. „ასე იცის დიდმა სიყვარულმა, არც გზა არსებობს მისთვის და არც კედელი. ცაში ჰკიდია ვარსკვლავივით და ციდან ატყობინებს შეყვარებულებს ერთმანეთის ამბავს“.

სიყვარულის გამო შესწირა აღათიამ თავისი ქალობა და სიცოცხლე ჯერ მიქელაძეების და მერე მაკაბელთა ოჯახს, სიყვარულის გარდა, სხვა ვერავითარი ძალა ვერ აიძულებდა აღათიას უარი ეთქვა თავისთავზე და სხვების კეთილდღეობაზე ზრუნვაში გაელია წუთისოფელი.

აღორძინებულმა სიყვარულმა მისცა ძალა ალექსანდრეს ძმის სანახავად წასულიყო, გადაელახა ციმბირის უკიდეგანო მიწა-წყალი, ობოლი ძმისწული ეპოვნა და შინ დაებრუნებინა.

მხოლოდ სიყვარულს შეეძლო გადაერჩინა ტლანქი ვნებით გადათელილი, დაკნინებული და დადამბლავებული ანეტა. გზის ინჟინრის მიტოს სიყვარული აძლევს ანეტას არსებობის იმედსა და საშუალებას. მიტომ „ბავშვობიდან იცოდა, ყველა ადამიანი თავის ჯვარს რომ ზიდავს და მხოლოდ მისთვის განკუთვნილ გოლგოთაზე ადის ბოლოს, რათა იქ სამუდამოდ გაქრეს ანდა მეორე სიცოცხლე დაიწყოს, პირველით დამსახურებული, მაგრამ უკვე სხვათა საკუთრება“.

უსიყვარულოდ ამ ჯვარს ვერ ზიდავ.

განსაკუთრებით საყურადღებოდ მიმაჩნია ანასა და ექიმ ჯანდიერის უთქმელი სიყვარული.

სულ ორჯერ აკოცეს ანას ხელზე. პირველად მაშინ, როცა ქალიშვილობის ცისფერი ოცნება ჯერ კიდევ ცხოვრებას არ შეებილწა. აკოცა პირველმა ქმარმა, გიორგას მამამ, რომელთანაც ცხოვრების უღლის გაწევა ანას ბედმა არ არგუნა. მეორედ ექიმმა ჯანდიერმა აკოცა, მაგრამ ახლა ანა უკვე სულ სხვა ქალი იყო: თათრის საყვარლად ნამყოფი, ქაიხოსრო მაკაბლის მოძულებული ცოლი, რომელიც წელში ოთხადმოკეცილი, თავზე ნაცარდაყრილი მიჰყვებოდა გოლგოთის გრძელსა და დაუსრულებელ გზას.

როცა ექიმმა ჯანდიერმა ანას ხელზე აკოცა, ქალი მეხდაცემულივით შეირყა. თავდაპირველად ანა ვერ მიხვდა, რა მოუვიდა. მოგვიანებით ქალური გუმანით ამოიცნო, რომ ამ კოცნაში იყო „რაღაც ფარული გრძნობა, ძნელად გამოსახატავი, ძნელად გამოსამჟღავნებელი“. ჯანდიერმა სიცოცხლის სიხარული დაუბრუნა ანას. „მისი (ჯანდიერის – ა.ბ.) ღიმილი მზის შუქივით ეთათუნება ანას სახეზე. „ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე“, – ლოცულობს ანა გუნებაში, შემკრთალი და დაბნეული. შემკრთალი, დაბნეული და ბედნიერი (ამ ბოლო სიტყვას დააკვირდით – ა.ბ.). მერე შინ შერბის, რათა მისი ხელშენავლები ჭიქა და თეფში გამოარჩიოს, სანამ ჭუჭყიანი ჭურჭელი ერთმანეთში აირევა. ცალკე გარეცხავს და ცალკე შეინახავს. ეს თეფში და ჭიქა უკვე მხოლოდ იმისია და მხოლოდ იმას გამოუტანს, როცა მოვა. თუკი კიდევ მოვა როდისმე. მაგიდაზე დასორსოლებული პურის გული გდია, თიხის პაწაწინა თოჯინას მაგვარი. აშკარად ატყვია იმის თითების ანაბეჭდები. ანა დაუფიქრებლად, გაუაზრებლად იღებს პურის დასორსოლებულ გულს და ჭამს“.

ასე იქცევა სიყვარული არსობის პურად, სიყვარულის ფინჩხა – სიცოცხლის წყაროდ.

ცხოვრება გაძლებაა და ამისი ენერგია უნდა ჰქონდეს ადამიანს. ამ საარსებო ენერგიას ანიჭებს ანას ჯანდიერის სიყვარული. უკანასკნელი შეხვედრისას, უკვე სიკვდილის გზაზე დამდგარი ანა ეუბნება ჯანდიერს: „– შენი თითებით დასორსოლებული პური რომ შევჭამე, იმან გამაძლებინა აქამდე“.

ასე არსებობს რომანში ერთმანეთის გვერდიგვერდ დიდი სიძულვილი, და დიდი სიყვარული, დიდი მწუხარება და დიდი სიხარული.

შთაბეჭდილება მესამე. ალბათ ყველა, ვისაც წაუკითხავს „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, დამემოწმება, რომ რომანის კითხვისას, რარიგ ტრაგიკულ ამბავსაც უნდა აღწერდეს ავტორი, მკითხველს ერთი წამითაც არ ტოვებს მხნეობისა და იმედის განწყობილება, ადამიანის შინაგანი ძალის რწმენა. ჩემი აზრით, ეს გრძნობა, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ ადამიანი მხოლოდ ტრაგიკულ სიტუაციაში ავლენს თავის არსს, ხოლო, მეორე მხრივ, რომანის მეორე პლანი გამუდმებით მიგვანიშნებს უნაპირო სიცოცხლის მრავალფეროვნებაზე.

როცა დამცირებული, დაბეჩავებული და დამონებული ანა ქაიხოსროს ოთახში შევა და ქმარს აგურით ამოუნაყავს ცხვირ-პირს, მკაფიოდ ხედავთ, რომ სიკეთეს, რარიგ დაჩაგრულიც იყოს იგი, მაინც შეუძლია ამბოხება, მაინც შეუძლია შურისძიება.

როცა ცალხელა ალექსანდრე დედის კუბოს თავს ახდის და ბაბუცას ცხედარს აზმუვლებული დაემხობა, მკაფიოდ ჩანს, რომ სიყვარული, რარიგ გახვეულიც იყოს სიძულვილის ნაცარში, მაინც გამოანათებს და ვერავითარი კედელი ვერ დააკავებს.

როცა ჭორებით და მომხდარი ამბებით შეძრწუნებული ურუქელები განკითხვის დღეს მოელიან, ზოსიმე მღვდელი იის კონით დადის.

„– ია თუ დაგიყნოსავს როდისმე, – ჰკითხა ზოსიმე მღვდელმა და თვითონ უყნოსა იის კონას.

– რაო? – საკუთარ ყურებს არ ენდო პეტრე.

– აი, ია, – თქვა ზოსიმე მღვდელმა და ის ხელი ასწია, რომელშიაც იის კონა და ლოცვანი ერთად ეჭირა (არც ეს არის შემთხვევითი, ია და ლოცვანი ერთად რომ უჭირავს ზოსიმეს – ა.ბ.) პეტრეს დაანახვა. – აქედან იწყება ადამიანი“.

ადამიანი იით იწყება, ხოლო თავისსავე მოქსოვილ პარკში გამომწყვდეული აბრეშუმის ყაჭი მაშინათვე არ კვდება, არამედ პეპელად იქცევა და ისე ტოვებს სიკვდილის საკანს. თუკი ყაჭი მეორე სიცოცხლეს პეპელას სახით იძენს, ადამიანმა რა დააშავა, რომ მხოლოდ ერთი სიცოცხლით იცოცხლოს? საქმე ის არის, რომ ადამიანიც მეორდება სხვა სიცოცხლით. მარტო გიორგას სული არ გამოცხადებულა ირმის სახით. ანეტას ირემი და ინჟინერი მიტო ერთად ესიზმრება. „ეს ორი, ერთნაირად ამა-

ფორიაქებელი და ერთმანეთისაგან უაღრესად განსხვავებული ჩვენება სამუდამოდ შერწყმულიყო მის წარმოდგენაში, საერთო ფესვი გაედგა და ამ ფესვის შეგრძნება აწუხებდა სწორედ, ამ ფესვის იდუმალება და ორაზროვნება, რადგან თუ უცხო მამაკაცის შიშველმა სხეულმა იმედი ჩაუსახა და გზების არსებობა დაუდასტურა, მკვდარი ირმის ცრემლჩამდგარ თვალებში იმედის უსუსურობა და გზების ვერაგობა დაინახა მხოლოდ". მართალია, სიზმარში ირემს სხვა ფუნქცია აქვს და ინჟინერს – სხვა, მაგრამ ფესვი მაინც ერთია. ეს ფესვი ცხოვრებაა, ხოლო ორი სხვადასხვა ფუნქცია – ცხოვრების ორი სხვადასხვა მხარე. ისინი სამუდამოდ გათიშულნი არ არიან. პირიქით, ბევრი საერთო აქვთ. გიორგას სულის რაღაც ნაწილი არის ინჟინერში. ნიკოს სულის ნაწილიც არის ინჟინერში. როცა მაკაბელთა ოჯახში პირველად მოვიდა ინჟინერი მიტო, ანეტამ იკივლა – „ნიკოა, ნიკო". ეს არ იყო მხოლოდ ძმას დანატრებული დის ამოძახილი. ეს ნიკოს სულის გამოცხადებაც იყო. ალბათ ამიტომაც გახდება მერე ინჟინერი ანეტას არსებობის ბურჯი.

გიორგა – ალექსანდრე – ნიკო – მიტო სხვადასხვა ტოტია ერთი სიკეთის ხისა. ამ ხის ფესვი ანაა.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ანამ შთააგონა ალექსანდრეს, ციმბირში წადი და ძმა ნახეო: „თუ გინდა რომ მოისვენა, ძმას ჩააკითხე". ეს არ იყო ძმის უბრალო მონახულება. ამ საქციელით დაბრუნდა მაკაბელთა ოჯახში სიკეთე, სიყვარული და იმედი.

მეორეც, იმიტომ, რომ რომანში იმედის, მხნეობის ალეგორიული ხილვა ქალის სახით ხდება ყოველთვის.

გიორგა ვენახში მუშაობს. მეზობლებიც ვენახში შრომობენ, ხანდახან გასამხნევებლად შეუძახებენ ერთმანეთს. ადამიანის ოფლი ჩადის მიწის გულში და იქიდან ნაყოფს აღმოაცენებს, ამ რეალურ სურათს უცბათ ენაცვლება მეორე სურათი, ერთდროულად რეალურიც და ირეალურიც:

„კაკლის ჩრდილში შაოსანი დედაკაცი ისვენებდა. თავსაფარი მოეხადა, მუხლებზე გადაეფარებინა და დაშაშრული, ნაჯაფი ხელები ზედ დაელაგებინა, თითქოს ღმერთს აჩვენებდა. უთავსაფროდ უფრო ახალგაზრდა ჩანდა. აქა-იქ გარეოდა თმაში ჭაღარა. იჯდა პირმოკუმული, ფიქრიანი, მარადიული მსახური ღვთისა და კაცისა, მარადიული დედა, ბავშვის გამზრდელი, პურის მცხობელი, არც უმადური და არც მადლიერი, არც უბედური და არც ბედნიერი, არც მხიარული და არც მოწყენილი, არც ახალგაზრდა და არც ბებერი – მარადიული ქალი საწყისი მარადიული სიცოცხლისა. გამოგვილი და წყალმოპკურებული ეზოს სუნი ასდიოდა. ნავლგადაკრული ნაღვერდალივით უღვიოდა სიცხისაგან და ჩქარი სიარულისაგან დაწითლებული სახე. „ყველაფერი კარგად იქნება, ღვთის წყალობით" – ფიქრობდა თავისთვის მედეასა და ამირანის გამჩენი და ამავე დროს, მედეასა და ამირანის ქალიშვილი".

ანას უბედურებითა და საკუთარი უძლურებით სასოწარკვეთილი ექიმი ჯანდიერი ეტლს მიაქროლებს. ქარი სცემს ცრემლებით დასველებულ სახეში და ცხოვრების ამაოებაზე ფიქრი უხვრეტს ტვინს. აქაც ანაზდეულად ამ რეალურ სურათს ენაცვლება სხვა სურათი ისევე ერთდროულად რეალური და ირეალური:

„გუგუნებენ ბუხრები, თუნუქის ღუმელები, ორთქლი ასდის ნუჟრიანი შეშის ნაპობზე გადაფენილ წინდებს. აბუყბუყებულ ქვაბებსა და ქოთნებს. საკუჭნაოში ფეხმძიმე ქალს მკლავი დაუკაპიწებია და წნილის გაყინულ ქილაში ჩაუყვია. „რას შვრები გო?" – ეძახის დედამთილი. „მემჟავება და რა ვქნა", – ამბობს ფეხმძიმე ქალი და წნილის წვენით იდაყვამდე დასველებულსა და დაწითლებულ მკლავს ილოკავს".

ალექსანდრე და მართა შინ ბრუნდებიან, ბიძასა და ძმისწულს უკვე გადმოულახავთ უცხო ქვეყანა და მშობლიური ურუქის გზას დადგომიან. და ისევ ხილვა; ისევ რეალური და ირეალური ერთდროულად.

„ნასაყდრალის კედელთან შაოსანი დედაკაცი ზის, სახე წამოწითლებია. ალბათ, ჩქარა იარა და ახლა ისვენებს. წაღები გაუხდია და გვერდზე უწყვია. თავსაფარიც მოუხსნია და მუხლებზე გადაუფენია. ზედ ნაჯაფი, დაშაშრული ხელის მტევნები დაულაგებია ერთმანეთის გვერდით, თითქოს ღმერთს აჩვენებს, აი, რითი უდგას ქვეყანას სულიო. ნაოჭებად ჩაშლილი კაბიდან თეთრი, ქათქათა წინდებით შემოსილი ფეხის წვერები მოუჩანს, უთავსაფროდ უფრო ახალგაზრდა ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. ახალგაზრდა კი არა – უასაკო. თითქოს ასეთი გაჩნდა და ასეთი იქნება სულ. ცხენის კუდივით ხშირი, მკვრივი თმა აქა-იქ გაჭაღარავებია. პირმოკუმული ზის, ფიქრიანი, ბიბლიურ ხესავით მშვიდი და ლამაზი, მარადიული მსახური ღვთისა და კაცისა, მარადიული დედა, მეუღლე, და... ბავშვის გამზრდელი, პურის ჩამკვრელი, მაწვნის ჩამდედებელი... დამლოცველი და დამტირებელი, თაფლივით ტკბილი თითით პირველი კიჭის მომსინჯველი და ჭირში გაკერპებული ხელით თვალების დამხუჭველი. დამწვარზე სულის შემბერავი, ჭრილობაზე მალამოს დამდები, ბავშვის ფსიტის, პურისა და კერიის სუნით გაჟღენთილი. ლხინში მორცხვი, გვერდზე გამდგარი, ჭირში კი – ალქაჯი, ლეკვებიანი მგელივით თავგანწირული. არც უმადური და არც მადლიერი ღმერთისა, მაგრამ მისი პატივისმცემელი, მცოდნე და დამფასებელი მისი ყადრისა, როგორც ღირსეულ მეტოქეს შეშვენის. არც უბედური და არც ბედნიერი, როგორც თავად ცხოვრება. არც მხიარული და არც მოწყენილი, როგორც სული ცხოვრებისა, არც ახალგაზრდა და არც ბებერი, როგორც ბუნება, ძლიერი და გაუტეხავი, როგორც ამირანისა და მედეას დედა. ამაყი და გულუბრყვილო, როგორც ამირანისა და მედეას ქალიშვილი“.

როგორც ხედავთ, ალექსანდრესა და მართას დაბრუნების დროს, რომანის ფინალში ზუსტად მეორდება ის სურათი, რომელიც დასაწყისში, გიორგას ვენახში მუშაობის ჟამს ვნახეთ. მისი განმეორება კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ქალი წარმოდგენილია რომანში, როგორც სიცოცხლის სიმბოლო და სიკეთის წყარო. ეს ალეგორია პირდაპირ უკავშირდება ანას, ბაბუცას, ანეტას და პატარა მართას. მიუხედავად მათი ცხოვრების ტრაგიკულობისა, მათშივეა განხორციელებული უსაზღვრო იმედისა და მხნეობის რწმენა.

შთაბეჭდილება მეოთხე. რომანში ყოველთვის რეალურად არსებული გეოგრაფიული პუნქტებია დასახელებული – წნორი, ბოდბისხევი, თელავი. მხოლოდ იმ სოფელს ჰქვია გამოგონებული სახელი, სადაც რომანის მოქმედება მიმდინარეობს. უფრო სწორად, ჰქვია არა გამოგონებული, არამედ ძველი შუამდინარეთის, შუმერული ქალაქის სახელი – ურუქი. ცხადია, რომანის მოქმედების ადგილისათვის შემთხვევით არ დაურქმევია ოთ. ჭილაძეს ურუქი. ურუქიდან იყო გილგამეში, პირველი კაცი, რომელმაც ყველაფერი იხილა. შორეული ასოციაციით გილგამეშის მეგობარი ენკიდუც უნდა გავიხსენოთ. ცნობილი და მიღებული აზრია, რომ ენკიდუს ბედი მთელი კაცობრიობის ბედია. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ენკიდუ მაშინ გახდა ადამიანი, როცა ქალთან იცხოვრა, ქალი შეიცნო. ახლა გავიხსენოთ, რომ ოთ. ჭილაძის რომანშიც ქალია სიცოცხლის სიმბოლო და ნათელი გახდება, რა მჭიდრო კავშირია შუმერული ეპოსის ურუქსა და ქართული რომანის ურუქს შორის. ეს ერთი მხარეა საკითხისა. მეორე მხარე ის გახლავთ, რომ რომანის ურუქი კონკრეტულობის საზღვარს არღვევს და მთელი სამყაროს სახედ, სიმბოლოდ იქცევა. ურუქელების ბედი კაცობრიობის ბედია. ურუქში ცხოვრობენ ადამიანები, როგორც თავად მწერალი იტყოდა, არც უბედური და არც ბედნიერი, არც უმადური და არც მადლიერი, არც მხიარული და არც მოწყენილი, არც ჭკუიანი და არც სულელი, არც კეთილი და არც ბოროტი, არც ახალგაზრდა და არც ბებერი...

მიუხედავად ასეთი ზოგადურობისა, უნდა ითქვას, რომ რომანის ურუქს არც კონკრეტულობა აკლია. ვინმემ რომ მკითხოს, კონკრეტულად რომელი პუნქტი წარმოგიდგენიაო ურუქად, უყოყმანოდ ვუპასუხებდი – სიღნაღი-მეთქი. ასე ვიტყოდი არა

მხოლოდ იმიტომ, რომ ურუქის ირგვლივ სულ ბოდბისხევი, წნორი და წმინდა ნინოს მონასტერი და ლაზარეთი იხსენიება, არამედ იმიტომაც, რომ რაღაც სიტყვით აუხსნელი, ლოგიკურად დაუსაბუთებელი გუმანი მკარნახობს ამას, რომანის კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ზევიდან დავცქერი ალაზნის ველს, გაცრეცილ ბურუსში მოსჩანს კავკასიონის თეთრი მწვერვალები, ვენახებსა და ბაღ-ბოსტნებში ჩაკარგული მტვრიანი გზები მიიკლაკნება უსასრულო სივრცეში.

შთაბეჭდილება მეხუთე. ოთ. ჭილაძე კონკრეტული ისტორიული ფაქტებით არ ტვირთავს რომანს, მაგრამ დროის ზუსტი ჩარჩოს დადგენა მაინც იოლად შეიძლება. ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ რომანში მოხსენიებული აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა, 1829 წელს სომეხთა გადმოსახლება ყარსიდან, კახეთის რკინიგზის გაყვანა და დროის ლოკალი მკაფიო გახდება. გარდა ამისა, დროის სახე და სურნელი მოცემულია ზოგიერთი პერსონაჟის ზნესა და ჩვეულებაში, ფსიქიკასა და საქციელში. მაგალითად, ნიკოს ბარათებში ყველასათვის ცალ-ცალკე შემოთვლილი კოცნა და მოკითხვა ანდა ბაბუცას მიერ ვარდისფერი ზონარით შეკრული წერილები შვილისა უტყუარად გაგრძნობინებთ მე-19 საუკუნის ფერს. მაგრამ ოთ. ჭილაძის რომანის ხასიათი არ იძლევა კონკრეტული ეპოქის ჩარჩოში ჩაკეტვის უფლებას. რომანში აღწერილი ზედროული ვნებანი და გრძნობანი ბუნებრივად მოითხოვს უნაპირო დროს. ამის ჩვენებას მწერალი ძალდაუტანებლად ახერხებს. არც კონკრეტული ეპოქის სურნელს კარგავს და არც ზედროული მოვლენების აზრობრივ სიღრმეს. ალეგორიულობა აქაც ამდიდრებს რომანის საერთო აზრობრივ შინაარსს.

ჩემი შთაბეჭდილებების დასასრულს მინდა ვთქვა, რომ „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“... ფორმითა და ხასიათით გახსენებს კოლუმბიელი მწერლის გაბრიელ გარსია მარკესის რომანს „მარტოობის ასი წელი“. იქაც ბუენდიების ოჯახისა და გვარის ცხოვრება გააზრებულია, როგორც მთელი კაცობრიობის ცხოვრება, ოღონდ ერთი რამ არ მინდა დავიჯერო, რაშიაც მარკესი ცდილობს დაგვარწმუნოს: ამარანტა ურსულასა და აურელიანო უკანასკნელის სქესობრივი აღტყინებისაგან დაიბადა გოჭის კუდიანი ბავშვი, ისეთი როგორიც იყო პირველი ბუენდია, ე.ი. დადგება დრო, როცა კაცობრიობა პირველყოფილობას დაუბრუნდება. შეიძლება ბევრი რამ მართლაც აქეთკენ ეწეოდეს კაცობრიობას. მაგრამ მე მაინც მინდა ვიწამო, რომ, რაც უნდა მოუვიდეს სამყაროს, ცალხელა კაცი მაინც აიტაცებს თავის პაწია, ობოლ ძმისწულს, გულზე მიიხუტებს და ასე გასწევს მომავლისაკენ.

1976 წ.

აუხდენელი ოცნების ადამიანები

(რეზო ჭეიშვილის მოთხრობების გამო)

თუ დასაშვებია მხატვრული პერსონაჟის ერთი ფრაზით დახასიათება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ რეზო ჭეიშვილის პროტაგონისტები არიან მეოცნებე ადამიანები, რომელთაც თავიანთი პატარა ოცნების ასასრულებლად ძალა არ შესწევთ.

პავლე ჩილაჩავას („ოსტატები“) ნარკვევის დაწერა უნდოდა, მაგრამ საყოფაცხოვრებო მომსახურეობის კომბინატში ოსტატებისა და გლეხის უაზრო ვაჭრობის მოწმე გახდა და წერის ხალისი დაეკარგა.

ტარიელ ღლონტი („სტუმარი“) მშობლიურ ქალაქში ჩავიდა ბავშვობაში განცდილი საუკეთესო წუთების გასახსენებლად, მაგრამ ქუჩაში იმ კაცს წააწყდა მთვრალს,

რომელიც ყმაწვილკაცობაში გაელახა. ამან გუნება გაუფუჭა, ბალღობის გახსენების რომანტიკა მოკვდა და მშობლიურ ქალაქში მობრუნებამ აზრი დაკარგა.

ფარნაოზ ედიბერიძე („პრემიერა“) 40 წელიწადი პიესებს წერდა. ერთადერთ სიხარულს პრემიერის დღეს ელოდა, მაგრამ თეატრში მიმავალი თხრილში ჩავარდა. პრემიერას ვერ დაესწრო. მისი პიესაც ერთადერთხელ აჩვენეს. ამიტომ წარმოდგენა ვეღარ ნახა. ეს იდარდა და მოკვდა.

ფილიპე ბარნაველს („ძეგლი“) თავი საქვეყნოდ ცნობილი მუსიკოსი ჰგონია, მაგრამ ეს თავისთავის მოტყუებაა. იგი მშობლიურ ქალაქშიც არავის ახსოვს. ერთხელ სასაფლაოზე ძეგლიც კი ნახა წარწერით – ფილიპე ბარნაველი.

ასეთი ნიმუშების დასახელება კიდევ შეიძლება, მაგრამ ზემორე ნათქვამის საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

რეზო ჭეიშვილის პერსონაჟები რომ აუხდენელი ოცნების ადამიანები არიან, ამას მათი სიზმრებიც ადასტურებს. შემთხვევითი არ არის, რომ რ. ჭეიშვილის მოთხრობებში სიზმარი ხშირად იხსენიება.

„არსენას როგორც იქნა ჩაეძინა და მთელი ღამე თეთრი ხომალდები ესიზმრებოდა“ („კინოგადაღება“).

სავლე გიორგაძე „ხანდახან ძილში გაჩახჩახებულ თეატრს ხედავდა“ („ალ-რაზაკის სიკვდილი“).

„ხახული იოსელიანი თვლემდა და ესიზმრებოდა ძველი, დანჯღრეული მატარებლები“ („ოსტატები“).

„თხის ტყავგადაფარებულ საკარცხულზე თვლემდა შალიკო ხვინგიაძე და დათოვლილ, მზით აელვარებულ, დიდებულ ალპებს ხედავდა“ („შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“).

„ვაჟი მთელი ღამე წუხდა. ესიზმრებოდა თევზები, ოქროსფერი, ლურჯწინწკლებიანი თევზები“ („მერცხლები“).

გრიშა ნემსაძე ძილ-ღვიძილის ბურანში ხედავს აღორძინების ეპოქის უდიდეს მათემატიკოს ლუკა პაჩოლის („ლუკა პაჩოლის ცხოვრების უკანასკნელი წლები“).

უცნაურია ცხოვრება. აუხსნელიც. ერთიმეორის გვერდით ცხოვრობენ ადამიანები – ერთნი, რომელნიც მთვარეზე დადიან და გონების ფანტასტიკურ ზეიმს გამოხატავენ და მეორენი, რომელთაც ყველაზე პატარა ოცნების განხორციელებაც არ ძალუძთ. ამ დახლართულ ლაბირინთში უნდა გაიაროს მწერალმა და მწერლობის უპირველესი ამოცანა შეასრულოს: აჟიოტაჟის, ზეიმის დროს, როცა საერთო ხმაურით ყურადღება მოდუნებულია, გვახსოვდეს ადამიანები, ერთი შეხედვით შეუმჩნეველნი, მაგრამ ყველა უფლების მქონენი, რაც აქთ ამა ქვეყნის რჩეულთ.

სწორედ ამ ყურადღებით და არდავიწყებით არის ფასეული სიტყვაკაზმული ლიტერატურა.

რეზო ჭეიშვილის თვალი ყოველთვის ამჩნევს პატარა ადამიანებს და თბილი თანაგრძნობით განგაწყობთ მათ მიმართ.

გარდა ამისა, აქ ვლინდება მწერლის მიერ სამყაროს სუბიექტური ხილვაც.

სამყაროს ამ სუბიექტური ხილვის წყალობაა, რომ ერთი ოთარაანთ ქვრივს ხედავს, მეორე კი – პლატონ სამანიშვილს. ეს არა მარტო მწერლობის მრავალფეროვნებას უწყობს ხელს, არამედ სინამდვილის სრული სურათის შექმნასაც. დღეს, სამწუხაროდ, ასეთი სუბიექტივიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა აქვს გაჩაღებული კრიტიკას. რატომღაც ივიწყებენ, თუ არ იქნება სუბიექტივიზმი არ იქნება მწერლობაც, რამეთუ უამისოდ მწერლობა დოლ-დაფდაფის როლის შესრულებას დაიწყებს. დოლ-დაფდაფი კი ადამიანთა გაოგნება-დაყრუებას ემსახურება. მწერლობის უპირველესი ამოცანა კი ადამიანთა გამოფხიზლებაა. ადამიანთა გამოსაფხიზლებლად აუცილებელია მწერლის ყურს გარკვევით ესმოდეს მათი გულების დარდიანი ფეთქვა.

ადამიანთა ბედის გამო დარდიანი, სევდიანი ღიმილი წითელი ხაზივით გასდევს რეზო ჭეიშვილის მოთხრობებს.

შალიკო ხვინგიაძემ („შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“) არ შეიძება არ გაგახსენოთ ბარონ მიუნჰაუზენი და აზნაური ლახუნდარელი. მაგრამ როცა ამ პერსონაჟს ღრმად დააკვირდებით არსებით განსხვავებასაც მაშინვე იპოვით. აზნაური ლახუნდარელი და ბარონ მიუნჰაუზენი ლაღი ფანტაზიის ადამიანები არიან. ისინი თავადაც ტკბებიან და სხვასაც ატკბობენ უნაპირო ფანტაზიის მშვენიერებით. შალიკო ხვინგიაძე კი სევდიანი კაცია. მისი ტყუილი აუსრულებელ ოცნებაზე ფიქრია. რაც სინამდვილეში ვერ შეძლო, ოცნებაში უნდა წარმოიდგინოს. შალიკო ხვინგიაძის საცოდაობა იწვევს სევდას და თანაგრძნობას. როცა ამ კაცს ყურს უგდებ გული გეკუმშება. თუ შალიკო ხვინგიაძე უძლურია თავის ტყუილით, ბარონი მიუნჰაუზენი და აზნაური ლახუნდარელი ღონიერები არიან ფანტაზიის წყალობით. აქ არის მათი არსებითი განსხვავება.

ასე მგონია, რეზო ჭეიშვილს გული სტკივა თავისი პერსონაჟების საცოდაობით და ყოველთვის მოკრძალებით და თავაზიანად ექცევა მათ.

მწერალი არ ამბობს, რომ ფარნაოზ ედიბერიძემ უნიჭო პიესა დაწერა და ამიტომ ერთადერთხელ აჩვენესო სცენაზე. პირიქით, იგი ბოდიშს ხდის ფარნაოზს და მკითხველს აუწყებს, რომ იმ თეატრში, სადაც ედიბერიძის პიესა იდგმებოდა, სპექტაკლს „ერთხელ ან ორჯერ წარმოადგენდნენ ხოლმე და თუ მაშინვე არ ნახავდი, ყველაფერი ისტორიას ბარდებოდა“ („პრემიერა“). შექსპირიც რომ წარმოედგინათ, ესეც ერთხელ ან ორჯერ თუ მოხდებოდა. მაშასადამე, ფარნაოზის ბრალი არ ყოფილა, რომ საკუთარი პიესის ნახვა მეორედ ვეღარ მოახერხა.

ბართლომე ნოზაძესთან („ბართლომეს ღამე“) ღამით ქურდები მოვიდნენ. ერთი მაღალი იყო, მეორე – დაბალი. მასპინძელსა და ქურდებს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

„– გამარჯობა, ბართლომე ბიძია, ვერ მიცანი? – სანდომიანად იკითხა ახმახმა.

„თუ ვთქვი, გიცანი-თქვა, მომკლავენ!“ – სწრაფად და საზრიანად გაიფიქრა ბართლომემ.

– მიცანი? – გაიღიმა ახმახმა და გაიფიქრა, – „თუ მიცნო, უკან უნდა გავბრუნდეთ, მეტი გზა არაა!“

ორივე მხარე სასაცილო მდგომარეობაშია. ბართლომეს შიში ირონიზირებულია, რამეთუ ქურდს ერცხვინება და გაძარცვაზე უფრო უკან გაბრუნებაზე ფიქრობს.

შალიკო ხვინგიაძემ ტყუილების გუდა დაცალა. მერე მწერალი აგრძელებს: „სტუმრები მალე წავიდნენ. პალატში სიჩუმემ დაისადგურა. ღუმელში ცეცხლი დაიღვენფა. შალიკო ხვინგიაძეს ძილმა დაძალა. რამდენჯერმე ჩათვლიმა და გამოფხიზლდა. ვარლამს არ ეძინებოდა. აბოლებდა, ღუმელს დაჩერებოდა მოწყენილი და დარდიანი.

– თოვს კიდევ ხომ? – ყრუდ იკითხა შალიკომ.

– თოვს და თუ დილამდე არ გადაიკარა, სახლები გადმოსათოვლი შეიქნება...

– მერე რა გამიყვანს სახურავზე?.. დაინგრევა სახლი, ბიჭო, ვერ გამიძლებს...

– მაგას ნუ ჯავრობ, გადმოვალ და გადმოვთოვლავ, თუ საჭირო იქნა. ახლა კარგად იყავი!

– შენც მიდიხარ, ბიჭო? (ამ კითხვას არ დასვამდა არც მიუნჰაუზენი, არც ლახუნდარელი. ეს მარტოობით შეშინებული კაცის კითხვაა. – ა.ბ.).

– წავალ. დროა... დილით ადრე უნდა ავდგე, მოისვენე შენც... – ვარლამმა გამოხუნებული, ლურჯი შინელი ჩამოიღო და მხრებზე მოისხა.

– რა გაუძლებს, ვარლამ, ამ ზამთარს? – იკითხა შალიკომ (ვინ წარმოიდგენს ასეთ გასაცოდავებულ ბარონ მიუნჰაუზენს ან აზნაურ ლახუნდარელს? – ა.ბ.).

– მალე გაზაფხულდება, ბებერო, არ შედრკე... (ან ამას ვინ აკადრებდა მიუნჰაუზენს და ლახუნდარელს! – ა.ბ.) – გაიღიმა ვარლამმა და პალატის კარი გამოაღო“.

მწერალმა ნიღაბი მოხსნა შალიკო ხვინგიაძეს და მკითხველის წინაშე წარმოადგინა მისი ნამდვილი სახე. წარმოადგინა და თანაგრძნობით გამოეთხოვა.

თუ შალიკო ხვინგიაძეს ძილში ალპები ესიზმრება, გრიშა ნემსაძეს („ლუკა პაჩოლის ცხოვრების უკანასკნელი წლები“) ეზმანება „წარბშეკრული კაცი, რომელსაც შავი მანტია მოესხა, წელზე უბრალო თოკი ჰქონდა შემორტყმული და თავზე მანტიისავე, შავი ჩაბალახი ეხურა. იგი იდგა მდუმარედ და სევდიანი თვალებით სადღაც უმისამართოდ იხედებოდა. ეს იყო ლუკა პაჩოლი, გენიალური მათემატიკოსი, პირველი საბუღალტრო წიგნის ავტორი და დიდი ლეონარდო და ვინჩის უპირველესი მეგობარი“.

გრიშა ნემსაძის ოცნებიდან არაფერი ასრულებულა. ბუღალტრის მძიმე ტვირთით წელში მოდრეკილმა გაიარა ცხოვრების გზა და ზმანებებით თუღა იმსუბუქებს წაგებული ცხოვრების დარდს.

ასეთია სქემატური დახასიათებით რეზო ჭეიშვილის პერსონაჟები.

შეიძლება მოზაიკის რომელიმე კენჭი დამოუკიდებლად რაიმე ეფექტით ყურადღებას არ იპყრობდეს, მაგრამ მოზაიკის საერთო სურათის შესაქმნელად აუცილებელია. უიმისოდ სურათი ვერ იარსებებს. ასევე ქმნიან რეზო ჭეიშვილის მოთხრობების პერსონაჟები ერთ მთლიან მხატვრულ სამყაროს. ამ სამყაროში ადამიანები უხმაუროდ, ბუკ-ნაღარის გარეშე ცხოვრობენ, სინამდვილეს სევდიანი ირონიით უყურებენ, ერთმანეთს თბილი იუმორით ამხნევებენ. ამ სამყაროში მცხოვრებთ შეუძლიათ დონ პედრო ერქვათ, მონტევიდეოსთან ახლოს ქალაქ სალტოში სახლობდნენ და მაინც იმერულად უქცევდნენ. პალტო კი ბალახვანში გედენიძეს დაამოკლებინონ („წვიმიანი დღე“).

როცა ამ სამყაროს თვალით შეხედავთ რეზო ჭეიშვილის რომანებს (იგი ორი რომანის ავტორიც არის) უთუოდ შეგიპყრობთ უკმარობის გრძნობა. ყოველგვარ მასალას აქვს თავისი გამოვლენის ფორმა. რეზო ჭეიშვილის მხატვრული სამყარო და მასალა სრულად მოთხრობით უფრო ვლინდება, ვიდრე რომანით. სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ არც დავით კლდიაშვილს, არც ნიკო ლორთქიფანიძეს, არც ანტონ ჩეხოვს რომანები არ დაუწერიათ. მათ არა მარტო თავიანთი მხატვრული სამყარო ჰქონდათ, არამედ ამ სამყაროს გამომხატველი აუცილებელი და სრულყოფილი ფორმაც – მოთხრობა. ასევე უნდა იყოს რეზო ჭეიშვილთანაც. რამდენიც არ უნდა ამტკიცონ საწინააღმდეგო რეზო ჭეიშვილის რომანების დამცველებმა, მწერლის მთელი შემოქმედება მაინც იმას მეტყველებს, რომ ყველაზე სრულად (ჯერჯერობით მაინც) მოთხრობა ავლენს მის მწერლურ ნიჭიერებას. ეს გაპირობებულია მასალის არჩევით, ხედვის თავისებურებით, აზროვნების მანერით, მოვლენისადმი ემოციური დამოკიდებულებით.

ეს უნდა გაითვალისწინოს თავად მწერალმაც და კრიტიკამაც.

1976.22.II.

იყიდენ მაახუილი

რომანის სახელია „სამოსელი პირველი“. განმარტების თვინიერ, მკაფიო არ არის, რა აზრის მატარებელია ეს სათაური.

არსებობს სამოსლის აზრის ტრადიციული გაგება. ცხადია, ჯერ ეს უნდა გავიხსენოთ, რომ ზუსტად წარმოვიდგინოთ, რა არის ტრადიციული გურამ დოჩანაშვილის რომანის სახელწოდებაში და რა დაემატა ახალი. მერე კი ამ გასაღებით გავაღოთ „სამოსელი პირველის“ აზრობრივი ცხრაკლიტულის კარი.

ბიბლიური მითოლოგიის თანახმად, როცა ღმერთმა ადამი და ევა შექმნა, ისინი შიშველი იყვნენ, მაგრამ თავიანთ სიტიტვლეს მანამ ვერ ხედავდნენ, სანამ ცნობადის ხის ნაყოფი არ ჭამეს. ცნობადის ხის ნაყოფის ჭამით გონი, რუასი შეიძინეს და არა მარტო მთელი სამყარო დაინახეს, არამედ – საკუთარი სიშიშვლეც. ამრიგად, სამოსელი პირველი ცოდნაა, რომლითაც ყოველი კაცი უნდა შეიმოსოს, რათა კეთილი და ბოროტი გაარჩიოს.

სასულიერო ჰიმნოგრაფიაში ხშირად შეხვდებით ამგვარ სტრიქონებს –

„მომეც მე სამოსელი ბრწყინვალე, რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად, ღმერთო, მეოხებითა მოწამეთაჲთა“...

„რომელმან შეიმოსე ნათელი სამოსლად, შენდა მოვილტით, შენ გიღაღადებთ: განანათლე სული ჩემი დაბნელებული...“

ამ ჰიმნების მიხედვით, სამოსელი პირველი ღვთაებრივი ნათელია, რომლითაც ადამიანი უზენაესს ეზიარება.

როცა მეფე ლუარსაბ მეორე სასიკვდილოდ განემზადა და გადაწყვიტა შაჰ-აბას პირველს ხლებოდა, მემატიანემ აღნიშნა, ისწრაფოდაო „შემოსად სულიერისა სამოსლისასა“.

როგორც ვხედავთ, პირველი სამოსლის ტრადიციული გაგება, ზოგადად, ადამიანის, უნივერსუმთან ზიარებას გულისხმობს.

შეიძლება ასე გავიგოთ გ. დოჩანაშვილის რომანის სათაურიც. ამის საბუთად „სამოსელი პირველის“ პროტაგონისტის სახელი დომენიკოც გამოდგება და, საერთოდ, მისი თავგადასავალიც, Dominicus ლათინურად ღვთისას ნიშნავს. ამას პროზაიკოსიც გვეუბნება: „სახელადაც უცხო სახელს, დომენიკოს გარქმევ, სიტყვებიდან დომინუს, დომინიონ და დომენ...“ ჩვენებურად კი ეს სახელი იქნება ღვთისავარ (საალერსო ფორმით, ღვთისო).

ცოტა ხნით აქ მსჯელობის პირდაპირ გეზს გადავუხვევ. ვისაც „სამოსელი პირველი“ წაუკითხავს, კარგად ეხსომება, რომ გ. დოჩანაშვილი რომანში იყენებს იტალიურ-ესპანურ ონომასტიკონსა და ტოპონიმებს. მართალი რომ გითხრათ, რომანში ამის ვერავითარ აუცილებლობას ვერ მივაგენი. იგი უფრო ავტორის აკვიატებულ სურვილად მეჩვენა. მაგრამ ისიც აშკარად უნდა ვთქვა, რომ ეს საკითხი საკამათოდ არ მიმაჩნია. მწერალი უფლებამოსილია ამ შემთხვევაში სურვილისამებრ მოიქცეს. ალბათ გ. დოჩანაშვილს დომენიკო უფრო ჰარმონიულ და ჟღერად სახელად მიაჩნია, ვიდრე ღვთისავარ. თუ ასეა, იყოს ნება მისი.

თითქოსდა სამოსელი პირველის აზრის ამოცნობას წინ არაფერი ედგა, მაგრამ საქმე თავად ავტორმა გაართულა, როცა გვითხრა: „სამოსელი პირველია სიტყვა“. ამის წაკითხვისას, ნებით თუ უნებლიეთ, არ შეიძლება არ გაგახსენდეთ „პირველითგან იყო სიტყუაჲ, და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“.

თუ პირველ სამოსელსა, სიტყვასა და ღმერთს შორის პირდაპირი კავშირია, მაშინ როგორ გავიგოთ ეს სურათი?

„სოფლის განაპირას, კოშკში, სამოსელი პირველი ინახებოდა. ... ხის დაბალ ტახტზე უძვირფასესი კაბა იყო გაფენილი... სამოსელიდან უამრავი კაშკაშა სხივი ჟღრიალით იწელებოდა ბნელში. იისფრად ციაგებდა დიდი ამეთვისტო, მინანქრით მოჭედილ საყელოსთან მიბნეული, მწვანედ ლივლივებდნენ ზურმუხტები, მთელი კაბის სიგრძეზე მწყობრად დატანებულნი, ყოველ ზურმუხტს შორის ლურჯად კამკამებდნენ საფირონები, გვერდით კი ყოველ ქვას წყვილი მარგალიტი ებნია. მთელი კაბა ოქრომკედით იყო მოჭედილი, ცივი, ყინულოვანი ციმციმით თითქოს ერთმა-

ნეთში ხრაჭუნით იფშვნებოდა უამრავი ყვითელი ნამცეცი, სინათლე ლივლივებდა მთელს სამოსელზე და იქვე, ტახტის ფეხთან მიწყობილ ორ ხამლზე წყვილი ალმასი კაშკაშებდა, ხარის თვალის ოდენა. სამოსლის მინანქრით მოჭედილ ქამარზე ბეჭედი იდო, ყვითლად შემოჯარულ ოქროში ავად კიაფობდა თლილი ბრილიანტი“.

რატომ მიიღო სიტყვამ ამგვარი მატერიალური სახე?

როცა კი ამ კითხვას წაიკითხავს მკითხველი, შეიძლება გაიფიქროს – უკვე კირკიტით დაიწყოო მსჯელობა. არ არსებობს ნამდვილი მკითხველი (გაიხსენეთ გალაკტიონი – „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“), რომელიც მხატვრული ნაწარმოების, როგორც მთლიანი, ისე ცალკეული ეპიზოდის, აზრის ნათლად ამოცნობას არ ცდილობდეს, არ ეძებდეს ლოგიკურ თანამიმდევრობას. ამბობენ, მხატვრულ ნაწარმოებში ზოგიერთი რამ ქვეცნობიერად არის დაწერილი და მისი ლოგიკური განმარტება ყოველთვის არ ხერხდება, ამიტომ ქვეცნობიერადვე უნდა აღიქვაო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მართლაც ასეა, მაინც უნდა მოვძებნოთ ამოხსნა.

კარგად ცნობილია, რომ შემოქმედის სახელს ორი ვინმე ატარებს – ღმერთი და მწერალი (საერთოდ ხელოვანი). თუმცა უნდა გულახდილად ვთქვა, რომ აქ აუცილებელია დიფერენციაცია. მწერალს, მხატვარს, კომპოზიტორს მართლაც შეიძლება შემოქმედის მაღალი სახელი ვუწოდოთ, რამეთუ ისინი არარსებულიდან ქმნიან ახალ მხატვრულ სამყაროს. რაც შეეხება მსახიობს, რეჟისორს, მუსიკოს-შემსრულებელს, მათ ნაკლები საბუთი აქთვ შემოქმედი ერქვათ, რადგან ისინი უკვე შექმნილის ინტერპრეტაციას ეწევიან. რეჟისორი დგამს უკვე დაწერილ პიესას, მსახიობი თამაშობს უკვე დაწერილ როლს, მუსიკოს-შემსრულებელი ასრულებს უკვე დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ყოველი რომანი ახალი მხატვრული სამყაროა. იგი არაფრით ჰგავს წინ არსებულ მხატვრულ სამყაროს და არ დაემსგავსება მის შემდეგ შექმნილს. მას საკუთარი შინაარსი და კანონზომიერება აქვს. ბუნებრივია, რომ მკითხველს ამ შინაარსის ამოცნობის და კანონზომიერების დადგენის სურვილი უჩნდება. ხომ არის მოწადინებული ადამიანი ამოიცნოს გარემომცველი რეალური სამყაროს კანონზომიერება და აზრი, ასევე სურს მას ჩაწვდეს ილუზიურ სამყაროს, ანუ მხატვრულ ნაწარმოებს.

ნამდვილი მკითხველი აუცილებლად კირკიტაა. ამ კირკიტის გამართლება ის არის, რომ შეძლებისდაგვარად გვსურს მივუახლოვდეთ სიმართლეს. ამას კი მაშინ მოვახერხებთ, როცა, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც დავადგენთ რა აზრით, რა მიზნით არის შექმნილი „სამოსელი პირველის“ ილუზიური სამყარო, მისი პროტაგონისტები, ცალკეული სცენა თუ ეპიზოდი.

სამოსელ პირველს არა მარტო მკაფიოდ დასანახი მატერიალური სახე აქვს, არამედ მისი გაყიდვაც შეიძლება. დომენიკოს მამამ პირველ სამოსელს თვლები დააძრო, გაყიდა და შვილს ექვსი ათასი დრაჰკანი მისცა. ჩვენ ვიცით ღმერთის ოცდაათ ვერცხლად გაყიდვის ლეგენდა, მაგრამ ექვსი ათასი დრაჰკანი კი მეტისმეტად დიდი ფულია. ამიტომ, როგორც ჩანს, ავტორი აქ სხვა რამეს გულისხმობს, რაც პირადად ჩემთვის ძნელი ამოსაცნობია. უნდა ვიფიქროთ, რომ, გაყიდვის თვალსაზრისით, სიტყვა-ღმერთი და სამოსელი პირველი-სიტყვა ერთმანეთს არ უკავშირდება.

სამოსელი პირველი შეიძლება დაიწვას კიდეც. მისი დაწვა აღწერილია რომანის ფინალში. თურმე პატიოსანი თვლები, რომლითაც მოოჭვილია კაბა, ადამიანთა სამშვინველია. დომენიკო ხედავდა, როგორ გიზგიზებდნენ ცეცხლში ის ადამიანები, რომელნიც მას ცხოვრების გზაზე შეხვდნენ. მაგრამ იწვოდნენ იმის შესაბამისად, ვისი სამშვინველი რით იყო სავსე – კეთილით თუ ბოროტით.

თუ გაყიდვისა და დაწვის აქტს ერთმანეთს შევადარებთ, ახალი კითხვა გაგვიჩნდება.

როგორც შევიტყვეთ, სამოსელი პირველის პატიოსანი თვლები ადამიანთა სულები ყოფილან. ეს დაწვამ გამოავლინა. „ეს – დომენიკოს ნებსითა თუ უნებლიეთ თანამგზავრნი, ჰოი, რა მკვეთრად განსხვავებული ხალხი იწვოდა“.

ამასთანავე ისიც ვიცით, რომ დომენიკოს მამამ სამოსელი პირველის თვლები გაყიდა. „სამოსელი პირველი მთლიანად კი არა, თვლები დააძრო და ისინი გაყიდა“.

კი მაგრამ ვინ არის დომენიკოს მამა, ვისაც უფლება აქვს ადამიანის სამშვინველი გაყიდოს? ასე აღებული ფული შვილს მისცეს, რომ ყმაწვილმა კაცმა ადამიანის დანიშნულება ეძიოს და ცხოვრების აზრის ამოცნობა სცადოს?

რომანის მიხედვით, მკითხველი ძალიან ზერელედ იცნობს დომენიკოს მამას, რომ ამ კითხვებს დამაჯერებლად უპასუხოს.

თუმცა გამოთქმულია აზრი, რომ დომენიკოს მამაში „მაღალ სოფელში მცხოვრები პატრიარქი მამის ცნების გარდა უზენაესი ქრისტიანული ღვთაების – მამა ღმერთის – მაღალი აზრია დაუნჯებული“ („კრიტიკა“, 1981 წ., №12, გვ. 88). მართალია, გაბედული აზრია, მაგრამ მისი გაზიარება ძნელია.

ქრისტიანული კონცეფციის თანახმად, მამა-ღმერთს ოდენ მხოლოდშობილი ძე ჰყავს – ქრისტე. იგი მამა-ღმერთის ხილული, ხორცშესხმული სახეა და მოვლენილია ქვეყნად, რათა აღიხვნას ცოდვანი სოფლისანი და აცხოვნოს სოფელი მის მიერ (იოანე, 1, 29; 3, 17).

„სამოსელ პირველში“ კი დომენიკოს ჰყავს ძმა. იგი არ არის ერთადერთი შვილი. უკვე ეს ფაქტი პირწმინდად გამორიცხავს დომენიკოს მამაში ქრისტიანული მამა-ღმერთის თუნდაც შორეულ მინიშნებას.

გარდა ამისა, ვისი ცოდვა აღიხვნა დომენიკომ ან ვით ძალუძს მას აცხოვნოს სოფელი? რომანის მიხედვით, იგი ხომ ერთი მიამიტი ახალგაზრდა კაცია, რომელიც ცხოვრების აზრის მისაგნებად დახეტიალობს ამ ცოდვა-მადლით სავსე მიწაზე?

ზემორე ციტირებული სტრიქონის ავტორს ორი ერთმანეთის გამომრიცხავი დებულებაც აქვს გამოთქმული.

პირველი: „მისი („სამოსელი პირველის“ – ა.ბ.) სიუჟეტი შეცდომილი ძის იგავის მოტივზეა აგებული“ (გვ. 87).

მეორე: „ამიერიდან დომენიკო მამის მიერ ქვეყნად მოვლინებული სიტყვაა“ (გვ. 89).

მამის მიერ ქვეყნად მოვლინებული სიტყვა მხოლოდ ქრისტეა. მას ანალოგი არ ჰყავს, დავუშვათ გ. დოჩანაშვილმა სცადა დომენიკოს სახით ქრისტეს ლიტერატურული ხატი შეექმნა, მაშინ როგორღაა დომენიკო ძე-შეცდომილი? განა შესაძლებელია ქრისტესა და ძე-შეცდომილს შორის რაიმე მსგავსების პოვნა? ეს ხომ უღრმესი შეცდომაა. ქრისტიანული კონცეფციის მიხედვით, ქრისტე თავად არის ის, ვინც ყველა შეცდომილს ჭეშმარიტების გზაზე აყენებს, ვინც ეხმარება ცოდვის გამოსყიდვაში ცოდვილს. ყველა ძე-შეცდომილი ქრისტეში პოულობს ხსნას. „სისხლი იგი იესო ქრისტეს ძისა მისისაჲ განმწმედს ჩვენ ყოვლისაგან ცოდვისა“ (იოანეს ეპისტოლე პირველი, 1, 7).

რა საშუალებით შეუძლია დომენიკოს ერთიც იყოს და მეორეც?

ვინც ქრისტიანულ მოძღვრებას ოდნავ მაინც იცნობს, იცის, რომ ქრისტე, როგორც მამა-ღმერთის ემანაცია, ჭეშმარიტებაა, როგორც წარმავალი, ანუ მიწიერი, ისე წარუდინებელი, ანუ ზეციერი ჭეშმარიტება. ამიტომ მოიცავს ქრისტე ორ ჰიპოსტასს – კაცებრივსა და ღვთაებრივს. კაცებრივი ჰიპოსტასი გამოხატავს მიწიერ, ანუ წარმავალ ჭეშმარიტებას, ხოლო ღვთაებრივი ჰიპოსტასი – ზეციერს, ანუ წარუდინებელს. ადამიანის მოვალეობა კი მიწიერი ჭეშმარიტებიდან ზეციერ ჭეშმარიტებამდე ამაღლებაა.

თუ დომენიკო „მამის მიერ ქვეყნად მოვლენილი სიტყვაა“, მაშინ იგი ჭეშმარიტება, ცხოვრების აზრი ყოფილა და სრულიად გაუგებარია რაღას დაეძებს. რა, საკუ-

თარი თავი, საკუთარი ჭეშმარიტება უარჰყო და ახლის პოვნას ცდილობს? ამის მსგავსი არაფერი სწერია რომანში „სამოსელი პირველი“.

ეს გაუგებრობა რომანის ზოგიერთი ალეგორიის ბუნდოვანებამ გამოიწვია. შესაძლებელი გახდა ნებისმიერი ინტერპრეტაცია.

ჩემი ძირითადი შენიშვნაც ბუნდოვანებას ეხება. საერთოდ იგი გ. დოჩანაშვილის შემოქმედებისათვის უცხოა. მისი მოთხრობების პრობლემატიკა რთული და საინტერესოა, მაგრამ ყოველთვის ნათლად და მკაფიოდ არის გადმოცემული. ნურავინ იფიქრებს, რომ მწერალს სიმარტივისაკენ მოვუწოდებდე. აზრის სიმარტივე და აზრის მკაფიოობა ორი ძირეულად განსხვავებული ცნებაა. ეს ყველას კარგად ესმის. უბრალოდ არ უნდა დავივიწყოთ ის, რაც ასე ზუსტად თქვა სიმონ ჩიქოვანმა: „შემოქმედებას სირთულე უყვარს, ოღონდ გასაგებ ენით ნათქვამი“.

ასეა თუ ისე, რომანის ალეგორიული შინაარსის ამოსაცნობ საშუალებად მაინც ავტორის განმარტება უნდა მივიჩნიოთ: „სამოსელი პირველი სიტყვაა“.

მაშინ სათაურში ჩამალული აზრი ჩემთვის ასე ყალიბდება: იგი, ვინც სამოსელი პირველით შეიმოსება, ეზიარება სულიერ ცხოვრებას, უპირატესობას მიანიჭებს მას და დაგმობს ხორციელი ცხოვრებით გამოწვეულ ყველა მანკიერებას. კეთილისა და ბოროტის ბრძოლაში კეთილის თანამოსაგრე იქნება. ამ დასკვნას ამაგრებს ისიც, რომ, როცა სამოსელი პირველის თვლები იწვოდა, ცეცხლი არ მოეკიდა მხოლოდ დიდ ამეთვისტოს. „და მხოლოდ ერთ ქვას – დიდ ამეთვისტოს ვერ ეხებოდა მრისხანე როკვით შეპოტინებული ცეცხლი...“ „მხოლოდ იმ ერთს, ერთადერთს იმ ჯიუტად მოელვარე ქვას, მაინც რამდენი უწრიალა და ვეღარ მოედო ვერასდიდებით ცეცხლი...“ დიდი ამეთვისტო კი ანა-მარიას სიმბოლოა. თავის მხრივ კი ანა-მარია გ. დოჩანაშვილს სულიერი ცხოვრების, სულიერების სახედ ჰყავს გამოყვანილი.

აქ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დომენიკოს უკვე ჰქონდა გაკვეთილი მიღებული – დედამიწას სიყვარული ატრიალებსო. დომენიკოსათვის კი ამ ყოვლისშემძლე ტრფიალის საგანი სწორედ ანა-მარია იყო. და ბოლოს, როცა სამოსელი პირველი დაიწვა, მამამ დომენიკოს „გულზე კანაფით ჩამოჰკიდა დიდი ამეთვისტო – ცეცხლმოუდები, მეუფიანი, ანა-მარიას მოციაგე ქვა“.

სამოსელი პირველი, დიდი ამეთვისტო, ანა-მარია დაახლოებით ერთი აზრობრივი შინაარსის სიმბოლოებია. ეს გვავალდებულებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ანა-მარიას სახეს.

გ. დოჩანაშვილი დიდ აზრობრივ ფუნქციას ანიჭებს ანა-მარიას (მარტო ის რად ღირს, რომ სამოსელი პირველის ყველა პატიოსანი თვალი დაიწვა და გადარჩა მხოლოდ დიდი ამეთვისტო, ანა-მარიას ქვა), მაგრამ ფუნქციის შესაბამის ადგილს არ უთმობს რომანში. ამ ქალის შესახებ მკითხველმა ცოტა რამ იცის.

ანა-მარია ლამაზ-ქალაქში ცხოვრობდა. მამამისი სამსიმიან მარტივ საკრავს ამზადებდა, სოფელში ყიდდა და ამით ცხოვრობდა. მამა-შვილი აგურის სახლში იყო დაბინადრებული. საღამოობით მათი ფანჯრიდან მუსიკის საამო ჰანგი იღვრებოდა. ოღონდ ლამაზ-ქალაქელებმა არ იცოდნენ ვინ უკრავდა – მამა თუ შვილი.

„ანა-მარია ქალი იყო, მაგრამ შველს ჰგავდა“, წერს აღტაცებული ავტორი (აღსანიშნავია, რომ ეს ფრაზა რამდენჯერმე მეორდება რომანში). აქ ისევ უნდა გადავუხვიო მსჯელობის ძირითად გეზს და ერთი საერთო ხასიათის შენიშვნა გავაკეთო. იგი ნაწილობრივ გ. დოჩანაშვილსაც ეხება. დღევანდელ ქართულ პროზაში პროზაიკოსები თავად უფრო არიან მოხიბლული საკუთარი პერსონაჟებით, ვიდრე მკითხველები. არის ძველთაძველი, ურყევი კანონი, რომლის თანახმად აღტაცება მკითხველის მოვალეობაა და არა ავტორის. ყველა დროის ყველა ნიჭიერმა მწერალმა იცის, რომ იგი ვალდებულია, რამდენადაც შესაძლებელია, შეინარჩუნოს ობიექტურობა, სიმშვიდე და გულგრილობა საკუთარი პერსონაჟის მიმართ. მკითხველს მისცეს საშუალება, ვისით მოიხიბლოს და რატომ. როცა მწერალი თავს ვერ იკავებს და საკუ-

თარი პერსონაჟით მომეტებულ აღტაცებას ამჟღავნებს, ეს უპირველესი ნიშანია ოსტატობის უკმარისობისა. ეს უკმარისობა არასასურველი დიდი დოზით ვლინდება დღევანდელ ქართულ პროზაში.

დომენიკოს თავდავიწყებით შეუყვარდა ანა-მარია და ცოლად შეირთო იგი. ახლად ჯვარდაწერილთა შორის პირველსავე დღეს გაჩნდა შინაგანი წინააღმდეგობა. დომენიკოს მოეჩვენა, რომ ვიღაც თუ რაღაც მის ცოლს ქმარზე მეტად უყვარდა.

„დომენიკოს ეჭვები ღრღნიდა – ვიღაც სხვას, სულ სხვას უღიმოდა იმისი ცოლი...“

დომენიკომ ანა-მარიას „გამამხნევებელი ღიმილით შეხედა თვალებში, შეკრთა – მაინც სხვისა იყო მასთან პირველად ღამენათევი ქალი, სუუულ სხვისა...“

მართალია, დომენიკოს „მტერი“ მუსიკა იყო, რომელსაც მთელი არსებით ეძლეოდა ანა-მარია, მაგრამ კონფლიქტი მაინც მწიფდებოდა.

„... ლოყაზე შემოაჭდობდა თითებს, თავს გადაუწევდა, თვალებში ჩახედავდა, მზერას არიდებდა ქალი, დომენიკო კი მაგრად, მაგრად შემოხვევდა ხელებს და ჩაიკრავდა გულში, თვალებში ჰკოცნიდა, გორგალი ებჯინებოდა ყელში, სული სტკიოდა... თვალდახუჭული ჰკოცნიდა ყელზე და გრძნობდა, როგორ თბებოდა, მომლოდინე, მადლიერი ქალი, ისე მადლიერი, გაამაყებულ მგზავრს ცრემლმორეული თვალების დანახვა მოუნდებოდა და, რომ შეხედავდა, – აჰ, სხვისი იყო, მაინც სუულ სხვისი... სხვას ეკუთვნოდა“.

ამ კონფლიქტის განვითარების მოლოდინში მკითხველი იძაბება, მაგრამ, სამწუხაროდ, მოტყუებული რჩება. დომენიკომ ანა-მარიას „სამაგიერო“ იმით გადაუხადა, რომ საროსკიპოში გაიქცა და კახპა ლაურასთან ერთად ღამე გაათია. დღისით ამ საქციელის თავად შერცხვა მამაკაცს. იგი ყურებჩამოყრილი, მხრებაწურული და სინდისატკივებული დაბრუნდა შინ. ამით დამთავრდა ცოლ-ქმრის კონფლიქტი. სხვა რამ ავტორს მკითხველისათვის არ უცნობებია. დროც აღარ არის, რადგან მალე ფეხმძიმე ანა-მარია მოკვდება ლამაზ-ქალაქელი გიჟის უგოს ხელით.

ჩემი აზრით, სულის წინააღმდეგობა, რომელიც დომენიკოსა და ანა-მარიას შორის არსებობს, შეუძლებელია ასე უბრალოდ და მარტივად დამთავრდეს. მაგრამ რატომღაც გ. დოჩანაშვილმა თავი აარიდა როგორც კონფლიქტის განვითარებას, ისე მის მართალ დასასრულს. შეიძლება ვცდები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მწერალი შეუშინდა კონფლიქტის განვითარებას და მის მიერვე შექმნილი წინააღმდეგობა იოლად „მოაგვარა“ ანა-მარიას სიკვდილით.

ის, რაც რომანში ანა-მარიას შესახებ არის ნათქვამი, ერთი დასკვნის უფლებას გვაძლევს: ეს ქალი გაცილებით უფრო ღრმა, რთული და დახვეწილი სამშვინველის პატრონია, ვიდრე დომენიკო, ყოველ შემთხვევაში მათი შეხვედრის პერიოდში. მერე დომენიკო ცხოვრების რთულ გზას გაივლის და ბევრის მხილველი გახდება. ბუნერივია, რომ ეს მის სამშვინველს გაამდიდრებს და გაართულებს. ორი სხვადასხვა ძალისა და სიღრმის სამშვინველის შეხვედრისას, მით უმეტეს, მათი ქორწინებით გაერთიანების დროს, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა, იბადება შეურიგებელი შუღლი. მართალია, „სამოსელ პირველში“ ამ უთანხმოების ჩანასახი არსებობს, მაგრამ გამოვლენილი არ არის მისი არსი. არსის გამოსავლენად საჭირო იყო ანა-მარიას უფრო გამოკვეთილად დახატვა. იგი, ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით, სულიერების ეტალონია, მაგრამ ეტალონობისათვის არ კმარა მარტო მუსიკით გატაცება, თუნდაც იმგვარი, როგორსაც გ. დოჩანაშვილი აღწერს:

„ანა-მარია, რჩეული, უკრავდა... თავი უკან გადაეგდო, თვალები დაეხუჭა და ქუჩიდან შეჰყურებდა ფანჯარაზე აბობღებული, გამწარებული დომენიკო. პირველად ხედავდა დაკვრისას ანა-მარიას სახეს, მოღალატე ცოლს შესცქეროდა განრისხებული მგზავრი – იმას მეუფე ეფერებოდა... თავზე უსვამდა უხილავ თითებს, ტუჩზე ჰკოცნიდა, უკრავდა ქალი... ნეტარებისაგან თვალდახუჭული, ნეტარებისა-

გან უხმოდ კვნესოდა, ანა-მარია, შუამავალი მეუფესა და საკრავებს შორის, იმ დიდი შრომის, დაკვრა რომ ერქვა, ჯილდოს იღებდა – თავად მეუფე ეფერებოდა, ნეტარებისგან კვნესოდა ქალი... თავგადაგდებულს, ყელზე ჰკოცნიდნენ, და თვითონ ქალიც ტუჩებს სიხარულით აწვდიდა მეუფეს...“

ხშირად პერსონაჟის რელიეფურად გამოკვეთისათვის კონკრეტული საქციელის დახატვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აღწერა, თუნდაც დაწვრილებითი, სანიმუშოდ შევადაროთ ზემორეციტირებული აღწერა, როგორ უკრავდა ანა-მარია, კამორელი მეძავის როსას საქციელს.

კამორაში ყოფნის დროს გაწამებულ დომენიკოს ქალი მოენატრა. ოთო-ექიმმა მოუყვანა როსკიპი როსა. დომენიკოს მხოლოდ ოთხი დრაჰკანი ჰქონდა. მხოლოდ ეს შეეძლო მიეცა გასამრჯელოდ ქალისათვის. უფრო ღატაკი, ღარიბი და საცოდავი იყო მეძავი. მას ორმოცი გროში ჰქონდა. როსა მზად იყო ყველაფერი აეტანა, ოღონდ დომენიკოსაგან ის ოთხი დრაჰკანი მიეღო. იგი მორჩილად გაშიშვლდა და დაწვა. სულგანაბული ელოდა მამაკაცს, დომენიკოს ქალის საცოდაობამ თავზარი დასცა. იგი სათუთად, ნაზად ეალერსებოდა როსას. ქალმა პირველად თავის სიცოცხლეში იგრძნო ადამიანური დამოკიდებულება. პირველად დაინახა, რომ იგი არ იყო ოდენ სხვისი ვნების დასაცხრობი ნივთი. როსას სამშვინველი მადლიერების გრძნობით აივსო.

დილით, როცა დომენიკოს გაეღვიძა, ქალი ლოგინში აღარ იწვა. „... მაგრამ მაგიდაზე ოთხი დრაჰკანი სხვაგვარად ეწყო – სიმაღლეზე, ერთიმეორეზე ელაგა, და უცებ, ელდანაცემი, სულ სხვა რაღაცას დააშტერდა – ოთხი დრაჰკანი ხომ იდო და იდო... და იქვე, კიდევ, ორმოცი გროში“...

დომენიკოსა და როსას შეხვედრა პაწია ეპიზოდია რომანში. მაგრამ კამორელი მეძავი, მისი საქციელის გამო, არ დაგავიწყდებათ: ეს საქციელი მკითხველს საშუალებას აძლევს როსას მთელი ცხოვრება წარმოიდგინოს. დაინახოს ის ჭიდილი, რომელიც როსკიპის სამშვინველში მიმდინარეობდა. მართალია, როსა ხორცით გახრწნილი იყო, მაგრამ სულით მას არ დაუკარგავს უბიწოება, თან იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ როსა კამორაში, ე.ი. ჯოჯოხეთში, ცხოვრობს, შეგვიძლია უმნიშვნელოვანესი დასკვნა გავაკეთოთ: ადამიანს ყოველგვარ პირობებში ძალუძს შეინარჩუნოს სულის სიწმინდე, თუ ეს მას სურს.

როგორც ხედავთ, კონკრეტული საქციელი არა მარტო პერსონაჟს ხატავს რელიეფურად, არამედ გზას უხსნის მკითხველის ფანტაზიასაც. აქტიურს ხდის მკითხველის გონებას. ამასთანავე ემოციური ელდა საქციელში ძლიერია. ლამაზად აქვს აღწერილი გ. დოჩანაშვილს, როგორ უკრავდა ანა-მარია. ავტორთან ერთად, მკითხველიც ნასიამოვნებია და კმაყოფილი ამ აღწერით, მაგრამ უფრო შორს არ მივდივართ. როსას საქციელით კი ელდანაცემი არა მარტო დომენიკო დარჩა, არამედ მკითხველიც, რამეთუ მან მოულოდნელად აღმოაჩინა როსკიპის სამშვინველში სულიერება. ანა-მარიას სულიერებას ელდის დამცემი კონკრეტული საქციელი აკლია. რასაც ელდა აკლია, იმის მიმართ მკითხველი გულგრილია. ელდა დიდი ესთეტიკური ცნებაა და მას სერიოზული ყურადღების მიქცევა სჭირდება. აქვე უნდა ვთქვა, რომ საერთოდ ელდის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია დღევანდელი ქართული პროზისათვის. ჩვენს დღევანდელ პროზაში (თითო-ოროლა გამონაკლისს არ ვგულისხმობ) ამბავიც მდორედ, ერთფეროვნად მიედინება და პერსონაჟებიც თავისი უმოქმედობით ტყუპის ცალებივით ჰგვანან ერთმანეთს. მათ ელდის დამცემი თვისება არ გააჩნიათ.

ანა-მარიას მხრივ ელდის დამცემი საქციელის გამოვლენის აუცილებლობას ავტორიც კარგად გრძნობს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ანა-მარიას სიკვდილი. იგი მოულოდნელია და შემაძრწუნებელიც. მკითხველს ბუნებრივად უჩნდება კითხვა – რატომ მოჰკლეს ანა-მარია? ამის პასუხად შეიძლება გვითხრან: განა ყველა-

ფერს ახსნა სჭირდება? განა ცოტაა ცხოვრებაში შემთხვევითობა? გონებაარეულ უგოს აკვიატებული ჰქონდა ვიღაც მოეკლა. შემთხვევით იგი ანა-მარიას შეეჩეხა გზაზე და გიჟმა განუსჯელად ჩაიდინა ბოროტმოქმედება. ამგვარი პასუხი თითქოს ლოგიკურად გამოიყურება, მაგრამ ასე იოლად არ არის საქმე. უაზროდ და უმიზნოდ არც ცხოვრებაში კვდება ადამიანი და არც მხატვრულ ნაწარმოებში. ის სხვა საკითხია, რომ ცხოვრებაში კაცის სიკვდილის აზრსა და მიზანს ადამიანი ვერ წვდება, ვერ ხვდება და ვერ ამოუცვნია. ეს აზრი და მიზანი უზენაესმა იცის. რაც ადამიანს უაზროდ და უმიზნოდ ეჩვენება, მას მკაფიო აზრი და მიზანი აქვს, ოღონდ, როგორც ითქვა, კაცთათვის მიუწვდომელი და შეუცნობელი. თუ ბუნებაში ასეა, მხატვრულ ნაწარმოებში ცოტა სხვანაირად არის. მხატვრულ ნაწარმოებში პერსონაჟის შემოქმედი მწერალია და მისი მკვლელიც მწერალია. ამიტომ ავტორმა უწყის, რა მიზნით და რა აზრით ცოცხლობს მისგან შექმნილი პროტაგონისტი და რა მიზნით და რა აზრით კვდება ან კლავენ მას. რაკი მწერალიცა და მკითხველიც ადამიანია, ეს აზრი და მიზანი საერთოდ გასაგებია, ოღონდ ზოგჯერ პროცესი მკაფიოდ ვერ იხატება, ბუნდოვანება ხელს უშლის მკითხველს ყველაფერი ნათლად ამოიცნოს.

ცხადია, გ. დოჩანაშვილმა იცის, რატომ მოჰკლა უგომ ანა-მარია, თუმცა, გულწრფელად უნდა ვთქვა, ჩემთვის ეს გაუგებარია. რა თქმა უნდა, ანა-მარიას მარტო იმისათვის არ ჰკლავენ, რომ ამით მკითხველს ელდა დაეცეს. გუმანით ვგრძნობ, რომ ამ მკვლელობას უფრო ღრმა შინაარსი აქვს. ამას ის გარემოებაც მაფიქრებინებს, რომ როცა ქუჩაში ანა-მარიას სიკვდილი უახლოვდება, ხოლო შინდარჩენილ, აწრიალებულ დომენიკოს ავის მომასწავებელი გრძნობა აწამებს, ავტორი პარალელურად გვახსენებს რესასა და წინამძღოლის სიკვდილს. მაშასადამე, რესას, წინამძღოლის და ანა-მარიას სიკვდილთა შორის რაღაც კავშირია. ამიტომ გავიხსენოთ, როგორ დაიხოცნენ რესა და წინამძღოლი.

რესამ ნანდუს ცოლი აცდუნა. ნანდუმ დომენიკოს მამასთან იჩივლა და სამართალი ითხოვა. რესამ უარყო, არავითარი კავშირი ნანდუს ცოლთან არა მქონია. ნანდუს კი თავის სიმართლის დამტკიცება არ შეეძლო. მაშინ დომენიკოს მამამ რესას სთხოვა, სალამურზე დაგვიკარიო. გახარებულმა რესამ სალამური ჯიბიდან ამოიღო და დაკვრას შეუდგა. თან მღეროდა. უცბად რესამ სოხანეზე ზღართანი მოადგინა და სული განუტევა. გაოგნებული ნანდუ ირწმუნებოდა, არაფერ შუაში ვარო. დომენიკოს მამამ იგი დაამშვიდა და უთხრა, კვარი აიღე და მკვდარს დახედეო. ნანდუმ კვარი მიანათა მიცვალებულს და შეშინებულმა იყვირა – ირკოლა ჩი!.. პაწია, შხამიანი უხსენებელი სალამურში შემძვრალიყო და, როცა რესა უკრავდა, ტუჩებში ეკბინა.

რესამ დაარღვია მცნება – „არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყუასის შენისა“ და თან იცრუა. იგი დამნაშავეა და თავად ბუნებამ მიუზღო სამაგიერო. თვით ავტორი ამბობს „ის (რესა – ა.ბ.) დამნაშავე იყო“.

სწორუპოვარი მეომარი იყო წინამძღოლი, უშიშარი და უდრეკი. მისი თავკაცობით სიმაგრე აიღეს მხედრებმა და ეზოში ორი ბერიკაცი ნახეს. ერთი სულ იღიმებოდა და გვერდით წყლით სავსე ტიკი ედგა. მეორე პირქუშად გამოიყურებოდა და სვავივით იბღვირებოდა. წინამძღოლი ჯიქურ მისჩერებოდა მომღიმარ მოხუცს. შორიდან სიმღერა მოისმა და წინამძღოლმა იქით მიიხედა. ბერიკაცმა ტიკი აიღო და წყლის სმა დაიწყო. კაციშვილმა არ იცის, რა აზრმა გაუელვა თავში წინამძღოლს. იგი ანაზდად შემოტრიალდა, ხმალი იშიშვლა და მოხუცს თავი გააგდებინა. „ეს პირველი უდანაშაულო კაცი იყო, – დასძენს ავტორი, – წინამძღოლის ხელით მოკლული“.

წინამძღოლმა არ დაიცვა მცნება – „არა კაც კლა“. ეს შეცდომა მან გააცნობიერა და არსებითად თავი მოიკლა. იგი ნიღაბაფარებული დაიღუპა საკუთარ მეომრებთან

ბრძოლაში. წინამძღოლიც მცნების დარღვევისათვის იყო დამნაშავე. ეს მკაფიოდ არის ნათქვამი რომანში.

რაკი ავტორმა ეს ორი სიკვდილი გაგვახსენა ანა-მარიას მკვლელობის წინ, ბუნებრივად ჩნდება სურვილი მოინახოს ამ ქალის დანაშაულიც. მაგრამ იგი „სამოსელ პირველში“ არ არსებობს. პირიქით, თუ ვინმე უმწიკვლო და უდანაშაულოა, ეს ანა-მარიაა. მაშინ რატომ გვახსენებს მწერალი ანა-მარიას მკვლელობის პარალელურად რესასა და წინამძღოლის სიკვდილს? ამის პასუხი მე ვერ მოვძებნე.

ანა-მარიას მკვლელობის აზრის ამოკითხვა იმიტომაც მიმაჩნია აუცილებლად, რომ გავიგო და ამოვიცნო რას ვერ მიწვდა დომენიკო? რას განასახიერებდა ანა-მარია? მკითხველმა ხომ იცის, რომ მკვდარ ანა-მარიასაც ვერ ჩაწვდა დომენიკო. რომანში წერია: „როცა დომენიკომ მოკლულ ქალს დახედა, იგი გაშრა – სულ სხვისა იყო“.

რა ვერ გაითავისა დომენიკომ?

შევეცდები ამ კითხვას ჩემებურად ვუპასუხო. შეიძლება იგი ავტორმა გაიზიაროს, შეიძლება – არა, მაგრამ ეს პასუხი რომანის წაკითხვით დაიბადა და საგანგებოდ არ გამომიგონია.

ჩვენ ხშირად ვიმეორებთ იოანე მოციქულის სიტყვებს – „ღმერთი სიყვარული არს“ (ეპისტოლე პირველი, 4, 8). მაგრამ იშვიათად ვეკითხებით თავისთავს – როგორი სიყვარული. ქრისტიანული რელიგიის კონცეფციით, სიყვარული ორგვარია: სიყვარული-აგაპე და სიყვარული-ეროსი. სიყვარული-აგაპე გულისხმობს ზეციერ სიყვარულს, ხოლო სიყვარული-ეროსი – მიწიერს.

ადამიანს არავინ ართმევს ეროსი-სიყვარულის უფლებას, მაგრამ არსებობის მიზნის შესაცნობად ეს უკმარია. ადამიანი აუცილებლად უნდა მიწვდეს და ეზიაროს აგაპე-სიყვარულს.

ანა-მარიას უყვარდა დომენიკო (სიყვარული-ეროსი), მაგრამ მისი სამშვინველი სავსე იყო სიყვარული-აგაპეთიც. დომენიკო კი მხოლოდ ანა-მარიას სიყვარულს (სიყვარულ-ეროსს) ფლობდა. მისი სამშვინველი ჯერ არ იყო ნაზიარები სიყვარულ-აგაპეს. ამიტომ დომენიკოს სიყვარული ნაკლული იყო. ამიტომ ეჩვენებოდა მას ანა-მარია მაინც სხვისად, მხოლოდ ანა-მარიას სიკვდილის შემდეგ გააცნობიერა დომენიკომ, რა აკლდა, რით სჯობნიდა ქალი მას, როგორ შეიძლებოდა მისი სამშვინველი სულად გარდაქმნილიყო და ამაღლებულიყო.

როცა ამას ვამბობ, იმასაც ვფიქრობ – იქნებ დომენიკოს ცნობიერების გაღვიძებაა ანა-მარიას სიკვდილის აზრი? მოყვასის სიკვდილი უდიდესი და უმძიმესი ტანჯვაა. ტანჯვა კი აფხიზლებს ადამიანის დაძინებულ გონებას.

ამასთანავე მკითხველისათვის კარგად ცნობილია, რომ ანა-მარიას სიკვდილის მერე გადაწყვიტა დომენიკომ კამორაში ანუ ბოროტებისა და ტანჯვის ქალაქში წასვლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გვემით სურს დომენიკოს განიწმინდოს სამშვინველი და შეიძინოს უნარი ეზიაროს ამაღლებულს.

ამ ამაღლებულის კონკრეტული შინაარსი გვაინტერესებს, რისი მიგნებაც, სამწუხაროდ, რომანში ჭირს.

საერთოდ და ზოგადად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ანა-მარია, ანუ მშვენიერება მოჰკლა ფილისტერულმა საზოგადოებამ.

ლამაზ-ქალაქი, სადაც დომენიკო და ანა-მარია შეხვდნენ ერთმანეთს, ფილისტერობის განსახიერებაა. ფილისტერულ საზოგადოებაში კი ყველაფერი ცრუ და არანამდვილია – სიყვარულიც, მეგობრობაც, მტრობაც, განათლებაც, კულტურაც...

რიოში და ყალბია კონჩეტინა, სიყვარულის მაძიებელი ქალი, რომელიც ბოლოს დებილ კუმეოს მისთხოვდა. კონჩეტინა უშუალობის ტრფიალი ყოფილა. ეს თვისება კი გონებასუსტ მამაკაცში აღმოაჩინა.

რიოში და ყალბია მამიდა არიადნაც, რომელსაც ისეთ დახვეწილ ადამიანად მოაქვს თავი, რომ ყოველგვარი წვრილმანის გამო გული უღონდება. მთელი სიცოცხლე იგი ვიღაც ვასკოს მისტირის, რომელიც მამაკაცურობის იდეალად წარმოუდგენია. მართალია, ეს ვასკო რომანში უშუალოდ არ მოქმედებს, მას მხოლოდ არიადნას გახსენებებით ვიცნობთ, მაგრამ „სამოსელ პირველში“ იგი იმდენად ცოცხლად იხატება, რომ მკითხველი ზედმიწევნით იცნობს მას. ჩანს, რომ ვასკოც ისეთივე დარდაკი იყო, როგორიც კუმეოა.

რიოში და ყალბია არტურო, ვინც ვითომ სტუმართმოყვრულად შეიფარებს დომენიკოს, ნამდვილად კი ატყუებს და ტყავს აძრობს სოფლელ ბიჭს.

რიოში და ყალბია კეთილშობილი პიროვნების ნიღბის მატარებელი დუილიო, სულ მაღალ მატერიებზე რომ მსჯელობს და საჩუქრად იის კონები დააქვს. გულით კი იგი დიქტატურას ეთაყვანება და სხვათა დამონებაზე ოცნებობს.

რიოში და ყალბია ტულიო. იგი დრაჰკანების გამო მეგობრობს დომენიკოს. მის ხარჯზე ქეიფობს და ერთობა.

ერთი სიტყვით, ლამაზ-ქალაქი სიცრუით და თვალთმაქცობით სავსე სამყაროა. ამ ქალაქში ნამდვილი მხოლოდ დომენიკო, ანა-მარია, გიჟი უგო და ალექსანდროა (სხვათა შორის, თუ ამ სახელის ესპანურ ფორმას ვხმარობთ, მაშინ ალეხანდრო უნდა იყოს, თუ იტალიურს – ალესანდრო).

„სამოსელ პირველში“ სიცრუის, სიყალბის, თვალთმაქცობის დახავსებული ატმოსფერო დამაჯერებლად და მკაფიოდ არის დახატული, ამ გარემოში ვერაფერი ნამდვილი ვერ გაძლებს. ვერც გაძლო. ანა-მარია დაიღუპა. დომენიკომ ლამაზ-ქალაქი მიატოვა და კამორაში გაემგზავრა. უგო გიჟია და მისთვის სულერთია, სად დალევს სიცოცხლის დღეებს. ალექსანდრო კი წინასწარ გამიზნული მისიით ცხოვრობს ლამაზ-ქალაქში. მას ამ ფილისტერული საზოგადოების გარდაქმნა უნდა. მართალია, მკითხველმა არ იცის, რით დასრულდება ალექსანდროს საქმიანობა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ამ პერსონაჟისადმი ავტორის ირონიულ დამოკიდებულებას, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი მისია დასამარცხებლად არის განწირული.

რაკი დომენიკო ცხოვრების აზრისა და დანიშნულების შესაცნობად მოგზაურობდა, მან პირველი გაკვეთილი ლამაზ-ქალაქში ანუ ფილისტერულ საზოგადოებაში მიიღო. ამ გაკვეთილის თანახმად, ყველაფერი ამაღლებული და მშვენიერი განწირულია დასაღუპავად (ანა-მარიას მკვლელობა). ხოლო ყველაფერი ფილისტერული, მეშჩანური და ობივატელური (არიადნა, კონჩეტინა, კუმეო, დუილიო, ტულიო, არტურო და სხვანი) არხეინად და თავისუფლად არსებობს, შესანიშნავად ეგუება და ეთვისება გარემოს. მას არაფერი ემუქრება.

დომენიკომ მეორე გაკვეთილიც უნდა მიიღოს. იგი ტოვებს ლამაზ-ქალაქს და ტანჯვის სამყაროში ანუ კამორაში მიემგზავრება.

კამორას არსს ყველაზე ნათლად გამოხატავს შიშველი მოანგარიშე ანისეტო. კამორაში არსებობის საფუძველი სრული უნდობლობაა, ანისეტომ დიქტატორ ბეტანკურის ფულები რომ არ მიითვისოს, თხემით ტერფამდე ტიტველი და თავგადაპარსული მუშაობს. ეს ძალიან რელიეფური და გამოკვეთილად ნათელი სახე-სიმბოლოა. ოღონდ, როგორც ჩანს, ავტორი არ ენდო მკითხველს და განმარტა, რატომ არის ანისეტო შიშველი: „ალბათ ისიც არ იცი, მოანგარიშე შიშვლად რადა დგას – ფული რომ არ ჩაიცუროს სადმე“. ეს განმარტება არ არის საჭირო. უამისოდაც ყველაფერი ნათელია. საერთოდ, „სამოსელ პირველში“ განმარტებებს ხშირად წაიკითხავთ. გავიხსენოთ თუნდაც დონ დიეგოს თვითმკვლელობა. მას მერე, რაც დონ დიეგომ მარშალი ბეტანკური მოჰკლა, მისი თვითმკვლელობა შინაგან დამაჯერებელ მოტივს მოკლებულია. ამიტომ ავტორი განმარტავს: „ეს თვითმკვლელობა არ იყო, ეს – ძმათა ხათრით სიკვდილი გახლდათ“. ამგვარი განმარტებანი კი იმის საბუთია, რომ გ. დოჩანაშვილი ან მკითხველს არ ენდობა ბოლომდე ან თავისთავს. მწერალი

კი ორივეს – თავისთავსაც და მკითხველსაც – უნდა გულღიად ენდოს. ისიც უნდა სჯეროდეს, რომ მან სურათი ზუსტად დახატა და ისიც, რომ ნათქვამი არ დარჩება მკითხველისათვის გაუგებარი. განმარტება პუბლიკუმსა და მხატვრულ ნაწარმოებს შორის ემოციურ კავშირს აცივებს, რამეთუ იგი მკითხველს ართმევს მხატვრული სახის ამოცნობის სიხარულს.

კამორა სამყაროა, სადაც ადამიანთა შორის ნდობა სრული უნდობლობით ვლინდება. მარტო ეს საკმაოა იმის წარმოსადგენად, როგორ ჯოჯოხეთში მოხვდა დომენიკო. მაგრამ მკითხველი დომენიკოს კამორაში ყოფნას შიშით არ უყურებს. მან წინასწარ იცის, რომ ბოროტების ქალაქში მას ალექსანდროს ძმა დაიცავს.

„სამოსელ პირველში“ გამოყვანილია ორი ძმა – ალექსანდრო და მიჩინიო. ორივე კეთილისათვის იბრძვის, ალექსანდრო – ლამაზ-ქალაქში, მიჩინიო – კამორაში. ალექსანდრო ქადაგებით ცდილობს ადამიანს მოყვასისადმი სიყვარული ჩაუნერგოს, მიჩინიო კი კონკრეტული საქმით აპირებს დაეხმაროს გაჭირვებულს. ალექსანდროს ლამაზ-ქალაქი ირონიულად უყურებს. არავის სჯერა მისი. რა თქმა უნდა, ფილისტერული სამყარო სხვაგვარად ვერ შეხედავდა ალექსანდროს. მაგრამ აქ გარკვეული დოზით დარღვეულია წონასწორობა. ალექსანდროსადმი ავტორისა და ლამაზ-ქალაქის საზოგადოების დამოკიდებულება ერთნაირია. საქმე ის გახლავთ, რომ მკითხველი ჯერ გუმანით და მერე ერთადერთი საქციელით ხვდება ალექსანდროს განსხვავებას ლამაზ-ქალაქელთაგან. ამ საქციელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ალექსანდროს პიროვნების შესაცნობად. როცა დომენიკომ კამორაში წასვლა გადაწყვიტა, გადაჭრილ ხესთან, მიწაში დამალული ფული ალექსანდრომ მოუტანა მას.

„– აი, შენ დრაჰკანები მოგიტანე...

– და თქვენ... იცოდით?

– რა თქმა უნდა.

– და არ აიღეთ?

– მგლოვიარედ რომ არ ვიყო, სილას გაგაწნავდი, – უთხრა ალექსანდრომ, – რანაირიღა შეურაცხყოფა არ მიმიღია, მაგრამ ასეთი? არასოდეს, არა...“

დომენიკომ ვერც კი წარმოიდგინა პატიოსნება, რომელმაც იცოდა, სად იყო ფული გადამალული და არაფერი აიღო.

ამ საქციელით მჟღავნდება ალექსანდროს უანგარო ბუნება. მაგრამ ავტორს ეს უანგარო კაცი ისეთივე ირონიით ჰყავს წარმოდგენილი, როგორც სხვანი, ვისაც არავითარი ღირსება არ გააჩნია. აუცილებელია ალექსანდროსადმი ავტორისა და ლამაზ-ქალაქელთა დამოკიდებულების ნიუანსური განსხვავება. მთელი რომანი რომ ირონიულ ხასიათს ატარებდეს, მაშინ შეიძლება ეს განსხვავება აუცილებელი არ ყოფილიყო. მაგრამ ასე არ არის. რომანის ბევრი ადგილი პათეთიკური ინტონაციით არის დაწერილი. განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ანა-მარიასა და კანუდოსელებს ეხება. თუ ავტორი არ არის ირონიული მშვენიერების (ე.ი. ანა-მარიას) და თავისუფლების (ე.ი. კანუდოსელების) მიმართ, რატომღა ავლენს ირონიას უანგარობისადმი (ალექსანდროსადმი)? განა უანგარობა ისეთივე მაღალი ნიჭი არ არის, როგორც მშვენიერება და თავისუფლება? ცხადია, ასეა და ამიტომ არის აუცილებელი წონასწორობის დაცვა.

რა თქმა უნდა, ირონია ყოველთვის არ გულისხმობს უარყოფით დამოკიდებულებას. პირიქით, ზოგჯერ ირონიით სიყვარული იხატება. მაგრამ ეს მაშინ ხდება, როცა ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების საერთო, მთლიანი განწყობილებაა ირონია. „სამოსელ პირველში“ კი განწყობილება ცვალებადია. ირონიას ენაცვლება სატირა, სატირას – პათეთიკა. ამგვარი ცვალებადი განწყობილების სიტუაციაში ირონია მხოლოდ უარყოფითი შინაარსით აღიქმება. ამიტომ ვამბობ, რომ ალექსანდროსადმი დამოკიდებულებას მეტი ნიუანსირება სჭირდებოდა-მეთქი, თორემ, როცა „სიყ-

ვარულის კაკტუსზეა“ ლაპარაკი, მკაფიოდ ჩანს ორგვარი დამოკიდებულება – ირონიაც და სიმპათიაც ალექსანდროს მიმართ. მაგრამ ეს ცალკეული შემთხვევა ვერ აბათილებს საერთო შთაბეჭდილებას.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ თავად სიმბოლო – სიყვარულის კაკტუსი – ირონიული პროზისათვის კარგად მიგნებულ ხატად მიმაჩნია. მართალია, კაკტუსი თითქოს გონჯი და ეკლიანი მცენარეა, მაგრამ უნაზესი და ულამაზესი ყვავილები აქვს. აყვავებული კაკტუსის ბაღი უმშვენიერესი სანახაობაა.

ალექსანდროსადმი ნიუანსურად მრავალფეროვანი დამოკიდებულების აუცილებლობა სამი გარემოების გამოც არსებობს.

ჯერ ერთი, ალექსანდრო თვითონ ამბობს – „... საჭიროებისდა მიხედვით აყრანტალებული და დასაცინი ვარ – ასეა ამ ქალაქში საჭირო“.

რატომ?

მეორეც, როცა დომენიკო მშობლიური სოფლიდან ლამაზ-ქალაქში მიდიოდა, კოჭლმა მონამ გააცილა. განშორებისას გამცილებელმა სილა გააწნა და თან ბოდიში მოუხადა – „რა ვქნა, ჯერ არავისთვის გამირტყია მაგრამ... – მორცხვად თქვა თავდახრილმა კოჭლმა, – ასე მიბრძანა იმან“ (დომენიკოს მამამ – ა.ბ.). ლამაზ-ქალაქიდან კამორაში დომენიკო ალექსანდრომ გააცილა. ახლაც გამოთხოვებისას ალექსანდრომ დომენიკოს ალიყური აჭამა და თან პატიება ითხოვა – „ასე იყო საჭირო... მაპატიე“.

რა კავშირია დომენიკოს მამას, კოჭლ მონასა და ალექსანდროს შორის?

პერსონაჟთა შორის ამგვარი საიდუმლო კავშირი სხვაგანაც არის რომანში მითითებული. მაგალითად, ლამაზ-ქალაქელი არიადნა გამუდმებით ახსენებს ვიღაც ვასკოს, რომელიც ნამდვილ მამაკაცად მიაჩნია. მერე კი კამორაში პოლკოვნიკი სეზარი შესჩივლებს სუზზის გამო დომენიკოს: „ქმრის შემდეგ შენს გარდა არავისთან ვყოფილვარო, მიმტკიცებს, მეფიცება... მაგრამ ეს როგორ დავუჯერო, რადგან იმ დროს... ლოგინში, საწოლში რაღა, ეშხში რომ შევა, სულ კვნესა-კვნესით გაიძახის – ოჰოჰოო, ვასკო...“

არიადნასა და სუზზის შორის რა კავშირია?

ამ კავშირების ძიებას გვაიძულებს რომანის ალეგორიული ხასიათი.

მესამეც, ვინ უფრო სწორად და მართლად ემსახურება კეთილს – ალექსანდრო თუ მისი ძმა მიჩინიო?

ამ კითხვების პასუხი ჭირს, რადგან ალექსანდროს სახის მრავალპლანიანობა სრულად და ბოლომდე არ არის დახატული.

ალექსანდროს ძმამ მიჩინიომ ბავშვობაში უნებლიეთ დანაშაული ჩაიდინა. დედის დაცვის დროს მამინაცვალი შემოაკვდა და თერთმეტი წლის ბიჭი მკვლელის სახელით დაიდაღა. მერე იგი, დავაჟკაცებული, კამორაში ცხოვრობდა. აქ, რაკი კეთილის ქმნა აშკარად და ღიად არ შეეძლო, მოჩვენებითად ბოროტების სამსახურში იდგა. მიჩინიოს უნდოდა ემოქმედა დევიზით – „თუკი სიკეთის მთესველი ვარ, ბოროტება უნდა მოვსპო“. ამას თავად ამბობს. ამის გამგონე მკითხველს პრინციპული კითხვა ებადება: შეუძლია კი ბოროტების სამსახურში მყოფ ადამიანს, თუნდაც უაღრესად შენიღბულს, კეთილი საქმის კეთება? შეიძლება ჩემი პასუხი ერთობ სუბიექტურად მიიჩნიოთ, მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ არ ძალუძს. ამიტომ მიჩინიო და ყველა, ვინც მისებრ თვლის, რომ ბოროტის ნიღბით კეთილს გავაკეთებთო, თავის თავსაც ატყუებს და სხვასაც.

უფრო გამოწვლილვით შევეხოთ ამ პრობლემას.

ძნელად დასაჯერებელია, რომ კაცი, რომელიც უპირველესი და უსასტიკესი ჯალათის ნიღაბს ატარებს, შეინარჩუნებდა უნარს ეცხოვრა დევიზით – „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“ – და ამას პრაქტიკულადაც ახორციელებდეს.

პირველი, რაც ამ კაცმა უნდა გააკეთოს, არის ბატონის ნდობის დამსახურება. მიჩინიოს უნდა დაემსახურებინა ბეტანკურის ნდობა. მაგრამ როდის და როგორ გენდობიან დიქტატურის დროს? ეს გარემო და პირობები ზუსტად და დამაჯერებლად არის აღწერილი „სამოსელ პირველში“.

გენდობიან მაშინ, თუ მოანგარიშე ანისეტოსაებრ შიშველ-ტიტველი ხარ. დარწმუნებული არიან, რომ ვერაფერს მოიპარავ.

გენდობიან მაშინ, თუ მონა ხარ და ლაქია მხატვარ გრეგ რიკიოსავით, ვისაც ბეტანკური როგორც მოისურვებს, ისე ამასხარავებს. მოუნდება ბეტანკურს და გრეგ რიკიო ხალხის თვალში გოროზი, ქედმაღალი, უნიჭიერესი შემოქმედია. ინებებს დიქტატორი და თხილის გულს გადაუგდებს, მუხლებზე დაჩოქილ გრეგ რიკიოს იატაკზე ახოხებს და ტახტის ქვეშ აძებნინებს. გენდობიან თუ გრეგ რიკიოსებრ მორჩილად შეასრულებ დიქტატორის ყველა ბრძანებას.

გენდობიან მაშინ, თუ ბოროტმოქმედი ხარ პოლკოვნიკ სეზარივით ან ზედამხედველ ნავოლესავით.

გენდობიან მაშინ, თუ ეჭვმიუტანლად გჯერა, „ექვსჯერ სამი შვიდია“.

სხვაგვარად არავინ გენდობა და არც ვინმეს სჭირდები. ამგვარ სიტუაციაში როგორ მოახერხებდა მიჩინიო კეთილის სამსახურს? თუ იგი თავზე ლაფს არ დაისხამდა, ვერ ჩადგებოდა ბეტანკურის სამსახურში, ვერ მოიპოვებდა მის ნდობას. მაშასადამე, მას ჯერ ბოროტება უნდა ჩაედინა, ნდობით აღჭურვილიყო და ამის მერე ისევ დაეწყო კეთილის სამსახური. მაგრამ ვისღა გამოადგება, კეთილის თვალსაზრისით, ბოროტების ლაფშიამოვლებული კაცი?

მართალია, მიჩინიომ დომენიკო გადაარჩინა, მაგრამ კანუდოსის საშველად ვერაფერი იღონა. პირიქით, თავი იმართლა, მანუელო კოსტას იმიტომ ვერ დავეხმარე, რომ მაშინ შენ ვერ გიხსნიდიო. რა გამოდის, ერთის მიმართ სიკეთე რომ ჩაედინა, მეორე უნდა გაეწირა. მაშასადამე, იწყება სიკეთით ვაჭრობა, რაც, ცხადია, კეთილთან ვერ იქნება დაკავშირებული.

ამიტომ, თუ მართალია და დამაჯერებელი დიქტატურის ატმოსფერო კამორაში, ძნელად სარწმუნოა მიჩინიოს სიკეთე.

მიჩინიო დიდი შეცდომის მსხვერპლია.

ვისაც კეთილის სამსახური სურს, იგი სრულად უნდა გაემიჯნოს ბოროტს და ისე მოიქცეს, როგორც ძველი სიბრძნე ამბობს: განყიდენ სამოსელი და იყიდენ მახუილი.

კითხვა, რომელიც მკითხველს აწუხებს, გაუჩნდა დომენიკოსაც: „სიკეთე თუ ხართ, იქ, იმ ქალაქში... რა გაძლებინებთ?“ ამის პასუხად მიჩინიომ დომენიკოს უამბო:

ფანჯრებდახშული ეტლით თვრამეტი ავაზაკი მგზავრობდა. ამ ეტლში იჯდა მიჩინიოც და კიდევ ერთი უცნობი მგზავრი. ალექსანდროს ძმამ გადაწყვიტა დაეხოცა ავაზაკები. იგი ჩუმად კოფოზე აცოცდა და მრავალცხენიანი ეტლი თავად წაიყვანა. მიჩინიო თავგამეტებული მიერეკებოდა ცხენებს. უნდოდა უფსკრულში გადაეჩეხა ეტლი ავაზაკებიანად. თავის თავზე აღარ ფიქრობდა. მაგრამ უეცრად გაახსენდა უცნობი მგზავრი, უდანაშაულო კაცი, რომელიც ავაზაკების გამო უნდა დაღუპულიყო. მაშინ მიჩინიომ დაასკვნა, უმჯობესია ეს ერთი უდანაშაულო კაცი გადარჩეს, ვიდრე დაიღუპოს იგი თვრამეტ ავაზაკთან ერთად. მან აღარ გადაჩეხა ეტლი უფსკრულში. ასე იხსნა უნებლიეთ უცნობმა თვრამეტი ავაზაკი სიკვდილისაგან.

მართალია, საინტერესოა მიჩინიოს დამოკიდებულება კეთილისა და ბოროტისადმი, მაგრამ ის, რაც მან დომენიკოს უამბო, ზემორე ციტირებული კითხვის პასუხი არ არის.

დომენიკოს არ უკითხავს, რა სჯობს, თვრამეტ დამნაშავესთან ერთად ერთი უდანაშაულოც განადგურდეს თუ ერთ უდანაშაულოსთან ერთად თვრამეტი დამნაშავე

გადარჩეს? ამის პასუხი დიდი ხანია არსებობს და მას იზიარებს კეთილშობილი კაცობრიობა. ძველი რომაული სამართალი სამართლიანობის ძირითად პრინციპად აღიარებდა: უკეთესია ათი დამნაშავე გაათავისუფლო, ვიდრე ერთი უდანაშაულო დასაჯო.

დომენიკოს სხვა რამ აინტერესებს: სიკეთე როგორ ძლებს ბოროტების გარემოცვაში. ამის პასუხი კი მიჩინიომ ვერ მოძებნა. ვერც მოძებნიდა, რამეთუ კეთილის ქმნისათვის აუცილებელია თავისუფლება. სადაც არ არის თავისუფლება, არ არის კეთილიც. კამორაში განადგურებულია თავისუფლება, და, მაშასადამე, მომსპარია კეთილიც. არც მიჩინიოა თავისუფალი კაცი, რადგან იგი ნიღაბს ატარებს. ნიღაბი თავისუფლების დამონების ფორმაა და, ამდენად, ყოველი ნიღბისმატარებელი ადამიანიც მონაა.

მიჩინიოც მონაა და, ბუნებრივია, მას არ შეეძლო კეთილის კეთება. ის, რომ მან დომენიკო გადაარჩინა, კარგი საქმეა. მაგრამ კარგი საქმე და კეთილი ერთი და იგივე არ არის. კარგი საქმე კონკრეტული შინაარსის მატარებელია, კეთილი კი ყოვლისმომცველი უნივერსალური მოვლენაა.

კეთილისათვის კანუდოსელები იბრძვიან. მათ იციან, თავისუფლებისა და კეთილის დასამკვიდრებლად აუცილებელია ბრძოლა, თავგანწირვა, მსხვერპლი. ისინი ასეც იქცევიან, მათი დამარცხება არ იწვევს სასოწარკვეთილებას. მთავარია ის, რომ ბოროტების წიაღში იბადება თავისუფლებისა და კეთილის სული, რომელიც უკვდავია და რომელიც სხვა თაობებს გადაეცემა. კანუდოსელთა ახალი თაობა მოიპოვებს იმას, რასაც ძველმა თაობამ ვერ მიაღწია.

მიჩინიოსგან განსხვავებით, დომენიკომ კანუდოსიც იხილა და კანუდოსელებთან ერთად იცხოვრა და იბრძოლა. მან ჯოჯოხეთიც განვლო, სალხინებელიც და სამოთხეც. ამიტომ მისი დასკვნა უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე მიჩინიოსია. სწორია, დედამიწას სიყვარული ატრიალებს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ მას დაცვა-პატრონობა სჭირდება. დაცვა და პატრონობა კი იმას ხელეწიფების, ვისაც არა მარტო კათარსისგავლილი სულის სიმბოლო – დიდი ამეთვისტო – ჰკიდია, არამედ ის მახვილიც, რომელსაც სამოსლის გაყიდვით შეიძენს კაცი. რატომღაც დომენიკოს ეს მახვილი არ უმშვენებს წელს. შესაძლებელია, ეს იმან გამოიწვია, რომ გ. დოჩანაშვილი მახვილის აუცილებლობის აზრს არ იზიარებს. თუმცა ვინც სამოსელს ჰყიდის, მან მახვილი უნდა იყიდოს. ამას ითხოვს ლოგიკა, დომენიკომ სწორედ სამოსელის გაყიდვის გზით შეიცნო ცხოვრება.

გ. დოჩანაშვილი მართალია, როცა ფილისტერულ საზოგადოებას და დიქტატორულ სამყაროს წარმოგვიდგენს ერთფეროვნად, მოსაწყენად და თავმომაბეზრებლად. ავტორი ლამაზ-ქალაქში და კამორაში არსებული ატმოსფეროს ზუსტი აღწერით დამაჯერებლად გვეუბნება, რომ დიქტატურისა და ფილისტერობის (მათ შორის კი ურღვევი კავშირია) უპირველესი საშინელება ის არის, რომ ადამიანში ჰკლავს მრავალფეროვნების, ნაირ-ნაირობის სიყვარულს. ყველაფერს აერთფეროვანებს და ადამიანს ამსგავსებს დასაქოქ თოჯინას, რომელიც წინასწარდამუშავებული პროგრამის შესაბამისად მოძრაობს და მოქმედებს. დიქტატურა ყველას პროკრუსტეს სარეცლით ათანასწორებს. ეს კი, თავისთავად ცხადია, იწვევს ადამიანში ადამიანურის სიკვდილს. აქ ავტორთან სადავო არაფერია. მაგრამ ზოგჯერ ერთფეროვანი ატმოსფეროს და ერთფეროვანი ადამიანების დასახატავად გამოყენებულია ერთფეროვანი ხერხები და საშუალებანი. ეს კი საკამათოა.

მაგალითად, ლამაზ-ქალაქელთა შორის ყველას რაღაც აქვს აკვიატებული.

კონჩეტინას ჰგონია, რომ იგი ვიღაცას უყვარს („მე მგონი, ვინსენტეს ვუყვარვარ...“, „ანტონიოსაც ვუყვარვარ...“, „მე მგონი, იმ მდიდარ სულელსაც... ჰო, დომენიკოს... მგონი, იმასაც ვუყვარვარ...“).

მამიდა არიადნა წამდაუწუმ ნამდვილ მამაკაცს ვასკოს იხსენებს.

დუილიო ხშირად იმეორებს – „წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ“.

კუმეო ყველას ეჩიჩინება, მოდით ვიმეგობროთო.

უგო გიჟს კი ამოჩემებული აქვს – „დავკლავ, დავკლავ კამორული დანით“...

და ასე შემდეგ.

კამორაში ბეტანკურს ქრთამს ასე აძლევენ: ნაირნაირი ხელობის კაცნი მოდიან დიქტატორთან და ეუბნებიან – „ჭალაში გახლდით, სწორუპოვარო, თქვენს მაღალ თანამეცხედრეს ბეჭედი რომ დაუკარგავს, ის ადგილები მოვიარე... და ვინც ეძებს, მოგეხსენებათ, ჰპოვებს კიდეც და... ეს ხომ არ არის?“ ბეტანკური ალმასისთვლიან ბეჭედს შეათამაშებს ხელში და დაუდასტურებს, ეს არისო. ბეჭედი დიქტატორის სალაროში მიდის, ერთხელ ამგვარი ხერხით ქრთამის მიცემა ეფექტურია და შთაბეჭდილებას ახდენს. იმ პიროვნებასაც ეცნობა მკითხველი, ვინც გასცა ქრთამი. მაგრამ, როცა იგი მეორდება და მეორდება (დიდვაჭარი არტემიო, ლამაზი გენერალი, ხორხე, მთავარი პროკურორი, პორფირიო და სხვანი), მაშინ უკვე ტავტოლოგიურ ხასიათს იღებს, მხატვრული ხერხი უფერულდება და კარგავს თავდაპირველ მოხდენილობას.

ტავტოლოგიურია პერსონაჟთა სამეტყველო ენაში ეს ელემენტიც:

კონჩეტინა კუმეოს – „ცუნცულ, გიყვარვარ?“

სეზარი სუზანას – „რატომ, ჭუკიჭუკ?“

ცოლი ჟოაო აბადოს – „არ მოგენატრე, ჰა, პუმპურიკა?“

„არისტოკრატი“ ქალი დომენიკოს – „არ მოგწონვარ, არა?.. დაა, პინკურიკა?“

როსკიპი დომენიკოს – „ძალიან გაგახარებ, ცინცრიკ“.

რომელიმე ერთი პერსონაჟის სამეტყველო ენის დასახასიათებლად ეს ხერხი მისაღებია და კარგი, მაგრამ ამ საშუალებით არ მოხერხდება რამდენიმე, თან სხვადასხვა მდგომარეობის და თვისების ადამიანთა მეტყველების თავისებურების გამოვლენა.

ზოგჯერ ავტორის მეტყველებაშიც იჩენს თავს ერთნაირობა. როცა როზინაზეა ლაპარაკი, რამდენჯერმე მეორდება – „აი, ის, ჭალაში რომ იყო“. მართალია, გ. დოჩანაშვილი თავად შენიშნავს – „არ გავუჭირვეთ საქმე ამ ერთ ჭალაში ყოფნით?“ – მაგრამ ეს შენიშვნა ვერ ამართლებს ხერხს, რამეთუ იგი მარტო როზინას მიმართ არ გამოიყენება. იგივე მეორდება მაშინაც, როცა უსახელო პერსონაჟზე მიმდინარეობს საუბარი. ამ პერსონაჟს ვიცნობთ კაცად, ვინც არ იცოდა გრამატიკა. ეს ფრაზა, სხვადასხვა ვარიაციით, ბევრჯერ გვხვდება: „... წარმოთქვა გრამატიკის ცუდად მცოდნემ...“ „... კაცი, რომელიც გრამატიკით ვერ დაიკვეხნიდა“, „კაცმა, რომელმაც რიგიანად ვერ იცოდა გრამატიკა...“

მართალია, ეს ავტორს ირონიული განწყობილების შესაქმნელად სჭირდება, მაგრამ ხერხი ყოველთვის სათანადო ეფექტურ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. მით უმეტეს, რომ გ. დოჩანაშვილს ასეთ საშუალებათა გარეშეც ოსტატურად ეხერხება ირონიული ატმოსფეროს შექმნა, რასაც ნათლად ადასტურებს როგორც ლამაზ-ქალაქში, ისე კამორაში დახატული განწყობილება. ამასთანავე ავტორს გამეორება გამოყენებული აქვს როგორც ლაიტმოტივი. თუ ლამაზ-ქალაქში მეორდება – „ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ქალაქი...“ კანუდოსში განმეორდება – „ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი მდინარე...“ ლაიტმოტივი გარკვეული აზრობრივი ფუნქციის მატარებელია, ტავტოლოგია კი – არა. ამიტომ მათი ერთად არსებობა და გაუმიჯნაობა ხელის შემშლელია მკითხველისათვის.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, თითქოს მეორეხარისხოვანი შენიშვნაა, მაგრამ ნურც ასე უბრალოდ მივიჩნევთ მას. საქმე ის გახლავთ, რომ ერთფეროვნება, რომელიც ლამაზ-ქალაქსა და კამორაში ზუსტ ატმოსფეროს ქმნის, კანუდოსშიც გადმოვიდა. ეს კი სასურველი არ არის. თავისუფლების ერთ-ერთი უპირველესი ღირებულება

ისიც არის, რომ იგი იძლევა პიროვნული თუ საზოგადოებრივი მრავალფეროვნების გამოვლენის საშუალებას.

გ. დოჩანაშვილმა დამაჯერებლად დახატა, როგორ კარგავს ცნებები მნიშვნელობას და აზრს დიქტატურის პირობებში, როგორ შეიძლება უნდობლობა პატიოსნებად მოინათლოს (შიშველი ანისეტოს სახე), მონობა – თავისუფლებად (მხატვარი გრეგ რიკიოს ხატი), როგორ ეხმარება უნებლიეთ პატიოსნება არამზადობას (მწყემსი აველინო), უნებურად მამაცობა სილაჩრედ როგორ იქცევა (ზე მორეირა) და ასე შემდეგ. თავისუფლება ყველა ღირებულების ნამდვილ შინაარსს, ნამდვილ აზრს აღადგენს და ადამიანი უნიღბო არსებობას იწყებს. ეს ცვლილება არ არის დახატული კანუდოსში. მართალია, აქ ადამიანები ავლენენ ერთგულებას, თავდადებას, თავგანწირვას, ვაჟკაცობას, მაგრამ ეს უკმარია. მამაცობა და ვაჟკაცობა შეიძლება გამოიჩინოს სასოწარკვეთილმა ადამიანმაც და თავისუფალმაც. კანუდოსელთა ბრძოლა და გმირობა სასოწარკვეთილთა საქციელია. ამის საბუთია არა მარტო დიეგოს თვითმკვლელობა, არამედ მენდეს მასიელის სიტყვაც.

მენდეს მასიელი ბრძოლას იწყებს თავისუფლებისათვის ისე, რომ დარწმუნებულია დამარცხებაში: „... ისიც იცოდეთ, რომ დავმარცხდებით, მაგრამ სილაღეს იგემებთ, ძმებო...“ როცა ამგვარი რწმენით იწყება თავისუფლებისათვის ბრძოლა, ეს აშკარა არგუმენტია იმისა, რომ თავისუფლება აუცილებლობლობად კი არ არის მიჩნეული, არამედ თვითმიზნად. თავისუფლების თვითმიზნურობა კი თავად გ. დოჩანაშვილის კონცეფციას ეწინააღმდეგება, „სამოსელი პირველის“ აზრობრივი შინაარსის თანახმად თავისუფლება აუცილებლობაა. თვინიერ თავისუფლებისა, კაცს ადამიანური არსი ეცლება. დიქტატურა კი ანტიბუნებრივი მოვლენაა. დააკვირდით ერთ ალეგორიას, რომელიც კაატინგას სახით არის წარმოდგენილი რომანში. კაატინგა რაღაც კაციჭამია მცენარეა. იგი კანუდოსელებს ეხმარება და კამორელებს ებრძვის. მაშასადამე, ბუნება თავისუფლების მომხრეა. პრუდენსიოს შეცდომა რომ არა, რომელმაც კაატინგას ბუჩქნარი კამორელთა გვამებით გააძღო, შეიძლება კანუდოსი არ დამარცხებულიყო, ისეთ გადაულახავ კედლად იყო აღმართული ბუნების სასწაული.

აქ ერთი წუთით შევჩერდეთ და ალეგორიულობაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ალეგორიულობა ახლა მწერლობის მოდური გატაცებაა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. რა თქმა უნდა, საერთოდ ალეგორიულობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ ორი რამ კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ:

ა) თუ ნაწარმოებში არ არის რეალისტური პლანი, მაშინ ალეგორია თვითნებური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც მკითხველს აბნევს. რეალისტური პლანი ყოველთვის ალეგორიის გასაღებია, რადგან ისინი ერთმანეთს ავსებენ და ამდენად ინტერპრეტაციაც უფრო ზუსტი შეიძლება იყოს.

ბ) გარკვეულ პირობებში ალეგორია არაკეთილსინდისიერი მწერლების თავშესაფარია. ალეგორიით ისინი იოლად ატყუებენ მიამიტ მკითხველებს. ბუნებითა და არსით რეაქციონერები თავს გაჩვენებენ რევოლუციონერებად. თავს იკატუნებენ, მეტის თქმის საშუალება არ იყო და რაც მოვახერხე, ალეგორიით შევძელიო. მათ ხელისუფლებაც კმაყოფილი ჰყავთ და ხალხიც. ამტომ ალეგორიულ ენას პატიოსანი მწერალი ფრთხილად უნდა მოეკიდოს, რომ უნებლიეთ თვალთმაქცების ბანაკში არ აღმოჩნდეს.

მოგეხსენებათ, მწერლის ღვაწლი არა მარტო ტალანტით იზომება, არამედ პატიოსნებითაც. მკითხველთა სასიხარულოდ, „სამოსელი პირველის“ ალეგორია პატიოსანი ალეგორიაა.

ახლა კი ისევ ზემოთ შეწყვეტილი საუბარი განვაგრძოთ.

გ. დოჩანაშვილი კანუდოსის აღწერისას ცვლის რომანის საერთო ირონიულ ატმოსფეროს პათეთიკური განწყობილებით. ავტორი ამაღლებული ინტონაციით იწ-

ყებს თხრობას. არის შემთხვევები, როცა თხრობის ინტონაცია პროზიდან ლექსში გადადის, მაგალითად, მენდეს მასიელის სიტყვა:

თავისუფლებას გაჩვენებთ, რაა, ოღონდ დროებით,
იცოდეთ ესეც და ნუ შეკრთებით,
რადგან ისედაც დროებითა ვართ,
აქ, ამ მიწაზე...
და სიკვდილისაც ნუ გეშინიათ,
ნურც – არყოფნისა.
ნუ გგონიათ, რომ უცხო ხილია –
დაბადებამდეც ხომ არ ვიყავით...
რა არ მომხდარა ჩვენს გაჩენამდე,
დიდრონ ქალაქებს იღებდნენ ერთნი
და მეორენი თაყვანსა სცემდნენ...
ბნელში ტიროდა პატარა ბიჭი...
ზღვის პირას გრძელ ნავს უცდიდა ქალი...

ამას დავუმატოთ დიდი კანუდოსელების პათეთიკური სიკვდილი და მივიღებთ ავტორის თავისუფლებისადმი დამოკიდებულების ნათელ სურათს.

სასოწარკვეთილებისგან შეიძლება დაიბადოს თავგანწირვა, მაგრამ არა თავისუფლება. თავისუფლება შედეგია მტკიცე შინაგანი რწმენისა. იგი შეუძლია განახორციელოს იმან, ვისაც ხელეწიფების თავის-თავის მართვა. ეს უნარი „სამოსელ პირველში“ უფრო მკაფიოდ უნდა გამოავლინონ კანუდოსელებმა. ისინი უფრო მრავალფეროვანი და მსუყე საღებავებით დახატული უნდა წარვუდგინოთ მკითხველს. თითოეული მათგანი თავისებურებითა და განუმეორებლობით ელდას უნდა სცემდეს მკითხველს და მტკიცედ იბეჭდებოდეს მის ცნობიერებაში.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო ერთი გარემოება, რომელიც დღეს ქართულ მწერლობაში შეიმჩნევა და რაც დასაგმობად მიმაჩნია. თუ რომელიმე მხატვრულმა ნაწარმოებმა მოწონება დაიმსახურა, მის მიმართ ჩნდება ნეკროლოგური მადლიერების განწყობილება. აღტაცებით ცრემლმორეული, ქუდმოხდილი შევყურებთ მას და, თუ რაიმე დავწერეთ ამ ნაწარმოებზე, მხოლოდ და მხოლოდ ხოტბა უნდა ვთქვათ. როგორც ნეკროლოგში მიგვაჩნია უხერხულად გარდაცვლილის ნაკლის აღნიშვნა, აქაც გვიჭირს ხარვეზებზე ლაპარაკი. ის კი გვავიწყდება, რომ მხატვრული ნაწარმოები ცოცხალი ორგანიზმია და, როგორც ყოველ ცოცხალ არსებას აქვს თავისი ავ-კარგი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცოცხალ არსებაზე ნეკროლოგის დაწერა შეურაცხყოფაა, დამცირებაა. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ბრმა აღტაცება და ბრმა გმობა ერთნაირ შედეგს იძლევა – აზრის უმოძრაობას. ეს კი მწერლობის უბოროტესი მტერია.

„სამოსელი პირველი“ ცოცხალი ლიტერატურული ქმნილებაა, რომელიც ნაირნაირ ფიქრს, განცდას და ემოციას აღუძრავს მკითხველს. ამიტომ ამ რომანზე ლაპარაკისას ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც შეიძლება კრიტიკამ ჩაიდინოს, გახლავთ „სამოსელ პირველისადმი“ ნეკროლოგური მადლიერების გამომჟღავნება. ნეკროლოგურ მადლიერებას უნიჭობა იმსახურებს. „სამოსელი პირველი“ დაკროლილ ჭეშმარიტებას არ ღაღადებს და ამიტომ მასზე უნდა ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ, ვიდავოთ.

კარგა ხანია დადგა დრო მოწიფული აზროვნებისათვის დამახასიათებელი განსჯის უნარი შევიძინოთ და ინფანტილური კმაყოფილება და განცხრომა თავიდან მოვიცილოთ.

განჯგონებულობა

ვისაც სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ხშირად ჩაუხედავს, ეს სიტყვა არ უნდა ეუცხოოს. „განჯგონებულთა ბოროტი კეთილი ეგონოს“ – განმარტავს ლექსიკონი.

როცა გურამ გეგეშიძის რომანის – „ხმა მღაღადებლისა“ – ერთ-ერთი პერსონაჟი საბა ნიგურიანი კვდება, ჭირისუფალთ ანდერძივით უბარებს: „ქვეყანა წახდება, უნდობლობა მოიკიდებს ფეხს. ღმერთს შეიძულებს ხალხი. ამას მოყვება სასჯელი. დამარცხებულ კაცს თავი გამარჯებულად მოეჩვენება, სულის საზრუნავს მძორის საზრუნავი შეცვლის, სიკეთეს – სისასტიკე“.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბოროტი კეთილად ჩაითვლება, ე.ი. განჯგონებულობა გაბატონდება, თუმცა სიტყვა „განჯგონებული“ არცერთხელ არ იხსენიება გ. გეგეშიძის რომანში. მაგრამ იგი, ჩემი აზრით, ზუსტად ახასიათებს რომანის პერსონაჟების საერთო თვისებას.

თუ განჯგონებულობით არა, რით შეიძლება ავხსნათ ჭკვიანი, განათლებული, კეთილშობილი ნესტორ ვარდანიძის საქციელი? მისი რჩევით, დახმარებით, წყალობით აიყვანა სამუშაოდ გაზეთ „ამერ-იმერის“ რედაქტორმა ნოშრევან სეფისკვერაძე. ნოშრევანი კი ჯაშუში იყო და გაზეთის საიდუმლოებანი ნესტორ ვარდანიძის მტრებთან მიჰქონდა. განჯგონებულობის გამო გამცემი ერთგულ კაცად მიიღეს.

თუ განჯგონებულობით არა, რით შეიძლება ავხსნათ იმავე ნესტორ ვარდანიძის მეორე საქციელიც? როცა იასე ნიგურიანს დაჭერის (და ვინ იცის, მერე დახვრეტისაც) საფრთხე დაემუქრა, ნესტორმა იგი შეიფარა. იასე ნიგურიანი კი ნესტორის დაუძინებელი მტერი იყო. ქმრის ამ საქციელით უსაზღვროდ გაოცებულმა მადლენმა, ფრანგის ქალმა, ნესტორს ჰკითხა:

„– კი მაგრამ, ეგ კაცი ხომ შენს მოწინააღმდეგედ და საქართველოს მტრად მიგაჩნია?

– რა ვუყოთ მერე?! ქართველია მაინც. მაგის ბაბუამ იხსნა მამაჩემი სიკვდილისაგან ჩოლოქის ომში.

– უცნაური ხალხი ხართ, ბატონო, თქვენი ვერაფერი გამიგია“.

ამის ბრალია, რომ მერე, მოგვიანებით, ნესტორ ვარდანიძეს მოკლავენ.

თუ განჯგონებულობა არა, რით შეიძლება ავხსნათ ცაცა ციციშვილის საქციელი? მას ბნელი და შიშველი ვნება სიყვარული ეგონა, ცხოველური ჟინით დაბრმავებული მამაკაცის უტიფრობა – მიჯნურის თავგანწირვა. ამ განჯგონებულობის გამო გახდა თავადის ასული გლეხის ბიჭის ხასა, რაც ცაცას ჭლექად და სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

თუ განჯგონებულობით არა, რით შეიძლება ავხსნათ თანდილა ნიგურიანის იმედი, რომ ძალდატანებით დამორჩილებული ქალი უერთგულებდა? მაშო გოგუაძემ ჯერ ჯამბაკურ ვარდანიძეში გაცვალა თანდილა და მერე – გლახუნა უნდილაძეში. თავლაფდასხმულმა და გაბოროტებულმა თანდილამ ყამით გამოჭრა ყელი მაშოს. მუშაკაცი განჯგონებულობის გამო გახდა მკვლელი.

თუ განჯგონებულობით არა, რით შეიძლება ავხსნათ ის, რაც ყაფლან ვარდანიძემ გააკეთა? ათი წლის იყო ჯამბაკურ ვარდანიძე, როცა პირველად სანადიროდ წაიყვანეს. გამოუცდელმა ბიჭმა ტახს ესროლა, მაგრამ ააცდინა. ტყვია მამამისის ნაყმევს უნდილაძეს მოხვდა და იქვე გაათავა. ყაფლანს მომავალი შურისძიების შეეშინ-

და და უნდილაძეს ოჯახზე ზრუნვა დაიწყო. მაგრამ უნდილაძეებს მადლიერების გრძნობა არ გაუჩნდათ. მათ გულში შურისგება ბობოქრობდა და ხელსაყრელ წუთს უცდიდნენ.

ყაფლან ვარდანიძეს განჯგონებულობის გამო ჰგონია, რომ სისხლიანი ცოდვის მონანიება ზრუნვით შეიძლება.

თუ განჯგონებულობით არა, რით შეიძლება ავხსნათ იასე ნიგურიანის მიერ ტიტიკო უნდილაძის ამბოხებულ გლეხთა რაზმში მიღება? ტიტიკო უნდილაძე ბიოლოგიური ბოროტებაა. გაიხსენეთ: იგი ამბაკოსა და პისტის შვილია. პისტის მამის ვინაობა კი გაურკვეველია. ეს ქალი ან გლახუნა უნდილაძის ან ჯამბაკურ ვარდანიძის შვილია. იმ ხანებში, როცა მაშო გოგუაძე (პისტის დედა) ფეხმძიმედ შეიქნა, იგი ჯერ ჯამბაკურ ვარდანიძის საყვარელი იყო, მერე კი – გლახუნა უნდილაძისა. თუ პისტი ჯამბაკურის ასულია, მაშინ ტიტიკო ბაბუამისის მკვლელობაში მონაწილეობს და უპატიებელ ცოდვას სჩადის. თუ პისტის მამა გლახუნა უნდილაძეა, მაშინ ტიტიკო და-ძმის (პისტისა და ამბაკოსი) ნაშობია და თავად არის სისხლის აღრევის ნაყოფი, ცოდვის ძე. ასეა თუ ისე, ცხადი ის არის, რომ ტიტიკო უნდილაძე ცოდვის გზით დადის. როცა იასე ნიგურიანი მას თავის რაზმში მიიღებს, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ გამარჯვების ყანა მოსამკელად ბოროტებას მისცა. ეს კი იასე ნიგურიანისაგან განჯგონებულობის გამოვლენაა.

განჯგონებულობა არღვევს მცნებას – „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცნენ და განგხეთქნენ თქვენ“.

როცა განჯგონებულობაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება, ერთი მხრივ, რომანის პერსონაჟთა სიმრავლეს და, მეორე მხრივ, მათი მოქმედების არეს.

მართალია, „ხმა მღაღადებლისაში“ ძირითადად სამი ოჯახის – ვარდანიძეების, ნიგურიანებისა და უნდილაძეების სახლის შვილთა – თავგადასავალია ნაამბობი, მაგრამ მათ გვერდით ცხოვრობენ და საქმიანობენ სხვებიც – გაქართველებული ინგლისელის მელორის შვილი, სომეხი ტერტერიანცის შთამომავალნი, რუსნი მარია, პაშა, ივან ივანიჩი და... ჩამოთვლა აღარ არის საჭირო. ვისაც რომანი წაუკითხავს, ეს კარგად იცის.

ვრცელია მოქმედების არეც. არსებითად მთელი საქართველოა რომანის პერსონაჟთა საქმიანობის ასპარეზი. რომანში ერთობილი საქართველო გეოგრაფიულადაც არსებობს და ცნობიერადაც.

ამ მრავალრიცხოვანი პერსონაჟების უმრავლესობა ტრაგიკული ბედის ადამიანები არიან. მაგრამ განჯგონებულობა მხოლოდ იმ პროტაგონისტთა ტრაგედიის საფუძველია, რომელნიც ეროვნებით ქართველნი არიან. პაშაც იღუპება, მაგრამ იგი ივან ივანიჩის ცილისწამებისა და ილიასა შარაშიძის დაუფიქრებლობის და განუსჯელობის მსხვერპლია.

განჯგონებულობა არა მარტო ცალკეულ პიროვნებათა ხვედრს განაგებს, არამედ – საერთოეროვნულ-საზოგადოებრივსაც.

ნესტორ ვარდანიძის მამულში მადანი აღმოჩნდა, მაგრამ პატრონმა მის მოპოვება-დამუშავებაზე უარი თქვა. ასე ივარაუდა: საქართველო კოლონიაა. ახლა რომ მადნის დამუშავება დავიწყოთ, მოგებას დამპყრობელი წაგვართმევს. უკეთესია მიწამ შეინახოს მადანი. მოვა დრო, საქართველო გათავისუფლდება და თავის სიმდიდრეს თავად მოუვლის. მაგრამ ნესტორ ვარდანიძე მოკლეს. მამული მადლენმა კაპიტალისტ არმენაკ ტერტერიანცს მიჰყიდა. თვითონ კი სამშობლოში, საფრანგეთში, დაბრუნდა. ტერტერიანცმა მაშინვე დაიწყო მადნის მოპოვება-დამუშავება. ახალ მამულში თვისტომნი ჩამოასახლა და მუშაობა გააჩაღა.

ქართველებს აღარ დარჩათ აღარც მამული, აღარც მოგება. უფრო მეტიც, საძოვრებიდანაც კი გააძევეს წიფლნარელები და ისინიც ტერტერიანცმა დაისაკუთრა.

კეთილი სურვილი – სიმდიდრის თავისუფალი ქვეყნისათვის შენახვა – ბოროტებად გადაიქცა: ყველაფერი უცხოს ჩაუვარდა ხელში.

ყველა კუთხით – იქნება იგი პირადული, საზოგადოებრივი თუ ეროვნული – განჯგონებულობის გამოლენა უბედურების საფუძველი ხდება. როცა განჯგონებულობა და უბედურება მკაცრი თანამიმდევრულობით ენაცვლება ერთმანეთს, ქმნის მიზეზ-შედეგობრიობის მყარ სურათს. კანონზომიერი კითხვა ჩნდება: ხომ არ არის განჯგონებულობა საერთო ქართული ხასიათის ერთ-ერთი მანკიერი თვისება, რითაც გაპირობებული იყო ისტორიულად საქართველოს დამარცხებანი? ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ: დიახ, განჯგონებულობა ანუ ბოროტის კეთილად მიჩნევა ის საბედისწერო თვისება, რომელიც, როგორც ისტორიული იღბალი სდევდა ჩვენს ხალხს საუკუნეების მანძილზე. ამიტომ ვგონებ, რომ რომანის – „ხმა მღაღადებლისა“ – შინაგანი, ქვეტექსტად ჩაქსოვილი პათოსი განჯგონებულობისაგან გამოფხიზლების მოთხოვნაა.

მაგრამ თუ განჯგონებულობა განგების წყევლაა, მაშინ რა ჰქნას ადამიანმა ან მთელმა ერმა?

ამ კითხვას არ დავსვამდი, რომ რომანში განგებას ყოვლის მმართველის როლი არ ჰქონდეს დაკისრებული.

რომანის ერთ-ერთ პერსონაჟს ყაფლან ვარდანიძეს ღრმად სწამდა, რომ „ყველაფერი, რაც ქვეყნად ხდებოდა, ზემოდან იყო მოვლენილი“, „ყოველივე განგების ნებით ხდებოდა“. „არავის ძალუძს საკუთარი ნება-სურვილისამებრ წარმართოს ვისიმე ბედ-იღბალი, რადგან ყველას თავისი ვარსკვლავი აქვს და მისდევს იმ ვარსკვლავს და რაც კაცს უწერია იმას წინ ვერ აღუდგები“.

ამგვარად მარტო ყაფლან ვარდანიძე არ ფიქრობს. ამას რომანისტიც იზიარებს, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც. ეს იმით დასტურდება, რომ ჯერ ერთი რომანში სინამდვილე სამი განზომილებით არის წარმოდგენილი – რეალობა, ხილვა, სიზმარი. ესენი ერთი განუყოფელი მთლიანობაა. მეორეც, პერსონაჟებს, როგორც ხილვა, როგორც ზმანება თან დაჰყვება ბედი, იღბალი.

მაშინ ყმაწვილი კაცი იყო საბა ნიგურიანი, როცა ღამით ტყეში მიმავალს მოჩვენება დაედევნა. დაუძახა კიდეც იმ მოჩვენებამ რამდენჯერმე. სინათლის შუქზე დაინახა საბამ მისი სახე – თეთრწვერა და თეთრთმიანი, თავით ფერხთამდე თეთრ სამოსელში გახვეული“. საბა შიშმა აიტანა და მაშინ დამშვიდდა, როცა საკუთარ ეზოში დადგა ფეხი. მოჩვენება აღარსად ჩანდა. სამჯერ გადაისახა პირჯვარი საბა ნიგურიანმა. მეორედ სიკვდილის წინ ნახა საბამ ის „თეთრწვერა, თეთრთმიანი, თავით ფეხამდე თეთრ სამოსელში გახვეული“ მოხუცი. იცნო კიდეც. აუხსნელადაც გასაგებია, ვინც არის ეს ჩვენება. მაგრამ საეჭვო რომ არაფერი იყოს, ავტორი პირდაპირ წერს: „– ვინ ხარ? – შეეკითხა საბა. – იღბალი ვარ შენი“.

ასევე დაჰყვება ბედისწერა თანდილა ნიგურიანსაც.

პირველად მაშინ დაინახა თანდილამ მოჩვენება, როცა იგი ვიღაც უცნობმა თავდამსხმელებმა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაბეგვეს. „ვიღაცის შავი ლანდი, ანაფორასავით გრძელ მოსასხამში გახვეული ახმახი კაცი ჩუმად გამოყვა ხეივანს, თანდილას გაუსწრო და შედგა. არც სახე უჩანდა, არც სხეული“. შინ წადიო, ურჩია მოჩვენებამ, მაგრამ თანდილამ არ დაუჯერა. მეორედ მაშინ გამოჩნდა მოჩვენება, როცა თანდილამ მაშო მოკლა. ამჯერად არაფერი უთქვამს მას, უსიტყვოდ გაუჩინარდა. მესამედ მაშინ მოჰკრა თვალი მოჩვენებას თანდილამ, როცა იგი დაპატიმრებული და ბორკილდადებული მიჰყავდათ სისო მოურავსა და გლახუნა უნდილაძეს. „შავ ანაფორაში გახვეულიყო ის ახმახი უცხო კაცი, ხელში გრძელი ცელი ეჭირა, ტანაყრილ ბალახს თიბავდა მინდვრის ბოლოს“... სიკვდილის სახით მოვიდა თანდილას

ბედი. ამ ხილვის მერე რამდენიმე წუთიც არ გავა, რომ გაქცევის მცდელობისათვის გლახუნა უნდილაძე მოკლავს მას.

მძიმე ავადმყოფი მიხაკო ნიგურიანი სიკვდილს ებრძვის. მისი გადარჩენის იმედი აღარავის აქვს. ამ დროს ესიზმრა: ოთახის კარებში ვენე იდგა და ძმას თავისკენ უხმობდა. მიხაკო გაჰყვა. აივანზე მამა დახვდა. ხმა არ ამოუღიათ, ისე ჩაიარეს კიბე და ეზოდან გავიდნენ. მათ შეუერთდნენ საბა, კონსტანტინე და ბეგლარი. სოფლის სასაფლაოს მიაღწიეს. საგოდებლის ჭიშკარში დედა იდგა. მიხაკომ გაშალა ხელები და დედისაკენ გაეშურა. მაგრამ დედა ცივად შეხვდა. არ მიიღო შვილი. სასაფლაოს ჭიშკარი დაუკეტა. შეწუხდა მიხაკო, მაგრამ უცბათ ყველა გაუჩინარდა. სნეულს გაეღვიძა და მყისვე იგრძნო – იკურნებოდა, ისევ უბრუნდებოდა ამ სოფელს.

სიზმრის საშუალებით აუწყა განგებამ მიხაკოს გადარჩენა. ძილისშორისით შეატყობინა ბეგლარის სიკვდილიც. ამ ზმანებამდე ნიგურიანთა ოჯახმა არ იცოდა ბეგლარის ასავალ-დასავალი. სიზმარში მიცვალებულთა შორის ბეგლარის გამოჩენამ, მისი გარდაცვალება უეჭველი გახადა.

განგება წარმართავს ადამიანის ბედს. „ეს რომ ირწმუნოს კაცმა, – წუხს ყაფლან ვარდანიძე, – მაშინ აღარც დამნაშავე იარსებებს და აღარც უდანაშაულო“. ხომ ვერ აგებს პასუხს ადამიანი იმის გამო, რაც განგებამ დააკისრა? რისგანაც მას თავის დაღწევა არ ძალუძს? იქნებ განჯგონებულობაც უზენაესის მიერ დადებული სასჯელია და როგორ უნდა იხსნა მისგან თავი? რთული და თავსატეხი კითხვებია, მაგრამ ამით არ ამოიწურება პრობლემა. არის კიდევ ერთი კითხვა: რატომ და რისთვის სჭირდება განგებას ეს?

ეს კითხვები გაჩენის დღიდან აწუხებს კაცობრიობას, მაგრამ პასუხის პოვნა ვერ მოახერხა. ვერც ვერასოდეს შესძლებს ამას. ეს პასუხი მარადიული ძიების საგანია და ასე დარჩება მანამ, სანამ კაცობრიობა იარსებებს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავე და უდანაშაულო ვერ გავარჩიოთ. ამისათვის უთუოდ უნდა ნათელვყოთ – განგება კეთილია თუ ბოროტი? თუ მისთვის სულერთია კეთილი და ბოროტი? ორივეს ერთნაირი გულგრილობით უყურებს?

გ. გეგეშიძის რომანის მიხედით, განგება კეთილია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნად უთვალავი ბოროტება ხდება და ადამიანთა ბედი ტრაგიკულია. ამ დასკვნის დასადასტურებლად გავიხსენოთ რომანში აღწერილი ზოგიერთი ფაქტი.

მძიმედ დაჭრილი ყაფლან ვარდანიძე ბრძოლის ველზე ეგდო. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგარი ომის ქარცეცხლიდან ძმებმა გოგიელა და ოქროპირა ნიგურიანებმა გამოიტანეს და გადაარჩინეს.

კონსტანტინე ნიგურიანი ჭლექით არის ავად. ღვიძლ მამასაც კი ეშინია მისი ოჯახში დატოვება. სხვებს არ გადაედოსო სენი – გული უსკდება სიმონს. თითქოს განწირულია ჭაბუკი. არავინ არის მისი პატრონი. მაგრამ რძალი, ძმის ცოლი, გამოუჩნდება მფარველად: „– მე მოვუვლი, არ მეშინია ჭლექის, უფალი დაგვიფარავს მე და ჩემ შვილს“.

უკვე სიცოცხლის ნიშანწყალგამქრალი ვენე ნიგურიანი სანდრო გოგუაძის რწმენამ, თავდადებამ, ერთგულებამ იხსნა სიკვდილისაგან.

მერე ვენე ნიგურიანმა თავი გაწირა სამშობლოსათვის.

საერთოდ, ისეთი ადამიანების არსებობა, როგორიც არიან საბა ნიგურიანი, საჩინო ბარათელი, ვენე ნიგურიანი და ზოგიერთი სხვაც, განა კეთილის სუფევას არ მოწმობს?

როცა სიმონა ნიგურიანს თოფი გაუწოდეს, გაკვირვებულმა წამოიძახა – „რათ მინდა? ტყვიას რავა ვესვრი ადამიანს?!“ – და უარი თქვა იარაღზე. მერე ამ სიტყვებს სიმონას შვილი მიხაკო გაიმეორებს და ძმას მაუზერს არ გამოართმევს.

ყველაფერი ეს ხომ კეთილის გამოვლენაა და მასშიც ხომ განგების ხელი ურევია.

რომანში არის ერთი გამჭოლი ხაზი, რომელსაც პირობითად „განჯგონებულობისაგან გამოფხიზლებას“ დავარქმევ.

როცა გოგიელა ნიგურიანი კვდებოდა, თოხი მომიტანეთო, მოითხოვა. განსაკუთრებული იყო ის თოხი, ოროყიანი, მოკლეტარიანი. იმის მსგავსი მთელ სოფელში არავის ჰქონდა. მიუტანეს. გოგიელამ თოხი შვილიშვილს დაუტოვა: „– ეს თოხი მიხაკოს შეუნახეთ, იმის სახელზე იყოს, გამოადგება“.

მიხაკო რომ დავაჟკაცდა, ერთ საღამოს, სიმონა ნიგურიანმა გოგიელას თოხი გამოიტანა და შვილს გადასცა.

„– რა არის, ბაბა, ეს? – იკითხა მიხაკომ.

– ბაბუაშენის ნაქონი თოხია, შვილო, რომ კვდებოდა, ასე დაიბარა, ჩემს მიხაკოს შეუნახეთო... გაბარებ ბაბუაშენის ნაანდერძალს, მეიხმარე...“

– არ მინდა, ბაბა, ეს თოხი მე, არ მჭირდება. ბათუმში ვაპირებ გამგზავრებას სამუშაოდ, ეგება, ბედს ვეწიო“.

შეაწუხა სიმონა თოხის უარყოფამ, მაგრამ რას იზამდა. მიხაკოც ტოვებდა სოფელს, სახლ-კარს, მამა-პაპის ნაამაგარს. ეს ფესვის მოკვეთას უდრიდა. წარსულთან კავშირის გაწყვეტას ნიშნავდა. ირღვეოდა ყველაფერი – მიწასთან ურთიერთობა, ოჯახის ფუძე, მამა-შვილის მემკვიდრეობითობა. ახალი სოციალური სისტემის ტალღა ძველს წალეკვით ემუქრებოდა.

წავიდა მიხაკო წიფლნარიდან. სად არ იარა, სად არ იმუშავა, რა არ გადახდა თავს, მაგრამ ერთ დღეს ისევ შინ მიბრუნდა და მიტოვებულ სახლ-კარს მოვლა-პატრონობა დაუწყო. შვილიშვილმა მაინც დაიჭირა ხელში პაპისეული თოხი.

მაგრამ ეს არ იყო აწმყოს უარყოფა წარსულის სასარგებლოდ. მიხაკოს დაბრუნება დროთა კავშირის აღდგენა იყო. მიხაკო სოფელშიც მუშაობდა და რკინიგზაზეც მოანგარიშედ. „ერთდროულად გლეხიც იყო და მოსამსახურეც“, დასძენს რომანისტი. ამიტომ ვუწოდე მე ამ ხაზს განჯგონებულობისაგან გამოფხიზლება. არავის ხელეწიფება დაშლილ დროში, დაშლილ ქვეყანაში, დაშლილ ცნობიერებით ცხოვრება. დროთა კავშირიც ურღვევი უნდა იყოს, ქვეყანაც ერთიანი და ადამიანის ცნობიერებაც მთლიანი. ქვეცნობიერად მიდის ამ შეგნებამდე მიხაკო ნიგურიანი. ესეც განგების მიერ კეთილის გამოვლენაა.

რაკი არსებობს მოყვასის სიყვარული და მისთვის თავდადება (მართა, სანდრო გოგუაძე), რაკი არსებობს სამშობლოს სიყვარული, და მისთვის თავდადება (ვენე ნიგურიანი), რაკი არსებობს თავისუფლების სიყვარული და მისთვის თავდადება (ილიასა შარაშიძე), მაშასადამე, განგებაც კეთილი გზით წარმართავს კაცობრიობას და ადამიანსაც შეუძლია გაარჩიოს უდანაშაულო და დამნაშავე. მაშინ რატომღა წუწუნებს ასე ხშირად იგი, რატომღა იწინასწარმეტყველა საბა ნიგურიანმა განჯგონებულობის გაბატონება? ამის პასუხს იასე ნიგურიანის ფერისცვალება გვაძლევს.

ავი ხასიათის ბიჭი იყო იასე. უმცროს ძმებს ზოგჯერ ისე დაუნდობლად სცემდა, კაცი იფიქრებდა სასიკვდილოდ გაუმეტებიაო. მხოლოდ საბა მიხვდა, რომ ბიჭის სისასტიკე მშვინვიერი მარტოობის ნაყოფი იყო. „იასე იყო ცნობისმოყვარე, მგრძნობიარე და მორწმუნე სული, მაძიებელი და მარადჟამულ იმედგაცრუებისათვის განწირული“. ასეთ ადამიანს ღმრთის რწმენა უშველისო, დაასკვნა საბამ და პატარა იასე უზენაესისა და მარადიული სამართლიანობის რწმენას აზიარა. ბიჭის სამშვინველში თითქოს სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ რაღაც ჯერ შეუცნობელი მაინც აწამებდა მას.

ერთხელ სიზმარი ნახა. სადღაც უსაზღვრო სივრცეში მიჰქროდა და მის თავისუფლებას არაფერი ბოჭავდა. „ამ სიზმარმა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სიკვდილიც ასეთივე მოვლენაა, გონების საზღვრებს მიღმა გაჭრილი, ყოველგვარი ზღუდეების გადამლახავი ცნობიერების სიცოცხლე, ხოლო მომავალი, ის რაც ჯერ არ მომხდარა, ისევე არსებობს, როგორც წარსული, უკვე მომხდარი; მიუხედაად სამყა-

როს დაუსრულებელი მოძრაობისა, სამყარო მაინც მთლიანი ჩანდა. ამის შემდეგ გონება სულის საპყრობილედ მიიჩნია და იწამა, რომ მხოლოდ ზეშთაგონებას შეეძლო ჭეშმარიტების განცხადება“.

ვერც ამ დასკვნამ უშველა იასეს. იგი სასწაულს ელოდა, რომელიც მის დასკვნას დაადასტურებდა, მაგრამ არსად ჩანდა.

ერთხელ ჩვენებაც გამოეცხადა. შეღამებულში, ბიძამისის ოქროპირას ოჯახიდან შინმომავალს, ვიღაც წამოეწია და ბელტი ესროლა. იასემ სიმინდების შრიალიც მკაფიოდ გაიგონა და ბელტის დაცემის ხმაც, მაგრამ ირგვლივ ხორციელი არ ჭაჭანებდა. იასეს არ შეშინებია, მაგრამ გული დაწყდა, რომ მოჩვენება ვერ იხილა. სასწაული არ მოხდა. ოდენ ეჭვი გაუძლიერდა. ზეშთაგონება დუმდა და პასუხს არ იძლეოდა.

უკვე მოწიფული იასე ნიგურიანი თბილისში გამოემგზავრა, სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად. გზაში თავზარდამცემი სურათი ნახა. მატარებელში ვიღაც ჟანდარმი გლეხებს წაეკიდა – რატომ მღერით იმ სიმღერას, სადაც მეფე აუგად არისო მოხსენიებული. რამდენიმე კაცი დაიჭირა კიდეც, კუპეში შეამწყვდია და გარეთ აღარ უშვებდა. რიონის სადგურში ჟანდარმს ურჩიეს – გაუშვი ეგ გლეხები, შარს არ გადაეკიდოო. ჟანდარმი შეშინდა და გლეხები გაათავისუფლა. ისინი ყიჟინით გამოცვივდნენ ბაქანზე. ერთ-ერთმა მათგანმა, ალბათ სიხარულით, ჰაერში დამბაჩა ისროლა. აქ დატრიალდა უბედურება. ჟანდარმსა და მის თანმხლებ პირებს ეგონათ, ჩვენ გვესვრიანო და ბაქანზე თავშეყრილ ხალხს დაუზოგავად დაუშინეს ტყვიები. იცელებოდა ხალხი. განგმირული დაეცა ორი ბავშვიც, და-ძმა, რომელთაც კალათით ხილი მოეტანათ ვაგზალში გასაყიდად. ამ უაზრო ხოცვა-ჟლეტამ იასე შეაძრწუნა. ყოველი რწმენა დააკარგვინა.

„საბოლოოდ ჩამოენგრა თავზე წლობით ნაგები თავშესაფარი, რომელსაც ერქვა მიუწვდომელი სიმართლე განგებისა, ყოველივე მოხდენილის აუცილებლობა და სიბრძნე. სიბრძნის ადგილზე აბსურდმა გაშალა თავისი შხამიანი თავთავები და კვლავ უდიდესი სიმარტოვე დამკვიდრდა იასეს სულში. იგი იმ აზრზე დადგა, რომ ცხოვრებას ბრმა ბედისწერა განაგებდა, უცნობი მიზეზებით გაპირობებული, რომლისათვისაც არ არსებობდა მართალი და მტყუანი, კეთილი და ბოროტი. ღმერთი ან სულ არ იყო, ან იგი იყო განუკითხავი ადამიანთა ტკივილებისადმი. ქვეყანაზე ის კი არ ხდებოდა, რაც კაცთ სურდათ, არამედ ის, რაც განგებას სურდა კაცთათვის. განგება თავის თარგზე აწყობდა კაცთა ცხოვრებას და ასეთი ცხოვრება, ბრმა და უსამართლო, დანგრევის ღირსი იყო. უღმერთობა სჯობდა უსამართლო ღმერთის რწმენას, უღმერთობა უდიდეს თავისუფლებას ანიჭებდა ადამიანს, ყველაფერს დასაშვებს ხდიდა, უკარგავდა შიშს ზღვევისას, რადგან უღმერთოდ წარმოდგენილ წუთისოფელში სიცოცხლე წამიერი გაელვებაა, გაუგებარი და უნუგეშო, რომელიც სიკვდილით წყდება, თავდება სამუდამოდ. მკვდარს კი არაფერი მოეკითხება“.

და შებრუნდა იასე ნიგურიანი რწმენიდან ურწმუნოებისაკენ, იმედიდან სასოწარკეთილებისაკენ.

რატომ გატყდა ასე ადვილად იასე? ინტელექტუალური უნებისყოფობის გამო. კაცის გასამართლებლად უფრო ხელსაყრელია გადააბრალო განგებას ის, რაზეც ადამიანმა უნდა აგოს პასუხი. ამერიკელი მწერალი უილიამ სტაირონი რომანში – „სოფის არჩევანი“ – ოსვენციმის ჯოჯოხეთს აღწერს და მერე წერს: ყველაზე ღრმა აზრი, ოსვენციმის გამო ნათქვამი, არის არა იმდენად მტკიცება, რამდენადაც პასუხი კითხვის სახით. კითხვა – მითხარი, სად იყო ოსვენციმში ღმერთი? პასუხი – ადამიანი სადღა იყო?

როცა ბოროტება ხდება, ადამიანი წამდაუწუმ კითხულობს – ღმერთი სად არისო. მაგრამ, როცა კეთილი ვლინდება, მაშინ არასოდეს არ ახსენდება უფალი. თუ ყველაფერს განგება წარმართავს, მაშინ უზენაესი ისევეა კეთილში, როგორც – ბო-

როტში. სხვანაირი დასკვნა ულოგიკობაა. ხოლო თუ კეთილის ჩადენა ადამიანს უღმერთოდ შეუძლია, მაშინ რატომღა არ ძალუძს ბოროტების თავიდან აცილება უფლის თვინიერ? რატომღა ადანაშაულებს მას? საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანი ეშმაკობს, არ სურს პასუხი აგოს ბოროტების გამო. უნდა მზამზარეულად არსებობდეს კეთილი. თავად არაფერი გაიღოს. როცა ეს არ ხდება, იგი სასოწარკვეთილებაში ვარდება. სწორედ ეს არის ინტელექტუალური უნებისყოფობა.

იასე ნიგურიანს უნახავს კეთილი. საკუთარ ოჯახში ჰყავდა ბიძა საბა და ძმა ვენე. ბიძაცა და ძმაც კეთილს ემსახურებოდა. რატომ ერთხელ მაინც არ დაფიქრდა იასე მათ ცხოვრებაზე? რატომ არ ათხოვა ყური მიხაკოს ნათქვამს: მაუზერი არ მინდა, კაცს ტყვიას ვერ ვესვრიო. მართალია, იასე ნიგურიანი მაძიებელი კაცია, მაგრამ იოლი ძიების ტრფიალი უდევს გულში. შეიძლება ეს გაცნობიერებულიც არ ჰქონდეს. ქვეცნობიერად იყოს დაბუდებული მის სამშვინველში. ამ თვისების შედეგია ის, რომ იასე ნიგურიანი შურისმგებლად იქცა. უარყო სიყვარული, როგორც ადამიანის განახლების საშუალება. მან იცის, რა უნდა დაანგრიოს, მაგრამ არ იცის, რა უნდა ააშენოს. რწმენის მაგიერ, რა – ურწმუნოება? იმედის მაგიერ, რა – სასოწარკვეთილება? თუ იმედმა და რწმენამ ვერ დაამყარა სამართლიანობა, ვერ გააბატონა წესრიგი, სიყვარული, სათნოება, როგორღა მოახერხებს ამას უგინცობა და სასოწარკვეთილება? ამის პასუხი იასე ნიგურიანს არა აქვს. ამიტომ არის იგი განჯგონებული.

განჯგონებულთა მომრავლებამ წარმოშვა საბა ნიგურიანის შიში – „დამარცხებულ კაცს თავი გამარჯვებულად მოეჩვენებაო“. ამ სიტყვებში სევდაა, მაგრამ იგი არ გამოხატავს რომანის საერთო განწყობილებას. რომანის საერთო განწყობილება კეთილის გამარჯვების, განჯგონებულობისაგან განთავისუფლების მტკიცე რწმენაა. ამის უპირველესი საბუთი რომანის სახელწოდებაა – „ხმა მღაღადებლისა“.

„ხმა მღაღადებლისა“ იოანე ნათლისმცემლის თიკუნია.

„და ჰრქუეს: გუარქუ ჩუენ, ვინ ხარ შენ, რაჲთა სიტყუაჲ მივართუათ მომავლინებელთა ჩუენითა: რას იტყუი შენთუის?

და თქუა: მე – ხმაჲ მღაღადებლისაჲ უდაბნოსა...“ (იოანეს სახარება, I, 22-23).

იოანე ნათლისმცემელმა კი მესიის, მხსნელის მოსვლა უწყოდა და სწამდა მისი – „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“.

1983 წ.

უსინათლო მარათონელი

მიხეილ ქვლივიძის ერთ უსათაურო ლექსს ალ. პუშკინის სიტყვები უზის ეპიგრაფად: „...И с отвращением читая жизнь свою ...“ ხოლო თავად ლექსი ასეთია:

ეს მოხდა მაშინ, როცა ჩემს ნაწერს
მახსოვს პირველად შევხედე ზიზღით;
როცა ქალაქში ბრძანება გასცეს
და ფილაქანი გასვარეს სისხლით;
როცა ბავშვივით მსურდა მეტირა
და ნაცვლად – ფურცვლა დავიწყე წიგნის...
მაშინ ვიფიქრე, რომ პოეტი ვარ
და შემეშინდა ჩემივე ფიქრის!

ყოველი მკითხველი იოლად დაინახავს, რომ ამ ლექსში დასმულია ძველთაძველი კითხვა – რა არის პოეტის დანიშნულება? – რაც ყოველთვის აწუხებდა არა მარტო ამა თუ იმ პოეტს ცალკეულად, არამედ მთელ ქართულ პოეზიას, წარსულშიც და დღესაც. წარსულს თავი დავანებოთ და დღევანდელი გავიხსენოთ.

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი!..“ მოუწოდებდა ჩვენი დროის უდიდესი პოეტი, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ ქარიშხლისა და სისხლიანი ანგელოსის მას ძალიან ეშინოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სრულიად არ არის აუცილებელი პოეტს მეომრის გაბედულება ჰქონდეს. მაგრამ თუ ამაზე სიტყვა ჩამოვაგდე მხოლოდ იმიტომ, რომ თავად პოეტები სწუხან ამის გამო.

მსურდა კვეთება გაბოროტებით,
ოცნებად, ნატვრად მქონდა ბოლომდის –
როგორც პეტეფი,
როგორც ბოტევი,
მშობელი ქვეყნის მტერს შევკვდომოდი.
მაგრამ თავდება გ ზა და, ეს არი,
ქრება იმედის ნათელიც სუსტი,
ვერ იქნა, იმ დროს ვერ მოვესწარი
და ახლა სიკვდილს... ლოგინში ვუცდი...

ჩივის გრიგოლ აბაშიძე. მურმან ლებანიძე კი დასძენს: „თავსლაფი მწერლის მზაკვრობას მხატვრულს! თავსლაფი პოეტს, რომელიც სტყუის!..“

ასე რომ წუხილი, რომლითაც მ. ქვლივიძის ლექსია გაჟღენთილი, დღევანდელი ქართული პოეზიის საერთო წუხილია. მაგრამ, როგორც ჩანს, დასმული კითხის საერთო პასუხი მეტად ძნელია. ამიტომ დრო და დრო მას ყოველი ახალი თაობა იმეორებს. თუმცა ბოლომდე დამაჯერებელ პასუხს ვერავინ იძლევა. ჯერჯერობით მაინც. მიუხედავად ამისა, პოზიციის მეტ-ნაკლები გარკვევა აუცილებელია და, ცხადია, მ. ქვლივიძეც ცდილობს ამას. ჯერ ერთი, მას აქვს ლექსი „ავტოპორტრეტი“, სადაც იგი თავისთავს ხატავს და, მეორეც, რომელნიც გვეხმარებიან წამოჭრილი საკითხის პასუხის წარმოდგენაში.

არავის მივცემ უფლებას, –
უფალი იყოს თუნდაც! –
ხელში ამილოს, ჩამბეროს,
მამღეროს როგორც უნდა!
...
მგოსნის კალამი – ხანჯალია და სახნისია
და უნდა ყველგან რკინასავით ხნავდეს და ჭრიდეს.
...
თუ ლექსის კაცი ხარ, თუ გქვია „პოეტი“,
თუ გსურს ემსახურო ერს, –
ჭირსა და ლხინს უნდა ეძებდე ყოველთვის
და არა ხმასა და ფერს!

ამ სტრიქონებით თითქოს ყველაფერი მკაფიო და ნათელი იქნებოდა, რომ არ არსებობდეს მ. ქვლივიძის პოეზიაში განსხვავებული, საპირისპირო შეხედულებაც პოეტის მდგომარეობაზე. იგი თავისთავს (საერთოდ ადამიანს, მთელ კაცობრიობას) უსინათლო მარათონელს ადარებს.

დრომ დამაბერა და დამარბია,
გამიცამტვერა ნატვრა ყოველი,
მაინც ხვალინდელ დღისკენ გავრბივარ,
ვით უსინათლო მარათონელი.
. . .
დავიწყებული ზავის პირობა
და დაწყებული ახლად ომები...
და სადღაც გარბის კაცობრიობა,
ვით უსინათლო მარათონელი!

გარდა ამისა, მ. ქვლივიძე აღწერს „თანამედროვე“ პოეტის ტიპობრივ სახესაც.

ზევიდან აზის ტრიბუნას,
როგორც ზარბაზნის ლაფეტს.
თავს ატრიალებს ციბრუტად
და ირგვლივ სიტყვებს აფენს.
. . .
ჩვენც ხან ვიკავებთ სიცილს,
ხან ვიღრუბლებით საჩინოდ,
რადგან წინასწარ ვიცით –
როდის რა არი საჭირო.
თუ დაიძახა „ვუმღერი
კიდით-კიდემდე გაშლილს...“
მთელმა დარბაზმა უკლებლივ
უნდა დავუკრათ ტაში!
თუ „მზე“ ახსენა (უთუოდ
„ანთებული და მწველი“),
უნდა თვალებში ვუყუროთ
განუსაზღვრელი რწმენით!

ციტირებული სტრიქონებით უკვე შეიძლება დასკვნის გაკეთება: ორი აზრია, ორი მიმართულებაა, ორი დამოკიდებულებაა, ორი ხატია. ის ვითარებაა, როცა ჯერ არ თქმულა უდრეკად და ურყევად: Hier stehe ich-ich kann nicht anders (აქ ვდგავარ და სხვანაირად არ შემიძლია). ეს გადაუწყვეტელობა, ორმაგობა ბუნებრივია. ბუნებრივია იმიტომ, რომ იმ უსინათლო მარათონელს, რომელიც მ. ქვლივიძის პოეზიის პროტაგონისტია, გაორებული ცხოვრება უწევს.

ორნაირია სივრცეც, რომელშიც უსინათლო მარათონელი არსებობს.

ერთია, „და ორლობეში ისმის ხარხარი
პირდაღებული ბრონეულების!“
მეორეა, *„აქ ცა ჩვარსა ჰგავს – ფეხის გასაწმენდს,*
რომ დაუგდიათ სადღაც კარებში“.
ერთია, *„სააგარაკო სიჩუმე დილის.*
ყვავილნარების რწყვა.
ტალღას გაკრული მერცხალი ჭყივის
და მძიმედ სუნთქავს ზღვა.
ნაპირთან – ფერი კომბოსტოს ფურცლის
და მუქი ლურჯი – შორს“.
მეორეა, *„ზამთარ და ზაფხულ, თოვლსა და ყამირს*

(აქ არრა არი სხვა)
თავს დასჩხავიან გუნდები ყვავის:
– ყვა-ა! – ყვა-ა! – ყვა-ა!..“
ერთია, *„ყველა შარაგ ზა, ბილიკი ყველა,*
გადაჩრდილული კაკლის ხეებით,
ყველა ვენახი და ყველა ე ზო,
ყველა ვაშლის ხე ნაყოფით სავსე,
ტოტებდახრილი შემოდგომა ზე
ფეხმძიმე ქალს რომ დაემსგავსება...“
მეორეა, *„ო, ამ ბუნებას თან ახლავს მუდამ*
უნაყოფობის უ ზომო სევდა!“

რა თქმა უნდა, ადამიანს შეუძლია მრავალნაირ სივრცეში იცხოვროს, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მრავალგვარობა თანაბრად მოსწონს, როცა აღქმის მთლიანობა-ერთიანობა არ ირღვევა, როცა ადამიანის სულიერ სამყაროში ერთმანეთს არ ებრძვის ორი განცდა – აღტაცებისა და ირონიისა. თუ ერთი სივრცის მიმართ აღტაცება გეუფლება, ხოლო მეორის მიმართ – ირონია, მაშინ კაცის სული იხლიჩება და აუტანელი მდგომარეობა ბატონდება. მდგომარეობა, „როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი“.

ორდება ზნეობრივი ხედვაც. როცა ხედავ, რომ „ძლივს იკავებს სულმოკლე კაბა მუხლისთავების ვარდისფერ ღიმილს“, მაშინ ისიც გჯერა, რომ „პირუმტკიცობას სიყვარულში ღალატი ჰქვია“. ხოლო, როცა ხედავ, რომ „გასაყიდი საქონელივით წინ დაუწყვიათ თეთრი მუხლები“, მაშინ მეგობრის ლამაზი ცოლის კოცნის სურვილიც გიჩნდება. მართალია, ასეთი სურვილი სიზმარში ჩნდება, მაგრამ იგი კიდევ უფრო საშიშია, რაკი სიზმარი ადამიანის ქვეცნობიერი ცხოვრების სურათია. უზნეობა ქვეცნობიერად ისადგურებს კაცში და შესაძლებელია მორალურ კონტროლს აღარც დაემორჩილოს.

ზნეობრივი გაორების პირობებშია შესაძლებელი, რომ ადამიანი ოცნებობდეს ერთს და აკეთებდეს მეორეს. ეტრფოდეს იმას, „ვინც მწვერვალებზე სიარულს ბედავს“, მაგრამ სარეცელს უმშვენებდეს იმას, ვისაც ლაზათიანი ხვრინვა ურჩევნია ყველა უშბას. სამწუხაროდ, ამით არ თავდება ზნეობრივი გაორებით გამოწვეული დაქვეითება. იბადება იუდას საქციელის ახსნისა და გამართლების სურვილიც (ლექსი „იუდას მონოლოგი“). სხვათა შორის, საყურადღებოა, რომ ქართულ მწერლობაში პირველად ხალხოსანმა შიო დავითაშვილმა სცადა იუდას გამართლება და უბოდიშოდ განაცხადა: „ქრისტე მიდიოდა რა საწამებლად, დარწმუნებული იყო, რომ ან არ მოკვდებოდა, ანდა კიდევ მეტი დიდებით აღსდგებოდა მესამე დღეს მკვდრეთით. ხოლო იუდამ დასაჯა რა თავი, შეგნებულად მისცა თავისი სახელი წყევლა-კრულვას. ასეთი მსხვერპლი ისტორიაში არ მოიპოვება. და ამ მხრივ, იუდა, როგორც იდეური მუშა და მოწამე, უსათუოდ მაღლა სდგას ქრისტეზე“.

უაღრესად საინტერესოა იმის გარკვევა, საერთოდ რა პირობებში იბადება ამგვარი შეხედულება. მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, ოღონდ იმას კი ვიტყვი, რომ ამის ერთ-ერთი საფუძველი ზნეობრივი კრიტერიუმის გაორებაა.

ზნეობრივ გაორებას ყოველთვის თან ახლავს ზნეობრივი მთლიანობის ნატვრაც. ეს ნატვრა არის მ. ქვლივიძის პოეზიაშიც.

მე შენ გეძახი, ჩემო ჰამლეტ, უშიშარ რაინდს,
რომ ჩემი დაშნა შენს მახვილზე გამალესინო!

მართალია, ჰამლეტი ეჭვით, ორჭოფობით შეპყრობილი კაცია, მაგრამ იგი მაინც ზნეობრივი მთლიანობისაკენ მოწოდებაა. ალბათ, ამიტომ არის, რომ, როცა „ყოფნა

ფულია და კარგი მადა, ხოლო არყოფნა – უფულობა და უმადობა“ (მ. ქვლივიძის სიტყვებია), როცა უზნეობის მთლიანობა ურჩევნიათ, მაშინ ჰამლეტის უარყოფა ხდება. ეს ქართულ მწერლობაშიც მოხდა. პეტრე სამსონიძე მიმართავდა მეგობარ პოეტს – „ხედავ ჰამლეტებს? სამარეში როგორ მიდიან!..“ ხოლო, როცა ზნეობრივი მთლიანობის აუცილებლობა დგება, როცა ადამიანი ფულიანების ძმობასა და ელსინორს არაფრად აგდებს (ესეც მ. ქვლივიძის სიტყვებია), მაშინ ჰამლეტის გამოჩენა, მისებრ ადამიანთა მომრავლება სიხარულს იწვევს.

ეს არ არის ზნეობრივი მთლიანობის უბრალო ნატვრა ან წარსულთან პოლემიკა. იგი არის რწმენის ძიება, ურომლისოდაც შეუძლებელია მომავლის ხილვა. იმ მომავლის, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გამო გვაშინებს. ამ შიშის ხმა მ. ქვლივიძის პოეზიაშიც გვესმის.

მოძველდა შოთა, დანტეც მოძველდა,
მკითხველიც მათი.
ტექნიკის დროში
ვის რაღად უნდა რითმების ჯართი?!
. . .
ადამიანის ფეხის კვალი დააჩნდა მთვარეს.
მთვარეს დააჩნდა თვითმავალის მრუდე ხაზები.
ახალ ტექნიკურ მიღწევაზე ყვირის გაზეთი...
მე კი გულს მიკლავს და მაღონებს, მაღონებს მწარედ
მთვარის სახეზე ეს საშიში მეტასტაზები.
. . .
გასაოცარი მოვიგეთ ომი:
დამარცხებული ბუნება-დედა
ქუდმოგლეჯილი გარბის და სტოვებს
საომარ ველზე უთვალავ ცხედარს,
გაჩეხილ ტყეებს, გადახრილ მინდვრებს,
მაზუთით სავსე ტბებს და გუბეებს...
„ვაშას“ ძახილით გაქცეულს მივდევთ,
სანამ მზეს სულ მთლად არ დავუბნელებთ!

ამ განწყობილების დაძლევა მხოლოდ ზნეობისა და რწმენის მთლიანობით შეუძლია ადამიანს.

ვერავინ უარყოფს იმას, რომ დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია კაცობრიობის აზროვნების წინსვლა-განვითარების ბუნებრივი შედეგია. ამდენად, სრულიად კანონზომიერიც არის. რაკი ბუნებრივი და კანონზომიერია, რატომღა იწვევს იგი ჩვენს შეშფოთებას?

რასაც ადამიანი მიწვდა და შეიცნო სამყაროში, მან გაგვაოცა ჰარმონიულობით, კანონზომიერებით, აუცილებლობით, მშვენიერებით და სამართლიანობით. რასაც ჯერჯერობით ვერ მიწვდა და ვერ შეიცნო, მან შეაშინა და თავზარი დასცა. მოეჩვენა ქაოტიურად, უსამართლოდ, ბოროტებად. თუმცა ელემენტური ლოგიკა ითხოვს კითხვა დავსვათ ასე: თუ ის, რაც შევიცანით ჰარმონიული და სამართლიანია, რატომ უნდა იყოს ქაოტიური და უსამართლო ის, რაც ვერ შევიცანით? ლოგიკა ითხოვს ვიფიქროთ – ისიც, რაც ვერ შევიცანით, ისევე სამართლიანი, კანონზომიერი, აუცილებელი, ჰარმონიული და მშვენიერია, როგორც ის, რაც შევიცანით, ოღონდ დღესდღეობით მისი დანახვა გვიჭირს, არ ძალგვიძს.

მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ამ ჯერშეუცნობელი მშვენიერებისაკენ მიჰყავს კაცობრიობა.

ის, რაც გააკეთა მაქს პლანკმა, ალბერტ აინშტაინმა, ენრიკო ფერმიმ, ნილს ბორმა თუ სხვებმა ისევეა ადამიანის უსამანო ნიჭის გამოვლენა, როგორც ის, რაც დაწერა რუსთაველმა, დანტემ, შექსპირმა, გოეთემ.

კაცობრიობა სულიერად ღატაკი იქნება, თუ მას არ ეყოლება რუსთაველი, დანტე, შექსპირი, გოეთე და სხვანი. მაგრამ იგი ასევე ღატაკი იქნება სულითაც და ხორციც თუ არ იქნებიან პლანკი, აინშტაინი, ფერმი, ბორი და სხვანი.

როგორც ვერ იარსებებს ადამიანი ან მხოლოდ სულით ან მხოლოდ ხორცით, ასევე ვერ იარსებებს იგი ან მხოლოდ ხელოვნებითა და სიტყვაკაზმული მწერლობით, ან მხოლოდ მეცნიერებითა და ტექნიკით. როგორც სულისა და ხორცის მთლიანობაა აუცილებელი კაცის არსებობისათვის, ასევეა აუცილებელი მთელი კაცობრიობისა თუ ცალკეული ადამიანის არსებობისათვის ხელოვნება-მწერლობა და მეცნიერება-ტექნიკის ერთიანობა.

აი, რატომ არ ვიზიარებ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართ შიშს.

ჩვენ მაშინ ვცდებით, როცა ადამიანის ნიჭიერების ამ ორ გამოვლენას ერთმანეთს ვუპირისპირებთ და მათ შორის კონფლიქტს ვხედავთ. კონფლიქტი სხვაგან არის საძიებელი – უგუნურებაში. ამოცანა ის არის, რომ ნიჭიერების ნაყოფი უგუნურს არ მივცეთ მოსახმარად.

ამ საუბრისას მკითხველმა უკვე შენიშნა, ალბათ, მ. ქვლივიძის ლექსების ერთი თვისებათაგანი: ისინი დავის გუნებაზე გაყენებს, პოლემიკაში გიწვევს. ყოველი მხატვრული თხზულება, თუ იგი შედეგია სულის ტკივილის, ფიქრის, განსჯის, მკითხველშიც უნდა აღვიძებდეს ტკივილს, ფიქრს, განსჯას. იმას კი ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ეთანხმები თუ ეკამათები მწერალს. მთავარი და არსებითია ფიქრის დუღილი. ეს თვისება არ აკლია არც იმ პატარა ლექსს, რომელიც მ. ქვლივიძემ ახლახან გამოაქვეყნა და რომელშიც მე სიკვდილის შიშშეპარული კაცის ხმა გავიგონე და ერთგვარი ვალმოხდილობის სიმშვიდეც დავინახე.

ჩემი ქართული ნამუსით
მუდამ ვიქნები, რაც ვარ...
ერთ ბიჭსაც მამულს გავუზრდი,
განგებამ თუ დამაცალა.

ამ განწყობილებას ვერ გავიზიარებ იმ შინაგანი იმედიანობისა და ომახიანობის გამო, რომელსაც მის პოეზიაში ვხედავ.

ჯერ ერთი, „სიკვდილი“ ერთ-ერთი ის სიტყვაა, რომელსაც ხშირად შევხვდებით მ. ქვლივიძის პოეზიაში. დედის, მამის, ძმის, ცოლის სიკვდილი მისი განსჯის, ფიქრის, დარდის, სევდის საგანია. ცხადია, სიკვდილთან გაშინაურება შეუძლებელია და მისი ყოველი გამოვლენა შემაძრწუნებელი, მაგრამ ისიც სიმართლე იქნება, თუ ვიტყვი, რომ მ. ქვლივიძე სიკვდილთან მშვიდად საუბრობს და არყოფნის შიშით დათრგუნული არ არის. „მან მე სიკვდილიც მასწავლა, დედამ, – არ დამრჩენოდა რომ უსწავლელი“. ჩემი ფიქრით, მ. ქვლივიძისათვის არც ეს აზრი უნდა იყოს უცხო: ადამიანი იმით არის ბედნიერი და თავისუფალი, რომ სიკვდილი არსებობს. სიკვდილი ერთადერთია, რასაც კაცს ვერავინ აუკრძალავს, რომლის უფლებას ვერავინ წაართმევს და რითაც მას შეუძლია გააკეთოს და თქვას ის, რაც სიცოცხლით ვერ მოახერხა.

მეორეც, როგორი დაეჭვებულიც, სევდიანი და დადარდიანებულიც უნდა იყოს მ. ქვლივიძე, იგი მაინც იმ ადამიანს სცემს თაყვანს, ვინც უკმაყოფილოა, არ ეგუებაეთვისება გარემოს და წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია.

„ის მაინც ბრუნავს!..“ ღმერთმა ნუ ქნას, ჩემო ძმობილო,
დავცხრეთ, დავწყნარდეთ, აღარ ვიყოთ უკმაყოფილო

საკუთარ ბედით, უბედობით, ნამოღვაწარით,
ყველაფრით – ჩვენში რაც არსებობს, სხვებში რაც არი...

და მესამეც, მარათონელი, უსინათლო იქნება იგი თუ თვალახელილი, იმის მარათონელია, რომ აუცილებლად გამარჯვების ამბავი მოიტანოს.

მთვარიანი ღამის საიდუმლო

ნოდარ წულეისკირის „თუთარჩელა“ მითოლოგიური პირველთქმით იწყება. მერე აღარ უბრუნდება მწერალი მითოსს. დღევანდელ ამბებს გვიყვება. ერთი შეხედვით, თანამედროვეობასა და მითს შორის უშუალო კავშირი არც არსებობს. თითქოს მითოსი მხოლოდ მთვარიანი ღამის რომანტიკული სამყაროს შექმნას ემსახურება. მაგრამ ნამდვილად კი ასე არ არის. მითოლოგიური წინასიტყვაობა მთელი რომანის მხატვრულ-აზრობრივი გასაღებია.

რომანის პირველი ქვესათაურია „ჰეკატეს ბაღი“. ასე უწოდებს ექიმი გიორგი კალანდარია მამაპაპეულ მტილს. ამ ბაღში ხშირად ზის იგი, მოლხენილიც და დამწუხრებულიც. აქ ატარებს იგი უნიკალურ ცდას: ჰიპნოზით სურს დათრგუნოს გველის მომნუსხველი მზერა. „ჰეკატეს ბაღის“ უნასი ჰიპნოზის მეცნიერებას ასწავლიდა ექიმს. „გიორგი საკალანდარიოში ჰიპნოზის სეანსს თუ ჩაატარებდა, ზუსტად, უნაკლოდ, უშეცდომოდ უნდა ჩაეტარებინა. ამისათვის სჭირდებოდა „თვალის ვარჯიში“. თითქოს გიორგის საქციელი ნათლად და მკაფიოდ განმარტებულია მწერლის მიერ. მაგრამ ეს განმარტება ვერ დაგვაკმაყოფილებს. გიორგის საქციელში გაცილებით მეტი საიდუმლოა დამალული, ვიდრე ეს პირველი წაკითხვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს.

გიორგი კალანდარიას საქციელის ქვეტექსტის ამოსაცნობად უნდა გავიხსენოთ, ვინ იყო ჰეკატე.

უცნაური ქალღმერთი იყო ჰეკატე. მაღალი, წარმოსადეგი ქალის სახით აქანდაკებდნენ. ხელთ ყოველთვის ჩირაღდანი ეპყრა და გზაჯვარედინებზე იდგა. ტრიგიას ეძახდნენ, რამეთუ სამი თავი ჰქონდა. ჩირაღდნის გარდა, მისი ატრიბუტები იყო ძაღლი, უნასი, კლიტე და სატევარი. ძველ წარმართულ პანთეონში ღრმა პატივისცემით სარგებლობდა. მიწის, ზღვისა და ცის მფლობელი და მბრძანებელი იყო. ყველას ეხმარებოდა – მშობიარესა და ძიძას, მონადირესა და მეთევზეს, მეზღვაურებსა და მორკინალთ, მეჯოგესა და მხვნელ-მთესველს. როცა ზევსმა ტიტანები გაანადგურა, ჰეკატეს ხელი არ ახლო და ძალაუფლება შეუნარჩუნა. ოღონდ სიკეთის ჰიპოსტასის გვერდით, ბოროტების არეც გამოაჩინა: მოჩვენებების, ღამეული კოშმარების, აჩრდილების და ქვესკნელის ლანდების დედაუფალიც გახდა. სენადაც იქცა და მკურნალადაც. მრავალსახიანობის გამო სელენა-მთვარესთან გააიგივეს.

ჰეკატეს ქართველი დობილი იყო თუთა. თუთაც სელენა-მთვარეა და იგიც მრავალაღიანია. როცა თუთა ამობრძანდება, ყველაფერს ვერცხლისფერი გადაეკვრება და ქვეყანა ჩრდილების სამყაროს ემსგავსება. დგება თუთარჩელა. „ყოველი კალანდარია თუთარჩელას ისე განიცდის, როგორც შმაგ სიყვარულს. თუთა ჩელაია – თეთრი მთვარე მას ახარებს, აღონებს, აფიქრებს“. უფრო მეტიც, კალანდარიები „მთვარის კაცები“ იყვნენ. ე.ი. ისინი ჰეკატეს კაცებიც იყვნენ. თუთა-ჰეკატეს თუთაშები ემსახურებოდნენ. თუ თუთაში ვერ დაამწყალობებდა ღვთაებას, იგი ავადმყოფობას გზავნიდა მიწაზე. ამ სნეულებას ძველი ქართველი მომთვარვას ეძახდა. იგი შიშისზარს სცემდა ადამიანს: მომთვარული ბალღი წამით მკვდარი იყო. თუ

ღვთაება მოგვის ვედრებას შეისმენდა, მომთვარულს სიცოცხლე ისევ უბრუნდებოდა.

„მთვარის კაცების“ შთამომავალი გიორგი კალანდარია ყოველგვარ ავადმყოფობას ებრძვის. იგი მხოლოდ წამლით არ მკურნალობს. იგი ექიმობს შთაგონებითაც. ასე მოარჩინა მან ბებერი კემესია, ასე უწამლა ღურწუმიას ჩვილ ბავშვს. ასე რომ, გიორგი არა მარტო პროფესიით არის მკურნალი, არამედ სულით. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს. მას მეტი სურს: უნდა დათრგუნოს სნეულების ქალღმერთი. მაგრამ გიორგი მაშინ მოერევა ჰეკატე-თუთას, როცა ადამიანის თვალი დაიმორჩილებს უხსენებლის თვალებს. გველი ხომ ჰეკატე-თუთას ატრიბუტია!.. ამიტომ დადის გიორგი ჩუმად „ჰეკატეს ბაღში“. ამიტომ ატარებს ცდას. მაშასადამე, გიორგის სული ღმერთს ებრძვის. ადამიანმა მოისურვა აჯობოს ღმერთს. გიორგი კალანდარიას მხატრული სახის შინაგანი კონფლიქტი ეს არის.

ეს ანალოგიითაც დასტურდება. რომანის მითოლოგიური წინათქმის ოდოია და გიორგი ერთი და იგივე მხატვრული სახის სხვადასხვა გამოვლენაა.

ოდოიაც ღმერთს შეეჭიდა. მან პირველმა განუცხადა ხალხს: კაპუნია არ არისო ღმერთი.

„ხალხს ტუჩზე შეეყინა სათქმელი და პირდაღებული მიაჩერდა სასწაულმოქმედს. ოდოიამ ხელში აიტაცა კაპუნია, მაღლა, სულ მაღლა ასწია, მოიქნია და ხრამში გადააგდო.

ოდოიამ ახლა მრისხანედ შეხედა ხალხს და მტკიცედ თქვა:

– ხალხო! ღმერთი ცაშია!..

ოდოიამ აჯობა ცრუ ღმერთს. ხალხს ცრუ რწმენა გაუფანტა.

აქ ოდოიასა და გიორგის შორის წონასწორობა ირღვევა. ოდოია მეტია, ვიდრე გიორგი. მორალური თალსაზრისით, ცრუ რწმენის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური სახმილისაგან განკურნება. მწერლობისათვის უპირველესი მნიშვნელობის მატარებელი სწორედ მორალური თვალსაზრისია. მერე თანდათანობით ისევ შეიცვლება გიორგისა და ოდოიას შორის წონასწორობა. ამჯერად გიორგის სასარგებლოდ. როცა დადგება სულიერი კათარზისისა და პატიების პრობლემა, მაშინ გიორგი წამოვა წინა პლანზე. იჩრდილება ყველა პერსონაჟი, რეალური თუ მითოლოგიური.

ოდოიასა და გიორგის თავგადასავალი პარალელურ ხაზებად წარმოდგება სასიყვარულო ისტორიაშიც. მითოლოგიურ პლანშია ოდოია-ნანა და მაცდური ცია. რეალურ პლანშია – გიორგი-ანინა და მაცდური გვაჩი. ოდოია სასტიკად დასაჯეს ღმერთებმა: იგი აქციეს ოჩოკოჩად. ციაც ვერ გადაურჩა სასჯელს. იგი ტყაშმაფად გადაიქცა. ნანა კი მესამე ცას დაუბრუნეს. ამის შემდეგ დაბორიალებს ტყე-ტყე ვნებააშლილი და დუჟმორეული ოჩოკოჩი. დაეძებს თავის სიყვარულს, მაგრამ საწადელს ვერ ისრულებს და ქვეყანას აყრუებს მისი ავი ღრიალი. აქ ოდოია-ოჩოკოჩი დაშორდა გიორგის და დაუახლოვდა გვაჩის. საინტერესო ის არის, რომ რეალურ პლანში გიორგი და გვაჩი რაყიფებია. ორივეს უყვარს ანინა. როცა გვაჩიმ ანინა აცდუნა, გიორგიმ იგრძნო, რომ გვაჩი მისი მეორე „მეა“. ისე როგორც ოჩოკოჩია ოდოიას მეორე ჰიპოსტასი. „თითქოს ერთი დედის შვილები იყვნენ, ერთმანეთს ჰგვანან კალანდარიები“. გიორგი მიხვდა, რომ მისი სული უნდა გაიწმინდოს, გასპეტაკდეს გვაჩის ორეულისაგან. მაშინ გახდება იგი ჭეშმარიტი ადამიანი და შეიძენს პატიების დიდ უნარს. ამიტომ გიორგი იწყებს თვითგვემას. თვითგვემის გზით უნდა მას გათავისუფლდეს ბოროტი საწყისისაგან. მხოლოდ ყოველგვარი ბოროტი საწყისისაგან თავისუფალ ადამიანს შეუძლია მოუტანოს სხვას სიკეთე, მაშინ შეიძლება გახდე სხვათა მკურნალი. მაშინ შეიძენ, როგორც ნოდარ წულეისკირი ამბობს, სულის ღვთაებრივ თვისებას – სიმშვიდესა და მოთმენას. მართალია, „ადამიანის თვალი ხშირად ვერ არჩევს დიდ სიმშვიდეს, ამაყ მოთმინებას და მონურ გაჩუმებას ერთმა-

ნეთისაგან, მაგრამ კალანდარიებმა იცოდნენ სიმშვიდის ფასი“. ანინას ცდუნების გამო გიორგიმ დაკარგა სიმშვიდე, ე.ი. დაკარგა ღვთაებრივი საწყისი, მაგრამ იგი კვლავ შეიძენს მას თვითგვემის შემდეგ.

კათარზისისა და გასპეტაკების პრობლემა რომანში გამოხატულია არა მარტო გიორგის ამბით, არამედ თეთრი ფერის მაგიითაც.

გიორგის გარშემო ყველაფერი თეთრია.

როცა ერთხელ გიორგის წამიერად გონება დაუბნელდა და გადაწყვიტა, გვაჩი უნდა მოვკლაო, მიხვდა, რომ უცებ „სიბნელეში ჩაიძირა, უცნობ წყვდიადში ჩაეფლო, არასოდეს ენახა ამგვარი წყვდიადი, თეთრი იყო იგი. თითქოს თეთრ ქვესკნელში ჩაყირავდა“.

როცა გიორგი კალანდარია ქვეყანასა და ხალხს გამოეთიშა, სრულიად უცხო სამყაროში მოუხდა ცხოვრება. „იქ არაფერია მინიერი, თუთარჩელასფერია ეს სამყარო. თუთარჩელასავით სევდიანია, უსაზღვრო და დაუსაბამო. რძისფერ სივრცეში მიაბიჯებს გუგუ კალანდარია“.

როცა გიორგის ზმანებები დაეწყო, ხილვებშიაც ყველაფერი თეთრი იყო.

„თეთრ უდაბნოში თუთარჩელა ჩამდგარა. უდაბნოში ისეთი სიჩუმეა, ისეთი უძრაობა და ერთფეროვნება, როგორც აკლდამაში“.

„თეთრ მთაზე თეთრ კაბაში გამოწყობილი ანინა დგას. მთის ფერდობზე ჯაჭვებასხმული გიორგი დამხობილა და ბუტბუტებს“.

„თუთარჩელაში“ მხოლოდ თეთრი ფერი აქვს უხვად გამოყენებული ნოდარ წულეისკირს. თეთრის ეგზომ ჭარბი ხმარება სიმბოლური მნიშვნელობით თუ შეიძლება აიხსნას. თეთრი და ნათელი სინონიმებია. ამიტომ თეთრისაკენ ლტოლვა ნათელისაკენ ლტოლვაა, სულის გასპეტაკებაა. ყველაფერი კარგი თეთრს უკავშირდება. „წარსული თეთრია, სულეთი თეთრია და ამ სითეთრისაკენ მიისწრაფვის გუგუ კალანდარიას სულიც“.

ნათელს რომანში ხორცშესხმული პერსონაჟი ანინა ასახიერებს. ეს აშკარად არის ნათქვამი.

ერთხელ ანინა და გიორგი სიონში შევიდნენ. მაშინ ისინი არ იცნობდნენ ერთმანეთს. ორივე გაოგნებული მისჩერებოდნენ ფრესკებსა და ხატებს. ორივეს უცნაური შუქით გაბრწყინებოდა სახე. „გასაოცრად ლამაზები იყვნენ ისინი, რა უნათებდათ ასე სახეს, რა შუქი იყო, რა სხივი? – ძველ წიგნებში ეწერა ამ შუქის ზუსტი სახელი „ნათელი“. სახეზე ორთავეს ნათელი ადგა“.

რაკი ანინა ნათელია, სრულიად ბუნებრივია გიორგის ლტოლვაც ანინასაკენ. აქ მარტო ხორციელი სიყვარული არ არის. ეს ღვთაებრივი საწყისის ძებნაა.

მართალია, ანინამ უღალატა გიორგის, მაგრამ აქ ანინა არ იყო დამნაშავე. ანინას ღალატი არ შეუძლია, თუმცა ქალშიაც იბრძვის ორი საწყისი – კეთილი და ბოროტი.

ნოდარ წულეისკირი ანინას ყოველივე უბოროტოსა და სპეტაკს ადარებს. ანინა ხოხობია, ანინა ირემია, ანინა თუთარჩელაა, ანინა სიმღერაა, მხოლოდ ერთადერთხელ ჰგავდა ანინა ტყაშმაფას. ანინა საგანია, რის გამოც კეთილი და ბოროტი ებრძვის ერთმანეთს. როცა გიორგიმ და ანინამ პირველად გაიარეს სოფლის ორღობეში, ქალს გადარეული ბუღა გამოეკიდა. გიორგიმ იხსნა მაშინ ცოლი. ამ ბუღას მერე გვაჩის ადარებს მწერალი. ე.ი. ამ სურათსაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ბუღასავით ეძგერება გვაჩი ანინას და წამიერად დათრგუნავს ქალის ნებისყოფას.

გვაჩი და გიორგი რომ ანტიპოდებია, ეს დეტალებშიაც ჩანს. მოკლული მწყერი და დაკლული უშობელი თავზარს სცემს გიორგის. გვაჩი არხეინად ათამაშებს ხელში მოკლულ ხოხობს. ეს ნებისყოფის სიმტკიცის ან სისუსტის გამოვლენა არ არის. ეს პოზიციების სხვადასხვაობაა. როგორც უდრტვინველად შეუძლია გვაჩის მოკლას ხოხობი, ასევე მშვიდად ხელყოფს იგი ანინას სისპეტაკეს. თუმცა შეიძლება ვნებათაღელვას საშინელი სიმძაფრით განიცდიდეს. მაგრამ ეს მღელვარება დიდხანს არ

გაგრძელდება. გვაჩიმ შეიძლება სახლ-კარიც გაჰყიდოს და სხვაგან გადასახლდეს, მაგრამ ამას სინდისის ტკივილი არ ინვევს. სინდისის ტკივილს სახლ-კარის გაყიდვით ან სხვაგან გადასახლებით ვერ უშველი. იგი, სადაც არ უნდა წახვიდე, თან გამოგყება და თავს ვერ დააღწევ. სინდისის ტკივილი ადამიანის სულშია და თავის თავს ჯერაც არავინ გაქცევია. გვაჩი ბოროტებაა არა წამიერი შეცდომის ან ანინას ცდუნების გამო, არამედ სინდისის ტკივილის უნარის უქონლობის გამო. ამიტომაც ანინას ღალატი უბედურებაა და არა დანაშაული. იგი დანებდა კაცს, რომელსაც ნამუსის ყივილი არასოდეს გაუგონია. ანინას დაცემა სტიქიური უბედურების მიერ მოგვრილ გვემას ჰგავს და არა ჩვეულებრივ ქალურ ღალატს. ამიტომ რჩება ანინა ბოლომდე სპეტაკი. როცა ნებისყოფის წამიერი დაკარგვის ჟამს ქალმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, იგი უმანკოებამ გადაარჩინა.

„კაცმა არ იცის, რა ძალა ამოძრავებდა მის ხელებს, რა ქარი ქროდა მის სულში, რა ვნებას აჰყავდა სახრჩობელაზე. ერთი რამ კი ცხადი იყო, ანინა იმ წუთებში არაფერზე არ ფიქრობდა, ფიქრი აღარ შეეძლო...

დე!..

გაისმა ღამეში საიდანღაც. ეს ქუჯის ხმა იყო. ანინას მაღლა აწეული ხელი გაუშეშდა, ალბათ მომესმაო.

– დე!..

კვლავ გაისმა აივანზე და პერანგისამარა ბავშვი ქარსა და ყინვაში გარეთ გამოვარდა. საოცარი ის იყო, რომ ქუჯის ეძინა. მძინარე მიადგა დედამისს, სიზმარს თუ აჰყვა. კაბაზე წაავლო ხელი და სკამიდან ძირს ჩამოიყვანა, თვითონ წინ გაუძღვა და თავის საწოლს თვალდახუჭული მიადგა. ჩაწვა, საბანი გადაიხურა და ვითომ აქ არაფერიაო, ძილი განაგრძო. გაოგნებული ანინა მძინარე ბავშვს ისე დასცქეროდა, ვითომ ბავშვი კი არა, ლოგინში სასწაული იწვა“.

უმანკო ბავშვის სულმა იგრძნო დედის სისპეტაკე და ნათელის სიკვდილი არ დაუშვა.

მშვიდობიანად მთავრდება გიორგი-ანინა-გვაჩის კონფლიქტი. ტრაგიკული კათარზისი გაიარა გიორგიმ. თვითგვემის გზით სულის სიმშვიდე და პატიების ნიჭი მოიპოვა, რითაც ადამიანი ღვთაებრივ საწყისს ეზიარა.

ამ პრობლემატიკის გვერდით უცხო სხეულად მეჩვენება მოტივი „მიცვალებული ქონებაა“. ზოგად, მარადიულ მორალურ კატეგორიებთან ერთად, ნოდარ წულეისკირი შეეხო დღეს გავრცელებულ ერთ ჩვეულებას: ქორწილისა თუ ქელეხის დროს ფულადი დახმარების გაცემას. ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს, მაგრამ ზოგჯერ ვაჭრობადაც იქცევა.

ავადმყოფი პარტყუ კალანდარიას გამო ერთმანეთს ებრძვიან მისი შვილები. ერთმანეთს ჭამენ არა იმიტომ, ავადმყოფ მამას ვუპატრონოთო, არამედ იმიტომ, რომ მიცვალებული ფულს შემოიტანსო შინ.

„მარტო ორმოცებზე და წლისთავებზე ჩემი ოჯახიდან რაც გოჭი და ინდაური გადასულა, ერთ კაცს ის დაასახლებდა. შენც კარგად იცი, რომ ვალს სოფელი არ შეირჩენს, ჯვარი აქაურობას და, პარტყუს რომ რამე დაემართოს, რაც ოჯახიდან გაგვიტანია, უკან მოგვიტანენ“... – შესჩივის გიორგის გუჩა კალანდარია.

მართალია, ესეც მორალური კატეგორიის მოლენაა და თითქოს ამით უკავშირდება რომანის დანარჩენ ამბებს, მაგრამ იგი უფრო ზნედაცემულობაა, გონებრივი სიდუხჭირით გამოწვეული. ამდენად უფრო სატირული ნაწარმოების თემაა, ვიდრე დრამისა. მითუმეტეს, რომ ეს მოტივი რომანში არ ვითარდება და სათანადო დასკვნაც არ გამოდის. მოხდა ისე, რომ პარტყუ კი არა, გუჩა გარდაიცვალა. დანასისხლად წაკიდებული ძმები შერიგდნენ და ძველი „მტრობა“ ყველამ დაივიწყა. გაქრა მოტივიც „მიცვალებული ქონებაა“. ამ შერიგებას ხომ აკლია და აკლია ფსიქოლოგი-

ური სიმართლე, მთელი ეს ამბავიც რომანის ძირითად ქსოვილს ორგანულად და ბუნებრივად არ ერწყმის.

ასევე ძირითადი ამბავისაგან გამოთიშულად გამოიყურება „კიდობანისტებისა“ და „თეფშისტების“ პაექრობა-კამათი. მართალია, ამ ამბავს, გარდა ყოფის სურათის შექმნისა, სხვა პრეტენზია არა აქვს, მაგრამ მეტისმეტად ზერელეა და იუმორისტული ინტონაციითაც ეთიშება რომანის საერთო რომანტიკულ განწყობილებას.

„თუთარჩელა“ მრავალსიუჟეტიანი რომანი არ არის. ამდენად სიუჟეტური, თუნდაც მცირე, განშტოებანი მის კომპოზიციურ მთლიანობას ხელს უშლის. ამიტომაც ზემორე მოხსენიებული მოტივები ზედმეტია. თუმცა მწერლის გულისნადები გასაგებია: თუთარჩელას რომანტიკულ სამყაროში ჭუჭყიან ვნებებს არა ესაქმება რა.

თუ კარგ საქმეზე მიდიხართ, მეც წამიყვანეთ

უკან მოუხედავად გარბის დრო. მერაბ ელიოზიშვილი სამოცი წლის გამხდარა. თითქოს აგერ გუშინ იყო, პირველად მისი მოთხრობა რომ წავიკითხეთ „ცისკარში“, 1958 წელს. მას მერე მისი კალამი ემსახურება ქართულ მწერლობას, კინოს, თეატრს. მსახიობის ხელოვნებაც უყვარს მერაბს. ჯერ კიდევ მისსავე „თეთრ ქარავანში“ მოსინჯა მან – რას ნიშნავს იყო აქტიორი. კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა მას ეს ხელობა. ცხენიდან ჩამოვარდა და ბენწვზე გადარჩა. მაინც არ განელებია სიყვარული ბერიკებისადმი. პიესაც უძღვნა „ბერიკონი“. შემთხვევითი არ არის ეს სიყვარული. როგორც ბერიკა მალავს თავის დიდ ტკივილს გარეგნული მხიარულებით, ასევე მალავს მერაბ ელიოზიშვილის უზარმაზარი სხეული მის სიყვარულით, სითბოთი, სევდა-ვარამით სავსე გულს. ეს არა მარტო მის თხზულებებში ჩანს, არამედ მის პირად საქციელშიც. მე თავად მინახავს როგორ ეალერსება იგი ცხოველებს, მთებს, საძოვრებს, მინდორ-ველს. როგორი დარდია ამ სიყვარულში. იგი თითქმის წინასწარ ხედავდა, გრძნობდა და განიცდიდა, რომ მის მამა-პაპეულ სახლ-კარს, კერას, კარმიდამოს უცხო, გადამთიელი დაეუფლებოდა და შველას ვერაფრით მოვახერხებდით. აბა, დააკვირდით როგორი დაბნეულობით, სევდით, გაურკვევლობით, მომავლის წინაშე შიშით და ძრწოლით არის სავსე „დიდი მწვანე ველი“, მერაბ კოკოჩაშვილმა რომ გადაიღო მერაბ ელიოზიშვილის სცენარით. დოდო აბაშიძეს, მისი კინო და თეატრალური კარიერის მანძილზე, უკეთესი როლი არ უთამაშნია. აქ მოხდა სწორედ ის, შეხმატკბილება მწერლისა, კინორეჟისორისა და მსახიობისა, რაც ესოდენ აუცილებელია ფილმის გამარჯვებისათვის.

ელდარ შენგელაიას და რევაზ გაბრიაძის „შერეკილების“ პერსონაჟი, რომელსაც მერაბ ელიოზიშვილი ანსახიერებს, წამდაუწუმ გაიძახის – თუ კარგ საქმეზე მიდიხართ, მეც წამიყვანეთ. მე არ ვიცი, ეს ფრაზა იმთავითვე იყო სცენარში თუ მერე გაჩნდა, როცა როლის შესრულება დაეკისრა მერაბს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს ფრაზა ნათლად გამოხატავს მერაბ ელიოზიშვილის, ადამიანისა და მწერლის, არსს. მერაბ ელიოზიშვილს მხოლოდ კარგსა და კეთილ საქმეში შეუძლია მონაწილეობა.

მერაბ ელიოზიშვილის ფილმების გადაღებისას, ჩვენ ერთად გვივლია ქართლ-კახეთის ველ-მინდვრებზე, ხევისა და არაგვის ხეობის მთა-გორებზე, კასპიისპირეთისა და ნოღაის საძოვრებზე. მეთევზეებისა და მწყემსების პურ-მარილი მიგვიღია. იგი ყველგან შინაური, ახლობელი, მეგობარი კაცი იყო. მათთან საუბარში მკაფიოდ ჩანდა საიდან მოდის მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობების, სცენარებისა და პიესების ენა – მდიდარი, მსუყე, მოქნილი, ძარღვიანი და მადლიანი. ეს შიდა ქართლის ქართველობის ენაა, ერთდროულად ასე დინჯად, დარბაისლურად, ნაზად და ვაჟკა-

ცურად რომ ჟღერს. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა დღეს, ქართული ენის ეგ-ზომ დამჭლევების, დასახიჩრებისა და გაღატაკების ეპოქაში.

რაა გასახარელი წელთამატებაში და სიბერის მოახლოებაში, მაგრამ დრო-ჟამს ვერავინ გაექცევა. მე მინდა სამოცი წლის მერაბ ელიოზიშვილს იმ დღემდე, როცა მას ღვთის ანგელოზი მოუხმობს, გონების ის სიმკვირცხლე და სინათლე, მკლავის ის ძალა, ტანის ის სიმრთელე და სულის ის მხნეობა შერჩეს, რაც ოცდაექვსი წლის მერაბ ელიოზიშვილს ჰქონდა, როცა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილებაში მან თავისი პირველი კინოლიბრეტო მოიტანა და ჩვენ ერთმანეთი პირადად გავიცანით.

1994 წ., 12.VII.

<u>ს ქ ო ლ ი ო</u>

1 გაზ. „კომუნისტი“, 1980 წ., 13 სექტემბერი
2 იქვე

1 გაზ. „კომუნისტი“, 1980 წ., 16 სექტემბერი
2 სკკპ პროგრამა, მიღებული XXII ყრილობის მიერ, 1961 წ., გვ. 157

1 ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ., №8-9, გვ. 146

1 ს. ჩიქოვანი, ლექსები (წიგნი პირველი), 1933 წ., გვ. 250-258

1 ლ. ბერია, მეათე ყრილობის შედეგები, ჟურნ. „მნათობი“, 1937 წ., №5, გვ. VIII. ეს წერილი „პრავდაშიც“ იყო დაბეჭდილი (1937 წლის 5 ივნისი)
2 გ. მალენკოვი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, 1952 წ., გვ. 58

1 მ. გვასალია, ლეო ქიაჩელი, ლიტერატურული კრებული „რიწა“, 1977 წ., გვ. 139

1 გაზ. „პრავდა“, 1981 წ., 11 სექტემბერი

1 თ. ენუქიძე, „მე ვიყავ მოქმედი...“ გაზ. „კომუნისტი“, 1981 წ., 27 სექტემბერი
2 აკაკი ბაქრაძის გარდაცვალების შემდეგ ლელა მიქიაშვილმა ავტორის ოჯახს გამოუგზავნა „საისტორიო ალმანახი, კლიო 21“ (2004 წ.), სადაც 167 გვ-ზე ამ საკითხთან დაკავშირებით ნათქვამია: თ. ენუქიძის წერილი „ვიწრო სამეცნიერო ხასიათისა, კერძოდ კი წმინდა ტექსტოლოგიურ, ანუ წყაროთმცოდნეობით საკითხებს შეეხება და ავტორის მიზანს არანაირად არ წარმოადგენს ტრაქტატის პოლიტიკური შეფასება... გეორგიევსკის ტრაქტატი ნამდვილად სოლომონ ლიონიძის ხელითაა დაწერილი, დადგინდა მეცნიერ-ტექსტოლოგიის პროფესიული კვლევის შედეგად“... (რედაქტორი)

1 „ქართული საბავშვო ლიტერატურის ანთოლოგია“, 1971 წ., გვ. 194

1 ჟურნ. „კავკასიონი“, №15
2 რ. გვეტაძე, ღამეები (ლექსები), 1921 წ.

1 გაზ. „პოეზიის დღე“, 1922 წ., 7 მაისი, №3, გვ. 2
2 ი. გრიშაშვილი, „ავლაბარი“, ჟურნ. „ცისარტყელა“, 1920 წ., №4.

1 აკ. შანიძე, „ქართული ეროვნული ჰიმნი“, ჟურნ. „პრომეთე“, 1918 წ., №1.
1 აკ. შანიძე, „ქართული ეროვნული ჰიმნი“, ჟურნ. „პრომეთე“, 1918 წ., №1.
1 ალ. აბაშელი, „შორეული ნაპირი“, ჟურნ. „ხომალდი“, 1921 წ. დეკემბერი, წიგნი I.

1 მოწინავე – „ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინსვლისათვის“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., 19 თებერვალი.

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1954 წ., გვ. 34.

1 ალ. ფრონელი, „მთიულეთი, 1804 წ.“, 1896 წ., გვ. 29.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1976 წ., 4 დეკემბერი.

1 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1945 წ., 27 მაისი.
2 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950 წ., 18 ივნისი
3 აკ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული შვიდ ტომად, 1940 წ., ლექსი – „სხვადასხვა ერი“, გვ. 223. კარგად არის ცნობილი, რომ აკაკის პოეზიაში ეთნონიმი „სკვითი“ აღნიშნავს რუსს.
4 გაზ. „კომუნისტი“, 1976 წ., 27 თებერვალი
5 ა. კალანდაძე — ლექსები, 1957 წ., გვ. 15.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1979 წ., 16 იანვარი
2 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950 წ., 29 იანვარი

1 შ. დადიანი, რჩეული წერილები, წიგნი I, 1950 წ., გვ. 5.
2 ჟურნ. „მნათობი“, 1937 წ., №5, გვ. XVIII.

1 გ. ნატროშვილი, „ირაკლი აბაშიძის პოეზია“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 2 დეკემბერი.
2 ირ. აბაშიძე, „პაოლო იაშვილს“, რჩეული, 1969 წ.

1 გრ. აბაშიძე, სამი პოემა, 1947 წ., გვ. 75-76

1 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ., 28 იანვარი
2 ს. ჭილაია, ახალი წარმატებანი, ახალი პერსპექტივები, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 8 აპრილი

1 პ. სამსონიძე, ცეცხლის ხმები (დინამოლექსები), ტფილისი, 1923 წ., წიგნის გვერდები დანომრილი არ არის.
2 კ. ლორთქიფანიძე, ღიმილი (ლექსები), 1927 წ., გვ. 63
3 ფ. ნაროუშვილი, პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია, 1931 წ., გვ. 23

4 კ. კალაძე, „ამხანაგი ლენინი“, ჟურნ. „მნათობი“, 1928 წ., №1. ალბათ, „მომაკვდავის“ მაგიერ უნდა იყოს „მოკვდავი“.

1 გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, 1966 წ., გვ. 364-365.

1 ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ., №8-9, გვ. 145.

1 ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1926 წ., სექტემბერ-ოქტომბერი.
2 1927 წელს ლექსების კრებულში „ღიმილი“ (გვ. 39), პოეტმა ისევ გამოაქვეყნა ეს ლექსი სულ ოდნავ შეცვლილი ვარიანტით.

1 ნ. ბუხარინი, გესლიანი შენიშვნები, ჟურნ. „მნათობი“, 1927 წ., №1, გვ. 183.

1 სტატია „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“, ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“, 1923 წ., №10.
2 იხილეთ გრ. მუშიშვილის წიგნი „გველის პერანგოსანი“, 1934 წ.

1 გრ. მუშიშვილი, „პროლეტარული მწერლობის დასაცავად“, ჟურნ. „მნათობი“, 1928 წ., №8-9.
2 ლხცსა, ფონდი 8, აღწ. 1, საქ. 600. ფურც. 7. 12, ოქმი №5.

1 ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ., №1-2, გვ. 123.
2 კ. ლორთქიფანიძის სიტყვა, „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 10 ივნისი

1 ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ., №3, გვ. 154-155.
2 ლხცსა, ფონდი 8, აღწ. I, საქ. 600. ფურც. 5-6. ოქმი №4.

1 „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 10 ივნისი.

1 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 20 მარტი.

1 გალექსილია ა. მაშაშვილის, გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის, ს. ჩიქოვანის, ირ. აბაშიძის და კ. კალაძის მიერ. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1939 წ., №12.

1 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 15 მაისი.
2 ლხცსა, ფ. 8, აღწ. 1, საქ. 600, ფურც. 20-23-25: ოქმი №9.
3 ი. ბონდარევის სიტყვა, „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1979 წ., 30 მაისი.
4 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981 წ., 31 მარტი.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1981 წ., 30 იანვარი.
2 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981 წ., 9 იანვარი.
3 ჟურნ. „ცისკარი“, 1980 წ., №5: თ. ჯანგულაშვილი — „ახალგაზრდობას“.

1 კ. ლორთქიფანიძე, „პირველის შემდეგ“ (ლექსები), 1927 წ., გვ. 28..

1 კ. ლორთქიფანიძე, „სოფელი ღონიერია თუ კაცი გონიერია!“ გაზ. „კომუნისტი“, 1979 წ., 14 აპრილი.
2 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 27 ნოემბერი.

3 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 5 ნოემბერი.

1 ლიანგური – მასობრივი.

1 კ. ლორთქიფანიძე, „პირველის შემდეგ“ (ლექსები), 1927 წ., გვ. 41

1 შ. ნიშნიანიძე, „გადასახედი“ (ლექსების კრებული), 1977 წ., გვ. 97.
1 კ. ფეოდოსიშვილი, „ქალაქის ბაღში“, ჟურნ. „მერცხალი“, 1926 წ., №4.
2 ფ. ნაროუშვილი, პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია, 1931 წ., გვ. 21. გპუ ანუ ოგპუ – Объединенное государственное политическое управление. КГБ-ს ადრინდელი სახელი.

1 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1979 წ., 21 დეკემბერი.
2 ან. ანტონოვ-ოვსეენკო. „ტირანის პორტრეტი“ (რუსულად), 1980 წ., ნიუ-იორკი, გვ. 143.
3 „ნოვი მირ“, 1976 წ., №8.

1 ს. თალაკვაძე, გადასასვლელი, წიგნი პირველი, 1933 წ., გვ. 197, 198-199, 202, 209.
2 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981 წ., 24 ივლისი.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1974 წ., 11 აგვისტო.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1981 წ., 10 იანვარი.

1 პ. სამსონაძე — ცეცხლის ხმები, 1923 წ., ლექსი — „სონეტი იონა ვაკელს“.

1 რუასი — გონება

1 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1980 წ., 7 მარტი.

1 ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ., №3, გვ. 28-29.
2 გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ., 14 აპრილი.

1 ჟურ. „მნათობი“, 1976 წ., №7. ავტორია დ. ივარდავა.

1 ჟურნ. „მნათობი“, 1949 წ., №5.

1 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950 წ., გვ. 246-247.

1 ვ. ჰიუგო, თხზულებათა კრებული 15 ტომად (რუსული გამოცემა), ტ. II, 1956 წ., გვ. 320-40.
2 ალ. ტოლსტოის რომანის სახელი „Хождение по мукам“ ქართულად უნდა ითარგმნოს ასე – „გზათა უკან წანწალი“. თედო სახოკიას განმარტებით, ეს ფრაზა ნიშნავს უთავბოლოდ, უგზო-უკვლოდ ხეტიალს, ტყუილად დროის კარგვას, ტანჯვას (იხ. „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“), რაც ზუსტად გამოხატავს როგორც რომანის რუსული სათაურის არსს, ისე მთელი წიგნის შინაარსს.

1 ა.ნ. ტოლსტოი, თხზულებათა სრული კრებული (რუსული გამოცემა), ტ. 7, 1947 წ., გვ. 537-539.
2 ალმანახი „არიფიონი“, №1.

1 ჟურნ. „მნათობი“, 1928 წ., №3, გვ. 224-225.

1 სტალინის სიტყვა საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობაზე 1924 წლის 26 იანვარს, ლენინის გარდაცვალების გამო, 1939 წ. 20 იანვარი, „ლიტერატურული საქართველო“.
2 სკკპ მე-20, 21-ე, 22-ე ყრილობების მასალები.
3 სკკპ XXII ყრილობის მასალები, 1962 წ., გვ. 347.
4 ან. ანტონოვ-ოვსეენკო, „ტირანის პორტრეტი“ (რუსულად), 1980 წ., გვ. 261.

1 ა. ფრანსი, თხზულებათა კრებული 8 ტომად (რუსული გამოცემა), ტ. 6, 1953 წ., გვ. 671-672.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ., სამი აპრილი.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ., სამი აპრილი.

1 ნ. დუმბაძე, „მარადისობის კანონი“, 1978 წ., გვ. 76.

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1954., გვ. 36.

1 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., №2, გვ. 160.
2 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., №4, გვ. 212.
3 იქვე, გვ. 56

1 შ. დავიდოვი, მოგონებანი, „რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., №4, გვ. 191-192.

1 ს. ჩიქოვანი, ლექსები, 1933 წ., გვ. 36.
2 ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ., №1-2, გვ. 101-102. კ. ბობოხიძე.
3 იხ., მაგალითად, „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 10 თებერვალი, 15 მაისი.

1 ექსები – ექსპროპრიაცია.
2 ჟურნ. „რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., №4, გვ. 58.

1 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1981 წ., 12 სექტემბერი.

1 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953 წ., გვ. 10.

1 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 24 აგვისტო.

1 ლ. ბერიას სიტყვა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 20 მაისი.
2 გ. ნატროშვილი, ხალხის მტერი მწერლის ნიღაბში, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 30 ივნისი.

1 გ. ნატროშვილი, პოლიტიკური გახრწნის ჭაობში, გაზ „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 30 სექტემბერი.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1931 წ., 9 ივნისი.
2 ჟურნ. „მნათობი“, 1947 წ., №5, გვ. 109.
3 „ლიტერატურული გაზეთი“, 1953 წ., 25 დეკემბერი. აგრეთვე იმავე წლის 17 ივლისის ნომერი.

1 კ. მელაძე, კლასიკოსების შესახებ, 1935 წ., გვ. 106, 157.
2 იხილეთ „კომუნისტი“ (1932 წ., 8 თებერვალი), „ლიტერატურული საქართველო“ (1957 წლის 12, 20, 31 ივლისის ნომრები), „ლიტერატურა და ხელოვნება“ (1951 წლის 18 მარტის, 1952 წლის 6 ივნისის ნომრები) და სხვ. ამ მხრივ პრესაში დიდძალი მასალაა დაბეჭდილი.

1 განჯგონებულთა ბოროტი კეთილი ეგონოს (საბა).

1 ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1926 წ., №2-3.

1 ჟურნ. „მნათობი“, 1927 წ., №1, გვ. 189-190.

1 კ. ლორთქიფანიძე, „ბარათი ნოე ჩხიკვაძეს“, „მნათობი“, 1926 წ., №8-9.
2 ამოწერილია ბ. ბუაჩიძის წიგნიდან „თანამედროვე ქართული მწერლობის გზები“, 1934 წ., გვ. 76.

1 ბ. ბუაჩიძე, „თანამედროვე ქართული მწერლობის გზები“, 1934 წ., გვ. 157-158.

1 ალ. აბაშელი, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1958 წ., გვ. 316.
2 მიხ. კახიანი, „იდეოლოგიის ფრონტზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1928 წ., №7, გვ. 167.
3 ასე ამბობენ იტალიელები. ინტერმეცცო არასწორი გამოთქმაა.

1 მიხ. კახიანი, „იდეოლოგიის ფრონტზე“, ჟურნ. „მნათობი“, 1928 წ., №7, გვ. 166-167.

1 საქართველოს კპ ცკ კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების მაშინდელი გამგის ე. გორდელაძის სიტყვა, „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 10 ივნისი.
2 „გავწმინდოთ დიადი საბოთა ქვეყანა კონტრრევოლუციური სიბინძურისაგან“, „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 30 სექტემბერი.

1 მ. ტოროშელიძე, მეტი სიფრთხილე, „ლიტერატურული გაზეთი“, 1935 წ., 12 თებერვალი.

1 აკ. თათარაშვილი, „საკავშირო კპ (ბ) ცკ-ის პლენუმის შედეგები და საქართველოს საბჭოთა მწერლების მორიგი ამოცანები“, „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 15 მაისი.
2 „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში“, „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 31 ივლისი.

1 ლხცსა, ფონდი 8, აღწ. 1, საქ. 600, ფურც. 20-25.
2 „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ., 20 იანვარი.
3 იქვე.

1 კ. ჩარკვიანი, სამეცნიერო და შემოქმედებითს ორგანიზაციებში მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესახებ, 1951 წ., გვ. 11-16.

1 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 18 მარტი.
2 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 28 იანვარი.
3 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 18 მარტი.

1 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 21 იანვარი.

1 ამხ. ჟდანოვის მოხსენება ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“ და „რეზოლუცია საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობისა“, „მნათობი“, 1946 წ., №9-10.
2 იქვე.
3 „შენიშვნები ჟურნალ „მნათობის“ მუშაობაზე“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., 23 აგვისტო.
4 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., 20 სექტემბერი.

1 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., 28 სექტემბერი.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1952 წ., 18 სექტემბერი.

1 ჟურნ. «Континент», 1976, №9. Алексей Лосев, «Ненаписанные репортажи», стр.300.
1 ნ. ხრუშჩოვი, ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის, „ლიტერატურული გაზეთი“, 1957 წ., 30 აგვისტო.
2 „კომუნისტი“, 1956 წ., 20 იანვარი.
3 „კომუნისტი“, 1956 წ., 15 დეკემბერი.

1 „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1979 წ., 20 ოქტომბერი.
2 „კომუნისტი“, 1979 წ., 31 ოქტომბერი.
3 „კომუნისტი“, 1981 წ., 27 მარტი.

1 კ. მელაძე, კლასიკოსების შესახებ, 1935 წ., გვ. 29.
2 იქვე, გვ. 115-116.
3 „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“ (კრებული), 1931 წ., ფ. მახარაძის წინასიტყვაობა, გვ. XV.
1 კ. მელაძე, კლასიკოსების შესახებ, 1935 წ., გვ. 91.
2 პ. ქიქოძე, ვის ხელშია კლასიკოსები? „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“ (კრებული), 1931 წ., გვ. 25.

1 ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. V, 1926 წ., გვ. 220, 224.

1 ორივე ლექსი დაბეჭდილია გ. შატბერაშვილის პირველ წიგნში „ლექსები“. გამოიცა 1932 წ.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1934 წ., 2 აგვისტო: დ. დემეტრაძე — დაკარგული იმედები.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1934 წ., 2 აგვისტო.
2 „სალიტერატურო გაზეთი“, 1934 წ., 10 აგვისტო.

1 „ლიტერატურული გაზეთი“, 1935 წ., 6 თებერვალი.

1 „ლიტერატურული გაზეთი“, 1935 წ., 12 თებერვალი.

1 პ. ქიქოძე, „ქართული მწერლობის ერთი წელი“, „მნათობი“, 1928 წ., №1. გვ. 171.
2 გ. ჩხეიძე, ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი ზაქრო ჩოდრიშვილი, „რევოლუციის მატიანე“, 1923 წ., №1, გვ. 101.

1 ს. მგალობლიშვილი, „სოციალ-რევოლუციონერი (ხალხური) მოძრაობა საქართველოში 1870-1880 წწ. „რევოლუციის მატიანე“, 1924 წ., №4-5 (9-10), გვ. 306-307.
2 ციხის უფროსი ზაზა ყიფიანი პატიმარ კოტე ყიფიანის ბიძა იყო.
3 „რევოლუციის მატიანე“, 1924 წ., №4-5 (9-10), გვ. 308.

1 Иосиф Бергер, Крушение поколения, 1973 г. 115, 109.
2 იქვე.

1 შ. რადიანი, თანამედროვე ქართული ლიტერატურა, 1931 წ., გვ. 52.
2 იქვე, გვ. 132.
3 შ. რადიანი, თანამედროვე ქართული ლიტერატურა, 1931 წ., გვ. 58.
4 იქვე, გვ. 100.
5 იქვე, გვ. 119.
6 იქვე, გვ. 150.
7 იქვე, გვ. 213.
8 ვ. ლუარსამიძე, ქართული ჟირონდის მწერლობა, 1931 წ., გვ. 76.

1 ვ. ლუარსამიძე — ქართული ჟირონდის მწერლობა, 1931 წ., გვ. 85.
2 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 24 აგვისტო.
3 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 30 ივნისი.
4 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 30 სექტემბერი.
5 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ., 20 ივლისი.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1952 წ., 18 სექტემბერი.
2 გაზ. „კომუნისტი“, 1952 წ., 8 ივნისი.

1 ჟურნ. „მნათობი“, 1928 წ., №3, გვ. 177.

1 „ნოველები თუ ანაქრონიზმები?“ „მნათობი“, 1946 წ., №9-10.
2 „მავნე წიგნი“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ., 24 ნოემბერი.

1 „მეტი პასუხისმგებლობით მოვეპყრათ საბჭოთა მწერლის სახელს“, გაზ. „კომუნისტი“, 1947 წ., 26 იანვარი.
2 „სიმბოლიზმის ნამსხვრევები“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ., 1 მაისი.

1 კ. ჩარკვიანი, სამეცნიერო და შემოქმედების ორგანიზაციებში მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესახებ, 1051 წ., გვ. 10-11.

1 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., 18 მარტი.
2 იხილეთ „კრიტიკული შენიშვნები“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ. 21 მარტი) და „ველფლინის ფორმალისტური სქემების ტყვეობაში“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., 11 აპრილი)
3 გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ., 20 მარტი.
4 გაზ. „კომუნისტი“, 1932 წ., 27 იანვარი.

1 იხ. 1952 წლის 26 დეკემბრის „კომუნისტი“ და 1953 წლის 4 იანვრის „ლიტერატურა და ხელოვნება“.

1 კ. ლორთქიფანიძე, „კოლხეთის ცისკარი“, 1963 წ., გვ. 355.

1 კ. ლორთქიფანიძე, „კოლხეთის ცისკარი“, 1963 წ., გვ. 353.
2 იქვე, გვ. 354.
3 იქვე, გვ. 265-266.

1 გვარს მიაქციეთ ყურადღება: ძველი ბოლშევიკი ქვა და კირია ერთად.
2 ი. ლისაშვილი, „ვარდნილი“, 1933 წ., გვ. 26-27.

1 ი. ლისაშვილი, „ვარდნილი“, 1933 წ., გვ. XXXI-XXXII.
2 იქვე, გვ. XXXII-XXXIII

1 ი. ლისაშვილი, „ძახილი მთაში“, 1940 წ., გვ. 178.

1 დ. კასრაძე, ლიტერატურული შენიშვნები, ჟურნ. „ჩვენი თაობა“, 1940 წ., №9, გვ. 43-44.

1 პ. ჩხიკვაძე, „სართულები“, 1934 წ., გვ. 260-261.

1 ბ. ჩხეიძე, „ფერო“, 1932 წ., გვ. 251.

1 ჟურნ. „მნათობი“, 1928 წ., №8-9, გვ. 169.

1 „მნათობის“ ალმანახი „დარიალი“, №1, 1925 წ., გვ. 132.
2 „მნათობის“ ალმანახი „დარიალი“, №1, 1925 წ., გვ. 138. ამ ალმანახს იმიტომ ვუთითებ, რომ მერე მწერალს ძალდატანებით ამ მოთხრობის კონცეფციაც შეაცვლევინეს და რამდენიმე სხვადასხვა ნოველად დააშლევინეს.

1 კ. ლორთქიფანიძე, „ღიმილი“ (ლექსების კრებული), 1927 წ., გვ. 26.
2 კ. ლორთქიფანიძე, „პირველის შემდეგ“ (ლექსების კრებული).

1 ნ. აგიაშვილი, „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, 1980 წ., გვ. 264.
2 ფ. ნაროუშვილი, „პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია“, 1931 წ., გვ. 27.

1 „მნათობი“, 1938 წ., №6.

1 მიხ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. III, 1960 წ., გვ. 249.

1 ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1945 წ., გვ. 28.
2 იქვე, გვ. 38.

1 მოწინავე: „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით, გაზ. „კომუნისტი“, 1951 წ., 29 სექტემბერი.

1 „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამოცანები და მწერლობის ახალგაზრდა კადრები“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., 11 ივლისი.
2 „ნაციონალურ ცრურწმენათა ნაშთების შესახებ“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., 12 დეკემბერი.

1 მოწინავე: „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით“, გაზ. „კომუნისტი“, 1951 წ., 29 სექტემბერი.
2 „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამოცანები და მწერლობის ახალგაზრდა კადრები“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952 წ., 11 ივლისი.

1 ს. თალაკვაძე, „ახალი აზვირთება“, 1932 წ., გვ. 13.
2 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1979 წ., 5 იანვარი.
3 გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1980 წ., 1 მარტი.

1 ციოლკოვსკის შესახებ სიმართლე შეგიძლიათ წაიკითხოთ ლეონიდ ვლადიმიროვის წიგნში «Советский космический блеф» , 1973 წ.

1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. V, 1961 წ., გვ. 669.

1 მიხ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. III, 1960 წ., გვ. 423.
2 კ. გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“, 1936 წ., კარი III, გვ. 219.

1 ნ. მიწიშვილი, ფიქრები საქართველოზე, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1926 წ., №4-5, გვ. 20, 22, 23.

1 ს. დანელია, ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, 1927 წ., გვ. 84, 85, 86.

1 კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიურ სახეებში, 1926 წ., გვ. 190-191.

1 გაზ. „კომუნისტი“, 1949 წ., 11 მაისი.
2 შეადარეთ ალ. ჭავჭავაძის ლექსები – „კავკასია“ და „პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“ („ლექსები“, 1949 წ., გვ. 85-88)

1 გრ. ორბელიანი, „სადღეგრძელო“, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 98-99, 106.
2 РСФСР иГрузинская демократическая республика, 1922г., Москва, стр.8-15.

1 ვ.ი. ლენინი, თხზულებანი, გამოც. IV, 1952 წ., ტ. 27, გვ. 179-180.

1 А. Амальрик, Записки дисидента, 1982, стр. 86. А.Солженицын, Архипелаг ГУЛаг.

2 А. С. Пушкин, Сочинения, 1936г., стр. 308.

1 კ. გამსახურდია, ჩვენი კულტურპოლიტიკა, გაზ. „ლომისი“, 1922 წ., №6.

1 „დროშა“ (ისრაელში არსებული ქართულენოვანი ჟურნალი), 1982 წ., №7, გვ. 7.

1 გარდაცვალების წელს (1999წ.), ზაფხულში, მასალები დაუხარისხებია და საქაღალდეში ჩაუწყვია.

1 როგორც ჩანს, აკაკი ბაქრაძეს, აქ მონიშნული ჰქონდა, რა სახით დაეწერა წიგნის შესავალი.

1 საქაღალდეში არის ცალკეული გეგმები, შენიშვნები, სარჩევიც კი ჯერ დაუწერელი წიგნისათვის _ «გადარჩენა». აქ აღნიშნულია ხოლმე ისიც, რა არის დაწერილი და რა უნდა დაიწეროს.

1 წიგნს, როგორც ჩანს, ასე იწყებდა.

1 რადიოინტერვიუ ზინა მჭედლურთან. 1994წ. 21 აპრილი.

1 გამოანგარიშება (ავტ.)

1 გაბედულება, ბედ-იღბალი, ბედნიერება _ ქართულში ერთი ფუძეა: ბედი.

1 ასე დევს საქაღალდეში

1 შ. დადიანი _ «გვირგვილიანების ოჯახი», 1960წ. გვ. 307.

1 ი. გოგებაშვილი _ რჩეული თსზულებანი სუთ ტომად, ტ. 11, 1990წ. გვ. 236.

1 რადიოინტერვიუ ლამარა კიკილაშვილთან 1994 წ. 28 ოქტომბერი

1 არსებობს «ჰაკი აძბას» გამოცემები, სადაც ეს ფინალი შეცვლილია. ამ გამოცემებში კუზმა კილგა არ ჰკლავს ჰაკი აძბას. უჯუშის დახვრეტის მერე ჰაკი თვითონ გადახტა ზღვაში და იხრჩობს თავს. ამგვარი გადაკეთება ზემორე გამოთქმულ აზრს არ ცვლის, რამეთუ ჰაკი აძბა მაინც კილგას საქციელის მსხვერპლია. აქ მხოლოდ შერბილებულია კუზმას მოქმედება. ამიტომ ეს ცვლილება გაუმართლებელ მხატვრულ კომპრომისად მიმაჩნია.

1 საქაღალდეში დევს მონახაზი ლექციისათვის.

1 რადიო ინტერვიუ ლ. კიკილაშვილთან 1992წ. თებერვალ-მარტი პროგრამა «სახსოვარი».

1 ალბათ უნდა იყოს – მოევლო

1 ალბათ უნდა იყოს – უსასრულოდ

1 ალბათ, უნდა იყოს ფილებით.

1 „მარადისობის კანონში“ ტექნიკური შეცდომაა: ბაჩანა რამიშვილი აკაკის ძეა, მაგრამ ერთხელ ვლადიმერის ძედაც იხსენიებენ.

1 პირველი პუბლიკაციისას („ლიტერატურული საქართველო“, 1987, 1 იანვარი) დახრილი შრიფტით აწყობილი სტრიქონები ცენზურამ ამოაგდო.

1 ამ პასაჟში „მტერი“ შეიცვალა „ჟამით“.